ქართული ენციკლოპედია

ეროვნული

„მეცნიერება“

7 - IV - 2009

5/II - 2009

1/II 2009

F5603

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებები გახდა ჩემი შემდგომი შემოქმედების საზრდო. დღემდე ვრჩები ქართული ტრადიციული კულტურის თაყვანისმცემლად.

ფ. ბურჩულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეთნოგრაფიული
მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

გ. ჩიტაიას „შრომების“ გამოცემა გრძელდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პრეზიდენტის, სახალხო მხატვრის

ზურაბ წერეთლის მოთავეობით

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲓᲝᲜᲘ

ᲫᲐᲠᲗᲕᲚᲘᲡ
ᲬᲧᲝᲗ ᲪᲝᲕᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჟურნალისტიკა

III XXს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული კრებული, ეკთიდროლოგია

ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა
და თამილა ცაგარეიშვილმა

„მეცნიერება"
თბილისი
2001

63.5(2r)
39(479.22)
h 671

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაიას „შრომების“ III ტ. ეძღვნება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების დაფუძნება-განვითარებისა და ეთნოგრაფიული სამეცნიერო სკოლის შექმნის ისტორიას, საორგანიზაციო და საველე მუშაობის შედეგებს 1924-1980-იან წლებში.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო თ. ცაგარეიშვილმა.

ტ. I-II ეთნოგრაფიული ილუსტრაციები და საველე ჩანახატები შეარჩია და ტექსტებს შეუფარდა ზ. წერეთელმა.

მონოგრაფია განკუთვნილია ეთნოლოგების, საქართველოს ისტორიის სპეციალისტების, სტუდენტებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის

რედაქტორი	რ. მეტრეველი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
შემდგენელი რედაქტორი	თ. ცაგარეიშვილი	პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი
რეცენზენტები:	ჯ. რუხაძე	პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი
	თ. ოჩიაური	პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი

h 0503010000
M 607(06)2000

© ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი „მეცნიერება“

ISBN 99928-893-6-5

2001

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეს-2000
მეამოწმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა ყველას, საქართველოს ყველა კუთხეს თანადგომისათვის. მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის. მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს, რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური.

ეროვნ

წინასიტყვაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის გრძელი, რთული და ნაყოფიერი გზა განვლო. ეს გზა იყო გრძელი იმიტომ, რომ გიორგი ჩიტაია XIX ს. ბოლოს დაიბადა და XX ს. მიწურულს მიატანა. რთული იყო იმიტომ, რომ მისი მეცნიერული დაკვალიანების ხანა საბჭოთა მეცნიერებაში მარქსისტული მეთოდოლოგიის ჰეგემონიის დაემთხვა. ძველი კონცეფციების გადასინჯვა-უარყოფა და ახალი მსოფლმხედველობის ათვისების პროცესი არც მარტივი იყო და არც უმტკივნეული. საჭირო გახდა ტრადიციულ თვალსაზრისზე ხელის აღება, ზოგჯერ მათი მსხვრევა და აზროვნების ცვლილება, ახალი მიმართულების მიცემა. ნაყოფიერი კი იმიტომ – რომ მის მიერ შექმნილმა სკოლამ და სამეცნიერო პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი, თვითონ კი აღიარებულ იქნა საერთაშორისო მასშტაბით.

ალექსი რობაქიძე
1986 წ.

გ. ჩიტაიას, ივ. ჯავახიშვილის ხელდებით, წილად ხვდა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების მოთავეობა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

მისი მოღვაწეობა თავიდანვე ორი მიმართულებით წარიმართა: პირველი; დარგის დაფუძნება-განვითარება, საორგანიზაციო და თეორიულ საფუძვლები, სამუზეუმო, საველე და სასწავლო პროცესების ორგანიზება; მეორე, სამეცნიერო – ზოგადეთნოგრაფიული, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის საკვანძო პრობლემათა დასმა და კვლევა-ძიება.

საქართველოში ეთნოლოგიური კვლევა-ძიება თავდაპირველად კონცენტრირებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მცირერიცხოვან კოლექტივში (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, სტ. მენთეშაშვილი, ს. მაკალათია, რ. ხარაძე, ფ. ქიქოძე, შემდგომში ლ. ბოჭორიშვილი და ალ. რობაქიძე).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო სკოლების მუშაობის, მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე გარდაქმნა. ფორმირების პროცესში ასევე იმყოფებოდა ეთნოლოგიაც: ეთნოლოგიის სახელწოდებისა და მიმართულების უარყოფა, საგნისა და მეთოდის გადახალისება, ახალი მეცნიერული და მეთოდოლოგიური კრიტერიუმების შემუშავება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1929 და 1932 წლების ეთნოგრაფიულ დისკუსიებს და სირთულეები შექმნა 1930 წ. საბჭოთა მუზეუმების I ყრილობამ, სადაც გამოვლინდა ეთნოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც გამოიხატებოდა მის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინად აღიარების უარყოფაში. ამავე დროს, მეცნიერება, რომლის შესწავლის ძირითადი ობიექტი არის ეთნოსი, მისი კულტურისა და ყოფის კვლევა, სახელწოდების ტერმინოლოგიურ ცვლილებებს განიცდის, მის ობიექტსა და საგანთან

არსებული განსხვავებული მოსაზრებების გამო. მსოფლიო სამეცნიერო ცენტრების მიმოქცევაში არსებული ტერმინები: ეთნოლოგია, ანთროპოლოგია და სხვა არ იქნა გაზიარებული რუსეთის სამეცნიერო წრეების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ 1928-1929 წლებშიც. თვით ვ. პრეობრაჟენსკის მიერ იყო ეთნოლოგიის სახელწოდების შემოტანის მცდელობა. 1930 წლიდან საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ნომენკლატურაში ეთნოლოგიის სანაცვლოდ, დარგის სახელწოდებად ეთნოგრაფია დაინერგა.

XX ს. ბოლო წლებში, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ეთნოგრაფიის სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარეობდა ეთნოლოგიით – ეთნოგრაფიის შენაცვლების უკუპროცესი, საჭიროდ მიგვაჩნია ქართული ეთნოგრაფიული სკოლის განვლილი საფეხურის ახალი თვალთახედვით გადასინჯვა და იმ გაწყვეტილი მეცნიერული ტრადიციის აღდგენა, რომელსაც 75 წლის წინ მხარი დაუჭირა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მამამთავარმა აკად. გ. ნიტაიამ, მაგრამ უნიფიცირების პირობებში იძულებული გახდა საბჭოთა კავშირში აღიარებულ მეცნიერულ კურსს გაჰყოლოდა.

გ. ჩიტაიამ, დარგის სათავეში დადგომისთანავე, 1922 წლიდან, ეთნოლოგიას დაუჭირა მხარი. 1925 წ. თავის პირველ მეცნიერულ ნაშრომში „ეთნოლოგიური შენიშვნები, I. სვანური საკურცხილი“ მან დასვა ეთნოლოგიის რაობის საკითხი და გამიჯნა იგი ეთნოგრაფიისაგან. „ამ 50 წლის მანძილზე – წერდა იგი – ეთნოლოგია ისე დაწინაურდა, რომ აღწერილობითი ეთნოგრაფიიდან, რომელიც გეოგრაფიის ნაწილად ითვლებოდა დამოუკიდებელ ხალხთა შესწავლის მეცნიერებად იქცა[1].“

ეთნოლოგიის განვითარებისათვის საქართველოში, გ. ჩიტაია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ეთნოგრაფიული მოვლენებისა თუ დეტალების ამომწურავად შესწავლას: „ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა, ქართული ეთნოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებისათვის შეიძლება შესაფერისი იყოს და ნაყოფიერიც“ და ეთნოლოგიური კვლევის ნიმუშად ასახელებდა ივ. ჯავახიშვილის „ქართულ წარმართობას“.

1926 წ. დაწერილ ნაშრომში „ქართული ეთნოლოგია“ იგი უკვე დარგის მიზნებს, ამოცანებსა და მისი კვლევის მეთოდს სახავს, ამავე დროს პრინციპულად მიჯნავს ერთმანეთისაგან ეთნოლოგიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ამოცანებს, მიიჩნევს რა, ამ უკანასკნელს ეთნოლოგიის განვითარების საფუძვლად. „ეთნოგრაფიულ წვრილმანს, შემთხვევის გამო გადარჩენილს, რელიქტურს (მათი გაქრობის გამო) – ისეთივე მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგისათვის, როგორც ანთროპოლოგისათვის ადამიანის ჩონჩხიდან შემორჩენილ ყბას, რომლის მიხედვით ჩონჩხის სრულ რეკონსტრუქციას იხდენს. ასევე იქცევა ეთნოლოგიც. ეთნოგრაფიული ფრაგმენტი საშუალებას აძლევს მას ჩასწვდეს ეთნოლოგიური მოვლენის სიღრმეს, განფენილობას“.

[1] იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. II, ტფ. 1925

(„ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული თავისებურებანი“, 1925 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაიას პირად არქივში დაცულია 20-იანი წლების ერთი ჩანაწერი, რომელიც ყურადსაღებია დარგის განვითარების ისტორიის აღსადგენად. აქ გადმოცემულია ის მიზნები და სამომავლო ამოცანები, რომელთა განხორციელებას საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოში ეთნოლოგიის დარგის დაფუძნებისათვის. ტექსტი მოგვყავს სრულად:

დარგი – ეთნოლოგია

უნდა ავიცილოთ:

1. ნიჰილიზმი – 20-იანი წლების
2. პრიმიტივიზმი
3. სქემატიზმი
4. მარქსისტული ეთნოგრაფია

პასუხი უნდა გაეცეს:

1. რიტერს – ხალხთა ნამსხვრევების თავშესაფარი
2. ბლაიხშტაინერს – კომუნიკაციების სიძნელეები
3. ზისერმანს – ხევსურების წარმოშობილობის შესახებ
4. ქართველი ხალხის ხელოვნურ გახლეჩვას (სვანები, მეგრელები....) საფუძვლიანად დამუშავდეს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანები:

საორგანიზაციო:

1. ეთნოლოგიური კათედრის შექმნა უნივერსიტეტში, ეთნოლოგთა კადრების აღზრდა
2. სამეცნიერო ცენტრის შექმნა.
3. სამუზეუმო გამოფენების დეტალური პროგრამის შედგენა. ხევსურეთის და სვანეთის გამოფენების მოწყობა.

სამეცნიერო:

1. საველე მუშაობის მეთოდი
2. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა
3. ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობა და სულიერი კულტურა

შედეგებში გამოიკვეთოს:

1. კავკასიისა და საქართველოს კულტურის ადგილი საკაცობრიო ისტორიაში. (1925 წ.)

დარგის სახელწოდების შეცვლას არ შეუცვლია გ. ჩიტაიას დამოკიდებულება ეთნოლოგიის ძირითადი ამოცანების მიმართ. მისი სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იყო მოქნილ მეცნიერულ ორიენტაციაზე, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი და ეთნოგრაფიის განვითარების პროგრამაში მან უფრო ღრმა შინაარსი ჩასდო, ვიდრე ტერმინის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა. გ. ჩიტაიამ ეთნოსის საწარმოო გამოცდილების ეთნოგრაფიული აღწერა მჭიდროდ დაუკავშირა სამეცნიერო-კვლევით პრობლემასთან კავშირში მის

შესწავლას. თითოეული ეთნოგრაფიული მოვლენის ეთნოგენეზის, ეთნოსპეციფიკისა და კულტურულ-ისტორიული ღირებულების დადგენას და შემდგომ, ისტორიულ ჭრილში, გენეტიკური კავშირის კვლევა-ძიებას სხვა ხალხებთან, წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის სამყაროსთან. 30-იანი წლების ქართული ეთნოგრაფიული სკოლის დევიზი გახდა: „არა ფაქტების უბრალო დაგროვება, არამედ მათი ღრმა ანალიზი და განზოგადება“.

გ. ჩიტაიას ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდის შემუშავება. საჭირო იყო საველე მასალის მეცნიერულად სწორად ფიქსირება და გაანალიზება, რათა იგი ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობით ეღიარებინაო; მით უმეტეს, რომ ამ დროს, სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებით ეთნოგრაფია მხოლოდ ფაქტების აღმნუსხველ მეცნიერებად გაიაზრებოდა, ხოლო მასალის შეგროვება ცოცხალ სინამდვილეში – მარტივ საქმიანობად.

გარდა ამისა, ამ დროისათვის მიღებული საველე ეთნოგრაფიული მეთოდები გ. ჩიტაიას, კავკასიისა და საქართველოს შესასწავლად, მიუღებლად მიაჩნდა. ეხებოდა რა კონკრეტულად ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, იგი თვლიდა, რომ საქართველოსათვის პირველყოფილი საზოგადოების შესასწავლად გამოყენებული მეთოდები არ გამოდგებოდა, რადგან ქართულ ყოფაში შემონახულია კულტურის უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები და მათ გვერდით – მაღალი კულტურული მიღწევები.

„ჩვენი ამოცანა იყო – წერდა მოგვიანებით, – შეგვექმნა ეთნოგრაფიისათვის თეორიული საფუძველი და დაგვეძლია ფორმალისტური ტრადიციები, გადაგვლახა პირველყოფილი საზოგადოების შესწავლის ზღუდეები, თავი დაგვედწია პრიმიტიულობისაგან. ეთნოგრაფია რომ არ ქცეულიყო მხოლოდ ფაქტების აღმნუსხველ მეცნიერებად (ამას ხელს უწყობდა სახელწოდების ცვლილება). საჭირო იყო ეთნოგრაფიის საგნისა და ობიექტის გაფართოება როგორც ისტორიულ, ასევე გეოგრაფიულ და სოციალურ ასპექტში. ამ პერიოდში იყო მიდრეკილება საარქივო მუშაობა გამოცხადებულიყო მთავარ საზრუნავ საგნად (ეთნოგრაფიის საველე მასალისადმი უნდობლობის გამო), რაც აცილებდა დარგს მის პირდაპირ მიზანსა და სპეციფიკას. ამიტომ იყო აუცილებელი საველე მუშაობის მეთოდის შემუშავება, დარგისათვის საძირკვლის შედგმა და უნდობლობის კედლის გარღვევა“ (1960 წ.).

გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებულმა მეთოდმა[2] გააფართოვა ეთნოგრაფიის სამეცნიერო მიზნები, საკვლევი ბაზა, თეორიულ-პრაქ-

[2] იხ. Читая Г.С., Этнография Грузии за советский период, СЭ, №3, 1940; მისივე, Этнографические исследования в Грузинской СССР, С.Э,, №4, 1948; მისივე, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ. მიმოხილველი, ტ.I, 1949; მისივე, Некоторые итоги полевой этнографической работы в Грузии за 1954 год, მსე, ტ. IX, 1957; მისივე, Принципы и метод полевой этнографической работы, сэ, м., 1957, № 4.

ტიკული არეები და გამოვიდა დარგის ვიწრო ჩარჩოებიდან, რამაც განაპირობა მისი აღიარება ევროპულ სამეცნიერო წრეებში, თუმცა არაერთგზის განიცდიდა თავდასხმებს ზოგიერთი რუსი კოლეგების მხრიდან[3].

ქართული მეთოდი კულტურის ცალკეულ ელემენტებს წარმოაჩენს ერთ მთლიანობაში ტექნიკის, კონსტრუქციისა და ფუნქციის გათვალისწინებით, კულტურულ-ისტორიული განზომილების ჩარჩოში მოქცევით და თანმიმდევრული ისტორიზმის გამოყენებით.

ამ მეთოდით კვლევის შედეგები გ. ჩიტაიამ საკუთარი ნაშრომებით გვიჩვენა. მისთვის დამახასიათებელია საკითხის ფართოდ დაყენება, სიზუსტე მასალის დამუშავებაში, ფაქტის შედარებითი მეთოდით შესწავლა, ყოველგვარი სპეკულაციის უარყოფა, განზოგადების ფართო არეალი და დასკვნებში ქართველი ხალხის, კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან კულტურულ-ეთნიკური კავშირის გამოვლენა.

ჩიტაიასეული მიდგომით, კონკრეტული ეთნოგრაფიული მოვლენა, ხშირად ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო, დიდ შესაძლებლობას იძლეოდა ეთნოგენეზის კვლევაში.

ქართული ეთნოგრაფიული მეთოდის სამი პრინციპი: ტოტალური დესკრიფცია, ისტორიზმი და ეთნოსპეციფიკა, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ძირითად ნიშან-თვისებად იქცა.

გ. ჩიტაიას მიერ თეორიულად დასაბუთებულ პროგრამას პრაქტიკული განხორციელება სჭირდებოდა. აქაც იჩინა თავი მისმა ორგანიზაციულმა ნიჭმა და უნარმა.

ათეული წლების მანძილზე გ. ჩიტაიას, სისტემატურმა და თავდაუზოგავმა მუშაობამ განაპირობა საქართველოში ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება-განვითარება და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შექმნა. ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. ვ. ბარდაველიძემ, რომელიც გ. ჩიტაიას მუშაობის მუდმივი თანამდგომი და მონაწილე იყო.

სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიული კადრების გაძლიერების პარალელურად იგი საფუძველს უყრის ეთნოგრაფიულ მუშაობას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, სადაც ყალიბდება ეთნოგრაფიის სექცია, 1938 წლიდან – ეთნოგრაფიის განყოფილება, 1961 წლიდან – საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1940 წ. გ. ჩიტაიას ენერგიული მუშაობის შედეგად ისტორიის ფაკულტეტთან არსდება ეთნოგრაფიის კათედრა, რიგით მეორე, მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ. 1940-50 წწ-ში. სტუდენტთა საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ბაზას

[3] აღ. რობაქიძის საპასუხო წერილი A. Генко-ს გამოსვლაზე პრესაში: Некоторые спорные вопросы изучения нового быта, СЭ, №2, 1953.

წარმოადგენდა ეთნოგრაფიული სტაციონარი ბარისახოში – პირველი საველე სტაციონარი ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაია ცნობილი იყო როგორც სამუზეუმო საქმის საუკეთესო სპეციალისტი. მისი მცდელობით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ხელოვნების მუზეუმის და სხვა კოლექციებმა თავი მოიყარეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მისი ფონდები გამდიდრდა საქართველოსა და კავკასიის, მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კოლექციებით. 30-იან წლებში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ხევსურეთის, სვანეთის პრობლემურ-თემატური გამოფენები, რეგიონალური გამოფენები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ერთიან სანიმუშო ეთნოგრაფიულ გამოფენას. იგი კონსულტაციებით ეხმარებოდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებას თბილისში, მეაბრეშუმეობის მუზეუმის მოწყობას. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო ეთნოგრაფიული კაბინეტ-მუზეუმი, საქართველოს 10 სამხარეთმცოდნეო მუზეუმს ხელი შეუწყო ექსპოზიციის მოწყობაში და სხვა. სამუზეუმო საქმიანობის გვირგვინი გახლდათ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი, მისი ორმოცწლიანი ნაფიქრალ-ნაღვაწის ნაყოფი.

მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად გ. ჩიტაიამ ფართოდ გაშალა საველე-საექსპედიციო მუშაობა. „არ დაგვრჩეს არც ერთი კუთხე საქართველოსი გამოუკვლეველი“ – ასეთი იყო მისი დევიზი.

გ. ჩიტაიას პირველმა შემგროვებლურმა მუშაობამ, რომელიც აგებული იყო ახალ მეცნიერულ მეთოდზე, და მისმა გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ეთნოგრაფიის გეგმაზომიერ შესწავლას, ხოლო ათეული წლების მანძილზე წარმოებული საველე ექსპედიციის მუშაობის შედეგად დაგროვილ ნივთიერსა და ტექსტუალურ მასალას დღეს ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი ჩიტაია თითქმის საუკუნის ბოლომდე უძღვებოდა ქართულ ეთნოგრაფიას, მის მიერ ფუძეჩაყრილი ეთნოგრაფიული კოლექტივის მეცნიერულ და ორგანიზაციულ განმტკიცებას. XX საუკუნის ეთნოგრაფიული სკოლის დამსახურებაა, რომ დღეს XXI საუკუნის ეთნოლოგიის განკარგულებაშია უნიკალური საარქივო საველე-ეთნოგრაფიული მასალები და მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაპოვარი. ეს მემკვიდრეობა სწორედ დღევანდელი ინტენსიური მუშაობის ბაზა და მომავალი წარმატების საწინდარი.

გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის მესამე ტომში შევიდა მის მიერ 1924-70-იან წლებში დაწერილი ნაშრომები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციების დღიურები და ანგარიშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო მასალებიდან შეირჩა და პირველად ქვეყნდება შემდეგი ნაშრომები:

1. მესხეთის ექსკურსიის დღიური, 1924 წ.
2. მოკლე ანგარიში ეთნოლოგიური ექსკურსიის შესახებ მესხეთში, 1924 წ.
3. ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად, 1924 წ.
4. ზოგადი მოხსენება კახეთში მოგზაურობის შესახებ, 1925წ.
5. ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული თავისებურება (მათი გაქრობის გამო), 1925წ.
6. ადბულად-წალკის რაიონებში მოგზაურობის დღიური, 1926წ.
7. რუსეთის ეთნლოგია და ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრ კავშირის მუზეუმებში, 1928 წ.
8. ხევსურეთის ექსპედიცია, 1929 წ.
9. ქორედი სახლი ხევსურეთში, 1929 წ.
10. აჭარისტანის ექსპედიცია, 1933 წ.
11. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საანგარიშო-საჩვენებელი გამოფენა, 1934 წ.
12. საქართველოს მუზეუმის მეგზურის შედგენის ძირითადი პრინციპები, 1936 წ.
13. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორი წევრის ანგარიში 1940წ.
14. ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1947 წ.
15. ლუდის დამზადების ხალხური წესები, 1948 წ.
16. ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის გამოფენა, 1955 წ.
17. საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა, 1956წ. (ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად).
18. კოლხეთის ეთნოგრაფიული კომპლექსური ექსპედიცია, 1958 წ.
19. კოლხეთის მესამე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, 1960წ.
20. ღია ცისქვეშ მუზეუმი თბილისში, 1960წ.
21. 1962 წ. ფშავის ექსპედიციის დღიური, 1955წ.
22. 1963 წ. ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციის დღიური
23. კიდევ ერთხელ თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის მუშაობის შესახებ, 1963 წ.
24. 1965 წ. თუშეთის ექსპედიციის დღიური.
25. პალატ-სახლი ს. ხანიდან, 1973 წ.
26. ეთნიკური სახის შენარჩუნებისათვის, 1975 წ.
27. კოშკების შესახებ საქართველოში, 1968 წ.
28. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ლიმიტროპული სოფლების დასახლების საკითხისათვის (უთარიღო).
29. ლაზური სახლი (უთარიღო).
30. ცნობა საინგილოს შესახებ (უთარიღო).
31. ჩიხრიხი (უთარიღო).

ნაშრომებში ძირითადად დაცულია ავტორისეული სტილი. შესწორდა მხოლოდ ზოგიერთი უზუსტობა სქოლიოში, საარქივო მასალა (ნაწილი ფანქრით ნაწერი) გადმოწერილ იქნა ხელნაწერიდან. საკორექტურო ფურცლები ბეჭდვის პროცესში შედარდა ავტორის ხელნაწერს.

ტექსტში მოყვანილი მასალის კლასიფიკაციისას, კერძოდ, საველე მასალის კრიტერიუმად აღებულ იქნა:

1. ექსპედიციის ჩატარების წელი, მხარე.

ცალკეული ექსპედიციის დღიურს თან დაერთო არქივში მოძიებული, ამ ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით შესრულებული, ანგარიშები, გამოკვლევები და გაერთიანდა ერთ განყოფილებაში.

2. სტატიები, რომლებიც დაწერილია 1960 წლამდე, დავბეჭდეთ იმ სახით, როგორც ორიგინალშია. 1960 წლის შემდეგ დაწერილი და გამოქვეყნებული წერილები (რომლებიც გამომცემლების მიერაა გასწორებული) გარკვეულ ენობრივ სიჭრელეს ქმნის კრებულის მთლიანობაში გაცნობისას.

3. ცალკეული ნაშრომების სათაურები და ქვესათაურები დატოვებულია ისე, როგორც არის ორიგინალში.

4. ტექსტში მოყვანილი გეოგრაფიული სახელწოდებები არ შეგვიცვლია (კერძოდ, „ლაზური სახლი“) თანამედროვე მონაცემებთან შეჯერებით, რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენს ინტერესებშია ნაშრომის ისტორიული ღირებულების შენარჩუნება.

ტექსტებს ერთვის შენიშვნები. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსდა ახსნები და დამატებები. ტექსტის გამოსაცემად მომზადება და ტომის შედგენა (წინასიტყვაობის, შენიშვნების, ლექსიკონის, საძიებლების დართვა, შრომების შინაარსობრივად დალაგება, ძირითადი თავების დასათაურება) ეკუთვნის შემდგენელ-რედაქტორს, პროფ. თ. ცაგარეიშვილს.

ნაშრომის ფორზაცი და ტექსტთან შეფარდებული ეთნოგრაფიული ილუსტრაციები შესრულებულია სახალხო მხატვრის ზ. წერეთლის მიერ.

ტექსტზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კ, პროფ. ვ. შამილაძეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოც. გ. კარტოზიას, ისტ. მეცნ. დოქტორს პროფ. თ. ოჩიაურს, ისტ. მეცნ. დოქტორს, პროფ. ვ. ითონიშვილს, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორს ალ. ჭინჭარაულს, ისტ. მეცნ. დოქტორს, პროფ. თ. იველაშვილს და ყველა მათ, ვინც საყურადღებო რჩევებით ხელს გვიწყობდა მუშაობაში.

განსუსაზღვრელია ჩვენი მადლიერება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებისა“ და სტამბის თანამშრომლებისადმი, რომელთა მაღალმა პროფესიონალიზმმა და საქმისადმი ერთგულებამ განაპირობა ნაშრომის მაღალ დონეზე გამოცემა.

თამილა ცაგარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ეთნოლოგიის სათავეებთან

ზოგიერთი ძართული ეთნოგრაფიული თავისებურება (მათი გაჭრობის გამო) *

ეს უკვე ახალი ამბავი არ არის, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ ცხადყო, რომ ევოლუციონური მეთოდი, განვითარების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა – უტყუარი საკვლევი იარაღია, რომელიც მრავალნაყოფიერ შედეგს იძლევა და ახალ სამეცნიერო პერსპექტივებს ქმნის. ბუნებისმეტყველების მსგავსად, ჰუმანიტარული მეცნიერებაც ვალდებულია თავის საგნისადმი ესევე საკვლევი მეთოდი მოიმარჯვოს, თუ, ჭეშმარიტად, სურს მას მომავალი ცხოვრების უტყუარი პროგნოზი დაადგინოს და კაცობრიობის ბედნიერებისაკენ მიმავალი გზები აღმოაჩინოს.

მაგრამ პროგნოზის დადგენა და საშუალებების მიკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად და ამომწურავად არის შესწავლილი კაცობრიობის როგორც წარსული, ისე აწმყო. ეს კი, თავის მხრივ, იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რამდენად სრულად და უკლებრივ არის მოცემული, განსაკუთრებით, წარსული ცხოვრების მატერიალური და სულიერი კულტურის მამყდავნებელი ფაქტები, რომლებზე დაყრდნობით მეცნიერებას სხვადასხვა გზით საშუალება ეძლევა წარსული ვითარების კანონები დაადგინოს და ცხოვრების განვითარების ძირითადი მიდრეკილება აღნუსხოს. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ხალხი, რომელსაც ამა თუ იმ სახის წარსული არ ჰქონდეს, – განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი მათგანის წარსული დამძიმებულია ერის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მძიმე ტვირთით, ხოლო ზოგის საგზალი ისე მსუბუქია, რომ კურდღელს აეკიდება. კაცობრიობის წარსული ცხოვრების მრავალმხრივობიდან ეთნოგრაფიულ თავისებურებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ეს თავისებურებები მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა.

---

* შენიშვნა. მართალია, საქართველოში ეთნოლოგიის განვითარებისას, XX ს. I ნახევარში, ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური თეორიებისა და შეხედულებების სიმრავლე იგრძნობოდა, მაგრამ მეცნიერული თეორიებისა და დასკვნებისათვის საჭირო სარწმუნო და დამაჯერებელი ფაქტების სრული ნაკლებობა იყო. ეს მონაცემებიც შემოხვევით, უსისტემოდ და არასტაციონარულ პირობებში გროვდებოდა. ამიტომ გ. ნიტაიამ უპირველს ამოცანად დაისახა ეთნოგრაფიული ფაქტების დროული შეგროვება (მათი გაჭრობის საშიშროება) და მეცნიერულად სწორად ფიქსირება.

არქივში მოპოვებული ეს წერილი მეცნიერის პირველი ნააზრევია (ალბათ არც იყო ნავარაუდევი გამოსაქვეყნებლად), რომელიც საფუძვლად დაედო მის ცნობილ ნაშრომს „ქართული ეთნოლოგია". მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოში ეთნოლოგიის განვითარების საწყისი საფეხურის აღსადგენად [თ. ც].

გარდა თავისთავადი ღირებულებისა, მათ აქვთ ისტორიული რეალიების მნიშვნელობა და ხალხის შინაგანი ჰაბიტუსის მამხილებელნი არიან. ამ მხრივ ქართველი ერის ეთნოგრაფიულ თავისებურებას, სხვადასხვა საპატიო ისტორიული მიზეზების გამო, განსაკუთრებული წონა აქვს და მეცნიერებისათვის, დანარჩენებთან შედარებით, განსხვავებული მნიშვნელობისაა.

მართალია, ჩვენს ეთნოგრაფიულ თავისებურებებში შეიძლება ყველაფერი ორიგინალური წარმოშობისა არ იყოს, ეს შეუძლებელიც იქნებოდა, ზოგი მათგანი უთუოდ შეთვისებულია სხვებისგან, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ისინი მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი განძია, რომელიც ამჟღავნებს ჩვენი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გაწეულ კულტურულ მუშაობას და აჩვენებს ამ კულტურის განვითარების საფეხურებს. ჩვენი მოვალეობაა წარსულის ეს კულტურული განძი შევუნახოთ მეცნიერებას სწორედ ისე, როგორც ეს ამ განძის მნიშვნელობას შეეფერება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდი ხდება.

ყოველი ჩვენგანი გულზე ხელდაკრეფილი მოწმე და უნებლიე მონაწილეა იმ სრულიად უდავო ფაქტისა, რომ ჩვენი ხალხის წარსულის ეთნოგრაფიული თავისებურება – ზნე-ჩვეულება, ზეპირსიტყვაობა და მატერიალური კულტურის ობიექტები – თუ ჯერ კიდევ საესებით არ გამქრალა, უკვე სრული ამოვარდნისა და მოსპობის უკანასკნელ საფეხურზეა შემდგარი. ჟამთა დაუნდობელი სრბოლის გამო მრავალი ეთნოგრაფიული ფენომენი სამუდამოდ დაიღუპა და დაინთქა ისე, რომ მოგონებაც კი არ დარჩენილა. ამ დანაკლისს მეცნიერებისათვის აწ უკვე ვედარაფერი გამოასწორებს და აღარაფერი ეშველება.

დღეს უკვე სანოლით საძებარი გამხდარა, თუ სულ არ მოისპო, მაგალითად, კ ა ლ ა ნ დ ო ბ ი ს მოლიანი სახე ან კიდევ ძველებური კ ა პ უ ნ ო ბ ა. ან სადღაა ძველებური თარგების მიხედვით ადგილობრივი მასალებიდან შეკერილი ტანსაცმელი. აღარ არის, უკვე მოისპო ძველებური გაუხუნარი საღებავები, ხევსურები რომ ბალახებიდან ამზადებდნენ. აგრეთვე მოისპო ძველებური ვერცხლის ღილები, მეტად საგულისხმო სახეები ადგილობრივი წარმოებისა, ძველებური კერამიკული არტეფაქტები, ხის ჭურჭელი და დგამი ორიგინალური ორნამენტებით და მრავალი სხვა, – ამათ ნაცვლად. ამჟამად გაბატონებულია ფაბრიკული ნაწარმოები ჩვენთვის უცხო ფორმითა და სახეებით და ნაყში ტრაფარეტებით. და ეს ასეა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცენტრებში, არამედ – პროვინციებშიც.

საქართველოს თვით მივარდნილ კუთხეებშიც კი შეირყა ძველებური ზნე-ჩვეულებები და მოისპო ძველი კულტურის სახე, ხოლო, რაც ამ გზით ჩვენს თავისებურებას ჟამთა მსახვრალმა ხელმა დააკლო, სოციალურმა და ეკონომიკურმა გარდატეხამ ერთბაშად ერთი დაკვრით მოუთავა.

თუმცაღა ისიც სათქმელია, რომ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა საქართველოს ზოგიერთ კანტონში თითქოს ძველებური, მამაპაპური საშუალებების აღდგენა მოითხოვა და ხალხი იძულებული შეიქნა თავის შინამრეწველობას დაბრუნებოდა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ქართლში, სადაც 1918–1919 წლებში უძველეს სამარხებში შენახული ძველებური სახის თიხის ჭრაქები შემოვიდა ხმარებაში. მაგრამ ეს მოვლენა იმდენად გამძლე და წელმაგარი როდი იყო, რომ ჩვენ უძველესი სახეების ოდნავი სისრულით აღდგენაზე დაგვეწყო ლაპარაკი. პირიქით, საღი მოსაზრება გვიკარნახებს ვალიაროთ, რომ ჩვენი ძველებური ზნე-ჩვეულებები და მატერიალური კულტურის ობიექტები, მათ მატარებელ ცოცხალ სუბიექტებთან ერთად, დღემუდამ ხელიდან გვეცლება, სამუდამოდ ქრება და ჩვენ ვერ მოგვიხერხებია და ვერ გვითავებია, რომ მათი ათვლა-აღრიცხვა მაინც მოგვესწრო, თავი რომ დავანებოთ დეტალურ სამეცნიერო აღწერას და კინემატოგრაფიული სისრულით ასახვას. წინათაც შემჩნეული იყო, ხოლო დღეს მით უფრო ნათელია, რომ ჩვენებურ ეთნოგრაფიულ თავისებურებათა გაქრობის ტემპი ბევრად უფრო ძლიერია იმ სისწრაფეზა და ინტენსივობასთან შედარებით, რომელიც მათ შეგროვება-შესწავლას თან ახლავს. და თუ ეს ასე იყო გუშინ, ახლა ხომ მით უფრო სავალალო ყოფაში ვართ ჩაცვენილი. დღეს ჩვენი თავისებურებათა გაქრობა ელვის სისწრაფით ხდება. გაივლის კიდევ სულ ცოტა ხანი და ძველებური თავისებურებიდან აღარაფერი დაგვრჩება. ხოლო ჩვენი მომავალი მოდგმა ვერაფერი სიკეთით მოიგონებს იმ თაობას, რომელმაც ვერ შეძლო ფიქსაცია ექნა და შეეგროვებინა ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები და მეცნიერებისათვის შეენახა იგი.

მაგალითებიდან ვიცით, რომ კულტურულ ქვეყნებში, სადაც უაღრესად არიან დაინტერესებულნი არა მარტო თავიანთი ქვეყნისა და ხალხის წარსულით საზოგადოდ, არამედ ქვეყნის თითოეული კუთხით, თემებით და უფრო წვრილი ერთეულებითაც — უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმეს. იქ დიდი ხანია შეგნებული აქვთ ეთნოგრაფიულ თავისებურებათა შეგროვების დიდი კულტურული მნიშვნელობა და ვალდებულება მეცნიერების წინაშე. ამიტომ დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდებიან ამ საქმეს. ამის გარშემო ამოქმედებულია საზოგადოების ფართო ფენები, შექმნილია დიდი მოძრაობა (გერმანიაში, საფრანგეთში), არსებობენ განსაკუთრებული საზოგადოებები, სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები და სხვ. პირველ რიგში ყველგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, ვინაიდან კარგად აქვთ შეთვისებული ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ შეგროვილი მასალის შესწავლის და შეფასების დრო არ დაყოვნდება, ხოლო თავის დროზე დაუფიქსირებელი, შეუგროვებელი მასალა სამუდამოდ იკარგება მეცნიერებისათვის.

ბოლო ხანს ამ საქმეს რუსეთშიაც სათანადო ყურადღება მიაქცევს და გამალებით მუშაობდნენ. ჩვენ კი შესაფერის უნარს ვერ ვიჩენთ და საჭირო თადარიგი არ გვაქვს მიღებული. თქმა არ უნდა, ჩვენში ზოგი რამ ამ დარგშიც კეთდება, მაგრამ ეს ზოგი, სამწუხაროდ, საერთო გასაკეთებელთან შედარებით წვეთია ზღვაში.

გასაკეთებელი კი ჯერ კიდევ ბევრია, შრომა დიდია საჭირო და დროც დაყოვნებას არ ითმენს. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საქმისათვის რაგინდ დიდი შრომა არ უნდა იყოს მოთხოვნილი, ქართული ეთნოგრაფიული მასალა იმდენად ძვირფასია და მრავალმნიშვნელოვანი, რომ იმათ შესაგროვებლად არ უნდა იქნეს დაშურებული არც გარჯა და არც დრო. ამ მოვალეობას ჩვენ გვაკისრებს, სხვათა შორის, არა მარტო ჩვენი წარსულის გაცნობა-შესწავლის სიყვარული, რაც თავისთავადაც მნიშვნელოვანი გარემოება და საპატიო მიზეზია, არამედ ის მოსაზრებაც, რომ ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალას, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, საერთო მეცნიერებისათვის (ეთნოლოგია-ფილოლოგიისათვის) როგორც თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობიდან ირკვევა, უდიდესი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტისათვის უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება.

არქეოლოგიურმა მეცნიერებამ, რომელიც მეტად დაწინაურდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, როგორც ვიცით, წინა აზიაში შესანიშნავი კულტურები აღმოაჩინა და მიწის წიაღიდან მზის სინათლეზე გამოიტანა. როგორც შემდეგში გამოირკვა, სწორედ ეს კულტურები ყოფილა ანტიკური ქვეყნის დაწინაურების პირველწყარო და, მაშასადამე, არაპირდაპირ ევროპის კულტურასაც საფუძვლად დასდებიან. მაგრამ ამ აღმოჩენებმა ამავე დროს მრავალი პრობლემა წარმოშვა, რომელთა უმრავლესობა დღესაც არ არის გადაჭრილი და სათანადო პასუხს ელის მეცნიერებისაგან.

მაგალითად, მეცნიერებამ ჯერაც არ იცის, თუ რასობრივად ვინ იყვნენ ეს ხალხები, რომელთაც წინა აზიის ის გასაოცარი კულტურა შექმნეს (ლაპარაკია წინა აზიის არასემიტურ და არაინდოევროპულ მოსახლეობაზე) და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს.

უკვე საკმაო დიდი ხანია, რაც საერთოდ განმტკიცებულია ის აზრი, რომ ქართული და ქართულის მონათესავე კავკასიური ენები თავისი შემადგენლობით მეცნიერებაში მიღებულ არც ერთ ლინგვისტურ ოჯახს არ ეკუთვნის და რომ ეს ენები განსაკუთრებულ ოჯახს უნდა შეადგენდნენ, ხოლო მათი მატარებელი ტომები – განსაკუთრებულ რასას.

და, აი ჩვენ ვიცით მოელი რიგი პირველხარისხოვანი მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ წინა აზიის (და არა მარტო წინა აზიის) უძველესი ისტორიის გაურკვეველი პრობლემების ახსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ამ განსაკუთრებული ლინგვისტურ-ეთნიკური ოჯახით – კავკასიის მკვიდრთა – საზოგადოდ და კერძოდ, ქართული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალების შემწეობით, როგორც ამბობენ, კავკასიური გასაღებით.

ზოგი მეცნიერი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ კავკასიურ-ქართული გასაღებით აიხსნება არა მარტო წინა აზიის უძველეს ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ თვით ევროპის უძველესი მოსახლეობის (პელასგების, ეტრუსკების და სხვ.) ნათესაობის საკითხი. ტოტემური ხანის და ენის წარმოშობის თეორიული პრობლემების (ლინგვისტიკური პალეონტოლოგია) ახსნა და განმარტება, მხოლოდ და მხოლოდ ამ მასალების შემწეობით თუ შეიძლება (მარი). უნდა ითქვას, რომ 30–40 წელიწადია უკვე მას აქეთ გავლილი, რაც კავკასიური გასაღების საკითხი გადმოისროლა ჩვენკენ ევროპის მეცნიერებამ და მას აქეთია იგი დგას გარკვეული პასუხის მოლოდინში ქართველოლოგიის წინაშე. მეცნიერები უცდიან ამ პასუხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერხნობით საკითხი სათანადო გამოხმაურებას და გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ პოულობს, ყოველ შემთხვევაში ეთნოლოგიურ-არქეოლოგიური მასალების მიმართებით და ამათი ხაზით.

და ჩვენ გვგონია, გამოტეხილად რომ ვთქვათ, ქართველოლოგიის დუმილი ამ მიმართულებით მანამ გაგრძელდება, სანამ ამოწურვით შეგროვილი და სათანადოდ შესწავლილი არ იქნება, სხვათა შორის, ეთნოგრაფიული მასალები. სწორედ ამ მასალებს უდიდეს სამეცნიერო საკითხებში დასკვნებისათვის გადამწყვეტი როლი ეკისრება. ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება კი, ასე თუ ისე, დღესდღეობით, ჯერ კიდევ შესაძლებელია.

K 29240

მხოლოდ ერთი რამ ამთავითვე უნდა ვიცოდეთ: ყოველივე ეთნოგრაფიულ წვრილმანს, ერთი შეხედვით სულ უბრალო და თითქოს ემნიშვნელო დეტალს, გარემოების მიხედვით, მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. არაერთგზის დამტკიცებული ფაქტია, რომ ესა თუ ის წვრილმანი მეცნიერებაში უდიდესი პრობლემის ასახსნელად გამომდგარა. ხშირად ეთნოგრაფიულ წვრილმანს, შემთხვევის გამო გადარჩენილს, რელიქტურს, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგიისათვის, როგორც ანთროპოლოგიისათვის. მაგალითად, ადამიანის ნონჩხიდან შენახულ ეკას, რომლის მიხედვით ის ადამიანის ნონჩხის სრულ რეკონსტრუქციას ახდენს. ასევე იქცევა ეთნოლოგიც. ეთნოგრაფიული ფრაგმენტი, ეთნოგრაფიული ხაზი და შტრიხიც კი, ხშირად აძლევს მას საშუალებას ნაწვდეს ეთნოლოგიური მოვლენის სულსა და გულში და შესასწავლად მოცემული ხალხის შინაგანი ბუნება წარმოადგინოს. ამგვარი ეთნოგრაფიული დეტალი კი, ჯერჯერობით, ბედად გადარჩენილი, ჩვენში მრავლად მოიპოვება და ჩვენი გარდაუვალი მოვალეობაა ახსწრაფოდ შევაგროვოთ ეს წვრილმანი მაინც, რომ მეცნიერებას მათი შესწავლისა და გამოკვლევის საშუალება მიეცეს.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიცით, რომ ხეთურ ძეგლებზე (XIV – X სს. ქ. წ.) მოცემული ორნამენტები დღესაც დაცულია რუსეთის ცენტრალური გუბერნიების სოფლების პირსახოცებში. გვაქვს კი ჩვენ თუგინდ ამ მიმართულებით, ქართული ქსოვილების ორნამენტები შეგროვილი? ვფიქრობთ, ახლაც შეიძლება აქა-იქ ჩვენში ამგვარი მასალის მოპოვება.

ალბათ, ბევრს მოეხსენება, თუ როგორ შეძლო ივ. ჯავახიშვილმა ჩვენებური ზეპირთქმულებების გამოყენებით ქართული წარმართობის ხანის ღვთაებათა პანთეონის აღდგენა და რაკი ასე ძვირფასია მეცნიერებისათვის ჩვენი ზეპირსიტყვაობა, ხომ არ არის შესაძლებლობა ძველ, უკვე ნაწერილ მასალას სხვაც მივუმატოთ? იქნებ ჯერაც არ არის გვიანი და ყველაფერი დავიწყებას არ მისცემია. იმედი გვაქვს, რომ ამგვარი მასალის შეკრება დღესაც შეიძლება.

შარშან მესხეთში მოგზაურობის დროს ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით სოფ. ანალში ერთ მოხუცს, რომელმაც გაოცება გამოიწვია თავისი ასტრალური შეხედულებებით. ასე წარმოიდგინეთ, ამ მოხუცს დღესაც სწამს თავისი ბედის ვარსკვლავი, კარგად არჩევს მას ვარსკვლავთა შორის ცის კაბადონზე, ვარსკვლავის ციმციმის მიხედვით არკვევს, თუ როდის უქადის ის მას სიკეთეს და როდის ავობს. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მაგალითად, ტყეში წასვლა, ქალაქში სავაჭროდ გამგზავრება და სხვა, მოხუცი ვარსკვლავს მიმართავს, მას დააკვირდება და ამგვარი დაკითხვის შემდეგ გადაწყვეტს, თუ როგორ მოიქცეს. ჩვენი წარსულის შესწავლისათვის ეს გლეხი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ჩვენს დროში ასეთი მოხუცი, ძველებური კულტურის მატარებელი ცოცხალი არსება, სუბიექტი, რომელსაც დაუცავს წინაპართა გადმონაცემი, თუ შემუშავებული მსოფლმხედველობა, ზნე-ჩვეულებები, ტრადიცია და სხვა, ბევრი არ გვეყოლება. თითო კუთხეში თითო-ოროლა თუ აღმოჩნდა, ისიც დიდია. მით უფრო საჭიროა ასეთების დროულად გამონახვა და მათი ცოდნის ფიქსაცია, სანამ ჯერ კიდევ ასეთები ცოცხლები არიან.

ავიღოთ თუგინდ თითქოს სულ უბრალო ჩვენებური გამომცხვარი პურის ფორმები: საყოველდღეო და სარიტუალო სახმარი, რამდენ საგულისხმო შტრიხს შემატებს ესენი მეცნიერებას. ამ მხრივაც სულ ცოტა რამ გვაქვს შესრულებული. დრო კი არ იცდის: უძველესი ფორმები ისპობა, იკარგება და შემდეგ მოგვიანებული წუწუნი და ვალალი წამხდარ საქმეს ვედარას უშველის.

თუ მოვიგონებთ მატერიალური კულტურის სხვა მხარეებსაც, აქაც ბევრზე ბევრი გვაქვს შესასრულებელი და შესაგროვებელი. აი თუგინდ, ქართული ნაჯახი და მისი სხვადასხვა სახეები. აქაც შეგროვების მხრივ დიდი ნაკლი გვაქვს. ამავე დროს ზოგიერთი ქართული ნაჯახის ფორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პრობლემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასაწყვეტად. აიღეთ ჩვენი გლეხის სხვა სამუშაო იარაღები, რასაკვირველია არა ფაბრიკული, არამედ ის, რასაც ჩვენებური მჭედელი ამზადებს ტრადიციულად და საკუთარი დამღით. ზოგი ორიგინალის შეძენა დღესაც შეიძლება, თუმცა უმეტესი მათგანი თითქმის მოისპო, განადგურდა.

ჩვენში გასაოცარია სიძველეთა მოსპობის ტემპი. 1923 წელს მთელ ქვაბლიანში (ხეობაში) იყო ერთადერთი უძველესი მესხური ტიპის მთლიანი გლეხური დარბაზი. დღეს ეს უკანასკნელი მოჰიკანი, ძველი დარბაზების უკანასკნელი წარმომადგენელი, აღარ არის, მოისპო. და რამდენი ასეთი ნაშთი, მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე, იღუპება და ისპობა ჩვენ თვალწინ?!

ძველებური დღესასწაულები, ფოკუსი ძველებური ადათებისა და ძველი კულტურის სახის მეტყველი ცენტრები – ბევრგან სრულიად მოისპო და ამოვარდა. საბედნიეროდ ბევრი მათგანი, ასე თუ ისე უკვე აღწერილია, მაგრამ საჭიროა იყო თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიის მოთხოვნილებების თანახმად ამ აღწერების შემოწმება, მათში სისრულის შეტანა და კინემატოგრაფიული მხარეების გაძლიერება. ცხადია, ამგვარი მაგალითების გამრავლება შეიძლება, როგორც ყოფა-ცხოვრების და სოციალური წყობის მატერიალური ნაწილიდან, ისე ხალხის სულიერი კულტურიდანაც. სამწუხაროდ, ველარც იმას გამოვუდგებით, თუ რა არის ჩვენს დარგში კონკრეტულად შესასრულებელი, ან თვით გასაკეთებელი როგორ უნდა შესრულდეს. ეს უკვე გეგმისა და პროგრამის საკითხებია, რას უნდა მიექცეს ყურადღება პირველ რიგში, რა უნდა შესრულდეს სეზონის მიხედვით და დროს შერჩევით. ეს ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ეს შეგროვების ტექნიკისა და ჩამწერთა მომზადების საკითხია.

ერთი კი ცხადია, რომ ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად საჭიროა ამოძრავდეს, რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენი ქვეყნის ფართო შეგნებული ფენები და მოეწყოს შესაფერისი მოკლევადიანი კურსები შემგროვებლების მოსამზადებლად, ნაწერის თუ შეგროვების ტექნიკის შესათვისებლად როგორც სტუდენტებისათვის, ისე სოფლის შეგნებული პირებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი კურსების მოწყობას და შესაფერისი გეგმებისა და ინსტრუქციების დამზადებას ითავებს სხვებთან ერთად ამ საქმით დაინტერესებული საქართველოს მუზეუმი.

საქართველოს ყოველ შეგნებულ მოქალაქეს, სოფლად მასწავლებელს და სოფლის გათვითცნობიერებულ ადამიანებს ვალდებულება აწევთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ დიდ საქმეში. ამ საქმის ღირსეულად შესრულება ერთსა და იმავე დროს მომავლის წინაშე ვალის მოხდა და ჩვენი კულტუროსნობის შეფასება და გამოცდაა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ კულტუროსანი ხალხი გულმოდგინედ

სწავლობს თავის წარსულს, გულმხურვალედ იცავს, ინახავს და უელის წარსულის ნაშთებს (მოვიგონოთ, რომ ჩვენი წინაპრები XVIII საუკუნეშიც კი აგროვებდნენ და ინახავდნენ სიძველეებს, რომლებიც ადა-მაჰმად-ხანმა გაანადგურა შემოსევის დროს). ვართ თუ არა ჩვენ ამ შეგნების დონეზე, შეგვიძლია თუ არა ჩვენი დიდი წარსულის შეგნებული დაფასება, მოვლა, პატრონობა, მასზე ზრუნვა? ყოველივე ამას ჩვენი ამ საქმისადმი ინტერესი და სიყვარული გამოამჟღავნებს. საჭიროა აღვიჭუროთ სათანადო შეგნებით და გამოვიჩინოთ თვითმოქმედების უნარი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო ფენების ამ საქმით დაინტერესება და მასში ჩაბმა ამავე დროს თვითაღზრდის საუკეთესო საშუალებაა. როგორც ცნობილია, შეგნებული დამოკიდებულება სოციალურ თუ ბუნების მოვლენებთან თვითაღზრდის ძირითადი პრინციპია. ამასთანავე, გაცნობა-შესწავლა გარემოს ამა თუ იმ დადებითი ან უარყოფითი მხარეების საუკეთესო ხელის შემწყობი იარაღია, როგორც სადღეისო, ისე მომავლის საუკეთესო მიზნებისათვის წარმოებული ბრძოლის დროს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე ცოდნა, მით უფრო ხალხის წარსულის ცოდნა და ფაქტობრივი სასწავლო მასალა, ერთი შეხედვით თითქოს შორსმდგომი ყოველგვარი პრაქტიკული გამოყენებისაგან, ადრე თუ გვიან იმ სასარგებლო და მუდამ უშლელ კირქვად იქცევა, რომელზედაც, როგორც მყარ ფუძეზე, შენდება ადამიანის მსოფლმხედველობა.

დრო საშურია, დაყოვნება – დანაშაული. მეცნიერებისა და სისწორით გაგებული ეროვნული თავმოყვარეობის სახელით ეს საქმე უნდა გაკეთდეს, თუ არ გვსურს მომავალმა შეგნებულმა თაობამ ქვა და გუნდა მოგვაყაროს.

1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არსებობს მეცნიერება ფაქტების გარეშე. ფაქტი კი სინამდვილის, არსებული ობიექტური სინამდვილის, ასახვაა. და რამდენადაც ზედმიწევნით სწორადაა სინამდვილე აღქმნილი ფაქტების რგოლში, – იმდენად მასზე დაყრდნობილი მეცნიერება სწორია და მისი პოსტულატები – სახესრული ჭეშმარიტება. მართალია თვით ობიექტური სინამდვილე არ არის მუდმივი და უცვლელი რამ, მაგრამ როგორც ვიცით არა მარტო შესაცნობი სინამდვილე, არამედ ადამიანის შემეცნებაც თავისთავად მუდმივ ცვალებაშია.

ეთნოლოგიური მეცნიერებაც პირველყოვლისა, ფაქტების მეცნიერებაა. უწინარეს ყოვლისა მასაც სჭირია უტყუარი, შედარებით ურყევი და დადგენილი ფაქტები. თუ თანამედროვე ეთნოლოგია, რომელმაც ესე მძლავრად გაშალა ფრთები, ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრად დაწინაურდა, რომელმაც მრავალი მიმართულება და სკოლა შექმნა, ავიდა გონების სპეკულაციის უმაღლეს საფეხურზე, ჩაულრმავდა პირველყოფილი ადამიანის ალოღიკურ აზროვნებას, რომელიც კომპლექსური მეთოდით კულტურის კომპლექსებს არკვევს და თვით სახელგანთქმული აინშტაინის რელატივობის თეორიასაც იშველიებს, – ყოველივე ეს იმ გარემოების შედეგია, რომ მის განკარგულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები, ნაყოფი მრავალ ეთნოგრაფთა ხანგრძლივი, თავგამოდებული შრომისა და ბევრ შემთხვევაში უტყუარი და მყარი ეთნოგრაფიული ფაქტები. ცხადია, სამეცნიერო თეორიები მხოლოდ ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით შენდება. ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები უდიდესი ყურადღებით უნდა იქნეს შეგროვილი. ყოველივე აღწერა გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომით და განსაზღვრული ამოცანების მიხედვით უნდა ხდებოდეს. მხოლოდ ასეთ აღწერილობას ეძლევა მნიშვნელობა და შემდეგ გამოსადეგია სამეცნიერო თეორიების დასადგენად.

ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს საჭიროებს. მისი მოთხოვნილებაა უტყუარი, ურყევი და დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტები ეთნოლოგიის ყველა დარგიდან.

მას შემდეგ, რაც ქართული ეთნოლოგია არსებობს, მას ერთი ძირითადი ნაკლი ახასიათებს: თეორიები და დასკვნები მუდამ ბევრი იყო, მხოლოდ ფაქტები მეტად მცირე და ცალმხრივი. საკმარისია მოვიგონოთ ისეთი პირველხარისხოვანი მეცნიერები, როგორიც იყვნენ სენ-მარტენი, მ. კოვალევსკი და კ. ინოსტრანცევი, რომ ეს დებულება ურყევად მივიჩნიოთ. მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX დასაწყისში ეთნოგრაფიული ფაქტები უფრო მეტად შემთხვევით გროვდებოდა, ყოველივე სისტემის გარეშე, ხოლო შეგროვების სტაციონარულ ხასიათზე ლაპარაკიც მეტია.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ჩვენს ეთნოლოგიურ სინამდვილეში სადა და უბრალო საქმე როდია. ერთი ხელის მოსმით აქ ვერც ევროპის ეთნოლოგიური მეცნირების ის მეთოდები გამოგვადგება, რომლებსაც პირველყოფილ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის დროს იყენებენ.

საქართველოსა და კავკასიაში, მის მკვიდრ ხალხთა შორის პირველ-ყოფილი ხალხები არ არის. აქ მხოლოდ შენახულია პირველყოფილობის რელიქტიური მოვლენები, რომელთა გვერდით მაღალი კულტურული მიღწევებია და მრავალი ისტორიული ფაქტი. ამიტომ ამ ხალხთა შესწავლისათვის საჭიროა ორმაგი ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდი, ხოლო თვით ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ამგვარსავე რთული ხასიათის მიდგომას მოითხოვს.

სიძნელე, სხვათა შორის, მდგომარეობს იმაში, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები: ფიზიკური ტიპი, ენა, სარწმუნოება, ბინა, ტანსაცმელი, სამკაული, ხალხური სიტყვიერება და სხვა–გამოკვლეული უნდა იქნეს ერთის მხრით ხალხურ-კულტურული თავისებურების ნიადაგზე, ხოლო მეორეს მხრით–წოდებრივ, სამოქალაქო-სარწმუნოებრივ კულტურულ-ისტორიულ ქანში. დაახლოებით აღწერილობითი კვლევა აქ იმავე მიდგომით უნდა იწარმოოს, როგორც ეს ხდება ევროპის ისტორიის მქონე ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლის დროს (ნახე M. Haberlandt, Die indjgermsnischen Volker des Erdteils, 1926, Stuttgart; განსაკუთრებით, A. Haberlandt, Die volkstumliche...)[1]. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული და კავკასიური ეთნოლოგიური მასალა ზოგიერთი თავისებური, დამოუკიდებელი ქვალიტატივობისა გამო – განსაკუთრებულ მიდგომასაც საჭიროებს. და იქ, სადაც ეს თავისებურება აშკარად იჩენს თავს, ჩვენის ფიქრით, ფაქტების აქმა სხვა შეფარდებით უნდა მოხდეს და მეთოდოლოგიური განხრაც აუცილებელი იქნება.

მაშასადამე, ეთნოგრაფიული ფაქტების, განსაკუთრებით ინდივიდუალური ფაქტების დეტალური სისრულეთით შეგროვება წინათ გარკვეული მიდგომის მიხედვით, მათი სტაციონარული შესწავლა და ამ რიგად ეთნოგრაფიული სინამდვილის უტყუარი ასახვა–აი, ის ამოცანა, რომელიც ქართული ეთნოლოგიის წინაშე დგას და რომელიც უნდა შესრულდეს შესაძლებელი სისწრაფით და კარგად. ვიდრე ეს შეგროვებითი ხანა არ გაგვივლია, რასაკვირველია, ძნელია და შეუძლებელი ფაქტების ანალიზზე, მათ სინთეზზე, თეორიებზე და ეთნიურ გენეტიკაზე ყოველგვარი ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში თეორიების შექმნისათვის დრო ნაადრევია, მით უფრო

[1] ეთნოგრაფიული და ისტორიის წინახანის კომპლექსური კვლევის შესახებ იხილე S. Günther, Ziele, Richtpunkte und Methoden der modernen Völker. kunde, Stuttgart, 1904 22–25; აგრეთვე P. W. Schmidt, Das ethnjljgische Alter von Pfeil und Bogen, Zeitschrift. Das ethnologische Alter von Pfeil und Bogen, *Zeitshrift f. Ethnologie* etc. Brl. 1925, Hef. 1--2 გვ. 74.

თუ გავიხსენებთ ფიუსტელ დე-კულანჟის სიტყვებს, რომ „pour un jour de synthese, il faut des années d'analyse".

და თუ ასეთი უნდა იყოს ქართული ეთნოლოგიის სადღეისო მოთხოვნელება–ვიკითხოთ თუ დღეს დღეობით რა კეთდება ქართულ ეთნოლოგიაში.

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენში ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. ის შემთხვევითი გამელელების და მოხალისეთა ხელით კეთდებოდა. რასაკვირველია ამ შრომაში არა ერთი და ორი ნიჭიერი, მუყაითი და დაკვირვებული მუშაკიც იღებდა მონაწილეობას (ხიზანიშვილი, ჯანაშია, სახოკა, ამ უკანასკნელის ქართულ-რუსულ წერილებს გარდა ნახე: La culte de la petite verole en Géorgie, Paris 1903 Les proverbes Géorgiens, Paris 1903; ორიეე Extrait de la Revue Traditions Populairs, 1903, Paris და სხვები), რომელთა მასალები მართლადაც სანდოა. მაგრამ მასალების უმრავლესობა ნაკლები ღირსებისაა და მათი გამოყენება უკონტროლოდ არ შეიძლება.

უგეგმობის და უსისტემობის ბრალია, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მთლიანი და ამომწურაკი ეთნოგრაფიული მასალა ჩვენი ქვეყნის თუ- გინდ პატარა კუთხისაც კი. წარმოდგენილი მასალის ცალმხრივობის ნიმუშია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ სრულიად ყურადღება არ ჰქონია მიქცეული ჩვენი ხალხის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ხასიათს და ამ მხრივ არც რაიმე მასალაა შეგროვილი. როგორც ვიცით ზოგადი ეთნოლოგიისათვის ამგვარ მასალას ბიოლოგიური მომენტების ჩართვით ხალხის კულტურული განვითარების მიზეზების გამოსაკვლევად დიდი ღირებულება აქვს[2].

თვით ისეთ სპეციალურ ორგანოში, როგორიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულებია – ეთნოლოგიური მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია; ამ მხრივ 1924 წ. ლაიპციგში გამოცემულს ჟურნალს Kaukasica-საც არა დატყობია რა[3]. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა ლინგვისტური თვალსაზრისით შეგროვილი, პეტროგრადში გამოცემული მასალა, სერიაში „Материалы по яфетическому языкознанию". მაგალითად: არსენაძ ჯონდან მგსსაშუ, ლუშნუ ამბვარ ლგლაშხუ შუმი ნინშვ, IX, 1917. აგრეთვე, И. Кипшидзе, Грамм, минг, (ивер.) яз. с хрестоматиею и словарем, Птб. წიგ. VII, რომლის ლექსიკონში ეთნოგრაფიული მასალის შესახებ ლიტერატურაც არის დასახელებული. ზოგი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვება: ე. ბერიძის სიტყვის კონა, პეტ. 1910. და სხვ. საგულისხმო ეთნოგრაფიული მასალაა აკ. შანიძის რედაქტორობით დაბეჭდილი ბესარიონ გაბუური, ხევსურული

---

[2] M. Haberlandt, Völkerkunde, Sammlung Göschen, გვ.15. რადგან ცნობილი ეთნოლოგის Loe Frobenius-ის ახალ შრომებს ტფილისამდე ჯერ-ჯერობით არ მოულწევიათ, ამ საკითხისათვის ვასახელებთ მისი მოხსენების რეცენზიას – "Vossische Zeitung" I 33, 1925.

[3] ამ ჟურნალის პირველი ტომის რეცენზია იხილე „ჩვენი მეცნიერება"-ში ტფ. 1926, № 5 გვ. 98–102. ჟურნალის მეორე ტომი ჯერჯერობით ტფილისში არ მოიპოვება.

მასალები, ქართული საენათ. საზ. წელიწდეული I–II, 1923–1924, ტფ. 119–336 და სხვა. ძველი ხანის ეთნოგრაფიული მასალების შემცველია ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემა: М. Полиевктов, სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევეის ელჩობა იმერეთში, ტფ. 1926; ე. გაბლიანის, ძველი და ახალი სვანეთი (ტფილისი, 1925); ს. მაკალათიას, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ტფ. 1925) და ლ. მეტრეველის, ქართული ანდაზები (ტფ. 1926 წ.) – ბევრში იმეორებენ ძველ უკვე დაბეჭდილ მასალას და სამეცნიერო ჩაწერის ნიმუშად ვეღარ გამოდგებიან. ამ მასალებთან ერთად დასახელებულ უნდა იქნეს ნიკო დადიანის ძველი რომანიდან დაბეჭდილი ნაწყვეტი („ლომისი" 1922, № 156), რომელშიაც მრავალი საეთნოგრაფიო ტერმინი გვხვდება. მეტად საინტერესოა მასალის მხრივ ს. შანშიაშვილის ლექსი დალი, ქართული ღმერთების პანთეონი, (ს. შანშიაშვილი, ტომი I. ტფ. 1925. გვ. 113)[4]. აღსანიშნავია „რაუბადინ ბელადის და ერეკლე მეფის" აღდგენილი ტექსტის გამოცემა (კავკასიონი, № 1–2 ტფ. 1924. გვ. 83).

ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი წინ დიდი სამუშაო გვიძევს და ჩვენ იმედი გვაქვს რომ უნივერსიტეტის ეთნოლოგიური კათედრის, მუზეუმებისა და ჩვენი საზოგადოების ორგანოს მიმომხილველის. შეერთებული ძალღონით მოხდება ჩვენი მრავალფეროვანი ქვეყნის ეთნოგრაფიული მასალის სისტემატური შეგროვება და აღწერა. რასაკვირველია ამ საქმისათვის გამოყენებული უნდა იქნას ნ. მარის წამოწყების გამოცდილება (იხ. Н. Марр, Племенной состав населения Кавказа. ТКИПСНР, 3, Птг, 1920 გვ. 1–6, წინასიტყვაობაში) და აგრეთვე მხედველობაში მიღებული მწერალთა კავშირის დადგენილება, პ. ინგოროყვას მოხსენების გამო, ხალხური სიტყვიერების შეგროვების შესახებ (იხ. ქართველ მწერალთა ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში. სახელგამი, ტფ. 1926, გვ. 223. §3).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეთნოგრაფიული ყოველმხრივობის სისტემატური შესწავლა საწინაო საქმეა, ჩვენ გვაქვს ამ ხანად გამოცემული რამდენიმე ნაშრომი, რომელიც ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალებს იკვლევს.

დავიწყოთ ა. ლაისტერის და გ. ჩურსინის География Кавказа–თი (Тиф. 1924). ამ წიგნში ეთნოგრაფიული ნაწილი საკუთრივ გ. ჩურსინს ეკუთვნის. იგი უკვე დიდი ხანია, რაც კავკასიურ ეთნოგრაფიულ მასალებზე მუშაობს და ბევრი ნაშრომიც აქვს დაბეჭდილი. მაგრამ მისი შრომების მთავარი ნაკლია წინასწარ გამომუშავებული ნორმების მირგება კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე და კომპლექსური მეთოდის უგულებელყოფა. ეს ამ წიგნშიც აშკარად ჩანს.

---

[4] სამხატვრო ლიტერატურაში საგულისხმო ეთნოგრაფიული მასალა გაბნეულია კ. გამსახურდიას, „დეინისოს ღიმილში" (ტფ. 1925), საინტერესოა სვანების ძველი ცნობილი ჩვეულება ლექსში – ალ. ქუთათელი, ჩალეადარები (კავკასიონი № 3–4, გვ. 57. ტფ. 1924) და ტატიშვილის ეთნოგრაფიული სურათები „Заря Востока"-ში 1925–26 წწ.

ამ ნაშრომში ავტორს ზოგი ისეთი დებულება აქვს წამოყენებული, რომ მათი გადაჭრა დაუკითხავად საქართველოს ისტორიის ფაქტებისა და განათხარი მასალების გარეშე – ყოვლად შეუძლებელია.

კრძოდ სადავოა ის ძირითადი საკითხი, რომელიც კავკასიის ხალხთა კლასიფიკაციას შეეხება. ნ. მარის მიერ წამოყენებული ლინგვისტური კლასიფიკაციის (ისიც, როგორც სამუშაო პროსპექტის)[5] გადმოტანა ეთნოგრაფიული ხასიათის შრომაში, როგორც ამას ჩვენი ავტორი სჩადის – ვერას გზით ვერ იქნება გამართლებული. მეორეს მხრით, თუმცა ჩვენ გვაქვს კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ცდები (უკანასკნელად ნახე ალ. ჯაკელიანი, კავკასიური მოდგმა, ტფ., უნ. მოამბე ტ. III. გვ. 53-81.), ვინ გადაწყვიტა, რომ იაფეტელები უძველესი ძირითადი მოსახლეობაა კავკასიაში. ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ ხომ ამოწურვით დაკითხული არ არის არქეოლოგიური განათხარი მასალა და შეჯერებული კავკასიურ ანთროპოლოგიურ სინამდვილესთან. გამოკვლევამ შეიძლება აქაც კიდეც აღმოაჩინოს კავკასიის ავტოხტონების ნაშთები, ან იქნებ ეგრეთწოდებულნი იაფეტიანები არც კი არიან ანთროპოლოგიურად ერთი მოდგმისა (შეადარე: ნატუხელები, ავარები, ტალიშები)[6].

ერთი შეხედვით ვ. ჩურსინის ამ ძირითადი შეცდომისაგან თითქოს თავისუფალია A. Byhan-ის ნაშრომი: Kaukasus, Ost-und Nord-russland Finnland. გვ. 661 და შემდ.[7], როდესაც კავკასიის ენობრივი კლასიფიკაციის (დამყარებული A. Dirr-ზე)[8] დამატებით ანთროპოლოგიურ საფუძველსაც იშველიებს (დაყოფა: ჯგუფი საკუთრივ კავკასური, პონტური – ამაში შედის მოსახლეობა საქართველოს სამხედრო გზიდან ტამანის ნახ. კუნძულით ფოთამდე, ირანული და ურალ-ალტაური). მაგრამ ეს დაყოფაც წინაადმდეგობაში ვარდება და ჩერქეზები, ავტორის შეხედულებით წშინდა პონტური ტიპი, საკუთრივ კავკასიურ ჯგუფშიც თავს ყოფს[9].

---

[5] H. Марр, Племенной состав населения Кавказа, ТКИПСНР, 3, Петроград, 1920.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1. ტფ. 1913 გვ. 64–65; ამიერ-კავკასიის უძველესი მოსახლეობის საკითხის შესახებ შრომას ამზადებს გ. ჯავახიშვილი, ნახე მისი, ტფ. უნ. მოამბე, ტ. IV ტფ. 1924, გვ. 161. რადგან ჩვენ აქ ჩურსინის სახელმძღვანელოს შეეხეო, საჭიროა დავასახელოთ აგრეთვე დ. დონდუას სასკოლო წიგნი „ჩვენი მხარე, ქრალი" ტფ., 1925. ამ წიგნის ეთნოგრაფიული ნაწილი წარმოდგენილია სალი მასალებით. ბეს. ყავრიშვილის, სვანეთი (ტფ., 1926) სასკოლო დამხმარე წიგნი ეთნოგრაფიულად ზედმიწევნილობას ვერ დაიკვეხნის. ზოგადი პირველყოფილი კულტურის სახელმძღვანელოებიდან ნახე – დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურის ისტორია, მეორე გამოცემა ტფ. 1922. თარგმანებიდან აღსანიშნავია გერმანელი მეცნიერის ნაშრომი – კუნოვი, რელიგიის წარმოშობა, ტფილისი, 1922.

[7] ნახე G. Buschan-ის ნაშრომი Völkerkunde II, Zw. T.Stut. 1826.

[8] A. Dirr. Антропологический и этнографический состав кавк. народов, КК 1910

[9] ანთროპოლოგიური მასალის ეთნოგრაფიული მიზნით გამოყენების შესახებ იხილე გ. ჯავახიშვილი, ანთროპოლოგიის მიზანი და ამოცანები ჩვენში, ჩვენი მეცნიერება, № 5, 1926, გვ. 51 და შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ეს ცოტაა. Byhan-ი ეთნოლოგიური აღწერისათვის საქართველოს ყოფს ორ ნაწილად: მთის და ბარის მოსახლეობად; ეს დაყოფა უსათუოდ მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ; მას ერთგვარი ტრადიციაც აქვს ჯერ კიდევ სტრაბონის დროიდან (Strabo, Geografhica, XI, 3). მაგრამ ცოტა არ იყოს ძნელია ჩვენი ზოგიერთი კუთხის მთისა თუ ბარისათვის მიკუთვნება და სადემარკაციო ხაზის მკაფიოდ გავლება. საქართველოს ეთნოგრაფიულ აღწერას ავტორი წინ უმძღვარებს ისტორიულ მიმოხილვას. აქ ის უმწეობას იჩენს. ქართული ისტორიოგრაფიის მეოცე საუკუნის მიღწევები ავტორისათვის ცხრაკლიტულში ჩაკეტილი წიგნია. ბოროსეს დროის საისტორიო ცოდნის გამოყენებით კი ჩვენს ხანაში ბევრი არა გაკეთდება რა[10].

მით უფრო ასეთი საისტორიო ცოდნით ვერაფერი ქართული ეთნოლოგია დაიწერება. აქ საჭიროა, როგორც ეთნოგრაფიული, კიდევ უფრო მეტად ისტორიული და არქეოლოგიური ფაქტები. განსაკუთრებით ისტორიული ფაქტებია აუცილებელი. და თუ მკვლევარს ხელთ არ აქვს ასეთი და საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა დაკარგულია.

საკვირველი კია, რომ იქვე, იმავე კრებულში, სადაც Byhan-ის შრომაა დაბეჭდილი, ევროპის ხალხთა ეთნოლოგიას არკვევს ორი მკვლევარი M. და A. Haberlandt-ები[11], რომლებიც მშვენივრად იყენებენ ისტორიულ და არქეოლოგიურ ცნობებს ამ ხალხთა ეთნოლოგიის დასადგენად. კავკასიის ეთნოლოგიამ რაღა დააშავა – უნებლიეთ ისმება საკითხი.

საილუსტრაციოდ მოგეყვანე ერთი-ორი მაგალითი, თუ როგორ აშუქებს ავტორი ჩვენს ეთნოლოგიურ საკითხებს. საქართველოში ისტორიის ადრინდელი და ისტორიის უძველესი ხანის ბინების არსებობის შესახებ Byhan-ი შენიშნავს:

ამ დროისათვის ბარად მიწურები იყო, ხოლო მთებში – გამოქვაბულები და ამ უკანასკნელთ ასახელებს მცხეთასთან, თელავთან და აგრეთვე უფლისციხესთან[12]. უნდა მოგახსენოთ, რომ გამოქვაბულებთან ერთად ერთ ხაზზე უფლისციხის მოხსენიება ყოვლად მიუღებელია. მაშინ, როდესაც გამოქვაბულები ქვის ხანის ნაშთები უნდა იყვეს, აშკარაა უფლისციხე, ვარძია და ვანის სამეფოს დასავლეთის ნაწილის მღვიმეები დაწინაურებული

---

[10] მოვიყვანოთ ავტორის შეხედულება ქართული საისტორიო წყაროების შესახებ: Ueber die Geschichte Georgiens berichtet eine Chronik (Kharthlis Tzchowréba), die König Wachtang V. (1703 bis 1722) auf Grund alter Handschriften der Kirche von Mtzchet und des Klosters Gelathi von Pitzunda (!) u. a. zusammenstellen liess" გვ. 673.

საყურადღებოა, რომ უკვე 1857 წ. ბროსეც კი ადარ მია წერდა „ქართლის ცხოვრების" შედგენას ვახტანგ მეფეს. ნახ. მისი წერილი დ. ბარამიასადმი 1857 წ 18 ანვ. თარიღით: „ტყუილად ამას (ვახტანგს) მიაჩემებენ ცხოვრებასა" ხელთნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების № 1258.

[11] M. Haberlandt, დასახ. ნაშრომი; A. Haberlandt, op.c.

[12] "Solche zum Teil zahlreichen Höhlen finden sich bei Mzchet und bei Telawi; die ausgedehnteste Höhlensiedlung ist wohl Uplos-tziche im Tale der Kura bei Kutais"(?) გვ. 680.

ისტორიული ეპოქის კუთვნილებაა. ამ უკანასკნელთა შესახებ საკითხი დიდი ხანია, რაც დასმულია მეცნიერებაში, ის დეტალურ შესწავლას მოითხოვს და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადაწყდეს[13].

მაგრამ თვით გამოქვაბულების საკითხიც არ ჩაითვლება ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილად. გვაქვს ცნობები მხოლოდ ზოგიერთების შესახებ, ისიც მეტად მცირე ნაწილის; ასე–გვარჯილას კლდე რგანთან (მუსტიერის ეპოქის კულტურა)[14], რუდოლფ-ეირხოვის ქვაბული და უვაროვის და ბარათაშვილის გროტები მოწამეთასთან (პალეოლითი)[15], აგრეთვე ქვახვრელი[16]. თვით მიწურების ხსენების დროს დავიწყებული არ უნდა იქნეს მათი სხვადასხვა სახეები. ერთი მათგანია გლეხური დარბაზი, საცხოვრებელი ბინების ძველი ტიპი, რომელთა შესახებ გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1922 წელს გერმანულ ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი შენიშვნები[17], გამოსცა გეგმები და ნახაზები იმავე წელს (ნახ. გლეხის დარბაზი დიდომში, ტფ., 1922) და რომელთა სარწმუნოებრივი და სოციალური დანიშნულება თანდათან აშკარავდება.

შევეხოთ Byhan-ის შეხედულებას ქართველთა სარწმუნოების შესახებ. ავტორის აზრით, ბარის საქართველოს სარწმუნოება ამოიწურება ქრისტიანობით, რომელსაც პირველ ორ საუკუნეში ებრძოდა ზარატუსტრის რელიგია, ხოლო „voriranishe und vorchristliche einheimische Religion verherte einen obersten Gott Armas, Naturkräfte und Ahnenseelen" (გვ. 714,). რაში მდგომარეობს ეს „einheimische Religion", ან რამდენად ქართული ღვთაებაა არმაზი–ამის საბუთებს ავტორს ნუ მოსთხოვთ. ის ერთი ფრაზით კმაყოფილდება: „mancherlei Reste davon findet sich im Kult und Glauben des Swanen, Pschawen, Tuschen und Ossen" (იქვე, შეადარე აგრეთვე გვ. 739–743).

ამ საკითხის ასე იოლად თავიდან აცილება, როდესაც ჩვენ გვაქვს ივ. ჯავახიშვილის კლასიკური ნაშრომი[18], სადაც აღდგენილია ქართული წარმართობისდროინდელი პანთეონი; ამავე საკითხის შესახებ ო. ფონ ვეზენდოკის ამომწურავი წიგნი[19]; მ. წერეთლის შრომა: ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა (გამოცემა კონსტ. ქ. კ. სავანისა,

---

[13] ნახე Lemann-Haupt. Armenien einst und jetzt. Berl. 1910 გვ. 102.

[14] И. Круковский, Гварджиласклде (საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერი).

[15] Max Ebert, Südrusslsnd im Altertum, Bonn u. Leipzig, 1921, გვ. 27.

[16] Л. Меликсет-Беков, Пещерный город Квахврели, Изв. Кав. Муз. т. XI, გვ. 208. ცალკეურ შენობათა შესახებ, ნახე ამავე ავტორის, К археологии и этнологии Туалской Осии, ТЗА Тиф., 1925, т. I, გვ. 260-61.

[17] G. Tschubinaschwili, Die christliche Kunst im Kaukasus und ihr Verh.z. allgem. Kunstgeschichte *Monatscheft f. Kunstwisssch.* 1922. № 7-9 გვ. 226.

[18] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1. თავი 3, ქართული წარმართობა. ტფ. 1913 წ.

[19] O. von Wesendonk, Ueber georgisches Heidentum6 Leipzig. 1924. ufycfresht,bs sfdb5 Einhemishe georgische religiöse Vorstellungen, გვ. 92. რეცენზია იხილე „ჩვენი მეცნიერება", № 3–4, 1925, ტფ. გვ. 162.

კონსტანტინეპოლი 1925 წ. გვ. 91 და შემდეგი)[20]; აგრეთვე ნ. მარის: Боги языческой Грузии[21] ამას შემდგომ მეტი რომ არა ვთქვათ უკან დახევა და ჩამორჩენილობაა ოცი წლით მაინც.

განა მარტო ამ საკითხში იჩენს ჩვენი ავტორი ჩამორჩენილობას. სამწუხაროდ ეს აშკარავდება სხვა საგნებშიც. მაგალითად იგივე ავტორი დღესაც იმეორებს ძველ ზღაპარს, თითქოს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება პირწავარდნილი ბიზანტიური რიგისა იყოს (გვ. 713); ამის თქმა მას შემდეგ, რაც ჩვენ დღეს გ. ჩუბინაშვილის შრომები გვაქვს[22], ვერაფრით ვერ გამართლდება.

მაგრამ ყველა ზემოთ მოყვანილ გარემოებასთან ერთად, საკვირველია, რომ Byhan-ს თვით ეთნოგრაფიულ აღწერაში ისეთი მხარეები აქვს გამოტოვებული, რომ ვერ აგვიხსნია, თუ როგორ მოუვიდა ეს ავტორს. ჩვენ სახეზე გვაქვს ხალხის ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები. ამ მხრივ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული. ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ Byhan-ი უმთავრესად ძველი ეთნოგრაფიული აღწერილობით სარგებლობდა, სადაც ამგვარი მასალა მეტად მცირეა, ხოლო საკუთარი დაკვირვებები და კვლევა-ძიება ან სრულიად არ უწარმოებია, ან კიდევ მეტად მცირე მასშტაბით და მცირე დროით. ამდენად საკმარისად მიგვაჩნია, რომ აქ ბიჰანის შრომას შევეხეთ.

კერძო ეთნოგრაფიული კავკასიურ-ქართული კოსტიუმების, საკითხს ეხება თავის შრომაში Max Tilke, Orientalische Kostüme im Schnit und Farbe, Brl. 1923,. სადაც თარგებით და ფერებით წარმოდგენილია მრავალი ჩვენი ტანსაცმელი. ამ წიგნით ჩვენებური ტანსაცმელი პირველად ხდება წმინდა მეცნიერული კვლევის ობიექტად და ჩვენ მოუთმენლად მოველით ავტორის მიერ შეპირებულს ამავე ნაშრომის შემდეგ გაგრძელებას[23].

ზოგად კავკასიური ტიპის ერქვანის საკითხს გაკვრით ეხება Paul Leser-ი, Pflüge von Wehr Abhand. d. Ethn. u. Urgesch. der Frank. Ges. B. II, Festschrift, Frankfurt am Main, 1925[24].

ჩვენი ხალხური მუსიკის საკითხები გარკვეულია დ. არაყიშვილის, ქართულ მუსიკაში, ქუთაისი, 1925.

---

[20] რეცენზია ამ შრომაზე იხილე „წიგნის მეგობარი" ტფ. 1925 № 1–2 გვ. 162.

[21] ამ ნაშრომის შესახებ იხილე უკანასკნელი ანრი Н. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в образовании средиземно-морской культуры = МЯЯ XI, Лейпциг, 1920, გვ. 11.

[22] G. Tschubinaschwili. დასახ. ნაშრომი; მისივე Untersuchungen zur Geschichte der Georgischen Baukunst, Bd. I, H. I. Tiflis 1921; და სხვა.

[23] M. Tilke-ს წიგნის რეცენზია იხ. „ჩვენი მეცნიერება". ტფ., 1924, № 2, გვ. 134.

[24] სხვათა შორის ერქვანის წარმოშობის გარშემო ატეხილი მეტად საინტერესო მეთოდოლოგიური ხასიათის კამათი იხილე – P. Leser, Der Pflung von Debergotz, Zeitschrifi f. Ethn. d. Berl. G. f. A. Ethn. u. U rg. Berlin 1925, Hef. I-2. გვ. 45; If Mielke, Bemerkungen zu P. lesers Abhandlung Ueber den Pflug von Däbergotz, გვ. 59.

მატერიალური კულტურის ერთი კერძო საგანი დამუშავებული. გ. ჩიტაიას ეთნოლოგიურ შენიშვნებში: სვანური „საკურცხილ", საქ. მუზ. მოამბე, ტ. II, 1925.

შევჩერდეთ მითოლოგიის ცნობილი მკვლევრის დანიელი მეცნიერის აქსელ ოლრიკის ნაშრომზე, რომელიც გერმანულად გამოვიდა 1922 წ. ამ სათაურით: Radnarok, die Sagen vom Weltuntergang. Untersuchung von A. Olrik, Ubertragen von W. Ranisch, Brl. u. Leipzig, 1922, გვ. 484. + I-XIV.

ამ წიგნის ერთი მესამედი კავკასიური მითოლოგიური მასალების გარჩევას უჭირავს. მეტად საყურადღებოა ავტორის საკვლევი საგნის მეთოდოლოგიური მხარე. ის ტექსტების დადგენით და მათი კრიტიკით იწყებს; სადაც კი შესაძლებელია არქეოლოგიურ მასალებს მიმართავს; ამის შემდეგ იძიებს თქმულებებში ჩარჩენილი ბუნებრივი წარმოდგენების ფენებს და ამათი გამოყოფისას გადადის მეორე საფეხურის მასალაზე, ხალხურ-მითიურ წარმოდგენებზე. თქმულებების შედარებას აწარმოებს არა მათი აბსტრაქტული იდეების მიხედვით, არამედ პლასტიური მიმართებით (გვ. 3)[25].

ასეთი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომით Olrik-ი ამირანის ლეგენდასთან დაკავშირებული თქმულებების ქართულ (ავტორი ქართულში გულისხმობს სამწუხაროდ მხოლოდ ქართლს და კახეთს) ვერსიაში არჩევს უძველეს კავკასიურ ელემენტებს, სპარსული მითის და ქრისტიანული ხანის გავლენებს. ავტორი კავკასიურს იმ წარმოდგენაში ხედავს, რომელიც ბუნებრივ მოვლენას, მიწის ძერას (მითი იალბუზის გარშემო), მთებში დატყვევებული გმირების შეტორტმანებას მიაწერს (გვ. 287). თუმცა ამასთანავე შენიშნავს, ქართულ ვერსიაში მაინც და მაინც არ ჩანს მკაფიოდ ეს შეხედულება, ვინაიდან ქართველების შეხედულებით მიწისძერის მიხეზი ის ეეშაპია, რომელზედაც დედამიწაა დაყრდნობილი (გვ. 219). აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ საზოგადოდ გამართლდა, რომ ამირანის თქმულება რაიმე სახით ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება (მიწისძერა–ეეშაპი), – შესაძლებელი იქნება ამირანის მამის სულა-კალმახის მეორე ნაწილის სახელის ახსნაც. ამირანი კალმახს, ღვთაება-თევზს დაუკავშირდება და მისი ღვთაებრივი თვისებებიც გასაგები გახდება. ხოლო თვით კალმახი ეეშაპ-ღვთაებასთან ახლო იქნება დასაყენებელი[26].

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ ვერსიაში მოხსენიებული ღვედ-ჭაპანი უკვე მიწის დამუშავებაზე მიგვითითებს და ამდენადვე თქმულებას აშორებს მთებს და უფრო ბარს უკავშირდებს.

---

[25] "Die Verwandtschaft der Sagen (und damit die Wegw ihres Wanders) muss nsch den Zügen bestimmt werden, die sie wirklich enhalten, nict nach dieser oder jener Bedeutung, die sich unter der Oberfläche der Sage verbirgt", გვ. 286.

[26] გელამის ეეშაპის ქანდაკების შესახებ ნახე: Н. Марр, Кавказ и памятники духовной культуры, ИАН, СПБ, 1912, გვ. 77; სულა-კალმახის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თავი IV, გვ. 149.

K, Krohn-ის მიხედვით ჩვენი ავტორიც იმ აზრისაა, რომ ამირანის სახელი სპარსულ აჰრიმან-იდანაა წარმომდგარი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეფარდება მისაღები არ არის. მარმა და ჯავახიშვილმა გამოარკვიეს, რომ ამირანს სპარსულ აჰრიმანთან კავშირი არ აქვს, არც თავისი მახასიათებელი თვისებებით და არც სახელწოდებით. ქართული ამირანი აფხაზურ A-berskil და სომხ. Meher-თან არის დაკავშირებული. ხოლო აფხაზურიდან ნათლად ჩანს, რომ ამირანი მზე-გმირია და არა სპარსული მიჰის აკი სული[27].

ბევრი სხვა დებულებაც საკამათოა ამ მეტად საგულისხმო წიგნში, მაგრამ ჩვენ მათ ველარ გამოვეკიდებით. საკამათოა თვით ტექსტის კრიტიკაც, ვინაიდან ავტორი რუსულიდან თარგმნილებით სარგებლობს და არა თქმულების დედნებით. მიუხედავად ამისა გაწეულია დიდი შრომა, მოხდენილია ამირანის ლეგენდის კლასიფიკაცია და თუ ამასთან ერთად გაეიხსენებთ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევას – შემდეგი ზედმიწევნითი კვლევა-ძიებისათვის კორდი გატეხილია და ნიადაგი გასუფთავებული.

ამირანის თქმულების შესწავლის შემდეგი მუშაობა სხვათა შორის არქეოლოგიური მასალების დაგროვებითაც უნდა მოხდეს[28]. ამ მხრივ ბევრი უკვე აღმოჩენილი ძეგლები ჩვენს მუზეუმებში აუხსნელი ძევს და კიდევ უფრო მეტ შეგროვებას საჭიროებს. მათი ამეტყველება სპეციალისტების შრომას მოითხოვს.

ამ მხრივ საყურადღებოა И. Мещанинов-ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით იკვლევს კავკასიური მეტერიალური კულტურის განათხარ მასალებს. მაგრამ მის ნაშრომებს ჯერ-ჯერობით ერთი ნაკლი ახლავს, რაც მის ნამუშევარს ცარავს და მნიშვნელობას უკარგავს. ის წინასწარ აღებული იაფეტიდოლოგიური თვალსაზრისის მიხედვით უდგება საკითხების დამუშავებას. ეს კი პირველ ყოვლისა საზოგადოდ დაუშვებელია, ხოლო მეორეს მხრივ რამდენად იაფეტური თეორია ჯერხნობით ძიების და დადგომის პროცესშია[29], მასზე დაყრდნობა მაინცდამაინც ნაყოფიერი ვერ გამოდგება[30].

---

[27] Н. М а р р, Кавказоведение и абхазский язык. ЖМНП, нов. сер. LXIII, 1916, წ. გვ. 22–23; ივ. ჯავახიშვილი. გვ. 159. თითქოს ამის საწინააღმდეგო აზრს იცავს თ. ბეგია შვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. ხალხური სიტყვიერება, ტფ. 1925 წ. გვ. 51; შეადარე ამ წიგნს ვ. ბარნოვი, გაკვეთილები ქართული ლიტერატურისა, რვ. I. ტფ. 1925 წ.; ხალხური სიტყვიერების შერჩეული მასალას იძლევა ს. გორგაძის კრებული, ჩვენი ხალხური პოეზია, ტფ. 1925; ეიერიანი, ნახვ. მირიანა შვილის გამოცემაში, ტფ. 1920.

[28] საგმირო ეპოსის მატერიალური საფუძვლებით გამაგრების შესახებ ნახვ. მარი, Термины из абхазско-русских этнических связей «лощадь» и «тризна», Ленинград, 1924, გვ. 2; აგრეთვე Л. М е л и к с е т-Б е к о в, К археологии и этнологии Туальской Оссии, გვ. 262–63.

[29] Л. М е л и к с е т-Б е к о в, Введение в историю государственных образований Юго-кавказа. Caucasia I, Тиф. 1924, გვ. 33–34.

[30] И. М е щ а н и н о в, Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа. Зап. Кол. Вост. Ленг., т. I, გვ. 192; მისივე Змея-зигзаг – длинная линия, и змей-драконсобака. З. Кол. Вост. I, 1925. ნ. მარის ბოლო ნაბეჭდი მრავალმხრივი ეთნოლოგიური შენიშვნები ქართული ეთნოგრაფიული მასალების შესახებ გაბნეულია მის სხვადასხვა შრომებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ ჩვენ გვინდა გაკერით შევეხოთ ერთს საკითხს, სახელდობრ საგვაროვნო წეს-წყობილებას, რომელიც ჩვენი მკვლევრების სადღეისო ძიების საგნად არის გადაქცეული.

ამ საკითხს ეხება თავის გამოკვლევაში ს. კაკაბაძე (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები „საისტორიო მოამბე", ტ. I., ტფ. 1925 წ. გვ. 90–91 და სხვა), რომლის დებულებების დეტალურ განხილვას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორი მაინცდამაინც ირანიზმის გავლენას ქართველთა უძველესი ხანის, როგორც სოციალურ წეს-წყობაზე, ისე მის სარწმუნოებაზე მეტის-მეტად დიდ როლს მიაკუთვნებს, მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ თვით პირველი ავტორი ქართლზე ირანული გავლენის თეორიისა ნ. მარი, რომლის თხზულებასაც უმთავრესად ემყარება ს. კაკაბაძე – უკვე ამ შეხედულებას არ იზიარებს[31].

გრ. ნათაძე თავის ნაშრომში – საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ტფ. 1925, ნაწ. I, თავი IV, გვ. 58. საგვაროვნო წეს-წყობილების საკითხში უმთავრესად გამომდინარეობს ივ. ჯავახიშვილის უკვე დაბეჭდილი შეხედულებებიდან და ამიტომ ახალს თითქმის არაფერს არ შეიცავს.

როგორც ვიცით, ივ. ჯავახიშვილმა თავისი შეხედულება ძველი საქართველოს საგვაროვნო წეს-წყობილების შესახებ პირველად ჩამოაყალიბა თავის სადისერტაციო მონოგრაფიაში[32] და შემდეგ შეიტანა თავის „ქართველი ერის ისტორიაში" (ტფ. 1913 წ. I.). ამ ძველ შეხედულებასთან ერთად საინტერესოა, რომ ივ. ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს მოხსენებაში: „ძველი და გაერთიანებული ხანის ქართული სახელმწიფო და სოციალური წყობილების მთავარი საკითხები36 (წაკითხულია მის მიერ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში; იხ. ამ წლის 17 აპრილის სხდომის ოქმი, № 241). ამ მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო აფართოებს საგვაროვნო წეს-წყობილების მასალების გამოძიებას, უკვე მეტი ნდობით ეპყრობა ქართულ საისტორიო წყაროებს[33] და საგვაროვნო მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს ახდენს.

„შეყრილობის წიგნების" განხილვით მომხსენებელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენს მთაში შემონახული ეგრეთწოდებული გვაროვნული წეს-

---

უკანასკნელი დროის ნაწერების ნუსხა ნახე: . Меликсет-Беков, Академик Н.Я. Марр и яфетическая теория, Тифлис, 1926. განხრახვა გვაქვს ნ. მარის ჩვენთან დაკავშირებულს ეთნოლოგიურ შეხედულებებს ცალკე შევეხოთ.

[31] Н. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элем. в соз. средизем. культуры, Лейпциг, 1920, გვ. 11.

[32] И. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и дрвней Армении, СПБ. 1905, ТР. Кн. VIII.

[33] საგულისხმოა, რომ ბოლო ხანებში ნ. მარიც მეტი ნდობით ეპყრობა ქართულ მემატიანეთ (Н. Марр, დასახ. ნაშრომი, „ზღაპრულ" ნაწილს გვ. 11). შეადარე მ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, ბოლო თავი.

წყობილების ნაშთები უკუქცევითი პროცესის შედეგია, მეორადი მოვლენაა და მათი გამოყენება ქართლის ძველი ხანის სოციალური ცხოვრების აღსადგენად შეუძლებელია. საკითხავია თვით სტრაბონის დროინდელი საგვაროვნო წყობილება, ხომ არ წარმოადგენს ამგვარსავე მეორად პროცესს? მომხსენებელი გაკვრით შეეხო მატერნიტეტის საკითხს, რომელიც ნ. მარმა წამოაყენა იაფეტიანთა მახასიათებელ ინსტიტუტად[34] და რომელსაც მხარს უჭერს ლ. შტერნბერგიც[35] და ახალი კომენტარი მოგვცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ცნობის 8 და 10 სახლის დედა-და მამამძუძეთა მოსელის შესახებ.

რასაკვირველია, ეს გამოკვლევა მეტად საგულისხმოა. იგი ახალ პერსპექტივებს ქმნის და ახალ მიმართულებას იძლევა ჩვენი სოციალური ინსტიტუტების კვლევისათვის. მაგრამ ამასთანავე ამგვარი კვლევა-ძიებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ, კერძოდ, ძირფესვიანად იყოს შესწავლილი მთაში დაცული სოციალური წეს-წყობილების ნაშთები, ვინემ ეს დღეს არის და საზოგადოდ ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილე ხელმიწვდომით და სტაციონალურად და არა შემთხვევით და გზადაგზა, იყოს შესწავლილი; მომხდარიყოს ეთნოგრაფიული ფაქტების კლასიფიკაცია და სხვადასხვა საფეხურის ფენების გამორკვევა, – რომ მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტების გამოყენებით და მათი ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალებთან გადაჯვარედინება-კონვერგენციის გზით შესაძლებელი შეიქმნეს ჩვენი წარსულის ბნელით მოცული საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრა. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ჩვენ სწორედ ეს მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტები გვაკლია. ქართული ეთნოგრაფიის გარდუვალი მოთხოვნილებაა სისტემატურად და სათანადო სისწრაფით ამგვარი ფაქტების შეგროვება, რაზედაც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

1926 წ.

---

[34] Н. Марр, Яфетич. Кавказ, გვ. 41.

[35] იხილე ლ. შტერნბერგის მოხსენება შავიზღვის სანაპიროების და დასავლეთ კავკასიის სამხარეთმცოდნეო მეორეყრილობაზე – Яфетическая теория при свете этнографии: თეზისები (Втор. Краев. Съезд Черн. поб. и Зап. Кавказа, Постан. и резолюции, Батум, 1925, გვ. 45). ამ ერილობაზე წაკითხული მოხსენებებიდან ჩვენ უნდა აღვნიშნოთ: ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში; Д. Гулиа, Божества охоты у абхазов; (სამწუხაროდ ამავე ავტორის стория Абхазии. т. I, Тифл. 1925. რეცენზია ნახე: ს. მაკალათია, საქართ. განათლ. მუშაკი, 1925, № 4. წიგნის ეთნოგრაფიული ნაწილი სამეცნიერო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს; აგრეთვე კრიტიკას ვერ იტანს ს. ბასარიას, Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении, Сухум, 1923. განსაკუთრებით მისი ეთნოგრაფია; Г. Чурсин, Результаты этнографического изучения Абхазии; Л. Панек, Этнографические наблюдения в Мтиулетии 1925. 3. ინგოროყვა, სამუსულმანო საქართველოს ეთნოგრაფია. და გ. ჩიტაია, ლეზგის სახლი მესხეთში (ამ მოხსენებების თეზისები იხილე ზემოთ დასახელებულ წიგნში).

რუსეთის ეთნოლოგია და ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრ კავშირის მუზეუმებში *

ჩემს სამეცნიერო მივლინებას ლენინგრადსა და მოსკოვში თავიდანვე გარკვეული ამოცანები ჰქონდა დასახული. სამუზეუმო საქმეში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა გავცნობოდით რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მუზეუმების პრაქტიკას, გამოფენების პრინციპულ საფუძვლებს, საგამოფენო მასალის განრიგების გეგმებსა და მეთოდებს, დიაგრამების დამუშავების პრინციპებს და სხვ. მუშაობის ცენტრში ეს საკითხები იყო მოქცეული და თუ მუშაობის პროცესში სხვა საკითხებსაც ვეცნობოდით – მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საკითხები ჩვენი მთავარი პრობლემის გადაჭრას შველოდა და დამხმარე მასალას შეიცავდა.

როგორც ვიცით, სამუზეუმო საქმე სსრ კავშირში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეტად გაფართოვდა და გადრმავდა. გაფართოება მოხდა არა მარტო ადრე არსებული მუზეუმების გაშლისა და შემატების გზით, არამედ მრავალი ახალი მუზეუმიც დაარსდა. მეორე მხრით, მუზეუმები დადგა ფართო მასების კულტურულ-საგანმანათლებლო გზაზე, ფართოდ გაუღო კარი მნახველთა ჯარს და ლამობს ხალხის თვითგანვითარების მძლავრ ორგანოდ გადაქცევას. გაიზარდა საექსკურსიო მოძრაობა, რომელიც სსრ კავშირის ცენტრებში ასათასობით მნახველებს იძლევა: 1927 წელში სამეფო სოფლის (ცარსკოე სელო) მუზეუმები 1 500 000 სულზე მეტმა კაცმა ინახულა. ამ ზდვა სტუმარს კარგი დამხვდური უნდა, რომ შესაფერისად გაუმასპინძლდეს. ეს კი ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: 1. სათანადოდ უნდა იყოს გამართული სამუზეუმო ექსპოზიცია და 2. უნდა იყოს შერჩეული თანამშრომელთა კადრები. თუ მართალია თქმა, რომ სამუზეუმო ობიექტი, როგორც ცოცხალი არსება, მხოლოდ მაშინ მოქმედებს მნახველზე, როდესაც მნახველიც ამისათვის აქტიურია (რომ ყრუთათვის ეს ობიექტიც ყრუა), ისიც მართალია, რომ მუზეუმმა, ერთი მხრით, უსულო ობიექტები ცოცხალ არსებად

---

* შენიშვნა: სამუზეუმო ექსპოზიციის პრინციპული და პრაქტიკული საკითხების შესასწავლად 1928 წლის 10 მაისიდან 20 აგვისტომდე გ. ნიტაია ივ. ჯავახიშვილის დავალებით იგზავნება ლენინგრადსა და მოსკოვში.

მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ მან სამივლინებო მუშაობის ანგარიში წარუდგინა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს, სადაც საკითხის ღრმად შესწავლის საფუძველზე დაახასიათა ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრ კავშირის მუზეუმებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში და საკითხის დასმის წესით წამოაყენა მთელი რიგი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის დასკვნები საქართველოში სამუზეუმო საქმიანობისა და ეთნოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. ვითვალისწინებთ რა ამ დოკუმენტის ისტორიულ მნიშვნელობას, XX საუკუნის დასაწყისის სამუზეუმო საქმიანობის სურათის აღსადგენად მოგვყავს საანგარიშო მოხსენების ტექსტი სრულად (მოხსენება ინახება გ. ნიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ კაბინეტში). [თ. ც.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გადააქციოს, რაც ექსპოზიციის საშუალებით ხორციელდება, და, მეორე მხრით, – სათანადოდ უნდა შეისწავლოს მნახველიც, რომ მისი აქტიურობა გაზომოს და ამისათვის შესაფერი ანსამბლი შექმნას. მოსკოვის მუზეუმებში ეს მუშაობა უკვე წარმოებს: სამუზეუმო თვალსაზრისით იკვლევენ მნახველს (სახვითი ხელოვნების მუზეუმი), ამუშავებენ მნახველთა სხვადასხვა ფენებთან მთელ რიგ საკითხებს – უმაღლესი ცოდნის ინტელიგენტებთან, საშუალო ინტელიგენტებთან, სხვადასხვა წრის მუშებთან, მოწაფეებთან (ისტორიულ მუზეუმში). ამ საკითხზე უკვე იბეჭდება ლიტერატურაც, მაგრამ თავისთავად საკითხი იმდენად ახალია, რომ დადებით მიღწევებზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ ჯერ კიდევ დასადგენია მნახველთან მიდგომის და მნახველის გამოკვლევის ძირითადი მეთოდიც კი. თავის მხრივ, მუზეუმის ექსპოზიციის საკითხი, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა, მუზეუმის ძირითად ამოცანებთანაა დაკავშირებული და მრავალ პრინციპულ საკითხს შეიცავს. ამ ძირითადი ამოცანების მისაღწევად, ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარი საძიებელი საგანია ეთნოგრაფიული მასალის კრიტიკულად შემოწმებისა და შესწავლის გზით მოიკვლიოს კულტურულ-ისტორიული ჭეშმარიტებანი, მიღწეული შედეგები ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოების ფართო წრეებისათვის და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საშუალებად გამოიყენოს ისინი.

მაგრამ მუზეუმის დედააზრის განსახორციელებლად მთავარი პირობაა სათანადო დონეზე იყოს დაყენებული ის მეცნიერება, რომელიც ამ საკითხებს იკვლევს. გასაკვირი არ არის, თუ ყველაზე ძლიერი და კარგად გამართული ის მუზეუმებია, რომელთა სამეცნიერო დარგი მაღალ დონეზეა დაყენებული, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მუზეუმები. ეს გარემოება განსაკუთრებით ჩვენთვის, საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებისთვისაა ხაზგასასმელი. ეთნოლოგიური კათედრა საქართველოში,შეიძლება ითქვას, არც კი არსებობს, ქართული და კავკასიური ეთნოლოგიური მეცნიერება მხოლოდ ჩასახვის პერიოდშია. ამიტომ ჩვენს დარგში მყარი სისტემატიკა არ მოგვეპოვება, ეს ნაკლი კი მეტისმეტად აძნელებს ეთნოგრაფიული ექსპოზიციის საკითხის იდეოლოგიური მხარის დამუშავებას. ზემოთქმულის გამო, მივლინების დროს პირველ რიგში როგორც მოსკოვში, ისე ლენინგრადში, უმაღლეს სასწავლებელში იმ კათედრების გაცნობას შევუდექი, რომლებზედაც ეთნოლოგიური მეცნიერებაა წარმოდგენილი.

მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ცალკე ეთნოლოგიური ფაკულტეტი, რომელიც იყოფა ასეთ დარგებად: 1. ისტორიულ-არქეოლოგიური დარგი – არქეოლოგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ციკლებით; 2. ლიტერატურული დარგი – რუსული და დასავლეთის ლიტერატურის ციკლით; 3. სახვითი ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგი; 4. ეთნოგრაფიული დარგი – აღმოსავლეთ-სლავიანური, აღმოსავლეთ-ფინური, კავკასიური, თურქული და სამხრეთ-დასავლეთ-სლავიანური ციკლებით. ლენინგრადის უნივერსიტეტში ეთნოგრაფიული მეცნიერება წარმოდგენილია გეოგრაფიულ ფაკულტეტზე; მას შემდეგი ციკლები აქვს: აღმოსავლეთ-სლავიანური, თურქული, ტუნგუსური, მონღოლური, ფინური, პალეაზიური, იაფეტიური და ირანული. ამას გარდა, შედარებითი და ზოგადი ეთნოლოგია ამავე ფაკულტეტის ანთროპოლოგიურ განყოფილებაზედაც იკითხება. ეს ფაკულტეტები როგორც ლენინგრადში, ისე მოსკოვში დიდი ხანი როდია, რაც არსებობენ. ამიტომ, მათი კურსები და პროგრამები სტაბილური და საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. ანთროპოლოგიური განყოფილება დიდი რკალით ფარავს ეთნოგრაფიულ ციკლებს, რაც უთუოდ ძველი შეხედულების ანარეკლი უნდა იყოს, როდესაც, ტაილორის ხელდასმით, ანთროპოლოგია ფართოდ იყო გაგებული და წმინდა ფიზიკური, სომატური ანთროპოლოგიის გარდა, პრიმიტიული კულტურის ისტორიასაც შეიცავდა[1]. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ზოგადი ანთროპოლოგია უკვე ფილოლოგიური სკოლის სწავლულთა ხელშია და იგი საფილოლოგო დარგთან უფრო ახლოს მდგომადაა გამოცხადებული, ვიდრე საბუნებისმეტყველო დისციპლინასთან. ამას გარდა, როგორც მოსკოვის, ისე ლენინგრადის ეთნოლოგებს აუცილებლად მიაჩნიათ ეთნოლოგიაში ისტორიული მეთოდით სარგებლობა და ბევრი მათგანი კულტურულ-ისტორიული სკოლის მიმდევარიცაა (გრებნერი, შმიდტი); ზოგად ეთნოლოგიაში მარქსისტული მიდგომა წარმოდგენილია მოსკოვის ეთნოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც დოცენტი ვ. კ. ნიკოლსკი ეთნოლოგიურ სემინარს ხელმძღვანელობს და უმთავრესად ეთნოლოგიის მეთოდის საკითხებს ამუშავებს.

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული ციკლები ნათელყოფენ, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ეთნოლოგიურ მეცნიერებაში თითქოს საკმაოდ გამიჯნულია ურთიერთისგან – ისტორიის მქონე და პრიმიტიულ ხალხთა ეთნოლოგია, რასაც ციკლების ასე დაყოფით არსებობა თავისთავად გულისხმობს. მაგრამ ეს როდი ჩანს საკმაოდ ნათლად ციკლების შინაარსიდან. სამწუხაროდ, ჩვენ ისე გვიან მოვხვდით მოსკოვში და მით უფრო ლენინგრადში, საშუალება არ გვქონდა ამ ციკლების ლექციები მოგვესმინა, აღძრული საკითხების შესახებ მსჯელობა ეთნოლოგური კურსების პროგრამების და ეთნოლოგებთან საუბრის მიხედვით გვექნება (პროფ. ზელენინი, ზოლოტარიოვი, პრეობრაჟენსკი, სოკოლოვი).

ცნობილია, რომ ეთნოლოგიური მეცნიერების მთავარი საკვლევი ობიექტი პრიმიტიული ხალხებია, ხმელთაშუა ზღვის კულტურული

[1] ასეთი ანტროპოლოგია მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეა (ანუჩინისეული მემკვიდრეობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენის გარეშე რომ დგანან. ისტორიის მქონე (ე. ი. ხმელთაშუაზღვის კულტურის გავლენის ქვეშ მყოფნი და სხვებიც) ხალხთა ეთნოლოგიური მასალა დღემდე სპეციალური მიდგომით განხილული არ ყოფილა. მათ ან იხილავდნენ ეთნოლოგ-პრიმიტივისტები, ან კიდევ ისტორიკოსები და კულტურის ისტორიკოსები. ამ დისციპლინათა წარმომადგენლებს თავიანთი სპეციალობის მეთოდები შეჰქონდათ ამ დარგში, რაც კვლევის ამ ობიექტს საკმაო ზიანს აყენებდა. მოსკოვისა და ლენინგრადის ეთნოლოგებიც სათანადოდ ვერ გამიჯნულან მოსახლეობრივ დარგების მეცნიერებისგან და დამოუკიდებელი დისციპლინა დღემდე ვერ ჩამოუყალიბებიათ. უნდა ითქვას, რომ ისტორიის მქონე ხალხთა ეთნოგრაფიის შესწავლა მეტად რთული საქმეა. საკითხის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ხალხის ეთნოგრაფიული ფაქტები – სარწმუნოება, ბინა, ტანსაცმელი, სამკაული, ხალხური სიტყვიერება და სხვა – გამოკვლეული უნდა იქნეს ერთი მხრივ, ხალხური კულტურის თავისებურების ნიადაგზე, ხოლო მეორე მხრივ წოდებრივ, სამოქალაქო სარწმუნოებრივ, კლასობრივ ჯამში. აქ თითოეული მოვლენა ისტორიასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, საზღვრის დადება ისტორიასა და ეთნოგრაფიას შორის თითქმის შეუძლებელი ხდება. ამიტომაა, რომ ეს კურსები 2/3-ით ისტორიის საგანს ეხება და უფრო მეტად ისტორიას, ვიდრე კულტურის ისტორიას წარმოადგენს. პერსონალურადაც ამათი ავტორები მეტწილად ისტორიკოსები არიან. მაგრამ ეს გაუმიჯნაობა უფრო საგრძნობი სამუზეუმო პრაქტიკაში ხდება, იქ, სადაც უნდა მოთავსდეს ისტორიის მქონე ხალხის ეთნოგრაფია (მაშასადამე, პრიმიტიულ ხალხთა ეთნოგრაფიიდან განსხვავებული) და ამავე დროს უნდა გაიშალოს ამავე ხალხის ისტორიული ყოფის კოლექცია – საკითხი რთულდება და მისი გადაჭრა ძნელდება[2]. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ეს საკითხი ჩვენი ეთნოგრაფიული გამოფენისთვისაც აქტუალურია. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხის განხილვას შეეუდგებოდეთ, საჭიროა ექსპოზიციის ძირითად პრინციპებს და პრაქტიკას გავეცნოთ.

ერთი შეხედვით ზოგადი პრინციპების წამოყენება სამუზეუმო ექსპოზიციის საკითხში შეუძლებელი უნდა იყოს, რამდენადაც თითოეული მუზეუმი ინდივიდუალური ორგანიზმია. იმის მიხედვით, თუ მუზეუმს რა სახის გენერალური ან სპეციალური კოლექცია გააჩნია, როგორია მისი მოქმედების ამპლიტუდა – მსოფლიო თუ მხარეთმცოდნეობის, თვით შენობის საკითხიც კი – მუზეუმის ექსპოზიცია სხვადასხვა სახითაა მოცემული და ამ გარემოებებთან შეგუებული. პრაქტიკაში ასეთი სიჭრელის მიუხედავად, სამუზეუმო თეორიულ ლიტერატურაში ექსპოზიციის პრინციპები საკმაოდ

[2] ამიტომ სრულიად გასაგები უნდა იყოს, რომ მუზეუმისმცოდნეობის კურსები ეთნოლოგიურ ფაკულტეტებზე იკითხება.

ნამოყალიბებულია და ექსპოზიციის იდეალური ამოცანებიც მოცემულია. ეს ამოცანები შემდეგია: მეცნიერული ხასიათის შენარჩუნებასა და დაცვასთან ერთად იგი უნდა ემსახუროს საზოგადოებრივი ფენების აღზრდა-განვითარებას. ამისათვის საჭიროა, რომ ექსპოზიციის იდეა ადვილად გასაგები იყოს, რომ ეს იდეა ღერძივით გასდევდეს მთელს გამოფენას და ექსპოზიცია განვიხილოთ ესთეტიკურ ემოციებზე დამყარებით. როგორც ვიცით, მასების აღზრდის საუკეთესო საშუალებად ესთეტიურია მიდგომა ითვლება, ამიტომ ეს საშუალება გვერდავლილი ვერ იქნება ეთნოგრაფიულ მუზეუმში, როგორც ის გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთ დარგებშიც კი, როგორიც არის ბოტანიკა და გეოლოგიაც. ამ მიდგომით ინტერესი აღძვრის მნახველში საკოლექციო ობიექტისადმი, რასაც უნდა მოჰყვეს ამავე საგნის შესახებ ცოდნის შეძენის გაღრმავებული სურვილი. ტექნიკურად როგორ უნდა მოეწყოს ეს, მით უფრო ეთნოგრაფიული ობიექტების მიმართ, სადაც საამისო მასალა თითქოს არც კი მოიპოება, ყოველივე ესთეტიურია, სადა და ნათელია. ამიტომ ამ საკითხში უარყოფილია ყოველგვარი დეკორატიულობა, საექსპოზიციო ბინიდან დაწყებული თვით ობიექტამდე და მის გამოსაფენ ბინამდე. ეს ამოცანა სავსებით ობიექტების შინაგან განრიგების, შეფარდების და შეხომილობისგანაა დამოკიდებული, რაც კონსტრუქტიულად და ტექნიკურად სპეციალისტმა და მისმა უნარიანობამ უნდა შეასრულოს. ამით ეს საკითხი გამოფენის არქიტექტონიკას და იმ პრინციპებს ებჯინება, რომელთა მიხედვითაც უნდა იქნეს იგი აგებული. სამუზეუმო ლიტერატურაში და პრაქტიკაში ექსპოზიციის ამგვარი პრინციპებია წამოყენებული:

ა) ქრონოლოგიურ-ევოლუციონური,
ბ) სისტემატურ-ტექნიკური,
გ) კულტურულ-ისტორიული,
დ) კომბინირებული.

ამ პრინციპების მიხედვით განრიგებული მასალა შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა მსოფლმხედველობის თვალსაზრისითაც, მაგრამ ამ საკითხების გამოდგომა ჩვენ შორს წაგვიყვანდა. უმჯობესია თვით ექსპოზიციის პრაქტიკას გავეცნოთ, როგორც ეს პრაქტიკა წარმოდგენილია მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებში.

მოსკოვის ისტორიულმა მუზეუმმა არც ისე დიდი ხანია, რაც რეორგანიზაცია განიცადა (1921–1922 წ. წ.). ახალი პროგრამის მიხედვით მისი მთავარი ამოცანაა: წარმოადგინოს რუსი ხალხის სოციალური ყოფის ისტორია; ეს ისტორია უნდა გადაიშალოს რუსეთის ტერიტორიაზე ადამიანის პირველი კვალიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის 50-იან წლებამდე. მიზნად არის დასახული წარმოადგინონ ყოფა წოდებრივ-კლასობრივი დაყოფის მიხედვით. გამოფენა შესავალი კაბინეტით იწყება, სადაც კაცობრიობის კულტურული განვითარების

სხვადასხვა საფეხურის ნიშანდობლივი საგნებია გამოფენილი. კაბინეტი იმდენად გაუმართავია, ნახევრად ბნელი ოთახი, არასაკმარისი ნიმუშები და სრულიად არადამაკმაყოფილებელი ექსპოზიცია, რომ მასზე შეჩერება არ ღირს. მთლიანად გამოფენა ქრონოლოგიურ-ევოლუციურ პრინციპზეა აგებული.

ცენტრალური ეთნოლოგიური მუზეუმი რუმიანცევის მუზეუმის კოლექციებზეა აღმოცენებული. რამდენადაც რუმიანცევის მუზეუმი კუნსტკამერული ხასიათისაა და უმეტესად კოსტიუმების გალერეას უფრო წარმოადგენს – ამდენად ახალი მუზეუმის ის განყოფილებები, რომლებიც უმთავრესად ძველი კოლექციების ამარადაა, მეტისმეტად სუსტია. უნდა ისიც ითქვას, რომ მუზეუმის სლავიანურ განყოფილებებს შესაფერისი ბინა არ აქვს. სამაგიეროთ ახალ შენობაშია მოთავსებული ციმბირის და საშუალო აზიის განყოფილებები.

როგორც მუზეუმის დირექტორმა ბ. სოკოლოვმა განმიმარტა, ახალ შენობაშიც ექსპოზიცია ნახევრადაა გაკეთებული. დირექტორმა მოიბოდიშა კიდეც, ამ მიხეზით ყველაფერი რიგზე არ არისო. მართლაც, ხის კარადები ახლად გაკეთებული რიგიანი ტიპის კონსტრუქციის როდია. ფარებზე მოცემული კოლექცია არ არის გარკვეულად შედგენილი. აქ არის მთელი რიგი ლაფსუსები და დეფექტები. ფარი, რომელსაც აწერია „მონადირეობა“, ჰკიდია იმ კოლექციათა შორის, სადაც არის სადღვებელი ან სხვა რამ, რაც ფარის კომპლექსის თემას არ ეკუთვნის. ერთსა და იმავე ფარზე მოცემულია ახალი დროის ნივთი და ისეთი საგანიც, რომელიც უკვე ხმარებიდან გამოვიდა და ისტორიულ ნივთთა კატეგორიას მიეკუთვნება. აქვე მრავლადაა დიაგრამებიც. მოცემულია საცხოვრებელი ბინები, რომელთაგან ზოგიერთი ადგილობრივი, მოსკოვის მასალითაა გაკეთებული, შემოხვევით ჩამოსულ ეროვნებათა წარმომადგენლების მიერ, მასშტაბის დაუცველად და მეტისმეტად დაუდევრად. სამწუხაროდ, ვერც მანეკენებია კარგად გამართული. მიზნადაა აღებული მანეკენების საშუალებით წარმოადგინონ საყოფაცხოვრებო მომენტებიც.

კავკასიური განყოფილება თითქოს უკეთაა შედარებით მოცემული ზოგიერთი თემის მიხედვით, მაგრამ აქაც დაუდევრობა და საგნისგან შორს დგომა ექსპოზიციას თავის დაღს ასვამს. კერიოზები გვხვდება: სომხადაა გასაღებული მთიული. შედარებით კარგი იქნებოდა საწარმოო პრინციპზე აგებული დაღესტნის შინამრეწველთა კომპლექსები, რომ მანეკენების დინამიურ პოზაში გადმოცემის ცდა შთაბეჭდილებას არ ანელებდეს. აფხაზური სახლიც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს: ახლად შედებილი კედლები, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო – გვერდის შუქი. იმავე დაბრკოლების მიზეზით სახლს ჭერი არ აქვს. სამაგიეროდ ფარებზე საკმაოდაა მოცემული აფხაზური ყოფის მახასიათებელი კომპლექსები. ეტიკეტაჟი ერთგვარად და ერთი

სისტემით გატარებული არ არის, გრძელია ახსნა-განმარტებანი და აუნუსხავია ნივთებიც.

სხვა მუზეუმებიდან მოსკოვში მე ვიმუშავე და ექსპოზიციებს გავეცანი: ცენტრალური სამრეწველო რაიონის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში (პრინციპი: სისტემატურ-ბიოლოგიური, ტერიტორიალური), აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის მუზეუმში, მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის ეთნოლოგიურ მუზეუმში, პოლიტექნიკურ მუზეუმში ანთროპოლოგიური კაბინეტის (ანუ ნისულ) მუზეუმში, სადაც ამჟამად წარმოებს ეთნოგრაფიული მუშაობის გაშლა.

მოსკოვის უპირატესობას წარმოადგენს კავშირში ერთადერთი მუზეუმისმცოდნეობის განყოფილება, რომელიც ისტორიულ მუზეუმში არსებობს და სადაც სამუზეუმო ხასიათის ლიტერატურა გროვდება, კეთდება საფირფიტო კარტოთეკა სხვადასხვა სამუზეუმო საკითხების შესახებ და სხვ.

ლენინგრადში ჩემი მუშაობა უფრო ხანგრძლივი იყო. სსრ კავშირის მასშტაბით აქ საუკეთესო მუზეუმებია და ზოგი მათგანი მსოფლიო მნიშვნელობისაა. ყველაზე მეტ ხანს ვმუშაობდი რუსულ მუზეუმში, სადაც დეტალურად შევისწავლე კავკასიური ქვეგანყოფილება და ველიკორუსების ქვეგანყოფილების ნაწილი; ვმუშაობდი სხვადასხვა ციკლში და ისტორიული ყოფის განყოფილებაშიც, სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მუზეუმში. ერმიტაჟის მახლობელ აღმოსავლეთის განყოფილებაში (კერამიკა, ლითონი), აქვე ბიზანტიურ განყოფილებაში, შტიგლიცის მუზეუმში. გავეცანი სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს, ქალაქის მუზეუმს და სხვ. აკადემიის ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მუზეუმში, განსაკუთრებით შუა აზიის განყოფილებაში (აქ კავკასიური განყოფილება არ არის) და თემატიურ გამოფენაზე ვიმუშავე.

შუა აზიის განყოფილების გამოფენა შედარებით ახალი მოწყობილია. მას ხელმძღვანელობს ენერგიული პროფ. ი. ზარუბინი. განყოფილება ამავე მუზეუმის სხვა განყოფილებებთან შედარებით უფრო დაწინაურებულია. მუზეუმის დირექტორმა აკადემიკოსმა კარსკიმ პირველ რიგში ამ განყოფილების გაცნობა მირჩია. კარადები, რომლებშიაც გამოფენილია კოლექციები, ხისაა, შუშაბანდიანი, ზომით 400 X 400 X 100. ორიოდე სიტყვა ამ კარადებთან დაკავშირებით. ასეთი ახმახი ჭურჭელი დაკვეთილი იყო ჯერ კიდევ აკადემიკოს ვ. რადლოვის დირექტორობის დროს. აკად. ვ. რადლოვი მაინცდამაინც მომხრე არ იყო, რომ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მხოლოდ და მხოლოდ დრეხდენის ტიპის კარადები ყოფილიყო, რადგან ისინი უხერხულია სახმარად, ადგილიდან ძნელი დასაძრავია, ხშირად საჭიროებს მონტიორს და ცივ შთაბეჭდილებასაც ახდენსო. ის ფიქრობდა, რომ ხის ჭურჭელი ეთნოგრაფიულ მუზეუმში უფრო მოსახმარია (იხილე რუსული მუზეუმის მომწყობი კომისიის ოქმები). ასეთი მაღალი

კარადები აკად. ვ. რადლოვის მიერ მათი ტევადობის გამო დეფ-დაკვეთილი. ის ამტკიცებდა: აკადემიურ მუზეუმს იმდენად მრავალი კოლექცია აქვს, რომ მათი გამოფენა პატარა ტევადობის ჭურჭელში ძალიან შორს წაგვიყვანსო.

განყოფილების ექსპოზიცია ტერიტორიალურ პრინციპზეა მოწყობილი, მაგრამ ეს წყობა სამრეწველო-სამეურნეო პრინციპზეა აგებული. ექსპოზიციის ერთეულად აღებულია არა ეთნიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი. ამიტომ სხვადასხვა ეთნიკური კოლექციები ხშირად ერთ ფარხეა მოცემული, რასაც სიჭრელე შეაქვს თემების დამუშავებაში. გამოფენა იძლევა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს და თავად-აზნაურთა წოდებასაც. ორიოდე სიტყვა კავკასიური ქვეგანყოფილების კოლექციების შესახებ. ეს კოლექცია გროვდებოდა 1902 წელს. საქართველოს კოლექციები განყოფილებისათვის მიუწოდებიათ: ფირალიშვილს (კახეთი, ქართლი), ნ. მარს (ტაო-კლარჯეთი), დერჯავინს (გურია,ქართლი), ხანდუკელს (აჭარა, მთიულეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი), ბოიარ ოსმოლოვსკის (ხევსურეთი), ნიჟარაძეს (სვანეთი), სახოკიას (სამეგრელო), მილერს (აფხაზეთი), სერპუჟევსკის (გალი, აფხაზეთი). შეგროვილ კოლექციას სათანადო სიები ახლავს. დაგროვილი მასალა მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა და მათ შესახებ არც ლიტერატურა არსებობს. როგორც თქვენც ადვილად მიხვდებით, ასეთ მასალაზე დაყრდნობით მხოლოდ სტატიკური, აღწერილობითი ექსპოზიციის მოცემა შეიძლება. სინამდვილეშიც ეს ასეა. განყოფილება ეცადა კლასიფიკაცია მოეხდინა კავკასიის ეთნოგრაფიული სინამდვილისა, მაგრამ მყარი დაყოფის საფუძვლის უქონლობის გამო ექსპოზიციაში არსებითად ლინგვისტიკური დაყოფაა მოცემული. ამიტომ ცალკეა გამოყოფილი სომხები და ქურთები (ოსები?), როგორც ინდოევროპული ოჯახის წარმომადგენელნი, თურქული ტომები და ძირითადი კავკასიელები (იაფეტელები). ეს უკანასკნელნი ქართველურ ტომებად და დაღესტნელ-ჩერქეზებად არიან დანაწილებულნი.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ქართველური ტომების ექსპოზიციაზე. ქართველური ტომები განხილულია როგორც მთლიანი ეთნიკური ერთეული. კარადებში მოთავსებულია მანეკენები: თავადი ქალი და კაცი, ინგილო, ლაზი, აჭარელი სამუშაო ტანსაცმელში, აჭარელი ქალი და კაცი, გურული ჩაქურაში, ქართლელი გლეხი და ქალაქის მუშა კურტნით. ეს ერთ დარბაზში. მეორე დარბაზის ნაწილში: ხევსურების, თუშ-ფშავის მანეკენები. მანეკენებთან კარადებში კედლებზე გაკრულია ფარდაგი, ქეჩა ან ჭილოფი და ამ ფონზე აქა-იქ ჰკიდია კოლექციები კარადების გვერდით ფარებზე (უშუშო, თუ კოლექცია არ მოითხოვს, და შუშიანი). ვიტრინებზე აღწერილობით-საწარმოო პრინციპის მიხედვით კოლექციების შემდეგი დაჯგუფებებია მოცემული: თავსაბურავების წარმოება, ქეჩის წარმოება,

ფალების წარმოება, უძიროების წარმოება, ქალამნების წარმოება, სირმის წარმოება, თოკის დაგრეხა, საოჯახო ჭურჭელი, აღმოსავლეთის ქართველების წინდები, ნაქარგები, აჭარული ცხვირსახოცები, მიწათმოქმედება, მეღვინეობა, ხის დამუშავება, მეთუნეობა, გადასაყვანი საშუალებები, სამკაულები (ესენი ამიერკავკასიის მასშტაბითაა მოცემული, შერეულია სპარსეთის განათხარი მასალებიც, XIII ს.), მუსიკალური იარაღების დამუშავება, ქსელვა, აბრეშუმის წარმოება, საჭმლის მომზადება, მჭედლობა, ოქრომჭედლობა (ამიერ-კავკასიის მასშტაბით). მოცემულ ექსპოზიციაში აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ თემის მიხედვით წარმოდგენილი საგნები თავისი წარმოშობით თუ მოხმარებით, ტერიტორიულად ერთიმეორისაგან მეტად დაშორებულნი არიან. მაგალითად, მიწათმოქმედების თემა: ფიწალი – სამეგრელოდან, ცელი – ქართლიდან, ნამგალი – კახეთიდან და ასე სხვ. გამოფენა არ იძლევა ერთი რომელიმე კუთხის დეტალურად წარმოდგენას. ყველაფერი ზოგად ხაზებშია მოცემული. ექსპოზიციაში კოსტიუმები უმთავრესად მანეკენებზეა წარმოდგენილი. ექსპოზიცია არ ცდილობს კოსტიუმების თარგები წარმოადგინოს, რომ მნახველი საგნის არსში შეიყვანოს. სრულიადაც არ არის, თუნდაც რაიმე სახით, საცხოვრებელი ბინის ტიპები. კარებზე კოლექციებთან ერთად მოცემულია ფოტოგრაფიული სურათები. ჩემი აზრით, ორიგინალ საგნებთან ხელოვნური ილუსტრაცია შთაბეჭდილებას აფუჭებს, შეუსაბამო გამოდის.

რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება დაარსებიდანვე კარგ პირობებში იყო ჩაყენებული. რადგანაც იგი მეფის კარის სამინისტროს ემორჩილებოდა, სახელმწიფო ხაზინის კარი მისთვის ხშირად იყო ღია. ამ განყოფილების შესაქმნელად რუსეთის მეცნიერების საუკეთესო ძალებს იწვევდნენ. განყოფილებისთვის შენდებოდა სპეციალური შენობა და საფუძვლიანად გროვდებოდა გენერალური საგამოფენო მასალა. მაგრამ, მიუხედავად წინასწარი თადარიგისა, შენობის საგამოფენო ფართობი უკმარი აღმოჩნდა; შეუფერებელი და უკმარი შეიქნა სარეზერვო ბინაც – სარდაფი. 1924 წელს წყალდიდობამ სრულიად გაანადგურა ეს მასალა. მოუხერხებელი გამოდგა სამუშაო ლაბორატორიებიც. ამასთანავე ექსპოზიციის გაშლას მსოფლიო ომმა და რევოლუციამ მოუსწრო, რომელთაც საექსპოზიციო პროგრამის შესრულებას ხელი შეუშალეს. შემდეგ მუზეუმის ახალმა მუშაკებმა ახალი თვალთსაზრისი შემოიტანეს და სამუზეუმო ექსპოზიციაში ზოგი ცვლილებაც მოახდინეს. ერთი ხანია განყოფილება ეტიკეტაჟის ახალ სისტემაზეა გადასული. ადრე ეტიკეტები თითოეულ საგანს ჰქონდა, საგნის სახელი ეწერა და ნომერი ესვა. ეს აჭრელებდა ფარს, ღლიდა მაყურებელს და ძირითად საკითხს არ პასუხობდა. ახლა შემოღებულია კომპლექსის ზოგადი სათაური, მხოლოდ იშვიათ საგანს უზის ეტიკეტი საგნის

სახელის აღნიშვნით, დიდი ახსნა-განმარტება აღკვეთილია. ეტიკეტს მოვარაყებული ფონი აქვს, რომელზედაც შავი ტუშითაა წარწერა გაკეთებული. ერთთავად აქ ეტიკეტები მოცემულია ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად ექსპოზიციის ფონზე. არ არის ცდა იგი ირიბულად წარმოადგინონ, როგორც ამას სამუზეუმო ლიტერატურა ურჩევს მნახველისათვის კითხვის პროცესის გასაადვილებლად. ამას გარდა, საინტერესოა ეტიკეტების შინაარსის საკითხი. ექსპოზიციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით მას სერიოზული მნიშვნელობა აქვს და მუზეუმის მუშაკები დიდ ყურადღებას აქცევენ. ერმიტაჟში სპეციალური კომისიაც კი არსებობს, რომელიც ეტიკეტაჟის საკითხებს ამუშავებს. მე შემთხვევა მომეცა დავსწრებოდი ამ კომისიის პირველ სხდომას, რომელზედაც ეტიკეტების შინაარსის საკითხი ირჩეოდა. კონკრეტულად იგი ეხებოდა მუზეუმის ერთ-ერთ ქანდაკებას – ღვთაება ათენას, რომელიც წარმოდგენილია ნაჩქანსა და საომარ ჯაჭვში. მოქანდაკის იდეით აქ მოცემულია ათენა – მშვიდობიანობის ღვთაება. ასეთი წარწერა არის კიდეც. როგორ უნდა მოახერხოს ექსპოზიციამ, რომ მოკლედ განუმარტოს მნახველს, რაშია აქ საქმე. უნდა დაიწეროს თუ არა, რომ ღვთაება ათენას ესა და ეს ატრიბუტები ჰქონდა, მათ შორის მშვიდობიანობაც, თუ უფრო მოკლედ მოჭრათ. საშუალო ხაზის გამონახვა ეტიკის მეტად რთულია, იგი ბოლო ანგარიშით ექსპოზიციის პრინციპულ საკითხში გადადის და სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. აქვე შეეხერდებით კარადის სიღრმის საკითხზე, რომელიც აგრეთვე სერიოზული საკითხია. მოხსენების გაჭიანურებისა რომ არ გვეშინოდეს, საჭირო ცნობები ნემს მასალებში მოიპოება.

კავკასიურ ქვეგანყოფილებაში წარმოდგენილი მანეკენები ეთნოგრაფიულ განყოფილებას საექსპოზიციო მთავარი პრინციპის თანახმად აქვს გამართული: გულისყურს კოლექცია უნდა იპყრობდეს, სხვა ყველაფერი ამის ხელშემწყობი უნდა იყოს. ამიტომ აქ და სხვა ქვეგანყოფილებებში მანეკენი როდი ცდილობს რეალობის ილუზია შექმნას. პირიქით, მანეკენის სახე მეტისმეტად უფერულად, უსიცოცხლოდაა მოცემული. დასახულია მიზნად, რომ მნახველის ყურადღება სახეზე კი არ შეჩერდეს, არამედ თვით კოლექციაზე. მუზეუმის ახალ თანამშრომლებს (პროფ. რუდენკო, პროფ. რამილოვინი) მიაჩნიათ, რომ ექსპოზიციის ეს პრინციპი, როგორც პრინციპი, მართებულია, ოღონდ ასეთი საშუალებით (უსიცოცხლო სახე) საწინააღმდეგო შედეგებს ვიღებთო. მნახველის ყურადღებას უფრო მეტად მკვდარი, უსიცოცხლო სახე იზიდავს და კოლექცია მისი მხედველობის გარეშე რჩება. ამიტომო, ამბობენ ისინი, მანეკენები იმდენად უნდა შეფერადდეს, რომ ისინი მიცვალებულის შთაბეჭდილებას არ ახდენდნენო. ზოგიერთ ქვეგანყოფილებაში უკვე შეაფერადეს მანეკენების სახე. მგონია, რომ ამით ექსპოზიციამ მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის განყოფილების მეორე დარბაზში, საერთოდ ბოლოში, გამოფენილია კავკასიის კერამიკა. აქვეა განათხარი თიხის ჭურჭელი, აგრეთვე, ეთნოგრაფიული ხის ჭურჭელი და ლითონი. ცალკე ვიტრინებში მოცემულია განათხარი მასალა სამარხების მიხედვით. ამ უკანასკნელი მასალის ეთნოგრაფიულ ექსპოზიციაში შემოტანას პალეო-ეთნოლოგიური პრინციპი შემოაქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად არადამაჯერებლადაა მოცემული, რომ ისმება საკითხი: ღირს კი ამგვარი განხრა შესაფერისი სპეციალისტების მისაღებად. ერთი სიტყვით, სამუზეუმო ექსპოზიციის საქმეში იჭრება კიდევ ერთი ახალი მომენტი, რომელმაც იგი კიდევ უფრო ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ხალხის ფართო მასებისათვის. ეს ახალი მომენტია ცოცხალი სიტყვა, როდესაც მუზეუმის გამოჩენილმა მოღვაწემ პერმან ლიხტვარკმა გასული საუკუნის 20-იან წლებში ჰამბურგის მუზეუმში პირველად მიიყვანა მოწაფეები, მას სიცილი დააყარეს. ამბობდნენ, მოწაფეებისა და გაუნათლებელი ხალხისთვის როდი არსებობს მუზეუმებიო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ ვხედავთ, რომ მუზეუმები მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებია, საიდანაც უხვად ერცელდება და ფართო მასებს ეფინება სამეცნიერო ცოდნა და რასაც თავის თავის შეცნობის აუცილებლობა მოსდევს[3].

1928 წ.

---

[3] შენიშვნა. მოსკოვსა და ლენინგრადში მიღებული სამუზეუმო მუშაობის გამოცდილება გ. ნიტაიამ ბრწყინვალედ გამოიყენა ქართული ეთნოგრაფიული გამოფენების მოწყობისათვის. მან რეალობად აქცია ივ. ჯავახიშვილის სურვილი, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შესაძლებელი ყოფილიყო შრომისა და კულტურის ისტორიის შერწყმულად, ერთ კომპლექსში ჩვენება. მიღებული გამოცდილების და სხვ კავშირის სამუზეუმო გამოფენის კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე მან შეიმუშავა ეთნოგრაფიული გამოფენის დეტალიზებული პროგრამა , რომელიც ვარაუდობდა საგამოფენო ექსპონატების სამეურნეო-მატერიალურ კომპლექსში, როგორც ადამიანის შრომის ჯამის წარმოდგენას.

გ. ნიტაიას მიერ წარმოდგენილი გამოფენის გეგმა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. (იხ. გ. ნ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასკვნა გ. ნიტაიას მიერ შემუშავებული ქართული ეთნოს კომპლექსური გამოფენის დეტალიზებულ პროგრამაზე და მასზე გამოთქმულ გ. ნიორაძისა და ს. მაკალათიას შენიშვნებზე (რუსულ ენაზე) დაცულია გ. ნიტაიას პირად არქივში). იმ პერიოდში ნიეთების გამოფენას საგანმიდნეობად თვლიდნენ და ებრძოდნენ. ოპონენტები იცავდნენ გამოფენის სტადიალური ეპოქების მიხედვით მოწყობის პრინციპს.

მხოლოდ აკად. გ. ნუბინაშვილის მხარდაჭერით შეძლო გ. ნიტაიამ თავისი ნანაფიქრის განხორციელება. მხოლოდ მან დაიცვა გ. ნიტაიას ახალი მეცნიერული თვალსაზრისი ოპონენტთა შენიშვნებისაგან და რეკომენდაცია მისცა მისი დაუყოვნებელი რეალიზაციისათვის. გ. ნუბინაშვილის აზრით, პროგრამის მთავარი ღირსება სწორედ მისი კომპლექსურობაა, რაც ყოფითი მოვლენების მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ერთობლიობაში ვლინდება.

გ. ნიტაიას მიერ შემუშავებული ეთნოგრაფიული გამოფენის დეტალიზებული პროგრამა საფუძვლად დაედო შემდგომ მის მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს, რომლებიც როგორც დანიშნულებით, ასევე გამომსახველობით სიახლე იყო მუზეუმის ცხოვრებაში. [თ. ც.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

ქართული ეთნოგრაფია საბჭოთა ხელისუფლების წლებში

კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექციის 1935 წლის სავალე მუშაობის ანგარიში

თავისი არსებობის პირველი მომენტიდანვე (1935 წ. მარტი) ეთნოგრაფიის სექციამ კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში სამი პრობლემა წამოწია, რომელთა დამუშავება რამდენიმე წელზეა გათვლილი. ეს პრობლემები ეხება რელიგიური ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და მატერიალური კულტურის საკვანძო საკითხებს – კონკრეტულად: 1. კავკასიის ხალხთა სასოფლო-სამეურნეო დღესასწაულების კალენდარს, 2. ოჯახურ-ნათესაობრივი ურთიერთობასა და 3. კავკასიის ხალხთა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენის გახსნის წინ. 1933წ.
დგანან: სტ. მენოეშაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. პოპოვი, გ. ნიტაია, რ. ხარაძე.
სხედან: ო. ომჩუკი, ვ. ბარდაველიძე, ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე.

ამ საერთო პრობლემატიკიდან სექციამ დასამუშავებლად გამოჰყო კონკრეტული საკითხები, სახელდობრ: სამიწათმოქმედო დღესასწაულების შესწავლა, სამიწათმოქმედო იარაღები, აგრეთვე ოჯახურ-ნათესაობრივი ურთიერთობები სვანებსა (ზემო სვანეთი) და ლეჩხუმლებში.

გულმოდგინე წინასწარი მომზადების შემდეგ, დამუშავდა შესასწავლი რაიონების შესახებ არსებული მასალები: ნაბეჯდი, საარქიო და სამუზეუმო კოლექციები. დასამუშავებელი თემების ირგვლივ შედგა სპეციალური კითხვარები. სექტორმა ჩაატარა საველე მუშაობა სვანეთსა და ლეჩხუმში. ამ მუშაობამ მეტად დადებითი შედეგები გამოიღო. კერძოდ, ექსპედიციამ შეძლო დაედასტურებინა მიწის კულტის საინტერესო გადმონაშთები ლიტერატურაში არსებული ცნობებისაგან განსხვავებული (იხ. მარი). უფრო მეტიც, აღმოჩენილ იქნა ამ ღვთაების პრიმიტიული ფიგურა (უემური), ასევე ღვთაება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ლ ი ს – ტყის ნადირისა და მონადირეების მფარველის – და, როგორც ჩანს, ცის ღვთაების გამოსახულება (ზ ე ნ ა ხ ა რ ი).

ამასთან ერთად აღმოჩნდა, რომ სვანების სოციალური წყობა ნაკლებად და არასრულად არის ასახული არსებულ ლიტერატურაში. მ. კოვალევსკისა და სხვა მკვლევრების ცნობები სვანების სოციალური ყოფის შესახებ მეტად სუსტად ასახავს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, რომელიც უკიდურესად რთული და მრავალფეროვანია. სვანების სოციალური სტრუქტურა მდიდარია მრავალფეროვანი სხვადასხვა სტადიისა და თავისებური დაჯგუფებებით და არანაკლებ მრავალფეროვანი, ვიდრე ავსტრალიის ტომების ცნობილი სტრუქტურაა.

ლიტერატურისათვის უცნობი და პირველად აღმოჩენილი სოციალური ჯგუფებიდან უნდა აღინიშნოს:

მ ჩ ე დ - მ ე ნ ე დ, მ უ ს კ ა რ, მ ე ხ უ ბ, მ ო დ გ რ ა გ, კ ვ ი რ ე ი ა და სხვა. ამ ჯგუფების წინასწარმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ზოგიერთი მათგანი, ალბათ, გვაროვნულ წყობამდე არსებული საზოგადოების ელემენტებს შეიცავს და ადამიანთა საზოგადოების ისტორიის უძველესი გადმონაშთია.

გარდა ამისა, ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოვლინდა მატრიარქატის ელემენტები, რომლის არსებობა სვანებში მ. კოვალევსკის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საერთოდ უარყოფილია. გამოირკვა, რომ ლენტეხის საზოგადოებაში დღევანდლამდე შემოინახა თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობების გადმონაშთები, რომლებიც თავისი ფესვებით უკავშირდებიან ქორწინების ყველაზე დაბალ ფორმებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება დამოწმებულია მხოლოდ ერთ, ლენტეხის საზოგადოებაში.

მდიდარი შედეგებია მოპოვებული ექსპედიციის მიერ სამიწათმოქმედო იარაღების ხახით. აღმოჩენილია ხის თოხი და სახნავი იარაღი (ს ა ხ ვ ნ ი ე ლ ი), რომელიც მეტად ორიგინალურია თავისი ქუსლის ფორმითა და საინტერესოა ცალკეული დეტალებით. ქუსლის ელემენტის მიხედვით, ამ იარაღს ანალოგები მოეპოვება მხოლოდ რაჭაში, და, როგორც ჩანს, მესხეთში. ლიტერატურაში ეს კონსტრუქცია არ არის დამოწმებული, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი – რაჭის რაიონები არის მარცვლეულის გაკულტურების ერთ-ერთი მსოფლიო კერა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სახნავი იარაღი სპონტანური, ადგილობრივი წარმოშობისაა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სწავლული სპეციალისტი ვ. ბარდაველიძე, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. ხარაძე და სწავლული სპეც. გ. ჩიტაია.

მიღებულმა შედეგებმა თავისთავად დააყენა სექციის მიერ დასახული პრობლემების გაფართოებისა და მასალების შესაგროვებლად ახალი კადრების მოზიდვის საჭიროება. საანგარიშო პერიოდში სექციამ შეძლო ამ სამუშაოს შესასრულებლად ადგილობრივი მუშაკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზიდვა – ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა, გურია და სხვა. მასალა უკვე მიღებულია ზემო და ქვემო სვანეთიდან, მეორე მხრივ, საჭირო იყო კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა კონსოლიდაცია, მათი მომზადება კონფერენციის ჩასატარებლად. საანგარიშო წელს სექციამ ანკეტური კითხვარების საშუალებით მოახდინა კავკასიის ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების რეგისტრაცია. დამთავრდა მოსამზადებელი სამუშაოები 1936 წ. კონფერენციის ჩასატარებლად.

სექციის მიერ შესრულებული ძირითადი თემების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წლის დეკემბერში შემდგარ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების თათბირზე, იგი არა მარტო მოწონებულ იქნა, არამედ ჩართეს, როგორც წამყვანი თემები აკადემიის სხვა ინსტიტუტებისა და ფილიალებისათვის. კერძოდ, ИАЭН-მა თავის თავზე აიღო ჩვენი სექციის ძირითადი თემატიკის გადამუშავება ჩრდილოეთი კავკასიისა და დაღესტნის ხალხების შესახებ ლენინგრადის საარქივო ფონდების შესწავლისათვის. სექცია იმედოვნებს, რომ რიგი ინსტიტუტების საერთო ძალისხმევით, კოორდინირებული მოქმედებითა და ადგილებზე მუშაკების მოზიდვით შესაძლებელია ამ პრობლემების უმოკლეს დროში და ეფექტურად დამუშავება.

მთავარ თემაზე მუშაობის პარალელურად სექცია ამუშავებდა კავკასიის ეთნოგრაფიის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც. საანგარიშო წელს დამუშავდა ნ. მარის ნაშრომები, დასრულდა მუშაობა თემაზე „ეთნოგრაფიის საკითხები ნ. მარის ნაშრომებში“.

სექცია დიდ ყურადღებას უთმობს ახალი კადრების მომზადებას. თუ 1934 წელს მომზადდა ერთი ასპირანტი, 1935 წელს მზადდება სამი ახალი და 1936 წ. იანვრიდან ასპირანტურაში მიიღებენ კიდევ ორ ეთნოგრაფ ასპირანტს.

საანგარიშო წელს სექცია შედგებოდა: ორი სწავლული სპეციალისტისა და ერთი უმცროსი მეცნიერი თანამშრომლისაგან. მათგან ორი სექტემბრიდან მივლინებულია ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიაში: ერთი – დოქტორის ხარისხის, მეორე – კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. საანგარიშო პერიოდში სექციაში ჩატარდა რვა სხდომა. მათგან სამზე მოისმინეს სამეცნიერო მოხსენებები, ხოლო ხუთზე ორგანიზაციული საკითხები.

1936 წ.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხების შესახებ მოწვეულ პლენუმზე (სხდომაზე) მივლინების მოკლე ანგარიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმი შედგა ლენინგრადში 1938 წ. ივნისის 7–12. მას დაესწრო 54 არალენინგრადელი დელეგატი. პლენუმზე წარმოდგენილი იყო: ყაზახეთი – 1 დელეგატი (ალმა–ატა), აზერბაიჯანი – 4 (ბაქო), რუსეთი – 27 (ვორონეჟი – 1 , გორკი – 1, კალინინი – 1, ომსკი – 1, მოსკოვი – 16, სარატოვი – 4, სმოლენსკი – 1, სტალინგრადი – 1, ჩელიაბინსკი–1), სომხეთი – 1 (ერევანი), უდმურტთა ავტ. ოლქი – 1. (იჟევსკი), მარის ავტ. ოლქი – 1 (იოშკარ-ოლა), უკრაინა – 1 (კიევი – ფოლკლორისტი), უზბეკისტანი – 3 (ტაშკენტი, სამარყანდი, კოკანდი), ბელორუსია – 1 (მინსკი – ფოლკლორისტი), კარელია – 1 (პეტროზავოდსკი), საქართველო – 7 (ტფილისი – 5, გორი – 1, სოხუმი – 1). ლენინგრადი წარმოდგენილი იყო: ეთნოგრაფიის ინსტიტუტით, ჩრდილოეთის ხალხთა ინსტიტუტით, ეთნოგრაფიის მუზეუმით, მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტით და სხვ.

პლენუმმა ჩაატარა 2 პლენარული და 14 სექციური სხდომა, რომლებზედაც მოსმენილი იყო 42 სამეცნიერო-კვლევითი და 16 საინფორმაციო მოხსენება.

სამეცნიერო-კვლევითი მოხსენებები თემატურად განეკუთვნებიან: ეთნოგენეზს– 2, ზოგად ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს– 5, ფოლკლორს–7, რელიგიას– 6, მატერიალურ კულტურას– 5, თანამედროვე ყოფას– 7, ანთროპოლოგიას– 1, ისტორიას– 2, ხელოვნებას– 5 და სხვ.

პლენუმი სამი სექციის სახით მუშაობდა: 1. ეთნოგრაფიის, 2. ფოლკლორის და 3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული. ვინაიდან ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლები ეთნოგრაფიულ სექციაში მუშაობდნენ, ჩვენს ანგარიშში, უმთავრესად, ამ სექციის მუშაობას შევეხებით.

მას შემდეგ, რაც 1929 წელს არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების ყრილობაზე ლენინგრადში მიღებული იყო დადგენილება ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების ლიკვიდაციის შესახებ, დადგენილება, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა კავშირის მრავალ რესპუბლიკაში საბჭოთა ეთნოგრაფიას და მისი განვითარება შეაფერხა (იხ. პლენუმის მიერ მიღებული რეზოლუციის §5) – საჭირო იყო შვიდი წლის შემდეგ პირველად შეკრებილ ეთნოგრაფიულ პლენუმს გაემახვილებინა ყურადღება საბჭოთა ეთნოგრაფიის ამოცანებისა და აქტუალური პრობლემებისადმი. ეს ასეც მოხდა.

აკად. ვ. სტრუვეს მოხსენება „Задачи Института этнографии в связи с актуальными проблемами советской этнографии“ ამ მიზანს ისახავდა. მოსმენილ მოხსენებასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია (იხ. რეზოლ. §4):

„საბჭოთა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტების საპასუხისმგებლო და მასთანვე საპატიო მოვალეობაა ყოველმხრივ შეისწავლოს ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს მრავალრიცხოვანი ხალხის ეროვნული თავისებურებები, ყოფა და შემოქმედება“ და სხვა. შემდეგ ვკითხულობთ (იხ. თეზისები §7), თუ რა ევალებათ საბჭოთა ეთნოგრაფებს, სპეციალისტებს სახლვარგარეთის ეთნოგრაფიის დარგში: მათ ბოლომდე უნდა გამოამჟღავნონ ბურჟუაზიული ეთნოგრაფიის ფაშისტური – რასიული კონცეფციები, რომელთა მიზანია გაამართლოს კოლონიური ნაგვრა.

ამისდა თანახმად, პირველ რიგში, პლენუმის მიერ ადიარებულ იქნა საჭიროდ (იხ. რეზოლ. §10):

ა) მუშაობის გარდაქმნა იმ მიმართულებით, რომ ეთნოგრაფიული კვლევითი მუშაობის თემატიკა დაუახლოვდეს სსრკ-ს ხალხთა კულტურული მშენებლობის მოთხოვნილებებს.

ბ) გეგმიანი მუშაობის გაშლა სსრკ-ს ხალხთა ეთნოგრაფიის მონოგრაფიული შესწავლის მიზნით.

გ) თემატიკაში სსრკ-ს ხალხთა კულტურის ისტორიის ერთიანობის პრობლემების შეტანა.

დ) ზომების მიღება, რათა მოგვარდეს ეთნოგრაფიის სწავლება დიდ უნივერსიტეტებსა და სოციალურ-ეკონომიურ და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო პირველ რიგში – მოსკოვსა, ტფილისსა, ერევანსა და ტაშკენტში.

ე) ეთნოგრაფიული მასალების და სამუზეუმო ეთნოგრაფიულ კოლექციების სისტემატური და გეგმიანი შეგროვება, რაც სასწრაფოდ უნდა შესრულდეს, ვინაიდან ძველი ყოფის ეთნოგრაფიული მასალები სწრაფად ისპობა და სხვა.

პლენუმის დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს ეს დადგენილება, რამდენადაც ამით უგულებელყოფილია ძველი შეხედულება ეთნოგრაფიაზე და ეთნოგრაფია აღდგენილია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა. მიუხედავად ამისა, სტრუვეს მოხსენებაში ჯერ კიდევ მრავალი საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი. პლენუმზე ჩვენ აღ-ვნიშნავდით, სხვათა შორის, რომ სამუზეუმო ექსპოზიციაში ახალი ყოფის წარმოდგენა ეკონომიკის გარეშე, როგორც ამას აღნიშნავს აკად. სტრუვე – მიუღებელია. ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკის წარმოდგენა ექსპოზიციაში ეთნოგრაფიულ გამოფენას საბჭოთა მშენებლობის გამოფენად აქცევს. ამ შემთხვევაში მისაღები მოდუსის გამონახვა იოლი საქმე არ არის. ამ საკითხში არ დააკმაყოფილა პლენუმი იმ ცდამ, რომელსაც ადგილი აქვს ლენინგრადის ეთ-ნოგრაფიის მუზეუმში. იქ ახალი ყოფა სანახაობადაა გადაქცეული და სტატიკურობას არ გასცილებია. ასევე არადამაკმაყოფილებელია ამავე მუზეუმში ძველი ყოფის ექსპოზიცია.

სამწუხაროდ, პლენუმზე საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი საკითხი მხოლოდ ერთი მოხსენებით იყო წარმოდგენილი. საბჭოთა ეთ-ნოგრაფიის ძირითად საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული და მისგან გამომდინარე საკითხები დარჩა ყურადღების გარეშე. მთავარ მოხსენებებში დასმული საკითხის გაშლას სხვა მოხსენებებში ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებები მრავალად იყო

წაკითხული. ამ მხრივ პლენუმის ნაკლი იყო ის, რომ პლენუმს ეროვნული ეთნოლოგიის ... ჰქონდა წინასწარ მოფიქრებული ძირეული საკითხები, რომლებიც პლენუმის მსჯელობის მთავარი საგანი უნდა ყოფილიყო. ამიტომ საკითხები ხუთწლიანი გეგმისა, სამუშაოებისა და სხვა სხვა დროისათვის გადაიდო.

ეთნოგრაფიულ სექციაში წაკითხული მოხსენებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ის მოხსენებები, რომლებიც ეთნოგენეზისის საკითხებს ეხებოდა: პროფ. პროკოფიევის „Этногенез народностей Обь-Енисейского бассейна (ненцы, селькупы, нганасане)" და სხვ., ს. ტოკარევის „Происхождение якутской народности" და პროფ. ბახრუშინის „Хозяйство и общественный строй якутов", პროფ. დ. ზელენინის მოხსენება „историческая общность культуры русского и украйнского народов" მეტად აქტუალურ თემას ეხებოდა, მაგრამ მის გარშემო გამართული კამათი ასცდა სწორ გეზს, მომხსენებლის მეთოდის კრიტიკის ნაცვლად მსჯელობის საგნად ანთროპოლოგიური მონაცემის გამოუყენებლობა გახდა, რასაც მოსკოველებისა და ლენინგრადელების გადაჭარბებული რეპლიკები მოყვა (ივანოვი, ტოლსტოი და სხვები).

სხდომა ენიმიკის ინსტიტუტში, 1936 წ.

ცხარე კამათი გამოიწვია ნ. ნიკუშინის მოხსენებამ „Первобытные производственные объеденения и их роль в социалистическом строительстве у эвенков". მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ გვაროვნულ გაერთიანებებს ხელის შემწყობი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისათვის. არსებითად ეს საკითხი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია უარყოფითად ხელმძღვანელი ორგანოების მიერ, შუა აზიის სათანადო სინამდვილის გათვალისწინებით.

მოხსენებებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება უნდა იქნეს აღნიშნული. რიგი მოხსენებები ეხებოდა გვაროვნული გადმონაშთების არსებობას კავშირის სხვადასხვა ხალხებში, მაგრამ მომხსენებლები კმაყოფილდებოდნენ ზოგადი გვაროვნული ნიშნების აღნიშვნით და გვერდს უვლიდნენ მათთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ასეთი მოხსენებების ფონზე ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ წაკითხული მოხსენებები ბევრი სხვა მოხსენებიდან შესამჩნევად გამოირჩეოდა.

პლენუმის მომწყობ კომიტეტს უცნაურად ჰქონდა განაწილებული მოხსენებები. ასე გამოდიოდა, რომ კავკასიის ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული მოხსენებები სხვადასხვა ქვე-სექციებში უნდა წაკითხულიყო.

ჩვენ ამის წინააღმდეგ წავედით. შეიქმნა კავკასიური სექცია, სადაც წაკითხული იყო ყველა მოხსენება კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხების შესახებ. ამ სექციაში დროდადრო ჩვენი წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა. აქ საყურადღებო მოხსენება გააკეთა ე. სტუდენეცკაიამ „Кочевное товарищество у горцев Северного Кавказа", მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ qoš nogerlik-ი აღმოცენებულია სახოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურზე და ხანგრძლივი ტრანსფორმაცია აქვს გავლილი. აღსანიშნავია ე. შილინგის „Ингушский Тушоли". მომხსენებელი შეეცადა დაედგინა ტუშოლის ბუნება: ნაყოფიერების ღვთაება (კაცის, საქონლის, მოსავლის). სუსტი მოხსენება აღმოჩნდა ნ. მინლოსისა, „Семейное право у рачинцев", მომხსენებელი პლენუმის მომწყობ კომიტეტს საგანგებოდ მოუწვევია მოსკოვიდან მოხსენების წასაკითხავად. სექციის მიერ დაწუნებული იყო მოხსენების როგორც მიზანდასახულება, ისე ფაქტიური მასალა. ამის შესახებ ყრილობის მუშაობის დროს გამოცემულ კედლის გაზეთშიც იყო წერილი მოთავსებული.

ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ აქ წაკითხული მოხსენებების:

1. Одна из графем грузинского алфавита в свете древнейших верований сванов (მომხს. ვ. ბარდაველიძე).

2. О некоторых элементах женского головного убора картвельцев (მომხს. რ. ხარაძე).

3. Надземные склепы Хевсуретии (მომხს. გ. ნიტაია).

ძირითადი დებულებები სექციის სხდომაზე გამოსულთა უმრავლესობამ გაიზიარა (სტრუვე, სტუდენეცკაია, შილინგი და სხვ.). აღნიშნავდნენ, რომ ეს მოხსენებები გამოირჩევა ეთნოგრაფიული თავისებურებების ძიებით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის საკითხების გადაჭრის დროს. პროფ. ოლდერიგემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სახის მუშაობის დროს სასურველია აფრიკული, კერძოდ, ბერბერული მასალების გამოყენება. რამდენადაც, მისი აზრით, მათ მრავალი შეხვედრა აქვთ კავკასიურ-წინა-აზიური კულტურის ელემენტებთან, (N. B. ეტყობა, რომ ამ მიმართულებით ლენინგრადში მუშაობა წარმოებს. ფრანკ-კამენეცკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ჩვენ მოვისმინეთ ლინგვისტური მოხსენება თემაზე: „პარალელები ქამიტურ-სემიტურ-იაფეტურ-ბანტუს ენებში" მომხს. იუშმანოვი).

საინფორმაციო მოხსენება პლენუმზე ეთნოგრაფიის დარგში მხოლოდ საქართველოდან და სომხეთიდან გაკეთდა. პლენუმის პროგრამაში აღნიშნული კავშირის ხალხთა მუზეუმის საინფორმაციო მოხსენება მოიხსნა. მოსმენილი იყო „Этнография в Советской Армении

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მომხს. სტ. ლისიციანი)", „Итоги изучения этнографии грузинских евреев" (მომხს. ა. კრიხელი), „Этнографическая работа Грузинского Краевого общества" (მომხს. ს. მაკალათია) და „Грузинская этнография за советский период" (მომხს. ვ. ჩიტაია).

ჩვენს საინფორმაციო მოხსენებასთან დაკავშირებით პლენუმის თავმჯდომარემ აკად. ვ. სტრუვემ აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, საქართველოდან ჩამოსული ამხანაგების მხურვალე მონაწილეობა ჩვენს პლენუმში, ხოლო, მეორე მხრივ, ის დიდი სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს ტფილისში საერთოდ და კერძოდ ეთნოგრაფიის დარგში, საქართველოს მუშაკებს საბჭოთა კავშირის მეცნიერების მუშაკთა მოწინავე რიგებში აყენებს და მათ მუშაობას მისაბაძ მაგალითად ხდის. ეს ასეც უნდა იყოს, თქვა მან, რადგან იქ მოღვაწეობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. მარის მოწაფე, მას არ შეეძლო ეთნოგრაფიისათვის ყურადღება არ მიექცია და სათანადო დონეზე არ დაეყენებინა (იხ. 11/VI დილის სხდომის სტენოგრაფ. ანგარიში).

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაშიც აღნიშნულია ეთნოგრაფიის განსაკუთრებული მდგომარეობა საქართველოში. სიტყვასიტყვით რეზოლუციაში ნათქვამია შემდეგი: „მოხსენებები ეთნოგრაფიული მუშაობის შესახებ ადგილებზე, ისევე როგორც სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გაკეთდა სხდომაზე ცენტრალური და ადგილობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ, მოწმობს სსრკ ზოგიერთ რესპუბლიკებსა და ოლქებში ეთნოგრაფიული მუშაობის ერთგვარ ზეაღმავლობას (ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ჩრდილოეთის ხალხთა ინსტიტუტი, სომხეთის სსრ და განსაკუთრებით საქართველოს სსრ და სხვა) (იხ. რეზოლ. §8).

ამავე სხდომაზე მოწონებული იყო ჩვენი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების საწარმოო გეგმა და გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი გამოცემები იბეჭდებოდეს პარალელურად ქართულ და რუსულ ენებზე, უკიდურეს შემთხვევაში ფართო რუსული რეზიუმეთი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ჩვენი წარმომადგენლები დაესწრნენ ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საწარმოო თათბირს 16/VI, სადაც მოხსენებით გამოვიდა აკად. ვ. სტრუვე პლენუმის შედეგების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიის ინსტიტუტი პლენუმს მომზადებული შეხვდა, პლენუმს არ ჰქონდა გარკვეულად დასმული ღერძის საკითხი, ინსტიტუტი არ იყო წამყვანი პლენუმის მუშაობაში, ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას, ინსტიტუტის თანამშრომლების მოხსენებების უმრავლესობა სუსტი იყო: პლენუმის მომწყობ კომიტეტს არ უნდა გამოეშვა მინლოსი სუსტი მოხსენებით და სხვა. ჩვენმა წარმომადგენელმა თათბირზე აღნიშნა, რომ მარტოდმარტო უდროობით არ უნდა აიხსნას, ალბათ, პლენუმის შეხვედრა – მოუმზადებლად. თუმცა ჩვენც მცირე დრო გვქონდა ტფილისში, მაგრამ

წინასწარ დავამზადეთ მოხსენებები და თუხისები. თუხისები კითხეთ ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში და სათანადო ვიზის მიღების შემდეგ გამოვეემგზავრეთ. ასევე უნდა მოქცეულიყო ეთნოგრაფიის ინსტიტუტიც. პლენუმის მომწყობ კომიტეტს თუხისები სათანადო ინსტიტუტების დასტურით უნდა მიეღო. აგრეთვე, საჭირო იყო პლენუმზე დასამუშავებლად ძირითადი საკითხი წინასწარ დაგვედგინათ და მის გარშემო დაგემზადებინათ მოხსენებები. მომავალში პლენუმზე დასამუშავებელი საკითხების შერჩევა უნდა მოხდეს კავშირის ეთნოგრაფიულ ცენტრებთან შეთანხმებით. აგრეთვე, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ასეთ შეკრებებს ესწრებოდნენ ეთნოგრაფები კავშირის ყველა რესპუბლიკიდან. პლენუმზე არ იყვნენ ეთნოგრაფები უკრაინიდან და ბელორუსიიდან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის გარდა ჩვენმა წარმომადგენელმა მოხსენება წაიკითხა ეთნოგრაფიის მუზეუმში თემაზე: „ეთნოგრაფიული მუშაობა საქართველოს მუზეუმებში“.

მოხსენებამ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რადგანაც მოხსენებაში აღძრული იყო ბევრი პრინციპული საკითხი და მათი გადაჭრის ცდა იყო მოცემული. – გამოითქვა სურვილი მოხსენების დაბეჭდვის შესახებ.

ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა იმუშავეს კავკასიის ეთნოგრაფიულ კოლექციებსა და შედარებით მასალებზე ლენინგრადში: ეთნოგრაფიის მუზეუმში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და სახელმწიფო ერმიტაჟში; მოსკოვში: კავშირის ხალხთა მუზეუმსა და ისტორიულ მუზეუმში. გარდა ამისა ჩვენი წარმომადგენლები გაეცნენ მუზეუმებს: სარატოვში (მხარეთმცოდნეობისა და ჩერნიშევსკის მუზეუმებს), სტალინგრადში (ცარიცინის დაცვის მუზეუმი) და ორჯონიკიძეში (ინგუშთა მუზეუმი და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი და მუზეუმი). ყველა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებასთან დამყარდა სამეცნიერო კონტაქტი. ორჯონიკიძის მუშაკების მიერ გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოს ინიციატივით მოეწყოს კავკასიის ეთნოგრაფიების ყრილობა ტფილისში.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია ლენინგრადში მივლინებულ ეთნოგრაფების სახელით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ენიმკი-ს დირექტორს პროფ. ს. ჯანაშიას და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომელთაც საშუალება მოგვცეს მონაწილეობა მიგვეღო პლენუმის მუშაობაში და ნაგვეტარებინა მუშაობა კავშირის სხვადასხვა ცენტრში საჭირო და სასარგებლო საქართველოს ეთნოგრაფიის შემდგომი ზეაღმავლობისა და წარმატებისათვის.

1938 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ეთნოგრაფიას ხანგრძლივი ტრადიციები აქვს. იგი სათავეს იღებს ქართველ ტომთა ზნე-ჩვეულებების უძველეს ცნობებში, რომლებიც ხეთურ, ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებშია შემონახული. მნიშვნელოვანი ღირებულების მასალებია დაცული არამეულ, ებრაულ, ბერძნულ და რომაულ დამწერლობაში.

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ ძველი ავტორები ყოველთვის როდი კმაყოფილდებიან მხოლოდ ეთნოგრაფიული მოვლენების აღწერით, არამედ აყენებენ და თავისებურად წყვეტენ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებს. ამ საკითხებს ნაწილობრივ მიეკუთვნება ქართველი ტომების ეთნოგენეზის პრობლემა. ჩვენს ერამდე V საუკუნეში ჰეროდოტე ცდილობს საფუძველი მოუნახოს კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობას, ხოლო ძვ. წ. I საუკუნეში სტრაბონი ქართველი მთიელი ტომებისა და სარმატების ნათესაობით ხსნიდა მათი ყოფითი მოვლენების მსგავსებას. ამ პრობლემას XI ს. ეხება ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომელმაც თავის ნაშრომში: „ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ წამოაყენა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების, ქართველების, ჰაოსიანების (სომხების), ჩერქეზების, ლეკების და ალბანელების წარმოშობის ერთიანობა.

XVIII ს. ნახევარში ქართველი ტომების ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა აღწერა მოგვცა ქართველმა სწავლულმა ვახუშტი ბაგრატიონმა თავის ცნობილ ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომლის პირველი ხელნაწერი 1745 წელს გამოვიდა მოსკოვში. როგორც

ვ. ნიტაია და ვ. ბარდაველიძე ქართველ ეთნოგრაფთა შორის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის საგამოფენო დარბაზი, 1960 წ.

ცნობილია, ვახუშტი დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვში პრესნიაზე, და მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თანამედროვე რუს სწავლულებთან. თავის ნაშრომში ვახუშტის მოაქვს ცნობები საქართველოს ცალკეული რაიონებისა და მისი მეზობლების დასახლების ხასიათზე, ბუნებრივ რესურსებზე, მეურნეობაზე, კოსტუმებზე, ნაგებობებზე, მოძრაობის საშუალებებზე, საქორწილო წეს-ჩვეულებებზე, სისხლის აღებაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და სხვ. ამასთან ერთად ვახუშტი არც თუ იშვიათად უთითებს ძველი ყოფის მოვლენებზე, თავისთავად და ნასესხებ ჩვეულებებზე. იგი აგრეთვე ასხვავებს მთიელთა და ბარის მცხოვრებთა ყოფით თავისებურებებს და ხსნის მოსახლეობის მოძრაობის ძირითად ტენდენციებს მთიდან მთისწინეთსა და ბარში და პირუკუ, ბარიდან მთისკენ. საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ მისთვის უცხო არაა ეთნოგრაფიის ზოგიერთი ძირითადი ტერმინის ზუსტად გამოყენება, როგორიცაა მაგალითად ზნე (რუსული – нрав) და ჩვეულება (რუსული – обычай). აგრეთვე ეთნოგრაფიული მოვლენების დაპირისპირება და შედარება. ეს მიდგომა ვახუშტის თანადროულ დასავლეთ-ევროპულ მეცნიერებაში უფრო ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო. მისგან შემდგომში გამომუშავდა შედარებითი მეთოდი. ნათქვამს უნდა დაემატოს, რომ პროგრამა, რომლის მიხედვით ვახუშტი აღწერს ქართველ და სხვა ტომთა ეთნოგრაფიულ ვითარებას, საკმაოდ ფართოა და სრულიადაც არ ჩამორჩება იმ დროის ეთნოგრაფიულ აღწერილობათა საუკეთესო პროგრამებს.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს ღირსებებს აღნიშნავდა პირველი ქართველი ბეჭდური ტექსტის გამომცემელი და მისი პირველი მთარგმნელი ფრანგულ ენაზე (1842, პეტერბურგი) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი – მ. ბროსე. თავის სტატიაში „ძველი საქართველოს ძეგლთა შესწავლის აუცილებლობისა და საშუალებების შესახებ“ (თბ. 1844) ის წერდა: „ვახუშტიმ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არც ერთი აზიური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი“. სამწუხაროდ, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ასე კარგად დაწყებულმა მუშაობამ შემდგომში ვერ ჰპოვა ღირსეული გამგრძელებლები. XIX ს. დასაწყისის ქართველი ენციკლოპედისტები მხოლოდ სპორადულად ასახავდნენ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ერთი საყურადღებო ავტორი, რომელიც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას იძლევა. კერძოდ, იოანე ბატონიშვილი, რომლის ნაშრომი „კალმასობა“ ისე არის მოფიქრებული, რომ გარკვეული გაგებით იმდროინდელ ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

XIX ს. შუახანებში, რუსეთის ცენტრსა და დასავლეთში ეთნოგრაფიული მუშაობის აღორძინებასთან დაკავშირებით, საქართველოში ეთნოგრაფიულ ფრონტზე იგრძნობოდა გარკვეული გამოცოცხლება. პეტერბურგში ჩამოყალიბდა რუსეთის გეოგრაფიული

საზოგადოება ეთნოგრაფიული განყოფილებით, პარიზში 1837 წ. დაარსდა ეთნოგრაფიული საზოგადოება, ლონდონში 1842 წ. და ა.შ. გამოდის ვახუშტის შრომა (1842), ყალიბდება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1852). მასთან იქმნება – კავკასიის მუზეუმი ეთნოგრაფიული კაბინეტით, რომლის პირველი მზრუნველი იყო ეთნოგრაფი და პოეტი რ. ერისთავი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მუზეუმის დაარსებისა და მუშაობის საქმეში ისეთ პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად, როგორებიც იყვნენ – დ.ყიფიანი, მ.თუმანიშვილი და სხვა. ამ პერიოდშივე დ. ციციშვილი-ფანასკერტელი წერს ნაშრომს თემაზე: „საქართველოს ზნე-ჩვეულებანი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, კოლ.№1499). მაგრამ ეს გამოცოცხლება – ნაყოფი ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივისა, მეფის მთავრობის მიერ ჩახშობილ იქნა და კავკასიის მუზეუმმა 1856 წელს შეწყვიტა თავისი არსებობა.

1865 წ. ძველი კავკასიის მუზეუმის კოლექციების ბაზაზე მთავრობა აარსებს კავკასიის მუზეუმს, მის დირექტორად იწვევს გერმანელ გ.რადეს. ცნობილია, რომ რადე საუკეთესო კავკასიური ეთნოგრაფიული კოლექციებით ამარაგებდა საზღვარგარეთის მუზეუმებს (ჰამბურგში, ლაიფციგში, ბერლინში). ამ მუზეუმს არსებობის მანძილზე სამუშაოდ არ მიუზიდავს ადგილობრივი მუშაკები. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ვიდრე მუზეუმის დირექტორად გ.რადე იყო – მუზეუმში ბატონობდა ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების რარიტეტული და ანტიკვარული მეთოდი.

60-იან წლებში ეთნოგრაფიის დარგში ახალი წამოწყებების წინაშე ვდგავართ. 1852 წ. დაარსებული მუზეუმის მუშაობა ისე შენელდა, რომ ბოლოს მხოლოდ კოლექციების საყოფად დარჩა. სწორედ ამ დროს ეთნოგრაფიის დარგში ახალი გეზის მიმცემ პიროვნებად ილია ჭავჭავაძე ჩნდება.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით XIX ს. 80-იან წლებში ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იქმნება მუშაკთა ჯგუფი, რომელიც მიუხედავად ძნელი პირობებისა, ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართული ეთნოგრაფიის სარბიელზე. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ქართული წერილობითი მატიანე, პირველ რიგში „ქართლის ცხოვრება“, ძირითადად მეფეების ცხოვრებას ასახავს და რომ საჭიროა ქართველი ერის, ხალხის ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად პირველ რიგში ხალხის ყოფისა და კულტურის თავისებურებების გამოვლინება. მანვე ფართო სარბიელზე გამოიტანა ხალხის ყოფის და კულტურის საკითხების შესწავლა, გამოაცხადა ეს საქმე ეროვნული მნიშვნელობისად. ამ სარბიელზე მოღვაწეობდნენ: ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ბესარიონ ნიკარაძე (თავისუფალი სვანი), ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი (მოხსუბარიძე), პეტრე ჭარაია და სხვ. მათ მიერ შეკრებილია ძვირფასი

ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მაშინ იბეჭდებოდა ქართველ პერიოდულ პრესაში (დროება, ივერია, მოამბე, გუშინის დღე).

ეს მუშაობა ეთნოგრაფიის დარგში გრძელდებოდა XXს. დასაწყისშიც. ამ დროს თბილისში ქართველი საზოგადოების ინიციატივით არსდება მეორე მუზეუმი (1907 წ.) – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი – რომელიც ნებაყოფლობით შეგროვებული თანხების ხარჯზე არსებობდა..

გ. ნიტაია ეთნოგრაფიული კონგრესის მონაწილეთა შორის, 1964 წ.

რევოლუციის შემდგომ ეთნოგრაფიას ახალი შესაძლებლობები შეექმნა. ამ ხანად საქართველოს ეთნოგრაფია ყალიბდება დამოუკიდებელ დისციპლინად. პირველ ხანებში, რაც მას ახასიათებს, ეს იყო კონცენტრაცია ყველა იმ ეთნოგრაფიული კოლექციებისა, რომლებიც გაბნეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. ამის შედეგად ყოველგვარი ეთნოგრაფიული მასალა ამჟამად თავმოყრილია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. მასში შევიდა – კავკასიის ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციები, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ეთნოგრაფიული, შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ შეგროვებული, საეკლესიო მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციები და, ამგვარად საქართველოს მუზეუმის ფარგლებში შეიქმნა შესანიშნავი ბაზა სამეცნიერო კვლევისათვის.

მაგრამ ამ მუშაობის გვერდით, ე. ი. საკოლექციო მასალების თავმოყრის გვერდით, საქართველოს ეთნოგრაფიის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა. ეს იყო ხალხის ყოფაში სისტემატური მუშაობის წარმოება საკოლექციო და სხვა მასალების შეგროვების მიზნით. გარკვეული გეგმისა და მეთოდიკის საფუძველზე გაიშალა მუშაობა და სრულიად ახალ საფუძველზე აიგო საველე სამუშაოები.

თუმცა ქართულ ეთნოგრაფიას ძველი მემკვიდრეობა გააჩნდა, ძველი ტრადიციებიც მოსდევდა, მაგრამ ეთნოგრაფიული საქმიანობა ახლა საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვდა. დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ დარგის თეორიული საფუძვლებისა და მისი მუშაობის მეთოდის შესახებ. რუსეთში მიმდინარეობდა ძველი, რევოლუციამდელი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული გადაფასება, მეცნიერული და მეთოდოლოგიური კრიტერიუმების გამომუშავება, საერთოდ,

ეთნოგრაფიის თეორიული საფუძვლების გარდაქმნა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე.

საქართველოში ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ყოფისა და კულტურის შესახებ აღსავსე იყო სხვადასხვა ფსევდომეცნიერული ზოგადი თეორიებით (კულტურის მიგრაციებსა და დიფუზიაზე, იძულებით სესხებაზე, ირანიზმსა და სხვ.). ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა უტყუარი ეთნოგრაფიული ფაქტების სიმცირე. ამიტომაც იმთავითვე დიდი ყურადღება დაეთმო საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდოლოგიის საკითხებს. ძველი რარიტეტული, ანტიკვარული და სხვა ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკული შეფასებისა და უკუგდების შედეგად შემუშავდა კვლევის ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურ მთლიანობაში, ბაზისური და ზედნაშენი მოვლენების ერთიანობაში, ისტორიზმის პრინციპების დაცვით.

ყოველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე წარმოადგენს რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე შეხამებას ძველი, დრომოჭმული და მომაკვდავის ახალთან, პროგრესულთან. ეს ელემენტები განხილულნი უნდა იქნენ მათ განვითარებაში, მოქმედებაში. ამასთან ერთად, მართებულად შეიძლება ჩაითვალოს ეთნოგრაფიული მოვლენების ფიქსაციის მხოლოდ ისეთი მეთოდი, როდესაც შესაძლებელია გადასვლა ამ მოვლენების მეტ-ნაკლებად სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერიდან, ობიექტურ-ხარისხობრივზე. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით, გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე , ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უაზრობად გადაიქცეს თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათთან მოწყვეტით, და პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან მის განუწყვეტელ კავშირში, გარემო მოვლენებისგან მის განპირობებაში.

ამ მოთხოვნილების შესრულება საველე ეთნოგრაფიულ მუშაობაში შესაძლებელია მხოლოდ მოვლენის კომპლექსური შესწავლით, მაშინ როცა ერთის მხრით, კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები და, მეორე მხრით, როცა ყოველი საგანი აღიწერება სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან ერთად, საჭიროა ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით, და ნივთიერი – ორიგინალების სახით.

ამ მეთოდის თვალსაზრისით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენის გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მასალის გადაჯვარედინებული ფიქსაცია და ადგილზე კარგად შედგენილი ბიოგრაფია ერთი

კონკრეტული სახვნელი იარაღისა იძლევა მეტს, ვიდრე მრავალი ათეული ამგვარი იარაღის ხერელე აღწერილობა. ამასთან ერთად, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში: ოჯახი, გვარი, გვაროვნული გაერთიანებები და სხვ.

ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები მეცნიერულ კვლევა-ძიებას წარმართავდენ კონკრეტული ეთნიკური მთლიანობის შიგნით, იკვლევდენ შესასწავლი ხალხის ყოფისა და კულტურის სპეციფიკურსა და ზოგად თავისებურებებს. ქართველი ხალხის კუთხური თავისებურებების კვლევის შედეგები ზოგად ქართულის დაბგენას ემსახურებიან.

თავის გამოკვლევებში ქართველი ეთნოგრაფები არა მარტო ადგენენ და ხსნიან ფაქტებს, არამედ ისწრაფვიან ჩასწვდნენ მათ ურთიერთკავშირს, ახსნან და განსაზღვრონ მოვლენების მიზეზობრიობა. ამას ისინი აღწევენ არა მარტო საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის გათვალისწინებით, არამედ საქართველოს, კავკასიის, წინა აზიისა და სხვ. ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ისტორიული ეთნოგრაფიის მონაცემების მოშველიებით. ეთნოგრაფიული მოვლენების თავისებურებათა ახსნასთან ერთად, როგორც წესი, ხდება ამ მოვლენების წარმოშობისა და განვითარების პროცესების ფესვების დადგენა მათ ურთიერთკავშირში. ამის წყალობით საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის კონკრეტული საკითხების შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, როგორც წესი, წინა პლანზე დგება ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური საკითხები.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც. ქართული საბჭოური ეთნოგრაფიის ჩასახვის დღიდანვე ყურადღების ცენტრში დადგა დიდად პრინციპული მნიშვნელობის საკითხი – თავიდანვე საჭირო გახდა იმის გათვალისწინება, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და განზოგადება რთულსა და საძნელო ამოცანას წარმოადგენს, რამდენადაც ის მიდგომა, რომელსაც უცხოეთის მეცნიერება ე.წ. პირველყოფილი ხალხების შესასწავლად იყენებს, გამოუსადეგარია საქარ-

ტურ-ჰეიერდალი და გ. ჩიტაია

თველოსა და კავკასიაში, სადაც შემონახულია განვითარების უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები და მათ გვერდით წარმოდგენილია მაღალი კულტურული მიღწევები და მრავალი ისტორიული ფაქტი.

აქედან გამომდინარე, ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა წამოიჭრა, რაც მდგომარეობდა ეთნოგრაფიული ფაქტების დეტალური სისრულით და გარკვეული მიდგომით შეგროვებაში. ეს მით უფრო საჭირო იყო საქართველოში მეცნიერული ეთნოგრაფიის განვითარების საწყის ეტაპზე, როცა სარწმუნო და დამაჯერებელი ფაქტების სრული ნაკლებობა იყო და ეს მცირერიცხოვანი მონაცემები და ფაქტებიც გროვდებოდა შემთხვევით, უსისტემოდ, არასტაციონალურ პირობებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ქართველი და აგრეთვე კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის თვითმყოფი თავისებურებების მეცნიერულად შესწავლის პირველივე შედეგების საფუძველზე ქართველმა ეთნოგრაფებმა მკვეთრად აღიმაღლეს ხმა მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებების წინააღმდეგ, თითქოს საქართველო და კავკასია იყო მხოლოდ თავშესაფარი დიდი თუ მცირე ტომებისა, სადაც ისინი გამანადგურებელი ომების შედეგად იყვნენ ძველიდანვე შემოხიზნული, რომ ამის გამო თითქოს საქართველო და კავკასია იყო მხოლოდ გასასვლელი კორიდორი ან უკეთეს შემთხვევაში დიდი შარაგზა, რომელზედაც გაივლიდნენ დიდი თუ მცირე ხალხები ჩრდილოეთიდან, ან უკუ მიმართულებით და გადასცემდნენ კულტურის მიღწევებს საქართველოს და კავკასიის ხალხებს, რომლებსაც ასეთი მიღწევები თითქოს არ გააჩნდათ. კულტურული მიგრაციებისა და იძულებითი სესხების ყველა ეს მცდარი თეორია და შეხედულება საფუძველშივე არის უარყოფილი და უკუგდებული ქართველი ეთნოგრაფების შრომებით, რომლებშიაც ნათლად არის ნაჩვენები საქართველოსა და კავკასიის ხალხთა თვითმყოფი კულტურის სიძველე და ადგილობრივი წარმოშობილობა.

კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით შეაღებულმა ქართველმა ეთნოგრაფებმა ფართოდ გაშალეს საველე-შემკრებლობითი მუშაობა საქართველოს გეოგრაფიული ზონალობის მიხედვით – მთის, მთისძირა და ბარის ზოლის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სრულ-ყოფილი შესწავლის მიზნით. ინტენსიური ხასიათი მიეცა კომ-პლექსური ექსპედიციების მოწყობას. საექსპედიციო მუშაობის თავდაპირველ საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმედ უნდა მივიჩნიოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქართული შინამრეწველობის მასალების შეგროვება, ხოლო კომპლექსური ექსპედიციებიდან აღსანიშნავია: ხევსურეთის 1927 წლის, ხევსურეთის 1929 წლის, სვანეთის 1931 წლის, თუშეთის 1932 წლის, აჭარის 1933 წლის, წალკის 1936 წლის, იმერეთის 1937 წლის, ქართლის 1947-1948-1949 წლების, აფხაზეთის 1952-1953 წლების ექსპედიციები. ამას გარდა

ფართო საექსპედიციო მუშაობა გაიშალა საქართველოს ფარგლებში. გარეთაც. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდოეთის 1940 წლის, ბალყარეთის 1944 წლის, აზერბაიჯანის 1955 წლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციები.

ათეული წლების მანძილზე წარმოებული კომპლექსური ექსპედიციების შედეგად დაგროვდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ხევსურეთი, სვანეთი, თუშეთი, აჭარა, წალკა, იმერეთი, ქართლი, კახეთი, გურია, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო), ისევე მეზობელი მხარეების (დაღესტანი, ყაბარდო, ბალყარეთი, აზერბაიჯანი, ადიღე) მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ამსახველი საკოლექციო და ტექსტუალური მასალა. ახლა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება ფლობს არა მარტო საქართველოს და კავკასიის, არამედ ირანის, აბისინიის, ინდოეთის და სხვათა ძვირფას ეთნოგრაფიულ კოლექციებს. ასე შეიქმნა ეთნოგრაფიული ბაზა, როგორც სამეცნიერო კვლევაძიებისათვის, აგრეთვე საექსპოზიციო მუშაობისათვის. შეკრებილი მასალა თავისი რაოდენობით და მეცნიერული ღირებულებით ბევრად აღემატება რევოლუციამდე მოგროვილ ყველა კოლექციას. საჭირო აგრეთვე აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს მუზეუმის კოლექციების ცენტრალური ბაზის გვერდით ჩამოყალიბდნენ ეთნოგრაფიული განყოფილებები მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, მათი რიცხვი დღეისათვის 20-ზე მეტია.

გ. ნიტაია და პროფ. ი. დიახი (ლისაბონი)

კოლექციებთან ერთად მდიდარი ტექსტუალური მასალაა დაგროვილი საექსპედიციო დღიურებისა და კორესპონდენტების მიერ მოწოდებული ჩანაწერების სახით, რომლებიც დაცულია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული კათედრის არქივებში. ამათ შორის შინამრეწველობის მასალები ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი, რელიგიის მასალები ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით შეკრებილი და სხვ. მასალის სათანადოდ დამუშავებამ მნიშვნელოვანი დასკვნებითა და დებულებებით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია. მოკლედ შევნერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და მოსახლეობის მოძრაობა

რიგ ეთნონიმიკურ გადმოცემათა, კულტურის ელემენტთა, ეთნოგრაფიულ გადმონაშთთა შესწავლა-ანალიზის შედეგად დადგენილ იქნა, რომ თრიალეთში მოსახლე ურუმთა ჯგუფი, ეთნიკურად ნარევი მოსახლეობისაგან შედგება, მის შედგენილობაში ეხედებით სამხრეთ საქართველოს ძველი ქართული პროვინციების (ბასიანის, ჭანეთის) მოსახლეობას, და რომ ისინი წარმოშობით ქართველებს განეკუთვნებიან და არა თურქებს. ხევსურთა ეთნოგრაფიულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ხევსურები გაქართველებული მოსახლეობა კი არაა, არამედ იბერთა ერთ-ერთი უძველესი ტომია. ამას გარდა, დადგენილ იქნა სვანების ტერიტორიაზე VII–X სს. მოსახლე ბუშართა ტომის ადგილსამყოფელი, რომლის შესახებაც მოგვეპოვება ადრეული ცნობები ანანია შირაქელის გეოგრაფიულ ნაშრომში. ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად მიკვლეულ იქნა აჭარაში ქურთების მანამდე უცნობი ეთნიკური ჯგუფი (ხირკები), დადგინდა ყვარლელების ადრინდელი საცხოვრისი და ივრის ხეობის და ყაზახის (აზერბაიჯანი) მოსახლეობის ეთნიკური ფენები. გაირკვა მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესის ხასიათი. ის შეპირობებულია მთაში საწარმოო ძალთა და ურთიერთობათა განვითარების კონკრეტული ვითარებით. იგი წარმოადგენს არა ერთდროულ პროცესს, არამედ მოსახლეობის თანდათანი გადასახლების, გაეთნეის ხასიათს ატარებს. მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობა ვლინდება ორი სხვადასხვა ტერიტორიის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაში (ბაზრები კომუნიკაციების მთავარ ხაზზე), აგრეთვე მთიელების მუშახელის მონაწილეობა სეზონურ სამუშაოებზე ბარში. აქედან მიღებულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნიკურ-სოციალური ისტორია უნდა განიხილებოდეს ერთმანეთთან კავშირში და არა მოწყვეტით, რომელ ისტორიულ ეპოქასაც არ უნდა ეხებოდეს იგი. მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რუკაზე. დამუშავებულია XVII და XVIII სს. საქართველოს ეთნოგრაფიული რუკები.

ქართველი ხალხის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა

ეთნოგრაფიული მოვლენების სწორად გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ისტორიის პერიოდიზაციას. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ამ საკითხში უაღრესად მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. ასე, მაგალითად, საქართველოში მონათმფლობელური სახელმწიფოს არსებობა ისტორიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებითაც დასტურდება.საქართველოს

საზოგადოებრივ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველყოფილ-თემურ წყობას. თემი იყო ერთგვარი ინგრედიენტი საქართველოს ფეოდალური საზოგადოებისაც. ამითაც აიხსნება საქართველოში მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებების ყოფასა და იდეოლოგიაში თემური წყობილების არქაული ფორმების შემონახვა. ამითვე აიხსნება მათი გამძლეობა კაპიტალისტურ ეპოქაში თვით სოციალისტურ რევოლუციამდეც კი. თემური წყობა შეეგუა წარმოების ძირითად, გაბატონებულ ფორმას და მეტწილად საქართველოს განაპირა რაიონებში თავისებური ურთიერთობა შექმნა. ასე, მაგალითად, საქართველოს მთაში გვაროვნული და თემური წყობის არსებობის პირობებში ფეოდალური სახელმწიფო თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებდა საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაცვას. უკანასკნელი ხანის გამოკვლევით დადასტურდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, მიწახე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში განაგრძობდა არსებობას თემური მიწის სარგებლობა სახატო მამულების სახით. უფრო მეტიც, იქვე აღმოჩნდა თავისებური ინსტიტუტი საკმო – სოციალურ-რელიგიური გაერთიანება, რომელიც ფეოდალური ურთიერთობის ელემენტებსაც შეიცავდა საკარგყმის სახით, რომელიც ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ძველი თემური ორგანიზაციის ხასიათს ინარჩუნებდა.[1] ასევე, სამხედრო დემოკრატიის ელემენტებად გვეელინება ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა ხევსურული სადროშო, სვანური სვიმრა (რ. ხარაძე) და სხვა.

ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები

საბჭოური ეთნოგრაფია ეთნოგენეზს განიხილავს როგორც ტომებისა და ხალხების ისტორიული კავშირების, მათი შერწყმისა და კულტურული გავლენების შინაგანი განვითარების პროცესს. ეთნოგენეზის პრობლემის დამუშავებისას საჭირო ა შესწავლილ იქნეს ხალხის ეთნიკური თავისებურებანი, ყოფისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები, მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები, ის, რაც, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი, თაობიდან თაობას გადასცემია და ის, რაც ახლა ხალხის მიერ იქმნება, ე. ი. ხალხის ყოფისა და კულტურის პრობლემები.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში არა ერთი ტენდენციური და ყოვლად მიუღებელი მცდარი დებულებაა წამოყენებული ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ (კარსტი, მარგველაშვილი და სხვ.). ერთნი ამტკიცებენ, რომ ქართველები აღმოსავლეთის არიელები არიან,

[1] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, №8, თბილისი, 1952 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა თბილისის მოსწავლეთა სახახლეში. ვ. ბარდაველიძე, გ. ნიტაია

რომლებიც იბერების მადალ ფენას შეადგენენ, მეორენი ამტკიცებენ, რომ ქართველი ტომები ინდო-ევროპელთა წინა სამშობლოს მეზობლად ჩამოყალიბდნენო.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ და ეთნოგრაფიამ დაამტკიცეს ამ თეორიების უსუსურობა და ცრუმეცნიერული ხასიათი.

ქართველი ხალხის ავტოხტონობა უეჭველია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიის ამოცანა ის არის, რომ შეისწავლოს ქართველი ტომების ეთნიკური თავისებურება, რაც გულისხმობს ხალხის ყოფისა და ნივთიერი და სულიერი კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა კონკრეტულ გამოვლინებას. ამ ხაზით ქართული ეთნოგრაფიის მიერ გარკვეული სამუშაო უკვე შესრულებულია. ასე, მაგალითად, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის შესწავლით გაირკვა, რომ მიწისმოქმედების ხაზით მშრომელ გლეხობას დაგროვილი ჰქონდა მყარი ემპირიული ცოდნა, რაც მიუთითებს ერთი მხრით ამ კულტურის განვითარების დონეზე, ხოლო მეორე მხრით მის სიძველესა და თვითმყოფ ხასიათზე. ამასთან, მიწისმოქმედების კულტურა ისე ღრმად იყო დანერგილი ხალხის ყოფასა და ცნობიერებაში, რომ მისი მიდწევების პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად, ამ კულტურის ცალკეული ელემენტები ხალხმა თაყვანისცემის ობიექტად აქცია.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგია მიღებული ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფის შესწავლის დარგში. ათეული წლების მანძილზე წარმოებული კვლევის შედეგად დადგენილია საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემებისა და შესაბამისად სახვნელი იარაღების განვითარების თავისებურებანი. კვლევის ამ შედეგებს, რასაც პირდაპირ ეხმაურება ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის პრობლემების სრულყოფილად დასამუშავებლად და გასაშუქებლად. იგივე შედეგები დიდ ინტერესს იწვევენ კავკასიისმცოდნეობის პრობლემების მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით კი სამთო მიწათმოქმედების ისტორიისა და

ეთნოგრაფიის საკითხების დასამუშავებლად. ამავე შედეგებს მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულება ენიჭება მიწათმოქმედების ზოგად კულტურულ-ისტორიული პრობლემების შესასწავლად. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოსა და კავკასიის მიწათმოქმედების სისტემებისა და სახვნელი იარაღების მეცნიერული შესწავლის შედეგები, დღეს ზოგადი ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის ე. წ. აგროეთნოგრაფიის ძირითად ობიექტია მოქცეული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სახვნელი იარაღების განვითარების სქემა ქართველი ეთნოგრაფების მიერ შემუშავებული, გაზიარებულია სპეციალისტების მიერ და შესულია ზოგადი ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოში. ამ პრობლემაზე მუშაობის დროს თავიდანვე გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ სამუშაო იარაღების რელიქტების შესწავლის დროს ყურადღება ექცეოდა არა მარტო იმას რა კეთდება, არამედ იმასაც თუ როგორ კეთდება.

სამიწათმოქმედო ყოფის ხაზით, შეიძლება შევხერდეთ ერთ მაგალითზე. ერთი შეხედვით სანიავებელი ნიჩაბი თითქოს უმნიშვნელო საგანია. მაგრამ გაირკვა, რომ ეს საგანი მზადდება იმ ანგარიშით, რომ მისი ტარი კარგად იყოს მორგებული მუშის ხელთან, ხოლო პირი თავისი ოვალური მოყვანილობით განიავების ხელის შემწეობია. ამ იარაღით მუშაობის დროს მძიმე მარცვალი ახლოს ეცემა, უფრო მსუბუქი მოშორებით,ხოლო კიდევ უფრო მსუბუქი კიდევ უფრო მეტად შორს. ნვენებური ბლეხი სათესლედ იყენებდა ყველაზე მძიმე მარცვალს. ასე ხარისხდებოდა სანიავებელი ნიჩბის შემწეობით სათესლე მარცვალი. ეს არის ხალხური სელექციის ნიმუში, რაც პურეული ჯიშის გაუმჯობესებას ემსახურება.

ასევე ირკვევა, რომ მახას ჯიშის პურეულის გამომუშავებისათვის ხელი უნდა შეეწყო ყანის სარეველა მცენარეს, რომელიც აგრეთვე ნვენშია დამოწმებული.

ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფის მასშტაბით კვლევამ ნიადაგი მოუმზადა სარწყავი მიწათმოქმედების პრობლემის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულია უაღრესად საყურადღებო მასალები, რომლებიც ახლებურად ჰფენენ შუქს ქართველი ხალხის მიწათმოქმედების ბევრ საკვანძო საკითხს როგორიცაა: სამთო მიწათმოქმედება, ტერასული მეურნეობა, მესაქონლეობის საკითხები სარწყავ-სათიბ მეურნეობასთან დაკავშირებით, მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა და სხვა. გამოვლინებულია ხალხური საირიგაციო ტექნიკის მრავალფეროვანი, უმეტეს შემთხვევაში თვითმყოფი თავისებურებანი და ძველი ხალხური აგროტექნიკური ცოდნა და გამოცდილება, რომელთა უმრავლესობა წარმატებით გამოიყენება სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების კონკრეტულ ეთნიკურ გარემოში კომპლექსური შესწავლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამყარებული მოვლენათა დინამიკისა და ისტორიული კავშირების გათვალისწინებაზე გვაძლევს დიდი მნიშვნელობის მქონე დასკვნებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართველი მთიელების სოციალურ ურთიერთობათა და რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობაში შესწავლის შედეგები. დადგენილია ქართველი ტომების პოლითეიზმი და ძველი ქართული პანთეონის განვითარების საფეხურები, რომლებიც შეესიტყვებიან და ასახავენ საზოგადოებრივი განვითარების შესაბამის საფეხურებს. კვლევამ გამოავლინა პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის პერიოდისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების პანთეონის სპეციფიკური სახეობანი. კონკრეტულ მასალაზე გაირკვა, რომ რწმენა-წარმოდგენების განვითარება და პანთეონის სხვადასხვა საფეხურებზე დვთაებათა ტრანსფორმაცია ქართველი ტომების სოციალურ-კულტურულ განვითარებას მიჰყვებიან და მის ანარეკლს წარმოადგენენ. საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის პანთეონის დადგენა და მისი ბუნებისა და თვისებების გამოვლინება პრინციპული მნიშვნელობის მეცნიერული მონაპოვარია; იგი მყარ ნიადაგზე აყენებს დებულებას საქართველოსა და კავკასიის მთის მოსახლეობაში საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის არსებობის შესახებ.

მნიშვნელოვანი შედეგია მოპოვებული, მანამდე საგანგებო კვლევის გარეშე დარჩენილი, ქართული საწესო გრაფიკული ხელოვნების შესწავლის საქმეში. სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ გრაფიკული ხელოვნების მდიდარი ხალხური მონაცემები ტრადიციული მხატვრობის ნიმუშებს წარმოადგენენ. დადგენილ იქნა ამ მხატვრობის ნატურალისტური შინაარსი და ორი სხვადასხვა სტილი: რეალისტური და აბსტრაქტული. შესწავლამ გამოავლინა ამ უკანასკნელი მხატვრობის მაგური ხასიათი და მისი კავშირი საზოგადოების საწარმოო საქმიანობასთან. მეცნიერული კვლევის ამ შედეგებს ზოგადთეორიული მნიშვნელობაც აქვთ პირველყოფილ ხელოვნებაში სიმბოლური მნიშვნელობის გეომეტრიულ გამოსახულებათა გენეზისის პრობლემის გადასაწყვეტად. ასევე ქართული ხალხური ორნამენტიკის ტრადიციული სიმბოლოებისა და კომპოზიციების აგებულების შესწავლამ გამოავლინა მათი კავშირი მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსის ხალხების შესაბამის მონაცემებთან, რაც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ იგი როგორც პროდუქტი ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობისა, აგრეთვე გაირკვა, რომ დედაბოძის ორნამენტულ კომპლექსის რელიგიური გააზრება ემთხვევა ქრისტიანობის წინარე ხანას. წარმატებით მუშავდება ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და მითოლოგიის საკითხები. მთიელების მითოლოგიური გადმოცემები, თქმულებებში დაცული დეკეებისა და ღვთისშვილების ბრძოლის ამსახველი მასალა ავლენს ბრძოლის ხანგრძლივ ხასიათს. ბრძოლის სხვადასხვა მომენტებზე დაკვირვება ამჟღავნებს იმ დროისათვის განვითარებულ სამხედრო ხელოვნებას, ბრძოლის ტაქტიკას.

საბრძოლო იარაღების სახეობებს. გარდა ამისა, გარკვეულია, რომ თქმულებების, დევების, სახით საქმე გვაქვს არა ჯადოსნური ზღაპრების პერსონაჟ-დევებთან, არამედ გარკვეული ეთნიკური ფენის წარმომადგენელ მოსახლეობასთან.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული გვარის სტრუქტურისა და ნათესაობის ფორმების, თემური ორგანიზაციის, ხალხური მმართველობის, დიდი ოჯახის, საქორწინო და სოციალური ურთიერთობის სხვა საკითხების შესახებ. მრავალი წლის მანძილზე წარმოებული კვლევის შედეგად ეთნოგრაფიულად არის შესწავლილი ქართული საოჯახო თემი, განსოგადდა მდიდარი ეთნოგრაფიული, საარქივო, ისტორიული და სხვ. წყაროები. საოჯახო თემის, როგორც სამეურნეო საწარმოო უჯრედის განვითარება განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ძირითად ეტაპებთან დაკავშირებით.

ინტენსიური მუშაობა წარმოებდა მატერიალური კულტურის შესწავლის ხაზით: კვება, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლება, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, ისევე როგორც ხელოსნობის დარგებში (ხის, ქვის, ტყავის, ლითონის, რქის, ძვლის, გიშრის გამოყენების ხალხური წესები), აგრეთვე სელის, კანაფის, მატყლის, აბრეშუმის ქსოვილების დამზადება.

საყურადღებოა მეტალურგიის ხალხური ხერხების შესწავლის შედეგები. რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული და გამოვლინებული წესები შუქს ჰფენენ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საკვანძო საკითხებს. ეთნოგრაფიული მასალით ახსნას პოვებს ქართველი ტომების მიერ მაღალხარისხოვანი ლითონის მისაღებად გამოყენებული უძველესი ტექნოლოგიური მონაპოვარი, რაც საუკუნეების მანძილზე ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩებოდა.

შედეგიანი აღმოჩნდა ქართველი ხალხის მეურნეობის ძველი ფორმების – ნადირობის და მეფუტკრეობის შესწავლა. გამოვლენილია მეფუტკრეობის თავისებურებანი და მისი ადგილი ქართველი და კავკასიელი ხალხების მეურნეობაში. კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მეფუტკრეობის ისტორიის ზოგადი საკითხების შესწავლისათვის.

მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის დარგში შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრებული ვაზისა და ხეხილის მოვლა-მოშენების საუკუნოვანი ტრადიციები, ღვინის დაყენების ხალხური წესები, საყურადღებო დასკვნებია მიღებული ლუდისა და ზეთის კულტურის შესწავლის შედეგად.

სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხალხური სპორტი, მუსიკალური ფოლკლორი, ტოპონიმიკა. დაიწერა ნაწარმოები მეზობელი ქვეყნების ეთნოგრაფიიდან, დამუშავდა ზოგადი ეთნოგრაფიის თეორიული საკითხები.

ქართველი ეთნოგრაფების საკვლევაძიებო მუშაობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის საკითხებს



გელათის სამეცნიერო სესიაზე, 1966 წ. მარჯვნიდან
შ. ამირანაშვილი, ა. კიკვაძე, ვ. დონდუა.
ს. ყაუხნიშვილი, გ. ჩიტაია და სხვები

და ეს ბუნებრივიც არის, რადგან სწორად დაყენებული მეცნიერული მუშაობა საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებათა შესწავლის დარგში პირველ რიგში გულისხმობს ქართველი ხალხის უშუალო მეზობლების ეთნოგრაფიის შესწავლა-დამუშავებას. ამ ხაზით ადრევე გაშლილმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოძმე რესპუბლიკების სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეს და სხვ. სამეცნიერო დაწესებულებებთან მეცნიერული თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებას. ამჟამად ეს დაწესებულებები შემოქმედებით თანამშრომლობაში მუშაობენ განმახოგადოებელ ნაშრომზე – კავკასიის ეთნოგრაფიულ ატლასზე, რომლის პირველი საფეხური იქნება შესაბამისად ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვ. ეთნოგრაფიული ატლასების მომზადება. პარალელურად ეს დაწესებულებები მუშაობენ რიგ საკოორდინაციო პრობლემაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური ყოფისა და კულტურის პრობლემის კოორდინაციის წესით დამუშავება დაისახა ჯერ კიდევ 1949 წელს თბილისში ჩატარებულმა კავკასიის ეთნოგრაფიის სამეცნიერო სესიამ, რომელიც ჩვენი აკადემიის თაოსნობით იყო მოწვეული. განვლილი დროის მანძილზე კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის შესწავლის ხაზით როგორც ერთობლივი, ისე ცალ-ცალკე ხასიათის რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა: ახლო რედაქციულ თანამშრომლობაში მომზადდა ეთნოგრაფიული ნარკვევები ქართველები, სომხები, დაღესტნელები და სხვ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მრავალტომიანი გამოცემის Народы мира -ს სათანადო ტომისათვის Народы кавказа – ჩატარდა გაერთიანებული სამეცნიერო ეთნოგრაფიული ექსპედიციები ჩვენთან და ჩრდ. კავკასიაში, მოეწყო პრობლემური სამეცნიერო სესიები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კავკასიური კოსტუმების გამოფენა, გრძელდება მოძმე რესპუბლიკებიდან წარმოზავნილი ეთნოგრაფიის სპეციალობის ასპირანტების მომზადება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე რიგი ნაშრომები, რომლებშიაც შესადარებელი მასალების

ანალიზის საფუძველზე კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის არა ერთი საყურადღებო საკითხია დასმული და გაშუქებული. ერთ-ერთმა სპეციალურმა ნაშრომმა „О задачах советской этнографии“ ფართო და საქმიანი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც.

ახალი სოციალური ყოფა და კულტურა

ქართველი ეთნოგრაფები ფართო ფრონტით და წარმატებით მუშაობენ საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების ცენტრალურ პრობლემაზე – კომუნიზმის მშენებელი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლაზე. უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო სიძნელეების გადალახვაში, რომელიც ამ პრობლემის შესწავლის დაწყებისას დადგა საბჭოთა მაცნიერების წინაშე, ქართველმა ეთნოგრაფებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ამჟამად ჩვენში ნაყოფიერი მუშაობაა გაშლილი კოლმეურნე გლეხობის, მრეწველობის მუშების, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის ყოფისა და კულტურის შესწავლაზე. მეცნიერული დაკვირვებისა და შესწავლის საგანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდის და განმტკიცების შედეგად მშრომელთა საწარმოო, საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში მიმდინარე ცვლილებები, კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ნორმების ადამიანთა ჩვეულად გადაქცევის პროცესები და ის ახალი მოვლენები, რომლებიც მტკიცედ იკიდებენ ფეხს და შედიან ყოფასა და კულტურაში.

ცნობილია, რომ ეთნოგრაფიის საგნისა და მეთოდის კონკრეტული ხასიათით შეპირობებულია ეთნოგრაფების თითქმის ყველაზე ახლოს ყოფნა ცოცხალ სინამდვილესთან, ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის წვრილმან თუ მსხვილმან საკითხებთან. ამიტომ ეთნოგრაფიულ დაკვირვებას ცხოვრებისეულ საკითხებზე და კვლევის განზოგადოებას სადღეისო ამოცანების თვალსაზრისით პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება ეძლევათ. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკისრია ეთნოგრაფიულ მეცნიერებას გადმონაშთების შესწავლის საქმეში.

ერთი მხრით, ხალხის სასარგებლო საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების, კულტურის ტრადიციების შესწავლა და მათი ჩაყენება ახალი საზოგადოების მშენებლობის სამსახურში და მეორე მხრით, მავნე გადმონაშთების გამოვლინება, მათი სოციალურ-ეკონომიური ფესვების შესწავლა და მათთან ბრძოლის კონკრეტული მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა ეთნოგრაფების საპატიო ამოცანას შეადგენს.

ბოლო წლების ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს საკოლმეურნეო მინდვრებისა და წარმოების დამკერელთა ბრიგადების შემოქმედებითი შრომისა და საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებათა გამოვლინება-

გ. ნიტაია ქართველ ეთნოგრაფთა შორის დაბადების 90-ე წლისთავზე, 1980 წ.

შესწავლას. დღეისათვის ეთნოგრაფიულად შესწავლილია რესპუბლიკის მსხვილი საწარმოების – ჭიათურის და ტყიბულის მადაროელთა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და სხვ. მუშებისა და ტექნიკური ინტელიგენციის ყოფა და კულტურა, ცალკე მონოგრაფიები მიეძღვნა – ქართლის, კახეთის, გურიის, და სხვათა საკოლმეურნეო სოფლების ეთნოგრაფიულ შესწავლას. შეისწავლება საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა ყოფა და კულტურა.

დიდი მუშაობაა გაწეული საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამუზეუმო-ეთნოგრაფიულ საქმეში. ცნობილია, რომ სამუზეუმო კოლექციები, რომლებიც კამერალური ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ძირითად ბაზას შეადგენენ რევოლუციამდელ პერიოდში გაფანტული იყო თბილისის სხვადასხვა მუზეუმში, რაც აძნელებდა მათი მეცნიერული დირებულების გარკვევას და ამასთან ერთად შეუძლებელს ხდიდა თემატიკური კომპლექსების შედგენას და მათ სამუზეუმო ექსპოზიციას. 1925 წელს მოხდა ამ ფონდების ცენტრალიზაცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. შემდგომში ამ მუზეუმის ფონდი გამდიდრდა აბისინიის, ირანისა და აზიის სხვა ქვეყნების მეტად მნიშვნელოვანი კოლექციებით. ეთნოგრაფიული მუშაობის მეცნიერული პროგრამის შესაბამისად გაიშალა ფართო საველე მუშაობა ეთნოგრაფიული კოლექციების შესაგროვებლად. ამის პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამუზეუმო ეთნოგრაფიული მასალების პუბლიკაციას, მეცნიერული ექსპოზიციების მოწყობით, ასევე ბეჭდვითი გზით. აქ სხვადასხვა დროს მოეწყო დიდი ეთ-

ნოგრაფიული გამოფენები, როგორიცაა ხევსურეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენები, XIX ს. ქართული ტანსაცმლის, კავკასიური ხალიჩების, ხის ნუქურთმის, ქართული საბრძოლო იარაღის გამოფენები, აბისინიის ეთნოგრაფიული გამოფენა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ხევსურეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენებში, რომლებიც 30-იან წლებში მოეწყო, საკითხის შესწავლის შესაბამისად, ასახული იყო ახალი ყოფის მონაცემები, აქვე სათანადოდ იყო გაშლილი ანტირელიგიური მასალა. ბოლო ხანების ნამუშევრებიდან აღსანიშნავია საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელზედაც ასახულია ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა.

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება დაადგა შრომისა და კულტურის ისტორიის შერწყმულად წვენების გზას. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს თბილისის, გორის, ყაზბეგის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გეგეჭკორის და რესპუბლიკის სხვა კუთხეების მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმებმა, შესაბამისი კუთხეების მოსახლეობის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის შესასწავლად და გამოფენებზე ასახვისათვის. ამ მუშაობას ხელს უწყობს და ეხმარება კონტაქტები, მეცნიერული კონსულტაციები, ადგილზე გაწეული პრაქტიკული ხელმძღვანელობა ეთნოგრაფიის დარგში მომუშავე სპეციალისტების მხრივ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებაც, რომელიც ჯერ საბოლოოდ ხორცშესხმული არ არის, მაგრამ რომელსაც ორგანიზაციული ხასიათის თავისი ისტორია უკვე აქვს.

ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1985 წ. მარცხნიდან: ალ. რობაქიძე, ლ. ნიბერიოვი, კ. ნიღლიეაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გ. ნიტაია, ო. ლორთქიფანიძე

ეს არის თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ლია ცის ქვეშ, რომლის მოწყობის ინიციატივა ეთნოგრაფებს ეკუთვნით და მათ მიერვე ამ მხრივ დიდი საორგანიზაციო მუშაობაა გაწეული.

ამ მაგალითების მიხედვით თვალნათლივ შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთის მხრივ, ქართული ეთნოგრაფიული მასალის სიმდიდრე, და მეორეს მხრივ, მის საფუძველზე წარმოებული ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის შედეგები.

ამჟამად საქართველოს ეთნოგრაფიის სპეციალისტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აღარ შეუძლია მარტოდ-მარტო საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების ფარგლებში აწარმოოს, არამედ ყოველი სამეცნიერო საკითხის დასმის დროს საჭიროა აგრეთვე იმ მასალების გათვალისწინება, რომლებსაც გვაწვდის კავკასია, წინა აღმოსავლეთი და კიდევ უფრო მეტად ძველი აღმისავლეთის კულტურის კერები.

კვლევის ასე ფართო ასპარეზზე გადატანასთან დაკავშირებით წლების მანძილზე წარმოებს კადრების მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

საინტერესო გზა განვლო ეთნოგრაფიულმა მუშაობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ ამ 40 წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა ეთნოგრაფიის სწავლებას, რაც დიდად ეხმარება და ხელს უწყობს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს. უნივერსიტეტის კედლებშივე ადრიდანვე დაიწყო ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადება და წრთობაც. უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, გეოგრაფიის ფაკულტეტებზე იკითხებოდა და იკითხება საქართველოს, კავკასიის, სსრ კავშირის მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოგრაფია, ზოგადი ეთნოგრაფია, სპეციკურსები, ტარდება სპეცსემინარები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კაბინეტი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, მათ წვრთნას როგორც ადგილობრივ, სამუზეუმო პირობებში, ისე საველე ეთნოგრაფიული მუშაობის დროს. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სტუდენტთა სამეცნიერო წრის ეთნოგრაფიული სექცია. ქართველი სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო სესიებსა და კონფერენციებზე.

სტუდენტებსა და ასპირანტებს სათანადო დახმარებას უწევს ნაბეჭდი სტენოგრამა ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალი, რომელიც სვეტების სახელწოდებით არის ცნობილი.

კადრების მომზადება მოხდა არა მარტო საქართველოს ეთნოგრაფიის სპეციალობით, არამედ ჩრდილო კავკასიის ხალხებისა (დაღესტნელების, ჩერქეზების) და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების (თურქების, სპარსელების) ეთნოგრაფიის სპეციალობითაც.

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის ეთნოგრაფიულ დაწესებულებებში მუშაობას ეწევიან მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

თანამედროვე ვითარებაში ეთნოგრაფიული მუშაობა სწარმოებს ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში – ამ დარგში წარმოებული კვლევა-ძიების ხელმძღვანელ დაწესებულებაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის კათედრაზე, საქ. მეცნ. აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქ. მეცნ. აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სსრ ფიზიკურ-ტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში (გორის, ქუთაისის, ბათუმის,სოხუმის, სტალინირის, თელავის, ახალციხის, ყაზბეგის, სიღნაღის და სხვ.).

სათანადო ყურადღება ექცევა ჩვენში ქართული ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის საკითხებს. დამუშავდა და გამოიცა XIX საუკუნის საყურადღებო ეთნოგრაფიული ძეგლები და მასალები, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი ქართველ მოღვაწეთა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა.

30 – 40-იან წლებში შრომატევადი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარეთმცოდნეობითი და ეთნოგრაფიული მასალის შესაგროვებლად, რომელიც გამოქვეყნდა ცალკე სერიაში.

სათანადოდ იყო აგრეთვე დაყენებული სამეცნიერო ინფორმაცია და პერიოდული ბეჭდური ანგარიშგება ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები როგორც საბჭოთა, ასევე უცხო ავტორების ნაშრომებზე. დაიბეჭდა უცხო ავტორების რეცენზიები ქართველი ეთნოგრაფების გამოკვლევებზე. გამოქვეყნდა ეთნოგრაფიული სამეცნიერო პოპულარული ნაშრომების სერია.

საქართველოს ეთნოგრაფთა კოლექტივი აერთიანებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორს თავისი ორი განყოფილებით, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრის მუშაკებს, აგრეთვე დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფებს.

ეთნოგრაფიული პროდუქცია ქვეყნდება ოთხი სერიის სახით: 1. საქართველოს ეთნოგრაფიის მასალები; 2. მონოგრაფიები, 3. სამეცნიერო-პოპულარული ნაწერები და 4. კატალოგები, ალბომები, ღია ბარათები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთში ეთნოლოგები უმთავრესად კულტურის მოდელებისა და ეტალონების ძიებით არიან

დასაქმებული, საბჭოთა ეთნოგრაფები კი უადრესად პრინციპული ხასიათის პრობლემების დამუშავებასთან ერთად პრაქტიკულ, ცხოვრებისეული ამოცანების ამოხსნასაც ემსახურებიან.

საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ ბოლო ხანებში შექმნილია განმაზოგადოებელი ნაშრომები, მათ შორის მრავალტომეული სერიული გამოცემა Народы мира (17 ტომი), რომელშიც მოცემულია დედამიწის მოსახლეობის ეთნოგრაფიული დახასიათება. ამ გამოცემაში გარკვეულია ცალკეული ხალხების წარსული და აწმყო, მათი კულტურა და ყოფა., მათი ცხოვრების იერი. ამ საპრობლემო და განმაზოგადოებელი ნაშრომის შექმნაში ქართველ ეთნოგრაფებსაც აქვთ თავიანთი წვლილი შეტანილი.

Народы мира-ს სერიის კავკასიურ ტომში, – Грузины ქართველი ეთნოგრაფების კოლექტიური ნაშრომია (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ლ. ბოჭორიშვილი, მ. გეგეშიძე, ა. რობაქიძე, ი. ჭყონია, გ. ჩაჩაშვილი, ა. ლეკიაშვილი, ნ. ბრეგაძე, გ. ჯავახიშვილი, ლ. გაბუნია და სხვები). მასში ქართველი ხალხის კულტურა და ყოფა წარმოჩენილია როგორც თავისი შინაგანი განვითარების გზით შექმნილი და არა გარედან შემოტანილი და ამდენად მეორეხარისხოვანი.

ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნ. მარი თავის საპროგრამო მოხსენებაში, რომელიც მან 1911 წლის 19 დეკემბერს წაიკითხა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სხდომაზე, ამბობდა: მტკიცდება რწმენა, რომ გაირკვევა წყაროსთვალი იმ ელემენტებისა, რომლებიც ორიგინალობის დაღს ასვამენ კავკასიის ხალხების ყველა ეპოქის კულტურულ ცხოვრებას, გამომჟღავნდება ქვის ვეშაპების საიდუმლოება და ღირსეულ პასუხს მიიღებს ლინგვისტიკური გამოწვევა, რომელიც კითხვის სახითაა დასმული კავკასიის მისამართით – ძველი სამყაროს საიდუმლოებით მოცული ენების ნათესაობის შესახებ ქართულ ენასთან.

თუ აკად. ნ. მარი ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტას ეძებდა კულტურის ისეთი ელემენტების შესწავლაში, როგორიცაა ენა და ვეშაპები, თანამედროვე გამოკვლევების შედეგად ამ პრობლემას მრავალი ახალი ასპექტი გაუჩნდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი რიგის საკითხებია ამოხსნილი. ამ მიმართულებით ქართველ ეთნოგრაფებს ისევე როგორც სხვა ისტორიული დარგის სპეციალისტებს მომავალში ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგადაა ცნობილი საბჭოთა სკოლის მიღწევები ეთნოგრაფიაში. გარკვეულ ეთნიკურ წარმონაქმნთა კულტურისა და ყოფის კონკრეტულ მასალათა შესწავლა დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირი წარმოადგენს მყარ საფუძველს ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევით მუშაობისათვის, რომელმაც არსებითი შედეგები მოგვცა[1]. საბჭოთა ეთნოგრაფიამ წამოაყენა და ცალკეულ ხალხთა კონკრეტული მასალების შესწავლით გადაწყვიტა საკვანძო საკითხთა მთელი რიგი; გრძელდება ზოგად-თეორიული მნიშვნელობის პრობლემების დამუშავება, მაგრამ ჩვენს მეცნიერებას შეეძლო მეტი წარმატებისათვის მიეღწია იმ შემთხვევაში თუ მეტი ყურადღება მიექცეოდა საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობას. სამწუხაროდ არც საბჭოთა ეთნოგრაფიული პრესა აქამდე არ აქცევდა სათანადო ყურადღებას ეთნოგრაფიული მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების დამუშავებას.

ცნობილია, რომ მეცნიერება არ არის ფაქტების გარეშე. ეთნოგრაფია ფაქტებს ცოცხალი ყოფიდან კრეფს. რაც უფრო მეტია უტყუარი, სრულფასოვანი, ამომწურავი და ყოველმხრივი ფაქტები, მით უფრო ადვილია მათი გაგება, გააზრება, განზოგადოება და მოვლენათა კანონზომიერებათა დადგენა საზოგადოების და მისი განვითარების კანონების შესახებ. ამ რთულ სამეცნიერო-კვლევით პროცესში უმთავრესი მომენტია ფიქსირებული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტურობისა და უტყუარობის დადგენა.

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფია არქეოლოგიისაგან განსხვავებით, კონკრეტულ მასალებს, ფაქტებს კრეფს ცოცხალი ყოფიდან, „ველზე", კონკრეტულ ეთნიკურ წარმონაქმნთა ცოცხალ სინამდვილეზე უშუალო დაკვირვებათა გზით. ეთნოგრაფიული მეცნიერების ეს დამახასიათებელი თვისებები წარმოადგენს ამავე დროს იმ სპეციფიკას, რითაც იგი ისტორიის სხვა დისციპლინათაგან განსხვავდება. ეთნოგრაფია ხომ ისტორიის დისციპლინაა, რომელიც ეთნიკურ გაერთიანებებში (ერთიანობას), მათ ზოგად და თვითმყოფ ნიშნებს სწავლობს ცოცხალ ყოფაზე უშუალო დაკვირვებების გზით.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გეგმაზომიერი და სისტემატიური შესწავლის, თვითმყოფი ნიშნების და ხალხის კულტურის და ყოფის თავისებურებათა გამოვლინების გარეშე შეუძლებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით ნებისმიერი ხალხის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა, ხალხის მასების ისტორიის წარმოდგენა. ისტორიულ

---

* შენიშვნა: მოხსენება წაკითხულ იქნა 1956 წელს მაისში, მოსკოვში, ეთნოგრაფთა თათბირზე. თეზისები დაიბეჭდა წიგნში – Этнографическое совещание 1956 г. Тезисы докладов и пленарных заседаний. М-Л, 1956 г.; ნაშრომი გამოქვეყნდა – Советская Этнография, 1957, 4; ნაშრომის ქართული ვარიანტი დაცულია გ. ნიტაიას პირად არქივში. [თ ც.]

[1] С.П. Толстов, Советская школа в этнографии, Сов. Этнография, №4, 1947.

დისციპლინათგან არც ერთი არ დგას ისე ახლოს უშუალო მწარმოებლებთან, როგორც ეთნოგრაფია.

ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილე, ეს უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ემპირიული ცოდნა, შრომითი და საწარმოო ჩვევაა, რაც ხალხური კულტურის ძირითად ფონდს შეადგენს. კულტურის ეს ნიშნები თავისი ფესვებით შორეულ წარსულამდე მიდის. ხალხური ემპირიული ცოდნიდან ყველა არ ისპობა მათი წარმომშობი ბაზისის ლიკვიდაციასთან ერთად; ზოგიერთი მათგანი განიცდის რა სრულ-ყოფას, ხალხის ყოფაში აგრძელებს არსებობას. უფრო მეტიც, მრავალი მათგანი დადასტურებას პოვებს სამეცნიერო-კვლევით ექსპერიმენტში, დგება ახალი საზოგადოების მშენებლობის სამსახურში. ასე, მაგალითად, მრგვალი სხეულის, ბორბლის, ბრუნვის პრინციპი, უხსოვარ დროში ემპირიული გზით მარტივ წარმოდგენათა საფუძველზე აღმოჩენილი, დღევანდლამდე გამოიყენება, როგორც მეცნიერულად და ექსპერიმენტულად დასაბუთებული.

შეიძლება აღარ გავაგრძელოთ საუბარი ხალხური ემპირიული ცოდნის შესახებ. თვალსაჩინოებისათვის ორიოდე მაგალითი მოვიყ-ვანოთ: კავკასიაში ზოგიერთ ხალხთა პრაქტიკაში დადასტურებულია, რომ, როცა სახნელ ადგილებში სარეველა მეტისმეტად მრავლდებოდა, გლეხობა იქ ფეტვს თესავდა. დიდი ხანია შემჩნეული, რომ ფეტვი მალე მწიფდება, ამიტომ შეიძლებოდა მისი გვიან გაზაფხულზე დათესვა. ამ დროისათვის მინდვრად უკვე ჩნდება სარეველა. ამ დროს ყანის ხვნისას გუთანი სარეველას ფესვებს თხრიდა და ამით ხელს უწყობდა მათ განადგურებას. ასეთი დამუშავების შემდეგ დარჩენილი სარეველა ფეტვის გამარგვლის დროს ამოითხრებოდა. ნეულებრივ, ასეთ ყანებში ფეტვი კარგ მოსავალს იძლეოდა, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში გლეხობა სათანადოდ იყენებდა სარეველათა თესლების ცალკეულ სახეებს. ასე, მაგალითად, სარეველა მახობელას თესლს (Cephalaria syriaca) ზოგჯერ ურევდნენ დაფქვილ ხორბალს, რაც პურს სასიამოვნო გემოს აძლევდა და ზრდიდა მის ნაყოფიერებას. უკანასკნელ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ [კავკასიურ] თორნეებში გამოცხობისათვის. ნაკლებად წებოვანი ცომი თორნის კედლებს სუსტად ეკვრის, ადვილად ვარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ თორნე კავკასიაში იმ ხორბლეულის პარალელურად გვხვდება, რომლებიც ხიდი წებოვანობით გამოირჩევა. მთიან რაიონებში, სადაც ხორნალობის გამო ხორბლეული ვერ მწიფდება, და ამიტომაც ნაკლებწებოვანია, თორნეს ვერ ეხვდებით.

მეორე მაგალითი: ისეთ შემთხვევაში, როცა ჩვენს სოფლებში მოესავლიანობის ან, ამა თუ იმ მიზეზის გამო, საანეულო პურის ‖ ღილის პერის (Tr. vrilagare) თესლი აღარ ჰქონდათ, გლეხი საგა-ზაფხულო პურს დიკას (Tr. ibericum) თესავდა შემოდგომაზე. ამ ნათესის დიდი ნაწილი იღუპებოდა, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი უძლებდა ზამთრის სიცივეს და გაზაფხულზე პურდებოდა. მიღებული საშემოდგომო დიკას გლეხი იყენებდა, როგორც საანეულის თესლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდგომაზე კვლავ თესავდა. ხელმეორედ დათესილი ადგილად იტანდა ზამთრის სიცივეს, იკეთებდა თავთავებს, პურდებოდა, მომკილი პური უკვე საანეული იყო და არა დიკა.

დიკა საქართველოში პურეულის უძველესი სახეობაა. იგი საქართველოს მთიან რაიონებში დღემდე გვხვდება საგაზაფხულო ხორბლის სახით, რომელიც ნაირსახეობადაა წარმოდგენილი. არანაკლებ ძველია დოლის პური, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ბარის საქართველოში საშემოდგომო პურის სახით, რომელსაც ასევე მრავალი სახეობა გააჩნია. ამდენად, ბუნებრივია, რომ ქართველმა გლეხობამ ამ ხორბლეულზე საუკუნოვან დაკვირვებათა შედეგად გამოიმუშავა პრაქტიკულად ეფექტურ ჩვევათა და ხერხთა რიგი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დიკას გავრცელების რაიონებში ნიადაგის დასამუშავებლად გამოიყენება ანაბა-გუთანი, ხოლო დაბლობებში, დოლის პური გავრცელების რაიონებში, საანეული გუთანი. ეს უკანასკნელი ამავე დროს შრომის ორგანიზაციის თავისებურ ფორმებსა და (მოდგამი, მონდავი, ულამი, ამბაზი) 2000–3000 კომლის შემცველ კომპაქტურ დასახლებას უკავშირდება.

უკანასკნელ დრომდე ნასწავლი სპეციალისტები უაზრობად მიიჩნევდნენ ზემოთ დასახელებულ მსგავს გარდაქმნებს და ლეგენდად თვლიდნენ. ეს სპეციალისტები პრინციპულად წინააღმდეგი იყვნენ განეხილათ ისინი, როგორც ერთი სახეობის მეორედ გარდაქმნის შედეგი და მათ თვლიდნენ, „როგორც თესლთა ერთი სახეობის მეორესთან მექანიკური შერევის (წყლის, ქარის ან ფრინველთა მეშვეობით შერევა ველზე, სადაც თესვა წარმოებდა) შედეგს ან ვარაუდობდნენ, რომ შერეული სახის თესლი მოცემულ ნათესში დიდი ხნით ინახებოდა ნიადაგში“.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა უკანასკნელი გამოკვლევები, რომლებშიც ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე მტკიცდება, რომ გარემოს შეცვლილ პირობათა გავლენით ერთი სახეობის პურეულის ორგანიზმში წარმოიშვება და ყალიბდება სხვა სახეობათა სხეულის ნანასახები[2].

ამრიგად ხალხის ემპირიული ცოდნა მეცნიერული ექსპერიმენტებით დასტურდება.

უშუალო მწარმოებლებს გარემოს გამოყენებისა და მასთან შეგუების პროცესში უნდა გამოიყენებინათ ბუნების კანონები და ამ უკანასკნელთა გათვალისწინებით უნდა ემოქმედათ. ეს, როგორც ჩანს, შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ ხალხი შეგრძნებათა მეოხებით იქმნიდა საერთო ჯამში სწორ წარმოდგენას გარემოს შესახებ. ადამიანი ვერ შეეთვისებოდა ბიოლოგიურ გარემოს, მისი შეგრძნებები, რომ არ აძლევდნენ მას ობიექტურად სწორ წარმოდგენას მის შესახებ[3].

---

[2] J. Segal, Wie das Leben ouf der Erde entstandt, კრებული Weltall, Erde Mensch, Brl. 1954; Т. Лысенко, новое в науке о биологическом виде, Вестник АН СССР, 3, 1951, გვ. 71, 73.

[3] В. Ленин. Сочинения. Т.XIV, 1947, стр. 166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარტოოდენ შეგრძნებები, რომლებიც ახორციელებენ უშუალო კავშირს გარემოსთან, ვერ შეძლებდნენ ბუნების კანონთა აღმოჩენას. ამ ამოცანას პრაქტიკა და მასზე დამყარებულ პრაქტიკულ მოთხოვნათა საფუძველი, მათ დასაკმაყოფილებლად აღმოცენებული მეცნიერება წყვეტს. პირველყოფილი ეპოქის ადამიანმა არ იცოდა და დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ენერგიის ერთი სახის მეორე სახად გარდაქმნაზე, მაშინ, როცა ხის ორი ნაფოტის ურთიერთხახუნის გზით ცეცხლს იღებდა. ბუნების ეს კანონი აღმოჩნდა და დაფუძნდა ადამიანის პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობაში. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ პრაქტიკის გარეშე მეცნიერება ეს სქოლასტიკაა და რომ იგი თავისი შინაარსით მეტაფიზიკურია.

კაცობრიობის ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე მარტივ წარმოდგენათა საფუძველზე – შექმნილი კულტურული ღირებულებანი მრავალრიცხოვანია. ადამიანი ქმნიდა მათ და შექმნა კულტურის ამა თუ იმ სახის მატარებელი, მაშინ, როცა მას არსებობისათვის ბრძოლის პროცესში გაუნდა მარტივი წარმოდგენა, ანუ მაშინ, როცა ადამიანი იქცა ადამიანად. ამიტომ ბურჟუაზიულ-რეაქციული ეთნოგრაფიის მტკიცება უკულტურო ხალხთა შესახებ ყალბ წარმოდგენაზე დამყარებული უაზრობაა.

ბურჟუაზიულ-რეაქციულ ეთნოგრაფთა შეხედულება, კულტურულ ევროპელთა და უკულტურო არაევროპელთა შესახებ, არსებითად იმ რასისტული დებულებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც არსებობენ აქტიური შემოქმედი რასები და პასიური – არაშემოქმედი, ე.ი. ისეთი რასები, რომლებსაც არაფერი შეუქმნიათ და არც რაიმეს შექმნა შეუძლიათ. ეს რეაქციული თვალთახედვა გაბატონებულ კლასთა ინტერესებს ემსახურება, ქადაგებს რასობრივ დისკრიმინაციას, წარმოადგენს ხალხთა ნაგვრის „ფილოსოფიურ“ დასაყრდენს და ბადებს ხალხთა შორის უთანხმოებას. ამაში თანაბრად არიან დამნაშავენი გერმანული კულტურულ-ისტორიული სკოლაც (W. Scmidt, W. Koppers), ფრანგული სოციოლოგიური (Durkheim, Mauss) და ამერიკული ფსიქოლოგიური სკოლებიც, თავიანთი განშტოებით და ინგლისური ფუნქციონალიზმის სკოლაც (Br. Malinovsci). ამავე დროს, მსგავსი მსოფლმხედველობა სავსებით უცხოა საბჭოთა ეთნოგრაფიისთვის და იგი მას გადაწყვეტით უარყოფს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით თავისთავად ცხადია, რომ ეთნოგრაფის საველე მუშაობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მუშაობას უნდა ექნეს პრინციპული მიზანდასახულება და სწორი მეთოდი.

საველე ეთნოგრაფიული სამუშაო არ წარმოადგენს ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების უბრალო თავმოყრას. იგი, ერთ მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოა, რომელიც მეტად რთულ პირობებში ტარდება. ეს სირთულე ღრმავდება იმითაც, რომ მეველე ეთნოგრაფის საგანს წარმოადგენს ცოცხალი ადამიანის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის გარკვეულ ასპექტში განხილვა. მეორეს მხრივ, რამდენადაც მეველე ეთნოგრაფი ერთსა და იმავე დროს მკვლევარიცაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემკრებიც, ეთნოგრაფიული ფაქტებისა, ეს უკანასკნელნი საჭიროებენ ობიექტურ მიდგომას, რათა ფაქტები არ დამახინჯდეს და მოხდეს მათი ყოველმხრივი და ზუსტი ფიქსირება.

საველე მუშაობის პირობებში მკვლევარს შესაძლებლობა აქვს ჩაინიშნოს და შეისწავლოს უშუალო მწარმოებელთა საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები მათი არსებობის პროცესში, შეისწავლოს ძველი, მომაკვდავისა და ახალის, განვითარებადის და პროგრესულის ურთიერთმებრძოლი ელემენტების ერთობლიობა. მაგრამ ამასთანავე მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე მეტისმეტად რთული, ორმაგად გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნოგრაფიული მოვლენაა, რომლის ზოგიერთი ელემენტი ადვილად მისაწვდომია ჩასანიშნად, მაშინ, როცა მეორენი ოდნავ შესამჩნევი და ძნელად დასაჯერია.

ეს ნიშნავს, რომ მუშაობის საველე მეთოდი, იმის გარდა, რომ იგი მოწოდებულია უზრუნველყოს ფიქსირებული ფაქტების უტყუარობა, იგი უნდა იყოს ისეთიც, რომ დიდი თუ მცირე ეთნოგრაფიული ფაქტი არ გამორჩეს ეთნოგრაფის მხედველობის არეს და რომ ადეკვატურად იქნეს ისინი ასახული.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. სწორედ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტების ჩანიშვნის მხოლოდ ისეთი მეთოდი, როცა არის მოვლენათა მეტნაკლებად სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერიდან, მათ ობიექტურ ხარისხთან აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობა. ამის გარდა, არ არის საკმარისი მოვლენათა სტატისტიკურ მდგომარეობაში ჩანიშვნა, არამედ საჭიროა, მათი მოძრაობის, დინამიკის, განვითარებისა და ისტორიულ ჭრილში განხილვა. ეთნოგრაფიის საბჭოთა სკოლისათვის დამახასიათებელი თანამიმდევრული ისტორიზმი, რომელიც ბრწყინვალე შედეგებს იძლევა სამეცნიერო კვლევით თემათა დამუშავებისას, ფართოდ გამოიყენება საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროსაც. ნებისმიერი ხალხის კულტურის განხილვისას, მისი ნაციონალური და ეთნიკური სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ეთნოგრაფი ავლენს მასში ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდთა დანაშრევებს, კითხულობს მის წარსულ ისტორიულ და ბედთა მთელი სიმთელის გამოხატულებას[4].

შემდეგ ეთნოგრაფიული მოვლენები და ფაქტები შესწავლილ უნდა იქნეს არა იზოლირებულად, გარემო მოვლენებთან კავშირის გარეშე, არამედ პირიქით, მათთან მჭიდრო კავშირსა და გარემო მოვლენათა განპირობებულობაში. ცნობილია, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნეს გაგებული თუ მას იზოლირებული სახით, გარემო მოვლენათაგან მოწყვეტილად განვიხილავთ, რადგანაც ყოველი მოვლენა, ბუნების ნებისმიერ სფეროში შეიძლება უაზრობად იქცეს, თუ მას გარემო მოვლენებისაგან კავშირის გარეშე მათგან მოწყვეტილად განვიხილავთ. დაბოლოს საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მოითხოვს,

[4] С.П.Толстов, Советская школа в этнографии, стр.15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აღწერილობა არ იყოს ზედაპირული, ფრაგმენტული, არამედ იგი უნდა ასახავდეს საგანსა და მოვლენებს სრულყოფილად, რაცა აღწერა შეეხებოდეს არა მარტო მის გარეგან მხარეს, არამედ შინაგან შედგენილობასაც. ეს ნიშნავს, რომ აღწერილობამ უნდა გამოავლინოს საგნის სტრუქტურა, მისი ტექნიკა და ფუნქცია.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობისადმი წაყენებული ეს მოთხოვნები გამომდინარეობს საბჭოთა ეთნოგრაფიის ზოგად პრინციპულ დებულებებიდან მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიისაგან.

საველე ეთნოგრაფიის ზემოთ დასახელებული მოთხოვნები – მოგვცეს ადეკვატური, უტყუარი, ყოველმხრივი აღწერილობა და გამოავლინოს საგნისა და მოვლენის ისტორიზმი, გარემო, სტრუქტურა, ტექნიკა და ფუნქცია, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოვლენათა კომპლექსური შესწავლისას; როცა კომპლექსში შედის, ერთი მხრივ, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენათა ერთობლიობა, და მეორეს მხრივ, როცა თითოეული საგანი აღიწერება „როგორც ადამიანის შრომის ჯამი“ (კ. მარქსი). ე.ი. მასალის, ტექნიკის ფუნქციისა და ა.შ. მიხედვით. ამასთანავე, ეს ტექსტუალური მასალა შეგროვილი უნდა იქნეს პირველწყაროთა, ხოლო საგნობრივი მასალა კი - ორიგინალების მიხედვით.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ამ მეთოდის თვალთახედვით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სიფართოვე. უფრო საყურადღებოა ვიწრო რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ფართო რაიონების და ოლქების გავლით აღწერა.

ადგილზე ერთი სახვნელი იარაღის კარგად შედგენილი „ბიოგრაფია“ იძლევა გაცილებით მეტს, ვიდრე ათეული ასეთი იარაღის ზედაპირული აღწერა. ამასთანავე, მუშაობა უნდა ჩატარდეს ცალკეულ მსხვილსა და წვრილ სოციალურ ერთეულებში: ოჯახსა, გვარსა და ა.შ.

ასე, მაგალითად, ამ მეთოდით რაჭული სახვნელი იარაღის აღწერამ შემდეგი შედეგი მოგვცა. თავისი სტრუქტურით იგი სახვნელ იარაღებს განეკუთვნება, და ამასთანავე წარმოადგენს ამ ტიპის უმაღლეს დერივატულ ფორმას. ქუსლის სტრუქტურისა და ფუნქციის მიხედვით იგი უნიკალური სახვნელი იარაღია, რომელსაც არ გააჩნია ანალოგები სხვა ხალხში. რაჭულ სახვნელ იარაღს თავისი კონსტრუქციული პრიმიტიულობის მიუხედავად შეუძლია ბელტის გადაბრუნება. ტექნიკურად იგი ხის დამამუშავებელი ხელოსნობის სრულყოფილ ნიმუშს წარმოადგენს. თვალში გვხვდება როგორც ცალკეულ ნაწილთა, ისევე მთელი იარაღის გულმოდგინე გამართულობა. ნანს, რომ მოსახლეობას მდიდარი ემპირიული ცოდნა აქვს სახნავი იარაღის, მისი ცალკეული ნაწილების მიმართ. მან შემოინახა მდიდარი და მრავალგვარი ტერმინოლოგია მისი ცალკეული ნაწილებისა და ავლენდა მის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს. ზოგ ხალხურ სიმღერაში ფიქსირებულია ადამიანის ახლო დამოკიდებულება სახვნელ

იარაღთან, ზოგში კი – თვით იარაღის დამზადების პროცესი თუ დავა სახვნელი იარაღის ცალკეულ ნაწილთა შორის, რომლის დროსაც როგორც თვით იარაღი, ისევე მისი ნაწილებიც ცოცხალ არსებებადაა წარმოდგენილი. რაჭული სახვნელი იარაღის დასამზადებლად იხმარება სპეციალურ ინსტრუმენტთა მთელი რიგი; ასე, მაგალითად: ხოწი, ხელეწო და ფეხეწო, რომლებიც ხმარების წესით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სხვა. გარეგნულად სავსებით დასრულებულად და სიმეტრიულადაა წარმოდგენილი სახნავი იარაღის რკინის სახნისი, რომელიც ტრადიციულად დასავლურ-ქართულ (რაჭულ) შუა საუკუნოვან (XIს.) სახნისებს უკავშირდება, რომლებიც აქვე, რაჭაშივე მზადდებოდა ადგილობრივი რკინის მადნისაგან (წედისური ფოლადი).

მთის მიწათმოქმედებასთან შეფარდებული ეს სახვნელი იარაღი უმთავრესად კირ-ნაცროვანი ნიადაგისათვის იხმარება, სადაც მას თან ახლავს გარკვეული სახის მარცვლეული (ხულუგო, პური, ქერი და სხვა). ამ სახეობათაგან ზოგიერთი ენდემურია და ხორბლეულის მოშინაურების ადგილობრივ კერას განეკუთვნება. ამავე სახვნელ იარაღს ზოგ შემთხვევაში თან სდევს ორიგინალური ხის ინსტრუმენტი შნაკვი, რომლითაც ტეხავენ „მახახ“ და „ხანდურის“ თავთავებს, რომლებსაც შემდეგ ამუშავებენ. უფრო მეტიც, რამდენადაც რაჭულ სახვნელ იარაღს თან ახლავს ისეთი პურეული, რომლებიც როგორც გაირკვა მნიშვნელოვანი წებოვანობით ხასიათდება. მოცემული სახვნელი იარაღის გავრცელების ზონაში ვხვდებით თორნეებს, რომლის კედლებზეც კარგად ნერდება პურის ცომი გამოცხობის დროს.

რაჭული სახვნელი იარაღის თანმხლები მოვლენები არ ამოიწურება ზემო ნათქვამით. მასთან კავშირში დასტურდება შრომის თავისებური კოლექტიური ფორმა - რამდენიმე მუშა ხელის, ცხოველისა და იარაღის გაერთიანება სათესი ფართობების მოხვნისათვის.

შემდეგ დასტურდება ხარის კულტის გადმონაშთი, რომელიც ასახავს ხარის მოთვინიერებას მასთან ბრძოლის გზით, მსგავსად იმ ბრძოლისა, რომელსაც ეწევიან ცნობილი შუმერული გმირები გილგამეში და ენკიდუ გარეულ ხართან. ეს კულტი მდიდრადაა წარმოდგენილი ახალწლის დღესასწაულში. ხალხურ პოეზიაში ხარი ცივილიზაციის, კერძოდ მიწათმოქმედების ფუძემდებლად მიიჩნევა. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ხალხურ ზღაპრებში გოლიათი გმირები მეგუთნეებად (მხვნელებად) არიან წარმოდგენილი, რომლებიც მიწის დიდ ბელტებს ყლაპავენ. ერთ-ერთ ლეგენდაში აღნიშნულია, რომ ხარსა და ირემს შორის შეჯიბრის დროს, თუ ვინ ემსახურის ადამიანს, ირემმა ვერ მოზომა თავისი ძალები და გაიქცა, რათა ცის თაღზე გაეხწრო ხარისათვის, მაგრამ მალე დაუძლურდა, ჩამოვარდა ციდან და დაიღუპა. ხარმა კი ზომიერი ნაბიჯებით მიადწია ცის თაღის დასასრულს, რითაც მოიპოვა გამარჯვება და შეუდგა თავისი წმინდა მოვალეობის შესრულებას, მშრომელი გლეხობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტივები სოფლის ყოფიდან
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ურეკმი
(მხატვარი ზ.ნურეთელი)

ხამსახურს. ლეგენდის თანახმად ამ შეჯიბრმა ცაზე დატოვა კვალი ირმის ნახტომის და დიდი დათვის („გუონეულის“) სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალათა საერთო კომპლექსში არანაკლებ საინტერესოდ გამოიყურება გადმოცემანი სახვნელი იარაღის წარმოშობის შესახებ. ერთნი აღნიშნავენ, რომ პირველი სახვნელი იარაღი მთლიანად რკინისა იყო (თანახმად ბერძნული ლეგენდისა კოლხთა მეფეს ფოლადის სახვნელი იარაღი ჰქონდა). იგი ხალხისთვის შექმნეს ღვთაებებმა - სალონმა, ქრისტემ და სხვა.

სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა დიდი გუონის აღწერილობა. თავის სტრუქტურით რამდენიმე სახის სხვაობით წარმოდგენილი ეს სახვნელი იარაღი – ფამფალაკიანია. სახვნელი იარაღის მარტო რკინის ნაწილების წონა უდრის 20 კილოგრამს. ტექნიკის მიხედვით გამოირჩევა ვირტუოზული ნაკეთობის მოკლე და მოხრილი მხარი, რომლის ეს ფორმა გამიზნულია, ერთის მხრივ, გაბარიტის გადიდებისათვის მხარსა და ჭუსლს შორის, ხოლო, მეორეს მხრივ, მხარის მიმართ მუშა საქონლის გამწევი ძალის თანაბრად გასანაწილებლად. დიდი გუთანი თავისი ფუნქციით გამიზნული იყო ღრმა ხვნისათვის: მას 25 – 30 სმ სიგანისა და 50 – 60 სმ სიღრმის კვალი გაეკვლა. იგი ოვალური ფრთის მეშვეობით აბრუნებდა და გვერდზე აწყობდა ბელტს. ასეთი სახის სახვნელ იარაღში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აბამდნენ 8 – 9 უღელ ხარ-კამეჩს. აღწერის პროცესში გაირკვა, რომ ამ იარაღით შესრულებული ღრმა ხვნა ხელს უწყობდა კარგი მოსავლის მიღებას. გლეხების აზრით, ღრმა ხვნა, ცვლის რა ნიადაგის სტრუქტურას, ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მის ნაყოფიერებას, მეორე მხრივ კი დიდხანს ინახავს ნიადაგის ტენიანობას, რის გამოც პურეული კულტურები უკეთ ებრძის გვალვას, არ ცდება და იძლევა საკმარის მოსავალს. დიდი გუთანი მოითხოვს რთულ მეურნეობას. ამაზე ისიც მიგვითითებს, რომ თანმის დასამზადებლად ორი უღელი ხარისთვის საჭიროა ორი ხარის ან კამეჩის ტყავი. ეს მეურნეობა საჭიროებს დიდ და წვრილ თასმათა ტაბიკთა, უღელთა და სხვა. ასევე მუშახელის – გუთნის დედის (1), დღის მცველების (2), ღამის მცველების (2), მეხრეებისა და დამხმარე პერსონალის დიდ რაოდენობას.

ამ სახის სახვნელ იარაღს თან სდევს გარკვეული ხორბლეული დოლის პური, თავთუხი და სხვ. თორნე, დოლაბის წისქვილი, მსხვილი მასშტაბის დასახლება (2000 – 3000 კომლის სოფელში). შრომის კოლექტიური ფორმის ინსტიტუტი, დარბაზული ტიპის სახლი, დიდი ურემი და სხვა.

როგორც ამ მაგალითებიდან ვხედავთ საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი შეიძლება ნაყოფიერი აღმოჩნდეს. ამ მეთოდით შეიარაღებული ეთნოგრაფი უდავოდ შეძლებს ველად ძვირფასი მასალის შეკრებას, რომელიც შემდგომში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას ეთნოგრაფის პრინციპული საკვანძო საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტის საქმეში საუკეთესო ობიექტად იქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო მეტია უტყუარი, სრულფასოვანი დინამიკური, ადეკვატური ფაქტების რაოდენობა მით უფრო ადვილია მათი შემდგომი დამუშავება, განზოგადება და კანონზომიერებათა გამოვლინება.

კარგადაა ცნობილი, რომ შიშველი ფაქტები გენეტიკური ახსნის გარეშე დასკვნებს არ წარმოადგენს.

მკვლევარი ეთნოგრაფი მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, როცა მოვლენათა შორის კორელაციური დამოკიდებულების დადგენის შემდეგ ავლენს მოვლენათა განსაზღვრულ კანონზომიერებებსა და კანონებს.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ რამდენად პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდს. ამ სამუშაოს სწორად დაყენებაზე არსებითად დამოკიდებულია ეთნოგრაფის მთელი შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. უფრო მეტიც, სწორედ დაყენებული საველე მუშაობა, როგორც აღვნიშნეთ, თვით უკვე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს წარმოადგენს. საბჭოთა ეთნოგრაფიის ზოგად პრინციპულ დებულებებიდან გამომდინარე საველე მუშაობის მხოლოდ ამგვარი დაყენება იძლევა ზოგადთეორიული მნიშვნელობის პრობლემათა წამოყენებისა და გადაჭრის ფართო შესაძლებლობას. ფაქტების მშრალი შეგროვება არა მარტო არ არის საკმარისი, არამედ ჩვეულებრივ ეს ფაქტები არაფერს იძლევა, თუ მკვლევარი მათ არ განიხილავს შეგროვების მომენტში, როგორც თანაარსებულ მოვლენებს, როგორც მოცემული ხალხის ისტორიის ძეგლებს, რომლებიც ცხოვრების დინამიკას ასახავს. მაგრამ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის ამგვარ დაყენებას არ შეუძლია სათანადო შედეგების მოცემა, თუ მკვლევარი არ არის აღჭურვილი ეთნოგრაფიის სფეროში ფართო ცოდნით, რომელიც მუშაობის პროცესში კონკრეტული ამოცანების დასახვის შესაძლებლობას მისცემს მას.

მაგრამ პრინციპიალურ მხარეთა გარდა საველე ეთნოგრაფიის მეთოდს თავისი ტექნიკური ხერხებიც აქვს. მათ განეკუთვნება, პირველ რიგში ველზე ხანგრძლივი ყოფნა, შრომითი პროცესებისა და კულტურული კომპლექსების (ეთნოგრაფიული წელი) ციკლურობის გათვალისწინება; შესასწავლი ხალხის ენის ცოდნა, ფოტო-კინო გადაღება, მაგნიტოფონზე ჩაწერა, აერო-ფოტო გადაღება და სხვა.

საველე მუშაობის დახასიათებული მეთოდი ერთნაირად გამოდგება როგორც ძველი, ისევე ახალი ყოფისა და კულტურის შესასწავლად. ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რამდენადაც ნაციონალური კულტურის გაგებაში შედის არა მარტო სულიერი მხარე, მოცემული ნაციის ფსიქიკური წყობა, არამედ მატერიალური კულტურის თვითმყოფი ნიშნებიც და ხალხის შრომითი ჩვევები თუ საწარმოო ყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდის პრინციპული დაყენება დროდადრო ისეთი საკითხებით იცვლება, როგორიცაა საველე მუშაობის ვადები, ეთნოგრაფის პირადი თვისებები

ან კვლევის ფორმისა და მასალათა ჩანაწერის ტექნიკის საკითხები და ა.შ.

მართებულად მიმაჩნია საკოლმეურნეო ყოფის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ჟურნალ „Советская этнография“-ში დაბეჭდილ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ყოფის ეთნოგრაფიულად შესასწავლად საჭირო‍ა პრაქტიკაში გამოცდილ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის სწორი და თანმიმდევრული გამოყენება, ყურადღების ფიქსაცია პირველ რიგში კულტურისა და ყოფის საკვანძო საკითხებზე, რომლებიც ეთნიკურ და ნაციონალური სპეციფიკის აშკარა ბეჭედს ატარებენ და რომლებიც აქტიურ, დადებით როლს ასრულებენ სოციალისტური გარდაქმნის პროცესში[5].

ყველასათვის საკმარისად ცნობილი საზღვარგარეთული ბურჟუაზიული ეთნოგრაფიის საველე მუშაობის „მეთოდების“ გვერდის ავლით, აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ Dittmer-ით დავა, რომელიც დღემდე მიდის განსხვავებულ სკოლათა წარმომადგენლებს შორის უსაგნოდ უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც Dittmer-ის აზრით, საველე ეთნოგრაფიას უნდა ჰქონდეს იმდენივე მეთოდი, რამდენი ასპექტიც აქვს. ჩვენი თვალთახედვა ამ საკითხში, როგორც ვხედავთ დიამეტრალურად საწინააღმდეგოა.

რამდენადაც ცნობილია ჩემთვის, საველე ეთნოგრაფიის საკითხები განიხილებოდა საბჭოთა ეთნოგრაფთა ყრილობაზე 25 წლის წინათ, როცა განიხილებოდა ვ.გ. ბოგორაზ-ტანის („საველე ეთნოგრაფიის სტაციონარული მეთოდი“), ბ.ა. კუფტინის („საველე ეთნოლოგიის ამოცანები და მეთოდები“) და აგრეთვე „ცალკეული დაწესებულებების ეთნოგრაფიული ექსპედიციების ურთიერთდაკავშირება“ და სხვა. ჩვენ მივესალმებით ამ საკითხის დაყენებას ჩვენს ყრილობაზე, რამდენადაც ღრმად გვწამს, რომ განხილვა ესოდენ მნიშვნელოვანი უბნისა, როგორიცაა საველე ეთნოგრაფიული მუშაობა, მოგვეხმარება ჩვენი მეცნიერების უფრო წინ წაწევაში.

1956 წ.

[5] А.И. Робакидзе, Некоторые вопросы этнографического изучения нового быта, СЭ, №3, 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

1952 წელს ქალაქ ვენაში ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესის ევროპულ სექციაში წარმოებული თათბირის დროს განხილულ იქნა საკითხი საერთაშორისო ეთნოგრაფიული ატლასის შესახებ.

ამ თათბირის ხელმძღვანელი მონაწილე იმის მომხრე იყო, რომ ამ მიზნისათვის პირველი ცდები დაემყარებინათ ერთ რომელიმე წინასწარ განსაზღვრულ თემაზე, რომელიც საკმარისად იქნებოდა გამორკვეული და შედარებით გააადვილებდა ატლასის შედგენას. მათი აზრით, ასეთ პირობას სახვნელი იარაღების თემა დააკმაყოფილებდა, ვინაიდან სახვნელი იარაღების შესწავლა სხვა თემებს შორის, ყველაზე მეტად დაწინაურებულია.

ამ თათბირს შედეგად მოყვა ის, რომ მომდევნო სპეციალური თათბირის შემდეგ კოპენჰაგენში, დანიის ნაციონალურ მუზეუმთან 1954 წელს, დაარსდა აგრიკულტურული იარაღების ისტორიის გამომკვლევი ინტერნაციონალური სამდივნო, რომელიც მუშაობს კითხვარების შემწეობით სათანადო მასალის შეგროვებაზე, რათა შეგროვილი და სათანადოდ შესწავლილი მასალა შემდეგ აისახოს ეთნოგრაფიულ ატლასში. სამდივნოს აფინანსებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო.

მიუხედავად იმისა, გავიზიარებთ თუ არა ჩვენ სამდივნოს მიერ გამომუშავებულ გეგმასა და პროგრამას სახვნელი იარაღების ატლასის შესადგენად (ვინაიდან, ჩვენი აზრით, სანამ არ არის შესწავლილი სახვნელი იარაღების ნაციონალური ისტორიები, საერთაშორისო ატლასის შედგენა გაძნელდება), სამდივნოს მიერ დაწყებული მუშაობა თანდათან ფართოვდება და მეტ-ნაკლები სისწრაფით მასალა გროვდება.

ამ ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად, თუ მასზე თვალის დაჭერით, ეთნოგრაფიული ატლასის შედგენაზე გაცხოველებული მუშაობა წარმოებს რიგ ქვეყნებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში ეთნოგრაფიული ატლასის შედგენაზე მუშაობდნენ ჯერ კიდევ 1929 წლიდან მოკიდებული. ომამდე გამოვიდა კიდეც რამდენიმე ნაკეთი გერმანული ეთნოგრაფიული ატლასისა. 1939 წელს ომის დაწყების შემდეგ გერმანულ ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობა შეწყდა. ამჟამად გერმანიაში კვლავ მუშაობენ ატლასის შედგენაზე, ოღონდ ატლასისათვის ახალი გეგმაა გამომუშავებული და ახალი პრინციპული საფუძვლებია გამოყენებული. ატლასზე მუშაობას აწარმოებს გაერთიანებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის, გერმანიის კომისია.

ამჟამად მუშაობა ატლასის შედგენაზე მიმდინარეობს შვეიცარიაში (სადაც რამდენიმე ნაკეთი უკვე გამოცემულია), შვეიცარიაში, იქაც რამდენიმე ნაკეთია დაბეჭდილი, იტალიაში (ასევე), პოლონეთში (გამოსულია საცდელი ნაკეთი 1958 წ.), უნგრეთში.

საბჭოთა კავშირში შედგენილია და იბეჭდება ციმბირის ხალხთა ეთნოგრაფიული ატლასი, მიმდინარეობს მუშაობა რუსულ ეთნოგრაფიულ ატლასზე. ასევე შუა აზიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ატლასზე.

1959 წელს სესიაზე, რომელიც შედგა მოსკოვში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კავკასიის ეთნოგრაფიული ატლასის შედგენის შესახებ. არსებული იყო სათანადო ხელმძღვანელი კომისია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კავკასიური ეთნოგრაფიული ატლასი შეიძლება მაშინ შედგეს, როდესაც მზად იქნება საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა კავკასიაში შემავალი ხალხების ატლასები.

§1. საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასის მიზანი, პრინციპები და მეთოდები

1.საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასის მიზანია განაზოგადოს და სინტეზი უქნას ჩვენს ცოდნას, ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის სტრუქტურისა და მისი ცალკეული ელემენტების გავრცელებისა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

2. ამ მიზნის მიღწევა და სათანადო შედეგების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის შესწავლა სათანადო სიმაღლეზეა აყვანილი, დაწინაურებულია ეთნოგრაფიული მოვლენების მონოგრაფიული შესწავლა, დადგენილია ეთნოგრაფიული მოვლენების კანონზომიერება და მეტნაკლებად გამორკვეულია ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი თანაარსებული მოვლენები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო კარტოგრაფიისა და სათანადო ტექსტების შემწეობით აისახოს ეთნოგრაფიული სინამდვილე და გაირკვეს ეთნოგრაფიული მოვლენების კანონზომიერება.

3. ამას გარდა ატლასს პრაქტიკული ამოცანაც აკისრია, რამდენადაც ატლასისათვის დადგენილი სიმბოლური ნიშნების შემწეობითა და სათანადო რუკის მიხედვით შეიძლება სწრაფად გავარკვიოთ ამა თუ იმ მოვლენის ხასიათი მისი ხნოვანობა და მისი სპეციფიკურობა.

4. იმისათვის, რომ ატლასმა მისთვის დასახულ მიზანსა და ამოცანებს წარმატებით მიაღწიოს, საჭიროა ეთნოგრაფიული მოვლენები ასახული იყოს არა როგორც იზოლირებული ფაქტები, არამედ მის (ფაქტის) გარემოცვაში, სხვა მოვლენებთან კავშირში, როგორც რგოლური მოვლენები. ცნობილია, რომ თავისთავად აღებული ფაქტი გამოუყენებელია, თუკი ის არ არის ახსნილი ევოლუციურად; ხოლო მეორე მხრით, ნებისმიერი ფაქტი თუ მოვლენა, შეიძლება უაზრობამდე იყოს დაყვანილი, თუ ის იზოლირებულადაა განხილული. იგივე მოვლენა და ფაქტი შეისწავლება სხვა მოვლენებთან განუწყვეტელ კავშირში, გარემო მოვლენებისაგან განპირობებაში.

ყოველივე ზემოთქმულს დავძენთ, რომ ფაქტი და მოვლენა სტატიკურ მდგომარეობაში აღებული მოკლებულია მეცნიერულ შინაარსს. ფაქტისა და მოვლენის არსში ჩაწვდომა და მათი ხასიათის გარკვევა შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწავლილია მისი ჩასახვა და განვითარება ე.ი. ისტორიულ ჭრილში და როგორც თანაარსებული მოვლენები. მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ, რომ ყოფასა და კულტურაში ეთნოგრაფიული მოვლენები (ძველი და ახალი) არსებობენ, არა დაქუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად სიდიდის კომპლექსების მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნოგრაფიული კომპლექსები, ჩვეულებრივად, მეტად რთული, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური მოვლენებია.

5. ზემოთ მოტანილი პრინციპული ხასიათის დებულებები თავის მხრით მოითხოვენ ატლასისათვის მასალის შეგროვებისა და ატლასის შედგენისას სათანადო მეთოდების გამოყენებას. ერთი მხრით, საჭიროა ბასრი სამეცნიერო-კვლევითი მეთოდი, რომელიც უნდა ემყარებოდეს სწორ მეთოდოლოგიას, ხოლო მეორე მხრით, უნდა იყოს მომარჯვებული ტექნიკურ–სამეცნიერო მეთოდები.

რაც შეეხება პირველს, ეს არის ჩვენში გამომუშავებული და კვლევაში შემოწმებული კომპლექსურ–ინტენსიური მეთოდი, რომლის მიხედვით კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები, ხოლო, მეორე მხრით, ყოველი საგანი და მოვლენა აღიწერება, როგორც „ადამიანის შრომის ჯამი“ (კ. მარქსი), ე.ი. სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან ერთად საჭიროა ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით და ნივთიერი ორიგინალების სახით. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ, მცირე და დიდ სოციალურ უჯრედებში: ოჯახში, უბანში, სოფელში, ხევში, დაბაში და სხვა.

ხოლო, რაც შეეხება მეორეს, სამეცნიერო-ტექნიკურ მეთოდებს ქვემოთ გვექნება საუბარი.

6. ყოველგვარი ეთნიკური ერთეულის სტრუქტურა შეიცავს: ბუნებრივ გარემოს, მატერიალურ კულტურასა და მეურნეობას, სოციალურ ურთიერთობას და სულიერ კულტურას. ამათგან თითოეული თავის მხრივ შედგება ცალკეული ელემენტებისაგან. მაგ. ბუნებრივ გარემოში შედის ოროგრაფია, ჰიდროგრაფია, ჰავა, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული, ტრასები და სხვა. ასევე მატერიალურ კულტურაში შედიან: მენიუ, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კერა, დასახლება, შრომისა და ბრძოლის იარაღი, ტრანსპორტი და ასე სხვა. მეურნეობის დარგში: შემგროვებლობა, მონადირეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მემინდვრეობა (თოხის კულტურა, სახვნელი იარაღის კულტურა), მებოსტნეობა, მეხილეობა, მორწყვა, მესაქონლეობა, ხელოსნობა და სხვა.

7. კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით საქართველოსთვის ვერტიკალური ზონალობაა დამახასიათებელი. საქართველოში მთას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირავს 58.6% ფართობი, მთისძირა ზოლს – 33.4 %, 13% ფართობი დაბლობია. ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად საქართველო იყოფა მთად (კავკასიონის ფერდობები), ზეგნად (სამხრეთი საქართველო – მესხეთ-ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი, ბასიანი, შავშეთ-იმერხევი, აჭარა) და ბარად (სამეგრელო, იმერეთი, ქართლ-კახეთი, ჰერეთი) ვერტიკალურ ზონალობას კარგად პასუხობს სამეურნეო ვითარება, როგორც მიწისმოქმედებაში, ასევე მესაქონლეობაში. ბარის მიწისმოქმედება, ზეგანის მიწისმოქმედება და მთის მიწისმოქმედება. აგრეთვე ვერტიკალური მესაქონლეობა: ბარი, მთის ფერდა და მთა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ზოლს თავისი შიგნით თავისი ბარი, ფერდა და მთა გააჩნია, ისე რომ მთავარი დაყოფის მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მეორდება. ასე, მაგალითად, ხევსურეთს აქვს თავისი ბარი, ფერდა და მთა. სამეურნეო თვალსაზრისით მთის ძირი, ზეგანი, ფერდა წარმოდგენილია ისეთი მაჩვენებლებით, როგორიც მევენახეობა-მეღვინეობაა, სადაც ვენახი არ ხარობს და მოსახლეობა ბარიდან ამოტანილ ტკბილს ღვინოდ დაადუღებს. მთის მოსახლეობა კი ადგილზე ტკბილის დადუღების შესაძლებლობას მოკლებულია. ამასთან დაკავშირებით ქვევრი – ბარში, მენა წალკაში, აფიონი – ხევსურეთში, დიდი გუთანი – ბარში, ორხელა – მთის ძირში, ანაჩა – მთაში; ურემი – ბარში – ბოლოოთრია ანაჩა ურემი – მთის ძირში – მარხილი – მთაში. ბარში – ჰორიზონტალურ ჭრილში განლაგდება საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მთაში – ვერტიკალურ ჭრილში, ხოლო მთის ძირში შერეული სახის ნაგებობებია მოცემული. აქვე შეიძლება აღნიშნული იყოს, რომ გარდამავალი ზოლი დიდ საშუამავლო როლს ასრულებს მთისა და ბარის მეურნეობათა შორის. დამახასიათებელია, რომ ამ ზოლშია წარმოდგენილი დაბური დასახლების პუნქტები, რომლების ბაზრობებზეც იყრიდა თავს ბარისა და მთის საქონელი და სადაც წარმოებდა მთისა და ბარის პროდუქციის გაცვლა-გამოცვლა. დღესაც კი შეიმჩნევა, რომ მთის ზოლის კოლმეურნეობები ცდილობენ სამეურნეო კავშირი დაამყარონ ბარის მეურნეობებთან იმ მხრივ, რომ მათ წილი ჰქონდეთ ამ მეურნეობაში ღვინის მიღების მხრივ, ისევე როგორც ბარი ცდილობს იქონიოს საძოვრები მთაში (რაჭის სოფლების, ქსნის ხეობის სოფლების მაგალითი).

ამ ზოლშია წარმოდგენილი ისეთი დაბები, როგორიცაა ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, ჟინვალი, მუხრანი, ახალგორი, ქვემოჭალა, ცხინვალი, მეჯვრისხევი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, გორდი, წალენჯიხა, ჯვარი, ბედია, დურიპში და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულს ისიც უნდა დაემატოს, რომ მთის ძირა ზოლი, როგორც ეს ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან, ყველაზე უფრო მეტად მოსახლეობის სიმჭიდროვით ხასიათდება. ასეა საქართველოშიც.

ზემოთ გარკვეული ვერტიკალური ზონალობის საფუძველზე, რომ სრულად აისახოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, საქართველო უნდა

დაიყოს ბარის, მთის ძირისა და მთის ხოლებად მდინარეების აუზების მიხედვით, ხოლო მდინარეების აუზების შიგნით ცალკეულ მიკრორაიონებად. მიკრორაიონი შეიძლება აღებულ იქნეს მცირე რადიუსითაც, მაგ., ისე როგორც ეს აქვთ გაკეთებული პოლონეთში, სადაც მიკრორაიონის ფართობი 20 კ. X 20კ. შეიცავს.

8. კულტურულ–ეთნიკური შედგენილობის თვალსაზრისით. საქართველოს მოსახლეობა შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: ა) კოლხური ჯგუფი – ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (სტრაბონის დროისათვის ზღვიდან – შორაპანამდე), იბერიული ჯგუფი – ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა (სტრაბონის დროისათვის შორაპნიდან – მინგეჩაურამდე). მესხური ჯგუფი – ძირითადად სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა (სტრაბონის დროისათვის ტერიტორიული გავრცელებულობა დაზუსტებას მოითხოვს) და მეოთხე – სარმატულ-კავკასიური ჯგუფი, ძირითადად გადაღმა და გადმოღმა კავკასიონის მოსახლეობა (იალბუზიდან ვიდრე ბრუტაბძელამდე). ისტორიულად კოლხური ჯგუფის მოსახლეობა კოლხებიდან მომდინარეობენ, იბერიული ჯგუფი თობალ იბერებიდან, მესხური ჯგუფი – მოსხებიდან, ხოლო სარმატულ -კავკასიური ჯგუფი – ფხოველებისა და ბუშარებისაგან.

ეს დაყოფა დამყარებულია ეთნიკურ, ანთროპოლოგიურ და ენობრივ მონაცემებზე. თავის მხრივ დაყოფის პრინციპი დაფუძნებულია იმ შეხედულებაზე, რომ საქართველოსა და კავკასიაში აბორიგენ მოსახლეობად ოდიდანვე მინნულია იბერიულ-კავკასიური მოდგმის მოსახლეობა. ყოველგვარი სხვა სახის სუბსტრატის არსებობა კავკასიაში არ არის დასაბუთებული. როგორც ზანგური ისე სემიტური-ქამიტური და არიული სუბსტრატი საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობაში გამორიცხულია (იხ. Braderich Hrozny, Die aecteste geschocnte Vorder asiens und Zndiens, Melantroch, 1944) ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იბერიულ-კავკასიური სუბსტრატი წმინდა სახითაა დღემდე შემონახული და რომ აქ ადგილი არ ჰქონდა ხალხთა შერევასა და კულტურული ელემენტების შერწყმასა და შეთვისებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასია არასოდეს არ ყოფილა იზოლირებული, კარანკეტილი ქვეყანა. პირიქით, მსოფლიო ისტორიული მოვლენები აქაც ახდენდნენ ზეგავლენას და სათანადო გამოძახილს პოულობდნენ.

დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ იმოქმედა საქართველოსა და კავკასიაზე ისეთმა მსოფლიო მნიშვნელობის ხალხთა მოძრაობებმა, როგორიცაა „ზღვის ხალხთა“ გადმოსახლება, კიმერიელებისა და სკვითების აქციები, ალექსანდრე მაკედონელის ომები, IV-V საუკუნეების ხალხთა დიდი გადასახლება და არაბების მონღოლთა შემოსევები. ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობა შემდგარია დიდი ხალხების ნარჩენებისაგან, რომლებიც შეეხიზნენ კავკასიის მთებს და აქ განაგრძობენ განცალკევებულს ერთურთისაგან ცხოვრებას,

ან კიდევ იმას, რომ კავკასიის მოსახლეობის კულტურა პერიფერიული კულტურაა, რომელიც ითვისებდა გარედან შემოტანილი კულტურის ელემენტებს და უკეთეს შემთხვევაში საქართველო და კავკასია იყო კულტურული ელემენტების გადამცემი რგოლი ჩრდილოეთიდან სამხრეთით ან დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ან კიდევ პირუკუ-ამის მიხედვით გამოდის ისე, რომ საქართველომ და კავკასიამ ვერ შექმნეს დამოუკიდებელი, თავისთავადი კულტურა. ზოგიერთი მკვლევარი ასკვნის, რომ საქართველოსა და კავკასიას ხელი შეუშალა პერიფერიული კულტურა გადაქცეულიყო სამეტროპოლიოდ უგზოობამ.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ატლასის ერთ-ერთი ამოცანა მდგომარეობა იმაშიც, რომ უნდა გამოავლინოს ქართველი ხალხის კულტურის ნიშანდობლივი თავისებურებანი და დასანახი გახადოს ისინი ფართო საზოგადოებრიობისათვის. დღემდე დაგროვებული ეთნოგრაფიული მასალა, როგორც ქართველი ხალხის კულტურისა, ისევე კავკასიის ხალხების შესახებ მიუთითებს მასზე, რომ საქართველოსა და კავკასიაში ორიგინალური, თავისთავადი კულტურაა შექმნილი უძველესი ხანიდან, რომლის ნიშანდობლივი თვისებები გამოიყო სხვა დიდ თუ მცირე კულტურებიდან. სპეციფიკური ელემენტების ატლასში ასახვა მოითხოვს ეთნოგრაფიული სინამ-დვილის გაღრმავებულ კვლევას კულტურულ-სამეურნეო, ისევე კულტურულ-ეთნიკურ ჭრილში. როგორც ვხედავთ აქ ჩვენ უადრესად რთულ სამუშაოსთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ოცდაათი წლის წინათ ჩვენ ვწერდით: „მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული და კავკასიური ეთნოლოგიური მასალა ზოგიერთი თავისებური, დამოუკიდებელი ქვალიტატივობისა გამო – განსა-კუთრებულ მიდგომასაც საჭიროებს, და იქ, სადაც ეს თავისებურება აშკარად ისეს თავს, ჩვენის ფიქრით, ფაქტების აღქმა სხვა შეფარდებით უნდა მოხდეს"[1]

დღეისათვის საქართველოს ეთნოგრაფიას ხალხური კულტურის საგულისხმო მონაცემები მოეპოვება.

ატლასი უნდა იყოს ყველაზე ერცელი კრებული ეთნოგრაფიული მასალებისა, სადაც რიგი ძირეული პრობლემებისა გარკვეული იქნება, ხოლო რიგი საკითხების შესასწავლად ის იქნება წყარო შემდგომი სამეცნიერო მუშაობისათვის.

ამრიგად, ქართული ეთნოგრაფიული ატლასის მიზანია კონკრეტული, სარწმუნო, ზუსტად შერჩეული მასალის გულმოდგინე ანალიზის, შედარების და განზოგადების საფუძველზე ასახოს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე, მისი წარსული და აწმყო, გამოავლინოს მისი კულტურისა და ეროვნის თავისებურებანი და დაადგინოს ცალკეული ეთნოგრაფიული მოვლენების გავრცელების არეები დროის გარკვეულ მონაკვეთზე სამეცნიერო კარტოგრამების, სურათებისა და განმარტებითი ტექსტების შემწეობით.

---

[1] გ. ნიტაია, ქართული ეთნოლოგია, მიმოხილველი, ტ.I, თბილისი, 1926წ. გვ. 249

პირველ ეტაპზე ატლასში უნდა აისახოს ოთხი ძირითადი დარგი: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი და ტანსაცმელი.

სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები გულისხმობს: ხერხსა და საშუალებას, მასალის გამოსაელინებლად და შესარჩევად საველე დღიურებიდან, ნაბეჭდი ლიტერატურიდან, სამუზეუმო კოლექციებიდან, საარქივო ფონდებიდან, ხელნაწერთა საკრებულოებიდან, კორესპონდენტების მიერ მოწოდებული საანკეტო მონაცემებიდან და ფოტო ფონდებიდან; კითხვარების შედგენის მეთოდიკას, კარტოგრამების გაფორმების წესებს და მათი შედგენის მათემატიკურ საფუძვლებს, უნიფიცირებულ ტრანსკრიპციას, რიცხობრივ კვალიფიკატორებს, ლეგენდებსა და სხვა.

ატლასზე მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს, ეთნოგრაფიული დაწესებულებების გარდა, სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, სამეცნიერო საზოგადოებანი, მათ შორის საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ფოლკლორის საზოგადოება, საქართველოს სიძველეთა დაცვის საზოგადოება, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა., ხოლო ხელმძღვანელობა დაეკისროს სათანადო კომისიას.

§2 სახელმძღვანელო მითითებანი მასალის შემგროვებლებისათვის

მასალის შეგროვების მიზანია ამომწურავად აისახოს ხალხური ცოდნა-გამოცდილება კულტურისა და ყოფის წინასწარ შერჩეულ ამა თუ იმ დარგში. საჭიროა აისახოს ამ დარგის ყველა მხარე, ის, რაც ხალხს მოუპოვებია და საუკუნეების მანძილზე დაუუნჯებია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყველა მოვლენა და ფაქტი, ყველა დეტალი რაგინდ წვრილმანად ისინი არ უნდა გვეჩვენებოდნენ. ყურადღება უნდა გამახვილდეს დაკვირვების სიღრმეზე. ზერელე დაკვირვება მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას და ატლასისათვის გამოუყენებელია. შეგროვილი მასალა უნდა იყოს უტყუარი, ზუსტი, სანდო და ყოველმხრივი. საჭიროა სიტყვიერი მასალა გროვდებოდეს პირველი წყაროების მიხედვით, ხოლო ნივთიერი ორიგინალების სახით. სიტყვიერ მასალას სასურველია თან ახლდეს ჩანახაზი, ჩანახატი, ფოტო და კინოგადაღება. საგანი და მოვლენა უნდა იყოს განხილული ყველა გარემოებასა და სიტუაციაში, საგნის ყველა ასპექტში. ცნობები უნდა შეგროვდეს: ზომის, მოცულობისა, ფორმისა, შემადგენელი ნაწილებისა, მასალისა, ფუნქციის შესახებ - გამოყენების მიზანი, გამოყენების ხერხები, მოსახლეობის რომელი ჯგუფი იყენებს რომელი პროფესიის მუშაკი იყენებს, გამოყენების ინტენსიურობა, ვისი საკუთრებაა, საგნის განსახღვრა (ტერმინი, მეტაფორა), მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. სასურველია ერთი და იგივე თემა გარკვეულ იქნეს მამაკაცთა და დედაკაცთა წრეში ცალ-ცალკე.

შემგროვებელს უნდა ჰქონდეს მომარაგებული: კითხვარები, რვეული დღიურისათვის, ფანქარი, ავტოკალამი, საშლელი, საზომი, უჯრედიანი ქაღალდი, კომპასი, პლასტელინი, ფოტოაპარატი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ შემგროვებელს ევალება სამი ძირითადი მოთხოვნილების შესრულება: ზუსტი, სანდო და თანმიმდევრული მასალის შეგროვება; ზუსტია მასალა თუ ფაქტებია გადმოცემული, სანდოა თუ გადაჯვარედინებული გზითაა მოპოვებული. ხოლო თანმიმდევრული უკეთუ ურთიერთთანაა დაკავშირებული, გადაბმულად მოთხრობილი და არა ხელოვნურად შეკოწიწებული, კითხვებზე შემთხვევითი პასუხები მოცემული.

პ რ ო გ რ ა მ ა

დარგი: მიწისმოქმედება

I. მემინდვრეობა

კითხვარის მიზანია ამომწურავად აისახოს ხალხური ცოდნა–გამოცდილება მეურნეობის ისეთ ძველისძველ დარგში, როგორიცაა მიწისმოქმედება. საჭიროა აისახოს მეურნეობის ამ დარგის ყველა მხარე, ის, რაც ხალხს მოუპოვებია და საუკუნეების მანძილზე დაუნჯებული.

თემა მემინდვრეობა შეიცავს შრომის პროცესებს, დაწყებულს მოკარებიდან პურის გამოცხობით დამთავრებული (მ ო კ ა რ ე ბ ა, გ ა პ ო ხ ი ე რ ე ბ ა || გ ა ნ ო ყ ი ე რ ე ბ ა, ხ ვ ნ ა, თ ე ს ვ ა, ფ ა რ ც ხ ვ ა, მ ო რ წ ყ ვ ა, მ ა რ გ ვ ლ ა, მ კ ა, ლ ე წ ვ ა, დ ა ბ ი ნ ა ვ ე ბ ა, დ ა ფ ქ ვ ა, ზ ე ლ ვ ა, გ ა მ ო ც ხ ო ბ ა).

1. აღირიცხოს ხალხური ცოდნა–გამოცდილება მიწის ნიადაგების რაგვარობის შესახებ: არჩევენ ნიადაგებს: ნ ო ტ ი ო ს, წ ყ ა ლ გ ა მ ტ ა რ ს, მ ძ ი მ ე ს, მ ს უ ბ უ ქ ს, მ ა გ ა რ ს, მ შ რ ა ლ ს, ს ვ ე ლ ს, ც ი ვ ს, თ ბ ი ლ ს, გ ო ხ ი ა ნ ს, დ ა მ წ ვ ა რ ს, გ ა ყ ი ნ ულ ს. არჩევენ ნიადაგებს ტ უ ბ ე ს, დ ო ბ ი რ ა ს ა და ლ ა კ ა დ ი ს ა ს, ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ნ ი ა დ ა გ ე ბ ს, ტ ე რ ა ს უ ლ ნ ი ა დ ა გ ე ბ ს (ს ა ქ ვ ი ე ბ ს, ო რ ო კ ო ს), ლ ა მ ი ა ნ ს, ნ ი ა დ ა გ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც ი ძ ლ ე ვ ი ა ნ მ ო ს ა ვ ა ლ ს წ ლ ი უ რ ა დ ო რ ჯ ე რ.

2. გამოყენებულია თუ არა მეტეოროლოგიური ცოდნა ხვნისა და თესვის დროს: მ ზ ი ა ნ ო ბ ა, ბ უ რ უ ს ი, ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო და ს ა ზ ი ა ნ ო წ ვ ი მ ა. ნ ა თ ე ლ ი, მ ზ ი ა ნ ი დ ა რ ი, ქ ა რ ი, ბ უ ნ ი ა ო ბ ა, მ ზ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი, მ ნ ა თ ო ბ ებ ზ ე დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა, ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი ს მ ო ფ რ ვ ნ ა (მ ე ჭ ვ ა ნ ი ე ბ).

3. როგორი ნიშნის მიხედვით არჩევენ პურეულს: რომელი მათგანი ადრე მოიწევა, რომელი გვიან, მათგან რომელს მაღალი ღერო აქვს, რომელს დაბალი, რომელს მეტი ხვავი აქვს, რომელს ნაკლები, რომლის გემო უკეთესია, რომლის მარცვალი სრულია, რომლის მაგარი ან რბილი. ადრე მოსაწევ პურეულს ღერო მოკლე

აქვს, მაგრამ ბევრი მარცვალი, გვიან მოსაწევს ლერო მაღალი აქვს. მაგრამ მარცვალი მცირე; განასხვავებენ ჩრდილის (ს ტ ი ს) პურეულს, მზისგულისაგან (ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა ს), ბარის პურეულს ფერდასა და მთის ხოლის პურეულებისაგან, გამოყავთ თუ არა საგანგებოდ თესლიდან საანეულო თესლი, რა საშუალებებით ებრძვიან გადოლმიზებას, ითესება თუ არა ურწყავი მამულის თესლი სარწყავში ან პირუკუ და რა ეფექტს იძლევა ამგვარი ხერხი: მთის პურეული ბარის მამულში. თესლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიმართავენ თუ არა თავთავის დაკოდვას. პურეულის რომელი ჯიში შედარებით ადვილად იტანს გვალვას და ადვილად უძლებს ქარს; იყენებენ თუ არა მთაში ფხიანი პურეულის ჯიშებს ყანის დაცვის მიზნით გარეული ცხოველებისაგან; მძიმე და მსუბუქი მარცვალი თესლად გამოყენების თვალსაზრისით, შერეული თესლის გამოყენება მოსავლის მიღების გადიდების მიზნით (ქ ერ დ ი ა ; ქ ერ ჭ რ ე ლ ი), როდის უნდა დამზადდეს შერეული თესლი – გალეწვის უმალვე, თუ თესვის წინ, თესლბრუნვის სახეები. ფეტვი და ბრძოლა სარეველებთან. სარეველას (მ ა ხ ო ბ ე ლ ი ს) გამოყენება პერის წებოვანობის გასადიდებლად და გემოს გასაუმჯობესებლად, როგორც ააზრიანებენ ხალხურ თქმას „შვიდ წელიწადში ერთხელ სახნისის წვერი ოქროს წააყდებაო“. რას ნიშნავს სანაკმახე მარცვალი და როგორ მიიღება ის. პურეულის ანატომიის ცოდნა.

მორწყვა და მორწყვის სისტემა: ა რ ხ ი, რ უ, ნ ა კ ა დ ე ლ ი, კ ა ფ ა რ ი, ე ტ ი, გ ო დ ო რ ე ყ ვ რ ი, რ ე ხ ხ მ ე ლ ი, გ ა ჭ ო ნ ვ ა, გ ა თ ქ ო რ ვ ა, ა რ ხ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა რ ნ ე ვ ა, ფ ე ხ ი ს ც ვ ე რ ი, ს ა რ წ ყ ა ვ ი წ ყ ა ლ ი (ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი) შედგენილობის თვალსაზრისით, მ ე რ ე ვ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, მ ზ ი ს ს ა ა თ ი, წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ღ ა რ ი ს წ ყ ა ლ ი, როგორც ხაზომი ერთეული, საყანეებისა, სათიბებისა და ხილის ბაღის მორწყვა. რომელი ბალახი იტანს რწყვას, რომელი არა. ბალახის ანატომიის ცოდნა. ნიადაგები და მორწყვა. წყლის დინებით გაპოხიერება. გაპოხიერება მიწის ნიადაგით: ტ კ ი ლ ი, ლ ა მ ი, ლ ა მ ი თ მ ო რ წ ყ ვ ა, ს ა ქ ო ნ ლ ი ს ჰ ა ტ ი ვ ი ს შ ე ტ ა ნ ა, საქონლის დაყენება მამულში ზამთარში, ზაფხულში; ჰატივის გადასაზიდი ხაშუალებები. ჰატივის შენახვა-დაცვა, ჰატივი მზისგულზე.

ახოს გატეხვა წიწვიან და ფოთლოვან ტყეში, შეყვერვა, დაწვა, მოქარსვა, დატუკვა, მოთოხნა, მორწყვა. წ ერ ა ქ ვ ი, თ ო ხ – წ ერ ა ქ ვ ი, ბ ა რ – თ ო ხ ი, თ ო ხ ი, ტ ყ ი ს ც ვ ლ ი, წ ა ლ დ ი, ხ ა ნ ე ხ ი, რ ე კ ა, ბ ე რ ც ხ ი, წ ა ლ დ ი, ა რ გ უ ნ ი, კ ი ნ ა შ ი, კ ე ტ ი, წ ა ლ კ ა ტ ი, ნ ე ნ გ ი, ბ ე რ გ ი, ც ვ ლ – წ ერ ა ქ ვ ი, კ ე კ ო. შრომის იარაღები ამულეტების სახით (თოხები, ცულები). ცეცხლის გამოყენება ხის ძირების ამოსაძირკვავად. ნაცრის გამოყენება გასანოყიერებლად. თარჯები ხეებზე. საახოო სახვნელი კაჟი. თოხის კულტურიდან გარდამავალი საფეხურის მაჩვენებლები სახვნელი იარაღის კულტურაში (ა ხ ა ნ ა, ე რ ე მ ი, კ უ ვ ა დ ა, მ ი წ ი ს გ ა ჯ ე რ ი ე ბ ა,

ფატვიშ შდა, იან–დეცეშ ღვთაება, აიამიშლოდგელ ფეტვის სახეობები, მახა, ხანდური, ქერის სახეობები, ასლი, ხელუბნო დიკა, დოლი, შავფხა, თავთუხი, საანეულო თესლი. საგაზაფხულო თესლი.

მიწის დამუშავების წესები: ბარვა, თოხნა, შალთვა, ქარნვა, წერა, კვალვა, ორნატი, ხვნა, დაფორცხა, აოშვა, ანეჩვა, ბელტის გადაბრუნება, ღრმა ხვნა. სახვნელი იარაღის სახეები: გუთანი, ანეულის გუთანი, მუხრანული გუთანი, არონა, ჯილდა, ჯილდა-გოგორა, კავი, ქოქა, აგაფა, ოგაფა, ღენწვიში, ხარხარადი, კავწერა, ცალუდელა კავი, ორხელა. აგლიჯა გუთანი, ანანა, ანანა გუთანი, საცალკვლიე, საჭუნელი, მაღალი კავი, ფოიანი კავი, გელა გუთანი, გორდა-გუთანი, სამბილო კავი, საქვიე კავი, საკვთელ, კავწერა.

სახვნელის ნაწილები: მხარი||რვილი||ტარი, ქუსლი||ქური||ეშვი|| კბილა||ფიცარი, ხელნა||ერქვანი, ხელკუდი||ხეტარი||ხელტოტი, მანჭა (დიდი, პატარა), ფრთა||ფრთე, ხაქლეში, კორა, სოლი, სახნისი, საკვეთელი, ჯამბარა, ფამფალაკი, ღირღიტი, დიდი გოგორა, პატარა გოგორა, შოლტეკი, ეკანი (ერქვანთ ღვედი), იმანტა (ჯამბარა), ღვედის დაგრეხა, სამალდები. უღელი: საყეერის, საგორავი, საძირის, კალოსი, თავტაბიკი, საქედური, ტაბიკი, აპეური ||წეწენა||კავი; საულლე ხარების სახელები: საძირის, საწკეპი, საჯდომი, მეხრე||მწაფელი, სახრე. სახვნელი იარაღის დამზადების ტექნიკა: ხის წვერის დახრა, ხის ძირი საქუსლე, ქუსლის ყურები; სახვნელის დამზადებისათვის საჭირო იარაღი. ფარფლიანი ქუსლი, სახვნელი იარაღი მუშაობის პროცესში. გუთნისდედა და გუთნის მართვა, გუთნის გამართვა მხრიდან, ქუსლიდან, კორიდან, ხმალადან, მცირე წკირის შემწეობით, ქუსლის ძირი, ქუსლის ღარი, ქუსლის სუკი; ხვნა, ანეჩვა, აოშვა, ნაწვერალი, სახვნელი იარაღი ხალხურ პოეზიაში (სახნისმა თქვა), ხარის ქედი, ხარი როგორც ცივილიზაციის დამწყები (ორშაბათობით აშენდა), ლეგენდა ხარისა და ირმის შესახებ, მიწისმოქმედების ანარეკლი ზეცაში: ირმის ნახტომი, ხარიპარია, გუთნეული, ცისკრის ვარსკვლავი, ირმისა და ხარის შეჯიბრი, უმზღვარო ყანა, უთვალავი სერკვი - ცა ვარსკვლავებით. ხვნის სიმღერები. გუთნისდედა და მიწის მუშა ხალხურ პოეზიაში, ზღაპრული გმირები – მიწის მუშაკები.; ლეგენდები და გადმოცემები სახვნელი იარაღის წარმოშობის შესახებ: ქრისტე, სოლანი, ადამიანი.

მოდგამის ინსტიტუტი – მოდგამი, მონდავი, ამბახი, ულამი, ნადი, ნაცვალგარდა, შეამხანაგება. მოდგამის

სტრუქტურა. მატერიალური ბაზა, გამწვავი ძალა, მუშა ხელი. ადამიანი, გრძელი და მოკლე ალო. გუთნეულის ფასი. საქონლის ჯერი, ადამიანის ჯერი, გათრეულა, ექსპლოატაციის ელემენტები, გუთნის პირველი შებმა. რიტუალი ოჯახში, ყანაში. აღკვეთილი დღეები. მეველე, მიჯნები, სამანი.

საფარცხი იარაღები: ფარცხი და მისი ნაწილები, სახნავ-სათესი ზედაპირის დამუშავების მეთოდიკა. ფრინველებისაგან დაცვის საშუალებები. ავი თვალისაგან დაცვის წესები. მარგვლა, სამარგლავი იარაღები (წამ, მარგილი) და ქალის როლი მარგვლაში.

თესვის წესები. გამთესლის პირები. სათესლე პარკი, ერთმოსმით, ორმოსმით თესვა, სიხშირე და სიმეჩხრე. თესლის სხვადასხვა სახეები.

სამკალი ტანსაცმელი, სამკალი იარაღი: შნაკვი, ღული, ნამგალი, ცელი, მესვეური, მეძნე, ჯილდო, სხდომა, ხელცელი, მუჭი, ულო, ბულული, სერკვი, ფოცხი, ნაჩხატი, ნაწვერალი. საძნე ურემი, საძნე მარხილი, სათარი, კალო, შემზადება, ნაშლა, კევრი, კევრის დამზადება, კევრის სახეობანი. ლეწვის სახეობანი; ბერტყვა (ყარტი), ფშვნა, საქონლის ფეხით, ბორბლით. კალოს იარაღი: ფიწლები, ნიჩაბი, არნადი, ცხავი საცერი, სანიავებელი, სანიავებლის კეტი. საბძელი, გოდორი, ბეღელი, ჰამბარი, რაჩხი, ხელწისქვილი, სადვარიანი წისქვილი, ბუჭულა წისქვილი, დოლაბი, ციხე-წისქვილი. კერა და კერის კომპლექსი. ვარცლი და ვარცლის ადგილი, ასტამი, საფუარი: ვეძის, სვიის, პურმეავის, ძმრის. პურის ფორმები: შოთი, კვერი, გომიჯი, პური ქერისა, ხორბლისა, სვიისა, ქერჭლის. თორნე, დამზადების ტექნიკა (ქალის ხელობა, მამაკაცის სახელოსნო), თორნის სახეები: ორნაწილადი, სამნაწილადი, მთლიანი. თორნე და პურის ჯიშები.

საყანე მამულის საკუთრებისა და სარგებლობის ფორმები: სათემო მფლობელობის ფორმები, უთანასწორობა თემს შიგნით. ექსპლუატაციის ფორმები თემს შიგნით.

მოსავლიანობისათვის განკუთვნილი საგაზაფხულო დღესასწაულები. სამღვთოები, ყანის მფარველი სულები, მოსავლის მომნიჭებელი ღვთაებები.

1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III თავი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

მუზეუმის ახალი შენობის დამთავრების გამო

საქართველოს მუზეუმის ახალ შენობას უკვე ნამოეხსნა ხარაჩოები, სადაცაა შენობის შიგაც დასრულდება დასამთავრებელი სამუშაოები და მოკლე ხანში მუზეუმს გადაეცემა სპეციალური შენობა, რომელშიაც საშუალება ექნება გააჩაღოს საგამოფენო მუშაობა და ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახადოს თავისი კოლექციები.

საქართველოს მუზეუმი

შესაფერისი შენობის უქონლობის გამო მუზეუმს დღემდე მხოლოდ ხოლოლოგიური კოლექციების მცირე ნაწილი ჰქონდა გამოფენილი, დანარჩენი ქონება გამოუყენებელი რჩებოდა. დღეს, ამ მხრივ მთავარი დაბრკოლება გადალახულია. მუზეუმის მდიდარი მასალის გაშლის შესაძლებლობა უკვე მოცემულია.

საქართველოს მუზეუმს დიდძალი სამეცნიერო ღირებულების მქონე განძი მოეპოვება. მის ხუთ ძირითად განყოფილებაში (ხოოლოგიური, ბოტანიკური, გეოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი იშვიათი ნივთია დაცული. საკოლექციო საგნების რაოდენობა ათი ათასამდე აღწევს. მრავალი მათგანი სამეცნიერო პუბლიკაციის გამო, რასაც წინ უსწრებს მათი შესწავლა, ცნობილია საქვეყნოდ. მუზეუმს სამეცნიერო წრეებში საკმაო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. ამჟამად მასთან საქმიან ურთიერთობაშია იმყოფება 99 საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულება. მაგრამ, რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყო თავისთავად მუზეუმის კოლექციები, რაგინდ ღირებული არ უნდა იყოს მუზეუმის მიერ წარმოებული სამეცნიერო მუშაობა, ვიდრე მუზეუმს არ მოუწყვია ფართო ხალხათის გამოფენა – იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. სამუზეუმო მუშაობაში კოლექციების გამოფენა ერთ -ერთი ძირითადი ხაზრუნავი საგანია.

მუზეუმის განყოფილებებს უკვე დაშუშავებული აქვთ საგამოფენო გეგმები, **კერძოდ**, ზოოლოგიურ განყოფილებას განზრახული აქვს მოაწყოს ცხოველთა ბიოლოგიური ჯგუფები, რათა გამოფენის ფრინველთა და ძუძუმწოვართა და ოსტეოლოგიური მასალა ისტემატიური თანრიგით. ეთნოგრაფიული გამოფენის ერთი ნაწილის პროგრამა ვარაუდობს მთიანი საქართველოს შემდეგ ერთეულებს: ხევსურეთის და ხევანეთის, ხოლო ბარისას: ქართლის, კახეთის, სამეგრელოს და გურიას. პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე საქართველოს ავტონომიურ ერთეულებსაც. თითოეული ეთნოგრაფიული ერთეული წარმოდგენილი იქნება საყოფაცხოვრებო დიორამებით და კომპლექსებით, რომლებიც ყოფისა და წარმოების პრინციპზე იქნება დალაგებული. მაგრამ მომავალი გამოფენის მოწყობის საქმეში მარტო პრინციპული და პროგრამული საკითხებია ნვენთვის საგულისხმო. მთავარი საკითხი გამოფენის საქმეში ის არის, თუ როგორც უნდა მოეწყოს გამოფენა ისე, რომ საუკეთესოდ ემსახურებოდეს ცოდნის პოპულარიზაციის მიზნებს, რომ იგი ხალხის კულტურული დონის ასაწევ მძლავრ იარაღს წარმოადგენდეს, ე.ი. გამოფენა ხალხის ფართო მასისათვის ადვილად საკითხავი „წიგნი“ იყოს.

ამისათვის საჭიროა გამოფენილი ობიექტი თავისი ანსამბლით იმდენად მეტყველებდეს, რომ დრმა შთაბეჭდილებას ახდენდეს მნახველზე, მის ესთეტიკურ ემოციებზე მოქმედებდეს. ეს მოსაზრება ის მთავარი დებულებაა, რომელიც ახალი „თვითმოლაპარაკე“ მუზეუმის საფუძვლადაა აღიარებული. საქართველოს მუზეუმს ეს აქვს მიზნად დასახული. რამდენად შესძლებს ის ამის განხორციელებას - ეს უმთავრესად მუზეუმის მუშაკების ცოდნისა და შემოქმედებითი უნარიანობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად სხვა მიმართულებითაც არის საჭირო მუშაობის წარმოება. „თვითმოლაპარაკე“ მუზეუმისათვის დიდი

ეთნოგრაფიული მოტივები
(მხატვარი ზ.წერეთელი)

მეთევზეები
(ხიტვარი ბ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუზეუმის შიდა ხედი

მნიშვნელობა აქვს მნახველის აქტიურობას. რამდენად აქტიურია მნახველი გამოფენილი საგნისადმი, იმდენად უფრო მეტად მეტყველია გამოფენილი ობიექტიც. „ერუთათვის" ექსპოზიციაც ერუა. მუზეუმი ამ მხრივაც აწარმოებს შესაფერის მუშაობას. მიღებულია ზომები ექსკურსიების და ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრების შესაქმნელად, რომელნიც ცოცხალი სიტყვის შემწეობით შესავალ კაბინეტებში შერჩეულ კოლექციების მიხედვით მნახველებს ინტერესს აღუძრავენ გამოფენილი თემებისადმი და ძირითად საგამოფენო ექსპონატების შეთვისებას გაუადვილებენ. აგრეთვე მიღებულია ზომები, რომ გამოიცეს მუზეუმში წარმოდგენილი სამეცნიერო დარგების კოლექციების შესახებ სახალხო – პოპულარული ლიტერატურა, მოეწყოს სახალხო უნივერსიტეტი სამუზეუმო ექსპოზიციებთან დაკავშირებული კურსები და სხვა.

ზემოთქმულის მიხედვითაც ცხადია, თუ რამდენად რთული და პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგას საქართველოს მუზეუმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დირსეულად შეასრულებს თავის დანიშნულებას, და ჩვენი ხალხის, მუშისა და გლეხის თვითშეგნების გაფართოებისა და გაღრმავების საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მუზეუმის გამართვა ჩვენი კულტურულოსნობის და მეცნიერული მომზადების გამოცდაც არის.

1924 წ.

ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის გამოფენა*

ნემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, მუზეუმის მუშაკებთან შეხვედრა და თქვენთვის იმ მასალის გაზიარება, რომელსაც ეს გამოფენა ეძღვნა. ერთი იმიტომ, რომ – თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რა მნიშვნელობა აქვს მუზეუმს ერის კულტურულ ცხოვრებაში; იგი ემსახურება მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას ფართო მასებში და ეს საპატიო ამოცანა პირველ რიგში მუზეუმს შეუძლია შეასრულოს თავისი სპეციფიკური მუშაობით – ამ მასალების ნვენებით, გამოფენით.

გ. ნიტაია ქართველ ეთნოგრაფებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის“ გამოფენაზე

გამოფენა, ეს გახლავთ ის სპეციფიკა, რომელიც მუზეუმის მუშაობას ახასიათებს. კიდევ უფრო მეტი, – მუდმივ გამოფენას, ბევრ შემთხვევაში, სპეციალისტები აიგივებენ მუზეუმთან. ის თავისებურება, რომელიც გამოფენას ახლავს – ეს არის დემონსტრირება საგნების, ნივთების. ხოლო ეს კი არის უაღრესად მისაწვდომი ცოდნის გავრცელების საშუალება.

ნვენი გამოფენის თემა გახლავთ - ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა. ეს თემა, ნვენი შეხედულებით, აქტუალობას არ არის მოკლებული თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ისტორიის სახელმძღვანელოები გაკრიტიკებული იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ (არა მარტო საქართველოს ისტორიისა, არამედ სხვა ხალხების

* შენიშვნა: სტენოგრამა ლექციისა, რომელიც ნატარდა ახლად გახსნილ გამოფენაზე, საქართველოს მუზეუმის მუშაკებისათვის, 1955 წ. იანვარი. [თ. ც.]

ისტორიის სახელმძღვანელოებიც) და იქ იყო აღნიშნული, რომ არა მეფეების, არამედ უშუალოდ მწარმოებლის ისტორია და უშუალო მწარმოებლის ყოფა უნდა იყოს წარმოდგენილი. – აი ამ თვალსაზრისით ეს თემა, რომელსაც ჩვენი გამოფენა გვაძლევს, სწორად უპასუხებს ამ მოთხოვნებსაც.

თემა გაშლილია შემდეგი პრინციპების მიხედვით:

უპირველესად

I. ძველისა და ახლის დაპირისპირებაში ჩვენება.

II. ისტორიზმი, ე.ი. მოვლენების არა სტატისტიკურად განხილვა, არამედ ისტორიულ ჭრილში წარმოდგენის ცდა.

III. მოვლენათა წყების კლასობრივ ჭრილში განხილვა.

IV. პოლიტეხნიზმის პოპულარიზაცია.

ამის შემდეგ საშუალება გვაქვს გადავიდეთ უშუალოდ გამოფენაზე. ვიწყებთ ამ ნაწილიდან, რომელიც ძველ ყოფას ასახავს.

დარბაზში გამოფენილი გვაქვს ხელოსნობის ამსახველი ნიმუშები. მაგალითად, ძველ საქართველოში, ლითონის დამუშავების ყველა ხერხი: კერამიკის, რქის, ძვლის, ხის დამუშავების ხერხები და ა.შ. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენ ვუჩვენოთ ხელოსნობა, ერთის მხრივ, ვაჩვენებთ ნიმუშის იმ ნაწარმოებს, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული კუთხეებისათვის.

აქ გვაქვს საბრძოლო და თავდაცვის იარაღები, რომლებიც სხვადასხვა ნაირი ხერხებითაა გაკეთებული: ოქროს ვარაყი, სევადა, ეს აჭარული სატევარი, საპირწამლე და სხვა. აქვე მოცემულია მშვილ-ისრის გამოყენების ძირითადი ხერხები. მსოფლიოში არსებობს ლარის დაჭიმვის ექვსგვარი წესი. თითეულს თავ-თავისი სახელი აქვს. მეშვიდე გვარს თავისებური წესი აქვს, რომელიც ხევსურეთში არის დადასტურებული. ამ ცხრილზე ასახულია მშვილდ-ისრის გამოყენების ყველა წესი. ნანვენებია ისრების ჩასაწყობი ხელსაწყო კ ა პ ა რ ჭ ი, რომლის შესატყვისი ტერმინი ხევსურეთში უნდა იყოს კ ვ ა თ ე.

აქვე არის საყოფაცხოვრებო ნივთები: კერა რკინისა, ლამტვარალი, საკვარე, მაშხალა, მაშა და სხვა.

მაშა სხვა მხრივაც არის საყურადღებო: ადრე სვანეთში ვაჟი თუ მიაყუდებდა რომელიმე სახლის კარზე მაშას, ამ ოჯახის ქალი მის მიერ დანიშნულად ითვლებოდა. რომში იმავე მნიშვნელობით ჯოხის მიყუდება იცოდნენ, ეს კერასთან დაკავშირებული საკითხებია.

ჩვენ ვუჩვენებთ არა მარტო საგნებს, არამედ წარმოებასაც, და აი ერთი იშვიათი ნიმუში, ეს არის რკინის მადნის დამუშავების ტექნოლოგია.

მე-XIX საუკუნის ბოლო წლებამდე წედისში, რომელიც განთქმული იყო ფეოდალურ საქართველოში, დაცული იყო რკინის მადნის დამუშავების ადგილობრივი წესი. თქვენს წინაშე არის ქურა. ამ

ქურის შემწეობით მადანს ადნობდნენ და გადამდნარი მადანი გადმოდიოდა ამ დარში (აჩვენებს). საინტერესოა ამ მადნის გადამუშავების ტექნიკასთან დაკავშირებით ერთი თავისებურება: რაჭველი „რკინის კაცები“ (ასე ეწოდებოდათ იმ რაიონის მჭედლებს) რკინის მადნის დნობის დროს მასში ურევდნენ მეორე ჯურა მადანს იმ მიზნით, რომ საუკეთესო ხარისხის რკინა მიეღოთ. როდესაც ეს შენარევი მადანი, რომელსაც ფაშა ეწოდებოდა, ჩვენ აქ, თბილისში ჩამოვიტანეთ და გამოვარკვიეთ მისი ქიმიური შემადგენლობა, იგი აღმოჩნდა პერლუხიტი, ე.ი. ის მადანი, რომელიც მარგანეცს წარმოადგენს. ამდაგვარად, ასეთ წესის გამო ისინი ღებულობდნენ ხარისხიან რკინის შენადნობს.

ახლა თუ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ ამდაგვარი წესი მადნის მიღებისა ძველ ქართველ ტომებსაც ახასიათებდათ, კერძოდ, ხალიბებისა და მოსინიკების შესახებ მოგვითხრობს არისტოტელე და ზოგი სხვა ავტორიც, რომ რადაც საიდუმლოებას ფლობდნენ და მადნის გამოდნობის დროს ურევდნენ ქვიშას, თუ ქვასი. ნათელია რომ ეს ტრადიცია, რომელიც რაჭველ მჭედლებს შემოენახათ ძველი დროიდან მომდინარე ტრადიციაა და ამავე დროს ეს მასალა ფარდას ხდის იმ წესს, რომელიც ამდენი საუკუნეების (2500 წლის) მანძილზე წარმოადგენდა საიდუმლოს.

ლითონის კულტურა რომ ხალხის ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი, ეს ფოლკლორშიც ჩანს. აი, რას ვკითხულობთ ხალხურ ლექსში, რომელშიც აღწერილია სადნობი ქურა:

„დაუბერ – დაუდუდუნე,
საბერველო არწივისაო,
ხელპირებო ცაცხვისაო,
ძროებო ნალოპრისაო.
ნახშირო წვერუკნისაო,
ლითონო ქვაწითლისაო,
მიწა ონჭვურისაო,
აყალო ბანეთისაო.
დაუბერ - დაუდუდუნე,
ჩაწურე საორხლესაო“.

საორხლეს სახნისს უწოდებდნენ. მე-11 საუკუნის ძეგლში, ნიკორწმინდის სიგელში სახნისიც მოხსენებულია, საკვეთელიც. რაჭა საერთოდ ცნობილია მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვრებით. ამას კიდევ ერთი გარემოება ემატება, ეს მასალაა – რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ვერცხლის ნაირსახეობა, მინანქარი, ბრინჯაო და სხვა.

აქ ნაჩვენები ლითონის ნიმუშები ნაირი ხერხებით არის წარმოებული. ესაა ციკი კვერვა, ჩამოსხმა, გრეხილური და სხვა, რომლებიც, აგრეთვე საწყისებს პოულობენ ძველი ქართველი

ტომების მეტალურგიაში. ექსპოზიციის პოპულარიზაციის თვალსაზ-
რისით დიდი მნიშვნელობა აქვს ეტიკეტის შინაარს. აი რას
ვკითხულობთ აქ:

„ქართველ ტომებში ლითონის მოპოვება და წარმოება მე-9–6
საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით მაღალ დონეზე იდგა. გამოყე-
ნებული იყო ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის
დამუშავების ნაირი ხერხები: ცივი კვერვა, ჩამოსხმა, ამოკვერვა,
გრეხილი, ზარნიში, სვევადა და მოოჭვა. იმ დროინდელ კულტურულ
სამყაროში თუბალებს, ხალიბებსა და მოსინიკებს საუკეთესო მეტა-
ლურგების სახელი ქონდათ მოხვეჭილი. მათი ლითონის ნაწარმო-
ები აღმოსავლეთით სწვდებოდა ასურეთსა და მიდიას, ხოლო და
სამხრეთით პალესტინას. ქართველმა ხალხმა თავისი წინაპრების
ლითონის დამუშავების ეს უძველესი კულტურა შემდეგ საუკუნეებში
განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა."

იშვიათ ხელობას წარმოადგენს ეს ამოკვეთილი ნიმუშები, რომელთა
დამზადების პროცესი აქ არის ნაჩვენები. აქვეა შესანიშნავი ნიმუში
მინანქრით ლურჯ ფონზე, ოქროს ორნამენტით შემკული. ეს ყარ-
ყარა, ფრიად საინტერესოა. მის შესახებ ლეგენდაც არსებობს.
მართალია ჩვენ ვიცით ამავე სახის მინისაგან გაკეთებული ჭურჭელი
ევროპაში მე-XVI-XVII სს-დან შემონახული. მაგრამ თუ მხედველობაში
მივიღებთ რამდენად მდიდრული შემკულობა და ორნამენტაცია
ახასიათებს ჩვენს ნამუშევრებს, შეიძლება მისი წარმოშობის საკითხი
სხვაგვარად დაისვას.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ გრეხილურ ტექნიკაზე. ეს
შესანიშნავი ხელოვნებაა, რომელიც უძველესი დროიდან მომდი-
ნარეობს. ცნობილია ურარტუშიც. ტექნიკა ასეთია - სინას გაატარებენ
ადედში და თანდათანობით ჯერ მსხვილს, შემდეგ წვრილს, შემდეგ
კიდევ უფრო წვრილს და ა.შ. მიიღებენ ისე წვრილ სინებს, როგორც
აქ არის წარმოდგენილი და ამის შემწეობით ქმნიან გრეხილური
ორნამენტის ნაირსახეობას.

გრეხილური ორნამენტი ჩვენ გვაქვს ორი სახის – აღმოსავლეთ
და დასავლეთ საქართველოსი. ისინი განსხვავდებიან. აქვეა სვევადა
– ორგვარი აღმოსავლური და დასავლური. ცნობილია ე.წ. შავი
სვევადა (თუმცა სიტყვა სვევადა შავს ნიშნავს) და მეორე - თეთრი
სვევადა. აქვეა მოცემული ტექნიკა და სვევადის შედგენილობის ნიმუშები.

ცალკე სტენდზე ვაჩვენებთ ცივ კვერვას. წინასწარ მზადდება
ყალიბი. დაუდებენ ფირფიტას ლითონისას და შემდეგ ამ ყალიბში
ჩასდებენ ფრინველის გამოსახულებას და ამ კვერით დააკვერავენ.
მიიღებენ იმ საგანს, რომელიც საჭიროა. აქვეა ასევე ცივი კვერვით
გაკეთებული მცირე ზომის სამკაულები, რომლითაც დგება სარტყლები
და სხვა საგნები. მაგრამ აქვე მეორეგვარი ტექნიკაა ნაჩვენები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც უკვე ჩამოსხმას ვარაუდობს ყალიბებში. ამ ყალიბში ჩაიყრება მიწა, მასზე ალიბეჭდება ნიმუში, შემდეგ დაიფარება, შეიკვრება და თიხის ღრუში ჩასხმება ადუღებული ლითონი და გამოვა ისეთი ნიმუში, რომელსაც სჭირდება შემდეგი დახვწა და დამუშავება ამ იარაღების შემწეობით.

გიშრის დამუშავების ტექნიკა ცალკეა გამოტანილი. გიშერს ახლა დიდი მნიშვნელობა ეძლევა და არ არის გამორიცხული, რომ გიშერი ჩვენგან გაქონდათ ბევრ სხვა ქვეყანაში უხსოვარ დროიდან. აქვეა რქის, მინისა და ძვლის ნაკეთობათა ნიმუშები.

შემდეგ განყოფილებაში ნაჩვენებია კერამიკული ნაწარმოებები. აქაც ჩვენ ვაჩვენებთ მის ნაირსახეობას და გამოყენებას მეურნეობაში, აი სასმისისმაგვარი ჯამი, ქილები სხვადასხვა დანიშნულების. ეს არის, გუთნეულთან დაკავშირებული ჭურჭელი – ს ა ჯ ე რ ო. აქვე ვუჩვენებთ მისი დამზადების ტექნიკას: პირველი საფეხური თიხის ჭურჭლის გაკეთებისა, მეორე საფეხური - ხელით როგორ მიყვება და როგორ აკეთებს ამ ფორმებს და ბოლოს იღებს შესაფერ სახეს ჭურჭლისა. აქვეა ჭურჭლის დასამზადებელი ნაირი სახის მორგვი.

ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მარტო ამ ფორმების ჩვენებით, არამედ ვიძლევით ჩვენთვის საინტერესო საგნის ისტორიულ ჭრილში განხილვის ცდას. მაგალითად, ს ა დ ღ ვ ებ ე ლ ი. ამავე ტაბულიდან ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სადღვებელი ძველი დროიდან გვხვდება ქართველ ტომებში. მცხეთაში გათხრების დროს ნაპოვნი სადღვებელი მე-IX-XIII სს-აა. შემდეგ სომხეთშია ნაპოვნი, თრიალეთში მე-VI საუკუნისა ძველი წელთაღრიცხვით, მინგეჩაურში და როგორც მათი პროტოტიპი, გაანნია სუმერულ ეპოქასაც.

ასევე ვაჩვენებთ და ვუხსნით თორნეს. თორნეს შედგენილობას, თორნეს სახეობებს და განათხარ მასალას, რომელიც მოპოვებულია თბილისში და განეკუთვნება მე-IX-XIII სს. თორნე აღმოჩენილია ურარტუში მე-VIII საუკუნის. ასურებს კი ქონიათ გადასატანი თორნე (ჯარისათვის) - მოძრავი თორნე.

მუსიკალური იარაღების ექსპოზიციაში ისტორიული ჭრილი სათანადოდ არის წარმოდგენილი. ეს გახლავთ ჩ ა ნ გ ი – სვანური, ოსური. აქვე ვუჩვენებთ მუსიკალური საკრავების ნაირსახეობას. საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერებში ჩვენ ვხვდებით ამ იარაღებს და აქაც მისი პროტოტიპი ძველ სუმერებში მოიპოვება. ურის გათხრების დროს აღმოჩენილი იყო ოქროს ჩანგი, რომელიც განეკუთვნება 3.000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

საჭირო ა ხაზი გაესვას იმ ფაქტსაც, რომ რევოლუციამდელ ყოფაში წარმოდგენილ ხელოსნობას, განსაკუთრებით ლითონის წარმოებისა და კერამიკის ხაზით, მარტო საშინაო მოხმარების საგნების მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ სასაქონლო ღირებულებაც. აქ ჩვენ

ვუჩვენებთ, რამდენად არის ის დაკავშირებული მე-XIX საუკუნის ბოლოსთვის ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესთან.

შემდეგ სექტორში წარმოდგენილია ქსელვა–ქსოვასთან დაკავშირებული პროცესები. წარმოდგენილია სელი, მატელი, აბრეშუმი: მათი კეთების პროცესი, ორნამენტაცია, იარაღები: საჩითავი, ყალიბები, რომელიც ისე მდიდრადაა წარმოდგენილი და იძლევა შესანიშნავ სახეებს, რითაც შემკული იყო ჩვეულებრივი ქსოვილი. ჩვენ ვუჩვენებთ ამ ყალიბების მოხმარების ტექნიკას და ქსოვილების ნიმუშებს.

ერთ-ერთი წამყვანი, ცენტრალური თემაა, საცხოვრებელი ნაგებობა. საქართველოში მოცემულ ნაგებობათა ნაირსახეობიდან წარმოდგენილია ორი ძირითადი სახე, ორივე ქართლიდან, როგორც საქართველოს გულიდან, საქართველოს კულტურის ცენტრიდან გვაქვს აღებული. მოცემულია გლეხის დარბაზი და ის ნაწილი დარბაზისა, სადაც ადამიანი ცხოვრობს, თავისი საყოფაცხოვრებო საგნებით. ამ ექსპოზიციაში საკმაო სიცხადით შეიძლება წარმოვიდგინოთ ის ვითარება, რომელიც ასეთ საცხოვრებელ ბინაშია მოცემული. გვერდით მიშენებული ნაწილი თორნეს წარმოადგენს, აქვეა მარანიც. თავისთავად ნაგებობის ეს ტიპი ერთი უძველესი ტიპთაგანია. ქართველ ტომებს ჯერ კიდევ მე-VI-V-IV სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე გვირგვინანი სახლები უკვე ჰქონდათ. ამდენად ამ ნაგებობის წარმოდგენასა და ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამის საპირისპიროდ კლასობრივ ჭრილში მოცემულია მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის მემამულის საყოფაცხოვრებო პირობები, საცხოვრებელი სახლი. აქ შერწყმულია სახლის ქართული მორთულობა ევროპულთან და ეს დამახასიათებელია იმ დროისათვის. აი, ეს კოშკიც დამახასიათებელია. ნიშანდობლივია ქართული აივანი, რომელიც გამომუშავებულია ჩვენს სინამდვილეში. ამნაირი სახლები კოშკების გვერდით შენდებოდა და კოშკების გამოყენებაზე ლაპარაკობს.

აქვეა წარმოდგენილი სვანური, ხევსურული სახლების ჭრილები. ეს არის შატილის კომპლექსი, საქართველოში არსად არ მოიპოვება ამ ტიპის დასახლება, მისი დაცვაა საჭირო.

ექსპოზიციაში ტრანსპორტის ყველა სახეობაა მოცემული. მოცემულია მგზავრობასთან დაკავშირებული ნიმუშები – იარაღები, წრიაპები, თხილამურები, მუჯირები, ბორბლიანი და არაბორბლიანი ტრანსპოტის ნაირსახეობანი. იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს ბოლოთრია, ანაჩა ურემი. ანაჩა ურემში შერწყმულია თრევის და გორვის პრინციპი. სამეცნიერო ლიტერატურამ ამდაგვარი შერწყმა ტრანსპორტისა არ იცის.

ამ რუკაზე ნაჩვენებია ტრანსპორტის გავრცელება, მისი ტიპების გავრცელების არეალები. რა არის დამახასიათებელი ბარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსათვის? ეს ბარული ურემია, მთის ძირა რაიონებისათვის – ანანა ურემი და ბოლოთრია, მთის ხოლში – მარხილი. საქართველოში გვხვდება სპეციალური ტრანსპორტი თუში, რომელიც მეევნახეობასთან არის დაკავშირებული, ჭურებისა და ქვევრების გადაზიდვისათვის მოწყობილი. ამ იარაღზე დაკვირვება ხსნის იმ საკითხს, თუ როგორ უნდა წარმოშობილიყო ბორბლიანი ტრანსპორტი. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობის მრავალ თეორიას შორის ერთ-ერთი თეორია ხსნის, რომ ის საგორავებისაგან უნდა წარმოშობილიყო. (დიდი სიმძიმეების გადაზიდვას ახდენდნენ საგორავების საშუალებით) საგორავებს შორის ჩაღრმავებას, მის შუა ნაწილში, ამას უნდა გაეწინა ბორბალი, ამ თეორიის დამადასტურებელ მასალას ჩვენი თუში წარმოადგენს, მაგრამ თვით გოგორა და თვალი სუმერული მასალებიდან მოდის.

ტრანსპორტის ისტორიულ ჭრილში განხილვისათვის, უნდა წარმოვადგინოთ განათხარი ურემი წალკიდან, აგრეთვე სუმერეთისა და მოჰანჯოდაროს.

ამის შემდეგ ჩვენ მივედით ერთ საინტერესო თემასთან. ეს არის ხის დამუშავება. როგორც ქვის, ისე ხის დამუშავების ხაზით ქართველ ხალხს იშვიათი შედევრები აქვს შექმნილი. ქვა ჩვენ ვერ ვუჩვენეთ, რაც შეეხება ხეს – აქ მეტნაკლებად არის წარმოდგენილი. აი ეს არის ჭერის სამკაული. აქ ორნამენტაცია მოცემულია 3 სიბრტყეში: ერთი ბოროწეულის ფოთლებით, მეორე – გრეხილით, მესამე – მსხმოიარე ვაზით.

ხალხურ შემოქმედებაში არიან ჩვეულებრივი რიგითი მოხელეები, მაგრამ არიან ნამდვილი შემომქმედებიც. აი, ეს ნიმუში გახლავთ ნამდვილი შემოქმედებისა, გამკეთებელი კი არ ბაძავს შემუშავებულ შაბლონს, არამედ ქმნის ნაირსახეებს სხვადასხვა სიბრტყეში და მაღალ შეფასებას იმსახურებს. დააცქერდით იმ ორნამენტებს, როგორიც ამ ხეზეა მოცემული, რა სტილითაა გაკეთებული. ეს ნიმუში ჩამოტანილია თრიალეთიდან. ჩვენ იქ დავადგინეთ, რომ მათი მოხელეები არიან ლაზები, გადმოსული 1830-იან წლებში ურუმებთან ერთად სამხრეთ საქართველოდან, ესეც ძალიან მანიშნებელია, რომ ლაზების ხელობაა. ჩვენ საშუალება მოგვეცა შუა იმერეთში დაგვედასტურებია იმავე ლაზების ხელობა. სოფელ ხანში სამი ძმა ყოფილა, ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ნაირსახეობის ორნამენტების შექმნაში. წალკაშიც გვიჩვენეს ლაზი ძმების ნამუშევარი და გვითხრეს – მესამე ძმამ თბილისში ააგო სახლი მენეთთანო. ჩვენ მოვიძიეთ ეს სახლი და ვერ ვნახეთ. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ მაღალ დონეზე იდგა ეს ხელობა ხალხურ შემოქმედებაში (ხის დამუშავება).

ახლა დავაკვირდეთ სიუჟეტებს, აქ მოცემულია სიცოცხლის ხე, მის გარშემო ცხოველები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები. ეს მოტივი ძველთა ძველია. ამ შემთხვევაში ეს მოტივი ამკობს ბუხრის თავს, ეს

ორნამენტი ბუხრის გარშემოა და ეს შემთხვევითი არ არის. ის, [illegible] ადრე ძველ კერასთან იყო დაკავშირებული, ასტრალური ბღუარია, ბღუარიდან მოდის ტერმინი და მზეს ნიშნავს, იმ დროს, როდესაც მზე შეიძლება ნერქვნული ძირის სიტყვა იყოს. ეს სიუჟეტი ძალიან ძველი დროიდან მომდინარეობს და იმავე ცეცხლთან არის დაკავშირებული, მაგრამ ცეცხლთან, რომელიც კერიიდან შემდეგ ბუხარშია მოქცეული და ამ ძველ ტრადიციას იცავს. ეს სიუჟეტი ძალიან მნიშვნელოვანია.

განა მარტო ეს არის, ამის პარალელურად ვანშვენებთ სვანეთში შემონახულ ლიფანალის მხატვრობას: იგივე ხე და მის გარშემო ცხოველები. მისი პარალელულია ქოსტურში (მე-XVI ს.), დალესტანურში (მე-XVIII ს.), ძველი სპარსული და სუმერული. ის ლეგენდა, რომელიც მოცემულია ადამ და ევას შესახებ ბიბლიაში უფრო გვიანდელია, ვიდრე ეს სიუჟეტი; ეს სიუჟეტი უფრო ძველია, ვიდრე ბიბლია.

მიაქციეთ ყურადღება ამ სიუჟეტს, რომელსაც ჩვენ დროთა სიღრმეში მივეკვართ და ასეთი საინტერესო ნიმუში გვაქვს: აქ არის მდიდრულად წარმოდგენილი ხის ორნამენტი. ყურადღებას იქცევს კარების გრეხილი. ეს არის ორნამენტაცია, რომელსაც ქვა იმეორებს. ეს კი მომდინარეობს წვნასაგან, კალათების წვნასთან არის დაკავშირებული ამ ორნამენტის საწყისები და დიდი მნიშვნელობა აქვს.

აქვეა ხის დამუშავების იშვიათი ნიმუშებიც. ეს სვეტები, რომელიც ნაირსახეობით არის შემკული და საყურადღებოა არა მარტო ორნამენტით, არამედ მასალითაც. ეს ძელქვაა, ის ხეა, რომელიც ახალი ხანის მესამე გეოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება და ამ ქართული სახელწოდებით არის შესული მეცნიერებაში. ეს ლაზეთიდან ჩამოტანილი ნიმუშია.

აქ ხედავთ ხის ნაირსახეობის მდიდრულ ჭურჭელს: აი ტაბაკი აჭარიდან, მეორე თიანეთიდან არის ჩამოტანილი, ჩარხზეა გამოყვანილი. საინტერესოა ეს უზარმაზარი გობი. აჭარაში და ჭანეთში არის ასეთი იშვიათი წესი: თხილის მარცვალს კანიანად ჩაყრიან მიწაში და დაფარავენ მიწით, ისინი შეეხრდებიან ერთიმეორეს და შემდეგ ჩარხზე გამოყავთ ამდაგვარი ტაბაკი. ეს წესი ნ. მარს აქვს დამოწმებული. ცნობილია რომ, ჩინეთში აქვთ შესანიშნავი პორცელანი, ის მზადდება ისეთი თიხისაგან, რომელიც წლების განმავლობაში მიწაშია ნაყლული. ის იქ ლეპება და ხდება გამჭვირვალე. საინტერესოა, როგორ მივიდნენ ამ ხერხამდე ცალ-ცალკე ჩინელები და აჭარლები.

აქვე ვანშვენებთ ხის ჯამების კეთების პროცესს. ეს მთლიანი ხეა, შემდეგ შეიძლება მისი ამოჭრა და მივიღებთ მცირე ჯამს, შემდეგ უფრო დიდს და ა.შ. ბოლოს მივიღებთ გობს. აქვე ნაჩვენებია ეს უზარმაზარი გობი ერთი ხისაგან გაკეთებული. რისთვის იყო საჭირო ასეთი უზარმაზარი გობი? სვანეთში საახალწლოდ ფუთნახევარი

სიმძიმის ხაჭაპური მზადდებოდა, რასაც სჭირდებოდა საგანგებო ფიქალი და საგანგებო გობიც.

აქვე, წარმოდგენილია ორიგინალი ჩოჩიალა ურემიც, სადაც შერწყმულია ორი პრინციპი - ჩოჩიალასა და გორვის.

ამდაგვარად, ჩვენ თქვენთან ერთად გაეცანით ხელოსნობას, სახლების ნიმუშებს, ხის დამუშავებას და ორნამენტის სახეობებს. ეხლა გადავიდეთ შემდეგ სტენდზე სადაც წარმოდგენილია სოფლის მეურნეობა. ეს თემა გაშლილია იმდაგვარად, რომ გამოვლენილ იქნეს მეურნეობის ყველა ფორმა: ვაზის დამუშავება, ლუდის დამზადება, მესაქონლეობა, თიბვა, ტყავის დამუშავება, ზეთის გამოხდა, მორწყვა, ნიადაგის გაპოხიერება, ახოს აღება, ხვნა, მკა, ლეწვა და წისქვილი. ყურადღება უნდა მიექცეს საქაჯავს. იგი ქართულად ღვინის დაყენების კომპლექსს ეკუთვნის და ამაზეა დაფუძნებული ჩვენი ღვინის თავისებურება. განსხვავებით ევროპული ღვინისაგან, ჩვენ ჭაჭაზე ვაყენებთ ღვინოს და არა მარტო ვაყენებთ, არამედ ჭაჭას კიდევ ერთხელ ვაქანვინებთ, რათა მისი ნაწილები შეუერთდეს ღვინოს და მიიღება ის არომატ-შემადგენლობა, რითაც ქართული ღვინო განსხვავდება სხვა ღვინოსაგან. ბევრ შემთხვევაში საქაჯავი არის ქვის. ზოგ სპეციალისტებს ქვის საქაჯავი გონიათ სამსხვერპლო და ამას ბეჭდავენ კიდეც.

ლუდის გამოხდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ახლა ირკვევა სავსებით ნათლად, რომ ლუდი არ წარმოადგენს მარტოდმარტო ჩრდილოეთის მონაპოვარს. ადრე ფიქრობდნენ, რომ ეს იყო გერმანელების, ინდო-ევროპიელების მონაპოვარი. უკანასკნელმა გაოხრებამ საესებით ნათელჰყვეს, რომ მესოპოტამიაში დიდი ხნით ადრე არსებულა ლუდი და ამიტომ, ლუდის დამუშავების საკითხის კვლევას ჩვენს პირობებში ის მნიშვნელობა აქვს, რომ გაარკვიოს მისი საწყისები თავდაპირველად ალმოსავლეთისა თუ ჩრდილოეთის კულტურასთანაა დაკავშირებული. სელის დამუშავებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია გელაზი. მისმა ნიმუშებმა ჩვენამდეც მოაღწიეს წალკასა და ჯავახეთში. ჩვენ შეეძელით ნამოგვეტანა გელაზი, თუმცა აქ ვერ ამოვიტანეთ. ეს მისი მაკეტია. მასზე ქართული წარწერაა, ამოკვეთილია გუთნეული, ჯვარი, ცხოველები.

ამ სტენდზე ჩვენ უჩვენებთ სახნისს. სახნისი ადრე მცირე ზომისა იყო. სახნისები ძველი დროიდანვე რომ არის შემონახული, მხოლოდ რკინისაგან არის დამზადებული. ბრინჯაოსაგან დამზადებულო სახნისს მეცნიერება არ იცნობს. ჯერ მცირე ზომისაა, აი ასეთი, შემდეგ უფრო დიდი, შემდეგ პატარა ყურები და ფრთები უნდება. აი, ეს არის ის ს ა ო რ ხ ლ ე ს ა ხ ნ ი ს ი. ამის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ეს ასიმეტრიული სახნისი. სულ ორი კვირის ამბავია

რაც მივიღეთ ერთი ახალი ნაშრომი ვენიდან, სადაც ავტორი ამტკიცებს - საქართველოში შემონახული ასიმეტრიული სახნისი, თითქოს გერმანელი კოლონისტების მიერ იყოს შემოტანილი, იმ დროს, როდესაც ჩვენ ასეთი განვითარების საფეხურები გვაქვს, და გვაქვს უტყუარი დადასტურება - გულდენშტენტს აქვს ჩახატული ასიმეტრიულ სახნისი. გერმანელები კი ჩამოვიდნენ აქ მე-XIX საუკუნის ოციან წლებში.

მე შევანერებ თქვენს ყურადღებას სახვნელ იარაღებზე. თქვენს წინაშე დიდი გუთანია, რომელსაც სიმეტრიული სახნისი აქვს, ორხელა ქართლური, ფშაური აჩაჩა, ხევსურული სახვნელი, რაჭული სახვნელი, იმდენად ორიგინალური თავის ქუსლის აგებულებით, რომ ბადალი არ გააჩნია. ჯერ ერთი შესანიშნავია მოყვანილობით, მეორე მხრივ, მისი ფუნქციაა, რომ ბელტი გადააბრუნოს. ისეთი ფარფლი აქვს, რომ ასეთი ქუსლის შემწეობით ის აბრუნებს ბელტს, და ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც დიდ გუთანში ფრთა. ფრთის მოვალეობაა აჭრილი ბელტის გადაბრუნება და იგივე ფუნქციას ასრულებს ეს იარაღი. ამის შესახებ არსებობს თეორიები. ბრაუნგარდტი ამტკიცებდა, რომ ეს სახვნელი იარაღი საქართველოში შემოტანილია ირანელების მიერ, როდესაც გაიარეს გზად ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაზე და დაუტოვეს ჩვენს წინაპრებსო. ეს ზღაპარია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ქუსლი ამ იარაღების შინაგანი განვითარების საფუძველია და ირკვევა, რომ სპარსეთში ამდაგვარი არაფერი არსებობს.

როგორც ბატონმა ივანემ შესანიშნავად აღნიშნა, საქართველო წარმოადგენს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს, ჩვენ ისეთი მრავალსახეობა გვაქვს სახვნელი იარაღებისა შეფარდებით ნიადაგებთან და მის ფუნქციასთან, რომ მართლაც გაოცებას იწვევს რამდენად მდიდარია ჩვენი პატარა ტერიტორია სახვნელი იარაღებით. და ამ ნაირსახეობებს აქვთ თავისი განვითარების საფეხურები. სახვნელ იარაღებს ჩვენ ასე ვყოფთ და ვუფარდებთ კლასიფიკაციის ძირითად პრინციპს, თუ რა ფუნქციას ემსახურება, რა დანიშნულებას ასრულებს, მეურნეობის რა სახეობას შეეფარდება.

I სახე – კ ა ვ წ ე რ ა და კავის ტიპის სახვნელები, რომელთაც გრძელი მხარი აქვთ, მხარი სწვდება უღელს და ამიტომ ეს სახვნელი იარაღი ერთი უღელი ხარის მეტს ვერ შეიბამს. მათი ფუნქცია არის გაწერვა. კავწერა ჰქვია ამ ტიპის იარაღებს, ე.ი, მათი დანიშნულებაა ნიადაგის გაწერა, გახაზვა და არა ღრმა გაჭრა, ბელტის გადაბრუნება და სხვა.

II სახე – ო რ ხ ლ ე ბ ი, როდესაც დამოკლდება ეს მხარი და შეიბამს ორსა და მეტ უღელს ხარს. ფუნქცია არის ნიადაგის ანცვა.

III სახე – მოკლე მხრიანი სახვნელია, ბორბლებზე დგას. მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს ფრთა. ის ბელტს ყირაზე აყენებს. აქაც ნნდება ნაირისახის ქუსლები.

IV სახე – დიდი გუთანია. როდესაც სახვნელს უნდება ფრთა და ხდება ღრმად ხვნა. აქ უკვე რვა და მეტი უღელი ხარი შეიბმის. აი, სადამდე მივიდა ქართველი გლეხი, რომ გუთანში შეაბამს 8 უღელსა და მეტს ხარ-კამეჩს. ეს იყო გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი სახე. მეტი სინესტე შეინახოს ნნულმა. ახლა ამბობენ გლეხები - ტრაქტორს ხომ აქვს ფრთა, მაგრამ ის ნვენი გუთანი სჯობს იმით, რომ მაღალი ფრთა აქვს და ბელტს აბრუნებსო.

ბელტის გადაბრუნება იმით არის კარგი, რომ ერთი მხრივ ისპობა სარეველები და, მეორე მხრივ, მზის სხივები და წვიმაც კარგად მოქმედებს. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ სახვნელ იარაღს უნდება რკინის ნაწილები – ხმალა, ქუსლი, ფრთა რკინისა. ეს უკვე არის ე.წ. მუხრანული გუთანი, კაპიტალისტურ საქართველოში ადგილობრივ საფუძველზე განვითარებული გუთანი. ამავე დროს შემოდის ინგლისური გუთანი, მაგრამ ნვენ აქვე მოცემული გვაქვს გულდენშტედტის მიერ ნახატული დიდი გუთანი. აი, როგორი პატარა ღირდება აქვს. ამის მიხედვით ირკვევა თუ რა სიღრმის კვალი იჭრებოდა. აი, აქ არის ასიმეტრიული სახნისიც. მართალია, ნვენ განათხარი მასალა არა გვაქვს, მაგრამ საფლავის ქვების ორნამენტაციის მიხედვით ვადგენთ, რომ ეს არის მე-XII საუკუნის სახნისი. ევროპაში ასევე არ არის ცნობილი ლეწვასთან დაკავშირებული ამბები, აი კვერი, რომელიც თავისი დროისათვის დიდი დაწინაურება იყო. ევროპაში მე-XVIII საუკუნემდე შოლტებით (ცეპებით) ლეწავდნენ. იმასთან შედარებით ეს დაწინაურებული სამეურნეო იარაღია და გარკვეულ მიდწევასაც წარმოადგენს. ეს დაკავშირებულია პურეულის ისეთ ჯიშებთან, რომლებიც ვეგეტაციის სახით გარკვეულ მაჩვენებლებს იძლევიან. მაგალითად, ასეთი კვერი მთაში არ გვაქვს, იმიტომ რომ, იქ პური არ მწიფდება, ისე სრული სახით, როგორც აქ ბარში. ლეწვა იქ ამით არ შეიძლება. ეს უკვე დოლის პურისათვის გამოსაყენებელი იარაღი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საქმე ის არის, რომ ნვენ ცალკე ტაბულაზე გვაქვს ნაჩვენები, რომ ამერკავკასიის გარდა ყველაზე უძველესი სახეობა ასეთი აპარატისა, არსად არ არის ნაჩვენები. ყველაზე უძველესად მიჩნეულია რომაული და ისიც მე-II საუკუნისა მხოლოდ, ნვენ წელთაღრიცხვამდე. აქ კი, ამერკავკასიაში გაცილებით უფრო ძველია.

გალეწვის შემდეგ, მოგეხსენებათ, პურს სჭირდება დაფქვა. აქ მოცემულია ნვეულებრივი წისქვილის სახეობა. აი, აქაც ეს შესანიშნავი ხალხური ლექსი აგვიწერს წისქვილს:

„წისქვილის ამბავს ნუ მკითხავ,
თავით ბოლომდე რა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათა გაჭრილი სალორე,
იმას რუხმული სხვა უნდა“.

შემდეგ წარმოვადგენთ მეურნეობის სხვა ფორმებს: მევენახეობასთან დაკავშირებული საწნახელი, თაღარი, რომელშიც ყურძნის წვენი გადმოვა და აქედან გადავა ქვევრებში.

ნადირობასთან დაკავშირებულ საგნებს: მახე, ხაფანგები, ბანდული (მთაზე სიარულისათვის), სამფოსი, მონადირის ენა, აქვეა მოცემული მეთევზეობასთან დაკავშირებული ფაცერები. თევზის ჭერა არა მარტო ჭვილთებით და ანკესებით სწარმოებს, არამედ მშვილდ-ისრითაც. ჟინჟღილით ანათებენ მდინარეს და ამდაგვარ ისარს ესროიან თევზს წყალში, გადაუჭრიან ხერხემალს და ამოტივტივდება თევზი.

უნდა ითქვას, რომ ამ გამოფენაზე შეიძლება რამდენიმე ექსკურსიის ჩატარება სხვადასხვა თემაზე. ახლა ჩვენ მას ვეცნობით ზოგადად, როგორც ამ ნაწილს, ისევე იმ ახალი ყოფის და კულტურის დონეს. აქაც ასევე შეიძლება სხვადასხვა თემების გაშლა. ჩვენი მიზანია მნახველი დაინტერესდეს ისე, რომ ყოველთვის მოდიოდეს გამოფენის სანახავად. ჩვენ ზოგადად გავიცანით გამოფენის ის ნაწილი, რომელშიაც ასახულია ძველი, რევოლუციამდელი ყოფა და კულტურა. და ამავე დროს შევეცადეთ გვენვენებინა ჩვენი კულტურის თავისებურებების ზოგიერთი მხარე.

ამის შემდეგ დაპირისპირებაში გვაქვს მოცემული თემები: სოფლის მეურნეობა და ზოგიერთი სხვა მომენტი. ძირითადად აქ თემები გაშლილია ამდაგვარად: ერთი მხრივ საწარმოო ყოფა, ამ ფარგლებში მოცემული გვაქვს ახალი თემატიკა, რომელსაც ჩვენ ახალი ყოფის ამსახველ თემატიკას ვუწოდებთ. აქ არ მიედინართ სიღრმეში, მშენებლობას მთლიანად არ ავსახავთ, არამედ ავსახავთ ეთნოგრა-ფიულ ფარგლებში.

ვიწყებთ ჭიათურით, აქ ნაჩვენებია ზოგადი ხედები ჭიათურისა. მითითებულია მარგანეცის მნიშვნელობაზე კავშირში და კავშირის გარეთ. აი რა ტექსტია აქ მოტანილი: „მარგანეცი ფართოდ გამოიყენება შავ და ფერად მეტალურგიაში, უმთავრესად როგორც შენადნობის, ლითონის ფიზიკურ–ქიმიური და მექანიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით. მარგანეცი გამოიყენება, აგრეთვე, ელექტრო ქიმიურ, მინისა და სამღებრო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში.

საბჭოთა კავშირში მარგანეცის უმთავრეს საბადოს საქართველოს სსრ, ჭიათურის რაიონი წარმოადგენს. ჭიათურის მარგანეცის საბადო, რომლის ექსპლოატაცია 1879 წ. დაიწყო, მადანის მარაგით, მისი ხარისხით, განლაგებით და მოპოვების პირობებით მსოფლიოში საუკეთესოა“.

აქვე ნაჩვენებია ის პროცესი, რომელიც ყოფასთანაა დაკავში-რებული, რომელიც, ერთი მხრივ მარგანეცის ამოღებას ვარაუდობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ ნაჩვენებია ის ნივთიერებები, რაც მარგანეცის გადამუშავებით მიიღება. აქ საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფაა მოცემული და ისიც კი არის ნაჩვენები მოსახლეობის ზრდა როგორ ხასიათს ატარებს. აქ ორი ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია საპატიო მაღაროელთა ოჯახის გენეალოგია, თანდათანობით როგორ კვალიფიცირდებიან უმაღლეს კვალიფიკაციამდე - ინჟინერებამდე. ასევეა ნაჩვენები ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის სტენდი. ნაჩვენებია საწარმოო, სოციალური და საოჯახო ყოფა. შემდეგ რუსთავი, სრულიად ახალი ინდუსტრიალური ქალაქის ჩასახვა. ნაჩვენებია საწარმოო პროცესი, საყოფაცხოვრებო ყოფა. აქ არის სტრუქტურა და სქემა წარმოების იმ ძირითადი სამუშაოებისა, რომელსაც ამ ქალაქში ეწევიან. ეს მარტენია, ბლუმინგი, მილების დამზადება, სხვადასხვა დიამეტრის მილების კეთება. აქ ნაჩვენებია მათი ნიმუშები და როგორ მზადდება. აქვე მოცემულია ცეცხლ - მიუკარებელი კოსტუმები. ნაჩვენებია საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა, კადრების ზრდა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. პირველი ნიმუში – მოტორი ქუთაისის ქარხნის მარკით გამოშვებული, რომლის ყველა დეტალი, ყოველი ნაწილი ადგილზეა დამზადებული და მარკაც აზის „კას". აქაც ნაჩვენებია საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა.

კიროვის სახელობის ქარხნის მუშების ყოფა. კიროვის სახელობის ქარხანა არის იარაღის მწარმოებელი და ამგვარად ის წარმოადგენს ხერხემალს მძიმე ინდუსტრიის განვითარების დარგში. აქ არის ნიმუში იმ ხელსაწყოსი, რომელსაც ისინი ამზადებენ.

ამის შემდეგ გადავდივართ თანამედროვე სოფლის მეურნეობის თემაზე: მესაქონლეობა, მევენახეობა–მეღვინეობა, ჩაის კრეფის პროცესი, მექანიზაცია და ერთი შესანიშნავი მომენტთაგანი – ცდა იმისა, რომ კრეფა არ ხდებოდეს ერთდროულად ჩაის ყველა ბუჩქისა, რადგან ეს მოითხოვს ბევრ მუშახელს და ფაბრიკებიც ვერ ასწრებენ დროზე გადამუშავებას. ამისათვის მიმართავენ გასახვლას. არსებობს გასახვლის სხვადასხვა სახე: ერთ შემთხვევაში ზერელედ სხლავენ, მეორე შემთხვევაში უფრო ღრმად და ამიტომ ჩაის ფოთლის მომწიფება სხვადასხვა დროს ხდება და მოკრეფაც ასევე. ამგვარი ცდა არის ხილის ხაზითაც.

ამდენად, როგორც ვხედავთ საგამოფენო ექსპონატები წარმოდგენილია სამეურნეო–მატერიალურ კომპლექსში, როგორც ადამიანის შრომის ჯამი. ჩვენ უნდა შევძლოთ რომ საქართველოს ეთნოგრაფიული პინამდვილიდან მუზეუმში დავასახლაროთ წინაპართა მემკვიდრეობა, რათა შთამომავლობას საშუალება მიეცეს ორიგინალში გაეცნოს ქართველი ხალხის მიერ შექმნილი, საუკუნოვანი, მაღალი კულტურის ამსახველ კოლექციას.

1955წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1954 წლის 21 დეკემბერს გახსნილი „საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა“ აგებულია ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის შედარების პრინციპზე. ამასთან ძველი ყოფა და კულტურა მოცემულია როგორც წინმსწრები საფუძველი ახალი ყოფის ჩამოსაყალიბებლად. თავის მხრივ, გამოფენაზე ცალკეული კომპლექსები წარმოდგენილია განვითარებაში, დინამიკაში, ისტორიულ ჭრილში. ძველი ყოფისა და კულტურის ექსპოზიციაში საგამოფენო კომპლექსები მოცემულია კლასობრივ ჭრილში. ხოლო ახალი ყოფისა და კულტურის ექსპოზიციაში საგამოფენო ექსპონატები წარმოდგენილია მშრომელებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გავრცელების ამოცანის გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ ეს ამოცანები უკეთ განხორციელდეს საექსპოზიციო კომპლექსები განლაგებულია ფორმისა და შინაარსის ყველაზე სრული შესატყვისობისა და აგრეთვე, ლოგიკური და მხედველობითი აღქმის პრინციპებით. ამ პირობებს შეესაბამება ექსპოზიციის თვალით დასანახი დანაწევრება, ექსპონატების უბრალო და ნათელი განგლაგება, მათი წარმოდგენა, კომპლექსურად, თავისუფალი საექსპოზიციო არის მოთხოვნათა დაცვით; მთავარის, წამყვანისა და ტიპურის შერწევა, ექსპლიკაციებისა და სიტყვა-ცნებების გამოყენება ექსპონატის შინაარსის გამოვლინების მიზნით.

იმისათვის, რომ ძველი და ახალი ყოფის ექსპოზიციამ არ დაკარგოს ძირითადი იდეური ღერძი, არ ჩამოშორდეს თავის სპეციფიკასა და მთავარ იდეას, გამოფენაზე ნაჩვენებია, მხოლოდ ის, რაც მტკიცედაა შესული ქართველი ხალხის კულტურასა და ყოფაში, საწარმოო გამოცდილებისა და შრომით ჩვევებში, ის სპეციფიკური და თვითმყოფადი ნიშნები, რომლებიც წარმოადგენს ქართველების წვლილს საკაცობრიო კულტურაში.

ძველი ყოფისა და კულტურის განყოფილებაში წარმოდგენილია კომპლექსური თემები: მემინდვრეობა და სახნავი იარაღები, მევენახეობა და მეღვინეობა, მესაქონლეობა, ლითონის დამუშავება (სპილენძი, რკინა, ვერცხლი, ოქრო), კერამიკა, გიშერი, ხის, ქვისა და ძვლის დამუშავება, საფეიქრო დარგი და ქსოვილები, ტყავის დამუშავება, გლეხისა და მემამულის საცხოვრებელი, ხალხური ტრანსპორტი და ა.შ. კომპლექსებში ნაჩვენებია არა მხოლოდ

---

* შენიშვნა: ზემოთმოყვანილი წერილი დაბეჭდილია რუსულ ენაზე „Новая этнографическая выставка Грузии“. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B 1956; და «Этнографическая выставка Грузии» СЭ, 1956, №2, წერილის ქართული ვარიანტი დაცულია პირად არქივში (თ.ც.)



ძველი ეოფის ექსპოზიცია. მიწათმოქმედება და მუსაქონლეობა

ცალკეული ნივთები, ანდა მად მათი დამუშავება და ფუნქციებიც, ღია ნაკეთობათა და მათი დანიშნულების მაგალითზე: თოფები, ხმლები, ხანჯლები, დანები, სანათები, კერიის ჯაჭვები, მაშხალები, სპილენძის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი – ტოლნები, მაშრაფები, თულუხები, ვერცხლის ჭურჭელი ღვინისათვის და სხვა. მაგრამ ექსპოზიცია ამით არ შემოიფარგლება. ცალკე ნაჩვენებია, როგორ მოიპოვებდნენ მადანს, როგორ ადნობდნენ მას და როგორ მიმდინარეობდა მისი დამუშავება. სადნობი ღუმელის მაკეტი წედისიდან გვიჩვენებს, როგორ ადნობდნენ რკინას, ამასთან ექსპლიკაცია გვამცნობს, რომ მაღალხარისხოვანი რკინის მიღების მიზნით მადანს ურევდნენ ფაშას (პიროლუზიტი), ექსპლიკაცია მიუთითებს, რომ ეს მეთოდი უძველესი დროიდან მომდინარეობს: ბერძენ ავტორთა ცნობით უკვე ჩვ. VI ს. ქართველური ტომები (მოსინიკები, ხალიბები, ხალდები-ჭანები) ურევდნენ მადანს განსაკუთრებული თვისებების მქონე „ქვიშას.“ „ქვიშის“ ეს, ბერძენ მწერალთათვის უცნობი თვისებები, აღმოჩენილია საბჭოთა ეთნოგრაფების გამოკვლევებით.

შუა საუკუნეების საქართველოში წედისის ფოლადი დიდად ფასობდა. სპეციალურ ვიტრინებში ნაჩვენებია ლითონის დამუშავების ხერხები: ცივად ჭედვა, ცვარი, ემალი და სხვა. ექსპლიკაცია მიუთითებს, რომ ამ ხერხების უმეტესობა წარმოადგენს ქართველი ტომების – თუბალების, კოლხების, თრიალეთელებისა და სხვა ცნობილი უძველესი ხერხების დერივაციასა და შემდგომ განვითარებას. საქართველოში ლითონის კულტურის სიძველესა და თვითმყოფადობაზე მეტყველებს გამოფენაზე წარმოდგენილი ფოლკლორული მონაცემებიც.

თიხის ნაკეთობათა საგამოფენო კომპლექსები მიუთითებს ფორმათა სიუხვესა და კერამიკის მრავალფეროვან ფუნქციაზე. როგორც სხვა კომპლექსებში, აქაც ცალკე ფარებზე ნაჩვენებია სხვადასხვა კერამიკული ჭურჭლის დამზადების პროცესი. ამ მონაცემების შედარება მიგვითითებს, ერთის მხრივ, ქართული კერამიკის შინაგან ტიპოლოგიურ ერთიანობაზე, მეორეს მხრივ კი, მის მჭიდრო კავშირზე ძველ ქართულ კერამიკასთან. ამასთან მკაფიოდ ჩანს შორს მიმავალი

პარალელები, რომლებიც ქართულ კერამიკას აკავშირებენ ჩრდილოეთ კავკასიასა და წინა აზიასთან.

ცალკე ტაბულაზე ნაჩვენებია, რომ ყოფაში დღემდე შემონახულია პურის საცხობი თიხის ღუმელი (თორნე), რომელიც საქართველოში უკავშირდება გარკვეულ მარცვლეულს და ამიტომ დამახასიათებელია გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ზონისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი – საქართველოში, ურარტუში, ასურეთში, ბაბილონსა და შუმერში. ქართულ ენაში სახელწოდებიდან თ ო რ ნ ე (თონე) ნაწარმოებია თიხის ოსტატისა (მე-თუ-ნე) და თიხის წარმოების (მეთუნეობა) სახელებთან.

მეორე ტაბულაზე წარმოდგენილია თიხის, კარაქის სადღვების სახესხვაობანი, რომელნიც ასევე დღემდეა შემონახული. ამავე ტაბულაზე ნაჩვენებია თიხის კარაქის სადღვებლები მცხეთის (ძვ. წ. IV ს), თრიალეთის (ძვ. წ. VI ს.), ახტალის, სომხეთის (ძვ. წ. V ს.) და მესოპოტამიის (ძვ.წ. 2000 წ.) გათხრებიდან.

ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კუსტარულად დამზადებული – სელის, კანაფის, ბამბის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები. გამოფენილია აგრეთვე ფეიქრობასთან დაკავშირებული იარაღები, ხოლო ტაბულაზე ნაჩვენებია, ქსოვილის დამზადების ტექნიკა, ხალხური საფეიქრო დაზგების ძირითადი სახეობები და ა.შ. ცალკეული ტაბულები გვიჩვენებს საქართველოში ქსოვილების დამზადების ტექ-ნიკას სხვადასხვა ისტორიულ ეპო-ქებში (განათხარი მასალების მიხედ-ვით). დიდი რაოდენობითაა ექსპონი-რებული ქსოვილის სახითავები. მათი ორნამენტი გამო-ირჩევა მდიდრული სიუჟეტითა და ორი-გინალური ფორ-მებით. ეს მატრიცე-ბი დამზადებულია ბზისაგან ლაზი ოს-ტატების მიერ. ზოგიერთი ამ ხალხური ორნამენტებიდან ახლაც წარმატებით შეიძლებოდა გამოეყენებინათ საფეიქრო ნაწარმისათვის, რომელსაც უშვებენ ჩვენი საფეიქრო ფაბრიკები. წარმოდგენილია

ხევსურული ტანსაცმელი.

ქართული ხალხური ქარგვის ნიმუშები, შესრულებული სხვადასხვა ხერხით, ბრეშუმით, ვერცხლით, ოქროთი, მძივით და ა.შ.

სპეციალურ კარადებსა და ვიტრინებში გამოფენილია XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული ტანსაცმელი და აგრეთვე საზოგადების სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ეთნიკური ჯგუფების ტანსაცმელი.

ექსპონატები თემისა „ქართული ხალხური ტრანსპორტი" მიუთითებს, რომ გადაზიდვის სახმელეთო საშუალებანი, საქართველოს სამეურნეო გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, იყოფოდა სამ ძირითად სახეობად: საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებულია ტრანსპორტი – ურემი, გერძყალა. მთიან საქართველოში გავრცელებულია უთელებო ტრანსპორტი – მარხილი, შერეული ტრანსპორტი – იმერული ურემი, ბოლოთრია, რომელიც აგებულია სრიალისა და ქანაობის პრინციპზე. და გავრცელებულია მთისძირა გარდამავალ ზოლში.

თემა მიწათმოქმედება ნაჩვენებია შემდეგი თანმიმდევრობით – განოყიერება და მორწყვა, გაკაფვა, ხვნა, თესვა, მარგვლა, მკა, ლეწვა, დაფქვა. ექსპონირებულია სახნავი იარაღები: უღელი (ხევსურეთი და ფშაავი), რვილი (რაჭა და ქართლი), დიდი ქართული გუთანი. სამ ტაბულაზე ნაჩვენებია სახნავი იარაღების კავშირი გარკვეულ სამიწათმოქმედო სისტემებთან. ამ უკანასკნელის (დიდი გუთანი) სრულყოფამ XIXს-ის მეორე ნახევარში მოგვცა მუხრანული გუთანი რკინის ძირითა და რკინისაგე გადასაბრუნებლით. ცალკეულ სტენდებზე ნაჩვენებია კავებისა და სახნისების, სალეწი ფიცრის – კევრის განვითარება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XI ს-დან არის ცნობილი. ასეთი უძველესი სალეწი ფიცრები სხვაგან არსად არ არის. რომაული სალეწი ფიცარი – ტრიბულუმი ცნობილია მხოლოდ ძვ.წ. II ს-დან. დაახლოებით ასეთივე ხანდაზმულია გამოფენაზე ექსპონირებული ქართული წყლის წისქვილი, საბჭოთა სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ იგი უკვე ცნობილი იყო ურარტუში ძვ.წ. VIII–VII ს.ს.

ექსპონირებულია მკელის სამუშაო ტანსაცმელი ყველა მისი ატრიბუტით – საშუბლე, ოფლისა და თვალების დასაცავად, ქამარი – სათითურებით.

საგამოფენო დარბაზის ცენტრში აგებულია დიარამები,. რომლებიც ასახავენ გლეხის სახლს XIX ს. მთელი მისი შინაგანი მორთულობით და იმავე ეპოქის მემამულის სახლს, რომლის მორთულობაში ქართულ ნაწარმთან ერთად ფიგურირებს ევროპული და აღმოსავლური ქსოვილები, ჭურჭელი და სხვა.

გამოფენის მეორე განყოფილება გვიჩვენებს ქართველი ხალხის ახალ, სოციალისტურ ყოფასა და კულტურას, საწარმოო, საზოგა-

დოებრივ და ოჯახურ ყოფას ეძღვნება ცალკე თემები.

ქ. ჭიათურის საერთო ხედის ჩვენებით იხსნება ჭიათურის მარგანეცის წარმოების თემა. ნაჩვენებია მადნის მოპოვებისა და დამუშავების ძირითადი პროცესები, გამაგრება, წნევის განსახლერა, მონგრევა, მექანიზებული დატვირთვა, ტრანსპორტირება და დაცლა, მადნის გარეცხვა და აგრეთვე, მუშების გადაყვანა მაღაროში. დიაგრამები გვიჩვენებს შრომის ნაყოფიერების, ხელფასისა და კაპიტალურ დაბანდებათა შრომის მექანიზაციის ზრდას, რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების, სამეცნიერო დაწესებულების კავშირს წარმოებასთან.

ნაჩვენებია მუშების საზოგადოებრივი ყოფა: მუშათა თეატრი, კლუბები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, საბავშვო ბაღები და ბაგები, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები და ა.შ. ოჯახურ ყოფას გვიჩვენებს: მუშათა კარმიდამო საცხოვრებელი სახლებითა და სამეურნეო ნაგებობებით, ვენახებით, ბოსტნებით, ხეხილის ბაღებით, აგრეთვე, შთამომავლობითი (მუშახელის) ოჯახების გენეალოგია ხუთი თაობის მანძილზე და სხვა.

დიდი მექანიზებული მაკეტი წარმოადგენს ჭიათურის კუთხეს – მთის პეიზაჟი მუშათა დასახლებით. საბაგირო გზით მარგანეცის მადნის ტრანსპორტირებისათვის, მაღაროდან გამამდიდრებელ ფაბრიკაში და მუშათა გადაყვანა მაღაროში. მაკეტი მექანიკურად იხსნება და მაყურებელი ხედავს მაღაროს, გამაგრების სისტემას, ნგრევას, ელექტრომატარებელზე დატვირთვას, მექანიზებულ მტვერსასრუტებს, რომლებიც მაღაროებში მუშაობისათვის ჰიგიენურ პირობებს ქმნიან და ა.შ.



XIX ს. საცხოვრებელი სახლი.

სხვა სტენდზე მოცემულია ზესტაფონის ფეროშენადნობის ნედლეულისა და მზა პროდუქციის ნიმუშები. ნაჩვენებია მრეწველობის ამ დარგის მუშათა საწარმოო ყოფა. ამგვარადვეა ნაჩვენები თბილისის სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის დაზგაომშენებელი ქარხანა, რუსთავში – მეტალურგების ახალ ქალაქში, რომელიც ომისშემდგომ წლებში წარმოიქმნა.

ფართოდ არის ნაჩვენები რუსთაველთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა: კოტეჯები და მუშათა ბინების გეგმები, სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, საბავშვო ბაღები ქალაქში და ზაფხულის პერიოდში კურორტებზე, ბაგები, ბაღები, პარკები, სტადიონი, თვითმოქმედების წრეები (ლიტერატურული, დრამატული, ხალხური ცეკვები, მომღერალთა გუნდები), ბიბლიოთეკა და ა.შ.

სოფლის მშრომელთა საწარმოო ყოფაზე მოგვითხრობს თემები: მეცხოველეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მემინდვრეობა, რწყვა, მეჩაიეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა.

მევენახეობამ და მეღვინეობამ, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია საბჭოთა საქართველოს პირობებში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. საქვეყნოდ ცნობილი ყურძნის ჯიშებიდან – საფერავი, რქაწითელი, ცოლიკაური და სხვა. ადგილობრივი წესით დამზადებული ღვინოები გამღირნეკა მაღალი ხარისხით. წლიდან წლამდე იზრდება ვენახების ფართობი, ხდება შრომატევადი პროცესების მექანიზება, მტკიცდება კავშირი მეცნიერებისა წარმოებასთან. იზრდება ქართველ მევენახეთა შრომის ნაყოფიერება, საგამოფენო მასალა გვიჩვენებს მათ საწარმოო საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას, მათი კეთილდღეობისა და კულტურული მოთხოვნების ზრდას.

ნუკურომა ხეზე

თემაში „მეჩაიეობა", დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩაისა და სუბსტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შედეგების დანერგვის ჩვენებას წარმოებაში.

თემაში „მეხილეობა" ნაჩვენებია სხვადასხვა ასაკის დამყნილი ნერგები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სასელექციო მუშაობა ხილის საუკეთესო ჯიშების გამოსაყვანად. აქვე ნაჩვენებია, აგრეთვე, ახალი ხერხები ხეხილის მეწლეურობის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, მათი განოყიერების ახალი რეჟიმი.

მტს-ების სტრუქტურის ნვენებით გამოფენა ხაზს უსვამს ეკანასკნელთა როლს სოფლის მეურნეობაში.

განყოფილებაში „მეცხოველეობა“ ცალკე სტენდზე წარმოდგენილია მწვანე კონვეირის მოძრავი მექანიზებული სქემა, რომელიც გვინვენებს ათ წელზე გათვლილ თესლბურნვას მინდვრებზე, რითაც მსხვილრქიანი საქონელი უზრუნველყოფილია ახალი, ვიტამინიზებული საკვებით. აქვე ნანვენებია ძროხების მექანიზებული წველა, შრომტევადი სამუშაოების მექანიზაციის ახალი ფორმები, მსხვილრქიანი საქონლის ახალი ჯიშები და ა.შ. რელიეფურ რუკაზე აღნიშნულია საქონლის გადარეკვის მარშრუტები საზაფხულო და ზამთრის საძოვრებზე, აგრეთვე საძოვრების განაწილების სქემა ზონებისა და წელიწადის დროთა მიხედვით. უხვად არის წარმოდგენილი მესაქონლე კოლმეურნეთა საწარმოო, ხაზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ამსახველი მასალები.

ამასთან ერთად გამოფენილია ქართული შალის ქსოვილები „კოლხეთი“, „რუსთავი“ და სხვა, რომლებსაც ამზადებს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე, გლეხთა ტრადიციული ხელობის ნიმუშები (ლითონისა და ხის ნაკეთობანი, ქსოვილები, და სხვა) სპორტის ეროვნული სახეობები (საცხენოსნო სპორტი, ჭიდაობა), ალპინიზმი. საინტერესოა ეროვნული ორნამენტისა და თარგის გამოყენებით შექმნილი ტანსაცმლის, აგრეთვე, ბავშვთა შემოქმედების ნიმუშთა ვარიანტები.

გამოფენა მთავრდება ორი სტენდით, რომელთაგან ერთი მოგვითხრობს ქართველი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების მეგობრობაზე, ხოლო მეორე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები, რომელთაც მაღალი მნვენებლები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის დარგში.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა სამუზეუმო ხერხებად გვინვენებს იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ქართველი ხალხის ყოფამ და კულტურამ თანამედროვე საზოგადოების მშენებლობის პერიოდში.

1954წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუზეუმის გამოფენების მეგზურის შედგენის ძირითადი პრინციპები

1. ის სამუზეუმო დამხმარე წიგნი, რომელიც მსჯელობის საგანია, ლიტერატურაში. შემდეგი სახელებითაა ცნობილი Itinerari, guide, Führer, Wegweiser, Путеводитель, მეგზური.

2. არსებული მეგზურები შემდეგ ძირითად სახეებად ნაწილდებიან.

ა. მეგზური სტატისტიკურ-აღწერილობითი ხასიათისა (კოლექციების ჩამოთვლა ადგილმდებარეობის მიხედვით) და ბ. მეგზური დინამიკურ-სისტემატიკური ხასიათისა (ეპოქების, თემების, ქვეთემების მიხედვით)

3. მეგზურის როგორც ერთს, ისევე მეორე სახეობას შეიძლება ჰქონდეს შესავალი, სადაც მოცემულია მუზეუმის დაარსებისა და განვითარების შესახებ ცნობები, განმარტებულია მუზეუმის მიზანი და ამოცანები, ფიქსირებულია მუზეუმის გამოფენების დათვალიერების და კოლექციების გამოყენების წესები, დასახელებულია მუზეუმის გამოცემები. არსებობს მოკლე და ერცელი მეგზურები, მასიური და სამსახურებრივი დანიშნულებისა, ისევე როგორც არის ზოგადი ხასიათის მეგზური Wegweiser – ქართულად მ გ ზ ა ვ რ ა თუ გამოდგებოდა, რომელშიც გამოფენების ადგილმდებარეობა, მარშრუტები გამოფენიდან გამოფენამდე და გამოფენების საგანია აღნიშნული. ამას გარდა ზოგიერთ მეგზურს დართული აქვს სიტყვების ახსნა, ისტორიული თარიღების ნუსხა და სხვა. მეგზურის გამოცემებში, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ილუსტრაციებს (ჰელიოგრავიურა, ფოტოტიპია, კროკები ტექსტში და სხვა).

4. მეგზურის ძირითადი დანიშნულებაა მოემსახუროს მნახველს გამოფენების უკეთ გაგების საქმეში (დაეხმაროს „თვითმოლაპარაკე" ექსპოზიციას).

5. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო‍ა, რომ მეგზური ამოდიოდეს გამოფენების ძირითად პრინციპებიდან. რამდენადაც გამოფენის პრინციპები გამომდინარეობენ მუზეუმის მიზნებისა და ამოცანები-საგან, ამდენად მეგზურის შედგენილობის პრინციპებიც მუზეუმის მიზნებსა და ამოცანებს უნდა უპასუხებდეს.

6. რამდენადაც საქართველოს მუზეუმის გამოფენები უმთავრესად კულტურულ-ისტორიულ პრინციპზეა აგებული (მუზეუმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად), ამდენად მეგზურები ჩვენი გამოფენების კულტურულ-ისტორიული პრინციპებიდან უნდა ამოდიოდეს.

7. ამასთანავე საჭიროა, რომ მეგზური დინამიკურ საფუძველზე შედგეს, რათა ცალკეული თემატური კომპლექსები, თემები და ქვეთემები მეცნიერულად იყოს შეფასებული და ეპოქის მახასიათებელი სანიმუშო საგნები ახსნილი ტექნიკის (ფუნქციის (დანიშნულება) და სახეობის (ფორმა) მხრით. მეგზურის ეს მხარე მნახველისათვის ცოდნის შეძენის წყაროს უნდა შეადგენდეს.

8. იმდენად, რამდენადაც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით გაკეთებულ გამოფენას თავისი მონაცემების მიხედვით პრაქტიკული გამოყენებაც უნდა ჰქონდეს - მეგზური გამოფენის ამ მხარესაც უნდა ითვალისწინებდეს.

9. მეგზური უნდა შეადგინოს სპეციალისტმა. სასურველი არ არის გამოფენის ექსპლიკაციების გადატანა მეგზურში. მეგზურის ენა უნდა იყოს ლაკონური.

10. ტექსტს უნდა ახლდეს გამოფენის გეგმა, მარშრუტი და ილუსტრაცია. მითითება კარადაზე, თაროზე, საკატალოგო ნომერზე მარტივი უნდა იყოს.

11. ამჟამად, როდესაც საქართველოს მუზეუმს დაბეჭდილი მეგზური არა აქვს საჭიროა დამზადდეს მეგზურები თითოეული გამოფენისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე უნდა შედგეს ნაკრები მეგზური, რომელიც გამოიცემა სათანადო შესავალითურთ. მას გარდა უნდა გამოიცეს ჩვენი გამოფენების გზამკვლევიც. (Wegwciser)

12. მოცულობის მხრივ, ცალკეული გამოფენის მეგზურის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს. მეგზურის ილუსტრაცია მაღალხარისხოვანი უნდა იყოს.

1936 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშაობის გამომკვლევები კომისიის ორი წევრის ანგარიში*

კოლექციები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დიდი რაოდენობის კოლექციების პატრონია. ამჟამად მუზეუმის ყველა განყოფილებაში არაუსტი აღრიცხვის მიხედვით 400000-ზე მეტი კოლექციაა დაცული. რიცხობრივ სიმრავლესთან ერთად, მეტად დიდია მუზეუმის კოლექციების სამეცნიერო ღირებულება. კოლექციებს შორის მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატია: ქართული, კავკასიური და წინაადმოსავლური ძველი კულტურის სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით უნიკალური.

ექსპონატების ცალკეული ეგზემპლარები მუზეუმში შესულია ჯერ კიდევ 1852 წელს, ხოლო დიდი უმრავლესობა შეძენილია საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა პერიოდის 19 წლის მანძილზე მუზეუმს სამჯერ მეტი კოლექცია შეუმატა, შედარებით იმ კოლექციებთან, რომლებიც მუზეუმმა დააგროვა რევოლუციამდე 73 წლის მანძილზე. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ კოლექციების რიცხვის ზრდა ამაზედ არ შეჩერებულა. შარშან და მიმდინარე წელს ახლად შემოსული კოლექციების რაოდენობა ელვის სისწრაფით გაიზარდა: შემოვიდა და შემოდის მცხეთა-სამთავროს, ძველი ანაგის, წალკის არქეოლოგიური გათხრების კოლექციები. ქსნის, ლეჩხუმის, რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალები, ბოტანიკური ექსპედიციების ჰერბარიუმები და სხვა. კოლექციების რიცხვის ზრდის ასეთი ტემპები საქართველოს მუზეუმის ისტორიას არ ახსოვს. აშკარაა, რომ კოლექციების მძლავრმა ზრდამ მუზეუმისაგან მოითხოვა კოლექციების დაცვის, მოვლის, დეზინფექციის, მათი სისტემატიზაციისა და მეცნიერული დამუშავებისათვის მუშაობის გაძლიერებული ტემპი და ზრდასთან შეფარდებული მოქმედება. ამ მიმართულებით ჩვენ დეტალურად გავეცანით მუზეუმის მუშაობას.

ა) კოლექციების დაცვა მავნებლებისაგან

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამჟამად კოლექციების დაცვა მავნებლებისაგან მთლიანად მოგვარებული არ არის. კოლექციების

---

* შენიშვნა. საყურადღებოა ერთი ნაკლებცნობილი ფაქტი გ. ნიტაიას სამუზეუმო მუშაობის ისტორიიდან. „40-იანი წლებია, მე და სიმონს (ჯანაშია) დაგვავალეს მუზეუმის მუშაობის შესწავლა. ამ დროს მუზეუმი რამდენჯერმე გატეხეს. გადავწყვიტეთ მოულოდნელად თავს დავდგომოდით მუზეუმის დაცვას... ღამის 1 საათია. შევეყარეთ მე და სიმონი რუსთაველზე და წავედით მუზეუმში. დარაჯმა მიცნო და შეგვიშვა. შევედით და რას ვხედავთ, განყოფილების ყველა კარი ღია, დარაჯის ოთახში მიეუდებულია თოფი. არავითარი დაცვა. ამის საფუძველზე შეჭადგინეთ მოხსენებითი ბარათი და შემდეგ დაუნიშნეს მცველები მუზეუმს".

საქართველოს სახ. მუზეუმის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის აღსადგენად სრულად მოუყვეს აკად. ს. ჯანაშიას და გ. ნიტაიას ანგარიში საქართველოს სახ. მუზეუმის 1940-იანი წლების შემოწმების შედეგებზე. [თ. ც.]

ერთი ნაწილი, დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე მცხეთა-სამთავროს, წალკის, ძველი ანაგის არქეოლოგიური განათხარი მასალა ეუთებშია ნალაგებული და სარდაფში დევს, სადაც ყოვლად შეუძლებელია კოლექციებისათვის მინიმალური სამუზეუმო რეჟიმის დაცვა: გაშლა, დასუფთავება, რესტავრაცია, მავნებლების მოცილება, შესაფერისი ტემპერატურა და სხვა. დაცვის ნაცვლად ამ კოლექციებისათვის ისეთი პირობებია შექმნილი, რომ მათ აფუჭებს ნოტიო ჰაერი, სივიწროვე, სიბნელე, ჭუჭყი და სხვა.

მართალია, მუზეუმს აქვს სადეზინფექციო კამერა, რომელშიც ტარდება კოლექციების ის ნაწილი, რომელთაც თავი დააღწიეს სარდაფებს და ეუთებს, მაგრამ კოლექციების კამერაში გატარებას ახლავს ხელისშემშლელი გარემოება. სადეზინფექციო საშუალება, გოგირდნახშირბადი მუზეუმს არ ეძლევა, არამედ „მოამვე"-ს განკარგულებაშია. ეს დაწესებულება ანგარიშს არ უწევს მუზეუმის დაცვის მოთხოვნილებებს, საერთო შაბლონით ‘უდგება მათ და ამის გამო მუზეუმს ვერ უწევს ჯეროვან მომსახურებას.

საკმაოდ არანორმალურ პირობებში ტარდება აგრეთვე კოლექციების ნაკეთალინიზაცია და ეულანიზაცია. მუზეუმს არ ჰყავს ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები. უმეტეს შემთხვევაში ეს საქმე დარაჯების ხელშია.

ქიმიურ-სარესტავრაციო და საკონსერვაციო ლაბორატორია მუზეუმში ახლად დაარსებულია, ამჟამად ორგანიზაციის პერიოდში იმყოფება.

ბ) კოლექციების დაცვა გაქურდვა-გაძარცვისაგან

რაც შეეხება კოლექციების დაცვას გაქურდვა-გაძარცვისაგან, აქაც მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. მუზეუმი დღე-დამის განმავლობაში ერთი დარაჯის ამარაა მიტოვებული. აშკარაა, რომ ერთი კაცი ამოდენა შენობა, რომელიც ოთხ ქუჩაზე გამოდის – ვერ გასწვდება. კომისიის წევრებმა (ჯანაშია და ნიტაია) დამის სამ საათზე შეამოწმეს მუზეუმის დაცვა და აღმოჩნდა, რომ დაცვის საქმე პრიმიტიულ პირობებში იმყოფება: მუზეუმს არ ჰყავს შეიარაღებული მცველები, არ აქვს საგანგებო ტელეფონები, არ ჰყავს შინაგანი მორიგეები, არ აქვს შესაფერისი საკეტები. ზოგიერთ სეიფს არ ჰყავს პასუხისმგებელი პირები, არ აქვს ინსტრუქციები. ფანჯრებს არ აქვს რკინის ხლართები, კარებს – ურდულები. მუზეუმის ეზო დაუცველია ტექნიკუმისა და მასწავლებლის სახლის ეზოდან. შემთხვევა ყოფილა, რომ მუზეუმის ეკოლის სართულში ქურდები შემოსულან ტექნიკუმისა და მასწავლებლის სახლის ეზოდან.

მაგრამ არა მარტო მუზეუმის შენობის დაცვაა მოუწესრიგებელი – სუსტადაა მოგვარებული როგორც გამოსაფენი, ისე საფონდო კოლექციების ჭურჭლის დაცვის საქმე. ჭურჭელს უმეტეს შემთხვევაში სპეციალური საკეტები არ აქვს, ხოლო ჭურჭლის იმ ნაწილს, რომლებიც საკეტებიანია – ეს უკანასკნელი მეტად პრიმიტიული

სისტემისაა. გარდა ამისა, ექსპონატების ერთი ნაწილი მინით დაუფარავ ფარებზეა გამოფენილი, დაუმატეთ ამას ისიც რომ, საგანგებო დარბაზებს არ ჰყავთ საჭირო რაოდენობის მცველები (ორ დარბაზზე ~ ერთი კაცი) და ნათლად წარმოიდგენთ, თუ რამდენად მოუწესრიგებელია ეს მეტად სჭირო საქმე. მუზეუმში არაერთი შემთხვევა იყო, როცა პრიმიტიულად დაკეტილი ჭურჭლიდან და მინით დაუცველი ფარიდან მოუპარავთ ექსპონატები (მონეტები, დამბაჩა, ბებუთი, სატევარი).

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მუზეუმის კომენდანტი თავის თანამდებობისათვის მოუმზადებელი პირია და შეუფერებელი.

გ) კოლექციების დაცვა ცეცხლისაგან

ამ საკითხშიაც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. მუზეუმს არ ჰყავს მეხანძრეები. განათლების კომისარიატმა მუზეუმის შტატით გათვალისწინებული მეხანძრეები ამოშალა. ამის გარდა მუზეუმის ზოგიერთ განყოფილებაში არ არის წყალსადენის მილები (ეთნოგრაფია, გეოლოგია), არ დგას ცეცხლის საქრობი „ოლიაოები“, ელექტროგანათების გაყვანილობები არ აკმაყოფილებს ხანძრის საწინააღმდეგო მოთხოვნილებებს. მუზეუმს არა აქვს ცეცხლმიუკარებელი ჭურჭელი. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ მუზეუმში კერძო მობინადრეები ცხოვრობენ, რომელთა ნაოჭურები და პრიმუსები ხანძრის განჩენის კერებს წარმოადგენენ და საფრთხეს უქმნიან მუზეუმის უძვირფასეს კოლექციებს. თუ ამას დავსძენთ, აგრეთვე, რომ ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციების გვერდით და ქვემოთ მოთავსებულია ტექნიკუმი, ქიმიური კაბინეტით და სარძეო ლაბორატორიით, წარმოსადგენია თუ რამდენად დიდია ცეცხლის განჩენის საფრთხე მუზეუმში და რამდენად საგანგაშოა მდგომარეობა ამ მხრივ.

დ) საკოლექციო ჭურჭელი

ბინისა და საკოლექციო ჭურჭლის უქონლობის გამო მუზეუმის კოლექციების ერთი ნაწილი დღემდე ყუთებშია ჩაჭედილი ან აწყვია იატაკსა და თაროებზე. მათ ჭუჭყი ჭამს, მღრღნელი აფუჭებს, სივიწროვე აზიანებს. მაგრამ არც ის კოლექციებია კარგ ყოფაში, რომელთაც ბედმა არგუნა კარადებსა და ვიტრინებში მოთავსება. უმეტეს შემთხვევაში ეს კარადები და ვიტრინები სამუზეუმო ტექნიკის თვალსაზრისით მიუღებელია: მათში მოთავსებული კოლექციების დაცვა მტვრისაგან შეუძლებელია. ამ კარადებსა და ვიტრინებში შეუძლებელია ტემპერატურის რეგულიაცია, შუქის შეფარდება კოლექციებთან, თაროებისა და სადგარების აწევ-დაწევა და სხვა. საკოლექციო ჭურჭლის საჭიროება არსებობს მუზეუმის ყველა განყოფილებაში: იმ განყოფილებებშიც, სადაც კოლექციები შედარებით იშვიათად შემოდის და განსაკუთრებით კი იმ განყოფილებებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც უამრავი ახალი კოლექცია შეემატათ. უნდა ისიც ითქვას, რომ მუზეუმის დაკმაყოფილება საკოლექციო კარადებით მეტად საშური საქმეა, პირველ რიგში იმ კოლექციების მიმართ, რომელნიც ყუთებშია ჩაჭედილი და იატაკზე და თაროზე დევს. ამ ნაკლის გამოსწორება დაყოვნებას არ ითმენს.

ე) კოლექციების ინვენტარიზაცია-კატალოგიზაცია

მუზეუმში შექმნილი მდგომარეობის გამო (ბინის სივიწროვე, საკოლექციო ჭურჭლის უქონლობა) ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციის საქმე მოგვარებულია მხოლოდ ზოგიერთ განყოფილებაში, ისიც ნაწილობრივ. განყოფილებების უმრავლესობას ინვენტარიზაცია-კატალოგიზაცია მოწესრიგებული არ აქვს. მათ არ აქვთ უნიფიცირებული ინვენტარიზაცია, არ აქვთ დასაბეჭდად გამზადებული კატალოგი, კოლექციების ნუმერაცია სხვადასხვა სისტემითაა წარმოდგენილი, არ აქვთ დადგენილი საინვენტარო ტერმინოლოგია და სხვა. მხოლოდ ერთ-ორ განყოფილებას აქვს საკართოტეკო კატალოგი (ეთნოგრაფია, ისტორია). ზემოთქმულს დავსძენთ, რომ აწ უკვე გამომჟღავნებული მავნებელი დირექტორების განკარგულებით უვიცმა მუშაკებმა ზოგიერთ განყოფილებაში კოლექციებს მასიურად აგლიჯეს ეტიკეტები და მოწესრიგებული კოლექციები არევდარიეს. არც დირექციას აქვს დამუშავებული ზოგადი ინსტრუქცია ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციისათვის. ამის გამო დირექციაში აღრიცხული არ არის განყოფილებებში დაცული კოლექციები. არც ეტიკეტაჟის, ნუმერაციის სისტემის, დუბლეტების და სხვა საკითხია გამორკვეული. არ კეთდება ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციასთან დაკავშირებული ფოტოსურათები, ალბომები, მხოლოდ ნაწილობრივ არის კოლექციების რეგისტრაციის, მულაჟის და ესტამპაჟის საქმე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მუზეუმის ჩამორჩენილობა ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციის საქმეში ნაწილობრივ აიხსნება საკოლექციო ჭურჭლის უქონლობით. მართლაც, წესიერად წარმოებული ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია მოითხოვს თითოეული ნივთისა და კოლექციისათვის გარკვეული კარადის, თაროს, კუთხის ფიქსირებას, რაც თავის მხრივ გააადვილებს ნივთის მიკვლევას როგორც საკონტროლოდ, ისე დასამუშავებლად. ცხადია, თუ ეს მინიმუმი დაცული არ არის, ინვენტარიზაცია-კატალოგიზაცია მიზანს ვერ აღწევს. საკოლექციო ჭურჭლის უქონლობის გამო ზოგიერთ განყოფილებაში ისეთი მდგომარეობაა, რომ თიხის კუბოები წვრილმანი კოლექციების ჩასალაგებელ ყუთებადაა გამოყენებული.

კოლექციების სისტემატიზაცია

ზემოაღწერილი მდგომარეობის გამო, ცხადია, რომ კოლექციების სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია განყოფილებების შიგნით მოგვარებული ვერ იქნებოდა. მხოლოდ ბუნებისმეტყველურ დარგებს

აქვს ის ცოტა თუ ბევრად მოწესრიგებული, ხოლო – ჰუმანიტარული დარგებიდან ეთნოგრაფიულ განყოფილებას, ისიც ნაწილობრივ.

კოლექციების კონსოლიდაციისათვის

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ზოგიერთ განყოფილებას აქვს ნატარები მუშაობა კოლექციების შეგროვებაზე იმ მუზეუმებიდან და დაწესებულებებიდან, რომელთაც ჩვენი განყოფილებებისათვის შესაბამისი კოლექციები მოეპოვებათ. ასეთი მუშაობა ნაატარა ეთნოგრაფიულმა და ხელნაწერმა განყოფილებებმა. მაგრამ ეს მუშაობა უნდა გაგრძელდეს და საქ. მუზეუმის განყოფილებებში თავი უნდა მოეყაროს ასეთ კოლექციებს, იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს მათი დამუშავება და აცილებული იქნეს მუშაობაში პარალელიზმი. კერძოდ, კონსოლიდაცია უნდა მოხდეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების კოლექციების მიმართ, რომელთაც საქართველოს მუზეუმებიდან უნდა მიეცეს მათ მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებული მასალები.

აგრეთვე, მოსაგვარებელია კოლექციების გადაჯგუფების საკითხი მუზეუმის ზოგიერთ განყოფილებას შორის (ეთნოგრაფია და ისტორია).

გადაგზავნილი კოლექციებისათვის

დასასრულ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ განყოფილებას, რომელსაც დიდი ხანია გადაუგზავნია გამოსარკვევად თუ სანათესაოროდ კოლექციები სხვა დაწესებულებებისათვის – მათ დაბრუნებაზე დღემდე არ უზრუნია.

გამოფენები

მუზეუმში თავმოყრილი კოლექციების ერთი ორმოცდამეათედი თუ არის ამჟამად გამოფენილი. კოლექციების დიდი უმეტესობა დაკონსერვებულია და ფართო მასებისათვის მიუწვდომელი. ამავე დროს ფართო მასების მომსახურება გამოფენების სახით სამუზეუმო მუშაობის მთავარ ამოცანას და მის სპეციფიკას შეადგენს.

ამჟამად მუზეუმში შემდეგი გამოფენებია: ზოოლოგიური, შოთა რუსთაველის ეპოქის, იარაღების, სვანეთის, ხევსურეთისა და ქართული კოსტიუმის. უკვე დამთავრებულია საქართველოს მინერალური რესურსების გამოფენა, მაგრამ დღემდე გახსნილი არ არის.

რამდენადაც სწორად გაგებული სამუზეუმო ექსპოზიციის მოთხოვნილებაა კონკრეტულ-თვალსაჩინო მასალის ანალიზის, შერჩევის და განლაგების საფუძველზე – იდეის და ცნების „განვითარება“ და გამოხატვა სამუზეუმო კოლექციების ენით, ამ მოთხოვნილებას საქართველოს მუზეუმის გამოფენები დამაკმაყოფილებლად ასრულებს, ზოგიერთ შემთხვევაში კარადაც (ხელოვნების ძეგლების გამოფენა), გამოფენების ტექნიკა და მეთოდიკაც მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია. გამოფენების ნაკლად ის უნდა ნაითვალოს, რომ ისინი

ურთიერთან ორგანულად დაკავშირებული არ არიან, მათ მოკვეთილ-
იდეა და ღერძი არ გააჩნიათ. ამასთანავე, ერთი გამოფენა, რომ სისტემატიკურ-ბიოლოგიურ პრინციპზეა აგებული, მეორე და მესამე კულტურის ელემენტების გენეტიკურ საკითხებს სვამს. საგამოფენო დარგში მუზეუმის უახლოეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ქართული კულტურის წარმოშობისა და განვითარების პრობლემის ასახვა, მისი სამუზეუმო ენით რომ ვთქვათ, „განვითარება“.

უნდა ისიც ითქვას, რომ საქართველოს მუზეუმის გამოფენები მასებში პოპულარობით სარგებლობს, თუმცა გამოფენების მხრით მასების მომსახურეობა მეტწილად თვითდინებაზეა მიშვებული. მასების მომსახურებას არ აქვს სისტემატური გეგმაშეწონილი ხასიათი. ექსკურსიებთან დასამუშავებელი თემები მეტისმეტად ერთფეროვანია. უმთავრესი და ერთადერთი თემაა გამოფენების ზოგადი გაცნობა. თემები არ არის დიფერენცირებული, არ არის დიფერენცირებული მიდგომა მნახველთა კულტურულ დონესთან შეფარდებით, არ წარმოებს მნახველთა შესწავლა, არ არის გამოცემული გამოფენის მეგზურები. გარდა ამისა, ისეთი პოპულარული დიდტირაჟიანი გამოცემა, როგორიც არის „ეთნოგრაფიული ტიპები“ პირველ სერიაზე შეწყდა. არ ხრუნავს მუზეუმი თავისი გამოფენილი და გამოუფენელი კოლექციების გამოცემის ხალხში გასავრცელებლად.

გამოფენებთან დაკავშირებით ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ საჭიროა ექსკურსიის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო საგამოფენო ტექნიკაში მეტი ახალი ხერხის გამოყენება: მოძრავი დიაპოზიტივი, კინოდადგმულობა და სხვა. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების სისტემატიურ მომსახურებას. ამჟამად მუზეუმის ორგანიზებული მნახველი მხოლოდ წითელარმიელებისა და ტურისტების სახითაა წარმოდგენილი, სხვა ექსკურსიები შემთხვევით ხასიათს ატარებენ.

საველე მუშაობა

კოლექციების შეგროვებასა და გამოფენების მოწყობასთან უშუალოდ დაკავშირებულია მუზეუმის საველე მუშაობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ დარგში მუზეუმს უთუოდ დიდი წარმატებები აქვს. წარმოებს გაშლილი, ფართო ხასიათის საველე მუშაობა ისტორიის, ეთნოგრაფიის, ბოტანიკისა და ბიოლოგიის განყოფილებების მიერ, სხვა განყოფილებებიც მეტნაკლებად აწარმოებენ ამ ხასიათის მუშაობას (მაგ., ერმიტაჟი, ბოტანიკური ბაღი ლენინგრადში და სხვ.).

სამწუხაროდ, რამდენად ეფექტიანია მუზეუმის საველე მუშაობა თავისი შედეგებით, კოლექციების ხარისხისა და რაოდენობის ზრდის სახით, იმდენად საველე მუშაობის ანგარიშების სამეცნიერო საბჭოში მოსმენა და ბეჭდური სახით გამოცემა არ წარმოებს. საველე მუშაობა მარტოდმარტო კოლექციების შეძენით არ უნდა ამოიწურებოდეს,

არამედ უნდა დგებოდეს ჩატარებული საველე მუშაობის შესახებ წინასწარი ანგარიში და იბეჭდებოდეს კიდეც. მაგრამ ეს ნაკლი ახასიათებს მუზეუმს არა მარტო საველე მუშაობასთან დაკავშირებით, არამედ მთლიანად წლიური ანგარიშების მიმართაც. უკვე 9–10 წელიწადია მას უკან, რაც მუზეუმის მოქმედების წლიური ანგარიში არ დაბეჭდილა.

მუზეუმის საველე მუშაობის შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ მას მეტი გეგმიანობა და სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს. კერძოდ, საველე მუშაობისათვის გამოყენებული უნდა იყოს არა მარტო ზაფხულის პერიოდი, არამედ წლის ყველა დრო.

საველე მუშაობის ხაზით მოსაწესრიგებელია კიდევ ერთი საკითხი, სახელდობრ ის, რომ არქეოლოგიურ გათხრებს ჩვენში ყველა აწარმოებს, ვისაც კი მოესურვება. გამთხრელების უმრავლესობა ამ დარგში არსებულ კანონს არ იცავენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გათხრების უფლება ისეთ ორგანიზაციას აუღია (კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილება), რომელსაც სულ სხვა ამოცანები აქვს დაკისრებული.

დირექციის ინიციატივით მოგვარებულია საველე მუშაობის დროს გასაცემი დღიურების საკითხი. მოსაწესრიგებელია საველე მუშაობის დაფინანსების საქმე. შესაძენია საველე მუშაობისათვის საჭირო იარაღი და მოწყობილობა. ცალკეული მუშაკების საველე მუშაობას სჭირდება ადგილზე კონტროლი და კონსულტაცია.

კამერალური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

თუ კოლექციების დაგროვების დარგში მუზეუმს თვალსაჩინო მიღწევები აქვს – კოლექციების მეცნიერული დამუშავების მხრივ გაკეთებული მცირეა. იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებები მუზეუმში დაცულ ძვირფას კოლექციებს ამუშავებენ და ბეჭდავენ – მუზეუმის მუშაკები წვრილმან საკითხებს არკვევენ და მუზეუმის „მოამბის" სტატიებს ამზადებენ. უკვე დიდი ხანია რაც მუზეუმის შრომებისათვის არაფერია დამზადებული, არაა დამზადებული სხვა სერიული გამოცემებისათვის. თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ მუზეუმის განყოფილებებს დღემდე ხუთწლიანი თემატიკური გეგმა არ აქვს – გამაჯანსაღებელი ღონისძიებების აუცილებლობა ნათელი იქნება. დღემდე მუზეუმის სამეცნიერო პროდუქციას საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთული სამეცნიერო დაწესებულებები ამაოდ მოელიან.

გამომცემლობა

მუზეუმის მუშაობის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი გამომცემლობაა. წინათ მუზეუმის გამომცემლობა ერთ-ერთი საუკეთესო იყო თბილისში. ჰქონდა მას პოლიგრაფიული ბაზაც და საბეჭდავი მასალაც. მისი პროდუქცია სანიმუშო იყო. ახლა კი არსებითად მუზეუმს

გამომცემლობა არ აქვს. 1937–1938 წწ. მუზეუმის სიიდან გამომცემლობა ამოღებული იყო. წელს მან ეს უფლება დაიბრუნა, მაგრამ არც პოლიგრაფიული ბაზა აქვს და არც საბეჭდავი ქაღალდის ლიმიტი. ასეთი მდგომარეობა ყოველად დაუშვებელია. საჭიროა მოგვარდეს მუზეუმის „მოამბის“ რეგულარულად გამოშვება, განახლდეს მუზეუმის „შრომები“. დაარსდეს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სერია, დაიბეჭდოს მუზეუმის კატალოგები და სხვა.

საფონდო მომარაგება

ასევე ამოღებულია მუზეუმის საფონდო მომარაგებიდან ისეთი საგნები, როგორიცაა: ხე-ტყე – კარადების, ვიტრინებისა და საგამოფენო ჭურჭლისათვის, შუშა, ლურსმანი, წებო, ბერგმანის მილები და სხვა. განათლების კომისარიატის დახმარება ამ საქმეში სრულიად არ ჩანს. სამწუხარო ის არის, რომ განსახკომი მუზეუმის მომარაგებას ზემოთ დასახელებული საგნებით საჭიროდ არ თვლის. ამგვარი მასალის უქონლობის გამო მუზეუმის სახელოსნოები თვეობით უსაქმოდ დგას და ბრკოლდება სამუზეუმო საქმიანობა: დროზედ არ კეთდება გამოფენები, არ მზადდება საკოლექციო ჭურჭელი, დგას ელექტრო-დადგმულობა გამოფენებზე და სხვა.

კადრები

კადრების მხრივ მუზეუმში შემდეგი მდგომარეობაა: ძველი კვალიფიციური კადრი მუშაობას ვერ აუდის, ახალგაზრდობა არასაკმარისი რაოდენობით იზრდება. მუშაობის სირთულისა და მომზადებისათვის დიდი დროის საჭიროების გამო, მცირე ხელფასის პირობებში ახალგაზრდები ნაკლებად მოდიან. ამ ორი ჯგუფის გარდა მუზეუმის მეცნიერულ კადრებში არის აგრეთვე მესამე ჯგუფი, რომელიც ზრდისათვის და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის თავს არ იწუხებს, თავი სპეციალისტად მოაქვს და მუზეუმს არას არგია. უნდა ისიც ითქვას, რომ მუზეუმს არასოდეს არ უზრუნია მუზეუმის ღირსეული მუშაკებისათვის კვალიფიკაციის გასაფორმებლად. არაჯანსაღი თანამშრომლები მუზეუმის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ კადრებშიც მოიპოვებიან. ამ კადრების შერჩევით მიღება მუზეუმში არ წარმოებს. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან ზოგიერთი ვიგინდარაა (ღამის დარაჯი), ზოგიერთი – ნდობას მოკლებული (ბილეთების კონტროლიორი), ხოლო ზოგიერთი მუზეუმის ქონების მიმთვისებელი (დირექტორის მოადგილე). მეტად მძიმე მდგომარეობაა უმცროსი პერსონალის მხრივაც. დამლაგებლები, იმავე გამოფენებისა და განყოფილებების დარაჯები, რომელთაც კოლექციებთან აქვთ საქმე და პასუხისმგებელი არიან მათ დაცვაში – დღემუდამ იცვლებიან. ერთნი მიდიან სამსახურიდან და მეორენი მოდიან. არავითარ შერჩევას აქ ადგილი არ აქვს. მეტისმეტად მცირე ხელფასის პირობებში შერჩევის შესაძლებლობა მოცემული არ არის. სხვათა შორის, ეგრეთ წოდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსი პრეპარატორები, რომლებიც მეტად პასუხისმგებელ მუშაობას აწარმოებენ, მათ დაწინაურებაზე არ ზრუნავენ.

უნდა ითქვას, რომ მუზეუმი უდიდესი ლაბორატორიაა კვალიფიკაციის მისაღებად. ყოველი დონე უნდა ვიღოთ იმისათვის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა მივიზიდოთ და მოვამზადოთ. მუზეუმი გამოყენებული უნდა იქნეს ახალგაზრდა სტაჟიორების სკოლად, სადაც, სხვათა შორის, უნდა მომზადნენ მუზეუმის მუშაკები ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისათვისაც. კარგი შედეგები მოგვცა მუზეუმის ორ განყოფილებაში წარმოებულმა სემინარულმა მუშაობამ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს შორის (ისტორიის განყოფილება – ხელმძღვანელი აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, ეთნოგრაფიული განყოფილება – გ. ნიტაია). კარგად მუშაობენ დირექციის ინიციატივით შექმნილი წრეები რუსული და უცხო ენების შესასწავლად. საერთოდ მუზეუმის მუშაკების ზრდა და მუშაობა ისეთ პირობებში უნდა ჩავატაროთ, რომ ყოველ შემთხვევაში უმცროს მეცნიერ მუშაკებს აეკვეთოს შეთავსება.

ხ ე ლ ფ ა ს ი

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მუზეუმის არსებული კადრების შენარჩუნებისა და ახალი კადრების აღზრდისათვის აუცილებელი პირობაა მუზეუმის მუშაკების ხელფასის გადიდება. უნდა გაუდიდდეს ხელფასი როგორც მაღალ, ისე დაბალ პერსონალს. საერთოდ, მუზეუმში მუშაობა სხვა დაწესებულებებთან შედარებით მეტად მძიმეა: მუშაკს საქმე აქვს მომშხამველ ნივთიერებებთან, პასუხისმგებლობა დიდია და სხვა. ამავე დროს სხვა დაწესებულებებთან შედარებით ხელფასი მუზეუმში მეტად მცირეა. იმ მუზეუმებში, რომლებიც არ შედიან განათლების კომისარიატის უწყებაში, ხელფასი, უკვე კარგა ხანია, რაც გადიდებული აქვთ. ჩამორჩენილობა მარტოდმარტო განათლების კომისარიატების უწყების მუზეუმებშია დარჩენილი. საკავშირო მასშტაბით ამ მწვავე საკითხს დღემდე არაფერი ეშველა. თუმცა, ჩვენი ცნობით, ცალკეულ მუზეუმებში მდგომარეობა უკვე გამოსწორდა (ისტორიული მუზეუმი, სსრკ ხალხთა მუზეუმი). ეს საკითხი საქართველოს მუზეუმში იმდენად არანორმალურადაა დასმული, რომ, ერთი და იმავე თანამდებობის მუშაკები სხვადასხვა ხელფასს იღებენ... ახლად მიღებული უფრო მეტს (ასი მანეთით), ვიდრე ძველი სტაჟიანი მუშაკები. ასეთია ჩვენი განსახკომის საფინანსო განყოფილების განკარგულება: ახლად მიღებულს უნდა მიეცეს მეტი ხელფასი, ვიდრე ძველ მუშაკებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელფასის საკითხი უნდა მოგვარდეს დაუყოვნებლივ. საქართველოს ერთადერთი ცენტრალური მუზეუმის ხელფასი უნდა გაუთანასწორდეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი მუზეუმების მუშაკების ხელფასს. ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ შრომის პროდუქციის ზრდა მუზეუმში ნაწილობრივ ხელფასის გადიდებასთანაა დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა

საქართველოს მუზეუმის მუშაობის ნორმალურ პირობებში ნასაყენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბინის საკითხის გადაწყვეტას. ამჟამად, ბინის სიმცირის გამო მდგომარეობა მუზეუმში მეტისმეტად გამწვავებულია. უბინაობის გამო გაძნელებულია კოლექციების დაცვა, მათი მოვლა, დამუშავება და გამოფენა; უბინაობის გამო მუზეუმის ზრდის შესაძლებლობა დახშულია. ათეული წლების განმავლობაში მუზეუმის ფართობს არაფერი არ მომატებია. მუზეუმის შენობა ნავარაუდევი იყო მუზეუმის ზრდისათვის ოცი წლის მანძილზე, ისიც ნიკოლოზის რუსეთისათვის ნეული კუს ნაბიჯით ზრდისათვის. ამჟამად მუზეუმის ბინის ფართობი სრულიად არ უპასუხებს მუზეუმის გაზრდილ მოთხოვნილებებს. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ნეენში კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში ახალი შენობები მრავლად აიგო (უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, სკოლები), ხოლო მუზეუმების სახით ჯერჯერობით არც ერთი შენობა არ აგებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ბინის კრიზისის შესანელებლად საჭიროა მუზეუმს პირველ რიგში გადაეცეს მისი მეზობელი „ტექნიკუმის“ შენობა, ხოლო მეორე რიგში „შრომა და ტექნიკის სტამბის“ შენობა და „მასწავლებლის სახლი“ – ამავე მიზნით საჭიროა დაუყოვნებლივ გასახლებული იქნენ მუზეუმის შენობიდან კერძო მობინადრენი.

მუზეუმის ბიბლიოთეკა

ეოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ხელფასის, კადრების, ბინის, კოლექციების დაცვის, ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციის შესახებ, ამდენადვე თუ მეტად არა მუზეუმის ბიბლიოთეკაზე ითქმის. საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკა სსრკ-ში უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკად ითვლება ქართველოლოგიის და კავკასიის მცოდნეობის ლიტერატურის სიმდიდრის მიხედვით. ამჟამად ეს ლიტერატურა მოუვლელი და დაუმუშავებელია. კიდევ მეტი, ის არ არის ჯეროვანად გაწმენდილი. ამასთანავე უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მუზეუმის ბიბლიოთეკა საჭიროებს განტვირთვას იმ ლიტერატურიდან, რომელიც მუზეუმის ინტერესების თვალსაზრისით ზედმეტ ტვირთს წარმოადგენს.

მუზეუმის სტრუქტურა

ამჟამად მუზეუმში შემდეგი განყოფილებებია: გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული (ნუმიზმატიკური ქვეგანყოფილებით), ხელნაწერთა, ეთნოგრაფიული და ბიბლიოთეკა. დამხმარე დაწესებულებებშია კანცელარია, სადურგლო, სამულაჟო, ფოტოკაბინეტი. მოწყობის პროცესშია ქიმიურ-

სარესტავრაციო და სახეინკლო სახელოსნო. რამდენადაც საქართველოს მუზეუმის წინაშე მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალი ამოცანაა, სახელდობრ – ქართული კულტურის წარმოშობისა და განვითარების ექსპოზიციაში განსახიერება, მისი სტრუქტურა, ამ ამოცანებს უნდა შეესაბამებოდეს. ამის შესაბამისად მუზეუმის სტრუქტურაში შემდეგი ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი: ბოტანიკურ განყოფილებასთან უნდა დაარსდეს მოშინაურებული მცენარეების ქვეგანყოფილება და პალეობოტანიკური ქვეგანყოფილება, ზოოლოგიურ განყოფილებასთან – შინაური ცხოველების ქვეგანყოფილება და პალეოზოოლოგიური ქვეგანყოფილება, გეოლოგიურ განყოფილებასთან მინერალებისა და ლითონის საბადოების ქვეგანყოფილება. დაარსდეს ხელოვნების განყოფილება, ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება და წინაისტორიის ხანის არქეოლოგიური განყოფილება. აგრეთვე დაარსდეს საბჭოთა მშენებლობის განყოფილება, უკეთუ არ ეწყობა საქართველოს საბჭოთა მშენებლობის სპეციალური მუზეუმი საქართველოს სამუზეუმო ქსელში, ამგვარი მუზეუმის არსებობა საჭიროა, რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს არც „მრეწველობის მუზეუმი", არც „სოფლის მეურნეობის მუზეუმი", რაც საბჭოთა კავშირის ბევრ ცენტრში არსებობს. საბჭოთა მშენებლობის თემატიკა იმდენად დიდია, რომ ამ მიზნით საგანგებო მუზეუმის არსებობა მიზანშეწონილად უნდა იქნეს აღიარებული.

ზემოთ ნავარაუდევი მუზეუმის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ვარიანტების სახით. სახელდობრ, ორი განყოფილება: ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, ხოლო მესამე – დამხმარე დაწესებულებათა განყოფილება. ჰუმანიტარულ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება: პრეისტორიული არქეოლოგია, ისტორიული არქეოლოგია (სათანადო სექტორებით), ხელნაწერთა ქვეგანყოფილება, ხელოვნების ქვეგანყოფილება, ეთნოგრაფიის ქვეგანყოფილება და საბჭოთა მშენებლობის ქვეგანყოფილება. საბუნებისმეტყველო განყოფილება: გეოლოგიის ქვეგანყოფილება (სათანადო სექტორით), ზოოლოგიის ქვეგანყოფილება (სათანადო სექტორებით), ბოტანიკური ქვეგანყოფილება (სათანადო სექტორებით).

მ უ ზ ე უ მ ი ს ბ ი უ ჯ ე ტ ი

საქართველოს მუზეუმის ბიუჯეტი წელს გაიზარდა ორმოცდაათი პროცენტით. მაგრამ ეს გაზრდა მუზეუმის გაზრდილ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს. ამ ხაზით საჭიროა ახალი ღონისძიებები.

მ უ ზ ე უ მ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დღეს მოქმედი მუზეუმის დებულება არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მასში მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ არის მუზეუმის სტრუქტურა, ხოლო მუზეუმის პროფილი დაუზუსტებელია. საჭიროა ეს ნაკლი გამოსწორდეს. შედგეს ახალი დებულება, რომელშიც

მკვეთრად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მუზეუმის სტრუქტურა და გარკვეული მუზეუმის პროფილი. ამასთან დაკავშირებით მუზეუმის შინაგანაწესიც უნდა გადახალისდეს.

შრომის დისციპლინა და სოც. შეჯიბრი

დირექციას მიღწევად ჩაეთვალოს ის, რომ მან დროულად მიაქცია ყურადღება მუზეუმში დისციპლინის დაცვას და გაშალა შრომის სოციალისტური შეჯიბრება. მუზეუმი ახერბაიჯანის სახელმწიფო მუზეუმთან შეჯიბრებაში შარშან გამარჯვებული გამოვიდა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმები

ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მუზეუმის კიდევ ერთ მხარეს. ეს არის საქართველოს მუზეუმის მიერ გაწეული დახმარება მხარეთმცოდნეობის მუზეუმებზე.

საქართველოს სინამდვილეში მხარეთმცოდნეობის მუზეუმები (ხელმძღვანელობის მხრით) მიტოვებული უბანია. ჯერ კიდევ 1938 წელს მოწვეულმა მუზეუმების მუშაკების თათბირმა დასახა რიგი ღონისძიებებისა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოსაჯანსაღებლად. მაგრამ დრო გადის, ხოლო ხელმძღვანელი ორგანოების მიერ (განსაკუთრებით) არაფერი გაკეთებულა.

საქართველოს მუზეუმის დირექციამ (დირექტორი ჭანტურია) ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და იმ მიზნით რომ დახმარებოდა სამუზეუმო მშენებლობის ჩამორჩენას ამ დარგში, დირექციამ მუზეუმის სპეციალისტების მონაწილეობით დაიწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მუშაობის გამოკვლევა და სამეცნიერო მეთოდური კონსულტაციების ჩატარება. 7 თვის მანძილზე გამოკვლეული იყო 10 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შედგა გამოკვლევების შესახებ მოხსენებები, დამუშავდა ღონისძიებები ნაკლის გამოსასწორებლად. სპეციალისტების მიერ ადგილობრივად ჩატარებულმა კონსულტაციებმა ნაყოფი გამოიღო: მუზეუმები უშუალოდ დაუკავშირდნენ საქართველოს მუზეუმს, მის მუშაობას უშუალოდ გაეცნენ; მოკლე ხნის მანძილზე საქართველოს მუზეუმსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს შორის საქმიანი ურთიერთობა დამყარდა.

სხვათა შორის, საქართველოს მუზეუმის სპეციალურმა ბრიგადამ ყურადღება მიაქცია მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ყველაზედ უფრო მტკივნეულ საკითხს – მხარეთმცოდნეობის კადრების მომზადებას. მაშინვე გამომუშავდა პრაქტიკული ღონისძიებები საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების კადრების გადასამზადებლად და მოსამზადებლად; სათანადო მოხსენებითი ბარათი თავის დროზე გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატს, მაგრამ კომისარიატმა ამ საქმეს ყურადღება არ ათხოვა. ეს საშური საქმე დღესაც მოუგვარებელია, მიუხედავად კომისარიატის მხრივ ასეთი დამო-

კიდებულებისა ამ საქმისადმი, ცალკეული მხარეთმცოდნეობის მუზეუმები მაინც ახერხებენ საქართველოს მუზეუმში თანამშომლების მიელინებებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად (სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი). საქართველოს მუზეუმს არაერთი მადლობის ბარათი აქვს მიღებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმისაგან ამგვარი დახმარების გაწევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ორი-სამი თვეა მას უკან, რაც მუზეუმები გამოყვანილ იქნა უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამმართველოდან და დაუმორჩილა საკლუბო-საბიბლიოთეკო სამმართველოს. იმდენად, რამდენადაც მუზეუმები სამეცნიერო დაწესებულებაა (მასობრივ პოლიტსაგანმანათლებლო ფუნქციებითურთ), – კომისარიატის მიერ გადადგმული ნაბიჯი მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი აზრით, ამჟამად მუზეუმების რიცხვი საქართველოში იმდენად მრავალია, მათ ხელმძღვანელობასთან დიდი სამუშაოა დაკავშირებული. დროა ჩამორჩენილობის ამ უბანს ყურადღება მიექცეს. საჭიროა კომისარიატის კოლეგიასთან დაარსდეს სამუზეუმო სამმართველო, რომელიც ჯეროვნად წარმართავს მუზეუმების მუშაობას და გაატარებს მუზეუმთა-მშენებლობის დარგში სწორ გეზს. ამ ნაზით საქართველოს მუზეუმს, როგორც წამყვან მუზეუმს საქართველოს მუზეუმებს შორის შეუძლია სათანადო წვლილი შეიტანოს.

საქართველოს მუზეუმის ხელმძღვანელობა

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუზეუმის მეტად სწრაფი ზრდა, მუზეუმის მეტად გაზრდილი მოთხოვნილებები, რთული სამუშაო პირობები, მისი წამყვანი როლი საქართველოს მუზეუმებს შორის – მუზეუმის ხელმძღვანელობას მეტად პასუხსაგებ მუშაობას აკისრებს.

უნდა ითქვას, რომ მუზეუმის მუშაობას მისი ხელმძღვანელი აპარატი ვერ აუდის, უკვე ვერ ერევა. დღესდღეობით მუზეუმის ხელმძღვანელ აპარატში არსებითად ერთი მუშაკია, მუზეუმის დირექტორი, მისი თანაშემწე არ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, ხოლო მუზეუმის სწავლული მდივანი გადაყვანილ იქნა მუზეუმის დირექციასთან შეუთანხმებლად განსახკომის მიერ საკლუბო-საბიბლიოთეკო სამმართველოში. ამიტომ, ხშირია შემთხვევები, რომ ესა თუ ის საკითხი მუზეუმში ჯეროვნად არის დასმული, არის სათანადო ნაბიჯი გადადგმული, მაგრამ მის შესრულებას საშველი არ დაადგა. უმეტეს შემთხვევაში შესრულების შემოწმება არ ხდება და საქმე ნახევრად გაკეთებული რჩება.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მუზეუმის ხელმძღვანელი აპარატი, რომ ხელმძღვანელობა ჯეროვნად სიმაღლეზე იდგეს მუზეუმის ახალი ამოცანების წინაშე, საჭიროა მუზეუმის ახალ სტრუქტურასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფარდებით მუზეუმის დირექტორს ორი თანაშემწე მიეცეს: ერთი საბუნებისმეტყველო და მეორე – ჰუმანიტარულ დისციპლინებში. ნვენი აზრით, განახლებული და გაძლიერებული ხელმძღვანელობა პლუს მუზეუმის ახალი და ძველი კადრები, ზედმეტი ბალასტისაგან განტვირთული სათანადო სხვა დონისძიებებთან ერთად – გამოიყვანს მუზეუმს დღეანდელ მძიმე მდგომარეობიდან და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მესამე ხუთწლედის კულტურულ მშენებლობაში.

იმ მიზნით, რომ მუზეუმს მიეცეს ხრდისა და მუშაობისათვის ნორმალური პირობები, რომ მუზეუმმა შეძლოს შეასრულოს მასზედ კულტურულ მშენებლობის დარგში დაკისრებული მოვალეობები, საჭიროა:

1. მუზეუმის მუშაობის (კამერალური სამეცნიერო-კვლევითი, საველე და საექსპედიციო დარგები) ძირითად პრობლემად, დროის უახლოეს მონაკვეთში, დასახულ იქნეს „ქართული კულტურის წარმოშობა და მისი განვითარება“.

2. ამ პრობლემის დამუშავების შესაბამისად მუზეუმის სტრუქტურაში (იხ. დანართი მუზეუმის სტრუქტურის პროექტი) მოხდეს ცვლილებები. დამუშავდეს მუზეუმის დებულება.

3. მუზეუმისათვის ახლად დასახული პრობლემის შესაბამისად თანდათანობით გარდაიქმნას მუზეუმში ამჟამად არსებული გამოფენები, დამუშავდეს მუზეუმის მუშაობის ხუთწლიანი თემატიკური გეგმა.

4. მუზეუმს გაუდიდდეს შტატი და ბიუჯეტი.

5. გადაეცეს მუზეუმს მეზობელი ტექნიკუმის შენობა – პირველ რიგში, ხოლო, მეორე რიგში – „შრომა და ტექნიკა“, სტამბის შენობა და „მასწავლებლის სახლი“. მესამე ხუთწლედში აშენდეს მუზეუმის მთავარი შენობის სამხრეთის ფრთის გაგრძელება საგამოფენო დარბაზებით. აიგოს სახლი მუზეუმის მუშაკებისათვის ეკეში (40-ბინიანი).

6. დაუყოვნებლივ იქნენ გასახლებული მუზეუმის შენობიდან კერძო მობინადრენი, აგრეთვე, ტექნიკუმის შენობაში მცხოვრები პირები.

7. დაინიშნოს შეიარაღებული მცველები და გაღებულ იქნეს საჭირო თანხა მუზეუმის შენობის კარების, ფანჯრების, ეზოს, კარადების, ვიტრინების და სხვათა დაცვის მოსაწესრიგებლად.

8. მოეწყოს მუზეუმის სარდაფებში სათანადო სეიფები და შეძენილ იქნეს საჭირო რაოდენობის ცეცხლგამძლე ყუთები.

9. მიეცეს მუზეუმს უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს კოლექ-ციების დეზინფექცია – დეზინსექცია.

10. მიეცეს მუზეუმს მეხანძრეთა შტატი მინიმუმ 4 კაცის შემადგენლობით.

11. მოგვარდეს მუზეუმის შენობების გათბობის საქმე.

12. მოეწყოს ცეცხლის საშიშროებისაგან დაცული ელექტრო-გაყვანილობა.

13. მიეცეს მუზეუმს საჭირო თანხა საკოლექციო ჭურჭლის დასამზადებლად.

14. მიეცეს მუზეუმს საჭირო თანხა კოლექციებისა და საბიბლიოთეკო სრული კატალოგიზაცია – ინვენტარიზაციის ჩასატარებლად.

15. შეკვანილ იქნეს მუზეუმის საფონდო გეგმიან მომარაგებაში: ქაღალდი, ხეტყე, მინა, ფოტომასალა.

16. მუზეუმის გამომცემლობას მიეცეს პოლიგრაფიული ბაზა.

17. მუზეუმის ბიბლიოთეკაში ჩატარდეს სასწაფოდ წიგნების წმენდა. ბიბლიოთეკა გაიცხრილოს მუზეუმისათვის გამოუყენებელი წიგნებიდან.

18. მოგვარდეს მომსახურება გამოფენების მნახველებისა, თემატიკის გამდიდრებისა, მნახველთა ფენებისათვის შერჩეული ახსნისა და სხვათა გზით, გამოიცეს გამოფენების მეგზურები. მუზეუმმა იზრუნოს ექსკურსიების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

19. მოგვარდეს საველე მუშაობის სამეცნიერო ანგარიშგების საქმე და საველე მუშაობას მიეცეს გეგმიანი, სისტემატიური ხასიათი.

20. გაიცხრილოს მუზეუმის შტატი. გაფართოვდეს ახალი კადრების მომზადების საქმე. მუზეუმთან შეიქმნას სტაჟირების კურსები, სადაც მოემზადებიან როგორც საქართველოს მუზეუმის, ისე საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის კვალიფიციური მუშაკები. საქართველოს მუზეუმში მოისპოს უმცროსი მეცნიერი მუშაკების შეთავსება.

21. მუზეუმის მუშაკთა ხელფასი გაუთანაბრდეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი მუზეუმების მუშაკთა ხელფასს.

22. გარდაიქმნას და შეივსოს მუზეუმის ხელმძღვანელობა.

23. საქართველოს მუზეუმი კერძოდ, ხოლო საზოგადოდ ყველა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაუმორჩილდეს განათლების კომისარიატის კოლეგიასთან ახლად შექმნილ სამუზეუმო სამმართველოს.

24. გადაეცეს საქართველოს მუზეუმს სხვა მუზეუმებიდან და დაწესებულებებიდან, კოლექციების მეცნიერული დამუშავებისა და უკეთ დაცვის მიზნით, ის საგნები, რომლებიც საქართველოს მუზეუმის უშუალო სამუშაო ობიექტებია, ხოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს მიეცეს საქართველოს მუზეუმიდან მათ მუშაობასთან დაკავშირებული კოლექციები.

1940 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საანგარიშო-საჩვენებელი გამოფენა*

დღეს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში იხსნება პირველი საანგარიშო-საჩვენებელი გამოფენა და ამით მუზეუმი გამოდის მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-საგანმანათლებლო სამსახურის ფართო სარბიელზე. მუზეუმი, რომელიც დაარსდა ამხ. ა.ი. ლინეცკის ინიციატივით[1], თავისი დაარსების დღიდან 8-9 თვეს ითვლის. ამ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მან დიდი მუშაობა ჩაატარა: შექმნა საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ყოფის შესწავლის სამეცნიერო ბაზა, ჩაატარა დიდი კომპლექსური ექსპედიცია სტალინირისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, სადაც ცხოვრობენ ებრაელები და ექსპედიციის მასალების წინასწარი შედეგების დამუშავების საფუძველზე მოაწყო საანგარიშო-საჩვენებელი ექსპოზიცია.

გამოფენა მიზნად ისახავს გვიჩვენოს სტალინირის ებრაელთა ცხოვრება, კულტურა და ყოფა.

ქართველ ებრაელთა მასა – დაბეჩავებულ, დევნილ, დაბალ, გადაგვარების გზაზე მდგომ ტომად მიჩნეული – საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღორძინდა ახალი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის. მან განვლო გზა მეწვრილმანეობიდან სოციალიზმის შეგნებულ მშენებლამდე. უღარიბესი ებრაელობა კოოპერაციის მეშვეობით ჩაერთო სოციალისტურ წარმოებასა და საკოლმეურნეო მოძრაობაში. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული კულტურული მშენებლობის დარგშიც, რომელიც იძლევა კულტურის ზრდის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს. ძირშივე აღმოფხვრილია ეროვნულ–მისტიკური და მესიანურ–სიონისტური განწყობები და მთელი მასა პათოსითა და ენთუზიაზმით ჩაება ისტორიაში ჯერ არნახული სახოგადოების მშენებლობაში.

ებრაელთა საკითხი, რომელიც გაბატონებული კლასების სამარცხვინო ლაქა იყო ისტორიულ ეპოქათა მანძილზე, გადაიჭრა არა მარტო ქართველ ებრაელთა კერძო მაგალითზე, არამედ სსრკ-ს მასშტაბით ბირობიჯანის ებრაელთა ავტონომიური ოლქის შექმნის,

---

* შენიშვნა: გამოსვლა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თემატური გამოფენის „სტალინირის ებრაელთა ყოფა და კულტურა“ გახსნის დღეს 1934 წ., ივლისი(თ.ც.)

[1] ‘ეფრო მოგვიანებით გ. ჩიტაია იგონებდა: „30-იან წლებში, იმ დროს შინსახკომის პასუხისმგებელი მუშაკი იყო რუსი ებრაელი ა. ლინეცკი, იმის დახმარებით, სინაგოგაში, ნემი კონსულტაციით გაიხსნა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი, მუზეუმმა იარსება 18 წელი. გამოიცა რამდენიმე კრებული, ექსპონატებსაც თავს ვუფრიდით შესაძლებლობის ფარგლებში, შემდეგ ეს დიდებული საქმე დაიშალა. ალბად უკეე დროა ვიზრუნოთ მისი აღდგენისათვის. იხ. გ. ჩიტაია ნემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991, გვ. 80. [თ ც.]

უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიისა და ა.შ. მაგალითზე, როგორც ებრაული საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტისა და ებრაელთა მასების ნამდვილი განთავისუფლების მკაფიო მაჩვენებელი. წარსულს ჩაბარდა ებრაელთა დარბევები, გეტო და ნაგვრა. ამ მხრივ ამიერკავკასიაში პირველი ებრაული გამოფენა ფრიად მნიშვნელოვანია.

საქართველოს ებრაელთა სპეციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობის თვით ფაქტი მოწმობს ებრაელთა მასების კულტურული მოთხოვნილებების ზრდას, ზუსტად ისევე, როგორც ებრაელთა ცხოვრების, კულტურისა და ყოფის შესწავლის ფართო სამეცნიერო ბაზა მიუთითებს მუზეუმის შემოქმედებითი მუშაობის გაქანებაზე, რომლის მეცნიერ თანამშრომელთა უმეტესობა ქართველი ებრაელები არიან.

გამოფენა შედგება სამი განყოფილებისაგან: 1. შესავალი, 2. ძველი ყოფა და 3. საბჭოთა მშენებლობა.

შესავალ ნაწილში გამოფენა გვიჩვენებს ებრაელთა მოძრაობას და განსახლებას XVIII და XIX სს.-ში, კერძოდ, სტალინირის (ცხინვალის) მასობრივ დასახლებას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ XIX საუკუნეში და სტალინირის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სტალინირთან მდებარე მთის რაიონების მოსახლეობის რეზერვუარების შევსების წყალობით. აქვე ნაჩვენებია ებრაული მოსახლეობის საბატონო ბეგარის, ღალის, გამოსაღებისა და ბაჟის ფორმები ბატონყმობის პერიოდში (ულაქი, კულუხი, ჩელტეკი და სხვ.) მონაცემები უკავშირდება შუა საუკუნეებსა და უძველეს ისტორიას (ქვის ფილა ებრაული წარწერით ძვ. წ. III-II სს. მცხეთიდან), მეფის ბრძანებები ებრაელთა გადასახლების შესახებ ამიერკავკასიიდან (1827 წ.), ებრაელთა დასახლების აკრძალვა ბორჯომში (1853 წ.) და სხვ.

შესავალ ნაწილს მოჰყვება ყოფის განყოფილება. მასში ასახულია: სტალინირის ებრაელების განსახლება რევოლუციამდე, დიაგრამა აჩვენებს ებრაელობის ძირითად ფენებს, ამასთან ირკვევა, რომ ვაჭრებთან ერთად არსებობდა ებრაელთა მცირე ფენა, რომელიც ეწეოდა ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას. ვაჭრების დიფერენციაცია გვიჩვენებს, რომ არსებობდა მსხვილი ვაჭრების მცირე ნაწილი, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ტფილისთან, მოსკოვთან, კონსტანტინოპოლთან და სხვა საგაჭრო ცენტრებთან. მათზე დამოკიდებული იყვნენ ე.წ. ნოქრები, რომლებიც მეწვრილმანეობდნენ და კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ თავისივე მსხვილ-ვაჭარ ებრაელებთან. საინტერესოა თვით მეწვრილმანეების დაყოფა ფენებად: მათგან ერთნი საქონელს ხელით დაატარებდნენ, მეორენი სახედრებით, მესამენი ეზნებით. მოწმდება მეწვრილმანეობის მომთაბარე ხასიათი. ამასთან მეწვრილმანეთა საგაჭრო არეალის ამპლიტუდა აღწევდა აღმოსავლეთ საქართველოში ხევსურეთსა და ჭარ-ბელაქანს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში - სვანეთს. ამ მეტად საინტერესო გარემოებას აქვს დიდი პრინციპული მნიშვნელობა, მთიელებში გვაროვნული წყობის დაშლის ხანგრძლივ პროცესთან დაკავშირებით და მეტად სერიოზულ შეხსწავლას იმსახურებს. ნაჩვენებია გადაადგილებისა და ხელოსნობის საშუალებათა კომპლექსები. სპეციალური დიაგრამა გვიჩვენებს დარიბი ებრაელის საცხოვრებელს სოციალურ და ისტორიულ პლანში. საცხოვრებლის ტიპებს უკავშირდება აქ ნაჩვენები დაბალი, საშუალო და მაღალი ფენების ტანსაცმლის ნიმუშები, მიწათმოქმედებისა და სარძევე მეურნეობის კომპლექსები, რაც მიუთითებს ებრაელთა გარკვეული ნაწილის შეგუებას ფიზიკურ შრომასთან. საერთოდ, სტალინირის ებრაელთა მატერიალური კულტურა მოწმობს მათზე გარემოს განსაკუთრებულ ზეგავლენას.

შემდეგი კომპლექსები გვიჩვენებენ რელიგიას. აქ გამოვლენილია ფაქტები, რომლებიც თავისი ისტორიული სიძველით უკავშირდებიან ადრინდელი იუდაიზმის ეპოქას, გამოვლენილია რელიგიური სინკრეტიზმის მაჩვენებლები, ასახულია ქართველ ებრაელთა კავშირი პალესტინის, მესოპოტამიის, დასავლეთისა და სხვა რელიგიურ ცენტრებთან. ნაჩვენებია რელიგიური აღზრდა ხედერში. სპეციალური დიაგრამები მიუთითებს მორწმუნე ებრაელის წლიურ ხარჯებზე, რაც აუცილებელი იყო რელიგიურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (ხახამების შენახვა და სხვ.) და რელიგიური რიტუალების შესასრულებლად საჭირო დროის წლიურ ბიუჯეტს (შახრიტი, მინჯა, კარბიტი და ა.შ.).

გამოფენის მესამე განყოფილებაში წარმოჩენილია ებრაელების მიღწევები თანამედროვე პერიოდში. გამოვლენილია წარმოებაში გადასვლის ძირითადი გზები, ასახულია წარმოებაში დაკავებულთა რიცხვის ზრდა, შრომის ნაყოფიერების ზრდის მონაცემები, კაპიტალდაბანდების, საქონელბრუნვის, კოლმეურნეობათა რიცხვის ზრდა; ასახულია აგრეთვე კოლმეურნეთა შრომის, შრომადღეებისა და შეძლებული ცხოვრების ფაქტები. ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით დიაგრამა გვიჩვენებს ებრაელთა ძირითადი დაავადების მათ პროფესიასთან დაკავშირებული ნევრასთენიის შემცირებას. სახალხო განათლების კუთხით ასახულია წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდა და მოზარდთა სკოლებით უზრუნველყოფა. ნაჩვენებია მილიონობით კაპიტალდაბანდებანი დარიბი ებრა-ელებისათვის ახალი საცხოვრებლების მშენებლობისათვის სტალინირში და ა.შ.

გამოფენა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობისა და კულტურული მიღწევების ეს ზრდა იზოლირებულად როდი მიმდინარეობს, ებრაელთა ნაკეტილ წრეში, არამედ სხვა ეროვნებათა - ქართველთა, ოსთა, სომეხთა და სხვათა მხარდამხარ.

გამოფენა მთლიანობაში თვალნათლივ ასახავს ებრაელთა კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას.

გამოფენის მომზადებაზე მუშაობდნენ დოკ. გ.ს. ჩიტაია[2], მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლები - ა. კრიხელი, ი. პაპისმედოვი, მ. მამისთვალოვი, ლ. ელიგულაშვილი, ნ. ჯავახიშვილი და ა. პატარაკაციშვილი.

1934 წ.

---

[2] შენიშვნა: გ. ჩიტაიას ფართო სამუზეუმო საქმიანობაში ნაკლებადცნობილია მისი დამსახურება საქართველოს ებრაელთა მუზეუმის დაარსების საქმეში.

ებრაელთა მუზეუმი თბილისში დაარსდა 1933 წლის 5 ნოემბერს. ტერიტორიულად იგი მდებარეობდა I მაისის ქუჩაზე არსებულ ებრაელთა კულტბაზის შენობაში. 1940 წლიდან – ივანიძის ქუჩაზე არსებულ ყოფილი სინაგოგას შენობაში. მუზეუმთან თანამშრომლობისათვის მოწვეულ იქნენ ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, შ. ჩხეტია, ს. იორდანიშვილი, შ. ამირანაშვილი, ლ. მელიქსედბეგი. მათი ენერგიული და კვალიფიციური დახმარების შედეგად მუზეუმში აღიზარდა ახალგაზრდა ნიჭიერ მუშაკთა მთელი ჯგუფი, რომელთაც ფართოდ გაშალეს საექსპედიციო მუშაობა საქართველოს მასშტაბით. წინამდებარე წერილი სწორედ ასეთი პირველი საექსპედიციო მუშაობის შედეგებს ეხება რომლის ბაზაზეც გაიხსნა „სტალინირის ებრაელთა ყოფითი კულტურის“ ამსახველი ექსპოზიცია.

სამი წლის მანძილზე (1933-1936 წ.წ.) შეგროვილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლა -დამუშავებისა და შეგროვების შემდეგ 1937წ. მოეწყო სტაციონარული ექსპოზიცია თემაზე: „საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა“. ამავე დროს მიმდინარეობდა ახალი სამუზეუმო კადრების მომზადება. მუზეუმთან ნამოყალიბებული იქნა სპეციალური კურსები, სადაც ლექციებს კითხულობდნენ ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში პროფ. ალ. წერეთელი, საქართველოს ისტორიაში პროფ. ნ. ბერძენიშვილი, ზოგად ენათმეცნიერებაში პროფ. კ. დონდუა, ანთროპოლოგიაში პროფ. გ. ჯავახიშვილი, ზოგად ეთნოგრაფიასა და მუზეუმმცოდნეობაში დოკ. გ. ჩიტაია, ძველ ებრაელში - პროფ. გ. წერეთელი, რუსულ ენაში – დ. მელაძე. ილია პაპისმედოვი, ამ კურსების ერთ-ერთი მსმენელი, მოგვიანებით თავის წიგნში გულთბილად იხსენებს ამ მეცნიერებთან გატარებულ სწავლის პერიოდს და განსაკუთრებით სითბოთი საუბრობს გ. ჩიტაიაზე. „დიდი ინტერესით ვისმენდით სათნოებით აღსავსე მეცნიერისა და ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას მაპროფილებელ ლექციებს მუზეუმმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის დარგში. მისი ლექციების ციკლში პირადად ნემოვის ახალი და უცნობი სამყარო იშლებოდა. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით თეორიულ ცოდნასთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვიძენდით პრაქტიკული მუშაობის ნვევებს: ექსპონატებისა და დოკუმენტების აღრიცხვა, აღწერა, დაცვა, დაკომპლექტება, ექსპოზიციის მომზადება-მოწყობის მეთოდები და სხვა.

ამ პერიოდში ეწყობოდა გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით კომპლექსური ექსპედიციები საქართველოს ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში: ცხინვალში, ახალციხეში, ქარელში, კულაშში, სურამში და ა.შ. სადაც ვეცნობოდით ებრაელთა წარსულს და თანამდროვე ყოფას, სულიერ კულტურას“ (იხ. შ. წიწუაშვილი, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი).

მადლობას მოვახსენებ დ. ბაბოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს, ბ-ნ შ. წიწუაშვილს, საარქივო მასალებითა და ხელნაწერებით სარგებლობისათვის [თ.ც.]

IV თავი

ეთნოგრაფიული მუზეუმი დია ციის ქვეშ

დია ციის ქვეშ მუზეუმი თბილისში

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის პროცესმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, როდესაც სწრაფი ტემპით ირღვეოდა და ისპობოდა ძველი, ტრადიციული ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვა საყოფაცხოვრებო ფასეულობანი, დაისვა საკითხი მათი გადარჩენისა და დაცვის შესახებ. ამან წარმოშვა სამუზეუმო მშენებლობის ახალი სახეობა – დია ციისქვეშა მუზეუმი. თავდაპირველად ამ სახის მუზეუმი ნორვეგიასა და შვეიცარიაში ჩაისახა და თანდათან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, მაგრამ პირველ ხანებში და მას შემდეგაც იგრძნობოდა, რომ ახალი ტიპის მუზეუმის სტრუქტურა და შინაარსი ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, გარკვეული და მტკიცედ დადგენილი.

გ. ჩიტაია დია ციის ქვეშ მუზეუმში

XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ამ პრობლემას ყურადღება მიაქცია საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოს კონფერენციამ (УКОМ) რომელმაც გამოიმუშავა დეკლარაცია და შეეცადა დაეზუსტებინა ამ ტიპის მუზეუმის მიზანი და ამოცანები. შემდეგში ეს განსაზღვრება მცირე შესწორებით გაიზიარა 1973 წელს დია ციის ქვეშა მუზეუმების მუშაკების შეკრებამ.[1]

იმის გამო, რომ განსაზღვრების შესწორების შემდეგაც მასში არ არის გათვალისწინებული თუნდაც ისტორიზმი, იგი დაზუსტებას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, დია ციისქვეშა მუზეუმების მიზანი და ამოცანები უნდა დაზუსტდეს ასე:

ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას განეკუთვნებიან; ისინი კულტურის ისტორიის

[1] A. Zippeliu, Handbuch der europaischen Freilichtmuseen, Köln, 1974, გვ.74. შენიშვნა: ნაბატებულია ავტორის მიერ 80-იან წლებში. [თ.ც.]

განუყრელი ნაწილია და მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა ყოველად აუცილებელია. ისინი ამჟღავნებენ ურთიერთობას ადამიანსა და ბუნებას შორის, პირდაპირ კავშირში არიან გარემომცველ ბუნებასთან, ავლენენ ხალხის ცხოვრების იერს და სათანადოდ გამოხატავენ საზოგადოების ყოფასა და კულტურას დროის გარკვეულ მონაკვეთში. მათი დაცვა ისტორიის ნაწილის დოკუმენტაციაა. ისინი შეიცავენ ხშირად ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხსნელ სამეცნიერო ინფორმაციას.

ღია ცის ქვეშა მუზეუმების ამოცანას შეადგენს შეარჩიოს ხალხური ხეროთმოძღვრების ტიპური და საუკეთესო ცალკეული ნიმუშები და ანსამბლები მათი ანტურაჟითურთ, გადმოიტანოს მათთვის გათვალისწინებულ სათანადო ადგილზე. ხელახლა ააგოს და შესაფერისი ინტერიერ–ექსტერიერის მოწყობილობით მორთოს.

ასეთ ძეგლებს განეკუთვნებიან საცხოვრებელი, სამეურნეო, საზოგადოებრივი, საკულტო ნაგებობანი, სახელოსნოები და მათი კომპლექსები. ისინი შექმნილია უშუალო მწარმოებელთა მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული გამოცდილების, დაკვირვებისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა განზოგადების ნიადაგზე. ასეთ ძეგლებში ჩაქსოვილია ხალხის სული და გული, მისი აზრი და გრძნობა, მისი ოსტატობა. ისინი გვიხიბლავენ ცხოვრებისეული სიმართლით.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხალხური ხეროთმოძღვრების ძეგლების დაცვაზე, ვგულისხმობთ არა პასიურ, არამედ აქტიურ დაცვას; ღია ცის ქვეშა მუზეუმები უნდა იყოს არა მარტო საცავი ისტორიულ –ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლებისა და მათი ინტერიერ-ექსტერიერისა, არამედ ამავე დროს სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც, სიძველეები ჩვენი უნდა დავიცვათ, არა მარტო როგორც ხელოვნების ძეგლები, არამედ როგორც ძველი დროის ცხოვრებისა და ყოფის ნიმუშები, სადაც უნდა მოდიოდეს მნახველები.

კულტურის ფასეულობათა საცავები უნდა გადაიქცეს საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებად და ადამიანთა აღზრდის წყაროდ.

მაგრამ საკითხავი ისაა თუ რა პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული ცის ქვეშა მუზეუმი და რა წინამძღვრები უნდა დაედოს საფუძვლად მის აშენებას.

ღია ცისქვეშა მუზეუმები შეიძლება იყოს ლოკალური, რაიონული და ცენტრალური.

ცხადია, ყველაზე მეტად ისეთი მუზეუმი უნდა იყოს სასურველი, როდესაც ძეგლი თუ ძეგლები ადგილზეა დაცული, სადაც ისინი თავიდანვე დაარსებულან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს მეტისმეტად გაძნელებულია და ძნელად ხორციელდება. ამას მრავალი მიზეზი აბრკოლებს. ადგილზე დაცვა და მოვლა-პატრონობა მეტისმეტად ჭირს. გარდა ამისა ადგილზე დასაცავი ობიექტები მოკლებულია სისტემატიზაციას და შედარება-ტიპიზაციას. ჩვეულებრივ ასეთ ცოცხალ მუზეუმთან გადააქვთ სხვა მხარის ძეგლები და ამგვარად იქმნება ღია ცის ქვეშა მუზეუმი გადატანილი ექსპონატებით. ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერთა ჯგუფი დია ცის ქვეშ მუზეუმში.
მარცხნიდან: ი. კაჭარავა, კ. ნოლოეაშვილი, რ. მეტრეველი, ი. ჭყონია, ანდ. ოფაქიძე, ი. აბაშიძე, გ. ნიტაია, მ. დუმბაძე, ლ. სუმბაძე და სხვები

მუზეუმებად ჩაითვლება ისეთი დახახლებული პუნქტები, რომლებიც მთლიანად მუზეუმ–ნაკრძალად არიან გამოცხადებული. ამის მაგალითია სოფ. კიეი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საქართველოში სოფ. შატილი.

მეორე ტიპია რაიონული დია ცის ქვეშა მუზეუმები. ამ ტიპის მუზეუმები უპირატესად ეწეობა რაიონული მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან, სადაც გამოყოფილია სათანადო მიწის ფართობი და აქ არის გადმოტანილი ის ნაგებობები, რომლებიც რაიონის ფარგლებში მოიპოვებიან. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მუზეუმებში მკაცრი მეცნიერული მოთხოვნილებები არ არის დაცული, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ საქმეს აკლია კვალიფიციური მუშაკები.

ცენტრალური მუზეუმის ტიპად ითვლება ის დია ცის ქვეშა მუზეუმი, სადაც ერთს სათანადოდ შერჩეულ ადგილზე გადმოტანილია და აღდგენილია სათანადო ქვეყნის ექსპონატები.

ამგვარი მუზეუმის მოცულობას ქვეყნის მხოლოდ გეოგრაფიული სახლვარი არ განსაზღვრავს, არამედ მის შიგნით არსებული, მკვეთრად ჩამოყალიბებული ლანდშაფტურ-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული ზონები.

ცენტრალურ დია ცისქვეშა მუზეუმებს სხვა ტიპის მუზეუმებთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნიათ, რომ იქ დამთვალიერებელს შედარების შესაძლებლობა აქვს, რაც საშუალებას იძლევა ღრმად ნაწვდეს ობიექტებს და ერთდროულად ძველისა და ახლის უშუალო დაპირისპირების თვალთახედვით აღიქვას იგი მთლიანობაში; ჩასწვდეს დროის სიღრმეს, ეხმარება სწორად შეაფასოს თანამედროვე ადამიანის დღევანდელი დღის მიღწევები. ასეთ მუზეუმებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დაიცვან და მოუარონ სამუზეუმო ძეგლებსა და მათ ანტურაჟს.

არსებობს მუზეუმების ტიპებად დაყოფის სხვაგვარი პრინციპი. იმის მიხედვით, ადგილზე in situ არის შექმნილი, გადმოტანილი თუ რეკონსტრუირებული. ან კიდევ ისეთი ტიპის მუზეუმები, რომლებშიც ნაგებობები ტიპების მიხედვით არიან განლაგებული. მაგრამ ამ

ტიპების დახასიათებას ჩვენ არ გამოვეკიდებით. რაკი ყველაზე უფრო მაინცდამაინც ცენტრალური ღია ცისქვეშა მუზეუმია მიღებული, ჩვენ ასეთი მუზეუმის ორგანიზაციის პრინციპებსა და მეთოდებს შეეხებით.

ცენტრალურ მუზეუმში უნდა აისახოს ნებისმიერი ქვეყნის საცხოვრებელი, სამეურნეო, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, სახელოსნოები, გზები, ხიდები და სხვა, მათი ინტერიერითა და ექსტერიერით. ამიტომ აუცილებელი პირობაა, რომ თითოეული ნაგებობა და მათი ანსამბლი წარმოდგენილი იყოს მათთვის დამახასიათებელ გარემოცვაში, შესაფერის ლანდშაფტში. ეს გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის დამახასიათებელ ბუნებრივ–სამეურნეო არეებს. ამავე დროს ეს ძეგლები მთლიანობაში უნდა იყოს თვალსაჩინო. აქ, ვითარცა ფოკუსში უნდა იქნეს წარმოჩენილი ხალხური ყოფის, მეურნეობის წარმოების და სულიერი ცხოვრების იერი. ხედვის ეს ერთობლიობა ამაღლებს დამთვალიერებლის შეგრძნებას, მისაწვდომს ხდის იმას, თუ რამდენად ოპტიმალურად მიუგნია ხალხს ხელსაყრელი შედეგისათვის.

ღია ცისქვეშა მუზეუმის ორგანიზაციის პირველი, მთავარი პირობაა, რომ წინასწარ ღრმად და მასშტაბურად შესწავლილ იქნეს ის მხარე, რომლის წარმოჩენაა მუზეუმში დასახული. ეს აუცილებელი პირობა ვარაუდობს, რომ შესწავლის საფუძველზე დადგენილ და გარკვეულ იქნეს ბუნებრივ–ეკონომიკური არეები, აგრეთვე მიკრო და მაკრორაიონები, დადგენილ იქნას დასახლების ხღვარი ზღვის დონიდან, ბუნებრივი ლანდშაფტების სახეები, დასახლების ფორმები, ნაგებობათა ტიპები.

ამგვარი ცოდნა ხელს შეუწყობს მუზეუმისათვის ისეთი ტერიტორიის შერჩევას, რომელიც მეტ-ნაკლებად უპასუხებს ქვეყნის ბუნებრივ მდგომარეობას და კულტურულ-ისტორიულ არეებს.

მაგალითად, იმისათვის, რომ შეირჩეს საქართველოსათვის შესაფერისი სამუზეუმო ადგილი, უნდა გათვალისწინებულ იქნეს ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ვერტიკალური ზონალობა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხეობებით დასერილობა. აქ დასახლებული პუნქტების ამპლიტუდა მერყეობს 10-2250 მ. შორის. ცხადია ასეთ მუზეუმში ექსპონატების ჰორიზონტალურ სიბრტყეზე დადგმა დაუშვებელია. ამისათვის საჭიროა შეირჩეს ისეთი ტერიტორია, რომელიც ვერტიკალურ სიმაღლეებშია მოცემული და ტერასირებული.

მეორეს მხრივ, ტერიტორიის შიგნით დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის მიკრო–მაკრო რაიონებს, რათა ძეგლები სათანადო სისტემის მიხედვით განლაგდეს. როდესაც ღიაა ცის ქვეშა მუზეუმის აგების ეს წინასწაროობა დარღვეულია, იქმნება იმის საშიშროება, რომ მუზეუმი უსისტემო და ქაოტურ სახეს მიიღებს. სიცხადისათვის მაგალითს მივმართავთ, საქართველოში ნაირი სახის დასერილი რელიეფის შესაბამისად ხალხურ ხეროებს გადაწყვეტილი

აქვთ საინჟინრო დაგეგმარების რთული ამოცანები, ნაგებობები შერწმულია ბუნებრივ პირობებთან, მიმზიდველ ლანდშაფტში. ამგვარი ლანდშაფტები მეცნიერული სიზუსტით უნდა იყოს ასახული მუზეუმში. სპეციალურის მიხედვით, ცხადია, რომ ცენტრალური ღია ცის ქვეშა მუზეუმი შესაფერის ვერტიკალურ ზონებად დაყოფილ ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას, ლანდშაფტისა და ბუნებრივ-სამეურნეო ტიპების მიხედვით.

ეს არის პირველი და აუცილებელი პირობა, რომელსაც ჩვენ ასეთ მუზეუმს ვუყენებთ.

მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური მუზეუმი უნდა ასახავდეს ქვეყანას თავისი ისტორიული პროვინციების ჩათვლით. ამავე დროს, ქვეყანაში შემავალი ეროვნული უმცირესობებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი ცალკე ზონები. ცენტრალური მუზეუმის არსებობა არ გამორიცხავს ღია ცის ქვეშა ნაკრძალების და რაიონული თუ სოფლური ღია ცისქვეშა მუზეუმების მოწყობას.

მესამე პირობა: საჭიროა რომ ექსპონირებული საგნები ისტორიულ ნარჩოებში იყოს ჩაყენებული და სათანადოდ დათარიღებული. დროისა და ადგილის მინიშნება მოეთხოვება ყოველგვარი ისტორიული მოვლენის ნვენებას, ჩვენს შემთხვევაში ექსპონირებულ ნაგებობებსა თუ მათ თანმხლებ ობიექტებს.

მეოთხე. სამუზეუმო ობიექტების ორიგინალებისა თუ მათი პირების საკითხი ექსპონირებისათვის პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მაკეტის თუ პირის გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

მეხუთე. გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმელი ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის დაშლა ნაწილებად და ჩამოტანა, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისეთივე ეფექტს იძლეოდეს, როგორიც ეს იყო მისთვის (ძეგლისთვის) ბუნებრივ ადგილზე დამახასიათებელი.

მეექვსე პირობა: არ არის გამორიცხული, რომ ღია ცის ქვეშ მუზეუმში ექსპონირებულ სამეურნეო სარეწაო ნაგებობებში ცხოვრობდნენ. ხელოსნები, რომელნიც შეიძლება ამზადებდნენ ხალხური ხელსაქმის ნიმუშებს მნახველთა შორის გასავრცელებლად. მაგალითად ხალხური კერამიკის ჭურჭელს, მჭედლობის ნიმუშებს, ხისკვეთილობას, ლითონის სამკაულებს და სხვა, ოღონდ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ამას თეატრალიზაციის ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

მეშვიდე პირობა: ღია ცისქვეშა მუზეუმები ეწყობა, რათა ხალხური არქიტექტურული ძეგლები განადგურებისაგან დაიცვან და მომავალ თაობას შემოუნახონ. ნაგებობანი, რომელთაც მუზეუმი იცავს, შეიძლება წარმოშობილი იყოს სოფლად ან ქალაქად. ისინი შესაძლებელია საერო ან რელიგიურ, კერძო ან საზოგადოებრივ ხასიათს

ატარებდნენ. ღია ცის ქვეშა მუზეუმის მფლობელობაში შესულები ყველა ნაგებობა უნდა იყოს აღჭურვილი შინაგანი მოწყობილობით (ავეჯი, საოჯახო ჭურჭელი, იარაღები)

მერვე პირობა: უნდა გვახსოვდეს, რომ არქიტექტურული ძეგლების ისტორიული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობა მრავალი ცალკეული ელემენტისაგან შედგება: სამშენებლო მასალა, შენობის ტექნიკა, კონსტრუქცია (საძირკველიდან სახურავამდე) შიდა ფართობის დანაწილება, ბინაში ავეჯის განლაგება, დამხმარე სათავსოები, სათავსოების შინაგანი მოწყობა.

ყველი ნივთი, ყოველი საგანი უნდა იდგეს თავის ადგილზე. ყველაფერი ეს სისტემურად განლაგებული ქმნის მთლიანობას და ამგვარად, ყოველი ცალკეული ნაგებობა ასახავს მის მიერ წარმოდგენილი ცხოვრებისა და სამურნეო ერთიანობის მიკროკოსმოსს. ამას დაერთვის გეოგრაფიული, სოციალური და ქრონოლოგიური მახშტაბები.

მეცხრე პირობა: რიგი სიძნელეები ისახება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ქვიტკირის ან მშრალ ნაგებობებთან, მაგრამ ეს სიძნელეებიც უნდა იქნეს დაძლეული თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით. მაგალითად როდესაც გადმოსატანია ქვითკირით ნაგები კოშკი უნდა მოხერხდეს ელექტრონის ხერხის შემწეობით მისი ბლოკებად დახერხვა და ცალკე ბლოკების სახით გადმოტანა მუზეუმში. ნაგებობის მშრალი წყობის დროს დაშლა და აგება უნდა მოხდეს ხალხური აგების წესის დაცვით. აქ, ისევე, როგორც ხის ნაგებობის დაშლის დროს, უნდა იქნეს ზედმიწევნით დაცული დაშლის პროცესის ზუსტი მეცნიერული ფიქსაცია (გაზომვა, ფოტო და კინოფიქსაცია, ხის ნაგებობების დაშლის დროს უნდა გამოყენებული იქნეს დახარისხების კარბონული მეთოდი).

მეათე პირობა: განსაკუთრებით მზრუნველობას მოითხოვს ხის მასალის დაცვა, რისთვისაც საჭიროა ქიმიური მეთოდების გამოყენება და ამისათვის საჭირო ლაბორატორიის შექმნა მუზეუმთან. ამასთანავე მუზეუმის (კეთილმოწყობაზე) ზრუნვა მოითხოვს ისეთ ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც არ დაარღვევენ მუზეუმის ერთობლიობის სურათს და არ იქნება ხორცმეტი მუზეუმის სტრუქტურაში.

ზემოთ დასახელებული, ღია ცისქვეშა მუზეუმისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს თუ მაღალ ღონეზე დაყენებული მეცნიერული კვლევა-ძიება და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების საქმე უზრუნველყოფილია.

დასასრულ, ეს დიდი ფრიად პასუხსაგები საშვილიშვილო საქმე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ერთობლივი დაინტერესება, ერთობლივი ხელის შეწყობა და ფართო საზოგადოებრივობის მხრივ დახმარება.

1955 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით თბილისში ეწყობა მუზეუმი დია ცის ქვეშ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ამ მუზეუმისათვის გამოყოფილია 35 ჰექტარი ფართობი ვაკის პარკის ზემოთ და კუს ტბის მეზობლად.



სამეგრელო. სახლი-სამზარეულო. ხობის რაიონი სოფ. ახალხიბული

როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლია შემონახული. ამათ რიცხვს განეკუთვნებიან ის ნაგებობანი, რომლებიც ხალხური ყოფისათვის დამახასიათებელი მონუმენტური არქიტექტურის ნიმუშებია: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საზოგადოებრივი თუ საბრძოლო დანიშნულების შენობები და სხვა, რომლებიც შექმნილია უშუალო მწარმოებლების მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული გამოცდილების, დაკვირვებისა და ესთეტიკური შეგრძნების საფუძველზე.

ასეთ ძეგლებში ნაქსოვილია ხალხის სული და გული, მისი აზრი და გრძნობა, მისი ოსტატობისა და ტექნიკური აზროვნების მოწოფულობა. ეს ძეგლები ასახავენ ჩვენი ხალხის სულიერ ლტოლვას, მის ხასიათს, ლანდშაფტის ნაირსახის ფორმებთან ნაგებობების ორგანულ კავშირში წარმოდგენის უნარს. ამის სრულყოფილი მაგალითია ხევსურული კალოიანი სახლი და იმერული ოდა. ხალხური ხუროთმოძღვრების სპეციალურმა შესწავლამ გამოავლინა რომ ხალხური ხუროთმოძღვრების მიერ გადაწყვეტილია არაერთი საინჟინერო დაგეგმარების რთული საკითხი. ხალხური ოსტატების მიერ სათანადო ისტორიულ პირობებსა და ხანაში შექმნილი ამგვარი

სამეგრელო. სახლი-სამზარეულოს ინტერიერი. ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ნაფინჩოუ

ძეგლები მეტნაკლებად მოღწეულია ჩვენ დრომდე. ჩვენი ვალია ისინი შეეუნახოთ შთამომავლობას.

ღია ცის ქვეშ მუზეუმში წარმოდგენილი უნდა იქნეს, ხალხური არქიტექტურული ნაგებობანი მათთვის დამახასიათებელ ბუნებრივ გარემოცვაში, კომპლექსურად. საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ძეგლი ამჟამად ასოცხე მეტია აღრიცხული. ისინი შექმნილია შეფარდებით იმ ბუნებრივ სამეურნეო არეებთან, სადაც ეს ძეგლებია აგებული. რამდენადაც საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის მთავარი მაჩვენებელი მკვეთრად გამოსახული ვერტიკალური ზონალობაა, ამდენად სამუზეუმო ტერიტორია ასეთ ვერტიკალურ ზონალობას უნდა პასუხობდეს. ამ მხრივ მუზეუმისათვის შერჩეული ტერიტორია თავის მიზანს კარგად პასუხობს. ტერასულად განლაგებული და ხეობებით დასერილი ადგილი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხალხური არქიტექტურული ნაგებობანი მათთვის შესაფერის ბუნებრივ პირობებში იყოს წარმოდგენილი.

მუზეუმის გენერალური გეგმის (გეგმის ავტორია არქიტექტორი ლ. სუმბაძე, კონსულტანტი გ. ნიტაია) მიხედვით სამუზეუმო ტერიტორია დაყოფილია ცამეტ ზონად, რომელთაგან პირველ ათ ზოლში წარმოდგენილი იქნება თითოეული ზოლისათვის დამახასიათებელი ნაგებობანი. ამ ათიდან ხუთი განკუთვნილია დასავლეთ საქართველოსთვის, ხოლო მეორე ხუთი – აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის. ეს ზონებია დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, იმერეთის მაღლობი და კოლხეთის დაბლობი. აქვე ცალკე იქნება წარმოდგენილი აჭარა და აფხაზეთი, შემდეგ – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, აღმოსავლეთ საქართველოს ბარი და ეკე სამხრეთ საქართველოს ზეგანი და სამხრეთი ოსეთი.

ამ ზონებში წარმოდგენილი იქნება ისეთი ნაგებობანი, როგორიცაა ქართლური და მესხური გლეხური დარბაზები, მთიულური კალოიანი სახლები, ფშავურ-ხევსურულ-თუშური ციხე-კოშკები, სვანური ქორი და მურყვამი, რაჭული დუროიანი სახლი, იმერული ოდა, სათოფურებიანი სახლი ხანის წყლიდან, წისქვილები, საზეთე ქარხნები და სხვა, რომელთა ხნოვანობა XI–XIV საუკუნეების ფარგლებში ივარაუდება.

მუზეუმში გადმოსატანი ობიექტები წინასწარ ადგილზე იქნება აგეგმილი, პასპორტიზირებული და დაიდგმება მუზემში, ობიექტისათვის შესაფერის ბუნებრივ გარემოცვაში.

ამჟამად მიმდინარეობს პირველი რიგის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები: შემოღობილია სამუზეუმო ტერიტორიის ერთი ნაწილი, აგებულია პავილიონი, ჩამოტანილია XI საუკუნის არქეოლოგიური ძეგლი, შეძენილია XI–XII ს. ს. გლეხური საცხოვრებელი ნაგებობა სოფ. ჭაჭკარში, ვარძიის მახლობლად, XIX საუკუნის შუა წლების მესხური დარბაზი რაბათში (ქ. ახალციხე), მონიშნულია გადმოსატანად კოშკიანი წისქვილი არაგვის პირიდან (XVII საუკუნე), პალატიანი სახლი სოფ. ჭრებალოდან (XVIIIს.), ზეთსახდელი ქარხანა თეთრი

წყაროდან (XVIII ს.), სათოფურიანი სახლი ხანისწყლიდან (XVIII), იმერული ოდა-სახლი ს. ხანიდან და სხვა. პირველი რიგის სამუშაოები იმ ვარაუდითაა დაგეგმილი, რომ მოესწროს მუზეუმის გახსნა შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღისათვის. ეს ღონისძიება შეტანილია შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებაში.

მუზეუმის მშენებლობას ხელმძღვანელობს სამუზეუმო სამეცნიერო საბჭო, რომლის შემდგენლები არიან ნვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და არქიტექტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ანდ. აფაქიძე, ივ. ჩხენკელი, ბ.ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე და სხვა.

თბილისის დია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობას გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის სათანადო სპეციალისტები და მოიწონეს მუზეუმის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და მეთოდი. კერძოდ, მოწონება ჰპოვა სამუზეუმო ექსპოზიციამ, რომელიც ნაგულისხმევია ვერტიკალურ ზონალობაში და არა სიბრტყეში, როგორც ამას ადგილი აქვს ბევრს სხვა ასეთი ტიპის მუზეუმში.

თავისთავად ცხადია, რომ ეს დიდი წამოწყება ერთბაშად არ შეიძლება შესრულდეს. მის ბოლომდე მიყვანას დასჭირდება რიგი წლების მანძილზე დაძაბული და მიწაწყნილი მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ იმას, რომ ნვენი მუზეუმი მთავრობის ხელში გადავიდა და ამ მხრივ მას ყურადღება და ზრუნვა არ აკლია და მომავალშიც არ მოაკლდება.

უნდა ისიც ითქვას, რომ ნვენი მუზეუმის მუშაობა სწორ გზაზეა შემდგარი და სწორი მიმართულებით ვითარდება, თუმცა ნვენი მუშაობის ტემპი არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად.

ნვენ ვფიქრობთ, რომ დღეს უკვე სადავო არ არის, რომ მუზეუმის ექსპონატები უნდა იყოს ორიგინალების სახით წარმოდგენილი და არა მაკეტებითა და პირებით. ნვენს ხელთ არის მიმდინარე წელს გამოცემული კრებული „ღია ცის ქვეშ მუზეუმის შესახებ", სადაც ევროპაში არსებული მრავალი ღია ცის ქვეშა მუზეუმების ექსპონატებია განხილული და ყველგან მიღებულია ორიგინალების ექსპონირება და არა პირების დამზადება. პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს, თუ ორიგინალი უკვე დაღუპულია (იხ. Ethnographica, 5-6- 1963-1964, Praha, 91-278).

ნვენ სამუზეუმო პრაქტიკაში გვქონდა დაყენებული ცდები ნაგებობათა ნაწილების როგორც პირების, ისევე ორიგინალით დადგმისა და მუზეუმის მნახველზე შთამბეჭდავი ყოველთვის ორიგინალის დიორამა იყო და არა კოპირება. ამის მაგალითებია: ხევსურების გამოფენაზე ხევსურული სახლის შინა და სენე, სვანური სახლის მაჩუბი, ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე – თავადის სახლი ციხეკოშკით.

ნვენი მუშაობისათვის მნიშვნელოვანი საკითხია ძეგლების დათარიღების საკითხი. აქ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კარბონული ანალიზის მეთოდი. სამწუხაროდ, არ მოხერხდა ჭაჭკარის

გურია. ოდა სახლი. სოფ. აცანა.

ხის ნიმუშების დათარიღება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთი წელიწადია, რაც ნიმუშები გადავეცით უნივერსიტეტთან არსებულ სათანადო ლაბორატორიას. ახლა გავიგეთ, რომ სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ამუშავდა ეს ლაბორატორია, და იმედი გვაქვს ჩვენ დაკვეთას დროულად შეასრულებენ.

ამასთან ერთად აღვნიშნავთ, რომ უნივერსიტეტის რექტორის აკად. ი. ვეკუას დახმარებით საჰაერო-სამხედრო შტაბის სამმართველომ განახორციელა სვანეთის ტიპური სოფლებისა და სათიბ–საძოვრების სარწყავი სისტემების აეროფოტოგადაღებები.

კიდევ უფრო დიდი სამუშაოა ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები, ინვენტარიზაცია. ამ მიმართულებით ზოგი რამ კეთდება მუზეუმის მხრით, უფრო მეტი მუშაობა მიმდინარეობს საქ. მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც, საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასის შედგენასთან დაკავშირებით, ხდება ძეგლების რეგისტრაცია რაიონების მიხედვით.

ამ მასალის გამოყენება ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ საჭიროა ამ მუშაობას ფართო ხასიათი მიეცეს და დროულად გაკეთდეს. ჩვენ იმის მოწადინე ვართ, რომ ეს სამუშაო გაკეთდეს არა შერჩევითი მეთოდით, არამედ მიჯრით და თანამიმდევრულად, რომ არ დარჩეს არც ერთი აღურიცხველი. ძეგლ-მუზეუმის მიერ გამომუშავებულია უნიფიცირებული საააღრიცხვო ბარათი.

ამ საქმეში დიდი დახმარება შეუძლია ყველას, მაგრამ ნ. კეცხოველის და ლ. გოთუას გარდა, დღემდე მუზეუმისათვის არავის სხვას ცნობა არ მოუწოდებია, მიუხედავად იმისა, რომ რაიონებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს.

არანაკლები მნიშვნელობისაა ექპონირებული ძეგლის ინტერიერის, მისი მოწყობილობის საკითხი. იმ იმედით, რომ ამ მასალით სხვა მუზეუმები მოგვამარაგებენ ვერ ვიქნებით. კარგი შემთხვევაა მთლიანად იქნეს შეძენილი სამხადი სახლის შიდა მოწყობილობა გალში და სახლი მესტიაში. ეს შესაძლებლობა არ უნდა გაუშვას ხელიდან მუზეუმმა. ამ საგანთან დაკავშირებით საჭიროა ეთნოგრაფების გაძლიერებული მუშაობა და სანათადო კადრების ყოლა (ხელფასი). ჩვენი მუზეუმის კარტოტეკა ამ მრივ ჯერჯერობით დარიბია.

ჭაჭკარის დარბაზის დადგმასთან დაკავშირებით საჭიროა მისი კარმიდამოს წარმოდგენა, მისი ტერასული მეურნეობის მოწყობა, რაც ტერასების (საქვიების) გარდა, საჭიროა მორწყვის სისტემის,

ბალ-ვენახების (წყლის აუზის, თუთების, კაკლების, ასწლოვანი ვაზის (მაღლარის) გადმორგვა. ამ სოფლის მაგალითზე კარგად ჩანს მარნის და ბარის მეურნეობის ურთიერთობა. ჭაჭარის აგებმირება შეასრულა პროფ. ვაშალომიძემ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, რასაც სათანადოდ გამოიყენებს მუზეუმი.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, შეიძლება ვიოცნებოთ იმგვარი მეთოდით მუშაობაზე, როგორიც დანიაშია, რომლის წყალობით შეიძლება აღდგენილი იქნეს სოფლის ძველი საყანეების სისტემა (აქსელო სტენსბერგის მიერ ნასოფლარ ბორუპის შესწავლა 17 წლის მანძილზე 500.000 ფრანგ. კრონი), რომელიც X–XII საუკუნეების საყანეებში აღრიცხავს ქვების რიგს, ქვების დახირაგებას, სამნებს, კარმიდამოებს და სხვა.

იმერეთი. მარანი სოფ. სოჩხეთი

რთულ საკითხთა რიგს განეკუთვნება, აგრეთვე, ამა თუ იმ ძეგლის ადგილზე დატოვებისა თუ გადმოტანის საკითხი.

მე მაგონდება, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენ მოხსენება წავიკითხეთ კულტურის სამინისტროს სამუზეუმო საბჭოში, აწ განსვენებულმა პროფ. მიხეილ ხანდუკელმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ხომ არ ჩავიდენთ ცოდვას, როდესაც ადგილობრივი გარემოცვისაგან გამოვთიშავთ ამა თუ იმ ძეგლსო - ეს ანგარიშგასაწევი გარემოებაა.

დავასახელებ ორ მაგალითს:

არაგვის პირად სოფ. აშეს ქვემოთ დგას წისქვილი კოშკით. მისი გადმოტანა და მუზეუმში ექსპონირება იქნებოდა სავსებით გამართლებული, მაგრამ ანგარიშგასაწევია, რომ იგი ამ დიდ შარაგზაზე ამშვენებს ლანდშაფტს. იგი ადგილზე უნდა დარჩეს, იმ პირობით თუ სათანადოდ მოვლილი და დაზიანებისაგან დაცული იქნება.

მეორე მაგალითი: ახმეტის მახლობლად შემონახულია შესანიშნავი მარანი, რომელსაც აგრეთვე კოშკი ჰქონდა მიდგმული. რაკი იმ ძეგლის დაცვა ადგილზე შეიძლება გაძნელდეს, მისი გადმოტანა სასურველია.

ასევე საჭიროა მუზეუმში დაცულ კულტურის ელემენტებზე მოკლე ეთნოგრაფიული ცნობის გაკეთება.

1963 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელახი

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში"[1] არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქვემო ქართლში „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა". ამგვარივე ცნობა მოიპოვება მეტ-ნაკლები სიმრავლით აღმოსავლეთ საქართველოს რიგი სხვა კუთხეების შესახებ. მაგრამ წერილობით წყაროსთან ერთად სელისაგან ზეთის გამოხდას ადასტურებენ მატერიალური კულტურის ის ძეგლები, რომლებიც ზეთის გამოხდასთან არიან დაკავშირებულნი.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლია გელახი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა დამოწმებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით (თბილისი 1966) „გელახი ზეთის სახდელი ქვაა". აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ვერ გარკვეულა ძეგლის დანიშნულებაში და ზეთის სახდელი ქვა წისქვილის ქვად მიუნიჭია. მაგალითად, აკად. მარი ბროსეს, რომელიც საქართველოში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობდა, 1848-49 წლებში ანჩიაეთის მონასტრის გალავანში მდებარე ქვა-ბორბალი წისქვილის ქვად შეუცვნია. ასევე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბორჯომის პარკში მახლობელი რაიონიდან გადმოტანილი გელახი (ძეგლების გადმოტანის ინიციატორი იყო ვინოგრადოვ-ნიკიტინი) მიჩნეული იყო წისქვილის ქვად. ასეთივე ქვა-ბორბალი ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვნახეთ უბისის ტაძრის გალავანში.

ზემოთ ჩვენ მიერ ნახსენები და ბევრი სხვა ამგვარივე გელახი არ არის არც აღრიცხული და არც დაცული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმის მანიშნებელია, რომ იქ უწარმოებიათ ზეთის გამოხდა, უთესიათ სელი და ზეთის გამოხდის ტექნიკას გარკვეულ დონემდე მიუღწევია.

---

[1] შენიშვნა. აქვე ვაქვეყნებთ, არქივში დაცულ რამდენიმე ნაშრომს, რომელიც გ. ნიტაიის მიერ დაწერილია მუზეუმში გადმოსატანი კულტურის ცალკეული ელემენტების შესახებ. „კოშკების შესახებ საქართველოში", „ნიხრიხი", და „გელახი" გამოქვეყნებულია ჟურნ. ძეგლის მეგობარში, 1970, № 20 [თც.]

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი 1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სელი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომელსაც მოსახლეობა სელის ჯიშის მიხედვით ან ქსოვილის დასამზადებლად ან კიდევ მისი მარცვლიდან ზეთის მისაღებად იყენებდა. ზემოთქმულს დავძენთ, რომ სელის კულტურის უძველეს კერად დასავლეთ საქართველო - კოლხეთი ითვლება.

ჯერ კიდევ ძვ. V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ კოლხეთში დამზადებული სელის ქსოვილი დიდად იყო მოწონებული იმდროინდელ სამყაროში. ასევე X საუკუნის არაბი მოგზაურის, იბნ ჰაუკალის მიხედვით აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი განთქმული იყვნენ სელის ქსოვილით, რომელსაც ადგილობრივ ენაზე ეწოდებოდა ტალ. ეჭვმუტანელად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ტალ“ ქართულ ტილოს ენათესავება და შეიძლება კავშირში იყო ხევსურულ კილოში შემონახულ ტალ-ავ-არ-თანაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის სელის ქსოვილის ნაშთები.

ასევე ფართოდ იყო ჩვენში გამოყენებული სელის ის ჯიში, რომელიც ზეთის გამოსახდელად გამოიყენებოდა. საამისო ფაქტიურ მონაცემებს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველო იძლევა, ხოლო განსაკუთრებით ზეგანი მარეული - თრიალეთი და ჯავახეთი.

როგორც თრიალეთში, ასევე ჯავახეთში ბოლო დრომდე იყო მოღწეული სელის ზეთის სახდელი სარეწაოები. ზეთის სარეწი სამი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეული მათგანი განკუთვნილი იყო ზეთის გამოხდის სამი სხვადასხვა საფეხურისათვის: 1. მარცვლის მოხალვა, 2. მოხალულის დაწნეხვა და 3. დაწნეხილი მარცვლისაგან ზეთის გამოწურვა.

გელაზი ზეთის გამოხდის მეორე საფეხურთანაა დაკავშირებული. იგი მთლიანი ქვისგან გამოთლილი ბორბალია, რომელსაც წისქვილის ზედა ქვის მსგავსად შუაში გამჭოლი ნაჩვრეტი აქვს ამოჭრილი, ხოლო წისქვილის ქვისაგან განსხვავებით ნაჩვრეტის ირგვლივ ოთხკუთხი მოყვანილობის ღარია დატანებული. ნაჩვრეტში გაყრილია უღლის ერთი ბოლო; ხოლო უღლის მეორე ბოლოში ტაბიკების შემწეობით ხარი ან კამეჩია შებმული. გამწევი ძალა ატრიალებს ფიქალი ქვებისაგან აგებულ კალოზე ვერტიკალურად მდგარ გელაზს, რომელიც დაცერებული ძგიდის მეშვეობით წნეხს მოხალული სელის მარცვალს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ნახული გელაზები არც ერთი 1 1/2 -მ ნაკლები დიამეტრისა არ ყოფილა; უფრო ხშირად კი ორისა და მეტი დიამეტრის მქონე გელაზების მნახველი ვართ. ერთი ასეთი გოლიათური ზომის გელაზი ჩამოვატანინეთ სოფ. გუნიაყალიდან 1938 წელს. ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდშია შესული, ხოლო მისი პირი ექსპონირებულია იმავე მუზეუმის ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. ეს გელაზი წონით დაახლოებით ორი ტონაა. მას ამკობს ქართული მხედრული წარწერა, მასზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახულია გუთნეული, ბოლოთრია, ადამიანი, ჯვრები და ხ

დ. რამ სხვაც, რაც ეამთა სრბოლის გამო შებღალულია.

ჩვენთვის ნათელია, რომ გელაზები ორიალელთსა და ჯავახეთში ძველი მოსახლეობის ნაკეთობაა. მათზე ადრე, სანამ XIX საუკუნის 30-იან წლებში აქ თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხები, ოვები, კროები და ურუმები დასახლდებოდნენ. XIX საუკუნის მანძილზე აქ არც ერთი გელაზი მოსულებს არ უკეთებიათ, ხოლო ძველად დამზადებული ზეთის სახდელი იარაღები კი გამოუყენებიათ.

თავისთავად ცხადია, რა მასშტაბის მეურნეობა უნდა ყოფილიყო, თუკი საჭირო იყო ასეთი ზომისა და წონის გელაზები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ისიც გვაგონდება, თუ რამდენად მასშტაბურია ქართული დიდი გუთანი, რომელშიც 8-10 უღელი ხარ-კამეჩი ებმოდა. გუთნისთვის საჭირო ღვედის დამზადებას ოთხი ხარისა და ორი კამეჩის ტყავი უნდებოდა, ხოლო სახნისი და საკვეთელი 20 კილოგრამ რკინას იწონიდა, თავი რომ დავანებოთ გუთნეულისათვის საჭირო მუშახელს (გუთნისდედა, დღისა და ღამის მეხრეები, მწეკელი) და სხვ.

ასევე დიდი მასშტაბის მეურნეობის არსებობას გულისხმობს დიდი ქვევრები, რომელთაგან თითოეულში ორი მრეცხავი კიბის შემწეობით ჩადიოდა, ან საწნახელი, რომელშიც 4-6 კაცი ჩადგებოდა ყურძნის დასაწურად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დმანისის გათხრების დროს აღმოჩენილია გოლიათი გენლაზი, რომელიც დათარიღებულია XI საუკუნით (არქეოლოგი ვ. ჯაფარიძე). აგრეთვე ისიც, რომ გელაზი ჩართულია იმ შესანიშნავ ხალხურ ბალადაში, რომელსაც თავფარავნელი ჭაბუკი ეწოდება.

ჩვენი ვალია სელის ზეთის სახდელი სარეწი ნაგებობა გადმოტანილი და ექსპონირებული იქნეს თბილისის დიდ ცისქვეშ მუზეუმში; დღემდე აქა-იქ კიდევ შემორჩენილი გელაზები კი აღირიცხოს და დაცული იყოს. ეს ხელს შეუწყობს სელთან დაკავშირებული მეურნეობის მასშტაბების გარკვევას. თუ ჩვენი მუზეუმები ცდილობენ დაიცვან გლეხის დარბაზის დედაბოძები, საჭიროა გელაზებსაც მიექცეს სათანადო ყურადღება.

1968 წ.

ჩიხრიხი

ჩიხრიხი საბლისათვის თხის ბალნის ან ცხენის ძუის დასართავი ხელსაწყოა. ჩიხრიხის ნაწილებია უღელი, გირკალი, ტარი, თბეები, ჩხირი. მასალად გამოყენებულია არყის ხე. უღელი ორი მტკაველი სიგრძის და ორი თითის სიბრტყის დაახლოებით 1.5 სმ სისქის ხეა. თავში და ბოლოში ამოღებული აქვს გირკლის ბოლოების გასაყრელი 2–4 სმ ზომის კუთხოვანი ხვრელები. ზუსტად შუა ადგილას კი 2 სმ დიამეტრის მრგვალი, ტარის გასაყრელი ხვრელი. გირკლად

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგი დრეკადობის გამო იყენებენ ცირცლის ხისაგან გამოთლილ 3-4 სმ დიამეტრის სისქის 1 მეტრამდე სიგრძის ჯოხს. მას ერთ მხარეს გაუთლიან შუაგულამდის, ორივე ბოლოში გაუკეთებენ თავებს, მოხრიან და თავებით ნაუყრიან უღელში საამისოდ ამოჭრილ ხვრელებში, გირკალი ნახევართვალის ფორმას მიიღებს. ტარი დაახლოებით ნახევარი მეტრის სიგრძის მრგვალად გათლილი ჯოხია, ერთ მხარეს თავი აქვს, რომ უღელში საამისოდ გაკეთებულ ხვრელში არ გაძვრეს, მეორე ბოლოსკენ თანდათან წვრილდება. წვერთან ამოჭრილი აქვს პატარა კუთხოვანი ხვრელი - საჩხირე. თბეები დაახლოებით ერთი მტკაველი სიგრძის შუაში განიერი, თავ-ბოლოში წაწვეტებული ფირფიტებია. შუა ადგილას ხვრელები აქვს ტარზე წამოსაცმელად. ხვრელები იმ ზომისაა, რომ დაახლოებით ტარის შუაგულში დამაგრდეს.; ჩხირი 2 სმ–მდე სიგრძის პატარა, კუთხოვანი ხეა. იგი მჭიდროდ უნდა ჯდებოდეს ტარის საჩხირეში. ჩიხრიხი კეთდება მოზრდილი ჯიბის დანით, ან ხანჯლითა და დანით. ჩიხრიხით მუშაობს ორი კაცი. ერთი საჩხირეზე დაახვევს ბალნის წვერს და ჩხირს გაუყრის, რომ წვერი არ გამოძვრეს, გადაიცვამს თავზე გირკალს და ტარს თბეებსა და უღელს შორის ხელის გულებით ატრიალებს. მეორე უშვებს ბალნის გარკვეულ სისქეს დასართავად. ჩიხრიხის დამბრუნებელს უკუსელით შორს გააქვს ნართი, როცა ნართის სიგრძე 50 მ-მდე მიაღწევს, ეს უკანასკნელი მას ტარზე ჯვარედინად წამოცმულ თბეებზე დაახვევს. ასე გრძელდება მანამდე, სანამ ნართი თბეებზე ეტევა. შემდეგ თბეებს ნართიანად გამოაძრობენ ტარიდან. ნართს თბეებსაც მოაცილებენ და დარჩება გორგალი, რომელსაც ორი წვერი აქვს: ერთი ბოლოს დართული და ერთიც საჩხირედან შეხსნილი. ჩიხრიხითვე ხდება ერთწვერად დართული ბალნის რამდენიმე წვერად მოკეცვა და დაგრეხაც: ნართის გორგალს იჭერს ერთი კაცი და მეორეს, დამრთველს უმარჯვებს ნართის ორივე წვერს ერთდროულად. დამრთველი იმავე მოძრაობებით, როგორც დართვის დროს, ამჯერად უკვე გრეხს ნართს და ისევ ახვევს თბეებზე. კეცავენ ორ და ოთხ წვერადაც. გააჩნია რა სისქის ნართი უნდათ რომ მიიღონ. შემდეგ ამ ნართისაგან დაწნავენ საბელს.

გარდა ამისა, საბელიც და მისი დამზადების ხელოვნებაც თითქმის გამქრალია ყოფიდან. ამიტომ საჭიროა კულტურის მცირე ელემენტებიც (ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო) აღირიცხოს და დაცული იქნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხე კოშკები[1]

კოშკების მშენებლობას საქართველოში შორეული ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ ქსენოფონტე აღნიშნავდა, რომ ქართველი ტომი მოსინოიკები ხის კოშკებში ცხოვრობდნენ (მოსინოიკოჲ) და რომ მათი მეფე ამგვარსავე კოშკში მუდმივად ბინადრობდა და იქიდან განაგებდა ქვეყანას. მოსინოიკების ეს ტრადიცია, ხის კოშკებში ცხოვრება, შემდეგშიც გაგრძელებულა, როგორც ამას კასტელის ალბომიც მოწმობს. საყურადღებოა, რომ მოსინოიკური ტიპის კოშკები დადასტურებულია სპეციალისტების მიერ სამსუნსა და ტრაპიზონს შორის მდებარე ტერიტორიაზე გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. ასეთი კოშკების სახელწოდებაცაა შემონახული ადგილობრივ მოსახლეობაში. რაც შეეხება კასტელის მიერ სამეგრელოში დამოწმებული კოშკური ტიპის სახლს, მას გააჩნია სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები და მათ შორის სარძიე – cassina.

ხოლო რაც შეეხება ქვის საცხოვრებელ კოშ, ისინი მრავლად დასტურდება ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში – მთა-თუშეთსა და მიდმა ხევის ხევსურეთში.

საქართველოს სინამდვილეში, ძველი დროიდან მოყოლებული, ოთხი ძირითადი ტიპის ქვის ციხე-კოშკია დადასტურებული:

1. თუშურ-ხევსურული – სანაწვდიან-სიპერდიანი კოშკი;
2. ზურგიანი კოშკი;
3. სვანური შდურიანი კოშკი;
4. მრგვალი კოშკი.

თითოეულ ამ ტიპებიდან დანიშნულების

[1] გ. ჩიტაია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა კოშკების გადმოტანის საკითხს. მან სპეციალური მოხსენებითი პარათით მიმართა ღია ცისქვეშა მუზეუმის სამეცნიერო კომისიას, სადაც მოითხოვს, რომ კოშკების გადმოტანისა და დადგმის დროს სრულად დაეცვათ ხალხური ბუროთმოძღვრული ხერხები. აქვე მუზეუმში გადმოსატანად მიუთითებდა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ ქვის საცხოვრებელ კოშკების ტიპებზე (თ. ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით ზოგი სათვალთვალოა, ზოგი – საბრძოლველი, ხოლო ზოგი კი, თავშესაფარი.

ზოგიერთი ამათგანი აგრეთვე ხასიათდება: მშვილდის გამოსაყენებლად, ზოგი ქვის სახსლეტად, ზოგი კიდევ სათოფურებითა და ფისის ჩამოსასხმელად.

ღია ცის ქვეშ მუხეუმისათვის გამოსადეგი კოშკები შეიძლება შერჩეულ იქნეს საუკეთესოთაგან:

I. სვანური კოშკებიდან:

ა) თამარ მეფის კოშკი – უშგული სოფ. ჩაჟასთან, ოთხი კოშკიდან საკუთრივ ის კოშკი, რომელიც მიეწერება თამარ მეფეს, მართალია ეს კოშკი ამჟამად შავი ფერისაა, ეფიქრობ სიძველის გამოა.

ბ) კოშკი უშგულშივე, სოფ. მურყმელში, რომლის სხვენზე შემონახულია ამწე-ჭახრაკი და ყოველი სართულის ჭერი და კიბეები.

გ) მულახსა და მუჟალს შორის სათვალთვალო კოშკი.

დ) მულახის თემში, სოფ. ჟამეშში – ეკლესიის გადმოქცეული XI საუკუნის კოშკი, იმავე ხნის ქოხით, რომელსაც სადილეგო აქვს შემორჩენილი.

ე) მულახის თემში, სოფ. ლახირში – გაბლიანისეული კოშკი, რომლის ჰაგამში წყაროს წყალია გამოყვანილი მეცხოვნეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ვ) ლატალის თემში, ერთადერთი კოშკია, რომლის პირველი სართული ძირიდანვე სათავსოა და არა კერიი.

ზ) ეცერის თემში, სოფ. მუჟალში – დადეშქელიანისეული კოშკი, ყველაზე დიდი სვანეთში.

თ) მესტიის თემში, სოფ. მესტიაში, ლადამში, კოშკი, რომლის სადილეგოში სალოცავი ქვაა ქვის გუგუ (ქვის გული), რომელსაც ლოცვა-ვედრებითა და შესაწირავით მიმართავდა ოჯახის უფროსი ყოველ ახალმთვარეზე.

ი) კალას თემში, სოფ. კალის-ჭალაში მდ. ინგურთან, კლდეზე აღმართული ლამაზი, მაგრამ პატარა კოშკი, გადმოცემით ქალის მიერ აგებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ სვანეთში დაცულია დღესასწაული მურყვამობა (ცეხეობა) საყურადღებო რიტუალით.

II. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კოშკებიდან აღსანიშნავია:

ა) თუშეთში: 1. სოფ. დართლოში (წყვილი კოშკი) – ორცეხე და ნადირთცეხე,

2. სოფ. ფარსმში – კახასთინას კოშკი და რიგი კოშკებისა,

3. სოფ. ჰელოში ულამაზესი ცეხე. ნაწილობრივ ნაშალი,

4. სოფ. ჭიოსთან ოთხი ცეხე ქედზე მწკრივად ჩარიგებული.

ბ) ხევსურეთში:

1. სოფ. ლებაისკარში – ერთ-ერთი ულამაზესი ცეხე,

2. სოფ. ხახმატში – ხატის ცეხე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სოფ. ქისტანში – ხატის ციხე მაღალი მთის წვერზე.
4. სოფ. შატილში – ციხის კომპლექსი კოშკებითა და გალავნით – ქაჩუს ციხე.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ხევის, მთიულეთის, გუდამაყრისა (60 ციხიანი კუთხე) და ფშავის შესახებ.

ზემოთქმულს დავძენთ, რომ კოშკებთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ შეირჩეს საუკეთესო, საჭიროა ისინი იმავე ტექნიკით დაიდგას, როგორც ადგილზეა აშენებული.

როგორც ადგილზე ძეგლების შესწავლამ დაგვანახა, მთაში ნაგებობები ისეთი ხერხითა აგებული, რომ ადვილად უძლებენ ბუნების სტიქიურ მოვლენებს. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ „იცვან სახლთ შენება, არღარა ხმარობენ ქვიტკირსა. განრა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალსკლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ“.

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა გათვალისწინებულ და გამოყენებულ იქნეს ხალხში ეთნოგრაფების მიერ დამოწმებული მშრალად ნაგები კედლის წყობის ორი მეთოდი: ა) სავალაით წყობა და ბ) შ ა დ ა გ ი თ წ ყ ო ბ ა. ამგვარად აგებული კედელი ჭექა-ქუხილის, კლდეთა და ზვავთა ხეთქების შედეგად გამოწვეული ნიადაგის მძაფრ რყევას ადვილად იტანს და ნაგებობას უვნებელს ხდის. ციხე-კოშკების აგების ტექნიკაზე „კალმასობაშიც“ არის ყურადღება გამახვილებული.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მუზეუმში კოშკების დადგმის დროს ხუროთმოძღვრული ხალხური ხერხები სრულად იქნება დაცული.

1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისში, ვაკის პარკისა და კუს ტბის შორის მდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ღია ცის ქვეშ მუზეუმს. ჯერჯერობით მუზეუმის დასახახლებლად გამოყოფილი ადგილი 35 ჰექტარია. სადღეისოდ კეთილი და შემდეგ მისი მოსამატებელი ტერიტორიის რელიეფი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს სხვადასხვა მხარის „სოფელი" გაშენდეს მთის მთაში, ბარისა – ბარში, – მიკრო და მაკრო რაიონების მიხედვით ისე, როგორც ეს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისათვისაა დამახასიათებელი. აღნიშნული ასპექტი თავი და თავი პრინციპია ჩვენი მუზეუმის გაშენებისათვის.



ღია ცის ქვეშ მუზეუმის ხახეიმო გახსნა

სადღეისოდ ნატარებულია შემდეგი სამუშაოები: შემოღობილია სამუზეუმო ტერიტორიის ნაწილი; აგებულია პავილიონი, ადგილებიდან ნამოტანილია ზოგიერთი ექსპონატი, ხელთა გვაქვს სამუშაოს დაწყებისათვის საჭირო გეგმის პროექტი, შედგენილი არქიტექტორ ლ. სუმბაძის მიერ. მუშავდება საპერსპექტივო გენერალური გეგმა. გრძელდება გადმოსატანი ძეგლების კარტოტეკის შედგენა. დაიდგა სიონიდან გადმოტანილი VI საუკუნის ძეგლი და სხვ. სამუზეუმო მშენებლობას ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სახოგადოების პრეზიდიუმი – საგანგებოდ ამ საქმისათვის შექმნილი სამეცნიერო საბჭოს მეშვეობით.

თავისთავად ცხადია, ამ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს კარგად მოფიქრებული, ჯეროვნად აზომილ-აწონილი გეგმა სჭირდება. მუზეუმის მშენებლობის გენერალური გეგმის პროექტი ფართო სახოგადოებრიობის განხილვის საგანი უნდა გახდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც შეიძლება მეტად გამოირიცხოს ნაკლი, არამედ იმიტომაც, რომ სახალხო, საშვილიშვილო საქმე კეთდება. მასში ხალხის უშუალო ქმედითი მონაწილეობა და მხარდაჭერა ამ დიდი წამოწყების წარმატებით დამთავრების საწინდარია.

თბილისში ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპების შესახებ ჩვენ მიერ არაერთგზის წაკითხული იყო მოხსენებები. როგორც თბილისში, ასევე ლენინგრადსა და ტარტუში სამეცნიერო სესიებზე, მოხსენებებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა (Советская этнография, 1963; Страны и народы Востока, вып.III, Ленинград, 1964).

მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ღია ცის ქვეშ მუზეუმში გამოჩნდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ-სამეურნეო არეებში განლაგებული საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, მათი შინაგანი მოწყობილობითა და გამართულობით. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება ითვალისწინებდეს საქართველოს მიკრო და მაკრო რაიონების ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებებს, რასაც ვერტიკალური ზონალობა აპირობებს. ამასთან ერთად, რაც არსებითია, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ისტორიული ჩარჩოები საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისაა. რომელიც განსაზღვრავს ხალხის ცხოვრებას, საერთოდ და, კერძოდ, დაღს ასვამს მატერიალური კულტურის ძეგლებს და მათ კომპლექსს.

გ. ნიტაიას გამოსვლა ღია ცის ქვეშ მუზეუმის გახსნაზე

მეორე მხრივ, მატერიალური კულტურის ძეგლების უმრავლესობა, გარდა იმისა, რომ მათ გამოყენებითი და სოციალური ფუნქციები აქვთ, რომლებიც იცვლებიან საზოგადოებრივი განვითარების საფეხურების მიხედვით, – ავლენს ხალხის დიდად მნიშვნელოვან ესთეტიკურ გემოვნებას, მის მხატვრულ აზროვნებას, რაც ცხადია, უნაკლოდ უნდა აისახოს მუზეუმის ექსპოზიციაში.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ღია ცის ქვეშ მუზეუმის სტრუქტურისა და მისი ორგანიზაციის პრინციპები მსჯელობის საგანია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებში. ამ საკითხს მიეძღვნა საკავშირო სამუზეუმო სამეცნიერო სესია, რომელიც შედგა ქ. რიგაში 1962 წ. ივნისში. ეს საკითხი განხილული იყო ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესის მუზეოლოგიის სექციის სხდომაზე, სადაც რამდენიმე მოხსენება იყო

წაკითხული სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების მიერ: ა. კოლეგხიერი (ბელგია), ს. ბერეზინისა(ფინეთი) – ღია ცის ქვეშ მუზეუმის ნაგებობათა დაცვის მეთოდები ფინეთში; ო. კორდიუკოვისა (ესტონეთი) – ესტონეთის სახელმწიფო პარკ-მუზეუმის ორგანიზაციის პრინციპები; ა. კუბერნასი (ჩეხოსლოვაკია) – ვალახური მუზეუმი ღია ცის ქვეშ როჟნოვში; ლ. პლაუციენშისა (ლატვია) – ლატვიის სსრ-ში ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის პრინციპები და პრაქტიკა; გ. ფოშისა (რუმინეთი) – სოფლის მუზეუმი და ღია ცის ქვეშ, ეთნოგრაფიული მუზეუმის პრობლემა და სხვა. ამჟამად მზადდება ამ საკითხისადმი მიძღვნილი კრებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კრებულის ძირითადი საგანია ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. კრებულში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის ეთნოგრაფები და მათ შორის ეთნოგრაფი საქართველოდან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ღია ცის ქვეშ მუზეუმის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც შედგა ბელგიაში (ქ. ბოვრიკი) 1966 წ. აპრილში, ღია ცის ქვეშ მუზეუმის ცნებების შემდეგი განსაზღვრება მიუღიათ: „ღია ცის ქვეშ მუზეუმი ეწოდება დაწესებულებას, რომელსაც აქვს მოწყობილი მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული, თავისუფალ არეზე აგებული და მთლიანობაში ასახული დასახლების ტიპი, საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ეთნოგრაფიული გამოფენა“ (Dr. Adelhart Zippelius ბარათი 5 იანვრის თარიღით).

ქვემოთ განსაზღვრული იქნება ქართული ხალხური ხუროთ-მოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, რომელთა კონკრეტული დასაბუთება ჩვენს დასახელებულ მოხსენებაშია მოცემული.

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი უნდა მოეწყოს ვერტიკალურ ზონებად დაყოფილ ტერტორიაზე: მთის, ბარისა და გარდამავალი ზოლის ლანდშაფტებისა და ბუნებრივ-სამეურნეო ტიპების მიხედვით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის ძირითადი დამახასიათებელი მანვენებელია ვერტიკალური ზონალობა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენში დასახლებული პუნქტების სიმაღლეების ამპლიტუდა 10 მეტრიდან 2250 მეტრამდეა ზღვის დონიდან. უკიდურესი სიმაღლის დასახლება უშგულის თემია სვანეთში.

ეს ვითარება კარგად ჰქონდა შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს და ამასვე კარგად ასაბუთებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები – ივ. ჯავახიშვილი, ვ. დოკუჩაევი, მ.საბაშვილი, ნ. კეცხოველი, ზ. გულისაშვილი, მ. გეგეშიძე. კერძოდ ივ. ჯავახიშვილმა ვახუშტის მონაცემების და სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით დაადგინა შემდეგი ბოტანიკურ-აგრონომიული არეები: თურინჯ-ნარინჯისა, ბრინჯ-ბამ-

ბისა, ვენახ-ხილისა. უვენახო-უხილოსა, ბალახ-ყვავილნარისა და სახამთრო საძოვრებისა.

ამის შესაბამისად ზოგადი მანვენებლების საფუძველზე ერთურთისაგან უნდა იქნეს გამოყოფილი სამი ძირითადი ზოლი – ბარი, მთა და მთისძირი ანუ ფერდა. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ზოლს თავის შიგნით მრავალი სახის მიკრორაიონი გააჩნია.

მართლაც საქართველო დასერილია მრავალი ხეობით, რომელთაგან ერთი ნაწილი სიგრძეზისა, ხოლო მეორე, განივი მიმართულებით, კავკასიაონისა და მცირე კავკასიის ქედების მიმართ არიან განლაგებულნი და თავისი შიგნით თითოეულ მათგანს თავისი ბარი, თავისი ფერდა და თავისი მთა გააჩნია, ისე, რომ მთავარი დაყოფის ძირითადი მანვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მეორდებიან სხვა სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად. ამის მაგალითია, ერთის მხრივ, ოკრიბის მიკრორაიონი დასავლეთ საქართველოში. ხოლო გრემის-ხევი აღმოსავლეთ საქართველოში. ამ მიკრორაიონებზე გაშლილი საუბარია ჩვენს მოხსენებაში.

ს. წერეთელი და გ. ნიტაია ლია ცის ქვეშ მუზეუმში

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი ცენტრალური, რესპუბლიკური მასშტაბის მუზეუმია. მასში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს მისი ისტორიული პროვინციების ნათვლით (საინგილო, ტაოკლარჯეთი, შავშეთი, ლაზეთი), ოღონდ ცალკე სექტორების სახით იქნება ნაჩვენები საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ცენტრალური ღია ცის ქვეშ მუზეუმის არსებობა არ გამორიცხავს ეთნოგრაფიული ანსამბლების – ნაკრძალებისა და რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმების არსებობას, რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის პირველი ცდა მოგვცა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა (დირექტორი გ. ელიავა).

აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ რიგი ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლი სასწრაფო დახმარებას საჭიროებს, რათა ისინი დაღუპვას გადავარჩინოთ.



აკ. შანიძე და გ. ჩიტაია ლია ცის ქვეშ მუსეუმში

სამუზეუმო ობიექტების ორიგინალობისა თუ მათი პირების საკითხი ექსპონირებისათვის პირველის სახარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მაკეტის თუ პირის გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმელი ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის ნაწილებად დაშლა და ჩამოტანა, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისეთივე ეფექტს იძლეოდეს, როგორიც ეს ძეგლისათვის ადგილზე იყო დამახასიათებელი.

დავასახელებ მაგალითს:

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კალოიანი სახლი ისეა შეგუებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, რომ დაზღვეულია ბუნების რიგი გარეშე მოვლენებისაგან. ამ შენობის მშრალად ნაგები კედლები ოდნავ ირყევა. ამის მიზეზი ის არის, რომ კედელი შედგება მსხვილი სიგრძივი ბელტებისა („სავალი") და ჭაჭის („შადაგი") გარდიგარდმო წყობის მონაცვლეობით. ამგვარად აგებული კედელი ჭექა-ქუხილის, კლდეთა და ზვავთა ხეთქების შედეგად გამოწვეულ ნიადაგის მძაფრ რყევას ადვილად იტანს და შენობას უვნებელს ხდის.

მთიანი ადგილისათვის დამახასიათებელი სახლის ზემოდასახელებული თავისებურება შემჩნეული ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონს, ის წერს: „უწყიან (მთიულებმა) ხელოვნებანი... სახლთა შენება, არამედ არდა-რა ხმარობენ ქვითკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკთა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალსა და კლდე გორიანსაზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არდარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ"[1].

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბილისი, 1941, გვ. III.

ან კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ბანურ-დარბაზული გვირგვინიანი სახლი, რომლის კედლის ქვითკირით წყობა წყლით ნაგორები თხელი და მოგრძო რიყის ქვებისა და მსხვილი რიყის ქვის რიგთა მონაცვლეობითაა შექმნილი და რომელსაც „ჭაპანური“ ეწოდება.

ასევე დასავლეთ საქართველოს გარდამავალი ზოლის ორსართულიანი „პალატი ოდურით“ – ქვედა, ქვითკირის კედლით ამოგებული პალატი საზამთრო საცხოვრებელია. ხოლო ზედა, ფიცრული კედლით აგებული ოდა – საზაფხულო. კარგი საადმშენებლო ქვების სიმდიდრის გამო აქ მაღალ დონეზეა საცხოვრებელი პალატის შიდა და გარე პირის თლილი ქვით მოპირკეთების ტრადიცია, სვეტების, ბუხრებისა და კარ-ფანჯრების კამერების მოხუჭურთმება. აქვეა თლილი ქვის კედლის წყობა მუხურით (მუხლიანი ქვა შუბლითა და ფეხით, რომლის შუბლი აპერანგებს კედელს, ხოლო ფეხი დუღაბდება კედლის სიგანეში).

ინდოელი ეთნოგრაფი ვიდიართჰი და გ. ჩიტაია

როგორც ვთქვით, საქართველოში საცხოვრებელი ადგილები სიმაღლეების მიხედვით ერთმანეთისაგან დიდი ამპლიტუდით განისაზღვრება. მაგრამ არა მცირედია თვითეული მოსახლის სამოსახლოს და სასახლის რადიუსი. დასავლეთ საქართველოში თერთმეტი სხვადასხვა სახის ეზო-კარმიდამოს კომპლექსი გვაქვს. მთაშიც, სადაც (ერთი შეხედვით მეტად შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი), სიმჭიდროვე იმდენად დიდია, რომ ერთი სახლის ბანი მეორეს კარიპანია, აქაც დასახლების ერთეულის არე ფართოა. მთიელს ერთი ბინა საცხოვრებელ სახლში აქვს, სადაც საქონელი უდგას, მაგრამ ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოსაკვებად საჭირო მარაგს ერთ ადგილზე ვერ აგროვებს. სათიბეების სიშორის და თივის მარაგის ერთ ადგილზე დაგროვებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო. ამიტომ ზამთრის მეორე ნაწილში, ან გაზაფხულის პირზე მას საქონელი სხვა ბინაში გადაჰყავს, რომელიც სოფლის გარეთაა აგებული, სადაც საქონლის საკვების მეორე ნაწილია დაგროვებული. ამგვარ სოფლისგარეთ მოთავსებული ბინა მთიელს შეიძლება ორი-სამი ჰქონდეს, საქონლის რაოდენობის მიხედვით.

ასეთ პირობებში მთიელის ოჯახი დროის გარკვეულ მანძილზე ნაწილდება. ერთი ნაწილი ძირითადად სახლში რჩება, ხოლო მეორე, საქონელთან ერთად სოფლის გარეთა ბინაში გადადის ისე, რომ ოჯახის წევრები ერთურთს ეთიშებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლების ასეთ ვითარებაში სიზუსტის დაცვა სახლისა და ბინების ჩვენების დროს მანძილის მიხედვით გაძნელდება, რაგინდ დიდი ფართობი არ უნდა ჰქონდეს მუზეუმს თავის განკარგულებაში. სულ სხვაა, როდესაც საჭიროა სახაფხულო ბინების ჩვენება. მაგ.: ხულასახალი აჭარლებისა „თაში“, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული ძირითად „ოხორეს“ (მოსახლეს). აქ ის ბუნებრივ არეში მოექცევა და მისი ექსპოზიცია სავსებით გამართული იქნება.

დია ცის ქვეშ მუზეუმში ექსპონირებულია საცხოვრებელი თუ სამეურნეო-სარეწაო ნაგებობანი ინტერიერით. მისი ინვენტარი და იარაღ-ხელსაწყოები ორიგინალების მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით ისინი თავიანთი შთამბეჭდავი ძალით მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან.

შეხვედრა არნ. ჩიქობავასთან დია ცის ქვეშ მუზეუმში

არ არის გამორიცხული, რომ დია ცის-ქვეშ მუზეუმში ექსპონირებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო-სარეწაო ნაგებობებში ცხოვრობდნენ დროდადრო შესაფერი კოსტიუმებში გამოწყობლი პირები თუ ხელოსნები, რომელთაგან უკანასკნელნი შეიძლება ამზადებდნენ ხალხურ ხელსაქმის ნიმუშებს მნახველთა შორის გასავრცელებლად. მაგალითად, ხალხურ კერამიკულ ჭურჭელს, მჭედლობის ნიმუშებს, ხისკვეთილობას, ლითონის სამკაულებს და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის დიდ ცის ქვეშ მუზეუმი უნდა იყოს არა მარტო საჯარო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლებისა და მათი ინტერიერისა, არამედ, ის უნდა იყოს ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საექსპოზიციო პავილიონში ნაჩვენები იქნება ხალხური ხელოვნების ახალი ნიმუშები, სადაც უნდა იყოს ლექტორიუმი კინო-ეკრანით ლექციების ჩასატარებლად და კინოსურათების სანახვენებლად. აქვე უნდა იყოს სამეცნიერო კაბინეტები სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად, აქვე უნდა ეწყობოდეს ჩვენი და სახლვარგარეთის სახალხო გუნდების გამოსვლები, ისევე როგორც სახალხო დღესასწაულები (მაგალითად, სვანური ლამპრობა, ბერიკაობა, მოსავლის დღესასწაული და სხვა) და ფესტივალები. ასეთი ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ვაკის პარკის სტადიონზეც, რომელიც დიდი რაოდენობით მაყურებელს იტევს და რომელიც დიდ ცისქვეშ მუზეუმს აკრავს.

ჩვენ მიერ დიდ ცისქვეშ მუზეუმისათვის დასახული ამოცანები, ისევე როგორც მისი გეგმა, ერთბაშად არ განხორციელდება. ამას ხანგრძლივი დრო და დიდი მუშაობა დასჭირდება. ეს გეგმა პერსპექტიული ხასიათისაა, რომელიც ძირითად სამუშაოებს ითვალისწინებს, თუმცა ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ამ ზოგად მონახაზებს ზოგი რამ აკლია. ერთი ასეთი ნაკლია ზღვასთან დაკავშირებული ობიექტის წარმოდგენა ჩვენს მუზეუმში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რამდენადაც ჩვენი საქმე გაიზრდება, ჩვენ გვექნება საშუალება ჩვენი მუზეუმის ფილიალი გავხსნათ კუს ტბაზე, რომელიც აგრეთვე აკრავს მას, სადაც ნაჩვენები იქნება მეგრული ნავები, ლაზური სანდლები და მეთევზეობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნაგებობანიც.

ეს დიდი ფრიად პასუხსაგები საშვილიშვილო საქმე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ერთობლივი დაინტერესება, ერთობლივი ხელისშეწყობა და ფართო საზოგადოების დახმარება. დიდ ცის ქვეშ მუზეუმის სახით უნდა შეიქმნას ისეთი სამარადისო ძეგლი, რომელიც ქართველი ხალხის კულტურას წარმოაჩენს და ჩვენს დედაქალაქს დაამშვენებს.

1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია ცისქვეშ მუზეუმის ორგანიზაციას ჩვენში თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მაინც საყურადღებო ისტორია აქვს. 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (ვიცე-პრეზიდენტი აკად. ს. ჯანაშია) დასვა საკითხი მთავრობის წინაშე საქართველოში ორი ეთნოგრაფიული ობიექტის – სოფელ ლახირისა (ზ. სვანეთში) და სოფელ შატილისა (პირიქით ხევსურეთში) – სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ამ დონისძიების გატარებას შემდეგში უნდა მოყოლოდა დია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსება.*

მთავრობის სახელზე დაიწერა სათანადო მოხსენებითი ბარათი, რომელმაც ყველა ინსტანციაში დადებითი დასტური მიიღო, მხოლოდ იურისტების მხრით წააწყდა წინააღმდეგობას. მათ ვერ გამონახეს სათანადო იურიდიული მოდუსი ამ წინადადების ცხოვრებაში გასატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სახელმწიფოებრივი ნაკრძალი სოფლები ბევრ სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არსებობდა.

მომდევნო წლებში იმავე აკადემიაში არაერთგზის იყო დასმული საკითხი დია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსების შესახებ (წინადადების ინიციატორი იყო სახელმწიფო მუზეუმი), მაგრამ ამასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ ამ საქმის დაწინაურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარეებს მიხეილ კუჭავასა და ბეჟან ლორთქიფანიძეს. ამათი ინიციატივით შერჩეულ იქნა სამუზეუმო ტერიტორია, რომელიც თბილისის აღმასკომმა გააფორმა დია ცის ქვეშ მუზეუმისათვის საზოგადოების სახელზე. დამზადდა სამუზეუმო ტერიტორიის მაკეტი, დაიწყო გადმოსატანი და დასაცავი ძეგლების კარტოთეკის შედგენა. ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არა ერთი წერილი მწერლების, მეცნიერებისა და სხვათა მიერ, რომლებიც დია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობას აუცილებლად მიიჩნევდნენ (გრ. აბაშიძე, ვ. ბერიძე, ლ. სუმბაძე და სხვ.) საქართველოში. ყოველივე ამას მოჰყვა ჩვენი საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილება (თავმჯდომარე თ. ბუაჩიძე) თბილისში მუზეუმისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე, ვაკის პარკის ზემოთ მუშაობის დაწყების შესახებ: ტერიტორიის ერთი ნაწილის შემოღობვა, პავილიონის დადგმა და გადმოსატანი ობიექტების (2-3-ის) შერჩევა. 1964 წ. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას მიეცა ნება ეწარმოებინა და გაეღო თანხა ძეგლთსაცავის მოსაწყობად.

---

* იდეა დია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსების შესახებ გ. ნიტაიას დაებადა 1940 წელს სვანეთის ექსპედიციაში. მის პირად არქივში დაცულია მესტიიდან გამოგზავნილი წერილი ს. ჯანაშიასადმი, სადაც მიუთითებს სვანეთის მატერიალური ღირებულების ძეგლების უნიკალობაზე და სთავაზობს იდეას ევროპაში გავრცელებული დია ცის ქვეშ მუზეუმის შექმნის თაობაზე თბილისში. [თ. ც.]

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ ჩვენ მოგვიხდა გამოსვლა სამეცნიერო სესიებზე ლენინგრადში, ტარტუსა და თბილისში, რამაც გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[1]

თავისთავად ცხადია, რომ ამ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს კარგად მოფიქრებული, მეცნიურულად დასაბუთებული გეგმა უნდა ჰქონოდა.

საკითხი ეხებოდა ერთი რიგის ობიექტების დაცვას, მოვლასა და ექსპონირებას.

როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მონუმენტური ნაგებობაა. ამათგან ერთი ნაწილი აღრიცხულია და მათი მოვლა სახელმწიფოს ზრუნვის საგანია, ესენია საკუთრივ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ძეგლები. ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი ისეთი ძეგლები, რომლებიც უშუალოდ ხალხის ყოფასთანაა დაკავშირებული და ხალხური კულტურის, მისი შემქმნელის – უშუალო მწარმოებლის თავისებურებების მამჟღავნებელია.

სამეგრელო. ოდა-სახლი სოფ. მარანიდან (აბაშის რაიონი)

ამ სახის ეთნოგრაფიული ხასიათის მქონე ძეგლები ორი რიგისაა. ამათგან პირველი ხასიათის ნაგებობები თავის სიდიდის გამო ადგილზევე საჭიროებენ დაცვასა და მოვლა-პატრონობას, მეორენი კი – ერთ რომელიმე წინასწარ შერჩეულ ადგილზე გადმოტანას, ექსპონირებასა და დაცვას.

პირველის მაგალითია ისეთი კომპლექსური ძეგლები, როგორიცაა ხევსურეთში სოფელი შატილი, სვანეთში სოფელი ლახირი, ხოლო მთა-თუშეთში სოფელი დართლო.

ეს კომპლექსური ძეგლები იშვიათსა და შესანიშნავ სოფლური დასახლების ტიპს წარმოადგენენ. სოფელი შატილი მიუვალ კლდეზე ნაგები თავისი ცადაზიდული სახლებით, ხოლო სოფელი ლახირი,

[1] იხ. И.В.Маковецкий, Принципы организации музеев под открытым небом и их задачи, "Советская этнография", в 2. Москва, 1963; Пионтек, Культура народов Востока и музей на лоне природы, Страны и народы Востока, в III. Москва, 1964. გ. პიონტეკი წერს: "На участке, отведенном под музей, имеются почти все типы пейзажей, характерны для Грузии. Разнообразный рельеф позволяет строить экспозиция не на "плоскости", а, если так можно выразиться, "по вертикали" (долинные селения в долине и т.д.). Это очень важно и ценно", გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი თვალწარმტაცი კოშკებისა და ქორედიან სახლებით განუმეორებელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს ქმნიან ბუნებასთან, რომელთან თანაბარი სხვაგან, საქართველოს გარეთაც, არსად არ გვეგულება. ასეთივეა სოფელი დართლო.

მეორე რიგის ძეგლების მაგალითია სოფლური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ის კომპლექტები, რომლებიც, ისევე, როგორც ზემოდასახელებული სოფლები, შექმნილია უშუალო მწარმოებლის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული გამოცდილების, დაკვირვების, ესთეტიკური შეგრძნების წყალობით. ასეთ ძეგლებში ჩაქსოვილია ხალხის სული და გული, მისი აზრი და გრძნობა, მისი ოსტატობა.

სათანადო ისტორიულ პირობებში და გარკვეულ ხანაში ხალხის მიერ შექმნილი ამგვარი ძეგლები ჩვენს დრომდე მეტ-ნაკლებადაა მოღწეული.

ჩვენს სოციალისტურ ხანაში ისინი ძველი დროის გადმონაშთია, რომლებმაც მოჭამეს თავისი დრო და სწრაფად ქრებიან ყოფაცხოვრებიდან. ჩვენი ვალია ხალხური შემოქმედების სამაგალითო ნიმუშები შევუნახოთ შთამომავლობას. მათი მიხედვით შემდგომი თაობები გაეცნობიან რეალური საგნებიდან ხალხის ძველ ყოფასა და კულტურას, ხოლო სწავლულები გამოიყენებენ კვლევის საგნად.

ნეულებრივი ტიპის მუზეუმებში, დახურული შენობების ჭერქვეშ ასეთი მონუმენტური ძეგლები ვერ მოთავსდება. შენობაში შენობის მოთავსება, მით უმეტეს, რომ მას ახლავს შენობების კომპლექსი და შესაფერისი ლანდშაფტი – მოუხერხებელია. ამიტომ მიზანშეწონილია ასეთი ძეგლების გადმოტანა, ერთ წინასწარ შერჩეულ ადგილზე თავმოყრა, ექსპონირება და დაცვა. ამისათვის ბევრ ქვეყანაში გამოყენებულია მუზეუმის ის სახეობა, რომელსაც მუზეუმი ღია ცის ქვეშ ეწოდება.

ასეთ მუზეუმებში გადმოტანილია ხალხური ყოფისა და კულტურის მონუმენტური ძეგლები და დადგმულია სათანადო ბუნებრივ გარემოცვაში, სადაც მათ უვლიან, ინახავენ და პატრონობენ. აქ დამთვალიერებელი ეცნობა არა მარტო ძეგლების გარეგნულ სახეს, არამედ მათ ინტერიერს, შინაგან მოწყობილობას. ის შედის შენობაში, ათვალიერებს მის სათავსოებს და მორთულობას. ზოგიერთ ასეთ მუზეუმში ღია ცის ქვეშ დროდადრო ძველებურ ხალხურ დღეობებს ატარებენ და ხელოსნები ხელსაქმობენ კიდეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მხედველობაში არ მივი-

გურია. სამზადი. სოფ. გორაბერეჟოული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებთ სკანდინავიის ქვეყნების პრაქტიკას, სამუზეუმო მშენებლობის ამ სახეობაში, ბევრ სხვა ქვეყანაში ამგვარი მუზეუმები ბოლო დროს მოეწყო, ან კიდევ მოწყობის პროცესშია.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ღია ცის ქვეშ მუზეუმის სტრუქტურისა და მისი ორგანიზაციის პრინციპები მსჯელობის საგანია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში. ამ საკითხს მიეძღვნა საკავშირო სამუზეუმო სამეცნიერო სესია, რომელიც შედგა ქ. რიგაში 1962 წლის ივნისში, ეს საკითხი განხილული იყო ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესის მუზეოლოგიის სექციის სხდომაზე, სადაც რამდენიმე მოხსენება იყო წაკითხული სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების მიერ.

ღღეისათვის ღია ცის ქვეშ მუზეუმი მრავალ ქვეყანაშია მოწყობილი, რიცხობრივად ყველაზე დიდი რაოდენობით სკანდინავიის ქვეყნებშია გავრცელებული. თავდაპირველად ამ სახის მუზეუმი შვეციაში ჩაისახა. ევროპის კონტინენტზე აღნიშნული მუზეუმები, ძირითადად, თუ ბუქარესტის მუზეუმს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩრდილოეთის მხარეებშია მოწყობილი (შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, ჰოლანდია, ლატვია, ესტონეთი) და აგებულია სათანადო ბუნებრივ გარემოცვაში. მაგრამ ეს გარემოცვა სიბრტყეს ოდნავ თუ სცილდება. მისი ვერტიკალური ამპლიტუდა მცირე სიმაღლეებით განისაზღვრება. ასევე სიბრტყეზეა მოცემული ბუქარესტის მუზეუმი-სოფლის ექსპოზიცია. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ეს მუზეუმები, უმთავრესად, მცირე გამონაკლისის გარდა, ხისგან აგებული შენობითაა დაკომპლექტებული. ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ აღნიშნული მუზეუმები მაგალითად, ეტალონად საქართველოში ჩვენ არ გამოგვადგება.

იმდენად, რამდენადაც ღია ცის ქვეშ მუზეუმში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მათი შინაგანი ინტერიერითურთ, მიზნად არის დასახული ყოველგვარი ნაგებობა იყოს წარმოდგენილი თავის ბუნებრივ გარემოცვაში და თითოეული მათგანისათვის შესაფერის პირობებში. ეს გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო არეებს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის ძირითადი დამახასიათებელი მაჩვენებელია ვერტიკალური ზონალობა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენში დასახლებული პუნქტების სიმაღლეების ამპლიტუდა 10 მეტრიდან – 2250 მეტრამდეა ზღვის დონიდან, ეს უკიდურესი დასახლება უშგულის თემია სვანეთში.

როგორც ცნობილია, საქართველოში მთას უჭირავს საერთო ფართობის 53.6%, მთისძირა ხოლს – 33.4%, ხოლო დაბლობს – 13 %. ვერტიკალური ზონალობა რომ დამახასიათებელია საქართველოსათვის, ეს კარგად აქვს შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1772). ვახუშტი წერს: „ლიგანის ხეობა „ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით,

თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით... ვენახით შემკობილი მარცვლეული ყოველნი ნაყოფიერებს. ჰავით არს ზაფხულ ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლო რებენ მთანი თოვლიანნი და აგარანი მშვენიერებით აღმკულნი ჯამისა და ნახევარჯამისა სავალთა.[2] ასევე ნიადაგების მხრივ ვერტიკალურ ზონალობას კარგად აღწერს ვ. დოკუჩაევი: „Почвенные полосы расположены здесь (на Кавказе) не с севера на юг, как в низменной Европейской России, а благодаря весьма значительным возвышенностям Кавказского перешейка (до 18 тысяч футов), имеющим, как известно, свои особые климатические, растительные и иные физико-географические особенности, – снизу вверх, от побережий Черного (латериты) и Каспийского (южные полупустынные белоземы) морей к полярным вершинам Эльбруса, Казбека, Алагеза, Арарата и др., причем черноземный пояс занимает в вулканическом Закавказьи высоты примерно от 5 до 7 слишком тысяч футов“[3]. ეს დებულება კარგად აქვს დასაბუთებული საკუთრივ საქართველოს მიმართ მ. საბაშვილს თავის ნაშრომში „Почвы Грузии“,[4] ასევე ნ. კეცხოველს, რომელიც მკვეთრად გამოყოფს ვერტიკალურ ზონებს მცენარეთა საფარის მიხედვით.[5]

ს. გულისაშვილიც აგრეთვე კავკასიის ვერტიკალური ზონების ძირითად ინდიკატორად მცენარეულობას მიიჩნევს.[6] ვერტიკალურ ზონალობას ემორჩილება კლიმატიც და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ, როდესაც ვამბობთ ბუნებრივ ზონებზე, მხედველობაშია მიღებული ის წესები, რომელიც ადამიანს მიუძღვის ბუნების გარდაქმნის (დესტრუქციის) საქმეში თავისი სამეურნეო ინტერესების შესაბამისად. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ისიც, რომ ბუნებრივი ზოლის ზოგიერთი მაჩვენებელი არა პირველადი, არამედ მეორადი წარმოშობისაა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების წყალობით. თავისთავად ცხადია, რომ ბუნებრივ ზონებს მისი შესაბამისი ადამიანის საქმიანობა და მისი მეურნეობა შეეფარდება.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწეობდა, თავის „გეოგრაფიაში“ საქართველოს შემდეგ ვერტიკალურ-ბოტანიკურ-აგრონომიულ არეებად ყოფდა: თურინჯ-ნარინჯის, ბრინჯ-ბამბის, ვენახ-ხეხილის, უვენახო-უხეხილოს, ბალახ-ყავილოვანის და საზამთრო ხაძოვრებისა.

ასეთი ისტორიულად გამომუშავებული ბუნებრივ-სამეურნეო არეები კარგად შეიმჩნევა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ დაყოფაშიც, რომელიც დამოწმებულია ქართულსა და სხვა წყაროებში.

---

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1942,გვ. 46.

[3] Докучаев, Предварительный отчет об исследованиях на Кавказе летом 1899 г., Тифлис, 1899, с. 19.

[4] М.Сабашвили, почвы Грузими, Тбилиси, 1947.

[5] ნ. კეცხოველი კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.

[6] З.Гулисашвили, Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, Москва, 1964

ლ. მროველის (XI ს.) მიხედვით, რომელიც ემყარება ჩვენთვის უცნობ წყაროს, იბერიის სამეფო მეფე ფარნავაზის დროს (IV-III სს. ძვ.წ.) დაყოფილი იყო 9 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად, ასევე ვახტანგ გორგასალის დროს (Vს.) იბერია-ქართლში იგივე დაყოფა დასტურდება, ოდნავ უფრო მეტად დანაწევრებული. ხოლო დავით აღმაშენებლის დროს უფრო მეტად დასავლეთ საქართველოა დაყოფილი.

ამგვარივე მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი XVII-XVIII სს. საქართველოსათვის: ქართლი, ჰერეთი, კახეთი კუხეთითურთ, თუშეთი, კავკასიის შინა ქვეყანა (პირიქით პროვინციები), სამცხე-საათაბაგო და ეგრისი ანუ აფხაზეთი. ნიშანდობლივია, რომ ეს მსხვილი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ერთეულები თავის შიგნით ხეობების დაყოფას ემყარებოდნენ, როგორც ეს გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშილს: „მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „ხევიც“ იხმარებოდა. ქვეყნის ხევებად დაყოფა გეოგრაფიულ თავისებურებებზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო.“[7]

ზემოთქმულის შესაბამისად საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეები შემდეგ ძირითად ზოლებად წარმოგვიდგება: მთა, მთისძირი ანუ ფერდა და ამათ შორის არსებული ბარი. რამდენადაც საქართველოს რელიეფს ახასიათებს მრავალი ხეობით დასერილობა, რომელთაგან ზოგი სიგრძის, ხოლო ზოგი ვერტიკალური მიმართებით არიან კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ქედებთან, თითოეულ ძირითად ზოლს თავის შიგნით თვისი ბარი, თვისი ფერდა და თვისი მთა გააჩნია. ისე რომ, მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მეღავნდება.

მაგალითად, ხევსურეთის ისეთ უკიდურეს მთას, როგორიც არხოტის თემია, მდ. ასას ხეობაში აქვს თავისი ბარი, სადაც ქერი მოჰყავთ (საქერეები ეწოდება), მთის ძირი ანუ ფერდა, სადაც თესენ სვილას (სასვილეები ეწოდება) და თავისი მთა, სადაც საძოვრებია მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის (სახაროვანე) და მის ზემოთ ტიტველ-შიშველი. ამასთან ერთად, საქართველოში მრავალადაა დიდი თუ პატარა მიკრორაიონები, რომლებიც სპეციფიურობას ქმნიან. მაგალითისათვის დავასახელებთ ისეთ მიკრორაიონს, როგორიცაა ოკრიბა, რომელიც „არს მცირე მთაგორიანი, ტყიან-ბალახიანი, ყვავილიან-წყაროიანი... და არს ამათ (მთებს შორის – გ.ჩ.) შინა ქვეყანა, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა ნარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა, არამედ ვენახი მაღლარი, ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი, პირუტყვი არ ძვირობს,

[7] ივ. ჯავახიშვილი – ქართული სამართლის ისტორია, წ.I, ტფ. 1928. გვ. 143; შდრ. Н.Адонц. Армения в эпоху Юстиниана Великого, СПБ. 1911; ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტ. გეოგრ. კრებული, I, თბ., გვ. 15; დ. ბერძენიშვილის და გ. ცქიტიშვილის წერილები, იმავე კრებულში, II, თბ., 1964; ი. გაგოშიძე, ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობაში, თბ., 1964.

ფრინველნი და ნადირნი მრავალნი".[8] აქვეა საბადოები რკინისა, გიშრისა და სხვ. ასევე გამოყოფილია მიკრორაიონად გრემისხევი. „არა არს გრემის -ჭევს ვენახნი და ხილნი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი".[9]

ბელელი. სოფ. ბადდადი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ მიკრორაიონში უძველესი დროიდან არსებობენ დაბ-ების და დაბ-ანის სოფლური დასახლების ერთეულები.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებული მთის ზოლი ორი განაყოფისაგან შედგება. ერთია კავკასიონის მთები, რომელიც იწყება დალთან აფხაზეთში და თუშეთში მთავრდება, მეორე მცირე კავკასიონის მთებია, საქართველოს სამხრეთის ზოლს რომ განეკუთვნება. მასშია ჩართული ისტორიული საქართველოს სამხრეთის პროვინციები – ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლაზეთი.

ამ მთებს შორის მოთავსებულია ბარის საქართველო, რომელიც იწყება შავი ზღვის სანაპიროზე და შირაქის ველით მთავრდება. ხოლო, რაც შეეხება გარდამავალ ზოლს, ის ორივე მთის ძირს ჩასდევს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მაგ., ლაგოდეხიდან, უკეთ გიშიდან დაწყებული, გათავებული ლიხნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბარს, ჩრდილოეთიდან სამხრეთით კვეთს სურამის ქედი, რომელიც ამავე დროს ამ ორ მთას ერთმანეთს უკავშირებს. უნდა ითქვას, რომ სურამის ქედი განსაკუთრებით ელფერს აძლევს, სხვა მონაცემებთან ერთად, დასავლეთის და აღმოსავლეთის მთას და ასევე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბარს.

ეს დაყოფა სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად კარგად ეგუება ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითად პროცესს. ქართველი ხალხის შექმნაში წილი უდევს სამხრეთ კავკასიონის მთიანეთის

---

[8] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1942.გვ. 165

[9] იქვე. გვ. 64

ტომებს – სვანებს და ფხოველებს, ბარის მოსახლეობას – კოლხებს და იბერებს და მცირე კავკასიის მობინადრეებს – მესხებს.

ჯერ კიდევ ადრე სტრაბონს ჰქონდა შენიშნული, რომ კოლხეთისა და იბერიის ბარი მთებს შორის მდებარეობს ფაზისისა და მტკვრის აუზში, რომ ის წარმოადგენს ფართო ყელს (სტრაბონი ხმარობს ტერმინს ისთმო-ს) და არა ვიწრო სრუტეს, როგორც ეს შეცდომით წარმოუდგენიათო. სტრაბონი იბერიასა და კოლხეთში მრავლად ასახელებს ხეობებს, ისევე როგორც პტოლომეიოსი და ანანია შირაკაცი.

ჩვენ მიერ ზემოთდასახელებულ სამ ძირითად ზოლს თუ სამეურნეო თვალსაზრისით გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ არსებობს მკაფიოდ გამოსახული ნიშნები. ასე მაგალითად, ბარისათვის დამახასიათებელია: დიდი გუთანი 7-8 უღელი ხარით, დიდი მოდგამი, დიდი ქვევრი, დიდი გელაზი, დიდი ბარული ურემი, კევრი, ხოლო მთისათვის – აწანა სახვნელი ერთი უღელი ხარით, მოძრავი, საქონლის ფეხით ლეწვა; ფერდაში ორხელა სახვნელი 2-4 უღელი ხარით, ჩოხიალა ურემი და ბოლოთრია, მოდგამი და სხვა. ნაგებობების მხრივ მკვეთრად გამოირჩევა მთისათვის ვერტიკალური განზომილებით ერთჭერქვეშ მოქცეული შენობა, რომელშიც მოცემულია როგორც ადამიანის საცხოვრებელი, ისე საქონლის სადგომი, როგორც ადამიანის, ისე საქონლის მარაგის სათავსოები, ხოლო ბარში ნაგებობანი ჰორიზონტალურ განზომილებაშია მოცემული: ცალკე ნაგებობა ცალკე სახურავით თითოეული დანიშნულების შენობისათვის. რაც შეეხება გარდამავალ ზოლს, აქ უპირატესად ნარევი ტიპის ნაგებობებთან გვაქვს საქმე.

ასევე კარგად ჩანს ამგვარი დანაწილება დასახლების ტიპების მხრივაც.

ჩვენს მიერ დასახელებულ ძირითად ზონებს თავის შიგნით აქვს ქვეზონები. მთას აქვს თავისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეზოლი, ხოლო თითოეულ მათგანს ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეულები: ზემო სვანეთი (დალითურთ), მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი. სამხრეთის მთას – მესხეთ-ჯავახეთი, არტანი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ზემო აჭარა, ჭანეთი (ხალდეა). ასევე, ბარის ქვეზოლებშია კოლხეთის დაბლობი (სამეგრელო, გურია, ქვემო აჭარა), კახეთი და საინგილო შირაქით.

იმდენად, რამდენადაც ღია ცის ქვეშ მუზეუმში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობები მათი (შინაგანი) ინტერიერითურთ, უნდა აისახოს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, სახელოსნოები, მაღაროები, . ხიდები, გზები და სხვა. მიზნადაა დასახული ყოველგვარი ნაგებობა წარმოდგენილი იყოს თავის ბუნებრივ გარემოცვაში და თითოეული მათგანისათვის შესაფერის ანსამბლში. ეს გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო არეებს, რომლისთვისაც ძირითადი დამახასიათებელი მანვენებელია ვერტიკალური ზონალობა.

ზემოთქმულის შესაბამისად საქართველო დაყოფილია 10 ძირითად გეოგრაფიულ-ეკონომიკურ ზონად: ცენტრალური ზონა (შიდა და ქვემო ქართლი), აღმოსავლეთის ზონა (შიდა კახეთი ქიზიყითურთ და გარე კახეთი), სამხრეთი ზონა (სამცხე ჯავახეთი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აღმოსავლეთის მაღალმთიანეთი (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, ხევი), კოლხეთის დაბლობი (გურია-სამეგრელო), რიონის ზეგანი (იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და დასავლეთის მაღალმთიანეთი. მეთერთმეტე ზონა განკუთვნილია ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებისათვის, ხოლო მეთორმეტე – ადმინისტრაციულ-ტექნიკური ნაგებობებისათვის. გარდა ამისა, იქნება მწვანე ზონები, წყალვარდნილები და ტბა.

აჭარა. საცხოვრებელი სახლი. სოფ. კირნათი. ხელვაჩაურის რაიონი

ცენტრალური ღია ცის ქვეშ მუზეუმის არსებობა არ გამორიცხავს ეთნოგრაფიული ანსამბლების – ნაკრძალებისა და რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმების არსებობას. რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის პირველი ცდა მოგვცა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

სახიმინდე. სოფ. მირველი. ხელვაჩაურის რაიონი

სამუზეუმო ობიექტების ორიგინალებისა თუ მათი პირების საკითხი ექსპონირებისათვის პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მაკეტის თუ პირის გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმული ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპიური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის დაშლა ნაწილებად და ჩამოტანა, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისეთივე



გურული კარმიდამო

ეფექტს იძლეოდეს, როგორიც ეს იყო მისთვის (ძეგლისთვის) ადგილზე დამახასიათებელი.

როგორც ვთქვით, საქართველოში საცხოვრებელი ადგილები სიმაღლეების მიხედვით ერთმანეთისაგან დიდი ამპლიტუდით ხასიათდებიან. მაგრამ არა მცირედია თითოეული მოსახლის სამოსახლოს და სასახლის რადიუსი. დასავლეთ საქართველოში თერმეტი სხვადასხვა სახის ეზო-კარმიდამოს კომპლექტი გვაქვს. მთაშიც, სადაც, ერთი შეხედვით, მეტად შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი, სიმჭიდროვე იმდენად დიდია, რომ ერთი სახლის ბანი მეორის კარიპანია. აქაც დასახლების ერთეულის არე ფართოა. მთიელს ერთი ბინა საცხოვრებელ სახლში აქვს, სადაც საქონელიც უდგას, მაგრამ ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოსაკვებად საჭირო მარაგს ერთ ადგილზე ვერ აგროვებს სათიბების სიშორის და თივის მარაგის ერთ ადგილზე დაგროვებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო. ამიტომ ზამთრის მეორე ნაწილში, ან გაზაფხულის პირზე მას საქონელი სხვა ბინაში გადაჰყავს, რომელიც სოფლის გარეთაა აგებული, სადაც საქონლის საკვების მეორე ნაწილია დაგროვებული. ამრიგად, სოფლის გარეთ მოთავსებული ბინა, მთიელს შეიძლება ორი-სამი ჰქონდეს, საქონლის რაოდენობის მიხედვით.

ასეთ პირობებში მთიელის ოჯახი დროის გარკვეულ მანძილზე ნაწილდება. ერთი ნაწილი ძირთადად სახლში რჩება, ხოლო მეორე საქონელთან ერთად სოფლის გარეთა ბინაში გადადის ისე, რომ ოჯახის წევრები ერთურთს ეთიშებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლების ასეთ ვითარებაში სიზუსტის დაცვა სახლისა და ბინების ჩვენების დროს მანძილის მიხედვით გაძნელდება, რაგინდ დიდი ფართობი არ უნდა ჰქონდეს მუზეუმს თავის განკარგულებაში. სულ სხვაა, როდესაც საჭიროა საზაფხულო ბინების ჩვენება. მაგ., ხულასახლი აჭარლებისა თ ა შ ი, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული ძირითად თ ხ ო რ ე ს მოსახლეს. აქ ის ბუნებრივ არეში მოექცევა და მისი ექსპოზიცია სავსებით გამართული იქნება.

ღია ცის ქვეშ მუზეუმში ექსპონირებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო-სარეწაო ნაგებობათა ინტერიერის ინვენტარი და იარაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელსაწყოები ორიგინალების მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით ისინი, თავიანთი შთამბეჭდავი ძალით, მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან.

გურია. ბელელი სოფ. ლიხაურიდან, სასიმინდე სოფ. ცხემლის-ხიდიდან

არ არის გამორიცხული, რომ ღია ცისქვეშ მუზეუმში ექსპონირებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო-სარეწაო ნაგებობებში ცხოვრობდნენ დროდადრო შესაფერის კოსტიუმში გამოწყობილი პირები და ხელოსნები, რომელთაგან უკანასკნელნი შეიძლება ამზადებდნენ ხალხური ხელსაქმის ნიმუშებს მნახველთა შორის გასავრცელებლად. მაგალითად, ხალხურ კერამიკულ ჭურჭელს, მჭედლობის ნიმუშებს, ხისკვეთილობას, ლითონისა და გიშრის სამკაულებს და სხვ.

რაჭა. შუა სახლი სოფ. პირველი ტოლადან. (ამბროლაურის რ-ნი)

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი უნდა იყოს არა მარტო საცავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლებისა და მათი ინტერიერისა, არამედ, ის უნდა იყოს ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საექსპოზიციო პავილიონში ნაჩვენები იქნება ხალხური ხელოვნების ახალი ნიმუშები, აქ უნდა იყოს ლექტორიუმი კინო-ეკრანით ლექციების ჩასატარებლად და კინოსურათების საჩვენებლად. აქვე იქნება სამეცნიერო კაბინეტები სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად. აქვე უნდა ეწყობოდეს ჩვენი და საზღვარგარეთის სახალხო გუნდების გამოსვლები, ისევე როგორც სახალხო დღესასწაულები (მაგალითად, სვანური ლამპრობა, ბერიკაობა და სხვ.) და ფესტივალები.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დიდი ეროვნული საქმე წლების მანძილზე დაძაბული შრომის შედეგად ხორცს შეისხამს და დირსეულად წარმოაჩენს ქართველი ხალხის ხუროთმოძღვრებისა და ყოფით ძეგლებს.

1971წ.

V თავი

საველე ეთნოგრაფიული ძიებანი

ეთნიკური სახის შენარჩუნებისათვის

ყოველ ერს ისტორიული განვითარების მანძილზე თავისი ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი თავისებურებები უჟალიდება როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრების სფეროში. ეს თავისებურებები დიდ ნაწილში თვითმყობადია და თაობიდან თაობაში გადაეცემა მრავალგვარი კულტურული და ყოფითი ტრადიციის, წესის, ჩვეულების სახით. ეს ყველაფერი, ამავე დროს, ის მთავარი ნიშნებია, რომლებიც, მშობლიურ ენასთან ერთად, ამ ხალხის საკუთარ ეთნიკურ იერსახეს განსაზღვრავს და რომლითაც ეს ხალხი სხვა ხალხისაგან განირჩევა.

ქართველებს ხანგრძლივი განვითარების პროცესში თავისი ეთნიკური სახის განმსაზღვრელი ასეთი ბევრი თავისებურება გასჩენია. ქართველები არა მარტო დიდი ისტორიის, არამედ მდიდარი ტრადიციების ხალხია.

ამ ტრადიციებში ბევრი რამ მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულადაც. მართებულად ჰქონდა შენიშნული ილია ჭავჭავაძეს: ხალხში მრავალი მარგალიტია გაბნეული, რომელთაც ცოდნა და დაფასება სჭირდებათო. ამავე დროს, თავისი მხატვრული თუ პუბლიცისტური კალმით ობიექტურად აფასებდა ავსა და კარგს, საჭიროს და უსარგებლოს.

მე უკვე მეცხრე ათეულ წელში ვიმყოფები. აქედან 60 წელზე მეტია, როგორც სპეციალობით ეთნოგრაფი, ხალხში ვტრიალებ, დავლილი და შესწავლილი მაქვს მთელი საქართველო, მისი მთაბარი, ვსწავლობ ხალხის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ტრადიციებს, ნივთიერ კულტურას, ეთნოისტორიულ პრობლემებს.

ფრანგები ეთნოგრაფიას ტრადიციების შემსწავლელ მეცნიერებად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ ამ დისციპლინას კვლევის უფრო ფართო საგანი აქვს, სახელდობრ ხალხის ყოფა და კულტურა, ფრანგების განმარტება მნიშვნელობას მოკლებული არ არის. ტრადიცია ისტორიულად გამომუშავებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ჩვეულებაა, წესია, ქცევის ნორმაა. ტრადიციები მრავალფეროვანია: დადებითი და უარყოფითი, ძველი და ახალი... ტრადიცია ცხოვრებისეული მოვლენაა, საზოგადოების განვითარების პროცესში ჩასახული და საშვილიშვილოდ თავშემონახული. ეთნოგრაფი, სწავლობს რა ხალხის ყოფას და კულტურას, ავლენს და სწვდება ამა თუ იმ ტრადიციის არსს, მის გამძლეობას.

ადრე გვითქვამს და ახლაც ბევრი გვაქვს ეთნოგრაფებს სათქმელი. საქართველოს მთა იცლება, გაუკაცრიელდა შესანიშნავი მხარე მთათუშეთი, არაფერი არ არის იმაზე საშინელი, იხილო უადამიანოდ დარჩენილი სოფელი, დაცარიელებული ხახლები და აბალახებული გზები, ბევრად უკეთეს დღეში არ არის ხევსურეთი, ქვემო და ზემო



რთველი კახეთში
(მხატვარი ზ.წერეთელი)

დასახლების ტიპი (ქახეთი, სოფ. აკურა)

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ქართლის ქართული სოფლები, რაჭა და სხვა. არაერთგზის წამოგვიყენებია კონსტრუქციული წინადადებანი არა მარტო რომელიმე კუთხის შესახებ, არამედ ცალკეულ სოფლებზედაც კი, მაგრამ ყოველივე ამას შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ მივხედავთ და გადავარჩენთ საქართველოს მთას, ქართველ კაცს ხომ ყოველთვის ჰქონდა მშობლიური სოფლის, კუთხის სიყვარული, მიწის დამუშავების, ბაღ-ბოსტნის მოვლის მოთხოვნილება და იგი უნდა შევინარჩუნოთ, გავაღრმავოთ. ყოველგვარი საშუალება უნდა ვიხმაროთ ამისათვის.

ნემს მუშაობაში ბევრჯერ დავმტკიცებულვარ ხალხური ტრადიციული საქმიანობის შედეგებით, თვალებში შემიხედავს ხალხური სიბრძნისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი ნორმებისა და ტრადიციული ჩვეულებისათვის, განმიცდია ქართული საქორწილო დღესასწაულის ლირიკა და მიმზიდველობა, შევსწრებივარ მწუხარებისა და გლოვის ჟამს ოჯახში, სოფელში.

და უნდა გითხრათ, რომ ყველგან და ყოველთვის შემინიშნავს ყველაზე მთავარი – ზომიერების გრძნობა და ქცევის შეგნებული კონტროლი.

საოცრად ალალმართალი იყო ქართველი მშრომელი ადამიანი, მან იცოდა თავისი გაწეული შრომის ფასი და სიკეთეს ამის მიხედვით იმკიდა. ეხურა ნამუსის ქუდი. აკი მას ისტორიის დიდ მანძილზე შრომის დაუწერელი კოდექსიც კი ჩამოუყალიბებია, რაც შრომაში თანადგომის, მხარდაჭერის, ურთიერთმიგების, ურთიერთდახმარების ზნეობრივად ამაღლებული საზოგადოებრივ ტრადიციებში ჰპოვებდა გამოხატულებას; ეგეევ იყო, თუ გნებავთ, ქართული პატივმოყვარეობის ტრადიციის საფუძველი.

ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში, სამწუხაროდ, ყოველივე კარგი ძლიერ შეილახა. წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა წარსულში ჩვენს ზნეობრივ ტრადიციებს მომხვეჭელობისა და ქორვაჭრობის ისეთი დაუოკებელი სენი რომ მორეოდა, როგორიც ბოლო ხანებში და რასაც სრულიად სამართლიანად დღეს შეურიგებელი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ხალხმა.

ძველადვე ღრმა შინაარსის მოკლე სახელი დაურქმევია ქართველ მშრომელ ადამიანს თავისი ნაღვაწისათვის ჯ ი რ ნ ა ხ უ ლ ი. ეს სახელწოდება ტრადიციულია და ძლიერი სოციალური ჟღერადობაც აქვს, მახვილს უკეთებს შრომით გაწეულ ამაგს. მოჯირნახულე გადატანითი მნიშვნელობითაც ხომ მოამაგეს ნიშნავს. შრომაში გაწეულმა ამაგმა დაფასება იცის, ხოლო ამაგის სიკეთე პირველად მისმა გამწევმა უნდა შეიტკბოს. მე ძალზე ვეჭვობ, რომ მაგალითში, პეტროზავოდსკში თუ ნიტაში ტონობით ვაშლის სავაჭროდ ჩამტანები შრომითი ამაგდარები იყვნენ, ზრუნავდნენ ქართველი კაცის ტრადიციულ შრომით ღირსებაზე, ან საერთოდ რამედ ულირდეთ ქართველი კაცის სახელი.

ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეებს გამოატარეს ვახი, შრომისა და სიყვარულის უძველესი სიმბოლო. დღეს ვახის ჯიში და ვენახის

ტიპი ქრება, იღუპება. ისპობა ქართული ღვინის დაყენების ხალხური წესები და შესაბამისი იარაღ-ჭურჭელი.

ათეული წლების მანძილზე ქართველი ეთნოგრაფები სისტემატურ, გეგმიან, საექსპედიციო მუშაობას ეწევიან ჩვენს მთასა და ბარში, დიდსა თუ პატარა დასახლებულ პუნქტებში. ისინი იკვლევენ, სწავლობენ, აღნუსხავენ ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ყველა მხარეს, ყველა მოვლენას, იქნება ეს ნივთიერი და სულიერი კულტურა, თუ შრომითი საქმიანობა.

იმ თავისებურებათა შორის, რაც ხალხურ კულტურას ახასიათებს, ზოგი რამ ღრმად შთამბეჭდავი, დიდი ემოციური ზემოქმედების მქონე და შთამაგონებელია. საქართველო მდიდარია ბუნების ნაირ-ნაირი ხეობებით. ერთი ხეობა მეორისაგან განსხვავებულია თავისი სილამაზით, მაგრამ არანაკლები სილამაზისაა ჩვენი ხითა და კირით ხუროთა მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე შექმნილი, გარემოცულ ბუნებას მისადაგებული მონუმენტური ძეგლები.

ამ რიგის ძეგლებს განეკუთვნებიან სოფლური დასახლებანი, საფორტიფიკაციო ნაგებობანი და საცხოვრებელი შენობები. ნივთიერი კულტურის ამ ძეგლებში ნაქსოვილია მათი შემოქმედების ღრმა აზრი, ფაქიზი გრძნობა და მაღალი ოსტატობა.

ამის მაგალითებია სოფელი დართლო და ეღო თუშეთში, შატილი – ხევსურეთში, გერგეტი – ხევში, ლახირი – სვანეთში. სოფელი შატილი მიუვალ კლდეზე ნაგები თავისი ცად აზიდული საცხოვრებელი სახლებით, სოფელი ლახირი თავისი თვალწარმტაცი კოშკებითა და ქორედანი სახლებით ისევე როგორც სოფელი დართლო მთის ფერდობზე ბაქან-ბაქან შეფენილი სახლებით განუმეორებელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს ქმნიან ბუნებასთან შერწყმულს, მასთან შეხამებულსა და მასში ყალმით ჩახატულს. გიკვირს, რა ხელმა, რა აზრმა შექმნა ეს გასაოცარი და მომაჯადოებელი სურათები.

ასეთივე თვალწარმტაცია და მომხიბვლელი დასავლეთ საქართველოს კარმიდამო თავისი კოიხდრიანი ეზოთი, ოდა-სახლით, სამზადი სახლით, ნალიით, ჭით, ჭიშკრით, ბოსტნით, სავარდით, სახილეთი. განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი აღნაგობითა და მასალით ისეთი მარტივი საცხოვრებელი, როგორიც იყო ფაცხა, რომელიც შესანიშნავად დაახასიათა აკაკიმ:

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წარმოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილი წნელით მოდობილი.“

ჩვენ არას ვამბობთ ადრე არსებული ქართლ-მესხეთის გლეხურ დარბაზზე, თავისი შესანიშნავი დედაბოძით, გვირგვინიანი სახურავით და კედლებში დატანებული თახნებით, ან კიდევ კახეთის ვენახებსა და ქართლის ბაღებში ჩამჯდარი სახლ-კარის მშვენებაზე.

დღეს ჩვენს სოფელში ფართო მშენებლობა მიმდინარეობს. ახალი ცხოვრება ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანის საცხოვრებელს და

ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორ სოკოებივით მრავლდება ორსართულიანი შუშაბანდიანი, 8-10 ოთახიანი სახლები. ჩვენი მოსახლეობა ერთმანეთს ეჯიბრება, თუ ვინ უფრო დიდ სახლს აიშენებს. ხშირად ნახავთ თუნუქისაგან გამოჭრილი ფრინველებისა და უსახური ორნამენტებით „შემკულ“ სახლის სახურავებს. კაცი რომ დაუფიქრდეს, ადვილად შეამჩნევს, რომ ახალი სახლის მრავალი ოთახიდან, მხოლოდ ორი თუ სამია გამოყენებული, დანარჩენი კარებგამოკეტილია. არ არის გათვალისწინებული ისიც, რომ ჩვენს სოფლებში შუშაბანდს გაცილებით ჯობია ღია აივანი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ძველებური საცხოვრებელი ნაგებობისათვის და კარგად უპასუხებდა ჩვენს პირობებს.

ამასთან ერთად, ახალი სახლები ხშირად ტრაფარეტით, ბუნებრივი გარემოცვის გაუთვალისწინებლად, იმდენად უგემურად იგება, რომ სოფელმა დაკარგა თავისი სახე, მიმზიდველობა და უშნო და ულაზათო გახდა, რადგან აღარ შეესაბამება მის ლანდშაფტს.

ქრება ქართული სოფლების სრულყოფილი არქიტექტურული ანსამბლები. ფეხი მოიკიდა სახლების მშენებლობაში გაუმართლებელმა შეჯიბრმა. უცნაური მანიით შეპყრობილი ზოგიერთი მომხვეჭი, რომელსაც სურს ყველაზე უკეთესი სახლი ჰქონდეს, რათა თავი მოიწონოს, სინამდვილეში რას აშენებს? უგემოვნო, ხიზილ-პიპილებით „შემკულ“ ქვა-ყუთს, რომელსაც არაფერი გააჩნია ეროვნული, ქართული, ხალხური. ჩვენებური სახლის ტიპები ხომ იდეალურად შეესაბამებოდა საქართველოს თითოეული კუთხის ჰავასა და რელიეფს. ახლა ხელაღებით ირღვევა დასახლების ეროვნული სტილი. ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ თითოეული სახლის მშენებლობა და საერთოდ სოფლის განაშენიანება სრულებითაც არ არის კერძო საქმე. სანამ არ დაგვიანებულა, უნდა შევუნარჩუნოთ ქართულ სოფლებს იერ-სახე და მისი განუმეორებელი კოლორიტი. ალბათ, დადგა დრო, რომ ზოგიერთი სოფელი, ისევე როგორც ქალაქების ძველებური უბნები, ეთნოგრაფიულ ნაკრძალებად გამოვაცხადოთ.

ან თუნდაც ქართული სასოფლო ხატოვანი საფლავის ქვები, ყოჩები თუ ცხენების ქანდაკებები, ბზისა თუ ურთხელის კორომებით შემოსილი, პოეტის თქმისა არ იყოს „უფლისა ხელით იყო დახატული“. ახლა კი იქაც გამართულა შეჯიბრი და ყველაფერი მარმარილოს შეუჭამია, სიმწვანისა და ყვავილების მომცემი მიწა დაუფარავს ქვას.

სად გაქრა ქართული სტუმართმოყვარეობა, უხსოვარი დროიდან რომ იყო განთქმული: სტუმრის პატივისცემა, ზრდილობის რიტუალამდე ამაღლებული ნორმებით, თვით ჩვენს ხასიათში მოცემული მამა-პაპიდან მომდინარე ზომიერება.

დღეს ქართველი ეთნოგრაფების მთავარი საზრუნავი თანამედროვე პროცესებია, თვალი უნდა მივადევნოთ და აღვნუსხოთ ყველა მიმდინარე ეთნიკური პროცესი და ავხსნათ ქართული ეთნოგრაფიული სამყაროს ბუნება. არაფერი არ დავუკარგოთ ხალხს იმ მიღწევებიდან, რაც მის ეთნიკურ სახეს განსაზღვრავს და, ამავე დროს, გამოვავლინოთ ის გაყალბებული ჩვევები, რომლებიც შეიძლება დროთა განმავლობაში მის ბიოგრაფიას მიეწეროს.

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 აგვისტო 1924 წ. გუშინ გამოვედი ტფილისიდან და გუშინვე ხაშურში ვიყავი. აქ ოჯახურმა საქმეებმა დამაბანდა. დღეს ვინახულე სურამის ციხე. სურამელას მარცხნივ ლამაზ კლდე-ბორცვზე აგებული კოხტა ციხე, რომელიც ნაწილობრივად უკვე ჩამონგრეულია. ციხიდან სანახაობა შესანიშნავია. შორს მოჩანს სურამელას ხეობა, კორტოხის გადასავალი, სოფელი ბექამი, გადაჭიმული ფართო ველი და მტკვრის გაღმა თრიალეთი. თვით ციხე თავის აღნაგობით დიდად ჩამოუვარდება სხვა, ახალქალაქის ან აბასთუმნის, ციხეებს. სიმტკიცითაც ვერ იჭერს თავს სურამის ციხე. კირი ვერ არის დულაბივით მტკიცე. ვფიქრობ, რომ ციხის enface კორტოხისკენ იყო მიმართული, ამ მხარეზეა ციხის უმრავლესი სათოფური, თუმცაღა ასეთები, მაგრამ რიცხვით ნაკლები, სხვა მხარეებზედაც არის სამხრეთით. ციხეში კლდე-ნაპირად ეკლესია ყოფილა აგებული, რომლის გუმბათზე კოშკი დგმულა. ეკლესია მოხატული ყოფილა. შემდეგში გაჯით (ან ალიზით) შეულესავთ. გაჯი ჩამოცვენილია. ალაგ-ალაგ ძველი ნახატობა მოჩანს კიდეც: მუქი ქართული ფერები, სანდომიანი სახეები. სამწუხაროდ, ამ სახეების უმრავლესობა, რომელიც კი ძველი გაჯისგან განთავისუფლებულა, მედროვე ვანდალებს (ტურისტებს) თავისი სახელების ამოჭრით წაუბღალავთ. ერთ ფრესკას თავთან წარწერა აქვს ასომთავრული ᲯᲐᲧ. ჯერ კიდევ შეიძლება დარჩენილი გაჯის ფრთხილად ფრესკებიდან აცილება და მოპირკეთება. მაგრამ ვინ იზამს ამას?

სურამი

საკურადღებოა ტაძრის ფანჯრების, შესავალი კარის ჩუქურთმა.

გადაუდებელი საჭიროებაა, ვიდრე ციხე არ დაქცეულა, მისი გაზომვა და შესწავლა. ვიზამთ კი დროზე ამ საქმეს.

აქვე მახლობლად სომხების (ბოლშევიკებისაგან) დაუქმებული ეკლესიაა. მახლობლად ებრაელთა ორი სამლოცველო, ერთი მოქმედი (ძველი) და ერთი დაუქმებული (ახალი, დიდი).

* დღიურში აღწერილი მასალები (ფანქრით ნაწერი, 50 გვ.) ეხება სხვადასხვა საკითხებს. მოცემულია სოფლების – უდე, არალი, ზარზმა, ვალე – ეკლესიების აღწერილობა და წარწერები (თ.ც.)

14 აგვისტო. დღეს უკვე ახალციხეში ვართ. ათასი ანრეკალი მიტრიალებენ თავში მესხეთის გარშემო. სადღაა ძველი ლომეთი, ის არავის არ ახსოვს, დავიწყებულია. დღეს აქ ახალციხეც კი არ იციან, არამედ ახაციხა (ადაციხე?) რადაც სომხურ-რუსული აჯაფსანდალი. ძველი ქართული სისხლი ოდნავ ჯონავს, ოდნავის შესამჩნეობით ქალაქის უძველეს ნაწილში – რაბათში. წყეულმა ოსმალომ გააწალწალავა აქ ჩვენი შვინდისფერი სისხლი და უფერულ



ახალციხე

სუროგატად აქცია. სადღაა აქ ეროვნული შეგნება en masse. ასეთ პირობებშიც კი გინდა, რომ ქართველობა მაინც როგორმე მონახო, აღმოაჩინო და მით გული დაიმშვიდო. და გულს სჯერა კიდეც, რომ აქ ქართველობა ჯერ კიდევ არის და კვლავაც იქნება. განსაკუთრებით სიამის მომგვრელია აქ ქართული ლაპარაკი. ტკბილია ქართველი კათოლიკეების ენა, განსაკუთრებით – ამათი მოზარდი ქალებისა. და აფსუსი არ არის, რომ ეს მდიდარი ქვეყანა, ნოყიერი, მესხები, რომელთაც პოლიტიკურად და კულტურულად საქართველო შექმნეს და რომელთა სისხლი შეიძლება ჯერ კიდევ ჩქეფდეს გურულების პოლიტიკურად ატეხილ ძარღვებში[2], დღეს ნახევრად ქოჩად მავალის ხალხის – სომხების, ოსმალების და რუსების – საჯიჯგნი და სახრავი იყოს? ისტორიის ირონია სწორედ ეს არის. იქნებ ოდესმე აქაც ინათოს საქართველოსათვის.

15 აგვისტო. დღეს ახალი სტილით მარიამობაა. მინდა ერთად შეჯგუფებული ქართველი კათოლიკობა ვნახო. დავაკვირდე მათ სახეს, ქცევას, სიტყვას. მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ ახალი სტილით მხოლოდ ლათინურ წესზე მდგომნი ასრულებენ დღესასწაულებს. სომხური წესის მიხედვით კი დღესასწაულები მახლობელი კვირისთვის

[1] ახალციხის ძველი სახელწოდება (თ.ც.)

[2] ვფიქრობ, რომ გურულების ქართლელებისაგან წარმოშობის საკითხს გადასინჯვა უნდა, ვინაიდან აქ ნნდება ზოგიერთი ელემენტი, რომელნიც აკავშირებენ მესხებ-გურულებს (გ.ნ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადააქვთ ხოლმე, რათა ხალხი არ მოწყდეს სამუშაო დღეებს. ხალხს მოსწონს კიდეც. დააკვირდი: აქ სომხური წესის შეგუებას ცნობრებასთან.

ავედი წმ. მარინეს ტაძარში. მღვდელმა თეთნაშვილმა ამიხსნა, რომ ლათინური წესით დღესასწაულების შემსრულებელნი აქ ძალიან ცოტანი არიან. უმრავლესობა სომხურს მისდევს და ამიტომ ხალხის ნახვა კვირას შეიძლებაო. მატერიალურად მღვდელი ძალზე შეკვიწროებულია. პატრები უსახსრობის გამო წასულან.

[წმ. მარინეს ტაძარი] აგებულია თლილი თეთრი ქვით, ნაცვლად ლიტერატურაში ცნობილი მარინეს სახელობის ტაძრისა. ძველი ეკლესიის, რომელიც დაუნგრევიათ, ქვები ბევრი ახალის ასაგებად გამოუყენებიათ. გვარამაძის თქმით, ზოგი წარწერიანი ქვაც კი დაუმტვრევიათ საშენ მასალად. ეკლესიის გალავანში დღეს ოთხი ქვა გდია მოწყურთმებული, რომელთა შესახებ ამბობენ გაურკვევლად, რომ ძველი ტაძრიდან არის დარჩენილი. ეს ქვებია:



ახალციხის რაბათის ხედი წმ. მარინეს ეკლესია.

პირველი – ოთხკუთხედი წითელი ქვა, რომელსაც ასომთავრული წარწერა აქვს. ქვა უნდა იყოს სვეტისთვის. ერთ გვერდზე ჯვარია გამოყვანილი, მეორეზე კუთხეში ნაჭრილია ჩუქურთმა. მესამე გვერდი აღარ მოჩანს, კედელზე არის მიყუდებული. წინა პირზე ამოჭრილი წარწერა ასე იკითხება:



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე – ქვა-ჯუარი, ტუფი, ზომით X, რომლის პირზე ამოჭრილია ჯუარი სტილიზაციით.

მესამე – ქვა-ჯუარი, ტუფის, მომცრო ზომის V, რომლის პირზე ამოჭრილია ჯუარი, სტილიზებული.

მეოთხე – მოძღვრის სადგომის აღმოსავლეთის კედელთან დევს აგრეთვე ჯუარი-ქვა ტუფის. ზემოთ აღწერილი 1,2,3, ქვების მახლობლად ეკლესიასთან მიწაში (ნახევრად) არის წითელი ქვა, შეიძლება პირველი ქვის ნაწილი იყოს.

შიგ ტაძარში სამხრეთი კედელზე მარმარილოს ქვაა მიყუდებული, ქართულ-სომხურ-ლათინური წარწერით.

1. ესეა სამარე კავკასიის ამიერ S:კ:წი:.
2. ნამძღრს პავლე მ: შაჰყულიანისა
3. შ1771 1855



Hoe monumentum in
Testemonium venerab
ovis Kalsidi armenoxatholicae ecclesie
transcaucasia provincia
archimandrid Paulo schachulian

16 აგვისტო. დღეს რაბათში ვმუშაობთ. გადავიღეთ სტეფანე იანოღაშვილის დარბაზი, დარბაზს აქვს ბუხარი || ოჯაყი, რომელზედაც მხედრული წარწერაა ქვაზე.



აქვე სახლში დგას ქვის ჭურჭელი წყლის შესანახად. ეძახიან წლიქვა||წყლიქვა.

ახალციხე. რაბათის ციხე

მეორე დარბაზი პეტრე ყირქიზლიშვილისაა. ყირქიზლიშვილები ძველი ბატონებია. დარბაზი დიდია. აქვს შესავალი კარები. შიგ ერთი და ორი დარბაზია მიდგმული ოთახებით. აქვეა ნეფე-დედოფლის დასაწოლი აჯილაკი. დარბაზების გუმბათები, კოკოშაკები დღეს ნახევრად გადაკეთებულია. გაწყობილია ხის ავეჯით: განჯინა, სკამლოგინები მოჩუქურთმებულია.

რაბათში სულ 657 სულია. აქედან 72% ოჯახის მუშაა, 71/2 მოხელე, 61/2 ხელოსანი, 5% ვაჭარი, 6 1/2 დაქირავებული მუშა, 2 1/2 მეურნე. ეროვნებით რაბათში ქართველების ოჯახი 131 ანუ 84 %-ია, ბერძნები – 19 - 12%, სომხები 5-4%.



ფეოდალური ხანის აბანოს ხედი ახალციხის რაბათში

აქვეა ძველი დროის აბანო და ციხე.

აბანო უზარმაზარი შენობაა, აღმოსავლურ ყაიდაზე აგებული. ეტყობა, აბანოს ნაწილი აქვე მდგარი ძველი ეკლესიისგან შედგება. აღმოსავლეთ კედელზე დატანებულია ორნამენტებიანი ქვები, ძველი ჩუქურთმებით შემკული, მაგალითად, მტევნების ორნამენტი. აღმოსავლეთით, შუა კარების ზემოთ, დატანებულია სომხურწარწერიანი ქვა, რომელიც ასოასოთი აქა-იქ თუ იკითხება.

ციხე იმდენად საინტერესოა და იმდენად გადაკეთებული, რომ მის შესასწავლად ბევრი დროა საჭირო.

ორ ქედს ხიდი აერთებდა თურმე. ხიდი ნაწილობრივად ამჟამ-ნარჩუნებულია. ერთ ქედზე მხოლოდ კედლების ნანგრევებიდა მოჩანს, სამაგიეროდ მეორეზე გადაჭიმულია სამი და მეტი კედლებით შეხლეწილი ციხე მრავალი შენობით. ჯამე წინათ მოხატული ყოფილა, რესებს შეუთეთრებიათ, ციხეში გაეკვანილია ქვითკირის ხვრელი ფოცხოვის ხეობისაკენ. აქვეა უხარმაზარი ჭა-ორმო. ციხის კედლების ასაგებად გამოყენებულია სხვა შენობებიდან, ეკლესიებიდან, მოტანილი ნუჭურთმებიანი ქვები.

17 აგვისტო. დღეს სომხური წესით კათოლიკების მარიამობაა. ვიჩქარი წმ. მარინეს ეკლესიაში ვნახო ერთად დაჯგუფული მესხობა. ვიხილე – უმრავლესობა ქალებია, ლოცვა-წირვა – ქართულ-სომხური.

ახალციხელი ქართველი ქალები.
XIXს. 90-იანი წლები

სახე მესხისა ქართულია, მაგრამ ნაფიქრებული, დანაღვლიანებული. თავაზიანია, ტკბილი ქართულით [საუბრობს]. თუმცა წირვა სომხური ძლიერ გავლენას აბარებს. იქ, სადაც ქართულად გალობენ თუ ლოცვას ასრულებენ, კილო სიმღერისა სომხური, ეჩმიაძინის ეკლესიაში რომ მომისმენია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველი კათოლიკობა რასიულობის შემნახველი ტიპია. მიუხედავად სომხური რელიგიის გავლენისა და ბევრ სხვათა, ისინი კარგი ქართველები ჩანან.

მარინეს ეკლესიაში ფოტოგრაფიულად გადავიღეთ წარწერიანი ქვა. გუშინ და დღეს, გარდა გადაღებებისა, მ. შავიშვილმა აქვარელით ნახატა ყირქიზაშვილების დარბაზი და იმავე დარბაზის გალავნის შესავალი კარები.

დღეს დავათვალიერეთ აღბაიბურთელების და ფირალიშვილის კოლექციები.

ლ. ბაიბურთელს მეტად საყურადღებო საკოლექციო საგნები აქვს: ბევრი იშვიათი ფული: არშაკიდების, ძველ-ბერძნული, ბიზანტიური; ქართული – გიორგისა, თამარის, დავითის, ერეკლეს. სომხური – ლეონ მეფის. აქვს დიდძალი გემა – მათ შორის დენდროლიტი და ზურმუხტი. მეტად საყურადღებოა მიწიდან ამონათხარი საცრემლე, განსაკუთრებული ფორმის და სქელი შუშისა, პატარა საცრემლე გარედან მოჩუქურთმებული (დაჭრელებული ბრინჯაოს ხაზებით), ბრინჯაოს ღვთაება ადამიანის სახით, ცხოვარი ბრინჯაოსი, ქინძისთავი ორნამენტებით; აგრეთვე ეთნოგრაფიული საგნებიც – დიდი სინი (ფლავისა), საინები და სხვა.

ფირალიშვილთან მინვენეს ბიზანტიური ოქროს ფულები (ორი), ქართული ფულები. ქალის სარტყელი, თავსაკრავი, საგულე და სხვ.

დღეს ისევ ბევრი ვიარეთ ტაჩკის საშოვრად. გვინდა გადავიდეთ ზარზმაში.

ახალციხელი მამაკაცი XXსI ნახ.

18 აგვისტო. დღეს ნახევარი დღე დავდივართ ტაჩკის საკითხის მოგვარებისათვის. იქნება ხვალ. დღეს შევიძინე სამყურა ბალახის მსგავსი პირიანი პატარა სერა, მიწაში ნაპოვნი.

ვინახულე მოღნისი, იქ ორი პატარა ტაძარია, ერთი ნახევრად დაქცეული, წითელი ქვით ნაგები, მას დასავლეთით ერთი კარი ჰქონია, ორიც ფანჯარა. დასავლეთის კედელს ატყვია რაღაც ქანდაკების მსგავსი, თოკის ნუკრთმით.

მეორე ეკლესია ძველის განახლებას წარმოადგენს. შიგ დაცულია სასანთლეები, ხატები უნარნოდ და სომხური ნახატები. აქვეა შეწირულობები: თმები, ძაფები, ნაჭრები. დღესასწაული ეკლესიისა დანიშნულია კვირაცხოველობიდან – ამაღლებამდე, აგრეთვე – 15 აგვისტოს ძვ. სტ. აქვე გდია წითელი ფართო ქვა, შუაში ამოჭრილი ნახვრეტებით.

ახალციხის მაზრაში 67.165 მცხოვრებია: მუსლიმანები, ქართველები, სომხები, თარაქამა, ჭურთი, ბერძნები, თურქები.

ახალციხეში სულ 10.077 მცხოვრებია: სომხები, ქართველები, ებრაელები, რუსები, ბერძნები, ასირიელები, თათრობა.

19 აგვისტო. ქვედა და ზედა სხვილისი (რუკაზე სუფლისი). ქვედა სხვილისში მოსახლეობა აზრუმელი სომხობაა, მხოლოდ ხუთი კომლია მუსულმანი ქართველი, სხვა მუსულმანები აერილია პასკევიჩის დროს და ოსმალეთში გადასახლებულა. ორივე სოფელში არის მუსულმანობა 40-45 კვამლი. სომხობა კი მხოლოდ ქვედაში – 160 კვამლი, ზედაში არ არიან. სომხებს აქვთ სკოლა. სომხობა კიდევ ცხოვრობს დარბაზებში, მუსულმანები იშვიათად. ზოგი სახლი ორსართულიანია.

აქვეა ჯამე ძველი. ჯამეს თაღები ძველად მოხატული ყოფილა.

დავათვალიერე ყოფილი სკოლა მეჩეთე. დღეს შიგ ცხოვრობს სომხის ჯალაბი.

ზედა სხვილისში არის ეკლესია. ეტყობა, ძველ ნასაყდრალზე უნდა იყოს აგებული. როგორც სოფლის მოხუცმა მითხრა, „ნაოხარზე ეკლესია აგებულა ქვისაგან“, ზედ იკითხება წარწერა:

I.ახლის მქმიზანე ხუციევ

2. მან აღვაშენე მართლ.მდ. ის
3. წმ. გიორგის ეკლესია 1876
წარწერის ზემოთ ჯვარია,წარწერით ძირში. Христ

ნემმა მასპინძელმა სახელწოდება არ იცის. მისი მიხვრა-მოხვრა, იერი ქართულია, თავაზიანობა, ზრდილობა. იგი ნავხატეთ. კარგად იცის თურქული, ნაკლებად – ქართული...

აქვე ვნახე მუსულმანი ქართველი ქალები. გამოველაპარაკე. ქართული ცოტა იციან. ვკითხე ქართველები ხართ თუ ოსმალო. მიპასუხეს– არაო, ეგენი ჩვენ არ ვიცით, სიღარიბეში ვართ და იმას ვუუხვართო. ამ დრომ დაგვაქციაო.

ქალები პირსაბურს არ იფარებენ. ქართველებთან, მხოლოდ მუსულმანებთან. ბავშვებს აკვანში ზრდიან 3 წლამდე. აკვნებს ახალციხეში აკეთებენ. სოფელი დიდი პამაჯი, აქ სულ სომხობაა, 94 კომლი. არის დიდი ოჯახები, 15-20 სულიანი. არის პატარა ეკლესიის ნანგრევები. ქვები დაუტაცნიათ. სამარხებზე გვხდება გრდემლი, ნაქუნი, ქვის მხედრები. ამ სოფლიდან ჩანს სურამის გადასავალი, ლომისის ქედი, ზანდოს მოკლე გზა აბასთუმან-ახალციხის შუა.

ნაწერე საინტერესო ლეგენდა მთვარეზე: „მთვარე როცა პატარა იყო, თქვა – მე მინდა ღმერთი ვნახო რომელ სვეტზე ხის. და იწყო გაზრდა. გაიზარდა, გაიზარდა 15 დღე იზარდა და კიდევ რომ ვერ დაინახა ღმერთი, მაშინ ინანა და დადარდიანდა. იდარდა, იდარდა და დაიწყო დაპატარავება. როდესაც სუ დაპატარავდა, ისევ თქვა, იქნებ ხელახლა ვნახოო და ისევ დაიწყო ზრდა. და ასე გრძელდება სულ."

20 აგვისტო. სოფელი ვალე.

სერზე შეფენილი ლამაზი სოფელია. მიწას ეტყობა ნაყოფიერია. ქვევით ფოცხოვის წყალი დაუდის, 18 ვერსიდან წყალი აქვთ გადმოყვანილი. წყაროც აქვთ. რიგიანი სასმელი წყალია. აქ სკოლაცაა, საავადმყოფოც. მცხოვრებთა რაოდენობაზე ჯეშმარიტება არ მითხრეს. გლეხკომის მდივანმა 270 კომლი დაასახელა. გლეხებმა მითხრეს სამასი დაწერეო. სარწმუნოებით თითქოს 150 ქართველია, მართლმადიდებელი 50 და 70 მუსულმანი ქართველი.

ვალეში პაერი მშრალია. ხალხი უფრო ძაბუნი, თუმცა მათში გამოერევა ხოლმე ახოვანიც, მშვენიერი აღნაგობის. ქალებში ბევრია ლამაზები. ვალეში არის ეკლესიები: მართლმადიდებლური, კათოლიკური, 5 ჯამე. მართლმადიდებლური ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, სამნავიანი ბაზილიკა, უგუმბათო. ეტყობა, ძველად გუმბათიანი ყოფილა, დარღვევის შემდეგ შეუკეთებიათ, „მეორედ ალუდგენიათ" და გუმბათის დადგმა ვეღარ მოუხერხებიათ. გადაკეთებას სხვა დეტალებიც ამჟღავნებს. ამბობენ ძველად ეკლესია მოხატული ყოფილა. რუსებს კედლები შეუთეთრებიათ. პილონებზე შესანიშნავი თოკის ნუქურთმაა გამოყვანილი, კარგი ხელობისა. მარჯვენა პილონზე შემონახულია წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

Ⴆ. Ⴓ. ᲮᲘᲜᲩᲣᲚᲘ:

ᲛᲝᲛᲐᲢᲔ: ᲓᲘ
ᲛᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲬᲘᲠᲔᲚᲘ
ᲙᲘᲚᲘᲡᲬᲐᲠᲘ:
ᲚᲘᲒᲔᲠᲘ: ᲙᲘᲚᲘᲡᲚᲔᲚᲘ,
ᲗᲔᲘᲜᲘᲜᲒᲘᲗ: ᲓᲘᲗᲐ
ᲓᲘᲗᲔᲚ ᲧᲚᲘᲡᲘᲡᲚᲔᲚ
ᲧᲘᲚᲔ: ᲧᲘᲒᲔᲓᲘ
ᲓᲘᲗᲔᲚ: ᲙᲔᲜᲘᲡᲚᲔᲚᲔ: ᲔᲚ
ᲥᲒᲔᲠ: ᲔᲠᲗᲙᲬ
ᲔᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡᲚᲔᲚ ᲚᲔ
ᲒᲔᲚᲔ: ᲜᲘᲓᲔᲠ

Ⴓ ᲜᲘᲜᲔᲚ ᲚᲓᲔᲠᲔᲠ ᲓᲘᲥᲜᲔ

ᲗᲔᲗᲠᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲜᲘ

შიგვე კანკელთან, მარცხნიდან მარჯვნივ, თითო შესანიშნავი ჩუქურთმებიანი ქვაა. მარცხნივ ჯუარიანი, ორნამენტი, როგორც აგვიხსნეს – სოფელ ბალაჯურიდან . მეორეზე – მთავარანგელოზი.

გარედან დასავლეთ კედელზე ეკლესიას ერთი ფანჯარა და ერთიც კარი აქვს. კამარა – თოკით შემკული. ტიმპონზე ორი მხედარია. ცხენების კუდის დაწნაა საინტერესო. შემდეგ სტილიზაცია აღარ მოჩანს კარგად. კარნიზზე კუთხეებში ადამიანის ფიგურებია გამოსახული გრძელსახელოებში.

ჩრდილოეთის კედელზე ერთი ფანჯარაა – ჩარჩო-თოკი. ორნამენტი კაცის სიმაღლეზე, წარწერით.

სამხრეთ კედელზე ერთი ფანჯარა, ერთი კარია, დადაბლების გამო ძველი ტიმპონი ჩამოუთლიათ. ფანჯრის გვერდებზე – ორი მხედარი. მხედრების ზევით – ორი სტატუა.

კარის ტიმპანზე ჯგუფი სურათების; ერთი ჯგუფი ჩამოქცეულია. მეორე ჯგუფიდან მხოლოდ ნაწილებიღაა შემორჩენილი. უნდა იყოს მაცხოვარი, პეტრე, მესამეს თავი ჩამორღვეულია.

აქვე კარებთან ნაცრისფერი ტუფის ქვაა მისავალში ჩატანებული – წარწერით. იქვე ეგდო კაპიტელის ქვა სხვადასხვა სახეებით. ეს ქვა ეკლესიაში შევატანინეთ დაცულობისთვის.

ვალეში ჩავიწერეთ აქვე გაგონილი ლექსები:

მხედრული

„თუშო ნუ ჩახვალ ოშორას,
ოშორა ეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ
შენი ამოსვლა ძნელია.“

„ჩამომეხსენ არჩილ მეფე
ომს დაგიწყებ ძალიანსა
მოგეწევი, ხმალს შემოგკრავ
ისარ გესვრი შხამიანსა...“

შაირები

„გავიარე მუხსაო
ქალი აჟდენს კრუხსაო
ქალო ნუ აჟდენ კრუხსაო
შეგიტყობენ ხელსაო.“

„ერთი გოგო ვნახე
წახნის წყაროსა
პირი მზეს უგავს
ტანი საროსა.“

„ავიარე დადეშსაო
რა კარგი ადათი ჰქონიათ
გვერდით მომისვენ დადესაო.“

„ავიარე როკეთსაო
ქალი ავსებს კოკებსაო.“

„ავიარე აძგვიტასა
კურდღელი ყურს აცქვიტავსა.“

„ავიარე ნიჯგორსა
ფაშა იჯდა დიდგორას“
„ავიარეს ტოლოშსაო
წისქვილ უბრუნავს ბოლოსაო.“

„ავიარე ფიასო
ბებერი კრებს ბიასო.“

„ავიარე კვამიშსაო [კვარშა]
ვირს ეძახიან ფაშასაო.“

„უდესა-ქუდ ბრუდესა.“



60-იანი წლების მთხრობელები (მოგონება)

(მხატვარი ზ.წერეთელი)



აჭარელი ქალი

(მხატვარი ზ.წერეთელი)

„ვალელი ხელ-პირ დაუბანელი“

სიმღერები

დარბაზს დაიმღერებიან:
„სახლო სალხინოდ ნაშენო
დარბაზო გვირგვინოსანო
სახლო ღმერთმა აგაშენოს
როგორც შინის მარანი
აგიყვანოს ცათამდისა
დაგნატროდნენ ყველანი.“

მეხრისა

„კამეჩები დამეკარგა
დაულლული ხარებით,
სამივე ერთად არა ღირს
შადუმაანთ ქალებიო.“

გუთნისა

„გადი-გამოდი გუთანო,
ჯამბარას ბანი უთხარო,
ჯამბარას ბანი რათ უნდა
გოგორას ბანი უთხარო.“

„გაღმიდან გამოვესალმე
მე ვარ კეკნაძე ბერიო
შვიდი გუთანი ხარი მყავს,
სულ ინდუშა და ჭრელიო
სამი ფური მეწველის,
ორმოცსაც კამეჩს ველიო
სამოცი ბუღა მოზვერი,
სულ .კალოთ მოსავლელიო,
თუთხმეტი მეცხვრის ცხვარი
მყავს,
უჭირამს მთა და ველიო.“

„წყალსა გოდორი მოუდგი,
თევზის ავსებას ველიო
შინ მიზის გულის სტუმარი,
ჭადით ვინ მასპინძელიო
ამოდი სოფლის გარჯილო
რადა სიცოცხლეს ელიო.“

ვალეში ამბობენ – გველეშაპის (კიტ) ძვლები არის ახალციხეში, იმ გველეშაპის, რომლის ჩონჩხიც შავმა ზღვამ ამოაგდო ამ ათეული წლების წინ. ამბობენ, აქვე ხიზაბავრასა და სარო'ში კლდეზე ლურსმნული წარწერა არისო.

21 აგვისტო. სოფ. ვალე.

დავათვალიერეთ ეერანა, [დანგრეული, მიტოვებული] ეკლესია ნათლისმცემლის სახელობის, სრულიად დაქცეული, ნამო'შლილი. საძირკველი ზომით პატარა [მატურივით არის], შენახულია მხოლოდ ფანჯრის ქვა ნექურთმით.

თიბვა. სოფ. ვალე, 1924წ.

აქედან ძველი სამარხის დასათვალიერებლად წავედით. გზაგზა ბაღები ნავიარეთ, ჩვენი თანამგზავრები

ასეთ სიტყვებს ხმარობენ: „ბაღებში სამხღვარი“, „ხილი საჭმელია“, „ხილს რომ ჭამა შეეძლოს თავის თავს შეჭამდა“. სოფლის გამბოლცავი („ბოღიცა“ – გაძარცვა) ძველ მამასახლისს იტყვიან.

მივედით სამარხის ადგილას. აქედან უკვე საზღვარი მოჩანს, წყალგაღმა (ფოცხოეი). სულ რაღაც ორი ვერსია საზღვრამდე. იქით სოფელში ჯამე მზეზე ბრჭყვიალებს. ყანის პატრონი გვიამბობს, რომ ხვნის დროს აქ ფიქალ ქვას მოედო (დიდს) სახნისი. ავხადეთ, მიწით ავსებული სამარე აღმოჩნდა. შიგ იყო ადამიანის ძვლები. ეს ფიქალი ქვა-სახურავი ერთმა გლეხმა წაიღო სოფელში და ერთი კვირის მეტი ვეღარ იცოცხლა. აქვე მეორე ასეთი ფიქალი ამოაგდო სახნისმა, მაგრამ მე ის ისევ გადავახურე სამარეს და ეს ადგილი მოუხნავი დავტოვე. უნდა ითქვას, რომ ამ გორაკზე უთუოდ კულტურული ცხოვრება იქნებოდა ძველად, ისე ჩანს. ახლა ეს ნაჩვენები ადგილი (ფიქალი ქვა) 5-6 ვერშოკი მიწით არის დაფარული. საჭიროა გათხრა.

კალოობა. სოფ. ვალე. 1924წ.

გვითხრეს, ვიდაცას კიდევ ენახა ყანაში სამარეები. თითქოს მლვდლის ფეშხუმიც ყოფილა ნაპოვნი ნახულ ნივთებში.

კვლავ სოფელში დავბრუნდით. შევედი ავადმყოფი მოხუცებულის, 60 წლის ამილახვართან. ამილახვარებს ძველად დიდი მამულები ჰქონიათ. ახლა ცოტა აქვს. მისი მოგვარეები ბეგები ყოფილან. ქართული ცოტა იცის, იცის, რომ „ძველები“ ყველა ქართველები ყოფილან. თვითონ ხაზალოდან არის ჩამოსიძებული ამ სოფელში. მისი მეუღლე გეგიძეა – ორთავე მუსულმანები.

ვკითხე ძველებური სახლის შესახებ. ამბობს, სულ ძველად მიწას გამოთხრიდნენ, იქ ცხოვრობდნენ, მერე კედლების კეთებაც ისწავლეს, მერე „დარბაზების“. მერე „ევ“ სახლი შემოვიდა. „ევ“-ში ბუხრებია. შუაში ცეცხლი არ იყო. მიპასუხეს – შუაგული ცეცხლი გურჯისტანში იყოო.

– რა არის გურჯისტანი? – ვკითხე

– გურჯისტანია ისრეთი, ზეინტა, როხი, აჭარა.

– მესხეთი? – ვერ მივხვდი. ვიცი ქობლიანი, აწყური.

– კერა – არ ვიცი, რა არი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ სტეფანეს ძე გოგილაშვილი, 1659

ვკითხე ნეფე-პატარძლის შესახებ. ამბობს – დანიშვნა გამოიხატება ბეების გაცვლაში. ბიჭი მიუტანს: კემერს, ჭილჭილს, ბეჭედს, ხელის საბეჭდურს /ბრასლეტი /; ქალი – საათს, „ყამას“, მასრებს, ბეჭედს.

ქორწილის დღეს ნეფეს წაეყვება 30 ცხენოსანი, რომელთა საჭმელ-სასმელს, წინასწარი შეთანხმების თანახმად, სიძე უგზავნის რძლის პატრონს. იქიდან 30 მაჟარს დედოფლის 5 კაცი გამოეყვება.

სახლში მიყვანისას დედოფალს ცხენიდან დიდ ქვაზე გადმოახტუნებენ. ცხენიდან ამოძახება მიდის. ქალის მამყოლ-თაგანი დაიძახებს; „ქალი მოგიყვანეთ, უნდა დაასაშუქროთ თუ არაო.“ მაშინ სიძის მამა რძალს საქონელს აჩუქებს. რძლის ძმა საქონელს ყურს მოაჭრის.

შემდეგ ოჯახის უფროსი შემოეგებება ნეფე-დედოფალს და დალოცავს. ქალი ქალებისკენ წავა, ვაჟი – ვაჟებისკენ. დაიწყება სმა-ჭამა, გამოწვევა სიმღერით, უკრავს ზურნა. მიმღერება იციან ნეფეზე ასე:

„ნეფეე, გილოცავ გვირგვინსა, ღმერთმა ორივე
გადღეგრძელოთ და ლამაზად დაგაბეროთ.“

ან

„დედოფალო გიხდება, ეგ ლერწამა-ტანია,
ვინც შენ არ მოგიწონოს, მას დაუდგეს თვალია.“

სუფრისაა:

„შევწვათ მწვადები, დავჭრათ ქადები,
ღვინისა სმასაც ჩვენ ვემზადებით“

. . .

„გავშალოთ სუფრა უწინდებურად,
რჯული და წესი არ დავივიწყოთ“.

. . .

ნეფის მისამღერი, ჩაწერილი ჰოსიფ ყულჯანოვისგან:
„ნეფეე გილოცავ გვირგვინსა, რადგან არის ჩემი ვალი,
მეჯვარესა და თანამწეს თქვენსკენ ეჭიროს თვალი.
დედუფალი გვერდს გიმშვენებს, ამავალი მზისა დარი,
ერთმანეთის საფერიც ხარ, მზე და მთვარის თანაბარი.
ღმერთმან გაგაბედნიეროს, როგორც თქვენი ნება არის,
სიყვარული მოგცეს ღმერთმა, რომ ხართ ერთმანეთის ჯვარი.
ვაჟი შვილი მოგცეს ღმერთმან, იყოს თქვენი მამბაძარი,
ნათლიამ კლავზე მიარქვას სამუდამო სახსოვარი.
გაგიზარდოს ვაჟიც ღმერთმა, გაამრავლოს თქვენი გვარი
მხარში გედგას ძმასავითა, მტერსა თავზე დასცეს ზარი.
დედუფალი თავდაბალი, იყოს ქმრისა მოშიშარი,
თუნდ უფროსთან, თუნდ უმცროსთან სიტყვა ქონდეს უწყინარი.

ტკბილი ხასიათი ჰქონდეს, როგორც თაფლი და შაქარი.
სადაც წავიდ-წამოვიდეს, დაამშვენოს თავის გვარი.
გვარისშვილმან პატარძალმან შაასრულოს თავის ვალი.
ქმრისა ისე ეშინოდეს, რომ ვერ გაუმართოს თვალი.
ყველას იყოს მოხარული, მზარეული იყოს კარგი,
მალმალე სუფრას გაშლიდეს, ვინ მშიერი, ვინ მაძღარი.
ყველა ერთ ფრივ შაგვინახოს გინდ საწყალი გინდ მდიდარი,
სახლის პატრონს არ დასმინდეს, არავისგან სამდურავი.
სულით, გულით ვიქეიფოთ სანამ პირში არის სული,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, აქაური არვინ არი.
მოვიგონოთ მამა-პაპა, ლუკმა-პურის დამტოვარი,
წირვა-ლოცვით დავეხმაროთ, როგორც წესი, რიგი არის.
წუთისოფელს არ მივენდოთ, არის ყველას მატყუარი,
აქ სიმწარეს გამოვივლით, იქ მოგვარჩენს მაცხოვარი.
მაშ ვეკვედროთ მაცხოვარსა, აგისრულოს სათხოვარი,
მოგვანიჭოს საოქიოს, რაც რომ სულის სარგო არის.
ღმერთმა გაგვიბედნიეროს ჩვენი ნეფე-დედუფალი,
შააბერონ ერთმანეთსა, მზე და მთვარის თანაბარი.
გააბედნიეროს ღმერთმა ჩვენი ნეფე-დედუფალი.
აქ სიცოცხლე დამიძახეთ, საიქიოს ცხონებაი.
მე ვარ ჰოსიფ ყულჯანოვი, ვარ სიცოცხლის მამღერალი,
მას ეკუთვნის საკუთრივა თავის ოფლის დანაღვარი."

22 აგვისტო, სოფ. უდე.

თათეშვილი მანუელ ივანეს ძე, არლელი, საბჭოს თავმჯდომარე.

„არალში არის ეკლესიის ნანგრევი. წინად ვისი ყოფილა არ ვიცით. შეიძლება ორთავდაყოფილი.

გადმმცეს, აღდგომა დღეს ამ ეკლესიაში დილით, ადრიან, სანამ წირვა დასრულდებოდეს, მოვიდოდა თავისი ფეხით ირემი დაკლავდნენ და დაურიგებდნენ ხალხს პირის გასახსნილებლად. ერთხელ დაგვიანებოდა. ირემი დაღლული მოსულა, დაუკლამთ მაშვინ. იმ დაკვლაზე ირემს წამოუყვირია – დაღალული რატო დამკალითო. ამ ეკლესიას პირი აღმა, პირი აღმა და დანგრეულა. იმის მერე ასეა, ვისი სახელობისაა არ ვიცი.

ერთხელ ერომა ჩვენებურმა, აქ ძველი საფლავებიცაა - წაბილწა, თურმე ის კაცი სულ დაიგრიხა. ექიმებისგან ვერ გაიკურნა. ამ დროს სიზმარში ნახა – ჩამოასხით სანთლები სახსრების ზომაზე და იმ ეკლესიაში დაუნთეთო. დაუნთეს და დღესაც ცოცხალია".

ეკლესიას კედლები აქვს და სწირავს ხანი-ხან მღვდელი. ქვა არის ერთი აქა. დიდი ქვა ქვაზეა დადგმული, გასაძრომი აქვს შუაში. იქ გავძვრებით ხოლმე ციყების საწინააღმდეგოდ. ქვაზე წარწერაა 1 სირა (1 სირა – სტრიქონი), 7-8 ვერშოკი დაწერილია.

სოფელი უდე. XXს. 20-იანი წლები

ეკლესიის პირდაპირ, იმის შუქზე, ახალციხიდან მომავალნი – მუსულმანი იყოს თუ სხვა, ცხენიდან ჩამოდიან და ფეხით გაივლიან. წყირეშია – ბუზმარეთი, ნანგრევი. ხონაშია (ხვანა) – ჯაყელების სასახლე. აქვეა აკლდამა“.

ადგილზე ჩავიხატეთ და აღვწერეთ მესხური ჯილღა. არის მთლიანი ხის, აქვს გოგორები‖ გოგრები, თანატოლი. ჯილღა ორივე გვერდზე ხნავს, ხვნის პროცესში მხვნელი უდგება ზემო მხრიდან, ე.ი. მოუხნავი ადგილიდან. ხვნელს ჰქვია ჯ ი ლ ღ ი ს დ ე დ ა. ჯილღას სჭირდება 3 უღელი ხარი, ორი მუშა (ჯილღის დედა და მეხრე); ჯილღის უღლის სიგრძე უდრის 1,5 მეტრს, მართლმადიდებლებმა მიამბეს:

„სომეხი გათათრდა, თათრის სჯული მიიღო. რომ გათათრდა, მერე მივიდა სახლში და ქალს უთხრა: გავთათრდი და გათათრდი შენცაო. ქალმა უთხრა, სირცხვილი არ არის, რომ ჩვენ სჯულს ეკარგამთო. მობრუნდა და ცოლს ეუბნება: ქალო, გაჩუმდი, მეტის მეტს ნუ ლაპარაკობ, მე სომხური ცოტა ოდენი მესმისო.

დილაზე გათათრდა და საღამოზე უკვე სომხური აღარ ესმოდა“.

23 ა გ ვ ი ს ტ ო

ს ო ფ. უ დ ე

„მე ქართველი ვარ ა ბ ა ს ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი 60 წ ლ ი ს ა.

ეიბ მერ ოღლი მამის სახელია. უდეში მუსულმანი 60 კომლზე მეტიც იქნება. ძველად ბნელი სახლები ვიცოდით. ფანჯრიანი ახლაა. ო დ ე - ს სტუმრის ოთახს ვეძახით, დ ა რ ბ ა ზ ს – შუა ოთახს. ოჯახი ბუხრიანი უნდა ყოფილიყო. ყ ა რ ი ჯ ა [იგივე კერაა] ძველად ვიცოდით.

ნუსხები ვიცით, თ ი ლ ი ს მ ე ბ ი. თავი აგტკივდება, დაგცხელებს თუ შეშინებული ხარ, იმაზე ვიყენებთ. ყურანიდან დავსწერთ. ზოგს

მოუხდება, ზოგს არა. ყველაფერი ტყუილია, მარტო ღმერთია მართალი.

აქ რაც ძველი ეკლესიებია, ციხეები სულ ქართველების ნაშენებია. 200 წელიწადი იქნება, აქ ქვეყანა ქართული იყო, მერე ოსმალებმა მოაბრუნეს ხმლითა და დაშინებით. რაც რომ ციხეებია აქამომდე, სულ თამარ დედოფლის ნაშენებია. ცოლად მუსულმანებს ვთხოულობთ. ბეეს მიცემა ვიცით: ოქრო, საათი, ქამარი, თავშალი, ორი ხელი ტანსაცმელი, ორი ფიჩვი, ორი ხელი ლოგინი, საჯიდალოცვისათვის ხალიჩა, ფაზრია (სპილენძეულობა): 4 სინი სპილენძის, 2 თაფა, 2 გუგუში.

ჯვრისწერის 100 მანეთი უნდა გაიღო. თუ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და ბიჭმა გააგდო, გოგო წაიღებს ყველაფერს; თუ გოგო თვითონ წავიდა, ვერაფერს ვერ წაიღებს".

ნ ა თ ქ ვ ა მ ი ს ტ ე ფ ა ნ ე პ ა ვ ლ ე ს ძ ე პ ა რ ო ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა [პარუნაშვილი], 70 წლის.

„ცაზე რომ გაჭრილია ღამით თეთრად ნავალი, როგორც რომ ცის სარტყელი, გაგვიგონია ჩვენ, რომ ირემს და ხარს იმ დროს აუღიათ თავის თავზე ადამიანის ცხოვრება, სამსახური და უთქვამთ: წავიდეთ და შევეჯიბროთ, კუნჭულიდან – კუნჭულამდე, ცის კიდურიდან – კიდურამდე, რომელიც შეეძლებთ, იმან დავიწეროთ თავზე ადამიანის სამსახური. ირემი შუა გზიდან ჩამოვიდა, ვერ შეძლო და მოკვდა. ხარი კი გადავიდა. ესე იგი ისე ვიცი, როგორც ხარი მსახურობს ის ნიშნავს სწორედ სამსახურს: ვაბამთ უღელში და ვხნავთ...

მთვარე კაცია, მზე ქალი; მასკულავებია ხომლი, სასცორი, სამკუთი, ცისკარი, ქორვანყრონი".

პ ე ტ რ ე თ ო მ ა ს ძ ე ბ ა რ ბ ა ლ ი შ ვ ი ლ ი [ბარბლიშვილი] 80 წლის:

„მუდმივ აქ ვცხოვრობ უდეში. ქორთოული ყოფილა ჩემი პაპის პაპა. ძველად დარბაზები გვქონდა: ე რ დ ო, ოჯაყი, ოჯაყშია შერჭობილი ს ა მ კ ვ ა რ ე – ბრტყელი კვარა. ზედაც გვიკიდია ჯაჭვი – ჯ ი ნ ჯ ი ლ ი რკინის, ზოგიც წნელისაა.

. . .

აქედან გურიაში გადავდიოდით ღაღვიდან, არფაჩაიდან, ფერსათის მთიდან: გურიაში ახალციხიდან ჩვენ ერთ დღეში გადავდიოდით. იქიდან გამოქონდნენ სიმინდი, კეცები, თუთუნი, თაფლი, ღურძენი.

. . .

აბასთუმნის მიწა სანეფო ადგილი ყოფილა. თამარ დედოფალს აუგია აქ ციხე. მისი აკვანი არის წყესში [წყისში] – ჯაჭვაში კლდეზე. თამარ დედოფალი ზინდას, (წინდა) რამეს, თვითონ უკერავდა ჯარს.

. . .

ავდარ-ტაროსის შესახებ მსმენია

ხშირი ვარსკვლავი ავდრის ნიშანია და ცივი წელიწადის.

წყალს უნდა ააკრეფინო ვარსკვლავი, ღამით ქვაბით გარეთ ცის ქვეშ დადგამენ. ვარსკვლავი. უჭვრეტს მთელ ღამეს შიგვე და მკითხაობენ.

ნიტები თუ ფრენენ ჯგუფ-ჯგუფად დაბლა, ავდრის ნიშანია. მაღლა – დარის. კატა პირს იბანს – ავდარია, ცხვრები შემობერტყავენ ყურებს – ავდარია. კრუხი თუ წიწილებს შინ ერეკება – ავდარია. ავდრისმცოდნეობა – გულისყურის მოპყრობაზეა.“

31 აგვისტო. ზარზმა.

ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ საღამოთი ვიყავით აქ. ზერელედ დავათვალიერეთ ზარზმა. ვახუშტი წერს: „წურწუმას ზეით, ჯაყის-წყალზედ, არს ყველის ციხე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ ოკერი: ყველს ზეით მთაში, არს ზარზმას მონასტერი, გუნბათიანი, კეთილ-



ზარზმა

შენი, შვენიერს ადგილს და აწ უქმი: ხოლო ქვაბლოვანისა და ბოცოს – წყლის სათავიდამ გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი, და ჯაყისწყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი და ფოცხოვს – წყლის სათავიდამ, რუშეთს გზა.[3]

ზარზმის მონასტრის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. თვით ეკლესიის, მისი ფრესკების, სამრეკლოს გარშემო მრავალი გამოკვლევაა დაწერილი – თუმცა დღესაც არ შეიძლება საბოლოოდ დადგენილად ჩაითვალოს საკითხი ამ დირშესანიშნავი ძეგლის წარმოშობის, დათარიღების შესახებ.

აზრთა სხვადასხვაობის გარდა, საკითხი ვერ არის სათანადოდ გაშუქებული ყველა არსებული მასალის მიხედვით და ამდენადვე

[3] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1842, გვ. 88.

გადასაჭრელად მოცემული საკითხები ერთგვარ ბურუსშია გახვეული. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც სერაპითნ ზარზმელის ცხოვრება აღმოჩნდა, უნდა ვიფიქროთ, რომ გამოსავალი წერტილია მოცემული და საკითხის გამოკვლევა აქედან უნდა იქნეს დაწყებული.

ზარზმა



ზარზმა

მართალია, რომ ამ იშვიათი ძეგლის დათარიღებაც კამათს იწვევს და მკვლევრებს ორ ბანაკად ჰყოფს; ერთნი მას თვლიან IX საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლად, ხოლო მეორენი – VII საუკუნისად, მაგრამ ის რეალიები, რომლებიც „ცხოვრებაში" გვაქვს და ეკლესიას შეეხება, დათარიღების დმოუკიდებელ, გარკვეულ ფაქტებს იძლევა და მათი გამოყენება აუცილებელია. შეძლებისდაგვარად გადავიწერე წარწერები: I) წარწერა ლაპიდარული სამრეკლოს აღმოსავლეთის კედელზეა, ამ კედელზე კარნიზი წვერთან მოხუქურთმებულია. შემდეგ მოხუქურთმებულ ჩარჩოში ჯვარია გამოსახული, რომლის ქვემო ფეხი დაყრდნობილია ფანჯრის თავზე. ფანჯრის ზემო მხარეზე ორი მრგვალი ჭუჭრუტანაა დახუქურთმებული. ამათ გვერდით წარწერაა...

ზარზმის ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

1 სექტემბერი.

მოვიპოვე ცნობა ჯავახეთის სოფლების შესახებ.

ახალქალაქის რაიონში ქართული სოფლებია:

გოგაშენი, აფნია, ქილდა, ნუნნხა, პტენა, ქოთელია.

ახპინძის რაიონის ქართული სოფლებია:

თოკი, ვარგავი-კათოლიკები, სარო, ხიზაბავრა-კათოლიკები, ხერთვისი, ტოლოში, ქუნცა, როკეთი.

ბორჯომის რაიონში შემავალი ჯავახეთის ქართული სოფელია ბალანთა.

ჯავახეთის სოფლები, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომხები:

ბარალეთი, გოკიო, ვარევანი (ახალქალაქის რაიონი), ჭიხარული (ბორჯომის რაიონი).

ჯავახეთის სოფლები, რომლებშიც ცხოვრობენ ქართველები და დაკარგული აქვთ ენასთან ერთად მართლმადიდებლური რჯული:

ფრანგტურცხი, ლომატურცხი, ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი...

ჯავახეთის სომხური სოფლებია:

ჯანჯღა, სამსარი, აგანა, ალათ-უბანი, დიდი კაჭია, პატარა კაჭია, ღადო, ახავრეთი, ბურნაშეთი, ალახტანი, ხანდრი[ხანდო], ზაკვი, ბუდაშენი, იხტილა (ღრტილა, ხტილა-ძველი), ბერენია, მაქატია, თოთხამი, კარწახი, აბული, ფოკა, კუმურდო, თორი, არაგვა.

1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ანბარიში ეთნოლოგიური ექსკურსიის შესახებ მესხეთში

ეთნოლოგიურ ექსკურსიას, რომელშიაც შევდიოდით მე და მიხეილ შავიშვილი თავიდანვე განსაზღვრული მიზნები გვქონდა დასახული.[1] მთავარი მიზანი, რომელიც მუშაობის ცენტრს შეადგენდა – იყო მოსახლეთა საცხოვრებელი ბინების საკითხი. ამას მისდევდა გლეხის ხელსაწყო-იარაღების შესწავლის საკითხი, სარიტუალო კოსმოგონიურ ხასიათის ზეპისიტყვიერების შეგროვება, ხოლო გზადაგზა დათვალიერება ისტორიული ძეგლებისა და წარწერების შეჯერება-გადმოწერა. ტერიტორიულადაც დასახული მიზნების შესწავლა წინასწარვე შემოფარგლული იყო. შესასწავლად განსრახული იყო მესხეთი არა მთლიანად, არამედ მისი გარკვეული კუთხე.



ფოცხოვის ხეობა

უნდა აღვნიშნოთ, რომ მესხეთი ხეობათა რიგს წარმოადგენს, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან ახალციხის ქვაბოვან ცენტს უერთდებიან ასე, ჩრდილო-სამხრეთიდან – აწყურის ხევი, აღმოსავლეთით – რუსთავის ხევი, სამხრეთით – ურავლის, სამხრეთ-დასავლეთით – ფოცხოვის, დასავლეთით – ქვაბლოვანი და დასავლეთით – ჩრდილოეთით აბასთუმნის ხეობა. სამი უკანასკნელი ხევი ერთდება ფარეხასთან და შემდეგ ფოცხოვის ხოლით ერთად მიემართებიან ახალციხემდე. ამოდენა ტერიტორის შესწავლა ზემოთ განსაზღვრულ ფარგლებშიც კი, ერთი თვის განმავლობაში შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენი

[1] შენიშვნა: პირველი ექსკურსია მესხეთში უნდა გასულიყო 1923 წელს, მაგრამ გ. ნიტაიას დაპატიმრების გამო (1923-1924წ.წ. შეტეხის ცხუ). ადგილზე იმუშავა. მხოლოდ არქიტექტორმა მ. შავიშვილმა (იხ. გ. ნიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. მეცნიერება, 1991, გვ. 52-53); 1924 წ. ექსკურსია განახლდა გ. ნიტაიას და მ. შავიშვილის მონაწილეობით და იმუშავა 10 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე (თ.ც.)

არსევანი ქვაბლოვანის ხეობაზე შენერდა და თუ დრო დაგვრჩებოდა ექსკურსიის ბოლო ხანებში ურავლის მოკლე ხეობაში გვინდოდა შევჩერებულიყავით. შემოხვევით როდი აგვირჩევია ჩვენ ქვაბლოვანის ხეობა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ხეობა ერთის მხრივ გურია-იმერეთს საზღვრავს და თუმცა ამჟამად ქედზე მოხერხებული გზები არ არის (ამ ქედით თუმც ი'ვიციათად, მაგრამ მაინც გადადიან მესხები ზაფხულობით გურიაში და აგრეთვე მეგრელებიც გადმორეკავენ ხოლმე საქონელს), მაგრამ ლიტერატურული წყაროების მიხედვით ამ ქედით ცხოველი ურთიერთობა არსებობდა ქვაბლოვანსა და გურიას შორის (გადასავალი – მეფის წყარო, ზარნავი და სხვა.) გვინდოდა ამ მხრივ ურთიერთგაელენა შეგვემოწმებინა, თუკი ასეთი რამ აღმოჩნდებოდა. სხვათა შორის ქცევაში და კილოშიც.

ლიტერატურა ამ მხარის შესახებ საკმაოდ მდიდარია. ზოგიერთი ცნობები ჯერ კიდევ ვანის ლურსმნულ წარწერებშიც გვაქვს. სტრაბონი მოწმობს, რომ ლევკოტეას შესანიშნავი ტაძარი კოლხეთისა და მესხეთის საზღვარზე იყო აგებული.[2] (ჩვენ ვფიქრობთ ქვაბლოვანის ხეობაში).

ჭულეკი

[კერძოდ] ქვაბლოვანის შესახებ შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, რომლის დათარიღების შესახებ მკვლევართა შორის სხვადასხვა აზრი სუფევს: ივ. ჯავახიშვილი X საუკუნის I ნახევრის ძეგლად თვლის, მ. ჯანაშვილი VIII საუკუნისად, ხოლო ს. კაკაბაძეს VII საუკუნის ნაწარმოებად მიაჩნია; X საუკუნის ძეგლი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მესხური დავითიანის მონაცემები და XVII–XVIII საუკუნის ამ მხარის კათოლიკების მიმოწერები რომთან, სადაც ძვირფას ცნობებს იძლევიან ამ კუთხის ნაშენობათა შესახებ.

[2] შენიშვნა: მოგვიანებით გ. ნიტაია წერდა რომ „ამ ნაგებობებიდან ჩვენ ვერავითარი ქვალი ვერ აღმოვაჩინეთ იმ ნაგებობისა, რომელიც რომაელ არქიტექტორ ვიტრუვს აქვნდა აღნიშნული, სამაგიეროდ კოლხური სახლის ელემენტები (იგივე ვიტრუვის მიხედვით) ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა დარბაზული ტიპის სახლის მიხედვით". (იხ. გ. ნიტაია, ნემი (ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. გვ. 54) (თ.ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მოგზაურთა აღწერილობებს – შარდენს, დიუბუასს, გამბას, ბროსსეს, ზაგურსკის – სამწუხაროდ ისინი არ ეხებიან ჩვენს საკვლევ ობიექტებს და ამ მხრით არ გვაწვდიან საჭირო ცნობებს.

ექსკურსიის მთავარი სამარშრუტო პუნქტები იყო: ახალციხე–ძველი ქალაქი რაბათი – სხვილისი (რუკაზე სუფლისი) პამაჯი, ვალე, არალი, უდე, კახარეთი, ლელვანი, ყაროთუბანი, ადიგენი, ჭულე, ზანავი, ზარზმა.

ამ მიდამოებში წარმოებულმა დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ აქ სამი ტიპის სახლთან გვაქვს საქმე. ამათში უძველესი ტიპია დარბაზი თავისი მახასიათებელი გვირგვინიანი სახურავით; მეორე ტიპია – ოდა – ოდური ბანიანი ბრტყელი სახურავით, ხოლო მესამე ტიპია ე.წ. ლაზური სახლი.

ჩვენ შეეძელით დეტალურად შეგვესწავლა პირველი ორი ტიპის სახლი, დაწყებული ალიზის შემზადებიდან საჭირო იარაღების და ხუჭურმათა სახეებით გათავებული.

სამწუხაროდ დროთა სრბოლის მანძილზე, დიდი ოჯახების დარღვევისა გამო პატარ-პატარა ერთეულებად, დარბაზები წევრთა შორის დანაწილებული აღმოჩნდა, რომელთაც საჭიროების მიხედვით ესა თუ ის შეკეთება მოუხდენიათ მათ ხვედრ ნაწილებში. ამის გამო მთლიანი მიწის დარბაზის პოვნა აქ უკვე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოსახერხებელი შეიქნა დარბაზის მთლიანი სახის აღდგენა, მისი აგგებმა და ჩახაზვა.

საქმე იმაშია, რომ ქვაბლიანის დარბაზები როდი ჰგავს ქართლის დარბაზებს. აქ იგი შენობათა მთელი რიგის შემცველი, მთლიანი კომპლექსია, რომლის შემადგენელი ნაწილები გარკვეული დანიშნულებისა არიან. ასეთ შენობას ცენტრალურ საცხოვრებელ ნაწილის გარდა ახლავს: კარაპანი, ბაკი, საფურნე, საკუჭნაო, ბოსელი და საბძელი. აქაური დარბაზები ზომითაც დიდია. არალში ჩვენ ვნახეთ დღეს უკვე დახიანებული დარბაზი, რომელშიაც ას სულამდე (ბავშვებიანად) ოჯახის წევრს უცხოვრია, ორი ძმის ნაშიერს.

ხის სახლი ლაზური ორნამენტით. XIX ს. II ნახევარი

ერთი სხვაობაც აქვს აქა-

ურ დარბაზს ქართლურისაგან: აქ გვირგვინი პირდაპირ კედლებს ასდევს, რომელიც თავისი წარმოშობით რომს ან სუმერეთს შეიძლება დაუკავშირდეს, დედაბოძის საჭიროება აქ არც კი არსებობს. იყო ეს ძველისძველი მოვლენა, თუ მოდერნიზაცია ოჯაყის=ბუხრის შემოღების დროს – სამწუხაროდ გაურკვეველი დარჩა. ამავე დროს ოჯაყის, კერის და სხვათა შესახებ ბევრი საგულისხმო დეტალი გამოვავლინეთ. სხვათა შორის გამორკვეულია ბალავრის ჩაყრის, კედლის აგების და სხვა სამუშაოების წესები.

ასევე აგეგმილია, გაზომილი და ჩახატული ოდური სახლიც რომელიც პირველი ტიპის სახლთან ერთად ცალკე გამოკვლევის საგნად გახდება.

მესამე ტიპის სახლი, ორი პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ ის მიწის ზემოთ და ხისგან არის აგებული. მას თან ახლავს ხის ჩუქურთმები ძვირფასი ორნამენტებით.ეს ორნამენტები ცალკე შესწავლის ღირსია. უნდა ითქვას, რომ ლაზების ნამუშევარი სოფ. კახარეთის ზემოთ ძალზე ბევრია. ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩინებული მოხელეები ყოფილან. ადიგენის და მლაშეს ჯამეებში დაცული მათი ამოჩუქურთმებული სახეები, დიდი ოსტატობითაა გაკეთებული. ჩვენ ფოტოგრაფიულად გადავიღეთ ადიგენის ჯამის ორნამენტები, მაგრამ ახალციხის ჩეკელებმა გაგვიფუჭეს გამოუმჟღავნებელი ფირფიტები ჩხრეკის დროს.

საგულისხმოა შენობების ნაწილების ქართული სახელწოდებები და მათი ფარდი ოსმალური. ჭარბობს კი ქართული ტერმინები.

ლაზური ორნამენტი.
XIXს. II ნახ.

სამუშაო ხელსაწყო იარაღები შესაძლებლობის ფარგლებში იქნა შესწავლილი. ისინი შევიძინეთ საკოლექციო ორიგინალში თუ მოდელებში. მაგ. არნადი, ფიწალი, ასტამი, ვარიოზი და სხვა. მიკვლეულ იქნა მეტად საგულისხმო თავისი ფორმით ეხლაც ხმარებული ქართული ნაჯახი. ეს ფორმა უძველეს სამარხებში ნაპოვნ ცულებს უდგება და ამტკიცებს ამ სახის გამძლეობას.

არონას, ჯილღას და გუთნის შესწავლამ, მათი გაზომვა-აგეგმამ მეტად საგულისხმო შედეგები მოგვცა. დადასტურდა საინტერესო ტერმინები. ქართული ტერმინები ოსმალურშიც აღმოჩნდა შეხიზნული. აქაც საკმაო მასალა დაგროვდა იმისათვის, რომ ცალკე გამოკვლევა დამზადდეს.

სარიტუალო სიტყვიერების შეგროვება ჩვენ გვაინტერესებდა, პირველ ყოვლისა, დარბაზთან დაკავშირებით, მაგრამ ამ მხრივ ვერ დავიჭირეთ ჩვენთვის საჭირო მასალა. გამოკითხვამ გამოარკვია, რომ ძველად ბალავრის ჩაყრის დროს აგრეთვე შენობის

ვალეს ეკლესია

მოთავებისას, რაღაც სიმღერა-ლექსები ყოფილა მაგრამ დღეს არავის არ ახსოვს მათი შინაარსი.

სამაგიეროდ სხვა სფეროდან მეტად საყურადღებო ნიმუშები იქნა ჩაწერილი. არალში ჩვენ ვნახეთ მოხუცი, რომელსაც სწამს ბედის ვარსკვლავი. იგი იცნობს თავის ვარსკვლავს. იცის ვარსკვლავის ციმციმის მიხედვით როდის გამოიცქირება ის კეთილად და როდის ავობს. საგულისხმოა ამ მოხუცის მსოფლმხედველობა.

ჩვენ ჩავიწერეთ ახალი ვარიანტები იმ ლეგენდისა, რომლის მიხედვით გიორგობას ხარი მოდის ხოლმე ეკლესიაში. ამ ახალი ვარიანტით ირმის ხორცს მლოცველები ინაწილებენ თავიანთ შორის. ასევეა ჩაწერილი ლეგენდები მთვარის, ქოროღლის, აბესალომ და ეთერის და ბევრ სხვათა შესახებ.

არქეოლოგიური ნაშთების გაცნობამ და წარწერების შეჯერებამ ზოგი ახალი მასალა შეგვმატა.

ჯერ თვით ახალციხეში მოგვეცა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა კერძო პირთა კოლექციები. აქ ვნახეთ მეტად საგულისხმო ფორმის საცრემლოები, ბრინჯაოს ინკრუსტაციით, გემმები, ფულები და სხვა განათხარი მასალა. უსახსრობის გამო ისინი ვერ შევიძინეთ. ახალციხეშივე, რაბათის ციხეში (ორციხე) რომელიღაც ნანგრევიდან მოტანილ ქვაზე ლიტერატურაში უცნობი სომხური წარწერა აღმოჩნდა. სოფ. სხვილისში ჩვენ შეგვატყობინეს, რომ

გლეხს მთაზე ქილა ეპოვნა ნივთებით. მშვიდობიანად რომ ვერ გავაწყვეთ რა, იძულებული შევიქენით ადგილობრივი აღმასკომისათვის მიგვემართა ნივთების იძულებით ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული ნივთები ამჟამად ინახება ახალციხის მუზეუმში.

ვალეს ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა ახალი წარწერები ქვაზე, რომელიც გადავწერეთ. დედისიმედის ცნობილი წარწერა 2–3 სვეტში შეცდომით ყოფილა წაკითხული (უვაროვა, ხახანაშვილი). უმთავრესი კორექტივია „მეორედ აღვაშენე". კითხულობდნენ კი „მაღლად აღვაშენე". საჭირო იყო მეორე სვეტის ფოტოგრაფიულად გადაღება, ვინაიდან სიძნელის გამო ეს სვეტი საერთოდ არ ყოფილა წაკითხული. ამ სოფლის ბოლოში ძველი სამარხები უნდა იყოს, რომელთაც ყურადღება უნდა მიექცეს.

უდეში, სასაფლაოზე, აღმოჩნდა რომელიღაც ტაძრის ნანგრევიდან მოხიდული ნუჭურთმებიანი და წარწერებიანი ქვები. არალშიც ახალი წარწერა ვიპოვეთ სვეტის თავზე, მაგრამ უფრო ძვირფასი აღმოჩნდა ზარზმის ახალი წარწერები: ორი ლაპიდარული და ერთი ფრესკოვანი. თუ ჩვენი მოსახრება გამართლდა და თაღის უკან ჩატანებული წარწერა აღმოჩნდა, როგორც გვაფიქრებინებს მათი ასოების მოხაზულობა, სტრიქონთა ერთგვაროვნება და სხვ. იმავე ტაძრის სამრეკლოს ეკეტერის თორნიკე ერისთავის X საუკუნის წარწერის გაგრძელებაა. ეს აღმოჩენა მეტად ძვირფასი იქნება. ამ წარწერის გაგრძელებას უკვე დიდი ხანია რაც მეცნიერები ამაოდ ეძებენ.

მეორე ლაპიდარული წარწერა ფრესკით არის დაფარული და მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს. ამიტომ მისი წაკითხვა, ვიდრე ფრესკა არ აიღება – შეუძლებელია. ეტყობა კი, რომ წარწერა ძველია. ისტიმპანის ქვაზეა ამოჭრილი.

სურ.6. ღვთისმშობლის რელიეფური გამოსახულება ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარზმაში გახომილ და ნახატულ იქნა უძველესი წყარო, ფრესკები ჭულეში და ხანავის ციხე...

ხანავის ციხე

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ დროის უქონლობისა და უსახსრობის გამო ხელი ავიღეთ ქვაბლოვანის ხეობის ზედა ნაწილის ეკ. ზეგანის შესწავლაზე. 3-4 დღით გვინდოდა ურაველის ხეობაში აგვევლო და ხერთვისში წავსულიყავით, სადაც ლურსმნული წარწერები გვეგულებოდა. მაგრამ 3 სექტემბერს, ახალციხეში ჩამოსულებს ჩვენში გვიკრეს თავი. ჩვენი ნივთების ჩხრეკისას გაგვიფუჭეს ძვირფასი ფოტოგრაფიული გადაღებები, ნახაზები, ფოტო ქაღალდები, სურათები.[1]

13 სექტემბერს ჩვენი ბარგით უკან თბილისში გამოგვისტუმრეს.[2] ვიღრე ახალციხიდან წამოვიდოდით, სამაზრო აღმასკომს წერილობით მივმართეთ: ვთხოვდით, ზომები მიეღოთ გაპარტახებული ჭულეს დასაცავად, არალის და უდეს ნუქურთმებიანი და წარწერებიანი ქვების შესანახად და სხვა საჭიროებათა შესახებ.

1924წ.

ტუიზლიხი, შემოდგომა

---

[1] შენიშვნა: ეს ახალციხური ეპიზოდი ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელია გ. ნიტაიას ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლიდან პოლიტიკას ნამოშორდა და მეცნიერებაში გადაწყვეტა მუშაობა, იგი კვლავ არასამდგო პოლიტიკურ ფიგურად ითვლებოდა და შედმივ მეთვალყურეობაში იყო. მის ექსკურსიას მესხეთში დაემთხვა 1924 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენები და ახალციხის რეგიონში აჯანყების ორგანიზების საბაბით იგი მ. შავიშვილთან ერთად (ყოფილი სამხედრო პირი) დააპატიმრეს. „სამეულის“ გადაწყვეტილებით მან დახვრეტა მოუსაჯეს, მაგრამ ვითარების მოულოდნელმა ცვლილებამ ისინი გადაარჩინა. მხცოვანი მეცნიერი ამ პერიოდს თავის ცხოვრებაში „განეგების მიერ სიცოცხლის მეორედ ნუქბად“ თვლიდა: „იმ დროს არც ვიცოდით, თუ რა უბედურება ტრიალებდა ჩვენ თავზე, ან ვინ იყო ჩვენი მშველელი. სინამდვილე რამდენიმე წლის შემდეგ გავიგეთ. თურმე „სამეულის“ ერთ-ერთი წევრი ახალციხის აღმასკომის თავმჯდომარე გაბუნია ნემი პეტერბურგელი ამხანაგი აღმოჩნდა. მას უთქვამს: ერთი დღით გადავდოთ დახვრეტაო. მეორე დღეს კი მისულა სერგო ორჯონიკიძის ბრძანება დახვრეტების შეწყვეტაზე. ჩვენ კი სიკვდილი ამ დამეს უკვე ვნახეთ.“ იხ. გ. ნიტაიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 55.

[2] შენიშვნა: ათდღიანი პატიმრობის შემდეგ, 13 სექტემბერს, გ. ნიტაია და გ. შავიშვილი უკან გამოისტუმრეს თბილისში, მაგრამ ნამორთმეული საველე რვეულები, ფოტო და გრაფიკული მასალა უკან აღარ დაუბრუნეს და დაიკარგა. გადარჩენილია მხოლოდ ერთი საველე რვეული „მესხეთის ექსკურსიის დღიური“, 1924წ. ფარქრთი ნაწერი 50 გვ.; ინგარიში „ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად“, ხელნაწერი, 10 გვერდი. 2 ეთნიკური ტიპის სურათით და ზემოთ მოყვანილი წერილით. (თ. ც.)

ადიგენის რაიონის მოსახლეობა ეთნიური ჩამომავლობის მიხედვით მესხების, აჭარლების, აზერბაიჯანელი თურქების და სხვათაგან შედგება.

მოსახლეობის სხვა ეთნიური ელემენტებიდან გვხვდება სომხები, რომლებიც შემოხიზნული არიან 1828 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიის მიერ ამ კუთხის დაპყრობამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლება და ოსმალეთიდან აყრილი სომხების ჩასახლება. ადიგენის რაიონში ცხოვრობენ ასევე აჭარლები და მცირე რაოდენობით რუსები. მესხები, რომლებიც ამ რაიონის ძირითად მოსახლეობას შეადგენენ, უძველესი ქართველური ტომია. ეს ტომი დამოწმებულია აღმოსავლურ წყაროებში ჯერ კიდევ თიგლატპილასარ I-ის დროს, როდესაც მესხები (მუსკ-ები) ევფრატის შუაწელში ბინადრობდნენ, ხოლო შემდეგ მცირე აზიაში ღალისზე და ქართველი ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაჯგუფებისას მტკვრის სათავის აუზში განმტკიცდნენ.



ოქროს ციხე

მახლობელ წარსულში (1625 წ.) ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ადიგენის რაიონის მოსახლეობა მუსლიმანური კულტურის გავლენის ქვეშ მოექცა და უმრავლესობა გამაჰმადიანდა, ხოლო ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანობის დამცველად დარჩა. ქართული ენის გვერდით გაბატონდა თურქული.

თურქების ბატონობამ ორასი წლის განმავლობაში (1625-1824 წ.წ.) საკმაოდ დიდი გარეგნული

კვალი დაამჩნია ადგილობრივ მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, მესხების ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ მრავალი ნიშანი შემოინახა, რომლებიც ამჟღავნებენ მათი კულტურის უძველეს ფენებს, გაცილებით ადრინდელს, ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნეში შემოჭრილი მუსლიმანობა.

ადიგენის მოსახლეობის ეთნოგრაფიული სინამდვილე [ეთნოლოგიის] ხაზით შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა. დასტურდება საცხოვრებელი ბინის ოთხი ძირითადი ტიპი:

1. დარბაზი, მიწური, ოდური და ლაზური.

ამათგან დარბაზის ტიპის სახლი ბინის ისეთ კომლექსს წარმოადგენს, რომელიც შედგება საკუთრივ დარბაზის (ადამიანის საცხოვრებელი ნაწილი), ბაკის, საკუჭნაოს, ბოსლის, საბძლის და საფურნესაგან.

გარდა ამისა, ამ კომპლექსს ახლავს აგრეთვე კარაპანი, სადაც მოწყობილია ჰამბარი, საკოდე და სარძიე. მთლიანად სახლის ეს კომპლექსი შერწყმულია მესხის პრიმიტიულ მეურნეობასთან. მასში შერწყმულია საცხოვრებელ ბინასთან საქონლის სადგომი და ადამიანისა და საქონლის მარაგის შინამეურნეობასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილი. ამასთანავე ასეთი კომპლექსი დიდი

ეირქესალიანთ დარბაზი

მღებრიანთ დარბაზი, „მერცხლის ბუდურა“

გვაროვნული ოჯახისათვის თავის სიდიდით ხელსაყრელ ნაგებობას წარმოადგენდა. ასეთ სახლში ჩვეულებრივად სამალავი ადგილი (ბაითელმა) იყო მოწყობილი, სადაც შიშიანობის (მე-19 ს. „აჭრილობის“) დროს ქალები, ბავშვები თავს აფარებდნენ.

დარბაზული სახლი სამი კედლით მიწაშია ამოყვანილი, ხოლო სახლის პირი მიწის ზემოთ მისავალზეა. ამ სახლის ორიგინალურ

ნაწილს მისი სახურავი შეიცავს. დარბაზული ტიპის სახურავი აქვავთ კედლებიდან შემდეგნაირად: ამოყვანილ კედლებთან დაიდგმის (მათ თავებზე) ბალიშები, ხშირად ორნამენტით დაჭრელებული. ბალიშებზე – საწარბე ხეები გაეწყობა, მათზე ნიყურებია დადებული წყება-წყებად. რაც ხევით ადის ნიყურების ოთხკუთხედი, თანდათან ვიწროვდება, ისე რომ, უკანასკნელი ოთხკუთხედი განით ერთი ადლის მეტი აღარ იქნება. ნიყურებს შორის გამოტოვებული ადგილები ფათხებით იფიცრება. უკანასკნელ ოთხკუთხედს აქ ერდო ანუ კოკოში ეწოდება. წინათ ასეთ ერდოზე სცოდნიათ ხაფანგების გამართვა, რომ ბანზე არ ჩავარდნილიყვნენ.

ამგვარად შემზადებულ სახურავზე ღრიჭებს ჯერ ნაძვის ტოტებით ამოავსებდნენ, დააგებდნენ ზედ ნაფოტს, მოაყრიდნენ ბზეს, ეკალს და მისთანს, შემდეგ წითელი თიხით შელესავდნენ და როდესაც გაშრებოდა, მიწას მოაყრიდნენ და დატკეპნიდნენ.

დარბაზული სახლის ზემოთ აღწერილი გვირგვინი შემთხვევითი გარემოებით არ უნდა იყოს შექმნილი. ძველად ასეთი გვირგვინის ქვემოთ შუაცეცხლი იყო გაწყობილი, რაც დღეს ადიგენის რაიონში ბუხრით არის შეცვლილი. საფიქრებელია, რომ ერდოსი და კერის სიახლოვე, ზეციურის (მზე) და ქვეციურის (კერის) კავშირს გულისხმობს და ამდენად ასეთი გვირგვინიანი სახლის რიტუალურ ფუნქციას ამჟღავნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადიგენის რაიონში დამოწმებული „დარბაზული“ სახლის ეს ტიპი საქართველოში მესხეთის გარდა ქართლშია დამოწმებული, სადაც იგი ჩრდილოეთით ცხინვალ-დუშეთ-თიანეთამდე აღწევს, ხოლო მეზობლებში – სომხეთსა და აზერბაიჯანში. აღმოსავლეთით ჩვენ მას ვხვდებით თურქეთის აღმოსავლეთის ვილაეთებში, ჩრდილოეთით – ირანსა და ინდოეთში.

მამაკაცი „აწყურული“ ტანსაცმლით

რაც შეეხება ბანიან მიწურ ტიპს, ისევე კომპლექსური [ნაგებობაა], როგორც დარბაზული ბინა, მხოლოდ განსხვავება სახურავშია. ამ მხრივ იგი ქართლური მიწურისაგან არ განსხვავდება. ამ ტიპის გავრცელების არეალი ჩრდილოეთით დაღესტანს აღწევს, სამხრეთით და დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის ძველი კულტურის კომპლექსში შედის და აბისინიის ჩრდილოეთში ვრცელდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლაზურ სახლს. იგი მასიურადაა გავრცელებული ადიგენის რაიონში – ზეუბანში, ხოლო სპორადულადაა – ქვემო-უბანში. ლაზური სახლი წარმოადგენს ორ ან სამ-სართულიან შენობას, რომლის ქვემო სართული ქვისგან არის აგებული, ხოლო ზემო ხისაა. მისი სახურავი ოთხწახნაგოვანია. ლაზური ტიპი თავისი ზედა ოვალის კონსტრუქციით ლაზების მიერ არის შემოტანილი ადიგენის რაიონში, მისი მშენებ-

ლები ქვაბლიანის ხეობაში ლაზები იყვნენ. ეს ტიპი ნიშანდობლივი კომპონენტების მიხედვით გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და ლაზისტანში.

ახალციხე, XXს. 20-იანი წლები. ორბელიანი იაკობ ვასილისძე თავისი მეუღლით

სახლის მასალის გამოყენების ტექნიკას ადიგენის რაიონის მოსახლეობა საკმაოდ კარგად არის დაუფლებული. იციან ქვის ძარღვის მიკვლევა. ხის ნათთხალი და კედლის ნაპირებზე ჩატილის ჩატანება კედლის ზედა ხიმძიმის დასამჩატებლად. თუმცა ამ მხრით აჭარლებს ჩამორჩებიან. აჭარლებში ჩატილის გარდა მიღებულია კედლის დაბორკის წესი. სახლის აგების დროს იყენებდნენ მელს (საგლესი), ხილფს, და ზუს (სასწორი), ყაზმას (წერაქვი), ჩაქუს, ვარიოზს, ფეხეზოს, ხელეზოს, ხატეს, ქართულ და თურქულ ცულს და ა.შ.

ამ რაიონში ტანისამოსი ორი ძირითადი ტიპისაა. მამაკაცის ეწ. აწყურული იხმარებოდა გლეხებში: ახალოხი, ჩოხა, განიერი შარვალი, ქამარი, ბოხოხი (ქუდი). წინდა და წაღა. მთელი კომპლექსი შინამრეწველური პროდუქციისაგან მზადდებოდა. შეძლებულების ჩასაცმელი: ყურთმაჯიანი ჩოხა, ყალმუხის ქუდი და წვეტიანი წაღა ძვირფასი ქსოვილებისაგან და საუკეთესო მასალისაგან იკერებოდა.

გლეხი ქალის ჩაცმულობა

მამაკაცის კოსტუმი ამ რაიონში აჭარულის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელსაც გურიაში ჩაქურა ეწოდება. იგი შედგება: მოკლე ჩოხის, ნაოჭიანი შარვლის, წინდა, პაიჭებისა და ყაბალახისაგან. თუმცა ყაბალახს აქ ხშირად ფესი და სარუდი (ჩალმა) ცვლიდა. შარვალი უბის მიხედვით იყო აჭარული ან აწყურული. აჭარული გავრცელებული იყო გურია-აჭარაში, შავშეთ-კლარჯეთსა და ლაზისტანში.

მიწისმოქმედების ხაზით საკმაოდ მდიდარი კულტურა მოწმდება. ადიგენის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში [დადასტურდა]: მორწყვა, გაპო-

ხიერება, მოცდენა, გათერძვა, გაოშვა და გახარვა. სათანადოდ დაწინაურებული სახვნელი იარაღებიც მოიპოვება. აქ იხმარება: არონა, გუთანი, ჯილდა. არონა კავის ტიპის სახვნელი იარაღია. მას აქვს: სახნისი, კბილაი, ყურები, ხელნა, ხმალაი, მხარი, საბეწვი. ჩვეულებრივად არონაში ყევარი ხარია შებმული, ან კიდევ ერთი ულელი ხარი, ამ უკანასკნელ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არონას ხმარობენ მოხნული ყანის გასახარავად.

ამ ტიპის სახვნელი იარაღის სახელწოდება თავისი ფუძის მიხედვით მრავალ ენაში მოიპოვება: სკანდინავიიდან დაწყებული საბერძნეთი - მცირე აზია და სომხეთით გათავებული (Ar, arbo, ardes, aror და სხვა). ეს ტერმინი მესხურში უძველეს ხანაშია შესული. რაც შეეხება

არონა

გუთანს, იგი ჩვეულებრივი ქართლ-კახური გუთნის ტიპის სახვნელი იარაღია. მასში რამდენიმე ულელი ხარ-კამეჩი შეიბმის.

საყურადღებო იარაღია ჯილდა. ადიგენის რაიონის მოსახლეობაში ის საყოველთაო სახვნელ იარაღს წარმოადგენს. მას აქვს სახნისი, კბილა, მანჭუა, სახელური, ხმალა, რვილა, კორა, ფამფალაკი: ღერძით, თანატოლი გოგორებით; შოლტა, საუღლის გასამაგრებელი, წაფელი, ჭანჭიკი, ასაბმელი, ნამოსაკრავი და სხვა.

გუთნისაგან განსხვავებით, ჯილდას ფრთა არ გააჩნია. ამ სახვნელი იარაღის მთავარი თავისებურება სწორედ იმაშია, რომ ის უფრთოდ იმავე ფუნქციას ასრულებს თავისი ქუსლის მოყვანილობის გამო, რასაც ფრთიანი გუთანი. სახვნელი იარაღის ასეთი ორიგინალობა დამოწმებულია რაჭულ-ლეჩხუმურ სახვნიელში, სადაც ქუსლის მოყვანილობა სავსებით ნათელყოფს, რომ მის ფუნქციას შეადგენს, სახნისით აჭრილი მიწა ააყოლოს, ქუსლის გვერდების დაყრდნობით გადააბრუნოს, რომ მით მიწა უფრო დაიწვას, მზისგან ჯანი მიეცეს. სახვნელი იარაღის ასეთი თავისებური ქუსლი სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული არ არის და უთუოდ სპონტანურ მოვლენას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ ამ რაიონში



მესხური ჯილდა

მიწათმოქმედების დაწინაურებას, ადგილობრივი სახვნელი იარაღის წარმოშობა სავსებით დასაშვებია.

ასევე საინტერესოა ადიგენის რაიონის მცხოვრებთა სხვა ელემენტებიც: გადასახიდი საშუალებები, ხის დგამ-ჭურჭელი, რძის მეურნეობა, თევზაობის იარაღები, და ა.შ.

სოციალური წყობილების გადმონაშთების ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე შემონახული იყო დიდი ოჯახი, რომლის მოძრავი და უძრავი ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1922 წ. სოფ. არალში ცხოვრობდა დიდი ოჯახი, რომელიც ოთხმოც სულს შეადგენდა. ასეთი ოჯახის უფროსად, მამასახლისად ირჩევდნენ ყველაზე უფრო გამჭრიახსა და გამრჯეს. ქალთა შორის დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ს, ისინი ანაწილებდნენ და მეთვალყურეობდნენ ოჯახის წევრთა საქმიანობას.

რაიონში მოწმდება შრომის კოოპერაცია მ ო დ გ ა მ ი მემინდვრეობაში, ხ ა ნ უ ლ ო ბ ა – რძის მეურნეობაში. აქვე შემონახულია მნათობთა თაყვანისცემის, მზე-ქალის კულტი, ბედის ვარსკვლავი, რომელიც თითოეულ ადამიანს საკუთრად ჰყავდა ცაზე შერჩეული და მისი შუქის ციმციმის მიხედვით მისნობდა თავის მომავალს. დავადასტურეთ ქვის, ნაყოფიერების კულტები: წარმოდგენა ავი და კეთილი სულების შესახებ; ალი, როკაპი, მაჯლაჯუნა, ქაჯი, ტყისკაცი, უჟმური, ჭინკა და მრავალი სხვა.

ამრიგად, ადიგენის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ჩანს ქრისტიანობისა და მუსლიმანობის სარწმუნოებათა გადმონაშთები, მაგრამ, ამავე დროს, უფრო ადრეული, ქართველური ტომებისათვის საერთო სულიერი კულტურის ელემენტები და წესნეულებები.

1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი მოხსენება კახეთში მოგზაურობის შესახებ*

(სიძველეთა მდგომარეობა და არქეოლოგიური აღმოჩენები)

როგორც წინასწარ ნაგულისხმევი იყო, გამგზავრებას კახეთში მიზნად ჰქონდა სიძველეთა მდგომარეობის გაცნობა, ეთნოლოგიური დაკვირვებების მოხდენა, განსაკუთრებით უდელებში, და ალაზნის არხის დათვალიერება იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების გამო.

სამივე ამოცანა შესაძლებლობის ფარგლებში შესრულებულ იქნა. ვინაიდან ეთნოლოგიური დაკვირვებანი ცალკე იქნება თავმოყრილი სხვა მოხსენებაში, აქ ამჟამად მხოლოდ სიძველეთა მდგომარეობას და არქეოლოგიურ ნაშთებს შევეხებით.

29 მაისს უკვე წ ნ ო რ შ ი ვიყავი, რომლის მიდამოებშიც წარმოებს ალაზნის არხის გაყვანის სამუშაოები (კარდანახი-წნორი-საქუმბათო), სადაც აღმოჩენილი იყო და მუზეუმში გადმოზავნილი ორგზის არქეოლოგიური ნაშთები. თვით არხის გასაყვანი სამუშაოები არის წნორიდან დაახლოებით სამი ვერსის მოშორებით, სამხრეთით. აქ არხის გეგმით 472-ე პიკეტში, სოფელ ტიბაანის ეკლესიიდან აღმოსავლეთით, პირდაპირ არხში სიღრმით არშინი და 4 ვერშოკზე აღმოჩენილი იყო თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამაჯური (ის, რაც ნეკენ გადმოგვიზავნეს). აქვე ვნახე მიწაში ძვლები და კერამიკის ნამსხვრევები. ეს ადგილი ტრიალი მინდორია. არხის მონაკვეთი აქ გვიჩვენებს ჯერ ყამირს, შემდეგ თიხას. მეორე ჰუნქტი, სადაც თიხის ჭურჭლები იქნა აღმოჩენილი, არის 484 პიკეტში + 17 საჟენი. ნიშვების აღმოჩენის სიღრმე 1-1/2 არშინია. უნდა ითქვას, რომ ეს მიდამოები არქეოლოგიური მხრით საინტერესოა, მით უფრო, რომ არხის გაგრძელება იმ ტერიტორიაზე გადავა, სადაც ნაქალაქვია ქუმბათი, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ეძახიან. ამ ადგილებში არქეოლოგიური ნაშთების გამოჩენაა მოსალოდნელი[1].

თვით ნაქალაქარი დიდ მანძილზეა გადაჭიმული, რაც ეტყობა აქ-იქ არსებულ ხელოვნურ გორაკებს. აქვეა ქუმბათის წყალი, რომლის „ოლეზე" კულტურული ფენების ნიშნებია. აქვეა შედარებით ძველებური წყარო, ამჟამად დამშრალი, აგურისაგან აგებული.

რა თქმა უნდა, ამ მიდამოებში გათხრით სამუშაოებს ყურადღების მიქცევა უნდა და საჭიროა შესაფერი ზომების მიღება, რათა ამ მიდამოების არქეოლოგიური ნაშთები არ დაეკარგოს მეცნიერებას. ამ მიზნით მე შევქმენი ადგილობრივი აპარატი, რომელიც საჭირო შემთხვევაში ყოველი არქეოლოგიური აღმოჩენის დროს სასწარფოდ აცნობებს მუზეუმს, რაც საშუალებას მოგვცემს დროზე გავიდეთ

---

* შენიშვნა: კახეთში მოგზაურობა შედგა 1925 წ. (29 მაისი-7 ივნისი). მოხსენება წაკითხულ იქნა საქართველოს მუზეუმის საბჭოს სხდომაზე. (თ.ც.)

[1] ეფუოდ, ამ მიდამოებშია ნაპოვნი ის შესანიშნავი ბრინჯაოს ხატვარი, რომლის შესახებ წერს ბარონი დეგაი (იხ. Extraits du bulletin de lasoriete nationall des antiquers de France. Mars 1898. Communitions feutesen Seance for le baron de Baye, Membre S.—გვ. 3)

აღმოჩენის ადგილზე და შესაფერისი თადარიგი დავიჭიროთ. მართალია, სამუშაოების 15-18 ვერსზე გაჭიმვის გამო შეუძლებელი ხდება ისეთი აპარატის შექმნა, რომელსაც შეეძლება აღმოჩენას იმთავითვე დაესწროს, მაგრამ სულ არარაობას, ორი-სამი პირის დავალება საქმისათვის მაინც შედეგიანია. ასეთი პირები მე ადგილობრივ გამოვნახე. ესენია, სამუშაოების უფროსის თანაშემწე გავრიკოვი ვლადიმერ გერასიმეს ძე და მეორე უბნის კანტორის სამეურნეო ნაწილის გამგე გრიგოლ ანტონის ძე ხახუტაშვილი. საჭიროა, რომ ამათ შესაფერისი მანდატი გაეგზავნოთ, საჭირო წერილობითი ინსტრუქციითურთ, ასევე კარგია, თუ მინიმალური რამ გასამრჯელო დაენიშნებათ საქმისადმი წასახალისებლად. გასამრჯელო საჭირო იქნება მალე გადავწყვიტოთ, უფრო აგვისტოდან, ვინაიდან, ამჟამად და ივლისში ადგილობრივი სამუშაოები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი გლეხების სახაფხულო სამუშაოებში დაკავებულობის გამო.

თელავი. XX ს. I ნახ.

საჭიროა აგრეთვე მიეწეროს წყლის სამმართველოს რწმუნებულს საქართველოში, რომ არქეოლოგიური აღმოჩენებისას, ამ მიდამოებში შეერდეს მუშაობა, სათანადო სპეციალისტის ჩასვლამდე. და ისე არ ხდებოდეს, როგორც ეს ამ სამმართველოს მიმართვაშია აღნიშნული (№1030), რომ მათ თანამშრომლებს ევალებათ მარტოდმარტო „თვალყური ადევნონ, რომ ნივთები დაკარგული არ იყოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძველეთა დათვალიერება მე ბოდბიდან მომიხდა, ბოდბის მონასტერი დაკეტილია, დაცულობით დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ახდენს, მხოლოდ საეკლესიო ნავთები, სიძველისა და სინესტეში დების გამო, უაზროდ [ფუჭდება]. საჭიროა ისინი ან მოქმედ ეკლესიას გადაეცეს ან შესაფერისი რეალიზაციით მოხმარდეს სიძველეთა დაცვის საქმეს. აქვე ვნახე ხელსაქმე მონახვნებისა, რომელთა უმრავლესობა სამუზეუმო მნიშვნელობისაა და სასურველია წამოღებულ იქნეს ობილისში.

კახელი ქალი. XX ს. II ნახ.

თელავში ყოფნის დროს დავათვალიერე ბატონის, ვახვახიშვილების და ეგრეთ წოდებული კვირიკეს ციხე-გალავნები. მათი მდგომარეობა ამჟამად თითქოს სანუგეშოა, მაგრამ არსებითად რომ საქმის ვითარებას შევეხოთ, მათი დაცულობა არც დროით, არც გარეშე ძალისაგან, დამაკმაყოფილებლად ვეღარ ნაითვლება. მაგალითად, საქმე ეხება ბატონის ციხის მეორე წყება ბურჯების რიგს, რიცხვით სამს, უკანასკნელ მოჰიკანებს ამ მეორე წყებისას. თელავის აღმასკომს გადაუწყვეტია ქუნის გაყვანა აბანოსკენ ბატონის ციხის ჩრდილოეთის მხრით, რის გამო ეს მეორე წყების სამი ბურჯი მოშლილი უნდა იქნეს. უკვე დარღვეულია და ჩემი იქ ყოფნის დროს დაშალეს ის სახლი, რომელიც აქ იდგა ციხის კედელთან, სადაც არის ჯერი ბურჯებს მიადგება. მე ყოველ შემთხვევისათვის ფოტოგრაფიულად გადავიღე ბურჯები და წერილობით მივმართე [თელავის აღმასკომს] როგორც სიძველეთა კომიტეტის წევრმა და მუზეუმის რწმუნებულმა, ასეთი აქტის დაუშვებლობის შესახებ და მიუთითე № 95 დეკრეტის პირველ პუნქტზე.

კახელი მამაკაცი. XX ს. II ნახ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის გალავანში მდგარი კარის-ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ინგრევა, სანამ მორწმუნეებსა და აღმასკომს შუა გრძელი დავაა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ეს ეკლესია არსებობდეს, დაინგრეს თუ არა, ამასობაში თვით ძეგლი თანდათან ირღვევა და ინგრევა.

ციხის დასავლეთის კედელთან მდგა-რი სომხების ძველებური, ჩინებული ეკლესია უკვე დანგრეულია.

ღვთაების ეკლესიის მდგომარეობას არა უშავს, მხოლოდ აქ სამრეკლოზე თუნუქი გადარღვეულია და წვიმისაგან დაუცველია.

ეკლესიაში რამდენიმე ღირშესანიშ-ნავი სიძველეა: ნიკოლოზ სასწაულ-თმოქმედის ხატი, 1856 წ. თარიღით, ადგილობრივი ქსოვილის ნიმუშები და სხვა. ეს ეკლესია ითვლებოდა რუსიშვილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგვარეულოდ. სამხრეთის კარების ზღურბლად ნაქარია სიდამონიანის სამარეა. ამავე ეკლესიაში, ნემი ა'ხრით, საყურადღებოა მე-19 საუკუნის ეკლესიის კრებულის წიგნი.

კვირიკეს გალავანში სომხების ეკლესიაა, საკმაოდ კარგად დაცული. აქ აღმოჩნდა სიძველე: ზიარების ჭურჭელი 1853 წლის თარიღით, ვერცხლისა და ქართული წარწერით, რომელიც ჩვენს რწმუნებულს გადაუცია ეკლესიისათვის სახმარებლად. გადმოცემით, ეს ეკლესია ერეკლე II-ს უნაშენია სომხებისათვის და იმ დროიდან სომხების ხელშია. სამხრეთის კარებთან, გარედან, საფლავის ქვაა, ქართული წარწერით.

პირველ ივნისს შემთხვევა მომეცა უდელებთან გავმგზავრებულიყავი თელავიდან გადმა მხარით. გზადაგზა სიძველეების მიმოხილვას ვაწარმოებდი. პირველად ნაქალაქარ თარსაგალავანში შევხვედი. აქ დიდძალი ძველი შენობებია. არის ნაშთები ქუალბაქების, აქვეა რღვეული ეკლესია-ბაზილიკა, რომელსაც დასავლეთის კარებზე, მთლიან ქვაზე, სამენოვანი წარწერა აქვს: სომხური, ქართული (მხედრული) და სპარსული.

ქართული წარწერა ასე იწყება: „ჯ. მ: ფრიად ცოდვილმან... აღვაშენე კარს ეკლესია ესე ყოვლად... პატრონითა ალექსანდრისა წელს მეოცდამესამეს ექვსა მის...“

აქ თავისთავად ერთი საკითხი იბადება: ეს ეკლესია ცუდ მდგომარეობაშია დღეს და ხვალ შეიძლება კედლები ჩამოენგრეს, მაშინ წარწერა უთუოდ დაზიანდება და დაიმსხვრევა. უმჯობესი იქნება ახლავე მოუაროთ წარწერას. წარწერიანი ქვა მუზეუმში გადავიტანოთ, თუ შეუძლებელია ეკლესიის გამაგრება. სამწუხაროდ, წარწერის ფოტოგრაფიული გადაღება ვერ შევძელით.

გზა განაგრძეთ. ენისელში ენახეთ მთავარანგელოზის ეკლესია. გრემში დავათვალიერე შესანიშნავი ციხე სამსართულიანი, ჩინებული აღნაგობის. კოშკებისა და ციხის სახურავი გადაგლეჯილია, სახურავი ერთგან სრულად გადახსნილია და წვიმა დაუბრკოლებლივ ჩადის. ეს ციხე იშვიათი ძეგლია, საჭიროა გადაიხუროს და დაიცვას.

ციხის ჩრდილოეთის მხრიდან სამრეკლო დგას. სამრეკლოში სამი ზარი ჰკიდია. ერთი მეტად ძველია, ახლავს წარწერა იერგვლივ ორ სტრიქონზე: „ჯ. მე ფრიად ცოდვილმან ნეკრესელ მიტროპოლიტმან იოანემ შემოგწირე ესე ზარი ნეკრესთა ღთს მშობლის წა დიდსა ეკლესიასა: სულის ჩემისა ნც გამოსწირს ჩემთა ცოდვათათვის იგიმც განიკითხება: ვინც აღმოიკითხევდეთ შენდობას ჰყოფდეთ ბეკედრებით: ჟკს ულვ“. კარგი იქნებოდა ამ ზარის შენახვა მუზეუმისათვის.

მეორე ზარი, წარწერის მიხედვით, შეწირული ყოფილა სამების ეკლესიისათვის, თარიღით „ჩუნთ“, მესამე წარწერა უფრო ახალია.

ოთხთ ეკლესია ჩინებული, გუმბათოვანი – ამჟამად ცუდ მდგომარეობაშია. ორი-სამი კვირის წინ შიგ ცხვარი ჰყოლიათ შერეკილი, გუმბათის თუნუქი გადაუგლეჯიათ და წაუღიათ. არადა რა ძეგლია. კედლებზე ჩინებული ფრესკები, უხუნი ფერებით გაკეთებული, ბერ-

ძნული წარწერებით უმრავლესობა. წმინდანთა სახეები საშინაოდ დასახიჩრებულია. დასავლეთის კედლის მარჯვენა მხარეზე დახატულია კტიტორი – მეფე გვირგვინში და ძვირფას ტანსაცმელში, სახე მასაც დამახინჯებული აქვს.

გარედან აღმოსავლეთის კედელზე, ისე როგორც გალავანში, ალაყაფის კარებზე ფერადი ქვებია ჩასმული.

ციხესა და ტაძარს ყურადღება უნდა მიექცეს.

ყვარლისკენ მიმავალ გზაზე ქალიაყანას გორი შეგვხვდა, მის შესახებ საინტერესო ლეგენდა ჩავიწერე. გავიარე კუდიგორის ადგილი, მივედით ყვარელში. პირველ ყოვლისა დავათვალიერე ციხე ორპირი გალავანით და ვნახე საკვირველი ჭა-ორმო.

დავათვალიერე ილიას სასახლე „კოშკი“. კოშკში ამჟამად სამკითხველოა გამართული. კოშკის ქვედა სართულში ცხოვრობენ. სასახლეში, სადაც ილია დაიბადა, ქალთა წრე და სადამოს სკოლაა. დარბაზი ფიცრულითაა გადაკედლილი. მარანის სამი კედელი დარღვეულია, ხოლო მეოთხე – უკანასკნელი, სახალხო სახლის ერთ-ერთ კედლადაა გამოყენებული.

ყოფილ ჭავჭავაძიანთ ეკლესიაში, რომელიც ძველი ეკლესიის ადგილზე აგებულა 1896 წ., დასავლეთის კედლის შიგნით მარმარილოს ქვაა ჩატანებული წარწერით: „აქა შთაიბნა მტვერი თ.ა დი პაატ ჭავჭავაძის კნეინა პელე ხოლერისაგან სალმობიენ დამტევებელსა საყვალსა ასულსა და სამთა ძეთა. მხილველთაგან შენდობის მოქმესა ჩულ წელსა“.

მეორე ასეთი ქვა ამავე კედლების მარჯვენა მხარეზე ამჟამად ამოღებულია და მისი მოპოვება შეუძლებელი შეიქნა. ამავე ეკლესიაში, რომელიც კომკავშირის კლუბად არის გადაკეთებული, ჩვენ ეთნოგრაფიული საგნები ვნახეთ. სახელდობრ, კაჟიანი თოფები, მუზარადები, ჩაჩქანი, ფარი, სამკლავეები და სხვა., რომელთა წამოღება გადავწყვიტე, მაგრამ კლუბის თავმჯდომარემ არ დაგვანება. ეს ნივთები თელავიდან მოწერილობის შემდეგ გადმოგვიგზავნეს და ამჟამად მუზეუმშია დაცული. ამავე ეკლესიაშია W. Morgensterni -ს 1893წ. პარიზში ყალმით დახატული დიდი ზომის სურათი – ქრისტე გეთსემანიის ბაღში. საჭიროდ მიმაჩნია ამ სურათის დაცვა და მუზეუმისათვის გადაცემა.

ყვარლიდან 3-4 ვერსის მოშორებით ყვავის ეკლესიაა, რომლის შესახებ ლეგენდა არსებობს. ის ჩვენ ჩავიწერეთ. აქვეა ნეკრესილომტახის სალოცავით, შობა-დამის შესაწირავი. ღორის კულტი გამონაკლისს შეადგენს მთელ კახეთში.

4 ივნისს დავათვალიერე ვარდისუბნის ტაძარი. საეკლესიო წიგნებს შორის ხუცურად ნაბეჭდი ქართული გრამატიკა აღმოჩნდა მე-19 ს. პირველი მესამედის.

მეორე დღეს ვიყავი რუისპირში, სადაც დავესწარი დღეობა-დავითობას. აქ დავათვალიერე მოქმედი ეკლესია, პატარა ბაზილიკა, სრმხების ეკლესია – ამჟამად კომკავშირის კლუბი. ეკლესიისათვის გადაუხდიათ გუმბათი. ვნახე დანგრეული ეკლესია კვირაცხოვლისა.

აქ დაბლა ერია ხატები ქართული წარწერებით მე-19 საუკუნისა. ეკლესიასთან დგას დიდი კაკლის ხე. ხალხი სწორედ აქაა ბრუნ-მოერილი. ეკლესიის ახლო მდგარა უზარმაზარი თელა 300-400 წლისა, რომელიც სოფლის მთავრობას წელს მოეჭრია ზამთარში. თელის განაჭერის დიამეტრი ექვსი მეტაველია. აქვე დგას ორი აკაკი.

ასევე უკაფიათ უზარმაზარი თელები ამ სოფლის ზევით მონასტერში.

ი ყ ა ლ თ ო ს ში ვარ. გარეგნული შეხედულებებით ღვთაება კარგ მდგომარეობაშია. იყალთოში ეკლესიაში შესვლა ყველარ მოვახერხე. ვინაიდან თემის თავმჯდომარე, რომელსაც გასაღები ჰქონდა, სოფელში არ იყო. ამ ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე ჯვრებია ამოღარული ასომთავრული წარწერებით; ჩრდილოეთის კედლის დასავლეთის ნაწილში, ზემოთ, ფერადი ქვაა დატანებული, ქანდაკებითა და ორნამენტებით. აქვეა სტოა ჩრდილოეთით, როგორც სამხრეთითაც. პატარა



იყალთო. აკადემიის შენობის შიდა ხედი

ბაზილიკა სამხრეთის სტოასთან სამფანჯრიანია და შესავალი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. მესამე ბაზილიკა ეკლესიის ჩრდილოაღმოსავლეთითაა. აქ მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული ხატია წმინდა გიორგის. გალავანში დიდი ცაცხვი დგას.

იყალთოს აკადემიის ნანგრევები გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ის უკვე ნახევრად მიწაშია. კარგი იქნებოდა ეს შენობა მიწიდან გაგვენთავისუფლებინა და დაგვეცვა.

ვახუშტის ცნობით, ღვთაების მიდამოებში 59 ეკლესია იყო და მართლაც გარშემო დიდძალი ნანგრევებია ეკლესიების. სოფლის მისავალში ერთი საინტერესო, მეტად ძველი ეკლესიაა, რომელიც

ასევე ნახევრად მიწაშია ჩაფლული, თაღები ჩამონგრეული. აგებული ... ქვისაგან. აღმოსავლეთის კედელზე ფანჯრებს თოკის ორნამენტი ჩასდევს.

5 ივნისს ჩვენ უკვე ზემო ხოდაშენში ვიყავით. როგორც ლი-ტერატურიდან ვიცოდით, აქ მეტოქი იყო ჯვარის მონასტრისა. ვნახეთ ხარების ეკლესია, ციხე-კოშკი და წინანდელი მარანი, რომელიც ახლა სხვა დანიშნულების შენობად არის გადაქცეული. ხარების ეკლესიაში აღმასკომს დაუგროვებია სიძველენი ყველა მახლობელი ეკლესიიდან. აქ ხატებს შორის არის საინტერესო სიძველენი და ნაბეჭდ წიგნებშიც ბევრი ურევია მე-18-19 საუკუნეების ეგზემპლარები. ამ ნივთებიდან აღმასკომი არიგებს ნივთებს ნება-დართული ეკლესიებისათვის. საჭიროა ერთხელ კიდევ გადარჩევა ამ ნივთების და დაცვა, თორემ შეიძლება ეს ჩვენი განძეულობა პაპიროსის ქაღალდად დაიხარჯოს. ერთი ასეთი შემთხვევა ჩემს თვალწინ მოხდა. აღმასკომის წევრმა, რომელიც თან მახლდა, ამ წიგნებიდან ფურცლები ამოგლიჯა და პაპიროსის ქაღალდად დაგლი-ჯა. გთხოვთ ამ ფაქტს განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდოთ. ეს დროის გავლენაა და შეგნებით უნდა გადავლახოთ იგი, თორემ სულ წაიშლება ჩვენი ისტორია.

ხოდაშენიდან ნარეკალი (ხოდაშის ხევის ხევით) ახალ დაბაში გადავედით, სადაც ვერსის სიშორეზე მაღალ გორაზე ეკლესია მეგულებოდა, სახელდობრ სანინო, რომელიც ლიტერატურაში არ სახელდება. ინტერეს აძლიერებდა ის გარემოება, რომ ხოდაშენში მითხრეს, ამ ეკლესიაზე წარწერები არისო. მეტად ძნელი გზა-ბილიკით ავედით ეკლესიასთან. ადგილი მართლაც საჩინო გახლავთ, თვით ტაძარი კი დიდებული, შემოსილი იგი, როგორც აქაურები უწოდებენ, შირიმის ქვისაგან (სორსლებიანი). გუმბათი ჯვარის ტიპისა, გუმბათზე გადასავალი ტრომპების საშუალებითაა გაკეთებული. გუმბათზე შიგნიდან კიბეა გაკეთებული. შიგვე ყრია კანკელის სვეტების ნაწილები სადა ორნამენტებით. ჩრდილოეთით დიდი ზომის სტოა აქვს მიშენებული,

ქი'ხიეის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილენი: ს. ბედუკაძე, ვ. ბარდაველიძე, გ. ნიტაია და სხვები. 1961 წ.

ისიც შირიმის ქვით შემოსილი. ფანჯარა ორი აქვს, სადა გეომეტრიული ხახების ორნამენტით. აღმოსავლეთის კედელზე უზარმაზარი ჯვარი გამოხატული. ჯვარი ამობურცულია. დასავლეთით ოთხი ფანჯარა აქვს, ჩრდილოეთით და სამხრეთით კი – 2-2. ამჟამად გუმბათის სახურავი და ყელის ნაწილი ჩამონგრეულია. შერჩენილია მხოლოდ სამი ფანჯარა გუმბათის თორმეტი ფანჯრიდან. საჭიროა, ამ იშვიათი ძეგლის დასაცავად ზომების მიღება. ეს დარღვეული ეკლესია დღესაც მოქმედია. ქართველები აქ დღეობას იხდიან ყველიერის ხუთშაბათს, ხოლო ოსები ახალკვირაძალს საღმრთოს ასრულებენ. ოსების თქმით, თუ საღმრთო გადახდილი არ იქნა, იმ წელს უთოოდ ყანებს დასტეყვავსო.

წარწერები ეკლესიას აღარ შერჩენია ერთის გარდა. როგორც ქართველები, ისე ოსები ადასტურებენ, რომ აქ ბევრი წარწერა იყოო. ოსები ქართველებს აბრალებენ ამათ დაშალესო, წარწერებიანი ქვები ამოიღესო. ქართველები კი ოსებს, „ეს ოსების საქმე არისო“.

ყოველ შემთხვევაში სტოას ჩრდილოეთის კედელში შიგნიდან აშკარად ეტყობა ორი ქვა ყოფილა ჩასმული წარწერით. დღეს ეს ქვები აღარ არის. გადმომცეს, რომ სტოაში კარის ჩარჩოს თავში ფიცარზე წარწერა იყოო. მაგრამ დღეს ეს ფიცარი უკვე გამქრალია. საბედნიეროდ, ერთი წარწერა მაინც შენახულა. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი მეტად მაღლაა ამოჭრილი, ასე ექვსი საკენით მიწის პირიდან, ადამიანის ხელი ვერ მიუწვდება. მე იძულებული გავხდი აქვე მახლობლად მდგომ ხეზე ავცოცებულიყავი და იქიდან გადმომეწერა. წარწერის პირველი ორი სტრიქონი კარგად არის შენახული, მეორე და მესამე სტრიქონების ბოლოები გადაშლილია, უფრო მეოთხესი, მაგრამ აქაც ასოების მოხატულობა ცხადად ჩანს. აი, ეს წარწერა.



ამავე ეკლესიის მახლობლად ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დაბურულ ტყეში ნახევრად მიწაში ჩაფლული პატარა ეკლესია დგას, რომელსაც მინაშენები აქვს სამივე მხრიდან. ეს ეკლესია ბზობის სახელისა უნდა იყოს. ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ სუროს ეგრე დაუხლართავს კედელი, რომ სურათები ძლივსდა მოჩანს. წარწერები ასომთავრულია, მაგრამ აღარ იკითხება. აქვე ვიპოვეთ ქვის ნატეხები ასომთავრული წარწერით; ნაწილები შევაკოწიწეთ და ასეთი ტექსტი შედგა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲣᲜᲫᲝᲠᲘᲡ ᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲡᲘᲐᲛᲔ:

6 ივნისს დავბრუნდი თელავში. ნემი მოგზაურობა ძალიან ხანმოკლე იყო ისტორიული ნაშთებით მდიდარ ასეთ კუთხეში. კახეთი საქართველოს ისტორიის ამსახველი ძეგლებით, ეკლესია-მონასტრებით, ციხე-კოშკებით ნამდვილი მუზეუმია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება და პატრონობა სჭირდება. დღევანდელი მდგომარეობა ავლენს გარკვეული პირების მიერ ძეგლისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას. ისინი ეკლესია-მონასტრებს უყურებენ მხოლოდ როგორც რელიგიის საყრდენს და ისწრაფიან მისი განადგურებისაკენ. საჭიროა კი, მათ შევხედოთ როგორც ჩვენი ისტორიის ნათელ ფურცლებს, ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევ განძს, რომელიც ასევე სათუთად უნდა შევუნარჩუნოთ შთამომავლობას.

რა გამოააშკარავა ნემმა მოგზაურობამ სიძველეთა დაცვის საქმეში.

ა) პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს მაზრაში არსებულ სიძველეთა სრული რეგისტრაცია. სიძველეთა ის სია, რომელიც სიძველეთა კომიტეტის რწმუნებულს შეუდგენია, სრული არ არის და ამასთანავე ცალმხრივია. გამოტოვებულია პირველხარისხოვანი ძეგლები. არასწორად არის შეფასებული ძეგლის მნიშვნელობა. სრულიად არ არის ყურადღება მიქცეული შეწირულ ტყეებზე, მდვიმე-გამოქვაბულებზე, ნაქალაქარებზე, რომლებიც ასე ბევრია მაზრაში.

საჭიროა სოფლების მიხედვით აღირიცხოს ყველა ძეგლი, მოქმედი თუ უმოქმედო; განსაკუთრებით ნასოფლარებში საჭიროა ძეგლების აღრიცხვა, ისინი ხომ განწირულნი არიან დასაღუპად. რაც გადარჩენილია, მას მაინც მოვუაროთ. ამასთანავე, ძეგლი უნდა აღიწეროს. სასურ-

კახეთის (აკურის) ექსპედიციის მონაწილენი:
ჯ. რუხაძე, ზ. წერეთელი, ა. ლეკიაშვილი, ლ. გაბუნია. 1963 წ.

ველია აღნიშნული იყოს ზოგადად მაინც, რა ფორმისაა ძეგლი (ჯვარი, ბაზილიკა), რა მდგომარეობაშია, ფრესკოვანია თუ ზრდ. წარწერები არის თუ არა და სხვა.

ამისათვის ცენტრმა რწმუნებულის სახელმძღვანელოდ ინსტრუქციები უნდა გადაგზავნოს.

ბ) სიძველეთა დაცვის საქმე არ არის წესრიგში. მაგ., ზემოხოდაშენის ხარების დაკეტილ ეკლესიაში, იყალთოში და სხვაგან. სხვადასხვა ეკლესიებიდან გადმოტანილ ნივთებს არ ახლავს პასპორტიზაცია. მოქმედ ეკლესიებს უნდა დაებრუნდეს თავიანი ნივთები, ხოლო დაკეტილი ეკლესიების ნივთები უნდა ჩაბარდეს მუზეუმს. სხვანაირად მისი დაცვა, მოვლა შეუძლებელია თანამედროვე ადგილობრივ პირობებში.

გ) საჭიროა, რომ სიძველეთა ამოკრების და დაცვის გარდა, ყურადღება ექცეოდეს არა მარტო საეკლესიო ნივთებს, არამედ ეთნოგრაფიულ საგნებს, რომელიც ჩვენს თვალწინ ქრება ყოფიდან.

დ) ბევრ ძეგლს მეტი მზრუნველობა სჭირდება. დროზე შეკეთება, თორემ ახლო მომავალში ისინი მთლიანად დაინგრევიან.

ე) რწმუნებულთა ინსტიტუტის ძირითადი უჯრედების მოწყობა უნდა ხდებოდეს შერჩევით და მოფიქრებით. ყოველ შემთხვევაში არა ისე, როგორც ამჟამად არის, როდესაც ადგილზე დანიშნულმა რწმუნებულმა არც კი იცის თავის მოვალეობა და, რაც მთავარია, არ ესმის ამ საქმის მნიშვნელობა.

ვ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს №95/247 წ. დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას, სამაზრო აღმასკომების და თემადმასკომების მიერ. ხოლო თელავის აღმასკომს ახლავე მიეთითოს, რომ სიძველეთა დაცვის კომიტეტის ნებართვის გარეშე არ დაშალოს არც ერთი ისტორიული ძეგლი (ეკლესია-მონასტრები, რომლებიც კეთდება სპეციალურ დაწესებულებებად, სადგომებად საქონლის გასაჩერებლად, ზოგიერთის საერთოდ შლიან და იტაცებენ საამშენებლო მასალად და ა.შ.) და მათ შორის სასწრაფოდ შეჩერდეს საბატონო ცოხის მეორე წყება კოშკების ნგრევა თელავში.

ზ) საჭიროა უფრო ცოცხალი კონტაქტის დამყარება რწმუნებულსა და სამაზრო აღმასკომს შორის; რწმუნებულის აზრის გათვალისწინება სამაზრო აღმაკომების მიერ.

ჯერჯერობით მუზეუმის დაარსება ადგილობრივ, როდესაც ჩვენ ცენტრშიც კი არ გვყავს სამუზეუმო საქმის მცოდნე მუშაკები, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. საჭიროა რწმუნებულთან დატოვებული კოლექციები გადმოტანილ იქნეს ტფილისის მუზეუმებში.

თ) საჭიროა მიეწეროს თელავის აღმასკომს, რათა ჩამოერთვას ყვარლის კომკავშირს და გადმოიგზავნოს ტფილისის მუზეუმში მათ ხელში არსებული იშვიათი კოლექციები, მათ შორის ხმალი „ტფილისის გორდა“ და კაეიანი თოფი ოქროს ჩარნიშით.

ი) გადმოეგზავნოს რწმუნების ბარათები ალაზნის არხზე მომუშავე რწმუნებულს, არქეოლოგიური ნაშთების აღმოჩენაზე კი დანიშნოს თვიურად ერთი თუმანი (პირველი აგვისტოდან).

კ) მიღებულ იქნეს ზომები ძეგლების განადგურების, გადაკეთების, დაშლის ან მიშენების, წარწერების გადაფხეკის, წარწერებიანი ქვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატანის, ფრესკების გადათეთრების, საფლავის ქვების სამშენებლოდ გამოყენების, საეკლესიო ნივთების, მათ შორის ხატების, გადაყრა-განადგურების წინააღმდეგ. თუმც დაფიქსირდა მორწმუნეთა გარკვეული თაოსნობა, რომელნიც მათი გადარჩენის მიზნით ოჯახებში მიაქვთ და მალავენ ხატებს, ბარძიმებს და ა.შ. ეს შემთხვევებიც არ არის სასურველი სიძველეთა დაცვა-შენახვისათვის. საჭიროა ამ ნივთების მოძიებაც და მათი მუზეუმის საცავებში დაუნჯება.

დღეს რისი გადარჩენაც შეიძლება, ხვალ უკვე დაკარგული იქნება. გადასარჩენი კი ძალიან ბევრია. ეს ჩვენი კულტურაა, ხალხის მიერ ათასწლეულებს გამოტარებული. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კახეთს, იმიტომ, რომ აქ არის თავმოყრილი ყველაფერი საუკეთესო და იშვიათი, რაც კი ჩვენ ხალხს შეუქმნია.

ამონაწერები საველე დღიურიდან

25 აგვისტო ქ. თელავი

ვიყავით დილით თელავის სამხარეთმცოდნეობის საზოგადოების მუზეუმში. [მუზეუმი] ჩანასახ მდგომარეობაშია: გამოფენილია სამი ახალი კარადა არქეოლოგიური მასალით, დიაგრამებით; ცალკეა ეთნოგრაფიული მასალა, ძველი წიგნები, ხატები; საჭიროა მუზეუმისათვის წესდების შემუშავება, შეგროვილი მასალის კატალოგიზაცია, კოლექციის შეგროვების წესებისათვის სახელმძღვანელო მითითებები.

ჩვენი მარშრუტია: შრომა, ვანთა, წინანდალი, კურდღელაური, აწყური, ახმეტა, დუის სოფელი, ზემო ალვანის თემი, მადრანი, ნაფარეული, ენისელი, შილდა, ყვარელი, ახალ-სოფელი – ძველი გავაზი.[2]

ვიმუშავეთ მეჯურჭლეობაზე იაგო მეჯურჭლე და არუთინ ბიჭიკოვთან

გ. ნიტაია (მარცხნივ) ძველი ნასახლარის აზომვისას. სოფ. შრომა

(უსტაბაში). ჭურჭლის სახეობებია: ჯამი, კოკა, ლიტრა, ხელადა, ჩარექა, ტოლჩა, ქილა, ჭიჭილები, ხელჩაფი, ღვინის ჯამი, სამარილე საწველები, ღვინის თუნგი, სახაშე, ერბოს ქილა, თაღარი. თიხაზე ზამთარში არ მუშაობენ. იწყებენ გაზაფხულზე და ამთავრებენ

[2] თუ მოვახერხე დიდი სურვილი მაქვს საინგილოს დათვალიერებისაც.

დოქის დამზადების პროცესები

შემოდგომის დასაწყისში – სექტემბერს. ძირითადი მასალაა ადგილობრივი თიხა, ურევენ ალაზნის შლამს. წერნაქი მოაქვთ პირიქითიდან – მარტყოფი, ხაშმი. ნიკო მარგალიტაშვილმა (ხელოსანი 35 წლის) აღნიშნა, რომ თიხა მოაქვთ იყალთოდან და ურევენ 1/3 ლამნარევი აგურის თიხას.

გავრცელებულია კრამიტის წარმოება. ამისათვის ადგილობრივ გამოიყენება: დაზგა, ყალიბის ფურცელი, ხელის გასამული (ფიცარი), ქობული, საფხეკი, შლამი ნველეულებრივი. მზადდება ნველეულებრივი და საყურანი ან კბილებიანი კრამიტი. კრამიტის ჭურა ნველეულებრივია, ქვევრის – თადიანი. ჭურა შედგება: ჭურის ყელის, ხადარისა და თადებისაგან. ჭურის კარები ალიზით ილესება.

ხოფალში გვხვდებიან მეჭურჭლეები, დურგლები, მჭედლები, ხეზე მომუშავენი; კეთდება ურმის თვლები. ცალკე ხელოსნობენ – საგურე, საკირე, სათორნე, საკრამიტე, საქვევრე ქარხნებში. საგურე ერთი ქარხანაა, საკირე – 3, სათორნე – 1, საკრამიტის და საქვევრის თიხა შემოაქვთ.

თიხის რამდენიმე სახეობას გამოიყოფენ:

1. შავი თიხა – ჭურჭლისათვის, 2. ყვითელი თიხა – ჭურჭლისათვის, 3. ლამნარევი – ქაშანურისათვის, 4. მტრედა თიხა – თორნეებისათვის.

თიხის ამოღება ხდება ფენა-ფენად. გაიშლება კალოზე, უნდა გახმეს მზეზე, ცოტა ნიავიც უხდება. წვიმის დროს უნდა შეგროვდეს.

ადგილობრივ გავრცელებული ჭურჭლეულიდან დავამოწმეთ:

1. ლიტრა – ქუსლიანი, წითელი ლიტრა და თეთრა ლიტრა – როცა დაჭრელებული არ არის. ლიტრა არის პირგანიერი და ყელვიწრო.

2. ხელადა – ქუსლიანი, არის წითელი ხელადაც. ჩადის რვა ჩაის სტაქანი.

3. ჩარეჯა – ქუსლიანი, ჩადის 1/2 ხელადა

ნახევარი ჩარეჯა – ქუსლიანი, ჩადის 1/4 ხელადა

თუნგი – ჩადის ორი ხელადა

4. ჩაფი გოზაური, ჩადის 9 ხელადა

5. გოზაური – ჩადის 2 1/2 ჩაფი

6. საპალნე – ჩადის 30 ჩაფი

7 სერა – არის თეთრი და წითელი პირი. წვრილი ყელი დაბლა განიერდება

8. კოკა

9 ქილა – ორყურა

10. ქილა – ცალყურა, დაჭრელებული[3]

11. სადუღარი, კოჭობი – ორივე სადუღარია.

12. ჭიჭილა

13. მარანი

მეჭურჭლეები 24 ივნისს არ მუშაობენ. საღვთო იცოდნენ მაისში. „მთხრობელი ვანო დავითის ძე მარუაშვილი, 70 წლის: წინეთ აკეთებდა მეჭურჭლე უხრფუშად ქილას. იმ დროს ივანე

[3] დაჭრელება წერნაქით უფრო გარეკახეთში იცოდნენ: ხაშმში, პატარძეულში, ნორიოში.

კერამიკული ნაწარმი. ბოდბე

ნათლისმცემელს მოსდევდნენ ურიები თავის მოსაჭრელად. სირბილის დროს შეხვდა მეჭურჭლეს ქარხანაში და უთხრა: მე სად დაგმალო, აქ ქარხანაა სხვა არაფერიო.

— გადასჭერი კოკა, ჩამსვი შიგ და დამაფარეო. მეჭურჭლემ ჩასო კოკაში. გააკეთა ყურიც, შეაბა, გააშრო, კაცი შიგ დაავიწყდა. როდესაც სწვავდა, მაშინ მოაგონდა და შეწუხდა. ხმა შემოესმა არა მიშავს რაო, შეუკეთე, ნუ გეშინიაო. როდესაც ამოვიდა კაცი განთავისუფლებული, თან ერთი კოკა ოქროსი ამოაყოლა და დალოცა: „რადგანაც შენ ესეთი სიკეთე მიყავ, ქურიდან ერთი კოკა ამოგვიდეს ოქროსიო". ამის მერე ყოველთვის ამოდიოდა ოქროს კოკა, მაგრამ მოდგამს არ უჩვენებდა და იპარამდა ჩუმად. იესო ქრისტემ ეს რო გაიგო, გამოსაცდელად გაუამხანაგდა. იმასაც დაუმალა. სამაგიეროდ მან დასწყევლა და ოქროს კოკაც გაქრა".

ლეგენდის მეორე ვარიანტი. მთხრობელი მ. ყავლაშვილი.

„ივანესთვის თავი რომ მოუკვეთიათ, თავი გაგორებულა. ის წყეულებიც თან მოსდევდნენ და უნდათ მოკლან. თავი მოგორავდა და იძახდა: „ამას ვამბობდი, თავგატეხილიც ამას ვამბობ, რძალი მახლს არ უნდა ერგოსო."

თავს უგორებია, უგორებია და მეჭურჭლესთან მიგორებულა. უთქვამს, დამმალეო.

— აბა რა გიყო, სად დაგმალო, კოკას მეტი არა მაბადიაო.

— ის კოკა გადასჭერი და შიგ დამმალეო.

ზორკუშაც მაშინ გაჩნდა, თორე ეგრე უკეთებიათ მთლიანად. მეჭურჭლეც ასე მოიქცა, შასულან ეს წყეულები და მოუკითხავთ.

— აქ რო თავი შემოგორდა რა იქნაო.

— აბა თქვენც აქა ხართ და მეც. მე ჩარხზე ვზივარ, თქვენ ნახეთო.

იქით მეეხლნენ, აქეთ მეეხალნენ, ვერაფერი ნახეს და წავიდნენ. მეჭურჭლემ ყურიც მიაბა; ამ დროს დაავიწყდა, რომ ცეცხლი გაძლიერებულიყო და კიდე შეუკეთა, თავმა ამოსძახა:

— შეუკეთე ნუ გეშინიაო.

იმ კოკას ცეცხლი აღარ მაუდგა. მერმე უთხრა:

— მეც მეჭურჭლეობა ვიცი, ერთი ქურა გავაკეთოთ სანახევროდ. ეხლა ქურა რო გააკეთეს, შენს წილში რა მოგცეო. როგორც იყო მოზავდნენ.

ხალვინე ჭურჭელი

როცა ამოალაგეს ორი ოქროს კოკა იყო. ოსტატმა გადამალა.
– სხვა არა არის ოსტატოო?
– არაო
– დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო. ხო? დიდი ჭქონდეს და ბარაქა ცოტაო. მე არც შენი ჯურჭელი მინდა, არც არაფერიო. მე გცადე, როგორი კაცი ყოფილხარო. ის ჯურჭელიც შენი იყოს და ის ოქროსიც, თუ რამეს გიშველისო.

ამიტომ ვიცავთ პირიანობას. უსტაბაში რო შეგირდს გაზრდის, ერთი სილა უნდა გააწნას და დალოცოს: „პირნათელი ხელოსანი იყავ. არ გარყვნა ხელობაო."

26 აგვისტო, შუამთა. დილიდანვე შუამთაში ავედით. დავათვალიერე ახალი შუამთა. შესავალ კარის ჩარჩოზე კახეთის მეფე ერეკლე II-ს წარწერაა ეკლესიის განახლების შესახებ: შიგნით, ქეთევან დედოფლის მიერ მისი აგების შესახებ კირიონის ცნობა.

ახალი შუამთა

აქ არის საფლავები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის. აქა-იქ შერჩენილია ფრესკები: კახეთის მეფე ლევანი მეუღლითურთ და ძით, ისტორიული ნივთებიდან შერჩენილია ერეკლეს მიერ შეწირული ლამპარი, ნინო ჭავჭავაძის მიერ შეწირული [სან...], ჭავჭავაძის კნეინის მიერ შეწირული ხელით ნაკერი ნინებული ხატი, სხვა ქართული ქსოვილებიც, ვერცხლის ბარძიმი მინანქრიანი და სხვა ჯურჭელნი სახიარებო.

ეკლესიასთან პატარა ეკლესიაა საინტერესო ხის კანკელით, რომელშიაც ნასმულია ტილოზე ნახატი ხატები ასომთავრული წარწერებით.

სამრეკლოში ზარია ქართული წარწერით, ზარი დაზიანებულია.

შუამთის ქონება უნდა ჩაბარებოდა სიძველეთა რწმუნებულს, მაგრამ არ არსებობს სიები, არ არის გადმომბარებელი პირი, თუმც არსებობს ეჭვი, რომ გასაღები ხელთ აქვს დასასვენებელი სახლის კომენდანტს. მან უარი განაცხადა ჩაბარების აქტზე ხელის მოწერაზე. მეტად უხერხული მდგომარეობაა. ნივთების ნაწილი თელავის რწმუნებულს, მხარეთმცოდნეობის საზოგადოების კულტურულ-განყოფილების გამგეს დ. ჩხეიძეს და თელაველ მასწავლებელს გადააქვთ სალაროში, იმ იმედით, რომ მეორე დღეს შეძლებენ აღმასკომის რწმუნებულთან ერთად ნივთების აქტის შედგენას და ნაწილობრივ წაღებას.

უკან დაბრუნებისას, სადამოს 8 საათზე მოხსენება გავაკეთე სამხრეთმცოდნეო საზოგადოების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, სამუზეუმო ამოცანებისა და სამხარეთმცოდნეო მუშაობის შესახებ.

27 აგვისტო, აწყური. აწყურის წმინდა გიორგის (თეთრი) დღეობა.

გზაზე დიდძალი ურმების დენაა. მოჰყავთ საკლავები: ცხვარი, კურატი, ხბო. სადამოს ეკლესიაში ნათლავენ ბავშვებს. შეთქმულები მოდიან მონასთან.[4]

დღეობაზე

სანთლებით უვლიან ეკლესიას გარშემო სამჯერ. აქვეა მუსიკა, ცეკვა, როგორც რიტუალის ერთ-ერთი ელემენტი.

უამრავი ცხოველი იწირება. თან სდევს შემდეგი პროცესები: ბალნის შეტრუსვა, დაკვლა, ტყავის გადაცემა მღვდლისათვის და იშვიათად ბეჭებისაც (მოიგონე ტყავის გაცვლა ყარფუზზე მლოცველის მიერ). დამამახსოვრდა ქოხებში, განსაკუთრებით, მონების დგომა. თუშის ქალი ქმარმიტოვებული, მისი ქცევა, მკითხავი რუისპირიდან, „ორი თვალით ბრმა“, მონათა ინსტიტუტის არსებობა: დიდი მონები, „გადალახვას“ წესის წარმოება, ისინი ეკლესიის უახლოესი მსახურნი არიან.

შელოცვები დამით რამდენჯერმე გაიმართა ეკლესიის გარშემო დიდებით. ერთი დიდი მონის მოძახილზე დამსწრენი ხმას აყოლებდნენ,

[4] შეთქმული – გადაცემა მონისაგან „გადალახვა“.

იაკინანას და დიდებას მდეროდნენ: „ქება დიდება, ვადიდოთ თეთრი გიორგი, უფალი, ღვთაება“. ამას მოყვებოდა ნამოთვლა ალავერდის, ღვთისმშობლის, წმ. გიორგი ბოჯორმისა სერზე მდგომელი, მოხედონ საქრისტიანოს და სხვა. თითქმის მთელი ღამე ვუცადე, მაგრამ არავინ დავარდნილა ქადაგად.

28 აგვისტო. მლოცავების ხასიათმა გარკვეული სახე მიიღო. დილიდანვე ხალხმა აყრა დაიწყო. 300 ცხვრის ტყავი დაგროვდა, ადრე 400 ეოფილა. ნაშუადღევს ხალხი მთლიანად დაიშალა, გარდა ზოგიერთი მონებისა და იმ მლოცველებისა, რომელნიც პირობის თანახმად რამდენიმე დღე დარჩებიან აქ. მათ სხვათა შორის დავალებული აქვთ მუხლებზე და ხელებზე ხოხვა.

ნაშუადღევს დავეშვით სოფელ აწყურში, იქიდან – ზემოხოდაშენში.

ზემოხოდაშენში ერთადერთი ქაშანური ქარახანაა, თიხა იყალთოდან გადმოაქვთ, აქაურების თქმით, იყალთოს მიწა ფიცხია. საუკეთესო კი რუისპირშია. თიხაში აურევენ ადგილობრივ ლამს. წყალს „შატყობით“ მისცემენ, დაალბობენ ტოლაში (ფიცრებით შემოსაზღვრავენ) და ორ დღეს გააჩერებენ. შემდეგ დაზილავენ, ნინაბით „დაკეპავენ“, გადაიტანენ მშრალ ადგილას და ფეხებით დაზელავენ. შემდეგ ააგუნდავებენ, რასაც კაცი დაიმორჩილებს, ეძახიან ლაფს და დასდებენ დასკასე. ამის შემდეგ [გუნდებს] გაარჩევენ ხელით. კენჭი, კოროხი, კორძი აღარ უნდა ჰქონდეს. კიდევ მაგრა ააგუნდავებენ და დასდებენ ჩარხზე.

ჩარხზე შემდეგი პროცესები მიმდინარეობს: ამოყვანა, მოჭრა, თხელება, გამოყავთ ჯამები, ლანგრები, ბადიები.

მუშაობის სეზონია მკათათვე და ღვინობისთვე. გამშრალი ჭურჭელი იწვება 1 დღეღამე, წითლად. შემდეგ მიდის ჭრელობა, თოგალი. კალამი II კისტით. წამალში ურევენ ტყვიას, კალას, თაგვმრილას, შუშას. ჯერ დაწვავენ, გაცრიან ცხრილში (შუშას ამტვრევენ ხელით), აურევენ ერთმანეთში: 1 1/2 შუშას, 1/2 თაგვრიმლას შეახავებენ წყლით, ამოავლებენ ჭურჭლელს და შეიღებება ქაშანური. 1 საათი უნდა გაშრობას ქურაში.

29 აგვისტო. დილით ზემოხოდაშნიდან წავედით ალავერდში. გავიარეთ ხორხები და მივედით ალავერდში. კოლოსალური და გრანდიოზული შენობა. ალავერდის შესავალ თაღში გველის გამოსახულებაა. გარედან დავათვალიერეთ კედლები: ერთი ასომთავრული წარწერა, რომელიც მოთავსებულია აღმოსავლეთის კედელზე ჯვარის ორნამენტის ქვემოთ, კარგად შენახული ჩანს. მეორე სამხრეთის კედელზე კირით გადალესილი. აქა-იქ მოჩანს ასომთავრული ასო, წაკითხვა შეუძლებელია.

შიგ ეკლესია გრანდიოზულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქვეა ჩინებული ქართული ქსოვილი ასომთავრული წარწერით, ოქრომკედით ნაქარგი, ჩინებული ვახის ორნამენტები. იხილება ნაშთები იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეკლესია გადახურული იყო ქაშანური კრამიტით. აქ ერთჯერ ქვეშ შვიდი საყდარია, ზოგან კანკელი ქართული წარწერებიანი ხატით.

სახურავიდან ჩინებული გადასახედია ალაზანზე. გალავნის აღმოსავლეთი ნაწილი ცუდ ყოფაშია ჩავარდნილი, მას დარღვევა მოელის წყლისაგან.

ვნახეთ „არაბთა სალოცავი“, გადაყვანილი თადები, „აბანო“, აქვეა ბოსტანი, ზვარი.

სატრაპეზო უშველებელი ნაგებობაა, სამრეკლოზე ერთი ხარია ქართული წარწერით, შეწირული „ჩეკდ“.

აქვე იყვნენ მლოცველები, ექვსი მოწარდახული ურმით. შემოუარეს გარშემო ეკლესიას „დიდების“ სიმღერით. ერთი, თეთრებში ნაცმული ახალგაზრდა ქალი წინ უძღოდა პროცესიას, როგავდა და ხუშტურებდა. გააბეს ყველამ ერთად ცეკვა, თან ერთმანეთს მოუწოდებდნენ: „ხატის წინ ყველამ გაშალეთ ხელი, თორემ კარგი არ არის“. მონამ თითქმის ყველა აცეკვა – ქალიც და კაციც.

„მონის“ ცეკვა

შთაბეჭდილება დიდია, ძეგლის და რიტუალის გამოც.

31-ში დილით დ. ნხეიძეს გადავეცით მისი მასალები. წამოვედით სადგურზე. სადამოს 7 საათზე ტფილისში ვიყავით.

ვფიქრობ განვლილ დღეებზე, კახეთზე, მის ბრწყინვალე კულტურაზე, ძეგლებზე. უნდა შევინარჩუნოთ, გადავარჩინოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

1925წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინგილო ისტორიულად შეადგენს კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს. კახეთის ამ ნაწილში შემონახულია ქართული წარმომავლობის მრავალი ელემენტი, ძეგლები, ნანგრევები ეკლესიების, ციხეების, ხიდებისა და სხვათა, რომელნიც მოწმობენ, ერთის მხრით, ამ კუთხის სიმდიდრესა და ძლიერებას, ხოლო, მეორე მხრით, იმ საშინელ განადგურებას, რომელიც განიცადა ამ კუთხემ სპარსელების, თურქებისა და ლეკებისაგან.

საცხოვრებელი სახლი

საინგილოში ქრისტიანობა ბატონობდა შაჰ-აბასის შემოსევამდე. როდესაც ეს მხარე შაჰ-აბასმა მოსწყვიტა კახეთს, ის ცალკე სასულთანოდ აქცია. მოსახლეობის ერთი ნაწილი ტყვედ წაასხა ირანში, ხოლო მეორე ნაწილი გაამაჰმადიანა. კაკის (ამჟამად კახის) დიდებული ტაძრები დააქცია და დაწვა. ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია ნანგრევებად აქცია; ამავე დროს მანვე კარები გაუღო და აქ ჩამოასახლა მუდალები და დაღესტნელები.

საინგილოს ციხე-ვა ყველასათვის საჭიროა, არა მარტო იმიტომ, რომ – ის საქართველოს ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ვნახოთ მტარვალს როგორ მოუსპია აქ მწეფარე ცხოვრება და თავისუფალი სული ქართველისა; ქართველობის უწინდელი დიდებულების ნაშთია, მათი ნაგები ციხეები, სამაროვნები, ნასოფლარები.

სახელწოდება ინგილო უთუოდ უკავშირდება სოფ. ჰენგონის (?) სახელს.

ინგილოების სალაპარაკო ენა ქართულია. ინგილოური კილო ხასიათდება ძველი ქართულის რიგი თავისებურებების შემონახულობით

* შენიშვნა: წერილის დაწერის დრო მითითებული არ არის. მხოლოდ 1926 წ. „კახეთში მოგზაურობის დღიურში“ აღნიშნულია: „დიდი სურვილი მაქვს საინგილოს დათვალიერების“ [ო.ც.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქიზიყური კილოს ელემენტებით.

გეოგრაფიული ნომენკლატურა მიუთითებს მასზე, რომ ქართული მოსახლეობა ამ მხარეში ფართოდ იყო გავრცელებული (მთების, მდინარეების, სოფლების, უბნების სახელები). ამასვე ამტკიცებენ აქ შემონახული ქართული წარწერები, მონეტები, საფლავის ქვები.

საცხოვრებელი სახლის შიდა ხედი. არქიტექტორი გ. თუხარელი, 1959 წ.

1896 წ. აღწერით, ზაქათალის მაზრაში ქართული ენა მშობლიურ ენად ეთვლება 12.394 სულს. აქედან 6.602 მამაკაცი, 5987 დედაკაცი.

1886 წ. აღწერით, ზაქათალის მაზრაში ინგილოები არიან 1. ალიბათის დიერაში – 7864 სული. 2. ჭარისა და მუხახის დიერაში – 365 სული. 3. კახის დიერაში – 498 სული. გარდა ამისა ქართველები ნაჩვენებია კახის დიერაში – 3683 სული. სულ 12.410 სული. 1859 წ. კომლობრივი აღწერით ინგილო ქართველი ნაჩვენებია: 1846 კომლი, ამათგან ქართველი მაჰმადიანი 1080 კომლი, ქართველი ქრისტიანი – 322 კომლი, თათარი 435 კომლი.

1871 წლის აღწერით 2304 კომლი, 13331 სული. ამათგან მაჰმადიანი 7113 სული, ქართველი ქრისტიანი – 3116 სული, თათარი 3102 სული. 1886 წ. აღწერით – 15.924 სული, აქედან 12.410 ქართველი, 3174 თათარი.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ავარების თოხუმებში, ერთი რიგი წარმოშობით ქართველებია (მაგ., თოხუმი, ნაფარ-ალი და სხვა). ამავე დროს თოხუმების წევრები 20% ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე (ნახურ -ავარიულ - ქართულით შერეული).

იმ მოსახლეობაში, რომლებიც ითვლებიან ლეკებად (მუსლიმანები) მაგ., სოფ. მაცეხი, კოტეხი, გვხვდება ქართული გვარები: ჭავჭავაძე, ვანნაძე, თავდიშვილი, წერეთელი, ზურბიშვილი.

ქართული ძეგლები შემონახულია: კასრის საყდარი, ქურმუხის საყდარი, ბარბარეს საყდარი, ჭანდარას საყდარი, ხუციანთ ოთხთავი, ბახთალის საყდარი, ყუმ-ში ღეჟეთში (მარანი), ალიბათი (ნუხის//

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური დღესასწაული

გიშის), მონასტრის ნანგრევები, კედელი-ზლუდე ყანუდან, კაბუ-ხიდან – სოფ. კატე-ხამდე.

საქართველოს კულ-ტურას განეკუთვნება ინგილოების ყოფა-ცხოვრება:

I. მატერიალური კულტურა:

1. სოფლის დასახ-ლების ტიპი, კარ-მიდამო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებო-ბანი, ტანსაცმელი, გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებები, მიწისმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა, მევენახეობა, თევზაობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა.

II. სოციალური გადმონაშთები:

შობა და აღზრდა. ქართული ნანა. ქორწილი, ნიშნობა, დიდი ოჯახი, გვარი.

III. გარდაცვალების წესები, გორი (საიქიო), მკვდართ გაცოცხლება (გახორტკობა), ავგაროზები, დღეობები, ახალი წლის რიტუალი, ნადირთ-პატრონი.

საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) და ყაბალა.

აქედან დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახამდე) 80 ვერსია. მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის. რუხის მაზრაში 7000 სული ცხოვრობს. ზოგი მათგანი მართლმა-დიდებელია, ზოგი მაჰმადიანი, ხოგი ურია და ზოგიც ხომეხი.

ინგილოები

იძულებული ვარ დავტოვო საინ-გილო. ეთნოგრა-ფიული მუშაობის საშუალებას არ მაძლევენ, წამარ-თვეს დღიურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისიდან გამოვედით 2 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წუთზე აბასაბადის მოედნიდან. ფურგონში ვისხედით ჩაჯედვით, რა თქმა უნდა, ვინაიდან ერთ ფურგონში 9 კაცის ჯდომა სხვანაირად წარმოუდგენელია და შეუძლებელიც. საშინლად გვანჯღრევდა, განსაკუთრებით სოღანლუღამდე, სადაც გზა ქვაფენილია და არანაკეულებრივად ხტის ფურგონი. სოღანლუღიდან გზა შეიცვალა, შესამჩნევად შემსუბუქდა, თანაც აგრილდა. საუცხოო გზაა. გაშლილი მინდორი, მთები... გავიარეთ თელეთი, შორიდანვე ჩანდა შავნაბადა. უეცრად თავდება გზა და ვიწროში, მიხვეულ-მოხვეულად ვეშვებით თავ-ფერდობზე. მთის ირგვლივ სოფელი კუმისი. შვიდი საათია. კუმისის ტბა ამშვენებს ფართოდ გადაშლილ ამწვანებულ სოფელს და მის გარშემო საკმაო დიდ ვაკეს გარს შემოხღუღულს მთების კედლებით.

ამოვედით, სოფ. კოდაში და გავჩერდით ღამის გასათევად. ი'შვიათად ახდენს ქართლის სოფელი ასეთ გულღია შთაბეჭდილებას, როგორც კოდა. ვინახულეთ კონდრატე თათარაშვილის ნაცნობი მოხუცი. შემდეგ შეგვხვდა მასწავლებელი, ვიღაც გურული ახალგაზრდა, რომელიც სულ 7 თვეა, რაც აქ ამოსულა და მასწავლებლობს, ასევე კომკავშირლები. დაგვატარეს სოფელში ძველი სახლების სანახავად. ხალხი დავაღვიძეთ. ეს ცუდია, მაგრამ გამოსავალი სხვა არ იყო, რადგან ხვალ განთიადზე მიდის ჩვენი ფურგონი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ირემაშვილის დარბაზი, რომელსაც სანათურები გვერდზე, კარიბჭის ზემოდან აქვს დაყოლილი. დედაბოძები შემკულია მშვენიერი ჩუქურთმით, ჭერის ფიცრები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ჩამწკრივებული გულ-დასმით ნამუშევარი დიდი ხნისათვის – შეხედავ და იცი, რომ პატრონი მომავლისათვის ზრუნავდა, სიყვარულით, სასოებით აშენებდა სახლს.

კოდაში 170 კომლი ცხოვრობს. არის სასწავლებელი მასწავლებ-ლითა და 80 მოწაფით. მაგრამ არ არის კოოპერატივი, აფთიაქი და არამცოუ ექიმი, ფერშალიც კი. ცნობილია ერთი მოლა, რომელიც გადმოსულია მეზობელი თათრის სოფლიდან და არჩენს [სულით ავადმყოფებს].

უსათუოდ საინტერესოა აქ დარჩენა, მაგრამ დრო აღარ გვაქვს. ამადამ მიგვიჩინეს გზის ოსტატის, ვინმე ოჩიგავას ოთახი ღამის გასათევად; ოთხივე აქ ვართ მე, ვერა ბარდაველიძე, კონდრატე თათარაშვილი და კოტე ქავთარაძე.

3 აგვისტო, 1926 წ. წუხელ მთელი ღამე არ გვეძინა. ისეთი სიცხე იყო, რომ ოფლში ვიწურებოდით. ყველას ძალიან გვაწუხებდა რწყილები. კარგად ეძინათ კოტეს [ქავთარაძეს] და კონდრატეს [თათარაშვილი]. ღამის 3 საათზე ყველამ ავტეხეთ ლაპარაკი და ამ დროს მოგვივარდა მეფუნდუკეა, ისე გვიღრიალა, რომ უცებ მეგონა

ნეკისტები მოგვივარდნენ და „დიდ დამნაშავეებს“ გვიჭერენ მეთქი...

დილის 4 საათზე ჩვენი დანგრეული ეკიპაჟით გავუდექით გზას სამოგზაუროდ. მშვენიერი დარი დაგვიდგა. ცა მოღრუბლული იყო, მზე და სიცხე არ გვაწუხებდა. დილის 7 საათზე ასურეთში ვიყავით.

ასურეთი დიდი სოფელია. ჩვენებურ პროვინციალურ ქალაქს ჯობნის კიდეც გარეგნულად შეხედვით. თითქმის ყველგან ორსართულიანი ქვისა და აგურის სახლებია, კრამიტით გადახურული, რუსული ტიპისა. ამავე ტიპის პატარა ფანჯრებით და მწვანედ ან ლურჯად შეღებილი დარაბებით, რომლის იქით ოთახიდან მოჩანს ქილებში ჩარგული ყვავილები. ასევე ყვავილები ქოთნებით ჩანს დერეფნებშიაც. ეზო ჭუჭყიანი, მსუქანი ქათმებითა და ღორებით სავსე. ყველა სახლს ნომერი აწერია, ერთნაირად დაბეჭდილი შავ რკინის ოთხკუთხ ნაჭერზე თეთრი ციფრებით. ნომრები სახლის ცენტრშია მიკრული, მხოლოდ ნომრები, რადგან ქუჩას სახელწოდება არა აქვს და არც გასაკვირია - ერთის მეტი ქუჩა ამ სოფელს არა აქვს.

სოფელი დიდია, მთის ფერდობზე შეფენილი მწყობრ რიგითი სახლებითა და ბაღებით. ღრმა ხევში მირბის პატარა მდინარე–ასურეთის წყალი. საიდანაც გერმანელები ბოჩკებით ეზიდებიან წყალს სახლებში. ხევის აქეთ-იქით ნაპირებზე ყვავის ბაღები და ვენახები. გერმანელებს აქ პურის სათესი ადგილიც ერცელი აქვთ. ერთი სიტყვით, სოფელი დოლათიანია და შიგ ნამდვილი გერმანული სული ტრიალებს. ამას შორიდანვე შეამჩნევ. ასურეთში არის მთავარი ადმინისტრაციული და სამილიციო ცენტრები. მხოლოდ აქ არის აფთიაქი, რომლითაც სარგებლობენ კოდა და სხვა ახლომდებარე სოფლები. თვითონ გაუკეთებიათ სასადილო, სამკითხველო და კოოპერატივიც კი. სოფლის ცენტრში ეკლესიაა. ვუყურებ, ნამდვილი გერმანელები გარეგნულად, ხასიათით, ყოფის ელემენტებით შეჭრილია საქართველოს შუაგულში და ცხოვრობს თავისი კარჩაკეტილი ცხოვრებით. გერმანელებს თავისი კულტურით თითქოს გაელენა უნდა მოეხდინათ ქართველობაზე, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. ის მხოლოდ თავისთვის ცხოვრობს, შრომობს და არავისში ერევა, ჩანს მათი შრომისმოყვარეობაც, ამიტომაც ეკონომიურად დონიერად არიან. ქალები არანაკლებ მამაკაცებზე ჯაფობენ. ეს ეტყობათ კიდეც, სახე სულ ნამჭკნარი აქვთ მინდერის სამუშაოებიდან და მზისაგან; რამდენი ქალი არ ვნახეთ, შთაბეჭდილებას არც ერთი არ ახდენს. სილამაზეზე ზედმეტია ლაპარაკი. სანდომიანიც კი არ არის – მობერებული უდროოდ, ალეწილი, მკაცრი სახეებით.

8 საათსა და 10 წუთზე ვიყავით დიდ ენაგეთში. გზა ჯერ კიდევ კოდიდან დაწყებული სულ აღმართით მიდის. გზა გველივით იკლაკნება მშვენიერ ყვითლად და მწვანე რიგებად აჭრელებულ ველებზე. შორეული მთების კალთებზე მოსჩანს სოფელი. აქა-იქ მწვერვალები დათაეებულია ეკლესია-ციხეებით; საზოგადოდ ამგვარი ძეგლები ამ კუთხეში შედარებით ნაკლებია, თუმცა ოდესღაც აქ

დუღდა პოლიტიკური ცხოვრება და უთუოდ მრავალი კულტურული ძეგლიც მოიპოვებოდა, მაგრამ მომხდურმა სულ ერთიანად დააქცია და გაანადგურა.

სოფელი დიდი ენაგეთი მართლაც დიდია, ვეებერთელა არეზე გადაჭიმული. მას შუაზე ჰყოფს ხევი, რომლის ძირში პატარა მდინარე – ბოგვისწყალი მიდის. ისევე, როგორც ასურეთში, აქაც ხევის ფერდობები ამწვანებულია ნათესებით, მაგრამ აქ ყურძნის მაგიერ სიმინდი უთესიათ. მხოლოდ ალაგ-ალაგ ვენახსაც მოვკარი თვალი.

სოფელზე გაელისას გზის ნაპირას დავინახეთ ორი ეკლესია, ერთნაირი ბაზილიკური ტიპისა, მოგრძო და ოთხკუთხი ფორმის, რომლებსაც კარიბჭის ზემოთ სახურავზე გაკეთებული აქვს სამრეკლო, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი დაწვერილი გადახურვით. ეს ეკლესიები ერთურთისაგან ცოტათია დაშორებული. მეორე ეკლესიის სახურავი სამრეკლოსაკენ ჩამოქცეულია და სამრეკლოს სვეტებიც დაუზიანებია. გადახურულია კრამიტით. ალბათ ერთი მათგანი სომხებისაა, მეორე – ქართველების. ჩვენი გეოლოგის კ. თათარიშვილის სიტყვით აქ, მაცხოვრებლებში სომხები მეტია ქართველებზე. სოფლის თავში ქოხ-სამკითხველოა, რომელსაც დიდი ბოქლომი ედო. სოფლის ეს ნაწილი ხევამდე უფრო დარიბი მაცხოვრებლებით უნდა იყოს დასახლებული, ხიდს გაღმა უკეთესი შენობები და ბაღებია. აქ, ამ ნაწილში არის სახელმწიფო საცდელ-სანვენებელი სამეურნეო პუნქტი, მშვენიერი ორსართულიანი სახლით. აქედან მოწანს ვიწროდ მთებს შუა ჩასმული მდ. ალგეთის ნაწილი. ამრიგად სოფელს ორი ხევი ჩამოუდის ერთმანეთთან გადაჯვარედინებით, ბოგვის და მდ. ალგეთისა. მაფიქრებს სოფლის ორი ნაწილის ასეთი კონტრასტული სახე. მგონია, ეს ნაწილები ცალ-ცალკე სოფლები უნდა იყვნენ. ვთქვათ ბოგვი და ენაგეთი. სამწუხაროდ ამის დასუსტების საშუალება არ იყო.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ საბარათიანოს ცენტრში ვართ.

დილის 8 საათზე უკვე სოფ. საღარაშენს მივაღწიეთ. სოფელი მდებარეობს მდ. ალგეთის ნაპირას. აქვს დიდი სკოლა ერთი მასწავლებლით და კოოპერატივი. აქ ცოტა ხნით გავჩერდით. ვიდრე ჩვენი მეფუნდუკე ცხენებს წყალს დაალევინებდა, ვისარგებლეთ და გადავედით

საცხოვრებელი ნაგებობა, სოფ. ასურეთი.

ს. ფარცხანისში, რომელიც იყოფა სოფ. სადარაშენებად ფარცხანისის ხევით. ავედით მთაზე შერჩენილი ციხის ნანგრევების დასათვალიერებლად. მთის ჩრდილო ქანზე გაშენებულია მოგრძო ოთხკუთხი ფორმის ბაზილიკა, კრამიტით გადახურული. ეს ეკლესია გაუქმებული არ უნდა იყოს. ისევე როგორც ბოგვში, ეკლესიის ჩრდილო კარის ზემოთ სახურავზე გაკეთებულია იმავე ფორმის სამრეკლო. ეკლესიის გარშემო საკმაოდ დიდ მანძილზე მოფენილია ქვა-ლოდი, რომელთაგან მრავალი გამოუყენებიათ სამარხის ქვებად. თვით ეკლესია აშენებული უნდა იყოს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე. ეკლესიის კარების პირდაპირ - მისგან ოდნავ მოშორებით საინტერესო ქვის ცხვარია დადგმული. უკეთ ვერძია, რომელსაც ზურგზე ქართული მხედრული წარწერა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო, ისე წაეშალა დროს. ცალ გვერდზე კი გამოქანდაკებული ჰქონდა ადამიანი, რომელიც ცხენს აპურებს. შეიძლება ეს საფლავის ქვაა ცხენოსანზე დადგმული, მაგრამ რა შუაშია მაშინ ვერძი? ეკლესიის ზემოთ წვერზე ციხის ნანგრევია. დარჩენილი კედლების ნაწილებიდან ჩანს ციხე... ნაშენია ქვიტკირით და შიგა და შიგ ჩართულია ქვიტკირით. აქედან თვალწინ იშლება დიდი ჰორიზონტით ალგეთის მიდამოები და ფარცხისის ხეობები. ამავე სოფელში მოჩანს ცალკე სასაფლაო. უნდა ვიფიქროთ, ეს სომხებისაა, რადგან ქართველების სასაფლაო ციხის ირგვლივ და ეკლესიის გარშემოა. ციხის სამხრეთ კედელთან ორი ნიშია ნანგრევებით. ერთ მათგანში დგას ბაზალტის ოთხკუთხი ქვა ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული. მასზე გამოქანდაკებულია ადამიანი. აქვეა შეწირულობანი: შამფურები, უღელი რკინისა, ნალი, ხატი ერთი რუსული მეტალის, მეორეც თუნუქის, უცნაური გამოსახულების – რა თქმა უნდა არა წმინდანის.

უკანასკნელი თან წამოვიღეთ. მეორე ნიშში ასეთივე ოთხკუთხი ქვაა, მშვენიერი ჯვრის ქანდაკებით შიგ. აქვეა შეწირულობანი–თვალის კაკლები, შანდლები და სხვა. პირველ ნიშთან, ბოძებზე გადებულ თავხეზე ჩამოკიდებულია ზარი საკმაოდ დიდი, ანგელოზების გამოსახულებით და წარწერით: „ქ. მხნეო შორის მოწამეთა წმინდაო გიორგი წვერისაო ზარია ესე ტაძრისი// ა შენის იყო დაძველებული, რომელიც აწ იქმან განახლებულ და მორთმეულ ტაზარდვე შენდა გიორგი ბარათოვისაგან წელს ჩყკა ?

ქესფო“

დილის 10 საათზე შემოვედით სოფ. ჩხიკვთაში. გაშლილი სოფელია, დასახლებული საგინაშვილებით. ვინახულეთ „მწვანე მონასტერი“ მოგრძო, ოთხკუთხი ფორმის ქვით გადახურული, უგუმბათო. ეკლესიის ირგვლივ ერია მრავალი ლოდი, ზოგიერთი მათგანი სამარხის ქვად გამოყენებული, რომლებზეც ამოქანდაკებულია სხვა და სხვა სახეები. ვნახეთ ორ ალაგას წყვილ-წყვილად დალაგებული საფლავის ქვა; ერთი მათგანი სადაა, მოგრძო ოთხკუთხი,

ELIBRARY.GE

მეორე იმავე ხომისა და ფორმის, მაგრამ ზემოდან ამოქანდაკებული შემდეგნაირი სახით:

ჩემის აზრით, ორი თავბოლოშექცეული პირის გამოხატულება უნდა იყოს. ზოგ ქვაზე სადა ჯვრებია გამოქანდაკებული. რა თქმა უნდა, მეტი დაკვირვებაა საჭირო და ალბათ ამას მოვაწყობთ უკვე მას შემდეგ, რაც დავბინავდებით თეთრწყაროზე. სრული წარმოდგენა მაშინ მექნება ალბათ.

ორის ოც წუთზე შემოვედით ადბულადში. მივადექით ალმასკომს, მაგრამ რა გამოვიდა, მათი დასასვენებელი დღე ალმოჩნდა სამშაბათი; არც თავმჯდომარე, არც მისი თანაშემწე. რის ვაი-ვაგლახით მოგვათავსეს ადბულადის კლუბის ერთ-ერთი ოთახში. საშინელი სიბინძურეა როგორც ოთახში, ისე მის ეზო კარ-მიდამოში... ამას ემატება დაქანცულობა ფურგონის ნჯღრევისა და ღამის უძილობისაგან. ვისაუზმეთ ღარიბულად ყველსა და პურზე. მოვათავეთ დარჩენილი ხიზილალა და კიტრი ტფილისიდან წამოღებული და ოდნავ მივლაგ-მოვლაგდით.

დაუშრეტელი ენერგიის პატრონია ჩვენი გეოლოგი კონდრატე თათარაშვილი, ცნობილი „უიარაღო". ვერ ჩერდება. ატყდა, დავთვალიეროთ ადბულადიო. ძალიან დაღლილობას ვგრძნობდით. კოტე ქავთარაძე არ დათანხმდა. მე და ვერა გავყევით, დავადექით გზას და გავედით ე.წ. „სლობოდკაზე".

შარა გზის აქეთ-იქით წნელით შემორაგულია ყანები. ეს უცხო მოვლენაა ჩვენთვის, ქართველებისათვის, სხვაგან ყანა კი არა ეზოსაც ძლივს შემოურაგავთ და ყანას ვინ გადალობავს. აქა-იქ ჩანან რუსები, რომელნიც ამ საქმეს ეხლა შესდგომიან. განსაკუთრებით მიკვირს, უამრავი ბალახი მოუვლელობისაგან ყანაში გადარეულა. განსაკუთრებით მიკვირს ამის შემდეგ ყანა ღობე-შემოვლებული და პური გაუმარგლაობისაგან ბალახმორეული?

შემოვუარეთ წნელის ღობეებსა და გადავჭერით გზა „სლობოდკის" დასახლებული ნაწილისაკენ. ისევე როგორც ყანები, სახლებიც აღმოსავლეთიდან -დასავლეთისაკენ გასწვრივ მისდევს და მათ შორის ერთადერთი ქუჩა - საკმაოდ ფართე. სახლები ხის, რუსული ტიპის, წინ ყვავილნარით.

ერთ გრძელ ფიცრულ სკამზე მჯდომ მოხუცს გამოველაპარაკეთ გვარად ვოიეიკოვი. სიტყვა არ დაგვიძვირა. 91 წლისა ვარო, 1835 წ. დაბადებული. ამავე სოფელში. მისი მშობლები სამხედრო ნაწილს გადმოყოლიან. რუსის ჯარის ნაწილი, მთავრობას გადმოუყვანია და დაუსახლებია ადბულადში, ნაწილობრივ მანგლისთან. „Тут слободка, а там вольное поселение . Когда кончали военную службу, некоторые не ехали на родину и своевольно оставались здесь семьей. Оттуда и "вольное поселение""

საინტერესო ტიპი იყო. 91 წლისა და მშვენივრად შენახული, ყოჩაღი და სიცოცხლით სავსე. ასეთი მარტივი სიტლანქით გადმოისროლა „Военное поселение" დიდმა რუსეთმა საქართველოში.

„ხლობოდკას“ ჩრდილოეთით გაშენებულია პატარა სომხური სოფელი არეშიანთ სოფელი ანუ ნარიმანოვკა. აქ ვინახულეთ ბანიანი სახლი, რომელიც ახლახან აუშენებიათ.ზოგიც ჯერაც დაუმთავრებელია... ვნახეთ გომური ძველი ნაშენი ბანიანი და სვეტებზე შეკეთებული.

ჩვენი გეოლოგი [კ. თათარაშვილი] ჩვეულებრივი გატაცებით გველაპარაკება აქაურ ფენებზე – რამდენ სიყვარულს იტევს ეს კაცი. [იგი გვიხსნის, რომ] სოფელზე წარმოდგმული ე.წ. „გომერის“ მთა წარმოადგენს ცარცის ფენას, ქვემოთ სოფელში მრავალი სხვა და სხვა ფენებია, რომელთა ღირსება შესასწავლია. განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის უცნობი ძარღვიანი ქვის ფენა, ვარაუდით მადანიც უნდა იყოსო.

სოფლის გორაკზე დგას ეკლესია, პატარა, უგუმბათო, მოქმედი. სომხური წარწერა აქვს კარიბჭის ზემოთ. ამ ქვაზე გამოსახულია ჯვარი, აქეთ-იქით ფრინველების გამოსახულებით. მთელი ქვა გაშავებულია ჭვარტლისაგან.

აქ ვულკანური წარმოშობის ლოდებით მოდებული ადგილია. ლოდები, როგორც ადგილობრივ ხდება, გამოყენებულია სასაფლაოს ქვებად. ამ ქვებზე ზოგან საინტერესო ჭანდაკებებია. ეკლესიის ქოლგასავით გადაფენია უზარმაზარი კაკლის ხე. მის აღმოსავლეთით, ქვაყრილია, დიდი ლოდების ხროვა, რომელსაც თათარაშვილი ასე გვიხსნის: ამ ადგილას ვულკანი ყოფილა და ეს ლოდები მისი დანატოვარიაო. უნებლიეთ გიჰკრობს ფიქრი „ციკლოპური“ შენობების შესახებ.

ჩრდილოეთის ფერდობზე ეკლესიის გორაკისა სასაფლაოა სომხების. „ციკლოპური“ ქვებიდან აღმოსავლეთ ხაზზე ასეთივე ლოდების მწკრივია და ჩაფენილია ეს ლოდები ირგვლივ მთელ მიდამოზე.

4 აგვისტო

ღამე ცუდად გვეძინა. დილით 5 საათზე ავიშალეთ და გამალებით საჭმელის ძებნას შევუდექით. აღბულაღში ვერაფრით ვერ მოვეწყვეთ. ირგვლივ ანტისანიტარიაა, ღამით რწყილი გვაწუხებს, დღისით შიმშილი. ბაზარი გაფხეკილია, არაფერი არ მოიძებნება. ერთმა ჩამოძენძილმა ფეთხუმმა სომხის გოგომ ტყავი გაგვაძრო. ფულს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვთხოვენ და გვატყუებენ. რძე მოგვიტანეს, ისიც წყალგარეული. წყალი დროზე ვერ მოჭონდათ. ჩვენებური საჭმელი ეხ... ვაი-ვაგლახით ვისაუზმეთ.

გეოლოგი მხარზე ჩანთააკიდებული თავის ნაბდით და „თეოფილეთი“ (წყლის ჭურჭელს ეძახის) გაუდგა მთას. დაგვიბარა საღამომდე ვერ მოვალო.

ჩვენ წავედით აღმასკომისაკენ. აღმასკომის თავმჯდომარე არ დაგვიხვდა. სამაგიეროდ გავიცანით მისი თანაშემწე–რუსი და მდივანი ანთელავა სამეგრელოდან. გადავწერეთ რაიონის მოსახლეობის ნუსხის პირი. ყველაზე მეტი მოსახლეობა სომხებია, შემდეგ ბერძნები, რუსები, თათრები, ქართველები, ოსები და გერმანელები.

ვინახულეთ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებული და შევადგინეთ მარშრუტი მოგზაურობისა. მთავარ ბაზად გავიხადეთ აღბულაღი. რწმუნებულმა გვიამბო აქაურ ძეგლებზე, ფიტარეთისა და გუდარეხის ეკლესიებზე.

პიტარეთის ეკლესია საჭიროებს შეკეთებას. გუდარეხელები ძალიან ყურადღებით ეპყრობიან ეკლესიას, მაგრამ ამას წინათ დაღეთელებს ეკლესიაში ღორები შეუყრიათ. ენერგიული ხომები გაუდია რწმუნებულს და რის ვაი-ვაგლახით გაუნთავისუფლებია ეკლესია. შეუკრებია გუდარეხის მოსახლეობა და აურჩევიათ ერთი კაცი ეკლესიის ყურის მგდებლად.

რწმუნებულმა ახლევ მიგვითითა ჰოლკის ეკლესიის ნივთების მდგომარეობაზე. აუარებელი ქონებრივი სიმდიდრე დაიფანტა, დაიტაცეს.

შემდეგ წავედით ადგილობრივი ძეგლების დასათვალიერებლად. ექვ. თაყაიშვილს თავის „Археологические экскурсии“-ში დასახელებული აქვს თვით აღბულაღში სამი ეკლესიის ნანგრევები. ჩხიკვთიდან მოსვლისას ერთი მარცხნივ გადაუხურავი ეკლესია, რომლის კედლის ქვაზე შეუმჩნევია ამოქანდაკებული ორი სახე წმინდანისა. ერთი სახე მიიჩნია წმ. გიორგის სახედ.

მეორე ეკლესია შორს, გზიდან მარჯვნივ, მხოლოდ ნანგრევების სახით დარჩენილა. ორივე დავათვალიერეთ რწმუნებულის თანხლებით.

პირველი ეკლესია, რომელიც მარცხნითაა შარა გზიდან, საინტერესო მოვლენას წარმოადგენს იმით, რომ აქ აღმოჩნდა ხოგი რამ ისეთი, რაც თაყაიშვილს დასახელებული არა აქვს.

ქვაზე გამოქანდაკებული სახეები სულ სხვა ხასიათისაა. აქ კარების ზემოთ შუა ქვა წარმოადგენს ჯვრის სტილიზაციას, აქეთ-იქით ქვებზე გამოხატულია მარჯვნივ ირემი და მის ცოტა ზემოთ ფრინველი. მარცხნივ რაღაც ცხოველი და ფრინველი. შეიძლება ფარშევანგი. ჯვრიან ქვაზე ქვეეთ კუთხეებისაკენ წაწვენილია რაღაც მცენარის ტოტი მომტვრეული ნაყოფით - ძალიან გავს ყურძნის ტოტს. ეკლესიას სახურავი არა აქვს, ადგილ-ადგილ ჩამონგრეულია. პატარა ბორცვი, რომელზეც ის აღმართულია, მოფენილია უხარმაზარი ლოდებით, ისეთივე, რომელიც ვნახეთ ვარხუნას სომხის ეკლესიის, წვერის წმ. გიორგის ეკლესიის და ციხის ირგვლივ. აქაც სასაფლაო ყოფილა - სამარხი ქვები, რომელთა შორის ერთზე ქართული წარწერა ამოვიკითხეთ.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან აკრავს რუსული ეკლესია წმ. ნიკოლოზის სახელობისა „პოსელენსკაია“. ამ ეკლესიის არსებობაზე არაფერი აქვს ნათქვამი ექ. თაყაიშვილს (თუ მის დროს 1894 წ. იგი არსებობდა, შეუძლებელია მას არ აღენიშნა).

მოსახლეობიდან გავიგეთ, რომ ეს რუსული ეკლესია დიდი ხანი არ არის რაც გაშენებულა (მათ თქვეს, რამდენიმე წელია მას შემდეგ) და როდესაც აშენებდნენ უსარგებლიათ ძველი ეკლესიის ქვით – ამტვრევდნენ ძველ ეკლესიას და იყენებდნენ ახლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ეკლესიის კედლებში ვნახეთ ორი ქვა ძველი ეკლესიიდან. ერთი, სამხრეთ კედელზე კუთხესთან ქვევით ზედ ადამიანის (რომელიც გარშემორტყმულია რაღაც ხვეულით) ქანდაკებით და მეორე, აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის ზემო ქვაზე ზედ ჯვრის სახით.

როგორც რუსები ამბობენ, ძველი ეკლესია დანგრეულ იქნა პოლკის რუსული ეკლესიის აშენებისას. მაშასადამე, სახურავსაც მაშინ მოშლიდნენ, მაგრამ ეჭ. თაყაიშვილი ამბობს, რომ ამ ეკლესიას მის დროსაც არ ქონია სახურავი. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ ახსენებს თაყაიშვილი რუსულ ეკლესიას, რომელიც თითქმის მიდგმულია ძველ ეკლესიაზე? (ეჭვ. თაყაიშვილს, რომელიც ზედმიწევნითი ზუსტი ცნობების მიცემით არის ცნობილი, გამორჩებოდა იგი?) უნდა ვიფიქროთ, რომ თაყაიშვილის დროს იგი არ იყო აშენებული. ეკლესიის გადადმა, შემორაგულ ეზოში დგას წყვილი ქვა, ხედ სომხური წარწერით და ჯვრით. ეს ქვები ჩასმულია ბრტყლად დადებულ შუაში გახვრეტილ ქვაში. მათი ფოტოგრაფიული გადაღება მოახდინა კ. ქავთარაძემ.

აქედან გადავედით მხარმარჯვნივ ეკლესიაში, რომელიც დევს ორთაშუა ხევის ნაპირას მინდორში. ნვენ დროს (აგვისტო) ეკლესია მიუვალია ყანა-სიმინდის, ბოსტნებისა და მაღალი ეკლიანი ბუჩქნარის გამო.

ეკლესია არაფრითაა აღსანიშნავი., არც წარწერა, არც მხატვრობა. უკან გამობრუნებისას სიძველეთა დაცვის რწმუნებულმა გვიამბო გაზაფხულის ამბავი: „აქ, ამ შარაგზაზე, გადაჭიმული იყო ცხვრის ფარა, რომელსაც თუშ-ფშაველები მიერეკებოდნენ წალკისკენ. ყანები დაცული იყო მეპატრონეების მიერ და ცხვარს ვინ გადაუშვებდა თავის ნათეს მიწებში. ეს უზარმაზარი ფარა სულ ერთიანად დაეცა შიმშილ-წყურვილისაგან და გაწყდა. საწყალ მთიულებს ფარის მეათედიც არ შერჩენიათ. მახსოვს, ერთ მეცხვარეს 500 ცხვრიდან 4 ცალი დარჩა. დაკლა ისინიც და ხელცარიელი გაბრუნდა უკან“.

საურმე გზა

იმავე დღეს, სასადილოში სადილობის შემდეგ აპარატით კ. ქავთარაძის ხელში გავუდექით გზას ვარხუნოსაკენ - სომხური ეკლესიის, მისი წარწერის და მის გვერდით, ეულკანური წარმოშობის

ლოდიანი გორაკის გადასაღებად. სოფელს აღმოსავლეთიდან მივადექით. მოსახლეობაში მუშაობა ჭირდა. სომხურმა მოსახლეობამ არც ქართული იცოდა და არც რუსული. აქ მოსახლეობა საოცრად ჭრელია, რასაკვირველია ეთნოგრაფისათვის მით უფრო საინტერესოა, მაგრამ [სიტუაციის] დაძლევაა ძნელი.

ვ ა რ თ ა შ ე ნ ი. ეს სოფელი გადაიქცა ჩემთვის სინდისის ეროთ. ზერელეთ საქმე თითქოს მოვთავეთ. ყოველ შემთხვევაში მეტის მიღება არ შეიძლებოდა ამ პატარა დროში და დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. მოსახლეობის ურთიერთობებს ვაკვირდებოდით, მაგრამ თქმა კი შეიძლება? ამიტომ სიმშრალეს და ოფიციალობას ვიჩენდით.

ერთი რამ გარკვევით ნათელია ჩემთვის, ამდენი ხნის მუშაობის და დაკვირვების შემდეგ. ეთნოლოგისათვის, ვინც ძველი ყოფა-ცხოვრების ანარეკლს ეძებს დარჩენილ ზნე-ჩვეულება-ტრადიციებში, ვინც ურთიერთობებს აკვირდება მრავალეროვან მოსახლეობაში განსაკუთრებით მისთვის, სამძიმოა დღევანდელი პირობები. ხალხის ფსიქიკა გაორებულია. რევოლუციამ ძალადობა და გარდატეხა მოახდინა გაგება-შეგნებაში და ფიზიკურმა საფრთხემ დაფარვა-მალვის სქელი გარსით შემობურა ქართველი [კაცის] სული, მისი ინტიმი.

მიდიხარ შენ ეთნოლოგი და ეკითხები ხალხს ისეთ რაიმეს, რაც მთავრობის და „ნასწავლი ხალხის“ მიერ სასტიკად იდევნება. შენ ეკითხები ამას ორი წუთით მივლინებული საიდანღაც და ვიღაც... გეტყვის გლეხი სწორ პასუხს? გადამთიელი მოიულთან მიხვალ და მოითხოვ სიმართლეს? რა იცის მან შენი მიზნების, მას მუზეუმი თვალითაც არ უნახავს, ან შენ შეგწევს ძალა თქვა ის, რასაც ხედავ?

იმედს მაინც არ ვკარგავ, იქნებ დადგეს დრო როცა სიმართლე იზეიმებს.

სოფლის საბჭოში მოვიპოვე ცნობა აღბულაღის თემში შემავალი სოფლების რიცხობრივი, კომლობრივი და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ.

რიგი	სოფლები	კომლი	სული	ეროვნება
	კონსტანტინოვის სოფლის საბჭო			
1.	თეთრიწყარო	221.	820	ქართველები, რუსები
2.	კონსტანტინოვკა	167.	670.	რუსები 430
3.	ვარხენო	59.	307	სომხები
4.	დანილოვკა	41.	207.	სომხები 172, რუსები
5.	ჭიეჭიეა-ჭიეჭავი	14.	58	ქართველები
6.	ჩხეთა-ჩხეკვთა	52.	249	ქართველები
7.	ხოპისი	20.	130	ქართველები
8.	ჭალა.	9.	51.	ქართველები
9.	ბუდულეთი	5	38	ქართველები, სომხები
10.	ქსოვრეთი	20	118	ქართველები
11.	ვაკე	22.	157	ქართველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.	მაწევანი.	55.	259.	ქართველები
13.	ახალი მიხაილოვკა.	6.	37.	გერმანელები 34,
				რუსები
	წინწყაროს			
	სოფლის საბჭო			
1.	წინწყარო	578.	2242.	ბერძნები 1796
2.	ქოსოლარი.	102.	554.	მუსულმანი
	დაღეთ ხანინის			
	სოფლის საბჭო			
1.	დაღეთ ხანინი.	615.	3178.	სომხები
2.	ხამშვილდე	235.	1221.	სომხები 861
3.	პატარა დაღეთი	11.		სომხები 39
	ირაგის სოფლის			
	საბჭო			
1.	პატარა ირაგა	111.	564	სომხები
2.	დიდი ირაგა	83.	384	სომხები
3.	ვიხოროვკა	16.	68	სომხები
4.	ივანოვკა	83.	430	რუსები
5.	ჯიფრაშენი	56.	250	ბერძნები
6.	მენგალისი	20.	125	ქართველები 125
7.	ალექსეევკა	47.	187	რუსები 187
	დუმანისის			
	სოფლის საბჭო			
1.	დუმანისი (დმანისი)	53.	433	ოსები
2.	ქვედა ახკელაფა	20.	243	
3.	ნაფთიანი	12.	71	
4.	პიდარეთი (ფიტარეთი)	25.	169	
5.	ზემო აღკალაფა	20.	178	
6.	ქვემო-ახალშენი	10.	52	
7.	იფნარა	28.	121	
8.	ზემო ახალშენი	4.	34	
9.	ლიპა	13.	68	
10.	სამლერეთი	89.	462	სომხები 412
11.	შიხალო	32.	225	თათრები 225
12.	ცხნარ -აბანი (წენარ-აბანი)	20.	167	

სულ მთელ თემში ირიცხება 37 სოფელი
მცხოვრებნი 2974 კომლი
14656 სული

მათგან: ქართველები 1100 სული
რუსები 1677

სომხები 5422
ბერძნები 3938.
მუსულმანები 779 სული
ოსები 1596
სხვადასხვა 110
ნემცები 134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სია შედგენილია საარნევნო კომისიის მიერ ა.წ. მარტში, აღბულაღის თემის საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის, ანთელავას მიერ.

მეურნეობის რაოდენობა და მათი მიწის რაოდენობა ზუსტი არ არის. სათემო აღმასკომის განკარგულებაშია: კალაგირი – 500 დესეტინა სახნავი;

ბედენში – 7000 დესეტინა საძოვარ-სათიბი
სახელოსნოები: ირაგაში – მჭედლები, ქვისმთლელები
აღბულაღში – ხეურო - სომხები
სავარცხლების მკეთებლები - პოლონელები
ბაზრობა იმართება კვირაობით

. . .

ამავე დღეს აღმასკომის მდივანმა შეგვატყობინა, რომ წინწყაროში რამდენიმე წლის წინათ იყო კათალიკოსი ამბროსი და ამ სოფლის ეკლესიის ერთ-ერთ ოთახში ნაკეტა ქვის წარწერიანი ძეგლებიო.

5 აგვისტო. დილით შამალოვის აგარაკისაკენ გავსწიეთ. აქ კ. ქავთარაძემ თაყაიშვილის მიერ თავის „Археологические экскурсии"-ში აღნიშნული ქვა, აგარაკის სარდაფის კედლისა, გადაიღო ფოტოგრაფიულად; შემდეგ აღმასკომში მივიღეთ სოფლის აღმასკომისადმი მიწერილობა დახმარების შესახებ და აქედან გადავედით წმ. ნიკოლოზის ე.წ. პოსელენსკაია ეკლესიის გვერდით ძველი ეკლესიის ფოტოგრაფიულად გადაღების მიზნით. ქავთარაძე შეუდგა ამ მოვლენების ასრულებას. (მისი გადაღებები იხილე მუზეუმის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ განყოფილებაში). ნემის მხრივ, ნემი გამოუცდელ-მოუმზადებელი ხელით გადმოვხატე ამ ეკლესიაზე (Церковь св. Николая, Поселенская) გარედან დატანებული ნუქურთმები ქვებზე.

ეს ორი ნუქურთმიანი ქვა ამოუღიათ წმ. გიორგის სახელობის ძველი ქართული ეკლესიიდან, რომელიც პოსელენსკაიას ეკლესიის გვერდითაა და ამ უკანასკნელის აგების დროს შიგ ახალ კედლებში მოუყოლებიათ. აშენებულია მღვდელ ბასილი ივანკოვინის დროს ამ ათეული წლის წინათ.

თვით წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ჩვეულებრივი უგუმბათო ტიპის ეკლესიაა.

ეკლესიას წარწერა არა აქვს. იგი დგას გორაკზე, რომელიც მოფენილია დიდი ლოდებით და მათ შორის ძველი სამარხი ქვებიო. ამ ეკლესიიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართულებით ეკლით შერაგულ ადგილში დგას წყვილი „ხაჩკარ"-ი – ქვის ჯვრები, ოთხკუთხ ქვისაგე მირქვაზე დამაგრებული. ზედ აქვთ სომხური წარწერა.

მოვრჩით იქ საქმეებს და გავემართეთ სოფელ დაღეთისაკენ, რომელიც აღბულაღიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. სოფ. დაღეთი ანუ, უკეთ, დაღეთ–ხანინი დიდი სოფელია 615 კომლითა და 3178 სული მაცხოვრებელით. აქაური მოსახლეობა გამოუკლებლივ სომხებია ყარაბაღიდან გადმოსახლებულები. „ყარაბაღში ლეკები დახცემია ჩვენ პაპებსა და ისინი გაუქცევია. გაქცეულები აქ დაღეთ-ხანინს მიდგომია და დაუსადგურებიათ. ირგვლივ ეხლა რომ ტრიალ მინდვრებსდა ხედავთ, ხშირი ტყე ყოფილა და პირველ ხანებში ვიდრე მიწის მეურნეობა თავის ნაყოფს გამოიღებდა და მათ მიაწვდიდა, ჩვენი პაპები ნადირობას ეწეოდენ ამ დაბურულ ტყეებში და თავს ამით ირჩენდენენ" – გვიამბეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა.

როდესაც ჩვენ სოფელს მივადექით, უკვე ნაშუადღევის 2 საათი იყო. მე წინ მოვდიოდი. გამაკვირვა სოფლის დასაწყისში რიცხვმრავალმა ადგილებმა, რომლებიც ბაზალტის ლოდებით იყო შეღობილი, ძველ ნასახლარებს მოგაგონებდათ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დავწაწენდი, რომ მთელ სოფელში მაცხოვრებლების სახლკარს ასეთივე ეზოები ჰქონდა ამგვარად შემოღობილი და თვით სახლებიც ბაზალტით ნაშენი. ლობედ–ბაზალტი და ზემოდან ეკლიანი წნელის ხლართი. სახლები მეტწილად ბანიანია, თუმცა მათ გვერდით მოჩანს აწოპილი კრამიტიანი სახურავებიც, რომლებიც ჩამოდგმულია ბანიანზე. აქ ყველაზე უკეთ შეგიძლიათ შენიშნოთ საცხოვრებელი სახლების თანდათანობითი განვითარების პროცესი ჩვენში. სწორედ ეს კრამიტიანი სახლები დაღეთ-ხანინში, მგონია პრიმიტივ გადასვლად ბანიანი სახლიდან კრამიტიანზე. რას წარმოადგენს დაღეთ-ხანინის კრამიტიანი სახლები, ანუ „ახალი სახლი" დაღეთ-ხანინში – ეს არის ბანიანი სახლი სხვა არაფერი. ბანიანი სახლი ერთი კარით შუა კედელზე და აქეთ-იქით წვრილი თითო-თითო (სულ ორი) სარკმლით ან ერთი სარკმლით და ერთი კარით. შემდეგ ამ მოთავებულ ბანიან სახლს, ბანზე აყუდებული აქვს კრამიტის სახურავი მთელი სახლის ნახევარზე მეტი სიმაღლისა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ეს სრულიად ზედმეტია, უნეველო და მოფიქრების და გამოყენების მიზნით კი არა, არამედ მიმსგავსებისა და მოდის ძალით შემოღებული. მეტ ნაწილს სახლებისას ეს სახურავი ორგვერდიანი აქვს, ერთმანეთზე მიყუდებული და ზემო ნაპირებით გაერთიანებული. ორი საწინააღმდეგო გვერდი ღიაა. ღია გვერდებში ჩანს „ბოსკები", ტომრები, ხის იარაღები და სხვა. მეორე სახე სახურავისა უფრო შეფარდებულია საჭიროებებთან. ერთი გვერდია ღია, სამი კი დახურული, ორად ორი კრამიტით. მესამე ყავრით აკრული ან ბაზალტით ძირიდანვე ამოშენებული. კედლის ამაღლებას თანდათან დავიწროვებას წარმოადგენს კრამიტის სახურავი საფუნველიდან, ან კიდევ. შემდეგი საფეხურია განვითარებისა – სახურავის ღია გვერდიდან ბანის

ნაწილის გამართვა აიკრძალ; ამ ნაწილზე იატაკი დაგებულია. მოაჯირი შემოვლებულია და თავზე დამაგრებულია აივნის სვეტები.

ძალიან ნაკლებადაა შემონახული ძველებური დარბაზები. ვნახე ერთი ასეთი სახლი, მეტად უბრალო ყარაბაღული სისტემის ვ ა რ ა დ ა მ.

ჩემთვის ყველაზე სამწუხაროა, რომ კარგად არ მესმის მცხოვრებლების ენა და არც მათ იციან რუსული და ქართული. მამაკაცები ზოგი წმინდადაც კი ლაპარაკობს რუსულ-ქართულად. სპეციალურ ჩემს სამუშაოზე ვერ ვმუშაობ - უენო ვარ და უიარაღო. და ამ ფიქრებში გართულს გამეხარდა როცა მოულოდნელად სოფლის დასაწყისში გზად მიმავალმა გზის ღია კარებიდან შევნიშნე საქსოვზე მომუშავე ქალი. აქ მხედველობა მეხმარებოდა და ენის უცოდინარობის სიმწვავეს ანელებდა. ეზოში შეველდით და დედაკაცს გარს შემოვეხვიეთ. სატომრეს ქსოვდა. სომხურის მეტი არა ესმის რა. პატარა სამფეხა სკამით მიჯდომოდა სომხის ქალი თავის საქსოვ მანქანას, დაეჭირა ხელში ფოლადის ხის ტარიანი დანა-სავარცხელი და ქსოვდა. ხეზე ჩამოკიდებული იყო ფერადად შეღებილი მატყლის ძაფები გრძელი და სქელი თ ო ნ ე ბ ი. თავისთან გვერდით ც ხ ა ვ ში ჩაეყარა ძაფის ბორბლები და სხვა ხელსაწყო. ქავთარაძემ გადაიღო მისი სურათი საქსოვთან. ეს პირველი მცხოვრები იყო ჩვენ მიერ ნახული ამ სოფელში. გვშიოდა და დაღლილები ვიყავით. დიასახლისმა გამოგვიტანა თავისი ხელით მოქსოვილი ჭრელი ფარდაგი (15 დღეში მოქსოვილი), რომელზეც ჭარბობდა წითელი, ყვითელი და შავ-თეთრი ფერები და დაგვიგო დასასვენებლად. ჩვენი თხოვნით რძეც გვიყიდა (ტფილისის ფასად), პური და კვერცხებიც მოგვიხარშა. დავისვენეთ და შიმშილი მოვიკალით. ჩვენი მასპინძელი გვიამბობდა თავის სიქვრიეზე, გაჭირვება - სიღატაკეზე. 4 წლის წინათ ქმარი მოკვდომია უეცარი სიკვდილით – ცხენს ნალით ჭედავდა. ცხენი გაგიჟდა. წიხლი კრა ჩემს ქმარს და ის იქვე მოკვდაო. უმღვდელოდ დავასაფლავეთ. არეული დრო იყო და დიდი გაჭირვება. არც ქელეხი მქონია, წავიყვანე და დავმარხე, არც წლის წირვა გადამიხდია. ეხლა ხომ ყველა უბრალოდ მარხავს უმღვდლოდ და უქელეხოდ. საკლავსაც არ უკლავენ მიცვალებულსო. შეველიდე შეუმჩნეველად გადავსულიყავი მშობიარობის საკითხზე, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ცხადია, ქალი არ მოუყვება უცხო კაცს მშობიარობის შესახებ, რადგან ერიდება.

ისევ შენობებს ვუბრუნდები. ძალიან დამაინტერესა აქაურმა სახლებმა. ამჟამად მიწაზე მჯდომარე, ირგვლივ ბავშვებით გარემოცული მივნერებივარ ისევ შენობებს. ჩემს წინ ბანებზე გადმომდგარი დედაკაცები, შუბლზე ხელები მიუფარებიათ და დიდის ინტერესით გვათვალიერებენ. ახალგაზრდა ვაჟები ჩემს ბლოკნოტს ჩაჟინებით ჩასჩერებიან, იქნება რაიმე ამოვიკითხოთო. ერთი დამეკითხა, კინოსათვის გინდათ, სურათებს რომ იღებთო?"

ჩემი შთაბეჭდილებით, კომუნისტებს აქ ყველაზე მეტი მიმდევრები ჰყავთ. ახალგაზრდობა მთლიანად კომსომოლშია ჩარიცხული. ბევრს

ლაპარაკობენ ძველი ცხოვრების ისეთად წარმოდგენაზე, რომ „კულაკი“ არ მუშაობდა და „კულაკი“ კიდეე უფრო მდიდრდებოდაო. ეს საუბარი გამოიწვია გუთნის საკითხმა და მისმა შეფასებამ.

როგორც უკვე დავწერე ზევით, ბანიანი სახლების გვერდით აგებულია ახალი შენობები შემცველი თითო-თითო ოთახის, და ეს ახალი ძველია თავისი მთავარი სტრუქტურით. ეს იგივე ბანიანი სახლია, მხოლოდ ბანს ზემოდან მახვილად აწვერილი კრამიტის სახურავი ადგას. მეტი ნაწილი ამ სახლებისა ბანს ზევით ორ საწინაადმდეგო მხარეზე სრულიად ღიაა. ზოგან ეს ნაწილი გამოყენებულია სართულად. ნაპირიდან ცოტა შიგნითკენ ჩამოკიდებულია კარი ისე, რომ წინა ნაწილში აივანს წარმოადგენს. ეს არის ისეთი სახლი, რომლის სახურავი საუკეთესოდ გამოუყენებიათ. მაგრამ ხშირია ამ სოფელში კონუსის ფორმის სახურავი ორივე გვერდიდან ფიზხის წნულებით შეკედლებული ან კიდეე მესამე ტიპი – შენობის კედლების ძირითადად ერთნაირად აყვანილი ბაზალტის კედელი, რომელიც სახურავის წვერთან, მასთან შეფარდებით ვიწროვდება.

ჩვენი იქ ყოფნისას გახურებული კალო ედგათ. კვერებში ვხედავთ აბია ცხენები და ვირები. ვნახე ორ ადგილას პურის ცხობა. თონე ჩადგმული აქვთ მიწაში პირამდე და იქვე, როგორც ქართლში, დედაკაცი ჩაკიდებულა თორნეში და პურს აკრავს. აქაური პური ქერჭრელია.

აქაც ქართველებსავით, ცხენის თავის ქალა აუჭედებიათ სახლის ფასადის შუა ადგილზე. ვნახე აგრეთვე ძალიან სუფთად გაკეთებული ხარის ქალა რქებით აკრული სახლში.

მე აქამდე მეგონა, რომ სპილენძის დიდი მასიური საწყლეთუნგები ეკუთვნოდა მხოლოდ ხევსურებს. შევმცდარვარ. აქ ყოველ ოჯახში შეხვდებით მას, რომელსაც ტფილისში ყიდულობენ და ჩამოაქვთ აქ სახმარად. საზოგადოდ აქაურ მცხოვრებლებზე უნდა ითქვას გადაჭრით, რომ სხვებთან შედარებით ამ რაიონში, შეძლებული მაცხოვრებლებია. იშვიათი არ არის ოჯახში საკერავი მანქანის ქონება, რაც უკვე სიმდიდრის მაჩვენებელია. რა თქმა უნდა სიღარიბე არც დაღეთ-ხანინს დაეშალება. ვიყავით ერთ ოჯახში, რომელიც ულარიბესი უნდა იყოს. ერთ მეტად ბნელ და პატარა „კარადამ“-ში ცხოვრობს უზარმაზარი ოჯახი, მეტად ღარიბი, ბინძური, ტიტველი. გამაკვირა ბავშვებმა, რომლებიც ერთი-მეორეზეა მიყოლებული და სხვა და სხვა ტიპებია. ზოგი მათგანი მუქი თმა-თვალით, ზოგი ცისფერთვალება და ხუჭუჭა ჩალისფერი თმით. ერთი ყველაზე პატარა საოცარი სახის ბავშვი იყო, თმა თეთრი და შავთვალება, მეტად თეთრი სახის კანით; საიდან გაჩნდნენ ეს უკანასკნელი ტიპები?

საზოგადოდ აქაური სომხები სრულიად არ გვანან ტფილისელ სომხებს, არც სახით და არც ხასიათით. ის რაღაც სპეციფიკური სომხური, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს და გვაშორებს მათგან, დაღეთ-ხანინებელს ვერ შევნიშნე. მათში უფრო თათრული სისხლის თამაში ელვარებს – მიხვრა-მოხვრაში, გამოხედვაში, საუბარში, გამასპინძლებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში მუშაობა რომ მოვათავეთ, სოფლის ირგვლივ სიძველეების დათვალიერებას შევუდექით. სოფლის სამხრეთით მოთავსებულია ძველი და ახალი სასაფლაო, სადაც ძველივე ეკლესიის ნანგრევია. საფლავებს ქვებს შორის აღსანიშნავია ერთი ქალის ფიგურის ქანდაკება, რომელიც გადახატა კ. ქავთარაძემ. ქალს გულზე ხელები დაუკრეფია. ხელებზევით კისრად ჩაყოლებულია მთელი გულის სიგრძეზე ამოქანდაკებული ხახი იმ გვარად, რომ ამ ხახს გადაჭრით გაყოლებული აქვს მეორე ხახი მხრების აღმნიშვნელი და ამავე დროს ეს ხახები შეადგენენ ჯვარს. მხრების ქვემოთ რგოლი ძუძუები. თავი კავებით შემკული. მთელი ფიგურა ჩასმულია მოგრძო ოთხკუთხედში, რომელიც კუბოს უნდა წარმოადგენდეს, ქალი კუბოში - ეს არის ამოქანდაკებული ქვახუ.

მეორე უზარმაზარი ოთხკუთხი ქვა – ბობტისტურია. ერთ გვერდზე ჯვრის გამოსახულებით. ამ სასაფლაოს აღმოსავლეთით შარაგზა მოუდის და ამ გზას გადალმა გადაჭრით დობის იქით კვლავ სასაფლაოა ძველი, ალბათ უწინ ეს ორი სასაფლაო გაერთიანებული იყო. იქ, ამ მეორე ნახევარში ვნახეთ ორი ერთმანეთის გვერდით სასაფლაოს ქვა ზედ საინტერესო ქანდაკება-ჩუქურთმებით. სამხრეთისაკენ მიმართულ გვერდზე ამოჭრილია მხედარი ხმლით და რიტუალური ხანჯლით ხელში, იქვე შეკაზმული ცხენია და სხვა ბევრი საინტერესო, რომელიც წაშლილა. ამ ქვის ჩრდილო გვერდზე არკებია, შიგ ჩასმული ადამიანის ფიგურებით. მეორე ქვა ამგვარივეა, მხოლოდ დეტალებში ოდნავ განსხვავდება. ამ წყვილი ქვის ახლო აღმოსავლეთისაკენ არის მესამე მსგავსი ქვა.

გავედით მინდორში ამ სამარხებიდან სამხრეთისაკენ მიმართებით და იქ მოვინახულეთ ნახევრად დანგრეული ეკლესია ქვის გალავნით.

უკვე დაბინდებული იყო, სოფელში რომ დავბრუნდით. გვეხვეწენ იმ ღამეს იქ დარჩენას – ვახშამი მოემზადებინათ, მაგრამ წასვლა ვარჩიეთ, თუმცა ცუდი გზა და ტყე გვქონდა გასავლელი. გაგვაყოლეს გზის მაჩვენებელი, ისე ჩქარა მიდიოდა, რომ ოფლში გაგვწურა და რაც ყველაზე უარესი იყო, გზის შემოკლების მიზნით საშინელ აღმართზე დაგვაყენა. შავბნელი ღამე იყო, გზა არ ჩანდა და ყოველ წამში ვეცემოდით, ვეხეთქებოდით ლოდებს; ფეხები დაგვებეგვა, დაგვისველდა. დაგვიტალახიანდა და ისე მოვიქანცეთ, რომ გზაში თავს ვიკავებდით შესვენებისაგან, რომ სულ არ მოვწყვეტილიყავით. ისე გაგრძელდა მანძილი, რომ დაგვეკარგა მოთმინება და ყველამ მოვიწყინეთ. ოფლიანი, მტვრიანი, ქანცდაკარგული მივათრევდით ფეხებს და მხოლოდ მე-10 საათზე მივადექით ჩვენს „შტაბ-სადგომს“ აღბულაღში.

6 აგვისტო. დილის ათ საათზე მოვედით სოფელ სამშვილ-დეში. ჭიეჭავას წყლის ნაპირას გუბესთან ვზივართ. აქვეა წყარო და მასთან ვისვენებთ. გუბეში ბავშვები ბანაობენ. გუბეს ცალ მხარეს პატარა ტყიანი ღელე აკრავს წისქვილებით და მეორე მხარეს კედლად

ნამოთლილი მაღალი მთის გვერდი. მომწვანო გუბეში დასრიალებენ მზისაგან დამწვარი ბალღები! ამოძვრებიან მახლობელ ლოდზე და მზის სხივებს მიეფიცხებენ ყველ ხერგებს. აქვე მახლობლად იცოხნება სოფლის ნახირი. წყარო ანკარა ნაზად მოჟონავს. ჩვენი დაღლილი ხეული მოთენთილია, დაეუნებული ძალას იკრებს.

დავისვენეთ. დავლიეთ წყალი, ბარდღამ [კ. თათარაშვილი] გაივსო თავის „თეოფილე“, ჩვენ ჩვენი „ბაკალაშები“ და გზას გავუდექით. ვადგევართ ციხე სამშვილდეს შარას. აღმართია. ეტყობა ოდესღაც გზა ნაკეთები ყოფილა. რამდენჯერ ამ ადგილას თავისი მხლებლებით მოაჭენებდა რაშებს სახელგანთქმული ლიპარიტი! ავედით აღმართს, საიდანაც დაიწყო სამშვილდეს ბაღ-ვენახები. ორღობეს გაეცალეთ და მალე მივადექით წმ. გიორგის სახელობის ძველ ეკლესიას – პატარა ჩვეულებრივი უგუმბათო ეკლესია, ბაზალტის ქვით ნაშენი, ქვისაგე სახურავით. სამხრეთით კარიბჭეზე ჯვარში ნასმელია წარწერა მხედრული. მის ზემოთ ასომთავრული წარწერა, რომელიც არ იკითხება უკვე. შიგ ეკლესიაში ქვის ტრაპეზი ერთკარიანი კარის გვერდების აქეთ-იქეთ ნიში. ჩვენი თანამგზავრი გეოლოგი კონდრატე თათარაშვილის აზრით, (ყოფილი მღვდელია) არა მართლმადიდებელი ეკლესიების ტიპისაა. ეკლესიის გარშემო ძველი სასაფლაოა და ერთი ქვასამარხზე სომხური წარწერებით. ეკლესიის პირდაპირ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მეორე ეკლესიაა სომხებისა და ლვთის-მშობლის სახელობის, პატარა სქელი კედლებით და კრამიტის გადახურვით. გვერდზე კედელში ნიში აქვს. საკურთხეველთან ტრაპეზი – დიდი ოთხკუთხი ქვა ჯვრის გამოსახულებით და სომხური წარწერით. ეკლესიის გარშემო – ტყე. მათ შორის ძველი სამარხები. საკუ-რადღებოა ცხენის ქანდაკება. ერთ გვერდზე ამოჭრილია მხედარი გულზე ხელებდაკრული თავისი საომარი იარაღით, ჯკვარი, აზარფეშა, ხერა, ჯანწი და სხვა იქეა. კუდზე ცხენს ან სამკაული აქვს, ან კუდი შეკრული. ცხენის ქანდაკების მეორე გვერდზე გამოსახულია წვეილი ცხენი ერთურთისაკენ პირით, უზანგი და ფრინველები.

აქ ცოტა შევისვენეთ დიდი კაკლის ძირში. გარშემო ეყარა ღამისმთეველებისაგან დანატოვარი ქათმების ბუმბული, ნაცეცხლარი, მომწვარი ადგილი და ნახშირი.

ავედით უზარმაზარ ციხე-გალავანზე. ციხეს მხოლოდ დასავლეთი კედელი შერჩენია. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ დანარჩენი კედლებიც, მაგრამ მიწის ძირიდან ამოყოლებულ მიწის დონეს აღარ აცილდება ამჟამად. ასეთი კედელი ჩრდილოდან გასდევს საკმაოდ დიდ მანძილზე. ალბათ ციხე სამშვილდე გადაჭიმული იყო მთელ ამ ნახევარკუნძულის მანძილზე. ყოველ შემთხვევაში მთელ ქალაქს გალავანი ჰქონია შემოვლებული.

მისგან აღმოსავლეთით ერთ-ერთისაგან ცოტათი დაშორებით ნამწკრივებულია სამი ეკლესია. პირველი ერთნავიანი ბაზალტი ქვით ნაშენი და ქვითვე გადახურული. კარები დაყოლებული აქვს

სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. როგორც თვით ეკლესიის კედლები (ჭერის სიგრძე კედელზე მეტია), ისე მასთან პროპორციულად კარები დაბალია. ეკლესია მიწაშია ჩასული. აღმოსავლეთ კარებს მიყრილი აქვს ლოდები. შიგნით ეკლესია შემკულია არეების და სვეტების მწკრივით. სამხრეთ კარებთან ქვებზე ამოქანდაკებული სახეებია. აღმოსავლეთ კარზე – ჯვარი.

მეორე ეკლესია მშვენიერი, გუმბათიანი, ნაწილობრივ შენახული – დგას აღმოსავლეთი კედელი. გუმბათიანი უნდა ყოფილიყო, თორემ ეხლა არა აქვს აღარავითარი გუმბათის ნაწილები. თაყაოშვილი ამ ეკლესიას სტილით ამსგავსებს კუმურდოსას. ეკლესიას სარტყლად არტყია შუაზე ასომთავრული წარწერა ნაწილობრივ ამოშლილი და გაუგებარი, ჩრდილო და სამხრეთით მრგვალი სარკმლები.

მესამე ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი საკურთხევლის გარედანაც მომრგვალებულია.

დავისვენეთ ხის ქვეშ ჩრდილში. აქ მრავალი ხეა თხილის, ბალის და სხვა. ბაღის ხეხილი, მაგრამ ეხლა გაგარეულებული. დავისვენეთ და ცხარე საუბარი გაიმართა, ლაპარაკი იყო სამშვილდეს გათხრის აუცილებლობაზე – მშვენიერი ციხის დარბაზები მიწაშია მოყოლილი და მხოლოდ ზემოთა ნაწილის ან (სართულის) კედლები ამქდავნებენ მათ არსებობას. არა ნაკლებ ინტერესს იწვევდა მღვიმეები, რომლებსაც ვხედავდით მდინარე ჭივჭავას ხევში, რომელიც ჩრდილოეთიდან ჩამოუდის სამშვილდეს. ჭივჭავა ეხვევა სამშვილდეს ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდ – სამხრეთ-დასავლეთიდან და ამგვარად ნახევარკუნძულად აქცევს ამ ადგილს. მღვიმეებში ჩასვლა მიუხედავად დიდი სურვილისა არ შეგვიძლია – გვეშურის უკან დაბრუნება, დრო ცოტა გვაქვს და სამუშაო ძალიან ფართო რაიონზეა გადაჭიმული.

სამშვილდეში ყოფნისას მეორე შემთხვევა მქონდა სომხის ყოფა-ცხოვრებაზე მიმეღო ცნობები, მაგრამ აქაც ხელის შემშლელი ენის უცოდინარობა იყო. იყვნენ ბალღები რუსულის მცოდნე, მაგრამ არ გამოდგებოდნენ თარჯიმნადაც კი. დავამაყოფილდი სოფელში აკვნის ნახვით - ჩვეულებრივი ჩარხიანი აკვანი ბაზრული ტიპისა. ზემოთ ბაღებში, ჭრელთვალა სომხის ქალმა მაჩვენა ვენახში გაკეთებული ჩალით დახურული და შიგ ბაღრის აკვანი ბავშვის ჩასაწვენი. კ. ქავთარაძემ ჩემი თხოვნით გადაიღო მისი ფოტოსურათი. ძეობა სცოდნიათ და მას ეძახიან „აჩკტლუს“, რაც ნიშნავს თვალის სინათლეს, ჩინს.

სამშვილდეში მისვლისას კალოობა იყო გაჩაღებული. არავის ჩვენთვის არ ეცალა, მაგრამ ფულმა თავისი ქნა და ერთი დედაკაცი დაგვიფაცურდა, მოგვიხარშა კვერცხები. ვიღაცას პურს ესესხა და უხეირო რძე – გვიანგარიშა ბაზრული ფასებით და დაჩქარებით ფული მოგვთხოვა. საშინელ სიბინძურეში ვისაუზმეთ თორნესთან, ზემოდან ყავარ დახურულზე, სადაც შინაურ ფრინველს ბუნაგი ჰქონოდა და თავისი კვალი უხვად დაეტოვებინა. ზოგი კუნძზე,

ზოგი ქვაზე ვისხედით. სუფრად მეტად დასკინტლული და ნახევში ამოსერილი ფეხებიანი სკამი მოგვიტანა. ზემოდან ისეთი ჭირიანი ძონძი გადაიფარა, რომ ხელის მოკიდება გადასაგდებადაც გაძნელდა. მაინც ვისაუზმეთ რის ვაი-ვაგლახით.

ნვენი ეთნოგრაფიული მუშაობა მე მიმაჩნია დაზვერვით სამუშაოდ, რომელიც, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა და აუცილებელიც, ვიდრე ჩაჯდომით, სტაციონარულად საქმეს შევუდგებოდე.

აღბულაღის რაიონში სოფლები ერთმანეთიდან საკმაოდ დაშორებულია და ფეხით გვიხდებოდა სიარული. დაღლილ-დაქანცულები, მოწყვეტილები შევდიოდით სოფელში და რაღა თქმა უნდა, ენერგია განახევრებული იყო საქმისათვის.

სამშვილდედან გამოვედით ნაშუადღევს და დავადექით სოფ. პატარა დ ა ღ ე თ ი ს გზას. სოფელში შევედით სულ 1–1½ საათის სიარულის შემდეგ. პატარა II კომლიანი ღარიბი სოფელი მოსჩანს, თუმცა თვით სოფელში თითქმის არ გამოვლია. სოფლის დასაწყისში კაკლის ხეებშეა დგას უმნიშვნელო ძველი ეკლესია, პატარა ნვეულებრივი უგუმბათო ტიპისა. ეკლესიის შემდეგ მივადექით წყაროს და იქ გავნერდით მე და ნვენი გეოლოგი. კვლავ გზას გავუდექით: საღამო მოახლოვებული იყო და ჩვენთვის, ტყე-მთით სავალი გზა ღამით შეუძლებელი გახდებოდა. ამ წუთების განმავლობაში გვინახულა ყოფილი მემამულის ჭანანოვის შვილმა, დაიკმაყოფილა თავისი ცნობისმოყვარეობა და შემოგვწუწნა მათ შევიწროებაზე. ეტყობოდა ყველაფერზე, რომ სოფელს შერჩენოდნენ მარიფათიანობის წყალობით – ნაცნობი კომუნისტების გვარებს ხშირ-ხშირად ახსენებდა. სოფელი მთის ფერდობზე შეფენილი ოდნავ ჩანდა თავისი დაბალი ბანიანი სახურავებით. აქ მესამე შესაძლებლობა მქონდა სომხის ქალის ცხოვრების გაცნობისა, მაგრამ ენის უცოდინარობა აქაც მაიძულებს განზე გადგომას და გულ-ხელის დაკრებას;

მთა გადავლახეთ და ავეყვეთ აღბულაღის გზას მთა-მთა, ტყეებში, ფერდობებზე. ნახევარ გზამდე სოფლიდან ბიჭი გამოგვყვა, შემდეგ ჩვენ გავაგენით რის ვაი-ვაგლახით. დამე მივედით აღბულაღში მეტად დაქანცული, ჩვენი სადგომი გაჩაღებული და ხალხით იყო სავსე. პარტიული კრება ჰქონდათ.

8 ა გ ვ ი ს ტ ო. კვირა დღე გათენდა. ქ ს ო ვ რ ე თ ი ს ა კ ე ნ გასამგზავრებლად ვემზადებით. მე განსაკუთრებით ვღელავ. ეს მთიულების სოფელია. არ მოველოდი აღბულაღის რაიონში მთიულების ნახვას. ჩემთვის მეტად საინტერესოა. მერე კიდევ პირველად შევძლებ უშუალოდ ველაპარაკო მცხოვრებლებს.

ჯერ კიდევ გზაში, როდესაც ყანებშეა საცალფეხო ბილიკზე მივდიოდით, შორიდანვე შევნიშნეთ ბატებივით მწკრივად მოყოლებული მომავალი ქალები. წყაროსთან შევხვდით ერთმანეთს და მივესალმეთ. წითელ-ლურჯ კაბებში არიან ჩაცმულები. ეს მთიული

ქალები იყვნენ ქათმებით, ერბოთი და კვერცხით. დაეკაპიწებინათ კაბები და მიეშურებოდნენ ალბულადის ბაზრობაზე.

სოფელთან შეგვეგება გააფთრებული ძაღლები. ძლივსძლივობით ჯოხის მოღერებით და ქვების სროლით გავშორდით მათ. დიდხანს მოგვდევდნენ. სოფელში უქმეა. ხალხი ბევრი იყო. კვირა დღეს სოფელი არ მუშაობს. მე ვისარგებლე ეროი დედაკაცის გადაწვეით თავის სახლში და გავყევი. შემოყვანა მიწურში, სადაც სრულიად ტიტველი ბავშვები მუწუკებ-ჭუჭყიანები ნაცარში ითხუპნებოდნენ, მიმიყვანა და გამაცნო თავის ოჯახს, სიდარიბეს. ქვრივი შვიდი წერილი ბავშვებით მასთან ცხოვრობს, თავისიც ჰყავს გასაზრდელი, უკაცოთ ცხოვრობენ, მიწაც არა აქვთ საკმაო რომ მოხნან, სოფელი არ ეხმარება. თქმა არ უნდა, მოხუცის მეტი წილი ნალაპარაკევი სიმართლე იყო, მაგრამ ეშმაკი ქალი ბევრში თავს იკატუნებდა. თავის სიდუხჭირეზე ლაპარაკით მთელი დღე არ მოიღლებოდა, მაგრამ შეეხებოდით თუ არა მის ადათ-ნეკულების საკითხებს, ქალი იცვლებოდა. უნდობელის გამოხედვით, მოდუშული სახით, თავშეკავებულად გაგცემდათ პასუხს, გარწმუნებდათ რომ ბევრს ფარავს, არ იტყვის. ისევ მის ქვრივ ახალგაზრდა ქალს თუ რამეს ვთქმევინებდი, თორემ ბებერი სდუმდა. მერე ეს ქალი იყო, როგორც მითხრეს სხვა ქალებმა, აქ ყველაზე უკეთესი მლოცავი, „ბებიაც“, ექიმიც და ყველაფერი. მე კი ცივი უარი გამომიცხადა, არც წამლობა ვიცი, არც შელოცვებიო. საზოგადოდ მთიულები საშინელი გულჩათხრობილი და უნდობელი ხალხია. უცხოსი მეტისმეტად ერიდება და ეჭვიანად უყურებენ. მიუხედავად ამისა, აქ შეეძელი ნამეწერა ლექსები, ორიოდე ზდაპარი და გამეგო ზოგი რამ მშობიარობის წესის შესახებ.

ქალების შრომა აქ მეტად დიდია. სახლში ისინი არიან და გარეთ – მინდორში კაცები. ქალები საქმეში ქმრებს ეხმარებიან ნამგლით, თოხით, ცელით. გარდა ამისა, თუმცა კაცური საქმეა, მაგრამ, აქ მთაში განსაკუთრებულად ქალის სამუშაოა ნახირის მოვლა-პატრონობა, საძოვარზე გარეკვა, თავლის დახვეტა, მოწველა და დაბინავება. მოხუცი ქალები მთელი ზაფხულით მიერეკებიან ნახირს მთაში, იქ ქოხებს იგებენ და ორი-სამი თვე რჩებიან. ახალგაზრდა ძალ-ღონით სავსე მთიული ქალი კი ქმარს ამოუდგება გვერდით და მუშაობს მის თანასწორად კი არა, გაცილებით მეტს. ხმა კი არა აქვს, მორიდებულია, როგორ შეიძლება კაცებთან სიმღერა, იქ, მინდორში მხოლოდ კაცები მღერიან, სადილად საერთო სუფრაზე ვერ დაჯდება კაცებთან, პირი ახვეული აქვს, ეკლესიას შორს აუვლის - უწმინდურია, თვეში ჩადგომის და მშობიარობის დროს სახლს გაეცლება და სხ. და სხ.

მოხუცმა მიამბო ყველაფერი ეს დინჯად, აუნქაროებლივ, როდესაც მე მათ მორთმეულ ტაფამწვარს და „ბარდალას“ ცერცეს გეახლებოდით. როგორ იქნება უკანონო სიყვარული? – ცბიერად მითხრა ქალმა, – საკვედური არ აცდება ამისთანა ქალსაო, მაგრამ თუ ქალს შვილი

ეყოლა. შვილი უკანონო – აქ კი შეეტყვე გულწრფელი მრისხანება. მოკლავთ, ჩაქოლავთო.
აი ლექსები, რომელიც მე სოფელ ქსოვრეთში ჩავიწერე:

ნამგლისა
ნამგალო გაგლესეო,
ნამგალო ჩემო რკინაო.
გაგლესამ და მიგაყუდებ
ნამგალო ჩემო რკინაო,
გაიჭერ გამიძეხ წინაო..

იავ-ნანა
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო
გაფურჩქნილო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო,
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო,
ძუძუებში ჩაგიყვია პაწაწა ხელიო,
დაიძინე ჩემო კარგო, დახუჭე თოლიო,
მოვა ძია გაგადვიძებს ქრიზტე-უფალიო,
შენ გეძინა, რო მოადგა ჩვენს ეზოს ჯარიო,
მამა შენი დაიჭირეს ციხეში არიო.

ცხვრისა
ბიძამ ცხვარში წამიყოლა სიხარულით მეო,
დედაჲ ჩემი, მამაჲ ჩემი ეხვეწებოდნენო,
როცა რო დაიდალება, ცხენზე შეჯსოდეთო.
ავიდა და ცხორი დაჯდა ტიალ ბედემზეო,
იმ დამეს არ დავიძინე გარშამოუარეო
მწყემსებსაც ცხვარი დაუკალ, პური ვაჭამეო,
ჯოხზე რო დამძინებიყო თათარი ვნახეო.
თათარი ალავერდია, ღმერთო მიშველეო.
დილით თოხლი (ცხვარი) გამოვშალე მზისა გულზედ მეო,
ბიძაჲ ჩემს ცეცხლ დეენოო წიფლი ხიჲ მორზეო,
მივე მუხლი მოიყარე, ხელი მოითბეო,
მაღლა თოლი წამოვიდა წიფლი ფოთოლზეო,
გადმოექცა და დამეცა ტიალ ბედნის ხეო,
ბევრი უკივლე ბიძასა ვერ გავაგონეო,
ბიძა გვერდითა მდგარიყო ვერ გავაგონეო.
შენი ჭირიმე ბიძაჯან...
კოხტა კუბო გამითალე შიგ ჩამაწვინეო,
ჩემი ცხორ-ძროხა გაყიდე დიღომს წამიღეო,
თუ ცხორ-ძროხას არ გაჰყიდი, ლურჯა გაყიდეო,
თუ ლურჯასაც არ გაჰყიდი, ნიშა გაყიდეო.
ნიშა გაყიდე, გაყიდე დიღომს წამიღეო,
მარმარილას ქვა გათალე გულზე დამადეო,

ჩემი მოკლე ბერდენკაი ზედ გამოსახეო.

სათამაშო
ჩემო ფანდურო დაუკარ, სათამაშო ფანდური
ლეკური და ფლანგური.
ყველა ქალი ვათამაშე ლეკური და ფლანგური
ერთი იყო მეტად კარგი წელში გამონაქოული
ნეტარი ქნა ან ჩემი და, ან ჩემი ძმის ნათლული
მოვკვდებოდი მიტირებდა შავმიწაშიც ჩაფლული.
ყოვი კაკალზე შამოჯდა
კაკალი ჩამოაყარაო,
გოგო, შენმა დანიშნულმა მოკითხვა შამოგთვალა.

ქალ ანაო, ანაო, ხელ-პირი დაგებანაო,
შენი ხელ-პირის ნაბანი ავჭალას ჩამომდგარაო,
შიგ დიაკვანი ჩამხჩვალა საწყალი დედის ერთაი,
ზევით ეძებენ ნავითა, ქვევითა რკინის კავითა,
იპოვეს გამოთარესა (გამოიყვანეს)
პირი აქ ლამით სავსეა, ქოხორი ჭია-მატლითა.

ქალისა
მანგლისი რო ააშენეს, წყარო ადინეს მილითა,
სასახლეები დამართეს თეთრათ შალესეს კირითა.
შიგა ზის ქალი ლამაზი ხელებს იღებავს ინითა,
ორიალეთიდან მემცხორე ყველებს უზიდამს პინითა. (ხის ჯამი)
ახლაცა ბიჭმა იფიქრა ქალთან გავძღები ძილითა,
ახლაცა ქალმა დაიწყევლა თავის ცოდვილის პირითა:
„მარიამობის მარხვაში ცხვარიმც გელევა ჭირითა“.
ახლაცა ბიჭმა დაიწყევლა თავის ცოდვილის პირითა:
„ქალ, ლეკებიმც წაგიყვანენ ვაი-ვაგლახის ჭირითა,
მე მთიდან ჩამოვდიოდე ფული მამქონდეს ქილითა,
დაგიხსნა, წამოგიყვანო ქამანდითა და სტვირითა,
თითო საკრე ამოგაკრა საღამოთი და დილითა.“

. . .

ერთი საუკეთესო ნიმუშია მთიულის მეტყველებიდან. ვზივარ და მესმის მათი: „შენა... მარტვაი ვეღარ წაველ, „რაიდანა და ციდანა“

. . .

„ბატკანაი ცვენი, ჭელში მეჭირა“, „შენაც რა!“, „აბა რაები მაქცა...“

. . .

ერთ ბავშვს, მარო ბექაურს, 8-9 წლისას კაბის გულის პირზე შავი ძაფით მიმაგრებული ქონდა სამი ცალი თევზის წელის მძივი ავი თვალის საწინააღმდეგოთ. ნეეულებრივ ეს მძივები ჩამოკიდებულია ბავშვის აკვანზე. რომ ნახეს, დამაინტერესა, მითავაზეს, მაგრამ გუდარეხის გზაზე დამეკარგა.

გზა გუდარეხის მონასტრისაკენ ავიღეთ. უკვე 720 მეტრზე ტყეში ლისიდან მოვხვდით. ეს ღორისთავის ხევია. ანკარა მდინარე გადმოსჭარიალებს დიდებულ ასწლოვან ტყეში გასიპულ კონგლომერატზე. ადამი მოახლოებულია, მაგრამ ახლოა გუდარეხის მონასტერიც. იქიდან ხმებიც კი გვესმის აღბულადელ კურსანტ-მასწავლებლების, რომლებიც დღეს აქ წამოვიდნენ.

გადავლახეთ მეორე ტოტი ღორისთავის ხევისა და აღმართს ავყევით. ტყით დაბურულ ხეობაში მთის ფერდობზე ფართე ლენტად გაყვანილია რბილი და მშვიდი გუდარეხის გზა, რომელიც თავის სიგრძეს გვაგრძნობინებს თანდათანობით განვლილი მანძილის შეგრძნობის საშუალებით, თორემ წინ იყურები და ხედავ შარას ნაწილს, დანარჩენი კი მთა-ტყეს ჩაკვრია და გარემოუხვევს მას. სასიამოვნო მწვანე ბურუსი მზეჩასულ ტყეში, მისტიურად განგვაწყობს. ტყის ბინადართა ერე შუილ-ხმაური ნერვებსა ჭიმავს და სულგანაბული დამსუბუქებული სხეულით მივეშურებით წარსულ ცხოვრების კულტურული ნაშთებისაკენ. მწვანე ფონი შეაციმციმა ვარდისფერმა სანახაობამ. მშვენიერი სამლოცველო ეკლესია ქვა-ქვიშისაგან ნაშენი. სამხრეთ კედლის სარკმელი შემკულია წმინდად გამონაკვთული ნუქურთმით. მშვენიერია საკურთხეველიც, როგორც გარედან ნუქურთმებით, ისე შიგნითა ნახევარრგოლის ფორმის კედელში დაყოლილი გადათაღული სვეტებით. ეს ზეაღმაფრენის ტაძარი გადარჩენია დროთა სიავეს მხოლოდ თავისი ზოგი ნაწილებით – აღმოსავლეთის (ნაწილობრივ) და სამხრეთის კედელი დგას, სხვა დანარჩენი ეკლესიისაგან დაქცეულია და აქვე ყრია სადათ ნათალი კედლების ქვის გროვა გადარეული ნუქურთმოვან ქვის სამკაულებთან. უკანასკნელთა რიცხვში გამოსარჩევია საინტერესო გრეხილ სახეებით გამოყვანილი ჯვარი.

შემობინდდა. ეკლესიის ნანგრევი საჩქაროდ დავათვალიერეთ და ასევე აჩქარებით დავადექით კვლავ გუდარეხის გზას. მივუახლოვდით კიდეც. უკვე გალავნის კარების ბოლოს ავყევით, როცა იქიდან ჩამოაწვა კურსანტ-მასწავლებლების ექსკურსია. მათი წასვლით გუდარეხი შევიგრძენით თავის ჩვეულებრივ დიად სიწყნარეში. ეს მონასტერი ტყითაა შეფენილი და ირგვლივ მთებით შემოზღუდული. გუდარეხის გალავნის ბოლოს მთის მდინარე გუდარეხის ხევია. მისსალისთანავე გავნაწილდით; ორი ჩვენგანი „ბაკლაშკებით“ წყაროს საძებნელად გზას გაუდგა და დანარჩენები ადგილზე დავრჩით ბინის საკითხის მოსაგვარებლად. გუდარეხში ვაპირებდით ორი ღამის გათენებას. თვით ეკლესია მეტად ნოტიო, ცივი და წყვდიადი აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ სამრეკლოს ძირში დასადგურება. მოვკრიბეთ ხმელი ფიჩხი და ცეცხლი ავანთეთ. შეეთფით და ვისაუზმეთ უკანასკნელი მარაგით. დაღლილ-დაქანცულებს და ძალიან დამშეულებს ვერ გვეყო მცირე და ღარიბი საუზმე, თავის მოტყუება იყო, მაგრამ მხიარულები წამოვიშალეთ გუდარეხის დასათვალიერებლად.

გუდარეხის მონასტერი გაშენებულია მშვენიერი ღირსების ქვიშა-ქვით, რომლის ფენები ვნახეთ გეოლოგ თათანრაშვილმა და მე,

მახლობლად, გუდარეხის მთაში – 825 მეტრის სიმაღლეზე ტფილისიდან. ბროსეს ეკამათება ექ. თაყაიშვილი ეკლესიის დათარიღებაში. ბროსეს აზრით, გუდარეხის მონასტერი გაშენებულია თამარ მეფის დროს (1182-1212) და რუსუდანის სახელი, რომელიც მოხსენებულია სამრეკლო კედლის მარჯვენა მხარეზე ეკუთვნის თამარ მეფის მამიდას. თაყაიშვილი არ ეთანხმება მას. თამარის მამიდა რუსუდანს შვილები არ ყავდა, მაშასადამე მოხსენებული რუსუდანი არ არის თამარის მამიდა, არამედ რუსუდან დედოფალი უნდა იყოს, რომელიც მეფობდა გიორგი ლაშას შემდგომ 1223-1247 წლებში, ასკვნის ექვ. თაყაიშვილი.

საინტერესოა ეს შენობა თავისი ხელოვნებით და მას უკავია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი. ეკლესია ეგუმბათოა. დიდი ხომისა, კედლებში დაყოლილი მთლიანი არკებით გადათაღული. საკურთხეველი შიგნით მომრგვალებულია, ტრაპეზი აგურის და უბრალო ქვებისაგანაა ნაშენი, ზემოთა ნაწილში სვეტებად, ხოლო ქვევით შემდგარია ერთმანეთში გადარეული და უწესრიგოდ დაწყობილი სხვა და სხვა ორნამენტებიანი ქვების ნაჭრებისაგან. საკურთხეველის კედელს სამი ნიში აქვს, ერთი შუაზე და ორი აქეთ-იქით გვერდებზე; შუა ნიშს ზემოთ ფანჯარაა, გარედან შემკული მცენარეულის მდიდარი ორნამენტებით. იქვე ეკლესიაში გდია საკურთხეველის ქვა. საკურთხეველი რამდენადმე ამაღლებულია. მთელი ეკლესია დაფენილია ბრტყელი ქვით. დასავლეთ კედელზე ერთი ფანჯარაა, სამხრეთზე ოთხკუთხი კარი და სამი ფანჯარა შემკულია ორნამენტებით. ამავე კედელზე გარედან მარჯვენა მხარეზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. გარეგანი სახე აღმოსავლეთ კედლისა ემსგავსება სამშვილდეს მთავარ ეკლესიის კედელს. ისეთივე რომბები ფანჯრის ქვემოთ და გვერდებზე, ნიშები ჩუქურთმებით. ამ მთავარ ეკლესიის გარდა გუდარეხის მონასტერს აქვს სხვა ეკლესიების და შენობების ნანგრევები. ზოგი შენობათაგანი ორსართულიანი ყოფილა. და მთელს შენობებს აქვია გალავანი სხვადასხვა ადგილებზე სხვადასხვა სიმაღლის. მთავარი მისი ალაყაფის კარი მიადგება მონასტერში შესვლისთანავე სამრეკლოს, რომელიც მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთითაა. სამრეკლო ფერადი ოთხკუთხი ქვებით ნაშენია და წარწერა აქვს აღმოსავლეთით. ამ დღეს წარწერა სიძაღლის და სიბნელის გამო ვერ გავარჩიეთ. მეორე დღეს წაეკითხათ სხვებს ჩვენი ექსკურსიის მონაწილეთაგანს, მაგრამ მე ვერ მოვასწარი, რადგან მეორე დღეს დილიდან სადამომდე ბედენზე ვიყავი და ჩამოსვლისას კვლავ ბნელოდა და მეტად დაქანცულს ძალა აღარ შემწევდა მეშუშავნა. სამრეკლო აგებულია ბრტყლად გადასროლილ თაღზე და ასავალია ქვის კიბეებით. ზევით გარშემოვლებულია სვეტებით, რომლებსაც ამშვენებს ჩუქურთმები. (დაწერილებით გუდარეხის მონასტერზე იხ. ექვ. თაყაიშვილის Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып.II, გვ. 26).

იმ დამეს სამრეკლოს ძირში გავათიეთ. დავანთეთ კედელთან ცეცხლი და დამის წვედიადს ის გვინათებდა. სანთლის ანთება ვერ მოხერხდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ქარი უბერავდა და აქრობდა. ბარდღამ მონახა თავის ნაბადი, გაეხვია შიგ და მიწაა ერთ-ერთ კუთხესთან, მის პირდაპირ კუთხესთან მე.

რიჟრაჟზე ბარდღამ გამომადვიძა - ადე, გზას გავუდგეთ, საკმარი დიდია. მე და ბარდღამ გუშინ გადავწყვიტეთ ბედენზე ასვლა. სურსათის შოვნა მოვიმიზეზეთ. ნამდვილად კი მე მთიულთ ქოხების ნახვა მაინტერესებდა და ბარდღას კი ნიადაგის ფენები. წამოვდექი, სწრაფად წელის „ბაკალაშა“ წამოვიკიდე, საწვიმარი და უბის წიგნაკი.

გზას გავუდექით.

გზა ტყით მიუდის, პირველში საკმაოდ ფართე, შემდეგში საცალბილიკად იქცევა, ხეებს შუა – მთის აღმართად.

შევხვდით 950 მეტრის სიმაღლეზე ტფილისიდან. შორს ვხედავთ კუმისის ტბას და სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთით მისგან მტკვრის ნაწილს. აგერ სამება, სოფ. ნხიკეთა და სხვა მახლობელი სოფლები 16° აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ ავდიეთართ ზევით.

სიმაღლე 987 მეტრი ტფილისიდან. დიდებული სანახაობა იშლება თვალწინ. აქ უკვე ხელის გულზე დაფენილად იშლება მთელი ის გზა, რომელიც ჩვენ ტფილისიდან აღბულაღამდე გამოვიარეთ, მთელი თავისი სოფლებით, მთებით, მდინარე-ტბებით. ალგეთი მზეზე ლაპლაპებს, იქით სოფ. ასურეთი, ნხიკეთა, სამება, აქეთ კოდა, კუმისი, ქოროღლი, კოჯორი, მტკვარი. ჩვენს ფეხთით მომაჯადოებელი გუდარეხის ხეობა, რომელსაც ტყე ნასწოლია, როგორც მორევი, მწვანეთ აშლილა, გადმოქაფული. ჩვენ კი მწვერვალზე ვდგევართ და დავყურებთ სანახაობას: ამ ბუნებამ მოგვეცა ეს სახე, ამ ბუნებამ მოგვნათლა.

გუდარეხის ხეობას ტალღებად შესეულა მთის წიფლა, იფნა, ორცხილა, და სხვათა ჯარი უთვალავი მთებზე. ჭიდილია ირგვლივ. სასტიკი ბრძოლა. მთებს მქუხარე წყალი ანგრევს, ხევებად ხერავს, ტყე მთას გულს უგლეჯს, სულში ნასწოლია.

ჩვენი ბარდღა ქვას აკაკუნებს. ეროტიულ ქანს ხედავს კონგლომერატში. ღელავს, საკითხები ახალ-ახალი ეჭრება. ქვა–კირის წინა დროინდელად ესახება ეს კონგლომერატი. სწორედ ის, რომლითაც აგებულია გუდარეხის მონასტერი. ათასი აზრი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ეშლება და აფიქრებს. ჭეშმარიტად ჩვენი კონდრატი – ბარდღაა და ამავე დროს შეშლილს მოგაგონებთ; ნერვიული წერილი ნაბიჯით მიმოდის, ნანთა ქვებით დამძიმებული მხარზე კიდია, ერთი ნაქუნი წელთან ქამარზე ნამოცმული აქვს, მეორე მომარჯვებით ხელში უჭირავს და მასთან ერთად უზარმაზარი კომბალი. ხშირ-ხშირად ისმის აღელვები ფრანგულ ენაზე წამოძახილი, გაკვირვებით ადუდუნდება, მიაწყდება თავის ნაქუნით ხან ერთ კლდეს, ხან მეორეს, ხან ძირს დაექანება, ან უეცრად დაეკიდება გზაზე და ნაუცინებს ხანიჩქნ ადგილს.

მთა გადავლახეთ და კვლავ ფართო გზაზე გავედით. ცოტა სიარულის შემდეგ გზა მარცხნივ დავტოვეთ და ისევ ეგზო-უკვლოდ

მთას ავყევით. ტყე განეხილი იყო, იშვიათი, ბებერი ხეებით. და მწვანე ბალახით შემკული. წინ გვხვდება საქონლის ნავალი, ცეცხლნანთები ადგილები და ბოლოს მოტიტვლებულ, თავალუწვდენელ მინდორზე გავედით, ოსურ ქუდსავით რომ წამოხურვია მიდამოს. მწვანე დაბალი ბალახი და რბილი მიწა, ჰაერიც შეთხელებული, სუფთა და მყუდრო. სულ ცოტა ხანმა განვლო სიარულში და ჩვენ შავი წერტილები შევნიშნეთ მთის კალთაზე. შემდეგ ძაღლების ხმაური მოგვესმა და ბოლოს ნახირიც მკაფიოდ გამოჩნდა. მისკენ მიმართულებს, მარჯვნივ, ხევში ხმაურმა შეგვაჩერა. ყური მივუგდეთ. მკაფიოდ ხალხის მოძრაობა-ფუსფუსი მოგვესმა. ცხადია, აქ იყო მთიულთ ქოხები. ბილიკს ჩავყეთ და გავედით მართლაც ქოხებთან. პირველ მახლობელ ქოხს მივადექით. გამოგვეგება ახალგაზრდა ქალი ძაღლისაგან დასაცავად. აქ დავშორდით მე და ბარდღა. ის წავიდა კვლავ ფენებისაკენ. მასპინძელი ქალი ქართულად ძლივს ლაპარაკობდა. ბერძენი იყო, გამოთხოვილი ქართველზე და დაქვრივებული, ოთხი ობოლით. გამოვიდა მოხუცი მამამთილიც. გავიგე, რომ აქ არიან ამოსულები თავისი საქონლით მოხუცი ქალები და ბავშვები სოფ. ხოპისიდან, ქსოვრეთიდან, ჭალიდან და ვაკედან. უკანასკნელებმა დღეს წაასხეს საქონელი თავის სოფელში. ბერძენი ქალის საშუალებით გადავედი მეორე ქოხში და იქიდან სხვაგან. თან დამყვებოდა ვინმე მხლებელი, მაგრამ ძაღლები არავის ერიდებოდნენ. მეზობელი მეზობელთან ვერ გადავა თუ ძაღლის პატრონი არ გამოვიდა თავის ძაღლის დასაკავებლად. ისინი არც თავისას ინდობენ ხშირად, მგლებივით არიან. თითო ქოხს 3-4 ძაღლი ყავს და თუ ერთმა დაიყეფა, დანარჩენები სწრაფ განნდებიან და საშინელი ხისწრაფით რკალად შემოერტყმიან მიმავალს.

ქოხები სახელდახელოდ გაკეთებულია ფიცრებისაგან. ირგვლივ სინათლე გაუდის და არა მხოლოდ სინათლე, ადამიანის თავიც კი გაეტევა ისეთი ნახვრეტებია. იატაკად მიწა, საწოლად იატაკზე მიწყობილი უსწორ-მასწორო ფიცრები. ზოგს აქვს ლოგინი და ზოგს არა. ქოხის შუა ადგილას სვეტია ჭერის დასაყრდნობად. გადახურვა სწორია, ბანისებური. ავეჯი არავითარი, ჭურჭელთა შორის შევნიშნე საწყალე სპილენძის დიდი თუნგები და თიხის სურა. კუთხეში ბებერი ცხვარი იწვა ავადმყოფი, ისე ქსინავდა, რომ ქოხში განერება შემზარდა. ცხვირიდან და პირიდან სითხე გადმოდიოდა. დაისახლისად თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გოგონა დამხვდა. რომ იმას არა, გუდარეხში ვერავითარ სანოვაგეს ვერ წავიღებდი. როდესაც მთელი ქოხები მოვარბენინე და ვერსად ვერაფერი ვიშოვნე საყიდლად, მიხათრა და თავისთვის ერბოდ გადასადნობ კარაქიდან მიწილადა ერთი ჯამი კარაქი და ნახევარი წველა ყველი. მანეთი მივეცი. უარობდა ფულს, მაგრამ ბოლოს მაინც აიღო. ამის გარდა მისგან სახეირო ვერა გავიგე რა. გადავედით მეორე ქოხში, სადაც მოხუცი ქალი მეგულებოდა. თავდაჭერილად შემხვდა, – გამომკითხა რისთვის მოვსულვარ და როდესაც სხვათა შორის ვუთხარი ძველი ამბები და

ლექსებიც მაინტერესებს თქო, ჩაფიქრდა, „აზარი უნდა ასრულდეს. მელექსეობის დრო მოვიდა. ეხლა კი გასწორდება მთელი ქვეყნიერება“ - „წუნარად წარმოსთქვა. - როგორ ქვეყნიერება გასწორდება? რას ამბობ? - დამაინტერესა და ჩემის მხრივ შევეკითხე. „როდესაც დაიწყებენ სოფელ-სოფელ სიარულს და ლექსების და სხვა ძველი ამბების შეკრებას, მაშინ აირევა ქვეყნიერება და დაიქცევა არემარეო.; ასე სწერია ეფრემ ვერდში. ასე იწინასწარმეტყველა დიდმა მეენემ. ამიხსნა, რომ ეს დიდი მეენე ის ადამიანია, რომელიც „მოკდის, იქ წავიდის საიქოს, მერე მოვიდის და იტყოდის იქაურების ამბები, ბევრი სხვაც გვიამბის“.

ამ საინტერესო მოხუცმა დიდხანს შეაჩერა ჩემი ყურადღება. შეპარვით მიამბო, რომ არ სჯერა ნიკოლოზ მეფის სიკვდილისა, ტყვილია ის ცოცხალიაო და მოკრძალებით მომიყვა, როგორც ომის წინ მის „ჭმალს სისხლსა სწვეთდა“. არსად სხვაგან არ მიგრძვნია დაფარული სიმდიდრე ტრადიციული სულისა, როგორ მასში. გამიმასპინძლდა - ხავიწით და ახალი ყველით. მოგროვდნენ სახლის წინ ქალები, რომელთა წყალობით შევძელი ჩამეწერა შემდეგი შელოცვა, ლექსები და ზღაპრები.

ბედნიერის შელოცვა

მე ვარ ბედი ბედნიერი. ვაქკაცსა მოვხვდები თოლშია, დედაკაცსა ძუძუშია. ძვალს ვამტვრევ, ბილს ვამბილებ. ჩემი წამალი: : ენდროსა წკირი, გოგრისა ყოილი, შაქარი, ქათმისა შვილი. ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა., ღმერთო შენ არგე.

ლ ე ქ ს ე ბ ი

ზემგორით გამოთხოვილმა ქვემგორს შავირთე ქმარიო,
შავეკარდი ოქრომჭედელსა დამიდგა ოქროს ჯამიო.
ჯალათ მუშაში გამგზავნეს ახალი პატარძალიო.
ყველას მივართვი ჯამები, ქმარ-შავს დამაკლდა ჯამიო,
მაშინვე დაიდუდუნა: ვაჲ ძაღლო შენი ბრალიო.
ორღობე ჩამოიარე მაზლმა გამკიდა თოლიო
მაშინავ მომეწივაო და დამიჭირა მკლავიო
ერდოს შამაგდო უკუღმა, გადამიჯარა კარიო.
წინ-წინ ჭელ-ფეხი დამაჭრა, მამრე გიშრისა თმანიო.

***

დედავ, გაყიდევ მამული, იყიდევ ჩემი თმანიო
გაჰკიდე ქანდარაზედა ალიელივებდეს ქარიო
ამალელსა და ჩამლელსა ჩემს წორსა ქონდეს თოლიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ხახარამ ბინა აიყარა,
სიძმარი ნახა მხრიანი.
ლუთხუბის ჭალას შამოეჯდა
გამაინედეს ჯალაბთა.
ვინ მოდის დავლათიანი
ცოლმა შააგდო ანდესა (იცნო),
კაბამ დაიწყო შრიალი.
ჩვენი მეცხვარის ცხენსა ჭგავს
ვაღმე, თუ დავრჩი ტიალი.
წინ დედა ჩამეგება
ტირალი თოლ-ცრემლიანი,
„შვილო, რა იყო, რას მოხვალ
ეხლა ხო დოლიე დრო არი“
-დედი ლოგინი გაეშალე
სულის ამოსვლის დრო არი“.
ჩამეგება ქალთა-მზე ჭკვიანი, გონებიანი
„მა'ხლო, რა იყო, რას მოეხვალ
ეხლა ხო დოლიე დრო არი“
-ძალო, ლოგინი გაეშალე
სული ამოსვლიე დრო არი“
ხახარაი რო კვდებოდა
ცაში ვარსკვლავი წყდებოდა,
ცას აღარ ჭონდა სინათლე,
სუ დრუბლით იმოსებოდა.
გავხედე გელი ჩამორბის
მშიერი, პირ-დაღებული
„თუ შენ რამც გაგაღებინო
ქალიმც არ ვიქმნე თმიანი“
ბატარა ხანი გავიდა
თოფმა გაიღო გრიალი,
გადასულიყო ხეკშია
იქ მომკვდარიყო ტიალი.

ზღაპრები

სამი ქალისა და სამი ბიჭისა

სამი ბიჭი ყოფილან და სამნი ქალნი მზე-უნახავები. იმ ბიჭებს მამა მოჰკდომიათ. უთქომ იმ ბიჭების მამასა ადრიანათა: „შვილო დამიდექითო, თორო მდევები შემჭამენო“. დაუდგა თურმე უმცროსი. მასულა თეორი დევი რაშზე მჯდომიარე. დაჰსცემია თავზე ხედა უნდა მეეთხარნა. დეეკრა შვილდ-ისარი ამ ბიჭსა, მოუკლია და აეკაფნია, დაუხდია ტანისამოსი, რეშნი აქათ დაუბია, დაუშჭვია მაღლა შვილდ-

იმერელი ქალი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკარმიდამო

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ისარი. მამრე რეშხი წაუყვანია შინ, ტანისამოსი ზედ რეშხზე დაუკეცნია. წაუყვანია გომურშია, დაუბია. კიდევ წასულა თავის მამაითანა. დადგომია კიდევ მოსულა შავ-ნაცმული დევი. შავად რეშხი ჰყავ. მოსულა და დადეგომია ზედა. ისაც აუკაფნია. ტანისამოსი იმიდთვინაცა რეშხზე დაუწყვია. წაუყვანია ისიც შინა.

ახლა თავიდ ძმისათვის უთქომ - წადი ეხლა თქვენაო, - მე არას წავალო, გაიარე და წადიო, შენვე დაუდექი ისევაო. ნავიდა ისევ ის ბიჭი და დაუდგა.

მოსულა ეხლა წითლათ ნაცმული დევი. დაუკრია იმ ბიჭსა და მოუკლავს ისაცა ისაცა აუკაფნია, დაუწყვია ტანისამოსი რეშხზედა და წაუყვანია ისაც შინა.

მამრე ორნი ძმანი წასულან რეშხებითა ქალებთან. ნაბოლარს უთქომ მენაც წამიყოლეთო. არ წაუყოლიათ. შენ ბატარა ხარო, მამრე შამ̣ჯარა თავის რეშხზე, თეთრ რეშხზე შამ̣ჯარა, გამოიდგომია და მისწევნია უკანა. ერთი მათრახი დაუკრამ წასულა და ქალი მოუყვანია.

მამრე კიდევ მოსულან ის ბიჭები. გათუნებულა. კიდევ უთქომ უმცროსსა რომე კიდევ წამიყოლეთო. შენ ბატარა ხარ, არ წაგიყოლებთო (სამ̣ჯერ უთქომ). შამ̣ჯარა შავ რეშხზე, შავათ ნაცმული, წასულა და მოუყვანია ახლა მეორე ქალი.

კიდევ მესამეთ წასულან. უთქომ წამიყოლეთო. არ წაგიყოლებთ შენაო. შამ̣ჯარა წითელ რეშხზე წითლათ ნაცმული ბიჭი. მოუყვანია ის ქალი.

მამრე უთქომ ამ ბიჭებისთვინა: ნამოდით ძმებოო, აირჩიეთ რეშხები. მე კი ეს თეთრ რეშხი მინდა. შაშუალ ძმა უთქომ - მე შავი რეშხი მინდაო.

მოდით ახლა ქალები აარჩიეთ ბიჭებოო. შაშუალს უთქომს მე შაშუალი ქალი მინდაო. ახლა წინ-წინა ბიჭს უთქომ - მე წინ-წინა ქალი მინდაო. ახლა ნაბოლოვორს უთქომ - მე ნაბოლოვარი ქალი მინდაო.

დევისა

სამნი ძმანი ყოფილან. წასულან კურდღლების სახოცლათა. დაუბარნიათ - „ჩემმა დამა ვირით პური წამოიღოსო. მერე რკინის გზით გამაიაროს. ზემოთ გზაზე არ გავიდეს დევი გზა არიო“.

ამდგარა და ამ დევსა თავის გზაზე გადმოუტანია რკინის გზა. იმ ქალს იმ გზაზე გაუვლია. გამოსულა დევი, ქალი ცოლათ დაუსვია, ვირი კი შეუჭამნია. მოსულან ძმენი სახლში „რატო არ გამაატანე პური – გამაატანე შვილო, ვინ ი დევმა დაჭამა.“

წამოსულან სამნი ძმანი თოფიანები შაუჭამნია დევსა ეს ბიჭებიც.

გამოსულა ბიჭებიი დედა, დამ̣ჯარა ვაშლი ძირა. ჩამოვარდნილა ერთი ვაშლი. გადუგდია. გამოფრინებულა და ისე კალთაში დასცემია. კიდევ გაუკრავ კიდევ, კალთაში დაესცემია. სამ̣ჯერ გაუკრამს, სამ̣ჯერვე კალთაში დაესცემია. ამდგარა და შეუჭამნია. დაპატიმრებულა

იმითა, გაუჩენია ერთი ბიჭი. მამრე „დედა ჰუძუ მომაწოვე“-ო - „შვილდა არ გინდა ძუძუ. ჯერ იმაჲ დაგცინიან ვაშლით შაქნილი ხარ, ჯერ იმაჲ დაგცინიან“. მაგრა დაუჭერიანებია ჰუძუ.

„დედი ძმები არა მყავო, დები არა მყავო, მამა არა მყავო, ვირი არა გვყავო, რეშხი არა მყავო?“ შვილო, რეშხი ბედენზეა გაშვებული. როგორ უნდა დაჭერა? - ბევრ მარილი უნდა უყიდოვო. ერთს რო დაიჭერენ გააჭამე მარილი, ერთსაც ადვირს რო ჩაუდებ პირში, ერთსაც რო შაჲჯდები მაშინ.“

მამრე წავიდა ბიჭი, დაიჭირა და წამაიყვანა. დევმა დაინახა გზაზე შორსა და უთხრა: „გაიხედე, დედაკაცო, ვინ რო მოდის ე კაციო?“ - ერთი კაცი რამე მოდის. - ადე კიდევ გაიხედე ე კაცი ვინმე მოდისო. ხედ რეშხზე ზისო“. თუ ე ეგ ღობეს გამოსცდა, იმ ღობესაც გადასცდებაო.

მივიდა და ზედ კარებზე დეეცა. „ტუმარი არ გინდათო?“ - რატო არაო. ტუმარი კაცის გაჩენილია.

მამრე ჩასულა და ამ დევსა და ამ კაცს უჩხუბნია თურმე. ბიჭი ხედამს ე ქალი წყალს უზიდამს დევსა. „დაო მაგას რას ეზიდამო, მე შენი ძმა ვარო“ - მომრე ამ ბიჭს მოუზიდა.

უჩხუბნიათ. დევს წელამდე ჩაიყვანსკე. ბიჭსა მუხლამდენა. მომრე ეს დევი კისრამდე ჩაიყვანა. ბიჭი მუხლამდინა. ამ ბიჭმა ერთი თავი მოაჭრა. ამ მეორე თავს ნუ მამაჭრი. ეს ნიკვარა თითი მამაჭერ. ერთი თითი მაუჭრია. გამოსულა ჯერ ვირი, გამიყოლია მამრე ბიჭები. მომრე მეორე თავიც მოუჭრია და წამოსულან შინა.

მოვრჩით ზღაპრებს, გავათავეთ ლექსების „დათვლა“ (მათი გამოთქმით) შეინძრა შავი დადუმებული ქოხები. წამოცვივდენ მოხუცი და ბალღები: მთას ნახირი ჩამოაწვა. ყველა გაეშურა მისკენ. გამოყვეს თავთავიანთი ძროხები და მორეკეს შინ. ადვილი საქმე არ არის მათი მოწველა, ერთი და ორი ხომ არაა, თვითეული ქოხზე ათეულობით დაითვლება. ვზივარ და შევცქერი დაკაპიწებულ კალთებიან ქალებს, რომლებიც ძროხებს შეძრომიან ჯიქნებში, წველიან და გადადიან შემდეგ მეორე, მესამე, მეათე ძროხაზე. საქმე საშურია, მენახირენი იცდიან და წველის შემდეგ ნახირი კვლავ მთაში უნდა გაირეკოს.

განსაკუთრებით ქოხი ცხოვრობს საქონლით, მისი ინტერესებით. წამოსულა მოხუცი და ბალღი მთაში, წამოუსხამს საქონელი და ზაფხულის ორი-სამი თვე აქ ცხოვრობს. აგროვებს რძეს, დღვებავს კარაქს, გამოყავს ყველი – ზამთრის, სარჩოს იმარაგებს. სოფელში რნება უფრო კუნთებმაგარი და ძალოვანი ხალხი - ვაჟკაცები, რძლები და მოზრდილი შვილები. ისინი მიწას უდარაჯებენ – პურს ცელავენ, ძნას ეზიდებიან, კალოს ლეწავენ. მთის ქოხები კი ბებრებისა და ბალღების სამეფოა. დილას ალიონზე მთაში საქონლის გარეკა, შუადღეზე მოწველა, საღამოთი დაბინავება. ასე მონოტონურად, ერთ და იმავე საქმეზე მომდგარი ხალხი ცხოვრობს ყოველდღიური ცხოვრებით. მხოლოდ კვირა - უქმე დღე ზოგჯერ იმართება ქალების

ლხინი. მახლობელ სოფლიდან თავიანთ „ქოხებში“ ამოდიან ქალ-
რძლები, ამოაქვთ „ბუნიკა“ და აქ შეიკრიბებიან ერთად და ოხუნჯობენ.
სიცილ-სიმღერით მისეირნობენ ტყისაკენ ან გორაკზე, უფრო ბედნის
წვერზე, საიდანაც ხელის გულზე გადაშლილად მოსჩანს ირგვლივ
დიდ ჰორიზონტზე გადაჭიმული სოფლები მანგლისის რაიონის,
აღბულაღის და სხვათა. აქ ატარებენ დროს ცეკვა-სიმღერა-თამაშში
და შემდეგ სახლში დაბრუნებისას კვლავ იწყება ჭაპან-წყვეტა და
ვაი-ვაგლახი.

10 აგვისტო. დილის 7 საათზე გავემართეთ სოფელ ვაკესაკენ.
ესეც მთიულების სოფელია. გზაზე ვნახეთ ქვიდან მშვენივრად
გათლილი უზარმაზარი რვაწახნაგიანი ჯვარი. სიგრძე აქვს 225 სმ,
ჯვარედინი 85 სმ, სისქე 38 სმ. ჩასმული ქვისავე დაბალ ოთხკუთხედში.
ჯვარედინს შუაზე მრგვალი ქვის ბურთული ამკობს. ჯვარი დგას
რამოდენიმე საჟენით დაშორებული ღორისთავის ციხიდან, მის
სამხრეთით. ღორისთავის ციხე მშვენივრად დაცულია, ოთხკუთხი
ფორმისა, რომელიც ზემოთ ვიწროდება და საკმაოდ მაღალია.
აღმოსავლეთ კედელზე აქვს გაკეთებული სამი ამბრაზურა, მტრის
მოახლოვების დროს გახურებული კირის ან ფისის გადმოსასხამი.
ამავე კედელზე სათოფურები და კარები სარკმლის ფორმის და
ოდენობის. ჩრდილო კედელი სრულიად სადაა, დატანებულია
მხოლოდ სათოფურები. სამხრეთით - სათოფურები და ნახევარზე
ძირიდან გარეთ მრგვალად გამოწეული კედლის ნაწილი. დასავლეთით
სარკმელი და სათოფურები. ციხე აგებულია ნაწილობრივ ალგეთის
ქვისაგან, შიგ ჩატანებული მწვანე კონგლომერატით და კირით, ალბად.
ლეკიანობის დროს და მათ წინააღმდეგ. მის გვერდით შენობების
ნანგრევებია.

ეს ციხე დგას თვით სოფელ ღორისთავში, რომელიც სამი
მოსახლისაგან შედგება. ქოხები ბანიანია. ღარიბი. ერთ მათგანის
წინ ვნახეთ გამართული ჩარხი დიდი ზომისა, ნახევრად უკვე
მოქსოვილი წმინდა შალით. საქსოვი მთელი თავისი საწყო-იარაღებით
გამართულია, მაგრამ კაცი არსად ჩანს, რომ მათი ადგილობრივი
სახელწოდება შევიტყოთ. სამივე ქოხის მოსახლეობა ყანებშია
სამუშაოზე გასული და ქოხების კარები გადაურაზამთ ჩხირებით.
კ. ქავთარაძემ ჩარხის ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო.

მთელ სოფელში ვნახეთ ერთი პატარა 6-7 წლის ბალღი, რომელიც
სახლისკენ ღორებს მიერეკებოდა - ოსი იყო, მელაძე გვარად. მხოლოდ
ამ ერთ მოსახლეს მოეშენებინა ღორი, რადგან დანარჩენები მთიულები
იყვნენ.

პატარა ბიჭმა მოგვყიდა ოთხი პური, არ მოველოდით, გაგვეხარდა.
აქ სოფლებში რის ვაი–ვაგლახით იშოვნი კაცი სანოვაგეს – არ
ყიდიან და რას იზამ. დავნაყრდით და დილის 11 საათზე კვლავ
გზას გავუდექით ს. ვაკესაკენ.

სოფლის ბოლოზე მშვენიერი წყაროა. აქ „ბაკლაშები“ ავავსეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიარა ს. ვაკეს ორმა მაცხოვრებელმა. ვოხოვეთ ერთი მათგანი გამოგვყოლოდა მათ სოფელში გზის მაჩვენებლად და ბარგის წასაღებად, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ - ყანაში სამუშაოდ მიდიოდნენ. მეტი დრო არ იყო, ისევ ჩვენ გავინაწილეთ ტვირთი.

დორისწყალეს ხევთან შევისვენეთ. გეოლოგი ქვების ნახვას შეუდგა. რომ ამოვეყვეთ აქედან გზას, უკანასკნელის ორ შტოსთან გზა აგვერია - არ ვიცოდით საით წავსულიყავით. ბარდღა აყვა ზევით უგზოთ მთას და ისეთ კლდეებზე ვიარეთ, რომ გუდარეხის დაბნეული გზა მომაგონდა.

სოფელი ვაკე. ტფილისიდან 580 მეტრის სიმაღლეზეა. სოფელში შესვლისთანავე ჩვეულებისამებრ პირველად ძაღლები შეგვეგებენ საშინელი ყეფით. გაცხარებული მუშაობაა ყანებში. ცხელა. სკოლის შენობისაკენ გავეშურეთ და ვაიმე უწყალო ბედო: დერეფნიდან გამოდგა რუსის ქალი და ბავშვები. გამოირკვა, რომ სკოლის ერთადერთი ოთახი დაკავებული აქვს მიწისმზომელს, რომელიც აქ ჩამოსულა ტფილისიდან მთელი თავისი ოჯახით. დასასვენებელი ადგილი არსად გვაქვს, მაგრამ რუსის ქალი მეტად გულღიად შეგვხვდა და მიგვიპატიჟა თავისთან დასასვენებლად. დავისვენეთ, ვისაუზმეთ და შევთანხმდით, რომ გარეთ აივანზე გავათევდით დამეს. რუსებმა პატივი გვცეს. სოფლად ვერა ვიშოვეთ რა საყიდელი და თავისი კვერცხები მოგვიხარშეს, კარტოფილი და ჩაიც კი აგვიდუღეს.

ეს მეორე სოფელია მთიულების ჩვენ მიერ აღბულადის რაიონში ნახული და სახიამოვნოდ აღინიშნება, რომ ორივე სოფელში სკოლა არის და ხალხიც დიდის სიამაყით ხაზს უსვამს ამ გარემოებას. სიყვარულით იგონებენ ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს – გურულს და ეშინიათ, რომ ვაითუ მომავალი ზამთრიდან მათთან აღარ ისურვოს მოსვლაო. მასწავლებლის პირობები აქ მართლაც ძნელია. ზამთრობით ჩაკეტილია სოფელში, რადგან თოვლი და ავდარი აფუჭებს გზებს და აღბულადშიც კი ვერ გადავა. სურსათ-სანოვაგის ყიდვა გაძნელებულია, მხოლოდ ხაორით და შეცოდებით უწყალობენ რაც თვითონ მოესურვებათ.

ამ რაიონში მესამე შემთხვევაა, რომ გურულებს ვხედებით სოფლის მასწავლებლად: ქსოვრეთში, ვაკეში და კოდაში; საზოგადოდ ქართლ-კახეთში იმერლებს ირონიით იხსენიებენ - უკანასკნელთა აჩქარებული ხასიათი და საუბარი არ მოსწონთ. აქ მთიულებში ასეთი რამ არ შეგვიმჩნევია, პირიქით, როგორც უკვე ვთქვი, დიდის პატივისცემით და სიყვარულით იგონებენ, მეტადრე ქალები.

სოფელი გადაშლილია მაღალ ფერდობზე, საყანე ადგილები ბლომად მოჩანს, მაგრამ ნიადაგი ვერ არის მოსავლიანი, რამდენადაც ხვნა-თესვა კირქვაზე უხდებათ. მეტადრე წრევანდელ მოუსავლიანობას ნივიან და არა მარტო ვაკელები, არამედ მთელი აღბულად-წალკის მცხოვრებნი – ამინდმა ვერ შეუწყო ხელიო.

გარდა ამისა საქონლის ჭირი გაჩენილა სოფელ ქსოვრეთში და ვაკელები შიშს შეუპყრია. ჩვენს დროს ვაკელს ხარი მოუკვდა. ხარალის ხრდას ხელს უწყობს მაცხოვრებლების სიბნელე - საქონელს არ ცრიან, ექიმი არ მოყავთ – უფრო უარესია, მთელი საქონელი ავად გვიხდებაო.

ჩვენ დროს ავად გამხდარი ხარი, ჯერ საცხოვრებელ ბინაზე ეწვათ, შემოსეოდენ პატრონ-მეზობლები და უცდიდნენ იქნებ გამოიხედოსო. როცა იმედი გადაუწყდათ, ხარი დაკლეს, და როგორც გადმოგვცეს, „მის ხორც გაყიდიან და დაურიგებენ სოფლელებს“.

შემდეგი მაგალითი მათი სიბნელისა. მთიელები სკას იშენებენ და როდესაც თაფლის გამოღების დრო მოაწევს, მთიული ფუტკარს წყალში ახრჩობს და ისე გამოაქვს თაფლი. ასეთ საქციელს თვითონ ხსნიან სიღარიბით - შეძლება არ შეგვწევს მოწყობილი სკა ვიყიდოთო.

სოფელი ვაკე შესდგება 22 კომლი და 157 სული მოსახლეობიდან და მხოლოდ მთიულები არ ცხოვრობენ აქ თითქმის ნახევარი ოსობაა ათქვეფილი მთიულებში და სრულად გაქართველებულნი. მეზობლობა, ქეიფი, დამოყვრება ერთმანეთში ხშირია და ჩვეულებრივი ამბავი. მაგრამ თავის ზნე-ჩვეულებას თვითეული მათგანი წმინდათ იცავს. უქმე დღე ხატობის დღესასწაული ცალ-ცალკე აქვთ, მშობიარობის წესი სხვადასხვანაირი. მაშინ როდესაც მეზობელი ოსის ქალი სახლში მოილოგინებს და მშობიარობის დროს ბებია ქალს მოიწვევს, მთიული გომურში გადის, ერთი თვე ან შვიდი კვირა მოლოგინების შემდეგაც იქა რჩება, განიწმინდება და მხოლოდ შემდეგ აქვს ნება საცხოვრებელ ბინაზე შემოსვლის. მშობიარობის დროს კი, არც ბებიას და არც ახლობელ მეგობარ-ნათესავს დაისწრებს – ერიდება, სცხვენიან და არც უკანასკნელნი მოვლენ – ხატისა ეშინიათ.

სოფელი მოუწყობელია და ბინძური უფრო მეტად, ვიდრე საზოგადოდ, ქართლ-კახელების სოფლები. წყარო შორსა აქვთ, სოფლის გარედ. გაუყვანიათ იქიდან არხი სოფელთან მოსაახლოვებლად, მაგრამ არხი ივსება შლამით და ჯაგებით. რუსებმა წაგვიყვანეს და გვაჩვენეს მათი ნასაქმარი, ერთ კვირა დღეს მოწყოთ „კვირეული“ (Воскресение) და .გაეწმინდათ არხი, მაგრამ მათი ნახელარიც გადაექილა ბუნებას. საჭიროა კრამიტის მილების ყიდვა, მაგრამ უფულობით იშორებენ ამ აზრს თავიდან სოფლელები, მთავრობას კი მათ თხოვნაზე, რომ წყარო სოფელში გამოეყვანათ უარი უთქვამს. წყაროზე შეეხვდი ერთ ქალს ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილს და თავშლით თავზე მოხვეულს. გამიკვირდა, რომ მან მთიულობა დაინემა, წიკლაური ვარო და „ჩემი პაპაც კი აქ ცხოვრობდა, დიდი ხნის მოსულები ვართ ამ ადგილზეო“. მე ის ოსი მეგონა. აქაური ოსები გარეგნობით ძალიან განირჩევიან მთიულ ქალებისაგან. მაღლები, გამხდრები ცისფერთვალება, ალეწილი სახეებით და ევროპიულად ნაცმულები.

წყაროდან გადავედით ნასოფლარში, რომელიც სოფელ ვაკედან დასავლეთით მდებარეობს, ხევის გაღმა აღმართზე. ეს ადგილი კუნძულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგაგონებთ. გარშემოხლეულია მრგვალად ღრმა ხვეებით და ამ ხვეებს გადადმა კედლებად აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მთები. სწორი ადგილი, ბალახიანი. მხოლოდ ერთ ადგილასაა დაქუხული ხეები, რომელთა ძირში მიყრილია უხარმაზარი ლოდები. ზოგ მათგანს ეტყობა ხელოვნური გათლა, ერთი ამგვარი ლოდი გავხომე, რადგან სახომი არაფერი წამოგვყოლოდა, ხელით, და აღმოჩნდა სიგრძით 13 ტკაველი, განი 8 და სისქე 2 1/2 ტკაველი.

თვით სოფელ ვაკეში მშვენიერი ღვთისშობლის სახელობის ეკლესიაა აშენებული. ალგეთის ქვით ისეთივე ჩუქურთმიანი სარკმელით, როგორც გუდარეხში. სარკმლის ზევით ქვაზე ამოჭრილია მხედრული წარწერა, რომელიც ძნელად იკითხება, რადგან დროს თავისი დაღი დაუსვია მისთვის. მრავალ ადგილას სრულიად გადასულია წარწერა და ვერარ იკითხება. კ. ქავთარაძემ გადაიღო მისი ესტამპაჟი. ეკლესიის გარშემო ძველი და ახალი სასაფლაოა. საინტერესოა სამარხი ქვებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ცხვრის გამოხატულება ძეგლად, ქვაზე ამოჭრილი ქალის ქანდაკება და მასთან გვერდით გამოკვეთილია ძროხა.

12 წლის პატარა, წყნარი და ჭკვიანი გოგონა ვნახე. ის უკვე დანიშნულია მეზობელ სოფლის მთიულზე. შემოდგომაზე უნდა ქორწილი გადავიხადოთ... გოგონას ეშინია თავის დანიშნულის და ქორწილის, მაგრამ მშობლები ამშვიდებენ, შენთან არ იცხოვრებს, ისე იქნება ჩვენს სახლში და სამუშაოზე მოგვეხმარებაო.

აქ ჩავიწერე ქორწინების წესიც.

ქ ო რ წ ი ლ ი

ქალის გაოხოვება იწყება მაჭანკლის საშუალებით. ვაჟის პატრონი გზავნის პატივცემულ პირებს ამორჩეულ სარძლოსთან. ქალის მშობლები მათ დიდი ამბით შეეგებებიან, გაუმასპინძლდებიან და ისე იქცევიან, თითქოს მათ სრულიად არაფრის ეჭვი არა აქვთ. სუფრაზე მაჭანკალი ჩამოუგდებს საუბარს ვაჟიან ოჯახზე. აქებს მას, როგორც დოვლათიანს და ხალხისგან პატივცემულს. მასპინძელი ეთანხმება და აქებს. შემდეგ მაჭანკალი გადადის მასპინძლის ოჯახის ქებაზე და ბოლოს დამოყვრების წინადადებით ათავებს. თუ ქალის პატრონს არ უნდა დამოყვრება ამ ოჯახთან, ის თავიდანვე გადაჭრით უარს გამოუცხადებს და შეიძლება ჩხუბიც დატრიალდეს, თუ მაჭანკალი გაჯიუტდა. მაგრამ თუ ქალის პატრონს სურს კიდეც წინადადების მიღება, პირველად მაინც უარს იტყვის და შეიძლება მისმა ყოყმანმა წლებიც გასტანოს. ევაჭრება შუამავალს ფულზე, საქონელზე და სხვა, რაც ვაჟის მოსატანია. ბოლოს და ბოლოს მოხდება შეთანხმება. ამას შემდეგ მოყვება ბ ა ტ ა რ ა ლ ი შ ა ნ ი ანუ ბელგა. ქალიანთსა მიდის დედამთილ-მამამთილი და მაზლი, მოაქვთ ბეჭედი, ბაღდადი ქალისათვის, ქადები, 5-6 პური და ერთი თუნგი არაყი ან ჭედრო ღვინო ოჯახისათვის. შემდეგი საფეხური ცერემონიალის არის. დ ი დ ი ლ ი შ ა ნ ი. ამ დროს უკვე მეფეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა და დარჩება აქ 3-4 დღე. მათ თან მოაქვთ ორი ცხვარი, 7-8 ქაბი არაყი, 5-6 ვედრო ღვინო, ორი ფურნე პური, ყველი, ქადები. ქალისათვის მოაქვთ ტანისამოსი და საწვრიმალო, რომლებსაც თან წაიყოლებს როცა გათხოვდება. თუმცა ისიც შეიძლება რომ ოჯახმა გაუყიდოს და მოიხმაროს თავისათვის. საქმრო ხმას ვერ ამოიღებს ამის გამო. ნიშნობის ქეიფი სამი დღე გრძელდება. პატარძალი ამ დროს ურიგებს წინდებს ქმრის დებს, მაზლებს, დედამთილ-მამამთილს.

წინასწარ დანიშნულ დროს იხდიან ქორწილს. დრო ინიშნება შეთანხმებით, მაგრამ გადამწყვეტი ხმა ქალის მშობლებისაა. შეიძლება და არც იშვიათია ასეთი შემთხვევა, როცა ქალის მშობლები პირს უცვლიან და სრულიად უარს გამოუცხადებენ ვაჟს ქალის თხოვებაზე - „გადავიფიქრეთ, ხელს არ გვაძლევს და ჩვენ ქალს ვერ გამოგატანთო“. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ვაჟის მოტანილი იცოტავეს და კელავ დაიწყება ვაჭრობა. შეუთანხმებლობას შური და ხშირად სისხლიც მოსდევს.

როცა ქორწილი დანიშნულია, ქალის მშობლები დროს არ აჭიანურებენ და მოდის მაყრები ქმარ-მაზლი და ნათესავებ-მეზობლები, ქალის ოჯახში, მოაქვთ სასმელ-საჭმელი, ქადები, „ჯვრის პური“ და სხვა. ჯერ აქ ქეიფობენ და შემდეგ ვაჟის სოფელში გადადიან. ქალს თან მიყვება მისი ძმა და მეზობლის ბიჭები მაყრებად და იქ ვაჟის ოჯახში ქვარწილს გადიყრიან“.

გავლენ თუ არა ეზოში, ნეფე-დედოფალს თაფლს ან სხვა სიტკბოს მიაგებებენ. „ასე ტკბილად დაგვიბერდითო“, ქალის ძმა პირველი შედის ოჯახში და შეადგამს თუ არა ფეხს, კარიბჭეზე დახვდება თეფში, რომელიც ფეხის დარტყმით უნდა გატეხოს. ნეფე-დედოფალს მიულოცავენ ვაშლებსა შინ თეთრი ორშაურიანით. ეჯიფი უსათუოდ ძმა ან ბიძაშვილია ვაჟისა. მას მიაქვს მზითები (2 საბანი, ლეიბი, 2 ბალიში, 2 მუთაქა, ფარდაგი ან ნაბადი და სხ.). როდესაც სუფრა გაიშლება და ქეიფს შეყვებიან, ქალის ძმა იძახის: „ან მაიყვანეთ საღილე (ე.ი. ქალი) ან მაიტანეთ საღვინე“. თუ ქალი მოუყვანეს - ფულს აწუქებს და „ეჯიფი“ ღვინოს მიაგებებს - მასაც დაალევინებს. ნათლია თავის მხრივ იძახის – „მოულოცეთ ნეფესო“. მოუტანებენ არაყს და ნეფე ილოცება, ამ დროს მაყრები ყვირიან „ნეფე ილოცება, გაუმარჯოს, ნეფე ილოცება, გაუმარჯოს“. მოდის შუკოური და შემოსაპარი. ყველაზე მთავარი ქორწილში არის ეგრედწოდებული ჯვრის ლოცვა. ნეფე-დედოფალს მოიყვანენ პატარა გაშლილ სუფრასთან და მაყრებთან ერთად სამჯერ უვლიან ამ სუფრას. მაყრები ერთხმად მღერიან:

„ჯვარის წინასა
ამ ჩვენ ნეფესა
მარჯვენა ნეფესა
მარჯვენა ჭარსა
ადგა მჭარესა
ანგელოზები

შენ ქრისტე ღმერთო
დასწერე ჯვარი
ახალ ყოილთა
დადგე ბეჭედი“ (სამჯერ უნდა იმღერონ)

შემდეგ მიდიან კერასთან მაყრები და ჯინჯილს ურტყავენ ხანჯლებით. როცა ხალხი პურის ჭამას გაათავებს, დედოფალს გადასვამენ ქალებში და იქ აჭმევენ პურსა. როცა ქალი წამოდგება, მაყრებიც წამოიშლებიან, ხანჯლებს ჭერზე აარტყამენ და დასძახებენ: „ჩამოდექით, ჩამოდექით“.

გვირგვინიანი ნეფე მეორე დღეს გაინადირებს თავის მაყრების თანხლებით. ე.ი. გადის სოფელში. ამ დროს მიმავალ ნეფეს ყოველი კომლი თითო ქათამს გადმოუფრენს. მაყრები ქათმებს დაკლავენ და იქეიფებენ.

ნეფე-დედოფალი გვირგვინს მე-3 დღეს აიხსნის. დედოფალი თავს დაიხურავს, ნეფეს კი ხელში არეიან საღვინე დოქს მისცემენ და ის ჩამოურიგებს სტუმრებს ღვინოსა.

ამავე დღეს საღმთოს იზმენ - დაკლავენ ცხვარს და ჩამოარიგებენ.

მე-4 დღეს გააკეთებენ ხინკალს და ჩამოარიგებენ. ამით თავდება ქორწილი. სტუმრები დაიშლებიან, მეზობლებიც წავიდ-წამოვა.

ქორწილისათვის მზადება იწყება 7-8 დღით ადრე. ბედნიერ ოჯახში თავს იყრის მეზობლები და რითაც შეუძლიათ ეხმარებიან მას საქმის გაკეთებაში. ოთხშაბათს დაიწყებენ პურის ცხობას და 4-5 დღე სულ პურს აცხობენ. კვირას ხარი, ძროხა და ცხვარი უნდა დაიკლას, მე-3 დღეს ქორწილსა იკვლება მეორე ცხვარი - ეს „სადმრთოა“.

დაკრძალვა

როცა ხალხი სამძიმრად მიდის ჭირისუფლებთან თან მიაქვს თხელ-თხელი ლავაში პურები, ლობიო და სხვა სამარხვი. დაკრძალვამდე რამდენჯერმე დაპურდებიან.

გასვენების შემდეგ ჭირისუფალი დაკლავს საკლავს და გაუმასპინძლდება ხალხს. ამ დროს მომავალ მეზობლებს მოაქვთ თითო თავი ყველი, კვერცხები, ნაზუქი და სხვა რაც შეუძლიათ. წლის წირვაზე საფლავზე გასვლა იციან. ამ დროს თავის მიცვალებულს ცხვარს ან ძროხას დაუკლავენ. რაც უნდა შორეული მოკეთე-ნათესავი იყოს, წლის წირვას მაინც დაესწრება.

აქ აღბულაღის რაიონის მთიელებს დიდად სწამთ ქვა მამიდაჲ - მანგლისის მახლობლად რომ ქვა არის, მათი რწმენით საკმარისია ეს ქვა დასძრან და თუ გამუდმებითი წვიმაა - გამოიდარებს, თუ გვალვაა – წვიმა მოვა.

სხვათა შორის მე მაინტერესებდა გამეგო აქაურ მთიულებში თუ იყო გავრცელებული წაწლობა. კითხვაზე მიპასუხეს: გაგონით გაგვიგონია ეგრეთი ჩვეულება, მაგრამ ჩვენში არ ვიცითო. ამის მაგიერ მიამბეს წესი დათ გაფიცვისა ან ძმათ გაფიცვისა. გაფიცულებს უწოდებენ იმის შემდეგ, როცა შემდეგს მოიმოქმედებენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაფიცად გამზადებულები ღვინოში ვერცხლს ჩაოლიან, დალოცავენ ერთმანეთს - „შენი დობა კეთილი იყოს და ჩემი ძმობა კეთილი იყოსო, და დალევენ. ქალი თავის ძმობილს წინდებს მოუქსოვს და ანუქებს, ძმობილი დობილს კაბას ან ბეჭედს უყიდის. მეგობრობა მტკიცე აქვთ. „დიდ ლიშანში“ დობილი გაყვება ძმობილს და პირიქით, მაყრად ძმობილი დობილს.

ქალების შრომა მთიულებში ძალიან დიდი და სამძიმოა. გაცილებით მეტი, ვიდრე მთიული მამაკაცების. ამას არც თვით მამაკაცები მალავენ, ქალი პურსაც მკის, გათიბულს ახვეტავს, თივას დადგამს. გაყვება ურემზე ძნას, თივა გადმოაქვს და აბინავებს სახლში. კალოზე მუშაობს – ლეწავს კალოს, ბოსტანიც მას მოყავს, ნახირსაც ის უვლის და მიერეკება ბედენზე, მასწველის ძროხას, დააბინავებს, სახლში საჭმელ-სასმელსაც ის ამზადებს, ბავშვებსაც ის უვლის და ამავე დროს ქმარ-მაზლი და ბალღებიც მან უნდათ შემოსოს: დართას მატყლი, მაქსოვს საშარვლე, ხალათები, წინდები, მიდის ტყეში, იქ კრეფს „თრიმლის ბალახს“ და „ძაღასთან“ ერთად მასში ღებავს მოხარშულ ნარეევში.

ყველა ამასთან გასათვალისწინებელია ის მოვლენა, რომ დედა ბავშვს აწოვებს ძუძუს დიდხანს, რომ არ დაორსულდეს, სამ წელიწადს მაინც, თუ დაორსულებამ არ მოუსწრო.

ისევ ის დედა ზრუნავს, ბავშვები დაიცვას არა მხოლოდ სიცივე-შიმშილისაგან - ავი თვალის, მავნე სულების საწინააღმდეგოდ: აბავს აკვანს სხვადასხვა თილისმა ამულეტებს: ავი თვალის წინააღმდეგ მას მიაწნია ტყემალი, აკაკის ხე და ნახშირი. განსაკუთრებით გავრცელებულია მთაში ე.წ. სათვალავი მძივი - წყლიანი კვარცი აგათი $Sio_2 h_2o$.

ტყემლის ტოტს და ტყემლის ტოტის ნახშირს შეახვევენ ჩვარში და შეულოცავენ. შელოცვილ ჩვარში გაკრულს აკვანზე ჩამობამენ,



აკვანი

ან თვით ბავშვს თუ ავად არის, ან ხბოს, თუ ცუდად გახდა, ან ძროხას, თუ იწიხლება ან სადღეებელას,

აკვანი და მისი იარაღები
„ცამალა“ - კამარა
„რკალი“
„აკვნის ფეხი“ - სვეტები
„“საგოგავი“
„ხარატულები“
„ვეერდის ფიცრები“
„შიგ-ფიცრები“
„ქოჩახი“ - კოკოშა
„შიბაქი“
„ჩალახეში“ - ლეიბი
„არტახები“
„აკვნის თასმები“
„წკიპლა“ - არტახებში გასაყარი
„ხილაბანდი“
„ყერბალიში“
„ხაბანი“
„მუხლბალიში“
„მჩერები ყმაწვილისა“ ანუ ფლასები.

***

დაირაზე გადასაკრავ ტყავს მთიულებში ეწოდება ს ე რ ა. ქსოვილს, რომელიც სხვილად იქსოვება და უხეირო მატყლის ძაფით, ეწოდება მთაში ფიჩვი. ტანისამოსის, წინდების და ფიჩვის გარდა მთიული ქალები ქსოვენ ტომრებს, ჯეჯიმებს, შალეულს, წნავენ კალათებს ლაპატუსაგან, ე.ი. ნაძვის ხის კანისაგან.

საქსოვი მანქანა
„ყდები“ - ორი გრძელი ხე.
„რვილები“ - ყდების თავ-ბოლოში გაყრილი.
„გარა“ - ძაფის ასაწევ-დასაწევი ჯოხი.
„ბეჭი“ - ხის იარაღი ხელში უჭირავთ და სცემენ.
„ცხემლაღ“ - წკეპლა ძაფის გასატარებლად ქსოვილში.
„წკიპლაღ“ - პატარა სახრეები გაყრილი თავში.

ბედნიერის ლოცვა
იყო ბედი ბედნიერი, თოლად, ტანად მშვენიერი, წამოე შავი ზღვიდანა, ვიჯე ჭარის მჭარშიაო, ცხენის ნატერფალშიაო, ვაჟაცს მოვჭდი მჭარშიაო და დედაკაცს ძუძუშიაო. ლბილი დავალპეო, ძვალი დავამტვრიე. გაჯავრდა ქრისტე ღმერთი, გადავიდა ქედს იქითა, გადმოვიდა ქედს აქეთა. ვერ ნახა სურიელი. წინ შემოხვდა ბედნიერი.

მითხრა რა არი შენი წამალი, სარო გაგაქერე, გადგაგდე ჰეკში, ჰერკენელში, ვერც გაიგონო კაცის ხმა, ვერც ქათმის ყივილი, ვერც ღორის ჭყივილი.

„შე დალოცვილო, შენც არ იცი ჩემი წამალი, მა ვინ უნდა იცოდესო. ქათმის შეილი, დიკის ფქვილი (პურია) და პირიმზის ბალახი“.

თვალისა (ადამიანისთვის, ძროხისთვის, ქათმისათვის)

შაგილოცამ თვალისასა, თვალვარგისასა, თეთრფერავნისასა, შავგვრემლისასა. იჯდა დედა-მარიამი, ვარცხნიდა ოქროს თმასა ალვის ტანსა. ჩამაიარა იესო ქრისტემა - „რას ტირი დედა მარიამო“ - იმას ეტირი, რო ჩამაიარა ავ თოლმა, ჩამომიშალა ოქროსი თმანი, ალვის ტანი - „ადექ დედა-მარიამო სამ დილით, სამი უმსნელი წყლითა, ჩაუყარე თვალში ეკალი, გულში სამართებელი გასქდა შავი კლდეო, გამავიდა შავი ცხენი, ედგა შავი უნაგირი, გამოიყვა შავი კაცი. ერთი ქონდა წყლის თოლი, ერთი ცეცხლისა. გასქდა წლის თოლი, გადაესხა ცეცხლის თოლსა და გაქრობა ავი თოლისი. ლოცვა ჩემი, რგება ღვთისი. ცულსა თავის ჩანთალი ტარიდან დეგეგებაო და ჩემი ლოცვა (რძეო ან სხვა) წამლათ დაგედებაო.“

12 აგვისტო. სოფელი ვაკე დავტოვეთ და მივეშურებით სოფ. ხოპისაკენ. გუდარეხის ხევში შეგვეყარა ტყის მცველი ვასო აფციაური, რომელიც განმარტოებით ცხოვრობს ალგეთის ნაპირას. განათლებული კაცია სოფლის კვალობაზე და მთიულებს შორის განიქმული მოლექსე. ჯერ კიდევ ბედენზე ახსენეს მისი სახელი და ქება. წყაროსთან შევჩერდით. აფციაურმა ამოიღო თავის გუდიდან ორი ქადა და შემოგვთავაზა. თან გვიამბო ბევრი საინტერესო ამბები თავისი პირადი ცხოვრებიდან და მთიულების შესახებ. აღგვითქვა ლექსების ნამოტანა ტფილისში. გადაგვაცილა გზაზე და გვაჩვენა ერთ ადგილას, რომელსაც ნაბადრევი ეწოდება, ტყეში ძველი საწნეხელის ნამტვრევები და ალგეთის ნაპირას, იმავ ნაბადრევში, ძველი ხიდის ნანგრევები. ხიდისაგან გადარჩენილი ფუძეები იყო და იქამდე გადავედით აფციაურის მხრების საშუალებით, ვინაიდან ალგეთი დიდზე იყო გადმოსული აქეთ მისგან. გადავედით და კოტე ქავთარაძემ სურათი გადაგვიღო იმ კუნძზე.

სოფ. ხოპისში, მივედით ნაშუადღევს. სოფლის დასაწყისში, ნიშთან დიდ კაკლის ქვეშ შევისვენეთ. სოფელში გაცხარებული მუშაობა ჰქონდათ. იღბლად აფციაურები ამ დღეს უქმობდნენ და მოგვეცა საშუალება ერთ-ერთი აფციაურის საშუალებით გაგვეგო და ნაგვეწერა საჭირო ცნობები.

სოფელი ხოპისი მდებარეობს ტფილისიდან 880 მეტრის სიმაღლეზე. პატარა სოფელია, სულ 27 კომლი მაცხოვრებელი. ესენი არიან: გოგლოძეები, აფციაური, იშუაური, ბექაური და იგრიაძე. ძველიდან მოსულან „კარგა ხანია აქ ვართ დასახლებულიო“. ზოგი „პრიუტიდან“ გადმოსულა, მეტი ნაწილი კი ფშავიდან და გუდამაყრიდან. უჩივიან

ქსოვრელებს - უკანონოთ მოიქცენ, მოსყიდვით ჩაიგდეს საუკეთესო მიწები ხელში - აღმასკომი ჩამოიყვანეს და აქეთფეს, ჩვენ კი უმიწოდ დავრჩითო. სოფელი ადარ ახდენს მაინც და მაინც ღარიბ შთაბეჭდილებას შედარებით აქაურ მთიულ სოფლებთან. მიწურების გვერდით აქა-იქ წამოუწყიათ კრამიტიანი სახლებიც, მაგრამ ვაკელებს ორსართულიანი სახლები აქვთ. აქ კი ასეთები არსად მოსჩანს. სახლების კედლებს მათი თქმით, უშენებენ ბერძნები, ხოლო კრამიტით უხურავენ რუსები.

მისვლისას შეგვეგებენ გლეხები დიდი ინტერესით და შიშით. გონიათ რაიმე გადასახადის დასადებად ვართ მოსულნი. მაგრამ როცა გაიგეს ჩვენი მიზანი, ნელ-ნელა შემოგვეფანტნენ – მათ მოსაფერებელი არაფერი ჰქონდათ, მთავრობის ხალხი არ ეიყავით.

საბედნიეროდ ჩვენთვის აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი გვარის – აფციაურების უქმე დღე იყო ჩვენი მისვლის დღე. ოჯახის წევრები სახლში იყვნენ. ყანაში მუშაობა აკრძალულ საქმიანობად მიაჩნიათ ხატობის დღეს. ძველ წესებს კი ძალიან წმინდად იცავენ მთიულები. მასპინძელი გაგვიძღვა თავის სახლისაკენ. როგორც მისი ბინა, ისე, საზოგადოდ, ყველა მთიულის სადგომები მოტიტვლებულ ადგილზე დგას, თითქმის არც ერთი ხე მის ახლო, თუ არ ნავთვლით, განგებით მოცემულ საჩრდილობელს. თვით მთიული არ ზრუნავს სახლი ირგვლივ ხეებით დაიმშვენოს და ამ მხრივ ქართლის სოფლებს მიაგავს მათი სოფლები. სახლი პატარა, ერთი ოთახისაგან შემდგარი დაბალი, ბნელი და მიწური იატაკით. საშინელი ანტისანიტარია სუფევს, ლოგინი მიწისფერია, კბენარებით სავსე. არ იცი სად მოიმუხლო. ქალებს ახურავთ თავზე ჩაწვირიანებული თავშლები და ამოლანგულ კაბებით ფუსფუსებენ იმ ოჯახში, სადაც დღეს უქმეა და ჩვენ ვიძეყოფებით. ეს აფციაურის სახლია. მისი ოჯახის უქმეა „ხატის წვერის წმ. გიორგობა“. მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვები, მათ ჭუჭყი ჭამთ: თავში და სახეზე მუწუკებით სავსენი, დაგლეჯილ-დაცვნილები, ბოშების ყმაწვილებს შეეჯიბრებიან სიბინძურეში.

სიბინძურე და სიღატაკე, აი დამახასიათებელი მთიულის სინამდვილის ამ სოფელში და უმეტესად ყველა მთიულის სოფლებისა ქართლში. პირველს, თვით ისინი ვერ ამჩნევენ და ვერ გრძნობენ, მეორე კი – სირცხვილში აგდებს ჩვენს მასპინძელს. მას არამც თუ საჭმელი არა აქვს, რომ გაგვიმასპინძლდეს, არა აქვს ლოგინიც რომ დაგვაწვინოს და ლოგინიც რომ ჰქონდეს, ადგილი არა აქვს რომ დაგვიგოს. ოთახში სულ ერთი ტახტი უდგია და ერთი რკინის საწოლი, რომლის განიერ ხლართებში რკინისა, არავითარი ლეიბი არ გაჩერდება თუ წინასწარ ფიცრები არ დაეგო. ფიცრები, არ მოეპოვებათ, თუმცა ტყე მათგან ახლოა. ტყე ახლოა, მაგრამ ხის გამოტანა იქიდან ძალიან ძნელი საქმეა ადგილობრივი მცხოვრებისათვის. მან უნდა წინასწარ ნებართვა აიღოს ამისთვის და

ნებართვის აღებისათვის ძვირფასი სამუშაოს არა ერთი დღე დაკარგება და შეიძლება უშედეგოდაც.

გარდა ამ საწოლ-ტახტისა, ერთი ნახევრად დანგრეული მაგიდა, ორიოდე უზურგო სკამი და კედლებზე აქა-იქ წიგნებიდან ამოგლეჯილი სურათები. დიასახლისი ერბოს ხდიდა. სადღვებელად გამოყენებულია პატარა ქვევრი თიხისა, პირზე გადაკრული ცხვრის ტყავით, რომელსაც ისინი სერას უწოდებენ, მუცელზე აქვს დუდგულა-ხის მილი პაერისათვის და ყელზე ბაწარი სარწყვად ან ხელი თიხისავე. სადღვებელა დაუდებულია ხის კუნძზე რწყების გასაადვილებლად.

მეტად საინტერესო მოხუცია აფციაურის დედა. როგორც მან გადმომცა და მისმა ახლობლებმა დაადასტურეს, 90 წლისაა. საკმაოდ კარგად შენახული თავის ხნოვანებისათვის, ტიპიური სახით. (მისი სურათი ფოტოგრ. გადაიღო ჯ. ქავთარაძემ და აგრეთვე ჩახატა). პირში ჩიბუხით მალი-მალ ისმის მისი წუნარი „ცეცხლად აღარ იქნება", „ავად იყო მწუხარი, გვიამბისკე", „უნაყრობად თიბდის", „ბალღებმა დახოვესა?", „მარიამობისთვის მარხვად ხატობაში დადგის" და სხვა.

თავის დიდხნოვანების დასადასტურებლად მიამბო, რომ მოსწრებულია ცულის ყუობას. ცულის ყუობა ქვია დიდ შიმშილობას, რომელიც ჩემ დროს იყოფო. ცულის ყუობა კი იმიტომ დაერქვა, იმ დროის დიდ შიმშილობას, რომ წლის მოსავალს ცულის ყუა ყოფნიდა შესანახად.

ამავე მოხუცმა, თამრომ, გადმომცა შემდეგი ცნობები:

გვალვის დროს სოფლელი ქალები შეებმიან „ანაჩას" სამ-ოთხ ულულად და წყალსა ხნავენ. მათ მიერეკება მეხრე ქალი. ამ ამბავს ასწრება მთელი სოფელი. ამ პროცესის შესრულების შემდეგ მათ ხწამო, რომ წვიმა მოვა. მაგრამ თუ პირიქით, გამუდმებული წვიმაა, ნაკმარისია „მამიდას ქვა" ააყენონ (მანგლისის მახლობლად არის) და უსათოდ გამოიდარებს.

საინტერესოა ახალი წლის წესი: მთავარი ადგილი ამ დროს უკავია ბებერას. ეს არის დიდი ხე, რომელსაც ახალ წელიწადს შეიტანენ სახლში და შუა ცეცხლს დაურთავენ. შემდეგ ბებერაზე დასვამენ ყმაწვილს და დედა დაუძახებს: „რას ბრძანებს „ბებერაო"?" „თქვენთვის შვიდობით ყოფნასა, პურიანობასა, ფურიანობასა" და სხვა. მერე დედა მიუტანს ყმაწვილს ჯამით ერბოსა და თაფლს. ყმაწვილი ამოუსვამს საჭმელს თითს და მიაცხებს „ბებერას". ამის შემდეგ წამოიღებს თაფლს, დაჯდება დედა-ბოძის ძირში და იქ შესჭამს მას. „ბებერას" უფრთხილდებიან, სულ არ დასწვამენ, შეინახავენ წყალკურთხევამდე და მაშინ, ან მის შემდეგ, დააგორებენ „მამულში" (სახნავ მიწებში) - კარგი მოსავალი მოვაო. ეს ხე სულ ერთია რისა იქნება - ხან მუხაა, ხან წიფელა, ან კიდევ რცხილა.

. . .

დედაბოძი საფარი იყო აგრეთვე დანიშნული ქალისა, როდესაც მისი მშობლების ოჯახში მოვიდოდა ნეფე.

. . .

სხვათა შორის ნეფე-დედოფალზე: ქორწილის დროს ნეფიანი ცდილობენ დედოფალი ნეფეს შემოეელოს წაღმა და თუ ეს მოხდა, ქალის ძმები ჯავრობენ.

. . .

ამავე თამარ აფციაურმა ჩამაწერინა შელოცვები.

თოლისა

სახელო, სახელო ღვთისაო, მამისა ძისაო. შაგილოცამ თოლისასა, გულისასა, პირველაის თოლისასა. იჯდა დედა მარიამ ოქროსა სკამზედა, ტოლი ედგა გომეული, თმა ედგა ბროწეული. გვერდს ედგა ოქროსა სურა, შიგ ედგა ვარდისა ნაცლი, ეყარნენ ჭიქისა თოლნი, ჭიქისა წვივნი. ჩამაიარა თათარმა გედერისალმა, დანატრა „ნეტავი შენა დედა მარიამ, ხიხარ ოქროსა სკამზედა, ტოლი გიდგა ძოძეული. თმა გიდგა ბროწეული“. ჩამეეშალა დედა მარიამსა ტოლი გომეული, თმა ბროწეული. იჯდა დედა მარიამი ტიროდა, იღალებოდა. გადმოხედა ქრისტემა ღმერთმა „ნუ სტირი დედა-მარიამ, ნუ იღალები, ჩაუყარი წყალ-უბანი ორშაბათსა, სამშაბათსა, შაბათსა, ხუთშაბათსა - ის არი იმის წამალი. გასქდა თეთრი კლდე, გამოვიდა თეთრი წყალი, მას გამოეყვა თეთრი ცხენი, თეთრი შეკმაზულობითა. გასქდა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი წყალი, მას გამოეყვა წითელი ცხენი, წითლითა საკმაზულობითა. გასქდა შავი კლდე, გამოვიდა შავი წყალი, მას გამოეყვა შავი ცხენი. ჩაუყენე შავსა ზღვასა, შამაღვარ შავი მათრახი. გამოვიდა შავი სისხლი, შეეგება შავი გველი, გახივე, ნახევარი იქით თოლ'ზე დაეკიდე, ნახევარი აქეთა'ზედა. ის არი იმის წამალი ავი თოლისასა, ავი გულისასა. ბანსა მეხი, კარსა ცეცხლი და გულში სამართებელი. ლოცვა ჩემი და რგება ღვთისა“.

ბედნიერისა

სახელითა ღვთისითა ვიარებოდე ქვეყანაზედა. მთას იქით ვიყავო და მთას აქეთ გადმოველო. ვიმალებოდი ცხენის ნატერფალშია და ხარის ნაქირფარშია. მივჭდი ჭარსა მჭარსაო, ფურსა ძუძუსაო, თავათ ქრისტე ღმერთსა მარჯვენა მჭარსაო ვაჟრჟოლე, ვაორთოოლე, ძვალი დავადნე, ხორცი დავალპეო. აიღო რკინის არგანი (ჯოხი), ჩაიცო რკინის ქალმანი, დაიარა რჯულიანი და ურჯულოვო. თუ შენ ვერ მიცნოვო ქრისტეო ღმერთოვო, კაცმა რა მიცნოს ხორციელმაო. მე კარ ბედი, ბედნიერი, თოლად ტანად მშვენიერი. - თუ შენა ხარ ბედი ბედნიერი, რა არი შენი წამალიო? - ენდროსა წკირიო (ძირი), ქათმისა შვილიო, პირიმზე-ბალახიო, დიკისა პურიო (კარგი პური), გოგრისა ყელიო - ეგ არი იმის წამალიო „ეგ რა თქვი, რა მოიგონე ყველა ჩემი მტერიაო“ - გამო, თორე გამოგიყვანო წმინდის გიორგის

ძალითაო, ჭეხვითა და ქუხილითაო,. დიაცისა კივილითაო. გავაღებ ჩემსა დანასაო, ტარ-შავსა, პირსა ბოროტსაო. აგაჭრი ყელსა და ყურსაო, შაგაური ველის ველოდაო, შამოვყრი ბებერ ხარებსაო, გაგლეწავ კალოსავითაო, აგაგდებ ზენასაო, ჩაგაგდებ ქვენასაო, გადგაგდებ ხევ-შავ, ხევბნელსაო; არ გეყურებოდეს მამლის ყივილიო, არ მოგდიოდეს ძაღლისა ყეფაო (შემდეგი მიმატებით წითლის ქარის ლოცვაა) - ისხდენ დედანი -მამანიო კარსა სამოთხისასაო, კითხულობდნენ წამალსაო. წამალსა, რასა წამალსა, წამალსა სამოცდა სამი ჭირისასა, მცივნისასა. მტკივნისასა, პირქვემარულისასა, თეთრის ქარისასა, წითლის ქარისასა, ქარისასა, ქარსურავანდიისასა. დაცხრი და დაამდი შენის ყველა წმინდის მადლსა.

„პირქვეთი ლოცვა“ იკითხება, როცა მუწუკივით გამოუვა სახსარში რაშიმე.

იმავე დღეს ავედით სოფ. აბელიანში. ვიდრე აქ ავიდოდით დუმაცხოს ძირს დავათვალიერეთ წმ. გიორგი ზეგარდამოლს ეკლესია, რომელსაც მთიულები ეძახიან წვერის წმ. გიორგის.

სოფ. აბელიანში ცხოვრობენ ბერძნები, რომლებიც თათრულად ლაპარაკობენ და სრულიად არ იციან ბერძნული. მამაკაცებს აცვიათ ოსურ-თათრული ტანსაცმელი და თავსაბურავი. წყაროსთან, სოფლის დასაწყისში, ვნახე ქალები და ბავშვები, ზოგი სარეცხს რეცხდა და ზოგი წყლისთვის მოსულიყო. საწყლე ჭურჭელი მეტ ნაწილად ხისაა: მთლიანი, სამწვერა ფეხზე და ტუნ-ხელიანი. დავათვალიერეთ ერთი ბერძნის სადგომი. ნახევრად მიწურია და საქონელიც თავისთან ყავთ მოთავსებული, ე.ი. ბინა შესდგება ერთი ოთახისაგან, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად. ორი მესამედი საქონლის სამყოფი და ერთი მესამედი საცხოვრებელი ბინაა. ბნელი, დაბალი ჭერით, დაბალი კარით, მიწაზე დგას პირდაპირ. სანათური პატარა ბანიდან, ავეჯი თითქმის არავითარი, გარდა ამაღლებული ფიცრები საწოლად და ორიოდე კუნძი საჯდომად. კუთხეში შევამჩნიე ხის საწყლე ქოუზა.

სოფელი საკმაოდ მოზრდილი მოჩანდა. განიერი საურმე გზა ჩაუდის მას შუაში. სახლის წინ ახლად აგებული მაღალი ძნები. გარეგანი შთაბეჭდილება ბარაქიანი სოფლის მივიღე, თუმცა ერთი (და უკანასკნელი ამ სოფელში), ბინის დათვალიერებამ სრულიად საწინააღმდეგო დამანახა.

13 აგვისტო. ღამე ხოპისში გავათიეთ აფციაურებისას. გარეთ ვიწექით, სახლის წინ ჩალაზე. აქ უკეთესი იყო გუდარეხ-ვაკესთან შედარებით, რადგან კოღო იმდენად არ გვაწუხებდა. სამაგიეროდ წინა ღამეების მაგვარადვე მამლის დაუსრულებელი ჩახრინწული ყივილი ყურებში, რწყილები და, სრულიად ახალი მოვლენა ჩვენთვის მეტად შემაწუხებელი – წვიმა, რომლის წვეთებმა დაგვადვიძა გაუთენებლივ, ტანსაცმელზე დადებული მტვერი აგვიტალახა და ჩვენც დავსველდით. ავიშალენით, რის ვაი-ვაგლახით ვისაუზმეთ,

ვიყიდეთ ორი პური, ნახევარი გირვანქა კარაქი რეზერვისათვის, და გზას გაუდექით. წინასწარ ბარგი ჩხიკვთაში გადავგზავნეთ და ჩვენ კი სოფელ ჭალის გზას გავუდექით. ნაწვიმარზე ჯერ გზა მომშრალი არ იყო. ტალახში ვიფლეთოდით. გზად მთიულ ქალს შევეყარეთ, კაბა დაეკაპიწებინა, შავი განიერი კაბა, ხელში ნამგალ მომარჯვებული ვაუკაცურად მიაბიჯებდა. როცა დაგვინახა თავი დაღუნა, მორცხვად მხარი აგვიქცია, გზა გადაჭრა და შემოიარა. საწყალი მთიული ქალი! შრომობს უსაზღვროდ, შრომობს ქალის და კაცის მაგიერ, თავი კი დაბლა უჭირავს, ხმა არა აქვს, უფლება არავითარი.

მივედით მდ. ალგეთის ნაპირზე. წყალი ადიდებულია და ამიტომ გადასვლა არ ძალგვიძს, სიმართლე კი უნდა ითქვას - წყალი ნქარია და ამ ადგილას ღრმა. ჩრდილში ვზივართ და ველით მგზავრს. თუ ცხენიანია, ცხენით გაგვიყვანს, თუ ურემზე - ურმით და თუ ფეხოსანი ზურგზე წამოგვიკიდებს. ვზივართ და ველით. ჩვენს პირდაპირ ვასო აფციაურის სახლია კაკლის ხეებში ჩამალული. მისმა დედამ ხოპისში მითხრა, წამოსვლისას ვასოს გადასძახე და ცხენით გაგიყვანს ალგეთსაო. გადაუკარი ამის შესახებ სიტყვა, მაგრამ გამოხმაურება ვერ მივიღე და მეც გავჩერდი. კონდრატი ნემზე უკეთ იცნობს აფციაურს, მაგრამ არაფერ ზომებს იღებს. კვლავ ვზივართ, კვლავ უცდით, უცდით და ვზივართ.

არ მიკვირს აფციაური რომ ასე განმარტოებით ცხოვრობს, ეს მას არ უჭირს. აქ შეიძლება მისი დაფარული ოჯახური ცხოვრება იმ მოთხოვნილებებით, რომლებიც მას აქვს. ე.ი. კარჩაკეტილი მეურნეობა ასე თუ ისე აკმაყოფილებს, რამდენადაც მატერიალური მდგომარეობა ამას ხელს უწყობს. თავისთვის მიწა აქვს საკანე - პურს მოიყვანს. ქათამი შინა ყავს, მაშასადამე კვერცხი აქვს, ხარი, ძროხა და ამით რძე, ერბო და თვით მუშახელია. ტანსაცმელს თვით იმზადებს და იცვამს - ქალი ურთავს და უკერავს. სხვა არც რამე უნდა, გასართობი ირგვლივ ცოცხალი ბუნება და თავისი ხატები გუდამაყარში, მამაპაპეულის სალოცავი. ირგვლივ ტყეში სანადირო ბევრია. თოფი ჰქონდეს და ჯიხვის ხორციც ექნება.

ძლივს ურემი ვიშოვნეთ. გაღმიდან გამოგვეხმაურენ და ფასზე შეთანხმების შემდეგ გაგვიყვანეს ალგეთზე.

მივადექით მიწურს. გომური და სახლი საცხოვრებილი ერთია, უკეთ გაერთიანებული ისე, რომ გომური წარმოადგენს საცხოვრებელი ბინის გაგრძელებას. უკანასკნელს მიწის იატაკი აქვს მაშინ, როდესაც გომურს ზ დ ა ვ ი უგია. ბანი მიწითაა გადახურული., გომურსა და ადამიანთა ბინის საზღვარზე ბუხარია კედელში ამოყვანილი. ბუხრის მარჯვნივ და მარცხნივ გვერდიდან გრძელად ქოხის შუაგულისკენ გამართულია ტახტები. ქოხში ბნელა, რადგან ძალიან პატარა სანთურსარკმელი აქვს – სულ ორი ცალი ავეჯი, მეტად ღარიბი. ტახტების გარდა, ერთი ძველი სკივრი ფეხებიან ფიცრებზე შედგმული, ორი თარო ხისა, ზედ-შუშის სხვადასხვა ზომის და ფორმის უბრალო ბოთლებით, ქილა -ხის ჯამებით, ციცხვი, კოვზი და ორიოდე თიხის

მხატვარი ზ. წერეთელი

მხატვარი ზ. წერეთელი

ჭურჭელი., ტახტზე სანეწელა - მატყლით, ცხავი და ქვაბი, რომლებშიც ნაკრილია ოჯახის სიმდიდრე პანტა. მას მისევია მთელი ოჯახი. გარდა ამ ავეჯისა აღსანიშნავია განათხარი ქვევრი, აქვე მიწაში უნახავთ თავისი ხუფით, რომელიც ქვისაა, შუაზე გახვრეტილი ლვინის „სულის“ ამოსასვლელად. ქვევრის ღრუ განი უდრის 24 სმ. სიგრძე 97 სმ. სისქე პირზე 4 1/2 სმ. ცემენტითაა შელესილი გარედან. ხუფის დიამეტრი 45 სმ. სისქე 7 სმ. გომურში უგდიათ „ლაღტი“ წნელისაგან წნული გრძელი და ვიწრო ურემზე შემოსაკედლი ბზის მოსატანად.

ეს სახლი ეკუთვნის შიო ზარიძეს. დასახლებულა 15-ოდე წელიწადია. ეს მიწური ბატონების დროისაა. ბატონები ნებას არ გვაძლევდენ კარგი სახლი აგვეშენებინა, ფეხს მოიკიდებთ და საბოლოოდ დამკვიდრდებითო.

მეტად ღატაკი ოჯახია. მათ ლოგინიც კი არა აქვთ და ზამთარ-ზაფხულ ნალაზე წვანან ზემოდან კი, რაც აცვიათ, ის ახურავთ. ბალღები ერთი მეორეზე პატარა, ჭუჭყიანი და ტიტვლები.

რის ვაი-ვაგლახით ავედით ბუჯღულეთში, 650 მეტრის სიმაღლე ტფილისიდან. ეკლესია დიდებულია მწვანე კონგლომერატით ნაშენი. დასავლეთის კარებს ზემოთ წარწერა:

„ქ. ოსტატი: საკ...

ქ. ოსტატი: ცილია.“

1 სტ. ჭ: ჯ:ა ცლისა, არსისა მარსსმბო ერთარხსებია, მამო უშობელ: ძეო შობილი: სულ წმდა: მმის გნ ნოლისა გმოსულ: ერთო:

უველებით

2 სტ. დერთ მღოებო. შემწე და მფველ მექმენ: დღეს მას დიდს: ოდეს მვიდეს ბე შენი განკითხედ: ცხვლთ დ მკდრთ: აღგმ.

3 სტ. მ[ო]ნსა: უ?დ უდირისი სსა:. ბართს: შვილ მან გოშტაშბის ძემნ:. აპაუნმან:. თან მეცხედრემა

4 სტ. ხხემ:. შვლამა:. ჩვენმა გშტშბ:. მეთა დასულთ:. ჩმთა:. რომნ:. აღვშენე:. სუდრი

5 სტ. ესე:. დსმრეკლო:. საძვლედ:. ჩვენდ სახელსა:. ზედ წმიდის მღოების

6 სტ. და შეემცე:. ბლტი:.თ; დსენკი მრნი:. ამინ:. შეიწირე: მცირე ნმუშკეეი

7 სტ. ესე:. ჩემი:. შენ. სმებო:. ერთსებ[ო] ინდქტონს:. ქ-!ს მეფის

8 სტ. გიორგის წყლბითა ტნოა (1683-371+1312)

ამ წარწერის ზემოთ, სადაც ოსტატების სახელებია მის გვერდებზე და უფრო მაღლა გამოხატულია ორი ფიგურა, რომლებშეა სურაა და გვერდებზე ჩუქურთმები (წყვილი).

საკურთხეველი მთლიანად შენახულია. დაცულია მშვენიერი ჩუქურთმიანი სვეტები თაღებად ერთმანეთზე გადასული. საკურთხეველში ორი ნიშია სარკმლის აქეთ-იქით გვერდზე. სამხრეთ კედელში სამი სარკმელი, დასავლეთით ერთი, ჩრდილო კედელი

ერუა. კარები აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ეკლესიის გვერდით
კოშკია, რომლის ქვემო სართული წარმოადგენს კვლავ ეკლესიას,
ხოლო პატარას, და ზევით კი სამრეკლოა. მთავარ ეკლესიას
დასავლეთიდან ამოშენებული აქვს გალავან-კედელი. ირგვლივ მრავალ
შენობათა ნანგრევები და ციხე-კოშკი, ამოსავალ მთავარ გზაზე,
თვით მონასტრის დასაწყისში, ძველებური ნაკეთები წყაროა.

მთელი ეს შენობა გაშენებულია მაღალ მთაზე, სადაც ასვლა
ადვილი არ არის და ირგვლივ ტყეთაა შემოვლებული., მეტი ნაწილი
ნაძვია. სანახაობა დიდებულია. ფერდობები დაფარულია ნაძვის
ქუდებით, შორს ფართო ჰორიზონტის კიდეებზე იგივე ნაძვი, ახლო
ქვემოდ, ვაკე შეფერადებულია დაბალი მთების კალთებით.

18 აგვისტო. დღეს შევაჯამე მასალები. რაიონში გავრცელებული
სახვნელი იარაღების შესახებ. რაიონში გავრცელებულია სახვნელები:
დიდი გუთანი, რომელსაც სოფლები დიდი და პატარა გომარეთი
ყარა გუთნის სახელით იხსენიებენ. ადგილობრივთა დაკვირვებით
ყარა გუთანი შავი ფერის გუთანია. მისი მასალის დასამზადებლად
იყენებდნენ ცეცხლზე წრთობის მეთოდს და შემდეგ საგუთნედ
გატუსულ ხეს ნაკელით გოზავდნენ. ამავე რაიონში მე-XIX საუკუნის
ბოლოს მოქმედებაში შევიდა ე.წ. იმირი გუთანი იგი ჩვეულებრივი
გუთნისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასში ჭარბად იყო
წარმოდგენილი რკინის ნაწილები სახნისისა და საკვეთელის გარდა.
ფრთა და ქუსლიც რკინისა გააჩნდა; იმირი გუთნის შემუშავებაში
სოფელ იმერას მოსახლეობას მიუძღვის თითქოს წვლილი. სოფ.
იმერაში ისტორიკოსი ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, ქართველები
მოსახლეობდნენ

ნასოფლარ ჭივჭავას მიდამოებში დამოწმებულია საფლავის ქვები,
რომლებზედაც ამოკვეთილია სახვნელის ტიპები. მიცვალებულის
საყვარელი ხელობის გამომხატველი იარაღის საფლავის ქვაზე
გამოხატვის ტრადიციას. ამ რაიონში და მეზობელი რაიონების ყოფაში,
დღესაც აქვს ადგილი. ძველი ნასოფლარ ჭივჭავას მიდამოებში
არსებული საფლავის ქვები აშკარად გამოხატავენ, რომ აქ შუა
საუკუნეებში მიწათმოქმედება საპატიო დარგი იყო მეურნეობისა.
სახვნელი იარაღის გაბატონებულ ფორმას ფამფალაკიანი სახვნელი
შეადგენდა. სახვნელთა სხვადასხვა ტიპების სიუხვე სწორედ ამის
მანიშნებელია. ამავე რაიონში გვხვდება სახვნელის ერთი საინტერესო
სახელწოდება აჯილდა. საერთოდ ცნობილია ჯილდა სახ-
ვნელი, იგი უფრო ფამფალაკიანი სახვნელია, რომელიც სწორედ
ნაჭივჭავას საფლავის ქვებზედაც არის გამოხატული. ამ სახელწოდებით
სახვნელის ეს ტიპი გვხვდება აგრეთვე საქართველოს სამხრეთის
სხვა რაიონებშიც აჭარის ჩათვლით, მაგრამ, აჯილდა როგორც
სახვნელის გამომხატველი ტერმინი და თვით სახვნელიც, მხოლოდ
თეთრი წყაროს რაიონშია დამოწმებული.

ამ რაიონში სხვადასხვა უბედურებათა შედეგად საგარეო მძიმე პირობების გამო მოსახლეობა დიდ გასაჭირში იმყოფებოდა, ხშირი უბედურებების ნიადაგზე მხარე ბევრჯერ გაუკაცრიელებულა, მაგრამ იმის გამო რომ ადგილმდებარეობა როგორც მიწათმოქმედებისათვის ისე მესაქონლეობისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა, ძველი მეურნეობა მოსული მოსახლეობის წყალობით კვლავ აღუდგენიათ. ამ რაიონის გვიანდელი შევსება საქართველოს მთის მოსახლეობით მოხდა, მათ შორის რაჭველებიც არიან. სოფ. მაწევანში რაჭველებს უცდიათ, რომ სახვნელ იარაღად მამაპაპური რაჭული სახვნელი გამოეყენებინათ, მაგრამ ეს ცდა არ გამოდგა ნაყოფიერი. უფრო მძიმე სახვნელი იყო საჭირო, ვიდრე ამას რაჭული სახვნელი წარმოადგენდა. ძველ ნასოფლარებთან ხშირად გვხვდება სამეურნეო ხასიათის იარაღები. მაგ., ჩხიკვთის მიდამოებში ნაპოვნია უამრავი ქვევრი, დიდი გუთნის სახნის-საკვეთელი. საკვეთელი თავისი ზომით დიდია. ასე რომ იგი მორგებული უნდა ყოფილიყო 8–10 უღლით მომუშავე სახვნელზე. სახვნელის სახნისი ნაპოვნია აგრეთვე გუდარეხში. ჩხიკვთის მიდამოებში დიდი რაოდენობით არის დარჩენილი ყურძნის ჭაჭის გამოსაწურის დედნები ქვისა. ამას ქართლში საქაჯავის ძირს უწოდებენ. ყოველივე ეს კარგი მანიშნებელი ძეგლებია რაიონის ძველი მეურნეობის მიწათმოქმედება – მევენახეობისა, თუ, რასაკვირველია, მივუმატებთ იმასაც, რომ ალგეთის ხეობაში მრავლად მოიპოვება გაველურებული ვაზი. ერთი საინტერესო გარემოებაა კიდევ რაიონის ძველი მეურნეობიდან აღსანიშნავი, რომელსაც თავისი პრაქტიკული დანიშნულება დღეისათვისაც არ უნდა ჰქონდეს დაკარგული. ეს არის თესლმონაცვლეობა, რომელიც წარმოებდა რაიონის სოფლებს შორის, მაგ. ჩხიკვთელები და წინწყაროელები პურის სათესლე მასალას სხვა სოფელს უცვლიდნენ. გლეხთა დაკვირვებით, სათესლე მარცვალი ადგილს როცა იცვლის, „ხამ ადგილზე“ მაღალ მოსავალს იძლევა.

1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუზეუმის დირექტორის პროფ. ალ. ჯანელიძის განკარგულებით აღბულაღის რაიონში მივლინებული ეთნოგრაფიული ექსკურსია ადგილობრივად 1926 წელს 1–25 აგვისტომდე მუშაობდა. მის მთავარ ამოცანას შეადგენდა ამ კუთხეში ხმარებული ერქვნის[1] ტიპების გარკვევა და მიწის ხვნასთან დაკავშირებული ნეგულებების შესახებ მასალების შეგროვება[2].

I. აღბულაღის რაიონი მდებარეობს მდინარე ალგეთსა და მდ. ხრამს შორის: ჩრდილოეთის სიგანედის 41°27' – 41°39' და აღმოსავლეთის სიგრძედის 61°53'ს და 62°21' შუა. მას უჭირავს დაახლოებით 3500 ოთხკუთხედი კილომეტრი სიბრტყე. იგი შეიცავს თრიალეთის ქედის სამხრეთის დაქანებულ კალთებს, რომლის რელიეფი თუმცა დაკიდებული და საკმაოდ ნაირნაირია, მაგრამ წამახული მთის წვერებით მეტად დარიბია. უმაღლესი მთის წვერი ბედენი (ვახუშტით „ბენდერი"[3]არის 6.110ფ. ზღვის ზედაპირიდან. რაიონის ჰავა ზომიერ-ცივ ხოლს ეკუთვნის. კუთხე მდიდარია წყლებით, რაც ნიადაგს საკმარისად რწყავს. სპეციალისტების მიერ აქაური ნიადაგი სამ ზონად იყოფა:

ა) დაბალი მთების ნიადაგი, ბარული, ზღვის ზედაპ. 3.000 ფუტამდე. ბ) საშუალო სიმაღლის მთების ნიადაგი, ტყიანი ზღვის ზედაპ. 3.000 ფუტამდე. გ) მთის ზეგანის ნიადაგი, მთის მინდვრები, ზღვის ზედაპ. – 4.500–6.000 ფუტამდე.

შერეული ნიადაგი პლიუს რელიეფის ოროგრაფიის და ჰავის ზემოთ აღნიშნული პირობები[4], აპრიორულადაც ცხადია, ნაირ-ნაირ ნაყოფს აღმოაცენებს და სხვადასხვაგვარი მეურნეობის არსებობას შეუწყობს ხელს. პირველ ზონაში აქ ჩვენ ვხედებით უმთავრესად ხორბალს და იქა-აქ ვაზსაც (ს.სამშვილდე, ჩხიკეთა). ძველად ეს უკანასკნელი ფართოდ ყოფილა გავცელებული. ამას ადასტურებს ვახუშტის ცნობა[5] და ჩვენ მიერ ამ რაიონში ბლომად ნახული

---

[1] ერქვანს, სიბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად (იხ. ეს სიტყვა), აქ და ქვემოთ ვხმაროობთ, როგორც ზოგად სახელს ყველა სახის სახნავი იარაღის აღსანიშნავად, მაგ.: გუთანი, ჯილდა‖ აჯილდა, ანანა, ოქოქა, ნუთი, კავი. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მთიულნი და ხევსურნი ერქვანს ‖ ვერქვანს ანანის-სახვნელის სახელურს უწოდებენ. ამავე მნიშვნელობით იხმარება იგი მეგრულ ენაში და იმერულ ოქმაში (И.Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПБ, 1914, გვ. 232).

[2] ექსკურსიის მარშრუტი იხ. აქვე რუკაზე გვ. 295.

[3] ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა (Deseripton geographique de la georgie publice par. M.Brosset, 1842, Paris, გვ.170).

[4] რაიონის ჰავის, ოროგრაფიის, რელიეფის და ნიადაგის შესახებ იხ. – И.В.Фигуровский, Климаты Кавказа: Зап. Кав. Отд. Рус. Географи. Общ. XXV, в.V, 1919; С.А.Захаров, К характеристике высокогорных почв Кавказа, ცალკე ამონაბეჭდი Изв.К.М.И. в V, 1914; მიხე

ალგეთლების რაიონის
რუკა
მასშტაბი 1:100000
1 0 1 2 3 4 5
ნიშნების ახსნა
მაღალი ტაძარი
I ხარისხის ეკლესიები
II ხარისხის ეკლესიები
ეკლესიების ხარისხებში
მასშტაბები
ალგეთლები
ალგეთლი
ალგეთი
ალგეთი
ალგეთ

ძველებური მარნები, მიწაში ჩაფლული ღვინის ქვევრები (პარტახი, ნახიდარი, ს. პიტარეთი და სხვა) და საწნახლები. ამჟამად ეს მოწყობილობანი უქმად გდია სოფლებში. ერთ-ერთი ძველებური საწნეხლის ქვა[6] სოფ. ჩხიკვაში აქ წარმოდგენილი სახისაა.

სულ სხვა პირობებია ფერდობებზე და მთის მინდვრებზე. რამდენადაც ფერდობი მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელია, იმდენად იგი და, განსაკუთრებით კი, მთის მინდვრები, მესაქონლეობას უწყობს ხელს. ამიტომ საერთოდ რაიონში ადგილი აქვს როგორც ბარის, ისე მთის ზონის მეურნეობას[7]. აქ მეურნეობის ეს ორი ტიპი მეზობლად არსებობს, ხოლო ადგილ-ადგილ ერთურთში შერწყმულად. ამჟამად სახნავი მიწის და მსხვილი და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა რაიონში სისწორით გამორკვეული არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ამ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია, სახელდობრ კალაგირში – სახნავი მამული 550 ჰა და ბეღენში – საძოვარ-სათიბი 770ჰა. რაიონის მოსახლეობა გარდა იმისა, რომ ბარელებად და მთიელებად განირჩევიან, ჭრელია ეთნიკურად. სულ რაიონში 37 სოფელია, 2.974 კომლი. 14.656 მცხოვრებით[8].

ეს მოსახლეობა, რასაკვირველია, მთლიანად აბორიგენი არ არის. უმეტესი მათგანი შემოხიზნულია XIX საუკუნეში. ასე, ბერძნები პასკევიჩის დროს არიან მოსული ოსმალეთიდან (უპირიათ უმთავრესად სოფ. დიდი და პატარა ირაგა, ჯიგრაშენი, ვაზიროკა და სხვა)[9],

---

[6] სხვათა შორის, ს. პიტარეთში დაცულია ძველებური წისქვილის – რუს კალაპოტი და წისქვილის ქვები.

[7] შეად. D. Johann Anton Güldensdt, ädt, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, [I], St.-Prsb., 1787, გვ. 257.

[8] ცნობა ამოღებულია აღბულაღის თემ-აღმასკომის მიერ 1926 წ. მარტში მოხდენილ საარჩევნო აღწერიდან. შეადრ. საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემა: სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწ.II, დემოგრაფია, ნაკვ. I,სოფლობრივი ჯამები, თბ., 1926, გვ. 23–24.

[9] აქაური ბერძნების სახმარი ენა თურქულია და ქართული. ბერძნული მეტად მცირე პროცენტმა იცის.

რუსები (აღბულაღი, ივანოვკა და სხვა)შედგებიან ე.წ. „პოსელენ-ცებისაგან“, რომელნიც რუსეთის შიდა-გუბერნიებიდან არიან იძულებით გადმოსახლებული დიდი რუსეთის ექსპანსიის მიზნების განსახორციელებლად განაპირა კუთხეებში. აღბულაღში, „სლობოდკა“-ში დღესაც ცოცხალია „პოსელენცები“-ს მეორე თაობის წარმომად-გენელი 91 წლის მოხუცი ვოიეიკოვი, რომელსაც კარგად ახსოვს გადმოსახლების დეტალები. ოსები (აღკალაფა, დმანისი პიტარეთი და სხვა)უმთავრესად შიდა ქართლის სოფლებიდან არიან მოსული; ნაწილობრივ, (ახალი ფენა) – გუჯარეთიდან. სომხების ერთი ნაწილი შედარებით ძველ მოსახლეობას უნდა ეკუთვნოდეს. ეს, სხვათა შორის, ვახუშტის სტატისტიკური აღწერილობიდანაც ჩანს (მაგ., სოფ. სამ-შვილდე[10]). მეორე ნაწილი კი ჩამოსახლებულია არახლოდან (სან-დარის მხარე), ბოლნისიდან, ლორიდან და ყარაბაღიდან (დიდი დაღეთი, სამშვილდე, დურნუკი და სხვა). ამ ტომთა გადმოსახლების შესახებ აქ საინტერესო ლეგენდები არსებობს. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, დიდი დაღეთის სომხები ყარაბაღიდან არიან მოსული შამილის დროს.

ქართველი მთიულებიც დაახლოებით სამი თაობაა, რაც აქ მოსულან (ქსოვრეთი, ვაკე, მაწევანი და სხვა). ესენი მთიულ-გუდამაყრელნი არიან. ბარის ქართველები კი უმთავრესად აბორიგენებია. სოფ. ჩხიკვთაში დღესაც შენახულია ერთ-ერთი გვარი, რომელიც ვახუშტის აღწერილობაში ბეჟან ფარემუზაშვილის ყმადაა მოხსენიებული. (კარი -ა, თავი-ა)[11] ეს გვარია – რამაზაშვილი. ს. ჩხიკვთაში რამაზაშვილები უკვე 18 კომლია. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მოსახლეობის ამ ძველ ფენაში მუშაობა და მასალების შეგროვება.

რაც შეეხება მაღალ წოდებას, როგორც ირკვევა, იგი ამ კუთხის აკლების დროს უმთავრესად კახეთში გახიზნულა (შეად. კახეთის საგინაშვილები და აქაური, მათი დანათესავება ჭავჭავაძეებთან და აქაური საფლავის ქვების წარწერები ს. მაწევანში, სამებაზე). XIX საუკუნის დასაწყისში აღბულაღის რაიონში უკანვე დაბრუნებულ საგინაშვილებს კახეთიდან თან წამოუყვანიათ იქაური გლეხები. ს. ჩხიკვთაში დღეს მათგან წარმომდგარი 11 კომლი ცხოვრობს, გვარად ბაიდარაშვილები. ამ რაიონის ეთნიკური სიჭრელის სრული სურათის წარმოსადგენად უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 25–30 წ. წინათ ს. მაწევანში ჩამოსახლებულან რაჭველები; ისინი დღეს 50 კომლს შეადგენენ. ს. მენქალისში („კაჭოვკა“) ათი წლის წინათ ჯაავახელები დასახლებულან, დღეს ათი კომლია.

---

[10] ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი, 1907, გვ. 24-25, სოფ. Snarneueti (არნაუთი?) – სომხების და თათრების მიერ დასახლების შესახებ 1768 წ. იხ. Güldenstädt, დასახ. ნაშრომი, გვ. 365.

[11] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 152.

ასეთია ამჟამად ამ რაიონის სამეურნეო პირობები და ეთნიკური შემადგენლობა. მაგრამ ჩვენი კვლევის ობიექტი რაიონის ადრინდელი ისტორიული ვითარების გათვალისწინებასაც მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ეს რაიონი ადრინდელი საქართველოს მეწინავე დროშის ნაწილს წარმოადგენდა. მასზე მოდიოდა ის დიდი სამხრეთის შარაგზა, რომლითაც საქართველოს გულში გუნდ-გუნდად შემოდიოდა როგორც მტრის რაზმები, ისე უცხო და ნათესავ ტომთა მიგრაციის ტალღები. ამგვარსავე მოძრაობას აქ ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდანაც. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ ამ კუთხის ეთნოგრაფიული სინამდვილე კომპლექსური, მრავალგზის შეჯვარდინებული მოვლენაა, რომლის შესწავლა მისი შემადგენელი თითოეული ისტორიულ-კულტურული ელემენტის ამომარცვლას და საკუთარ აბორიგენულ თავისებურებათა მოკვლევას მოითხოვს. და რამდენადაც რთულია ეს სინამდვილე, იმდენად მისი გარკვევა ინტენსიური გამახვილებული ხასიათის მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. სამაგიეროდ ეს გარემოება ეთნოგრაფიული ფაქტების შესაგროვებლად და დასადგენად, განსაკუთრებით ეთნოლოგიური მასალების მიმართ, რამდენადმე ხელსაყრელი პირობაა.

ამ რაიონში თავისი დროისათვის ჯერ ვახუშტი აღნიშნავდა მთელ რიგ პარტახ ადგილებს[12]. ნაოხარი ადგილების სიმრავლე აშკარად გვიჩვენებს რომ უკანასკნელ გავერანებას აქ მეტად ფართო მასშტაბი ჰქონია. ამ პარტახზე აქ XIX საუკუნეში მრავალი ეთნიკური ერთეულია შემოხიზნული, რომელთაც თან ესა თუ ის თავისებურება მოუტანია. ამის გამო მოსახლეობის მხრივ ეს კუთხე თავისთავად ერთგვარ მიკროკოსმოსს წარმოადგენს, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს უმთავრესი ეთნიკური ელემენტებია თავმოყრილი. ეს გარემოება, რელიეფის ნაირ-ნაირობა და მეურნეობის სიმბიოზი, ეთნოლოგიურ მასალას უხვად იძლევა, რაც მათ დადგენას და შედარებას აადვილებს.

2. ამ რაიონში ჩვენ ერქვნის სხვადასხვა სახე გვაქვს მოცემული, რომელნიც შეფარდებულია ბუნებრივ, სამეურნეო-ეთნიკური ერთეულების პირობებს და თავისებურებებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ერქვნის კლასიფიკაციისათვის აქ საკმაო მასალა მოიპოვება.

აქ ხმარებაში მიღებულია შემდეგი სახელწოდების ერქვნები: გ უ თ ა ნ ი, ფ ე დ ი გ უ თ ა ნ. ყ ა რ ა ქ ო თ ა ნ, ა ნ ჩ ა ჩ ი, ძ ე ბ ე რ, ა ჯ ი ლ დ ა, ჩ უ თ ი დ ა კ ე რ. მათ აღწერას ჩვენ გუთნიდან დავიწყებთ. იგი გავზომეთ, ჩავხატეთ და ფოტოგრაფიულად გადავიღეთ.

ფოტოგრაფიულად გადავიღეთ შემდეგ სოფლებში: ჩხიკვთა, ვაკე, დიდი-დაღეთი, დმანისი, აღკალაფა და მენქალისი. მოვიყვანთ გუთნის კომპლექსის შემადგენელი ნაწილების სახელწოდებებს.

---

[12] შეად. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, რუკა №2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ჩხიკეთა	ს. ვაკე	ს. მენქალისი	ს. დმანისი (დუმანისი)	ს. დიდი დაღეთი
ბრუდე ხე‖ჩხარი	მკარი‖კარი	რვილი	ვინონ	
ჯამბარა	ჯამბარა	ჯამბარა	ჯამბარა	
საჯამბრე	საჯამბრე	საჯამბრე		
ხმალა	კმალა	ხმალა	ხმალა	
კბილა	კბილა	კბილა	კბილა	
ფაქლეში	–	საცვეთი	–	
მანჭუა { დიდი / პატარა	მანჭუა { დიდი / პატარა	მანჭვი	მანჭი	
ბიჯა‖საყორნე	–	–	–	
სახელური	საკელველი	სახელველი	სახელური	
ფთე	ფთა	ფთა	ფრთა	
კაკაბი	კაკაბი‖ფარეში	კაკაბი	კაკაბი	
ფარეში‖ჩხირი	ჩხირი	ჩხირი	–	
ნეკა	ნეკა	–	ნეკ	
სახნისი	საკნისი	სახნისი	ვსენ	
საკვეთელი	საკვეთელი	საკვეთელი	ძრდა.	
ჯდა	ალაკი	ალდიბარჯი	–	
ფარეში	ჩხირი	ჩხირი	კაბალ	
ფამფალაკი	ფამფალაკი	ხარაზანი	ლირლიტი	
ლერძი	ლერძი	ლერძი	ლერძი	
კვალის გოგორა (ლედალი), ფერსები, მორგვი	კვალის გოგორა	ლირლიტი	დენჯერ ცალხ	
ველის გოგორა	ველ-გოგორა	ველ-გოგორა	ცალხ	
ბალიში	ბალიში	ბალიში	ბაზი	
შოლტაკა	შოლტა	შოლტი	შოლტაკა	
ლვედი‖ჯაკვი	ლვედი	ლვედი	ლვედი	
ასაკრავი	–	–	–	
ულელი	ულელი	ღელი	ვსონძ	
ტაბიკი	ტაბიკი	ტაბიკი	თაბუნქ	
აპეური	აპეური	აპეური	სამალდე	

ბრუდე ხე ანუ რვილი, უმეტესად იფნისა კეთდება. იგი მთლიანია, შუა წელი მოხრილი აქვს, ხოლო ყელი მოღერებული. რვილის სიმრუდეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისი დანიშნულება აქვს. თავთან მას საჯამბრე აქვს გაკეთებული, რომელზედაც გამოებმის ჯამბარა, და მით რვილა ფამფალაკს დაეკვრება. რვილის მეორე თავი გაყრილია მანჭუაში და დამაგრებულია ჩხირით. რვილაშივე მის შუა წელთან რკინის საკვეთელია, პირისაკენ ოდნავ მოხრილი, ხმლის ფორმის, ტარიანი. საკვეთლის პირის სიხქე ყუის სისქესთანაა შეფარდებული. რვილაზე იგი სოლითაა დამაგრებული (მისი სომხური სახელი შემზომსა ნიშნავს). რვილაშივე გაყრილია იფნისგან გაკეთებული ხმალა, რომელიც აქ სოლითაა გაჭედილი; მეორე თავით ის გაყრილია

კბილაში, სადაც „თუ ბოშად მოვიდა სოლით გაჭედილნ ჯამბარა, რომლითაც რვილა ფამფალაკზეა დაკრული, რკინის ჯაჭვია, მას აქვს ჩანგალი დასამოკლებლად და დასაგრძელებლად. რკინის ჯამბარა ახალი შემოღებული ჩანს. ადრე ტყავის ჯამბარა იხმარებოდა. მანჭუა ხისაა, მორკალული, აქვს „სახელეველი"; იგი ბოლოთი დამაგრებულია სოლებით კბილაში. პატარა მანჭუა ერთი თავით დიდ მანჭუაზე თარეშითა და წნელითაა მიმაგრებული, ხოლო მეორეთი კაკაბშია გაყრილი. ხმალასა და პატარა მანჭუაზე გუთნის ფოთა მოწყობილი, უმეტესად მთლიანი ფიცრისა; ის ბელტებს აბრუნებს, აწყობს კვალის პირზე და თანაც შლის. გუთნის დედას ხშირად ხელში ჩეკა, პატარა კეტი უჭირავს, რომლითაც იგი ფრთაზე მოდებული მიწას ჩამოაცილებს ხოლმე. კბილა მომეტებულად იფნისაგან კეთდება. ის წვერწამახულია, ბოლოში განიერი და სქელი. წინა გვერდზე მას აქვს რკინის საქლეში დაკრული. საქლეში თუ არ გაუკეთდა დასაშველებლად, შეიძლება მიწამ კბილა გაგლიჯოსო – ამბობენ აქაური გლეხები. კბილას წვერზე წამოცმულია პირზე ფოლადგადაკრული სახნისი, რომელიც სწორკუთხოვანი სამკუთხედის მოყვანილობისაა. მას აქვს: ფრთე, წვერი და ბუდე. გუთნის წინა კომპლექსს ფამფალაკი ჰქვია. აქ ღერძზე წამოცმულია ერთი მხრით ველის გოგორა მთლიანი ხისა, ხოლო მეორე მხრით – კვალის გოგორა სოლების (დედალ-მამალი) ფერსოების და მორგვისგან შემდგარი; ღერძებზევე დამაგრებულია ბალიში, გრძელი ხე, რომელიც აადვილებს ჯამბარათი რვილის დაკვრას ფამფალაკზე. ხშირად იქვე მოწყობილია ჯდა გუთნის ტანის გადასატანად ადგილიდან ადგილზე. ღერძშია გაყრილი შოლტა, რომლის პირი შეიძლება დანიკბული იყვეს მეხრისათვის მასზე დგომის გასაადვილებლად; შოლტის თავზე დაეკვრის უღელი; ამ უკანასკნელს აქვს ტაბიკები და აპეურები, გუთნის ნაწილებს ამზადებენ თვით სოფლელები. იარაღად ხმარობენ: ცულს, ხელეჩოს სატეხს, ხერხს და ბურაოს (შალაფს). რკინის ნაწილები კი კეთდება სამჭედლოში. უმთავარესად აღბულაღში. გუთნის ნაწილების ზომები აღნიშნულია მასშტაბით, აქვე მოცემულ ჩანახაზებში.

ზემოთ აღწერილმა გუთანმა რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს ე.ი. ადვილად მოხნას მიწა, მოხნული ბელტები გადააბრუნოს და შესაფერ სიღრმეზე კვალი გაავლოს, მისი ნაწილები შეწყობილ-გამართული უნდა იყოს. გლეხების თქმით: „გუთანი მართალი უნდა იყოს, მისი ნაწილები თოფის მიზანივით ამოღებული". როგორც ცნობილია, გუთანი ბარის სახნავი იარაღია. მოსავლის ნაყოფიერებისათვის საჭირო ა ბარი ღრმად მოიხნას ისე, რომ მზის სხივებისათვის და წყლისათვის ადვილად მისაწვდომი გახდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში[11] ყანას ბალახი დასძლევს და ხორბალი ვერ იხეირებს. ამასთანავე, გუთნისდედა თავისი მხრით ვალდებულია ანგარიში გაუწიოს როგორც ნიადაგის, ისე ხარის ძალას, ისე სახნავ იარაღსაც. გუთნის შეწყობა რამდენიმე საშუალებით ხერხდება: მ ა ნ ჭ ვ ი დ ა ნ, ხ მ ა ლ ი დ ა ნ და ჯ ა მ ბ ა რ ი თ.





ს. ნხიკვთა. გუთანი.

მანჭვიდან გუთანი სოლით სწორდება კბილასთან, რომ გუთნის ტანმა მუშაობის დროს კანკალი არ დაიწყოს. ხმალიდან კი სწორდება



ს. ლიგურეთი (ქვემო აღკალაფა).
გუთანი და „აჯილღა"

[11] შეად. A. Adamovic, Die Vegatationsverhältnisse der Balkan-Jänder, Leipzig, 1909, გვ. 18.

სოლითვე კბილა და სახნისი, რომ ეს უკანაკსკნელნი საჭიროების მიხდვით ან ღრმად წავიდნენ, ან პირად.

ჯამბარის დამოკლება იწვევს შესაფერისად ხნულის, სახნავი მიწის სრველის დაველებას ან დაკვალებას (გლეხის თქმით: „ უნდა დაველდეს ან დაკვალდეს სრველი“). ზემოთ თქმულს უნდა დავუმატოთ შემდეგი: ჩხიკვთელების ახსნით, გუთნის რვილა მრუდე და გახრილი იმისათვის კეთდება, რომ ასეთი მხარის მქონე გუთანი თავისი ტანით მიწას მოგვერდზე წამოუწევდა, მას კარგად ამოიღებს და დაფშვნის. კარგი მეგუთნე კაკბესაც კი აქცევს ყურადღებას, ვინაიდან თუ ფრთაში კაკბის თავები გადმოშვერილია, ეს მოხნული ბელტის წესიერ გადაბრუნებას ხელს შეუშლის. თვით ფაშფალაკი და გოგორები, რომლითაც გუთანი ხუთ-აწაწის სახის ერქვნისგან განსხვავდება, ხარის ტვირთის შესამსუბუქებლად და მუშაობის გასაადვილებლად არის მოწყობილი. ამგვარად გამართულ გუთანში ჩვენ საკვლევ რაიონში ხშირად რვა უღელი ხარ-კამეჩი აბია. თავისი ფორმით გუთნის უღლები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან: არის საყვერის უღელი, საწკეპი, საგურავი, თავის ხარის უღელი. საუღლე ხარ-კამეჩებსაც განსაკუთრებული სახელები ჰქვია[14].

ზემოთ აღწერილი გუთნის სახისაა ამავე რაიონში ხმარებული ფედი გუთანი (სომხური ეთნიკური ფენა) და ყარა ქოთანი (ბერძნულ-თურქული ფენა); განსხვავება მხოლოდ ზომებშია. განსაკუთრებით დიდია ყარა ქოთანი[15].

ნუთი, როგორც ის აქ არის წარმოდგენილი, დასავლეთ საქართველოს კავის სახისაა. ამ რაიონში იგი ანეულის „ასაწუთავად“ (თესვის წინ მოსახნავად) და სიმინდის ყანისათვის იხმარება. იგი წარმოადგენს მთლიან მოკაულ ხეს, რომლის მსხვილ თავზე წამოცმულია თითქმის სწორგვერდებიანი სამკუთხედის ფორმის სახნისი. მისი ნაწილების სახელებია კავი, კუჟუჟი, კუდი,

ს. ჩხიკვთა. ძველებური ნუთი

[14] პირველი უღლის ხარებს ჰქვია – გუთნის თავის ხარები; მეორე უღლისას – ხაძირის ხარები; მესამე უღლისას – ხაჯდომი; მეოთხე უღლისას – ხაწკეპი... და წინა უღლისას – წინა ანუ საყვერის ხარები. სხვათა შორის, აქ ხარების სახელებიც საყურადღებოა. მაგალითად, დავასახელებთ: კვირისა, ვეკანა, მარალა, თოლეშა, ბურდუშა, ბურჩიკა, ხორა, ნიკარა, ხანგელა

[15] ეს გუთანი „ყარაქოთან“ ის სახეა, რომელიც ხოგიერთ ევროპილ მკვლევარს საფრთხობელად ენიშნება („ein transkaukasisches Ungetüm mit Radvorgestell“ - **P. Leser,** Der Pflug von Dabergotz: Zeitschrift für Ethnologie Jahrgang. 1925. გვ.52

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელნა და ტოტები. აქაურ სომხებში ჩუთი კერის სახელითაც ცნობილი. ზოგჯერ მისი მხარი ორნაწილედია.

ანაჩი ტიპური სახნავი იარაღია ფერდობების დასამუშავებლად. იგი მეტად შეწყობილია მთიანი ადგილების მოსახლეობის მეურნეობასთან. საჭიროების მიხედვით და ადგილთან შეფარდებით ეს იარაღი ერთი უღელი ხარითაც იმუშავებს და 3-4 უღელსაც შეიბამს. აქაური მთიულების თქმით, ის „საცა გინდა მოხნავს". ხშირად ანაჩით ბარის მცხოვრებნიც იოლად გადიან. განსაკუთრებით მათი დარიბი ნაწილი. ჩვენ აქ აღვწერთ ქსოვრეთში შესწავლილ ანაჩს. ანაჩს აქვს იფნის მკარი, რომელიც თავთან ახრილია იმ მიზნით, რომ უღელთან კარგად მოვიდეს; მისი ბოლო შეყრილია ტოტებიან კელნაში ანუ



ს. ქსოვრეთი. ანაჩი

ვერქვანში; კელნა ჩადგმულია კბილა ქურსლში; კბილაზე წამოცმულია საჭინისი, სწორგვერდებიანი სამკუთხედი სახის. ანაჩს აქვს აგრეთვე ჭმალა საკვეთელი და სოლები. ამ სახნავ იარაღს ხნულის გასაღრმავებლად და დასაკავებლად მხოლოდ ერთადერთი საშუალება გააჩნია. ხმლის გაგრძელებით და დამოკლებით კბილა-სახნისი სათანადოდ ღრმად მოხნავს ან პირად. იქვე ხმარებაში მიღებული აჯილღა არსებითად არაფრით განსხვავდება ანაჩის ზემოთ აღწერილი სახისაგან (ხელნაში გაყრილი მხარი).

მეორე სახის ანაჩი წარმოდგენილია ს. ქვემო აღკალაფაში. ამ ანაჩის მხარი ხელნაში კი არ არის გაყრილი, არამედ ის ჩუთის კავივით მოხრილია და კბილა-ქუსლშია ჩამჯდარი. მას ქსოვრეთის ანაჩივით აქვს საკვეთელი, როცა ხელნა მთლიანია, ხოლო ხმალა კი არ მოეპოვება.

ამგვარივეა ე.წ. „ძველებური ოსური გუთანი" – ძუბურ (სოფ. ქვ. აღკალაფა). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მისი მხარი ორნაწილედია[16]

[16] შად. A. von. Haxthausen. Transkaukasia. 2-er Teil. Leipzig. 1856. გვ. 41. შეცდომით ამ სახის ანაჩი ვერმიშევს მხოლოდ ზანგეზურის მაზრაში ეგულება (Вермишев. Свод материалов для описания экономического состояния государств. Крестьян закавказья. т. 4. გვ. 256

3.აქ წარმოდგენილი მასალა სათანადო კლასიფიკაციას საჭიროებს. ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ერქვანთა შესახებ მოიპოვება რამოდენიმე ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მაგრამ არც ერთი მათგანი საბოლოოდ დადგენილი და მეცნიერების მიერ მიღებული არ არის. ამის უმთავარესი მიზანი ის არის, რომ მკვლევარნი ვერ შეთანხმებულან ერქვნის არსებითი და მთავარი ელემენტების შესახებ. ის, რაც ერთს არსებითად მიაჩნია, სხვას წვრილმანი ჰგონია. ამიტომ მკვლევართ სხვადასხვა დაყოფის. პრინციპი აქვთ წამოყენებული და კლასიფიკაციაც სხვადასხვაგვარი გამოდის. მაგალითისათვის მათგან ზოგიერთს დავასახელებთ:



ს. ლიგურეთი (ქვემო აღკალაფა). აჩაჩი

Paul Leser' ი ყველა ერქვანს ორ ტიპად ჰყოფს.

1. Hunspflug, dessen Merkmal der gekrümte Pflugbaum (Krümel) ist; 2. der vierseitige Pflug, aus den vier Hauptstücken bestehend (Sterze, Sohle, Griessäule und gerade Pflugbaum)[17].

ამ დაყოფის საფუძველზე ავტორი ტიპების გავრცელების ნიშანდობლივ ტერიტორიებსაც კი ასახელებს და პირველი მათგანის წარმოშობის ადგილად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები მიაჩნია[18].

R. Mielke იძლევა შემდეგ კლასიფიკაციას:

1. Grabstockpflug; 2. Sohlbalkenpflug 3. Wendepflug[19].

Fr. Nopsca-ს ერქვნები დაყოფილი აქვს ასე:

1. Pflüge mit geradem Grindel-Stabpflug და 2. Pflüge mit geschweiftem Grindel -Hackpflug. ეს უკანასკნელი კლასიფიკაცია დამყარებულია მხარის

---

[17] P. Leser, Pflüge von Wehr: Abhandlungen zur Antropologie, Ethnologie und Urgeschichte, Frankfurt. Ges. f. Anthr., Ethn. und. Urg., Frankfurt am M., 1925, B. II, Festschrif, zur Feier d. 25 jahr. Best. D. Fr. Ges. გვ. 132.

[18] P. Leser, დასახ. ნაშრომი, გვ. 128. იგივე ავტორი თავის სხვა შრომაში ერქვნის შესახებ სამნაწილიან ტიპოლოგიას იძლევა: a) Pfluge mit geradem Grindel; b) - mit Grindel, Heinterbaum, Sohle und Griesäule; C - mit Krümel (P.Leser, Der Pflug von Dabergotz: Zeitschrift f. Ethnologie,Brl., 1925, Helf 1--2, გვ. 56-57.

[19] E. Miekle, Bemerkungen zu P. lesers Abhandlung uber Pflug von Dabergotz: Zeitschrift f. Ethol. 1925, H. 1-2 გვ. 64-65; მისივე, Der Pflug von Dabergotz: Zeitschrift. f. Ethn. 1924, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულებაზე კბილასა და ხელნასთან[20]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორი და გახრილი მხარის მნიშვნელობას ერქვნის ტიპების გამოსარკვევად ყურადღება მიაქცია ჯერ M. Hoernes -მა და შემდეგ – R. Braungart-მა[21].

უკანასკნელი ტიპოლოგიის მიხედვით ერქვნის გენეზისი ორი სახის ჩანს; Nopcsa-ს აზრით ერთი მათგანი წარმოშობილი უნდა იყოს ქარჩის ფორმისაგან, ხოლო მეორე – თოხის ფორმისაგან. ამჟამად ჩვენ გენეზისის საკითხი არ გვაინტერესებს, მხოლოდ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას. ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მიზანს რომ აღწევდეს, საჭიროა იგი დამყარებული იყოს საგნის ნიშანდობლივ ელემენტებზე და მას სარჩულად ედვას კმასაყოფი principium divisions. Nopcsa ერქვნის მთავარ ნაწილებად გამოყოფს მხარს, კბილას და ხელნას, ხოლო ერქვნის სხვა ნაწილები მას მეორეხარისხოვან ელემენტად მიაჩნია, რომელნიც ერქვანს შეიძლება ჰქონდეს ან არ ქონდეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად , ეს იარაღი თავის დანიშნულებას მაინც შეასრულებს[22].

ამ მოსაზრებით Nopcsa იღებს ერქვნის ამ სამ მთავარ ელემენტს და მათ დამოკიდებულებას ურთიერთთან საფუძვლად უდებს ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. ზოგადად ამავე მოსაზრებებს ერქვნის კლასიფიკაციის შესახებ, როგორც ჩანს, W. Koppers-იც იზიარებს[23].

დაყოფის ეს საფუძველი, რამდენადაც იგი ერქვნის მთავარი ელემენტების ერთიმეორესთან დამოკიდებულებას ემყარება, მისაღებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ ვისარგებლებთ ამ კლასიფიკაციით და ზემორე მოყვანილ მასალას ამის მიხედვით განვიხილავთ. ამ მიდგომით მასალა გარკვეულ ჩვენებას იძლევა. ჩვენ აქ ერთი მხრით გვაქვს ისეთი ერქვნის ტიპი (ანაჩი, ნუთი, კერ), რომლის მხარი ბოლოში მოხრილია 90-45- მდე და პირდაპირ კბილაშია ჩამჯდარი ან კიდევ – მხარი კბილასთან ერთად მთლიანი ხისაა. ამავე ტიპს ეკუთვნის ოსური ძ§ბ§რ, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ. ამ ტიპის ძველებურ ერქვანს ცოტაოი განსხვავებული მხარის თავით ჩვენ ვიცნობთ A. Haxthausen-ის ჩანახატიდან. მას ერქვანი მეკლენბურგის Hackenpflug -ის მსგავს ტიპად მიაჩნია[24].

საზოგადოდ ერქვნის ეს ტიპი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ხევსურული გუთნის სახელწოდებითაა ცნობილი. ის

---

[20] Fr. Baron Nopcsa, Zur Genese der primitiven Pflugtypen Zeitschrift f. Ethnologie, 1919, H. 4-6, გვ.234.

[21] M. Hoernes, Kultur der Urzeit, Samml. Goeschen, 3-er B., 1921; Rich. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen Völker an der Geschichte der Kulturpflanzen und Ackerbaugeräte n Mittel - und. Nordeuropa nachgewiesen, Heidelberg, 1912.

[22] Fr. Nopcsa, დასახ. ნაშრომი გვ. 234. შეად. E. Hahn, Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen, Leipzig, 1896, გვ. 93.

[23] Der Mensch aller Zeiten, Band 111, Volker und Kulturen, Rosenburg [1924], I. T., Gesellschaft und Wirschaft, W. Koppers, Die menschliche Wirtchaft, გვ. 618-619, 674.

[24] A. Haxthausen, დასახ. ნაშრომი, გვ. 11. ამ ერქვანს ავტორი სრულიად განსხვავებულად სთვლის კავკასიის სხვა ერქვანთა შორის, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებულია, როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით; ჩვენ მას ვპოულობთ ქისტეთში, ხევში, ხანგეზურში და სხვაგან.[24]

ამ ტიპთან ერთად ჩვენი კვლევის რაიონში მეორე ტიპის ერქვანიც გვხვდება. ამ ტიპისაა ის აჩაჩი და გუთანი, რომელთა მხარი პირდაპირ ხელნაშია გაყრილი. ამგვარივეა ზემოთ დასახელებული ა ჯ ი ლ ლ ა ც[25] ერქვნის ამ ტიპს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ფ შ ა ვ უ რ ი გუთანი ეწოდება, ჩრდილოეთით ამ ტიპის აჩაჩი იხმარება ავარებში[26], სამხრეთით მესხეთში. ზემოთ თქმულის მიხედვით დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენს საკვლევ რაიონში ორი ტიპის ერქვანი (შეადრ. აქვე რუკა, გვ. 295) არსებობს.

1. ერქვანი მოკაული და კბილაში ჩამჯდარი მხარით;
2. ერქვანი სწორი და ხელნაში გაყრილი მხარით.



აღბულადის რაიონი ერქვნის ტიპები

აქვე ვიძლევით ჩვენი რაიონისათვის ამ ორი ტიპის სქემას.

რამდენადაც ჩვენ ამ რაიონისათვის ასეთ კლასიფიკაციას ვდებულობთ, იმდენად იგი გვავალდებულებს კრიტიკულად შევხედოთ Nopcsa–ს სქემას. სქემაში კავკასიური ერქვანი მხოლოდ ერთ ტიპად არის მოცემული. სახელდობრ იქ ჩვენი სქემის მხოლოდ პირველი ტიპია წარმოდგენილი.[28] მაგრამ ჰიპოთეზის წამოყენების დროს მას

---

[24] შეად. J. Klaproth, Voyage au Mont Caucase et Georgie. Paris 1823. t. 2, გვ. 266-69; Euq. Zichy, voyaqes au Gaucase etc., Bud, 1829, t. 1, გვ. 279, ტაბ. 88, სურ. 7.

[26] მეხსური ჯილლას ნანახატი, იხ. საქართველოს მუზეუმში: ჩვენი ექსკურსიის დღიური მესხეთში № 42-24-24 და A. Petzold, Der Kaukasus. Eine natur-historische Studie, etc. 2-er B., Leipzig, 1867 გვ. 127

[27] საქ. მუზეუმის კოლ. A. 237-89, Zichy, დახახ. ნაშრომი გვ239, tab 91 სურ. 3

[28] მეორე ტიპის არსებობა ავტორს დამოწმებული აქვს მხოლოდ ხომხეთისათვის, დახახ. ნაშრომი, გვ. 238-239

ანგარიშს არ უწევს. ამგვარადვე უბრალოდ სწევენს ერქვანის ტიპოლოგიის საკითხს კავკასიისათვის P.Leser -იც, რომელსაც ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთი ტიპი – გუთანი[29] ეგულება მაგრამ ჩვენს, მიერ, როგორც ზემოთ გამოირკვა, ერთ რაიონში იმავე Nopcsa -ს მიდგომით ორი ტიპის ერქვანი იქნა დამოწმებული. ეს გარემოება უმნიშვნელო როდია. მას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ერქვნების საერთო კლასიფიკაციის დროს, რამდენადაც ეს კლასიფიკაცია, საბოლოო ანგარიშით, ერქვნის წარმოშობის საკითხთანაა დაკავშირებული.

Nopcsa -ს ჰიპოთეზით ჩვენი სქემის პირველი ტიპის ერქვანი ჩამომავლობით წინაარიის, უკეთ შუამდინარის უნდა იყოს. ის შენიშნავს, "der kaukasische (იგულისხმება ჩვენი სქემის პირველი ტიპი), der arabische und der syrisehe Pflug würden sich... als direkte Nachkommen der Urform erweisen; nach Italien hatten die Etrusker diese Pflugform gebracht"(გვ. 239). ამ ჰიპოთეზის დაშვება ისტორიული პერსპექტივის მიხედვით, რამდენადაც ჩვენი ტომები წინა აზიიდან მოსული არიან და ეტრუსკებიც იქიდანვე ევროპაში, – ერთი შეხედვით მიულებელი არ უნდა იყოს. მაგრამ ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს, რომ ერქვნის პირველი ტიპი („ხევსურული") წარმოშობით შუამდინარიდანაა; შემდეგ, რომ ქართველმა ტომებმა შუამდინარიდან სწორედ ეს „ხევსურული" და არა „ფშავური" ტიპის ერქვანი წამოიღეს საქართველოში. ამის დამტკიცება კი, სხვათა შორის, გაძნელებულია იმ მიზეზით, რომ მეორე ტიპის ერქვანი, „ფშავური", დამოწმებულია უძველეს ასირიაში[30], მაინცდამაინც შემოხსნილი იარაღი იყოს ან ხესხების გზით ჩრდილოეთიდან, კასპიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შემოტანილი (სახეში მაქვს ამ ერქვანის ნაწილების სახელები). მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად საჭიროა გაღრმავებული კვლევა და მასალების შეგროვება როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებით საჭიროა ერქვანთან ერთად სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ფორმათა გავრცელების გამოკვლევა, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდეს ამა თუ იმ ტიპის მიკუთვნება განსაზღვრული კულტურული კომპლექსისათვის ან ეთნიკური ერთეულისათვის[31].

აქამდე ჩვენ ერქვნის ტიპოლოგიის საკითხს ჰორიზონტალური ხაზით ვიხილავდით. ვნახოთ თუ რას მოგვცემს ამავე საკითხის ვერტიკალური ჭრილი.

იმ რაიონში, სადაც ჩვენ მუშაობას ვაწარმოებდით, შემთხვევა გვქონდა გუთნის გამოხატულებები გვენახა იმ საფლავის ქვებზე, რომელთა დათარიღება ეცადეთ ჩვენს წერილში და რომლებიც

---

[29] ჩვენით მეორე ტიპის ქვე-სახე - Vierseitiger Pflug: P. Leser. Pflüge von Wehr: იბიდემ გვ. 128.

[30] Der Mensch aller Zeiten. B. III გვ. 105, სურ. 127; შეად. საქ. მუზეუმის კოლ.: Museum Caucasicum t.V, # 112 გვ. 195.

[31] შეად. Leser. დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

XV–XVII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს[32]. სამწუხაროდ, გამოხატულებანი მდარე ხელობისაა და ამიტომ მათი მიხედვით გუთნის დეტალების გამორკვევა შეუძლებელი ხდება. მაგრამ ამ სურათებზე საკმაოდ აშკარად ჩანს: მხარი ხელნაშია გაყრილი, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ერქვნის მეორე ტიპის აღწერის დროს. ამგვარადვეა მხარი და ხელნა წარმოდგენილი მისიონერ ქრისტეფორე კასტელოს XVII საუკუნის ერქვნის ნახატში, რომლის პირი გამოქვეყნებულია პროფესორ V. Bellio -ს შრომაში: La Georgia e la Mingrelia secondo un missionario Italiano del secolo XVII[33].

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში ჩვენ მიერ მიღებული ტიპოლოგიისათვის გარკვეული ჩვენება არ მოიპოვება. იგი არ იძლევა ცნობებს მხარისა და ხელნას ურთიერთთან დამოკიდებულების შესახებ. სამაგიეროდ, მასში ჩვენ გვაქვს მოცემული ერქვანის ნაწილების ტერმინები. შესადარებლად ესეც საყურადღებო მასალაა. თავი რომ მოვუყაროთ ლექსიკონში ნაჩვენებ მასალას, ჩვენ მივიღებთ ერქვნის კომპლექსის ნაწილებისათვის შემდეგ სახელებს: რვალი, ჯაბარა, მანჭუა, მაჭი, ფთა, სახნისი,საკვეთელი, ღირღიტა, შოლტა, ფარეში, ღვედი ‖ ხანირი‖ ევანი, ამბოლი, უკანა უღელი, ჭუღელი, ჭანჭიკი, ასაკრავი. იგივე ლექსიკონი ერქვნების შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა: „ორისა ჭარისასა ეწოდების - ოქოქა და ანანა: ყევრის ჭარისასა - არონა და ოთხსა და ხუთს უღლეულ მობმულსა - ჯიღლა და ჭარ მრავალ-ბმულსა ერქუანი და ყოველთავე სახელი ერქუანი არს ზოგად“[34].

ალსანიშნავია, რომ X საუკუნემდე ჩვენს მწერლობაში ტერმინი ერქვანი გაბატონებულია. სიტყვა გუთანი ხმარებაში ამ პერიოდის შემდეგ შემოდის[35].

რაც შეეხება სტრაბონის ცნობას[36] ალბანელების ხის უსახნისო (ურკინო) ტლანქი ერქვნის შესახებ, თუმცა გადაჭრით რისამე თქმა ძნელია, მაგრამ უფრო შესაძლებელია, რომ ამ ცნობაში ნუთ-კავის ტიპის ერქვანი უნდა გვქონდეს საგულისხმოებელი. ამას გვაფიქრებინებს სხვათა შორის ის გარემოება, რომ უსახნისო ერქვანი უფრო გამძლე იმ შემთხვევაში იქნება, როდესაც მისი მხარი და კბილა მთლიანი ხეა[37]; მეორე მხრით, თუ დასაშვებია ანალოგია, დღემდე დაცული უსახნისო

---

[32] გ. ნიტაია, გულარეხისა და პიტარეთის საფლავის ქვები, ხაქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, გვ. 110 და შემდ.

[33] ცალკე ამონაბეჭდი: Bolletino della Societa geographica Italiano, Serie II, vol. IX. Settembre, 1884. Anno XVIII. Fasc. 9. გვ. 687. მ. თამარაშვილის მიერ მოძიებულ კასტელოს ალბომის პირი ამ სურათს არ იძლევა. ჩანს, იგი თამარაშვილის დროს დაკარგული ყოფილა შეად. თამარაშვილი, Antiquites de la Georgie (ხაქართველოს მუზეუმის წიგნთსაცავი IV E 627). XVIII საუკუნის ერქვნების შესახებ იხ. Güldenstädt, დახახ. ნაშრომი, t.II. სურ. 55,56 ტ.I,გვ. 283,210 [310],401). შემდეგისათვის J. Klaproth, Voyage au Mont Caucase etc. t.2-ე, გვ. 25-27 და სხვ.

[34] შეად. ზემოთ გვ. III, შენ. 1.

[35] იხ. იე. ჯაველიშვილის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კურსის პროგრამა, კურსი იკითხება ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

[36] B. Latyschev, Scythica et Caucasica, СПБ, v.I. 1893, გვ.142. ამ ცნობის ზედმიწევნით განმარტება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

[37] მაგრამ შეად. Güldenstädt, დასახ. ნაშრომი, ტ.II, გვ. 450.

კავის ტიპისაა. ასეთ კავს აჭარაში მცხოვრები ქურთები ხმარობენ (ცნობა მომაწოდა აჭარის მუზეუმის დირექტორმა მ. გომანმა)[38].

სტრაბონის ერქვანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არც ამ ცნობის და არც ქურთული ერქვანი ამ სახნავი იარაღის უძველეს სახად ვერ ჩაითვლება. ეს სახე ქრონოლოგიურად პრიორიტეტს ვერ მიინიჭებს, რადგანაც სტრაბონზე ბევრად ადრინდელ ხანში წინააზიაში, სახელდობრ ბაბილონში, დამოწმებულია კომპლექსური ფორმის ერქვანი[39] თვით ქართველი ტომების ადრინდელს ისტორიაში ერქვნის კომპლექსური ფორმების არსებობა გამორიცხული არ არის. თუმცა ჯერჯერობით არც ლურსმული წარწერები და არც განათხარი მასალა ერქვანის ფორმის შესახებ ჩვენი ტომების ქალდეას, კაპადუკიასა და პონტოში ბინადრობის დროს გარკვეულ ჩვენებას არ გვაწვდიან, მაგრამ დამოწმებულია, რომ მათ, ლითონის კულტურასთან ერთად დაწინაურებული სასოფლო მეურნეობა ჰქონდათ[40] ამის გარდა პრიმიტიული და კომპლექსური ფორმების საკითხს დაბრკოლება ელობება ერქვნის გენეტიკის სახით, სულ ერთია გენეტიკის სტატიკურ, თუ დინამიკურ მხარეს მივიღებთ მხედველობაში[41].

4. ჩვენს საკვლევ რაიონში ერქვნის წარმოშობის შესახებ შეკრებილი ცნობებიდან აქ ზოგიერთს შემოვიტანთ. პიტარეთელი ოსები ამბობენ: ციდან გუთნის სურათი ჩამოვარდა, ის ქართველმა ნახა; გააკეთა იმგვარი გუთანი და მისგან სხვებმაც ისწავლეს. სხვების თქმით: როდესაც წმინდა გიორგი ხალხში დადიოდა და ხედავდა, რომ ხალხი ჩუთით წვალობდა და ისე ხნავდა მიწას, მან გუთანი მოიგონა, იმისი სურათი დახატა და სოლომონ ბრძენს გადასცა: ასეთი გააკეთე და ხალხს უჩვენეო. მართლაც სოლომონ ბრძენმა ხის გუთანი გააკეთა და მას შემდეგ ხალხი ასეთ გუთანს ხმარობს. დმანისელი გლეხების აზრით, თავდაპირველად გუთანი რკინის იყო, ხარებმა მის სიმძიმეს ვეღარ გაუძლეს და გაჩნდა ხის გუთანი[42].

---

[38] ცნობის მოწოდებისათვის მ. გომანს დიდად ვმადლობ.

[39] P. Leser, Der Pflug von Daberdotz: Zeitscher F. Ethn., 1925, H. 1-2, gv. 52-53; E. Hahn, Die Entstehung d. Pflugkultur: Zeitsch f. Ethn. 1916, გვ. 344.

[40] ამ საკითხზე საინტერესო ლიტერატურა და საგულისხმო მეთოდოლოგიური მიდგომები არსებობს: შად. Fr. Graebner, Methode der Ethnologie, Heidelberg, 1911. 75-76; Leser, დასახ. ნაშრომი 53; E. Hahn, Pflugwirtschaft als Zeitbestimmung: Zeitschr. f. Ethn, 1915, გვ. 258-264; Joh. Loewenthal, Zur Erfindunqsqeschichte des Pfluges: Zeitschr. f. Ethn., 1916, H.1, გვ. 11-17; ამ უკანასკნელზე პასუხი: E. Hahn, Die Entstehung d. Pflugkultur, იქვე გვ. 340 შემდ. Ulrich Brener, Die wirtschaftichen Grundlagen für Entstehung und Verbreitung von Hackbau, Gartenbau und Ackerbau: Z.f. Ethn., Jahrq. 1925, გვ. 291, შემდ.

[41] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I[3], 1928, გვ. 22. უძველესი ხანებისათვის კოლხეთში გუთანი დამოწმებულია ოქროსმტაცველოვან ვერძის მითში, სადაც იგი ცეცხლის მფშვეველ ხარებთან და ურჩხულის კბილების თესვასთანაა დაკავშირებული; გუთან-ჯაჭანი მოხსენებულია ამირანის ლეგენდაში. - საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში რამოდენიმე განათხარი სახნისი მოიპოვება, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებს ეკუთვნიან: Museum Caucasicum, t.V, გვ. 192, № 61; 41-13-5.

[42] შეადრ. И. Степанов, Поверия Грузин Телавского уезда: Сборн. Мат. Мест. и Пл. Кавказа, в XVII, от II, გვ.128, 130.

ერქვანთან ერთად ერქვანის კულტურის მთავარი შემადგენელი ელემენტებია: ზროხა[43], ხორბალი, რძის მოპოება (Milchgewinung) და მიწის დამუშავების სისტემა. ამ კულტურის დასაბამს Hahn-ი ხალხურ სარწმუნოებაში ეძებს[44]. ჩვენ ასე შორს ვერ წავალთ, რომ შეეძლოთ ერქვნის კულტურის შემადგენელი ელემენტების შესახებ მთლიანი მასალები წარმოვადგინოთ. ამჟამად იმ ცნობების შემოტანით დავკმაყოფილდებით, რომელთა შეგროვება ჩვენს საკვლევ რაიონში მოკლე ხანში შევძელით.

აღბულადის რაიონის მთიულები ხაახალწლო ბედისკვერების ცხობის დროს ცალკე აცხობენ გუთნის-კვერს. ამ კვერს ჩვეულებრივად ხარს შეაჭმევდნენ. აქ აქვთ აგრეთვე ჩვეულება გუთნის სამუშაოდ გატანის პირველ დღეს ხარს კუდზე წითელი ჩვარი და ყელზე ტყემლის ან აკაკის ტოტი და ნახშირი შემოაბან.; მათვე ბარჯაკენა მხარზე ცომის ჯვრებს დაუკეთებენ. მამულში პირველად სამუშაოდ გატანილ გუთნის თავზე გუთნის-დედა საგანგებოდ დამზადებულ ქადას გასტეხს, ნახევარს თვით შესჭამს, ხოლო ნახევარს კვალში დაატანს; ამ დროს გუთნისდედა ასე დაილოცება: „ცაღრუბელო მეუფეროსვ, მშვიდობით ჩააბარე ნახნავ-ნათესი ნაშრომი მშრომელ ხალხსა, შენის სახელის ჭირიმე ცაღრუბელი დაგვიმშვიდე". ამის გარდა, ხარის გათვალვის საწინააღმდეგოდ ხარს ტაბიკები აკაკის, *ფოხჯან'* ან ვაშლის ხის უნდა გაუკეთდეს. ასეთი ტაბიკები უნდა იყოს მოჭრილი „უსმად და უმზრახად", დილა ადრიან დიდსუოშაბათს, ყეენობა დღეს ან თვეფლობისას. ავი თვალისაგან გუთნის დასაცავად მას რვალა (სოფ. მენქალისი) ვაშლის ხის უნდა ჰქონდეს. გუთნის გატანის დღეს ყოველნაირი საეკლესიო აღკვეთილია: „ხელს გადაყობა ბარაქა"-ს, ამბობენ გლეხები. ხნიკვთელებმა და მენქალისელებმა გუთნის პირველი ულალის ხარის შუბლზე კვერცხის გატეხა იციან: „ასე გასქდეს ავი თვალის პატრონიო" გადადმა მთიულები ბოსელში ხლურბლზე საქონელს კვერცხს დაუდებენ; თუ კვერცხი ხარმა ფეხის დაბიჯებით გასტეხა, - ეს გუთნისა და ხარისათვის კარგი ნიშანია. არეშიანთ-ხოფლის ერთი მოხუცის თქმით, ახლად დაბადებულ მთვარეს „პირველად ხარი შეხედავს, მთვარეს თვალს მიაპყრობს, აღამიანიც ხარს მიბაძავს და ისიც დაინახავს ახალ მთვარეს". ამ რაიონში ნამუშევარ გუთანს არავითარ შემთხვევაში არ გაყიდიან. დიდ ცოდვად ითვლება თაფლის, პურის და გუთნის მოპარვა („რამდენი ფუთი ცოდვა მექნება მაშინ, თუ გუთანი მოვიპარე" — ნ. ფილოშვილი, ხ. პიტარეთი).

---

[43] ის. ხაბას ლექსიკონში „ზროხა"; შად. ნ. ითხელიანი, ქართული Brachyceros -ების კრანიოლოგიური გამოკვლევა: საქართველოს შუნ. მოამბე, ტ. III, გვ.1. შენიშვნა.

[44] E. Hahn. Von der Hacke zum Pflug. Leipzig. 1915. მიმდგომ E. Seler ის რეკენზიის მიხედვით; Z.f. Ethn., Jahgr. 1915. გვ. 380; E. Hahn. Die Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen. Leipzig. 1896. გვ. 96-97 და შემდ. აღსანიშნავია, რომ ნ. მარრი ხიტკა გუთანს ხეკეთურ ხაკულტო ტერმინს ლერთანს უკავშირებს (По этапам развития яфетидологии, Москва, 1926, стр. 363).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შენახული გვალვისა და წვიმის საწინააღმდეგო ნვეულებებიდან - დიდება -ლაზარობისა, ამეე მამიდისა (ეს ნვეულება დამოწმებული აქვს ვახუშტის)[44], სამარხიდან ამოღებული ადამიანის ქალის მდინარეწყალში ჩაგდების გარდა - განსაკუთრებით საინტერესოა წყლის მოხვნის წესი. იგი შედარებით მთლიანად აქაურ მოიულებშია დაცული. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამ ნვეულების არსებობის მხოლოდ ფაქტია დამოწმებული; საჭირო აღწერილობა მოცემული არ არის[46]. ამ წესის შესახებ სოფ. ქსოვრეთში კვირა დღეს შეკრებილმა გლეხებმა შემდეგი გადმოგვცეს: გვალვის დროს სოფლის ქალები ანის წაიღებენ ნვეში, წყალზე. იქ თავმოყრილი ქალები დატიტვლდებიან. მათგან ნაწილი ანაში შეეებმის; ნაწილი გუთნისდედა და მეხრეებია; სხვები ერთიმეორეს წყალს ასხამენ, ასველებენ; თითოეული ცდილობს ეოველი დღისსიღებით მეორეს წყალი შიგ სარცხვინელ ნაწილებში შეასხას. ამავე დროს გუთნის დედა ანის მართავს. „ხარებს“ მიერეკება. ერთ-ერთი ქალი, რომელსაც ჯოხი ჰკიდია (ვითომ ფალოსია) მამაკაცურ სქესობრივ წესებს ინენს სხვების მიმართ, განსაკუთრებით იმ ქალის მიმართ, რომელიც Vulva -ს სახელს („მუტ-ა“-ს) ატარებს. „გუთნის დედა“ კი „ხარებს“ დაჭეიეს: „გასწი, გასწი, ყარგად მოხანი, შე ასეთო, შე ისეთო, და ამა თუ იმ „ხარს“ უძახებს: ამან და ამან კოიტესი გიეოო. ამ დროს ის ასახელებს ამ სოფლის ან მახლობელი რაიონის ეველაზე არასიმპათიურ პიროვნებას. საინტერესოა, რომ გლეხების ახსნით „გუთნისდედა“ ასე სასტიკად ცის გასაჯავრებლად იგინება, რომ ავდარი მოვიდეს. სოფელში ასეთ სცენას ადგილი ჰქონია ნვენი ჩასვლის ერთი თვის წინ. ამავე წელს ამ წესისათვის მიუმართავთ ს. ერთაწმინდაში; წყლის მოხვნის ნვეულების არსებობას ხაზოგადოდ გლეხები მალავენ, განსაკუთრებით უცხო, ახლად მოსულის წინაშე. უკიდურეს შემთხვევაში ერთი-ორი დეტალის აღნიშვნაზე შეჩერდებიან ხოლმე. ს. პიტარეთში გვითხრეს, რომ ეს წესი მათაც იციან, მხოლოდ წესის შესრულების დროს ქალებს ხუფთად უნდა ეცვათ, რომ სუფთანი ეკვდრონ უფალს.

ზემოთ მოყვანილი წესის შემადგენლობას, ნვენი შეხედულებით, რამოდენიმე კომპონენტი უნდა აკლდეს. ამიტომ მისი ინტერპრეტაცია, ვიდრე სრული სახის მასალა ხელთ არა გვაქვს, ნაადრევად უნდა ნაითვალოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, წესის ზოგიერთი ნვენების შესახებ მაინც შიძლება ზოგადი მოსაზრებების გამოთქმა. როგორც

---

[44] ვახუშტი დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[46] შეად. Р. Эристов, О Тушино-пшавело хевсурском округе: Зап. Кав. отд. русс. геогр. общ. III, 1855. გვ 142; ამ წესს რ. ერისთავი უწოდებს "წვიმის ხნავენ"; М. Джанашвили, Грузинские поверия. СМОМПК в XVII. отд.II, стр. 149. Г. Бутанов, Из поверий предрассудков и народных примет армян Эчмиадзинского уезда: СМОМПК. в XXV, отд. II, стр.178; Г. Осипов, Селение Даш-Алты Шушинского уезда Елисаветпольской губ. СМОМПК. В XXV отд. II, გვ132; Н. Григоров, Село Татев Загензурского уезда, Елисаветопольской губ., СМОМПК, в XVIII, стр. 115; М. Машурко, Изобласти народной фантазии и быта; СМОМПК, в. XVIII стр. 261; იხ. აგრეთვე А. Максимов, Пахание реки, Труды этнографо-археологического музея 1-го МГУ, Москва, 1927, გვ. 15-20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახეთ, წესის ერთ-ერთი მოქმედების მიზანია ხმაურით, უწმაწური სიტყვებით და შერისხვით აიძულოს ბუნება, – ამ შემთხვევაში „ცალრუბლის ანგელოზი“, და ადამიანისათვის საჭირო მოქმედება გამოაჩენინოს. ამ მოსაზრებით გლეხების ახსნა გინების, უწმაწური სიტყვების (ესქროლოგია) ცის გასაჯავრებლად ხმარების შესახებ, ცხადად მიგვითითებს წესის ხასიათის ერთი ნაწილის შესახებ. აქ ჩვენ მოცემული გვაქვს ბრძანებლობითი მაგიის ნიმუში და ჩვეულების ეს ნაწილი კვალიფიკაციის მხრით გარკვეულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ჩვეულებაში მეორე მხარეც არის. ჩვენ აქ საქმე გვაქვს სიმპათიურ მაგიასთან[47], რომლის თანახმად სხვადასხვა მოვლენების იდენტიურობა-შემსგავსების გზით ადამიანი ცდილობს მისთვის სასურველი შედეგის - მიღწევას. როგორც ცნობილია, მოვლენათა ამგვარი იდენტივობა - შემსგავსება აზროვნების მაგიურ კანონზომიერებაზეა დამყარებული, მათ შორის მიზეზობრივ კავშირს გულისხმობს, თუმცა არსებითად ყალბი საფუძველიდან გამომდინარეობს. ამას Albr. Dieterich-ი ასე განმარტავს: "Das Denken beginnt mit falschen synthetischen Urteilen mit falscher Abstraktion der accidentiellen Eigenchaften. Ein "Sympathiegesetz", das wir als gänzlich willkürlich erkennen, gilt solchem Denken wie uns das Naturgesetz. So sind eben für dieses Denken die verbindenen Dinge oder Vorgänge identisch und sie treten in den gleichen kausalen Zusammenhang"[48] ამ თვალსაზრისით ჩვენს ჩვეულებაში პრეცეზულად გარკვეული ჩვენება მოიპოვება: წყლის მოხვნის აქტის მიზანია, „სიმპათიის კანონის“ თანახმად, გამოიწვიოს წვიმა ანუ ცას თესლი გადმოადენინოს მიწის გასანაყოფიერებლად. ამას გარკვეულად მიუთითებს ჯერ ერთი თვით იმ ქალის მოქმედება, რომელიც ფალოსითაა წარმოდგენილი, და მეორე მხრით თვით ხვნის აქტიც.

ცნობილია, რომ ხვნა ხალხური გაგებით სქესობრივი აქტია, სადაც მიწა დედობრივი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების ხაშო, ხოლო ერქვანი ფალოსი.[49] ამის ყველაზე უფრო მეტად დამაჯერებელ მაგალითს წარმოადგენს ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული ანტიური ჯამ-თასის ორნამენტი. იქ გამოხატული საგანი ერთსა და იმავე დროს ერქვანიცაა და ფალოსიც.[50] ამის გარდა, ბერძნული ἀρόω– ხვნა-საქორწილო ხელშეკრულებებში შეუღლების მნიშვნელობით იხმარებოდა.[51] თუ არ ვცდებით ქართული ხვნა-ც ცოიტუს-ის მნიშვნელობასთან ახლო უნდა იდგეს. ამის

---

[47] ტერმინის მნიშვნელობის შესახებ იხ. S. Reinach, Cultes, Mythes et Religions, Paris, 1909, T.II, Introduction, p. XV, E. Tylor, Frazer Wundt, Fierkand.

[48] A. Dieterich, Mutter Erde, 2-te, Aufl., 1913, გვ. 99.

[49] მაგალითები: bastian, Mensch in der Geschichte, Leipzig, 1860,III გვ58, 3,6; E. Hahn, Die Haustiere etc. გვ. 96-97 და იქვე შენიშვნები

[50] A. Dieterich, დასახ. ნაშრომი, გვ.107-109 შად. E. Hahn დასახ. ნაშრომი 96. შენიშვნა 4

[51] A. Dieterich, დასახ. ნაშრომი, გვ. 47. ამ სიტყვის ძირი აქვს სტრაბონს ნახსარი ალბანური ერქვნის აღსანიშნავად. იგივე ჩანს მესხურ არონაი და სომხურ արդիր (=ერქვნის) სახელწოდებაში.

შესატყვისად მეგრულში ჩვენ გვაქვს – ხონუა, სადაც ნ-ს შენაცვლება დ-თი დამოწმებული მოვლენაა. (მაგ., ჯუნა|ჯუდა)[52]. იმერულ თქმაში ჩვენ ვხედებით ფორმა „ხტულს“, სადაც ტ- მიღებულია ნ-ს დ-თი შენაცვლების გზით[53]. ქართულში ამავე ძირიდან „ო“-ს „ვა“-დ დაშლით ჩვენ გვაქვს მიღებული ხვადი, რაც მამალი სქესის ცხოველს აღნიშნავს. ამიტომ საკითხი იბადება, ხომ არ არის ქართ. „ხვნა“ და მეგრ. „ხოდუა“ შესატყვისი ფორმები. საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხვნის სემასიოლოგიას ნათელს მოჰფენს და წყლის მოხვნის რიტუალის გაგებას გაადვილებს.

ამგვარად, ცხადი უნდა იყოს , რომ ჩვენს ნეფულებაში სქესობრივი აქტი ორმაგადაა წარმოდგენილი. მას ვამჩნევთ ერთი მხრით ადამიანთა შორის, ხოლო, მეორე მხრით – ერქვანსა და წყალს შორის. ამათ ზედ ერთეის მესამე გარემოება, ქალის vulva-ში წყლის შესხმის ცდა, რაც უთუოდ ამ სქესობრივი აქტის თესლის დათხევის მომენტს ასახიერებს. სამივე მოქმედების მიზანი აშკარაა: ყალბად წარმოდგენილი იდენტიფიკაციის საშუალებით იძულებულ ჰყონ ცა სქესობრივი აქტისათვის, რომ მან წვიმის სახით თესლი გადმოადინოს.

ამ ნეფულების ზოგადი განხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მასში გვაქვს ორი სხვადასხვა ფენის ნაშთი. ისინი კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ეკუთვნიან და ეპოქალურად სხვადასხვა მიჯნაში შედიან (მბრძანებლობითი და სიმპათიური მაგია). ამდენად ეს ნეფულება სინკრეტიული მოვლენაა, რომლის ძირითადი შრეს მიკვლევა მასალების გამრავლებას და გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

ამასთანავე, საყურადღებოა და ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოთ მოყვანილ ნეფულებაში მოქმედი პირები ქალებია („შად. „ლაზარობის“ და „ძიოვუს“ ნეფულება). საზოგადოდ მდედრობითი სქესითაა აღნიშნული მიწასთან და ერქვანთან დაკავშირებული ტერმინები: ადგილის დედა, გუთნისდედა, დედამიწა[54].

5. ჩვენს სამუშაო რაიონში უდიდეს ფიცად „მიწის ფიცილი“, ითვლება. მისი „გადასვლა“ უდიდესი დანაშაულია. გლეხების თქმით, როცა სულთმობრძავი ადამიანი მეტად იტანჯება, ეს იმის ბრალია, რომ იგი „სამანს გადასულა, მიწის ფიცილი გაუტეხია და იმის გამო წვალობს.“ დასაშველებლად საჭიროა მას უღელი დაედგას ან ჯაჭვი შემოევლოს, ამით მომაკვდავი თავის სახლეარში მოექცევა და ადვილად გათავდება. მენქალისელი გლეხების აზრით პირველი სამანი ადამს ანგელოზმა დაუდო და შერისხა: „ვინც სამანი მოშალოს, – მუცელი არ გაუძღესო“. აპოლონ როდოსელის მოწმობით კოლხებს უდიდეს ფიცად მიაჩნდათ მიწისა და ცის დაფიცება[55]. R. Wünsch-ის განმარ-

---

[52] И. Кипшидзе. Грамматика мингрельского. (иверского) языка etc. გვ. 16.

[53] ძველი საქართველო, ტ. IV, იმერული ზღაპრები, გვ.8.

[54] ხალხურ ლექსში გუთნისდედის ნაცვლად გუთნის – თავის მეხრე გვხვდება; ხაბა გუთნის-დედის შესატყვისად, მემაკე-ს აღნიშნავს.

[55] Argon III. 714 „ἴστω Κόλχων ὅρκος, ὑπέρβιοο, ὅντιν' ὀμόσσαι αὐτὴ ἐποτρύνεισ, μέγασ Οὐρανὸσ ἠδ' ὑπένερθεν Γαῖα“.

ტებით, იმავე როდოსელის ცნობა, კოლხეთში მიცვალებულთა დამარხვის წესის შესახებ, რომლის თანახმად კოლხები გარდაცვლილ მამაკაცთ ხეზე ჰკიდებენ, ხოლო დედაკაცთ მიწაში ფლავენ, ასე უნდა იქნეს გაგებული: კოლხების წარმოდგენით, (ა მამობრივი დასაბამისა იყო, ამიტომ მას მამაკაცს უგზავნიდნენ, ხოლო მიწა დედობრივის და მას დედაკაცებს უბრუნებდნენ[56]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერძნული ნაყოფიერების ღვთაება დემეტრეში უნდა იყოს მოცემული. ქართ. დედამიწა[57]). როგორც ცნობილია, მცირე აზიაში დედამიწას ნაყოფიერების გამოსახელებლად მაკე ძროხებს სწირავდნენ. მსხვერპლთ მიწაში ცოცხლად მარხავდნენ[58].

აღსანიშნავია, რომ გურიაში დღემდე შენახულა მიწისათვის ზვარაკის მიტანის ჩვეულება. მას მიწის გაჯერიება ჰქვია და მდგომარეობს[59] შემდეგში: „დედაკაცის მოლოგინების შემდეგ, მაშინ ან მეორე დღეს ბებია ქალი გამოაცხობს პურის ბურთს (ვითომ თავიაო) შიგ ნაურთავს ყველს (ახალდაბადებულს კარგი ჭკუა ექნებაო) და ბროწეულს (ხალი იქნებაო). ბებია ქალი კიდევ გამოაცხობს წიგნ და ხამს კვერს და მათში ყველს ჩადებს. შემდეგ ამოთხრის დანით მიწას, ხაცა ქალი მორჩა ლოგინის წინ ან ჩალაზე ცოცხლის პირად და ჩადებს შიგ ხაჭაპურის გულის ნაწილს, ჯვარის პურს და გოჭის ძვლებს. ბაღნებს მიცემს წიგნ და ეტყვის: ირბინე და შეჭამე, ირბინე და შეჭამე. გაკეთებულ თავს ბაღნის მამას გადაცემს. მამა ღვინოს დაასხამს ამოთხრილ მიწაში. ბებია-ქალი ჩაფლულ პურებს და ძვლებს კარგად გაგოხავს და იტყვის: მიწავ გამოჯერიებიხარ პურით, ღვინით, კაი ფური და ხორცი მეცი ქალ და ბაღანას ორეულს.“ ბავშვობის ხანაში ამ ჩვეულების მონაწილე ასკანელი ნ. ჟღენტი დასამატებლად შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ხასლიდან ბავშვების გასტუმრების შემდეგ დიდები ჩაიკეტავდნენ კარებს და შეუდგებოდნენ წესის შესრულებას საიდუმლოდ. მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ გვარის უახლოეს ნაერებს“[60]. ამ ჩვეულებაში ერთი რამ ამთავითვე ცხადია: დედამიწა წარმოდგენილია როგორც ადამიანის ნაყოფის გამომცდელი ღვთაება, რომელსაც ხანაცვლოდ შესაფერისი შესაწირავი უნდა მიეტანოს. ამის შემდეგ გასაგები იქნებოდა, რომ იგივე დედამიწა საზოგადოდ, ნაყოფიერების და კერძოდ, მცენარეულის მოსავლიანობის ღვთაებად ეოფილიყო წარმოდგენილი და შესაფერისი რიტუალიც

---

[56] A. Dieterich, დასახ. ნაშრომი. გვ. 130.

[57] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ.I-3, 1928, გვ. 85-86; ვ. ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, გვ. 272–73.

[58] შეად. Herodot, VII, 114.

[59] ნაწერილია ჩვენს მიერ 1927 წ. სოფ. ასკანაში, 56 წლის ბარბალე ინწკირველის მოთხრობით. სიტყვა-სიტყვობას და ზოგიერთ არსებით დეტალებს მიკლებული თხრობა ამ წესის შესახებ იხ. Мамаладзе, Народные обычаи и поверья у гурийцев: СМОМПК в XVII, отд. 4, вз. 94-96; С. Джорбенадзе: ibidem, в. XXII, отд. II, вз. 246_47.

[60] ნ. ჟღენტს ცნობის მოწოდებისათვის დიდად ვმადლობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვემოწმებინა[61]. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენს საკლავ რაიონში შეგროვილი მასალა პირდაპირ ჩვენებას არ იძლევა.

სოფ. ვაკეს მცხოვრებნი ვიდრე ხვნას შეუდგებოდნენ, „სამღვთოს“ გამართავენ. ეს ასე ეწყობა. დასტურები წინასწარ შეაგროვებენ ფულს და ხორბალს, დახდილ არაყს და მოამზადებენ საკლავებს. „სამღვთოს“ დღეს კომლიდან სულზე თითო სანთელს შეკრებენ და დეკანოზს გადასცემენ. დეკანოზი ეკლესიასთან გალავანში სანთლებს მარცხენა ხელში დაიჭერს, ხოლო მარჯვენა ხელში არეით სავსე ყანწით დაილოცება. აქვე დასტურებს მოყვანილი ჰყავთ საკლავები. დეკანოზი საკლავ-ცხვარს სანთლით ბეწვს შეუტრესავს და არაყს დააწვეთებს. შემდეგ ცხვარს პირს აღმოსავლეთისაკენ დაუჭერს და ისე დაკლავს. თვითონ დეკანოზი საკლავ თხას პირს დასავლეთისაკენ დაჭერინებს, რადგან იგი ელიასათვის არის განკუთვნილი და სატევრით დაკლავს. თხის თავს ფიჭვის წვერზე გაიტანენ და იქ დაკიდებენ; ის აქ უნდა ეკიდოს მეორე წლამდე (შად. ზემოთ. როდოსელის ცნობის განმარტება). Wünsch-ის მიერ. დალოცვის დროს დეკანოზი ამბობს: „ცა – დრეტლის მეუფეროსეო, მშვიდობით ნააბარე ნახნავ-ნაშრომი მშრომელ ხალხსა; შენი სახელის ჭირიმე, ცა-დრულები დაგვიმშვიდე“. აქვე ხდება დღეების აღკვეთა. ნეფულებრივად აღკვეთა გრძელდება თესვის მომენტიდან მკის დასრულებამდე. აღსაკვეთი დღეების შერწყმა სხვადასხვა სოფელში სხვადასხვაგვარად წყდება.

სოფ. ხხიკვთაში „შეკრავენ“ ორშაბათს „ამ ხეტვეისთვის ამ ხარისათვის“, როგორც გლეხები ამბობენ. ქსოვრეთში ორშაბათი და პარასკევი ყოველ დაკრული დღეები. მენქალისში ორშაბათი. აღკალაფაში, დმანისში და პიტარეთში შეკრულია ორშაბათი და პარასკევი; მხოლოდ პარასკევს ნახევარ დღეს ნებადართულია მუშაობა ცულით. ამ სასოფლოდ აღკვეთის დღეების გარდა სხვადასხვა გვარს თავისი საგვაროვნო აღკვეთილი დღეები აქვს.

ასე სოფ. ვაკეში:

1. ბექაურებს აღკვეთილი აქვთ შაბათი.
2. აფციაურებს აღკვეთილი აქვთ შაბათი;
3. ასპანიანთ აფციაურებს აღკვეთილი აქვთ შაბათი და პარასკევი. ამ უკანასკნელ დღეს ვერ მკიან და თავიანთ სხვა საქმეზე ვერ იმუშავებენ. ნება აქვთ მხოლოდ სხვებს მიეშველონ, ისიც მხოლოდ ცულით და ნამგლით
4. მელაძეებს აღკვეთილი აქვთ ორშაბათი. ნება აქვთ ცულით სხვას მიეშველონ. საქონელს და ჭურჭელ-დგამს არ გაანათხოვრებენ. თუ ვინმე მოპარვით წაიღებს - ეს სხვაა. მაგრამ, თუ პატრონმა გაიგო, უნდა გამოედევნოს.

---

[61] აღძრული საკითხის შესახებ 1927 წ. ჩვენ შევძელით საგულისხმო მასალა შეგვეგროვებინა ხევსურეთში; ხვანეთისათვის იხ. **Н. Марр**, Извлечение из Сванско-Русского словаря: МЯЯ, X, II гр. 1922, - «ითრ»; აფხაზეთისათვის – ნ. ჯანაშია, აფხაზები „მოაბზ“. 1987, XI, გვ. 47; აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I[2] 1928, გვ. 84–85, 128 შენიშვნა.

5. წიკლაურები არ „ხმარობენ “ შაბათს;
6. წამალაშვილები უქმობენ მხოლოდ კვირას.
სოფ. ქსოვრეთში:
1. წიკლაურებისათვის აღკვეთილია შაბათი.
2. ნათობაშვილებისათვის აღკვეთილია პარასკევი,
3. ბექაურებისათვის აღკვეთილია შაბათი და სამშაბათი,
4. მელაძეთა და კობაიძეებისათვის აღკვეთილია სამშაბათი,
5. ბურუდლებისათვის აღკვეთილია პარასკევი.

გლეხების ახსნით აღკვეთილი დღეები „ასეა მამა-პაპათაგან დადებული. თუ ვინმე აღკვეთილს გატეხს – საქმე იცარება, ხატი საქონელს გააფუჭებს.“ სასოფლო აღკვეთილ დღეებს შემდეგი გამონაკლისი ახლავს: მუშაობა სხვა სოფელში აკრძალული არ არის. განსაკუთრებით ამით სარგებლობენ ქალები, რომლებიც სოფლის წყალგაღმა საქსოვით და საკერავით მთელი დღით გადიან. ასეთ მუშაობას საუქმოზედ წასვლა ჰქვია.

6. ზემოთ აღწერილი „სამღვთოს“ რიტუალი გვიჩვენებს, რომ ორი საკლავიდან ერთი „თხა“ ელიას ანუ ცა-ღრუბელის ღვთაებისთვისაა განკუთვნილი. ამას ადასტურებს როგორც მლოცველთა განმარტება და დალოცვის სიტყვები, ისე ზვარაკის განცალკევებულად დაკვლა და მისი თავის ხის წვერზე დაკიდების წესიც. ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ სასოფლოდ აღკვეთილ დღეთა რიცხვში პარასკევიცაა (ობიშხა) ჩათვლილი, რომელიც, როგორც დამტკიცებულია[62], ცა-ღრუბლის მეუფოსისთვისაა განკუთვნილი. გამოსარკვევი რჩება თუ მეორე საკლავი (ცხვარი) ვის სახელს ეწირება.

რიტუალიდან აშკარაა, რომ ეს საკლავი არა ცა-ღრუბლის, არამედ სხვა ღვთაებისთვის უნდა იყოს დანიშნული. ამას გვაფიქრებინებს ერთი მხრით განსხვავებული საკლავი, ხოლო, მეორეს მხრით მსხვერპლის დაკვლის წესიც. სხვა ჩვენებას რიტუალი არ იძლევა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „სამღვთო“ სრულდება ხვნის დაწყების წინ, აგრეთვე სოფლად აღკვეთილ დღეებს და საუქმოზედ გასვლის წესს, ადვილად წარმოსადგენია, რომ მეორე საკლავი მიწის, მოსავლიანობის ან მასთან დაკავშირებულ ღვთაებას უნდა ეწირებოდეს. საფიქრებელი იყო, რომ ამ საკითხისათვის დამაჯერებელ მასალას მოგვცემდა აღკვეთილი დღეები, მაგრამ ეს მასალაც გარკვეულ ჩვენებას არ გვაძლევს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, უნდა გამოირკვეს თუ რატომ არის ნიადაგის ღვთაება ჩვენი შვიდეულის ოთხშაბათ (ჯუმაშხა)[63] - ჰერმესის დღესთან დაკავშირებული[64]. საკითხის ამგვარი დასმისათვის

---

[62] იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73–74.

[63] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 128, შენიშვნა.

[64] ჩვენი შვიდეულის წარმართულ სახელებს ეძახიან: Н. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан: ИАН. 1910; მისივე, Грамматика чанского, (лазского) языка, СПБ, 1910,გვ.141; მისივე; К вопросу о положении абхазского языка среди яфетических.1912. СПБ, გვ.33; И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка etc. 1914. СПБ.

უნდა ითქვას, რომ მიწის ღვთაების დაკავშირება ჰერმესთან საეჭვოდ გადოდ ძნელი იქნება მით უფრო, რომ ოთხშაბათი სასოფლოდ აღკვეთილ დღეთა რიცხვში დასახელებული არ არის. ამ გარემოებას ისიც უნდა დაემატოს, რომ გასარკვევია ნიადაგის ღვთაების ფუნქციებიც: – იგი ქართული მასალების მიხედვით ხთონიური ღვთაებაა, თუ მოსავლიანობის მომყვანი მეუფროსე. ფუნქციების დიფერენციაცია სიცხადეს შეიტანს „ღედა-მიწის" გაგებაში.

ნ. მარრის მტკიცებით ერქვან-გუთანი და ხვნა-თოხი სომხური *երկին*-ის შემწეობით ჭანურ ერკინანჩხა – ცის ღღეს[65] უკავშირდება. ეს დაკავშირება, თუ ლინგვისტური ანალიზი სწორი გამოდგებოდა, ჩვენთვის მიუღებელი არ იქნება, რამდენადაც თქმულებები ერქვნის წარმოშობას ცას უკავშირებენ[66], მაგრამ ნ. მარრის მტკიცება სათუო გახადა ივ. ჯავახიშვილმა. ივ. ჯავახიშვილი სრულიად უარყოფს ცის ღღის არსებობას და სამშაბათი ერკინანჩა მარსის ანუ არიასადმი განკუთვნილ ღღედ მიაჩნია[67]. იმავე ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, თუ ჩვენ მეორე შესაძლებლობას დავუშვებთ და სამშაბათში ტაროსის ღვთაებას წარმოვიდგენთ, ხოლო ერკინა-ტაროსის ძირთან ტიკინას მოვიგონებთ, რომელიც ლაზარობაშია წარმოდგენილი, მაშინ სამშაბათის საკითხი ცა-ღრუბლის მეუფროსის საკითხს მიუახლოვდება და ისევ პარასკევ-ობიშხას საკითხი წამოყოფს თავს. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ობი-სთან დაკავშირებული უნდა იყოს მიწის ნაყოფიერების საკულტო ჩვეულება - ორ[68], საკლავის მეორე მისამართის საკითხი კიდევ უფრო რთულდება და მისი გადაჭრა ძნელი ხდება.

შედარებით უფრო ადვილია ორშაბათის დაკავშირება მოსავლიანობის ღვთაებასთან, მაგრამ ორშაბათის (მთვარის) და აგრეთვე შაბათის (კრონოსის) საკითხი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ცალკე განხილვას მოითხოვს და ამიტომ აქ არ ვეხებით.

აქ მოყვანილი მასალების განხილვა მოკლედ შემდეგ დასკვნებს იძლევა:

1. რაიონის რელიეფის, ოროგრაფიის, ჰავის და ნიადაგის პირობები ბარისა და მთის ნარევ მეურნეობას იძლევა. ტომობრივად ეს კუთხე აღმოსავლეთ საქართველოს მიკროკოსმოსს წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია: ბარის ქართველები, მთიულები, სომხები, ბერძნები

გვ. 229; Н. Марр, Извлечения из Сванско-Русского словаря: МЯЯ, X, 1922, გვ. 22_23; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I-3, 1928, თავი მეორე, გვ. 43, და შემდ. განსაკუთრებით ამ თავის § 17. შეადარე А.Самойлович. Название дней недели у турецких народов: ЯС, II, გვ. 102.

[65] Н. Марр, Скифский язык. По этапам развития яфетической теории, М.-Л., 1926, გვ. 352–353.

[66] იხ. ზემოთ, გვ. 222 და შენიშვნა 3; შეად. Herodot. IV, 5.

[67] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124–127.

[68] Н. Марр, Извлечения из Сванско-Русского словаря, МЯЯ, X, 1922, სიტყვის ქვეშ „орʼ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა. ამათგან ბარის აბორიგენი ქართველების გარდა სხვები შემოხიზნული არიან უმეტესად XIX საუკუნეში.

2. რაიონში მრავალი სახით წარმოდგენილი ერქვანი მხარის, კბილას და ხელნას ურთიერთთან დამოკიდებულების მიხედვით ორ ტიპად იყოფა: I. ერქვანი მოკაული და კბილაში ნამჯდარი მხარით – „ხევსურული“ ტიპი და II. ერქვანი სწორი და ხელნაში გაყრილი მხარით – „ფშავური“ ტიპი. ერქვანთა ქრონოლოგიური ჭრილიც ამგვარი ტიპების არსებობას ადასტურებს. ამ ტიპოლოგიის დადგენას შესწორება შეაქვს Mopsca-ს ერქვანთა კლასიფიკაციაში კავკასიის მასალების მიმართ და პირველი ტიპის გენეზისის საკითხისათვის ახალ პრობლემას სვამს.

3. წყლის მოხვნის ნეკულების შენახული კომპონენტები ბრძანებლობითი და სიმპათიური მაგიის არსებობით აიხსნება.

4. ერქვანის წარმოშობის შესახებ შეგროვილი ლეგენდების, „მიწის ფიცილის“, „მიწის გაჯერიების“, „სამლვთო“ და აღკვეთილი დღეების ნეკულებათა კონვერგენცია ადასტურებს, რომ ხვნის დაწყებასთან დაკავშირებულ რიტუალში წარმოდგენილია, ერთი მხრით ცალრუბლის მეუფროსე, ხოლო, მეორე მხრით, მასში უნდა იყოს ნაგულისხმევი მიწის (მოსავლიანობის) ან მასთან ახლო მდგომი ღვთაება.

1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1926 წელს შედგა ეთნოგრაფიული მოგზაურობა ადბულადის რაიონში, სადაც მონაწილეობდნენ: ვერა ბარდაველიძე, კოტე ქავთარაძე და კონდრატე თათარაშვილი, ბელგიიდან ახლად ნამოსული ჩვენი მუზეუმის გეოლოგიური განეოფილების მეცნიერი თანამშრომელი, ცნობილი ბელეტრისტი, „მამლუქის“ ავტორი.

თბილისიდან, „მალაკანების ბაზრიდან“ ფურგონით გავემგზავრეთ ადბულადისაკენ. მოგზაურობა მეტად მძიმე და დამღლელი აღმოჩნდა. გზა ოღრო-ჩოღრო იყო. საშინლად ვწვალობდით. განსაკუთრებით ახალგაზრდა ვერა ბარდაველიძე განიცდიდა მგზავრობას.

მოსახლეობა მეტად ჭრელი იყო. ვინ არ ცხოვრობდა აქ. მცირე რიცხვით აბორიგენი ქართველები, რომლებიც გადარჩენილიყვნენ მტერთა შემოსევებისა და აოხრებისაგან (წყაროების მიხედვით დავადგინეთ ძველი სოფლები და აქ მცხოვრები ძველი გვარები), სომხები, თათრები, ქურთები, რუსები და ბერძნები.

დავდიოდით სოფელ-სოფელ და მასალას ვკრეფდით. მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ქართველ, ისე არაქართველ მოსახლეობაში. რაიონი დაშნაკურად განწყობილი სოფლებით იყო სავსე.

გზადაგზა მე და კოტე ქავთარაძე ვაწარმოებდით ძეგლების აღნუსხვას და ახლად მიკვლეულ თუ უკვე ცნობილი წარწერების ესტამპაჟირებას. ექსპედიციის მიერ დამზადებული ესტამპაჟები ნაბარდა მუზეუმის არქეოლოგიურ განეოფილებას.

ნაყოფიერად მუშაობდა კონდრატე თათარაშვილი. ის გეოლოგიურ ფენებს დაეძებდა. მახსოვს, ერთხელ ერთ საინტერესო უბანს მიაკვლია და წამოიძახა: „შენ კი გენაცვალე მე, შენ, რამდენი ხანია დაგეძებო“, დაიხარა და აკოცა. ნაოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა კონდრატეს. იგი გვაფრთხილებდა, ძალლმა თუ შემოგიტიოთ, თვალი გაუსწორეთ და მოგეშვებათო. მაგრამ ეს მეთოდი ყოველთვის არ ამართლებდა.

სულ სხვა ტიპი იყო კოტე ქავთარაძე, შესანიშნავი მხატვარი და რესტავრატორი. ერთი ნაკლი ჰქონდა, საცალფეხო ხიდზე გავლა არ შეეძლო. საცა ასეთ ხიდს შეეხვდებოდით, ფეხთ იხდიდა და წყალში გადიოდა. მოგზაურობას კოტე ქალაქურად გამოწკიპული ახლდა: თეთრი კიტელით, ნალის ცილინდრითა და გაპრიალებული ფეხსაცმლით.

მუშაობა საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ხშირად მომხდარა, რომ მავანს ესა თუ ის სოფელი და იქ მცხოვრები ხანდაზმული პიროვნება დაუსახელებია, ბევრი რამ იცისო, მე და ვერა გავეშურებოდით იმ სოფელში, მოვიკითხავდით დასახელებულ პიროვნებას და ირკვეოდა, რომ მას აღარაფერი ახსოვდა. პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ ხანდაზმულები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი მეხსიერებით. თუ მას ახალგაზრდობაში დაკვირვების უნარი არ გააჩნდა და უნიჭო იყო, ცხადია, სიბერე ვერაფერს შემატებდა. აშკარად შეიმჩნეოდა ისიც, რომ ქალები უფრო მეტი მცოდნე და

ტრადიციების შემნახველები იყვნენ. რაღაც ქვეცნობიერებით ამბავი მეხსიერებაში ამოტივტივდებოდნენ ძველებური წესები, რომელთაც უკვე თვითონაც არ ასრულებდნენ.

ეს ექსპედიცია ჩვენთვის დიდი სკოლა იყო.

ერთ დღეს სოფელ ღორისთავში ვმუშაობდით. აქედან ახლოს იყო სოფელი ფიტარეთი და ფიტარეთის ტაძარი. გადავწყვიტეთ იქ გვემუშავა და მეორე დღეს აღბულაღის ნაცვლად დამე ფიტარეთში გაგვეთია. საღამო ხანი იყო, როცა ღორისთავიდან ფიტარეთში გავემგზავრეთ. გზა ისე აგვებნა, რომ სოფელში მხოლოდ გვიან დამე ჩავაღწიეთ. ამ დროს ვვიმაც წამოვიდა და საკმაოდ გალუმპულები მივადექით ერთ მოსახლეს. თქვენც არ მომიკვდეთ, გამოვიდა ნაგაზი და სახლს არ მიგვაკარა. ვცადეთ კონდრატეს მეთოდის გამოყენება, მაგრამ ამაოდ. ძაღლი სულ უფრო ავდებოდა.

... ნაგაზის ყეფაზე, მოგვიანებით, როგორც იქნა გამოვიდა ოჯახის უფროსი ქალი ჭრაქით ხელში. ჩვენ თავშესაფარი ვთხოვეთ. სხვენზე აგვიყვანა, აქ დაიძინეთო. ჩვენი ბედის კმაყოფილები დავრჩით. თუმცა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. სხვენი სავსე იყო რწყილებით.

ნაძინებული არც ვიყავით, მამლების ყივილმა გამოგვაფხიზლა. ისინი სოფელს გათენებას ამცნობდნენ, გათენებისას გაირკვა, რომ ის სხვენი საქათმე ყოფილა, სადაც ქათმები დამით ბუდობდნენ. როგორც იქნა, დავაღწიეთ თავი უძილობას და შევუდექით მუშაობას.

ფიტარეთი ჭეშმარიტად შუა საუკუნის საქართველოს იშვიათი ძეგლია. ქვაზე გასაოცრად ამღერებული ხელოვნებით, აჟურული ჩუქურთმებით, მართლაც, რა ხელმა ააშენა!

ტაძარში ორბელიანების განაყოფის – ბარათაშვილების სამარხებია. ყველა საფლავის ქვაზე შემონახული წარწერები გადავიწერეთ და შემდეგში გუდარეხის საფლავის ქვების წარწერებთან ერთად გამოვეცით.

ერთი თვის მუშაობის შემდეგ მოგზაურობა დატოვეს კონდრატე თათარაშვილმა და კოტე ქავთარაძემ და შინ დაბრუნდნენ, ხოლო ვერა ბარდაველიძე და მე თრიალეთის გზით ქართლში გადავედით.

არც ეს მოგზაურობა გახლდათ იოლი და კურიოზებს მოკლებული... აღბულაღიდან წალკისაკენ გავემგზავრეთ სამი ცხენით, ორი ბერძნის თანხლებით. აღბულაღშივე გაგვაფრთხილეს, რომ მძღოლებს გზაში ჩვენი გაძარცვა ჰქონდათ განზრახული. ამ ამბის გასანეიტრალებლად მე მათ ვაცნობე ვერა ბარდაველიძის შესახებ, რომ იგი მამაცი ქალი იყო, არაერთი მტერი ჰყავდა მოკლული და ეხლაც თან რევოლვერი ჰქონდა წამოღებული. ფაქტი კი ის გახლდათ, რომ ვერას ცხენზე ჯდომა ეხერხებოდა. ეტყობა, ბერძნებმა მართლა ირწმენეს ჩემი ნაამბობი და წალკამდე მშვიდობით ვიმგზავრეთ. საქმე იმაში იყო, რომ მოგზაურობისას ვერას წელზე სამგზავრო ამერიკული საკეტი, ლითონის ჩაქუჩი ჰქონდა შებმული, რომლის ტყავის ბუდე საოცრად ჰგავდა რევოლვერისას.

წალკაში ერთი დღის დაზვერვითი მუშაობის შემდეგ გავემგზავრეთ ქართლში. გავიარეთ კოლის კარი და უახლოეს სოფელს მივაშურეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალკის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრები. მარცხნიდან – ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, ალ. რობაქიძე, ლ. ბოჭორიშვილი, ნ. ბრაილაშვილი, გ. ჩიტაია, ნ. რეხვიაშვილი და სხვები – 1936 წ. .

გზად წვიმა წამოგვესწრო და კერეის ცეცხლთან გავშრით, მთიულეთიდან ჩამოსახლებულ ოჯახში. ოჯახის უფროსი მეორე დღის შრომის დღის წესრიგს აზუსტებდა, გაანაწილა თავისი ვაჟებიდან ვინ სად იმუშავებდა: საქონელში, მინდორში, ტყეში თუ შინ. ეს ჩვენთვის პირველი გაკვეთილი იყო ამ ხალხის შრომითი საქმიანობის გასაცნობად. აქ, მთაში 2-3 სოფელში ვიმუშავეთ. სხვათა შორის ბევრი ფოლკლორული მასალა ჩავიწერეთ.

მთიდან ბარში ჩამოვედით, სოფ. ნოსტეში, აქაც საინტერესო მასალა დავაფიქსირეთ. ვინახულეთ სასახლე, რომელიც მოუვლელობის გამო ძალზედ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

რკინიგზის სადგურ გრაკალის გავლით თბილისში ჩავედით. უკვე სექტემბრის შუა რიცხვები იდგა.

ამ დროისათვის თბილისში დიდი სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო-სამეცნიერო საზოგადოებაში და სხვ. საისტორიო საზოგადოებაში (თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი, მდივანი ს. ჯანაშია) სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო სხდომები. ნემი მოხსენება „ქვაბლიანის ხეობის სასოფლო ნაგებობანი“ აქ იყო წაკითხული და ამავე საზოგადოების კრებულის პირველ ტომში დაიბეჭდა. ცალკე გამოცემებად იბეჭდებოდა უნივერსიტეტისა და მუზეუმის შრომები.

ამ დროს უნივერსიტეტში ერთ კათედრად იყო წარმოდგენილი ზოოლოგია, ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია. კათედრის გამგე გახლდათ გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, რომელსაც სამეცნიერო წვრთნა გერმანიაში ჰქონდა გავლილი. სწორედ მისი წარდგენით და იმდროინდელი უნივერსიტეტის სწავლული მდივნის ინიციატივით ჩავირიცხე ასპირანტურაში ეთნოგრაფიის დარგში (1926-1928), შეთავსებით.

1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის 23. ტფილისიდან დილის 8 საათზე გამოსულნი დღის ორ საათზე უკვე ფასანაურში ვიყავით. სახვალიოდ მოვაწყეთ ცხენების და გამყოლის მოვნის საქმე, რაშიაც ფასანაურის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პავლე დიდად დაგვეხმარა. შევეძინეთ ზოგი რამ დამატებითი საგზალი. ვინახულეთ „საბჭოთა ტერისტის“ ბაზა, მათი „მუზეუმი“: „პერევოზხინე სრედსტვა“, „ჟიტელი გორ. ტიფლისა პო ნაციონალნოსტიამ“, საქართველოს ეთნოგრაფიული რუკა ჩურსინით, ორი სამი დიაგრამა ეკონომიური ყოფიდან და სხვა. სმაკალათიამ თავისი ნამუშევარი გაგვაცნო: გუდამაყრული ფარდაგების ორნამენტების ნიმუშები. ვნახე მთიულ ქალ-ვაჟთა აზარტული ნარდის თამაში; მომგონდა ჩვენი ხლეისპირა მცხოვრებთა ამგვარიეე გატაცება. მთა და ზღვა: მწვანე და ლურჯი საქარო.

ივლისის 24-ს. აღგაზმული ცხენებით დილის 7 საათზე ფასანაურიდან გამოვედით. დაუყვევით გუდამაყრის არაგვს. ავარია გზაში და ტექნიკური დაბრკოლებები ხომ აუცილებელი ყოფილა მგზავრობისას: ეს თასმა სუსტი გამოდგა, ის ბარგი ცხენს აფუჭებს, გვერდ-ზედ დაჭიდებია, რის ვაი ვაგლახით, ვგონებ, ყველაფერი მოწესრიგდა. ალბათ გზადაგზა მეტი ზრუნვა, თვალყურის დევნებაა საჭირო. მიდგივართ, ვიდრე გზა კარგია, თოხარიკით. გზად გვხვდება რუსეთიდან ნამოსული ექსკურსანტების ჯგუფი, რომელთაც ხევსურეთის სოფლის ნახვა აინტერესებთ. ეს სოფელი ბაკურ ხევია, სადაც ხევსურები ძალზე შეუცვლია ახალ ყოფას, „დრასტ-დრასტი და დავაი კაპეიკუ“ – კარგად ემარჯვებათ.

ექსკურსანტები ძალზე შეუწუხებია ცხენზე ჯდომას. მათ უმრავლესობას უნაგირის კოტზე ნაუვლიათ ხელები გადმოვარდნის შიშით, თუმცა ცხენები ნელი ბიჯებით მიდიან. გვერდი ნაუარეთ ლუთხუებზე გადასავალ ხეობას, გზა თანდათან უარესდება. გვხვდებიან გუდამაყრელები დიდები და პატარებიც. რიეეზე აქა-იქ ქვის კოშკები დგას, ხევსურული კოშკების მინამსგავსი, ხევსურები რომ „სალიშნოთ“ ხდგამენ ამა თუ იმ ადგილას მიცვალებულის თუ სხვა მომხდარი ფაქტის აღსანიშნავად. გუდამაყარში ამ კოშკებს სხვა დანიშნულება ჰქონიათ. ზაფხულობით მათ აგებენ იმ მიზნით, რომ საშენ მასალად გამოიყენონ. ზამთრობით კი კოშკი წარმოჩენილია თოვლში და გუდამაყრელები დანიშნული ადგილიდან მარხილებით თავისუფლად ეზიდებიან შინისაკენ ქვას.

---

* გ. ნიტაიას პირად არქივში დაცულია ხევსურეთის 1929წ. ეთნოგრაფიული მოგზაურობის დღიურის ერთი თორმეტფურცლიანი რვეული, №3. ვბეჭდავთ სრულად. ცალკე ფურცლებზე: „ხევსურეთის მშენებლობის ისტორია“ (2 გვ. ნაკლული). „ხევსურეთი“ მასალები (4 გვ. ნაკლული) ამ მასალების ბაზაზე დამუშავებულია თემები: 1. „ქორეული ხასლი ხევსურეთში“, რომელიც წაკითხულ იქნა თსუ კონფერენციაზე. დაცულია თეზისები 3 გვერდი (ხელნაწერი) 2. „სალუდ“ (20 გვერდი ხელნაწერი, 9 გვ. ნაბეჭდი) იბეჭდება ექსკურსიის დღიურთან ერთად. (თ.ც.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვტოვეთ სანალიჭალა. ავდივართ ბაკურხევიდან მივედით საკერპოში, აქეა გორული, დაუსვენებლივ გავეშურეთ ფხიტურისაკენ; დიდებული, დიადი ბუნება, ამაღელვებელი მწვანე სამყარო, მთანი მაღალნი, ნვენ ფერხთ თოვლი ადგილ-ადგილ, მოშორებით კი ხშირი თეთრი ზოლები. ფშანები, შეფეენილი მსხვილფეხა საქონელი. მივედით ფხიტურზე: მძაფრი ქარი, ცივი ნისლი მთაზე. არე-მარეს გადაღება შეუძლებელია. აქ ნიშია, ხატი.

მოვდივართ ქვე-ქვე. გამოვედით ბუნუკურთაზე. ბუნუკურთის ხეობით ბარისახოში ჩავედით.

უკვე საღამოს რვა საათია. ამ დღის ამოცანა შესრულებულია: ერთ დღეში ბარგით გადასვლა ფასანაურიდან – ბარისახოში...

ივლისის 25. ვცდილობ მივიღო მასალები ხევსურეთის შესახებ. ხევსურეთში დიდი მშენებლობებია: გაეავთ საუმე გზები, აშენებენ ხიდებს, ბარისახოში აშენებენ ბინებს მუშებისათვის, პურის საცხობს. ხევსურეთში ძირითადად საცალფეხო ბილიკები იყო. ახლა ხევსურეთის გზებზე დარბიან ცხენიანი ურმები. ტეეში მძიმე სამუშაოზე მუშებს მოყვანილი ჰყავთ 10 წყვილი დარნეული კამენები; ეს პირველი შემთხვევაა ხევსურეთის ისტორიაში. თითო კამეჩის გადმოყვანას ხევსურეთის მთებზე 5–6 გამყოლი კაცი დასჭირდა.

ხევსურეთის ხიმუკდროვეს არდვეეს დინამიტით აფეთქების ხმები. განიერდება ბილიკები. 1925 წ. დუშეთის მაზრის აღმასკომის გადაწყვეტილებით ეკლესია გადაკეთდა სკოლად და ამ მიზნით მიუშენდა ერთი ოთახი. აშენდა საავადმყოფო.

მუშაობა თითქოს აჩქარებული ტემპით წარმოებს, თუმცა მშენებელი ინჟინერი ანდ. თოფაძე საყვედურობს, რომ საადმშენებლო ფული დროზე არ მოდის მუშების გასასტუმრებლად, რაც მუშებში უკმაყოფილებას და სამუშაოს თავის დანებებას იწვევსო. არც ხევსურები უცქერიან მშენებლობას კეთილი თვალით. აქ თქვეს ასეთი ამბავი: როდესაც ჩამოყვანილმა მუშებმა იწყეს ეკლესიის შენობის ნაწილობრივი დარღვევა – მთელი ბარისახოს სოფლები შეიკრიბნენ და მუშები გარეკეს, ვითომ, თქვენ ამ შენობას დაარღვევთ და ახალს არ აგვიშენებთო.

ნამდვილად კი, თუ არ ვცდები, ხევსურებს შიში აქვთ, რომ ახალი შენობების აგებას, გზის გამოყვანას ხევსურეთის თავისუფლების დაკარგვა მოჰყვება. ხალხი ამბობს, სკოლის აშენებას ხახმატში და შატილშიც აპირებენო.

ხევსურეთი სრულიად მოწყვეტილია ცენტრს. ფოსტა ერთი თვით იგვიანებს. გზებზე ჟანაღლობა და ქურდობაა. ხევსურს დიდი დრო ეკარგება გზაზე. უბრალო რამის საყიდლად ის დუშეთში გარბის ან თბილისში. ასევეა ერბოს გასაღების დროსაც.

განათლება დაბალ დონეზეა. სჭარბობს წერა-კითხვის უცოდინარი. სისხლის აღების ჩვეულებას ისევ ძველებურად მისდევენ.

ორი წელია შექმნილია საზოგადოება, რომელიც იბრძვის ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ცდილობს შეიტანოს განათლება

ხალხში. ამ მიზნით ხევსურეთში წაიღეს ორი რადიო. ერთი ბარისახოში დადგეს, მეორე, მოძრავი რადიო, შეერთებული „ოფ-ტფილისთან, სოფლებში დაჭრილდათ და ხალხს ასმენინებდნენ. რადიომ ხევსურები დაინტერესა. ეს პირველი ამბავი იყო. მაგრამ ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა: „ნამოვიდნენ ციცეები, მიწაში კაცს მალავენ, იქიდან ალაპარაკებენ, და ჩვენ კი გვატყუებენ – ეგ ხმაი თბილისიდან მოდისო“.

ჩემმა მცდელობამ, მიმეღო ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ არის ფაქტიურად ხევსურების ბელადი, მეთაური, რომელიც ხევსურთა ყოფა-ცხოვრების (საშინაოს თუ საგარეოს) ყველა საკითხს ეყრდნობა – ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

თითქოს ასეთი გამორჩეული ბელადი მათ არცა ჰყავთ. ჩემი პირველი შთაბეჭდილებით, მათი ცხოვრება უადრესად დემოკრატიული მეთოდებით წარმოებს, რომელიც უარყოფს ყოველივე უფროსს, ოფიციალურს და არაოფიციალურს. მაინც და მაინც მე ეს უკანასკნელი მაინტერესებდა, ვიცოდი, რომ პირველი მათში არ არსებობს.

ივლისის 26. ჩავიწერე მასალები ხალხური კალენდრისათვის:

1. აპრილის 22-ს იყო – აღვსება (აღდგომა)
2. აღვსებიდან 1 1/2 თვეზე მოდის ამაღლება
3. აღვსებიდან 7 კვირაზე – ხალარჯობა
4. აღვსებიდან 15 კვირაზე – ათენგენობა
5. ათენგენობიდან 6 კვირაზე – მარიანობა
6. ათენგენობიდან 7 კვირაზე – ენკენიობა
7. გიორგობისთვეს 10-ს – გიორგობა

დილიდანვე გავედი სოფელში წისქვილის აღსაწერად. წისქვილი ხომ კულტურის ის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მთა-ბარის დემარკაციულ ხაზს. ხევსურეთში პატარა წისქვილს ჰქვია ბოჭოლა. აქ იფქვის პური (შემოდგომის), დიკა (გაზაფხულის), სვილი, კრუმი, შვრია, სიმინდი, ქერი. ხევსურეთში გავრცელებულია მოხალული ან ნადუღარი საფქვავი (პური, ფქვილი, ქერი). მოხალვა მდგომარეობს შემდეგში: კაკალი ჩუგუნის ქვაბებში ცეცხლზე მშრალად მოიხალება. ნადუღარი მოხალვის დროს კი – ქვაბში წყლით მოიხარშება და შემდეგ მზეზე გაშრება.

წისქვილს აგებენ ამხანაგობით 3–4 ოჯახი. [თითოეული] ოჯახი ისარგებლებს საჭიროების მიხედვით „ვის რამდენიც ესარგებლება“. პრეტენზია მეტ ხანს სარგებლობის შესახებ შეუძლებელია. გაყოფის დროს მარატა ქვები ნახევარი წისქვილი ფასობს. ქვები ღირს 20 მანეთი. ჩამოტანის [ფასი] სხვა იყო. ერთი ბორბალი იმუშავებს ოც წელს.

წისქვილის ასაგებ ადგილს წინასწარ დაჭკვლენ [შეათვალიერებენ]. ისეთს გამონახავენ, რომ „ღვარი“ არ მოხვდეს და წისქვილი არ წაიღოს. მიკელეულ ადგილზე ქვებს „დაასახლებენ“, ისიც იმის ნიშანია, რომ ადგილს პატრონი ჰყავს. შემდეგ წისქვილის

საბუდარისაკენ წერაქვით პატარა სარუეს გაიყვანენ, რომ გაიგონ წყალი როგორ მიუვა წისქვილს. წისქვილის ასაგები ადგილის დალოცვა ხუცესით არ იციან.

წისქვილის ყორეს აკეთებენ მთიულები, მაგრამ ხევსურებმაც იციან, რომ „წისქვილის გამართვა ყველამ ვერ იცის". წისქვილის რკინებს აკეთებენ აქაური მჭედლები. მე შევხვდი აქაურ მჭედელ ბერდიას. საინტერესოდ საუბრობს. მისი გამონათქვამია „არც სათქმელი, არც საქნელი, არც სადავიდარებელი". ვუსმენ და მაოცებს, გიყვება და ისე აწყობს წინადადებებს, თითქოს რითმავსო.

წისქვილის ნაწილებს თავთავისი სახელი ჰქვია:

1. ს ა ღ ო რ ე – [საღვარე] ღვარის ჩასასველელი

2. საღორისათვის განკუთვნილ ყორეს აგებას „საღორის ყორის მუშაობა" ეწოდება.

3. წისქვილის დ ა ს ა ს ა ხ ლ ე ბ ე ლ ი ადგილი

4. წისქვილის ს ა რ უ ე. სარუეს აქვს ყორები. ყორეებს დააყრიან ჯებირს (ტყეს), შემდეგ „გადაუშვებთ მიწას, მიუშვებთ მღვრიე წყალს, რომ გაილამოს".

5. ღარს აქვს წყლის ს ა გ დ ე ბ ი და შ ე მ ო ს ა გ დ ე ბ ი.

6. ღართან – ს ა თ ქ ა მ უ რ ი ს თ ა ვ ი.

7. ს ა ბ უ დ ა რ ი.

1. წისქვილის აგებისას ჯერ დაიდება სადები ხე (მუხისა), რომელსაც აქვს ერთგან სატეხით ამოჭრილი – მ ა რ გ ი ლ ი ს ჩასარჭობი. მარგილი გრძლად ჩავა მიწაში. სადები ხის მეორე მხარეზე მ ა ნ ქ ა ნ ა თ. გ ა ლ ი ჩხირითაა გამაგრებული.

სადებზე შუაზე ხის სოლია, მასზე ქვა, ქვაზე ჩუგუნი, შემდეგ წ რ ი ა პ ი, [რკინა ცოტაზე დახვრეტილია სამ ადგილზე]. წრიაპში რკინის კოჭია თავში აყუდებული. წრიაპი გაყრილია ხ უ ნ დ ი ში. ხუნდი მუხისაა. მას აქვს 15–16 თ ბ ე.

ბორბლის ტანი მთლიანია. ერთი ხისგან გაკეთებული თბეები დართან ისე უნდა მოეწყოს, რომ წყალი „ზედ უნდა დაგორდეს", მაშინ კარგად დააბრუნებს წისქვილს.

აქვე საღორეშია მ ა ნ ქ ა ნ ა თ გ ა ლ ი, რომელიც ზემოდან სოლით აიწევს და დაიწევს. „აწევა" და „დაშვების" მიხედვით ხდება „მბილად მოფქვავა" ან „დაღერღვა".

ქ ა ს დ ა რ ს ერთგან აქვს ღია კუთხე ს ა ს ა ხ ე დ ე ლ ი ან ჩ ა ს ა ვ ა ლ ი, ბორბლის მუშაობის შესამოწმებლად ან შესაკეთებლად.

ღერძის თავში გ ლ ა რ ძ ი ა (გურგალი) ‖ ს ა ლ ტ ი ა შემოვლებული. ქვებზე გამართულია ო რ ი ხ ე – წისქვილის სადები (ხე სულ ერთია, რაც იქნება). აქვე „დავასახელებთ წისქვილს" – საქვეო წისქვილს. საქვეო წისქვილის გული მურყანია, რომელიც იფნის სოლებითაა ამოვსებული. მას აქვს ხ ე რ ში ძროხის ან თხის ტყავი.

ხ უ მ ბ უ რ ა შედგება: [შემდეგი ნაწილებისაგან]: ხ უ მ ბ უ რ ი გ ა ლ ე ბ ი, წ ნ ე ლ ი, ს ა კ ლ ებ - ს ა მ ა ტ ე ბ ე ლ ი გ ა ლ ი. ს ა რ ე კ ე ლ ა გალი კეთდება ორი, თუ მძიმეა ხუმბურა. მუშაობის

პროცესში, როცა მანქანა აიწევს, ნაჭლიკა უნდა დაიწიოს, თორემ კაკალი „ზეგავარდება“, ფქვილი წახდება და პირიქით.

2. წისქვილის ყორეზე ხეებია გადებული ხეზე – ჭერი, ჭერზე – ადეში. ადეშზე ყარტი, მიწა, თიხა, შემდეგ მოტკეპნა, სანაპირო სიპები.

3. წისქვილს აქვს კარი: ზღურბლი, კარიხტენი, კარიხთავი, საყუნწური (მოსაბრუნებელი).

ივლისის 27. დღეს დილით წავედით ლიქოკში, გადავლახეთ ხევსურეთის არაგვი, ავყევით ლიქოკის წყალს, მივედით სოფ. კარწაულთაში. სახლი ტიპიური ხევსურულია. დავათვალიერე ოქრომჭედლის [ლიქოკელის] ოთახი, ვნახეთ ქსოვილის ნიმუშები. საკვნილი ხევსურული ტიპისაა. აქვე იყო საალმოდ ჩამოსული ხევსური ქალი. სამწუხაროდ, ექიმი, იგივე ოქრომჭედელი, შინ არ იყო.

კართაულთადან გავედით, გადავლახეთ ლიქოკის წყალი და ჩავედით სოფ. ბოკნილოში. აქაც ტიპიური ხევსურული საკვნიელი. კალოში შეიბმის ორი ხარი, შეიძლება არ ჰქონდეს ტაბიკები. თუ კაცი ხარების გარეკით დაიღლება, ცხენზე შეჯდება და ისე დალალავს მათ. თუ გაავდრდა, დახურულ კალოში შემოზიდავენ ძნას, ხვავს, ბზეს, ჩალას.

გუთანი გააქვთ სახნავად აპრილის ბოლოს. ხვნის შემდეგ, ვიდრე მკის შუაგულამდე. სამუშაოდ აკრძალული დღეებია: სასოფლოდ – ორშაბათი და შაბათი; გუთნისთვის (არ შეაბამენ) – ოთხშაბათი და პარასკევი; გუთნის გატანისას ხვნა-თესვისათვის ბედნიერ დღეებად ითვლება – სამშაბათი და ხუთშაბათი.

80 წლის თოთია ლიქოკელი მომითხრობს: „ლიქოკელები ჭანიეთიდან ჩამოსულან. ჯერ ბარისახოში ჩამოსახლებულან. მერე ორად გაყოფილან – ერთი ლიქოკში წასულა, მეორე თიანეთში – ხვისაურებად გამხდარან. კოშკი, რომელიც სოფელში დგას 8–9–10 თაობის ადრინდელი გაკეთებულია. ლიქოკში ყოფილა ძველი ეკლესიები, ციხეები, მაგრამ ურჯულოებს „მოუგლეჯავთ“. ხალხს გამოქვაბულებში უცხოვრია. სოფლის გაღმა ახლაც სჩანან ნასახლარები. ხახმატშია თამარ მეფის ნაგები ციხე. ერთ ფშაველების ეკლესიაზე წარწერა ყოფილა ასეთი: „თამარ მეფემ ამაშენა, სისხლის წვიმას წინა წელსა“-ო. ასევე თამარ მეფის ნაგებობის ნაშთებია ლებაისკარში– ციხე, ბარისახოში – ციხე და ეკლესია; აქვე ყოფილა მირვანის ხე, რომელიც სასწაულებრივ აღმოცენებულა. ხევსურების „ზნე-ჩვეულება მიწა-წყალს მოუდის. წინათ მხოლოდ ირმის რქით უსომთ ლულ-არაყი. როდესაც ხევსურ პირველად არაყი უსომ, ტან უფშვნეტავს, მოკვდებიო უთქომს და იმის შიშით ფეხებზე რკინა დაუდებავს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის 28. ვსწავლობ ხევსურულ საცხოვრებელ სახლებსა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. მცირე გამონაკლისის გარდა, ერთად, ერთ ჯერქვეშაა მოცემული, ანუ გამონაკლისს ეკუთვნიან: სამჯედლო, სალეღე, ბეღელი. ამათგან ორი უკანასკნელი ცალკე შრომელის [შენობის] სახით ითვლება. ემბეს შემთხვევაში ისინი „ხეტის ნაგებობის ნაწილს" წარმოადგენენ. ეჩეშობ ქორეული სახლის აღწერაზე.

ქორეული სახლი სამსართულიანია: სახლი, ჯერხო, კალო.

პირველ სართულში (სახლი) წარმოდგენილია: შინა, სამრეხე, ხენე, ეზო, საცხენე, ეზოს ქარიპანი, საცხვრო (საზამთრო), ნაწვლის კარი, ნაწოლა, ღომელი, დექანი, საკვამე || შეკვნი, ყვერბი.

მეორე სართულში (ჯერხო) – ჯერხო, ჯერხოს ქარიპანი, სალოგინე, წინგარდა, კარი, საქვაბე, შეკვნი, დექანნი, ყვერბი, ქარიპანი.

მესამე სართულში (კალო) – მალალი ბანი, დახურული კალო, დარი, საკვამე.

ხევსურული სახლის შინას შიდა მოწყობილობაში შედის: ოსკორწა, კართანული, კინჭლე-ხამარილე, ხამარილე, ხახუნა, ტაგრეცი, კარადა, ქინთი, ქუბდე, ქინთი წულიხათვის, საფქვილე კასრი, ბარეჯი, ღომელი ბეთხაქცევა, საკეზე, ქიტი, ქიტერა, კოეზი, კასრი, კასრი წნილიხათვის, ფანდური, ხახაფანტე, ხათოფოსწამლე.

ივლისის 29. სახლის აგება ხოჭ. ბარისახოში ხდება ასე: პირველ ეოვლისა ამოირჩევენ სახლის ხახადგმელ ადგილს. ამ ადგილის მარჯვენა მხრიდან ერთ მეოდ მიწას აიღებენ, გახვევენ ბაშლაკაში. ხდებენ ხახაგრძლეში და მკითხავთან წაიღებენ. ბარში (თიანეთში) იციან სახახლის ანუ ფუძის მიწის (აიღებენ მიწას სახახლის შეკუნლიდან, ძირეულ ბოძიდან), ხანლის და ათი შაური ფულის მიღანა მკითხავთან.

მკითხავი კითხავს – რამ დაგალინაო.

სახლის პაპრონი გადასცემს დასვეულ სანთელს, მიწას და ფულს. მკითხავი მარჯვენა ხელში აიღებს სანთელს, მარცხენაში – მიწას, მოუკიდებს, იმის მიხედვით, თუ როგორ დაიწვებს გადმოდენას სანთელი. მკითხობს: „კაი ფუძეა, არაფერიც არა უშავს". შინ რომ მივა, ხოფლელები დაკითხავენ, რა უთხრა მკითხავმა. ეს მომეტებულად შემოდგომაზე ან ზამთარში მოხდება.

თოეული რიცა აშრება, გაზაფხულზე სახლის ასაშენებელ ადგილს მეოდანს გაუშვენდნენ. სამეშაოს დაწყებამდე სახლის პაპრონი 3–4 მეზობელს დაუძახებდა და დაილოცებოდა ამ სახით: „ღმერთო

მადალო, კაცთა გამჩენო, კაცთა სულის ჩამდგმელო, ცარგელის დამხურავო, დედამიწის დამდგმელო, ეს სახლი მშვიდობას მომაკმარეს მეცა და ჩემს ცოლშვილსაც და იმათ მამყოლთაც“.

ვიდრე ამ სალოცავს შეასრულებდნენ, წინ-წინ მზადდებოდა სახლისათვის საჭირო ხე მაღრანის ტყიდან: იფნს (ადრე იყო), მუხას, ვერხვს ან კიდევ წიფელს.

ქვას ამტვრევდნენ მახლობელ კლდეებიდან საჭიროების მიხედვით. „მიწა როცა გაითხრებოდა, გამოჩნდება, მერე იმდენი უნდა გაითხაროს, რამდენიც ბოსელს ეკმაროს“.

ქვა აქ ორი ჯიშისაა: ნეთი (მბილი) და ბასრი (მაგარი), მესამე არის სიპი ქვა – ბანისათვის. კლდიან ქვას ამტვრევენ რკინის კეტებით: ლომით, წერაქვით. მოაქვთ სასახლის ადგილზე ჯორაკით, რომელზედაც ჭოჭი ადევს და ჭარებით, რომელთაც საქვე აქვთ, ან მარხილებით. უმეტეს შემთხვევაში ეზიდებიან მამაკაცები.

ხე მოიჭრება ცულით (ქართული ცული), დაიხერხება რესული ხერხით (ბირდაბირი), გაჭკაფავენ, დააგორებენ ფერდობზე, სადაც გაეჩხირება, კეტით გადაუგდებდნენ. შემდეგ სატეხით გახვრეტენ: „გამოსხვირავენ“ საუღლის (ტეკვი) გასაყრელად;

თუ სატეხი არა აქვთ, გამოსხვირავენ ქართული ცულის კანჭით.

სასახლის მამული უნდა იყოს ჭევსურული 20 წერი[1] მაინც. მამულის არსება ხდებოდა ისე, რომ „ბევრდობა არ იყოს, ძოხა და ბალღი არ გადაინეხოს“, წყალი ახლო იყოს. წინაპირს გაუკეთებდნენ მზის მხარეს. ამას „სახლის დასმა ჰქვია.“

სახლის ოსტატები უმეტესად აქაური ჭევსურები არიან, იშვიათად მთიულები, გუდამაყრელები.

მეიდანი გასწორდება სახლისათვის 23 ადლი სიგრძით და 14 ადლი სიგანით.

მიწის გამოთხრა წარმოებს ქარჩით, წერაქვით, „ჯინს ფეხებს გაუკეთებენ და გასწევენ“. იხმარება, რასაკვირველია, ნიჩაბიც. პირველ ქარჩს სახლის პატრონი დაჭრავს და დაილოცება: „ღმერთო, ეს სახლი კაად მომიხთინე, ბედიან-დოვლათიანი“.

ლიბუ[2] გაიჭრება მუხლის სიმაღლის. ოსტატმა გაჭრისას წინ-წინ იცის, თუ სად უნდა გაასწოროს კარის ადგილი, როგორ უნდა განაწილდეს სამეფო და საძროხე.

ეორე ლიბუდან სულ ერთი სიგანის ავა, თუ ოსტატი ვარგისია. კედელი წინ ავა ხელებგამართული კაცის სიმაღლის, ხოლო უკან მუხლზე დამდგარი კაცის მხარამდე მივა.

ეს მოვლენა შეგნებულად კეთდება იმ მიზნით, რომ სახლის უკანა ნაწილი ამაღლებული დარჩეს, კომლს [ბოლოს] საშუალება არ

[1] წერი ეადრის – „30 ანა რო მოიწვეს ეანაში“.

[2] საძირკველი საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: საძირკველი || ბალავერი||ლიბუ||ფამალი.

ჰქონდეს იქით იდინოს, არამედ საკომურში და კარისაკენ წამოვიდეს. ამ რიგზე კარგად გამართულ სახლს თავგაკრული სახლი ჰქვია.

ყორე ქვით შენდება უკიროდ და უტალახოდ, ციკლოპურად. ქვების დალაგებას აქ ყორეს დაკერვა ჰქვია. ქვას ქვაზე მოარგებენ და საცა ადგილი დარჩება, კენჭს ჩაუდებენ. ამას დაჭყერვა ჰქვია. შემდეგ გადასწორდება მიწით.

ამოავსებენ ქვებს შორის ადგილებს, იმისათვის, რომ მეორე წყება სწორად დალაგდეს. ქვა რომ არ დაინძრეს, კედლის კუთხეებში, კართან და საკომურთან „კანჭიან“ ქვას დააბანენ, ლარი აქ არ იციან, ოსტატი „თვალის ჭკვით“ უნდა მიხვდეს კედლის სისწორეს. გაჭრისას წინდაწინ იცის, თუ სად უნდა გაასწოროს კარის ადგილი, როგორ უნდა განაწილდეს სამყოფო და საძროხე. სამყოფს მეტს დაიჭერს საძროხესთან შედარებით, რადგან აქ მეტი ფართია საჭირო, რომ კიდობანი, კარადა და სხვა დაიდგას.

ოსტატს პირობას ადებინებენ: ყორე ისე მტკიცედ უნდა ააგოს, რომ 3–6 თაობას გაუძლოს (ჩვენ მიერ გახომილ-აღწერილი სახლი უკვე ემსახურება 6 თაობას, მხოლოდ ერთხელ დაინძრეულა ყორე და შეუკეთებიათ. ყორეს უსწორმასწორობა მისი სიძველის ბრალია).

ამგვარად აგებულ ყორეს, იქ სადაც ძროხის სადგომია, „გაგოზენ შიგ და გარეთ ძროხის ნენვით“, მასში არაფერს არ ურევენ, სამყოფს საპირე მიწით გამოასუფთავებენ შიგ და გარეთ.

სამყოფოს ქახდარი მიწისაა, ხოლო საძროხეს – ქვისაა, სიპებით დახლაული (დაფენილი). ქახდარი საძროხეში დაქანებულია კარისაკენ, რომ საქონლის მწურე იქ არ დაგროვდეს.

ზემოაღწერილ ყორეს კედელს ჭყერვით აგებული კედელი ჰქვია, ხოლო, საცა ქვა მოუხერხებელია, იქ ლაფითაც აგებენ მას. ამას თაფორით აგებული ყორე ჰქვია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქალის მიშველება სახლის აგებაში სირცხვილად ითვლება. დასაშვებია მხოლოდ, რომ ქალი „ჯორაკს“ მოუძღოდეს ქვის ატანისას.

ყორეს აგების შემდეგ ყორეზე, შუაში გაიდება კეზი[3] – შუახე (თუ იფნია მრგვალია, თუ მუხაა – მრგვალი ან კუთხური), მუხის კეზს ქერქი და გარეთა ხე უნდა გაეცალოს და დარჩეს გული, თორემ ჩრჩილი გააფუჭებს.

კეზი უნდა ჩავიდეს ყორეში. იგი უნდა იყოს გამწვდომი. ხოლო, თუ ასეთი არ არის, აიგება ყორე-ბოძი კულა და ზედ მოეწყობა.

პირველ შემთხვევაში მას შუაში ჩაედგმის ძირეული ხე, რომელიც მიწაში ღრმადაა [1/2 ადლი] „ჩავარდნილი“, რომელსაც ძირი ქვაზე–სიპზე უნდა ედგას, რომ არ დალპეს.

[3] კეზი–ღერძი–თავეზე.

კეხის წინა თავის ქვეშ, ყორეში, ხაიდების თეთრი ფული ხაჯის სახელობაში, რათა ანგელოზი დაეპატრონოს სახლს და ქვეცრიელი არ შემოუშვას. თან დაილოცებიან:

„სახმოო მეკეხის / მწერელო ანგელოზო,
შენ გადიდოს, შენ გაგიმარჯვას სამსახურზედ,
შენი გამწენი მორიგე დმერთი არ გიწყენს, არ გიძულებს“.

ძირეული ბოძის გარდა, კეხს სხვა მომცრო ბოძებიც დაედგმის. იმათ ქვემოთ უდევს მუხის ხე, ძირები რომ არ დაულპეთ. ამ ბოძებს და ძირეულს ზემოთ აქვთ ყურები.

„სადებს, მუხის ხეს მარტო ბოძების ადგილს კი არ ვჭრით კუთხედ, რომ ბოძები სხვაფთკენ არ წავიდეს“.

კეხს კედლის სიგანეზე თავთან დაედება სამწვერის ხე, რომელიც მარჯვენა კედლიდან „სამძროხედან მიემართება მარცხნივ ყვერფამდე“.

ყვერფთან გაიდება დიდი ხეები – ყავრები, ყავრებზე – სიპები, სიპებზე წვრილი ტყე-ადეში, შემდეგ ბადალი მიწა, მასზე ყვითელი მიწა (ამოდის ამავე სოფელში, ორი არშინის სიღრმეში) და დაიტკეპნება სატკეპნით.

რაც შეეხება საძროხეს და სამყოფის დანარჩენ ნაწილს, იქ გაიდება ხეები, თუ ისინი გამწდომი არ არის, კეხს გადაცილდება აქეთ-იქით. ასეთ დალაგებას ეწოდება კეხ-კეხად. ხეებზე დალაგდება ჭერი, მასზე გაყვება ადეში, ხანაპირო სიპები წყლის საწვეთრად, დაეყრება ყარტი სიპირე სიპებზე, ბადალი მიწა, მასზე საპირე მიწა და დაიტკეპნება სატკეპნით.

ამგვარად მოსრულდება ბანის აგება. ასევე გაკეთდება ეზოს, სენეს, საცხენეს და დარიფანის ბანიც.

საცხენესთან ხშირად მიდგმულია დაბალსახურავიანი ბინა, შეშის დასაწყობად.

საცხენეს და სენე-ეზოს გარე კედელი ხშირად ფიცრისაა, რომელსაც აქვს თავისი შუკენები. ასეთ ბინებში, საცა ქაზდარი მიწისაა, „მიწა გაუგულვებულია“ – მოუტკეპნავი.

დარიფანს იქით გაგულვებულ ადგილს ჰქვია გარეთა ეზო. დარიფანიდან ეზოში შედიხარ პატარა კარით, რომელსაც ჰქვია გარე კარი, ეზოდან საძროხეში, უფრო დიდი კარით, რომელსაც ჰქვია შუა კარი.

საძროხიდან შედიხარ სამყოფში – შინაში.

დავამთავრე სახლის აღწერა. ხევსურები გარს მარტყია. მესაუბრებიან, ვწერ ზოგიერთ გამონათქვამს:

„სულით გველ ამაუყვანავ
ტკბილად მაუბარს ენასა“.

. . .

„ვინაც თქვა, მართალ უთქვამ: ძალა აღმართსა ხნავსო“

. . .

„ხატის ტყიდან მოტანილი შეშით ვერ დავიგზებთ ცეცხლს“.

. . .

„ყოველ წელში ერთხელ ცხვარიდ ბოჩოლა აღვსებაში მიდის“.

. . .

„მკითხავთან მიწა მიგვაქვ – ქვეცრიელს ხომ არ უჭერავ ან ანგელოზს. ძვირად იგებენ კი – სახლი ბევრი აიგო და არ ივარგა. გამოცვლის შემდეგ კი კარგად ივარგა.“

. . .

„სასახლის გამოთხრა – ფასად სამი მეწველი ღორს.
ჭერხო – 6 ძროხა
გვერდითი – 3 ცხვარი
ეზო – 5 ცხვარი
კალო – 2 ძროხა“.

. . .

„მამაკაცი არ შეიძლება დაწვეს შინაში, წვება ჭერხოში ან გვერდითაში“

. . .

„ლოგინისათვის, მეორე გვერდითაში გარშემო თივის ზვინებს დავაწყობთ.“

. . .

„კუზის თავისი ანგელოზი ჰყავს, მოკუზის – წვრე ანგელოზი“

. . .

„გვალვის დროს ვაჟად, ან დედაკაცი უნდა გატიტვლდეს და გაიაროს ადგილებში „ავდარ მაიყვანეთო“.

. . .

„ავდრობის დროს დედაკაცები ცეცხლში სწვავენ თითისტარს – გაიდარებსო“.

. . .

„როცა გუგულ მოვას, ფოთლობის დროს, მაშინ დედაკაც ან კაც ტყეში წავა, გატიტვლდება იმ ხის ძირში, საცა გუგული ზის და სამჯერ უნდა გაუაროს ხეს და მოსთვალოს:
„გუგუტავ ღალა მოგპარე, დო ბევრი კარაქ მრავალი“.
თუ არ გაფრინდა გუგული, ბევრი რძე-კარაქ ექნება. ამოთლის პატარა ქერქს და მოწველილ რძეში ჩააგდებს“.

. . .

ულელს რო გაიტანენ, დაილოცებიან:
„ღმერთო დალოცვილო, საქმისთავთ გამჩენელო,
ხვნა-თესვის გამჩენო, მოგვიმართე ხელი, გვამუშავე
მშვიდობით, მოგვე ხანი და ქონება“.

. . .

მისრიაშვილებისაგან გაგებული.

მათი წინაპარი მისრია ყოფილა, იმას საკვირველი ხმალი გაუკეთებია: დაახვევდა და ჯიბეში ჩაიდებდა. როცა ამოიღებდი, ხმალი თავისთავად გაიშლებოდა და გასწორდებოდა ლარივით.

ეს თამარ ნეფეს გაუგია, დაუძახნია თავისთან და მჭედლად აუყვანია. ხახელად მისრია დაურქმევია, რადგან მისრეთელი იყო.

ამ დროიდან მათ გვარში თითო მჭედელი გამოდის. მათ სხვა მჭედლისაგან სწავლა აკრძალული აქვთ.

* * *

მოვიპოვე ცნობა პირიქით ხევსურეთში, შატილის ქვემოთ, ანატორის ერთი საფლავიდან 1913 წლის ზაფხულში წამოღებული ნივთების შესახებ:

შალის ხალათის ნაწილი (მხარის ნაწილი, საყელო და გულისპირის ნაწილი ორი), ხახელო შალის ხალათისა, ხალათის მხარის ნაწილი. ხახელოიანი (ზეთი პირი აბრეშუმისა), ქვეთი პირი ტილოსი, ხალათის ზემო ნაწილი (საყელო და საყელოზე წინაპირი აბრეშუმგადაკრული, ლურჯი), ლურჯი ტილოს ხალათი, ზოლიანი, საყელოზე აბრეშუმი აქვს მოვლებული. ლურჯი ტილოს ხალათი, აბრეშუმის ნაგლეჯი. ბრტყელზოლიანი, ფონიანი, ეტყობა მოსახვევის ნაწილი ყოფილა, ლურჯი ტილოს ხალათის გულისპირი (ხშირი ყაითნით შემკული), ლურჯი ტილოს ხალათის გულისპირი, ტილოს ხალათის ზემო ნაწილი, ტილოს ხალათი ლურჯზოლიანი, ტილოს ახალუხი, ტილოს ხალათი (საკინძი გვერდზე აქვს და იკვრის ყაითნით), საყელოზე აბრეშუმი აქვს მოვლებული. საბავშვო ხალათი – ტილოსი (წინა ნაწილს და უკანა ბეჭებს ზოლიანი ლურჯი ტილო აქვს გადაკრული), სარტყელი ვიწრო ქარშიკისა, სარტყელი განიერი ქარშიკისა, წვივსაკრავი (თავებში რკინის რგოლები აქვს გაკეთებული), შალის წინდის ძირი, ზონარი ბრტყელი, ქალის თმა ნაწნავები.

1929 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურეთის მიწა-წყალი შეიცავს დაახლოებით 974.88 კმ ანუ 97.488 ჰა. ამ ფართობიდან უვარგისი და გამოუსადეგარია 58.478 ჰა. ვარგისი მიწის ფართობი ნაწილდება ასე: საბალახოს უჭირავს – 24.748 ჰა, ტყეს - 11.842 ჰა, სათიბს – 1.259 ჰა, სახნავ-სათესს – 1.119 ჰა და საკარმიდამო მიწას 46.3 ჰა.

ქორედი სახლი

თუ მხედველობაში მივიღებთ ხევსურეთის მოსახლეობის რაოდენობას კომლობრივად და გავითვალისწინებთ როგორც სახნავ-სათესი, ისე საკარმიდამო (კარის პირის) მიწის რაოდენობას, აღმოჩნდება, რომ კომლზე საშუალოდ მეტისმეტად მცირე საკენე და კარის-პირის მიწა მოდის. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია მიკროსკოპულად მცირე რაოდენობით წარმოდგენილი.

მართლაც, ხევსურეთში სულ 932 კომლი მცხოვრებია, რომელთაგან ბარისახოს თემში 323 კომლი ცხოვრობს, ბაცალიგოს თემში 317 კომლი, შატილის თემში 22 კომლი. ხოლო არხოტში – 70 კომლი. ეს მონაცემი თავისთავად დადადებს საკარმიდამო მიწის სიმცირეზე (46.3 ჰა: 923= 0.0049 ჰა). არსებითად აქ საკარმიდამო მიწა მოცემული არ არის. იგი შეიცავს კარის პირის მიწას, როგორც მას კარგად განსაზღვრავს ხევსურული ტერმინი.

ეს ვითარება კარგადაა შეთანხმებული ხევსურეთის სოფლის დასახლების ტიპთან. აქ სახლები შეჯგუფული სახითაა წარმოდგენილი. სახლი სახლზე მიტყეპულია ისე, რომ ხშირად მცხოვრებნი ბანიდან ბანზე გადადიან ხოლმე.

საცხოვრებელი ნაგებობათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით ხევსურეთის სახლი სათანადო ტიპს და განსაზღვრულ ტერიტორიას განეკუთვნება.

აქ უმთავრესად საცხოვრებელი ნაგებობების ოთხი სახე გვხვდება. ესენია: ქ ო რ ე დ ი ს ა ხ ლ ი, [კ ა ლ ო ი ა ნ ი ს ა ხ ე] კ ო შ კ უ რ ი ს ა ხ ლ ი, მ ი წ უ რ ი და ფ შ ა ვ უ რ ი [საბოსლე]. ამათგან ძირითად ხევსურულ საცხოვრებელ ნაგებობას ქორედი სახლი წარმოადგენს. იგი გაბატონებულ და დამახასიათებელ ნაგებობას წარმოადგენს ბუდე ანუ მირგვალი ხევსურეთისათვის. ამ სახლის რაოდენობა აქ დაახლოებით 640 შეადგენს. ქორედი სახლი ხევსურეთის ეთნოგრა-

[1] ქორედი იხმარება კალოიანი სახლის შესატყვისად. შემდგომ გამოკვლევებში გ. ნიტაია ტერმინს კალოიან სახლს ხმარობს. [თ. ც.]

ფიულ სინამდვილეში გვხვდება აგრეთვე მიღმა ხევის სოფლებში. კოშკური სახლი ძირითადად გაბატონებულია მიღმა ხევის ანუ შატილის ხევსურეთში. იგი წარმოადგენს 4-5 თვალიან (სართულიან) ნაგებობას. ამ სახლის პირველი სართული განკუთვნილია მსხვილფეხა საქონლისათვის, მეორე – წვრილფეხა საქონლისათვის, მესამე – ადამიანთა საცხოვრებლად, ხოლო მეოთხე და მეხუთე მარაგის შესანახად.

სახლის ამ ტიპის გავრცელების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ იგი მოიპოვება მიღმახევის მეზობელ თემებში, თუშეთსა და ხანაჩნოში.

რაც შეეხება სახლის იმ სახეობას, რომელსაც მიწურს [პირობითად] ვუწოდებთ, ხევსურეთის სინამდვილეში იგი ძირითადად გავრცელებულია არხოტის თემში, ერთსართულიანი და ბანიანი ნაგებობა ქართული ტიპისაა. არაიშვიათად მას კედლებში ფანჯრებიც აქვს დატანებული. საერთოდ სახლის ეს სახე, ტიპი, არხოტში ქართლიდან შეტანილი უნდა იყოს. რამდენადაც ხევსურეთის თემებიდან არხოტი კულტურულად დაწინაურებული თემია. ამდენად ამ ტიპის არხოტში არსებობა სავსებით გასაგებია, რამდენადაც სახლის ეს ტიპი ახლოა უფრო მეტად ხევსურების ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ამდენად იგი საცხოვრებელი ნაგებობის გარდამავალ ტიპს განეკუთვნება.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ფშაურ ტიპს, იგი სახურავის მიხედვით არსებითად განსხვავდება ხევსურეთში დადასტურებული სამივე სხვა ტიპისაგან. მისი სახურავი ორწახნაგოვანია. სახურავის მიხედვით იგი მართლაც ფშავში გავრცელებული სახლის ერთ-ერთი ტიპის ანალოგიურია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახურავის ორწახნაგოვანი სახეობა ხევსურეთშიც არის დამოწმებული და, როგორც წესი, გამოყენებულია ხატის ნაგებობაში.

სახლის ეს სახე ერთთვლიანია. გამოყენებულია საქონლისა და ადამიანის დროებით სადგომად და საქონლის მარაგის საცავად.

მსხვილფეხა მესაქონლეობის პირობებში, (რამდენადაც მეურნე ხევსურს არ შეეძლო იმდენი საკვები დაეგროვებინა ერთ ადგილზე, რომ ხანგრძლივ ზამთარში საქონელს ყოფნოდა), იგი საქონლის მარაგს სხვადასხვა პუნქტებში ინახავდა როგორც ქორედ სახლში, ისე ფშაურ სახლში ან სახლებში, რომლებიც სოფლის გარეთ იყო აგებული. მას შემდეგ, რაც საქონელს საკვები ქორედ სახლში გამოელეოდა, ხევსური საქონელს ფშაურ სახლში მიერეკებოდა და ერთი-ორი თვე იქ კვებავდა. ამ ხნის განმავლობაში საქონლის მომვლელიც ფშავურ სახლში ცხოვრობდა. შეძლებულ მეურნეებს ამგვარი სახლი 2-3 ჰქონდათ ხოლმე. მრავალრიცხოვანი საქონლის გამოკვება, საკვები მარაგის საჭიროების მიხედვით, რამდენიმე ასეთი პუნქტის არსებობას მოითხოვდა; ფშავურ სახლთან შეფარდებით – ეს სახლი შედარებით სახელდახელო ნაგებობა იყო, რომლის ხვევნი ქორედი სახლის ჭერხოს დანაშნულებას ასრულებდა.

ქ ო რ ე დ ი სახლი სამსართულიანი ნაგებობაა. სამთვალიანი,

თავგაკრული, რომლის პირველ თვალს სახლი ეწოდება, მეორეს – ჭერხო, ხოლო მესამეს – კალო.

პირველ თვალში მოცემულია: ქარიპანი (ეზოსი), ეზო, ხენე, საცხენე, საძროხე, შინაყვერბით, ღომელით, ნაწოლათი, შუკუმებით, კულათი, ასაყარით, კეზით და სხვა. ეს სართული განკუთვნილია უმთავრესად ჯალაბობის საცხოვრებლად და საქონლის სადგომად. ჭერხოში წარმოდგენილია – ჭერხოს ქარიპანი, წინგარდა, სალოგინე, ჭერხო, ყვერბი და სხვა. ეს სართული მამაკაცთა საცხოვრებელი, ადამიანთა და საქონლის საჭმელის მარაგის შესანახავი და ზაფხულში ოჯახის სასაქმო სახლის ნაწილია.

მესამე სართულს აქვს მაღალი ბანი, სადაც ზამთარში პურეულს ინახავენ და დაფარებული კალო, სადაც პურეულს ავდრის დროს დასველებისაგან იცავენ, სამეურნეო იარაღებს ინახავენ და სხვა.

ქორედი სახლი მეტნაკლებად შეფარდებულია ხევსურეთის ალპურ მეურნეობასთან: ერთ ჭერქვეშ მოცემულია ადამიანის და საქონლის (მსხვილფეხა) საცხოვრებელი და სადგომი, ასევე აქვეა მოცემული ადამიანისა და საქონლის საკვები მარაგის საცავი. ნაგებობის ეს ტიპი დამოწმებულია ფშავში, მთიულეთში.

განსხვავებით ფშავური სახლისა, ქორედი სახლი მყარი ნაგებობაა, რომელსაც ხევსური მთელი წლის განმავლობაში იყენებს. ის გაბატონებული და დამახასიათებელი ნაგებობაა ხევსურეთისათვის.

მართლაც, ხევსურეთის ალპურ მეურნეობასთან შეფარდებით ქორედიანი სახლი ისეთი კომპლექსური ნაგებობაა, რომელიც ერთ სახურავქვეშ ემსახურება როგორც ადამიანის, ისევე საქონლის საცხოვრებელ და მარაგის შენახვის ფუნქციას. ამ გარემოებას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ხევსურეთის პირობებში, სადაც ზამთარი 8-9 თვეს გრძელდება და სადაც ღრმა ზამთრის გამო არის ისეთი თვეები, როდესაც საქონელს წყლის დასალევადაც კი ვერ გამორეკავენ საძოხედან. ამ პირობებში, საქონლის და ამდენადვე ადამიანის მარაგის, სხვა მოშორებული ნაგებობიდან ზიდვა (თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქ გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებები პრიმიტიული სახისა იყო), შეუძლებელია. გარდა ამისა, იგი ეკონომიურია სამეურნეო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის – ერთი სახურავის ქვეშ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა აგება ხარჯებს ამცირებს.

რომ ეს ასეა, დაგვარწმუნებს ქორედი სახლის რაობის გათვალისწინება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევსური ქორედი სახლი შეიცავს კულტურულ- ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა ეზო, ხენე, კულა, ჭერხო. სახელწოდება ქორედი ნაგებობისათვის განკუთვნილი, დამუშავებულია სვანურში ქორისა და გვხვდება თუშეთში რიტუალური ფერხულის ტერმინში ქორ-ბეღელა.

1929 წ.

ლუდის დამზადების ხალხური წესები
(მასალები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი – ფშავლები, მოხევეები, თუშები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები უძველესი დროიდან ადუღებენ ლუდს[1], რომელიც თან ახლავს მთიელთა ცხოვრების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მომენტებს.

მეორე მხრივ, როგორც საკულტო სასმელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ რელიგიურ ცხოვრებაში.

ხევსურეთში სალუდე ჩვეულებრივად ხატის კომპლექსში შედის. მის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს. მართლაც, ხევსურული ხატის სამი ნაწილიდან ორი – დარბაზისა და საკოდეს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მესამე – სალუდეა. სალუდეს კომპლექსში, გარდა საკუთრივ სალუდისა, აგრეთვე ივარაუდება ბედელიც, სადაც სახატო მამულიდან მოწეული და სახალხოდ განკუთვნილი ქერი ინახება. ბედელიდან ქერი იხარჯება ლუდის დასაყენებლად ყოველი ხევსურული დღეობის წინ. ის დღესასწაული არ ჩაითვლება დღესასწაულად, თუ ლუდი არ მოიხარშა და მლოცველს არ მიეცა დასალევად მცირე თუ ბევრი. ამის გამო ხევსურები განსაკუთრებელი მზრუნველობით, რიგი წესების დაცვითა და სათანადო ხელოვნებით აყენებენ ლუდს. ზოგიერთ შემთხვევაში სალუდე ცალკე ნაგებობაა სოფლის შუაგულში დგმული, რომელსაც სოფლის მოსახლეობა იყენებს საჭიროების მიხედვით. ამგვარი სალუდე სოფლის საერთო ძალებითაა აგებული. სალუდე ქვაბის დამზადება, სამშენებლო ქვისა თუ ხეტყის მოზიდვა და აგება ხდება სოფლის ხარჯზე.

ჩვეულებრივ ხევსურულ სალუდეში წარმოდგენილია: სალუდე ქვაბი, კერა, ლატფა, კეტები, სარეკი, ჩამა, მილმოდმართა, ტარკოში და სხვა, რომელთა დანიშნულებაა ლუდის ხარშვისა და დაყენების პროცესში გამოყენება.

აქ შემოვიტანთ ლუდის ხარშვასა და დაყენებასთან დაკავშირებულ მასალას.

ლუდის დამზადება

ლუდის დუღების მთელი პროცესი ხევსურეთში შეიძლება სამ საფეხურად დავყოთ: 1) ფორის (ალაოს) დამზადება, 2) ტკბილისა და სისწვენის დუღება, 3) სისწვენის ფუება.

ხევსურეთში ლუდი ძველად ქერისაგან მზადდებოდა.

---

[1] „ლუდი, ქერის თაფლუჭი“ (საბა) - „თაფლუჭი რაიც სამთვრალო შეიმზადების“... „... რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა, და ღვინო და თაფლუჭი არა ჰსუას და სულითა წმინდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლო მისითაგან“ / ლუკა, 1,15 ტფ. 1911/. ლუდი საქართველოში შემდეგი ტერმინებით აღინიშნება: ხევსურეთში - ლუდი, თუშეთში - ალუდი, სვანურში - ყორიაშ, ოსურში - ბაგანე

ლუდის დასამზადებლად აარჩევენ კარგს ქერს. გაარჩევენ ძალიან კარგად რომ არაფერი აერიოს – ქვა, მიწა და სხვა. ეს ქერი ინახება მშრალად გოდორში ან კიდობანში, რომ არ გათბეს და ცუდი გემო არ გამოიღოს. მერე, როცა დასჭირდებათ, და რამდენიც დასჭირდებათ, ამოიღებენ, არწყავენ საწყავით, (საწყავი – კასრი, რომელშიც ერთი ფუთი ქერი ჩადის). რამდენიც სჭირდება ჩაყრიან ბალნისაგან დამზადებულ ტომრებში, და ჩადებენ ტომრებით წყალში, მდინარის პირზე, დაადებენ ზედ სიპს (თხელ ქვას) და დასტოვებენ ორ დღეს, მესამე დღეს ამოიღებენ წყლიდან, მიიტანენ სახლში. დაასუფთავებენ ჭერხოში ერთ ადგილს და გაშლიან იქ ნახევარი არშინის სიმაღლეზე და დაადებენ ზედ ჩალას. ჩალაზე დააყრიან სიმძიმეებს: ხეებს, ფიცრებს და სხვა რამეს რომ „ჩალახედ დავიდეს და სიმძიმე მიეცეს“, თუ თბილად იქნება მალე დაჯეჯილდება. დარჩება ის სამ დღესა ასე. მესამე დღეს ნახავენ, „თუ გამოსულია და ფესვებიც დაშვებული აქვს ქერს“ გაიტანენ და გაშლიან ფარდაგებზე თხლად მზეზე და გაახმობენ. ამას ქვიან ფ ო რ ი ხევსურულად, ფშაველები ა ლ ა ო ს ეძახიან. შემდეგ წაიღებენ და დაფქვავენ წისქვილში, ქატოიანად მსხვილად. მოიტანენ და შეინახავენ ნესტიან ადგილას კასრში. როცა დასჭირდებათ „ასწყვენ“ (არწყავენ), სამი წილი წყალი და ერთი ფქვილი ე.ი. მეოთხედი, აურევენ ერთმანეთში სარევით (ხის ტარზე გაკეთებული თხელი რკინა) დაანთებენ ცეცხლს. ქვაბი ადუღდება, მოსჭრიან პატარა ჯოხს და ჩაუშვებენ ერთ პირში საზომად და ფსკერის სიმაღლეს ამ ჯოხზე დანიშნავენ. მანამდე ადუღებენ ამ ქვაბს, ვიდრე განსაზღვრული რაოდენობა არ აორთქლდება. აორთქლებას პრაქტიკულად ასე სცნობენ: მაგ. ექვს საწყავ ფქვილს და ოცდაოთხ საწყავ წყალს სჭირდება ერთი ხელის დადება სიმაღლის აორთქლება, მალ-მალე აზომებენ ფსკერის სიმაღლეს და ადებენ ხელს. ამის მიხედვით სცნობენ რამდენი აორთქლდა და დაიკლო მისმა სიმაღლემ. ერთი ხელის დადებაზე როცა აორთქლდება, მერე გასწურავენ თხის ბალნისაგან დამზადებულ ტომარაში. აქ ყველა ხატთან, სადაც ლუდი იხარშება, გაკეთებულია დიდი ხისაგან საწნახელის მსგავსი გრძელი გეჯა. ამას ჰქვია ლ ა თ ბ ა. ალ. ონიაური ასე მიხსნის: ლათბა დგას ისეთ ალაგას სადაც იმის მაღლა სახლის ხეებზე (კაჯებზე) დაეკიდება ტომრები, ხეზე გადაიყვანენ ორად მოკეცილ თოკს და ნაპირში იქნება გამოსაკვნილი. ტომარას გაუყრიან პირებში ორ ჩხირს ერთიმეორის მოპირდაპირედ და იმ ჩხირებზე გადაიყვანენ ორად მოკეცილი საბლის ყუაებს და ტომრები სამი ან ოთხი დაეკიდება ასე ლათბას თავზე მწკრივად. აქვე აქვს სხვა ხელსაწყოებიც: კედები, რომლებიც ერთ პირზე წნელით არის ტომრის სიგანეზე გადაბმული. პირსაკრავები ორი თითოოადლიანი ჯოხი შუა წელით ერთი მეორეზე გადაბმული, წნელისაგანვე გაკეთებული რგოლი, რომელსაც გლახას ეძახიან. ჩხუტი პატარა კასრი, რომელსაც

ერთი პირი მაღალი და წინ გადმოხრილი არის ტომარაში გადასახსმელად და პატარა ყური აქვს ხელით დასაჭერი, ჩამა ყურიანი ნხუტის ნახევრის ზომა პატარა კასრი, რომელსაც სათავეში აქვს ყური ხელში დასაჭერი და ამით ქვაბიდან ამოიღებენ ტკბილს (მოხარშულ ფქვილს და წყალს ტკბილი ქვიან), ჩაასხამენ ნხუტში და ნხუტიდან დაკიდებულ ტომარაში გადაასხამენ, ტომარაში ფქვილი ილექება და წყენი გამოდის და გაწურული ტკბილი ჩადის ლათბაში, ამას სვამენ კიდეც, კარგი ტკბილი დასალევია. ტომრები რომ აივსება ადროვებენ რომ გაიწუროს და დანაკლულდეს. (ტომარა რამდენიც დასჭირდება ეს წინასწარ იციან ფქვილის მიხედვით, დანაკლულდება და მოუჭერენ პირზე პირსაკრავებით. მალ-მალე ჩამოუნაცვლებენ პირსაკრავებს და როცა დაბლა დაიწევს, კედებით მოუჭირებენ. კედებს მოახვევენ პირსმოკრულ ტომარას შუა წელზე, კედებს პირები გრძელი აქვს და გაბმული ერთ პირზე მოკლედ არის, ერთი კაცი კედებს მოსწევს ტომარაზე შემოჭირებულ ერთი-მეორისაკენ და მეორე კაცი გლახას ჩამოაცვამს და გლახა დაიჭერს მოჭერილ კეტებს. ამას რამდენიმეჯერ გაიმეორებენ და გაწურება ტომრები, ტომრებს რომ გასწურავენ და მოხარშული ფქვილი დარჩება, ამას ქვიან ხოტი. ხოტს ხმარობენ ძალლების საჭმელად ან მეწველი ძროხისათვის, ტომრებს წაიღებენ შინ და გააშრობენ.

იმ ვარაუდით, თუ რამდენი უნდა დადგეს ლუდი, გადაიღებენ ისევ ქვაბში, ეს არის ახაოთქლები, სიწვენი. უნდა აოთქლდეს ერთი გაშლილი ხელის სიმაღლეზე. მერე ჩაასხამენ ტკბილს, დააყრიან სვესაც აწყვეთ იმდენს, რამდენიც იყო ფქვილი. სვე ხევსურეთში არ არის. სვეს მოსატანად ერთად მოიყრიან თავს და შემოდგომაზე, როცა სვე შემოსულია (სვე ერთგვარი მცენარეა, აქვს ყვავილი) მოკრეფავენ, ნასჭრიან ტარიანად ე.ი. ღეროიანად, ხანჯლით დაკაფავენ, დააგროვებენ ერთგან, დახურავენ, რომ გახურდეს, მესამე დღეს გაშლიან და გაახმობენ მზეზე, რამდენიც მეტი გახურებულია და შემოსულია სვე, ან კიდევ მეტი ყვავილიანია, იმდენი ძალიანია. მერე ჩაყრიან მეშოკეებში, აკიდებენ ცხენებს და მოაქვს სახლში. აქ მას მშრალად ინახავენ.

სვესა და ტკბილს ერთი-მეორეში გაურევენ, იმდენს, რომ დაიკლოს. შემდეგ გადმოიტანენ ქვაბებში და მიაქვთ იმ ოჯახში ვინც დაამზადა. იქ ჩაასხამენ დიდ ქვაბებში და გაცივებამდის აცდიან. ამ დროს აკეთებენ საფუარს შემდეგნაირად: ჩაასხამენ თბილ სისწვენს ხის კასრში და ჩააგდებენ შიგ ჩალაზე გაკრულ ჭიჭს. (როცა იფუვლების, კოდს გახსნიან. ლუდი თავზე მოიდგამს ორი ან სამი ვერშოკის სიმაღლეზე სქელ ქაფს, მას ამოიღებენ, გააკრავენ ჩალაზე და ინახავენ შემდეგი ლუდის ასაფუებლად). ჭიჭს რომ ჩააგდებენ კასრში, კასრს თბილ ადგილას დასდგამენ და აფარებენ პირზე. სისწვენი ისე აფუვდება, რომ ქაფი სულ მაღლა წამოვა. ქაფის

ლუდის ხარშვა. სოფ. ქუმელაურთა

მოხდის შემდეგ იხმარება დასალევად.

ამრიგად, სახმარი იარაღია: სალუდე ქვაბი, ნხუტა, რომლითაც აირწევენ ქერი და ფქვილი. სარეკი – გათლილი ჯოხი, ნამა, რომლითაც ქვაბიდან ამოიღებენ ნადულს და ტომრებში დაკიდებენ. მოსაჭიკები და გირკლები, თავზე მოუჭერენ ტომარას და ლატფაში ჩაიწურება. ეს იქნება ტკბილი. რაც ტომარაში დარჩება, ეწოდება ხოტი – აჭმევენ ძაღლს.

ეს იყო ლუდის ხარშვის პირველი საფეხური. მეორე საფეხურზე: ტკბილს ჩაასხამენ ქვაბში, დააყრიან სვეს, ერთი დღის დულილის შემდეგ იქნება სვის წვენი. ჩაისხამენ კოდში და ჩაურევენ საფუარს. იფუილებს, კოდს დაახურავენ ხალიჩას ან თბილად რამეს და დააცლიან ერთ კვირას.

მოიყვანენ მეკოდეს, მცოდნე კაცს, ლუდი მოიდგამს ჭიჭს – ქაფს. მეკოდე ჭიჭს მოხდის და ლუდს კონჩხით ამოიღებს. შემდეგ მოიყვანენ ხუცესს და დააკურთხინებენ.

ლუდს სვამენ თასებით: ფანცკალა, ოთხყურიანი, სურები, საყენო-ფეხებიანი თასი ხახმატში - ბატონ-ყეენი.

„ალუდის“ ხარშვა თუშეთში

ს. გუდანთა

„ქერს ჩაყრიან წყალში, ორ დღეს იქნება, მესამე დღეს ამოიღებენ და დაჭყრიან სადმე, ზევიდან დაჰხურავენ, რომ ჩახურდეს. ორ დღეს ასე იქნება, მემრე მზეზე გაშლიან გასაშრობად. მემრე წისქვილში დაჭფორავენ, ე.ი. ფერფლს გააცლიან. ფორს ჩაჭყრიან ქვაბში. ჯერ წყალს ჩაასხამენ სამ წილს, მეოთხე წილი ფორი დაეყრება. ცეცხლს მისცემენ. რომ ადულდება კარგად მერე ცეცხლს გამოუეთებენ. დარკო‖ წვენი ზევით წამოვა. დარკოს გადაიღებენ კოდში. ჭოტი ძირს დარჩება. გადაიღებენ ტომარაში და საყელათი (წნელებიანი) და სამაჭირებით (მოსაჭერი) ჭოტს გასწურავენ. დარჩენილ ჭოტს

საქონელს აჭმევენ. თუ გაჭირდა და შიმშილობაა, შეიძლება ადამიანმაც ჭამოს. დარკოს ჩაასხამენ ისევ ქვაბში, ჩაჰყრიან სვეს, შეუკეთებენ ცეცხლს, იდუღებს. უნდა დაიშროს ერთ მტკაველზე ხარშვაში. როცა გაცივდება გადაიღებენ კოდში, მემრე მისცემენ დედას – ზევიდან მოხდილი ქაფივით თხლეს, რომ გაფუვდეს. ასე რჩება ერთ კვირას. უნდა იდუღოს მაჭარივით. მემრე დაღვერდება (დაწვერდება), თხლეს მოჰხდიან და დაჭლეკენ“.

ს. ფარსმა

„ქერს კოდში ჩაჰყრიან და ზედ წყალს ჩაასხამენ და სამ დღეს დასტოვებენ. მემრე ამოიღებენ. წყალი გავა და ეგრე დაჰყრიან სამ დღეს და ზედ დააფარებენ ტოლიკას (ფარდაგს), ფლასს. ჩაჭურდება, დაჯეჯილდება, ასე ორ-სამ დღეს. მემრე შეაქუნებენ ერთ ალაგას. დარჩება ასე ორ-სამ დღეს, მემრე გაიტანენ გასაშრობად. რო გაჭმება დარიჯნაევენ - ფერფლს გაანიავებენ, მემრე წისქვილში დაიფქვის, დაიროშება. ამ დაროშილს ეწოდება ფორი, ალაო.

ლუდის ხარშვა. სოფ. ქუმელაურთა

15 ლიტრა ფორი უნდა, დანარჩენი წყალი, ქვაბის ავსებამდე, – 30 ჩაფამდე. შეუკეთებენ, აადუღებენ. უნდა ჩაიხარშოს ციდამდე. პირველად ამოაშრობენ ხოლმე და მემრე ასხამენ. მემრე გამოუკეთებენ. ჭოტი, ალაო დაბლა წავა, დაჯდება, წვენი მაღლა წამოვა, წვენს ამოიღებენ კედში. ჭოტს ხაკებში ჩაჰყრიან და სწურავენ. წყერს, წვენს ჰქვიან დარკო, დარკოს ისევ ქვაბში მოაქცევენ, შიგ სვეს ჩაჰყრიან 4 ლიტრას. მოიხარშება ერთ მტკაველზე. მემრე გამოუკეთებენ და დილამდე დააგდებენ, გააცივებენ. ამას ხისწვენი ჰქვიან. დილაზე არყის ხარფუშში გაიწურება. ხის წვენს წაიღებენ საფუარში, ჩაასხამენ ქვაბებში, ხონებში, ურევენ დილიდან მზის ჩასვლამდე, რომ შინ ორთქლი არ დარჩეს, თორემ დამეავდება. ასე გააცივებენ, გაცივებულს

მოაქცევენ კოდში. შიგ ჩაუშვებენ ასაყუოს. ასაყუო წარმოადგენს თხლისა და ხის წვენის ნარევს ერთ ჭოლჩაიფას (3-4 ხელადა). დაიხურება გრილად (თბილად დამჟავდება). მესამე დღეზე ადუღდება. მესამე დღეს დაბლა დაიწევს, ასე იქნება ხუთ-ექვს დღეს. მაშინ ზევიდან თხლეს მოიგდებს.დალევის წინა დღეს მოხდიან თხლეს. მემრე დაილევა (კოდში ერთ კვირას არის) ძირშიც ლექს (ალაოს) დაიგდებს.

სახმარი იარაღი: მოსარევი – ჯოჯო, სალუდე, ცეცხლის კეტი (ცეცხლფარეში) – ფხინა, ტარკოშა. ჭოჭო, გეჯა, მუხრუჭი, საჭიროა, ღომელი".

ლუდის ხარშვა ქსნის ხეობაში

ს. მონასტერი

„აიღებენ ქერის 8 ჩანეხს = 4ფუთს. ის წყალში დალბება 3 დღეს. შემდეგ გაშლიან საფენზე, ფეჩქვეშ ფურნეში, მზეზე. გაშრობილს დაეფარება თფილად (გასაღიებლად), რომ ღიღო გამოიღოს. ამას დასჭირდება სამი-ოთხი დღე. გაიფშვნება ხელით, როდესაც გაშრება, 6 დღე, გახმობას უნდა, შემდეგ დაიფქვება წყლის წისქვილზე. წისქვილი უნდა დავაყენოთ, აუწიოთ რომ სხვილად დაფქვას.

დაფქვილს ალაოს ჩაყრიან ქვაბში (ქვაბი 14 ჩანეხიანია =7 ვედროიანი, მკალავები აკეთებენ), დაასხამენ წყალს 14 ჩანეხს, ნიჩბით სარეველათი აურევენ, ერთი დღე და ღამე ეყოფა დუღილი ქვაბში. შემდეგ დაიწურება ჩალაჩადებულ გოდორში: წინ-წინ ამოიღებენ ქვაბიდან, ვარცლში ჩასწურავენ. „ტკბილი" ჩადის ქვაბში. დუღილის დროს სისქე-სითხის შემოწშება ხდება ნიჩბით: თუ ზომიური სისქე აქვს, ნიჩაბი დადგება სწორედ, არ გადაიხრება-გადმოიხრება. გაწურვის დროს დარჩენილს ეწოდება ნაქაჯი, რაც ღორების საჭმელად მიდის.

შემდეგ სუკა ქვაბში ჩაასხამენ და ცეცლზე შესდგამენ. თუ ქვაბი „ტკბილმა" არ გაავსო, წყლით შეავსებენ. მაშინვე უნდა შეურიონ სვია. დუღებაში „ტკბილმა" ქვაბში უნდა დაიკლოს 4 ვერშოკი. შემდეგ ჩამოიღებენ და გააცივებენ, გააგრილებენ ისე, რომ გრილად დაასველოს ხელის ძარღვი. გადაიღებენ დიდ ქვაბში და დედას უზამენ. დედა არის ალაო (ძველი), მას შეურევენ ცოტათი ახალ ალაოს, რომ დათბეს და ადუღდეს.

ერთ ქვაბს ერთი ჯამი დედა ეყოფა. ქვაბზე შედგმული ერთი-ანუ ორი დღედადამე უნდა იდგას ცეცხლზე. თუ სვია მაღლა წამოვიდა და ქვაბის სახურავს მოედო, კარგია, „ლუდს დუღება კარგი აქვსო" იტყვიან.

ადუღების შემდეგ საცერში უნდა დაწურონ: ჯიხვებით და სირჩებით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. დადინეთი (ხადილაანთ უბანი)
ხადილაანთ უბანი

„წყალში დავასველებთ 2–3 დღეს ქერს. შემდეგ გავშლით და თფილად დავაფარებთ. გაღივდება 3–4 დღეში. მზეზე გაშლილს 4 დღეს დავაშრობთ, ან ფურნეში. დავფქვავთ მსხვილად წისქვილში. შემდეგ ქობებში ჩავყრით, წყალს ჩავასხამთ, ერთი ღამე იდგება, დილით ცეცხლს შევუკეთებთ, 5 საათი უნდა იდუღოს და დაიკლოს, ერთი ციდა წყალი უნდა დარჩეს. შემდეგ გამოუქრობთ ცეცხლს.

ვარცლზე კალათებით გავწურავთ, დადგება ტაბილი. რაც კალათში დარჩება, ღორს ვაჭმევთ.

შემდეგ ისევ შეკიდებთ ცეცხლზე, შევურევთ სვიას 2–2,5 მათარას გადავიღებთ ქობებში, გადავაციებთ. ნახევარი დღე ეყოფა. შემდეგ ერთ ქვობში მოვაქცევთ ყველას და უზამთ დედას. დედა არის ლუდის დანადუღი თხლე, მას მივუმატებთ ფქვილს, გავაკრავთ ფიცარზე და ვაშრობთ მზეზე. შემდეგ მოვხეტავთ, დავალბობთ თბილ წყალში და ისე ვხმარობთ.

ეს ყველა რო დუღდება ლუდია“.

ლუდის (ბაგანე) ხარშვა ოსებში
სოფ. პატარა ტუსურები

„ქერისა ვიცით ლუდი. ჯერ წყალში ჩავყაროთ ქერი. ორი დღე. ამოვიღოთ წყლიდან, გავშალოთ თბილად ჩრდილში, ზედაც დავაფაროთ ტომრები. გამოვა ალაო (ზად) დავყრით ჭილობზე, მზეზე ვაშრობთ და ვფქვავთ. ჩავყრით ქვაბში და მოვხარშავთ. კარგს ამოვიღებთ გოდრებში. დარჩება წალ (იმას ხარებს ვაჭმევთ) გოდრით გაწურულ წვენს (მარაგ) ვადუღებთ სვიასთან (ხომალარ), 1–2 საათს, შემდეგ საცერში გავწურავთ. 1-2 დღეში დაიდუღებს“.

1948 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927-1929 წწ. ხევსურეთის ექსკურსიები* (მოგონება)

1927 წელს მუზეუმში მომზადდა და განხორციელდა ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსკურსია, რომელშიც წევრებად შედიოდნენ: გიორგი ნიორაძე - გერმანიიდან ჩამოსული, ადრე მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, იოსებ შარლემანი - მხატვარი, პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის წევრი, ადრე რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელი, დავით ციციშვილი - კუსტარული მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი და მე.

მაშინ შესწავლილ იქნა ხევსურული ნაგებობანი. ექსკურსიამ ხევსურეთში დაჰყო ერთ თვეს და ბარისახოს გზით თბილისში დაბრუნდა, მე კი ერთხანს კიდევ დავრჩი. ვინახულე არხოტის სამი სოფელი და ყაზბეგში ჩავედი. სოფელი ჯუთა ეთნოგრაფიულად ძალზედ საინტერესოდ მეჩვენა. შესანიშნავი ულაყი მყავდა და გზაში ლადო ბალიაური, მწერალი-ბელეტრისტი მახლდა. (იმ დროს არხოტს თავს აფარებდა თომა ბალიაური, რომელიც ახალ წყობას ვერ შერიგებოდა და მთავრობას ოპოზიციაში ედგა).

ფაქტია, რომ მოწინავე პროგრესულ პირთა ბუდე არხოტში შეიქმნა. ცნობილნი არიან ინტელექტები არხოტიდან: ალექსი ოჩიაური (მწერალი მხარეთმცოდნე), ლადო ბალიაური, გიორგი ოჩიაური [ცნობილ მხატვარი, მოქანდაკე] ირაკლი ოჩიაური (ცნობილი მხატვარი, ქართული ჭედური ხელოვნების ამაღორძინებელი), თინა ოჩიაური – ეთნოგრაფი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), ერასტი ბალიაური (ექიმი), ნათელა ბალიაური (მხარეთმცოდნე), მელანო ბალიაური (მხარეთმცოდნე) და სხვა. შეიძლება ამას ხელს უწყობდა არხოტის სიახლოვე ყაზბეგთან და კავკავთან.

1927 წლის ექსპედიციის დროს გამომიჩნდნენ ხევსური მეგობრები ბარისახოდან, შატილიდან, არხოტიდან, რომელთანაც გულახდილი საუბარი მქონდა ხოლმე. ზოგი მათგანი, უნდა ითქვას, მეტისმეტად ჩამორჩენილად მსჯელობდა. მაგალითად, ხევსურეთში გზის გაყვანის წინააღმდეგნი იყვნენ: „გზა რომ გამოვა, მას ჩეკა მოყვება, და

---

* შენიშვნა: გ. ნიტაიამ პირველი გასვლა ხევსურეთში განახორციელა 1927 წ. ეს გახლდათ ჯერ კიდევ ტრადიციული, მაშა-პაპური ადათ-წესების დამცველი, ქედმაღალი ხევსურეთი. ისინი ბარის მკვიდრებს ალმაცერად უყურებდნენ, ქალაქად ნაცმული ქალების დანახვაზე იფურთხებოდნენ და წყველა-კრულვით აცილებდნენ, აბუსად იგდებდნენ უცხო მგზავრებს. ამას ემატებოდა ხევსურეთზე შინაგან არსებული არასწორი შეხედულება, მონაგონი და მონაჭორი, რაც აფრთხობდა ხევსურეთის ნახვის მსურველებს. ექსკურსიაში მონაწილეობდნენ: გ. ნიტაია, ი. შარლემანი და დ. ციციშვილი. მარშრუტი: არხოტის ხეობა, პირაქეთი ხევსურეთი

მეორე გასვლა განხორციელდა 1929 წ. მონაწილეობდნენ: ვ. ბარდაველიძე და სტუდენტთა ჯგუფი. ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო ხევსურეთის გამოფენის მოსაწყობად სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება. (თ.ც.)

ხევსურეთი თავისუფლებას დაკარგავსო". რევოლუციის პირველ წლებში, ამ პერიოდში მოდური ანტირელიგიური პროპაგანდის

სოფ. ხახაბო

გავლენით, მათ, კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მიერ აგებული ქრისტიანული ეკლესიები გაძარცვეს და კარ-ფანჯრები დიტაცეს.

ორი წლის შემდეგ, უფრო ზუსტად 1929 წლის ზაფხულში, კვლავ შედგა ეთნოგრაფიული ექსპედიცია ხევსურეთში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ვერა ბარდაველიძე, სტუდენტები, საშუალო სკოლის უფროსკლასელი, მოწაფე გიორგი (ჟორა) ჩიტაია და მე.

ვეწვიეთ სოფ. ბარისახოს. ამ დროს ხევსურეთში გზის გაყვანა დაწყებული იყო. თვით ბარისახოში შენდებოდა საავადმყოფოს შენობა. იქვე იდგა ორთვალიანი შენობა: ერთში კოოპერატიული სავაჭრო იყო მოთავსებული, მეორეში - სოფლის აღმასკომი. განზრახული იყო სკოლა-ინტერნატის და სასტუმროს აგება. 1922 წელს ხევსურეთში, კერძოდ ს. ბარისახოში გაჩნდა პირველი ბორბლიანი ტრანსპორტი, ტაჭკა, რომელსაც ცხენი ეზიდებოდა. იგი ემსახურებოდა საავადმყოფოს მშენებლობას, ბარისახოს ჭალიდან ქვიშასა და ქვას ეზიდებოდნენ.

ხევსურეთში ასული ანტირელიგიური პროპაგანდისტები ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიისა და მღვდლების წინააღმდეგ ქადაგებდნენ. იქ ისინი სრულ თანაგრძნობას პოულობდნენ და თბილისში კმაყოფილი ბრუნდებოდნენ: ხევსურები ათეისტები გახდნენო. სინამდვილეში კი ხევსურეთში მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული მამა-პაპური, წარმართულ-ქრისტიანული რელიგია, რომლისთვისაც ხევსურები დიდ მსხვერპლს იღებდნენ საკლავისა თუ სხვა შესაწირის სახით. ახალი მთავრობა ხშირად შეცდომებს უშვებდა ხევსურების მიმართ. მაგალითად, ხევსურებს შეაწერეს რამდენიმე ტონა ღორის ხორცი, მაშინ როცა ისინი მეღორეობას არ მისდევდნენ და ღორის ხორცს საერთოდ არ ეკარებოდნენ.

ჩვენს ექსპედიციას დასაწყისშივე მარცხი მოუვიდა ამ დროს.

მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენისათვის ემზადებოდა. კოლექციებში არ აღმოჩნდა ხევსურული დროშები, რომლებიც, როგორც ვიცოდით, 1911 წელს

იყო ადგილზე შეძენილი. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ეს ექსპონატი უნდა შეგვეძინა. ისიც კარგად ვიცოდით, თუ რა ძნელი იქნებოდა ასეთი რელიქვიის მოპოვება. ამ საკითხის მოსაგვარებლად დახმარების მიზნით 1927წ. მივმართეთ საქ. ცაკის დეპუტატს ხევსურეთიდან ა.არაბულს. მან უარის თქმა ვერ იკადრა და ჩვენი გაცრუება მოინდომა. მიგვასწავლა მოწმაოს ხატზე: იქაური ხევისბერი გაწყობილ დროშას მოგიტანთო. წავედით ვერა და მე სოფ. მოწმაოში. სოფელი სადღესასწაულოდ ემზადებოდა. ვერა სოფელში დარჩა, მე კი ხატზე ავედი, გორაზე, აქ სადღესასწაულოდ ლუდს ამზადებდნენ. უამრავი ხალხი ირეოდა. ხევისბერიც აქ იყო. ერთიც ვნახოთ, მცირე საუბრის შემდეგ ანაზდად გაწყობილი დროშა გადმომცა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: დავიდეევი დროშა მხარზე და ძირს, სოფლისაკენ დავეშვი.

ნახევარი გზაც არ მქონდა გავლილი, რომ ტყიდან ახალგაზრდა, წითური სახის ვაჟი გამოხტა, რომელსაც წელზე უზარმაზარი სარტყელი ერტყა. მომვარდა, დროშის ტარს ეცა და მოზიდა. უცბად დავიბენი, ვერ გავიგე, რა სურდა იმ ყმაწვილს. ზემოდან, ხატიდან ხმა შემომესმა, „გივარგი დაანებე, დაანებე დროშაო". ვიფიქრე, ალბათ ისევ დამიბრუნებენ მეთქი, ახალგაზრდამ დროშა ტყისკენ გააქანა. ავბრუნდი ხატში და რა მესმის ხევისბერისგან: „ჩვენ კი მოგეცით, მაგრამ ხატმა არ ინება და მის მიერ დაჭერილი ყმა გამოგზავნაო". ყველაფერს მივხედი, მაგრამ რა გაეწყობოდა – წამოვედით ბარისახოში ხელცარიელები.

ხევსური ქალები. 1929 წ.

მართალია, ამ მოგზაურობის დროს მაინც შევძელით დროშის შეძენა, მაგრამ ეს მოხდა სხვა გზით და სხვა საშუალებებით.

ნაყოფიერად ვმუშაობდით. ძალზე გვიწყობდნენ ხელს ჩვენი ძველი ხევსური მეგობრები. უნდა ითქვას, რომ თუ ხევსური მოგენდო, არაფერს დაიშურებს და ყოველმხრივ დაგეხმარება. ექსპედიციის დროს არ გვაკლდა მცოდნე და კარგი მთხრობელები. ეთნოგრაფისათვის ველზე მუშაობის დროს მთხრობელთან კეთილგანწყობილების შექმნა, საერთო ენის გამონახვა უპირველესი მოთხოვნილებაა, რასაც ყველა ეთნოგრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი ახერხებს. ამას სჭირდება თავისებური მიდგომა და ინტუიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მთხრობელი ფრთხება, ბუნებრივი განწყობილებიდან გამოდის და ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ურევს. ჩვენი მთხრობელები გვეუბნებოდნენ, ლენინგრადელები იყვნენ ჩამოსულები და სულ ტყუილები ჩავაწერინეთო.

როგორც აღვნიშნე, მე ვმუშაობდი მატერიალური კულტურის შესწავლის ხაზით, ვერა ბარდაველიძე კი – სულიერისა.

იმ დროს ხევსურეთში გამორიცხული იყო, რომ ხევსური ქალი ჯვარხატებს ახლოს მიკარებოდა. თუ მასზე გზა გადიოდა, შემოვლით უნდა გაევლო.

ხატში ქალთაგან ერთადერთი ხანდაზმული ქალი დაიშვებოდა დღესასწაულებისას დიასახლისად, პურის გამოსაცხობად.

ვერა ბარდაველიძე ამ წესს არ ემორჩილებოდა. მკვლევარის ჟინით აღტაცებული შედიოდა ჯვარხატებში და აღწერაზე მუშაობდა. ზოგ ადგილას ეს ხევსურებისაგან უნუმრად ხერხდებოდა, მაგრამ ვ. ბარდაველიძის გამბედაობასა და ჟინს ბოლოს უსიამოვნება მოჰყვა.

ერთ დღეს სამუშაოდ ავედით გუდანში, ხევსურების რელიგიურ ცენტრში. მივაშურეთ ქვეხატს. ცხენებთან ჟორა ნიტაია დავტოვეთ და ხატის შენობაში დავიწყეთ მუშაობა. ამ დროს სოფელში კაცის ჭაჭანება არ იყო. გვეგონა, ვერავინ შეგვამჩნევდა და გულდაჯერებით ვმუშაობდით.

თურმე, როგორც შემდგომში გამოირკვა, მთელი სოფელი ხატის ეანის სამკალში იყო გაკრეფილი და იქიდან გვითვალთვალებდნენ.

ხევსური ბავშვები. 1929 წ.

ჩვენ მუშაობა მოვათავეთ, ცხენებზე შევსხედით და სანეს გადასავალით უკანხადუსკენ გავეშურეთ. გზად მიტოვებული ხატის ნაგებობა შეგვხვდა, რომელშიც აღმოჩნდა ზოგიერთი უნიკალური ატრიბუტი: დროშის ტარები, ბუშტი, შუბი, ჯვრები, ხევისბერის ინსიგნიები. ძალზე დაგვენანა ამ განძს პატრონი რომ არ გააჩნდა და დაღუპვა მოელოდა. გადავწყვიტეთ ერთ-ერთი ინსიგნიის წამოღება. ინსიგნია (ვერცხლის ჯვარი თავისი ძეწკვით) ვერამ (ბარდაველიძემ) ბამბაში გაახვია, ბინტი შემოაკრა და ჩანთაში ჩაიდო.

უკანხადუში მუშაობა არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა.

ამის შემდეგ ვიშოვეთ ორი გამყოლი, ვიქირავეთ ცხენები და დავიწყეთ მზადება შატილში გადასვლისათვის. გამყოლთაგან ერთი ჩვენი კარგი ნაცნობი აღმოჩნდა, ნიჭიერი სახალხო მგოსანი. მისგან უამრავი ფოლკლორული მასალა ჩავიწერეთ.

აკვანთან

ამათ თურმე ჩვენი გაძარცვა გადაუწყვეტიათ. ეს ამბავი სოფელს გაუგია. გამგზავრების დღეს, დილით, კარს მოგვადგა სოფლის თავკაცი, უმალვე შეჰყარა სოფელი და ჩვენი თანდასწრებით შესანიშნავი სიტყვით მიმართა: „სოფელი ერთიპირია, მისი პირისდამრღვევი მოღალატეა. ვინც სოფელს შეურაცხყოფს, სასჯელის ღირსიაო“ და ისეთი სიტყვებით შერისხა სოფლის მოღალატე, რომ ტანში ჟრუანტელმა დაგვიარა.

მოგზაურობამ მშვიდად ჩაიარა. ჩავედით შატილში. მისასვლელში ქაჩუს განთქმული ციხე ვნახეთ. თვით შატილიც კლდეზე აგებული სახლ-კოშკებით ერთ მთლიან ანსამბლად აღიქმება. იშვიათი სილამაზის სილუეტია: სოფელში მისასვლელი კარიბჭე, აღმართ-აღმართ მიმავალი მიხვეულ-მოხვეული გზები, კოშკები. ასეთს ცაში ატყორცნილ ნაგებობებს იშვიათად თუ ნახავს კაცი, სოფლის გარშემო ჯვარხატებია ბორცვზე აშენებული. ცალკე ნაგებობაა საფიხვნო, სადაც სოფელი იკრიბება სჯა-ბაასისათვის სოფლის საჭირვარამო საკითხებზე ან ხელსაქმეზე: ტყვია-წამლის დასამზადებლად, სოფლის სტუმრების მისაღებად და სხვა.

ჩვენი ჩასვლისას სოფელი სადღესასწაულოდ ემზადებოდა. მოელოდნენ ხევსურეთის სხვა სოფლებიდან და ბარიდან მომავალ სტუმრებს. სტუმრებს ვამბობ, თორემ მათი უმეტესობა შატილიდან გასული ან გათხოვილი პირი გახლდათ, რომელთა საგვარეულო სალოცავი შატილში იყო.

შატილიონები დიდი პატივით შეგვხვდნენ, მოგვათავსეს კოშკურა სახლში, რომლის სარკმლიდან არაგვის ხეობა კარგად ჩანდა. მიგვიწვიეს ხატში, სადაც გავეცანი ლუდის დუღების ტექნოლოგიას და მასთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალს, შევისწავლეთ ხატში

არყის გამოხდა

წარმოებული ხანდ-ღესასწაულო წესები. მოკლე ხანში შატილიონების სიმპათია და სიყვარული დავიმსახურეთ. გადავწყვიტეთ ჩვენთვის შექმნილი სასარგებლო სიტუაციით მაქსიმალურად გვესარგებლა.

მენშევიკების დროს შატილში ერთხანს თავს აფარებდნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. მათ აქ მეგობრები გაიჩინეს. სხვათაშორის მათ მეგობრობდა ერთ-ერთი აქაური ხევისბერი აკა ჭინჭარაული. ჩვენ მას მივართვით ფილიპე მახარაძის (ჩვენი დაწერილი) წერილი, რომელშიც თხოვნა იყო, დახმარებოდა ექსპედიციას ხევსურული დროშისა და ხატის თასების შეძენაში. ფ. მახარაძის პატივისცემით ბერი დახმარებას დაგვპირდა.

მოგეხსენებათ, რომ ხატში შეწირული ნივთები შემწირველის სახელზეა განპირობებული. მათი გამოწირვა არა მარტო შემწირველის, არამედ მთელი გვარისათვის ხატის წინაშე დიდი დანაშაულია. ასევეა დროშისა და მისი ატრიბუტების მიმართ, ჯვარ-ხატებში შეწირული საგნების, მით უფრო დროშის გამოწირვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

აკა ჭინჭარაული ჯერ ხატის ხელოსნებს დაეთათბირა, შემდეგ მოიწვია სოფლის ყრილობა, რომელზეც ჩვენც მიგვიწვია. მე მოვახსენე ყრილობას, რომ მუზეუმი ამზადებდა ხევსურეთის გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ხევსურეთის ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი ექსპონატები, რომ ამ გამოფენას დიდძალი მნახველი ეყოლებოდა, შინაური თუ უცხო. იქვე დავძინე, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო გამოფენაზე დროშა და თასები არ ყოფილიყო ექსპონირებული. ვესაუბრებოდი მათ მუზეუმის დანიშნულებაზე და აღვნიშნავდი, რომ მუზეუმი ის ნაგებობაა, სადაც საუკუნოდ ინახება ხალხური შემოქმედების ნიმუშები. ასევე დაცული, მოვლილი და ექსპონირებული იქნებოდა ხევსურული დროშა, რომელსაც ნახავდა და გაეცნობოდა ახალი და ახალი თაობა, მათ შორის იქნებოდა

დროშის შემწირველი გვარის ჩამომაელები. ყრილობას ისიც გავუხაარე, რომ ერთი ხევსურული დროშა ექსპონირებული იყო ლენინგრადის ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ყოვლად დაუშვებელი იყო, ასეთი დროშის არქონება თბილისის მუზეუმისათვის, საქართველოს მუზეუმისათვის.

გაიმართა მსჯელობა. ერთნი დიდი ყოყმანით თანახმანი იყვნენ დაეთმოთ დროშა, სხვები კი კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ: ხატი შემოგვიწყრება და დაგვრისხავსო. ზოგი იმასაც ამბობდა: ამ საგნებით ქალაქელები ხევსურებს დაგვცინებენ და მასხრად აგვიგდებენო.

ჩემს მეორე გამოსვლაში ყურადღება იმაზე გავამახვილე, რომ ხევსურული დროშა მუზეუმში დიდ პატივში იქნებოდა. მას საუკუნეების მანძილზე დაიცავდნენ და მოუვლიდნენ . ვილაპარაკე იმაზეც, თუ მოუვლელობით და დაუცველობით როგორ ნადგურდებოდა ჯვარ-ხატების განძი. გამოვიყენე ხახმატის მაგალითი. 1927 წელს ხახმატში ყოფნის დროს ხატის მსახურებმა მიჩვენეს ხატის განძი და მითხრეს, სულ ეს არისო. მე ეს არ დავიჯერე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ განძის მხოლოდ მცირე ნაწილი მიჩვენეს. მე ხატის მსახურებს ვთხოვე ნება დაერთოთ გადამეღო განძის ფოტოსურათი და შემედგინა საგნების სია. კატეგორიული უარი მითხრეს: სიასა და ფოტოს ჩეკას მიუტან და განძს ჩამოგართმევენო. მაგრამ, აი რა მოხდა, მომდევნო 1928 წელს ხახმატის ჯვარი გაძარცვეს. 1929 წელს ხახმატის ხატის მსახურებს ვუსაყვედურეთ, თუ როგორი დანაშაული ჩაიდინეს, როცა განძი არ ამაწერინეს და არ გადამაღებინეს. ახლა გვიანია და განძი უკვე სამუდამოდ დაკარგულია. აღწერებითა და ფოტოსურათებით ის მაინც შეინახებოდა. ეს დანაშაუ ლი იყო ჩვენი ისტორიის წინაშე.

ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1943წ. სხედან: რ. ხარაძე, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური, გ. ჩიტაია, ალ. რობაქიძე და სხვები

ყრილობას ისიც მოვახსენე, რომ ექსპედიცია მზად იყო გაეღო დროშის და თასების საფასური იმ რაოდენობით, როგორც ყრილობა გადაწყვეტდა.

ყრილობა ყოყმანის შემდეგ დათანხმდა ექსპონატების გადებაზე და ამის შესრულება მიანდო ხატის მსახურებს. რამდენიმე დღის შემდეგ ჩაგვაბარეს დროშა და სამი თასი. დროშა დავშალეთ, მის ნაწილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თასები შევფუთეთ და წამოსადებად გავამზადეთ. იქვე ხევისბერის გადავეცით განძის საფასური და პირობა მივეცით მსგავსი საგნების ასლებს თბილისში დავამზადებდით მათი წარმომადგენლის მითითებით და ერთ ეგზემპლარს ყრილობის წარმომადგენლებს ნავაბარებდით. ამაზე შედგა სათანადო დოკუმენტი. თუ როგორ მოხდა ჩვენი პირობის შესრულება თბილისში, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

აქ ჩვენ დიდად მნიშვნელოვანი მასალა ნავიწერეთ, მათ შორის ფოლკლორულიც. ვ. ბარდაველიძემ ნაიწერა იუმორისტული ლექსი, რომელშიც მოთხრობილია ერთი გაამაყებული ხევსურის შესახებ, თუ როგორ წავიდა თბილისში, ეახლა მთავრობას, როგორი პატივით მიიღო იგი ცაკის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ და როგორ დაასაჩუქრა იგი.

შატილიდან არხოტში გავემგზავრეთ სამი ცხენითა და ერთი ხევსური გამყოლით. არხოტში გადასასვლელად მაღალი ქედი უნდა გადაგვეარა. ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, რომ აგვიხირდა მძღოლი, არხოტში ვერ გამოგვყვებით, იქ მოსახლე მყავს და უკან უნდა გავბრუნდე ცხენებითო. ამ დროს უკვე ადმართზე ვართ, თან ღრუბლები იკრიბება და წვიმას აპირებს. მოგეხსენებათ, მთაში წვიმა რა ძნელი ასატანია. საშინლად გავბრაზდი, რა არ ვაკადრე მძღოლს: მუხანათობა, ლაჩრობა, თან დავემუქრე, რომ მის საქციელს მოელს ხევსურეთს მოვდებდი და შევარცხვენდი. მუქარამ გაჭრა თუ ჩვენმა გაძალიანებამ, რის ვაივაგლახით გამოგვყვა. გზა მეტად ძნელი სავალი იყო, თან წვიმაც, და მომაგონდა ერთი ხალხური ლექსი:

„...ხევსურეთია ძმობილო,
ვერ იზამ ერისთობასა
დაგიწერილდება კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასო...“

მაგრამ მალე ცხენებიც გადაიღალნენ. როგორც იქნა, ავედით ქედზე და დავეშვით ახიელისკენ. გზად გადავეჩეხეთ მწყემსების ძაღლებს, რომლებიც მეცხვარეების ბინებს უვლიდნენ. ნაგაზების ხროვა ნემსკენ გამოემართა. ხელთ არაფერი მქონდა, რომ ისინი მომეგერიებია, არადა სულ ახლოს მოვიდნენ, მოვიხსენი სარტყელი და იმით შევეცადე თავის დაცვას, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ვიღრე მწყემსები გამოჩნდებოდნენ, ერთმა ნაგაზმა ბარძაყში სამი კბილი ჩამასო. ნაკბენი საკმაოდ დიდხანს მტკიოდა.

როგორც იქნა, ნავაღწიეთ სოფელ ახიელს. იქ ძველი მეგობრები გულთბილად შეგვხვდნენ და ყოველგვარი დახმარება გაგვიწიეს. ისიც უნდა ითქვას, რომ გამყოლზე გაჯავრებულმა დამხვდურებს მოვუყევი, თუ როგორ იქცეოდა იგი გზაში მოსახლეების შიშით. გაირკვა, რომ მას მოსახლეც არავინ ჰყოლია ამ სოფელში. გამყოლი მეტად გაწბილებული დარჩა და საოცრად შეწუხდა. მან ადგილობრივი ხევსური მომიგზავნა და მთხოვა, ოღონდ თავს ნუ მჭრი ხალხში და რასაც მეტყვი, შეგისრულებო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ხევსურები დიდად განიცდიან სახელის გატეხას და ყოველი ღონით ცდილობენ პატიოსნებისა და სინდი-

სიერების შენარ-
ჩუნებას. მათ ყველაზე დიდ პატივად სახელის მოხვეჭა მიაჩნიათ.

ხევსურეთის ექსპედიცია გადაადგილებისას. 1951წ.

სოფელში შევხვდით ორ გოგონას, რომლებიც თბილისში სწავლობდნენ და ახალი დაბრუნებულები იყვნენ. მათ ქალაქურად ეცვათ და ამის გამო გაკიცხვას იმსახურებდნენ ძველი თაობის ქალებისაგან. ჩვენ იმასაც კი შევესწარით, თუ როგორ ნერწყვავდნენ და სწყევლიდნენ გოგონებს ქალები. თვითონ კი ჯიუტად ჩაბღაუჭებოდნენ ძველებურ ტალავარს და არ იცილებდნენ. ის ორი გოგონა გახლდათ მელანო ბალიური და ლიზა ბალიური, ნამდვილი გმირები, რომლებიც ყოველგვარ დაცინვას იტანდნენ. მელანო შემდგომში წარმატებით აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო ლიზა მასწავლებლობდა ხევსურულ სოფელში – გომბორზე.

აქ ჩვენ მიგვითითეს, რომ აქაურ ჯვარ-ხატში ყოფილა ალექსი ოჩიაურის მიერ ინგუშეთიდან ჩამოტანილი ორი ბარელიეფი ქვაზე. ამ დროს ალექსი ოჩიაური თბილისში გახლდათ სასწავლებლად სხვა ხევსურებთან ერთად და სოფელში არ იყო.

წამოვედით ახიელიდან უდელტეხილით და სოფელ ბლოს გავლით ბარისახოში ჩამოვედით. ამ დროისათვის ბარისახოში საავადმყოფო დამთავრებული იყო. ეკლესიის შენობაში შეკეთება მიმდინარეობდა, რათა იგი სკოლად გამოეყენებინათ. ჩვენ აღმასკომის ოთახში მოვთავსდით. მეორე ოთახი წვრილმანის მაღაზიას ეჭირა. დავიწყეთ სამზადისი თბილისში წამოსასვლელად და შეძენილი კოლექციების წამოსაღებად, მაგრამ ცხენების შოვნა გაჭირდა. ამას თურმე თავისი მიზეზი ჰქონდა.

ერთ დღეს ჩვენს ოთახში გამოცხადდა სამი ხევსური საგანგებო მისიით. სამივე ჩვენი მეგობარი და ხელშემწყობი. მათ გამოგვიცხადეს, რომ თითოეული მათგანი ცნობილი ხევსურული გვარის წარმომადგენელი იყო: არაბულების, ჭინჭარაულებისა და გოგოჭურების. მათ დავალებული ჰქონდათ ჩვენი ბარგის გაჩხრეკა. თურმე სხვადასხვა სოფლებიდან შემოუთვლიათ, ვერა ბარდაველიძე ჯვარ-ხატებში შედიოდა და იქაური განძი აქვს წამოღებულიო. მე შორს დავიჭირე, რომ ჩვენ არავითარი განძი უნუმრად არ წამოგვიღია და ჩხრეკა დიდ დანაშაულად მიმაჩნია-მეთქი. მივმართე მათგან ყველაზე

უფროსს, აპარეკა არაბულს: ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ეჭვი შეიტანოთ ჩემს სიტყვაში და არ მერწმუნოთ-თქო. აპარეკა, ცოტა ნერვიული იყოს, თვითონაც შეცბუნებული იყო. მითხრა, ასეთია ხალხის ნება და ჩვენ მას ვერ გადაუვალთო. რა უნდა მექნა. მილიციისათვის მიმართვით არაფერი გამოვიდოდა. იმ ორმა თუ სამმა მილიციონერმა, რომლებიც ბარისახოში იყვნენ, ასეთი საქმის გაგონებისთანავე იქაურობას სასწრაფოდ გაარიდეს თავი. ჩემი გაძალიანება არაფერს სიკეთეს არ მოიტანდა. სხვათა შორის პირდაპირ გვეუბნებოდნენ, – განძი გუდანის ქვემო ჯვარიდანაა წამოღებულიო.

ამ საჩოთირო სიტუაციაში რომ ვიმყოფებოდით, ვხედავ, ვერას ფერი წაუვიდა და ნერვიულობა დაეტყო. იგი საშინლად განიცდიდა იმ ამბავს, რომ ეს ხალხი ნახავდა მიტოვებული ხატიდან ჩვენ მიერ წამოღებულ ხევისბერის ინსიგნიას და მათი ბრალდება, ასე თუ ისე გამართლდებოდა. რაც შეეხება გუდანის ხატს, იქიდან ჩვენ არაფერი არ გვქონდა წამოღებული.

გაჯავრებულმა, კოლექციების ჩანთა იქვე ტახტზე დავდევი, გაიხრიკეთ, თუ სინდისი ნებას გაძლევთ-მეთქი, იქვე დავაწყვე შეფუთული ნივთები, ვხსნიდი სათითაოდ და ვაჩვენებ, ეს არის მოპარული, თუ ეს მეთქი. ამასობაში, იმათგან შეუმჩნევლად, ხევიბერის ინსიგნია ტახტის უკან გადავაგდე. რაკი ეს მოვახერხე, შეტევით კილოზე გადავედი, ეს თუ ის მეთქი.

ჯერი შატილიდან წამოღებულ განძზე მიდგა. ამოვიღე ყრილობის დროს შედგენილი ოქმი, აქტი და ხევსურებიც ადვილად დარწმუნდნენ, რომ ნივთები შატილიონების მიერ იყო მოცემული.

ჩხრეკა დამთავრდა. მათ ბოდიში მოგვიხადეს და ჩვენთვის ცხენების მოსაცემად თადარიგის დაჭერას შეუდგნენ.

ეს ამბავი საბედნიეროდ ასე დასრულდა, მაგრამ მოხდა ის, რომ ვერას მღელვარებისაგან მაღალი სიცხე მისცა. ღამით სიცხისაგან აბოდებდა და იძახდა „გიორგი დამალე, დამალეო“. ეს სრულიად არასასიამოვნო ამბავი იყო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩვენს ოთახს თხელი ტიხარი ჰყოფდა მაღაზიისაგან. დილით როცა სავაჭროდ მოვიდოდნენ, თუ ვერას ძახილი შემოესმებოდათ, ისევ ეჭვი იჩენდა თავს და ვინ იცის, საქმე როგორ დატრიალდებოდა.

სასწრაფოდ უნდა მიმეღო ზომები. ავადმყოფი ნაეკლესიარ შენობაში გადავიყვანე. სამ დღეს გაგრძელდა ვერას ავადმყოფობა, და როგორც კი მოიკეთა, ფშავის სოფლებში გადავედით სამუშაოდ. იქაც შევიძინეთ კოლექცია და სოფ. მაღაროსკარიდან ურმით წამოვედით თბილისში. ურემზე მოვათავსეთ ჩვენ მიერ შეძენილი მარცელეულის სათავსი, დიდი მოწნული ორიგინალური გოდორი, რომელშიც ჩვენც თავისუფლად მოვთავსდით. გზაში დაგვიღამდა და ღამე გავათიეთ ორი სოფლის გზის შესაყარზე მდგარ სკოლის შენობაში.

... მცხეთამდე მისვლას სულ რაღაც 3-4 კილომეტრი აკლდა, რომ საშინელი წვიმა წამოვიდა, გოდორმა ვერ დაგვიცვა წვიმისგან, საშინლად დავსველდით. მცხეთაში ერთ-ერთ მოსახლეს მივადექით.

დიდი პატივით მიგვიღეს. ცეცხლთან გავშრით. ურემი თბილისში გავგზავნეთ, ჩვენ კი მატარებლით გადავწყვიტეთ მგზავრობა.

ვიდრე თბილისში შემდგომ მუშაობას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია დავუბრუნდე ხევსურეთს და ერთი ექსპედიციის დროს ბისო-ხახმატის მარშრუტით მგზავრობას. მახსოვს, ჩინებული დარი დაგვესწრო, მოწმენდილ ცაზე დრუბლის ფთილები ირეოდნენ და გასაოცარ გამოსახულებებს ღებულობდნენ. ალბათ, პირველყოფილ ადამიანებს მსგავსი სურათები ათასგვარი წარმოდგენით ჰკვებავდნენ ცის სამყაროს მიმართ.

ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრები: არქ. თ. თოდუა, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე ხევსურებთან. 1951წ.

ბისოში მუშაობის შემდგომ ხახმატში დავიდეთ ბინა იმ მიზნით, რომ აქ რამდენიმე დღე გვემუშავა. ხახმატის წმინდა გიორგი ერთ-ერთი ძლიერი ხატი იყო მთელს ხევსურეთში. ჩვენ ჩავიწერეთ გადმოცემა ხახმატის გიორგის ლაშქრობის შესახებ ქაჯავეთში. მისი დროშის წინამძღოლობით ხევსურთა ლაშქრის გამარჯვება. ქაჯავეთიდან გიორგის მიერ ქაჯების სამჭედლოდან გრდემლის, მარწუხისა და უროს წამოღება ხატში, ამასთან ერთად სამი ქალის წამოყვანა. ეს ლაშქრობა შესანიშნავად იყო დაცული ხალხურ პოეზიაში. გაკეთდა მისი ჩანაწერი, რომლიდანაც მოვიყვან ნაწყვეტს.

ქაჯავეთს რას იარები
გიორგი მგლისაფერაო,
ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რას მკითხავ
ქრისტის დედაო... და ა.შ.

გარდა მეომრების ფუნქციისა, ხახმატის წმინდა გიორგი ითვლება ადამიანის და საქონლის გამრავლებისა და მის მფარველ ღვთაებად. ამ მხრივ ხახმატის წმინდა გიორგის სახელი შორს იყო გავარდნილი. მას ლოცულობდნენ ხევსურების გარდა ფშავლები, ქისტები, დაღესტნელები. ქისტები ფაშატ ცხენებსაც მიურეკავდნენ ხოლმე და გამარჯვებას შესთხოვდნენ, უშვილოებს შესაწირავად საკლავი მიჰქონდათ და შვილიერებას ავედრებდნენ. უშვილო ცოლ-ქმარი ხატის ტერიტორიაზე არსებულ კოშკში ათევდა ღამეს შვილის შეძენის მიზნით. ამ კოშკს რატომღაც მანანილას კოშკი ეწოდებოდა

შუაფხოში ეთნოგრაფებთან

(ქრისტეს ერთ-ერთი სახელწოდება მპნწელი). აქვე ჩვენ დავაფიქსირეთ, აღვწერეთ და ფოტოთი გადავიღეთ სანათლავი კოშკი, რომლის თავზე შევამჩნიეთ ფალოსისა და მისი ატრიბუტის ორი ძეგლი. ყველა ნიშნის მიხედვით კაცის ხელით უნდა ყოფილიყო დამზადებული. ჩვენი ვარაუდით, სალოცავ ხატში ამგვარი ძეგლის არსებობა არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტის დადგენას არა მცირედი უსიამოვნება შეხვდა თბილისში.

ხახმატიდან გამობრუნებულები მცირე ხნით გუდანში შევჩერდით. მთავარი ხატის ხევისბერმა ხატის განძი დაგვათვალიერებინა, თუმცა დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ნაწილი. ვნახეთ უამრავი ი'შვიათი ნივთი (თასები, ჯვრები), ბევრი მოთვანი შემწირველის წარწერით. აქვე ჩავიწერეთ გასაიდუმლოებული ჯვარი - ენის რამდენიმე სიტყვა.

ხევსურული ჯვარ-ხატების განძთან დაკავშირებით ვიგონებ, რომ საქართველოს შავბედობის ჟამს ხატების თავები უმდიდრესი განძიდან გარკვეულ ნაწილს იღებდნენ და სახელმწიფოს აძლევდნენ დაღესტნიდან ტყვეების გამოსასყიდად. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჯვარ-ხატები ფლობდნენ არა მარტო შეწირულობათა განძს, არამედ შეწირულ მამულებს, როგორც ხევსურეთში, ისევე მის გარეთაც, მაგალითად, კახეთში. იქ მოწეული მოსავლიდან მიღებულ ღვინოს (კულუხს) საზედაშედ ხატში ეზიდებოდნენ და დღესასწაულებზე ხარჯავდნენ. მამულების გარდა, ჯვარ-ხატებს ჰყოლიათ მსხვილფეხა საქონელიც, რომლის მეურნეობას ხატის ყმები ეწეოდნენ.

უნდა ითქვას, რომ განძის დაცვა ხშირად ბეწვზე ეკიდა. როგორც ადგილზე გავარკვიეთ, შამილის ჯარების ხევსურეთზე შემოტევის დროს, ხევსურული ჯვარ-ხატების განძი თიანეთის მხარეში გაუხიზნიათ. ცნობილია და ამას შატილში შემონახული ლითონის ფირფიტაზე გაკეთებული წარწერაც ადასტურებს, რომ შამილის ჯარს შატილამდე შემოუღწევია, მაგრამ შატილიონებს მტერი დაუმარცხებიათ და ამის გამო მეფის მადლობაც დაუმსახურებიათ.

თიანეთის მხარეში გახიზნული ნივთებიდან, ერთ-ერთი ღირსშესანი'შნავი ბრინჯაოს აქვამონილი, თიანეთის მაზრის უფროსს ნოლოყაშვილს XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კავკასიის მუზეუმისათვის გადაუცია, სადაც ის დღემდე დაცულია და ექსპონირებულია საქართველოს ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. ამ ძეგლს

აქვს მხედრული ხელით შესრულებული ქართული წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ იგი ხმალას ხატისათვის შეუწირავთ. ცნობილია, რომ ამ სახელობის ხატი ბარისახოს ტერიტორიაზე არსებობდა.

ძველად გახიზნული განძის გზა-კვალს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მიუხედავად იმისა, რომ ცდა არ დაგვიკლია. თიანეთის მხარეში ჩვენი მუშაობის დროს, ზოგიერთი ადგილობრივი სანდო პირის დახმარებით კვალი ტუშურების ხატამდე მივიდა და იქ დაიკარგა. ტუშურების ხატი ერთ-ერთი მთავარი ხატი იყო ამ მხარეში, რომელიც ლაშარის სახელობისაა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მთხობელთა მტკიცებით, აქ აღმოჩნდა ქვაში ამოკვეთილი გიორგი ლაშას ქანდაკება. ეს ძეგლი შემდგომ გამოაქვეყნა ვ. ბარდაველიძემ (იხ. მისი ივრის ფშაველებში, დღიური, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის).

ჩვენ მიერ ნაწერილი გადმოცემის თანახმად, ხახმატში ადიოდა ერეკლე მეფე და ხახმატის დარბაზში გიორგის ებაასებოდა მომავალი ომის შესახებ.

მუცო

თბილისში დიდი სამუშაო გველოდა. ამ დროს მუზეუმის შენობა თითქმის დამთავრებული იყო. უკვე შეიძლებოდა გამოფენების მოწყობა სამხრეთ ფლიგელში. დაიწყო მზადება ზოოლოგიური გამოფენისათვის. ფიტულების ანსამბლს საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტისათვის ამზადებდა გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტი. გამოფენა შესანიშნავი გამოვიდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპონატი – ლილოში მოკლული ვეფხვი, ლენქორანის ლანდშაფტის გარემოცვაში იყო მოთავსებული. აღარას

ვამბობთ სხვა ექსპონატებზე, რომლებიც დიდი ხელოვნებით ელ-
შესრულებული და მაყურებელზე ეფექტს ახდენდა.

ეთნოგრაფიულ განყოფილებას ახალი შენობის მესამე სართულის დარბაზები დაეთმო გამოფენების მოსაწყობად. პირველ რიგში დაიგეგმა ხევსურეთისა და სვანეთის გამოფენები. საჭირო იყო გამოფენა მოგვეწყო წინასწარ გამიზნულ პრინციპებზე დაყრდნობით და მეთოდით, რომელიც გამორიცხავდა რადეს დროინდელ გამოფენის ნაკლოვანებებს.

ხევსურული ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობას საფუძვლად დაედო შრომის, ყოფისა და კულტურის გამოსახვის პრინციპი კომპლექსურობაში. შეირჩა საგამოფენო ექსპონატების კომპლექსები, დამზადდა საგამოფენო კარადები, ფარდები, მოეწყო ხევსურული ბინა, დაიდგა სამლოცველო კოშკები (სასანთლო და საქურუმო). გამოფენის შესავალში ცალკე გამოიფინა ახალი ხევსურეთი, სადაც ნაჩვენები იყო თანამედროვე ნაგებობანი: საავადმყოფო, სკოლა, სასტუმრო, გარდა ამისა ბორბლიანი ტრანსპორტი და მშენებარე საავტომობილო გზა, ახალი კოოპერატივის შენობა. გამოფენას ეკავა 400 კვ. მეტრი ფართი.

ამგვარი გამოფენა საქართველოში სიახლეს წარმოადგენდა და მნახველში დიდ ინტერესს იწვევდა. თუმცა იყვნენ სკეპტიკოსებიც. ინტელიგენციის მცირე ნაწილი კალათების გამოფენას გვიწუნებდა და იგი დასაძრახად მიაჩნდა, იმის გაუთვალისწინებლად, რომ მოწვნის ტექნიკა ხელოვნების საწყისს უკავშირდება.

ეს კიდევ არაფერი. უსიამოვნება სხვა მხრიდანაც გველოდა.

ხევსურეთის ეთნოგრაფიის გამოფენა 1931 წელს გაიხსნა. ამ დროისათვის თბილისში სწავლობდნენ ხევსურები, რომლებიც პროფესიის დასაუფლებლად ჩამოსულიყვნენ. ამათგან ერთი ნაწილი აგვიხირდა: „ჩიტაიას ხევსურები ველურად ჰყავს გამოფენაზე წარმოდგენილიო". ისინი ამტკიცებდნენ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი სასანთლო კოშკის თავზე ფალოსის გამოსახულება ყალბია და ამგვარი რამ ხევსურეთში არ არსებობსო. შეიტანეს საჩივარი ცეკაში.

ცეკას წარმომადგენლები ადვილად დარწმუნდნენ იმაში, რომ ფალოსის კულტი სრულიადაც არ არის ველურობის მანიშნებელი, და რომ ეს კულტი მსოფლიოს მრავალ ხალხში იყო გავრცელებული, მათ შორის ძველ აღმოსავლეთში.

რაც შეეხება სასანთლო კოშკის ატრიბუტების სიყალბეს, მე ვუჩვენე ჩვენ მიერ გადაღებული ამ კოშკის ფოტოსურათი ხახმატის ჯვრიდან. ამით გამოფენა გადარჩა, თორემ ლამის მის დახურვას ითვალისწინებდნენ.

1985 წ.

ფოტო ლ. საფრაზიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933 წლის აჭარისტანის ექსპედიცია*
(დღიური)

ამ დღეებში დაასრულა მუშაობა საქართველოს მუზეუმისა და აჭარისტანის მხარეთმცოდნეობის ბიუროს მიერ მოწყობილმა აჭარისტანის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომელმაც ადგილზე დაპყო თვენახევარი და უმთავრესად იმუშავა ზემო და ქვემო აჭარაში (ხულოსა და ქედის რაიონები).

აჭარის ამ ნაწილში, რომელიც ჩვენი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, მის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მეურნეობა სამი ზოლის სახითაა წარმოდგენილი. მიწათმოქმედება - მესაქონლეობა აქ წარმოდგენილია ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. პირველი – ბარის, (ბარს აჭარლები უწოდებენ ტერიტორიას ზღვის პირიდან – ხულოს ტერიტორიის ჩათვლით), გვერდის და თის, (აჭარლები მთას უწოდებენ თას).

აჭარისტანის ექსპედიციის წევრები: ვ.ბარდაველიძე, ფ.ბარდაფხაძე, გ.ჩიტაია, რ.ხარაძე. სოფ. ეილა ჩეგილი. 1933 წ.

მეორე – ბარის, ყიშლის, მესამე – იალას ზოლის მეურნეობად. აჭარელის ცნობიერებით მთაბარობას ემორჩილება მცენარეულობაც; მაგ., „ვაზი ბარადგილის მცენარეა“. „მენახი თაში არ მოდის, ბარ-ადგილებში იცისო“. საგულისხმო ფაქტია, რომ ისეთი ახალი კულტურა, როგორიცაა სიმინდის კულტურა სავსებით შეგუებულია მეურნეობის ზონალობას და თითოეული ჯიში განკუთვნილია თითოეული ზოლისათვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე იცნობს სიმინდის 17 ჯიშს, რომელთაგან ზოგიერთი ადგილობრივი წარმოშობილობისაა, ხალხური შეჯვარების გზით მიღებული. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებული

* შენიშვნა: 1933 წ. ექსპედიციის მუშაობა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. აჭარაში მდგომარეობა გართულებული იყო. რეაქციული ძალები უტეხდნენ ახალ წყობილებას. განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ქართული სკოლების წინააღმდეგ და მეფრესეების აღდგენას ცდილობდნენ. ექსპედიციის ბაზა იყო ხულოს სასტუმრო, სადაც რამდენჯერმე მოწყვეს თავდასხმა ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, რომელთაც მოსახლეობაში „დელიკანტებს“ ეძახდნენ. იხ. გ. ჩიტაია, ნემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, გვ. 86. [თ. ც.].

იქნეს ბარში – სიმინდი ბროლა, გვერდოში – ჯორიელა ეროვნული ბიბლიოთეკა
ცხვედა, მთაში – წყვიტა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქ-
მედების დარგში ხორბლის ჯიშებიდან აჭარლების მონაპოვარია
ტრედისფერი პურისმარცვალი, რომელიც თითქოს
საქართველოს სხვა კუთხეებში ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

გამოვლინდა გლეხობის ცოდნა ნიადაგის ავკარგიანობის შესახებ.
სარგებლიანობის მიხედვით განარჩევს გელურლი – კარგ
მოსავლიან და ხარიჯ – უვარგის მიწებს; ტენიანს – ჭოჭო,
ჭყორტო, ჭანჭახა და დამპალს; ქვიანს – კაპანი,
ქვავნარი (მსხვილქვიანი), ღორღი (წვრილქვიანი ადგილი);
ნატეკვარი (გატეხილი ახო); შავმიწას – მძიმე, მარილიანს –
ლაშე, ნაკლებ ნოყიერს – სუბუქი, ქვიან, პატარა კენჭებიანს –
კაპნიანი, კენჭიანი. ადგილს, რომელსაც მზე უყურებს –
ზვარე, მოპირდაპირეს – ნდილა. სახნავ მიწებს ყანა ეწოდება.
სათიბად დაგდებულს ჭალა, სათესს – ნაკვეთი.

ადგილზე დადასტურდა, რომ ვერტიკალობასთან შეთანხმებულია
მატერიალური კულტურის ობიექტებიც: სახლი, სახვნელი იარაღი,
რძის დასამუშავებელი იარაღები და სხვა. სახვნელი იარაღების
შესწავლამ დაამოწმა ჯილღის ისეთი ტიპები, რომლებიც მესხურ
სახვნელებთან ერთად ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს.
დადასტურდა აჭარული ჯილღის ადგილობრივი ტერმინოლოგია.
აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი მატერიალური კულტურის ობიექტებისა
უკავშირდება ხევსურულ და თუშურ ობიექტებს. ამავე ხაზით
ექსპედიციამ აღმოაჩინა აჭარის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნე-
ლობის ძეგლები ნაქალაქარ აკვანეთში: ვეშაპოიდები და ციკლოპური
ხასიათის ნაგებობანი, რომლებიც დაახლოებით VIII–IX საუკუნეებს
მიეკუთვნებიან და აჭარის ისტორიის სიღრმეში გვახედებენ. თვით
ეს ნაქალაქარი, აგრეთვე, ნაქალაქარის გალავანი, ასევე ვეშაპოიდები
პირველადაა დამოწმებული.

ექსპედიციამ შეისწავლა, აგრეთვე რელიგიური გადმონაშთები,
მაგიის, კოსმიური და ასტრალური კულტების და დაწინაურებული
რელიგიური სისტემების გადმონაშთები.

გაირკვა დიდი გვარების ნამომავლობის გენეალოგია. მიკვლეულ
იქნა პრიმიტიული ტატუირება, რძით ძმობა, დადასტუ-
რებულ იქნა 37 საგვაროვნო საკუთრების ნიშნები და სხვა.

ექსპედიციამ შეისწავლა ახალი ყოფის შეჭრის გზები და ფორმები
და დიდძალი მასალა შეაგროვა აჭარისტანის საბჭოთა მშენებლობის
ხაზით: კოლმეურნეობა, გზის მშენებლობა, ჯანმრთელობა, განათლება.
განათლების ხაზით, ერთი სკოლა მოდის 290 სულ მცხოვრებზე.
მიმდინარეობს ბრძოლა წყრა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ,
რელიგიური გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის.

ექსპედიციამ ადგილზე მუშაობის დროს დაამზადა დიდძალი
განაზომები, ჩანახაზები, გეგმები, ფოტო მასალა. შეაგროვა დიდძალი
კოლექციების კომპლექსები აჭარისტანის ყოფის ყველა დარგში.
ნაწილი კოლექციებისა გადაეცა აჭარისტანის მუზეუმს, ნაწილი

ჩამოტანილია საქართველოს მუზეუმში, ასევე მოაწყო მოძრავი გამოფენები ხულოს, ქედის რაიონებში.

აჭარისტანის ექსპედიცია ხულოს სასტუმროში. 1933წ.

26 ივლისი. დიდი დავიდარებისა და ვაგლახის შემდეგ გამოვედით ბათომიდან. ბათომში 20 ივლისიდან ვიყავით. შეთანხმებას, შეპირებებს, მოლაპარაკებას და სხდომებს მოუნდა ეს დღეები. ზოგი რამ გაკეთდა ექსპედიციის წევრების მიერ ზოგადი ცნობების ამოკრების ხაზით, მხარეთმცოდნეობის ადგილობრივ ბიუროში. ადგილობრივი მუშაკებიდან მოგვცეს ექსპედიციის წევრად ორი კაცი: 1. იაშვილი ვუკოლ და 2. ნოღაიდელი ჯემალ. უკანასკნელი ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული პირია, ხოლო პირველი დიდი ხნის მასწავლებელია ბათომში; ასწავლის, გეოგრაფიას, ისტორიას, საზოგადოებრივ საგნებს, როგორც თითონ ამბობს, რა გამოვა მათი მუშობიდან ძნელი სათქმელია. ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი – ვ. ბარდაველიძე და რ. ხარაძე 23 ივნისს, ჩამოვიდნენ სოხუმიდან. ჩვენი ავტო ბათომიდან 9 ს 30 წ. დაიძრა. ბათომიდან გზადაგზა აჭარის წყალამდე და აჭარის წყალში დოკუმენტების გაშინჯვა იყო. სინჯავდნენ საზღვრისმცველი რახმელები. აჭარისწყალში მათ კომენდატურა აქვთ მოწყობილი. ვხვდებით გზად მიმავალ აჭარელ ჩალვადრებს, საინტერესო ჩალვადრული კალათა–გოდრებით. ქურთების ურმებს მოჩარდახულს – იალებზე მიმავალთ. კლდეებზე საფუტკრეებია გამართული თიხის გეჯებით. სახლებს თიხის მილები აქვთ სახურავებში. თიხის ხელობა შუახევში უნდა იყოს გავრცელებული. ავტოდან დავინახეთ მეჯურჭლეების ქარხანა, საჭურჭლე ჩარხით. გზა პირობით კარგია. მეტისმეტად მიხვეულ-მოხვეულია და აღმართი. ნაშუადღევის 4 საათზე ხულოში ვიყავით (1200 მეტრი ზღვის დონიდან). მიგვიღეს საკმაოდ ცივად. ადრეე გამოგზავნილი ჩვენი ბარგი და სამი კაცი ცის ამარა დაგვხვდა. ბინა არ მიუცია. ჩვენც უარი გვითხრეს: სკოლას პიონერების ბანაკს მივაქირავეთ, სხვა ბინა არა გვაქვსო. დავდექით სასტუმროში. საწოლი დღე-ღამეში 5 მანეთია. ათი კაცი 50 თუმანი. ამ ხარჯს ვინ გაუძლებს, არც სანოვაგე ჩანს. მთელი აღმასკომი პლენუმზეა წასული. ჩვენი ექსპედიციის ბაზის საკითხი ყირაზე დგება, გამოსავალი უნდა მოინახოს. საღამოს თათბირი გვქონდა ექსპედიციის ძირითად წევრებთან პროგრამის შესახებ. გავინაწილეთ საკითხები. ცნობები მენოეშაშვილს და ნოღაიდელს ნაწილობრივ ამოუწერიათ. ავად

გაგვიხდა ვერა. ეს ყველაფერზე მეტად სამწუხარია. როგორ წავიდა საქმე, ეს ძირითადი თანამშრომელია, რომელიც ბევრს მისცემს ექსპედიციას. ვაი თუ ჩაწვა. ექიმმა მალარია აღმოაჩინა. ნეტავ თუ ასე იყოს. დავწექით 12 საათზე . ხვალ მუშაობას შევუდგებით.

27 ივლისი. დღეს, დეკანაშვილებში წავედით სამუშაოდ. თავიდანვე საინტერესო სოფელი აღმოჩნდა. სოფელს ხუთი მჰ̣ელე აქვს: 1) ბოლქვაძეების, იგივე ომაროღლები; 2) დეკანაშვილი; 3) ათანოღლები; 4) დეკანაშვილები – ყაზანჯოღლები; 5) ბოლქვაძეები ვანაროღლები. სოფლელების ახსნით, თურქული გვარებია ძველი, ხოლო ქართული – ახალი. აღსანიშნავია, რომ გვარებში ანუ ებან მჰ̣ელში – შეიძლება მიღებულ იქმნეს სხვა გვარის პიროვნება, რომელიც ამ გვართან შემოერთებით კარგავს თავის გვარს. მჰ̣ელეს მცხოვრებლებმა დღესდღეობით ნადობა იციან, ურთიერთს შველიან ყანაში, სახლის აგებაში, ტყის სამუშაოებზე. ერთად გადიან ბზის სამუშაოებზე. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სასოფლო გზები ხულოს მახლობელ სოფლებში კარგადაა მოწესრიგებული. ზომიერი დაქანებით, ყველგან განიერი და სხვა. ვფიქრობ ამ საკითხს დეტალური შესწავლა უნდა. საცხოვრებელი სახლი აქ ორსართულიანია. ბინის კომპლექსი შედგება სახლისაგან, ნალიისაგან, საბძელისაგან და ბეღელისაგან. ზოგ ოჯახს ორი-სამი საბძელი ან ორი-სამი ნალია უდგას. აქ ჩვენ ვიხილეთ ერთსართულიანი სახლი უსუნ დეკანაძისა, რომელსაც ხელმოკლეობის გამო ის ვერ დაუმთავრებია ისე, რომ მეორე თვალიც მასზე დაედგა. ეს სახლი აგებულია ძველ ნასახლარზე. რომელიც მთლიანად ქვის ყოფილა. ერთ-ერთი კედელი ქვისა დღემდე შენახულია და ის გამოყენებულია ახალი სახლისთვის. ტექნიკურად ეს ქვის კედელი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის მშრალად ნაგები ყორეა, მიწაში ამოყვანილი, სიმაგრისათვის იმ მიზნით, რომ არ წამოიქცეს, მას ბორკილი აქვს დატანებული ხისა და თავზე დიდი ლოდი ადევს, რის გამო კედლის გადმოზნექვა დაზღვეულია. ამ ხერხის სახელწოდება ბორკილი-ც თავისთავად საინტერესოა. ქვის მშრალად ნაგებ კედელს აქაც ყორე ჰქვია. საძირკველს ბინა ეწოდება. ბინა მიწაში ერთი მეტრია სიღრმით. მისი განი 1/2 მეტრია. ქვის ბინისათვის იხმარება სალქვა, რომელიც ორი ვერსიდან მოაქვთ. მიღებულია ბინაში ფულის ჩადება, რომელიც ყორეში ჩაიდება. იცოდნენ ურბანი, ბინის გაჭრისას - ცხვარი, ხარი; ასევე სახლის დამთავრებისას. ყურბნის სისხლს დაუსობდნენ ბუხრის თავს.

. . .

დეკანაძეების უბანი

ადრინდელი გვარი ვანაროღლი – 5 მოსახლეა. ეს დეკანაძეები ყოფილან ფრენ-ნი (ფრანგები). აქ ახალციხიდან მოსულან. ჩვენი მძღოლის სახელი და გვარია ჯოვანი დეკანაძე. სოფელში ცხოვრობენ ბოლქვაძეები (უმროოღლი) – 8 კომლი, დეკანაძეები (ყაზონჯოღლი) – 15 კომლამდე, დეკანაძეები (დემუნიშვილები) – 4–5 კომლი, ქონიძე (ჰალეიდოროღლი) – 6–7 კომლი.

. . .

ბინის ამოჭრა მიღებულია კვირა დღეს. სასახლის ადგილის ამორჩევა ასე წარმოებს: ამოიღებენ ორმოს, დაფარავენ ქვით და თუ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ქვის ქვემოთ ჭიანჭველები გაჩნდა, სასახლე კარგია.

. . .

„თუ მთვარის ფეხები აღმაა-გვალვაა, თუ არა - ყ ურ ა ღ ი (წვიმაა)“.

. . .

„თუ ახალი მთვარე პარასკევ სადამოს ადრე მოვა, ახალ პარასკევამდე არ შეიძლება არც ლობიოს აკრეფა, არც ხის მოჭრა, არც სათიბში წასვლა, ვინაიდან მთვარე ლბილია, ჩვილია“.



მაჭახელას ხეობა

. . .

„ქ ა შ ა ტ ო ბ ი ს[1] პირველ შაბათს არ შეიძლება დაიძრას თოხი, ნამგალი, არ დაბრუნდება მიწა, არ შეიძლება სროლა“.

. . .

„შ ა მ შ ი რ ა ხ ტ ა შ – ერთგვარი ქვა არის, გველსა აქვს. ვინც იმას ჩაიგდებს ხელში, იმის ოჯახს ბარაქა ემატება“.

ნ ა გ ვ ი ს ტ ო. ნ ა ჩ ა დ რ ე ვ ი დ ა ნ გ ზ ა დ ე ი ლ ა ჩ ე გ ი ლ ი ს ა კ ე ნ.

მოჩანს ეილა გოდერძი და ისმის ზურნის ხმა – დღეობაა ს ე ი რ ა ნ გ ა (შ ე ა მ თ ო ბ ა ანუ მ ე მ ხ ლ ი ა ნ ო ბ ა). არა, შევცდი: ეს „სეირანგა“ კი არ არის, არამედ „ქორწილის“ ღრეობაა - წინადაცვეთის (ს ნ ე თ - დ უ ბ უ ნ ს აჭარლები „ქორწილს“ უწოდებენ). ჩეგილელ მექორწილეს ზურნით მოუწვევია სტუმრად გოდერძელები და ეხლა სტუმრებს ზურნა მიუძღვის მასპინძლის ოჯახისაკენ. როდესაც მოპატიჟებულნი ჩეგილს მიუახლოვდნენ შედგნენ და ზურნამაც მოტივი შეცვალა. მასპინძლები ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით გაეგებებიან სტუმრებს და როდესაც მიუახლოვდნენ, ზურნა მეტად ახმაურდა, ხოლო მომსვლელ-დამხდურები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ქალები ქალებს და კაცები კაცებს. ამის შემდეგ მთელი ამალა დაიძრა მასპინძლის ოჯახისაკენ. ზურნამ მესამედ შეცვალა მოტივი, ცხენოსნებმა ცხენები აათამაშეს და გაახურეს. მასპინძლის კართან ზურნამ საცეკვაო დაუკრა. უცებ წრე შეიკრა და გაიმართა ცეკვა-თამაში, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შეწყდა და მეზურნეები

[1] ქაშატობა – გაზაფხულზე პირველი ხნულის გაკვლევა.

ხხვა სტუმრების მოსაპატიჟებლად გაემართნენ. ჩვენც მივედით ქორწილში. აქ თავი მოუყრია მრავალი ეროვნების წარმომადგენელს: – ქურთებს, აჭარლებს, ხემშინებს, მესხებსა და ჭანებს.

ხემშინებმა აგვრიეს და დიდი ხანი დაგვჭირდა, რომ სიმარ-თლისთვის მიგვეკვლია. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ჭანები არიან, ხოლო ჭანები ხნუბობდნენ – „ჭანები ჩვენ ვართ, ეგენი კი ხემშინელები არიანო“.

ხემშინების ცეკვა ხ ო რ ო მ – წრე, სალამურით წრის შუაგულში ქურთების ცეკვა ქ უ რ თ - ბ ა რ – ნახევარი წრე დაფა-ზურნით. გვერდით აჭარლების ცეკვა ხ ო რ ო მ – წრე, დაფა-ზურნით წრის შუაგულში, სწრაფი ცეკვა ბუქნაობით. ჭანები ხემშინლებთან ცეკვავდნენ. ირწმუნებოდნენ, რომ მათი ცეკვა განსხვავებულია, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ რაშია განსხვავება.

7 ა გ ვ ი ს ტ ო. საინტერესოდ მეჩვენება იმ გადმონაშთების შეკრება სულიერ კულტურას რომ უკავშირდება. აჭარაში სკოლები თითქმის არ არის, ამიტომ მედრესების არსებობა სრულიად ბუნებრივია. ხოჯები ჯერ კიდევ ცდილობენ მოსახლეობაში თავისი გავლენის შენარჩუნებას და ავალებენ ყველა ოჯახს. – ყურბანი დაკლას წელიწადში ერთხელ.

– წელიწადში ორი მთავარი მუსლიმანური დღესასწაულია და მარხულობანი. მარხულობენ სამს თვეს: რ ე ჯ ე ბ ს, შ ა ღ ბ ა ნ ს და რ ა მ ა ზ ა ნ ს. რამაზანში ყველასათვის სავალდებულოა მარხულობა. ამ დროს განსაკუთრებული ლოცვა თ ა რ ა ვ ი ა ა მიღებული. რამაზანის 20 დღე რომ გავა მერე შეუდგება ფ ი თ ი რ ს – უნდა გაიღოს – 800 დრეში პურის მარცვალი ოჯახის სულზე, ეს მარცვალი ღარიბებში რიგდება. ხშირად თვით ხოჯა აცხადებს – ამა და ამ ოჯხს მაგ. 50 კაპ. ფითრა ეკუთვნის. მაშინ ოჯახის უფროსი იღებს და არიგებს ამ საფასურის ფითრას. რამაზანის გათავებამდე (30 რიცხვამდე) იწყება რამაზანის ბაირამი ანუ ფითირ–ბაირამ. 31 რიცხვში ორი ლოცვაა ბაირამისა და მაშინ აჭარელს ფითრი გადახდილი უნდა ქონდეს.

მარხვისას ჭამენ "მაკარონს" და მაწონს; დღე-ღამეში ორჯერ. 12 საათზე („ალა-თურქა") და გათენებას 1 1/2 საათი რომ დააკლდება ხაბან-ილდიზს, ე.ი. დილის ვარსკვლავის გამოჩენამდე. რამაზანს ვინც იჭერს მას, დამატებით 5 ლოცვისა, ხოჯა ალოცებს 20 მუხლს[2] კიდევ. ეს ლოცვა ხდება 2 საათზე (ჩვენებურ 10 საათზე) და ნახევარ საათში თავდება [წრეულს ბაირამი დეკემბერსა და იანვრის შუა ხდება]. ამ ლოცვის შემდგომ ჯამეს მახლობლად მცხოვრები მოსახლეები მოსულ ხალხს თავის ოჯახში ეპატიჟება და ამ წვეულების დროს იმართება ხოლმე ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და სხვა".

რამაზანის შემდეგ 2 თვისა და 10 დღისა მოდის დ ი დ ი ბ ა ი რ ა მ ი ანუ ყ ურ ბ ა ნ - ბ ა ი რ ა მ. პირველ დღეს არაფრის ჭამა-სმა არ შეიძლება. ყურბან-ბაირამის წინა ღამეს ეწოდება – თავისუფალი საღამო. არ მუშაობენ, მთელ ღამეს ისმის თოფის სროლა.

---

[2] შენიშვნა: დამატებითი 20-მუხლიანი ლოცვა ქალებისათვის სავალდებულო არ არის. (ვ.ნ.).

დასახლების ტიპი

ბაირამს დილით, ადრიანი ლოცვაა. დიდი ბაირამის დღესასწაული 3 დღეს გასტანს ხოლმე. ამ სამი დღის განმავლობაში ყურბანი იკვლის, შეძლებული აჭარელი ყოჩს დაკლავს. ძროხას 7 კაცი ერთად ყიდულობს და ყურბანს იზამს. ხშირად თუ ოჯახში შვიდი ძმა ცხოვრობს, მაშინ ერთ ოჯახზე მთელი ძროხის ყურბანი მოდის. გარდა ამისა, ოჯახებში იკვლის წვრილფეხა საქონელიც. საყურბნე ძროხას ერთი წლით ადრე აირჩევენ – ძველი ძროხა უნდა იყოს, რომელსაც ბევრი მოგებული ყავს. დაკვლის დროს ყურბანს თავი ყიბლისკენ უნდა ქონდეს. დაკვლავს ის ვინც ნალოცვა იცის, დაკვლას ხოჯა ესწრება და ხალხი ყურბანის სისხლს ხეხილის ძირებს მიაპკურებს – ხე მოისხამსო.

ჩვეულებრივ ყურბანის დაკვლა ყველასათვის სავალდებულოდ არ ითვლება. ყურბანი უნდა დაკლას იმან, ვისაც წლიური შემოსავლის ზევით გადარჩა 40 მანეთი.

ამავე დროს იციან ზ ე ქ ა თ ი ც – (ზ ე ქ ა თ ი – ქონების შეწირულობა) ვინც გამდიდრდება ქონებას ან ფულს ღარიბებს დაურიგებს.

აგრეთვე შეძლებულთათვისაა სავალდებულო ჰაჯი მექაში წასვლა მოსალოცავად.

დიდ-ბაირამს დაკლული ყურბანი – ძროხა 7-ად ნაწილდება და თითეული ნაწილი მიაქვს ყურბნის მონაწილეს. წაღებულ ნაწილს ის არიგებს ისე, როგორც მას უნდა. ყურბნის თავი ხოჯას რჩება.

დიდ-ბაირამობას (სამი დღის განმავლობაში), დაუშვებელია ხარის ურემში შებმა.

აჭარელი.

ის ქალი, რომელსაც კარგი მზითევი მოყვა ვალდებულია ყურბანი გადაიხადოს.

ამ ორ მთავარ დღესასწაულს გარდა არის კიდევ მესამე მ ე უ ლ უ დ ი თვესა რებიღულ ეველს, რიცხვსა თორმეტსა. ამ რიცხვს, საღამოთი დაიბადა მუჰამედი. დღესასწაული თავდება 30 რიცხვში. მთელი ეს ხანი დღესასწაულია. შეძლებული გლეხი თავის მეზობლებს დაპატიჟებს სახლში და აკითხებს მათ „მეულუდს“. მათ თან ახლავთ 2–3 ხოჯა. ჯერ დაბადების

ამბებს კითხულობენ და შემდეგ სხვა ამბებს. მასპინძლის ოჯახში კითხვის შემდეგ სმა-ჭამა იმართება, რომელიც ბოლოვდება შერბეთით - წყალში გახსნილი თაფლი. ჩვეულებრივ წვეულება სადამოს ვახშამზე იმართება. ასეთი წვეულების გარდა ხდება ხოლმე შემდეგი სახლის დაპატიჟება. რომელიმე გლეხი ჯამესთან გამოაცხადებს პარასკევ დღეს, მეუღლედ მაქვსო. მსურველები მისთვის ჯამეში მეუღლეს კითხულობენ. აქვე მასპინელი აჭარელი ურიგებს მათ შერბეთს ან შაქარს. საზოგადოდ, ამ დღესასწაულში მთავარი შერბეთია. ჭამა-სმა ეს მასპინძლის ზედმეტად დავალებაა.

. . .

იციან, აგრეთვე, კიდევ ა შ ურ ის მ თ ვ ა რ ი ს დღესასწაული, მაგრამ მთხრობელმა არ იცის ამ დღესასწაულის რიტუალი.

. . .

ქრისტიანულ ახალ წელიწადს არ შეიძლება აჭარელმა საქონელს ზურგზე ხელი გადაუსვას – მათ მატლი დაერევაო. ამავე დღეს აჭარელი ახორის ბაგაში ჯ ა ჭ ვ ს // ხ ე ნ ჯ ი ლ ს // ჯ ე ნ ჯ ი ლ ს გაატარებს

. . .

საქონელი გამიმრავლდებაო.

– ყურბანი იციან:

1. როდესაც ნატვრა ან სურვილი აუსრულდებათ, მაშინ – მადლობის ნიშნათ.

2. ავადმყოფის მორჩენისათვის შეპირდებიან ყურბანის დაკვლას და თუ ავადმყოფი მორჩა – დანაპირებს ასრულებენ. ასეთ შემთხვევაში, ყურბნის პატრონი უარს ამბობს ყურბანის ხორცზე - მას არ შეუძლიან ამ ხორცის შეჭმა. ამ ყურბანის დაკვლის დროს ლოცვა არ იციან.

3. ავადმყოფობის დროს (მიზეზად ასახელებენ: „ყურბნის შერია“ – ბრალია ყურბნისა) ავადმყოფს ყურბანს შემოაკლებენ და დაკლავენ. ხორცს ვერც ავადმყოფი და ვერც მისი ახლო ნათესავები ვერ ჭამენ.

. . .

გვალვის დროს იმართება ჰ ა ჯ ე თ ნ ა მ ა ზ. თავს იყრის ერთ ადგილას მთელი თემი, მოწნავენ გოდორს, შიგ რიყის ქვებს დააგროვებენ და ხოჯასთან ერთად წყაროზე (ან მდინარის პირას) დ უ ა ს ი ზ ა მ ენ – ლოცულობენ ღვარისათვის. თითო მუხლ ლოცვის თქმაზე თითო რიყის კენჭს ამოიღებენ გოდრიდან და წყალში ჩააგდებენ. როდესაც ამბობენ გაწვიმდიო – აწეული აქვთ ისე, რომ ხელისგული ძირსაა მოქცეული (ხელის ასეთი დაყენება გულისხმობს ზემოდან ქვემოთ წვიმის წამოსვლას).

. . .

ღვარის დროს გამოსააამინდებლად სოფელი ერთად ხარს იყიდის და სასოფლოდ დაკვლავს, ან კიდევ რამდენიმე სოფელი ცალ-ცალკე ჯამესთან ხარებს მორეკავს და აქ დაკლავს. ხორცს თითონაც ჭამენ და აგრეთვე ღარიბებს ურიგებენ.

ქ ე ფ ჩ ა ხ ა თ უ ნ (ციცხვის დედოფალი) გვალვის დროს ქალის მსგავსად შეკაზმავენ ციცხვს, ეს არის „ქეფჩა ხათუნი“. წაიღებენ

მას ბავშვები (40 ბავშვია ერთად) და ოჯახ-ოჯახ დადიან, კარზე მდერიან:

„ლაზარ მოადგა კარსა,
აღარცალებს თვალსა,
ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი
შეგვინახე მზისა თვალი."

ყოველი ოჯახიდან მათ გამოაქვთ ერბო ან თაფლი, კვერცხი და სხვა. შეაგროვებენ ყველაფერ ამას და შემდეგ თვით შეექცევიან.

. . .

გვალვის დროს ხოჯა შეკრებს ბავშვებს და მათთან ერთად მიდის მთა-გორის წვერებზე, დაიკლის მათ ლოცვა-ვედრებით „წვიმა მოიყვანეთ", რაზედაც ბავშვები ერთხმად დასძახიან „აამინ". მთაგორების წვერების მოვლის შემდეგ, ასეთივე წესით ისინი დადიან მოსახლეთა კარ და კარ; მათ აძლევენ თაფლს, კარაქს, ყველს, კვერცხს და სხვას. დაგროვილი სანოვაგიდან ბავშვები აკეთებენ „მახრაკულს" და სხვა გემრიელ საჭმელს და შეექცევიან, – ამის შემდეგ უსათუოდ გაწვიმდება.

. . .

გვალვის დროს ხოჯა ჩადებს ღელეში ცხენის თავს და ზედ რაღაცას დაეწერს – გაწვიმდება.

თუ წვიმამ აღარ გადაიღო ხოჯას ბრალია, დავიწყებია და ცხენის თავი ღელედან აღარ ამოუღია.

„წ ყ ი ლ ე ბ ი ს დ ა ყ ვ ე რ ვ ა" ეს 20 მარტის ამბავია. ამ ღამეს ოჯახში შემოყრიან თოვლს და თან ამბობენ.

„მარტი, მარტი, მარტოცი,
აქეთ რწყილი არც ერთი,
გურიას ნიჩფით სახვეტი."

. . .

თესვის დაწყების წინ, აპრილის სამშაბათს აჭარაში იციან ყანული ე.ი. ყანაში მარცვლის გადაყრა.

. . .

აპრილის პირველ შაბათს აჭარელი დასთეს ყანაში, ფეხით არ გადავა, – თუ ფეხი დაედგა საყანე მიწას, ამ დღეს – ყანას ღვარვა წაახდენს.

. . .

სოფელ გეგელიძების მცხოვრებნი (ცხმორისის თემი) ყოველ წელიწადს წყაროსთან ხარს დაკლავენ. ეს წესი ძველიდანვე დარჩენილა. პირველად სოფელ გეგელიძებში წყარო არ ყოფილა, მაშინ მცხოვრებლებს ხარი დაუკლავთ და იმ ადგილას წყარო გაჩენილა. მას შემდეგ ისინი ყოველ წელს ასრულებენ ამ წესს.

უ ნ ხ ო შ ა - ქვის ხიდია. აქ რომ წყალი ადიდდება უჩხოშელები ხარს დაკლავენ და ამ ადგილას წყალი კლებულობს.

. . .

ხემშინელ ქალებს აქვთ ტატუირება სახეზე 4 წერტილი, რომელთაგან ერთი წერტილი შუბლზე აქვთ, მეორე ნიკაპზე და თითო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო ლოყაზე. ტატუირებას ისინი უწოდებენ დ ე ნ ე ლ ი-ს, მაგრ. თქმით ამას იკეთებენ სილამაზისათვის.

. . .

ხიხაძირის სოფსაბჭოს მხოლოდ ორ სოფელში მახაოლაკაურში და მუნსუიში არ არის ჯამე. – დანარჩენ სოფლებში კი ყველგანაა.

. . .

მედრესეები სოფსაბჭოს ფარგლებში (ხიხაძირისა) არის:

1) ხიხაძირში
2) კვატიაში
3) ვერნებში
4) ფუშრუკაულში
5) რაკვთაში
6) თხილვანაში
7) ბაკოში
8) სკვანაში

. . .

ღორჯომი. ჯამეს მუთეველი აჰმედ ყურიენთელი ადაიძის თქმით ღორჯომის ჯამეს ყავს 800 კაცი მლოცველი, ხოლო კომუჯრედის მდივნის რწმუნებით – 2000 მლოცველი.

მ უ თ ე ვ ე ლ ს, რომელიც დაყენებულია ჯამეს დამსუფთავებლად და ყურისმგდებლად დანიშნული აქვს ქირა თითოეული მლოცველისაგან ექვსი შაური წელიწადში.

. . .

ახალ წელიწადს აჭარლები საქონლის ბაგაში ხ ე ნ ჯ ი ლ ს (ჯინჯილს) გაატარებენ. ამას გარდა ამ დღეს არ შეიძლება საქონელს ზურგზე ხელი გადაუსვან, – არ ვარგაო.

. . .

ოთხშაბათობით საქონელს არ „გაიტანებენ“ ე.ი. არ გაყიდიან. – კარგია მიწის საძირკველის გადგმა კვირა დღეს. აჭარლებმა იციან საძირკველში ფულისა და საქონლის ბეწვის ჩატანება.

. . .

ღორჯომში არის 1 ჯამე, რომელსაც ყავს ორი ხოჯა, მუთეველი და მედრესე, რომელიც უმაღლეს სასწავლებლად ითვლება (ოფიციალური ცნობით თითქოს მედრესე დღესდღეობით აღარ არის).

. . .

„ღა ავათ ვინმე იქნება, ღა რამე შეგვხვდეს თექამ ყურბანი უნდა ქნა“, მაგრამ ამის შესახებ ჯერ ხოჯას დაეკითხებიან.

თამბაქოს გამზადება გასაშრობად.

. . .

„ქაშატობა“ უქმე დღედ ითვლება. მოძრავი დღეა, მაგრამ უფრო ხშირად აპრილის პირველ ხუთშაბათს მოდის. ამ დღეს არ შეიძლება ხარით და რკინით მუშაობა, თუ ეს წესი ვინმემ დაარღვია მის მოსავალს კოხი, წყალდიდობა და ქარი გააფუჭებს (ღორჯომი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ღორჯომში ჩაწერილი, ყოველდღიური ლოცვა:

1. საბახნამაზი – ლოცვა. დილით მზის ამოსვლამდე. ჩვეულებრივი მლოცველი აჭარელი მას უნდება 15 წამს. საბახნამაზი შედგება 4 მუხლისაგან – სუნნეთი 2 მუხლი და ფარძი 2 მუხლი

2. ეულა – შუადღის ლოცვა, შედგება 10 მუხლისაგან. 4 მუხლი სუნნეთი, შემდეგ 4 მუხლი ფარძი და ბოლოს ისევ სუნნეთი 7 მუხლი. აჭარელი ლოცვას ანდომებს 10–15 წუთი.

3. იქინდი – დაღამებამდე 3–2 1/2 საათი რომ დარჩება. შედგება 4 მუხლისაგან – ოთხივე ფარძაა. აჭარელი მას უნდება 15 წამი.

4. ახშაენამაზი – მზის ჩასვლის ხანს ლოცვა, შედგება 5 მუხლისაგან – ფარძი 3 მუხლი და სუნნეთი 2 მუხლი.

5. ფასი – ლოცვა დაწოლის ხანს (შუადამისა). შედგება 9 მუხლისაგან – ფარძი 4 მუხლი, სუნეთი 2 მუხლი და ფითრი 3 მუხლი. აჭარელი მას უნდება 25 წამი.

ყოველ ამ ლოცვების წინ აჭარელი იღებს ა ბ დ ე ს ს – გარკვეული წესის დაცვით იბანს ხელ-პირს და ფეხებს, ამ პროცედურას ჭირდება არა ნაკლებ 5 წამისა.

ა ბ დ ე ს ი სრულდება შემდეგი წესით და თანმიმდევრობით:

I. აჭარელი ხელებს იბანს.

II. პირში სამჯერ წყალს შეისხამს.

III. წყალს სამჯერ ცხვირში შეისხამს .

IV. პირს დაიბანს.

V. მკლავებს დაიბანს.

VI. სველ ხელს თავზე გადაისვამს.

VII. ყურებში თითებს გამოისვამს.

VIII. ყურებიდან თითებს ყბის ძირას გამოაყოლებს.

IX ფეხებს დაიბანს.

პარასკევ დღეებში „ე ულ ა ს“ ემატება 2 მუხლი და ლოცულობს: პირველად სუნნეთის 4 მუხლს, შემდეგ 2 მუხლს ჯუმას. ხოჯა ალოცებს და ბოლოს ლოცულობს 4 მუხლს ფარძს.

რამაზანის მარხვაში ერთი თვის განმავლობაში სწარმოებს დამატებითი ლოცვა ფ ა რ ა ვ ი, რომელიც შედგება 20 მუხლისაგან და იყოფა ოთხ-ოთხ მუხლად. ფასსა და ფ ა რ ა ვ ს ერთად ლოცულობენ. ფასის სუნნეთებს თვით აჭარელი ილოცებს, ხოლო ფარავსა და ფარმას – ხოჯა.

ხვნა

სუნნეთი მუჰამედის საჩუქრად მიაჩნიათ, ფარმი კი ღმერთის. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენნეთს ხოჯა ვერ ალოცებს – აჭარლებმა თვით უნდა წარმოსთქვან სუნნეთის მუხლები. საზოგადოდ აჭარელს შეუძლიან უხოჯოთ შეასრულოს ყველა ლოცვები გარდა ჯუმასი – ჯუმა უსათუოდ ხოჯამ უნდა ილოცოს.

რამაზანის მარხვაში ჩვეულებრივ მიღებულია ეასის სუნნეთები თვით აჭარელმა შეასრულოს, ხოლო თარავი და ფარძი მას უნდა ხოჯამ ალოცოს.

სოფ. ღორჯომში ჩავიწერეთ თვეების და დღეების სახელწოდება.

იანვარი	შაფათი
თებერვალი	კვირა
მარტი	ორშაფათი
აპრილი	სამშაფათი
მაისი	ოთხშაფათი
ქირეზაჲ - ივნისი	ხუთშაფათი
ჩურუგაჲ - ივლისი	ჯუმა
მარიობისთვე - აგვისტო	
ენკენისთვე - სექტემბერი	
ღვინობისთვე - ოქტომბერი	
გერგობისთვე - ნოემბერი	
ქრიშობისთვე - დეკემბერი	

. . .

ჭვანის ხეობის სოფელს ნაღვარევს აქვს მომქმედი ჯამე და მედრესე.

. . .

სოფელ ინწკვირეთში – ჯამე და მედრესე. მთხრობელი: მედრესეში სწავლობენ 7 წელიწადი და მეტიც. როდესაც ბავშვები მცირე წლოვანები არიან გოგო-ბიჭები ერთად სწავლობენ.

. . .

წარნაქი ეწოდება ერთგვარ წითელ თიხას (ამ თიხისაგან აკეთებენ წამალს). მას გადაასხამენ ხოლმე საქონელს, როდესაც მათ ეილებზე მიერეკებიან – საქონელს თვალი არ ეცემაო (დუზ-ჭვანა)

. . .

მომქმედი მედრესეებია წყლისსაყარის სოფ. საბჭოს შემდეგ სოფლებში: ბრილი, ხაბელაშვილი, ინწკვირეთი + ჯამე, ნაღვარევი + ჯამე.

სასუქის გატანა „ბორძღოხიზეკით“

დუზ-ჭვანას სოფ. საბჭოს შემდეგი სოფლებში: ახალდაბა, ცხემლისი, ჭალა, წყاროთა, ზემოხევი, ბარათაული+ ჯამე, დუზ-ჭვანა + ჯამე (ცენტრალური), ვანი.

ცენტრალურ ჯამეს ეავს ხოჯა. თითო სო-

ფელში ამორჩეულია 2 კაცი და მათ ევალებათ შეშის მოტანა-დამზადება. სხვა სამსახურის გაწევა ჯამესათვის.

. . .

მედრესეებში დანიშნულნი არიან **მ ო ნ დ ე ბ ი** – ხოჯას თანაშემწეები. წვიტიები (8–15 წლამდე ბავშვები) სწავლობენ მედრესეებში საერთო ლოცვებს. სწავლა მედრესეებში სწარმოებს 11ს-დან 4 საათამდე. მოლა ასწავლის: 1) დამენჯაუს - I შესავალი ნაწილი (ანბანი), 2) შემდეგ ზეპირად სწავლობს ლოცვის თავებს, 3) ყურანი – განმარტავს მოლა ყურანის ყველა საკითხს. მთავარი წიგნი ეს არის, ყველაფერს ამით სწავლობენ. 4) ცენტრალურ მედრესეში ასწავლიან წერასაც. ჩვეულებრივი მედრესეები მუშაობენ უმთავრესად ზამთრის პერიოდში, ცენტრალური მედრესეები კი მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტლად.

როდესაც მოწაფეს ხოჯა შეასწავლის ყორანის ერთ თავს „ფასს“,

. . .

მან (მოწაფემ) მასწავლებელს უნდა მიართვას სანუქარი. ქადა, ყველი, ფაღი და ცოცხალი ცხვარი. ფასის სწავლას ერთი წელიწადი სჭირდება.

სხვა გადასახადი ხოჯა-მოლებისათვის ხალხზეა განაწილებული. თუ სოფელში ხოჯა ან მოლა არა ყავთ, მაშინ სოფელი იწვევს მას ზამთრის მთელი პერიოდით, დაუქირავებს ოთახს, და იქ მასთან აგზავნის თავის ბავშვებს სასწავლებლად.

მოლობისთვის ემზადებიან 5–6 წელიწადს. ის დადის სასწავლებლად მთავარ ხოჯასთან. მოლად გახდომის შემდეგ ის მიემგზავრება ისტამბულში და იქ იღებს ხოჯობას. ისტამბულში ამისათვის ის რჩება 6–7 წელიწადი. ჭვანის თემის მთავარი ხოჯა ჰუსეინ-ეფენდი ფუტკარაძე ნამყოფია ქააბეში.

თ ე ს ჰ ა – კრიალოსანი. ლოცვის დროს გარკვეულ მომენტში კრიალოსნით ლოცვის მუხლებს გადაითვლიან, ან ერთ და იმავე ლოცვის წარმოთქმისას მათ რაოდენობას თესჰით ამოწმებენ.

აჭარისტანის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოძრავი გამოფენა. 1933 წ.

ს ო ფ. კ ო რ ტ ი ვ ლ ი (მერისის თემი). ჩავიწერე წელიწადის თვეები და დროები:

განცხადებითვე თათრ. ზემჰერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაღ, ჩურუგაღ, მარიობითვე, ენკენითვე, წიფობითვე, ქეჩუგიაზი – ნოემბერი, ყარაყიში. (შავი ზამთარი) - დეკემბერი.

ნალია
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ქართველი ქალი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ზაფხული – ქირეზაი, ჩურუგაი.
ზამთარი: გაცხადებითვე, თებერვალი, ყარაყიში.
გამოსული: მარტი, აპრილი, მაისი.
თველი: ენკენისთვე, წიფობისთვე, მუწუგიაზი.
ამავე მთხრობელმა – ზამთარი: ყარაყიში, ზემერი და ქუჯუგი. ზაფხულის გაგება მეტად სუსტი აქვს. „თველიდან გამოსულამდე სულ ზამთარია“.
გამოსული: მარტის მეორე ნახევარი, აპრილი მაისი (ნაყოფი გამოდის და ამიტომ ქვიან გამოსული).
ნამდვილი თველია: წიფობითვე, ენკენია.

. . .

– მერისში ხოჯა ქალია – ყეიმეთაი ბეჟანიძე, სოფელ საწუმპიაში ცხოვრობს - აქ მუშაობს, ბავშვებს ასწავლის.

. . .

ამრიგად,
1) წლის განმავლობაში აჭარელი ლოცულობს განუწყვეტლივ 22 დღე ანუ 527 საათი.
მუსულმანური ოფიციალური რელიგიის წესის თანახმად. აგრეთვე
2) ყოველი აჭარელი მოვალეა წელიწადში ერთხელ ყურბანი დაკლას – 1 დღე.
3) თითოეული შეძლებული აჭარელი „ფითრი ბაირამს“ ფუხარა ხალხისათვის გაიღებს ოჯახის სულზე – 800 დრემ პურის მარცვალს
4) „ფითრი ბაირამის“ დღესასწაული: სმა-ჭამა მოლხენა – 5 დღე
5) „ყურბან-ბაირამის“ წინა დამეს „არაფა“-ს უქმი საღამო – უქმი საღამო.
6) ყურბან ბაირამის დღესასწაული (ხარის შებმა არ შეიძლება) – 3 დღე.
ყურბანი (ყოჩი-შეძლებულზე, ძროხა 7 კაცზე – ერთი) – 1 დღე.
7) „ზექათი“ ქონების შეწირულობა ან ფართლის დარიგება ღარიბისათვის – 1 დღე.
8) მეულუდი (დაპატიჟება, შერბეთი, გამასპინძლება) – 1 დღე.
9) აშურა – 1 დღე.
სულ 35 დღე.

ყურბანი:
1) ავადმყოფობის დროს – 1 დღე.
2) ნატერის ასრულებაზე – 1 დღე.
3) „ჰაჯეთ-ნამაზ“ გვალვის დროს – 1 დღე.
4) წვიმიანობას, სასოფლოდ ერთი ხარის დაკვლა – 1 დღე.
5) წყალდიდობას, ხარის დაკვლა – 1 დღე.
სულ 5 დღე.

წელიწადში 40 დღე უქმეა გლეხისათვის.

1933 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმუშავა ბაღდათის, ქუთაისის და ჩხარის რაიონებში. ამათგან უმთავრესად ის მუშაობდა ბაღდათის რაიონში, სადაც მას მოუხდა ხანგრძლივად ყოფნა და შედარებით სტაციონარული ხასიათის მუშაობის ჩატარება.



ექსპედიციის მარშრუტი.

ექსპედიციის მიერ შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტი: ტფილისი – ქუთაისი – ბაღდათი – წითელ-ხევი (სადემეტრაო) – ვანი – ფარცისოული – კაკას-ხიდი– ხვალასკური – ზეკარი – კიბეეთი – ხანი – კიკნავველეთი (საკრაულა) – ზეგანი – ბაღდათი – ქუთაისი – სიმონეთი – ძევრულა – ჩხარი – სკანდა –ზესტაფონი – ტფილისი.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდა: ორი ეთნოგრაფი (ვ.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია), ორი ასპირანტი (ნ.რეხვიაშვილი, გ.ჩანაშვილი – საწარმოო პრაქტიკის მიზნით), მხატვარი (ნ.ბრაილოვსკაია), არქიტექტორი (მ.პოპოვი) და ფოტოგრაფი (ხ.ბაღდადლიშვილი). ექსპედიცია მუშაობდა ერთ თვეს.

ექსპედიცია მიზნად ისახავდა საკვლევი რაიონის მოსახლეობაში შემონახული მატერიალური კულტურისა და ხალხური რელიგიის გადმონაშთების შეგროვებას.

საგნის შესახებ არსებულ ლიტერატურაში დამოწმებულია ბაღდათის რაიონისათვის ვახის უძველესი კულტურა. ასევე, ამავე რაიონის არქეოლოგიური ნაშთებიც ძველ კულტურახე მიგვითითებენ. ამას ერთვის ცნობები რაიონის ისტორიულ შარაგზახე მდებარეობის შესახებ (ხეკარი – აბასთუმანი).

ბაღდათში ჩასვლის უმალვე ექსპედიცია შეეცადა გასცნობოდა საბჭოთა დაწესებულებებში რაიონის წამყვან მეურნეობათა მაჩვენებლებს და გამოენახა თავისი მუშაობისათვის გამოსადეგი დამხმარე ძალები.

1. გამოირკვა, რომ ბაღდათის რაიონის ძირითად წამყვან მეურნეობად ითვლება მეევნახეობა შემდეგ სოფლის საბჭოებში: ბაღდათი, დიმი, როკითი, ვარდციხე, წითელი-ხევი, ფერსათი, როხი, ობჩა I და II.

2. ამავე სოფლის საბჭოებში მემინდვრეობა დამატებითი სახის მეურნეობაა.

3. რაიონის მთიანი ზოლის მოსახლეობაში: ზეგანი, საკრაულა, ხანი, ზეკარი, წაბლის-ხევი – უმთავრესად მისდევენ მემინდვრეობას, ხოლო ზეგანსა და საკრაულაში მეევნახეობა წარმოდგენილია ფართოდ.

4. მთიანი ზოლის მოსახლეობიდან ხანსა და ზეკარში მემინდვრეობასთან ერთად მესაქონლეობა (მეცხოველეობა) წამყვან როლს თამაშობს.

5. ცალკეულ სოფლებში მოიპოვებიან ხელოსნები: მჭედლები, დურგლები და სხვა.

ამ მონაცემებისა და რაიონის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ექსპედიციისათვის შედარებით იოლი შეიქნა სამუშაო პუნქტების დადგენა. რაიონის ძირითადი ხეობებიდან ექსპედიციამ იმუშავა: კარის-წყალზე, ხანგის-წყალზე (ბაღდათის ზემოთ) და საკრაულაზე. ამ ხეობებიდან ექსპედიციამ ყველაზე მეტი დრო ხანის საზოგადოებაში დაჰყო. ექსპედიციის მიერ აქ მრავალი გადმონაშთი იქნა ფიქსირებული. ეთნოგრაფიული მასალის სიუხვის გამო ექსპედიციის წევრებმა ამ საზოგადოებას იმერეთის ხევსურეთი უწოდეს.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ექსპედიციამ შედარებით ადვილად შეძლო დამხმარე ძალების ადგილობრივ გამოძებნა (გიორგი ახვლედიანი და სხვები).

ექსპედიციის წევრებს შორის მუშაობა განაწილებული იყო ასე:

1. მატერიალური კულტურის გადმონაშთების შეგროვება – ერთი ეთნოგრაფი და ერთი ასპირანტი (ჩიტაია და ჩაჩაშვილი). ჩაჩაშვილს ამ დარგიდან მიეცა სპეციალური თემა – ხელოსნობა.

2. ხალხური სარწმუნოების გადმონაშთების შეგროვება - ერთი ეთნოგრაფი და ერთი ასპირანტი (ბარდაველიძე და რეხვიაშვილი). რეხვიაშვილს მიეცა სპეციალური თემა: დემონოლოგია. შრომის

ამგვარი დანაწილება გულისხმობდა მუშაობის უმთავრეს და უპირატეს გვს თითოეული მუშაკისათვის. მუშაობის პროცესში ყოველი ნვენგანი ობიექტთან შეფარდებით მასალას აგროვებდა საკუთარი თემის გარეშეც. დამხმარე ტექნიკური ძალები გამოყენებული იყვნენ საჭიროების მიხედვით, ექსპედიციის მუშაობის ორივე დარგში. ექსპედიციამ შეაგროვა მასალები შემდეგ თემებზე:

1. საცხოვრებელი ბინა და სამეურნეო ნაგებობანი. პირველ რიგში დადგინდა კარმიდამოს კომპლექსი და შემდეგ სათითაოდ გაიხომა და აიგეგმა კომპლექსის ცალკეული შემადგენელი ნაწილები სახეების მიხედვით. კარმიდამოს კომპლექსში წარმოდგენილია: სახლი, ბოსელი–ახორი, ნალია, სახიმინდე, ხულა, ჭურ–მარანი, საქათმე, საღორე, ცხვრის ბოსელი, ქარცა (დახურული ფიცრული, ცალმაგი სვანეთში), კორომა, აგრეთვე ძელური და კარავი.



იმერული კაის ქუსლის ერთი ვარიანტი.

გაირკვა სახლის შემდეგი სახეობანი: კათხა–სახლი, ძელური, სუკიანი (ლინგიანი), ფიცრიანი, აფრიანი, კუნჭულიან-გოგიანი (ბიგი-პოსტაკონი), ქუბიანი, სათოფურიანი და დადგინდა ფაცხის მრგვალი სახის უძველესი ფორმა.

ასევე შესწავლილი იყო სახლის აგების ტექნიკა და საწარმოო იარაღები: შესმული, ხაზიანი, ნარბანდიანი კედელი და იატაკი, ქილუქი, ყურე, ბარამბული, სუხანე, მერჩი, ჭალა და ქალაბანი (კარის ზედა და ქვედა ზღურბლი), გონებური, გონტური, ლირსი, ნასული, ნაორთხალი და სხვა. სახლის კომპლექსთან ერთად შეგროვდა ლაზური ორნამენტების მასალა, ხეზე ნამუშევრობის საინტერესო ნიმუშები. ს. ხანში ლაზების ნაგებ სახლებზე აღმოჩნდა წარწერა ქართული და თურქული: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“. რაიონში სამი ძმა ყოფილა (ომერი, ახმედი და მუსტაფა), რომელთაც აქ უშენებიათ ლაზური სახლები. მათი მიბაძვით ადგილობრივ უსტებსაც ასეთი სახლები უკეთებიათ.

სახლის საკეთებელი იარაღებიდან რაიონის ამ ზოლში დადას-

ტურდა ე.წ. ქართული ცული, იმერული ცულის ტიპის არსებობის გვერდით.

შესწავლილი იყო აგრეთვე კერის კომპლექსი თავისი ზესხვანოჯინჯალითუით.

2. მიწისმოქმედების კომპლექსი. ახალპირის, ტევრის, ახოს ანუ უკი ყანის ალება: გახოსვრა, გაჩეხვა, მოწვა, შემოყვერვა, დათესვა გათერძეითურთ. თესვის წესი, ხვნა და სახვნელი იარაღები: იმერული კავი და ყურიანი კავი, მაღალი და დაბალი კავი. ყურიანი კავი მთიან ზოლშია მოცემული. შესრულებულ იქნა 6 განახზომი და ჩანახატი სახვნელის ქუსლის ვარიანტებისა. კერდიანი, ეშვიანი (სვლივა), სამჭრელო, შუბიანი და სხვა. დადგინდა, აგრეთვე სახნისის სახეები: საბლარი და საქეიე. ეს უკანასკნელი კეთდება რკინისაგან ფოლადის შეურეველად.

პურეულებს შორის (თავთუხი, ხოტორა პური, ყირმიზულა, ქუბი, ფეტვი) იმერული პურის არსებობა დამოწმდა. შემდეგი კვლევა გაარკვევს ამ მარცვლეულის სახეობას.

მუშაობა ფარცისოულში აღმოჩენილ მონოლითზე

მხალეულის 22 სახე იქნა ფიქსირებული და შესწავლილი იყო მათი საჭმლად გამოყენების წესები (ადამიანთა და ფრინველთათვის).

მეექვსეულობის ხაზით ლიტერატურაში უცნობი ვაზის ოთხი ჯიში დამოწმდა.

1. მანათიანი (თეთრი საადრი).
2. მელოური (თეთრი საგვიანო).
3. ენძელაძის შავი.
4. კირწმაგარა (სიმონეთში).

გარდა ამისა, ცოლიკაური წარმოდგენილია აქ ორი სხვადასხვა სახეობის: ბაზალეთ-ცოლიკაური და მელქო-ცოლიკაურის, ანუ თოლიკაურის სახით. ამათ გარდა:

1. ქართულა – თეთრი, გრძელ მარცვალა ყურძნის ჯიში, ჩვენ მიერ დამოწმებულია სვირის რაიონში, ლიტერატურაში ამ ჯიშის სახელია მხოლოდ ცნობილი, ხოლო მისი აღწერილობა და გავრცელების არე არ არის მოცემული.
2. კუნდა-წვანე-თეთრი, ლიტერატურაში ცნობილია

„კუნძა“-დ. მისი გავრცელების არედ მიჩნეულია ყვირილისა და ძირულას ხეობა. ჩვენი ცნობებით ყურძნის ეს ჯიში მოიპოვება ბაღდათის რაიონში, სადაც ის ძველის-ძველ ჯიშად არის მიჩნეული და ყველაზე უკეთ სოფელ ხანში გვარობს. ვაზის ხოგიერთი ჯიში, სხვა პროვინციებში ცნობილი, ჩვენ საკვლევ რაიონშიაც გავრცელებული აღმოჩნდა: ტრედისფეხი, დონდღლაბი, ანდრასოული, კაბისტონი, ციცკა.

ამავე რაიონში ფიქსირებულია გარეული ვაზი ძღვლამი, რომლის ყურძენს მწყემსები ღვინოდ აყენებდნენ. მაღლარების ჯიშები აღმოჩნდა: ასადასული, შესაური, ალიკარტი, ფლანგა. ვაზის კომპლექსის სხვა საკითხებიდან აღწერილ-შესწავლილი იყო: მოშენება, მოვლა, რთველი, ღვინის დაყენება (საწნახელ-საქაჯავი), შენახვა და სხვა.

3. მესაქონლეობის კომპლექსი. გაირკვა მესაქონლეობის სამი ხოლი. ბარული (ზამთარსა და გაზაფხულის პირად ჭალაში), ზეგნური (აპრილი, მაისი, წიფობისთვე-გურთაში), მთური (ტიტველაში – ივნისი-ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) და შემდეგ ისევ ზეგანი და ჭალა. ამ ხოლებთან შეფარდებულია მეჯოგე-მწყემსის ბინაც – ჭალაში და ტიტველაში – ძელური, ზეგანში – კარავი. რძის დაკვეთას აქ დარკინვა ეწოდება. მსხვილფეხა საქონელი აქ უპირატესად მეგრული ჯიშისაა. აქვეა იმერული ცხვარი, რომელსაც მოკლე კუდი აქვს, მეგრული ცხვრის კუდთან შედარებით. იმერული ცხვრის შესწავლამ უნდა გაარკვიოს მისი ურთიერთობა მეგრულ ცხვართან. ცხენის ჯიშებს აქ ეტყვიან ქურთულს, ყაბარდულს და მეგრულ-იმერულს.



ფარცისოულში აღმოჩენილი მონოლითი

4. მონადირეობისა და მეთევზეობის კომპლექსი. მოკლული ნადირის განაწილების წესი: საშუბარი და საძმო. დადგინდა მონადირეობის კოლექტიური ფორმების გადმონაშთები; აგრეთვე, ნადირობა შუბებით, ჯიღა-მშვილდით და კოდალა-მშვილდით. თევზაობა: ხელით, ანკესით, ბადით (სასროლი, კუნჭულიანი სახობავი), მარცახით (კვარით და ენინჯელით), გოდრით, ფაცერით, ხოკით, „ბომბით“, თხემლის ფოთოლით, ნიგვზის კანით და ლაფნის ფოთოლით.

5. გადასაყვან და გადასახიდ საშუალებათა კომპლექსი. აღწერილი იქნა: კვანდრიკები (ქოჭი ხევსურული), თხილამური, კოჭამარხილი, ხარდნის მარხილი, ფრჩხილა || ლაშკინი, ძარმარხილი, ჩოჩიალა ურემი, მაღალი ურმები, ჩალანდარი და ჩალანდრობა, ხიდის სახეები, ოჭივარი და სხვა.

6. ხელოსნობის კომპლექსი. ა) კერამიკული წარმოება, განსაკუთრებით ჭურების დამზადება (ყუბარი, ქვევრი, ჭური), ქურა და სხვა; ბ) მჭედლობა. წარმოების პროცესი, პროდუქცია, დაღები და სხვა; გ) მეყავრეობა; დ) მოწვნა; ე) ქვის დამუშავება, ვ) საქსლედგიმი, ქსოვის წესები (კაკალა, ოროლეი, დანძურაი) და მეაბრეშუმეობა.

7. ამასთან დაკავშირებით ფიქსირებული იყო სასოფლო და საგვაროვნო საკუთრების ნიშნები ხეზე – თარჯები: O, + III (კიბი); საფუტკრეებზე – „დაჯვარული“, საქონლის ყურებზე – ნამორი და ჩაფრატნილი.

ხალხური სარწმუნოების გადმონაშთების ხაზით: 1. მონადირეობისა და მეთევზეობის კომპლექსიდან: ნადირის მწყემსი – სოლამცახა || სილამცახან ||ხსილამცახარ; წმინდა ევსტატე, გრიგოლ ზღვისა და წმინდა ლარსა. ამათგან პირველი სახელი წარმოითქმის მონადირისა და სხვა პირის შეხვედრის დროს მისალმების მაგიერ. ასევე, პირველად თევზის დაჭერის დროს მეთევზე დაიძახებს მაგიური მნიშვნელობის

სანთეთია ზეკარიოთან

/ბუბა/



სიტყვას „ასასა“, მეთევზე დაუდგამს შესაწირავს წმინდა ლარას წყლის პირად ბუნქებში ღვინით ჭინჭილას და სხვა.

2. დემონოლოგიის კომპლექსიდან: ტყის ქალი, ქაჯი ანუ ქვისროლია – წყლის და ჰაერის, ქაჯები, ჭინკები. ფიქსირებულია მოთხრობები: ქაჯებთან ბრძოლა, ქაჯის საყვარელი, კაუეტი, ჯადოები და სხვა.

3. შვიდეულის დღეები. მთვარის ხანიერება და მასთან დაკავშირებული ხალხური შეხედულება. ვარსკვლავთა სახელები და თქმულებები მათ შესახებ.

4. დარ-ავდართან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები: გონჯაობა, ჭაჭუეთის წყალი, სამხთო.

5. ზვარაკ-შესაწირავთან დაკავშირებული ლეგენდები: კურო-ირმის შესაწირავის შესახებ, ყოველწლიურად ირმის მოსვლა ხატში, ბერიეთი (ხვალასკურში) და კარუგდებელი (ტყელაში). კარუგდებელის ქურდების შესახებ. ლეგენდები ცხრათა ძმათა ნაჟამართა, ძაღლთაპირებისა და თედორეს ქვაბის შესახებ.

6. აღიწერა დღესასწაულების წლიური ციკლი, 51 დღეობა. დადგენილ იქნა მათი ვარიანტები. გაირკვა სათემო, საძმო სქესასაკობრივი დაჯგუფების, საოჯახო და ფარული დღესასწაულები. ამათგან სათემო დღესასწაულები პატრიარქალური ხანის მძლავრი ნაშთებითაა აღბეჭდილი. სათემო დღესასწაულის ნაწილი განკუთვნილია ცალკეული გვარებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი საკუთრივ სასოფლო დანიშნულებისაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საძმო დღესასწაულები სოფელ ხანსა და ზეკარში, სადაც ამ დღესასწაულებს მხოლოდ მამაკაცები იხდიან.

ამავე კომპლექსის ნაზით აღწერილია: „საპურშაო“, მიწის საწირავი, ყეენობა, მარიეშლობა || მარიამშენობა ბუჯირის || თაროს ლოცვა და სხვა.

დაზვერვის მიზნით ექსპედიციამ გზადაგზა იმუშავა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებზე. რეგისტრირებული იყო სალხინოს საკულტო ძეგლი. აქ ნახულ იქნა სამარხები, რომლებშიც ნაპოვნი იყო ბრინჯაოს სამაჯურები და ქანდაკება (პრიაპი). რეგისტრირებული იყო ნაციხვარი (ციხეთი) „დიმში“, ვანის ეკლესია (ნანგრევი) ფრაგმენტული ფრესკებით, ფარციესოული, სადაც ქრისტიანული ხანის ძეგლებს გარდა (ქვაჯვრები და ჩუქურთმები) გზის პირად აღმოჩნდა უთუოდ წარმართული ხანის საკულტო დანიშნულების მონოლითები. ეს ადგილი ჩანს უძველესი ნაქალაქარი, რომელზედაც შემდეგში ქრისტიანული საკულტო შენობა უნდა მდგარიყო.

ფიქსირებული იყო კახორის ეკლესია საინტერესო ჩუქურთმებით, ფრესკების ფრაგმენტებით და ორნამენტიანი საფლავის ქვებით.

ნაციხვარი კიბეეთი (ზეკრიდან ზემოთ), სადაც ოქროს მძებნელებს უთხრიათ და საგრძნობლად დაუზიანებიათ ძეგლი. – საწვეთია ზეკართან, სადაც რამდენიმე წლის წინათ ნაპოვნი იყო კოლხური (კობანის) ტიპის ბრინჯაოს ცულები. ამათგან ორი ჩვენ მიერ იქნა შეძენილი. ეს ადგილიც ნაქალაქარი ჩანს. აქ არის „კინის ჯვარი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ნაჯამარი“. ამათ გაღმა „ციხიეთია“. ადგილის კონფიგურაციის მიხედვით აქ ფართო კულტურული ფენა ჩანს და მისი გათხრა საჭიროა.

ზეკარ-ხანიდან საკრაულასაკენ მიმავალ გზაზე აღწერილი იყო კინკლეთის ფერდობზე ყრით ნაგები კედელი ნასოფლარში „როსტომანად“ წოდებული და „თხილარა“-ში მშრალად ნაგები ორთვალიანი სახლი.

„ძველრეულაში“: – პალეოლითის ხანის გამოქვაბული – „საგვარჯილო“ და ეგრეთწოდებული „ტარიელის ციხე“, რომელიც ექსპედიციამ გახსნა.

იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცი
მარცხნიდან: ლ. გაბუნია, რ. თოდუა,
ს. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი 1963 წ.

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ ექსპედიციაში მონაწილე ასპირანტების მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ექსპედიციის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ხელისუფლება. ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა ახალგაზრდობა. ამათგან ერთი, ბნელ ღამეში სახიფათო გზით წამოვიდა ექსპედიციის მისაშველებლად. აგრეთვე, კარგად გვხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ექსპედიციის მიერ ჩამოტანილია:

1. ჩანაწერები 10 რვეული
2. სურათი შესრულებული ფერებში 32 ცალი
3. ჩანახატი ფანქრით 241 ცალი.
4. თარგი 2 კომპლ.
5. გეგმები და ჭრილები 45 ცალი.
6. კარმიდამოს გეგმა 4 ცალი.
7. ფოტო გადაღება: 9X12 430
   ლეიკით 75 მეტრი.
8. ბრინჯაოს და კერამიკის კოლექცია.

1937 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1972 წლის ზაფხულში კურორტ საირმეში შევხვდი ალექსანდრე არსენის ძე მახარაძეს, რომელიც მაიაკოვსკში ცხოვრობს. მისი ბაბუის ბაბუა გურიიდან მოსულა ბაღდადში და აქ დასახლებულა ბატონყმობის დროს. ახლა ამათი გვარის 25 ოჯახია ბაღდადში. ალექსანდრე მახარაძე ზაფხულობით ამოდის საირმეში და აქ ეწევა საქმიანობას: აქვს სიმინდის ყანა, ბაღჩა, ქოხი. ამ უკანასკნელს ეტყობა აქირავებს მოაგარაკეებზე. ის ყოფილი ტყისმცველია და ამ მიდამოებს კარგად იცნობს. აქაური ძველი ამბებიც ახსოვს. მან წამიყვანა მახლობელ მთაზე, რომელსაც მ ა მ ა თ ა ეწოდება. აქ მან გვაჩვენა ძველი ნამოსახლარები და ქვევრები. აქვეა ქვის ყორეები, ნაშალი შენობის კედლები. მათზე 300–400 წლის ხეებია ამოსული. ერთი ქვევრთაგანი ჩაკირული ჩანს. ქვევრის ნამსხვრევები ნიმუშად წამოვიღე.

ალექსანდრემ კარგად იცის კ ა კ ა ს ხ ი დ ი ს მდებარეობა ხანისწყალზე, მეზობელ ხეობაში, სოფ. ხანი. სოფელში რკინის მეორე ხიდიცაა ნიკოლოზის დროს აგებული. გადმოცემით იცის, რომ მაიაკოვსკში იყო ბაზარი, სადაც ტყვეები იყიდებოდა და მერე ხანისწყლის ხეობის – გზით კაკას ხიდზე გავლით, ზეკარის გადასავალით მესხეთში გადაჰყავდათ და იქიდან – თურქეთში. საირმის ხეობიდან ზეკარით აბასთუმანში გარდამავალი გზა ჩვენ დროშია გაყვანილიო 1942 წელს, სამხედრო მიზნით, ამბობს ალექსანდრე, ეს გზა უერთდება ხანის-წყლის (კაკისხიდის) გზას ზეკართან. ალექსანდრე მოგვითხრობს, რომ მამათის იქით ნაეკლესიარია, აგრეთვე ძველი ნასოფლარები. იქიდან გადმოდის ელექტროსადგურის ხაზი. იგი ემსახურება კურორტ საირმეს. საირმის ხეობაში წყალსადენიც არის, სადაც შენობების ჯგუფია, იქვე წყალვარდნილია, ხოლო იმას იქით – „ქოხი და წითელი მიწა“ (წითელი მინდორი).

იმერეთის ექსპედიცია. ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ს. და გ. ჩაჩაშვილები, ნ. ბრაილაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, მ. პოპოვი და სხვები. 1936 წ.

1936 წელს, როდესაც ჩვენი ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა ბაღდადის რაიონში, ჩვენ არ ვყოფილვართ საირმის ხეობაში, იმის გამო, რომ ამ ხეობაში დასახლებული ადგილები არ იყო. აქ მეგრელებს გაყავდათ ჯოგები საზაფხულოდ და საზამთროდ ისევ ბრუნდებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოში. ესენი იყვნენ გვარად მესხიები და ფიფიები. აქ დასახლება გაჩნდა საირმის სამკურნალო წყლების აღმოჩენის შემდეგ.

საყურადღებოა, რომ ოცდაათიან წლებში აქაურ მთებში დასახლებულან მესხიები თავიანთი ჯოგებით და მუდმივ მობინადრედ ქცეულან. მართალია მათ ახლა ჯოგები არ ჰყავთ, მაგრამ ფუტკრის დიდი მეურნეობა შეუქმნიათ და კარგადაც ცხოვრობენ.

თავის დროზე ჩვენ დავბეჭდეთ ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში (ენიმკის მოამბე, ტ. II,3 ნაკვეთი 1940 წ.). ამ ანგარიშში ხანისწყლის ნაგებობების აგების ტექნიკისა და სამუშაო იარაღების შესახებ ნათქვამია, რომ არის ნაგებობები: შესხმული, ხახიანი ნარბანდიანი (კედელი და იატაკი), ქილუქი, ყურე, ბარამბული (გარანდული), სოხანი//სუხანი, ჟალაფაქალაბანი (კარის ზედა, ქვედა ხღურბლი), გონბური (გონიოში გამოყვანილი?), გონტური, ლირსი-ანი, ნასული, ნაორთხალი. იარაღებიდან: ქართული ცული, იმერული ცული.

ხოლო რაც შეეხება ნაგებობების სახეობას, ანგარიშში წერია: „პირველ რიგში დადგინდა კარ-მიდამოს კომპლექსი და შემდეგ სათითაოდ გაიზომა და აიგეგმა კომპლექსის ცალკეული შემადგენელი ნაწილები სახეობათა მიხედვით. კარ-მიდამოს კომპლექსში წარმოდგენილია: სახლი, ბოსელი, ნალია-სასიმინდე, ხულო, ჭურ-მარანი, საქათმე, საღორე, ცხენის ბოსელი, კარავი. სახლის სახეობანია: კათხის სახლი, ძელური სახლი, სუკიანი ანუ ლინგიანი, ფიცრული, აფრიანი, კუნჭულიან-გოგიანი ანუ პისტი, პოსტაკონი, ქუბიანი, სათოფურიანი, მრგვალი ფაცხა. ყოველივე ამასთან ერთად კერა თავისი ზესხვანოჯინჯალით.“

ექსპედიციამ იმუშავა შემდეგ სოფლებში: მაიაკოვსკში, ზეკარში, ხანში, კიბეეთში, კიკნაველეთში და სხვა.

ხანისწყლის ხეობის შესახებ ვახუშტი წერდა: „ვარციხის ზეით ერთვის რიონს ხანისწყალი. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩრდილოთ და მიერთვის რიონს სამკრიდამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმათა ციხე თხემლის ხისაგან ქრისტესა ჩდგ (1703), ქართ ტჟა (1312+391=1703). ამისათვის უწოდეს იბერთა თხემლის ციხე და პირველ ეწოდა ბაღდადი. არამედ შემოდგომად აღიშენეს ქვითკირისა, და დგანან აწ ოსმალნი იენგიჩრით, და არს სავაჭრო ყოველნი, გარნა უფროს ტყვენი (ამ წყალზედ ციხის სამხრით, ფერსათის კალთას არს მონასტერი გუმბათიანი კეთილ შენი, და აწ უქმი:) ამ წყალზედვე მთაში არს კაკას ხიდი, ფრიად მაღალ კლდესაზედა და გზა სამცხისა, არამედ მოიგო სახელი წყალმან ამან დაბისაგან, მას ზედვე მყოფსა, რომელსაც უწოდებენ ხანსა. ხანის-წყლის აღმოსავლეთით და

ყვირილას მდინარის სამკრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, [illegible] ჰყო პირველმან მეფემან ფარნავაზ ციხე მტკიცე და აწ არს დაბა."

მაგრამ, თუ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი ვახუშტის დროს (1745 წლამდე), 1769–1770 წლებში იმერეთის მეფეს სოლომონს გაუნთავისუფლებია თურქებისაგან ქუთაისი (1769), ხოლო 1770 წელს – ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი. ჟორდანიას ქრონიკებში (ტომი III, გვ. 624,) ვკითხულობთ: „1769 წ. რუსი მივიდა იმერეთს. აქა რუსის ჯარმა და მეფე სოლომონ ქუთაისი აიღეს ფერისცვალებას. ამაევ წელს ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი აიღეს." აქ მოხსენიებული რუსის ჯარი ის ჯარია, რომელსაც ტოტლებენი მეთაურობდა. იგი იმერეთში აღმოჩნდა ასპინძის ბრძოლის ველიდან გამოპარვის შემდეგ.

ხანისწყლის ხეობის ისტორიის გასათვალისწინებლად საყურადღებოა კაკას ხიდის მნიშვნელობის შესახებ ხალხში დარჩენილი გადმოცემა. ხალხში დარჩენილია თქმა „კაკას ხიდი გაიარა", რაც იმას აღნიშნავს, რომ საქმე უიმედოა, მისი გამობრუნების იმედი არავის ჰქონდა. თუ ქვემო იმერეთში მოტაცებულ ტყვეს მდევარი კაკას ხიდამდე მიუწეოდა, კიდევ იმედი უნდა ჰქონოდა მისი გადარჩენისა, მაგრამ თუ ტყვე კაკას ხიდს გაივლიდა, მისი უკან დაბრუნების იმედი აღარ იყო. ეს იმიტომ, რომ კაკას ხიდის გადმა თურქების იანიჩრები იდგნენ და იმათთან მიყვანილი ტყვეების გათავისუფლება შეუძლებელი იყო, მდევარი იქნებოდა საფრთხეში ჩავარდნილი, თვითონ ტყვედ არ ჩავარდნილიყო. როგორც ცნობილია, სოლომონ მეორე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაექცა რუსეთის მთავრობას. ის ჯერ აგიაშვილების სახლში გაიხიხნა, შემდეგ ზეკარის გადასვლით ახალციხეში გადავიდა.

უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა ამ ხეობის მოსახლეობა მაინც ახერხებდა ცოტათი თუ ბევრად ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვას და კულტურულად დაწინაურებას. ამას მოწმობენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომლებიც ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით გამოირჩევიან და რომლებიც ამჟღავნებენ ხალხური შემოქმედების დახვეწილ გემოვნებას, დიდ უბრალოებასთან ერთად მისწრაფებას რაციონალობისა და დანიშნულების ერთობლივ შერწყმას, ოპტიმალურად სრულყოფას.

ის სახლი, რომელიც სოფ. ხანში იდგა და ამჟამად ღია ცისქვეშა მუზეუმშია ექსპონირებული, ჩვენ მიერ იყო 1936 წელს აღწერილი. მას ჰქონდა წარწერა, რომელიც ჩვენ გადმოვიწერეთ და გამოვაქვეყნეთ. წარწერა იკითხებოდა ასე: „ბათომის გუბერნიის არჰაბეს ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი". ხალხს ახსოვდა, რომ ხანში იყო სამი ძმა ომერ, ახმედი და მუსტაფა, რომლებიც სახლების მშენებლობით იყვნენ დასაქმებულნი და მათი მიერ აშენებული სახლი ბევრია არა მარტო ხანში, არამედ მთელ ხეობაში. იმის მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წარწერაში მოხსენებულია ბათომის გუბერნია და არჰაბეს ვილაიეთი და ცნობილია თუ როდის იქნა შემოღებული ამგვარი ადმინისტრაციული სახელწოდებები, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახლი აშენებული უნდა იყოს რუსეთ-თურქეთის ომის 1877-1878 წწ-ის შემდეგ, ხოლო ბოლო თარიღად უნდა მივიჩნიოთ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი.

ჩვენ სხვა წყაროებიდან კარგად ვიცით, რომ ლაზ ოსტატებს დასავლეთ საქართველოში ბევრგან უშენებიათ სახლები, მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე, ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიაც გადადიან. ხანის სახლის ამგები ოსტატი ლაზია.

არჰავი მდებარეობს ზღვის სანაპიროზე სოფასა და ფინდიკლის შორის. მას მუსაზადეც ეწოდება, ასეა აღნიშნული თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციულ რუკაზე. ენათმეცნიერებაში ცნობილია ლაზურის არქაბული დიალექტი. სოფ. ფილარგეთი რუკაზე არ არის აღნიშნული (ცნობა მომაწოდა ნადარეიშვილმა 6.12.72 წ.)

აქვე მოვიყვან აკად. ს. ჯიქიას ბარათს: „ძვირფასო ბატონო გიორგი, აკად, ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბეში (ტ.I, თბილისი, 1937 წ.) მოთავსებულია იოსებ ყიფშიძის სტატია „საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს“. ამ საანგარიშო მოხსენების 153-ე გვერდზე წერია: „ჯგირია-ზენი-არჰაბეს რაიონში (ჯიხა). არჰაბეს რაიონი – სოფ. ფილარგეთი. ამის შემდეგ კიდევ 155-ე გვერდზე მოცემულია სია არქაჰეში შემავალი სოფლებისა, რომლის მე-5 ნომრად წერია - ფილარგეთი. ამ სოფელში ნაჩვენებია 86 კომლი და 133 სული მოსახლეობა. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი, რომელშიც აგრეთვე ჩამოთვლილია სოფლის სახელები (ლაზეთისა), ამჟამად ვერ ვნახე.“

1972 წ.

1938 წ. ლეჩხუმის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1938 წლის აგვისტოში საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიუავი ლეჩხუმში ეთნოგრაფიული ყოფისა და ისტორიული ძეგლების წინასწარი გაცნობის მიზნით. მუშაობის დაწყებისას ჩვენი წინადადებით ცაგერში შემოგვიერთდნენ და ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს:საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მეცნიერ მუშაკმა ფ. ქიქოძემ და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა მხატვარმა ვ. მახარობლიძემ.

ექსპედიციის მარშრუტი იყო: ცაგერი, ორბელი, ლაჯანა, ლაილაში, თაბორი, ჭილეში, ორპირი, ალპანა, საირმე, ლაბეჭინა, უდაბნო, ტვიში, ხვამლი, ოყურეში, ცაგერი.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა ცხრა დღე (6–15 აგვისტომდე).

მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ლეჩხუმში შემონახულია მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი. ამათგან ნაწილი პრეისტორიულ და ნაწილი ისტორიულ ხანას ეკუთვნის.

ექსპედიციამ დაადასტურა, რომ ლეჩხუმში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, მრავალი გამოქვაბულია დაცული. მათგან ერთი ნაწილი ბუნებრივი ქვაბულების სახითაა შემონახული, ხოლო მეორე ნაწილი ადამიანის ხელით დამუშავებული ჩანს. ბუნებრივი ქვაბულების ერთი რიგი კლდის ნაპრალებიდან შექმნილი უნდა იყოს, ხოლო მეორე – კლდის ჩარდახის შთაბეჭდილებას ტოვებს. კულტურულ-ისტორიულად ქვაბულების ერთი წყება უნდა ეკუთვნოდეს ქვის ხანას, მეორე, ვარაუდით, ძველი აღმოსავლეთის ქვაბულების სახისაა, ხოლო მესამე ფეოდალურ-ქრისტიანული ეპოქის ძეგლებია.

ხვამლის გამოქვაბულები

სამეცნიერო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი აღმოსავლეთის ტიპის ქვაბულებს. ამ ტიპის ქვაბულები ხეთურ-ურარტულ კულტურას

[1] შეად. R. Leonard, Paphlagonia, Brl, 1915, გვ. 242-263

უკავშირდებიან[1] და ამდენად ქართველი ტომების უძველესი კულტურის გენეზისის პრობლემების რკალში შედიან. ასეთ ქვაბულებთან ეპოქალურად ახლო დგას ის არქეოლოგიური განათხარი მასალა, რომელიც ბრინჯაოს ნაჯახების, თოხების, სამაჯურებისა და სხვათა სახითაა წარმოდგენილი სოფ. ზოგიშიდან, სოფ. ცაგერადან და სოფ. ცხეთადან. აქ ნაპოვნი ნაჯახები კოლხურ-ყობანურისა და ამაზონური ტიპისანი არიან. ეს საგნები ძველი კოლხეთის კულტურულ მონაპოვარს შეადგენენ და ამდენად ამჟღავნებენ ქართველი ტომების როლს ლითონის დამუშავების ტექნიკაში. ქართველი ტომების წვლილი ლითონის დამუშავების საქმეში ცნობილია სხვა მონაცემების მიხედვითაც; ლეჩხუმური მასალა ამ აზრს ახალი ფაქტებით აძლიერებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლეჩხუმში ბრინჯაოს საგნებთან ერთად ნაპოვნია ლითონის ზოდები და აჭეები. ეს უკანასკნელნი ნიშანდობლივ მიგვითითებენ ლითონის საბადოებისა და მადაროების არსებობაზე დგილობრივ, კერძოდ კი, სპილენძის საბადოებზე. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს (ზოდები და აჭეები ნაპოვნია ჩიხაშსა და ბატონისოულში).

ასევე მნიშვნელოვანია ფეოდალურ-ქრისტიანული ხანის გამოქვაბულებიც. მათდამი ინტერესს ის გარემოება აძლიერებს, რომ ვახუშტის ცნობით „ხომლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები.“ ნარინ დავითმა და დავით მეხუთემ „ხვამლის ქვაბსა, რომელი იდვა მცირე გამოიღეს და გაიყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს“[2] (მარ. ქ. ცხ., გვ. 677). ჩანს, ეს ქვაბი სახელმწიფო საგანძური ყოფილა. ხვამლში გამოქვაბულები ქრისტიანულ-ფეოდალური ხანისა მრავალია. აკად. ბროსეს ცნობით, თითქოს დადიანს სახელმწიფო საგანძური XIX საუკუნეში გაუთხრია, მაგრამ ვერა უპოვია რა. გადმოცემით ზოგიერთ გამოქვაბულში უპოვიათ ბიზანტიური ფულები და სხვა საგნები. სამეცნიერო კვლევა გათხრებითურთ გაარკვევს როგორც ქრისტიანული ხანის გამოქვაბულებს, ისევე ხეთურ-ურართულისა და ქვის ხანის გამოქვაბულებს და მათი გამოყენების სახეებს ადამიანის მიერ. ქრისტიანულ-ფეოდალური ხანის გამოქ-

ნახატი კლდეზე. ხვამლი

[2] საქართველოს პალეოლითის ხანის გამოქვაბულების სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ იხ. С. Замятнин, Пещерные навесы. Мгвимеви. Новые следы наскальной палеолитической графики в Закавказьи. Советская археология, т.III, 1937 г.

ვაბულებს ლეჩხუმში ემოხვევა მრავალი საკულტო ძეგლი და ნიშანი.

ექსპედიციის მიერ ფიქსირებულ იქნა შემდეგი ქვაბულები: მური ხიდთან, ორპირში, ღვირიშში, ტვიშში, ორხვში, ხვამლ'ში (მრავლად) და სარეწკელაში. უძველესი ხანის არქეოლოგიური პუნქტებია: ცხეთა, უსახელო, სურმუში, ზოგიში, ცაგერა, ორბელი, ლაცორია, ოყურეში, ღვირიში. ქრისტიანული ხანის საკულტო შენობები შემონახულია: მაქსიმეს ეკლესია, ცაგერის ეკლესია, ცხეთა, ლეშკაში, ორბელი (ფრესკოვანი), ლაილაში (სამრეკლო), თაბორი (ნუქურთმები, ფრესკები), ლაბეჯინა (წარწერიანი და ფრესკოვანი), უდაბნო, ცაგერა, გონი (ქვის კანკელით), ხვამლი (მონასტრის ნაგებობანი), ნაკურალეში (ფრესკოვანი), ნამარნევი (მონასტერი), ლუხვანო, გვესო, სპათაგორი და ფარელი. აკლდამები: ორბელი, თაბორი, ზოგიში, გონი, ლაბეჯინა და ლუხვანო. ციხე-კოშკები: მური (გვირაბით), ორბელი, გვესო, ლეშკაში, ზუბი, დეხვირი, უწვაში, (ნაკურალეშსა და ხვამლს შორის), ზოგიში, ლუხვანო, უსახელო (დადეშკელიანისეული) და ქაჯეთის ციხე, აგრეთვე ნაქალაქარი კლდეშავა.

საკულტო შენობების უმრავლესობა გადაკეთებული ჩანს. მაგალითად, თაბორის ეკლესიის კედლებს უწესრიგოდ დატანებული აქვს ნუქურთმიანი ქვის ფრაგმენტები და მოხატული ქვები. მასზე დადგმულია ნაგებობა, რომელიც მთელ ეკლესიას კოშკის სახეს აძლევს. ქვის ნუქურთმები XII-XIII საუკუნეების უნდა იყოს. ასევე გადაკეთებულია ლაბეჯინას ეკლესია. მის კედლებში დატანებულია ნუქურთმიანი და წარწერიანი ქვები. წარწერების უმრავლესობა ფრაგმენტული. ერთ-ერთი (ჩრდილოეთის კედელი, დასავლეთის კუთხე) მათგანი იკითხება ასე:

ᲮᲘ ᲫᲔᲓᲚᲘ ᲗᲣᲛᲪᲘᲗ ᲨᲪ
ᲣᲓᲐᲓ ᲣᲪᲜᲔᲜ
ᲩᲗ

რაც ქარაგმების გახსნით აღნიშნავს: „ქრისტე შეიწყალენ იოანე და გაბრიელ გალატოზნი“. ამავე ეკლესიასთან მდგარა ეგვტერი, რომელიც დაურღვევიათ ადგილობრივი სკოლის შენობისათვის მასალის გამოყენების მიზნით და სამარის ქვა მიწით დაუფარავთ.

გათხრის შემდეგ აქ აღმოჩნდა საფლავის ქვა, შემკული ჯვრით და შემდეგი ასომთავრული წარწერით ირგვლივ:

ᲮᲘ·Ქ· ᲫᲔᲓᲚᲘ· ᲨᲝᲗ|ᲤᲤᲗᲜ· ᲜᲬᲜ·ᲕᲗᲐᲗ· ᲣᲗ· ᲗᲜᲗ· ᲨᲐᲮ· ᲣᲜᲬ
ᲡᲜᲣᲜᲗ· ᲩᲗ ᲥᲗᲗ· ᲥᲗᲗ· ᲨᲨᲐ· ᲨᲝᲗᲐᲮᲗᲨᲐᲥ· ᲐᲜ· ᲨᲘᲩᲜᲗ· ᲜᲬᲗ·
ᲩᲜᲔᲐ· ᲐᲜ· ᲣᲜᲨ· ᲜᲬᲗ· ᲐᲜᲗᲬᲨ· ᲒᲜᲐᲨᲘᲗᲣᲜ ᲐᲜᲗ· ᲫᲜ· ᲣᲜᲣ
ᲘᲜᲥ· ᲨᲜᲥ· ᲫᲜᲨᲨ·

ქარაგმების გახსნით „ქრისტე შეიწყალენ დეველი(?) ინასარიძე გიორგი ესე არს განსვენებული ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე ნეტარ არს გზა ესე, რომელსა წარმართებულ ვარ. შენ გიგალობ ღმერთო, დიდება შენდა“. ეს ძეგლი უოუოდ XVIII საუკუნეს ეკუთვნის. ამავე საუკუნეს ეკუთვნის ცაგერის



ქართლის სოფელი
(მხატვარი ზ.წერეთელი)



დღეობაზე
(მხატვარი ზ.წერეთელი)

მუზეუმის ექსპონატი დედოფალი ელისაბედის (კაცია დადიანის თანამეცხედრე) - საბურავი: სიგრძე 138 სმ, სიგანე 89 სმ, შვინდისფერი აბრეშუმის, ოქრომკედით ნაკერი სურათი დედოფლისა მდიდრული სამოსლით და გვირგვინით; თავის გასწვრივ სურები ყვავილებით, არშიებად ბროწეულის ყვავილის სტილიზაცია და წარწერა მხედრული ხელით, იკითხება ასე:

„იგურდივ მორთხმული სიცოცხლის აღმწბის საკმილითა ხაქართველოს მეფის ცხებულის თეიმურაზის თანამემცხედრე დედოფალი ანნა-ხანუმ. ვიწყებ მსმენელნო მოთხრობად თქვენგა რომელ მცა საწუთომა ურიცხვი ბედკეთილობა სიმდიდრე და დიდებანი ზეგარდამმატა უფროს ნილოსისა, მასხა მაშენა ედემსა მაუკვდებრივსა. ველსა მას საწადილოსა. მიორძა ნერგი მულღაზრით ვარჯოვანი. აღმწკაზრებით ნაწვართი. ნემდა სიცოცხლედ სულად ქონებული და მჭვერეტთა განსაკვირვოი. ოდიშ ლეჩხუმთა დედოფალი. თანამემცხედრე კაცია დადიანისა. ხახელმზიანი ელისაბედ. დედისა გულთა განმცხრომი. მაგრა იჩქითად შემახო ბრჭალი საწუთომა. თვისი თვისდადვე უკუნზღვად მიმიღო დიდება და სიმდიდრე ნემი განმიღამა გუგათა თვალთა ნათელი. და ესდენთა სიხარულთა და ძვირფასთა უნჯთაგან. ცალიერად მიტევა მწყდარი უსულო. დე და მტყებრე შეილსა ზედა სასურველსა. რომელი ესე ძნელ ბედმან მშობელმან მისმან მზისა ნემისა სახისა წილ. ანრდილი ესე მის უებროსა სახისა ვიმუშავე. მის კეიპაროზისა ტანისა მარლვისა სამარისა ლოდისა საბურველად და მშვენიერებად. მხილველნო და მსმენელნო ვაებით და სიწყალულით მოგვიგონებდეთ მშობელსა შობილითურთ: თვესა აგვისტოსა ქ~კს უ~ნ8 ქ~ე აქვთ ნ~ღო 1770“ [3]. (იხ. სურათი).

ზოგიერთი საკულტო შენობა დაცვის თვალსაზრისით მზრუნველობას საჭიროებს.

ციხე-კოშკების შესახებ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად ორბელი) სვანური კოშკების ტიპისაა. საყურადღებოა, რომ ვახუშტი აღნიშნავს: „ლეჩხუმში არა არის მოსახლე, რომელსა არ ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი“ [4]. დღეს საცხოვრებელი ნაგებობები თითქმის ყველა ხისაა. ძველებური ქვითკირის სახლი სვანური სახლის ტიპისა შემონახულია მხოლოდ სოფ. ლაჯანაში. ეს ძეგლი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და საჭიროა მისი აგებგმვა დაუყოვნებლივ.

ეთნოგრაფიული მასალების მხრივ ლეჩხუმი მეტად მდიდარი კუთხეა საქართველოში. ძველი სახლის ტიპის გარდა, აქ მნიშვნელოვანი ობიექტებია: გვიმიანი წისქვილი, კერამიკული წარმოება, სოფლის მეურნეობის იარაღები და სხვა.

კერძოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია ლეჩხუმური შამკვი‖ შანკვი ‖შნაკვი – ხანდურის და მახას სამკელი (საკრეფავი)

[3] ამ საბურავისა და წარწერის შესახებ იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ. გვ 58.; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დედოფალი ელისაბედის საფლავის გადასაბურველი, სახალხო გაზეთი, 1911, № 321

[4] გეოგრ. გვ. 265

[5] შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია II ტ.; Н.Вавилов, Мое путешествие в Испанию, Новый мир, 1937, №2, გვ. 247; და გ. ნ ი ტ ა ი ა, რაკული სახვნელი, ენიმკის-ს მოამბე, ტომი I. გვ. 275 და შენიშვნა იქვე.

სამარის ლოდის საბურველი, 1770 წ.
ლეჩხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღი, რომლის ანალოგი მხოლოდ ასტურიაში მოიპოვება[5] მაგრამ აქ საქმე მარტოდმარტო ამ თავისებურ იარაღში როდია. მთავარი ისაა, რომ შნაკვის გამოყენება დაკავშირებულია ისეთ პრეულებთან (ზანდური და მახა), რომლებიც ენდემური მარცვლეულებია ლეჩხუმისა და რაჭისათვის, ამდენად ქართველი ტომების უძველეს კულტურულ მონაპოვარს მიეკუთვნებიან. საყურადღებოა ისიც, რომ მსოფლიოში პრეული მცენარეების აკულტურაციის ერთ-ერთ წრეში ლეჩხუმ-რაჭაც შედის.

დორა. ს. საირმე (საქ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. ექსპონატი №65.39.3

ექსპედიციამ ლეჩხუმში (სოფ. თაბორი) დაამოწმა რაჭული ორიგინალური სახვნელი იარაღის ვარიანტი. ამ სახვნელს აქ „კავს" ეძახიან. რაჭული სახვნელისაგან განსხვავებით[6] მას გრძელი მხარი აქვს, რომელზედაც მიდგმულია მისადგმელი (რაჭ. წეწენა). მისადგმელი მიწახე არ ცოცავს. ამ სახვნელის მხარი არ დაეკვრის უღელს, არამედ ის მასზე მიბმულია მოშორებით ღვლერჭით. ლეჩხუმში ასეთი ღვლერჭის შემწეობით მიბმულია უღელზე კავის სხვა ტიპის მხარიც.

გვიმიანი წისქვილი მრავალმხრივ საინტერესო ობიექტია. გვიმის ქვა მზადდება სოფ. ჟონეთში. იგი გულამოღებული კოდის სახისაა, არსებითად ქვის მილია,[7] რამდენიმე ასეთი გვიმი ჰქმნის წისქვილის ქვემო ღარს. ძირეულ ქვას ბოლო ამოღებული არ აქვს, ქვის დამუშავების ამგვარი ტექნიკა საქართველოს სხვა კუთხეებში ცნობილი არ არის. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შესწავლის თვალსაზრისით. ქვის დამუშავების ტექნიკის გარდა, გვიმთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ გვიმში გროვდება წყალი, რომელიც წნევის ძალით ფშტვირიდან მაგრად ხვდება ბორბლის ფრთას და შედარებით სწრაფად აბრუნებს წისქვილს ქვას, გვიმი აქ თითქმის ვერტიკალურადაა დადგმული, უნდა აღინიშნოს, რომ წისქვილის ამგვარი მოწყობა წყლის ეკონომიასაც იძლევა.

წისქვილის კომპლექსში საყურადღებოა წისქვილის ნაწილების ტერმინოლოგია. მოწყობილობის სახელებია: ბელღარა, გვიმი (გვიმის ქვა), ლემაქანია, გეჯა, ფურცხვი,// საცორელა, კინტი, სოლი, ბორბალი, მურგვი, ფთები, ამოჩახვილი, ღერძი, ცულა-ღერძი, ცულა, რგოლი, || გოლი, გუგულა, გარა, (საძირკველი), ქვედა ქვა, ზედა ქვა, გარსაგები, კვახი,(?), ხვიმირა, ლაკვარა||ლაკორა, თოკი, კინტი, სარეკელა, მანჭო

[5] შდრ. გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, ტ.I, გვ. 242

[7] შდრ. საბასთან გვიმი (ქართული ლექსიკონი), ი. ყიფშიძესთან გვიმი (Грамматика мингр. языка) და მატერიალურად ხალდური pul-i//pil-i (H.Mapp. O халдской puli "камень" ეტც. ИАН 1917, გვ. 1279-1282)

(ამოჭრილი), კარბა, ჩიბე, ჩოტი|| ჩოგანი. მოკოდვისათვის იხმარება ტერმინი მოკოდვა და საკოდავი იარაღისათვის საკოდელი. საწყაო აღინიშნება სახელით ბათმანი.

აქ ასხვავებენ ხოლმე ქვის შემდეგ ჯიშებს: კასალქვა (ამ სიტყვის პირველი ნაწილი „კა“ სვანურად ქვას აღნიშნავს), ბაღდადი და უჯიშო ქვა. ასევე საყურადღებო ტერმინებია წისქვილის შენობის ნაწილებისათვის: ბოძები, საძირკველი, ბოყვი, ქილუქი, სარტყელი, ვაცა, სათავე, კაკვები, ფინები, || ლარტყები, ყავარი. სახურავი წისქვილის შენობას ცალფა აქვს. აქ განასხვავებენ სახურავებს: ოდურს (ოთხწახნაგიანი), ორფას და ცალფას.

ზემოთ მოყვანილი ტერმინოლოგია მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს. მათი ნაწილი ქართველი ტომებისათვის საერთო ტერმინებია, ნაწილი სვანურ ფენას ეკუთვნის, ხოლო მცირე - უცხოურია (მაგალითად, თურქული „ქილუქი“).

უნდა ითქვას, რომ ტერმინების სიმდიდრე, მათი ქართულობა და დაწინაურებული ტურბინული სისტემა – მიუთითებენ ქართველ ტომებში წისქვილის არსებობაზე უძველეს ხანაში. ამასთან ერთად, თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ წისქვილი მცირეაზიული წარმოშობისა ჩანს და დამოწმებულია ხალდებშიც[8] – ლეჩხუმურ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წისქვილის გენეზისის საკითხისათვის.

ასევე საყურადღებო ეთნოგრაფიული კომპლექსია კერამიკული წარმოება. ექსპედიცია მას ორგან გაეცნო: ცაგერსა და საირმეში. ამ ხაზით მნიშვნელოვანია როგორც კერამიკის წარმოების ტექნიკა, ისევე პროდუქცია ფორმებისა და ორნამენტების მიხედვით. ცაგერში მცხოვრები მეჯურჯლე, სოფელ რიონიდან ამზადებს თეორ ჯურჯელს. გამოწვამდე ჯურჯელს ავლებს სპეციალურ თიხის ხსნარში, რის შედეგად გამომწვარი ჯურჯელი თეორი ფერისა დგება. თავისებურებიდან, რომელიც ამ ხელობას ახლავს ლეჩხუმში, საყურადღებოა კეკოს ხმარება „ტარის მისამაგრებლად“. ქვევრების კეთებისას ძირის მასიური (კვიტიტი) ნაწილი მუჯურო მორგვზე კეთდება, გურგასალი სიგრძით 1 1/2 არშინია, ერთი ქვევრის აშენებას 20 ბიგი სჭირდება, სატალახე ნიჩაბს აქ ძელბალი ეწოდება. თალარისათვის ტერმინი ნობია შემონახული. მეტად საყურადღებოა ჭურა თავისი კონსტრუქციის მიხედვით. საშუალო ჭურა იტევს 30 ქვევრს, 100 დორას, 100 დოქს და მრავალ სასამარხოს. ჭურჭლის სხვა სახეებიდან აღსანიშნავია ჩაფი, საღვინე დოქი, სურა, ხალამი და სხვა.

მთლიანად ლეჩხუმური კერამიკა დასავლეთ საქართველოს კერამიკის ერთი მეტად საყურადღებო განტოტებაა. ამასთანავე, მას შემოუნახავს ისეთი თავისებურებები, რომლებიც უთუოდ ძველი ხანიდან მომდინარეობენ. კერძოდ, საგულისხმო ფაქტია, რომ

[8] Belk-Lehmann, Forschungsreise armenischen Expedition. gv. 413 : Verhandlungen d. Berl. anthrop. gessel., 1896. Jahr

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენხუმური ჭურჭლისა და კაპადუკიური ძველი ჭურჭლის ყურის მიდგმა ერთგვარია. ლენხუმური ჭურჭელი თავისი ფორმითაც ანალოგიურია კაპადუკიური ჭურჭლის ფორმებისა[9].

გვიმი

ჩვენ აქ არ შევჩერდებით ლენხუმელი ქალების მიერ დამზადებულ პრიმიტიულ ჭურჭელზე, რომელიც უდაზგოდ და ქურის გამოუყენებლად კეთდება და რომელიც კერამიკული წარმოებაგანვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს, ისევე როგორც არ ვჩერდებით კერამიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ლენხუმური ეთნოგრაფიული მასალის კავშირი კაპადუკიის ძველი მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ობიექტებთან სხვა ხასითაც მჟღავნდება.

ექსპედიციამ სოფ. ლაბეჭინაში დაამოწმა ბურვაკის მსხვერპლად მიტანის ჩვეულება. ეს მოვლენა უშუალოდ ღორის კულტს უკავშირდება. ეს კულტი კი ქართველი ტომების უძველესი სარწმუნოების კომპლექსში შედიოდა. იგი ასევე დამახასიათებელი იყო კაპადუკიელებისათვისაც[10]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველთა ჩამომავლობის უძველესი ეთნიკური შემადგენლობის კვლევის თვალსაზრისით კაპადუკია მეტად საყურადღებო ტერმინია. ამჟამად შეიძლება აღინიშნოს, რომ კაპადუკიის პარალელურ ფორმას ძველადვე დამოწმებულს – გ ა მ ი რ - ს ანალოგი მოეპოვება სვანეთის უძველესი მოსახლეობის სახელწოდებაში – გ ი მ ი რ - ი ს სახით.[11]

ექსპედიციამ ლოკალიზაცია უყო ვახუშტის მიერ მოხსენებულ თიოქმის ყველა გეოგრაფიულ სახელწოდებას.

---

[9] იხ. H. Gennouillac, Ceramique cappadocienne, ტ. I-II Paris, 1926, Musee du Louvre. Serie archeologique, ტ. I. შდრ. ბ. ჩიტაია, რეც. J. Meyeres, A. modern "kernos vessel from Tiflis, enimkis მოამბე, ტ. I

[10] შდრ. სტრაბონი, eographica, XII, 575

[11] შდრ H.M a p p , Каппадокийцы и их двойники, ИРАИМК ტ.II გვ. 333 და სომხური ანონიმური გეოგრაფია, კ. პატკანოვის გამოცემა, პეტერბ., 1877 წ., გვ. 32 და შენ. 123

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტით:	დღეს ეწოდება:
ხომლი	ხვამლი
გველის თავი	გველის თავი
ორბეთი,	ორბელი
ცაგერი	ცაგერი
მაქსიმე აღმსარებლის	მაქსიმეს საფლავი (აქვეა
მონასტერი	საკულტო შენობის ნანგრევი)
მურის ციხე,	მურის ციხე
ჭყვეისი	ჭყვიში
არპანი	ალპანა
თაკვერი	?
ლეჩხუმი	ლეჩხუმი

მეტად მდიდარ მასალა წარმოადგენს ლეჩხუმის ტოპონიმიკა ეთნიკური საკითხების გასარკვევად. მას შემოუნახავს ისეთი სახელები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ფენას განეკუთვნებიან, მაგალითად:

1. ღვირიში, ტვიში, ზოგიში, სურმუში, ლაილაში, ოყურეში, ნაკურალეში.
2. ლაცორია, ლაბეჯინა, ლუხვანო, ლეჩხუმი და სხვა
3. სარეწკელა, ნამარნევი, უდაბნო, უსახელო, ორპირი და სხვა.

ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, თუ ვინ იყვნენ პლინიუსის მიერ დასახელებული გორდიას მთებში მცხოვრები ვალნი.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ლეჩხუმის ეთნიკურ-გენეტიკური პრობლემების გადასაჭრელად უაღრესად მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევისათვის ლეჩხუმის ლიმიტროპულ ზოლში მუშაობა – რაჭისა, ქვემო-სვანეთისა და სამეგრელოს საზღვრის ზოლში.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმის შესწავლას პრეისტორიული და ისტორიული არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემებია მასთან დაკავშირებული.

ეს პრობლემები ამავე დროს ქართველი ტომების კულტურის წარმოშობისა და განვითარების საკითხებია და ამდენად დიდად ღირებული მეცნიერული კვლევისათვის.[12]

1941 წ.

[12] ამ წერილში მოთავსებული ხვამლის ორივე სურათი დამზადებულია სპორტის დამსახურებული ოსტატის ალ. ჯაფარიძის ფოტო-გადაღებების მიხედვით. სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალ. ჯაფარიძეს ფოტო-გადაღებების თხოვებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ. (გ. ნ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1938 წ. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში)

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენი ინსტიტუტის მიერ ქსნის ხეობაში მიფლინებულმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ განსაკუთრებით იმუშავა ამ ხეობის მთიან ზოლში. ექსპედიციის მიერ შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტები:

1. ლარგვისი (მონასტერი) – ცხავატი.
2. ლარგვისი – ხარბალი.
3. ლარგვისი – დადიანეთი.
4. ლარგვისი – ხრომის წყარო და მთის ძირის ზოლში.
5. ახალგორი (ლენინგორი) – იკოთი.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა წინათ დაწყებული თემის „ქსნის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა“ შესწავლის გაგრძელება და აგრეთვე კერამიკისა და მჭედლობის კომპლექსის შესახებ მასალის შეგროვება. გზადაგზა ექსპედიცია კრებდა მასალას მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საკითხების შესახებ.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ჩიტაია, ასპირანტები – ლ. ბოჭორიშვილი და ნ. რეხვიაშვილი, არქიტექტორი ირ. ქავთარაძე.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა ათ დღეს.

ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ „ზებეყურის მთა... ჩამოადგების ცხვირად კსანს, დასავლეთიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს ქსანს კლდითა. ამ კლდის ქვეთ მტკვრამდე, კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, კლდიანტყეიანობითა“[1]

ასევე მთად და ბარად დაყოფილი ჩანს ეს ხეობა ხალხის აღწერის დავთრების მიხედვითაც[2] .

ბარის მოსახლეობა ცალკე აუწერიათ, ხოლო მთისა ცალკე.

საყურადღებოა, რომ 1711 წლის აღწერილობაში მოხსენიებული დასახლებული ადგილების დიდი უმეტესობა დღემდე ძველი სახელწოდებით იხსენიება.

1. ჭურთა (ჭურთის წყალი და ჭურთის ხევი)
2. საქორეთი.
3. ხარბალი.
4 შველეიეთი.
5. დადიანეთი.
6. ზოდეხი.
7. თოხთა.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1904, გვ. 100.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ.I 2, თბ., 1930, გვ. 25-26

8. მახიარეთი.
9.დაბაკნეთი.
10. უკან-უბანი.
11. უკანა-მხარი.
12. ჩიტაანთ-კარი.
13. ყველდაბა.
14. წინუბანი.
15. მონასტერი (ლარგვისი).
16. ცხაოტი // ცხავატი.

საყურადღებო გარემოებაა ისიც, რომ აქ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტები წარმოადგენენ უმეტეს წილად ხეობებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი უბნები. მაგ.: ცხავტურას ხევზე გაშლილ მოსახლეობას ცხაოტი //ცხავატი ეწოდება, რომელიც შვიდი ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული უბნისაგან შედგება, სახელდობრ: 1. წინაუბანი, 2. გოგიაანი, 3. ჩუმაანი, (ამათში ბუნტურები ცხოვრობენ), 4. ჟიტკარი (ჟივიძეები ცხოვრობენ). 5. გოგიჩაანი (გოგიჩაშვილები ცხოვრობენ) 6. სუხაანი (სუხიშვილები ცხოვრობენ), 7. ღარუეთი (ბურდულები ცხოვრობენ). ასევეა დადიანეთშიც. ის შედგება შემდეგი უბნებიდან: 1. წინადადიანეთი, 2. რევაზიაანი, 3. შალიანთ-კარი, 4. ხადილაანი.

დადიანეთის ყველა უბანში ბერიანიძეები ცხოვრობენ. მათ შემოხიზნული ჰყავთ ერთი უცხო გვარი – ხუციშვილი. აღსანიშნავია, რომ ექზოგამურობა ამ ხეობის ყველა უბანში მტკიცედაა დაცული: ცოლის მოყვანა შეიძლება მხოლოდ სხვა ხეობიდან. ასევეა ცხავატის ხეობაშიც. მათ წარმოდგენაში უბნებში მცხოვრებნი სხვადასხვა გვარები წარმომდგარნი არიან ერთი გვარიდან (მელითაურიდან) და ამიტომ აქაც ცოლი მოჰყავთ სხვა ხეობებიდან; ასევე უბნებადაა დაყოფილი (უბანი ერთი მეორეს საკმაოდ შორავს.) ბუნიას ხევში მდებარე იკოთი. აქ ხუთი უბანია: ქვენიკოთი, ზენიკოთი, გიგარაანი, ხანგურაანი და ნიაურები.

სოფლის ასეთი დანაწილება უბნებად დღემდე შემონახულია ზემო აჭარაშიც, სადაც უბნების სახელწოდებად მეჰელეა მიღებული.

შესასწავლი მხარის ეთნიკური შემადგენლობის დასადგენად საყურადღებო ცნობა მოიპოვება ვახუშტის გეოგრაფიაში. ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეჰატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“[3].

საყურადღებოა, რომ პროცესი ეთნიკური გადაჯგუფებისა მთიდან ბარში უკანასკნელ ხანამდე გაგრძელებულა. ამ გადაჯგუფებას ახლდა ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა პუნქტების გაქცა. მაგ., ჟამუშიდან გადასახლებულან ჯერ ახალგორში, ხოლო ახალგორიდან ქანდაში;

[3] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104

ლომისიდან ჯერ იფნევში (ხალიბეგაანში), ხოლო იფნევიდან წირქვალში და სხვა. ეს პროცესი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს და სათანადოდ უნდა შეფასდეს ეთნოგრაფიული მოვლენების განხილვის დროს, ვინაიდან ამგვარი პროცესის შედეგად იქმნება ნარევი ეთნოგრაფიული კომპლექსები. ამ კომპლექსებში მთის, მთისძირისა და ბარის მახასიათებელი ელემენტები ერთადაა შერწყმული.

თავისთავად მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთიდან მთისძირსა და ბარში მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოვლენა დაკავშირებულია ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებასთან. ეს თავისებურება, პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში, ქმნის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილობას, რომლის ნამატი იძულებულია მთიდან გადმოსახლდეს.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელს მსოფლიოში მეტად მცირეა და ცოტათი აღემატება უდაბნოთა მოსახლეობის სიმჭიდროვეს. ამის გამო, როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა მიაღწევდა თავის ზღვარს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებული იყო პირველ რიგში მთისძირში გადმოსახლებულიყო, სადაც, ნაწილობრივ ამის გამო, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალ დონეს აღწევდა. შემჩნეულია, რომ მეტად შემჭიდროვებული სოფლის მოსახლეობა მსოფლიოში უმეტესად მთისძირა ზოლს ეკუთვნის.

ეთნოგრაფიული მოვლენის რთულ კომპლექსს ჩვენი შესასწავლი რაიონის ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც ქსნის შესართავთან მდებარეობს. აქ მცირე მანძილზე მოცემულია სოფლები: ქართველების, ოსების, სირიელების (აისორების), გერმანელების, და ყარაფაფახების. ამ სოფლებში ნაგებობათა ჰიბრიდების არსებობის გვერდით ტიპური შენობებიც მოიპოვება საკმაოდ დამახასიათებელი ამა თუ იმ ეთნიკური ერთეულისათვის. მაგალითად, სირიელების სოფელში (ძველი ქანდა) ჯერ კიდევ შემონახულია სპარსული მიწურები (სირიელები ურმიის მახლობელ მიდამოებიდან არიან საქართველოში მოსულნი), თუმცა დიდ უმრავლესობას უკვე ქართლური მიწურები აქვს.

ჩვენი საკვლევი რაიონის მთის ზოლშიც საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ჰიბრიდული ტიპებია მოცემული. მაგრამ ძირითადი ტიპის დადგენა მაინც შესაძლებელი შეიქნა. იმ დროს, როცა სოფ. ხარბალში როგორც დასახლების ტიპი, ისე სახლის ტიპიც უკვე ახალია (წახნაგოვანი სახურავი, ცალკე კარ-მიდამო), დადიანეთის ერთ-ერთ უბანში, ხადილაანში, დასახლებისა და ნაგებობათა ტიპი ძველებურია. უბანი წარმოადგენს გორაკზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეფენებაზე გამართულ სოფელს, რომლის სახლიდან სახლში გადასვლა ადვილია. საყურადღებოა, რომ იფნევის ერთ უბანს დასახლების ტიპად ძველი ციხის გალავანი აურჩევია

ELIBRARY.GE

და შიგ მოთავსებულა. გალავანს ალაყაფის კარები აქვს, რომელსაც მცხოვრებნი დამით კეტავენ ხოლმე.

შეჯგუფულად დასახლების ტიპი ცნობილია როგორც ჩვენში, ისევე მცირე აზიაში[4] და ძველად ხალდურ სამეფოშიც[5] იყო. დასახლების ამ ტიპს შეესაბამება ნაგებობის ტიპიც.

აქ დამოწმებული ძველებური სახლის ტიპი მიწურია. ის წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, რომლის ქვემო სართულში ძირითადად ადამიანის საცხოვრებელი და პირუტყვის სადგომია მოწყობილი, ხოლო მეორე სართულში ადამიანის და პირუტყვის მარაგია დაცული და კალია გამართული. ნაგებობის ეს ტიპი შეგუებულია პრიმიტიული მთის მეურნეობისა და ბუნებრივ პირობებთან. მთის ხანგრძლივი ზამთრის პირობებში პირუტყვისა და ადამიანის და მათი მარაგის ერთ ჭერქვეშ მოქცევა ხელსაყრელი იყო. ბარის პირობებში მიწური სახლის არსებობის დროს ცალკე გამოყოფა საქონლის მარაგის დასაცავი ნაგებობისა და პირუტყვის სადგომისა შესაძლებელია და სინამდვილეში ეს ასეა კიდეც, თუმცა ამაევე ბარის პირობებში ბევრ შემთხვევაში ერთი სართულის ჭერქვეშ ათავსებენ, როგორც ადამიანს, ისე პირუტყვის და მათი მარაგის ბინასაც.[6]

არსებითად, სახლის ეს ტიპი ბარულ მიწურთანაა დაკავშირებული, მისი მეორე სართული ამ სახლის მეორადი ელემენტია. იგი შემდეგაა დადგმული ქვემო სართულზე. მიწური სახლის ძირითად ნაწილებს წარმოადგენენ: ბანი, ქვემო სართულის განლაგება, გვერდის კედლების წარმოზიდულობა დერეფნის შესაქმნელად და კერა.

როგორც ცნობილია, სახლის ამ ტიპის გავრცელების არე მეტად დიდია; ის კავკასიის გარდა ცნობილია მცირე აზიაში, ყირიმში და მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურის რკალში. საქართველოთ ის დამოწმებულია აბისინიაში. მისი წარმოშობის კერად მცირე აზიაა მიჩნეული. იგი დამოწმებულია აგრეთვე ურარტუშიც, სადაც სახლის ამ ტიპის არსებობა უკავშირდება გამოქვაბულ ქალაქებს და საერთოდ ქვაბულებს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენში არსებულ უფლისციხესა და ვარძიას, მიწურების კვლევას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ქსნის ხეობის მთიან ზოლში არსებული ძველებური სახლის ტიპს დეეგმირთსახლი ეწოდება. მასში ბოლო დრომდე მრავალრიცხოვანი ოჯახი მოსახლეობდა. მის ნაწილებს აქ ეწოდება: შინა, ბოსელი, საპურე სახლი (მარანი), ფურნა (არის ქართული და რუსული), დერეფანი, კალო, საბძელი. აგების ტექნიკის ტერმინებიდან აღსანიშნავია: საძირკველი (ოსებშიც ეს ტერმინია), იციან კედლის დაკეტვა-გადაბმა, ქვიტკირი და მშრალად ნაგები კედელი, თაეგაკრული სახლი, კედლის ირიბულ წყობას ქერის ფხას უწოდებენ, იატაკს

[4] R. Leonhard, Paphlagonia, rl. 1915, გვ. 374-375

[5] W. Belck, Bauten und Bauart der Chalder. Verhandl. d. Berlin. anthrop. Gesellsch., 1895, gv. 611, Smd.

[6] შდრ., გ. ნიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, ტ. I გვ. 414

კერა ჰქვია (სოფ. ცხავატი). სხვა ნაწილები: ნალი, თავხე, ბღუდ. საბოძური, ყბა, ბუდაური, შოლტი, კოჭი (როცა დახერხილია), ჭერი, იელი, მიწა (საზეპელი), ღარი, სიპი; აყარი, ბაგა, ზღვა და სხვ. ნაწერილია მასალა სახლისათვის საჭირო კირის, ხე-ტყის, ლამის და სხვათა დამზადებასთან დაკავშირებული, შეგროვილია აგრეთვე მასალა დაკავშირებული სასახლე მიწის შერნევასთან (მარნიელობა), დაძახილთან (მოდგამობა); შრომის იარაღებიდან დამოწმებულია ორი სახის ცული: 1. კოლო ცული და 2. ფთიანი ცული და სხვ.

სახლის ეს ტიპი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით ცნობილია ბუდე ანუ მირგვალ ხევსურეთში, მიღმა ხევსა და არხოტში, ხევსა და მთიულეთში (სპორადულად). ის არ მოიპოვება თუშეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, არ უნდა იყოს ის აგრეთვე ლიახვზეც. სახლის ამ ტიპის გავრცელებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აქ კალოობენ საქონლის ფეხით. გადახურულ კალოს შუაში დადგმული ბოძის გარშემო მიწაზედ დაგებულ ძნებზე ტრიალებს პირუტყვი, რომელიც მოჩალავს ფეხებით ძნას, დადგება ბზე და ხვავი. კალოში აქ უბიათ: ხარი, ძროხა, ცხენი. საქონელს პირზე უკეთდება აბანდი, რომ საქონელმა პურეული არ შეჭამოს. საკალოე იარაღებია: არნადი, ორთითა, ფიცელი, ნიჩაბი, ცხრილი, ცხავი. მონასტერს ზევით ხარის ფეხით კალოობენ. ამ წესის არსებობას მოსახლეობა იმით ხსნის, რომ აქ ხშირია ავდრები და გასანიავებლად გამოსადეგი ქარი არ იცისო. ყინულზე ლეწვა აქ არ იციან. ნეულებრივად დაჭედილი ხარებით ლეწავენ.

კალოობის ეს წესი საქართველოს მთიანეთში ცნობილია – თუშეთში, ხევსურეთში, ხევსა და მთიულეთში. „თუ დეეგმირთ სახლისა“ და კალოობის ზემოთ მოყვანილი წესი ჩვენი მთის გარკვეულ ზონაშია მოცემული, სამაგიეროდ, სახვნელი იარაღი, მთის გუთანი, რომელიც ქსნის მთიანეთშია დამოწმებული, აღმოსავლეთ ქსნის ხეობას არ სცილდება. ხოლო დასავლეთით კი სვანეთამდე მიდის.

აქ იციან ანეული (ზაფხულში იელისი, აგვისტო, ზვარეში), ნაოში (სექტემბერი), ზვარეში და ახალთესლი (გაზაფხულზე, ჩრდილში). იციან აგრეთვე ახოს აღება: პირველად ხეს შემოყვერავენ, შემდეგ ძირზე მოჭრიან, ძირზე ფიჩხს დააწყობენ და ცეცხლს წაუკიდებენ. ახლად აღებულ ახოზე სახნავი იარაღი არ გაივლება. ჯერ ფიჩხის შესაგროვებელ იარაღს გაავლებენ და შემდეგ დაქორჩავენ ქორჩით. აქ ითესება ქერი, დიკა, ჭოი და ახალთესლი. ერთ წელიწადს დასვენებულ მიწას ეძახიან ყამირს, ხოლო ორს – ახალ ნატეხს.

ანეულს, ნაოშს და ახალ თესლს ხნავენ მთის გუთნით. სხვა სახის სახვნელი იარაღი აქ არ არსებობს. საყანე მიწები უმთავრესად ფერდობებზეა, მათი რელიეფი უსწორ-მასწორია. აქ ბარული გუთანი მუშაობას ვერ შესძლებს. ამ პირობებთან კარგადაა შეგუებული ის სახვნელი იარაღი, რომელსაც აქ მთის გუთანი ეწოდება. მას აქვს: მხარი||მკარი, წერწენა და სხვ.

ამ სახვნელი იარაღის თავისებურებას შეადგენს მოკლე მხარი, რომელიც უღელს არ სწვდება. მას აქვს თავზე დაკრული მოკაულობა – წერწენა, რომელიც სახვნელი იარაღის მუშაობის დროს მიწაზე ცოცავს. წერწენას ქვემოდან შემოკრული აქვს საცვეთი. წერწენას თავზე გაეყრება ჯაჭვი, რომელიც მიბმულია უღელზე. არსებობს აგრეთვე ამ სახვნელი იარაღის მხარის ვარიანტი, რომელიც მოკლებულია წერწენას, მაგრამ მხარი მაინც მოკლეა, მას თავში აქვს რგოლი. რგოლში ჯამბარაა გაყრილი. ამ რგოლს უწოდებენ წერწენას წინა დადიანეთში. გარდა ამისა მთის გუთნის მხარს აქვს აგრეთვე საცორავი||საცურავი, მოკაული კეტი, რომლის კავი შეიძლება დროდადრო მიწაზე ცურავდეს. სოლის შემწეობით შეიძლება საცოცავის აწევა და დაწევა. თავისი დანიშნულებით ამ გუთნის ეს ელემენტი მეტად დაცილებულია იმ ფუნქციას, რომელსაც წერწენა ასრულებს. წერწენა საყრდენია მთის გუთნის მხარისა და ამდენად იმ ფუნქციას ასრულებს, რასაც ბარის გუთანში ფამფალაკი. ამგვარი მოკლემხარიანი, წერწენიანი სახვნელი იარაღი ჩვენ დამოწმებული გვაქვს, ქსნის ხეობის გარდა, ლიახვის ხეობაში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში. არაგვის ხეობასა და მოხევეებში ამგვარი სახვნელის არსებობას შეიძლება ადასტურებდეს ტერმინი წერწენის და ნარწენის არსებობა[7].

მაგრამ ქსნურ მთის გუთანს აგრეთვე ახასიათებს გუთანი ანუ ქუსლი, რომელიც ორკაპიან ხეს წარმოადგენს და რომლის დანიშნულებაა მიწა გათოხნოს. ამგვარი ქუსლი ცნობილია ფშაური აჩაჩის, ხევსურული აჩაჩისა და სხვა სახვნელების ქუსლების სახით (დასავლეთ რაჭაშიც მოიპოვება).

გარდა ამისა, მთის გუთანს ახასიათებს ხელნაც, რომელიც აგრეთვე ორკაპიანი მთლიანი ტოტია. სახნავი იარაღის ეს ნაწილიც ამ სახით მოიპოვება ქსნის ხეობის აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ლიტერატურაში სახვნელი იარაღის ამ ტიპის აღწერილობა მეტად ბუნდოვანია, ნაკლულოვანი და არა ზუსტი. მაჩაბელს ამ იარაღის საცოცავი სოლად აქვს გამოცხადებული. Haxthausen-ს[8] თავის ნაშრომში მოჰყავს ოსებში მის მიერ ნახული სახვნელის ეს ტიპი, რომელსაც შეცდომით „ლათინურად“ შიბირ-ს უწოდებს და აღნიშნავს, რომ შიბირ-ის მსგავსი სახვნელი იარაღი ოსებს გარდა, კავკასიის სხვა ხალხში არ მოიპოვება და რომ შიბირ-ი მეკლენბურგის სახვნელს მიაგავსო. ცნობილია, რომ Haxthausen-ი ტენდენციურად აშუქებდა ოსების გერმანელებთან ნათესაობის საკითხს; ამის გამო ბევრ შეუსაბამობას აქვს ადგილი მის ნაშრომში. მას ამ შემთხვევაშიც მცდარი შეხედულება აქვს წამოყენებული. ჯერ ერთი ის, რომ არ არის მართალი, თითქოს „Sibir“-ის მსგავსი იარაღი კავკასიის სხვა ხალხებში არ მოიპოვებოდეს. ჩვენი მასალა ამ აზრს სავსებით აქარწყლებს. მეორე მხრით, მეკლენბურგის და „შიბირ“-ის ტიპის

[7] გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი: ენიმკ-ის მოამბე, ტ.I, გვ. 269, შენ. 1,2
[8] გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი: ენიმკ-ის მოამბე, ტ.I, გვ. 269, შენ. 1,2

სახვნელი იარაღი კონსტრუქტიულად განსხვავებული სახვნელი იარაღებია. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეკლენბურგის სახვნელის მხარი გრძელია და მისი თავი უშუალოდ ულელზეა დამაგრებული.

ბრაუნგარდტს დაუსაბუთებლად ჰაქსტჰაუზენის დასახელებული შიბირი გუთურ სახვნელად აქვს გამოცხადებული. მაგრამ ბრაუნგარდტ-ის შეხედულება მიულებელია, რამდენადაც „შიბირ"-ი ტიპოლოგიურად თავისი წერწენათი რაჭულ სახვნელს მიეკუთვნება, ხოლო რაჭული სახვნელი ბრაუნგარდტს წარმოშობილობით ჯერ გერმანულ, შემდეგ ირანულ სახვნელ იარაღად მიაჩნდა. ამის შემდეგ ამავე „Sibir"-ის სახვნელად გამოცხადება გამართლებული არ შეიძლება იყოს, რამდენადაც გუთური სახვნელის ტიპი თვითონ საჭიროებს დადგენას.

არსებითად, ქსნური გუთანი მთის გუთანია, რომელიც კარგადაა შეგუებული ფერდობის პირობებთან. ტიპოლოგიურად ის თავის წერწენას მიხედვით რაჭული სახვნელი იარაღის ქვესახეს წარმოადგენს და რამდენადაც ჩვენ დამტკიცებული გვქონდა, რომ რაჭული სახვნელი ქართველი ტომების სახვნელი იარაღის ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზითაა მიღებული – ქსნური გუთანიც ქართველი ტომების სახვნელი იარაღების ამ ტიპის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

მიწათმოქმედების ხაზით შეგროვილია მასალა საკანე მიწებზე, აგრეთვე წისქვილის კომპლექსზე, ლუდის ხარშვაზე, მესაქონლეობაზე, ხარებზე, ძროხის ჯიშზე, სახედრებზე, მჭედლობასა და მეთუნეობაზე. ამათგან უკანასკნელზე შევნერდებით.

ქსნის ხეობაში სახელგანთქმულ ცენტრად სოფ. ცხვატი ითვლება. აქ ხელოსნობის ამ დარგის არსებობის შესახებ შემდეგი ცნობა მოგვეპოვება. XIX-ის 90-იან წლებში შალიკოვი წერს: „При селение Цхавати была 40 домов, заняты приготовлением глиняной посуды, для чего у них имеется восемь гончарных печей. Глина лежит под двухаршинным почвенным слоем, пластом в четыре аршина толщины и десять саж. длины. Глину сушат на солнце, перетирают и приготовив из нее тесто лепят посуду руками, не употребляя никаких приспособлений, кроме вертящейся доски, называемый моркви... Цхаватской посуды изготовляется более чем на семь тысяч рублей~[9].

დღესაც ეს საქმიანობა ცხავატის ხეობის ყველა მოსახლის ძირითად წარმოებას წარმოადგენს. არ არის არც ერთი ოჯახი, რომ ამ საქმიანობას არ ეწეოდეს. აქ დამზადებული ჭურჭელი განთქმულია იშვიათი გამძლეობით. ამის გამო გასავალი დიდი აქვს. ის თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს სწვდება. ცხავატში დამზადებული ჭურჭელი საპალნეებით მიჰქონდათ და მიაქვთ კახეთში, სადაც ის ცეცხლგამძლეობისა და წყლის ცივად შენახვის გამო კონკურენციას უწევდა და უწევს კახურ კერამიკას. აგრეთვე მიჰქონდათ ხევსურეთში,

[9] К. Шаликов, Описание Ксанского участка: Записки Кав. отд. Р.Г.О., XVI, в. 256

ხევში, მანგლისში (აქ ქსნის ხეობიდან ნამგლებიც მიჰქონდათ) მთლიანად ქართლში, ოსეთში და სხვაგან.

მოგვყავს ცხავატიდან კერამიკის გატანის ზოგიერთი მარშრუტი

I. ცხავატი, ქაისხევი, თვალიკი, შარა-ხევი, ორწყალი, ბარისახო, ლებაისკარი, შატილი. ამ მარშრუტს ჭირდებოდა იქით-აქით 12 დღე.

II. ცხავატი, ქაისხევი, ანანური, ფასანაური, მლეთა, კოპი, ყაზბეგი. ამ მარშრუტს სჭირდებოდა იქით-აქეთ 6–7 დღე;

III. ცხავატი, ქაისხევი, ჟინვალი, თიანეთი, ახმეტა. უნდოდა 10 დღე.

IV. მანგლისის მარშრუტს სჭირდებოდა 9 დღე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქსნის ხეობას გაცხოველებული ურთიერთობა აქვს სხვა ხეობებთან. აქ არის ძველადგანვე გამომუშავებული მარშრუტები, რომლებიც დღესაც მომქმედია.

მარშრუტები:

I. იკოთი
კორინთა
საძეგური
ლარგვისი (მონასტერი)
ახალდაბა
დოჩიანი
ბალიანთ სოფელი
ლომისა (ლომისას ხევი)
ლომისას წვერი
მლეთე (ამ მარშრუტით მიჰყავდათ ცხვარი ყიზლარში)

II იკოთი
ჯვრისუბანი
უფურეთი
ქაისხევი
ანანური (ამ მარშრუტით მიჰყავდათ ცხვარი ყიზლარში)

III იკოთი
კორინთა
საძეგური
ცხავატი
საფეშეთი
ჭართალი
ფასანაური

IV იკოთი
ლენინგორი
ძეგლევი
სარბიელი
ციგრიანთ კარი
თხილვანა
არღუნი
დუშეთი 10 (10 ლეხურას აქეთ დუშეთის ბაზარს ეკუთვნოდა. ახლაც დუშეთზეა მიწერილი ოძისი და ახმაჯა)

V ლარგვისი
დადიანეთი
საფაშეთი
ჭართალი

VI დადიანეთი
ლომისა–საფაშეთი
მლეთა–ფასანაური

აქ მზადდება კერამიკული ჭურჭლის შემდეგი სახეები: ქილა, ქვევრი, კოკანი, კოკა, სადღობელი, საჯერიები (სადულარი, ქოთანი), ქვაბი, ხელადა, ლიტრა, ჯამი, საღვინე, ჩარექი, სურა, საზედაშო, კეცი და სხვ.

დასასრულ, აღსანიშნავია ხის კოლექციები, რომლებიც შეიძინა ექსპედიციამ: მერხი, ბაცანკალი, სკივრი, სამარილე და სხვა. ამათგან

ნაწილი აქვს თაობაზე ადრინდელია. კოლექციები ჩინებულად
მოორნამენტებული. შესრულების ტექნიკა მაღალხარისხოვანია,
სიუჟეტურად ძველებური მსოფლმხედველობის მამჟღავნებელი.
აღსანიშნავია, რომ ხელოსანს კარგად შესძლებია დასაჭრელებელი
დიდი არის გამოყენება და კომპოზიციის კარგად განაწილება.
ორნამენტში მზის სიმბოლოები ჭარბობს, თუმცა სხვა სახეებიც
ბევრია. აქ მოპოვებულ ხის ორნამენტს ახლო ნათესაობა აქვს
ხევსურულ ხის ორნამენტთან.

ექსპედიციამ ხის კოლექციების გარეშე შეიძინა კერამიკული და
მჭედლური კოლექციების კომპლექსები. კოლექციების შეძენა ექ-
სპედიციას დავალებული ჰქონდა საქართველოს მუზეუმის დირექციის
მიერ. ჩამოტანილი ნივთები გადაეცა საქართველოს მუზეუმის
ეთნოგრაფიულ განყოფილებას.

1939 წ.

1939 წ. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წ. ივლისში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ თიანეთის რაიონში მივლინებულმა ექსპედიციამ იმუშავა შემდეგი მარშრუტებით:

1. თიანეთი – ჟებოტა – ამაღლება
2. თიანეთი – ზ. არტანი,
3. ზ. არტანი - ღორღაში,
4. ზ. არტანი – ქუშხევი,
5. ზ. არტანი – თეთრაულები – სახევი,
6. ზ. არტანი -ხატხევი – ბაწალი,
7. ზ. არტანი – კორსავი,
8. თიანეთი – იხინჭა,
9. თიანეთი – ზ. თიანეთი – ტუშურები და
10. თიანეთი – კვეტერა

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების და სარწმუნოებრივი გადმონაშთების შესწავლა. გზადაგზა ექსპედიცია კრებდა მასალებს მიწისმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერი მუშაკი გ. ნიტაია, უფროსი მეცნიერი მუშაკი ვ. ბარდაველიძე, მხატვარი ნ. ბრაილაშვილი, არქიტექტორი ირ. ქავთარაძე და ფოტოგრაფი.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა 20 დღე. მუშაობის წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო ხელისუფლების დახმარებამ და ავტოტრანსპორტის გამოყენებამ, ხოლო დააბრკოლა კინოაპარატის (კინამოს) უქონლობამ.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად დადასტურდა რაიონში შემავალი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სიჭრელე. ექსპედიციის მუშაობის არეში ფშავლების გარდა დამოწმდნენ: „კახები", ხევსურები და ქისტები (ს. ჟებოტაში - მათურელები). თუ დაეყრდნობით იმ ცნობებს, რომლებსაც გვაწვდის **G.Radde** თავის ნაშრომში **Chew'suren und ihr Land (Kassel 1878).** თიანეთის რაიონის გარკვეულ ზოლში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ უნდა ვაღიაროთ, რომ რაიონის ეთნიკური სიჭრელე უკანასკნელი 40–60 წლის მანძილზე წარმოშობილა.

რადე-სა და ჩვენ მიერ შეგროვილი ცნობები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საგულისხმო განსხვავებას გვაძლევს.

რადეს ცნობების მიხედვით სოფლებში:	ექსპედიციის მასალების მიხედვით სოფლებში:
1. S'chlowani, ფშავლები - 8 კომლი	სხლოვანი ფშ. – $22_{კ.}$ 107 ს.
2. Lischo, ფშ. – 58 კ.	ლიშო ფშ. – $39_{კ.}$ 137 ს.
3. Bodachewi, ფშ. – 23 კ.	ბოდახევა ფშ. – $18_{კ.}$ 102 ს.


ს ბ ა ჩ ა ლ ი
ნ ე ი ტ ი ლ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ს ა ხ ლ ი ს ფ ა ს ა დ ი ს ა ნ ი
ს ა ვ ა ჭ ვ ი ს ფ ა ს ა დ ი ს ა ნ ი
ბ ა ტ ო ნ ი ს ს ა ხ ლ ი ს ფ ა ს ა დ ი ს ა ნ ი

4. Kuschchewi, ფშ. – 26 კ.	ქუშხევი\ქვაშხევი\ქუშჭევი ფშ. – 25კ. 108 ს.
5.	თეთრაულები ფშ. – 3კ. 17 ს.
6.	სახევი ფშ. – 12კ. 73 ს.
7. Artani, ფშ. – 73 კ.	ქვემო არტანი ფშ. – 20კ. 102 ს.
8.	ზემო არტანი ფშ. – 30კ. 116 ს.
9.	ღორღაში ფშ. – 8კ. 18 ს.
10. Soplioni ფშ. – 19 კ.	სოფლიონი ფშ. – 20კ. 102 ს.
11. Korsawi ფშ. – 13 კ.	კორსავი ფშ. – 5კ. 22 ს.
12. Batschali, ფშ. – 39 კ.	ბაჩალი ფშ. და ხევსურები 10კ. 56 ს.
13.	
14.	
15. Kwara, ფშ. – 42 კ.	ხაშარი ხევს. ფშ. – 11 კ. 55 ს.
16. Babchischewi, ფშ. – 23 კ.	საშუბე ხევს. ფშ. – 10 კ. 48 ს.
17. Dshablewi, ფშ. – 17 კ.	ყვარა ფშ. – 6 კ. 33ს.
18. Chiliani, ფშ. – 15 კ.	ბაბხისხევი, ხევს. ფშ. – 6 კ. 30 ს.
19. Chatchorchi, ფშ. – 9 კ.	ხილიანა, ხევს, ახლახ. გადასახლ. ფშ. – 10კ. 46 ს.
20. Chotchewi, ფშ. – 2 კ.	

ზემოთ მოყვანილი შედარებითი მონაცემები მრავალმხრივ არის საინტერესო. ირკვევა, რომ რადეს ცნობაში აღნიშნულ სოფლებიდან დღეს ზოგიერთი უკვე სოფლებად აღარ მოიხსენება (ჯაბლევი, ხატხორხი, ხატხევი), ხოლო ექსპედიციის მონაცემებით ზოგიერთი ახალი სოფელია შექმნილი.: ზემო არტანი, ღორღაში, თეთრაულები, სახევი, ხაშარი და საშუბე. ჩანს აგრეთვე, რომ მოსახლეობა კომლობრივი რაოდენობის მიხედვით შემცირებულია. ნაცვლად რადეს დროინდელი 367 კომლისა, დღეს 246 კომლია ფიქსირებული. ამას უნდა დავძინოთ ისიც, რომ მოსახლეობაში სხვადასხვა ეთნიკური ეროვნულია შერეული. ამ უკანასკნელი მიმართულებით უაღრესად საყურადღებო პროცესს აქვს ადგილი. ჩვენ მიერ დადასტურებულია, რომ ხევსური ხევსურეთიდან გადმოდის ამ რაიონში იმ ადგილებზე, რომლებსაც ფშაველები ტოვებენ. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ – კახეთში, ახმეტის მხარეში გადადიან ხოლმე. აქ თქვენ შეხვდებით ისეთ ხევსურს, რომელიც შატილიდან, მუცოდან და ხახაბოდან არის გადმოხვეწილი სისხლის ძიების ნიადაგზე. უმეტეს შემთხვევაში, თიანეთის მხარეში გადმოსახლებული ხევსური კიდევ უფრო ქვემოთ მიდის ან კვლავ უბრუნდება მის საყვარელ ხევსურეთს. ხევსურეთიდან გადმოსახლებული ხევსურები დასახლდნენ ს. ბაჩალში, მაგრამ ისინი აქაც არ დადგნენ და კახეთსა და ერწოში გადასახლდნენ.

ექსპედიციის სამუშაო რაიონში მოსახლეობის ამგვარი მოძრაობა-გადაჯგუფების შესახებ შეიძლება აგრეთვე სხვა მაგალითების დასახელება.

ქსნის ხეობიდან მოსულან ქსნელაშვილები, ხოლო ჭართალიდან – ჭართალელნი. ჭართალელნი ჯერ ყვარაში დასახლებულან, შემდეგ თიანეთის მახლობლად გადმოსულან და აქედან შირაქში წასულან,

სადაც ამჟამადაც უნდა ცხოვრობდნენ. ასევე, გადმოცემის მიხედვით, მათურელების-დარჩიაშვილების გვარი წამოსულა გურიიდან და არაგვის ფშავში, სოფ. მათურაში დასახლებულა, ხოლო იქიდან ნაწილი ივრის ხეობაში გადმოსულა და სოფ. ყებოტაში ამჟამადაც ცხოვრობს.

ექსპედიციის საკვლევი რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ტოპონიმიკური სახელები.

I ჯგუფი: ლიშო, ყვარა, ხაშარი, ბაჩალი, კორსავი, ღორღაში, ხაიშო, ბუჭყინტა, ყებოტა, ლახატო,ხოფცა.

II ჯგუფი: სხლოვანი, ხილიანა, სოფლიონი.

III ჯგუფი: ჭურჭელაურები, ბაღიანები, ძუბნიაურები, კახოიანები, იარაჯულები, დულუზაურები, გოჯიანები, ტუშურები, არეულები.

IV ჯგუფი: შარახევი, ბოდახევა, ქუშხევი, ბაბხისხევი.

არანაკლებ საყურადღებოა, რომ „ქართლის მოქცევაში" მოხსენებული „ყუარელთა" ადგილმყოფელობის გასარკვევად საინტერესო მასალას იძლევა თიანეთის რაიონი. ექსპედიციის მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ კახელი ყვარელელები თავს ივრის ხეობაში მდებარე ს. ყვარადან გადასახლებულად მიიჩნევენ.[1] კიდევ მეტის თქმაც შეიძლება, ყვარელელები ყოველწლიურად სალოცავად მოდიან ს. ყვარას მახლობლად მდებარე ხატჭევში, სადაც მათი მთავარი ხატია: თამარი და ლაშარი. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ თამარისა და ლაშარის კულტი დღემდე შემონახული ნიშანდობლივი ელემენტებით სწორედ ყვარელელებს და მის მეზობელ სოფლელებს დაუცავთ. სახელდობრ: ყვარელელები, ისევე როგორც ფშაველები, თამარ-დედუფალს მიიჩნევენ მკურნალ-დედუფალად და მის სახელზე წლის მანძილზე აგროვებენ ფულს, რომლითაც შემდეგ იძენენ საკლავს და ხატჭევში სწირავენ. კახელი მლოცველების თქმით, რომლებიც მრავლად იყვნენ ხატჭევში სალოცავად, „ჩვენი მამა-პაპა აქედან გადასახლებულა კახეთში; ამიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით კახეთშიც ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდება"-ო ისინი სხვა კახელებთან ერთად აღნიშნავენ - „აქედან წასულები რომ ვართ, ამიტომ გვამიზეზებს აქაური ხატი და ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო.[2]"

ზემოთქმულს დავძენთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად პირველ მეოთხედში, ყვარელელები ცალკე ეთნიკურ ერთეულს შეადგენდნენ, რასაც საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცული იმ ხანის სურათები ამტკიცებს. ამ მონაცემების მიხედვით მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲს"[3]. ყვარელელების ადგილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია იქნებ დასაშვები იყოს.

აღსანიშნავია, რომ გადმოცემების მიხედვით რაიონის უძველეს მოსახლეებად ფშაველები დეკანკერპებს წარმოიდგენენ. მათ ნახოფლარებს ბევრგან ასახელებენ (ქუშხევში, ყვარას თავზე და სხვაგან).

---

[1] შდრ. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937, გვ. 144

ქუშხევის ნასოფლარი შესანიშნავ ნაგებობათა კომპლექსს შეიცავს. ექსპედიციამ დაითვალა დაახლოებით 21–23 შენობის კედელი და საძირკველი. ნაგებობანი დიდი ოსტატობითაა ნაშენები. უზარმაზარი ქვებისგან კედლების მშვენიერი წყობაა მოცემული, კედლის ქვების სიდიდის წარმოსადგენად ვახასიათებთ ერთ განაზომს: ქვის განი - 0.93, სიგრძე – 0.69, სისქე – 0.91. აქვე მოცემული კოპალას სახელობის ახალი ხანის ნაგებობები მდარე ხელობისაა.

ხალხურ თქმულებას შემოუნახავს დევ-კერპებისა და კოპალას ბრძოლის ეპიზოდიც. თქმულების მიხედვით, ოდესღაც იხინჭის მთაზე დევებს უცხოვრიათ, რომელთაც თურმე კოპალა ებრძოდა, მაგრამ ვერ დასძლია. იმ დროს თიანეთის ვაკე წყლით ყოფილა დაფარული, ხალხი თურმე საცხოვრებლად მთის ფერდობზე იყო შეფენილი. ამ ხალხში ერია ერთი და-ძმა თინა და იორამი. ერთხელ მღვდელს კერაში ცეცხლი ჩაქრობია. გაუგზავნია დიაკვანი დევებთან და დაუბარებია – დევებს ცეცხლი გამოართვი და მომიტანეო. წასულა დიაკვანი იხინჭის მთაზე დევებისათვის ცეცხლის გამოსართმევად. დიაკვანს ყური მოუკრავს დევების საუბრისათვის. თურმე ერთი დევი ეუბნება მეორეს: ხალხი უჭკუოა, იმათ რომ ჭკუა ჰქონდეს იორამსა და თინას დაკლავდნენ, წყალში ნაადებდნენ და მაშინ ბოკონი (ადგილის, სოფლის სახელია) გაიხსნებოდა, ვაკეში დაგროვილი წყალი წავიდოდა და კოპალაც ჩვენ გვაჯობებდაო. დიაკვანს ეს ნათქვამი აუკრეფია და მღვდლისათვის გადაუცია. მღვდელს ხალხისათვის უცნობებია. მაშინ ხალხს გადაუწყვეტია დევების ნათქვამი შეკასრულოთო. თინა და იორამი დაუკლავთ და წყალში ნაუყრიათ. მაშინვე ბოკონი გახსნილა, წყალს გასავალი გაჩენია, ვაკე თანდათან წყლისაგან დაცლილა, მისგან მხოლოდ მდინარე-ღა დარჩენილა და მიწა გამოჩენილა, იმ დროს კოპალას დევებისათვის უჯობნია და სულ ამოუჟლეტია. ხალხი მთის ფერდობებიდან ბარად ჩამოსულა და იქ დასახლებულა, ასე გაჩენილა თიანეთი და იორი. თიანეთი იმ ადგილს თინასაგან დარქმევია, ხოლო იორი მდინარეს – იორამისაგანო.[4]

მუშაობის პროცესში ექსპედიციამ გაარკვია სოფლის დასახლების ტიპი. ის აქ მოცემულია მთლიანი კომპლექსის სახით. თითოეულ ტიპიურ კომპლექსში მოცემულია საცხოვრებელი სახლი, გომური, ბეღელი, ბოსტანი და ყანის ნაკვეთი. სახლის ტიპების ხაზით დადგინდა: დარბაზეული, მიწური, საბძლური და ქორედი (დეფორმირებული) სახლები. გაირკვა დარბაზული ტიპის რაობა და მისი გავრცელების არეალი, აგრეთვე მიწური ბანიანის მიმართაც. ყველა მონაცემის მიხედვით ცხადია, რომ ეგრეთ წოდებულმა საბძლურმა (ორწახნაგიანი სახურავით) შეცვალა ბანიანი სახლი, აღსანიშნავია ამავე დროს, რომ საბძლური სახურავითაა წარმოდგენილი ყველა საკულტო ნაგებობა. ხევსურული ქორედი

[2] იხ. ვ. ბარდაველიძე, იერის ფშაველებში, ლღიური, ენიმკის მოამბე, ტ.XI.
[1] ვ. თაქაიშვილი, Iძčჰ. ძóč., II გვ. 717.

სახლი დეგრადირებული სახითაა მოცემული. ორი სართული ერთითაა შეცვლილი და ნაცვლად ბანისა საბძლური სახურავი ხურავს[4] რამდენადაც ჩვენ მიერ წინათ დადასტურებული იყო, რომ ხევსურეთში საბძლური სახურავი ფშაველთიდან შესული კულტურის ელემენტია, ამდენად გასაგებია ფშავში ხევსურული ქორედი სახლის ჰიბრიდული ფშავურ-ხევსურული ელემენტებით მოცემულობა.

ტიპური საბძლური საცხოვრებელი სახლი აქ წარმოდგენილია შემდეგი გეგმით: დელფანი, საბარგო და სამყოფო. სახლის ტერმინოლოგიისათვის აღვნიშნავთ: ლიბო (იგივე საძირკველი დიდი ლოდებისაგან აგებული იმ სახით, რომ ხერხდება მასში ნიადაგის წყლის გატარება), მშრალად ნაგები კედელი და ქვეთკირი, დირე, ბოძი, დასაყელოება, გამოწარბვა, სარტყლები, თავხე, კოჭები, ფარეშები, ჭერი, ნაფოტი, მიწა, საბძლის ბოძი, ყბა, კეხი|საყოფ|| ისარი, შუალა ბოძი ||დედაბოძი||ბოტიტანა, კავები ჩხირები, ლასტები, ჩალა (ჭვავი||ყარტი) ლატნები, წნელები; შუაცეცხლი, კერა, სიპი, რკინის კერა, საადე ხეები; ქვა, ბოძი დათვი (ბალიში, ბანდუში), თავხე, აყრები, საკომე; ბოძი, საყუნწური, ბასკა, სათაურა, საკედურა, ლოტნე||ხლვე, ბაგა, სანერწყელი, საძირ-გირკალი, ცივყორის კედელი, ბოყვი, ყადაღი, ბუხარი ძველებური, ფურნე ქართული, ხოხი ქვა (ფოლადი ქვა), კარის ქვა, კუთხის ქვა, ნალი, მარწუხები ||მეშველები, ჭანჭიქი|| ყადაღა, ნიადაგი; ჩხირები, საყუნჭური, კოჭაკი, სარტყელი, თირკმლები, ურდულის ალაგიურდული, გარეშა ოთახი, სანეხი, საქარი, საქრის სვეტი, ბოძი-აფრა, საყოფის ბოძი.

საყურადღებო კომპლექსს წარმოადგენს ექსპედიციის მიერ შესწავლილი წისქვილი. ჩვენ მიერ ს. ზემო არტანში დამოწმებული იყო ტურბინული წისქვილი ბუჭულა. სიდიდის მიხედვით, წისქვილის ქვა ხელსაფქვავის ქვაზე ცოტათი მეტია. მხოლოდ ის წყლის ძალის გამოყენებაზეა აგებული და ამასთან დაკავშირებით გართულებული. (ფშავსა და ხევსურეთში, როგორც ჩვენ ვიცით, ჯარაების ასამოძრავებლად ხშირად წყალია გამოყენებული. ამგვარად ამოძრავებული ჯარა ფშაველ ქალს ზემო არტანში ჩვენი შესასწავლი ობიექტის წისქვილის არხის წყალზე ჰქონდა მოწყობილი).

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ტურბინული წისქვილი ძველ საბერძნეთსა და რომში აღმოსავლეთიდან არის შესული. ყველაზე უძველეს ცნობას ამ სახის წისქვილის არსებობაზე ურართული ტექსტები შეიცავს. ჩვენ მიერ ივრის ხეობაში შესწავლილი ბუჭულა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მისი ნაწილების ტერმინების უმრავლესობა ქართული სიტყვის ძირებიდანაა ნაწარმოები, რაც ბარული წისქვილის ნაწილების სახელებზე მხოლოდ ნაწილობრივ ითქმის. ამ კომპლექსის ნაწილების სახელები ჩვენ მიერ ფიქსირებულია: რუ, სარუე, ღარი, საღორე, ყორე, დირე, ბოყვები, ნაწარბი, ბოძი, ყბა, სათავე, კავები,

[4] გაგონილია „თამარის კალოზე“ იხინჭას მახლობლად, როდესაც იხინჭობიდან „ქულუხი“ ჰირიქითში მივმგზავრებოდა.

კარი, ჩარჩო, კოჭაკი; - სამაქნის ხე, ფარცხი, კაჭკაჭი (რკინისა), კოჭი ანუ ასტამი (კაჭკაჭს აქვს კოჭი), დერძი, სალტე, მორგვი, ფრუ, ბორბალით (მთლიანად), თოფი, სათოფ, ბოძი (ორი), კოდი, ჭიდი, სარეკელა (ეს არის წისქვილის ქარხანა), ალატი, მჭვარი, ქრიჯა, კასრი (ასაწყავი) = 8 კილოს ანუ ორ ლიტრას, მინდი, სამინდე (1.5 კილო).

სახვნელი იარაღების ხაზით ჩვენს შესასწავლ რაიონში არსებითად ერთი ტიპის სახვნელი დადასტურდა: ეს არის ის ძირითადი სახვნელი იარაღის ტიპი, რომელსაც ჩვენ „ფშაურს“ ვუწოდებთ. კოსტრუქციულად ამ ტიპს ახასიათებს მხარი გაყრილი ხელნაში, საქართველოსა და კავკასიის სახვნელი იარაღების მიხედვით, ეს სახვნელი იარაღი ის სახესხვაობაა, რომელსაც „შეითან ნიფთსაც“ უწოდებენ. ივრის ხეობაში იგი მოცემულია იქ, სადაც ვაკეა, ქართული გუთნის მსგავსად, ხოლო ფერდობებზე ადგილთან შეფარდებით მოკლე ან შედარებით გრძელი მხარითაა წარმოდგენილი, ეს მოკლე და შედარებით გრძელი მხარით წარმოდგენილი სახვნელი იარაღი ქსნური მთის გუთნისგან და ორხელასაგან განსხვავდება მხარის დაკავშირებით ხელნასთან.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის სახვნელი იარაღი გავრცელების მხრივ დადასტურებულია საქართველოს მთაში ვიწრო ტერიტორიაზე: იორის, ფშაველ არაგვისა და თეორი არაგვის ხეობებში. ამაო დასავლეთით ქსნური მთის გუთნის სახის იარაღია გაბატონებული, ამავე დროს ეს იარაღი ქსნური გუთნისა და რაჭული სახვნელის მსგავსად ფერდობის დასამუშავებელი სახვნელი იარაღია. ივრის ფშაველების თქმით, ეს სახვნელი ვაკეზე ვერ იმუშავებს, ის იქ მარტო კვალს გაავლებს რუსავით, ხოლო ფერდზე კი ბელტს მოჭრის და გადააწვენს, ეს სახვნელი ამავე დროს ყევარს შეიბამს ხოლმე. ხაბას კლასიფიკაციის მიხედვით, სახვნელი იარაღის ეს სახეობა არონას უნდა წარმოადგენდეს. ეს ტერმინი დღეს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მხოლოდ მესხეთშია შემონახული. ხაბა წერს: „(ერქვანს) ორის ჭარისასა ეწოდების ოქოქა და ანაჩა, ყევრის ჭარისასა არონა“. ივრის ხეობაში სახვნელი იარაღის ზემონახსენებ ტიპს ანაჩა და გუთანი ეწოდება, მისი შემადგენელი ნაწილების სახელებია: ქუსლი, საქუსლის ყურები, საშრაუე, მჭარი, ჩხირი, ასაბმელი, დასაბიჯები, ხორხი, საკვეთელი (პირი, ყუა, ღერი), სახნისი, სოლოი, ხმალი, ვერქვანი, ტოტები, კუდის ხოლი, უღელი, ქორაკი, საქედნავი, ტაბიკი, ტაბიკი თავი, სამალდე. აღსანიშნავია აგრეთვე გუთნის დედა და მეხრე.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ აქ მოდგამობას ამბაზი ეწოდება. ამბაზში მონაწილეთა შრომა-დღის გამოანგარიშება წარმოებს შემდეგი სახით:

I ვარიანტი:

გუთნისდედას	1 დღიური
სახნისს	1 დღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვეთელს	0.5 დღიური
ჯამბარას, აპეურსა და უღლებს	0.5 დღიური
ღვედს	1 დღიური
12 უღელ ხარს	12 დღიური
4 დღის მეხრეს	4 დღიური
3 ღამის მეხრეს	6 დღიური
	---
	26 დღიური

II ვარიანტი:

გუთნისდედას	2 დღიური
სახნისს	1 დღიური
საკვეთელს	0.5 დღიური
ჯამბარას, აპეურსა და უღლებს	0.5 დღიური
ღვედს	1 დღიური
ხარს	1 დღიური
ღამის მეხრეს	1 დღიური

ამ სახის გამოანგარიშებას ცალზე თვლა ეწოდება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ სოფ. ტუშურებში შესწავლილი გუთანი ამჟამად მოქმედი უკანასკნელი გუთანია ექსპედიციის მუშაობის ტერიტორიაზე.

გუთნის ნაწილები:

რვაუღელა გუთნის ხარებისა და მეხრეების სახელები:

1 კბილი (იფანი)
2. საქლეში
3. ჭმალი
4. ფთის ჩხირი
5. ჭელკუდი
6. ჭელკუდის ჩხირი
7. კოფა
8. მანჭა დიდი
9. მანჭა პატარა
10. სოლები
11. ფთე
12. რვილი
13. საკვეთელი
14. საკვეთლის სოლი
15. საჭნისი
16. ფთე
17. ფთის წვერი
18. ყუა-ბუდე
19. ზალტე
20. ყოი
21. ფამფალაკი
22. ჯამბარა
23. ველის გორგოლა (ნეკერჩხალი)
24 ფამფალაკი
25. სოლი
26. ჩხირი
27. კოლი გორგოლა
28. ფერსო
29. ყადაღა
30. რჩხა
31. შოლტყავი
32. კორაქი
33. ღვედი
34. ჭაპანი
35. კორაქები
36 საქედელი (უღლისა)
37. სამალდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინგა ჭარი	წინა მეჭრე
2. საჯდომი ჭარი	
3. წასაკრავი ჭარი	წასაკრავის მეჭრე
4. საჯდომი ჭარი	
5. საშუალო ჭარი	საშუალის მეჭრე
6. საშუალი ჭარი	
7. გრძელი ჭარი	
8. ღირღიტის ჭარი	ღირღიტი მეჭრე

გადასაზიდ და გადასაყვან საშუალებების ხაზით შესწავლილი კულტურის ელემენტებიდან მნიშვნელოვანია მარჭილი, რომელიც შემდეგ ნაწილებს შეიცავს: ყალი, ყალის თავი, საკოჭაკე, კოჭა, სადოთავე, დოთა, ნემსა, ჭელნა, წნელი, თავშაყრის წნელი, ჩხირი, ჯინი: ყალი, ჭირხლები, ჯინი, წნელი, კავი: სათარი, სამჩხირავი, კავი, თოკი ალახი.[5] გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებების დასამზადებლად საჭირო იარაღი: ცული, სატეხი, ჭვედა და შალაფი.

მესაქონლეობის კომპლექსიდან აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ რაიონის მცხოვრებთ შირაქში ცხვრის გარდა ძროხაც მიუდიოდათ. წვრილფეხა საქონლის შირაქში გადაყვანის მარშრუტი იყო: - ლეკოვანი–ბაჩალი–ხატხეურა–არტანი–ლიშო–თიანეთი–ყებოტა, საბუე–ახმეტა–ქისტაური–წინანდალი–გურჯაანი– წნორი–წითელი წყარო–შირაქი.

დასასრულ ექსპედიციამ (შემსრულებელი უფროსი მეცნიერი მუშაკი, დოც. ვ. ბარდაველიძე) იშვიათი მასალა შეაგროვა რელიგიის გადანაშთების ხაზით.[6] კერძოდ ექსპედიციას შემთხვევა ჰქონდა რამდენიმე ქადაგად დაცემული ენახა და მათთან ემუშავა, გადაეღო ფოტოსურათები, ჩაეწერა წეს-ჩვეულებები და სხვა. სამწუხარო იყო, რომ ექსპედიციას კინოაპარატი თან არ ჰქონდა, რომ ქადაგად დაცემის იშვიათი შემთხვევები კინოაპარატით გადაეღო.

სხვათა შორის ექსპედიციამ დაადასტურა თამარისა და ლაშარის კულტი, რომელიც ყველა მონაცემების მიხედვით შეიცავს მეფეთა გაღმერთების ელემენტებს და ამით უძველეს ტრადიციებს ამჟღავნებს. ამ მონაცემებით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სადავოდ აღიარებული საკითხი (ნ. ურბნელი, ვაჟა-ფშაველა) არის თუ არა ფშაური ლაშარობის კულტში ლაშა-გიორგი საგულისხმებელი, უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.[7]

ამ აზრს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ მეფის გაღმერთების თქმულებები სხვა ქართველ ტომებშიც მოიპოვება, სახელდობრ,

---

[5] სიბას მიხედვით: „ალაკი-საცორავი (საცორავად დამაყენებელი Ŕ)"

[6] იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშაველებში

[7] ივ. ბ უ ქ ურ ა ულ ი, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, მოამბე, 1898, №№4 და 5; ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ფშავ-ხევსურები, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ.102; ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, ტფ. 1937, გვ.143

ხევსურებში, აი რა გადმოცემა არსებობს ხევსურებში ირაკლი მეფის შესახებ (მომყავს ალ. ოჩიაურის ჩანაწერი. ოჩიაურს ეს მასალა ჩაუწერია ბეწიკა ჭინჭარაულისაგან): „ხევსურებს მეფე ირაკლიც ისე მიაჩნდა როგორც ღვთაება და ეძახდნენ გუდანის ჯვარის მოძმეს. იგიც ამოდიოდა ხევსურში, ხევსურთ გუდანის ჯვარში მოუყრიდა თავს და თვითონ ბელელში შევიდოდა. იქიდან ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი. ხევსურთ რწმენით გუდანის ჯვარს ირაკლი პირადად ელაპარაკებოდა: ჩვენ ვერ ვხედავთ გუდანის ჯვარს, რადგანაც საფარველი აქვსო. ხოლო ირაკლი, როგორც ჯვარის მოძმე და თვითონაც წმინდა კაცი, როგორც ღვთაება, თვალით ხედავს და ერთად ბაასობენო. გამოვიდოდა ირაკლი ბელლიდან და ხევსურებს გუდანის ჯვარის სურვილს გამოუცხადებდა. ირაკლი უფრო ასეთ შემთხვევაში ამოდიოდა, როცა ომი უნდა ყოფილიყო და ირაკლის სურდა ხევსურთა გაყვანა[8] ომში. ხევსურნი ერთხმად დაემორჩილებოდნენ გუდანის ჯვარისა და ირაკლი მეფის სურვილს და ხშირად ომიდან გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენო.[9]

1941 წ.

[8] დედანში „ხევსურთა გაყვანისა"

[9] ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

1939 წ. პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მივლინებული ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ პატარა ლიახვისა და მეჯუდას ხეობებში მივლინებულმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმუშავა შემდეგი მარშრუტებით:

1. მერეთი - ზარდიანთკარი - გუგუტანთკარი-კოშკა-კულბითი-დისევი.
2. მერეთი – ქსუისი – ზემო დმენისი– ვანათი
3. მერეთი – ზემო ჭარები
4. მერეთი – მეჯვრისხევი
5. მეჯვრისხევი – კირბალი

ექსპედიციის მიზანი იყო: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსის შესწავლა. გზადაგზა ექსპედიცია კრებდა მასალებს მიწისმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერი მუშაკი გ. ნიტაია, მხატვარი ნ. ბრაილაშვილი, არქიტექტორი მ. პოპოვი, მხატვარი დ. გველესიანი, ფოტოგრაფი ხ.ბაღდადლიშვილი.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა 17 დღე.

ექსპედიციის მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით: სოფლებში ზერტი, კირბალი, ბერშუეთი, აძვი, ჯარიანშენი, ქვეში, ქ. არცევი, ქიწნისი, ქერე, კოშკა, დისევი, კულბითი, მერეთი, დიცი, ქორდი, არბო, ფლავი, ფლავისმანი, ქ. ვილდა – ქართველებია (ქართლელები); ხოლო იქით ქოლოთი, ოლოფთა, ისროლისხევი, ციცაგიანი – „თიულები"; დუღუზანა, ვალიანი, ქარქინი, ჩხარაული, იკორთა, ზ. არცევი, გოიანთკარი, აძვისთავი, ქლივანი, ჯვარეთი, ღრომი, გორეთი, ანდორეთი, თელაგინა, თხინავალი, მახისი, ბიყარი, ხარუ, ახალისი, გენგიურები, არდისი, ციცაგიანი, ქუჯინი, აშატური, ჯორთა – წოლდი ოსებითაა დასახლებული.

მოსახლეობის მოძრაობის პროცესი იქაც იგივეა, რაც ჩვენ მიერ იყო დადგენილი ქსნის ხეობაში, ე.ი. მთიდან მთის ძირში და შემდეგ ბარში[1]. არსებითად მოსახლეობის გადასახლების შესახებ ვახუშტის ცნობა მართლდება, რომ გაპარტახებულ ბარისა და მთის ძირის ზოლის ადგილებში გადმოსახლდნენ მთიულები, ხოლო ამ უკანასკნელთა ტერიტორიაზე ოსები დასახლდნენ. „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი,

[1] ამას ამაროლებს ჩვენ მიერ შეძენილი 1816-1819 წ. დოკუმენტიც: არზა-სანიერი ბეგიაშვილისა

[2] ვახუშტი, გეოგრ, ჯანაშ. გამოც. გვ. 104



ხიოვ. ჭეზეთი. ძველებური ხიდანგი

და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან"[2]. ამასვე ცხადად ამტკიცებს ზემომოყვანილი ოსებით დასახლებული ქართული სახელწოდების სოფლები.

ექსპედიციის სამუშაო რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დასაზუსტებლად გარკვევას მოითხოვს საკითხი აქაური „თიულების" შესახებ, რა ურთიერთობაში უნდა იქნეს ნავარაუდევი ლიახვისა და მეჯუდის ხეობების მთიელები ქსნისა და არაგვის მთიელებთან და მთიულებთან. რა აქვთ მათ საერთო ყოფაში, კილოში და სხვა, ამ საკითხს ჩვენ ვსვამდით ქსნის ხეობაში მიელინებული ექსპედიციის მოკლე ანგარიშის განხილვის დროსაც. უნდა აღინიშნოს, რომ დასმული საკითხის გაფართოებაც შეიძლება. როგორც მოგეხსენებათ ღების, ჭიორის და გლოლის მოსახლეობის ტერიტორიას მთიულეთი ეწოდებოდა (ტერმინების მთიელი და მთიული შესახებ შეადარე ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 301). დასმული საკითხი მოითხოვს სტაციონალურ მუშაობას და ყოველმხრივ შესწავლას, ზემოთქმულთან ერთად საყურადღებო გარემოებაა ის, რომ მეჯუდელების თქმით ლიახვს იქით ზემოქართლია, სადაც თითქოს კილოს უქცევენ და ყოფაშიც განსხვავებული ფაქტებია მოცემული: „სიმღერა იქ სხვა არის, ჩვენს სიტყვებს არ უდგება" — გადმოგვცა ალ. ბეგიაშვილმა (ს. მეჯვრისხევი). საჭიროა ამ მხრივაც გამახვილდეს ყურადღება.

აღსანიშნავია ის ვითარება, რომ „გეოგრაფიული ისტორიის" ავტორი ალექსანდრე ამილახვარი ზემო ქართლად ლიახვის ზემოთა მხარეს მიიჩნევს. ის წერს: „მას შემდეგ, რაც ქართლის მეფეს კახეთის და გარდაბანის პროვინციები ჩამოშორდა, მას მხოლოდ ორიღა შერჩა ზემოჩამოთვლილი რვა პროვინციიდან, თითო მათგანი ორადაა გაყოფილი, ასე ორის მაგიერად ოთხია შექმნილი. პირველი ნაწილი განიყოფება ორ პროვინციად, ზემო და ქვემო ქართლად. ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და სხვა თავადთა გვარებისა... ამავე პროვინციაში მთავარი ქალაქებია: გორი, ცხინვალი, სურამი და ალი[3]"

ადვილად დასაშვებია, რომ ხალხის მეხსიერებას შემონახული ჰქონდეს ქართლის ორ პროვინციად განაწილების ზემოხსენებული ვითარება.

ექსპედიციის სამუშაო რაიონი ეკუთვნის მთის ძირის ზოლს, ამიტომ ამ ზოლისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები ძირითადში აქაც არის მოცემული. ეს ის ზოლია, რომელიც საქართველოში შემდეგი პუნქტებითაა წარმოდგენილი: კახი, სტალინირი, ლაგოდეხი, ჭიათურა, ახმეტა, ონი, დუშეთი, ცაგერი, ლენინგორი, ლია, მეჯვრისხევი, ჯვარი, მერეთი, სამურზაყანო და სხვა.

---

[3] ალ. ამილახვარი, გეოგრაფიული ისტორია, თარგ. გ. ქიქოძისა, მნათობი, ტ.8, გვ. 128

ადამიანის საცხოვრებელი ნაგებობის ძირითადი ტიპის გეგმა იძლევა ისეთ კომპლექსს, რომელიც ან ერთიანი სახის ნაგებობაა – მაგალ. ცეცხლი (კერა), ადამიანის და საქონლის ბინა ერთადაა მოცემული, ან კიდევ მთლიანი ნაგებობა გადატიხრულია; ტიხრით გამოყოფილია ადამიანის საცხოვრებელი ბინა საქონლის სადგომისაგან, ხოლო ცეცხლის ადგილი ადამიანის სადგომშია მოცემული. მესამე სახის ნაგებობაში მეორე სახის კომპლექსთან ერთად ერთ ჭერქვეშ მოცემულია მარანიც.

ჩვენ მიერ შესწავლილი მარნები შემდეგი სახის ნაგებობას წარმოადგენს: მარანში საწნახელის გარდა მოთავსებულია მიწაში ჩაფლული დიდი და პატარა ქვევრები. საწნახელთან ყველაზე მახლობელ ქვევრს თაღარი ეწოდება. ზოგიერთ შემთხვევაში თაღარი[4] საგანგებო ფორმისაა. მის ფუნქციას შეადგენს დარიდან გადმოდენილი ტკბილი მოიცვას. აქ დაგროვილ ტკბილს შემდეგ გადაიღებენ ქვევრებში. საყურადღებოა, რომ ქვევრებსაც საგანგებო სახელები ეწოდება იმის მიხედვით თუ რომელი რომელ ხატისათვის იყო განკუთვნილი და რომელ დღეობაზე უნდა გაეხსნათ. ასე მაგ., სოფ. დისევში ქვევრებს ეწოდებოდა: საგერითო, საივნემახარობლო, სახთიშობლო, საუსანეთო, საკვირაცხოვლო, საანგელოზო. ზემოაღწერილი მარნის პარალელი, სხვათა შორის, იხ. ბოღაზკოის ნაგებობებში (K. Bitter und Naumann, Bogazkoy, II, Brl, 1938, tab.17).

მეტად საყურადღებოა ჩვენი კვლევის რაიონში შესწავლილი სახლების ევოლუციის პროცესი გაშუქების მიხედვით. აქ დამოწმებული იყო: უშუქო სახლი, რომელსაც შუქი მხოლოდ კარიდან შეუდის (ს.ზ. ჭარები); ერდოს შუქით (ს. ზემო ჭარები); სახლი, რომელსაც შუქი ზემოდან ჩაუდის, მაგრამ მისი ერდო განსხვავებულია ჩვეულებრივი ერდოსაგან. ამ შემთხვევაში ბანზე მოწყობილია ისეთი ნაგებობა, რომ შუქი გვერდიდან შედის და შემდეგ სახლში ჩადის. სხვა შემთხვევაში შუქისათვის კედელში მაღლა შუკუმია მოწყობილი. უკანასკნელად, სახლის კედელში ფანჯარაა გამართული. სახლის გაშუქების ამგვარიევე სისტემები ჩვენს მიერ დამოწმებული იყო მესხეთში (ქვაბლიანის ხეობა)[5].

სახლის აგების ტექნიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ზოგიერთ საყურადღებო ტერმინებს აღვნიშნავთ: უძრავი და საძრავი მიწა (ყანა), დედამიწა – მიწის იატაკს ეწოდება, საძირკველი, გარე და შიდა პირების ამოყვანა, დარანი და ხურდა ქვა, მსხვილ ქვას – გორჯალი ქვა ეწოდება, კირის ჩასხმა, კუთხის ქვა, გრძელი ქვა დასაკეტად, ცარიელი ქვა – ყორე, გონიო, თარაზო, შიმშა, ლარი, ჩაქუჩი||კვერი, ქაფჩა, მალა, მალის გასაფხეკი – პატარა ნიჩაბი, ხარანო, კიბე, თაბადი, საგორავი, ლომი, ქვატალახი, კედლის მეოთხე პირი

---

[4] შდრ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია № 0359

[5] ბ. ნიტაია, ბლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, მიმომხილველი, I, ტფ. 1926, გვ. 208

აგურის წყობით გამაგრებული, კირი, კირწყალი, ნალი, ლაბადური, კოჭები, დედაბოძი, დედაბოძი ქვა, ბანდუში, თავხე, ჭერი, ნაფოტი, ტალახი, აყრები, თახჩა, წალო‖ თარო.

სამეურნეო ნაგებობებიდან შეეხერდებით ვენახის ქოხზე. მას აქვს: ბოძი (ებებით), საგვერდული, ძირის ხე, წნული, დატალახებული მიწა „წყეულის გულითვინ", საყვავის ბოძი, თავხე, კაკები, ლატანი, წალამი კონებად, ცეცხლისათვის ადგილი წინ მიწაზე (კერა აქ ეწოდება გრძელ ქვას, მუგუზალის თავის ჩამოსადებს.).

სახლის ტიპებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დარბაზულ სახლს ჩვენი კვლევის რაიონში ერთობის სახლს ეძახიან. მას'ში, ისევე როგორც ქართლის სხვა ნაგებობებში, დიდი მნიშვნელობა ჰქონია დედაბოძს. იგი მნიშვნელოვანია, როგორც სახლის კონსტრუქციული ელემენტი, მაგრამ ამის გარეშეც მას საყოფაცხოვრებო ფუნქციებიც ჰქონია დაკისრებული. ყველა მონაცემის მიხედვით აშკარავდება, რომ დედაბოძი ქართლში კერის კულტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა. დედაბოძი ოჯახის ახალი წევრის ინკორპორაციის (მაგ. რძლის) ცერემონიალში მთავარ როლს ასრულებდა: ახლადმოყვანილ პატარძალს სამჯერ უნდა შემოევლო დედაბოძის გარშემო. დედაბოძი ითვლებოდა ოჯახის ბურჯად იმდენად, რომ ძველად, როდესაც ქალს ათხოვებდნენ, პირველად იმას იკითხავდნენ, სასიძოს როგორი დედაბოძი უდგას სახლშიო.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, თუ რატომ ექცეოდა დედაბოძის მოკარგვას დიდი ყურადღება. ექსპედიციამ შეაგროვა დედაბოძებზე გამოხატული მრავალი სიმბოლური სახე: მზე, ჯვარი, ხელი და მრავალი სხვა. ამ ორნამენტების მიხედვითაც ირკვევა თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დედაბოძებს, რადგანაც მათ'ზე მოცემული ორნამენტები აპოთროპეული დანიშნულებისა იყო; ისინი იცავდნენ კერას, სახლს და ოჯახს ავი თვალის ზემოქმედებისაგან.

მაგრამ დედაბოძის მნიშვნელობა მარტოდმარტო ზემოთქმულით არ განისაზღვრება. იგი, როგორც ითქვა, კონსტრუქციულადაც მეტად დიდ როლს ასრულებდა. იგი იყო მთავარი საყრდენი სახლის ბანისა, სახლის გვირგვინიანი სახურავისა. ამის შესაბამისად იგი ღონიერი უნდა ყოფილიყო. მასვე ღონიერი ბუღაური უნდა ჰქონოდა. დედაბოძი ბუღაურის შემწეობით თავხეს იჭერდა. ამ უკანასკნელზე კი ბანი იყო დაწოლილი. დედაბოძი ჩვეულებრივად მთლიანი ხისაგან ითლებოდა და არაიშვიათ შემთხვევაში ბუღაურთან ერთად ერთი ხისაგან კეთდებოდა. უკანასკნელ შემთხვევაში დედაბოძის ზემო ნაწილი (ფთიები) ორ მეტრსა და მეტ განს იჭერდა ხოლმე. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი კვლევის რაიონში მრავალი ვარიანტი იქმნა დამოწმებული დედაბოძის კომბინაციისა, ბუღაურსა და თავხესთან. ეს ნაირნაირობა ჰლიუს ნაირსახეობა თვით დედაბოძისა უდავოდ ნაგებობის ამ კოსტრუქციული ელემენტის უძველეს კულტურაზე მიგვითითებს. ბევრ რამეში ქართული ნაგებობების ეს ელემენტი

ძველი აღმოსავლეთის ურარტული და ხურული (ჰილანების) სახელებს სვეტებს უკავშირდება.[6] თუ ზემოთქმულს იმასაც დავსძენთ, რომ ახალი მონაცემების მიხედვით, თვით იონური კოლონები წინააზიური ურარტულ-ხურული წარმოშობისა უნდა იყვნენ,[7] ჩვენთვის ცხადი იქნება, რამდენად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ფაქტია, ქართული კულტურის საწყისების კვლევის თვალსაზრისით, ქართული დედაბოძი. ექსპედიციამ 22 სხვადასხვა სახის დედაბოძი ჩახატა, გაზომა და ფოტოგრაფიულად გადაიღო.

მიწის მოხვნის წესებიდან აღსანიშნავია ახლად ფიქსირებული ნაღარზე და ნაზურგზე ხვნა. ნაღარით ხვნა ყანის გვერდებიდან ოთხკუთხად შემოყოლებული ხვნაა, ხოლო ნაზურგით ხვნა სწორ-ხაზოვნად ზედიზედ მიყოლებული ხვნაა. მიწა რომ ერთ წელიწადს ნაზურგზე მოიხვნება, მეორე წელიწადს ნაღარზე უნდა მოიხნას. ამას გარდა, ჩვენს საკვლევ რაიონში ქართული ძველებური გუთნის გარდა დამოწმდა ამ გუთნის მუხრანული ვარიანტი. ეს უკანასკნელი ძველებური გუთნისგან განსხვავდება იმით, რომ მას რკინაგადაკრული კბილა და ფრთა აქვს. ქართული გუთნის კომპლექსში შემდეგი ნაწილებია: გუთანი (ყელი, ბოლო), საჯამბარე, მანჭა (ველის მანჭა, კვალის მანჭა), სახელური, ფთები, კბილა, კაკაბი, ხმალი, სახნისი, საკვეთელი, ღერწკალა‖ ფამფალაკი, ღერძი, შოლტა, რჩხა, დიდი გოგორა (კვალის გოგორა), პატარა გოგორა (ველის გოგორა ‖ ღირღიტა) – მორგვი, სოლები, ფერსი, საღვედე, აპეურები, ჩეკი. ამავე კომპლექსში შედიან: გუთნის-დედა, მეხრეები, გუთნის თავის მეხრე, საძირის მეხრე, საშუალო მეხრე, წინ მეხრე, გუთნის თავის ხარები, ცანდის კამეჩები, საძირის ხარები, საშუალის კამეჩები, საშვიდულლის კამეჩები, წინა საჯდომის ხარები, წინა ხარები. უღელი სამგვარია: საყევრის უღელი, საჯდომი უღელი და სადა უღელი.

ს. ჭარებში, რომელიც მთის ხოლს ეკუთვნის, შემონახული სახვნელი იარაღი ქსნური მთის გუთნის ტიპისაა. როგორც გარკვეულია, სახვნელი იარაღის ეს ტიპი კარგადაა შეგუებული ფერდობების მოხვნასთან და ამდენად მთის ხოლის მიწის მოქმედებისათვის დამახასიათებელი. გავრცელების მხრივ ეს სახვნელი იარაღი ჩვენ გვხვდება თეთრ არაგვზე, ქსანზე, ლიახვზე, დასავლეთით მისი დაწინაურებული ვარიანტი მოიპოება რიონზე, ცხენის-წყალზე და ინგურზე. არაგვის აღმოსავლეთით მთაში ფშაური და ხევსურული სახვნელი იარაღებია დამოწმებული, ხოლო თუშეთში სახვნელების თავისებური სახეა შემონახული. სახელდობრ, საჭნეული გულამოღებული ქუსლით ჰლიეუს კავი, რომელიც ხვნის პროცესში დამხმარე როლს ასრულებს.

სოფ. მერეთში შეგროვდა ცნობები ოქოქას შესახებ. დღეს ეს სახვნელი იარაღი ხმარებაში არ მოიპოვება. გლეხების თქმით ის მიწას ქექავდა. მის ნაწილებს შეადგენდნენ: შოლტა, ცანდი‖ ჩანდი, ოქაქა‖ქუსელი

---

[6] W. Belck, Bauten und Bauart der Chalder, Verh. d. Berl. anthr. Gesell. 1895.(გვ. 609-616) Br Meissner, Babilonien und Assyrien, I, Heidelberg 1920, გვ. 281 შმდ.

[7] Леманн-Гаупт К., Успехи изуч. др. ист. ets., ВДИ, ტ.I, 1938

(ფოებით), ხმალა, სოლი, ფარვაში, მანჭა და სახელური. აღწერილობის მიხედვით, ეს იარაღი აღბულადის რაიონში ჩვენ მიერ ფიქსირებული ანაჩის ტიპისა ჩანს და განსხვავებულია ოქოქას იმ სახისაგან, რომლის სურათი ტყვიავული მეურნის მიერ მეხსიერებითაა აღდგენილი.[8]

ვაზის კულტურის ხაზით დადგენილია ვაზის მოვლის ძირითადი პროცესები: წიდნა, ბარვა, თოხნა, ფურჩვა, შეწამვლა, რთველი და დაწურვა. ვაზის ჯიშები, რომლებიც გამოყენებულია დღესაც მეურნეობაში, შემდეგია: გორული, (თეთრი, ყველაზე უფრო ძველი), მწვანე (თეთრი), ბუდეშური (თეთრი), თეთრი საფერავი, მსხვილ მარცვალა ‖განჯურა, საფერავი (შავი), ანდრიული (შავი), დანახარული, შავკაპიტო ‖ თავკევერი (ანდრიული, დანახარული და შავკაპიტო გადმოცემით ადგილობრივი ჯიშებია), დილბული, იმერული და აბისური (ოდესა?). ველურ ვაზს აქ ბაბილო ეწოდება (შდრ. საბა, ბაბილო – მაღალი ვაზი (ვენაჭი) (ხე). (ხის ვენახი, გინა გრძელი ვაზი, დობილო C) (7,11 ფსალმ.)". გლეხების თქმით, „მაღლარი" გვიჭამია და არ დაგვიწურია"-ო. ვაზის კომპლექსის ერთ-ერთ თვალსაჩინო კომპონენტს საქაჯავი წარმოადგენს. ის გამოყენებულია ჭაჭის საქაჯავად. ამ რაიონში იგი ორი სახისაა: ძველებური და ახლებური. ძველებურ საქაჯავს აქვს ქვის ძირი და ასაკიდი ქვა, ხოლო ახლებური დამზადებულია მთლიანად ქვისაგან.

მისი ნაწილებია: ისარი, სადღობელი ‖ ჭახრაკი, ჯაჭვი, წნელები, ფიცრები, ძარები და ბოძი.

თავისი აღნაგობის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ეს იარაღი ზეთის სახდელ მოწყობილობას ემსგავსება. ძველ საქართველოში ზეთის კულტურას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დღესაც მოიპოვება თრიალეთში ძველებური ზეთის სახდელი ქარხნები გამოყენებული ახალი მოსახლეობის მიერ. ამავე რაიონში და, აგრეთვე, აღბულადშიაც მრავლად არის საქაჯავის ძირა-ქვები. მერეთის მხარეში ჩვენ მიერ შესწავლილი საქაჯავის ტიპი–ენიმკის ექსპედიციის მიერ ფიქსირებული იყო იმერეთში, მაიაკოვსკის რაიონში 1937 წელს, ხოლო საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ სტალინირში – 1935 წელს.

ექსპედიციამ შეაგროვა მასალა აგრეთვე გადასაყვან და გადასაზიდ საშუალებების და ნადირობის კომპლექსის შესახებ.

ჩამოტანილია: ათი კომლექსი განაზომებისა (გეგმები, ჭრილები, ტექნიკური დეტალები, გენერალური გეგმა), ჩანახატები (შინა მოწყობილობა, დედაბოძები, მოაჯირის ორნამენტები, სოფლის ხედი) და ფოტოგადაღება ოთხასი ცალი.

ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც მეჯვრისხევში იქნა შეძენილი საქართველოს მუზეუმისათვის, მეჯუთის ხეობის ქართველთ და ოსების აჯანყებას ეხება. ამ დოკუმენტში წერია:

---

[8] იკ. ჯაკაჩიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, ტ.I, ტფ. 1930, გვ. 196

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იცის უფროსობამ მიზეზები, რამ გაქნევიათ თვ~ თქ~ნის ბატონების ერისთვის-შვილების ურჩობა, და ამასთანავე თქვენის მეზობლების ქართველთ გაცარცვასა და წახდენის გარდა გაბედეთ მათის იმპერატორებითის დიდებულების ძალიანისა და უძლეველის ჯარის დაუმორჩილებლობა; მგონია ამ ქცევაების მიზეზი არის და გაქნევინებსთ თქ~ნი გულის-განზრახუა და იქნება შთაიგონებიან ამას თქ~ნი ამისთანა კაცები, რლ~თაც თქ~ნი უბედურება ჰსწადიანთ და დაკარგუა; მეჯავრება მე თქვენი ასე საწუხარი ამბავი და მინდა შევიტყო თქ~ნგან პირად სულ ყუნლა თქ~ნი საჩივარი და სამდურავი, და მართალი არის სამართალს ვიზამ. ამასთან საგანგებოდ ვჰგზავნი მე თქ~ნთან თავადს დავით თარხნიშვილს ამის თ~ს რომ ამ ჩემს მამაშვილურს თქვენს სწავლებას გარდა შეგაგონოსთ ამან და ხათრი ჯამი გაგხადოსთ, რომ არაზედ შეგეშინდესთ და მოითხოოს ჩემთან თქ~ნი უფროს უფროსნი კაცნი, რომ მაგათ მე თქ~ნი საჩივრები მითხრან გორში რადგან ახლა მე აქ ვიმყოფები; კიდევ ამასთანავე გულს დაგაჯერებ, რომ ეგ თქ~ნი უფროს უფროსნი კაცნი თუ მოხელენი ისევ წამოვლენ არცა რა თქ~ნ და არცა რა მაგათ ევნებათ რამე; თუ არა იქთ ამას და უფროს კაცებს არ გამომიგზავნით, მაშინ მე – ჩაგაგდებ თქ~ნ შეწუხების ულირსად (Недостойными сожалени˙) და მცრცულად და ამკლებელად, და როგორც რიგია თქვენისთანა კაცებისა ისე გადაგხდებათ. თუ ჩემს ბრძანებას ახლა ყურს არ მოუგდებთ და არ დაიჯერებთ ესეც იცოდეთ, რომ ამას გარდა მეორედ კაცს არ გამოგიგზავნით. – დაიწერა მშვიდობიანს გორის ქალაქს თებერვლის ბ. ქ~ს უჟე წლსა.

მათის იმპერატორებითის დიდებულების, ყ~დ მოწყალის ჩემის ჭელმწიფის თოფხანის პოლკოვნიკი, საქართველოს მმართველი და წმინდის ანნას მეორეს ხარისხის და წმინდის იოანე იერუსალიმელის ორდენების კავალერის მქონებელი – თ ე ო დ ო რ ე ა ხ ვ ე რ დ ო ვ ი.

1941 წ.

1947 წ. ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია (დღიური)

7 ივლისი, 1947 წ.

თბილისში საათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ ექსპედიცია 7 ივლისს დილის 10 საათზე საკუთარი სატვირთო მანქანით გაემგზავრა დუშეთს.

ღრუბლიანი დილა იყო და სიცხე არ იგრძნობოდა. მანქანა ჯერ თბილისს არ გასცილებოდა, რომ შემთხვევით მოუხდა გაჩერება საბურთალოში ერთ-ერთ ეზოსთან. გამოცნაურების შედეგად გაირკვა, რომ იქ მცხოვრები ოჯახი ეკუთვნის გიორგი და დავით ერისთავების შთამომავლობას. სახლის უფროსი ელისაბედ ერისთავი კარგად შეგვეგება და შეგვიწვია სახლში. ეზო კარგად არის შენახული, ასევე ბინაც.

მცირე ხნის განმავლობაში ელისაბედმა ბევრი საინტერესო ამბის გადმოცემა მოასწრო: მათი ოჯახი 1929 წ. გადმოსახლებულა თბილისში სოფ. ოძისიდან. ეს სოფელი მან სიამოვნებით გაიხსენა და გვითხრა, რომ განსრახული აქვს იქ გიორგი და დავით ერისთავების სახელზე მოაწყოს სახლ-მუზეუმი, რის ნებართვასაც ახლო ხანში ელის. ამ წამოწყებაში მან დახმარება ექსპედიციის ხელმძღვანელობასაც სთხოვა. რადგან სოფ. ოძისი ჩვენს სამუშაო არეში ხვდება. ასი წლის წინათ, ქართლის არქეოლოგიური კვლევის დროს, სოფ. ოძისში სოლომონ და გიორგი ერისთავების ოჯახში უცხოვრია მ. ბროსეს.

მეორე შენერება ექსპედიციის წევრებს მოუხდათ არმაზში, სადაც უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ისტორიის ბევრი ძვირფასი ძეგლია აღმოჩენილი.

ვიდრე დუშეთის აღმართს შევუდგებოდით, ექსპედიციამ შეისვენა არაგვის პირზე, საიდანაც კარგად ჩანს არაგვის მარცხენა მხარე – საგურამო და მისი მეზობელი სოფლები და საიდანაც საქართველოს სამხედრო გზა დუშეთზე გაუვლელად აგრძელებს თავის ახალ მიმართულებას არაგვის გასწვრივ.

ღღის ორ საათზე ექსპედიცია ჩამოვიდა დუშეთში და მოეწყო პედაგოგიური სასწავლებლის შენობაში, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წინასწარ იყო გამოყოფილი და სათანადოდ მომზადებული.

ექსპედიციის ხელმძღვანელობამ ინახულა საქ. კ. (ბ) დუშეთის რაიკომისა და მშრომ. დეპუტატ. რაიაღმასკომის ხელმძღვანელი ამხანაგები მომავალ მუშაობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად, აგრეთვე დახმარების მისაღებად.

დაბინდებისას ექსპედიციის წევრებმა გაისეირნეს მილახვრიანთ კარისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 ივლისი

სამუშაო დღე ცოტა მოგვიანებით დაიწყო. ამხანაგების ნაწილმა ექსპედიციის ხელმძღვანელისაგან მიიღო დავალება დუშეთის რაიაღმასკომში ზოგიერთი ისეთ ცნობის მოპოვებისა, რომელიც გააადვილებდა საერთოდ ჩვენს მუშაობას; კერძოდ, დუშეთის რაიონში შემავალი სასოფლო საბჭოებისა და სოფლების, აგრეთვე მეურნეობის ძირითადი ფორმებისა და მათი გავრცელების შესახებ. დღის 5 საათზე ეს ამხანაგები დაბრუნდნენ და მოიტანეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები. ა.კაკაძემ და კ.ჩოლოყაშვილმა რაიონში წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჯიშებისა და მათი სულადობის შესახებ, ი.ჭყონიამ დუშეთის რაიონში შემავალი სოფლის საბჭოებისა და სოფლების შესახებ, ს.ბედუკაძემ ხელოსნობისა და ი. ნანობაშვილმა მევენახეობის მდგომარეობის შესახებ.

ექსპედიციის ხელმძღვანელი მ.გეგეშიძესთან ერთად მუშაობდა ექსპედიციის პროგრამის დასრულებაზე. შედგენილი იქნა თავები: ქვის, რქის, ხის დამუშავების, ხვნის, ქსელვის, კერამიკის, ლითონის დამუშავებისა და სხვ. შესახებ. ჯ. რუხაძის ხელმძღვანელობით აზუსტებდნენ ექსპედიციის პროგრამას სოციალურ და რელიგიურ ნაწილში.

სადილის შემდეგ ავტომანქანით გავემგზავრეთ მილახვრიანთ კარში. ეს სოფელი დუშეთს ეკვრის დასავლეთით და გაყოფილია მისგან პატარა წყლით, რომელსაც დუშეთის ხევს უწოდებენ.

ეს სოფელი ლამაზად არის დასახლებული ისევე, როგორც დუშეთის ირგვლივ მდებარე სოფლები, რომლებიც აქ ერთ მიკრორაიონს ქმნიან და ამფითეატის სახით არიან განლაგებული.

სოფ. მილახვრიანთ კარში ყურადღებას იქცევს ძველი ციხე, რომელიც ამჟამად საცხოვრებელ ბინად არის გადაკეთებული. ციხის დათვალიერების დროს იქ მცხოვრებმა მანუკოვმა - მილახვრიანთ კარის მტს გამგემ, ექსპედიციის წევრებს ანვენა ამ ციხის ძველი წარწერა მარმარილოზე ასეთი ტექსტით:

„ქ ყოვლისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა

ძისა ვახტანგ ალმასხანისა გულითადმან მონამან ჭილაძემან ბაბანას შვილმან მილახვარმან სამთა თემთა მოურავმან და რუსეთის გზის მცველმან გლახამ აღვაშენე ციხე და გალავანი ესე და მას შინა სახლოი ღ~ჳსა და სახლნიცა ნემნი მოვამგრგვალენ რათა მასშინა იდიდებოდეს ღ~თი და მის მიერ იცვებოდნენ შვილნი და სახლეულნი ჩემნი სრულ იქნა

მაისს ლ წელსა

ქ~სსა ჩუ. ქჯ~ს უჰᲗ“

ეს წარწერა ექსპედიციამ შეიძინა საქართველოს სახ. მუზეუმისათვის. ამის შემდეგ ვესტუმრეთ ამავე სოფლის ხატს, რომელიც წმინდა გრიგოლის სახელზე არის აშენებული. ეს მომცრო ნაგებობა ნახევრად დანგრეულია, მაგრამ ა.წ. მაისს იქ მაინც მისულა ხალხი სახატოდ. იქვე მოწყობილია პატარა ფარეხი.

აქედან გზად ჩამოვლა მოგვიხდა მილახვრიანთ კარის სასაფლაოზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მოუველელ საფლავებს შორის რამდენიმე ქვიანი საფლავიც არის გაკეთებული.

ზოგიერთი ჩვენგანის ყურადღება მიიქცია 16 წლის მეხბორე არჩილ ჩერქეზიშვილმა, რომელიც გზაზე გაგვეცნო და საინტერესო ამბებიც მოგვაწოდა. კერძოდ, მან მოიგონა ამ ორი წლის წინათ მომხდარი ამბავი ცეცხლის ჯვრის ნიშთან (დუშეთის ჩრდ. დასავლეთით დაახლოებით 5 კმ), როცა ერთ-ერთი მეველის ცდა, შეურაცხყოფ ეს ხატი, მისი წაქცევითა და ქადაგად დაცემით დამთავრდა. მან თურმე განიზრახა ნიშზე დადებული ორი სანთლის წამოღება ფეხსაცმლის ძაფის გასასანთლად. არჩილის მიშველების შემდეგ, როცა სანთელი ისევ ძველ ადგილზე იქნა დადებული, მეველე განიკურნა და უვნებლად დაბრუნდა სახლში.

ეს ამბავი არჩილმა დიდის გატაცებით და დამაჯერებლობით გადმოსცა. მანვე გვაცნობა, რომ ძველი ამბების კარგი მცოდნეა მისი ბებია, 85 წლის კუზიანი მოხუცი, რომელიც ჯერ კიდევ მხნედ არის და ბევრსაც მუშაობს.

უკანა გზაზე არჩილი მანქანით გამოვასეირნეთ.

ლაგვისტო

სოფ. ყვავილი

მთხრობელი ჭონქაძე მიხა იაგორას ძე, 55 წლისა, ყოფილი გუთნის დედა. ასრულებს ყოველგვარ დავალებას მეველეობაში.

„აქ შემდეგნაირ ნიადაგს არჩევენ: თიხა, ღირღილი (ქვიანი), შავი მიწა, თეთრი მიწა, ჭანგა (ჭაობიანი), ფიცხი ალაგი. საკანედ ყველას მზვარეს შავი მიწა სჯობიან. ჩირდილის მიწას შემწეობა არა აქ.

საკანე ადგილების სახელებია: ასხეპილები, ბოხო, ბურკიაანთ ხევი, გვერდა (ს)წორა, გვიანას ახო, გრძელეები, დამპალა, დასაქანი, დუშურა ახოები, ზალიკას ახო, კოდი(ს) თავი, კურდღელაანთ კარი, მჭედლი ხევი, ნაბაკურევი, ნაკალოარი, ნაკაფები. ნაპატივრები, ნაფუძვარები, ჟონაანთ კარი, სართაულა, ყამირას ახო, ჭინანა, ჭიკოიანთ ახოს ქედა, ხევი, ხუციაანთ ახო, ჯორმუხა, ეს ადგილები სხვადასხვანაირად იხვნება.

საბძლის კედლები ზედ კალოზე უნდა დაიწნას, კალოს ქვემოდან, დასაწნავად საჭიროა წნელი, ხელმარგილა. საბძლის სიდიდეს გაანია, ისე კი საბძლისთვის საჭიროა 3-4 ურემი წნელი და დაახლოებით 20-25 ხელმარგილა. სასაბძლე ადგილის შუაში 4-5 ბოძია დაყენებული კაპიანი თავით, რომ საყუე (პირდაპირ გადებული სწორი ხე სახურავისა) კარგად დაედოს. საყუეზე უნდა დეეწყოს კავები (გრძელი ხეები), რომელთა თითო თავი გახვრეტილია, და ჩაყრილია შიგ ჩხირი. ეს ჩხირი კავს საყუეზე ამაგრებს. კავები მეორე თავებით - ე. ი. ბოლოთი საგვერდულზეა დალაგებული. კავებს სიგრძეზე წნელით უნდა დაეკრას ლატანი (მომსხო ხე). საჭიროა 30-40 ლატანი. ლატანზე დაეწყობა ფიჩხი, ფიჩხზე კი თივა ან ჩალა გადაეფარება. საბძელს წინიდან ორი

ლასტი უნდა, მარჯვენა და მარცხენა. ლასტებიც იქვე უნდა დაიწნას, ლასტის ჯოხებს, რაზედაც წნელი იწნება მანები (მანა) ეწოდება. კარებიც ლასტისაა. ბზე 2 წელიწადს გასძლებს საბძელში, მერე კი დაობდება და გამწარდება.

კალოს წინასწარ მომზადება უნდა. საჭიროა გაითოხნოს მკის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე, რომ ზედაპირიც გასწორდეს და ბალახებიც ამოიყაროს. მერე უნდა გადაიხვეტოს კაბდოთი და მოირწყას.; მორწყვის შემდეგ, შეშრება თუ არა ძნა, უნდა ჩაიშალოს. თითო კალოზე თუ ერთი კევრი შეებმის, 6-8 ათეული ჩაიშლება, და თუ ორი – 12-18 . ჯერ ძნას გადმოიღებენ ორ ან სამთითათი, შემოურიგებენ კალოზე ირგვლივ დახსნიან ულოებს და კალოს პირზე დააწყობენ. მერე ძნას ხელით ჩაშლიან, წასწვამენ, ულოებსაც მიწიან ბოლოებს დააჭრიან და იმასაც ჩაშლიან. დაიწყება ხარების მოტარება კევრით. კევრზე უდგას ერთი ადამიანი, კაცი ან ქალი. საქონელი ერთი უღელი უნდა თითო კევრსა. კევრი კი ერთ კალოზე შეიძლება ოთხიც იყოს, ეს კალოს სიდიდეზეა დამოკიდებული.

მუშაობის დაწყებიდან დაახლოებით 2-3 საათი რომ გაივლის, ე.ი. ერთი ხელი მუშაობის შემდეგ, კალოს ორთითა ფიწლით უქცევენ, როცა გადაუქცევენ, შემდეგ კევრმა 1 საათი მაინც უნდა შეისვენოს,. რომ ქცევის შემდეგ ძნა გაფიცხდეს. ამ დროს ხარები გამოუშვებლად ისვენებენ. მეორე ხელიც იმდენ ხანს, ან ცოტა მეტს გრძელდება, მერე ისევ შეუქცევენ, მაგრამ უკვე სამთითა ფიწლით, რადგან ორთითა ფიწალი შემტვრეულ ძნას უკვე ვეღარ იღებს. ამ შექცევის შემდეგ უფრო ცოტა ხანს ხდება შეფიცხვა, რადგან ძნა უკვე შებზეებულია. ძნა ჯერ ბზედ არ არის ნაქცევი, მაგრამ დამტვრეულია. მესამე ხელიმუშაობა უკვე ცოტა ნაკლებია, მის შემდეგ რაც ხარებს გამოუშვებენ და წყალს დაალევინებენ. ამას სამხრის წყალი ჰქვიან. შეუქცევენ ოთხთითა ფიწლით, შეუბამენ და განაგრძობენ მუშაობას. მეოთხე ხელი მუშაობის შემდეგ, რაც 2 საათზე მეტს გრძელდება, შეუქცევენ ნიჩბით, რომ თუ თავთავი რამე დაბლა დარჩა, მაღლა ამოიყაროს. ნიჩბით ქცევის დროს ლეწვა გრძელდება. ნახევარი საათის შემდეგ დაუშვებენ კევრს (გადაყენებენ), ხარებს გამოუშვებენ და შეხვეტამენ არნადით საბძლურად. იმ მხრისაკენ, საიდანაც ნიავი მოდის, რომ ბზე გაიტანოს მეორე მხარეს. შეხვეტა ხდება ან ფიჩხის ცოცხით (შვინდისაა), ან კალოს ცოცხით (ბაღში იზრდება). შეგვა სჯობიან კალოს ცოცხით, რადგან უფრო წმინდაა. ამ მიგვილს დიდი ბზე ეწოდება და ყველაზე საშიშია წვიმისათვის. დიდი ბზეს დაუწყებენ გამონიავებას სამთითით. თუ ნიავი მოვიდა 2 საათი უნდა, თუ არა და შეიძლება დარჩეს კიდეც ორი ან მეტი დღე. დიდ ბზიდან რომ გამოიყვანენ, მერე გამოახვევებენ - გამაახოვებენ ნიჩბით. ხოვი ეწოდება დიდ ბზიდან გამოყვანილ სხვილ ბზეს და ხორბალს ერთად. გამოხოვების დროს უსურავებენ, თავს უგვიან ფიჩხის ცოცხით. გადასურავება არის ხორბლისათვის ბზის გადაცლა, რომ დარჩეს სუფთა ხორბალი. გადასურავებულს კიდევ სჭირდება გაცხავება. ცხავის რკალი უნდა იყოს თელის ქერქი. ძირის თითოეულ ცალს-

ღერს ლაპატო ეწოდება, რომელიც თხილის წნელისაგან მზადდება. რკალზე ლაპატოებისაგან გამოწნულს ცხავი ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცხავების შემდეგ სუფთა ხორბალს თუ დრო დარჩა, მზეზე გააშრობენ და ტომრებით წაიღებენ შინ. ტომარა სახლში მზადდება მატყლისაგან და ჩადის 2-დან 5 კოდამდე. კოდში სამი ფუთია. ბზე არნადით შეიხვეტება საბძელში. წმინდა ბზეს კი წმინდა ცოცხით მიჰგვიან. ნახევრამდის რომ მოვა - მოიყრება საბძელი, შერეკავენ თხებსა და დაატენინებენ (ხან მსხვილფეხა საქონელსაც), აქედან გაუჯავრდებიან, ბოლოში ჩარეკამენ, იქიდან ახლა აქეთ გამორეკამენ და ასე დაიწევს ბზე, მერე კიდევ შეხვეტამენ ბზეს, ვიდრე საბძელში საქონელი შეეტევა და კიდევ დაატენინებენ. საბძელი რომ აივსება, კარებს ჩაჰკეტავენ, ვიდრე საქონელს ბაგური კვება დაწყობოდეს. საქონელი ბაგაზე რომ დაიბმის, საქონლის პატრონი საბზეური გოდრით გამოიტანს ბზესა და ჩაუყრის ბაგაში.

კ ვ ე რ ი. კვერი უნდა იყოს პანტა, თელა. შეიძლება მთლიანი ან ორ ნაწილიანი. საკვერე ხე თუ პატარაა, მაშინ ითლება მთლიანი კვერი, თუ დიდია და გაიხერხება ორად (გათლის შემდეგ), თითოს ნახევარი კვერი ჰქვიან. გაჭრილი კვერი იმითია კარგი, რომ მოძრაობა აქვს აქეთ-იქით და მეტ ფართობსა ლეწავს. გათლის შემდეგ კვერი უნდა გაიტუსოს, მერე გაიხვრიტოს სატაბიკე და ქვედა მხარეს საკოხეები ამოეჭრას. საკოხედ ტალის ქვაა საჭირო, რომელიც გამძლეც არი და კარგადაცა სჭრის. ტალის ქვას არაგვზე არნევენ და იმ სისხოდ დაამტვრევენ, რა სიდიდის საკოხეებიც გვაქვს ამოჭრილი; დამტვრევის შემდეგ მ ო კ ო ხ ვ ა იწყება. ტალს პირი ზემოთ უნდა მოექცეს. ერთი მოკოხილი კვერი ორი წელიწადიც გასძლებს, მაგრამ ზოგან მაინც დასცვივა.

უღელი უნდა იყოს თელისა, პანტისა და სხვა, გარდა რბილი ხეებისა (დგნალი, ფიჭვი). საგანგებო საკალოე უღელი არ არსებობს. კვერზედ საყევრის უღელია გამოყენებული.

საყევრის უღელს შუა სატაბიკეში აქვს ს ა კ ო რ ა ქ ე, რომელიც გამოიბამს საყევრის ჯაჭვს, ან ჭ ა პ ა ნ ს, ჭაპანს კი სატაბიკე დაწვნის დროსვე აქვს დატანებული. (არის თ ა ვ თ უ ღ ე ლ ი ც, რომელიც ურემში იხმარება და რომელსაც სათავტაბიკე ნახვრეტი აქვს).

უღელს აქვს ორი საქედური, აქეთ-იქით ამოჭრილი სატაბიკეებით – ერთ ციდაზე. ტაბიკი უღელს იმაგრებს და ხარს იბამს. ტაბიკი შვინდის ხისა უნდა იყოს და მსხვილი თავი ჰქონდეს, რომ არ ჩასძვრეს, ტაბიკის ბოლოში სასამალდე უნდა ამოიჭრას სამალდე თხის ბალნისაგან. შუა ტაბიკს თ ა ვ ტ ა ბ ი კ ი ეწოდება.

ფ ი წ ვ ა ლ ი სამნაირია: ორთითი, სამთითი და ოთხთითი ფიწვალი. კეთდება შვინდის ხისაგან, ისე კი შეიძლება კუნელა და თხილი. შერჩევა ტყეში ხდება. თითები სწორე უნდა ჰქონდეს. შეიძლება ტყეშივე გაითალოს, მაგრამ მეტწილად სახლში ხდება დამზადება ზამთრის პირად. გაეცლება კოერი, ქერქი და გაიტუსება. ეხლა საჭიროა თითების შემოხრა. ორი ტაბიკი ან ხე (4 სმ.) ერთმეორეზე გაიბმება და ამ გამბული ხეების შუა საფიწლე ხის თითები გაეყრება. შემდეგ გამხმარი

ჯოხი გამოედება შუაში თითებ ქვეშ გამბულ ხეს, გადმოიწევა ფიწლის ტარისკენ და დამაგრდება ტარზე ან კანაფით ანდა წნელით. ამ დაბმული შეინახება ერთი კვირა და ახსნის მერე თითებმოხრილი ფიწალი დარჩება.

არნადი ითლება მთლიანი ხისაგან (წიფელა, თელა, მუხა და სხვა მაგარი ხე), სატარე მხარეს 10 სმ. სიმაღლე უნდა ჰქონდეს, ხოლო დაახლოებით 5 სმ. კი სატარეს ქვემო ნაწილი. არნადი ორი ნაწილისაგან შედგება: თვით არნადი და ტარი.

ნიჩაბი ითლება ერთი მთლიანი ხისაგან (პანტა, მსხალი წიფელი) მურჟანი და სხვა მაგარი ხე), შედგება ორი ნაწილისაგან: ნიჩბის პირისა და ტარისაგან.

კალოს გადახვეტისა და მორწყვის შემდეგ საჭიროა მოყაროს ბზე, რომ ლეწვის დროს ხორბალი არ ჩაიკრას. გარდა ამისა, ბზე კალოს იმ ფხვიერ მიწასაც ჩააკრავს, რომელიც კალოზე იყო დარჩენილი.ბზის მოყრა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მეორე დღეს კალო არ შეიბმის, რადგან შეიძლება კალო დაიწვას. როცა კალოს ჩაშლას დავუპირებთ, საჭიროა ამ დაყრილი ბზის გადაგვა.

ნიავის გამოსაწვევად ხმამაღლა იტყვიან: „მოდი, მოდი, ნიავო, თეთრ ქათამს დაგიკლამო“. წინათ კალოს კრეფას როცა დაამთავრებდნენ, თეთრს ქათამს აუცილებლივ დაკლავდნენ“.

3 აგვისტო, სოფ. ბაგა

მთხრობელი კოლხიდაშვილი კოლა გიორგის ძე, 60 წლისა, ძირითადად მიწისმოქმედი.

თხრობას დაესწრნენ და შესწორებები შეიტანეს ჩოხელმა გიორგიმ და სუფურაშვილი თედომ.

სოფ. ქვემო ტურსები, 1947 წ.

„ჩვენ სოფელში სამნაირი მიწაა: შავმიწა, თეთრმიწა, წითელმიწა. საყანედ შავმიწა სჯობს.

თეთრმიწა და წითელმიწა იმდენ შემოსავალს არ იძლევა.საყანე მიწებს საცა ძაან უჭირთ, სასუქს ვაყრით. მიწას დღიურებითა ვზომავდით. ერთ დღიურში 500 მეტრი იქნებოდა. ჰოდა ამ დღიურს 700 ურემი ნაკელი სჭირდებოდა. ნაკელს ბოსლებთან და ბაკებთან ვაგროვებდით და ისე გაგვქონდა. (ჭალა რო ლპება ეგეც სასუქია); ნაკელის გატანა თოვლზე ვიცოდით, ზამთარში მარხილით. ლაფათკებით გავშლიდით და როცა მაიხვნებოდა, შიგ ნაჰყვებოდა. ნაცრის დაყრა ახალია. ძველათ ახოს გატეხვა ვიცოდით. გაზაფხულზე გაიკაფებოდა, ჯირკვებზე დაიყრებოდა. შემოდგომაზე კი თოხით დაიქარჩნებოდა. ისე დარჩებოდა და გაზაფხულზე კი დაითესებოდა. გუთნის გატარება იყო საჭირო ამოსაყრელად. შემოყვერა აღარ იციან. წინათ კი, როცა დიდი ხეები იყო, ამას აუცილებრივ აკეთებდნენ. ხვნა სამჯერ ვიცოდით [შესწორება შეიტანეს „ხვნა ოთხჯერ ვიცოდით“]

საცხოვრებელი სახლი, ს. ქვემო ტურსები, 1947 წ.

გაზაფხულისა, ანეულისა, ნაოშისა, ნამძრალი.

ნამძრალი ხვნა ეხლა ხშირათ არი. მაგრამ შემოდგომაზე მოხნულს, გაზაფხულზე ისევ უნდა გადახვნა. ძველათ ერთნაირი გუთანი იყო - ხისა. რკინის გუთნები ხალხს უკვირდა. აქ აჩაჩა არა სცოდნიათ. ზეით კი, საკრამულოში, უმუშავებიათ თავიანთ გვერდაებზე. ოქოქა და კავწერა არ გამიგონია. ძველებური გუთნით მე თითონ ვხნამდი. 40 დღიანი უნდა გვეხნა. იანვრიდან გუთანი უნდა შაექუნებინა გუთნიდედას, გაეგო ვინ რას გააკეთებდა. იქ რო პირობას დავუდებდით გუთნიდედასა, იმის გადახვევაზე სუდში მიგვცემდნენ. ერთხელ ჯამბარ-სამალდეები უნდა მიმეტანა, მეალოვნეთ ვდგებოდი. ვეღარ შევძელი იმით მიტანა, სანამ საკრაულოში არ მაშოვნინა, ისე გუთნიდედამ თავი არ გამანება.

თუ ორმოცდღიანზე ვიყავით გასულები, გუთანზე 4 დღე უნდა გვეხნა, საკვეთლისა და სახნისისა 3 დღე, ჯამბარ-სამალდეებისა 1 დღე, ერთი ღვედისა 1 დღე (სულ 2), ღამის მეხრისა 4 დღე (ორისა

8), დღის მეხრისა 2 დღე (სამისა 6). კვირა უქმით თუ დამის მეხრეები უვლიდნენ საქონელს, მათ ერთ დღეს უმატებდნენ. ამას მეხრეები გაჰყიდნენ ხოლმე. ს ა ზ ი ა რ უ ლ ო ერქვა. ასეთ მოვლაში დღის მეხრეები კი არაფერს იღებდნენ. ხარ და კამეჩს თითოს-თითო დღე ერგებოდა 40 დღიანზე. ოციანზე კი ორს – ერთი დღე. გუთნის ერთი დღის მოხნულს ერთი ალო ჰქვიან, ერთი ეტყოდა მეორესა - ალოს ხო არ გაჰყიდიო, ვითომ ჩემთვის ხომ არ იმუშავებო. ბოლო ალოს გათრეულა ან გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ალ ო ჰქვიან. დღის დასასრულის სულ ბოლო კვალს კი ბ ე ბ რ ი კ ვ ა ლ ი.

გ უ თ ა ნ ი. თითონ რვილას გუთანს ეძახდნენ. იფანი ან თელა უნდა ყოფილიყო თავისთავად მოხრილი. ბევრია ფერსვიანათ ამოღებული, მაგრამ ეგეთი არ გამოდგება.

მთხრობელი: ჩოხელი ვასო არსენას ძე, 57 წლისა. მეველეობის კარგი მცოდნე და შესანიშნავი გადმომცემი. მამა-პაპა გუდამაყრიდან არის ჩამოსული.

ყანაში მუშაობა ნაღარში ნაზურგის შაკვრით იწყება. მთლიან მამულში კი ზეით ნაპირიდან მოჰყვება. ერთ გავლებას კვალი ჰქვიან. კვალი სიღრმით ერთი ციდა ან მტკაველი უნდა იყოს, სიგანით კი იმდენი, რომ ღირღიტას ჩამოვლაზე მთლიანად აეღო (გავლაზე ნახევარს აიღებდა, გამოვლაზეც ნახევარს). სახნისი და საკვეთელი ერთად 20 კილო მაინც იყო. სიმძიმე და პირი ამდენს აჭრეინებდა. ხვნის დროს გუთანში შაბმულ საქონელს დღეში ოთხჯერ დასვენება მაინცა სჭირდება. სამხრათ რო მოვაძოებდით, ისევ შავაბამდით. პირველად ოთხი უნდა შამოგვეველო და დაგვესვენებინა, ამაზე იტყოდნენ ხოლმე ორი კაბდო პირი მოვხანიო. სადილის მოტანის დრო რო მოვიდოდა (მანამდე კი შაიძლება ექვსიც შამოგვეველო) გამოუშვებდით. პირველ დასვენებას სადილობა ერქვა. დასვენების შემდეგ ისევ ოთხჯერ უნდა შამოგვეველო და კიდევ დაგვესვენებინა 2 საათით (გამოუშვებდით), დასვენებას უკვე სამხარი ერქვა. შემდეგ ისევ შავაბამდით. სამხრისა შააბესო, იტყოდნენ ხოლმე. ორი დასვენების შემდეგ მესამეზე გამოვუშვებდით – ამას ხ ა რ დ ა შ ვ ე ბ ი ს ხ ა ნ ი ერქვა.

აქ ჩვენ ადგილებში ითესება: პური, ქერი, სიმინდი. შამოდგომის პური დოლი პურია – წითელი დოლი, არი თეორი დოლიც. შამოდგომის ქერი ძველთესლია ოთხმწკრივიანი მრავალთავთავებით. გაზაფხულის ქერი ორმწკრივიანი ახალთესილია. გაზაფხულის პურს დიკას ვეტყვით. აქ შამოტანილმა თესლმა „უკრაინამ“ არ ივარგა და ისევ დოლი პურზე გადავედით. ფეტვი ორგვარია, რგვალთავთავიანი და გა-ფარჩხული. შამოდგომაზე, ენკენისთვეში უნდა დავთესოთ ქერიცა და პურიც (ძველთესლი). თესვა ყველას არ შაუძლიან. თესლი მეშოკებით უნდა წავიღოთ. მთესველი ფეშტამალში ჩაიყრის და მემრე მარჯვენა მუჭით დაიწყებს სროლას, ისე რომ თითებში გაატაროს. კაი ნათესი რო გამოუვიდეს, სულ მარცხენა ფეხზე უნდა გადაყაროს. მთესველს მშველელი სჭირდება, კვალზე მოუძღვება და ზურგზე მეშოკი ჰკიდია. თ ე ს ლ ი მ პ ი რ ა ვ ს ვეტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათესილს დაფარცხვა უნდა; დაფარცხვა კაბდოთი ვიცით. კაბდოს ორი ხელნა აქ. კაბდოს ზედ უბია წნელებით ჯიჯღი-შვინდის წნელისაგან დაწნული. ხელნები ჭინჭილაქებით არი კაბდოში დამაგრებული. ჯიჯღს ხე ადევს, საჯიჯღეს ვეძახით. საჯიჯღეზე ერთი ფეხი უნდა დაადგა, მეორეთი კაბდოსთან იდგე და ასე გაბოტილი გაუძღვე. შაებმის 3 ან 5 უღელი ხარი და კამეჩი.

თუ მშრალი ნახნავია, ორი კაცი ეყოფა სიმძიმეთა. ზოგჯერ ურმის თვალ დაადებენ ხომ, მძიმეთ მოვიდესო. ზოგან კი ისეთი ადგილია, რო არც კაცი უნდა. დაფარცხვა ერთ გავლაზე ხდება, გამოვლა ადარა სჭირდება. კაბდო წიფლისაა. ჯიჯღს ნაშვერამს საკაწრავათ 60 ღერი.

ყანა შემოდგომაზეე ამოდის და შაჭეება ზამთარში. მწვანეთ არის გადამჯდარი და რო გაზაფხულდება ისევ დაიწყებს მუშაობას და ამოვა. ქერის ფესვები პირდაპირ მიდის, პურისა - ცოტა დაცერებით, თუ სამარგლელი რამე მოჭეა, გამარგლიან ან ხელით ან რკინის ნეკით თუ ნარი მოერია. ნარი წაგდებით უნდა წაიჭრას (აქ ნარი იცის დიდი, პატარა, ნარცეცხლა, დოგო).

ანაანი, სოფ. დგნალი, 1947 წ.

მკა. სამკალად ქართულ ნამგალსა ვხმარობთ, მჭედელი აკეთებს. წინათ მკაში დანაცვლება ვიცოდით. ოცამდეც შაიერებოდა დასახმარებლად მოსული ხალხი. ყანის პატრონი იყო ხოლმე უფროსი. კაი მომკელი მესვეური იყო. ბიჭობისათვის კაი კერძი, ცხვრის ან ძროხის თავი იმისი იყო. მესვეური სჭრის ყანას. გადაჭრილ ყანას სვეს ვეძახით. თუ შხირი ყანა არი, ხელეურში (მუჭაში) მეტი მოდის. საჩვენებელი და ცერი თითის წრეს წკიპურტი ჰქვიან. ამ თითებს არ უნდა, სხვა თითებზე კი სათითეები უნდა იყოს გაკეთებული, რომ ნამგალი

პირმა არ დასჭრას. ექვსი ხელეური ერთ ძნას გააკეთებს, შაიკვრის. იქვე მოგლეჯილი ულოთი. ორ მომკალს ერთი მ ე ძ ნ ე უ რ ი უნდა მისდევდეს. ორი ძნა ორეულია თუ ერთად დავდეთ. დაორებულიაო, იტყვიან ხოლმე, წვიმის მხრისაკენ (დასავლეთი) ზეიდან უნდა იყოს გადაფარებული. ხუთი ორეული (ათი ძნა) – ათეულია. ამათში ორი თავს უკრამს. ერთ ათეულს ორი ფუთი უნდა გასცვივდეს (სამიც უნდა დაყაროს, თუ კაი მოსავალია). პურს როცა ს ა ნ ა კ მ ა ზ ე მოდგეს ათეულში 1 კოდი უნდა გამოვიდეს.

სანაკმაზე ჰქვიან მესამე პატარა მარცვალს, პურის თავთავი ტყუპ შუა რო ზის ხომე. მომკილს კალოზე უნდა დადგმა ძნათა. ძნის დადგმა შაიძლება 60 ათეულიდანაც და შაიძლება 200 დანაც; ეს შენ თითონა გაქ გამოკვლევა მინდორში. პირველათ თუ ათი ძნა გააყოლე, ორასი ათეული ჩავა, თუ ხუთი-ასი ათეული სამი იძლევა სამოც ათეულიან ძნას. ერთი მეტრის სიმაღლიდან ძნის სიგანე კლებულობს. გამოაყოლეფ ორეულს, თავი აეკრიფება და მესამე – დაჭკეტამს. ორ მეტრს რო ასცდება ძნა, თავთავები გარედან უნდა მოექცეს - ამას ფ რ თ ა ქ ც ე ულ ი ჰქვიან. ძირშივე არ იქნება თავთავის გარედან მოქცევა რო ქათმებმა არ გამოკენკონ.

კ ა ლ ო. კალოსთვის ისეთი ადგილი უნდა, რო ნიავი მოსდიოდეს. კალო უნდა მოიჭრას 20 მეტრიანი, 15-ზე პატარა აღარ შეიძლება. ზოგი თეთრ მიწას აყრიდა, გამაგრდებაო, ზოგი სტკეპნიდა, ზოგიც კაბდოთი მოასწორებდა, წყალს რო დაასხამდნენ, ყინულივით მოსწორდებოდა, ზოგნი ფეხით მოსტკეპნიდა, ბავშვები კი ს ა ზ ე პ ე ლ ი თ ა სცემდნენ. მორწყვასაც თავისი წესი აქ. ცხრილით თუ მოასხამდნენ კარგი იყო, თუ მიუშვებდნენ და გაუჯდებოდა. სუფთა პურის მიღება თუ უნდოდათ, ნაპირებზე ორ დღეში ერთხელ მაინც უნდოდა მორწყვა, რადგან ნაპირებს მზე უყურებს და გული კი დამალულია.

ხენა. ს. ლაფანაანთ კარი, 1947 წ.

ძ ნ ი ს გ ა შ ლ ა. ძნები დაიწყობოდა და ულოების დახსნის შემდეგ გაიწეწებოდა - ან ხელით ან ფიწლით. ფიწლითა სჯობდა. კალოსთან მიტანილ კეკრში ცხენს ან ხარებს შაბამდნენ. პირველათ 1 1/2 საათის შემდეგ უნდოდა ქ ც ე ვ ა, მერე კი – მალმალ. პირველი ქცევის შემდეგ ცოტას დაიცდიდნენ რო გაფიცხებულიყო. მერე ისევ მოატარებდნენ. საქცევი თითო საათში მოდიოდა. ერთ კალოს 12

ქცევა უნდოდა, თუ უბეჯითებდი, თავთავი აღარ გაგიყვებოდა – ქვეშ არ ჩაგივარდებოდა რო არც ფეხი ხვდება და არც კევრი. ლეწვაში როცა შაჰყავდათ, საგანგებოთ აჭედვინებდნენ ხარებსაც და ცხენებსაც, რო ფეხსაც ემუშავა.

ბოლო ქცევის მერე შახვეტა უნდოდა არნადით, ნიავისთვის უნდა დაყენებინათ. ქალები ცოცხებითა ჰგვიდნენ მარცვალსა, როცა შაიგვებოდა, ნიშნებს დაუწყობდნენ. დაიწყებოდა გამონიავება ფიწლითა (ფიწალი შვინდისა ან თხილისა კეთდებოდა) და დადგებოდა ხვავი, ახლა საჭირო იყო ნიჩბით გამოხვავება (ნიჩბით იმიტომა, რო პური მეტი ურევია); ხვავი შაქუჩდებოდა და გაცხავდებოდა (ცხრილისა და ტაბაკის ხმარება წისქვილში წაღების წინ უნდოდა). გაცხავებულს აწყვა უნდოდა. ხმარობდნენ პინანა (ხის კასრია) და თაბახსაც. პინით აწყული გადასილავდებოდა, თაბახისათვის კი თავი უნდა მოებათ - თავმომბული იწყვებოდა.

აღებული ხვავი გოდორშიაც ინახებოდა და ორმოშიაც. ორმოში გაშრობის შემდეგ ჩაჰყრიდნენ. ზოგს იმდენი ორმოები ჰქონდა, რო დაჰკარგვია კიდეც და ძლივს უპოვნიათ სხვა დროსა. ორმოს გვერდებზე ტბის ჩალას უყენებდნენ, მრგვალი მსხვილი წნელებით მიამაგრებდნენ, რო შიგნით არ შამოწეულიყო ჩალა. ძირშიაც ჩალას უფენამდნენ. თავზე შაკრულ ხეს ადებდნენ და ზედ მიწას აყრიდნენ კოკოლათ.

კევრი. კევრს უნდა წიფელი, თელა, კაკალი (თელა და კაკალი კარგია). იტყოდნენ ხოლმე თელის კევრი მაქო, ან კაკლი კევრი მაქო. კევრი ნახევარ ნახევარი სჯობიან – ცალგვერდით თუ შახვეტილზე გადადის, მეორე ნახევარი ჰაერში აღარ დარჩება და ისიც გადუსომს, კევრს სამი ნაწილი აქ. კევრის თავი, – საცა ღვედი ებმება, კევრის გული – საცა მოკოხილია და კევრის ზურგი – ფეხით რო შადგებიან. კოხები ზიგზაგათ არი დალაგებული და თანაც დაცერებულია. წინამდის არ უნდა მოიკოხოს, თორე მოჰყვება და მოხვეტამს. კუთხიანად ამოჭრილი მაგარია. რგვალად კი მალე სცვივა. კოხის ქვა, ტალის ქვასაც რო ეტყვიან, ბევრია რიყეზე, არაგვზე. ქაისხევში გაკეთებულებს ვყიდულობდით. კოხს ზოგან შეჩერეტილი აქ, როგორც ყველი, რო ადვილათ გადასჭრას. ხერხსაც ხო იყრე აქ პირები. მოკოხვა ხვედათი უნდა, რკინა თუ დაარტყი, სხვები ამოცვივდება. საკოხე ქვა ჩაქუნით იმტვრევა, ქვა ბევრია, დაამტვრიე და ის აიღე, რომელიც გამოდგება. თუ ბასრათ არი გადაჭრილი, შეიძლება საქონელს ბზე შეერჭოს პირში; მაშინვე უნდა პირის გამოწმენდა. კევრი უღელზე უბია წნელით, ჯაჭვით ან თოკით.

ფიწალი არის ორთითი, სამთითი, ოთხთითი (წინათ იყო – უკან ფიცარი ჰქონდა). ჯერ ცეცხლზე უნდა გაიტუსოს - რო ქერქი გაადვრეს (თონეში იციან გატუსვა), მერე თითებში კეტები გაუკეთდეს და ორი-სამი დღე დარჩეს, რომ მოხსნიან მოღუნულიეე რჩება.

არნადი. არნადი სუბუქი ხისა უნდა. კარგია ცაცხვი ან ტირიფი. ერთი ხისაგან უნდა გამაითალოს რო პირიცა ჰქონდეს და სიმაღლეც. ტარიც სუბუქი უნდა დაეგოს.

ცხავი. ცხავებს ციხის ძირში, ქაისხევში, ბოდავში აკეთებენ. ჯერ ცაცხვის ქერქისაგან კირკალს გააკეთებენ. მერე თხილისგან დახეულ პაპატუთი ძირს დაიწნამენ. ცხავის ჩაჩვრეტილებში ნაკმახი უნდა ჩაცვივდეს.

ცხრილი. ცხრილსაც იგივე ნაწილები და მასალა უნდა, მაგრამ თელები ახლო ახლო უნდა ჰქონდეს.

ტაბაკი ერთი ხისაგან კეთდება. კარგია თელა და წიფელი.

ცოცხი შვინდის შაიკვრება სამი წნელითა. სამ ადგილას. შაკვრა მაშინვე უნდა ან ტყეში, ან სახლში.

სოფ. ბაგა

ჩოხელი შაქრო არსენას ძე, 57 წლისა.

ბიოგრაფია

დედა- დათუაშვილის ქალი არაგვისპირიდან იყო. მამის წინაპრები (პაპა, პაპის მამა) გუდამაყრიდან ჩამოსულან. თითონ სოფ. ბაგაში დაიბადა. ოჯახს მიწური ბანიანი სახლი ჰქონდა, რომელსაც 12 ბოძი ედგა. ამათში დედაბოძი იმ სისხო იყო, რომ როგორც თვით შაქრო ამბობს, „რო დავჭერი 8 ბოძი გამოვიდაო“. 3 ბიძა ერთად ცხოვრობდა, მერე ერთი კრამიტიანი სახლი ააშენეს და გაიყარნენ. მიწური ისევ შაქროს ოჯახს ერგო.

აკვანზე ადრე შაქრო ხოჯიჭში ჩაუწვენიათ. ბავშვობის თამაში და გართობა კარგად ახსოვს. უთამაშნია რიკაობა, ჩილიკაობა, ბერიკაობა, ქვაჭედიაობა, ლახტაობა, სცოდნიათ ჭიდაობის ჩაბმაც (შიგ ჭიდილა). წერა-კითხვა ჯარში უსწავლია - პირველი მსოფლიო ომის დროს. დაქორწინებულა 24 წლისა ქერანელ ჭიაბრიშვილის ქალზე, რომელიც ჯერ მაჭანკლის დახმარებით გაუცვნია და უშუალოდ ქალთან რომ შეთანხმებულა, მისი მშობლების სურვილის წინააღმდეგ, მოუტაცია კიდეც. ბევრი უდევნიათ ქალის ბიძებს, მაგრამ მერე შემოერთებიან.

შვიდი შვილი ჰყავს, სულ უფროსი ქალი 27 წლისაა, გათხოვილი.

შაქრომ 12 წლიდან დაიწყო მუშაობა. სულ სახლში მუშაობდა. ჯერ საქონელში დადიოდა, მერე კი გუთანზე. ათი წელი იყო მეხრედ და მემინდვრეობაც კარგად ისწავლა. სხვა საქმეებიც ეხერხებოდა - წისქვილის გამართვა, ურმის გაკეთება, საკირეს ჩადგმა, კედლის აშენება (დურგლობა არ იცის).

ხუთი წელი კოლექტივის ბრიგადირი იყო. ომამდის ბაგის კოლმეურნეობა „წინსვლასაც“ თავმჯდომარეობდა. სამამულო ომში ცოტახანს იყო. დაბრუნების მერე ჯავშანი მიიღო. უვლია კავკასიაკენ, ქუთაისში, თბილისში.

ამჟამად იმავე კოლმეურნეობის წევრია და ყოველგვარ სამუშაოს ასრულებს.

8 აგვისტო, სოფ. დგნალი

მთხრობელი არტემ ალექსის ძე ჯანიაშვილი, 80 წლისა

„ჩვენ ხის გუთანი გვაქ, ანაჩას რო ეტყვიან. ე მინდვრები იმითია

ნაქაქარი. ხემსურული გუთანი აქ არ მუშაობს. ჩვენი აჩაჩი ო რ ხ ე ლ ა ბ ა ი იმიტო რო აქ მაგარი, ლეკეზი მიწაა.

მყრალი ალაგის ხალხი ვართ, კევრს ერთი და ერთი ვერ შავხვდით და მამა-პაპიდან ესე ვლეწამთ, კევრი ქვეით იციან, ციხის ძირში და იმის ქვეით. კალოს ვიდრე მოვუყენებდეთ ხარებსა, ვჭედამთ. ძნის ბულულს ქ უ ხ უ ლ ა ჰ ქ ვ ი ა ნ, ქუხულაში 10-15 ძენაა, ძნაში ორი ხელეურია; ქუხულა იქნება სამი-ოთხი მარჭილი".

კალოზე აქ გვჭირდება ცოცხი, ნიჩაფი, ფიწალი (ორთითი), ცხავი, ტაბაკი, არნადი.

ხარის ფეხით ილეწება. ოთხი ხარი ერთმანეთს გადაებმება ჯაჭვებით - ჩ ო რ ჩ ლ ე ბ ი თ. თითო ხარს კ ი რ კ ა ლ ი აქ ყელზე შებმული ა პ ე ურ ი თ ა, პირი კი ს ა ხ ე ც ვ ი რ ე თ ი აქ შეკრული.

ს ო ფ. დ ე ნ ა ლ ი

მთხრობელი ლექსო გლახას ძე ჩიკოიძე(ჭიკაიძე), 52 წლისა.

1947 წ. ქართლის ექსპედიცია. ეთნოგრაფი ჯ. რუხაძე მთხრობლებთან

„აქ ითესება შემოდგომის ძველ-თესლი (უკრაინის პურს ვეძახდით), ქერი და გაზაფხულის ახალთესლი - დიკა, ანაჩათი იხვნება ჩვენი მიწები.

ანაჩას მხარი შვიდი მტკაველია. ანაჩას წერწენა ეხლა რკინისაა; წინათ წნელებს ვუკეთებდით ორი ჯოხით, რომელსაც თავისივე წნელებით ვამაგრებდით რიკით (როგორც ხელნები). ამითი ყევარს ვაბამდით, წინ კიდევ სხვა უდელი ხარი ება. ამათ, ამ ჯოხებს საყევარი ერქვა, სამი უნდოდა, ყველა ხისა. თითო შვიდი მტკაველი. მხრის გამოსათლელად საჭიროა ცული, ბურაო, სატეხე, ხვედა ენო.

ხმალას ჩასადგმელი ნაჩვრეტით უზომურია. მხარის ბოლო ხელნაში ჩხირით მაგრდება (იფნისა). ხმალა გაწყობილი უნდა იყოს, ზომაზე უნდა იყოს ამოსული, რო ფონედ არ მოვიდეს.

ქუსლზე ფრთა რამდენათაც გძელია, იმდენად კვალსა შლის. ქუსლის ძირს, თუ ქუსლი ახალია, კუთხე აქვს. მერე მიწაში გლუვდება. ხელნას ქუსლში სოლით ვამაგრებთ, ასევე ხმალას, მხოლოთ ხმალას შუაში ვუჭედამთ. თუ განიერია სახნისი, სოლებს ვუკეთებთ. თუ დავულრმავებთ, ე.ი. მხრის კუდს დავუწევთ ხელნაში დაბლა, სახნისი ღრმა კოლს წაიღებს. არის კიდევ დაზეზეურება, როცა

კუდს სოლით მაღლა ავუწევთ. ეგ გამოკიდებულია მხარის სიმაღლეზე (სიგრძეზე გამომმა).

პირველწყვილს უკანა ხარები ჰქვიან, შემდეგ წინა ხარები, თუ მესამე უღელი გამოება - ისინი წინა იქნებიან, მეორეები კი შუალა. ორი კაცია საჭირო: გუთნი- დედა, მეხრე. საჭიროა კიდევ მქარჩნელი, რომელიც ასწორებს გუთნის მიერ კოლში დატოვებულ ხარავებს. თუ კაი ბალკუმი მიწაა უქვო, ლეკეხი, ანაჩა სიღრმეზე ერთ ციდაზე მიდის. სიგანე ერთ გავლებას კვალს ვეძახით. გავუბამთ მზის ამოსვლისას. შესვენება ადგილზეა დამოკიდებული. თუ მოკლე კვალია 10-15 კვალი უნდა მოიხნას ერთ დასვენებამდე.

ქართლის ექსპედიციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი
არმაზის განათხარ ქვაყუთებთან. მარჯვნიდან: მ. გეგეშიძე,
ჯ. რუხაძე, კ. ჩოლოყაშვილი, კ.ჯანშიაშვილი,
თ.თოფურია, ა.კაკაცაძე, თ.ონიაური, ვლ.წილოსანი, 1947 წ.

გაჯავრდნა ვიცით: თუ ქვეით მიდის ზემოს ვეტყვით, თუ ზემოთ მიდის - ზედას. ორჯერვე კვალზე დადგება. აქ გძელი უღელი ვიცით, გუთნის უღელი – 12 მტკაველი.

სანამ კერძოდ ვიყავით, მაშინ მზე არ იყვის ამოსული, ისე ვაბამდით. ორჯერ დავისვენებდით და მესამე სადილი იყო. სადილის შემდეგაც ორჯერ დავისვენებდით და მესამე სამხარი იყო. სადილზე და სამხარზე წინა ხარებს შავატრიალებთ, უღელ-უღელ დავაყენებთ ერთმანეთთან და ვაჭმევთ, კიდევ ორჯერ-სამჯერ დავისვენებდით. მერე ვახშამია. სამხარი კუდა კი ის არი, როცა სადილის შემდეგ უანგარიშოთ პურსა სჭამს.

ძველათ, თუ ერთ კაცს არა ჰყავდა ყევარი, სხვას შეუბამდა - მონდაგს ვეძახდით. საჭვნელიც საერთოდ უნდა ყოფილიყო გათლილი და ერთიმეორეზე გასწორებული. დედაკაცს კი არ გაუხედავდა – ფასად არ ჩაუგდებდა იარაღის უქონლობას. ხვნის დროს თუ კვალი დაარჩინა, ხარვეზი დააგდო, მაშინ მეხრემ გუთნის თავს ფეხი უნდა დაადგას, ცალ ფეხზე გაჩეჩეს და კვალი მოამბევინოს.

ძველათ მარტო ახალთესლისთვისა ვხნამდით, გაზაფხულზე, ახლა კი საანეულოც შემოვიღეთ. გაზაფხულ მოხნულზე ახალთესლს, დიკას, ქერს, სვილას, ქერჭრელს ვთესამდით. თებერვლიდამ (ძველზე) იწყება

ხვნის სამზადისი (მთვარე გადადისო იტყვიან, ძველ მთვარეზე ამბობენ, ახალს ერიდებიან), სასუქის გატანა ქრისტეშობისთვეში ვიცით.

აქ მორწყვა არ იციან. მოხნულს მაშინვე, იმ დღესვე ვთესავთ და ვფარცხავთ. ყველა თავითვინა ცდილობდა დათესვასა. მას დამხმარე სჭირდებოდა - გ ა მ ო ს ლ ი პ ი რ ა ვ ი.

მთესავს გუდა აქ ზურგზე მოკიდებული. გუდიდან მჯიხით იღებს და უშლის. ზოგი ხშირათ სთესამს, იმიტო რო ვერ უშლის. გაშლა ორპირაო უნდა. ქვეით კი მიყურნია რო სამპირად გადადის, იქ ფართუკით სთესამენ. აქ ერთი პირი იქით მიდის, მეორე აქეთ და გასაშუალებით თითონ გაივლის.

აქაური ფარცხი ორ მეტრზე დაჭარბებულია. ფარცხსა აქ ფარცხის ფიცარი, ფარცხის ორხელა, ჯარჯი (დაწნული ფიჩხი), ჯოხები; ფიცხის ჯოხი ზედ რო კაცი უზის თანაბრად ფარცხავს. თუ კარგად ვერ დაიფარცხა, შეუბრუნამს, მობმით მობრუნდება ისევ გამოივლის. ჯარჯს თავისი დერო, თავები უბრუნდება. ჯარჯს შვინდისას ვაკეთებთ. გამარგვლა ხელით ვიცით. ანწლია, სვილბალახა, ზოგჯერ ნარი. ამათი გამარგვლა ხელოვნურათ ვიცით, ასე ხელით.

მკა ვიცით ნამგლებით. დაკბილული არ არის. მკაში დაშველებას მ ა მ ი თ ა დ ს ვეძახდით. ერთი გატანა მკაში - სვე არი. ნაპრის მომკელი – მესვეური. თუ გვერდაა, მკაში ბოლოდან აღმა მივდივართ. მკაში სათითეებს ვხმარობთ. ერთი ჭელეურისათვის ათჯერ გამოსმა უნდა, თუ ხშირია - სამჯერ. ორი ჭელეური ძნაა. იკვრება ულოთი. ძნებს ხუთულათ ვაგებთ (ბარში სხვილი ძნაა, ათეულებათ აწყობენ). ორ-ორ ძნას ერთმანეთზე ვაწყობთ და მოყოლებით ვაგებთ. ორი ძირი სამკალოთ უნდა გაილეწოს. ერთ კალოში, თუ კაი ქერია, ექვსი ფუთი ამოვა (ორი კოდი). პინაც ვიცით, 8 კილოა. კოდში ექვსი პინაა; ზოგ პინას თავის აწევრება – თავშამბა უნდა. ზოგს გადასმა, გადასილავება. პინა დაიდგმება რამეზე – ქვაბზე, ტაბაკზე. თუ სილად არ დაეტია, თავი შაემბის.

ქართლის ექსპედიციის მონაწილეები. სხედან: აკაცაძე, ჯ. რუხაძე. დგანან: თ.თოფურია, კ.ჯანშიაშვილი, მ.ბეგეშიძე, თ.ოჩიაური, კ.ჩოლოყაშვილი, 1947 წ.

კ ა ლ ო ო ბ ა - ლეწვა ხარის ფეხით ვიცით.

ხან ექვს ჩაუბამთ. შაიძლება ორამდისაც. ეხლა კი ხშირად მანქანებით ვლეწამთ. კალოს სჭირდება გადაბრუნება, გაბერტყა. პირველად რო შაგაყენებთ ხარებსა და მოარბილებენ, ზევით გაბურდოებულს ქვეშ მოვაქცევთ, ქვეშითა – უჭირველი კი ზეით ამოდის, მეორეთ საჭიროა გ ა ბ ე რ ტ ყ ვ ა, მერე საჭიროა გ ა დ ა ნ ა ლ - ვ ა, ამის შემდეგ მოკილვას ვეტყვით, როცა თავთავი ბზიანშია არეული. მერე გადავუშვებთ, შეეხვეტამთ და გავანიავებთ. ნიავით ვიცით განიავება - სამთითა ფიწლებით. ჯოხს არ ვუდებთ, შაიძლება ცოცხი დავუდოთ, რო ბზე იქით მოხვდეს და ხოი აქეთ. ამის შემდეგ საჭიროა გაცხავება, გაცხრილვა და საბარგულში ჩაყრა. აქ არც ეხლა, არც წინათ ორმოები არ იცოდნენ, კიდობანი სცოდნიათ.აგრეთვე შელესილი გოდრები. ბზესა და ნალას კალოში ვინახამთ.

კალოს, სალეწავ ადგილს ასე ამზადებენ: მოსთოხნიან, მორწყამენ, ნაგვით (ჰატივით) მობღალავენ. ზომა იციან ხარების მიხედვით, რამდენიცა ჰყავთ, იმდენი წრე უნდა. მორწყულს მობღალვამდე დაზეპვა უნდა. მობღალვა ქალების საქმეა, ორჯერ-სამჯერ ხდება.

განიავებისა და გაცხრილვის შემდეგ, თუ ქვა ურევია, ტაბაკს ვიხმარებთ. მერე წისქვილში წავიღებთ, აქ პატარა წისქვილია, არაგვზე კი დიდია, დ ო ლ ა ბ ი ბრუნავს, დაფქვა ხდება რბილად - წმინდად, მსხვილად-მშრალად (დაროშვა). ფქვილის შესანახს – საფქვილე ეწოდება (კიდობანი), საფქვავი ტომარით მიჭქონდათ (ტომარა შალისა, მატყლისა იქსოვებოდა).

ჯერ ფქვილი გაიცრება საცრით, მერე მოიზილება ვარცლებში თბილი წყლით მარილი უნდა. ასაფუებელი აქ სვე არ ვიცით. (წინა დღით ფქვილს მოსზელენ ერთი პურისას – ხაშს ეძახიან), მოზელილ პურს გუნდად მოსწყვეტენ, დაალეობენ ხინჩაზე. მიიტანენ ფურნეში და შასხამენ. ფურნის გაზენამდე კეცებში აცხობდნენ. თიხის კეცებს თითონვე აკეთებდნენ დედაკაცები, გამოაცხოდნენ ერთი კვირისას. ლავაშს ვეძახდით, თხელებია, სათხელებით ვათხელებდით.

12 ა გ ვ ი ს ტ ო, ს ო ფ. ძ ვ ე ლ ი ს ა კ რ ა მ უ ლ ო

მთხრობელი ალექსი სტეფანეს ძე ხინჩაგაშვილი, 46 წლისა, დაბადებულია ამ სოფელში, მამა-პაპა საფერშეთიდან ჩამოსულა.

სოფელში ორი უბანია: ზემო და ქვემო. ცხოვრობენ ხინჩაგან-შვილები, მუზაშვილები, ელეანაშვილები, თიგიშვილები.

სოფლის საყანეებია: ნაფუზერები (ყუგა-მდა) სახლის ახლოს, საცა სასუქი მიიზიდება, ხანდოლიანთ ველი (ნალობატან), გრძელველი (ახშაშდე-თა), აღმა-დაღმა მიწები (დალამა-ვალამა ხონთა); სათიბებიც ეს არი. საძოვრებია: კოჭობა, გორა, ტბორეთი-რად, ჭაობი. ტყეს და ტყიან ღელეებს ოსურად -დად ეწოდება. დათვიას ღელეს ჩვენ არსჯინ ლანქს ვეძახით. დანარჩენებს კი ქართულად: თეორი ველი, აპენის ველი, შვინდიანი ღელე, ზმარტლიანი ღელე, მოხიანი ქედი, ტიტველა მზვარე, ნასოფლარი, ღორღიანი ხევი, სახკოვარას ხევი, არჩუეთი, ვაკე ტყე, ბალახიანი ქედი.

როცა ხალხი ჩამოსახლდა, აქ სულ ტყე ყოფილა. გაუტეხიათ ტყე, დაუგროვებიათ ადგილ-ადგილ და დაუქარჩნიათ. ნაკაფებს (ახშადათა) თანდათან მოუმატნია, რაზედაც ეხლა ჩვენ ვთესამთ.

ტყის გატეხვა წინათ ასე სცოდნიათ: მარიამობის თვიდან დაწყობილი ჯერ ტყე მოიჭრებოდა, მოჭრილი ხეების ფოთლები დანარჩენ ხეებს მიეყრებოდა რო დაეწვათ. მერე თოხით გაჰქარჩნიდნენ. დიდი ხეები გახმება, ბევრი დაიწვება, მაგრამ ძირები ყველას დარჩება და ამას კი გუთანი უნდა მოერიდოს. ფერსვები რაც უფრო გრძელი აქ, კარგად იქარჩნება, მაგრამ ძირების ამოგდება ძნელია. ძველათ კირის დაწვა არა სცოდნიათ, მაგრამ მოჭრილ ტყეს შეშათ მაინც იყენებდნენ. ახოების გაკეთება არ არის ხუმრობა საქმე, თუმცა ბევრს თავთავისთვის უკეთებია. ბევრიც ხო ისე დარჩენილა, მოგეხსენება ციეკქედა, მაგუსა ხალხის ამბავი, მუშაობა რო ეზარებათ. წინათ შეყვერაც სცოდნიათ (არდეშთ). შეყვერა წინდაწინ სცოდნიათ, რომ გამხმარიყო და კანი გასძრობოდა ხესა. ნახევარ მეტრზე შეჰყვერამ კათათვეში, მომავალ გაზაფხულზე კი გახმება.

ძველათ ორნაირი გუთანი იყო: დიდი გუთანი (ბენჯერ გუთონ) და აჩეხა - ორხელა როა, მთაში ხნამენ იმითი. არც ერთი ამათგანი დღეს აღარ არის. დიდი გუთნის ნაწილებია: რვილა (გვინონ), რაც იფნის, მუხის ან თელისა უნდა, ხმალა კბილა, სახნისი (ავსან), საკვეთელი, ხელკავები, ფრთე (სწორი ფიცარი იყო და ირიბად ედგა, რო კვალი გადაეშალა), საჯამბრე (ზედ გამოედებოდა ჯამბარა - ჭაპანი. ჭაპანი თუ გუთანს გამოება - ჯამბარაა). წინა მგორავ ნაწილს ღირღიტი ეწოდება. ღირღიტის ნაწილებია: რჩხა, ღერძი-წიფლისა, ველის გორგოლა, რომელიც დიდი ხის ნუჟრი ადგილით ითლებოდა; მინამ დაიკვალებოდა ველის გორგოლის გაძრობა იყო საჭირო, მაშინ თუ კარგად არ ეკიდებოდა, ღირღიტში გაყრილი იყო შორტყავი - ნაჩვრეტში გამოდიოდა და ფარეშით იყო დამაგრებული. შორტყავს წინ ორკაპი ჰქონდა და შიგ უდელი იყო გაკეთებული. შორტყავს მოხვრეტილიც ჰქონდა, რაშიაც ჯამბარა იყო გაყრილი. ქვემოდან კი საღვედე ჰქონდა გაკეთებული, რომელზედაც ღვედი მაგრდებოდა, მერე გაიყვებოდა შორტყავს და გავიდოდა უღლის ქვეშ, მანამ კი წნელით იყო დამაგრებული, რომელსაც საცორავი ერქვა.

წინა ხარები უღელით ასწორებდნენ მარტო ღირღიტს, დანარჩენები კი მთელ გუთანს ეწეოდნენ. ფრთეს მჩეკავი სწმინდაედა ჩეკით. ოთხუღელს ორი კამეჩის ტყავი სჭირდებოდა, ჭაპანს - ჯამბარას. ერთი კამეჩის ტყავი. ჯამბარა და ღვედი ერთნაირად იწვნებოდა. ათ უღელში ღვედს ჭაპნები უნდა ჩამატებოდა.

დიდი გუთნის ხარები იყო 1. ღირღიტის ხარები; 2. საძირის კამეჩები (კამეჩის ძალა ორჯერ მეტია ხარიხაზე); 3. საშუალის ხარები, 4. საშუალის კამეჩები, 5. მესამუღლის ხარები, 6. მესამუღლის კამეჩები, 7. საჯდომის ხარები, 8. საყვერის ხარები.

გუთნისდედა (გუთონ მათ) აკეთებდა გუთანს, ის იშოვნიდა მოდგმებს – ხარ და კამეჩის პატრონებს, მიიყვანდა დიდი მარხვის პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ყეინობას და იქ ერთმანეთს მისცემდნენ პირობას. იყო რა მდიდარი კაცი დაიპატიჟებდა ხალხს იმავე ყეინობის დროს; ეს ხალხი მას გაზაფხულის ხვნაში უნდა მოხმარებოდა – ამათ ყეინის მუშებს ეძახდნენ.

თუ მოლაპარაკება 20 დღეზე იყო, გუთნის დედას თავისთვინ ექნებოდა 2 დღე- 2 ალო. დამის მეხრესაც 2 დღე, დღის მეხრეს 1 დღე, სახნისს - 1, საკვეთელს 1/2, მთელ გუთანს - ხის ნაწილებს - 1, ჯამბარას და თექვსმეტივე სამალდეს 1/2, ერთ ღვედს 1/2, უღელ ხარს - 1, უღელ კამეჩსაც -1 („ხარსა და კამეჩსა ერთი ალო აქო - მერე რა არიო, ერთნაირად გავაკეთოთ და შენ ბევრი იმუშავე, მე ცოტაო“).

ორმოცობაზე ალოობის ანგარიში ორმაგად მიდიოდა. ათ დღიანშიც იცოდნენ შებმა. გუთნის დედას ჰქონდა 1 ალო, უღელ ხარს - 1. ესეც ცხრა ალო, მეათე - ნახევარ-ნახევარი დამის მეხრეებს. მეთერთმეტე - ნახევარი ღვედებს უწევდათ, დღის მეხრეებს კი არაფერი. ხვნაში დამთავრების ანუ გამოყენების დღეს გაორეულა ერქვა. პირველი და უკანასკნელი დღე გუთნის დედისა იყო. დიდი გუთნის სახნისი 12 კილოგრამამდე იწონიდა, საკვეთელი კი იმის ნახევარი, ესე – 7 კილო იყო.

გუთნის სამუშაოთ წაღებასაც თავისი წესი ჰქონდა. გამართული გუთანი ჯამბარით დაეკვრებოდა ღირღიტაზე და ისე წაიღებოდა, თუ კი ძალიან შორს არ მიჰქონდათ, თუ არა და ურმით წაიღებდნენ. ხვნაში ნაზურგი ეწოდება ნაკვეთის მოხვნას შუაზე გავლებით. ნაღარი კი – გარშემო შემოვლით. იტყვიან გამოვნაღროთ ან დავუნაზურგოთო.

ერთ გატანას კვალი (კვალიქა) ეწოდება. ნაფუზრებში ბელტი არ შეიძლება. ბელტი იცის ყამირში, მოუხნავში რო გადადის. კვალში დარჩენილ მოუხნავ ადგილს დარჩენილი კვალი ჰქვიან, ხავრეხი კი ეწოდება გუთნის მიერ დახარბებულ, წაქექილ, მოუხნავ ადგილს. ხვნას ვეძახით მუშაობასაც ვიტყვით ხოლმე. ხვამ ბაქანემ – მამული მოეხნათ, ადგილი მოეხნათო. ხვნაში დასვენება სადილობამდე არ იყო ხოლმე. სადილს ის მოიტანდა, ვისიც ხვნა იყო. სადილის მერე სამს რო შემოუვლიდნენ - დაისვენებდნენ, კიდევ სამს შემოუვლიდნენ და ახლა სამხარი იყო. სამხრის შემდეგ - სამს შემოუვლიდნენ და სამხრი კუდისას დაისვენებდნენ; ამის მერე კიდევ სამს შემოუვლიდნენ და სულაც გამოუშვებდნენ. ერთი გუთანი ნახევარ დესეტინას ხნამდა.

კარგი გუთნისდედა ხალხს მიითვისებდა. გუთანი ისე უნდა გა-ემართა, რო ხელის მოვლება არა სდომებოდა, ზოგჯერ კი ორივე ხელით არა ეშველებოდა რა. გუთნისდედა გუთანს ველიდან ედგა და მარჯვენა ხელი ხელკავზე ეჭირა. თუ გუთანს გაუჭირდებოდა, მაშინ კი ფრთეში ამოხვრეტილს მოავლებდა ხელს, რო ამოეგდო. გუთანი ცოტას რომ მოდებოდა – უნდა დაემცირებინათ – ძედას დაუძახებდნენ, თუ დახარბება იყო საჭირო - გაიშის.

გუთანზე მხოლოდ ერთი სიმღერა იმღერება, ორ ველა ჰქვიან, სხვაც შაიძლება მაგრამ ეს არი მიღებული. ერთი კაცი მღერის, სხვას აღვიძებს, მერე სხვასაც შეუძლიან იმღეროს:

„გადი, გამოდი გუთანო, გორგოლავ, ბანი უთხარო“
ან კიდევ
„სახნისმა თქო: ქვეშკნელ დავალ, მზისა ნახვა მენატრება.
საკვეთელმა უპასუხა, წინა კბილი მე მიცვდება,
ჯამბარამ ამათ შასჩივლა – მე ხო მეტი მემართება
ავი დარია მე მალპობს, დარიც ცეცხლად მეკიდება“.

სახნავში პატარ-პატარად მოყოლებულ ჯაგებს ოლეს ვეტყვით. სამძღვრებს კვალს ვეძახდით, კვალი დააგდეო - ვიტყოდით ხოლმე. წინათ სამანი სცოდნიათ.

წელიწადში სამჯერა ვხნამდით: გაზაფხულისას, (ვალზიგენდ); ანეულისა და ნაოშს შემოდგომისას (ფაზიგენდ) შემოდგომაზე პურსა და ძველთესლს პურსა ვთესადით. პური იყო: დოლის პური - თეთრი და წითელი დოლი. ქერს ხორ ჰქვიან. ძველთესლი ქერი – ფაზიგენდ ხორ. ძვ. ენკენისთვის 8–დან უნდა დაწყებულიყო თესვა. ფართუკით იცოდნენ თესლის გატანა მთესველებმა (მთესველი - ძავეგ). მათ დამხმარეებს თესლიმპირავებს (ხშანძავეგ) კი „მეშოკით“ ეკიდათ პური და თან ძირს იყურებოდნენ რო ეწვენებინათ მარცვლები სადამდეც იყო მობნეული. თესლის მობნევა ორპირად ხდებოდა. დათესისთანავე დაფარცხვა იცოდნენ, რადგან ჭია-ღუა იქვეა და იმავე საათში აკრეფამს და ააქუნებს. ფარცხში 3 ან 4 ულელი შეებმოდა. ფარცხის ნაწილებია: კაბდო (ადეგ), რომელიც ითლება წიფლის ან თელის მთლიანი ხისაგან. კაბდოს უკან აქვს ჯიჯღი. ეს არი ფიცხი, რომელიც დაწნულია ჯიჯღის ორ ხეზე და უკანიდან აბია. ჯიჯღი წნელებით არი დაკრული ასაწევ-დასაწევად. კაბდოს ხელნები აქვს. ხელნები ბურაოთია ჩახვრეტილი და იქ ულელი უკეთდება. კაბდოს ღვედის დასაკრავი აქვს, წნელით ეკვრება. წინა ნაწილში ღვედის დასამაგრებელს საცოდავი ჰქვიან. დათესვაცა და დაფარცხვაც ავ დარშია კარგი, ამ დროს ფარცხს უხარიან. მამულს გამარგვლა უნდა ჩეკის საშუალებით, რკინისა კეთდება და ხის ტარი აქვს. ლურსმანი გაეყრება ხოლმე, რომ არ გასძვრეს. მავნე ბალახს წაუყრის და მოსჭრის. არის ნარი ბალახი, დოგო, ფშვრია, გასულში ფშვრია მოერია და სამი ჰექტრიდან ერთი მარცვალიც არ მოგვცა, ძალიან იცის ამოხეთქვა, თუ არ დააგდე ის მამული ერთი წელიწადი, ისე ვერ მოსპობ, ან გოლვამ უნდა მოსპოს. იმ ადგილში სიმინდის დათესვაც კარგია რო გაოთხვნის დროს გასწყვიტო. მარგვლა მაისის ნახევრიდან ვიცით, სანამ ჯეჯილი ამოვა, მარგვლა ქალების საქმეა.

მკა. მკაში დაშველებას ნაცვალგარდია (ავშდარ) ერქვა.

სამკალად და ისეც ნამგალი გვაქვს (ახსრეტ) სათოფეებიც ვიცით.

ორი კაცი მიდის, ერთი მეძნეურად მისდევს, ყანის ულოს (ბატან) აკეთებს.

მოკელები (ქარჯითა) რო მომკიან, იმათ მეძნეურები (ბაჯთა) შეახვევენ. რამდენ ხელეურსაც შეახვევს მეძნეური, ისეთი ძნა გამოდის, ისე კი 7-8 ხელეური უნდა.

იმავე ძნებს, როცა მეძნეური მისდევს, თან აორეულებს. მერე კი პატრონი დააათეულებს, ისე რომ წვიმამ არ გააფუჭოს. მკაში მესვეური

(სარელზავაგ) საზღვრამს, რამდენი უნდა გაიტანოს თავამდე ეანა-წინათ, თუ ყეინის მუშის მესვეური იყო, კარგ მუშაობაში დაკლული საქონლის თავს მიიღებდა ჯილდოდ.

ურემი 10-15 ათეულს წაიღებდა კალოზე. იქ კი 20-22 ათეული ჩაიშლება. ორი ცხენი დილიდან 22-25 ათეულს გალეწამს.

კალო. კალოსათვის არჩეული მიწა უნდა გადათოხნოს, ნათოხნი მოქუნდება და გაიტანება ურმით. დანარჩენი გასწორდება და იქნება მზათ ყოფნაში, სანამ ძნა მოვა კალოზე. მაშინ. მოირწყვება კალო. წყლის მოსხმასთან ერთად ბზე უნდა მოეყაროს, რო ძნას რო ჩაუშლი, აღარ დაეკროს. ცხენის ფეხით დაიტკეპნება პირველად. გაკეთების დროს უსწორო ადგილებს მაგარი მიწით მოსწორება უნდა. მერე კი ისევ ისე.

ძნა კალოს ნაპირზე უნდა დადგეს და გული ამოემსოს, რო ნაპირმა გადმოიწიოს, თუ ნარიანი არ არი, ხელით იციან ჩაშლა, თუ უკლიანია და „ვილკებით" (საგოი). ფიწალს ვეძახით გაყოფილ ნიჩაბს. კევრს წინათაც და ეხლაც სოფელშივე აკეთებენ. კოხი არაგვის პირიდან ამოაქვთ. კოხებს ვუკეთებთ კევრს (ჭევრ) ჩაქუნის დარტყმით, ქვეშ კი ხეს მოვუქცევთ, რო კოხი არ დაიფშვნას. კოხის პირი ბასრი არ უნდა იყოს, რო პური კი არ გასჭრას, არამედ დაფშვნიტოს. კევრის ფიცარი თელაა. კევრს აქვს თავი, საცა წნელია გაყრილი. კევრი უნდა დაიხაზოს და კოხი ისე დაეხსას. საიდანაც მოვიწროვდება, იქიდან უნდა დასხმა, წინ რო ჰქონდეს, დახვეტამს. კევრისთვინ დასვენება არ არი. ჩაშლის შემდეგ ვილკებით უნდა ოთხჯერ ქცევა, მეხუთეთ კი ნიჩბით გადაბრუნება და მერე მოტარება, რო ზემოთ მოქცეული ფხა მაიფშვნიტოს. ამის შემდეგ არნადით მიიხვეტება, მიიგვება ცოცხით და დაედება ნიშანი.

„მე ჩემი კალო გავლეწე, გადავაყენე ხარები,
არნადით შამიხვეტია, ანიავებენ ქალები."

განიავება უნდა ოთხთითი ფიწლებითა და ვილკებით. დანიავების შემდეგ ნიჩბით უნდა გამოხოვდეს, ბზე საბძელში შაიხვეტოს და დაყენებული ხვავი გაცხავდეს. დარჩენილ თავთავს კენჭებს ცხავი ზეით მაიგდებს – ეს არის ჩელხი; გვერდზე გადაიყრება [კალოზე მოწნული იდგა თვით მთხრობლის მიერ გაკეთებული და შიგ ქვიშა ეყარა, როგორც ხანძრის საწინააღმდეგო საშუალება, კალოზე დარჩება სუფთა პური: საწყაოები ვიცოდით: პინა-მერთ. პინაში რვა კილოა, კოდში ექვსი პინა - სამი ფუთი. სამი-ოთხი ათეულიდან ერთი კოდი გამოდის. ძველთესლმა ქერმა, თუ ძალიან გამრავლდა, ერთი კოდი ერთი ათეულიდანაც იცის. ნაცხრილებსა და ნაბოლოვარებს ნაკამაზი (წამალ) ჰქვიან. პინის გამსება ვიცოდით სილად (მარც და თავშამბით). სილად გამსება გადასწორება და შიმშის გადავლება. ოსები ეხმარებოდნენ მკაში ქართველსა: ერიო და ქშინდა, ქშინდაო. მაშინ ქართველი მიხვდა და უთხრა – დედას გიტირებთ, ერიო და პინა სილათაო. ორმოები არ ვიცოდით, ვხმარობდით გოდრებს) პურის თავეულები (სარ, ვიცოდით საახალწლოდ საადგომოდ. როცა ხატობა მომარჯვედებოდა), ავიტანდით (შაიძლებოდა შანახვა კიდობანში,

სადღეებელში, კოკაში). გოდორში 30 კოდი უნდა ჩასულიყო.; გოდრების კედლები საქონლის ნაკელით ილესებოდა. წმინდა წნელით იწვნებნ, სუფთა წნელით, გამოლესამ, მშრალ ადგილს შაინახამ, პურიც აყრება და ფქვილიცა. ზეიდან ბურდოს დაიფარებ, გადალესამ პატივით და ვიდრე სველია, ნაცარს მოვაყრით, რო თაგვი ვერ მიუდგეს.

წისქვილში (ქოროი) დიდი დოლაბები ტრიალებს (ბაგიჭალური), ქვასაც ქოროის ვეძახით. წისქვილს ძირიდან აქვს ფარცხი – ასაწევ-დასაწევი ფიცარი და შიგა ზის ლითონი. ბორბალში ღერძი არის გაყრილი. ბორბალს აქვს მორგვი და ფრთები. მარცვალი ხვირიმში ეყრება - როცა სადორბლედან გამოდის. სარეკელა რაკუნობს, სარეკელა ალმაცერად არის დამაგრებული სადორბლეზე. რაშიაც ფქვილი ნამოდის. იმას ალატი ჰქვიან. ფქვილს ნიჩბით (ფიაგ) იღებენ. დაფქვა ვიცით: წმინდათ, დაროშილი და საარაყედ. საარაყედ (ცოტა სხვანაირად დაიფქვება. დაფქვილი სახლში უნდა შავინახოთ, ან ამბარში, ან გოდრებში. მოზელა ვარცლში უნდა, ცხელი წყლით აფუვდება ხაშით (ანყიეან). ერთ საათში უნდა გაფუვდეს, მანამდე კი ფურნის გახურებაა საჭირო (ძველად კეცები იცოდნენ). ცომი დაგუნდავდება და ორომზე (ხონსა) დალაგდება ორ პირად. მერე უნდა ფურნესთან გატანა,. იმას თავისი ნიჩაფი აქვს, ზედ დასდებ, გააპრტყელებ და შასხამ ფურნეში. სადღესასწაულო პური საფხეკით დაჭრელდება (კულონ ქერძულ - პური), კვერს - გველ ჰქვიან, დაჭრელებულია. მინდი იცოდნენ წისქვილში. სამინდეთი (მინდის ჭურჭელი ნახევარი პინა, ე.ი. 4 კილო) ამოიღებდნენ“.

16 აგვისტო, სოფ. ბოდორნა

მთხრობელი გიორგი ივანეს ძე ბერბერაშვილი, 72 წლის.

„მიწამ რო კბილა არ გააფუჭოს, კბილასა და სახნისს შუა საქლეშია ჩატანებული. მეალოვნე ის არი, ვისაც მივარგენთ ხვნასა. დაზეზეურება მაშინ ვიცოდით, როცა უსუსურათ მოკლე გვება, ხარ-კამეჩს ძალა დაკარგული ჰქონდა, ან გაზაფხულისა იყო ხვნა, სად ბალახი და სად ბზე. ბალახზე მაგარია საქონელი.

წინათ ოცდღიანს რო შევაბამდით, უღელას ვეტყოდით. 10 ან 9 დღიანსაც უღელას, მხოლოთ ამ დროს ნახევარ-ნახევარი ეძლეოდა ხარებსა, დღის მეხრეებს კი არაფერი. ვისაც არც ხარი ება და არც კამეჩი, იმაზე ვიტყოდით, ხმელ სახრეთ მოსდევსო.

ეხლა 6 უღელი ხარი გვიბია, ნელათ დავიწყეთ შებმა: 1. დირდიტის ხარი, 2. ძელის კამეჩი, 3. საშუავლო ხარი, 4. წასაკრავი (ხარი ან კამეჩი), 5. წინა საჯდომი ხარი, 6. წინა ხარი (საყვერისა).

ხვნის გათავებას ხარდაშვების ხანი ჰქვიან.

18 აგვისტო, სოფ. ზემოაში

მთხრობელი ქარაული გიორგი პეტრეს ძე, 53 წლისა.

„სხვაგან, მამულებში შავი, მიწა ყველასა სჯობიან, მაგრამ აქ შავ მიწას ძალა არა აქ, უდედო, უდებერია. მიწას რო მაწივრობა არა აქ

პური მარცვალს არ იკეთებს. წითელმა მამულმა კი კაი პური იცის (გვერდა მიწები, ყველაზიანთ მამულები).

პატივის გატანა გაზაფხულზე უნდა, მაგრამ ზოგი ადრეც იწყებს, თებერვალში გააქ ურმითა და თოვლი თუა – მარხილით. პატივი ყველგან ვერ გაგვაქ მინდორში ყველგან ხო ვერ მიიტან, აბა სად მიუწედები. უფრო ნაფუძერებში გვემეტება, მსუქანი როა ნაკეთი, მინდვრი მიწა კი გამხდარია. პატივი თოვლში დაიყრება. როცა გაშრება, მოხვნის წინ „ლაფათკებით“ გავშლით ხომე. პატივი ვერშოკ ნახევარი მაინც უნდა დადგეს. ამის შემდეგ ხვნა უნდა დავიწყოთ. პირველი ხვნა გაზაფხულისაა, მარტში და აპრილში, ანეულისა კი მაისიდან იწყება, ნაოში მკათათვეში იხვნება, ნამძრალი კი ღვინობისთვეში. ნაოშსა და გაზაფხულისას არ უნდა, ღრმად ხვნა. ანეულს კი უნდა რო ბალახი მოერიოს.

ახალი გუთნის სახნისი წვეტად რო მიდის ხარსაც წვეტად ხვდება. ქართული გუთნისა კი ცერად მიდიოდა და დიდი კვალიც მიჰქონდა. რამის კამეჩი ჩაწვებოდა. სამი კვალი მაგისი და ერთი იმისი.

გაზაფხულის გუთანში 8 უღელს შავაბამდით; თუ კაი ხარი და კამეჩი იყო ექვსსაც. პირველი იყო ღირღიტის ხარები, 2. ძელი კამეჩები, 3. საშუელი ხარები, 4. საშუალი კამეჩები, 5. წინა წასაკრავის ხარები, 6. წინა წასაკრავის კამეჩები, 7. წინა საჯდომის ხარები, 8 საყევრი ხარები. ამათ დასტრიალებდა ოთხი მეხრე და ერთი გუთნი დედა. თუ ლაფი იყო მწეკავი მაადევდა მეტი მეხრე იყო.

როცა საქცევში გუთანი არ ეკიდებოდა. მაგარი იყო, ველის გორგოლას მოვხსნიდით და რჩხაზე დავკიდებდით. კაცი ღირღიტს დაადგებოდა, მანამ ცხვირს წაჰყოფდა და მოეკიდებოდა, მერე კი კარგა ანგრევდა – როცა კვალის გორგოლა კვალში ჩავარდებოდა. ზოგს რჩხაზე გოდორი ჰქონდა ჩამოკიდებული, შიგ ინახამდა სატეხს, ხერხსა და სხვა. შოლტკავს ღვედის გამოსაბმელი ჰქონდა - საღვედე, წინ კი ცანდი (ანუ საცორავი) ჩაებმებოდა, რომ ღვედი მაღლა სჭეროდა და ღირღიტის ხარისთვისან მობრუნებაში ხელი არ შეეშალნა. ხარი ღირღიტში ადვილი მოსახმარია; დაიძედავებ და გამაიშიებ - დაბლა და მაღლა ასწევ. ხარი თავის მეუღლეს წინ წაუდგება - დაიძედავებს ველიდან. კვალიდან რო წინ წაუდგება გამაიშიებს. ძელის კამეჩებს ღვედი გძლად უბიათ, წინებს კი ღვედზე მოკლედ აქთ დაკრული უღლები ბეჭდებით (ბეჭედი ხეა).

დასვენება გძელ მამულში სამჯერ შამოვლის მერე უნდა. გძელი მამული ერთი საბელი იყო. მამული საბლობრივ იზომებოდა. ერთი საბელი იყო ესე ხუთასი მეტრი ანუ 1/2 ჰექტარი.

მაშინ მივყრიდით ხომე სანაქბო ხარ და კამეჩსა. ბიჭი ის იყო, ვინც კარგებს მაიყვანდა. თუ შენი ხვნა იყო, უნდა ვეცადნეთ ყველანი, რო ადრე შავაბათ, კარგა მოვხნათ, ხვალ ჩემი იქნება, ახლა შენ მოხვალ კარგა. ერთმანეთ ხელ ვუწყომდით.

ზამთარში გუთნიდედასთან შაიყრებოდა ხალხი, პირობას მივცემდით, რო გაზაფხულზე ერთათ ვხნათო. პირობის გამტეხი

დაჯარიმდებოდა. ჩივილის დროს ვიმტყოდით ხოლმე - დამცარა, დამატყუაო.

ვოქვაო, მე ღვედი მქონდა, მაგრამ შენთან მოვედი მეხრეთ, ხარები მოვრეკე, ღვედი კი სხვაა მივეცი. აქაც მივიღებდი ჩემ გასამრჯელოს და იქაცა, საცა ღვედი მივეცი. ღვედს ორმოციანში ორი დღე ხვდებოდა, რახან ძნელი საქონელიც იყო. ხევსურეთში ხენა არ იციან და ისეთ ღვედებ კი სწნამენ რო რა თესვისთვინ მოვემზადებოდინ, დავამსებდით „მეშოკებსა“ დავუდემდით ურემზედა და მივიტანდინ ნახნავის თავში. მერე მოესველი „ფართუკს“ აიკრამდა, ჩაიყრიდა პურსა, ეგრე ნახევარ ფუთამდინ რახან მეტს ვერ ატარებდა და მოესლიპირებელს გაჰყვებოდა უკან. მოესლიპირებელი წინ მიუძღოდა და გაუთესლიპირებდა, ხედამდა პურსა, სადამდინ იყო დათესილი, თანაც ერთი-ორი ფუთი პური ეკიდა მეშოკითა, ნახნავში მეტ ხო ვერ ატარებდა. თესვა უნდა სცოდნოდა მოესველსა რო ან ხშირი არ მოსვლოდა და ან თხელი. თუ პური ბევრი მაანიეჯ,ხშირი გამოვა. თხლად უნდა მოაბა. ერთი მარცვალი ხო იბარტყებს, შვიდ-რვა თავთავს გაიკეთებს და მაინც გაიბმება დედამიწა, კაი მსუქან მამულში თუ ხშირად დათესე, სულ აიჩალება, კარგ თავთავს არ ამოუშვებს, წაიქცევა დედამიწაზე, ჰაერი ვერ იმუშავებს და მატყლივით მოვა, არ ვარგა. ცოტა თხლად რომ მოვა, გათამამდება, გალაღდება.

ერთ ამოღებას მუჭეული ჰქვიან. თითებ რო გაშლი, გაიფანტება, ერთ საბელ მამულსა 3-4 ფუთი თესლი უნდოდა.

სათესლე მარცვალს ძველათ ორმოებში ინახამდნენ, მერე კი გოდრებში დაიწყეს შენახვა. გოდრები ნაკელითა და ნაცრით იყო გაგლესილი, რო თესლი კარგა შენახულიყო. სათესლეს ზოგი ბელელშიც ინახამდა. დათესილ მარცვალს მტერიცა ჰყამ- ჭიანჭველა. მე მინახამ ჭიანჭველას მოგროვილი მარცვალი მუჭობრივ., დათესილი მარცვალი უნდა გაღვივდეს, თორე ისე არ ვარგა. ოც დღეს რო იყო არ გაღვივდება. ამისთვის დათესილს მაშინვე უნდა დაფარცხვა. დაფარცხვა ფარცხით ვიცით (ფარცხი, ჯიჯღი, კაბდო, ხელნა). სამი უღელი მაინც უნდა:

1. საძირის უღელი (კამეჩები), 2. ძელის უღელი, 3. საყევარი, საყევარში ხარი უნდა, კამეჩი არ გასწევს, ხვთით არ არი დაწესებული. დაფარცხვას სამი კაცი სჭირდება. ორი მეხრე და ერთი დამფარცხავი. დამფარცხავი მეთაურობდა ფარცხვასა, რო არაფერი დარჩენილიყო მიწა გადაუფარებელი.

პური რო პირველად თავს ამოყოფს, ჯეჯილს ვეძახით, მერე დაჯდება, დაჯდება ესე ერთი კვირის გავლაზე, მიწაზე გადაწვება, გადაჯდება. თოვლს დაადებს. გაზაფხული რო მოვა ნელი ნელ დაიწყებს მუშაობას ჯეჯილი, მუხლს გაიკეთებს და მერე თავთავ მიაყოლებს. მაისში იცის მუხლის გაკეთება, თიბათვეში კი თავთავი ამოდის. ჯერ კი ფხას ამოუშვებს, რო იმას თავთავი მოჰყვეს. თავთავში მარცვალია დალაგებული – ტყუპს ვეტყვით. სანაკმაზეც ვიცით. როგორც სიმინდმა ორი ტარო გაიკეთოს,

გათამამდეს, ესეც ისე იკეთებს მარცვალსა, ხოლო როცა კარგი ამინდია. შვიდ წელიწადში ერთხელ იცის რო ტყუპს სანაკმაზე ჩაუჯდება იტყვიან ხომე: შვიდ წელიწადში ერთხელ სახნისმა ოქროს უნდა წამაჰკრას წვერიო, ვითომ კაი ნამუშევარი მოვიდესო. ამ დროს იცის ხომე სანაკმაზემ მოსვლა; შვიდ წელიწადში ერთხელ ნამუშევარი ქეზერაობს, თამამობს, კარგი მოდის. სანაკმაზეში ორ ათეულს კოდი (სამი ფუთი) უნდა გასცივდეს, საშუალო მოსავალში ერთ კოდ მარცვალს სამი ათეული უნდა. თხელ ნამუშევარში, როცა პურს მარცვალი არ უკეთდება, კოდს უნდა ოთხი -ექვსი ათეული, არაფერი არ დასცვივა. ზოგჯერ ისეთი წიხლი კვრა იცის ნამუშევარმა რო სუ ერთიანად ცარიელზე დაგტოვებს. მხნავ-მოესავი კაცი ბრმა უნდა იყოსო, უთქვამთ ერთხანს რო გასცდება, არ უნდა შეუშინდეს, კიდევ მეტი უნდა მოხნას, იქნებ კარგი მოსავალი მოვიდესო. ცდა ბედის მონახევრეა. კაი მოსავალზე ვიტყვით, ზორბა მოსავალიაო, თუ არა და მოცდენილსა და დაკარგულს. კაი მოსავლის დროს საბელში 30 ფუთი პური უნდა გამოსულიყო.

ძველათ ვიცოდით დოლი პური (დიკა), სვილა. სვილა ეხლა გაწყდა, გრძელი, ლურჯი თავთავი იცის, ბარაქიანია, ეგეთი პური გამოდის, როგორც თასმა, სულერთია გინდა გამხდარ ადგილზეც მოვიდეს. არც ბევრი რწყვა უნდა. კაი მამულში დოლი პური მეტრამდე იზრდება, სვილა კი იმაზე მეტსა.

ქერსა ვთესავდით ორნაირსა. ერთი სახელათ - ექვსკუთხიანი იყო, მეორე - შვიდკვირიანი. თუ პურშიც დავთესამდით ქერჭრელს ვეტყოდით. დიკა და ახალთესული ქერჭრელი გაზაფხულისეებია.

ამოსული პური დაიწყებს ხმობას, ფინი გაუთეთრდება (მუხლს რო ამოსდის), თავთავი დაიკავებს თავსა (მოიხრება) და გაცნობს რო სამკალია. თუ დასწვიმა განედლდება, ისევ გადგება და დარი რო გამოუვა, მერე გახმება – ეხლა ნამდვილი გული სამკალია. თუ დროზე არ დაიმკო, თავთავი მოსწყდება ძირში და ალაგზე ჩავარდება. 7-8 დღე რო დარჩეს არ უშავსრა ყანასა. ქერი კი მაშინვე უნდა მომკა, მალე იცის გაფიცხება და ჩაცვენა.

სამკალად ნამგალი უნდა იშოვო და რო გახვალ, თან სათითე, ქასური და სალესავი გაიყოლო. ნამგალს ვყიდულობთ, სათითეებს ჩვენვე ვაკეთებთ, ქასური მრელში იცის, სალესავი კი ყაზბეგიდან ჩამააქვთ.

ნამგალი ჯერ უნდა ქასურით გალესო, რო გაგლიჯოს, მერე კი სალესავით უნდა აუწყო პირი რომ სამართებელივით იმუშაოს, ნამგალი როცა გაცვდება, დასქელპირდება, გაჩარხვა უნდა.

მკას მკათათვეში ვიწყებთ. ორი მომკალი უნდა იყოს და ერთი მესვეური. მესვეური კაი მომკალია. წინათ ვინც სუ კარგი იყო ცხვრის ან საქონლის თავს მისცემდნენ, ან ქუდს უყიდიდნენ, წმინდა ნაბდისა უნდა ყოფილიყო.

ხელეურის გამოსაგდებად სამი გამოსმაა საჭირო. სამჯერ-ოთხჯერ უნდა შამოუთიბო. ძნაში 7-8 ხელეურია. ყანა უნდა გაიგლიჯო,

ულო ჰქვიან, იმით შაჰკრამ მაგრა და თუნდა აგორაო, თავთავი
გავარდება. ჰური უნდა მოგლიჯო ძირში, გაბერტყო, დაგრიხო, გაშალო,
დაფინო, ზედ ძნა დაადო, მერე შაჰკრა, მოგრიხო ულო და გამოუყარო.

ორი ძნის ერთმანეთზე თავებით დადებას დაორეულებას ვეტყვით.
რო გაავდარდეს ერთი ძნა მაინც დარჩება მშრალად. ახლა უნდა
ათეულის შაკერა. აქ ერთი დასველდება, სხვები გადარჩება თუ კი
წვიმაში მოხვდებიან. ერთ გავლას სვეს გატანა ჰქვიან, საქცევიდან
უკან უნდა დაბრუნდე და მოხვიდე ისე სახსარში. სახსარ ის არი,
საიდანაც მიუდგები ყანას, საიდანაც ქარი მისცემს და საითაც ყანა
მიბრუნდება (ყანაც ქარს დასდევს).

ისე, ღარიბი ვინც იყო თავისთანას დაეხმარებოდა ყანაში,
ნაცვალგარდას ვეტყოდით, დანაცვლებაც უთქომო. თუ მდიდარი
კაცი დაუძახებდა ხალხსა, მამითადს გამართამდა, ერთი ორმოცი
კაცი მაინც მივიდოდა. ზოგი მარტო ფულს უხდიდა, ამას შაყრილ
ხალხს, შაყრილ მუშას ვეტყოდით.

ჰურს თავთავისი ალაგის სახელები აქ: ძირი, ჩალა, თავთავი, თავთავსა
აქ - მარცვალი და ფხა.

აქაურმა ხალხმა სიმინდის მოყვანაც იცის, რამდენიმე ჯიშის ითესება:
მინაზოტი, თეთრი სიმინდი, ჯიშიანი და ძველი. ძველს ეტყვიან
ძველებურ სიმინდსა, დაბალია; იმისი ჭადი რო არა ჭამო, როგორც
ერბო იგეთია, მაგრამ ბევრ ტაროს არ იკეთებს, მინაზოტი კი
დალოცვილია, სამ ტაროს იკეთებს.

სიმინდი როცა შამოვა, მოსაჭრელად გავდივართ (მოტეხვას არ
ვეტყვით). მერე ამას გავარჩევთ. სიმინდი ცალკე წავა, ნარჩევი ცალკე.

სიმინდსაც თავთავისი ალაგის სახელები აქ: ფერსი, მუხლი, ფოთოლი,
ტარო, ქოსორი. ტაროსა აქ კაჭეჭი, სიმინდი (მარცვალი), ფუჩეხი, თმა.
კაჭეჭს საქონელს ვაჭმევთ. თუ არა და ცეცხლს დავაყრით, კარგა
ეკიდება. სიმინდის საწყაოთ გოდორსა ვხმარობთ. ეხლა თორმეტი
ფუთი ტაროს გარჩევაზე ერთი შრომა დღე იწერება. სიმინდთან ერთად
ლობიოსა ვთესამთ, კარგათ გვარომენ, სიმინდი მაღალი იზრდება,
ლობიო კი დაბალი რჩება. ზოგი ლობიოა, სიმინდს ზედ ეხვევა
(კავანა წითელია). ამათი დათესვა შენ ნებაზეა. რომელსაც ეხარბები,
რომელიც გინდა მეტი მოვიდეს, ის მეტი იქნება. მაგ ფუთის ლობიო,
ორი-სიმინდი, ან პირიქით.. I ჰექტარს არც კი უნდა სამი ფუთთად.

ლობიოს ჯიშებში ვარნემთ: გურულს, კავანას (თეთრ-ჭრელი),
წითელს, ტკიპა ლობიოს (წითელია, ცოტა მკავანასაც იკეთებს),
კუტ ლობიოს (მკავანა არა აქ, ასელა არ შაუძლიან, პარკი ცოტა
იცის). ლობიოს ალაგების სახელებია: ძირი, ფეხი, ღერო, ფოთოლი,
პარკი, ლობიო.

თუ ორი ერთად არი, ტყუპს ვეტყვით.

წინათაც იმას ვთესამდით და მოგვყავდა, რასაც დღეს. უნდა
გეშრომნა და ოჯახს სიკეთეს დაუყენებდი. იყო ხომე უიღბლო
ჭირნახულობა, მაგრამ ერთი მეორეს ცოტა გულს გაუკეთებდა,
ცოტასაც ისე დაეხმარებოდა. ოჩხარი ვიცოდით ხელის მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნიტაია მთხრობელთან მუშაობის პროცესში

მართათ. მე მამული მამიცდა, გამიფუჭდა, გავდარიბდი. ისე ხო არ ვიჯდები ზამთარ-ზაფხულ, ვიშოვი ერთ ცხვარს, ღვინოსა, დავაცხობ პურებ, წავიღებ სადმე სოფელში, სადაც მდიდრად ცხოვრობენ და თანაც მიცნობენ, დავდგები ვინმესთან, დაუძახებ ხალხსა, ვაქეიფებ და შამომაწევენ, ზოგი სამ ფუთსა, ზოგიც იმაზე ნაკლებს, ეს იმაზეა გამოკიდება ვის რა შაუძლიან, ანდა სხვებში როგორ მოსწონა თავისი თავი.

იყო ხომე რო უილაჯო და ზარმაც ადამიანს მოეწონებოდა იოლი შემოსავალი, თუ ერთხელ გამართამდა, ახლა კიდევ სხვაგან წავიდოდა სათხოვნელათა. როცა ხალხი გაუგებდა, ან თუ თავისი უფროსი - ძმა ან ბიძაშვილი – ყველა გაუჯავრდებოდა, გალანძღამდა, რათ იღლიტები, გაირჯე და გექნებაო.

ოჩხარს ცხვრის ოჩხარსაც ეტყოდნენ.

ქვრივ-ოხრებსაც ვშველოდით, ვუხნამდით, ვუთესამდით. ჩვენ იმათ ვუშველიდით და ახლა ღმერთი ჩვენ გვიშველიდა“.

18 აგვისტო, სოფ. ზემო აში

ჩაწერილია ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად, უშუალოდ ხვნის დროს. მთხრობელთა ჯგუფი – მეხრეები და გუთნის დედა.

„ეხლა რომ გუთნები გვაქ, ამ ჩვენ ალაგებში ექვსი უღელი უნდა შავაბათ. 1 ღირღიტის ხარები, 2. ძელის კამეჩები, 3. საშუვლის ხარები, 4. წასაკრავის კამეჩები, 5. წინა საჯდომის ხარები, 6. საყევრის ხარები. თუ როგორმე რვა უღელა შავაბით - იქ ორი წასაკრავია და ორიც საშუვლის,. სახჯდომში კამეჩი არ ხდინომს, არც ღირღიტში უბამთ, იქ უნდა კაი მიმყოლ-მომყოლი ხარები.

– წინათ თუ ორმოცდღიანს შავაბამდით, ვიტყოდით, თაობის კალო შევაბათო, თუ 20 დღიანსა და მაშინ უღლის ალო შავაბათო. მოდგამი, ემბაზი არ გაგვიგია.

– ქართულ გუთანს ვამუშავებდით.

– ქართული გუთნის ყოვს-ყვავს აქ კაუჩა ჰქვიან.

– საქონელს მაშინ შეეტყობა დაღლა, როცა გვერდი დაუვარდება, უგვერდოთ არი. მაშინ საჭმელიც უნდა.

– სარეველა ბალახებია: დოგო, თეთრი ნარი, მატიტელა ბალახი, ხორთქლა ბალახი, ძიძო. ძიოის ძირი მაგარი აქ, დიდხნობამდინა რნება მიწაში და ხვნის დროს ხარ-კამეჩს გააწეინებს ხოლმე:

– ხარი ჩასძახის ძიძოსაო

– ღმერთმა ნუ გაგადიდოსაო.

– ხორთქლა ბალახი საქონლის საჭმელია, სიმინდს მოედება ხოლმე“.

26 აგვისტო, სოფ. გრემის ხევი, ციხისუბანი

მთხრობელი ბეჟიტაშვილი გრიგოლ პავლეს ძე, 73 წლისა.

ახოს გატეხვა. „გავეტუსამდით. დავწვამდით, მერე ლომითა და წერაქვით ამოვყრიდით საორკვლიო გუთნით გამოვნაღრამდით (საორკვლიო გუთანი სიგურგლივ უვლის). ჩვენებური ახაის მხარი მოკლე იყო, 3-4 უდელი გვება. აქაური კაბდო სარჭენი იქნება, 3 არშინ ნახევარი;

ნიადაგი. „თუ ნიადაგი ხრიოკია - შაუძლებარს, ჯანდაგს, საწყალს და გამხდარ მამულს ვეტყვით, რადგან ნოყივრობა არა აქ. მსუქანმა მამულმა კი კარგი მოსავალი იცის. შავი მიწა, როგორც ნაპატივარი ცხვრის დუმა ისეთია, თეთრი კი თიხანარევია და საწყალი. შავი მიწა უბან-უბან არის დაყოლილი. შავი მდებიარე ადგილი სჯობიან. თეთრი ლიანდაგი ჭირნახულს არ იძლევა. ეს ჩვენი წყალი [ნარეკვავი] უბრალოდ მიდის. ისე ჩაიკლის რო სუ არ გვიდგება, მარტო ბაღს სადმე თუ მისწვდება. თუ ნიადგარი გამოვარდა, წისქვილები მაშინ დაბრუნდება, ჩვენი წყლით ჭადიჯვარი და ძალისი სარგებლობს, ჩვენ კი ზურგებით გადაგვაქ საფქვავები იქითა [ქსანზე] წისქვილებში. ზეით რო ახოები გვაქ, თუ იმით წყალს გამოუშვებთ, ისინი ცოტას მოგვირწყამენ. ამათ უნდა დაუნაკედლოს, დაუთავთავადოს და რო გათხელდება, ცოტ-ცოტას გაჟონამს, დონედ წავა და ყველგან მოხვდება.

წინათ ბაღ-ბოსტანი გვქონდა, მარტო ლობიოსა და კართოფილს ვთესამდით. კომბოსტოსა და სხვა რამეს, როცა წყალი არ მოხვდებოდა, არც მივდევდით. ვენახებით იყო მოფენილი აქაურობა, მაგრამ ეხლა ხორბალსა და სიმინდს დაუწყეს თესვა და ვაზი გადააგდეს, ეხლა არ იციან დედა რაშია, როგორ უნდა მოვლა, თორე ისეთი ვაზიანი გვქონდა, რო რა. აქაური შინაური ჯიშები იყო: ბუდეშური, თავკვერი შავი. უფრო კარგი იყო ბუდეშური, გვარომდა. საწნახელის მაგივრად ნავები იცოდნენ. იმდენი ძალა არა ჰქონდათ, რომ მარნები გაეჩინათ. ცოტ-ცოტას ინახამდნენ, ხილები არა გვქონია. მსხალსა და ვაშლს მაღლა ხეზე ვამყნობით რო ნამყენები საქონელს არ ჩამოემტრიაო. ნამყენები ახოებში გვქონდა.

აქაური ადგილი ფიცხია, თუ დაცხა, ხმება. უფრო გაღმითი მხარეა ვარგისი, ცოტა ნესტიანია. აქ გაზაფხულზე მარტიდან იცის წვიმები. ზამთარში თუ დიდი თოვლი მოვიდა, ზაფხულიც ბარაქიანი მოსდევს, იმიტომ რომ მიწა გაჟინთულია, წელს ძაან ჩამოგვიცხა, მაგრამ მადლობა ღმერთს ლეწვის ამინდი მაინც არი.

ნიავი როცა ზეიდან (დასავლეთიდან) მოდის, სადარო ამინდია, ხშირად გოლვისაც. გოლვამ სხვა მოსავალს დააკლო, ჟურმა კი აიტანა. ძველთესლი ყველა ამინდს უძლებს, ჩვენ ასე დაგვიცადია. ანეულად და ნაოშად ყანასა და ქერსა (ძველ თესლსა) ვთესდით, უფრო გვარომდა. ყანა დალოცვილია ხვთისაგანაც და კაცისაგანაც.

ცალცალკე ვოესდით, დაფქვის დროს ვიცით ხოლმე არევა, ამას ქერჭრელს ვეძახით.

სასუქის გატანა გაზაფხულზე ვიცოდით. საცა რო გამხდარი მამული იყო, იქ უნდოდა მიმარჯვება, შამძლებელ მამულს კი არა სჭირდებოდა. წელიწადში ერთ მხარეს რომ მოვხნამდით, მეორე განარბილებული მხარე დაისვენებდა. განარბილებას ვეტყვით მამულის დაბოშებას, გაოქვეფას, რო დასამუშავებლად საადვილო იყოს. ყამირი გაუტეხავია. არის კიდე ნაჩხატი მამული – გატეხილი კია, მაგრამ მოუხნავია და დასამუშავებლად ძნელია, როგორც დასვენებული.

ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული. ჩირდილი ხო ნესტიანია, შეიძლება იქ მამული მოსცდეს კიდეც, ან ძალიანაც ივარგოს. წინათ მამულებს თოკებითა ვზომამდით, საბელი ერქვა.

ანეულის ხვნას მაისიდან ვიწყებდით, ქართული გუთანი გვქონდა. კვირა და ორშაბათი სამუშაოთ აკრძალული იყო; თუ ვინმე დაარღვევდა, შაბამდა, დავარბევდით. მერე ორშაბათს ხელი გავუშვით, კვირაზე ვიყავით წუნდებულები. დათესვა და ხის მოჭრა ახალ მთვარეზე არ ვიცოდით – ჭია იცისო, ჭია გაუჩნდებაო.

ანეულისა და ნაოშის მოხვნა ერთნაირია, თუ ნახნავი იყო, მაშინ მეორედ გადაბრუნებას იმდენი აღარ დასჭირდებოდა. ცალცალკე მოხვნა აბა ვის გაუადვილდებოდა, პირს შაჰკრამდნენ ხოლმე ერთმანეთს დავეხმაროთო, ასეთ შეამხანაგებას მოდგამი ერქვა (ნაოშდაც მოდგამი იყო). წინასწარ იყო მოლაპარაკება და თუ თავის სიტყვას ვინმე უღალატებდა, საყვედურს მისცემდნენ. შეიძლებოდა გაემურათ, ვირზე შეესვათ, ანდა ულვაში გაეკრიჭვათ.

ღვედს ხემსურები წნამდნენ, ქართველებმაც ზაისწავლეს თანდათან.

ოთხი დღე ღამის მეხრესა ჰქონდა. ხარზე თითო დღე მოდიოდა, ჯამბარასა და აპეურებს 1 დღეს შეახვედრებდნენ, ღვედსაც – ერთს. ძველათ თუ 20 დღე უნდა გვეხნა - სამეველოს ან ხარისას ვეტყოდით, თუ 40 დღე - თაობა. ქართული გუთნის ლვილი თელა ან მუხა უნდა ყოფილიყო. შაიძლებოდა იფნიც. თევა უნდა ჰქონოდა მოხრილი უნდა ყოფილიყო რო წამოწოლილიყო და ადვილად მოეხნა. ძველს ახალზე დაადებდნენ და შემოხაზამდნენ და ისე აკეთებდნენ. თითონ გუთნი დედა ამოარჩევდა, თორე ხამი კაცისთვის ძნელი იყო.

ღირდიტს საღვედე ჰქონდა, რვილს საჯამბრე. კბილად მაგარი ხე უნდოდა: მუხა, თელა, იფნი. კბილას კაკაბითა და კოჭებით დაკრული ჰქონდა ფრთე. ფამფალაკს ჩაკრულსაც ეტყოდნენ, ზოგი იტყოდა საცანდავი ჩავაკრათო. თვლები ღირიტზეა დაკრული: ველისა და კვალისა, ზოგი ველის გორგოლა ბოლო და ბოლო დროსა ფერსოებითაც გამართეს, ისე კი ერთი ხისგან ვიცოდით გამოთლა. ჯერ ნუკრისაგან მორგეს გავუკეთებდით, ძუძუსავით დავუგდებდით და ამის მერე გავთლიდით.

დიდი ურმის თვალს კარგი გაძლება აქ, თუ კარგი იარაღი შეხვდა [ე.ი. მასალა]. მოგვარდ თელა, იფნი, კაკალი უნდა, სოლად მუხა, ფერსოდ სანაქებოზედ თელა: თელა ძარღვიანია და მზეზე არ ბოშდება. ძველად ფარგალი არ იცოდნენ. ზოგ თვალს ისეთი დაყვი ჰქონდა,

რო ნაჭრამდა ლამის გედეებრუნებინა. ეხლა კი ხარმა და კამეჩმა მოისვენა, რკინას აკრამენ. გუთნის უღლეულები იყო: 1. ღირღიტის ხარები, 2. საძირის კამეჩები, 3. მესამუღლის ხარები (საჯდომი), 4. ასაკრავის ხარები, 5. საშუალის ხარები (ან კამეჩები), 6. წინასწასაკრავის ხარები, 7. წინა საჯდომი. 8. საყვრის ხარები.

ნვეულება გვქონდა, როცა შაბმა იყო ჯერ უნდა ღირღიტისა და საყვრის ხარები შაგვება უღელში, გამოშვებაც ასე. რო ჩამოვფრინდებოდით საჯდომიდანა, ჯერ ღირღიტის ხარი უნდა გამოგვეშვა. წინა უღელი დახრილით უნდა იდგეს, რო თუ ხარები დაეცნენ, კბილები არ დაჭკრან, ამ უღლის თავები დაებჯინოს მიწასა.

გუთნის გადატანის დროს კვალის გორგოლას გავუკრამდით, ველის გორგოლას გაჭყვებოდა.თუ დაკვალილია საორკვლიოდ, მაშინ ნაზურგი უნდა შაიკრას ნადარზე. ფერდაზე ცალკვალა ხვნა უნდა, კვალს რო გაიტან, უკან გამობრუნდები.

პირველად გუთნიდედის მამული უნდა მოეხნათ. შუადღეზეც რო დაეწყოთ, ერთ დღეთ ნაივლიდა – ნემი გამართულიაო და მე უნდა მოვხნაო, რო გამოჩნდეს მართლა კარგად არი გამართული თუ არაო.

პირველ დღეს გათრეულას ეძახდნენ. ბოლო დღესაც გუთნიდედა თავისთვის დაიგდებდა. გუთნიდედა არი ბატონ-პატრონი. ლექსითაც იტყოდნენ ხოლმე, შავი კამეჩების ცოდო უხვევია კალთაშიაო. რო უჯვარდება, მადლიც უნდა მიაყოლოს. ხშირად გააქცევდა ხარ და კამეჩი გუთანსა. გუთნი დედა რო ვეღარ მისდევდა, გუთანზე შეაჯდებოდა, დავამძიმებო.

ხვნაში დასვენებები იყო სადილისა, სამხარი წინა და სამხრისა. სადილი დასვენებაზე ხარები დგანან, გუთანი მოკიდებულია. სათვალავი იყო. სამჯერ რო შამოგვევლო ექვსი კვალი ანდა ერთი კაბდო იხვნებოდა. მამულსაც უნდა პატივისცემა. წინათ ნარეკვავის იქით რაც არი იმას მოვხნამდით, აქეთა მხარეს კი დავასვეენებდით – საქონელი დაგვიდიოდა,. მეორე წელიწადს იქით დავასვენებდით და აქეთ მოვხნამდით. მიწა ისვენებდა, ადარ გამოიღალებოდა. მიწას 1 წელიწადი როგორ არ უნდა დეესვენა. ანეულად თუ მოხნამ და დაიწვება, იქ კაი მოსავალი მოვა.

თესვა ნიშნად ღვთიშობლობას (8 სექტემბერს) ვიცოდით. იტყოდნენ ხოლმე ღვთიშობლობას ან უნდა ჩადიოდეს, ან უნდა ამოდიოდესო, ძველი სიტყვა აწონილია.

თესვას ცოდნა უნდა რო ზომიერად დათესო და ნათესიც ერთმანეთ გედეებას., მთესველს მთესლიპირავი მისდევს. მთესველი ნაბიჯზე მიდის, როგორც აკვანი დაარწიოს ხელსაც ისე აქნევს და ფეხიც ისე მიაქ. თესვას ამინდს ურჩევენ. წვიმა უნდა მოვიდეს რო მაშინ დათესონ, სამდღეში ისეთ ჯეჯილს ამოყრის რო მეტი არ შეიძლება. დათესილს დაფარცხვა უნდა. (ფარცხი: კაბადო, ხელნები, საფიჩხე= ჯიჯღი). თუ იწვიმა, გაჭყინა კიდეც, მერე თოვლი თუ დაადო, რა სიცივეც არ უნდა იყოს ზეით, ქვეშ ისე იმუშავებს, როგორც კარგი ოჯახი. თოვლს რო გადაიყრის, საბანივით გადაიხდის, მწვანედ არი სასიამოვნოდ. ყანა რო შეღერდება, ვიდრე ძაან მუხლს გაიკეთებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარგვლა უნდა. სარეველა ბალახებია: ნარი, თეთრი ნარი, დოგი, მაკიდელა. ამას წვრილი ძირი აქ კავანასავით და ლობიოსათვის მაჭკიდებს და გაიბამს ხოლმე. გამარგვლა ხელითაც იციან და ჩეკითაც. მუხლის გაკეთების შემდეგ ყანა ყვავილშია და თავთავს იკეთებს. ამ დროს ძაან შიში ჰქონდათ სეტყვისა. მარტო მაისში იცოდნენ შიში, როცა ყანა შამოღერდებოდა, თორე თუ გადასცდებოდა, სეტყვა აღარც იყო საშიში ყანისათვის. მაისში სამხთოს დაკვლა იცოდნენ ელიასთვის, სეტყვა აღარ მოვიდესო. ელიას ვალი ციკანი იყო. იმის ვალდებულებას მაიშორებდნენ და თან შაიხვეწებოდნენ. იყო ხომე რო ვინმეს დასეტყვამდა სხვაგანა. იტყოდნენ ხომე: „სამხთო რო არ ქნეს იმიტომაც დასეტყვაო“. კვირა დღეს თუ ვინმე იმუშავებდა იმასაც დავარბევდით. „შე მამაძაღლო, აქ რო სეტყვა მოვიდეს, ხალხი უნდა ნაატანინოო“. სეტყვას რო ავცდებოდით, ახლა გოლვა გვქონდა საფიქრებელი, დედაკაცებმა ხვოის ვედრებაზე დიდებაზე იცოდნენ ხოლმე ფეხშიშველებმა შემოვლა – ნამი გვადირსოსო.

მკაში რიგ-რიგა ვიცოდით. 8-12 კაცი მოილაპარაკებდა, ერთმანეთს დავეხმაროთო. ასე ხალისიც იყო და არც ვიღლებოდით. იტყოდნენ ხოლმე ხვალ ჩემი რიგრიგა იქნება და დღეს უნდა მოვემზადოო, თადარიგი უნდა დაეჭირა საჭმლისა. მამითადი სხვა იყო. ორასი კაცი მოგროვდებოდა მდიდართანა. მახსომს ჩვენ ნაბატონართან შეგროვდებოდნენ ბაზალეთიდან, ებნისიდან. თითონ კოშკთან გავიდოდა და დურბინდით დასცქეროდა მუშაობასა.

მეთაურს მესვეურს კარგ ბიჭობაში ჯილდოთ მისცემდნენ საჭმელსასმელსა. ახლა ეს იტყოდა – ჩემი ბიჭობა არი, ერთი ლუკმა აიღეთო“.

გრემის ხევი, ციხისუბანი

ბეჟიტაშვილი გრიგოლ პავლეს ძე, 73 წლისა.

ამ ადგილ'ხე ზემოდან ჩამოსულა, ბეჟიტაანთგან. თანდათანობით კაი ოჯახი გაუჩენია. სწავლა არა აქვს, საკუთარი დაკვრეებით კარგად იცის მიწისმოქმედება და დიდი ხანია ამასაც მისდევს. თავისთავს დედამიწის მებრძოლს უწოდებს. შვილები არა ჰყავს, მეუღლესთან ერთად ასეთ მოხუცებულობამდის მშვიდად მოუღწევია, მაგრამ ორი წლის წინ ცოლი გარდაეცვალა. ეხლა ის გულგატეხილია მარტოობით და თან ძალიან არის დარწმუნებული, რომ ისიც მალე მოკვდება. სწორედ ამიტომ თვითონვე ინახავს ორ ცხვარს, რომ როცა მოკვდება მასვე დაუკლან.

29 აგვისტო, სოფ. ოძისი, მთხრობელი გიორგი ოქრუაშვილი, 62 წლისა.

„გუთნების დაძახილი ვიცოდით. ვისაც სიკეთე უნდოდა და პატივისცემა, დამძახებელთან მივიდოდა. დაძახილი მაშინ იყო ხოლმე, როცა შამბული გუთნები თავისი გუთნიდედებით საანეულოდან ნაოშად იყვნენ გასულები. დამძახებელი პურის ჭამას გამართამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გუთანში სიმღერა ვიცოდით, ორველას ვეტყვით; ერთი ერი მორჩებოდა, ახლა მეორე დაიწყებდა.

– როცა გვერდა სახნავებში ვიყავით, და გუთნიდედა ვერ იმორჩილებდა გუთანსა, იმას ზედმეტი მეხრე ეხმარებოდა.

– მუხრანული გუთანი მქონდა, ისა და ღვედი. შუახევში გავყიდე. ერთი ურწანი კამეჩი და ერთიც ულელი მამცეს. ხის გუთნებსაც ვაკეთებდი და ვყიდდი ხოლმე – ხის გუთანში თითო თხას მაძლევდნენ, ხან ცხვარს. ერთი თხა მამცეს, ძროხაზე მეტს იწველიდა. მერე ის აქ გავყიდე – ძროხა და ათასი აგური მამცეს. ჩემ გაკეთებულ გუთნებსა ვყიდდი: ჭაშში, შუახევში, მილიწყაროში.

კარგი იყო ხის გუთანი, მანჭვები ან სხვა რამეც რომ დაგვემტვრია, იქვე შაგვეძლო გაგვეკეთებინა და ალო არ მოგვეცდინა. დიდი გუთნის გუთნად (სხვები რო ლვიელას ეტყვიან) თელა ან იფნია კარგი. ღვედების დასაკეთებლად ხემსურებმა იცოდნენ გადმოსვლა. გადაბმა და ეგრე რამე კი მეც შემიძლია. ძნელი იყო ღვედის წვნა და ჩვენშიც თითო ოროლა კაცი თუ ისწავლიდა. ებნისში იყო ერთი მწვნელი. ღვედსა სჭირდებოდა ორი კამეჩის ტყავი და ერთი ხარისა – ოთხ ულელს გასწვდებოდა. ჯამბარას უნდოდა ერთი ტყავი ხარისა ან კამეჩისა. ჭაპანი ერთი ტყავიდან ორი გამოდის. ღვედიცა და ჭაპანიც ხარის ტყავისა სჯობია, არა წყდება. ოსტატსა სანაგულაოდ რჩებოდა ტყავი. ანაგულა კი კაი ნაჭერი იყო. ერთი ღვედის დაწვნაში ოც მანეთს იღებდნენ. თუ ღვედი კამეჩის ტყავისაგან იწვნება, ეს ტყავი გამხმარი უნდა“.

10 სექტემბერი, სოფ. ნაოზა

მთხრობელი სანდრო ვასილის ძე ბედოშვილი

ახოს გატეხვა. ამ სოფელში ყველაზე დიდი და ძველი ხეა თელა (თელის მიწაზე) და კაკალი შიგ სოფელში. ის თელა ჩემზედ წინანდელია და მამამემზედაც. დანარჩენი ალბათ გაიკაფა. ტყის ნაწილს საყანედ – ახო ჰქვია. გაეჩეხოთ, მოვკაფოთ, ოსურად იქნება ცავხთონ.

ფოთლიანობას გავკაფამდით ტყესა, დავანებებდით თავს, რომ შეხმებოდა, ცეცხლს მოვუკიდებდით, რო ფესვიანად დამწვარიყო. დიდ ტყეს ხეებს მოვუთლიდით გარშემო, მოვჭრიდით და ძირი ლპებოდა.

შეყვერვაც ვიცოდით. დაყვერამდით, შემოვუჭდემდით და ქარი წააქცევდა. სისნეულე თუ შეეპარებოდა ხესა, გულიც უფუტურავდებოდა და ცეცხლიც ადვილად ეკიდებოდა. ახოს ტეხვა გაზაფხულით ვიცოდით. ფოთოლი რო გაიმართებოდა. გაკაფვისათვის ეხმარობდით ცულსა და წალდსა. თუ ძნელი მოსატეხი იყო, გაქორწნიდით – თოხისნაირი საქორწნებით. ახოს გატეხვის შემდეგ სხვილი ხე ოჯახში იყო გამოსაყენებელი, წვრილ ხეს იქვე ვწვამდით, დანარჩენს კი, რაც გასაყიდადაც გამოდგებოდა, ქალაქ მიგვქონდა, უფრო რიგად შეშა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბეთანი

ბიბლიოგრაფია 1944 წ. ს. წიოეული ყლოდეში (ხაიშის ხეობა) ეკონომიკა სიმონიანის წინწყოლიანის ბიუროდან ბიბლიოგრაფია ფეოდალური კოლმეურნეობისაგან. ეკონომ. ფეოდ. გლეხური ლეგენდა ზაფხულიანი, 54 წელი, ფეოდალის მმართველი. ეკონომ. შეიძინა ეკონომიკა 1947 წლის ნოტარიუსი. მიხარიანელი ნიკო გლეხურ-ს წინწყოლიანი, 55 წელი, ფეოდალის კოლმეურნეობის ერი.

ბიბლიოგრ. ნაბეჭდი
ბიბლიოგ. ფურცელი
ბიბლიოგ. ფურცელი
ბიბლიოგ. ფურცელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიჭვიან უღელთა სახელწოდებანი

1 თავთუღელი -	ღირღიტის უღელი
თავთუღლის ხარები -	ღირღიტის ხარები
2 გძელთუღელი	საძირის უღელი
გძელის კამეჩები	საძირისეები
3 გძელთწინა -	საშუალო
შუალა ხარები	საშუალო ხარები
4 საშუალი -	საშუალი
საშუალის (შუალა) -	საშუალის კამეჩები
კამეჩები	
5 სამუღელი -	სამუღელი
სამუღლის ხარები	მესამუღლე ხარები
6 წასაკრავი	წასაკრავი
წასაკრავის კამეჩები	წასაკრავის კამეჩები
7 წინა სადგომი	წინასაჯდომი
წინასადგომი ხარები -	წინასაჯდომი ხარები
8 წინა უღელი -	წინა უღელი
წინა ხარები	საყევრის წინა
ხარები	საყევრის ხარები

ცალკეული გამოთქმები

„საძირისეები (საძირის კამეჩები) ღვედზე უნდა დამაგრდნენ სამატით“ (ბაგა)

„რვა უღელში ოთხი ბალიშიანი იყო, სამი თავთუღელი, ერთიც საყევრისა“ (ბაგა)

„მეხრე ოთხი უნდა უკანა ანუ ღირღიტის მეხრე, შუალა ორი მეხრე და წინა მეხრე. ყველა ყევარს ერეკება, სხედან მარცხენაზე ველისაკენ“ (ხეობა)

„უკანა ხარები - ღირღიტისა - შანარი, მძიმე, წყნარი ხარები უნდა იყვნენ“ (ხეობა)

„ღვედს დაკრული აქ ბეჭდები (ჩხირები) ყოველ ათ მტკაველზე, რო სამატი დაიმაგროს, არ წასცდეს“ (ხეობა)

„სახში გუთანს ჯამბრით დავაკრამდით ღირღიტზე და ველზე ისე მიგვქონდა“ (ბაგა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიჭვიანი (ხეობა)	ბაგა
ლვილი	- რვილი
ფამფალაკი	- ღირღიტი
კავშოლტი	- შოლტყავი
ფოე	- ფოე
ხელკუდი	- ხელკავი
მანჭა (დაბლითა, მაღლითა)	- კოჭა (ზეითა, ქვეითა)
კოფა	- კოფა
ხმალა	- ხმალა
საკნისი	- სახნისი
საკვეთელი	- საკვეთელი
ყოვი (ლვილზეა)	- საჯამბრე
საჯამბრე (კავშოლტი)	- საჯამბრე
კირჩხა	- რჩხა
ველის გორგოლა	- ველის გორგოლა
კვალის გორგოლა	- კვალის გორგოლა
ქური (ველის გორგოლისა)	- ქური
ჭინჭილაქი (ველის გორგოლისა)	- ჭინჭილაქი
მორგვი, სოლი, ფერსო	- მორგვი, სოლი, ფერსო
პირი, ყუა, წვერი (საკვეთლისა)	- პირი, ყუა, წვერი
ღერო (საკვეთლისა)	- მარაგი
წვერი (სახნისისა)	- წვერი
ბუდე (სახნისისა)	- უბე
ცერი (სახნისისა)	- ფრთა
სახელური (ხელკუდზე, ფოეზე)	- სახელური
ფარეში (ხმალასი)	- ფარეში
საშერიე (კბილის თავი)	- -
საქუსლე (კბილის ბოლო)	- კბილის ბოლო
კუდის სოლი (ლვილის ბოლო)	- სოლი
კაკაბი (ფოეზე)	- კაკაბი
თეო (ლვილისა)	- -
ჯამბარა	- ჯამბარა
კონტი (კავშოლტზე)	- საღვედე
ღვედის წნელი	- წნელი
საცოდავის წნელი	- საცოდავი
საცოდავის ჩხირი	- -
ნაჯახის ჩასატანები (წნელი კირჩხაზწე)	- საცულე

1947 წ.

1948 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია

(ანგარიში)

1948 წლის ზაფხულში 17 ივლისიდან 23 აგვისტომდე ქართლში ქსნისა და რეხულას ხეობებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია.

1948წ. ქართლის ექსპედიციის მონაწილენი

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები: სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კორ. გ. ჩიტაია (ხელმძღვანელი), დოც. ვ. ბარდაველიძე, ნ. თოფურია, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, ი. ჭყონია, მ. გეგეშიძე და მხატვარი ნ. ბრაილაშვილი; ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მეცნ. თანამშრომლები: კ. ჩოლოყაშვილი, აკ. კაცაძე; ისტორიის ინსტიტუტის ხალხური მედიცინის ისტორიის განყოფილების მეცნ. თანამშრომელი ცბ. ჩხეიძე; სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები: ქ. თოფურიძე, თ. მაჭავარიანი, ნ. ჩოფიკაშვილი და მხატვარი-ფოტოგრაფი ნ. ჩერნიშკოვი.

ექსპედიციას ადგილზე ოთხი სამუშაო ბაზა ჰქონდა: ლენინგორი (17-20 ივლისი), ლარგვისი (21 ივლისი - 3 აგვისტო), კორინთა (3-6 აგვისტო), ქვემოჭალა (7-23 აგვისტო).

ექსპედიციამ შეასრულა შემდეგი მარშრუტები: ლენინგორი-ყანნაეთი- ლარგვისი- დადიანეთი- ხარბალი–ბალაანი– მიდელაანი; ლარგვისი– კარიაულთკარი– პავლიანი –თინიკაარი–ცხავატი– საძეგური– მშველიეთი; ლარგვისი– მოჭალიეთი – გავაზი– დორეულთ–კარი; ლარგვისი–ლამისყანა, კორინთა; კორინ-

თა–ქურთა–შუაალეევი– წირქოლი–იკოთი; ქვემო ჭალა – სამთავისი–ქვემო ცხილონი– კასპი–არმაზი– ქვემო ზახორი– ქოლოთი–ნიგოზა–ხურვალეთი–საკორინთლო–ბოჟამი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ეთნოგრაფები რიგი წლების მანძილზე სისტემატურ მუშაობას აწარმოებდნენ მთის მოსახლეობის შესასწავლად. მეოთხე სტალინურ ხუთწლედში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს ბარის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომლის ერთ-ერთ ღონისძიებას შეადგენს ქართლის მონოგრაფიული აღწერა. გასულ წელს ჩატარდა პირველი ექსპედიცია მდ. არაგვსა და მდ. ქსანს შორის მდებარე ტერიტორიაზე.

1948 წელს ექსპედიციის ძირითადი მიზანი იყო ქართლის მოსახლეობის შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების თავისებურებების შესწავლა, რომლებიც ხალხის მიერ არიან შექმნილი და რომელთა ცალკეული ელემენტების შემუშავება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი და დაძაბული ძიების გზით და ჩამოყალიბებული სახით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

ამ მიზნის განახორციელებლად ქართლის ექსპედიცია იკვლევდა დასახლების ტიპს, საცხოვრებელსა და სამეურნეო ნაგებობებს, ჩაცმულობას, გადასაყვან-გადასაზიდ საშუალებებს, მეურნეობის ფორმებს, სოციალური და სულიერი კულტურის საკითხებს და არკვევდა ქართლის ბუნებრივ-ისტორიულ არეებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი ყოფის შესწავლას კონკრეტულ ეთნოგრაფიულ გამოვლენაში. გარდა ამისა, ექსპედიციის მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანი იყო მთის მოსახლეობის კულტურისა და ბარის მოსახლეობის კულტურის მახვენებლების დადგენა.

ცნობილია, რომ საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ამ გზით მოპოვებული მასალა განსაკუთრებული რიგისაა. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ შიშველი ფაქტი გამოუყენებელია, თუ მისი გენეტიკური გაშუქება არ ხერხდება. ამიტომ საბჭოთა ეთნოგრაფს პირველ რიგში მოეთხოვება, რომ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება არ მოსწყვეტოს სამეცნიერო-კვლევით პრობლემებს. მკვლევარს საველე მუშაობის დროს მოცემული აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები ხალხისა მათ კონკრეტულ გამოვლენაში, შეისწავლოს ცხოვრების ძველი და ახალი ფორმები, მზარდი და განწირული მოვლენები, მათი მოძრაობა.

თავისთავად საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ამგვარი დაყენება გამომდინარეობს საბჭოთა ეთნოგრაფიის ზოგადი პრინციპული დებულებებიდან.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე, ჩვეულებრივად, ორმაგად რთულია, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და

კულტურულ-ეთნიკური მოვლენაა, რომლის ზოგიერთი ელემენტი ძლივსდა შეიმჩნევა და ძნელად ხელშესახებია.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ინახავს ძველ მოვლენებსა და საგნებს არა მხოლოდ ცალკეული დაქუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად მთლიანი კომპლექსების სახითაც, რაც მათ ფიქსაციას ართულებს.



ექსპედიციის მარშრუტი

ამიტომ, ეთნოგრაფიული ფაქტები, დიდნი და მცირენი, რომ არ დარჩნენ ეთნოგრაფის თვალთახედვის გარეშე, რომ ადექვატურად გამოიხატოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, რომ ფაქტები უტყუარი იყოს, ჩვენ უარეყავით როგორც ძველი, რარიტეტული და ანტიკვარული

მეთოდი, ასევე თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული მეთოდები „კულტურულ-ისტორიული“ – ვ. შმიდტისა, ბიოლოგიური – მიულმანისა, კორელატივურ-სტატისტიკური– კლიმეკისა, ფუნქციონალური-მალინოვსკისა, ტურნვალდისა და ა. რადკლიფ-ბროუნი და მასალების შესაგროვებლად წარმოებულ საველე მუშაობას წარვმართავთ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით.

ჩვენ ვიცით, რომ „ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უაზროდ გადაიქცეს, თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან მის განუწყვეტელ კავშირში, გარემო მოვლენებისაგან მის განპირობებაში“.

ამ მოთხოვნილების შესრულება საველე ენოგრაფიულ მუშაობაში შესაძლებელია მხოლოდ მოვლენის კომპლექსური შესწავლით, მაშინ როცა, ერთი მხრით, კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები და, მეორე მხრით, როცა ყოველი საგანი აღიწერება „როგორც ადამიანის შრომის ჯამი“ (კ. მარქსი), ე.ი. სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით, ამასთან ერთად, საჭიროა ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით და ნიშეიერი - ორიგინალების სახით.

ამ მეთოდის თვალსაზრისით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე, მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მასალის გადაჯვარებული ფიქსაცია და ადგილზე კარგად შედგენილი ბიოგრაფია ერთი კონკრეტული სახვნელი იარაღისა იძლევა მეტს, ვიდრე მრავალი ათეული ამგვარი იარაღის ზერელე აღწერილობა. ამასთან ერთად, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში: ოჯახი, გვარი, გვაროვნული გაერთიანებები, უბანი, სოფელი, დაბა, ხევი და სხვ.

ექსპედიცია აგროვებდა მასალას ზემომოყვანილი დებულებების საფუძველზე შედგენილი პროგრამის მიხედვით. პროგრამა მეტნაკლებად შეფარდებულია ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან და ითვალისწინებს ქართლის ეთნოგრაფიული თავისებურებების გამოვლენას.

ექსპედიცია მუშაობდა ორ ჯგუფად: 1. მატერიალური კულტურისა და მეურნეობის საკითხები და 2. . სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის საკითხები.

ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალებიდან აქ მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით.

ჩვენი შესასწავლი მხარის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის გასარკვევად საყურადღებო ცნობა მოეპოვება ვახუშტის თავის გეოგრაფიაში. ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად

მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ (ვახუშტი, გვ. 104).

საყურადღებოა, რომ პროცესი მოსახლეობის გადაჯგუფებისა მთიდან ბარში შემდგომშიც გაგრძელებულა. ამ გადაჯგუფებას ახლდა, ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ სხვადასხვა პუნქტების გავლა. მაგალითად, ჟამურიდან (ოსურად - ზიმირი) გადმოსახლებულნი ჯერ ახალგორში (ლენინგორში) დასახლებულან, ხოლო შემდეგ უფრო ქვემოთ, ს. ქანდაში გადასულან. ასევე სოფ. ლომისიდან ჯერ იფნევში (ალიბეგაანში) დასახლებულან, ხოლო იფნევიდან წირქოლში და ასე სხვა.

თავისთავად მოსახლეობის მთიდან ბარში მოძრაობის ამგვარი პროცესი დაკავშირებულია მთის მეურნეობის თავისებურებასთან. ეს თავისებურება ადგილზე არაინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში იწვევს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილობას, რომლის ნაჭარბი იძულებულია მთიდან ბარში გადასახლდეს.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია, ლიმიტირებულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მეტად მცირეა. ამის გამო, როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა რიცხობრივად თავის დონეს აღწევს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებულია გადასახლდეს ბარში. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მოვლენას ომიანობისა და მშვიდობიანობის პირობებს უკავშირებს. ჩვენის აზრით, ამ პროცესს ღრმა ეკონომიური პირობები უდევს სარწყულად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობის ადგილ-მონაცვლეობის გამომწვევი თავდაპირველი გარემოებანი თანდათან ძალას კარგავენ. მიუვალ ადგილებში გზების

სახვნელი იარაღების სახეობანი საქართველოში

გაყვანამ, მიმოსვლის შორეული რადიუსით შესაძლებლობამ, და შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბებამ – შრომის კოლექტიურმა ფორმამ და ამის შესაბამისად მეურნეობის ამა თუ იმ შერეული დარგის დაწინაურებამ მთის ხოლის კოლმეურნეთა საცხოვრებელი ადგილის ამგვარი მონაცვლეობის საჭიროება მოსპო.

ბარისა და მთის კულტურის ურთიერთობის პრობლემა ძველთაგანვე იქცევდა მეცნიერთა ყურადღებას. კერძოდ, ბარის მოსახლეობასთან მთის ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის საკითხებს სვამდნენ და თავისებურად წყვეტდნენ ისეთი სწავლულები, როგორიც არიან სტრაბონი და ვახუშტი.

ექსპედიცია შეეცადა გაერკვია ბარის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი კულტურის ძირითადი მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლებია: სარწყავი არხი, დიდი გუთანი, კევრი, თორნე, კამეჩი, ურემი, ბეღელი, კირი, მოდგამი, „ტყის“ ცხვარი ‖ შინაური ცხვარი, მაწონი, ხანულობა; პურეულებიდან – ღოლის პური, დოლაბი-წისქვილი, სახლის თავისებური კომპლექსი, დასახლების დიდი ერთეული, ვაზი, მცენარის ზეთი, თავეულები და ზედაშეები.

აქ ჩამოთვლილი მაჩვენებლები შეიძლება დავუპირისპიროთ მთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი კულტურის ზოგიერთ მაჩვენებლებს:

დიდი გუთანი - გრძელმხრიანი გუთანი, კავწერა

ღოლის პური - ქერი- ჭვავი

კევრი – ფეხით ლეწვა

თორნე - ღომელი

ურემი - მარხილი

ბეღელი - გოდორი

დასახლების დიდი ერთეული - დასახლების მცირე ერთეული

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ჰორიზონტალური განფენა ერთ ჭერქვეშ მოქცეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა, სართულებიანი.

ქვითკირი- მშრალი ნაგებობა

მოდგამი - მონდავი

შინაური ცხვარი ‖ „ტყის“ ცხვარი – მომთაბარე ცხვარი

ღოლაბი – წისქვილი – ბუჭულა – წისქვილი

მცენარის ზეთი – ერბო

ამასთანავე უნდა აღინიშნოს: 1. დიკა სადაცაა გაბატონებული, მუშაობს აჩაჩა გუთანი. ბელტი არ გადადის, ხდება მიწის ანცვა.

2. ღოლის პურის ყანა სადაცაა გაბატონებული, იქ დიდი გუთანი მუშაობს, ბელტი გადადის.

3. ჭვავი სადაცაა გაბატონებული, იქ მუშაობს კავ-წერა და გრძელმხრიანი გუთანი, ხდება მიწის გაწერვა.

ძველიდანვე ცნობილია, რომ იბერიის ბარის მოსახლეობის მეურნეობისათვის მიწის მოქმედება იყო დამახასიათებელი (სტრაბონი). თეიმურაზ ბაგრატიონი მეურნეობის ამ მხარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ის წერს:

„მოუთხრობენ ჩვენნი და სხვათაცა მემატიანენი: ვინაჲ-ცა-ეგ-ნი მცხოვრებნი გიორგიისანი არიან მხნენი და დაუშრომელნი მუშაკობასა შინა მიწისასა და მრავლისა ნაყოფისა შემკრებელობისათვის უაღმატებულესისა შრომისა, და უგანრჩეულესისა სახვნელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვთ ჩვეულება უმეტეს ზემოთა ქვეყანათა გიორგიისათა რვითა ანუ ცხრითა ულელეულთა და ჯართა და დიდ-დიდთა კამბეჩთა მიერ ჯვნისა, რომელნიცა მარღვეველნი უმტკიცესისა ქვეყნისა, კნინდა გულადმდე ქვეყნისა, სახსის-საკვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარცა რა ლოდთა უმძიმესთა, აგრეთვე სხვათაცა შინა მუშაკობათა: მკათა, ლეწვათა, წნეხათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობათა განსხვავდებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპიისათა“[1].

ახლო წარსულშიც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ მიუთითებდნენ ქართველების მიწისმოქმედების კულტურის მთელ რიგ თვითმყოფ თავისებურებებზე. ასე, ი. კლინგენი, ავტორი ცნობილი კაპიტალური შრომისა „მიწისმოქმედების პატრიარქთა შორის“, სხვადასხვა ხალხის მიწისმოქმედების კულტურის შედარების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „Грузины так крепки земле, как нигде в другой стране“[2].

ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალა გვიჩვენებს, რომ აქ არსებული მიწისმოქმედების კულტურა წარმოადგენს რთულსა და მთლიან სისტემას, რომლის ცალკეული ელემენტები მუშავდებოდა და ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ მიწისმოქმედების კულტურა ისე ღრმად არის შეჯრილი ხალხის ყოფაში, გამჯდარია მის ძვალსა და რბილში, რომ მისი ცალკეული ელემენტები პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად თაყვანისცემის ობიექტადაც ქცეულა. საექსპედიციო მუშაობამ დაგვანახა, რომ ეს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო სისტემა მოიცავს სხვადასხვა სახის შრომის პროცესებს, როგორიცაა: მოკარვება, გაპოხიერება, ხვნა, ფარცხვა, მორწყვა, თესვა, მარგვლა, მკა, ლეწვა, შენახვა, დაფქვა და სხვ. გამოირკვა, რომ გლეხობას აქვს საკმაო ცოდნა ნიადაგისა: განსაზღვრავს მის სინოტივეს და წყალგამტარიანობას, განასხვავებს მაგარს, რბილს, მძიმეს, მშრალს, სველს, ცივს, თბილს, ქვიშა-ქვიანს, დამზრალს და დახრუკულ ნიადაგებს.

ასეთივე რთული აღმოჩნდა მორწყვის სისტემაც. მინდვრის მოსარწყავად იყენებდნენ ნაკადულებს, წყაროებს და მდინარეებს; აგებდნენ გოდორ-ყურეებს, გაავდათ დიდი, საშუალო და პატარა რუები და არხები (ეტი, ნაკადელი, კაარი), აწყობდნენ რუსხმულებს, ფართოდ იყო გამოყენებული კოოპერაციული შრომა და არჩეულ მერუეთა ინსტიტუტი.

რთული და მრავალსახოვანი ყოფილა ახოს აღებაც (ნაკაფი, ნატეხი,

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ევროპიისა... პეტერბურგი, 1848 წ. გვ. 16-17.

[2] И.Клинген, Среди патриархов земледелия – народов Ближнего и Дальнего Востока, СПБ, 1898.



დიდი გუთანი, სოფ. მერეთი

ნაქორწინი, ასხეპილი, შემოყვერვა, დაწვა და სხვ.). განირჩეოდა ხვნის წესები: დაბლობსა, მთის ფერდობსა და მაღლობებზე, ზაფხულის ანეული, შემოდგომის ნაოში და საგაზაფხულო ხვნა (შემოდგომით ხნავენ ადრე, გაზაფხულზე–გვიან). იციან აოშვა, გადახვნა, დასვენება, ნაკურცხალი, თესლის ბრუნვა, ასხვავებენ კვალს ღრმასა და ნაპირალს. გამოირკვა აგრეთვე სახვნელი იარაღის სხვადასხვა სახეობა მთელი თავისი კონსტრუქციული, ფუნქციონალური თავისებურებებით. სხვათა შორის, ფიქსირებულია ის ხერხებიც, რომელთა საშუალებით სახვნელი იარაღი ადვილად გამოიყენება განსხვავებული ნიადაგისა და ხვნის განსხვავებული ამოცანების შესაბამისად. სახვნელი იარაღის გაწყობისა და გამართვისას იყენებდნენ უმცირეს ჩხირებსაც კი.

ამასთან ერთად, დამოწმდა მხვნელთა შეამხანაგება (მოდგამი) ისეთი ფორმით, რომელიც დიდი მასშტაბის მიწისმოქმედების არსებობით არის შეპირობებული.

ჩვეულებრივად, მუშაობა წარმოებდა დიდი ზომის სახვნელი იარაღით და სახნის–საკვეთლით.[3] ასეთი ზომის სახვნელ იარაღში აბამდნენ 8–12 უღელ ხარს–კამეჩს. მუშაობის პროცესში სახნის–საკვეთელი 60–80 სმ ზომის ბელტსა სჭრიდა. თავისი დანიშნულებით განსხვავდება სახელწოდებანი გუთნის ხარებისა და კამეჩებისა, ცალკეული უღლებისა და მეხრეებისა. ზომისა და ფორმის მიხედვით განსხვავდებოდა უღლებიც (საყვერის უღელი, საძირის უღელი, საგორავი უღელი, კალოს უღელი და სხვა.) ზოგიერთ უღელს უკეთდებოდა საგანგებო თავტაბიკი, რითაც გამწევ ძალებს შორის წონასწორობა მყარდებოდა.

ზემოაღნიშნულს უნდა დავემატოთ, რომ დამკვირვებელს განსაკუთრებით ეცემა თვალში ადგილობრივი სახვნელი იარაღების გულმოდგინე ხელობა და სიმწყობრე როგორც მისი ცალკეული ნაწილებისა, ისე მთლიანად. ყველაფრიდან ცხადად ჩანს, რომ მოსახლეობა ფლობს ღრმა ემპირიულ ცოდნას ამ იარაღის შესახებ ცალკეულ დეტა-

[3] შდრ. P. Leser, Der Pflug von Dabergotz: Zeitschr d. Ethn., Jahrg. 1925, გვ. 52. ავტორი ქართულ გუთანს „გოლიათურს" უწოდებს

ლებამდეც კი, და რომ გლეხმა იცის მდიდარი და განსხვავებული ტერმინოლოგია ამ იარაღისა და მისი ნაწილებისა. იგი ამ იარაღისადმი დიდი სიყვარულით არის განმსჭვალული, რაც სხვათა შორის კარგადაა ასახული ხალხურ პოეზიაშიც.

მიწისმოქმედების ხალხურ ცოდნასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ მთხრობელს: „სხვაგან მამულებში შავი მიწა ყველასა სჯობიან, მაგრამ აქ შავ მიწას ძალა არა აქ, უდედო, უდებერია. მიწას რო მაწივრობა არა აქ, პური მარცვალს არ იკეთებს. წითელმა მამულმა კაი პური იცის. პატივის გატანა გაზაფხულზე უნდა, მაგრამ ზოგი ადრეც იწყებს. პატივი ყველგან ვერ გაგვაქ, მინდორში ყველგან ხო ვერ მიიტან, აბა სად მიუწედები. პატივი ვერშოკნახვევარი მაინც უნდა დადგეს. ამის შემდეგ ხვნა უნდა დავიწყოთ. პირველი ხვნა გაზაფხულისაა მარტში და აპრილში, ანეულისა კი მაისიდან იწყება, ნაოში კოთათვეში იხვნება, ნამძრალი კი ღინობისთვეში. ნაოშსა და გაზაფხულისას არ უნდა ღრმად ხვნა. ანეულს კი უნდა, რო ბალახი არ მოერიოს."

„თხუთმეტი წელიწადი მეტი გვეჭირა გუთანი, დანახვით ვისწავლე. ხის გუთანი მიკეთებია, ურემი, თვლები. ხის გუთანი ადარ მეგულება რო იყოს დარჩენილი. აჩაჩას ეძახდნენ, ერთ ფერდა საცა იყო და ორ კვალზე ვერ უვლიდით, სახნის გაუკეთებდით და იმ ფერდაზე ვამუშავებდით. აჩეჩაც მუშაობდა [ჩვენში]. ოქოქა აჩეჩას რო ვამბობთ იმას ერქვა. არის ასეთი ადგილები რო რკინის სახნისი არ უნდა, სუ ხეა და მარტო იმითი ექექამენ, მოკაკული ხეა, ხელში დასაჭერი აქ ორი მანჭი. აჩხათ დარჩენილ მიწას ხნამდნენ საკვეთლიანი გუთნით. სხვა იარაღი იმას არ გამოადგებოდა. ორხელა იგივე აჩეჩა არი. ჩვენში რო მძიმე [მიწა] არი, ის [ამიტომ] ორი ხელით უჭირამთ, ძველებური გუთანი სუფველა ხისა არი. კეთდება ან მუხა, ან იფნი და თელა. უბრალო ხისა არ კეთდება. თუ მაგარი არ იქნებოდა, გაიტეხამდნენ. გუთანს ყელი აქვს, მოგრეხილი უნდა იყვეს, თევას ვეტყვით რომ ველისკენ ჰქონდეს ისა, ველისკენ წამოვიდეს. დაწყობილი იარაღი ველისკენ არი, რო წამეედოს ველსა და მოხნას. გუთანი ასეთია, თუ არ იცი ვერ მაახნევინებ თავისდღეში. თუ თითონ აკეთებს, ის გაუგებს და თუ სხვას გააკეთებინებს, ვერ გაუგებს."

„გაზაფხულის გუთანში რვა უღელს შავაბამდით (თუ კაი ხარი და კამეჩი იყო ექვსსაც), პირველი იყო ღირღიტის ხარები, მეორე- ძირის კამეჩები, მესამე - საშუალი ხარები. მეოთხე - საშუალი კამეჩები, მეხუთე – წინაფასაკრავის ხარები, მეექვსე - წინაფასაკრავის კამეჩები, მეშვიდე - წინა საჯდომის ხარები, მერვე საყევრი ხარები. ამათ დასტრიალებდა ოთხი მეხრე და ერთი გუთნიდედა, თუ ლაფი იყო, მჩეკავი მაადევდა - მეტი მეხრე იყო."

„როცა საქცევში გუთანი არ ეკიდებოდა, მაგარი იყო, ველის გორგოლას მოვხსნიდით და რჩხაზე დავკიდებდით. კაცი ღირღიტს დაადგებოდა, მანამ ცხვირს წაჭყოფდა და მოეკიდებოდა, მერე კი, როცა კვალის გორგოლა კვალში ნავარდებოდა, კარგა ანგრევდა. ერთი არშინი ველი მიიქონდა და სიღრმით ნახევარი არშინი. წინდიყელზე რო ყოფილიყო, იტყოდნენ: „ზეიდანა ეხნამო, დაუშვიო."

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხრანული დიდი გუთანი

„ზამთარში გუთნიდედასთან შაიყრებოდა ხალხი, ერთმანეთს პირობას მისცემდნენ რო გაზაფხულზე ერთათ ეხნათ. პირობის გამტეხი დაჯარიმდებოდა. ჩივილის დროს იტყოდნენ ხოლმე – დამცარა, დამატყუაო. ამისთანა კაცს გამურამდნენ, ვირზე შესვამდნენ ან ულვაშ მოაჭრიდნენ. თუ ვინმეს არა ყვანდა, განა უღელი ხარი ყვანდა ამას უბამდა, ამ გუთნისდედას, ან შაიკრიფებოდნენ ოთხი-სამნი და ისე გაიყოფებოდნენ. გუთანზე მაილაპარაკებდნენ თაობა გამოეყენებინათ თუ უღელა; უღელა ოცი დღე და თაობა ორმოც დღეზე მეტი გამოდიოდა. ამას მოდგმები ერქვა.“

„თესვა უნდა სცოდნოდა მთესველსა, რო ან ხშირი არ მოსვლოდა ან თხელი. თუ პური ბევრი მააპნიე, ხშირი გამოვა. თხლათ უნდა მოაბა. ერთი მარცვალი ხო იბარტყებს, შვიდ-რვა თავთავს გაიკეთებს და მაინც გაიბმება დედამიწა. კაი მსუქან მამულში თუ ხშირად დათესე, სულ აიჩალება, კარგ თავთავს არ ამოუშვებს, წაიქცევა დედამიწაზე, ჰაერი ვერ იმუშავებს და მატყლივით მოვა, არ ვარგა. ცოტა თხლათ რო მოვა, გათამამდება, გალაღდება. დათესილს მაშინვე უნდა დაფარცხვა. დაფარცხვა ფარცხით ვიცით.[4]“

მიწის მუშაკის ამ მონათხრობიდანაც ჩანს, თუ რამდენად რთულ სისტემასთან გვაქვს საქმე. ამ რთული სისტემიდან შეიძლება შევეჭიდეთ მის ერთ ელემენტზე - სახელდობრ, ქართულ დიდ გუთანზე.

[4] მთხრობელი ნიკა ტურაშვილი, 62 წ., გუთნისდედა, სოფ. ქსოვრისი. მონათხრობი ნაწერილია ეთნოგრ. განყ. მეცნ. თანამშრ. ს. ბედუკიძის მიერ.



დიდი გუთანი. გიულდენშტედტი (XVIIIს.)

ექსპედიციის მუშაობის დროს დიდი გუთნის ორი სახეობა არის დამოწმებული, ერთ-ერთს, შედარებით ახალს, მუხრანული ეწოდებოდა. აღნაგობის მიხედვით სახვნელი იარაღის ეს სახე არაფრით არ განსხვავდებოდა დიდი ქართული გუთნისაგან, მხოლოდ მუხრანულს ქუსლი, ხმალა, ფრთა და კაკბები რკინისა ჰქონდა. ამის გამო ის უფრო მეტხანს სძლებდა. ეს გაუმჯობესება შემოღებულია XIX საუკუნის სამოციან წლებში. იგი ემთხვევა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ხანას და გუთნის ეს სახეობა ამ ხანისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება ხის დიდ გუთანს, მისი წარმოშობა XI-XII საუკ. არის სავარაუდებელი.[5]

ამ სახვნელი იარაღის გამოსახულებები ცნობილია XIV -XVIIII ს.ს. (საფლავის ქვები, კასტელისა და გილდენშტედტის ჩანახატები[6])

საშუალო ზომა გუთნეულისა ჩვეულებრივ უდრის 15,8 მ. მისი სახნის-საკვეთელი 20 კილოგრამს იწონის. იგი საჭიროებს 16-24 ხარ-კამეჩს, 4-6 მუშახელს, ჯამბარას, ღვედს, სამატებს, უღლებს 8-12 ცალს და აპეურებს 16-24 ცალს. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოთხი უღლისათვის საჭირო ერთ ღვედს ორი კამეჩის ტყავი უნდება, რვა უღლიანი გუთნეულისათვის ოთხი კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვედია საჭირო, ხოლო თორმეტ უღლიანისათვის - ექვსი. ერთი კამეჩის ტყავი საჭიროა ჯამბარას დასაგრეხად. ამით შედგა 7 კამეჩის ტყავი. ნედლეულის გარდა ხარჯები ახლდა ღვედის დაწვნასაც. ეს ხევსურების ხელობა იყო. ერთი ღვედის დაწვნაში ერთ კოდ პურს აძლევდნენ და ტყავის ანაგულასაც უმატებდნენ ხოლმე. ამგვარად, ერთი გუთნისათვის საჭირო ღვედ-ჯამბარას დამზადება მოითხოვდა 7 კამეჩის ტყავს, 9 1/2 კოდ პურს, ანაგულა სხვა იყო და სამატების ხარჯი კიდევ სხვა. დავსძენთ აგრეთვე, რომ ღვედი იწვნებოდა ოც წვერზე.

---

[5] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონ. ისტორია, ტ. I.

[6] გ. ნ ი ტ ა ი ა, ფიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქ. მუზ. მოამბე, IIIტ. Y.Bellio, La Georgiae la Mingrelia: Boll d. Societa geogr. Italiano, s.II, vol. IX, 1884

ამგვარი გუთნეული ქართლის დიდ სოფლებში რვა-ათი ცალი მაინც იყო.

უნებლიეთ იბადება კითხვა: რითი იყო შეპირობებული ამგვარი რთული შრომატევადი სახვნელი იარაღი?

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თავისი გავრცელების მიხედვით ეს იარაღი დამოწმებულია ქართლის ვაკეზე, რომელსაც ზღვის დონიდან 400-700 მეტრის სიმაღლე აქვს და სადაც შემდეგი ველებია გადაჯიმული: „ზემოქართლის", გორის, ტირიფონის, მუხრანის, საგურამოს, ქარელის, წითელქალაქის, კოდისა და გარდაბნის.

ამ ველებზე მშრომელი ხალხი საუკუნეების მანძილზე ებრძოდა მოსავლის მტერს – გვალვას. გვალვის საწინააღმდეგოდ აქ რიგი ღონისძიებები იქნა გამომუშავებული, კერძოდ, ღრმად ხვნა, რაც ნიადაგის სინედლეს ინახავს. ამიტომ აქ ღრმად ხვნა, ანუ ულად, საკანედ, პურად ხვნა წესად იყო მიღებული. თავის მხრით ღრმად ხვნა დიდი გუთნის მუშაობას მოითხოვდა. აქ კვალს ითვლიან ღირღიტას სიგრძეზე, გუთანს ერთ გავლაზე ნახევარი ღირღიტას ფართობი (ველი) მიაქვს, გამოვლისას მისი ნახევარი, ე.ი. მთლიანად ერთი ღირღიტას სიგრძის ფართობი.

მაგრამ დიდი გუთნის მუშაობა შეპირობებული იყო მოდგამით ‖ემბაზით‖ულამით. მოდგამში ცალ ხარზე გამოთვლის დროს ალო 50 დღე მოდიოდა. ამათგან გუთნის დედას – 6 დღე, სახნისს – 2, საკეეთელს– 1, ჯამბარას – 1, ღვედს – 8, ღამის მეხრეებს – 12 (თითოს –6), დღის მეხრეებს – 4 (თითოს –2), ხარებს – 16 დღე ერგებოდათ.

იგივე გუთანი შეპირობებული იყო მსხვილი დასახლების ტიპით (800-1000 და მეტი კომლი) და ერთობის სახლით. ამ სახლში ხშირად შედიოდა: ერთი თავსახლი, ორი მარანი, ორი ბოსელი, საცხენე, ორი საბძელი, ორი ბეღელი პურისათვის, სამი ორმო (ქერისათვის), გათხრილი კალოს შიგნით, ორი კალო, ხუთასი ცხვარი, ცხრა უღელი ხარი და კამენი, ერთი ყვავარი ბეგრისათვის, მეწველი 10 სული, მოცადი საქონელი (ძროხა, მოზვერი, პატარა საქონელი), ღორი. ოჯახში შრომა ასე იყო განაწილებული: 1. შინა კაცი, იგივე გუთნისდედა, სახლის მეუფროსე, 2. მეცხვარე, 3. მეურმე, 4. დღის მეხრე, 5. ღამის მეხრე, 6. დიდია ‖ სახლის მეუფროსე დიასახლისი, 7 . რძალი- მორიგე, კარზე მუშა, 8 . პატარძალი, 9. მეხბორე (ბალღი), 10.დღის მეხრე (ბალღი), 11. მეღორე.



გრძელმხრიანი ანახა. სოფ. ზირთა

ყოველივე ამასთან ერთად, ყურადღებას იქცევს გუთნის ტერმინოლოგიის სიმდიდრე. მოგვყავს გუთნის ნაწილების სახელები მუხრანის ველსა და საგურამოს ველზე ჩანაწერების მიხედვით.

საგურამოს ველი	მუხრანის ველი
ლვილი	რვილი
ფამფალაკი	ღირღიტი
კოვშოლტი	შოლტყავი
ფოე	ფოე
ხელკუდი	ხელკავი
მანჭა (დაბლითა, მაღლითა)	კოჭა (ზეითა, ქვეითა)
კოფა	კოფა
ხმალა	ხმალა
საჭნისი	სახნისი
საკვეთელი	საკვეთელი
ყოვი (ლვილზეა)	საჯამრე
საჯამრე (კავშოლტზე)	საჯამბრე
კირჩხა	რჩხა
ველის გორგოლა	ველის გორგოლა
კვალის გორგოლა	კვალის გორგოლა
ქური(ველის გორგოლისა)	ქური
ჭინჭილაქი (ველის გორგოლასი)	ჭინჭილაქი
მორგვი	მორგვი
სოლი	სოლი
ფერსო	ფერსო
პირი(საკვ.)	პირი
ყუა	ყუა
წვერი(საკვეთლისა)	წვერი
ღერო(საკვეთლისა)	მარაგი
წვერი (სახნისისა)	წვერი
ბუდე (სახნისისა)	უბე
ცერი (სახნისისა)	ფრთა
სახელური (ხელკუდზე, ფოეზე)	სახელური
ფარეში (ხმალასი)	ფარეში
საშვრიე (კბილის თავი)	–
საქუსლე (კბილის ბოლო)	კბილის ბოლო
კუდის სოლი (ლვილის ბოლო)	სოლი
კაკაბი (ფოეზე)	კაკაბი
თეო (ლვილისა)	–
ჯამბარა	ჯამბარა
კონტი (კავშოლტზე)	საღვედე
ღვედის წნელი	წნელი
საცოდავი წნელი	საცოდავი
საცოდავის ჩხირი	–
წნელი (კირჩხაზე, ნაჯახის ჩასატანებლად)	საცულე



ხაფლავის ქვა (ქართლი)
(მხატვარი ზ.წერეთელი)



ხაფლავის ქვები დეტალებით (ქართლი)

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი უღლეულის შესახებ. ოვა უღლში ოთხი ბალიშიანი უღელი იყო, სამი თავუღელი, ერთი – საყვერისა. მეხრე ოთხი უნდოდა: უკანა ანუ ღირღიტის მეხრე, შუალა ორი მეხრე და წინა მეხრე. ყველა ყევარს ერეკებოდა. ისხდნენ მარცხენაზე, ველისაკენ.

ზემოთ აღწერილი დიდი გუთნის გვერდით ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე დადასტურებულია ე.წ. ანაჩა გუთანი, რომელიც სავსებით გარკვეული ფუნქციის მატარებელია. ამ სახვნელს ახასიათებს ხმალა განსხვავებით „სამკუთხა სახვნელისაგან“, რომელსაც ხმალა არა აქვს. კონსტრუქციულად ის სამეცნიერო ლიტერატურაში განეკუთვნება „ოთხკუთხა“ სახვნელ იარაღს (Vierseitige Pflug). ჩვენში მას ფშაური ეწოდება, ხოლო სამხრეთ საქართველოდან მოდმოსახლებულ ქართველ ურუმებში – შ ე ი ტ ა ნ - ჩ ი ფ ტ ი.

ეს სახვნელი იარაღი მრავალგზის არის ჩვენს მიერ აღწერილი და გამოქვეყნებული (იხ. „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღმულადის რაიონში“, „ქსნური მთის გუთანი“ და სხვ.). ძირითადად ეს სახვნელი გამოყენებულია დიდ ქართულ გუთანში, სადაც დეტალების მეტნაკლები ვარიაციით მის მთავარ მუშა ნაწილს შეადგენს.

ეს იარაღი, რომელსაც ადგილობრივ კულტურაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მეცნიერებს (Braungart, Nopcsa, Leser) საქართველოსა და კავკასიაში შემოტანილად მიაჩნიათ.

სპეციალურ ლატერატურაში მიღებულია ის აზრი, რომ სახვნელი იარაღის ეს სახეობა, გავრცელებულია, ერთი მხრით, შუაგულ ევროპასა და, მეორე მხრით, აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში. პ. ლეზერის მტკიცებით, სახვნელი იარაღის ეს ტიპი შორეულ წარსულში გავრცელებული იყო მთელს კავკასიაში და შემდეგში იგი განდევნა კავკასიის გარკვეული ნაწილებიდან სამხრეთიდან შემოჭრილმა სახვნელმა იარაღმა, რომელიც „სამკუთხა“ სახვნელია და რომელსაც ახასიათებს მოხრილი და ჭესლში ჩამჯდარი მხარი. ლეზერი აღიარებს, რომ სახვნელი იარაღის ეს ტიპი წარმოშობილია ან შუაგულ ევროპაში, ან კიდევ აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში.

ლეზერს მიაჩნია, რომ ამ სახვნელი იარაღის წარმოშობის ორივე შემთხვევაში, იქნება ეს საშუალო ევროპა თუ უკიდურესი აღმოსავლეთი, მას, ამ სახვნელ იარაღს, თავისი მოძრაობის დროს დასავლეთიდან აღმოსავლეთში, თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთში, აუცილებლივ უნდა გაეკლო კავკასიის ტერიტორია, სადაც ის გარედან შემოტანის შედეგად გავრცელებულა.

ლეზერის შეხედულება არსებითად მცდარია. საქმე ისაა, რომ ამ სახვნელი იარაღის გავრცელებისათვის შუა ევროპიდან აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში, ან პირუკუ, აზიის უკიდურეს აღმოსავლეთიდან შუა ევროპაში, სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო საჭირო ამ იარაღის კავკასიაზე გავლა, რამდენადაც შუა ევროპას უკიდურეს აღმოსავლეთთან აკავშირებს ცნობილი „ტრამალების კორიდორი“,



სახვნელი. სოფ. შუა ალევი

რომელიც კარპატებთან იწყება და აღწევს ჩინეთის ტერიტორიას. კარგად ცნობილია, რომ ამ გზით წინაისტორიულ ხანაში გადადიოდა ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობა, ხოლო ისტორიულ ხანებში ამ გზით გაუვლია მრავალ არმიას, ხალხს და ამ გზითვე გავრცელებულა კულტურის მრავალი ელემენტი.

ლეზერის შეხედულების წინააღმდეგ მრავალი მონაცემი ამტკიცებს, რომ ეს სახვნელი იარაღი ადგილობრივი წარმოშობისაა:

1. ოთხკუთხა ფშაური სახვნელი ისეთი გამძლე და ღონიერი იარაღია, რომელიც იხმარება მძიმე მიწების დასამუშავებლად.

2. ამ მძიმე სამუშაოს შესასრულებლად მხვნელს, მგუთნავს, სახვნელი იარაღის გამოსაყენებლად ესაჭიროება ეფექტური ხელნები. ამიტომ არის, რომ სახვნელ იარაღს აქვს სრულიად განსხვავებული თავისებური ხელნები. სავსებით გასაგებია, რომ სახვნელი იარაღის ასეთი ხელნას შემწეობით მხვნელს ეძლევა შესაძლებლობა სათანადოდ მოიხმაროს ეს იარაღი მძიმე მიწების დამუშავების დროს. საგულისხმოა, რომ ამ სახვნელს მეტწილად ასეთი ხელნას მიხედვით და ვერქვნიან მხვნელისგან განსხვავებით ორხელას ეძახიან, ხოლო მისთვის განკუთვნილ სახნისს – საორხელეს.

3. ამავე სახვნელ იარაღს ჩვენში თავისებური დამხმარე ხელსაწყო - ქიბორჯი ახლავს, რომლის შემწეობით მეხრე დახმარებას უწევს გუთნისდედას სახვნელი იარაღის მუშაობის დროს. სპეციალური ლიტერატურა ამგვარი დამხმარე იარაღის არსებობას სხვა ხალხში არ იცნობს.

4. სახვნელი იარაღის გრძელი, სწორხაზოვანი მხარის შეცვლამ წელში მოხრილი მხარით დაბადა მეხრის ფეხის დახმარების საჭიროება, ხოლო მოკლე მხარზე გადასვლამ ქიბორჯის გამოყენება. ამავე გარემოებამ გრძელი, წელში მოხრილი მხარის თავის დახრილობამ გამოიწვია მისი ხელნაში გაყრა და ხმალას წარმოშობა.

5. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ სახვნელი იარაღის მრავალი სახეობა არის დამოწმებული (მთიულური, ჭყ. ქართლური, ორიალეთუთორი, მესხური).

6. იმავე სინამდვილეში მოცემულია ისეთი სახვნელი იარაღი, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს სამკუთხა სახვნელსა და ოთხკუთხა სახვნელ იარაღს შორის.

ამგვარად, ირკვევა, რომ ფშაური სახვნელი იარაღი ქართული სახვნელი იარაღის შინაგანი განვითარების შედეგად არის მიღებული, იგი ადგილობრივ არის წარმოშობილი და არა გარედან შემოტანილი.

ექსპედიციის მუშაობის დროს სოფ. შუა ალევში (ქსნის ხეობა) აღმოჩნდა ქსნური მთის გუთნის ახალი, ლიტერატურაში დღემდე უცნობი, ვარიანტი. ამ ვარიანტის დამახასიათებელ ნიშნს წარმოადგენს ფრთა. ამ ტერმინით აღინიშნება სახვნელი იარაღის ხელნა და ფრთა (რასაც სხვა სახვნელ იარაღში ყური ეწოდება). ამ იარაღში ხელნა და ფრთა ერთი მთლიანი ხისგანაა გამოთლილი. მისი გავრცელების არე საალვეოა (სოფლები: ქვემო ალევი, შუა ალევი, ყოჩიანი, გუდაწვერი).

სახვნელი იარაღის ამ ახალი ვარიანტის აღმოჩენა ადასტურებს ისეთი სახვნელის არსებობას, რომელსაც ხელნა და ყური მთლიანი აქვს. ამის ანალოგები მცირე აზიაში მოიპოვება და დღემდე იგი საქართველოში უცნობი იყო, მეორე მხრივ, ეს აღმოჩენა ახალ საბუთს მატებს იმ შეხედულებას, რომელიც უარყოფს ჩვენში ყურიანი სახვნელის ძველ დროში რომიდან შემოტანილობას.

მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის იარაღების საკითხების განხილვას რომ მოვრჩეთ, უკანასკნელად შევნერდებით ზეთის სახდელ მოწყობილობაზე. ექსპედიციამ ცნობილი ყანჩაეთის ტაძრის გალავანში ქვის დიდი ბორბალი აღმოაჩინა, რომელიც არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა გელაზი, გარდა იმისა, რომ უტყუვრად ეს ძეგლი მიუთითებს აქ ზეთის სახდელი ქარხნის არსებობაზე, იგი აგრეთვე მოწმობს ამ მიდამოებში სელის მეურნეობის არსებობაზე. ამას ადასტურებს ყანჩაეთის სახარების მინაწერებიც. ამათგან ერთი იკითხება ასე: „მეჯინიბეთუხუცესმა რატიშვილმა ზურაბ შემოგწირე გესამანისა ღვთისმშობელს ჩემი მკვიდრი ყმანი კაბენს მოსახლენი პავლეშვილი... ამათ დავადევთ ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი საკმელი, ერთი თუნგი ზეთი წელიწადში“. მინაწერი დათარიღებულია 1705 წლით (ე. თაყაიშვილი, ყანჩაეთის ტაძრის სახარება და მისი მინაწერები, ძველი საქართველოს, ტI, 1909წ., გვ.7). მას შემდეგ, რაც გაირკვა ამჟამად ყანჩაეთში აღმოჩენილი გელაზის მნიშვნელობა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მინაწერის დროისათვის არსებული ზეთის სახდელი ქარხნის აღნაგობის სახე აქ მოცემული სურათების მიხედვით (სურ. 10,11,12,13).

მოწეული ნაზამთრალ დიკას გლეხი საანეულო თესლად იყენებდა და შემოდგომაზე კვლავ თესავდა. მეორედ დათესილი დიკა ზამთრის სიცივეს ადვილად იტანდა, დაჯეჯილდებოდა, შემდეგ ყანად დადგებოდა და მოიწეოდა.

მემინდვრეობის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით აქვე აღვნიშნავთ ამ მეურნეობის ზოგიერთ თავისებურებას.

1. საგაზაფხულო პურის თესლიდან საანეულო პურის მიღება. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფელში საანეულო



ზეთის სახდელი ქარხნის ჭრილები. სოფ. წინწყარო

პურის თესლი (დოლის პური) ყანის მოცდენისა თუ სხვა მიზეზით გაწყდებოდა, გლეხი საგაზაფხულო პურის თესლს (დიკას) აიღებდა და შემოდგომაზე დათესავდა. ამ ნათესის დიდი უმეტესობა დაიკარგებოდა, გაცდებოდა. ზამთრის სიცივეს მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩებოდა და ყანად დადგებოდა. მოწეული თავთავი უკვე დოლის პური იყო და არა დიკა.

ცნობილია, რომ დიკა საქართველოში უძველესი პურეულია. საქართველოს მთის ძირში ის დღესაც გაბატონებული საგაზაფხულო მარცვალია და ნაირი სახითაა წარმოდგენილი. არა მცირედი ხნისაა დოლის პურიც. ის გაბატონებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, როგორც საანეულო თესლი. ეს ჯიშიც სხვადასხვა სახისაა. საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს ამ პურეულებზე დაკვირვების შედეგად პრაქტიკული ღონისძიებები შეუმუშავებია. საყურადღებოა ისიც, რომ დიკას გავრცელების არეში მიწის დასამუშავებლად აჩაჩა გუთანია გამოყენებული, ხოლო ბარში, დოლის პურის გავრცელების არეში — ბარული ანუ საანეულო გუთანი.

2. შერეული თესლის გამოყენება. ჩვენი საკვლევი რაიონის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა შერეულ თესლს. მიღებული იყო ქერისა და დიკას მარცვლის ერთიმეორეში შერევა და ასე შერეულის დათესვა. ამას ქერ-დიკა ანუ ქერჭრელი ეწოდებოდა. შერეული თესლის გამოყენება მოსახლეობის აზრით იმითი იყო კარგი, რომ ქერ-დიკის ყანა გვალვას შედარებით ადვილად იტანდა. მცოდნე მეურნეების განმარტებით ქერი უფრო ადრე ამოდის, ვიდრე დიკა და უფრო მაღალიც იზრდება. ქერი მასზე დაბალ დიკას უნრდილებს და ამის გამო დიკა გვალვას ადვილად იტანს. სავსებით გასაგებია, თუ ეს ხერხი რამდენად უწყობდა ხელს, განსაკუთრებით ურწყავ მამულებში, მოსავლის გადიდებას.



გელაზი. სოფ. წინწყარო

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენს მიერ ზემომოყვანილი თესლის გამოყენების პრაქტიკა იზოლირებული შემთხვევა არ არის. პირველ ყოვლისა ამის დამადასტურებელია კარმირ-ბლურში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი VIII-VI საუკ. (ძვ. წ.) ძეგლები. ამ ძეგლში აღმოჩენილია შერეული თესლი (ქერი, მუხუდო და უგრეხილი). ბატონიკოსი ვ. პეტროვი, რომელმაც ეს მარცვლეულები შეისწავლა, შერეული თესლის დანიშნულების გასარკვევად შუა აზიის მაგალითებს მიმართავს და იქ ეძებს პარალელებს. ეთნოგრაფიული პარალელების მოყვანის შემდეგ ვ. პეტროვი ასკვნის: „До настоящего времени авторами, работавшими в области происхождения культурных растений, существование смешанных культур объяснилось тем, что основная чистая культура загрязнялась каким-либо сорняком. Находка,

сделанная на Кармир-блуре, и этнографические параллели позволяют ставить вопрос по-новому. Возможно, что смешанные культуры, представляющие определенный хозяйственный интерес в суровых (в данном случае по засушливости) климатических условиях, были распространены несравненно шире и поддерживались вполне сознательно (Б. Пиотровский. Ист. и культ, Урарту, Ереван, 1944 г.)". სამწუხაროდ, ვ. პეტროვისათვის უცნობი დარჩენილა, რომ შერეული თესლის გამოყენების პრაქტიკა ქართველი ტომებისათვის უკვე დიდი ხანია რაც ცნობილია. ისინი მას იყენებენ დღესაც კი და იყენებდნენ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, შორეულ წარსულშიც. კერძოდ, კ. გალენუსი მიუთითებს შერეული თესლის არსებობაზე მცირე აზიაში[7].

Br. Hrozny-ს აზრი[8], თითქოს ძეოპიუროს ასლის სახეობას უნდა წარმოადგენდეს, მცდარია.

3. სარეველა ბალახებთან ბრძოლა. როდესაც საყანე მამულში სარეველა ბალახები მეტისმეტად გამრავლდებოდა, მოსახლეობა მიმართავდა თესლის შენაცვლებას, თესავდა ისეთ თესლს, რომელიც აადვილებდა სარეველასთან ბრძოლას, ასეთ მარცვლად ფეტვი იყო მიჩნეული.

მოსახლეობას შემჩნეული ჰქონდა, რომ ფეტვის მოწევას მოკლე დრო სჭირდება. ამიტომ შეიძლებოდა მისი დათესვა გვიან გაზაფხულზე. ამ დროს, ნეულებრივად, სარეველა ბალახები საყანე მამულში უკვე ამოსულია. სწორედ ამ დროს, გვიან გაზაფხულზე მამულს საფეტვედ ხნავდნენ. გუთანი ძირს უთხრის სარეველა ბალახებს და ამით სპობს მათ. ასეთ მამულში ფეტვიც კარგ მოსავალს იძლევა.

სხვა შემთხვევაში გლეხი ზოგიერთ სარეველა ბალახს თავის სასარგებლოდ იყენებდა. ასე, შემჩნეული იყო, რომ პურში თუ ზომაზე იყო შერეული მახობელა ბალახის თესლი, პურს კარგ გემოს აძლევდა და რაც მთავარია, წებოვანებას მატებდა. ამ უკანასკნელ გარემოებას გლეხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ წებოვანება განსაკუთრებით საჭიროა თორნეში პურის გამოცხობის დროს, რადგანაც წებოვანი პურის ცომი თორნეში კუტად არ ვარდება და ამდენად ცხობის დროს ასეთი პური ზარალს სულ არ იძლევა, ან მეტად მცირე რაოდენობით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში თორნე გარკვეულ პურის ჯიშებს ახლდა თან და გარკვეული ხოლის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი. ის ბარისა და ზეგანის ხოლშია გაბატონებული, ხოლო მთაში ღომელია გავრცელებული. მთის ხოლში, როგორც ეს უკვე აღინიშნა ზემოთ, პურეული უმეტესად ოდოშად იმკება, ამის გამო კვერით მისი გალეწვა ძნელია, ხოლო თორნეში გამოცხობა თითქმის შეუძლებელი.

---

[7] G.Galenus, De aliment. facult.I 13.

[8] Das Getreide im alten Babylonien, გვ. 14, შენ. 3, Sitzungsberichte d. Akad. d. Wiss. in Wien. 173 B.I, Abh. 1913

4. ნაკმახი პური. ხალხის დაკვირვებით შემოდგომაზე დათესილი პურის თესლი გაზაფხულზე ხელახლა იწყებს მუშაობას, მუხლს გაიკეთებს, ფხას ამოუშვებს, რომ იმას თავთავი მოჰყვეს. ჩვეულებრივად თავთავში მარცვალი ტყუპადაა დალაგებული. მაგრამ დროდადრო ასეთ თავთავს ტყუპს-შუა პატარა მარცვალი ჩაუჯდება ხოლმე. ამ ხელმეტ მარცვალს სანაკმახე ჰქვიან. „როგორც სიმინდმა ორი ტარო გაიკეთოს, გათამამდეს, თავთავიც ასე იკეთებს მარცვალს", – ამბობენ გლეხები. მათივე თქმით, „სახნისმა შვიდ წელიწადში ერთხელ ოქროს უნდა წამოჰკრას წვერი, კაი ნამუშევარი მოვიდეს. შვიდ წელიწადში ერთხელ ნამუშევარი ქოხორაობს, თამამობს, კარგი მოდის, ნაკმახიანი. სანაკმახეე მოსავალს კარგად ადიდებს. ასეთი პურის ორ ათეულ ძნას კოდი (სამი ფუთი) მარცვალი გასცვივდება, ხოლო უნაკმახო პურს, საშუალო მოსავლის დროს ერთ კოდ მარცვალს სამი ათეული ძნა უნდა"[9].

ზემომოყვანილი მონათხრობი ხაზს უსვამს მოსავლის ციკლურობას, შვიდ წელიწადში ერთხელ სახნისმა ოქროს უნდა წამოჰკრას წვერი, კარგი ნამუშევარი მოვიდესო. სინამდვილეში კი აქ საქმე ეხება მიწის დასვენების წესს, სახელდობრ, მიწას სამ წელიწადს ამუშავებდნენ, შემდგომ სამ წელიწადს ასვენებდნენ და მეშვიდე წელიწადს ამგვარად დასვენებული მიწა, ცხადია, კარგ მოსავალს მოგვცემს. ეს წესი ამჟამად გლეხებს დავიწყებული აქვთ. ისინი ნაკმახიანი მოსავლის წინაპირობად ღრმად ხვნას მიიჩნევენ. ღრმად მოხნული მამული მეტ სინესტეს ამარაგებს, ამით ყანას ათამამებს და კარგ, ნაკმახიან მოსავალს იძლევაო.

ამის მიხედვით გასაგები ხდება ჩვენში იმ დიდი გუთნის არსებობა, რომელშიც 8-10 უღელ ხარ-კამეს უბამდნენ და რომელსაც სხვა ხალხში მცირე ანალოგი მოეპოვება.

ჩვენს მიერ დახასიათებული მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს ხალხური გადასაყვანი და გადასახიდი საშუალებანი, რომელთა დიფერენციება ბარისა და მთის ზოლის მეურნეობის განსხვავებულობით არის შეპირობებული[1].

ბარის ინტენსიური მიწისმოქმედების პირობებში დიდი გუთნის გვერდით წარმოდგენილია დიდი ურემი ორი სახეობით: საძნე და საბარო, მაშინ როდესაც მთის ზოლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მარხილი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მთისა და ბარის გარდამავალ რგოლს ორიგინალური სახიდი საშუალება შეუქმნია ბოლოთრიას სახით, რომლის კონსტრუქცია თრევისა და გორვის კომბინირებულ პრინციპს ემყარება. ქართლისათვის დამახასიათებელი სახიდის ეს სახეობა - ბ ო ლ ო თ რ ი ა - საქართველოს გარეთ არსად არ არის დამოწმებული და ამდენად იგი ქართლის თავისებურ გეოგრაფიულ სამეურნეო პირობებში შექმნილი ჩანს.

---

[9] საკითხს ამუშავებს ეთნოგრ. განყ. მეცნ. თანამშრ. მ. გ ე ბ ე შ ი ძ ე

6. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში სოციალურ გადმონაშთებზე კვალდაკვად დაკვირვებამ ამ მხარისათვის წარსულის



სოფ. ქოლოთის რძლების სადაურობის ამსახველი სქემა

დამახასიათებელი ურთიერთობიდან ზოგიერთი მომენტის საკმაოდ სიცხადით წარმოდგენა შესაძლებელი გახადა[10].

ქართლის სოფელი მრავალი გვარითა და კომპაქტურად არის დასახლებული; ამის შესაბამისად სოფელი დიდ სამოსახლო ტერიტორიაზეა გაშენებული. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ერთი გვარით გაშენებული სოფელი, რომლის სახელი მასში მოსახლე გვარის სახელიდანაა შექმნილი და როგორც თვით გვარის, ისე სოფლის სახელით იან- სუფიქსითაა გაფორმებული. ადგილ-ადგილ სოფლის სახელად ქცეული გვარის სახელი სხვა გვარად ფორმდება. მას მსაზღვრელად კარი ემატება.

თავის მხრივ, სოფელი როგორც მოსახლეობის, ისე ტერიტორიალური ზრდის შედეგად გაყოფისაკენ, ხოლო უბანი სოფლად ქცევისაკენ იჩენდა მიდრეკილებას. სოფ. წირქოლი აღნიშნულ

[10] თემას ამუშავებს ეთნოგრ. განყ. მეცნიერი თანამშრ. ილ. ჭყონია

ტენდენციას ამჟღავნებს. სოფელს შუაში მცირე ხევი ჩამოუდის, რომლის ჩრდილო მხარეს მოსახლენი საღვთოს სამხრეთელთაგან გამოყოფილად ერთსა და იმავე დღეს იხდიდნენ. მათ შორის ქალის უთხოვრობა ორი თაობის წინათ დარღვეულა. ქართლის მთიანეთის სოფლებს შიგნით ქალის უთხოვრობა ყოფილა წესად მიღებული, რაც ხელოვნური შენათესავების - მეჯვარეობა-ნათლიობის გზითაა მიღწეული. მეჯვარე როგორც წესი, სხვა გვარის უნდა იყოს, ბარში და მთის ძირის ზოლის გავრცობილ გვარებში მეჯვარის აყვანა გვარს შინგითაც მოწმდება, რაც გვარის დაშლის მაჩვენებელია და ძველი ერთობის შემტკიცების ხერხად იყო გამოყენებული, ამასთანავე, ქართლის სოფლის დასახლებაში შეიმჩნევა ძველი სოციალური დიფერენციის კვალი. დაწინაურებული წოდების წარმომადგენლები, თუ სხვა მდიდარი ფენა გამოყოფისაკენ მიისწრაფოდა, ერმანეთს უახლოვდებოდნენ და მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგან განცალკევებას ცდილობდნენ – იჭერდნენ უკეთეს სამოსახლო ადგილებს, ამასთანავე ინენდნენ საკუთარ სასაფლაოს, წყალს და სხვ.

სოფლის ერთიანობა ახლო წარსულში წარმოდგენილი ყოფილა საერთო სახატო დღეობებისა და მასთან დაკავშირებული მეურნეობის ერთობით მოწყობაში: საერთო, სასოფლო ვენახი, მისი ერთობილად დამუშავება, საერთო მარანი და სხვა. ქართლის დიდ სოფლებში საგვარო ხატის მოქმედება უკვე დიდი ხანია, რაც აღარ არის ძალაში და მას უმრავლეს შემთხვევაში საერთო სასოფლო სალოცავი შენაცვლებია. ამასთანავე, სოფელი სხვადასხვა საშუალებით საერთოდ იხდიდა ხვნა-თესვის საღვთოს, ჰქონდა საერთო ბეღელი და სხვ.

გვარი სახლიკაცობად იყოფა და დანაყოფი მისი გაყრის დრო-ინდელი მეუფროსის სახელით იწოდებოდა. სახლიკაცობის გვარიდან გამოყოფის მაჩვენებელია სასახლიკაცო ერთობის საღვთო და აგრეთვე კვიმატობა დღეს ძირის-სახლის კერასა და დედაბოძთან შესრულებული რიტუალი, რასაც მხოლოდ ამ სახლიდან განაყარი სახლიკაცები ასრულებდნენ. დამოწმებულია ერთობის სახლი-დარბაზი, რომლის სოციალური სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა: ერთობის სახლის სათავეში სახლის მეუფროსე მამაკაცია. ზოგჯერ სახლის მეუფროსეობა ხნით უფროსობას გასდევდა, მაგრამ მეუფროსეობისათვის ძირითად პირობად მაინც შრომაში წამყვანი მნიშვნელობა გვეკლინება. ამიტომ ისე ხდებოდა, რომ მამის სიცოცხლეში, როცა ის შრომით წამყვან ფუნქციას ჰკარგავდა, მაშინ სახლის მეუფროსედ სიყმის შვილი ხდება და ძველი მეუფროსე, მხოლოდ პაპად რჩება. სახლის მეფროსე თითქმის ყოველთვის გუთნისდედაა. გუთნისდედის გაჩენა ქართლურ ბარულ დიდ გუთანს უკავშირდება და მას კოოპერაციულ შრომაში დანარჩენ სახლიკაცთაგან გამოყოფს. სახლის მეუფროსეობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუთნისდედობის აუცილებლობა მიწისმოქმედების, როგორც ცხოვრების ძირითად წყაროს, არსებობაზე მიუთითებს.

სახლის მეუფროსის მეუღლეს ჩაბარებული ჰქონდა სახლის ცხოვრება, ჭირ-ლხინის გასტუმრება მას ევალებოდა. დიასახლისობისათვის საჭირო შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში სახლის მეუფროსე დიასახლისი ჰკარგავდა ადგილსა და უფლებებს – დედა-დედამთილი დიდიად რჩება და მის ადგილს უფროსი რძალი იჭერს.

აგრეთვე დადგენილია ერთობის სახლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული შრომის განაწილება. ბალღები 10-12 წლისა -ხბოების მწყემსები არიან, 12-15 წლისა – ძროხებს სოფლის საძოვარზე უვლიან, მაგრამ ხვნის დროს, რადგან ისინი მეხრეებადაც გამოიყენებიან, ამიტომ ამ დროისათვის სოფლის ნახირი დგებოდა. ხვნამდე და ხვნის დამთავრების შემდეგ ხარებს სოფლის გარეთ მიერეკებოდნენ; ამ დროისათვის ერთობის სახლი მუშა-საქონელს სოფლის ხაროვანში გაურეკავდა. ხვნის პროცესში ხარების დამით ძოვებისათვის დამის მეხრეები იყვნენ გამოყოფილი. დამის მეხრეობას სრულწლოვანი, მეტწილად ცოლშვილიანი სახლიკაცი ასრულებდა.

ერთობის სახლში მატყლი თითოეულ ცოლშვილიან სახლიკაცზე ნაწილდებოდა იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენი სულისგან შედგებოდა „თავიჯალაფი“. თითოეული რძალი მხოლოდ „თავიჯალაფს“ უქსოვდა და ნაქსოვი საკუთრებას წარმოადგენდა.

დიასახლისთა შორის განაწილებულია საერთო საქმე და რიგია შემოღებული. არსებობდა შინა საქმე და კარზე გასვლა. შინა საქმეს მორიგე დიასახლისი ასრულებდა რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას ევალებოდა პურის გამოცხობა, კერძის გაკეთება და გარიგება; თუ მუშა ჰყავდათ, მუშის გასტუმრება და ნაწველ-ნადღვების მოვლა.

კარზე გასვლა ნიადაგის ალაგებას, ძნის შეკერახა და დაწყობას, კალოზე საქალებო საქმის შესრულებას გულისხმობს. როცა კარზე გასვლა მორჩებოდა, მაშინ შინა საქმეში რიგიდან თავისუფალი რძლები ძირითადად თავიანთი ჯალაფის საქმეს აკეთებდნენ და მხოლოდ სურვილის მიხედვით მორიგეებს ეუმცროსებოდნენ. ზოგიერთგან დიასახლისთა შრომის განაწილებაში უფრო ადრინდელი წყობაა წარმოდგენილი, რომლის მიხედვით უფროსი რძლები დიასახლისობენ, ხოლო უმცროსნი კარზე სამუშაოდ გადიან, ან რიგით შინ უმცროსობენ.

ერთობის სახლის - დარბაზის გაყრის დროს თავს იჩენდა მასშიევე წარმოქმნილი ქონებრივი უთანასწორობა: სახლის მეუფროსეს - გუთნისდედას წილში ჩაუგდებლად მიაქვს დიდი გუთანი თავისი მოწყობილობითურთ; მეცხვარეს და მეძღორეს ხედმეტად მიჰყავთ განსაზღვრული რაოდენობის ცხვარი თუ ღორი, რასაც საჯოხე

წილს ეძახოდნენ. ერთობის სახლში შრომის დანაწილებასთან ერთად ეწინდებოდა ქონებრივი განსხვავებულობა.

ექსპედიციის მიერ იდეოლოგიის ხაზით მუშაობა წარმოებდა ქართული უძველესი სარწმუნოების საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა: მიცვალებულის კულტი, აგრარული კულტები, კოსმოგონია, ხალხური კალენდარი, ხალხური დღეობები და სხვ. საგანებო კვლევა-ძიების საგნად იყო გამხდარი ჯვარ-ხატების თაყვანისცემის რაობის პრობლემა, რომელიც მუშავდებოდა სამი ძირითადი საკითხის შესწავლის გზით: 1. ხატის ყმობის ინსტიტუტი, 2. ხატის ხელდებულთა ანუ ხატის მსახურთა უფლება-მოვალეობანი და 3. ჯვარ-სალოცავების უძრავ-მოძრავი ქონება და ამ ქონებით სარგებლობის ფორმები. პრობელმას ამუშავებდა ექსპედიციის მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი დოც. ვ. ბარდაველიძე.

ამ საკითხებიდან მოკლედ შეეხებით უკანასკნელს. ქსნისა და რეხულას ხეობებში დამოწმებული იქნა წინათ არსებული ხატის ტყე, ხატის ყამირი მიწები ანუ მოედნები, რომლებიც ხევსურულ „ხატის ბუსნოს“ შეესატყვისება, ხატის სახნავ-სათესი მიწები, ხატის სათიბები, ხატის საძოვრები და ხატის ვენახები. ამასთან ერთად, დადგენილ იქნა სახნავ-სათესი მიწებით და სათიბებით სარგებლობის რამდენიმე განსხვავებული ფორმა:

1. მათი კოლექტიური დამუშავება (სოფ. ბალაანი, სოფ. მშველიეთი).

2. ხატის მიწით სარგებლობა მორიგეობითი წესით, სამესამედოდ და ხატის სასარგებლოდ ვადიანი ნატურალური გადასახადით - ღალით (სოფ. დადიანეთი, სოფ. მშველიეთი, სოფ. ლარგვისი, სოფ. საძეგური).

3. ხატის მიწით სარგებლობა საყმოს ღარიბი და უმიწაწყლო წევრების მიერ ვადიანი ნატურალური გადასახადით - „ხატის ბეგარით“ (სოფ. მშველიეთი, სოფ. პავლიანი).

4. ხატის მიწით სარგებლობა უცხო ხატის ყმების მიერ ვადიანი ნატურალური გადასახადით - „ხატის ბეგარით“ (სოფ. საძეგური).

5. კერძო სარგებლობაში გადასული ხატის მიწის დამუშავება უვადო მემკვიდრეობითი ხასიათის ნატურალური გადასახადით „ხატის ბეგარით“ (სოფ. საძეგური, სოფ. ცხავატი, სოფ. კორინთა, სოფ. შუა ალევი, სოფ. ქვემო ჭალა).

რაც შეეხება ხატის საძოვრებით სარგებლობის ფორმებს, აღსანიშნავია:

1. ხატის საძოვრებით სარგებლობა საყმოს მიერ კოლექტიურად (საძოვრებში აყენებდნენ საყმოს საქონელს).

2. შემოდგომასა და გაზაფხულზე უცხო თემებზე გაქირავება ცხვრის ფარის დასაყენებლად. უკანასკნელ შემთხვევაში საყმო ღებულობდა „საბალახოების საკლავებს“ (ცხვრებს), რომლებიც ხატობას დაიკვლებოდნენ და კოლექტიურად მოიხმარებოდნენ.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები ეხმაურება საქართველოს მთიანეთში უკანასკნელ დროს დადგენილი ფაქტების მთელ კომპლექსს. როგორც ქართლის, ისე საქართველოს მთიანეთში მოპოვებული მასალა წარმოადგენს გადმონაშთებს, რომლებიც ქართველი ხალხის მეურნეობის ისტორიაში ჩვენთვის აქამდე უცნობ მიწისმფლობელობისა და მიწით სარგებლობის ფორმებს ასახავენ. ამ მასალის მეცნიერული შესწავლა, უეჭველია, ახალ შუქს მოჰფენს საქართველოს წინარე ფეოდალური აგრარული ურთიერთობის რთულ პრობლემას.

ზემომოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა საკმაო სიცხადით მიუთითებს იმ მრავალსაუკუნოვან შემოქმედებით მუშაობაზე, რომელსაც ამ რაიონის მშრომელი გლეხობა წარსულში ეწეოდა.

დღევანდელი სოფელი ახალ საფუძველზეა აგებული და ახალ მოწინავე კულტურას ქმნის.

თავისთავად ცხადია, რომ წარსულის შესწავლა მკვლევარს უადვილებს სოციალისტური სოფლის მშენებლობაში მომხდარი ყოველი ცვლილების გაგებას და მომავლის მეცნიერული განჭვრეტის შესაძელებლობას აძლევს. ეთნოგრაფს კარგად უნდა ჰქონდეს შეთვისებული ის სახელმძღვანელო აზრი, რომ ხალხის ყოფისა და კულტურის წარსულიდან დღევანდელი დღის ჩათვლით შესწავლა იძლევა მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომის შესაძლებლობას.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ზრდა სახეს უცვლის თანამედროვე სოფელს. ძველი ადგილს უთმობს ახალ ყოფას. ეს ცვლილება ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან ბევრ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალი ყოფის კონკრეტულ ეთნოგრაფიულ გამოვლენასთან.

წინასწარი შედეგების მიხედვით შეიმჩნევა ტენდენცია ორგვარი ხასიათისა: 1. ახლის მიერ ძველის ერთბაშად შეცვლა, 2. ძველის თანდათანობით გადასვლა ახალში.

მაგალითად, ნამგლით მკა და კევრით ლეწვა შეცვლილია კომბაინით, ისე, რომ ეს უკანასკნელი არ არის პირველი ორის თანდათანობითი განვითარების შედეგად მიღებული იარაღი.

მატერიალურ ყოფაში განსაკუთრებით შეიმჩნევა საცხოვრებელი ნაგებობის გარეგნული ფორმის შეცვლასთან ერთად, მისი შინაგანი განლაგების და დგამ-ჭურჭლისა და ავეჯის ახალი სახეებით შეცვლა.

ახალი ყოფის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები. სოფელ იკოთში, რომელსაც კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე მიწური საცხოვრებელი ბინების მეტი არაფერი გააჩნდა, დღეს არის სკოლის ორი შენობა, აბანო, დიდი ბეღლები, კლუბი, ელექტროსადგური და კოლმეურნეობის კანტორა. საცხოვრებელი ნაგებობებიდან უმეტესობა ორსართულიანი და კრამიტით გადახურულია. თითქმის ყველა ოჯახში ნახავთ ახალ

დგამ-ჭურჭელსა და ავეჯს. შეცვლილია საცხოვრებელი ჰიგიენური პირობები, არის რადიომიმღებები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველე მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. ექსპედიციამ ლენინგორში, ლარგვისსა და ქვემო ჭალაში მოაწყო მოძრავი გამოფენები, რამაც მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. თავისუფალ საათებში, უმეტესად საღამოობით ექსპედიციის მონაწილენი (ა. კაცაძე, კ. ჩოლოყაშვილი) ახსნა- განმარტებებს აძლევდნენ გამოფენის მნახველებს. ექსპედიციამ გამოსცა დასურათებული ბიულეტენი მისი მუშაობის შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის ექსპედიციის მონაწილეთა მიერ ჩატარდა 9 ლექცია - უმცრ. მეცნ თანამშრომლის მ. გეგეშიძისა თუმაზე: 1. რას სწავლობს ეთნოგრაფია (ლენინგორში, ლარგვისსა და ქვემო ჭალაში), 2. „ადამიანის წარმოშობა" (ლენინგორში, ლარგვისსა და ქვემო ჭალაში), უმცრ. მეცნ. თანამშრომლის ი.ჭყონიასი – სახვნელი იარაღის წარმოშობა (ქვემო ჭალაში), უმცრ. მეცნ თანამშრომლის კ. ჩოლოყაშვილისა – „საქართველოს რუსეთთან შეერთება" (ლენინგორსა და ლარგვისში).

ექსპედიციამ შეიძინა საქართველოს მუზეუმისათვის რამდენიმე ექსპონატი, რომელიც პირველად შედის სამუზეუმო კოლექციათა ფონდში: ქსნური მთის გუთნის დღემდე უცნობი ვარიანტი, ფორცხი, ქარხი (ახოს გასატეხი ძველებური იარაღი) და სხვ.

ქართლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ველზე მუშაობაში დიდი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა დაწესებულებებმა და საზოგადოებამ.

1949 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 14 ივლისიდან მუშაობა დაიწყო კოლხეთის კომპლექსურმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ.

ექსპედიცია მიზნად ისახავს გამოავლინოს კოლხეთის მდიდარი ხალხური კულტურის ძირითადი საკვანძო საკითხები, ის საკითხები, რომლებიც გააშუქებენ მოსახლეობის, უშუალო მწარმოებლის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ თავისებურებებს, მეურნეობის, მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის სფეროში.

მეგრელი მამაკაცი. XX ს. 50-იანი წლები

კოლხეთის წარსული, რომელიც წერილობით წყაროებშია მოცემული, უნდა იქნეს გაშუქებული ხალხური კულტურის მონაცემების შუქზე და ამის კვალობაზე უნდა გაირკვეს ამ კულტურის შემქმნელი ხალხის ეთნიკური ვინაობა, მისი ეთნოგენეზი, ის ეთნიკური შრეები, რომლებსაც ამ ხალხის შექმნაში მიუღია მონაწილეობა. ამ ამოცანების პარალელურად ექსპედიცია მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ისიც, თუ რა შეუქმნია ჩვენს ხალხს თანამედროვეობაში და ძველიდან მომდინარე კულტურის მონაპოვრებს როგორ იყენებს ახალ ვითარებაში.

ამ პრობლემების დამუშავება ვარაუდობს სისტემატურ, გეგმაშეწონილ და კომპლექსურ-ინტენსიურ მუშაობას კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე, რომელშიც შედის დასავლეთ საქართველოს ბარი, ზეგანი და მთა.

წლეულანდელი ექსპედიცია მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რასაც უნდა მოჰყვეს მუშაობის გაგრძელება დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსა და მხარეებში.

კოლხეთის კომპლექსურ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან: ვ. ბარდაველიძე, გრ. ნიკოლაძე, ჯ. რუხაძე, ნ. თოფურია, ი. ჭყონია, ანდ. ლეკიაშვილი, თ. მამალაძე, ნ. აბესაძე (ასპირანტი), კ. როსტიაშვილი, ვლ. წილოსანი (არქიტექტორი),

თ. მირზაშვილი (მხატვარი) და სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ექვსი სტუდენტი: რ. თოდუა, ნ. ჯიქია, ც. კაკაბაძე, ლ. ერისთავი, ლ. ბედუკიძე, მ. ხაზარაძე.

ისტორიის ინსტიტუტის საბარგო მანქანით თბილისიდან წავედით აბაშაში 1958 წლის 14 ივლისს, დილის 9 საათზე (გასვლა დანიშნული იყო 7 საათზე, ავდარმა და ამხანაგების დაგვიანებამ დააყოვნა ექსპედიციის გამგზავრება. ექსპედიციის ერთი წევრი, სახელდობრ, ნ. რეხვიაშვილი ამ დროისათვის არ იყო მოსული შესაკრებ პუნქტთან. ის ექსპედიციას არ წამოჰყოლია, მასთან დარჩა კოლექციების შესაძენი თანხა ორი ათასი მანეთი).

თბილისიდან გასვლისას წვიმდა. გზაში კიდევ უფრო ხშირი წვიმა წამოვიდა. გორამდე სულ წვიმდა. გორში გადაიღო. ასე რომ, სურამის უღელტეხილამდე მშრალად ვიმგზავრეთ. გზაში სურამის ციხეს გვერდით ჩავუარეთ. აქ უნდა ყოფილიყო შავი ზღვისა და კასპიის ზღვის დამაკავშირებელი გზის პირველი სადგური მტკვრის მახლობლად. გავიარეთ ჩუმათელეთი და შევუდექით აღმართს. აღმართი ადვილად გადავიარეთ. გზა იშვიათი სილამაზისაა. ფოთლოვანი ტყე დიდებული სანახავია. საუკუნოვანი ხეები, ნორჩი ხევნარი, საძოვარი ხავერდივით დაფენილი და ხალიჩასავით აჭრელებული იშვიათ სანახაობას ჰქმნიან. გავიარეთ აღმართის მწვერვალი და დავეშვით იმერეთში. წყლები მიედინებიან დასავლეთით. აგერ პირველი იმერული სოფელიც გამოჩნდა. ჩვენი გზა ჩრდილოეთის მხრით მიდის. წარუშლელ შთაბეჭდილებას ჰქმნის აქაური სოფელი, ტყე, წყალი, მაღლარი განუმეორებელი სურათებით.

მე მინახავს ეს ადგილები თვითმფრინავიდან გაზაფხულზე, მაისის დასაწყისში. იმერეთი მომაჯადოებელია. ზევიდან ზღაპრული სურათი იშლება მნახველის წინაშე, კოპწია სოფლები იშვიათ სილამაზეს ჰქმნის, ტყეში ჩაფლული ბაღებით შემკული. ვახუშტი წერს: „თვალთა ქვეშე მშვენიერება ეგოდენ ... ტყის გამო, თუნიერ ადგილადგილთა, რამეთუ, უკეთუ ტახტი მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიად იმერეთს ტყედ და არარადა შენობასა“.[1]

მიეყვებით ძირულას და მის შენაკადებს. „ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სივიწროვისათვის წოდებული.[2] აქვე გზაში შეგვხვდა ჭალები. ეს სახელწოდება გავრცელებულია როგორც რიონის აუზში, ისევე ყვირილა-ძირულას ხევში და მტკვრის გასწვრივ, (ამ მდინარის ვიდრე ზღვასთან შერთვამდის). აქვე შევნიშნავთ, რომ ისი-თ დაბოლოებული სახელები აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარს მისდევს, სურამის ქედზე გადადის ძირულა-ყვირილას ხეობაში და

[1] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45
[2] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონზედაც დასტურდება (უბისა, ქუთაისი). გზაში ბევრია დაკიდებული ბული ხიდი (ბომბუას, ბუმბუას ხიდი).

მივედით უ ბ ი ს შ ი . რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ ტაძრის მცველი მოგვენახა და ეკლესიის კარები გაეღო. თვალი უკეთესს რას იხილავს: ქართული ფერწერის საუცხოო ნიმუშებია მნახველის თვალის არეში, ბევრი მათგანი ქართული ხელოვნების შედევრია.

მოსახლეობა აქ იმერლებია, მათი მეტყველება თავისებური, განსხვავებული დასავლურ-ქართული კილოებისაგან. ერთი ცხადია, ამ ზოლში მუშაობა, (პირიქით და პირაქეთ სურამის ქედის ზოლი), ეთნოგრაფისათვის მნიშვნელოვანია და ეს ადრე თუ გვიან უნდა განხორციელდეს. ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სოფ. ბებნისში იმერელი ხუროს მიერ მუხისაგან აშენებული (კედლებიც) დარბაზული სახლი იდგა, რომელიც მე მაქვს ნანახი ჯერ კიდევ 1925–26 წლებში.

უბისის ტაძრის მცველის ძებნაში დიდად დავყოფნდით, სოფელში მიცვალებული იყო. აქ შევხვდით მესაფლავეებს, რომლებმაც მოგვითხრეს გადმოცემები ეკლესიის შესახებ. მათი აზრით, ეს ნაგებობა ბერის საყუდარი-სამრეკლოა.

აქვე, უბისას მახლობლად ვნახეთ ს. ორჯონიკიძის სოფელი, სადაც მისი სახელობის მუზეუმია გამართული.



დასავლური ოდა. სახლის შიდა ინტერიერი

თითქმის დაღამდა. გავუდექით გზას, გზაზე სამხედრო ნაწილები მუშაობენ, აფართოებენ გზას და აგებენ ასფალტს. დაღამებულში მივადწიეთ ქ უ თ ა ი ს ს . მივდიოვართ ა ბ ა შ ა შ ი . ღამის პირველი საათი იყო, როდესაც აბაშის სასტუმროში მოვთავსდით. დილით გ ე გ ვ ჭ კ ო რ შ ი გადავედით. ამ რაიონის ბუნებრივი გარემოს ძირითადი მაჩვენებელი ტყეა. ის აქ უხვადაა მოცემული, ხოლო მისი გაბატონებული სახეობაა ფოთლოვანი ტყე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქაური მეურნეობა ტყე-

ხევსურები (არდოტი)
(მხატვარი ზ.წერეთელი)



მთის სოფელი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

შია წარმოდგენილი და მასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოსათვის ტყეს, როგორც განმსაზღვრელ მოვლენას. ტყეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და შესანიშნავად ახასიათებს გერმანელი მეცნიერი კ. ვაგნერი.

დასავლეთ საქართველოში, ტყე გამოყენებულია ყველა გეოგრაფიულ ზოლში, მეურნეობის ყველა ძირითად ფორმებში: მეჯოგეობა (ძროხა, თხა, ცხვარი), მეფუტკრეობა, მემინდვრეობა (ახოს აღება) და მეეენახეობაში (მაღლარი ვაზი).

ამ სახის მეურნეობას განსაზღვრავს დასახლების ტიპი რევოლუციამდელ გეგეჭკორის რაიონში. აქ ერთ საკარმიდამო ტერიტორიაზე მოცემულია სახლი, სამზადი სახლი, ბეღელი, სასიმინდე, მარანი, აგვართა, სათხე, საქათმე, საღორე, წყარო, ხილი, ვენახი, სიმინდი, მარცვლეული (ღომი, იფქლი, სელი და სხვა), ტყე და სათევზაო აუზი. საკარმიდამოში ფართობს ჩამოუდის ღელე და შემორაგულია ცოცხალი ღობით.

როგორც ვხედავთ, აქ, საკარმიდამო ფართობზე, მთელი მეურნეობაა მოცემული. მეორე მოსახლე, ამის გვერდით, ამგვარ საკარმიდამო ფართობზეა დასახლებული და ა.შ. ასე რომ, მთელი უბანი ასეთი საკარმიდამო ერთეულებისაგან შედგება.

თავის მხრივ, უბნები ერთ მიკრორაიონს ჰქმნიან, რომელიც სოფლის სახელწოდებას ატარებს.

ზემოთქმულით არ ამოიწურება დასახლების კომპლექსი გეგეჭკორის რაიონში. მწყემსურ მეჯოგეობასთან დაკავშირებით, მოსახლეს ცალკე სადგომი ჰქონდა გამართული; ასევე მიწის მოქმედებასთან დაკავშირებული ნაგებობანიც ცალკე ეწყობოდა ხოლმე.

ახლა, როდესაც ვაკვირდები, თვალნათლივ ჩანს, თანამედროვე ვითარებასთან დაკავშირებით, დასახლების ტიპი თანდათან როგორ იცვლის სახეს. ერთი მხრივ, საკარმიდამო ფართობი შემცირდა, მეურნეობის ახალი ხასიათის გამო მნიშვნელობა დაკარგა საკარმიდამო ნაკვეთზე არსებულმა სამეურნეო ნაგებობებმა, მიიშალა მწყემსურ მეჯოგეობასთან დაკავშირებული ტრადიციული სადგომები: ეს პროცესი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, დასახლების ახალი ტიპი ფორმირების პროცესშია.

გეგეჭკორის გზაზე, სოფ. ონტოფოში შევჩერდით ნ. თოფურიას სახლში. ვინახულეთ პროფ. ვ. თოფურიას ყოფილი სახლი და კარმიდამო, რომელიც მას სოფლისათვის გადაუცია და ამჟამად მას სოფლის სკოლის მასწავლებლები იყენებენ ბინებად. დავათვალიერეთ აგრეთვე ახლად აშენებული სოფლის ათწლედი, რომლის აშენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვიქტორ კუპრაძეს, ვარლამ თოფურიასა და მელქაძეს (განათლების სამინისტროდან).

განზრახული მაქვს ბუნების იშვიათი ძეგლები დავათვალიერო, კერძოდ, ძელქვები.

ჩემთვის ადრევე იყო ცნობილი ძელქვების არსებობა სამეგრელოში (ცნობა მომაწოდა პატ. თედო სახოკიამ), სახელდობრ, ბანძაში. მოვიპოვე ახალი მონაცემებიც: სოფ. ვედილკარი და მიტვილო (ერთი დასახლებაა, აგრეთვე ძელქვებით, ეკუთვნის გორდის მახლობელ სოფელს).

გეოლოგიური ეპოქის ეს იშვიათი გადმონაშთი, როგორც ცნობილია, მოიპოვება მხოლოდ საქართველოსა (ამიერკავკასია) და იაპონიაში[1] და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართული სახელწოდებით Zelkova (Steinulmen), ოღონდ ამ სახელწოდებას თარგმნიან არაზუსტად: Zelkova = ძელსა +ქვა და არა ქვასა და თელას. ეს თვისება ქართულში კარგადაა შემჩნეული. ძელიც, როგორც ხის აღმნიშვნელი, უძველესი დროიდან მომდინარეობს. ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მესამეულის გადმონაშთი სხვაც მოიპოვება ჩვენში: ელდარის ფიჭვი, ბიჭვინთის სოჭი.



ურთხელის ხისგან ნაშენი სახლი

შევჩერდით სოფ. ვედიდკარში. აქ სკოლის ეზოში უზარმაზარი 16 ძირი ძელქვა დავითვალეთ. აქვე იყო გადარჩენილი ორი ცალი ურთხელი – Ticc. შემდეგში ჩვენ დავრწმუნდით, რომ ურთხელი ერთ დროს დიდად ყოფილა გავრცელებული. ამის საბუთს ის იძლეოდა, რომ მრავალგან სოფლებში სახლები ურთხელისა უშენებიათ. სოფ. სალხინო, კურზუ, გოჭკადირი და სხვა. თუ საზღვარგარეთ ნატრულობენ თუნდაც სახლის ავეჯი ჰქონდეთ კავკასიური ურთხელისაგან, აქ ჩვენი გლეხობა ურთხელის სახლებს აშენებდა. ამას გარდა, არც თუ ისე შორეულ წარსულში, საზღვარგარეთელი ვაჭრები სამეგრელოში გლეხებისაგან ურთხელის ძველებურ სახლებს ყიდულობდნენ და ურთხელის მასალას საზღვარგარეთ აგზავნიდნენ სხვადასხვა საგნების დასამზადებლად; ცნობილია ასეთი ფაქტიც, რომ ხის მასალის სპეციალისტებს ეს მასალა სატყეო მუზეუმში გადაუგზავნიათ საჩვენებლად, როგორც იშვიათი ნიმუში.

ძელქვები ჩვენ ვნახეთ აგრეთვე ბანძაში სასაფლაოზე და მოსახ-

[1] Weltall, Erde, Mensen, Leipziq, 1954 გვ. 190

ლის ეზოში. ამ უკანასკნელში ხეები შედარებით ახალგაზრდა
სასაფლაოზე კი – ხნიერი.

ექსპედიციის ზოგადი ამოცანაა – შეისწავლოს რა თავისებურებები ახასიათებს მოსახლეობას და რით აიხსნებიან ისინი. ისტორია, დასახლების ისტორია და არქეოლოგიური მონაცემები წარმოადგენენ წყაროს ამ ამოცანის გადასაჭრელად; ხოლო მასალის შეგროვება და დამუშავება ეთნოგრაფიული, ლინგვისტიკური, ანთროპოლოგიური, სტატისტიკური და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საშუალებაა მიზნის მისაღწევად.

ადგილზე მუშაობის დროს ჩვენ არ ვაძლევთ უპირატესობას და განსაკუთრებულ ინტერესს არ ვანიჭებთ მხოლოდ სიძველესა და გადმონაშთს: პრიმიტიულ იარაღს, რომელიც ნაკლებად ემსახურება მეურნეობას ან ცრუმორწმუნეობასა, თუ ექიმბაშობას, რომლებიც ჯერ კიდევ ადგილ-ადგილ შემონახული არიან. მათ ვაფიქსირებთ და ვსწავლობთ (რამდენადაც ისინი ყოფიდან ჰქრებიან), რომ გავიგოთ თუ რატომ ინარჩუნებენ ისინი ჯერ კიდევ ცხოვრებაში ადგილს ან კიდევ იმ მიზნით, როგორი სახით აირეკლებიან ისინი თანამედროვე საზოგადოებაში. ამავე დროს, ახალი ყოფის შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მარტოდმარტო დადებითი მოვლენების ფიქსაციით არ განისაზღვრებოდა.

მოსახლეობის ყოფითი თავისებურებების დასადგენად ერთობლივ მნიშვნელოვანია და ფასეული როგორც ძველი, ისევე ახალი ელემენტები ყოფის, რამდენადაც ისინი არსებით როლს თამაშობენ ხალხის ცხოვრებაში, ხოლო ხალხის დამოკიდებულება მათდამი მაშინაც საყურადღებოა, თუნდაც ისინი მცირე მნიშვნელობისა იყვნენ.

ძველი უნდა იქნეს შესწავლილი იმიტომ, რომ ქრება და შემდეგში საჭირო იქნება ძველის აღდგენა მოგონებების მიხედვით, ახალი კიდევ იმიტომ, რომ ის ახალია ჩვენი თაობისათვის და რომ ისიც დაძველდება და კვლავ აღსადგენი იქნება ნარჩენების, ნატეხების მიხედვით. ეს მოსაზრება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენს ეპოქაში, როდესაც ჩვენთვის ძველია არა მარტო რევოლუციამდელი ყოფა, არამედ გუშინდელი, ჩვენ მიერ გადანაცხოვრები მოვლენები, რამდენადაც ძალზე სწრაფად იცვლება ყოველივე ჩვენს ეპოქაში.

1958 წ.

1960 წ. კოლხეთის მესამე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კაბინეტთან ერთად უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს გეგმაზომიერ, სისტემატურ საველე მუშაობას უძველესი კოლხების წარმოშობის პრობლემისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით.

მდინარეების რიონისა და ჭოროხის აუზში არსებულმა განსაკუთრებით ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა და ადამიანის შემოქმედებითმა შრომამ შეუწყვეს ხელი ერთ-ერთი კულტურული კერის აღმოცენებას, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული თვითმყოფადობის ნიშნები გააჩნია.

კოლხური კულტურის თვითმყოფადობაზე მიუთითებენ არა მარტო უძველესი თქმულებები და მითები (არგონავტები, პრომეთე, ამირანი, აბსკილი, სირა-მჭედელი და სხვა.), არამედ არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის რეალური მონაცემებიც.

უკანასკნელ წლებში ცნობილი გახდა, რომ მდინარე რიონის წყლებს სამჯერ მეტი შლამი მოაქვს, ვიდრე ნილოსისას. ამასთან, ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა უძველესი დროიდან იყენებდა მდინარის შლამს მინდვრების გასანოყიერებლად და აქ ამავე მიზნით იყენებდნენ მერგელურ თიხას (ტკილი), რომელიც 15–18 წლის მანძილზე უზრუნველყოფს უხვ მოსავალს.

გ.ჩიტაია. სოფ. სალხინო. გეგეჭკორის რ-ნი. 1960 წ.

კოლხეთში არსებობდა სპილენძის, რკინის, ოქროსა და ვერცხლის ლითონდამუშავება, გიშრის წარმოება, ენდემური მარცვლოვანები (მახა, ზანდური), თავისებური სახნავი იარაღი (რაჭული სახვნელი), სატრანსპორტო საშუალებანი (ანაჩი, ურემი, თურში), ვაზის რამდენიმე ჯიში, კოლხური ფუტკარი, იმერული ცხვარი, მეგრული ძროხა და სხვა.

კოლხიდის პრობლემის შემდგომი დამუშავების მიზნით ამ ზაფხულს (ივლისი-აგვისტო) შედგა მესამე ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ. პროფ. გ. ჩიტაია), რომელიც ძირითადად მუშაობდა წალენჯიხის რაიონში, თუმცა შედარებითი მასალის მოპოვების მიზნით მუშაობდა სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის

სხვა რაიონებშიც (ანაკლია, ილორი, მულახი-ლენჯერი).

ექსპედიცია ადგილზე სწავლობდა: მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის უძველეს ფორმებს (პროფ. ვ. ბარდაველიძე), მეცხოველეობას (მეცნ. კანდ. ნ. თოფურია); კუსტარულ სარწყებს: მეაბრეშუმეობას (მეცნ. კანდ. ნ. აბესაძე), კერამიკას (მეცნ. კანდ. რ. თოდუა), ხის დამუშავებას (მეცნ. თანამშ. მ. ხახარაძე), მემინდვრეობას (პროფ. გ. ჩიტაია), არქიტექტურულ ანაზომვებს ასრულებდა არქიტექტორი გ. ჯაფარიძე.

მკითხველს ვთავაზობთ ამ ექსპედიციის ზოგიერთ წინასწარ შედეგს.

ექსპედიციის მიერ ზუგდიდის საქალაქო ბაღში დაფიქსირდა ქვის ფილა, დოლმენის ნაწილი (უძველესი სამარხი აკლდამა), რაც მიუთითებს შორეულ წარსულში ენგურის ხეობაში დოლმენური სამარხების არსებობაზე. აქამდე ცნობილი იყო, რომ დოლმენური სამარხები კოდორის ხეობის იქით, სამხრეთით არ ვრცელდებოდა. ზუგდიდის დოლმენის ფილა ამ საზღვრის უფრო სამხრეთით დევს.

ცაიშის ახალი თერმული წყაროების რაიონში დაფიქსირდა ქვის ხეები – ძელქვა, რომელიც მესამეული გეოლოგიური ეპოქის რელიქტებია და შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და იაპონიაში. ცაიშის ძელქვა, ალბათ 500–600 წელზე მეტი ხნისაა. ამ ხეებთან დაკავშირებულია საინტერესო თქმულებებია.

ანაკლიაში ექსპედიცია მუშაობდა ლაზებთან, რომლებიც ახი წლის წინ გადმოსახლდნენ ლაზისტანიდან. ისინი გაერთიანებული არიან მეთევზეთა არტელში და მეტად გამოცდილი მეთევზეები არიან. კერძოდ, ისინი ფლობენ მდიდარ ემპირიულ ცოდნას უძველესი მეთევზეობის შესახებ, რაც კარგად ჩანს იმ ტერმინების მიხედვით, რომლებიც აქ დააფიქსირა ექსპედიციამ.

გარდა ამისა, ენგურის შესართავთან, მის ორივე ნაპირზე დამოწმებულია „ყორღანული“ მაღლობები: ფიჭორის ტყეში (ენგურის მარჯვენა ნაპირი), ჭითაწყარსა და ბარჩელში (ორივე ენგურის მარცხენა ნაპირზე). ასეთი მაღლობები დიდი რაოდენობით არის გავრცელებული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბევრ ადგილზე, მაგრამ ეს მაღლობები არ არის სამარხი ნაგებობები – ყორღანები, როგორც ეს ზოგიერთს მიანნია. ისინი არიან სამეურნეო-საცხოვრებელი მნიშვნელობის ამაღლებული ფართობები შემოსაზღვრული დაბლობებით (არქეოლოგი ნ. ხოშტარია). ამ მაღლობებით სარგებლობდნენ მეგრელი კოლხები რევოლუციამდე მომთაბარე მეცხოველეობისას, ზამთარსა და გაზაფხულზე როდესაც მსხვილფეხა საქონელი საძოვარზე მდინარეთა შესართავთან ზღვის სანაპიროზე გადაყავდათ (ნავრეტი). ღამღამობით და წყალდიდობისას მათ ამ მაღლობებზე მიერეკებოდნენ. აქვე მწყემსი-მესაქონლეები აგებდნენ მწყემსების ქოხებს (აგვართა). ამ მაღლობებს ხალხში ეწოდება დიხაგუძუბა და დიხაზურგა.

კოლხეთის ხელოვნურ მაღლობებს აქვს პარალელები უნგრეთის დიდ დაბლობზე, სადაც არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ მაღლობებს სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდათ (მოსახლეობა ეწეოდა მიწათმოქმედებას). ზუსტად ასევე სამხრეთ ამერიკაში, მდ. მისისიპის დაჭაობებულ ადგილებში (გუორანი)დღემდე არსებობს ასეთი მაღლობები ე.წ. ატოლები, რომლებიც გამოიყენება სახნავ-სათესად.

ეს პარალელები იმიტომ კი არ მოგვყავს, რომ დავამტკიცოთ ისტორიული ან ეთნიკური კავშირები, არამედ იმის სანვენებლად თუ როგორ ფართოდ არის გავრცელებული მატერიალური კულტურის აღნიშნული მოვლენა.

ექსპედიციის მუშაობამ ილორში (ოსამჩირის რ-ნი) აღმოაჩინა, რომ ილორის ტაძარს კავშირები ჰქონდა არა მარტო გურიასა და იმერეთთან., არამედ ზემო სვანეთთანაც. ილორში არსებული ხარის კულტი უკავშირდება არა მარტო კლასიკური ეპოქის ავტორების ცნობებსა და არქეოლოგიურ მასალებს (ძველი კოლხები მამაკაცებს მარხავდნენ ხარის ტყავებში, კიდებდნენ მათ მაღლა ხეზე, ხოლო ხარის თავი გამოსახულია კოლხურ მონეტებზე ძვ. წ. VI-III სს-ში), არამედ ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც, როგორიცაა, წმინდა ხარების ბრძოლა სვანეთში, ადამიანისა და ბუღას შერკინება სამეგრელოში, რომელიც ცნობილია კურულის სახელწოდებით. ბუღებთან ბრძოლა აღნიშნავს რაღაც უფრო სხვას, ვიდრე ადამიანის მიერ ხარის დამორჩილება და მოშინაურებაა. იგი უფრო ის ბრძოლაა, რომელსაც აწარმოებენ შუმერელი გმირები, გილგამეში და ენკიდუ გარეულ ხართან. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ქართული ფოლკლორული მონაცემებით ხარი მინნეულია გუთნური მიწათმოქმედების საწყისად („ორშაბათობით აშენდა“).

ექსპედიციის მიერ გამოკვლეულ ტერიტორიაზე სოფ. ჭალაში, იქ სადაც ახლა ჩაის ფაბრიკაა, 7 წლის წინათ მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნია ბრინჯაოს სამი ზოდი და კერამიკული ჭურჭლისა და მილების ნამსხვრევები. ერთ-ერთი ეს ზოდი, ნახევრად ოვალური ფორმისა, წონით 3-3.5 ფუთი, ამჟამად ინახება წალენჯიხის მილიციის რაიონულ სამმართველოში. ეს აღმოჩენა მიუთითებს იმაზე, რომ სოფ. ჭალაში აწარმოებდნენ ბრინჯაოს ნივთებს. არ არის გამორიცხული, რომ მადანს მოიპოვებდნენ ახლო ადგილებში. მოსახლეობა მიუთითებს სოფ. ჭალის მახლობლად არსებულ რკინის ძველ საბადოებზე, რომლებიც მათთვის ცნობილია სიდირონის სახელწოდებით. ეს სახელი შეიძლება უკავშირდებოდეს რკინის ძველბერძნულ სახელს - სიდერონი.

მიწათმოქმედების დარგში, კერძოდ მემინდვრეობაში, დამოწმებულია მეურნეობის რთული სისტემა: ახო, გაწმენდა, ხვნა, (ყამირის გატეხვა) განოყიერება, თესვა, თოხნა, მარგვლა, მკა (თავთავების მოჭრა შანკვით, დანით, ნამგლით), გალეწვა, შენახვა, დაფქვა, გამოცხობა. გლეხები განასხვავებენ ნიადაგებს: ნოტიო, წყალგამტარი, მაგარი, რბილი, მძიმე, მშრალი, ცივი. განსხვავებანი არის აგრეთვე ვერტიკალური ზონალობის მიხედვით: დაბლობი ტუბე, მთის კალთები დობირა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარგვალი

მაღლობი ლაკადა, მთა გვალა და ალპური მდელოები შიშველი. იყენებდნენ თესლბრუნვას, ამასთან, როდესაც ნიადაგი გამოიფიტებოდა თესდნენ ფეტვს, რომელიც უშუალო მწარმოებლების შეხედულებით ანოყიერებდა მიწას. უხვი მოსავლის მისაღებად თესდნენ მაღალმთიანი რაიონების თესლს. მინდვრები განირჩეოდა აგრეთვე ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების მიხედვით: ობარგუ (მინდორი, რომელსაც ამუშავებდნენ კავით) და ოხოჯე (მუშავდებოდა სახვნელი იარაღით). სამეგრელოში შანკვას ორიგინალური სამკალი იარაღის (პურეულის თავთავების მოსაგლეჯი იარაღი - ორი მრგვალი ჯოხი. ზემო ნაწილში წვრილი თასმით შეკრული) არსებობა გულისხმობს აქ ენდემური მარცვლეულის „მახასა“ და „ზანდურის“ არსებობას, ეს პურეული აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ რაჭასა და ლეჩხუმში. ზუსტად ასეთი შანკვა დაფიქსირებულია ამ რაიონებშიც.

შანკვას ანალოგიური იარაღი არსებობს თანამედროვე ასტურიაში (ესპანეთი).

ღომის ლეწვისათვის, გარდა ცნობილი ხერხისა (Просорушки ხელის, ფეხის და წყლის ენერგიაზე მომუშავე), მოსახლეობა იყენებდა ხელსაფქვავს, ერთ შემთხვევაში წისქვილის ქვედა ქვაზე დებდნენ ალუბლის ხის კანს, მეორე შემთხვევაში ხელსაფქვავები ხისგან მზადდებოდა ქვედა წიფლისაგან, ზედა – კაკლისაგან. ასე მოწყობილი ხელსაფქვავი კარგად ლეწავდა ღომს. გალეწვის მრავალფეროვანი ხერხის არსებობა მიუთითებს ღომის კულტურის ფართო გავრცელებაზე. მდიდარი მონაცემები ფიქსირდება ხალხური სასოფლო-სამეურნეო კალენდრის სახით, წლის დროების, თვეებისა და დღეების სახელწოდებათა სახით.

მიწათმოქმედების სისტემის ამ მონაცემების ზოგიერთ ელემენტებს აქვთ ანალოგები, არც თუ დიდი ხნის წინათ აღმოჩენილ შუმერულ თიხის ფირფიტებში, რომლებიც ძვ. წ. XVIIIს. თარიღდება. ესენია: двоение, взмет გაწმენდა, სარწყავი სისტემა და სხვა. ეს ტექსტები ყველა ადრინდელია მათ შორის, რომლებშიც აღბეჭდილია მემინდვრეობის უძველესი მეთოდები (ჰეზონდი, ოვიდიუსი, კატონი).

მესაქონლეობის ხაზით გამორკვეულია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი ისეთ შორეულ

დასავლური ხის ოდა სახლი

ადგილებში, როგორიცაა ბაბ-ჩი, მდინარეების მახე, აშე და სხვათა აუზები და უფრო შორს ჩრდილოეთით ტუაფსე, ადლერი, ყუბანი. დადგენილია საძოვარი ადგილების სახელწოდებანი და საქონლის მოძრაობის მარშრუტები.

შესწავლილია სულგუნის სახის ყველის წარმოება, გამოვლენილია მისი წარმოების რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, აგრეთვე მესაქონლეობასთან დაკავშირებული და საყოფაცხოვრებო ნივთების კომპლექსი (მწყემსის ჩაცმულობა, ყველის წარმოებისათვის საჭირო იარაღ-ჭურჭელი და სხვა). გაირკვა საქონლის გადაადგილების მარშრუტები, ზღვის ნაპირიდან დაწყებული და ალპური საძოვრებით დამთავრებული. მომთაბარე მესაქონლეობას თან ახლდა ფუტარის ნაყარის გადაადგილებაც.

დეტალურად იქნა შესწავლილი ჯვრის ნაბდის დამზადების პროცესი („გაზუა", „ნეზუა", „პეტუა", „შკვილუა", „ნაჩაბუა", „ჩერტუა", „ზინდუა", „რცხონუა", „გეშკუმალა", „გაპუა" და „გიმონიკუა"). ნაბდის ოსტატებს მიაჩნიათ, რომ კარგი ნაბდების მიღება შეიძლება მხოლოდ მეგრული ცხვრის მატყლისაგან და რომ რამბულიეს, ქურთის და იმერული ცხვრის მატყლი ნაბდისათვის არ ვარგა. აგრეთვე შესწავლილ იქნა ნაბდის ქუდების, ფარდაგების, აბრეშუმის შალის და საღებავების წარმოება. მთქმელების მტკიცებით, მინერალური საღებავი „ლები", ადვილად შეიძლება იპოვო სავსე მთვარისას, რადგან იგი მაშინ გარკვევით მოჩანს მიწისქვეშიდან. გამოიყენებოდა აგრეთვე სპეციალური მინერალური საღებავი ჭოროხი, თიხის ჭურჭლის მოსაჭიქავად (მ ო კ ა ლ უ ა).

არ შევჩერდებით ექსპედიციის მიერ შეგროვილ სხვა მასალებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ექსპედიციამ წარმატებით იმუშავა სოფ. ლ ა ხ ი რ შ ი (ზემო სვანეთის მულახის თემი), სადაც მოსახლეობის 30 კომლზე 18 კოშკია, ხოლო ქვის საცხოვრებელ ნაგებობებს შორის არის XI–XII სს. სახლი. კოშკები გამოირჩევა გარკვეული სტილით, სადა ხაზებით. საერთოდ, სოფელი ლახირი თავისი საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობებით წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ არქიტექტურულ ანსამბლს, რომელიც იმსახურებს ნაკრძალად გამოცხადებას. იგი უნდა შემოუნახოთ შთამომავლობას. ეს სოფელი ექსპედიციის მიერ მეტ-ნაკლებად დაწერილებით არის დაფიქსირებული (გაკეთდა სოფლის გეგმა, ზოგიერთი საცხოვრებელი,

სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობის და აგრეთვე გლეხის კარმიდამოს ნახაზები). ექსპედიციამ შეისწავლა გვირაბი - ხელოვნური მიწისქვეშა ნაგებობა ლატალის თემში. ამავე დროს დადგინდა, რომ მეზობელი, ლენჯერის თემი გარკვეული დროის განმავლობაში ემორჩილებოდა სამეგრელოს ერისთავებს-დადიანებს და უხდიდა მათ ყოველწლიურ ხარკს დენთის, ბეწვეულისა და ცვილის სახით.

წალენჯიხის რაიონის ტოპონიმები ამჟღავნებენ პრეფიქსულ წარმოქმნას: ლე (სვანური პრეფიქსი), ო- (მეგრული), სა - (ქართლური) და სუფიქსურ წარმოქმნას: - ული, - ანი, - იშ და სხვ. ხშირია სახელწოდებანი ო-ჭანე, ჭანიშ, წკარი. მთიან სამეგრელოში ლაზური (ჭანური) დასახლების არსებობაზე XVIII ს-ის ბოლოს მიუთითებდა მეფე ერეკლე II -ის კარის ექიმი ვ. რეინექსი. მთიან ზონაში ჭვინარაში არსებობს სამარხები; გადმოცემით ისინი ჩერქეზებს ეკუთვნიან.

ექსპედიციამ შეაგროვა მდიდარი მასალა ქართული ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

ექსპედიცია გულწრფელ მადლობას უხდის ჩვენს ინფორმატორებს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: ლიდა ფიფია-ხურცილავა, ესტატე მატუა და შალვა ფილია. ყველანი სოფ. ოჭანედან. ისიდორე შამუგია სოფელ ლეშამუთედან, გაჯი სამუშია – სოფელ ოხარკილუდან, კონსტანტინე უბილავა – სოფელ ჭალადან, მიხეილ შონია – სოფელ ფუხულანიდან, ჯვებე, ბესო და ალექსი არქანიები – სოფელ მუჟავადან, მირონ ქარდავა – სოფელ ლეციმინტედან და გიორგი ფალიანი სოფელ ქაშვეთიდან. ექსპედიციის მასალების შესწავლის შედეგები შევა კოლხური კულტურისადმი მიძღვნილი სპეციალურ მონოგრაფიაში.

1960 წ.

კოლხი ქალი დიადემით.
მ. კაკაბაძის ჩანახატი

საქართველოს ეს მხარე, რომელიც კოლხეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ძველად განთქმული იყო თავისი დროისათვის შესაფერისი მაღალი ეკონომიკითა და კულტურით (ძვ.ნ. I ათასწლეული). ძველი ბერძნული მითოლოგია კოლხეთს ასახელებს, როგორც აყვავებულ ქვეყანას, რომელიც მდიდარია არა მარტო ბუნების მონაცემებით, არამედ იმითაც, რაც ადამიანის ხელით არის შექმნილი. მაგალითად: მაღალი სამეწათმოქმედო კულტურა ჩანს ძველ კოლხეთში, სადაც სახვნელი იარაღი ანდამატისაც კი უნდა ყოფილიყო. ასევე მოწონებით სარგებლობდა აქაური მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქცია. საარაკოდ მიჩნეული კოლხეთის კულტურა, ჩვენს დროშიეე წარმოებული სხვადასხვა სამეცნიერო დარგის (არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, პალეობოტანიკა, გეოლოგია და სხვა) მიერ მოპოვებული მასალაც ადასტურებს, რომ თავის დროზე სათანადო სიმაღლეზე მდგარა.

დადგენილია კოლხური ბრინჯაოს კულტურის მაღალი საფეხური, რკინის დამუშავების მაღალი ტექნიკა, აღმოჩენილია მსოფლიოში უძველესი რკინის სადნობის სახელოსნო, რომელიც განეკუთვნება მე-14, მე-13 სს. ჩვ. წ-მდე. დადგენილია რკინიგზისაგან ფოლადის მიღების ტექნოლოგია, ირკვევა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ნეოლითური რევოლუციის მოსაბრუნდან სათანადო განვითარებას პოვებს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეურნეობა. კოლხური სელის ნახელავი იმდროინდელ მსოფლიოში ეგვიპტურს უტოლდებოდა, კოლხური სელის ქსოვილი გავრცელების მხრივ დამოწმებულია ისტორიულ ურარტუშიც.

არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ კოლხეთის დედაქალაქ აიაში საგანგებო თაყვანისცემის საგანი იყო ოქროს საწმისი, რომელიც დიდ მუხაზე იყო მოთავსებული და რომელსაც ცეცხლისმქშინავი გველეშაპები იცავდნენ. ლეგენდა გადმოგვცემს – საბერძნეთის გმირებმა საგანგებო ლაშქრობა მოაწყვეს კოლხეთში იმ მიზნით, რომ კოლხეთის სათაყვანებელი რელიკვია - ოქროს საწმისი თავიანთ ქვეყანაში წაეღოთ. ეს ლეგენდა შეიცავს სინამდვილის მარცვლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამდენად მასში მეტნაკლებად ასახულია ცხოვრების რეალური ვითარება.

არგონავტების მითი დიდი ხანია აინტერესებთ ფართო სამეცნიერო წრეებს. ის ერთ-ერთი უძველესი ბერძნული მითთაგანია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბერძნეთში, საუკუნეების მანძილზე მას მიმართავდნენ ყველანაირი ჯურის ხელოვნების მუშაკები. დროდადრო მითი ფართოვდებოდა და სრულ სახეს ღებულობდა. III ს. ჩვ. წ-მდე მითი დაამუშავა ცნობილმა მწერალმა და პოეტმა აპოლონ როდოსელმა. სტრაბონს ეს მითი მიაჩნდა რეალურად, განხორციელებული ამბის შემცველად. ის მიუთითებდა, რომ კოლხეთში ოქროს მოპოვების ხერხად ცხვრის ტყავი იყო გამოყენებული. ასევე დიდად საინტერესოა ჩვ. წ-მდე II ს. მწერლისა და საზოგადო მოღვაწის არიანეს ცნობა, რომ მისი საინსპექტორო მოგზაურობის დროს ფოთში, იმდროინდელ ფაზისში, რეას სახელობის ტაძარში (ეხლანდელი გამოკვლევის მიხედვით, დიდი დედის ტაძარში) დაცულ იყო ღეზა, რომელთაგან ერთ-ერთი თითქოს არგოს მიეკუთვნებოდა. რომაელ მწერალ იუნეალს, არგონავტების მითის გმირი მიაჩნდა ბერძენ ვაჭრად, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებისა თუ ოქროს მოპოვების მიზნით, ამ მოგზაურობას ახორციელებდა.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მითი, რომლის უძველესი ფენა ჰომეროსის ეპოქის ადრეა შექმნილი, მეტ-ნაკლებად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

მეცნიერებაში წამოყენებულია რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რასთან იყო დაკავშირებული ოქროს ვერძის კულტი. ერთი თეორიის მიხედვით, კოლხეთის მდინარეებში იყო ოქრო, რომლის მოპოვება წარმოებდა ცხვრის ტყავის ბეწვის მეშვეობით. ამ ფაქტს არა მარტო ლეგენდები, არამედ ბერძენი ავტორების კონკრეტული მონაცემებიც მოწმობენ. ლეგენდის ამგვარ ახსნას ისიც ამართლებს, რომ სვანეთის ზოგიერთ მდინარეში, მართლაც, იყო ოქრო და სვანები მის მოპოვებას ბოლო დრომდე ცხვრის ტყავის ბეწვით აწარმოებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არგონავტების ლაშქრობის მიზანი იყო საწმისის ხელში ჩაგდება, რადგანაც საბერძნეთს (ძვ. წ. XI-VIII სს.) ოქროს საკუთარი მარაგი გამოლეული ჰქონდა. ბერძნები იღვწოდნენ იმისათვის, რომ გარედან შემოეზიდათ ოქრო, რაც ასე დიდად საჭირო იყო მათი მაღალ დონეზე მდგომი ხელოსნური წარმოებისათვის.

მეორე თეორიის მიხედვით, კოლხეთში ცხვარი ისე იქნა გაკეთილშობილებული, რომ მას გრძელი და რბილი ბეწვი გაუჩნდა თავისი ველური წინაპრისაგან განსხვავებით. ამგვარი ცხვრის წარმოქმნა, ცხადია, მეურნეების ხანგრძლივი ცდების შედეგად იქნებოდა მიღწეული. ხალხურ სელექციას ძველ კოლხეთში ჰქონია ადგილი, რაც იქიდანაც ირკვევა, რომ მედეას გრძნეულ მამიდას კირკეს (ცირცე) ცხოველებზე ცდები უწარმოებია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. ძველ აღმოსავლეთში, კერძოდ შუმერეთში,

ამავე მიზნით გილგამეში ცდების მოხუც ადამიანებზე ახდენდა. მაგრამ ლეგენდის ახსნის ამ თეორიას სხვა საფუძველიც აქვს.[1] ძველი კოლხური ცხვრის ჩამომავალია ის ცხვარი, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი იმერულს ეძახის. ვახუშტის აღწერილობით, ეს ცხვარი გამოირჩევა იმით, რომ იგი ყოველთვის შობს ორ და არაიშვიათად მეტ ბატკანს: „გარნა ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი, მარადის შშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არვედ"[1].

ამჟამად ჩვენამდე მოღწეულია ამ ჯიშის ცალკეული ერთეულები, რომლებიც ოჯახებს ჰყავთ შემორჩენილი არა მარტო იმერეთში, არამედ სამეგრელოსა და სვანეთში. გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე[2] დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჰერევში ადგილობრივი ჯიშის ცხვარმა 6 ბატკანი მოიგო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯიშის ცხვრის ხორცი საუკეთესოდ ითვლება; გარდა ამისა, ამ ცხვარს ძოვის კარგი თვისება აქვს, რამდენადაც მისი ყბები და წინა კბილები ბალახს ძირამდე სწვდება.

ცხვრის ეს ჯიში დღეს დაკნინებულია იმის გამო, რომ ქვეყნის ავბედობის ხანაში მას ადამიანის მხრიდან სათანადო ზრუნვა მოაკლდა, რითაც მან ბევრი კარგი თვისება დაკარგა, გახდა ტანმორჩილი. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ჯიშის ცხვრის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, იმ თვისებების გამოყენება, რომელიც დღემდე აქვს შენარჩუნებული (გამრავლების უნარი, საკვების მოპოვების უმჯობესი აპარატი) და სელექციის გზით მისი ახალ საფეხურზე აყვანა.

ჩვენ ვიცით, რომ კოლხური ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, ცდების წარმოებას მოჰკიდა ხელი კარგად ცნობილმა ზოოტექნიკოსმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა მიხეილ რჩეულიშვილმა. მაგრამ იმის გამო, რომ მას სათანადო ხელშეწყობა არ ჰქონდა და არც ამჟამად აქვს, ცდები არ არის ბოლომდე მიყვანილი. სასურველია, ასეთ ცდებს აწარმოებდეს არა მარტო ერთი მეცნიერი, არამედ იგი ტარდებოდეს სხვადასხვა სასელექციო სადგურსა და ლაბორატორიაში.

კოლხეთში ყოფილა არა მარტო ცხვრის, არამედ ძროხის ხალხური სელექციაც. Vს. ბერძენი ავტორის ცნობით, მსოფლიოს შვიდ საკვირველებათა შორის ერთი ის იყო, რომ კოლხური ძროხა ტანით პატარაა, მაგრამ წველადობა მაღალი აქვს.

XIX საუკუნეში ხალხური სელექციის გზით მიღებულ იქნა ე.წ. „კვარაცხელიას ძროხა". ამ ჯიშის მარტო გამრავლების მაღალი თვისებების გამოყენება დიდ წარმატებებს მოუპოვებდა ჩვენს მესაქონლეებს. სიტყვა იმ დაწესებულებებზეა, რომლებიც მოწოდებულნი არიან იზრუნონ მეცხვარეობის განვითარებაზე.

1974წ.

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, თბილისი, 1973, გვ. 744.

[2] „კომუნისტი", 1974, ივნისი, № 126, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე თქვენ ხედავთ ორ ძელქვას[1], რომლებიც დგანან სოფელ ცაისში (ზუგდიდის რაიონი), ცხელი აბანოების ტერიტორიაზე, ცხელი წყაროებისგან 50–60 მეტრის მანძილზე. ცაისში ნაწერილი ლეგენდის მიხედვით, გენუელებს, რომლებმაც ცხელი წყაროები აღმოაჩინეს, ამის აღსანიშნავად ამ ადგილზე სამი ძელქვა დარგეს, რომელთაგან ორი დღემდე ცოცხლობს. მესამე, ჯერ კიდევ 1955 წელს იდგა ძალზე დაბერებული. ამ უკანასკნელს ვეღარ გაუძლია ჟამთა სრბოლისათვის და ამჟამად, წელს ზევით გადატეხილი მიწაზე დანარცხებული გდია.

ძელქვა. სოფ. ცაიში. ფოტო კ. ყუფუნიასი

ძელქვა თავისი წარმოშობით განეკუთვნება დედამიწის ახალი ხანის მესამე გეოლოგიურ პერიოდს, რომლის ხნოვანება 50–60 მილიონი წელია. მესამეულის პერიოდში ეს ხე ფართოდ იყო გავრცელებული. ამჟამად, იშვიათობას წარმოადგენს და მოიპოვება მხოლოდ ამიერკავკასიასა და იაპონიაში. იგი ლათინურ ნომენკლატურაში ქართული სახელწოდებითაა შესული.

იგი მაგარი ჯიშის ხეა, რაზედაც მისი ქართული სახელწოდება კარგად მიუთითებს. ძელქვის სახელწოდების ორივე შემადგენელი ნაწილი (ძელი და ქვა) ეკუთვნის ქართული ენის უძველეს ხანას, როდესაც ზოგადი ქართული ენიდან ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სვანური, ზანური და სხვა დიალექტები.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი ძელქვას იყენებდა საშენ მასალად და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად. სამეგრელოში

[1] სურათი მოგვაწოდა ეკონომისტმა ვახტანგ თედოსძე სახოკიამ.

შემონახულია სახლები, რომელთა საძირკვლის კოჭებად და სარტყლად გამოყენებულია ამ ხის ძელები. აგრეთვე ,ძელქვიდან ამზადებდნენ ჭიშკრის სვეტებს და დურგლის დაზგების ხრახნილიან სამჭიერებს, დურგლისსავე იარაღებს, სალაშინსა და სხვა. (ჭიშკრის სვეტები ივანე კალანდაძის ეზოში სოფელი ჯუმათი, ლაშეს უბანი, ხოლო ხელოსან არტემ გიორგის ძე მითაიშვილს ოჯახში დურგლის იარაღები. ასევეა სვანეთში, სოფელ ღობრაში, მულახში გიორგი მარგიანის ოჯახში (ცნობა მომაწოდა ვარლამ ართილაყვამ 1 აპრილს 1966 წელს). ამავე ხის მასალისგან მზადდებოდა სახვნელი იარაღის ქუსლი 11 კბილა 11 ეშვი (მეგრულად – ჩაფულა, სვანურად – ბერ). ძველ დროში, როდესაც სახვნელი იარაღი მთლიანად ხისა იყო, მისი ქუსლი მაგარი ჯიშის ხისგან უნდა დაემზადებინათ, რომ გამძლე ყოფილიყო და ადვილად არ გაცვეთილიყო.



ძელქვა. ჩხარის ეწერი, იშნელები ფოტო ნ. კეცხოველისა

ცნობილია, რომ სახვნელ იარაღს ლითონის სახნისი, ლითონის საკვეთელი გაუჩნდა მხოლოდ რკინის ხანაში, მანამდე მხოლოდ ხის ნაწილებისგან შედგებოდა. ასეთ ხის სახვნელ იარაღს სუმერულად (ძვე. წ. 3000 წ.) ეწოდებოდა გიშაპინ, რაც ნიშნავს ხის იარაღს. ჩვენში ძელქვისგან დამზადებულ ქუსლით აღჭურვილ სახვნელ იარაღს ხარსარადი ეწოდება (დამოწმებულია სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონებში).

ძელქვის იშვიათად შემონახული ეგზემპლარების აღრიცხვას და ფიქსაციას აწარმოებს აკად. ნ. კეცხოველი. საჭიროა ამ იშვიათი ჯიშის დაცვა და მოშენება. მას ლამაზი მერქანი აქვს და გამძლეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „კაცნი არიან ჴელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებათა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“. ეს ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის და სანდო ავტორის ხელიდანაა გამოსული, შეიცავს ისეთ ფაქტს, რომელიც, ერთი მხრივ, ვარაუდობს ლაზებისათვის ხის მუშაკობის ტრადიციის არსებობას აქ მოყვანილი ცნობის თარიღზე ადრინდელ ხანაშიც, ხოლო მეორე მხრივ, იგივე ცნობა სრულ გამართლებას პოულობს მომდევნო პერიოდის სინამდვილეში.

ლაზური სიცოცხლის ხე. სოფ. წინწყარო

მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში, XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხეროებად და ხის ნაგებობათა საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეული. მათ მიერ აშენებული ხის სახლები, ჯამეები და ეკლესიები დღემდეა მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთზე წარწერაცაა შემონახული. მაგ. მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ხანში ერთ-ერთ, აღნაგობისა და შემკულობის მხრივ შესანიშნავ, სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე: ქართული წარწერა იკითხება ასე: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“.

საყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა ნამოსული – ომერი, ახმეტი და მუსტაფა, რომელთაც მთელ ხანის-წყლის ხეობაში ლაზური ოდა-სახლები უშენებიათ. მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხეროობა და იმათ ყაიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობანი და ხის ნუქურთმები.

მაგრამ ლაზების მიერ დამზადებული ნუქურთმები ხეზე დამოწმებულია არამარტო ხანის-წყლის ხეობაში. ის ფიქსირებულია ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ ქობულეთში, გურია-სამეგრელოსა, ქვაბლიანის ხეობასა (მესხეთი) და თრიალეთში.

ლაზური ნუქურთმა გამოირჩევა თავისი სახეებით, სიუჟეტითა და ოსტატობით. მასში ჭარბობს მცენარეული და ცხოველური ორნამენტი (ვაზი, სიცოცხლის ხე, ვარდულები, ცხოველები, ფრინველები და სხვა), ხოლო თავისი სიუჟეტური თემატიკით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება ორნამენტის

შესრულების ტექნიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატი ადვილად იმორჩილებს მოსაწყურომებულ არეს, ჩინებულად ანაწილებს რთული კომპოზიციის შემადგენელ ელემენტებს და არაიშვიათად ორნამენტი ორმაგი და სამმაგი სიბრტყის ფენებში გამოჭყავს. ეს უკანასკნელი ხალხურ ხელოვნებაში იშვიათად გვხვდება და ოსტატის დახელოვნების უმაღლეს მიღწევად ითვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ამოფანჯრის (აჟურ) ხერხითაა შესრულებული. ასეთ ნუქურომას ფერადი ქსოვილი აქვს დატანებული, რაც ამ ორნამენტის ტექნიკას წინა აზიის უძველეს ტრადიციას უკავშირებს.

თრიალეთში შემონახული ლაზური ნუქურომები მრავალმხრივ არის საყურადღებო, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ისინი ადგილობრივი ლაზების მიერ არის დამზადებული.

გაირკვა, რომ თრიალეთში მცხოვრები ეგრეთწოდებული „ურუმების" ეთნიკური შემადგენლობა ნარევია. ადგილობრივი შეკრებილი მასალების მიხედვით აგრეთვე ირკვევა, რომ თრიალეთის ურუმებს შეადგენენ: „გუმიშხანელები", „ოველები", „ფასენები" და „კროები". ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან – ბასიანიდან არიან მოსულნი.საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (ქალის თავსაბურავის ერთი სახეობა „დაბლა", აგრეთვე ქართული ხელნაწერები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები და სხვა)[1].

მაგრამ თრიალეთის ურუმების ეთნიკური ვითარება მარტოდმარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ ამ ნაკრებ „ეთნიკურ" ერთეულში, რომელიც თავისთავად კონფესიური წარმოშობისაა, ლაზებიც არიან წარმოდგენილი. გარკვეულია, რომ სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრები თურშოვები წარმოშობით ლაზები არიან. ამ სოფელში თურშოვებს საკუთარი უბანი („მაილა") ჰქონიათ („თურში გილენ მაილა"). ამავე გვარში ყოფილან საუკეთესო ხეროები, რომელთაც თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მონუქურომებული სახლები უკეთებიათ. მათ მიერ აგებული სახლები დაამოწმა ჩვენმა ექსპედიციამ სოფ. წინწყაროსა და გუნია-ყალაში. ამ სახლების ხის ნუქურომების ერთი ნაწილი შეძენილი იყო ექსპედიციის მიერ და გადაეცა საქართველოს მუზეუმს.[2]

---

[1] Е. Такаишвили, Археологические экскурсии и разыскания. ნაკ.I; მისივე. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა -ოლთისში და ჩანგლში, 1907 წელს, პარიზი, 1938 წ. გვ. 54. Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, Изв. РАН, 1910, 7-8 გვ. 630-631; ლ. ბოჭორიშვილი, ურუმი ქალის თავსაბურავი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.VI. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ურუმები" წალკაში მოსულები არიან თურქეთიდან XIX ს. ოცდანი წლების მიწურულში.

[2] ეს ნუქურომები ექსპონირებული იყო ჯერ ენიკის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილ სრულ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე 1940 წ., შემდეგ საქართველოს მუზეუმის თემატურ გამოფენაზე – ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშები, 1942წ. ამჟამად, ეს კოლექცია ექსპონირებულია საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე.



სოფ. წინწყარო

ლაზური ნუქურთმა ხეზე, როგორც იქნება შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ძველ ტრადიციებსა და ძველ სიუჟეტებს ამჟღავნებენ. მართალია, ეს მოტივები ზოგჯერ მოცემულია მათზე შემდეგი დროის დანალექებთან ერთად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ძველებური სახით გამოიყურებიან და ახალი ტექნიკით შესრულებულნი თითქმის მთლიანად იცავენ უძველესი სიუჟეტის დეტალებს. ამგვარი ძველი ტრადიციებიდან მომდინარე სახეებისა და ობიექტების შემონახვა ჩვენმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ არა ერთი და ორი იცის. ბევრი მათგანი უძველესი მითოლოგიიდან მომდინარეობს და ხალხის უძველეს მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

ლაზურ ნუქურთმაში ერთ-ერთი ამგვარი მოტივია „სიცოცხლის ხე“.

ხეზე ამოკვეთილი „სიცოცხლის ხის“ სიუჟეტი თრიალეთში ჩვენ რამდენიმე დავამოწმეთ, მაგ. სოფ. წინწყაროში – არისტინოვის სახლში, გუნია-ყალაში – თურშოვების სახლში.

არისტინოვის სახლის „ოდაში“ (სახლის ნაწილია) იგი ორი სახითაა მოცემული პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხე, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდებზე, მარჯვნივ და მაცხნივ ანტიპოდი ცხოველებია ამოკვეთილნი. ხოლო ამათ უკან სიმეტრიულად გამოყვანილია მზის სიმბოლოები. მეორეზე აგრეთვე მოცემულია ხე და მის მარცხნივ და მარჯვნივ ანტიპოდი ცხოველები (ირმები); მაგრამ ამათ გარდა, აქ ამ სიუჟეტში ასახულია აგრეთვე ნიშანდობლივ მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავი. ნიკიფორე არისტინოვის ეს სახლი თავისი შემკულობით აგებულია გუნია-ყალელი ლაზის კონსტანტინე თურშოვის მიერ 1883 წელს, როგორც ამას ადასტურებს აქვე ხეზე ამოკვეთილი თარიღი.

ლაზური სიცოცხლის ხე. სოფ. წინწყარო

ამავე მოტივს ვხვდებით სხვა სახლებშიც, მაგრამ ხის ნაცვლად ქვაზე ამოკვეთილს. ყველგან ის დაკავშირებულია ბუხართან ე.ი. ცეცხლთან, კერასთან. კერასთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულების ორნამენტი ჩვენ მოგვეპოვება თრიალეთური ოდების გარდა გლეხური დარბაზების ცეცხლის, კერის მახლობლად მდგარ დედაბოძებზე და დედაბოძების ბუდაურებზე. ეს ორნამენტები როგორც ქართლურ ისე მესხურ დედაბოძებზე, ძირითადად, ასტრალური ხასიათისანი არიან. ცეცხლთან, კერიასთან იყო დაკავშირებული წინაპრის კულტი, რაც კარგად ჩანს სვანური ეგრეთ წოდებული „ლიფანალის მხატვრობიდან“.



სიცოცხლის ხე კარხეშიში. Cantenan-ის მიხედვით

ამ მხატვრობაში, რაც საახალწლოდ გამოჰყავდათ გარ დაცვლილ წინაპართა სახელზე, სხვა სარიტუალო სიუჟეტებს შორის, ქალები ხატავდნენ სვანურ ლეჭინდირებზე „სიცოცხლის ხის“ სიუჟეტსაც. ეს სიუჟეტი წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი

ელემენტებით: ფიჭვის ხე, მის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ თხები, აგრეთვე ადორანტი, მთვარე, ჯვარი, მზე და სხვა.[3]

ის გარემოება, რომ სვანური „სიცოცხლის ხის“ მოტივი (სვანურად „გიგიბს იზბის დაჯარ“ – თხები ფიჭს ჭამენ) მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული, რომ მას ქალები ხატავენ, ხოლო ნახატის პრიმიტიული ტექნიკით შესრულება ამ მოტივის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. რაც შეეხება საკუთრივ სიცოცხლის ხეს და მის სიუჟეტს მთლიანად, მის ანალოგებს წარმოადგენს ჩვენში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო კერძოდ: ხევსურული მეგრელაურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვარის ოქროს შიბიანი ბერმუხა, მცხეთის სვეტიცხოველი, მარტვილის ჭყონდიდი, მეგრული „კელაპტარი“ (მიცვალებულის ხე), ბავშვის სახელზე ხის დარგვის გურული წეს-ჩვეულება, დასავლური ქართული ნიჩილაკი, ხემხვივანი (ვაზის) და მრავალი სხვა.

თრიალეთის სიცოცხლის ხის მოტივს, გარდა სვანეთისა, მრავალი პარალელი მოეპოვება როგორც სხვა ქართულ, აგრეთვე კავკასიურ ეთნოგრაფიულსა და ისტორიულ სინამდვილეში. ეს მოტივი მოიპოვება ხეზე: ს. მლაშეს ჯამეში (მესხეთი), ს. ღორჯომში (აჭარაში), ქვაზე – საფლავის ქვებზე, ქართლში, იმერეთში, ქსოვილზე – ს. ბობოყვათში, ხალიჩაზე (ქობულეთი) და სხვა.



სიცოცხლის ხე. ზენჯირლი. Muortgat-ის მიხედვით

საქართველოს გარეთ იგი მოიპოვება ინგუშეთსა და დაღესტანში. ინგუშეთში ეს სიუჟეტი გამოხატულია თიხის ფილზე, რომელიც ნაპოვნია თხაბაერდის ტაძართან. ფილს აქვს წარწერა ქართული ასომთავრული, რომელიც არ არის ამოკითხული.[4] დაღესტანში (ს. ყუბაჩი) აღმოჩენილი ნიმუში,

[3] ლიფანალის მხატვრობის შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართული სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნება, თბილისი, 1953.

[4] Л. Семенов, Археол. и этнограф. разыскания в Ингушетии, Изв. Ингушского научно-исслед. института. Орджоникидзе I,II-III გვ. 383.

სიცოცხლის ხის მოტივით, ეკუთვნის ეგრეთწოდებულ ალბანურ-დალესტნური კულტურის შრეს. ასეთ ერთ-ერთ ძეგლის სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოხატული, რაც გვიადვილებს სიუჟეტის დედააზრის მიკვლევას.

მაგრამ ლაზური სიცოცხლის ხის მოტივის ანალოგები დასტურდება არა მხოლოდ ქართველ-კავკასიელ ტომებში, არამედ ის მოცემულია წინა აზიის უძველესი კულტურის ძეგლებზეც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის დამოწმებულია ხურიტების მეტად თავისებურ ხელოვნებაში. ის მოიპოვება ტელ-ჰალაფსა, კარხემიშსა, იფლატუნ ფუნარსა და ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე.[5] ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე (თარიღდება ძვ.წ. მეათე საუკუნით) გამოსახული სიცოცხლის ხის სიუჟეტი პირდაპირ ანალოგს პოულობს სვანურ გიგობს ი'ზბიხდაჯარ-ისა და წინწყაროს სიცოცხლის ხის მოტივთან: სპეციალისტების აზრით, ხურებიტების ხელოვნებაში დაცული სიცოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს ძველი სუმერული სიცოცხლის ხის მოტივის თავისებურ ვარიანტს და იგი გენეტიკურად უკავშირდება ურში აღმოჩენილ მსგავს მოტივს.[6]

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ-კავკასიური მასალების ეს დამთხვევა ხურიტულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. არსებობს რიგი სხვა კულტურების ელემენტების შეხვედრა, რომელთა აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა და ამას ახლა ვერ გამოვეკიდებით.[7]



სუმერული სიცოცხლის ხე. ური. Nielsen-ის მიხედვით

[5] ა. მოორთგათი, ხეთელების ხანის წინააზიის ხელოვნება და ხალხები (გერმან.) ლაიპციგი, 1934, გვ. 21-29.

[6] ჯ. ვულლეი, კვლევა-ძიებანი ურში (ინგლ.), ტ. II, ნიუ-იორკი, 1934, ტაბ. 87-89.

[7] გ. ნიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, შრომები, ტ.II, 2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ორნამენტის ნიმუში

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ

1. ლაზური ორნამენტი ხეზე უპირატესად მცენარეული და ცხოველური სახეებითაა წარმოდგენილი, ხოლო მისი ტექნიკის დამახასიათებელია ამოღარვა და პლასტიკური რელიეფი.

2. სიუჟეტის მხრივ ლაზურ ორნამენტში უძველესი მოტივებია მოცემული, რომლებიც, დეკორატიულ დანიშნულებასთან ერთად მითოლოგიურ შინაარსს შეიცავენ.

3. ლაზურ ორნამენტებში მოცემული სიცოცხლის ხის სიუჟეტს შეადგენს: სიცოცხლის ხე (სხვადასხვა ჯიშის), ცხოველების წყვილი (ანტიპოდები) და მნათობები (მთვარე, მზე, ვარსკვლავები).

4. სიცოცხლის ხის სიუჟეტი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი სიუჟეტია და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული. დამოწმებულია: ხეზე, ქვაზე, ქსოვილზე. იგი მოიპოვება ქართულ ისტორიულ ძეგლებზე. ინგუშურ და ალბანურ-დაღესტნურ ობიექტებზე.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს სიუჟეტი სვანურ ლიფანალის მხატვრობაში, რაც ამ სიუჟეტის სიძველეზე მიუთითებს.

6. ლაზურ სიცოცხლის ხის სიუჟეტს, ხოლო განსაკუთრებით მის სვანურ ვარიანტს, ანალოგები მოეპოვება ხურიტულ ძეგლებზე. ამ ანალოგებს ამაგრებს ქართულ-კავკასიური კულტურის ელემენტების შეხვედრა ხურიტული კულტურის სხვა ელემენტებთან. თავის მხრივ ხურიტული სიცოცხლის ხის სიუჟეტი გენეტიკურად უკავშირდება მის სუმერულ ვარიანტს („ადამ და ევა“).

7. სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით. ალბანურ-დაღესტნური ძეგლი ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა მრავალი მასალითაა დადასტურებული: თევზის ღვთაება ლარსა – იმერეთში, საახალწლო კალმახი – გურიაში, ცოცხალი თევზი – უშვილობის რიტუალში ორიალეთში, ქვის ქანდაკებანი – ვეშაპები და ვეშაპოიდები (სომხეთი,. საქართველო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზური სახლი*

ა. ლაზი და ლაზური

სახელწოდება ლაზი და ლაზური ფართო და ვიწრო მნიშვნელობითაა ცნობილი, ფევზი-ბეის სიტყვით, „კონსტანტინოპოლში ლაზებად იწოდებიან თურქეთის შავი ზღის სანაპიროების მცხოვრებნი, სამსუნელებიც და სინოპელებიც. სიასპელები სამსუნელებს ლაზებად მოიხსენიებენ, სამსუნელები – ტრაპიზონელებს, ტრაპიზონელები – რიზელებს, ხოლო რიზელები — ჩვენ მხარესო.[1] ფევზი-ბეი თვითონ არზრუმელი ლაზია. ზემოთქმულს ფევზი-ბეი დასძენს, რომ „გუმიშხანელები ლაზებად მოიხსენიებენ არზრუმელებს, ხოლო არზრუმელები, ერთი მხრივ, ლაზებს უწოდებენ გუმიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ, სანაპიროს ყველა მცხოვრებს"[2]. ფევზი-ბეის ცნობებს, ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ თრიალეთი გუმიშხანიდან გადმოსახლებულნი, ეგრეთ წოდებული, ურუმები ტერმინი ლაზით აღნიშნავენ მხნეს, გამბედავ ადამიანს. როგორადაც არ უნდა აიხსნას ლაზი – ტერმინის გავრცელების საკითხი, რიგი მონაცემების მიხედვით, აშკარაა, რომ ჭანთა მოსახლეობას უწინ დიდი ტერიტორია სჭერია არა მარტო ამ ქვეყნის სიღრმეში, არამედ დასავლეთითაც მდინარე ღალისამდე (ყიზილ-ირმაკი, ახალი სახელწოდებით). ტერმინი ღალისი უთუოდ ლაზური ენის მონაცემით იხსნება. იგი ლაზურად მდინარეს ნიშნავს. აგრეთვე ცნობილია, რომ სხვა ქართველ ტომებთან ერთად ლაზები მოსახლეობდნენ შავშეთის, კარწხალისა და პონტოს ქედების როგორც გადაღმა, ისევ გადმოღმა.

ბოლო ხანების ცნობების მიხედვით, ლაზები დამოწმებულია სარფის, მარიალის, ბელლევანის და ჩხალთის ხეობებში. დავასახელებ ამ ხეობების ზოგიერთ სოფლებს: ბადინი, ბელლევანი, დაკვარა, ჯოჭო, ინწკურეთი, მახო, ნქიია, ოდლიაური, ოხორჯინი, ოხორდია, სარფი, სუჯუნა, თხირნალი, ჭკადუეთი.[3]

ათინის ყაზში შემდეგი ჭანური სოფლებია: კუკულათი, ლარისი, თორდოვათი, დუდხევათი, კალეჯუქი, ხელექი, მელიათი, ქემერი, ვენექი, სურმენათი, ჯაბათი, ხუნარი, არანაში, ჯაჯიევათი, ქათოთი, ხაჩქუნი, ნოხლიფსუ, სულეთი, ათინა, ნოდა-დინა, ხუდისა, ხუხიკა, ტალევათი, აფსო, ზაგნათი, პეტრე-ნიკოლა (ბაშ-ქიოი), ბულეფილ (სუფლა), ბულეფი (ულია), ხოტრი, ილასტასი, პაპათი, საპუ, პაპილათი, ჯიგეთურა, დადევათი, მამკიევათი, წუკითა, კოსტანევათი, ხაკო, ესკიტრაპეზონი, ‖კუწუმი‖კუწუმბი‖კუწუმბრი, ქვაჭარერი, ქუა-ნჭარერი,

---

* შენიშვნა: ნაშრომის სათაური და ქვესათაური დატოვებულია ისე, როგორც მოცემულია ორიგინალში. ამასთან წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ არ შეგვიცვლია ტექსტში მოყვანილი ლაზური სოფლების დასახელება, რადგან უცნობია რა მასალას ეყრდნობოდა ავტორი. იმ დროისათვის ეს მასალა უცილობლად საჭირო იყო, დღეს კი უნდა შეჯერდეს სპეციალისტების მიერ დაგროვებულ ახალ მასალებს. ჩვენს ინტერესებშია შევინახოთ იგი იმ სახით, როგორც ავტორს აქვს წარმოდგენილი [ო.ც]

[1] Н. Марр, Из поездки в турецкий лазистан, ИАН, 1900, стр. 608.

[2] Н. Марр დასახ. ნაშრომი, გვ. 608

[3] В.Л.Лисовский Чорохский край. вып 3, Тифлис. 1887, გვ. 10-12 დამატება I

ბაკოსი, თიმსივათი, ფილარგივათი, ტოლი-ქნეთი, მეკალისკირითი, აფეშხო, ქომილო, არტაშენი, სიფათი, ამგვანი, დიმისივათი, ღუანთი, წანო, ვიჯეეს უმშანებისი, ჯიბისტასი, ოკორფულე, ციათი, სალინ-ქოი, ეანივათი, შანგული, ძღემსუფლა, ძღემულია, ღერგ‖ ღერა, ბაშ-ღერა ორთა-ქოი, მუტაფი, ღუთხე, ღება, კატოი, ჩალული- სირტი, ველინა-ირმაღი, დუდუათი, ქუა-ქნე, გლიხანი (ადგილის სახელი), ქუა-ორანწინონი.[4]

ბღეთი‖ ვიწე, ღაერა, მონასტერი, ჭურჭავა, ფიცხელა, სუჭლა, ფიცხელა-ულია, ჭამფეთი, ცარა, ზემბელითი, ფანვა, ეენიქოი, ანდრავათი, მზულუ სუჭლა, მზულუულია‖ ღაინა, აბუქოის ულია, ნუქულითი, წუფა, პაი, სუმლა. ხაზარე, ტრეევნდი, არქაბი, ხოფა‖ხოფე, კალა-ლიბი, ზურპიჯი, ნაუშლი, წკარისთი, პერონთი, კისა, სუნდურა, ბუნე, ორთა-ხოფა, ბუჯაღი, ფხიკო, აზლაღა, ნადირათი, ქილისე, დიმიტითი, ბუდათი, მაფა-წკარი. ზემოთ მოყვანილ ცნობებთან შედარებით, საყურადღებოა ის მასალა, რომელიც მოცემული აქვს იოსებ ყიფშიძეს თავის დღიურში, ეს მასალა უნდა ასახავდეს 1917 წლის ზაფხულში დატრიალებულ ვითარებას.[5]

ხოფის უბანი		ლაზები	
1.აბუსლას ბუჯაღი (ახლაღა)	110	კომლი	სული
2. ორთა ხოფა	41	კომლი	150 ს.
3. ხოფა	86	კომლი	3743 ს. ამათგან 1944 ხემშინი
4. წკირისთი	23	კომლი	23 ხემშინი
10. პერონითი	16	კომლი	190 ლაზი
11. კისე	33	კომლი	110 ლაზი
13. ბაშქოი	43	კომლი	96 ლაზი
	319		546

არქაბე	კომლი	სული
1. კორფულითი	15	82
2. კუტუნითი ულია	5	72
3. ნაფშითი	13	89
4. ემიშლიუკ	16	82
5. ფილარგეთი	86	133
6. უნერმაკ	46	93
7. კამპარნფ	19	171
8. ლალაეა	39	388
9. ჯგირია ზენი	14	61

[4] ხევების სახელებია: ფიზანი, ზალა, ბოლა-წარი, წოლა-წარი, ათინის სახელწოდება – ზული ღერესი.

[5] იოსებ ყიფშიძე, მიულინების დღიური, ენიმკი, ტ.I. გვ. 154

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. პაპილათი	12	80
11. კოპტონი	4	36
12. ბახტა	7	65
13 მოცხორე	8	47
14. იაკოვითი	16	126
15. დერბენდი	24	96
16. კაპისრე ულია	23	57
17 „ სუფლა	23	93
18. სიდერე	39	120
19. სუმლა	110	290
20. ჭუკალვათი	8	63
21. ოტალიხე	15	25
22. ორთიაქოდ	20	120
23. ბაშქოდ	23	135
24. ჭარნივათი	7	128
25. ლომა	19	130
26. დურმათი	6	50
27. პოტოჯურ სუფლა	65	120
28. „ ულია	6	75
29. კუტუნეთი სუფლა		
30. გიდრევეთი	16	67
	708	30942

ვიწე

1. ღავრა		
2. მანასტირი		
3. ფაჩვა		
4. ინიქოდ		116
5. გულფითი	36	43
6. ხარიზებელითი	71	43
7. ჭურჭავა	91	(გაქცეული 13)
8. ბუღუ სუფლია	90	(გაქცეული 2)
9. ულია	59	
10. ფიცხალა სუფლა	81	8
11. ულ	68	3
12. ფიცხალა ჰემშილნიუკ	38	
13. ჭამბეთი	87	12
14. აბუ სუფლია	137	110
15. ულია	61	22
16. ბუ ჰემშილნიუკ	132	
17. წუფე		
18. ნუკულითა ფაი	132	1022
	951	1650

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართაშენი	სული	კომლი	გაქც.
1. შანგური	486	102	-
2. იანივათ	277	58	-
3. წიათი	570	107	8
4. ჯიბისთას	408	79	16
5. ოკორფული	172	52	6
6. ობიწხო	255	40	-
7. საფათი	329	72	30
8. დემისფათ	535	91	-
9. მეკარეისკილითი	619	116	-
10. ძღემისუფლდა	943	173	-
11. მუტაფი	338	66	10
12. ქომილო	259	73	-
13. თორიეჩეთი	268	52	-
14. ადვანა	625	128	-
15. ფუთხე	1001	224	15
16. ფელერგივაი	235	44	3
17. ორთაქოი	563	115	4
18. ოჯე (ხემშილები)			
19. ართოშენ	283	68	17
20. ღერასი	989	171	25
21. ძღემი ულდა	698	140	1
22. წანო	922	118	-
23. ღვანტი	443	88	-
24. ბაქოზ	258	43 (აქედან 15 ???)	
25. სალინქოი	486	120 (გაქც. 6)	
	12.250	2370	150

ათინა

	კ.	მკ.	დკ.	ბიჭი/გოგო 12 წლ	
1. ბაზარ	25	36	28	18	
2. ნოღაფიხა	64	58	113	90	78
3. შილერით	93	70	192	145	104
4. ხოშნიშინ	48	43	97	55	40 ('შერეული ჭან.-ხემშ.)
5. ჭაჭივათ	43	39	89	55	63
6. არანაშ	33	37	80	45	33
7. კიტათი	31	29	72	45	49
8. ხანჭკუმ	68	57	140	98	152
9. სულეთი	20	24	47	23	26
10. ნოხლანსულ	52	11	119	51	65

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.	ხუნარ 43	54	101	69	60	
12.	ჯაბათი	26	26	65	33	30
13.	კუკუსთლარიზ 49	27	106	61	36	
14.	თეტორდეევათ კოქსეევეთი		87	52	173	111	73
15.	ავრამით ზელექი	114	112	265	130	136	
16.	ხაჭაპითი	60	68	159	107	104	
17.	ბოგინა (20 კ. ხემშ)	5060	120	100	77		
18.	მელიათ	75	52	158	82	74	
19.	ქემერ		42	68	178	94	95
20.	ვენეკ		73	56	124	77	86
21.	სურმენათი	36	47	91	52	34	
22.	ხუფისა	59	49	136	81	74	
23.	ტალვათი	91	62	193	116	103	
24.	კუზიკა (20 კ.ხემბ)	47	34	125	100	104	
25.	აბსო (20 კ.)		102	87	242	150	166
26.	ზახნათ (30,,)	61	56	168	115	83	
27.	ბაშქოდ (35,,)		77	109	230	140	193
28.	ბულეფს		41	35	70	59	54
29.	ბულეფ ულია (20)		73	46	135	81	49
30.	ილასტას		43	33	89	43	31
31.	ჯიგეთურა		49	67	171	94	80
32.	ხოტრე (106)		84	63	172	87	110
33.	ლანგო (20)		39	75	229	154	156
34.	წანო (სანო)	22	17	50	27	24	
35.	პაპილათი		46	42	111	67	49
36.	მამაკილათ		92	58	212	150	120
37.	დავიდათი		32	37	78	34	46
38.	სუკითა (10)	50	35	106	47	47	
39.	ესკიტრაპიზანი		50	61	67	64	63
40.	კვანჩარია		33	30	63	33	23
41.	კოსტანეევათი (10ქობ.)		47	25	82	52	51
42.	ხაკო		61	46	127	80	73
			2370	2132	5392	3324	3032
						სულ	13.880

ათინე ესკი-ტროპ, სულ ქობულეთლები ცხოვრობენ, 78 გადმოსახლებულია, 60 კომლი ყოფილა, ახლა გაქცეულია 23 კომლი.

მაგრამ მათი სახლები ახლობლებს დაუკავებიათ, ასე რომ გაცილებული მხოლოდ ათიოდე სახლია, 263 სული, გაქცევამდის 500 სული იქნებოდა. რიზეს ოლქში ბერძნები ცხოვრობენ, 1.674 სული, თურქები – 86.537 სული...

ზემოთ მოყვანილი ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ ლაზების რიცხვი 40.000 სულს აღწევს. ეს რიცხვი არ შეესაბამება არც ლაზების

ხახელწოდების გავრცელებას და არც იმ ტერიტორიის ოდენობას, სადაც ჩვენ ლაზები გვეგულებიან. 40000 სული ლაზი ტერიტორიის მცირე ნაზღვრებში – ლაზების რიცხვის საერთო ოდენობას – რასაკვირველია ოდნავადაც არ გამოხატავს.

თუ ციფრებს, რომლებიც ზემოთაა მოყვანილი დავაკვირდებით, ერთ საყურადღებო გარემოებას შევნიშნავთ: მამაკაცების რიცხვის სიმცირეს, მოჭარბებულ დედაკაცების რიცხვთან შედარებით. ქალების სიჭარბე ერთიორად და სამად მეტია. ამ გარემოებას შეიძლება ახსნა დაეძებნოს იმ ფაქტში, რომ ლაზი მამაკაცები სამშობლოდან მიდიოდნენ უცხოეთში სხვადასხვა სამუშაოზე. ლაზებში ვხვდებით ჩვენ დურგლებს, ქვის მთლელებს, მეპურეებს და სხვა.[6]

უკვე გარკვეულია, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც, მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხეროებად და ხის ნაგებობის საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეული. მათ მიერ ნაგები სახლები, ჯამეები, ეკლესიები, სასახლეები დღემდეა მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთს წარწერაც აქვს შემონახული, მათი ამგების სახელის, გვარისა და სადაურობის აღნიშვნით. სოფ. ხანში (ხანის წყლის აუზი, იმერეთი) ერთ-ერთს, აგების და ორნამენტების მხრივ შესანიშნავ სახლზე ქართულად ეკითხულობთ: „ბათომის გუბერნიის არჰაეე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტ ომერ ეფენდი“[7]

საყურადღებოა, რომ იმავე ხანის ხეობაში სამი ძმა ლაზი ყოფილა: ომერი, ახმედი და მუსტაფა, რომელთაც მთელს ხანის-წყლის ხეობაში ლაზური სახლები უშენებიათ, მათგან ადგილობრივ მოხელეებსაც უსწავლიათ ხურობა და იმათ ყიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობები და ორნამენტები ხეზე.

ლაზების ნაკეთები ხეზე და ხის ნაგებობები სხვაგანაც არის დამოწმებული. ხის მუშაკობის ხელოვნება ლაზებში ვახუშტისაც აქვს დამოწმებული: „კაცნი არიან ჭელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნივთთა დიდთა და მცირეთა“[8] საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფილარგეთელი ომარი, რომელსაც უშენებია სახლი ს. ხანში, არის იმ სოფლის მცხოვრები, რომელიც შემდეგშიც ცნობილია ხელოსნობით. ფილარგეთი ზემოთ მოტანილ ცნობებშიც არის დადასტურებული.

მაგრამ ლაზები განთქმული არიან, როგორც ქვის ხურონიკ. ამას ამოწმებს მათ მიერ დამზადებული ბუხრის ქამრები და „წყაროები“[9].

ზემოთ მოყვანილი მასალა ნათელყოფს, რომ ლაზებს – „მუშა“-ში გასვლა, ან სამშობლოდან დროებით სხვა ქვეყნებში ხელობის

---

[6] ჩვენს მიერ დადასტურებულია სოფ. ფილარგეთის მცხოვრები ლაზები (სამი ძმა)

[7] ენიმკის მოამბე, ტ.II, გვ. 68 სიცოცხლის ხე ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ. X, გვ.305

[8] ვახუშტი, გეოგრაფია, მ.ჯანაშვილის გამოცემა, გვ.55

[9] ერთი ასეთი წყარო იხ. იმერეთის ექსპედიციის ალბომი, ქვის ხურო ლაზი ს.ხოფადან. ასევე მოხსენებულია X საუკუნის ძეგლში, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, როგორც საგანგებოდ მოწვეული პირი მშენებლობაზე.

გატანა ძველთაგანვე მოსდევს. ეს გარემოება გათვალისწინებულთ უნდა გვქონდეს ლაზების რაოდენობის დადგენის დროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაზების საერთო რიცხვს დედაკაცთა რიცხვის ნახევარი მაინც უნდა აკლდეს. ეს რაოდენობა მამაკაცთა ის რაოდენობა უნდა იყოს, რომელიც გაბნეული იყო სხვადასხვა ქვეყნებში, ლაზეთის გარეთ ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით, კაცებისა და ქალების რიცხვთა შეფარდება საკმაოდ ნორმალურია. სამაგიეროდ მამაკაცებისა და დედაკაცების განსხვავება ძალზე არანორმალურ ვითარებას ამჟღავნებს. ამგვარი არანორმალური შეფარდება შეუძლებელია რეალურად არსებობდეს, ამდენად ამ განსხვავების ზემოთ მოყვანილი ახსნა ბუნებრივად გვეჩვენება.

ამის საფუძველზე ზემოთ დასახელებული მოსახლეობის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვს 40.000 სულს, სულ მცირე 6–7 ათასი სული უნდა მივამატოს. ამგვარად მივიღებთ 46.000–47.000 სულს, რაც თავისთავად ოდნავ მიახლოებული მაინც უნდა იყოს ლაზების საერთო რაოდენობასთან.

ლ ა ზ თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

ლაზურ სოფელში რამდენიმე გვარი ცხოვრობს, ხოლო გვარს სოფლის საზღვრებში ერთი რომელიმე უბანი უჭირავს, რომლის სახელსაც ეს უბანი ატარებს. გვარი, ჩვეულებრივად, რამდენიმე კომლისაგან შედგება, თითოეულ კომლს თავისი განსაკუთრებული სახელი აქვს შერქმეული.

ჩვეულებრივ ერთი კომლი 12–15 წევრს არ გადასცილდება, თუ გადასცილდა, მაშინ შეთანხმებით გაიყრებიან და იქმნება ახალი კომლი. თუ ოჯახში ორი ძმა არის, ამ ორის დაქორწინების შემდეგ ხდება უფროსი ძმის კომლიდან გასვლა და ახალი კომლის დაარსება. ძმებიდან, როგორც წესი, უფროსი გადის და უმცროსი რჩება დედ-მამის ოჯახში. გაყრილი ძმის ძირითადი ოჯახის წევრები საერთო ძალით სახლს აუგებენ და დაასახლებენ. გაყრის დროს კომლის ქონება კომლში შემავალ ვაჟიშვილებზე ნაწილდება. დედ-მამა და დები მხედველობაში არ მიიღებიან. „საუფროსო“ უფროსი შვილებისათვის აქ არ იციან. დანარჩენი ქონების გაყიდვის დროს დედ-მამას წილს დაუდებენ, ხოლო დებს – არა. ქალს ოჯახიდან ერგება მზითევი, ოჯახის შეძლების კვალობაზე.

საერთოდ, ლაზური კომლი შემადგენლობით მცირერიცხოვანია. ამას ლაზები ხსნიან რძლების (ოხრასულე) გაუტანლობით. არსებობს შემდეგი გადმოცემა: ჰემშანს საუბრის დროს ლაზი ეკითხება, თუ რამდენი სულისგან შედგება მათი ოჯახი. ჰემშანი უპასუხებს – 72 სულისგან. ლაზმა ამაზე შენიშნა:“ აბა, ერთი ლაზის ქალი წეიყვან რძლად და მაგ ხალხს სწრაფად დააქუცმაცებსო.“

ოჯახში სადიასახლისო საქმეები ბებიას აბარია. უკეთ რომ ვთქვათ, ოჯახში ქალთა შორის უფროსი ის არის, რომელიც წლოვანებით ხნიერია. ასევეა მამაკაცებშიც. ლაზი გლეხი მიწას მეტ შემთხვევაში

თოხით ამუშავებს. მიღებულია ყანის სამუშაოების ნადური წესი. ნადი ასე ეწყობა: სოფლის მთელი მოსახლეობა ერთ დღეს შველის სოფლის 2-3 პირს, შემდეგ მეორე წყება – 2–3 პირს და ასე მთელი სოფელი ურთიერთს ეხმარება. მიწის დამუშავება და დათესვა ერთსა და იმავე დროს ხდება. მიწას ჯერ ბალახს მოაცლიან, შემდეგ მოთოხნიან და ნათოხნში თესლს ჩაყრიან. მიწის განოყიერებას აქ თითქოს ადგილი არ აქვს. იციან მიწის დასვენება 4–5 წლით. ამ მიზნით სოფლის მიწები გაყოფილია 2 ნაწილად. ჯერ ერთი ნაწილი მუშავდება, შემდეგ – მეორე. ამ ხნის განმავლობაში პირველი ნაწილი ისვენებს. იმ მიწას, რომელიც 4–5 წლის დასვენებულია ანდა ახლად გაწმენდილია ტყისაგან, „აღრემი“ ეწოდება, დამუშავების შემდეგ ის უკვე „მოდულია“. აქ უმთავრესად თესავენ სიმინდს და და ბრინჯს.

ბრინჯისათვის ნიადაგს შემოდგომაზე ამზადებენ. ეს ხდება მანამდე, სანამ ბალახი თესლის დაყრას დაიწყებს: ბალახს მიწიდან ამოთხრიან და ყანის ერთ კუთხეში მოაგროვებენ. მარტის დასაწყისში დათესავენ. გაწმენდილ ნიადაგზე მოაყრიან ნელდიოს და შემდეგ „თოხით დაბარავენ“. ბრინჯის ყანის სამუშაოები ქალის საქმეა. სიმინდის თესვა მაისში იწყება ნადური წესით. ნადში მამაკაცებიც და დედაკაცებიც მონაწილეობენ. სიმინდი ითოხნება ორჯერ, ბრინჯიც ორჯერ იმარგლება. ადრე შემოდგომაზე ბრინჯს მომკიან, ამ სამუშაოში ქალებს მამაკაცებიც შველიან. მომკილ ბრინჯს შეკრავენ კონებად (კონა – ლაზ. ხეში). კონებად შეკრული ბრინჯი გოდრებით სახლში მიაქვთ. აქ მათ ან „ზვინებზე“ დგამენ და ისე აშრობენ, ან კიდევ სახლის ჭერზე. შუაცეცხლის ხემოთ ახმობენ. ბრინჯის აღების შემდეგ იწყება სიმინდის ტეხა. მოტეხილი სიმინდი გოდრებით მიაქვთ სახლში. იქ, სადაც ცხენი უდგება – ცხენით ეზიდებიან და თუ არა – ზურგით. სიმინდის მოსავალს მიწის ნაკვეთზე „ბსუმაით“ ზომავენ. ბსუმაი 30 ოყაა. მაგ. გლეხი იტყვის: „ეჩ ბსუმაიშ ფერი დობხანქი“ - 20 ბსუმაის ადგილი დავთესეო. შინ მოტანილ სიმინდს ნადის შემწეობით გაფურჩნიან. ამ შემთხვევაში ნადი უმთავრესად ბავშვებისაგან შედგება. გაფურჩნილ სიმინდს ბაგენში (ნალიაში) ინახავენ. როდესაც სიმინდი გახმება, მაშინ მას ჰალოს (სატკეცი ჯოხია, ერთ მხარეზე ეწრილი, ხოლო მეორე მხარეზე მსხვილი) დარტყმით დაცეხავენ. საფქვავი მსქიბუში (წისქვილში) მიაქვთ. აქ თითოეულ გვარს თავისი წისქვილი აქვს. ან კიდევ რამდენიმე გვარს ერთად – ერთი წისქვილი, რომელსაც რიგრიგობით იყენებენ.

ბრინჯს ლეწენ ეზოში ან შუაცეცხლთან სახლში: ჩამოყრიან ჭერიდან ბრინჯის კონებს, გაშლიან მიწაზე და ზედ არონიებენ ხარებს და ცხენებს. თუ მოსახლეს მუშა საქონელი არ ჰყავს, მეზობლისგან ითხოვებს. ლეწვის დროს ხარს პირზე ბადეს ამოაკრავენ: ბრინჯი არ შეჭამოს და მუშაობის დროს არ გაცდეს. გალეწილ ნელთიღს ონჩამურეში (საცეხველში) გაცეხვავენ. ჩვეულებრივად სოფელში რამდენიმე საცეხველია, რომელსაც სოფელი საერთო წესით იყენებს. ერთ ოჯახს წელიწადში 7–10 ფუთი, ზოგჯერ 15

ფუთი ბრინჯი მოსდის და ეხარჯება კიდეც. ბრინჯისაგან უმთავრესად აკეთებენ ფლავს, სუოლის (რძის ფაფა), კაფლამას (ფლავი ხორცით). იმ სოფლებში, სადაც სიმინდი წლის მანძილზე არ ყოფნით, მეზობელ სოფლებში ან ქალაქებში ყიდულობენ დანაკლისს.

ბოსტანში ლაზს მოჰყავს ლუჟუ (მხალი), ლობია (ლობიო), „ჭიჭამი" (პრასა), „ქინძი" „ღრამსო "(ოხრახუში), „კრომი" ან „სოღანი" (ხახვი) „შუკა" (კიტრი) და სხვა. ბოსტანი ჩვეულებრივად სახლთან ახლოსაა გაშენებული. ზამორისათვის ინახავენ წნილად: მხალს, კიტრს, ბადრიჯანს, ლობიოს და სხვა. ამათ ქვევრებში ჩაყრიან და ზედ წყალს ასხამენ და ასე ამჟავებენ. შესაძლებელია დაამჟავონ „ჯუმორი"-თ (ძმრით), როდესაც სურთ წნილი ადრე მოვიდეს.

იქ შემდეგი ხილეულია: „მცხული" (მსხალი), „უშქირი" (ვაშლი), „ანტამა" (ატამი), „ყურძენი" (ყურძენი), „ყომური" (ტყემალი) „მწკო" (წყავი), „ბრეწეული" (ბროწეული), „ჰაიკა" (კომში), „ლუღი" (ლეღვი), „მჟოლი" (მჟოლა) და სხვა. ლეღვისა და მსხლისაგან ამზადებენ „ლეჩეის" (მურაბას), აგრეთვე აკეთებენ „ხორშაფი"-ს (ჩირს). ყურძნისაგან კეთდება ძმარი და ბექმეზი („ჯუმორი" და „პეტმეზი"). მოკრეფენ თუ არა ყურძენს ჩაყრიან სუფთა ტომრებში. ტომრებს ჩადებენ ნავში, რომელსაც ძირში ნაჩვრეტი აქვს. შედგებიან ტომარაზე ფეხით და წნეხავენ (ბჭინახუა), ყურძნის წვენი ნავის ნაჩვრეტიდან ჩადის აქვე დგმულ ჭურკში (დიდ ქვაბში), დაწურვის შემდეგ დარჩენილს ლაზები ჭაჭას უწოდებენ. ჭაჭას წყალს დაასხამენ და კეთდება ჯუმორი. რამდენიმე დღის შემდეგ ჭაჭას გაწურავენ და მისგან გამოდენილ წვენს „ქოუფ"-ში ჩაასხამენ („ქოუფი" - ქვევრი) და ზომაზე, საჭიროების მიხედვით, შიგ ჩაყრიან მარილს და ჩააგდებენ პური ნატეხს, ან ცომს და ლურსმანს.[10]

ლაზები ყურძნის წვენს ინახავენ „ქუმეს" (ჩურჩხელის) გასაკეთებლად. ჩურჩხელების გაკეთება სავალდებულოა იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ქალი ჰყავთ სახლში და გარეთ (სიძისათვის მისართმევად განკუთვნილია თხილისგულიანი ჩურჩხელა), ჩურჩხელის დამზადების დროს ვარაუდობენ განსაზღვრულ რაოდენობას ოჯახის წევრებზე გასაყოფადაც.

ქუმესათვის შენახულ ყურძნის წვენს ლოყა (ბადაგი) ჰქვია. ამ წვენში გახსნიან პურის ფქვილს (დიკაშ მქირი), დადგამენ ცეცხლზე და ურევენ, დუღების შემდეგ დადგება ფაფად. ამ ფაფაში სამჯერ ამოავლებენ ძაფზე აცმულ თხილს, ნიგოზს და წიწიბოს. შემდეგ ახმობენ. გახმობის პროცესში პირველი დღე-ღამის განმავლობაში ჩურჩხელებს თბილად ინახავენ, ზეწარს დაახურავენ, რომ კარგად დაშაქრდეს (შემდეგ გასახმობად მზეზე გააქვთ. ჩვეულებრივ თხილის

[10] ცომისსპურის და ლურსმნის ჩაგდება ქვევრში მეტად საყურადღებო ფაქტია. ცომი და პური უთუოდ საფუარად არის განკუთვნილი, ის რაც ღვინის დაყენების დროსაც გვაქვს ჩვენ და რის ანალოგსაც პოულობს წოულების დაყენების წესში (ღომის დაღეჭვა და წყლითა სავსე კასრში ჩაყრა); ლურსმანი კი გამოყენებულია რძის დასამუშავებლად. წოულების გარდა ეს წესი დამოწმებულია XII საუკუნის ნინეთში. ლაზების განმარტებით მარილს იმიტომ ყრიან ქვევრში, რომ შარაბი (ღვინო) დადგეს.

ჩურჩხელები განკუთვნილია მისართმევად სიძისათვის და გასაყოფად, ხოლო ნიგვზისა და წიწიბოსი – ბავშვებისათვის).

„პეტმეზისათვის“ განკუთვნილ ყურძნის წვენს ჩაასხამენ ტავაში (დიდ ქვაბში) და ხარშავენ მანამ, სანამ გასქელდება. იმისათვის რომ, ეს მჟავე არ გამოვიდეს, შიგ ურევენ ნაცარს, გასქელების შემდეგ პეტმეზი მზადაა და მას ინახავენ სახამთროდ. მისგან ამზადებენ თერმონს, მაჯუნასა და ფაფას.

ლაზებს მეტწილად მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ. საშუალოდ ოჯახზე 2–3 ძროხა აუცილებელია. რძისაგან აკეთებენ კარაქს, აირანს (დოს), სუზმეს (ხაჭო), მეყვეის (მაწონი). კარაქი ასე მზადდება: აჭრილ რძეს ჩაასხამენ დერგულაში (კოკაა), ზემოთ მას ხის ხუფი ახურავს, რომელიც შუაში გახვრეტილია. ნახვრეტში გაყრილია ჯოხი (თუშურში ეწოდება ბრუნელი), რომლის ბოლოზე წამოცმულია ფიცარი. ბრუნელს ამოძრავებენ ზემოდან ქვემოთ. ერთი საათის მუშაობის შემდეგ შეიდღვებება კარაქი. კარაქს ამოიღებენ, დერგში დარჩენილ დოს - აირანი ეწოდება.

საქართველოს ფარგლებში არსებულ ლაზების სოფელში ამჟამად ციტრუსების მეურნეობა წინმავალი მეურნეობაა. თურქეთის ლაზისტანში ფორთოხალს საკმარისად დიდი ადგილი უჭირავს. ძველად ვახუშტის დამოწმებული აქვს ნარინჯისა და თურინჯის მეურნეობა.

ერთ-ერთ დამახასიათებელ საქმიანობას ლაზებისას მეთევზეობა შეადგენს. ადრე ლაზებს ფ ე ლ უ კ ი ს ნაცვლად ნ უ შ ი ჰქონდათ, რომელიც ასე კეთდებოდა: მოჭრილ ხის ტანს შიგნიდან ამოთხრიდნენ და ამით დადიოდნენ ზღვაში. ხელსაწყოდ ხმარობდნენ: ს ა ნ ბ ა ს (ხელით სასროლი ბადე), ს უ ლ ა კ ი მ ო ს ა ს (კამბულის ბადე) და „ანკეცს“ (ანკესი). ანკესს მჭედელი ამზადებდა.

საჩქათით იჭერენ შემდეგ თევზებს: ქაფშიას (ხამსა) და გრულაის (კეფალი). ნკესით – მურუნას (ფორინჯი). გარდა ამისა კ ა მ ა ნ გ ი ნ ი ით იჭერენ სპაროს. კამანგი ჩანგლის მსგავსია, რომელსაც ოთხი კბილი აქვს. სფაროსი ერთგვარი ბრტელი თევზია. სდაროსს იჭერენ ასე: ჯერ მედუზას დაბამდნენ ზღვის ნაპირზე, სადაც სფაროსი ეგულებათ. სფაროსს ძლიერ უყვარს მედუზა. როდესაც სდაროსი მივა და მედუზას წოვას დაუწყებს, ამ დროს მეთევზე დაკრავს მას ზემოდან კამანგს, თევზი წამოეცმება კამანგს.

გარდა ამისა, ლაზები თევზს ს ა რ გ ა ნ ა ს – ჭ ი ნ ო ს საშუალებით იჭერდნენ. ჭინო გრძელი ჯოხია, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: „დიბლუღი“ (საძირე ნაწილი), „შქუაგური“ (შუაგული) და „დორუჟლუღი“ (წვერა). დორულუღი წვრილი ჯოხია. მას მიაბამენ ძაფს, („ნოკეფუ“-ს), რომელსაც „ტონოს“ უწოდებენ. ტონოს ბოლოზე მიბმულია „მეტაქსი“ (აბრეშუმი ოქროს ფერად შეღებილი). მეტაქსი აგვისტოში სახმარებელი ღია ფერისა უნდა იყოს, ხოლო შემდეგი თვეებისათვის – მუქი. ამფრად შეღებილ აბრეშუმს თითო-თითო ძაფს გამოაცლიან და აკეთებენ „ტკომილას“ („ტკომილა“ ცერი თითის და საჩვენებელი თითის სიგრძეზე შემოხვეული აბრეშუმის ძაფებია). ამას რომ მოაბამენ მეტაქსას, ზღვის ნაპირზე დადგებიან და

ძაფმობმული ჭინას ზღვაში ისვრიან. მას ნელ-ნელა მოასრიალებენ, სარგანა, რომ დაინახავს ამ აბრეშუმს, ქაფშია ეგონება, დაედევნება და კბილით დაიჭერს. მას მეტად წვრილი კბილები აქვს. აბრეშუმი კბილებზე მოედება და ასე გამოათრევენ ნაპირზე. დღეში 10,20 და 100-მდე შეიძლება დაიჭირონ.

წინათ თითოეულ სათევზაო ნავზე მუშაობდა 6 კაცი, ამათგან ერთი ხელმძღვანელი (რეიზი) იყო. სათევზაოდ გასვლას, ნავის გარდა, სჭირდებოდა შემდეგი ხელსაწყოები: პაროპაოი, ანკესი, ხაჩმა და სხვა. უმეტეს შემთხვევაში ხელსაწყოები რეიზისა იყო და ის იღებდა ამით ქირას. შემოსავალი ასე ნაწილდებოდა: 2 წილი ფელუკას, 4 წილი – პარაბათს და ხუთი წილი მომუშავეთ.- სულ იყოფოდა 11 ნაწილად. თუ ხელსაწყოები რეიზის არ იყო, რეიზი ორ წილს იღებდა.

„დეფინას" (დელფინს) რუჯოთი (ერთლულიანი ჩახმახიანი თოფი) კლავდნენ, საათში 3-4 –ჯერ გაისვრიდნენ.

ლაზები თევზაობდნენ მდინარეებსა და ღელეებში. ასეთ თევზს „ლალიმ ჩხომი" (ღელეს თევზი) ეწოდება. მას გოდრით იჭერდნენ: ღარის მსგავსი დაწნული თხილის ხის წნელით. ღელეში თევზის საჭერად „ხულახიც" იხმარება. ხულახი მოქსოვილია ბადისებრ.

ხაჩმით ქაფშის დაჭერა ასე ხდება: ნავში 5 კაცი მუშაობს: რეიზი, მაშლაჯი (მემაშხალე), ეოექჯი და ორი სირაჯი. ეს ორი უკანასკნელი ნიჩბით მუშაობს და ნავი მიყავთ რეიზის მითითებით. მზის ჩასვლის დროს ხაჩმას ნავში ჩადებენ. ჩავა თუ არა მზე, ნავს წყალში ჩაუშვებენ. თუ მთვარიანი ღამეა, ნავი სანამ მთვარე არ ჩავა წყალში არ ჩაიშვება. მაშხალა ჯოხზე შემოხვეული ძონძია, რომელიც ნავთით არის გაჟღენთილი. რეიზი „კიჩზე" დგას (კიჩი ნავის უკანა ნაწილია) და დროგამოშვებით ფეხს არტყამს ნავზე. ფეხის ხმაზე, თუ იმ ადგილას ქაფშია არის, აიშლება, ზემოთ ამოცურდება და ცეცხლის ფერად მოედება წყალს, ამას ანჭი ეწოდება. გამოჩნდება თუ არა ანჭი, მაშლაჯი გამოჩნდება – მოიტანს მაშხალას იმ ადგილას მიანათებს. სინათლეზე ქაფშია გროვდება. ამ დროს რეიზი ხაჩმას გადაყრის იქით, სადაც ქაფშია მოგროვდა. ხაჩმა ჩაიძირება, რადგანაც მას ტყვიები ან ქვა აქვს მიბმული. რეიზი ხაჩმას ერთ მხარეს ხაჩქაროდ ამოწევს, ქაფშია ხაჩმას გაყვება და ვერ დაადწევს მას თავს. ასე შეიძლება 100–200 ფუთი ქაფშია დაიჭირონ. პარაბათით ჭერა ნაპირიდან ხდება, პარაბათის ორივე მხარეზე მიბმულია 200–200 მეტრი თოკი. ბადე დევს ნავზე და რომ დაინახავენ აჩქის, იმ ადგილას დაიწყებენ ბადის ჩაგდებას წყალში. ასე, რომ კეთდება წრე და თოკის მეორე ბოლო პირველზე 500 მეტრის სიგანის დაშორებით გამოაქვთ ნაპირზე. იქ, საიდანაც დაიწყეს ბადის ჩაყრა. ორი გემიჯი რჩება, დანარჩენი სამი – ნავში ზის, შემდეგ მეორე ორი – მეორე ნაპირზე გამოვა და ნავში მხოლოდ რეიზი რჩება და ქაფშიას უთვალთვალებს, მოექცა თუ არა ბადეში, თან ხელმძღვანელობს, რათა ორივე მხარემ თანასწორად გასწიოს ბადე ნაპირისაკენ და თან ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ქვაზე ან სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეზე ბადე არ მოედოს. დაახლოებით 1 1/2 საათში ბადე ნაპერწკა-გამოაქვთ და თუ მოყვა ქაფშია, მას ნავში ნაყრიან. ბადის შემწეობით ლაზები შემდეგ თევზებს იჭერენ: ჭაფალა, ღორჯო, ფორწო, ქვანხომი, ლაბუ, სარგანა, კონკუბლული და სხვა.

ლაზები ლეფინაშიაღის გარდა იყენებენ მუთიკისა და ყარაგიოზის (თევზებია) ზეთს. ნადირობის უძველეს ხერხებს განეკუთვნებიან: „რაგი", „ირეკი", „ლუნადი", „ნეჭვი", „ოპიჯე" და სხვა.

მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეთევზეობასა და ნადირობასთან ერთად, ლაზებში ფართოდ არის წარმოდგენილი ხელოსნობა. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ მთელი სოფელი მხოლოდ ერთი ხელობის მცოდნე პირებითაა დასახლებული. მაგ., სოფ. ორჯა. ამ სოფელში თითქმის ყველა დურგალია. სოფ. ხოფარა და ახლადაში მცხოვრებლები უფრო მეტად ვაჭრობას მისდევდნენ და, ნაწილობრივ, მენავეობასაც. ლაზებს შორის ასევე ცნობილია ქვაზე მომუშავეები, მეხაბაზეები და სხვა. სხვათა შორის ლაზებში მღებავობაც არის ცნობილი. აქ აბრეშუმი იღებება ოქროსფრად შემდეგი საშუალებით: აბრეშუმს მოხარშავენ, გარეცხავენ და ნადებენ „შემპიან" (შაბიან) წყალში. შაბიანი წყლიდან ამოღების შემდეგ, აბრეშუმს ფერად წყალში ნადებენ. ფერადი წყალი ნახარშია: გტკეი უშქარიშ კაბალი (გარეული ვაშლის კანი), ხახვის კანისა და „ცქიპილი" ბალახისა.[11]

ლ ა ზ ი რ ი ს ა ხ ლ ი

სოფელ სარფში ლაზური სახლი ნახევრად ორსართულიანია. აქ იციან შუა ცეცხლი, სადაც დაგებულია კერა (ლაზურად კირა). კერის ზემოთ დაკიდებულია კრემული (ჯაჭვი) ქვაბის ჩამოსაკიდებლად. მთელი რიგი ჭურჭელი იქ არის მოთავსებული, სადაც შუაცეცხლია. ამას სახელად ოხო (ოხორი) ეწოდება. ოხორი ამ ადგილსაც ეწოდება და მთლიანად სახლსაც. საღამოს ოჯახის წევრები ოხორ-ში იკრიბებიან შუაცეცხლთან. ოთახებში მხოლოდ ძილის დროს შედიან. სახლები აქ უმთავრესად წაბლის ხისგან არის გაკეთებული. სახლის პირველი სართულის ნახევარში საქონელია მოთავსებული, რომელსაც ახური ეწოდება. იქ, სადაც შუაცეცხლია, ჭერზე ხეებია გადებული, რომ მათზე კონები დააწყონ გასაშრობად. სახლის პირველი სართულის კედელი ქვისაა, მას მესხონი და კანადი ეწოდება. შუაცეცხლის გვერდზე ოთახია, რომელსაც „ეან-ოდას" (გვერდის ოთახი) უწოდებენ. არის კიდევ დიდი ოდა (დიდი ოთახი), რომელიც სასტუმროდ იხმარება. მას ბუხარი აქვს; ბუხრის საკვამლე მილის თავს „ბაჯა" ჰქვია, ხოლო ბუხარს – „ოჯაქლული".

[ალი თანთ ოღლის[ნაშრომის მიხედვით მოყვანილი ლაზური სახლის აღწერილობა ნაკლოვანია ყოველ მხრივ. მასში გარკვევით

[11] ამ თავში მოყვანილი ცნობები უმთავრესად ამოღებულია ა ლ ი თ ა ნ თ ო ღ ლ ი ს ნაშრომიდან: ისტორიული და ეთნოგრაფიული ნარკვევები ლაზთა (ჭანთა) ყოფა-ცხოვრებიდან (ხელნაწერი) გვ. 69-76. დაცულია საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული არ არის სახლის ძირითადი ნაწილები. არ არის გარკვევით მოცემული მისი გეგმის შემადგენელი ნაწილები, არ არის აღნიშნული გარკვევით ფუნქცია სახლის შემადგენელი ელემენტებისა.

მიუხედავად ამისა, ის ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის სახლის იმ ტიპზე, რომელსაც ჩვენ უკვე ერთი ხანი ლაზურს ვუწოდებთ.

სახლის ეს ტიპი ჩვენ დადგენილი გვაქვს იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც შეგროვებულია ჩვენ მიერ აჭარისა, ხანის-წყლის ხეობაში, ქობულეთსა, მესხეთსა და თრიალეთში. განსაკუთრებით სახლის ამ ტიპზე ჩვენი ყურადღება შეჩერდა ორ შრომაში: „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში“ და „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ხანის-წყლის ხეობაში“. ეს ტიპი დადგენილია აგრეთვე, ლიტერატურის მონაცემების მიხედვით (ბაუმჰაუერი, ვანდენბაუმი, მარი და ა.შ.).

ლაზური სახლის ძირითადი უძველესი ხანიდან მომდინარე ელემენტებია: 1. სწორფერდა ოთხკუთხედი გეგმა; 2. შუაცეცხლი; 3. კარის ადგილი კედლის ცენტრში და ერთსართულიანობა. ეს ელემენტები დამახასიათებელია ამგვარადვე ჯარგვალი სახლის ტიპისათვის. მართლაც ჯარგვალი ხასიათდება თანაბარგვერდიანი ოთხკუთხა გეგმით. შუაცეცხლით, კარით კედლის ცენტრში და ერთსართულიანობით. რაც შეეხება სახურავს, იგი შეიძლება აფრიანი ანუ ორფერდა იყოს და უმეტეს შემთხვევაში ის ამ სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მაგრამ ლაზური სახლის ამ ძირითად თავდაპირველ ელემენტებს გარდა, მოეპოვება რიგი ელემენტებისა, თანდათანი განვითარების გზით შემდეგში შეძენილი.

ერთ ასეთ, შემდეგში შეძენილ, ელემენტს ლაზური სახლის ორსართულიანობა წარმოადგენს.

ლაზური სახლის ორსართულიანი სახეობა დაკავშირებულია მთის მეურნეობის პირობებთან. იგი მთის ზოლის პირობებშია შექმნილი, რამდენადაც ამ ზოლის მეურნეობა ნაგებობებს ერთ ჭერქვეშ აქცევს და ვერტიკალურ განზომილებებში იშლება. წინააღმდეგ ამისა, ბარის პირობებში წარმოქმნილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი რამდენიმე ერთეულის სახით და ჰორიზონტალურ განზომილებაშია მოცემული. ამ წესს ემორჩილება ლაზური სახლის „ორთვლიანი“ სახეობაც; აქაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიანეთში სახლი ისეთ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ერთ ჭერქვეშ მოათავსებს ადამიანის საცხოვრებელსა და საქონლის სადგომს, ადამიანის მარაგისა და საქონლის მარაგის საცავს. ამ მხრივ პრინციპული ერთიანობაა დაცული როგორც ხევსურის, ისე ლაზის მთის ზოლის სახლის ტიპებში.

მაგრამ, თუ ჩვენ პრინციპში ერთგვარობა გვაქვს მოცემული ხევსურულ სახლსა და ლაზურ ორსართულიან სახლებში, ამ სახლების ორსართულიანობა წარმომდგარია განსხვავებული გზით.

ლაზური სახლის ორსართულიანობა წარმოშობილია უკვე არსებული პირველი სართულის ქვემო ნაწილის (ბოკონი, სვეტები)

თანდათანი ამაღლების მეოხეობით, რომელსაც თანდათან კედლებიც გაუჩნდა. ამის შედეგია, რომ სახლის პირველი ერთადერთი სართული მეორე თვალად გადაიქცა და სახლიც მთლიანად ორსართულიანი შეიქმნა. ამას თუნდაც ისიც მოწმობს, რომ ლაზურ „ორთვლიან“ სახლს. მეორე სართულზე ასასვლელი შინაგანი კიბე იშვიათად აქვს მეორე სართულზე ასასვლელი გარეშე კიბის შემწეობით ხდება. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ მეორე სართული, სახლის გეგმის ნაწილების მიხედვით, მხოლოდ ადამიანთა სადგომად არის განკუთვნილი. წინააღმდეგ იმისა, რასაც ადგილი აქვს ხევსურული სახლის ჭერხოში, სადაც უმთავრესად ადამიანის და საქონლის მარაგია მოთავსებული.

სხვაგვარად უნდა იყოს შექმნილი ხევსურული სახლის მეორე სართული.

ხევსურული სახლი თავისი გენეზისით მომდინარეობს ერთსართულიანი ბანიანი სახლის ტიპიდან, რომელიც მიწაში იყო ამოყვანილი. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას სართული პირველ სართულზე მცირე სართულის დადგმით შეიძლებოდა გასჩენოდა. ამას სახლის გეგმის ნაწილებიც აშკარას ხდის და კონსტრუქციის ელემენტებითაც დასტურდება. მაგ., ხევსურულ სახლს ახასიათებს ეგრეთწოდებული კულა ქვის სვეტი, რომელიც სახლის სახურავს იჭერს. იგი იწყება ქვედა სართულის „ქაზდარაზე“ და მეორე თვალის ჭერამდე ადის. ამგვარი საყრდენი ქვემო სართულიდან ამოსული ლაზურ სახლს არ გააჩნია. მეორე გარემოება დაკავშირებულია ხევსურული სახლის „დარანთან“. დარანი საგანგებოდ ქვით ნაგები თაღიანი ნაგებობაა, რომელიც პარალელურად ჩასდევს ხევსურული სახლის „ლიბუს“. დარანი განკუთვნილია იმისათვის, რომ სახლის ლიბუს ააცილოს ნიადაგის წყლები, რომლებიც დარანში უნდა გადიოდნენ. ამგვარი განსაკუთრებული ზრუნვა გამოწვეულია იმით, რომ პირველი სართული ღრმად ზის მიწაში, ამის გამო იგი ახლოა ნიადაგის წყლებთან და თუ არა განსაკუთრებული ღონისძიება – სახლს წყალი ზიანს მიაყენებს. ამ პირობებში სახლის მეორე სართულის პირველ სართულზე დადგმა – წარმოშობილობა სადავო საკითხად არ შეიძლება იყოს მიჩნეული.

ბ უ ხ ა რ ი. ლაზური სახლის როგორც ერთსართულიან, ისევე და უფრო მეტად ორსართულიან სახლებში ცეცხლის ადგილი გადანაცელებულია ცენტრიდან კედლისაკენ ან კიდევ კედელთანაა მოთავსებული. ორსართულიან სახლში სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. არსებითად შუაცეცხლი ერთსართულიანი სახლებისთვისაა დამახასიათებელი. იგი ცენტრშია მოთავსებული იმდენად, რამდენადაც აქიდან არის შესაძლებლობა ბოლი გარეთ გავიდეს. სახლის ორსართულიანობა ამ შესაძლებლობებს სპობს. ამიტომ კერა კედელთან გადადის, რომ სახლის სარკმელი მიუახლოვდეს ბოლის მოძრაობის გასაადვილებლად. ასეა ეს ხევსურულ სახლშიც. სახლის ორთვალიანობის გამო, ხევსური ქვემო თვალიდან ბოლის გარეთ გასაყვანად

საგანგებო ხერხს იყენებს. იგი ქვემო თვალს იმგვარად აშენებს, რომ ამ სართულის უკანა კედელი დაბალია წინა კედელთან შედარებით, რაც ხელს უწყობს ბოლის დენადობას კარებისა და სარკმლებისაკენ, მისი გარეთ გაყვანის მიზნით.

ლაზურ სახლში, ეგრეთ წოდებულ ხულა-სახლებში, კერა გადანაცვლებულია კედელთან. აქ კერის ადგილი ბუხრითაა (ოჯაღლულ) შენაცვლებული, ამდენად და ამის გამო კერასთან დაკავშირებული სარიტუალო დანიშნულების მოვლენები ბუხარზე და მის გარემოცვაზეა გადატანილი. ამით აიხსნება ბუხრის ქამრის შემკულობა (სიცოცხლის ხე, ცხოველები და სხვა). ისევე როგორც რიტუალური მნიშვნელობის მქონე ბუხრისათვის და მათი გვერდების შემკულობა. ამ მხრივ, აქ წარმოდგენილი სიუჟეტების ანსამბლი კანკელის შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ბუხრისა და მისი გარემოცვის შემკულობის სიუჟეტებს შევხებოდით და მათი მნიშვნელობა დაგვედგინა[12].

ამჟამად ჩვენ არ ვეხებით თავისთავად მეტად მნიშვნელოვან საკითხს – ბუხრის წარმოშობას. ოღონდ აღვნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში კულტურის ამ მონაპოვრის წარმოშობის ორი ცენტრია აღიარებული. მეორე ცენტრად კავკასიაა დასახელებული. ლიტერატურაში წამოყენებულ აზრს სხვაგვარი დასაბუთება ესაჭიროება, და არა ისე, როგორც ეს Fr. Nopsca -ს ნაშრომშია.[13]

ლ ურ ს ი ა ნ ი ს ა ხ ურ ა ვ ი. ლაზურ ორსართულიან სახლს, როგორც წესი, ლურსიანი სახურავი აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში სახურავის ეს ტიპი ცნობილა ტერმინით Walmdach. ამ უკანასკნელის წარმოშობის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთი მოსაზრებით სახურავის ეს ტიპი წარმოშობილია შუა ევროპაში და აქედან გავრცელებულია სხვა მხარეებში.[14]

მეორე მოსაზრებით, ეს სახურავი ლაზების ნაგებობებისათვის არის დამახასიათებელი და აქ არის წარმოშობილი. [15]

შეიძლება თუ არა ამ უკანასკნელი აზრის დამტკიცება ჩვენი ნაგებობების მონაცემების საფუძველზე. არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ სახურავის ეს ტიპი გამომუშავებულიყო შინაგანი განვითარების გზით იმ სახურავების ტიპებიდან, რომლებიც ჩვენშია მოცემული?

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული სახურავები შემდეგ ძირითად ტიპებს განეკუთვნებიან: 1. ბ ა ნ ი ა ნ ი (იგივე მოწური) და მისი ერთ-ერთი სახეობა გვირგვინიანი სახურავი; 2. კ უ ნ ჭ უ ლ ი ა ნ ი; 3. ა ფ რ ი ა ნ ი და 4. ლ ურ ს ი ა ნ ი. ამათგან ბანიანი აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სახურავის ტიპს წარმოადგენს. იგი შეგუებულია აქ არსებულ გეოგრაფიულ პირობებს.

---

[12] იხ. სიცოცხლის ხე ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ.X

[13] რ. ო ც ხ ა ბ ა, ლბანიენ აუბენ, ორიგუჰტენუმ გეოგრატენ, ბ.ბ, 1929.

[14] Fr. Hocspa დასახ. ნაშრომი. გვ.29

[15] რ. ა უ მ ჰ ა ე უ ერ, დასახ. ნაშრომი. გვ.48

კუნჭულიანი, აფრიანი და ლურსიანი სახურავები დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ამათგან კუნჭულიანი თავდაპირველად ფაცხა-სახლის კონსისტურ სახურავს წარმოადგენდა და შემდეგ ლაზურ სახლსაც გაუნდა. აფრიანი სახურავი გვხვდება ჯარგვალზე.

მაგრამ თუ ჩვენ დავაკვირდებით სახურავის ზემოთ დასახელებულ ორ სახეობას – კუნჭულიანსა და აფრიანს, და გავითვალისწინებთ ლურსიანი სახურავის კონსტრუქციას, აშკარა გახდება, რომ ლურსიანი სახურავი ამ ორი სახურავის კონსტრუქციული ელემენტების შეერთებიდან არის წარმომდგარი.

ამგვარად, სავსებით შესაძლებელია, რომ ლურსიანი სახურავი ჩვენში არსებული ფაცხის კუნჭულიანი სახურავისა და ჯარგვალა სახლის აფრიანი სახლის სახურავიდან იყოს წარმოქმნილი. ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობა ჩვენ გვქონდა ხანის წყლის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების სახეების განხილვის დროს.[16]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლაზური სახლის ჭერი || ყუბეს საკითხი. მას შემდეგ, რაც ლაზურ სახლს ბუხარი გაუნდა, რაც ცეცხლის ადგილმა გადაინაცვლა, – საჭიროება სხვენის მოწესრიგებისა წარმოიშვა. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თანადათანობით წარმოიშვა აფიცრული ჭერი. მაგრამ ვიდრე ჭერი ამ სახეს მიიღებდა, მას გრძელი გზა უნდა გაევლო. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სახურავის ყველა ფორმა, ვიდრე ფიცრული ჭერის სახეს გამოიმუშავებდნენ;

თუ ჭერს || ყუბეს დავაკვირდებით, მის კონსტრუქციას შეეის წავლით – ადვილად მივხვდებით, რომ ამ სახლებში ჩვენ ის პრინციპი გვაქვს მოცემული, რომელიც გვირგვინიანი სახურავის აღნაგობას ახასიათებს. მართლაც ჭერი||ყუბე ძირითადად წარმოადგენს ოთხკუთხედ წყობას, რომელიც ასევე ოთხკუთხედი წყობის სახით თანდათან მცირდება და ზემოთ ადის, ასე, რომ, იატაკზე მდგომს, ჭერის შემყურეს, გვირგვინის შთაბეჭდილება რჩება. ლაზებისათვის ეს კონსტრუქცია სპორადულ გაკვლენას არ წარმოადგენს, არამედ იგი გვხვდება ჩვენ ლაზების მიერ აგებულ სახლებშიც, სასახლეებში და ჯამეებში. ამის მაგალითია ზუგდიდის სასახლე დადიანებისა, ჯამე – მლაშეში (ქვაბლიანის ხეობა), მესხეთში, ბობოყვათის ჯამე (ქობულეთში) და სხვა.

საიდან უნდა გაჩენოდა ლაზებს ეს კონსტრუქციული ელემენტი? ლაზებში და საერთოდ დასავლეთ საქართველოსათვის სახურავის ეს ტიპი უცნობი უნდა ყოფილიყო და ამდენად უცხოც.

ახალი მასალის გაცნობა სხვაგვარ ვითარებას იძლევა. დავიწყოთ შორეული მაგალითის დასახელებიდან. 1927 წელს ჩვენ შემთხვევა გვქონდა დაგვედასტურებია ქართლში, სოფ. რუისში მიწის ზემოთ მდგარი ხის ნაგებობა, რომელიც გლეხური დარბაზის პრინციპებზე

[16] გ. ნიტაიას ნაშრომი ხანის-წყლის ხეობის სახოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ხელნაწერი, მიკვლეული არ არის. [თ. ც.]

იყო აგებული. გამოკითხვის გზით გაირკვა, რომ ამ შენობის ამშენებლები იმერლები იყვნენ. ეს ფაქტი ჩვენ საგულისხმოდ მიგვანნაია იმდენად, რამდენადაც დასტურდება ხის ნაგებობა დარბაზული ტიპისა მიწის ზემოთ. თავისთავად საყურადღებოა ისიც, რომ მშენებლები იმერლები ყოფილან, რაც შეიძლება მოწმობდეს დარბაზული ტიპის ტრადიციის არსებობაზე იმერეთში, მაგრამ, ჩვენ ამ მიმართულებით არ გავაგრძელებთ მსჯელობას, ვინაიდან ის მოითხოვს მეტს საბუთიანობას, ვიდრე რუისის ერთ-ერთი ფაქტია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სხვადასხვა ტომების მოსაზღვრე ლიმიტროპულ ზოლში ეთნოგრაფიებს ჯერჯერობით არ უმუშავიათ, რომ გაერკვიათ ურთიერთზე გავლენა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ გვირგვინიანი სახურავის აგების პრინციპი შეიძლება იყოს დაკავშირებული აფრიანი სახურავის პრინციპთან, როგორც ამას ადგილი აქვს „ქორგინტის“ სახურავის აღნაგობაში.

რაც შეეხება საკუთრივ დასავლეთ საქართველოს, აქ დარბაზული სახურავის პრინციპის არსებობა, ჩვენის ფიქრით მოწმდება ძველი ცნობით, რომელიც რომაელ არქიტექტორს ვიტრუვის ეკუთვნის.[17]

„У народа колхов в Понте вследствии изобилия лесов кладут прямо на землю по правую и левую сторону целые бревна, оставив между этими двумя рядами расстояния равные длине бревен; затем на обоих концах этих рядов кладут поверх два других ряда поперек; таким образом окружается пространство жилища, лежащее посреди. Затем Колхи на четырех сторонах попеременно на двух противолежащих - покладывают бревна, соединяя углы и образуют стены, и кверху отвесно от основания возводят избы, а промежутки, которые остаются между бревнами благодаря толщины материала, они заделывают щепками и глиною. Точно также укорачивая концы поперечных балок и суживая их постепенно в виде уступов, они возводят крышу с четырех сторон кверху и образуют в середине пирамидообразную верхушку, которую они покрывают листвой и глиною, и таким грубым способом строят сводчатые крыши своих изб“.

„პონტოში მცხოვრები კოლხთა ტომი, ტყის სიჭარბის გამო, მიწაზე დებს მთლიან ძელებს მარცხნივ და მარჯვნივ ერთიმეორისაგან იმ ზომაზე, დაშორებით, რა ზომის ხეებიც მოეპოვებათ. შემდეგ ამათ ბოლოებზე სხვა ხეებს გასდებენ გარდიგარდმო შენობის შიგნით არის შესაკრავად. ამის შემდეგ, ერთიმეორეზე დადებული ძელების შემწეობით კრავენ კუთხეებს, ქვემო ხეების შვეტად აჭყავთ კედლები და მით აგებენ კოშკებს; ხეების სისქის გამო დარჩენილ ღრიჯოებს ავსებენ ნაფოტითა და თიხით. ისინი (კოლხები) ასევე აგებენ სახურავებსაც: გარდიგარდმო კვანტებს ბოლოებს აკვეთავენ, გადააჭდობენ მათ იმ რიგზე, რომ თანდათან ავიწროებენ და ამგვარად აჭყავთ ოთხივე მხრივ ზემოთ პირამიდულად და ფარავენ მათ ყარტითა და თიხით. ამგვარი ტლანქი წესით კოშკებზე კარვისებურ სახურავს აგებენ“.

[17] ტექსტი მოგვყავს Ламышев-ის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიტრუვის ზემოთ მოტანილი ციტატა=
ადვილი მისახვედრი როდია. პირიქით, ტექსტი რიგ სიძნელეებს
შეიცავს, რომელთა დაძლევა შესაძლებელი იქნება ვიტრუვის
კრიტიკული გამოცემის შემდეგ. ამჟამად ჩვენ ხელთ არის ლატიშევის
მიერ მოტანილი ვიტრუვის ციტატა. ლატიშევის გამოცემაში და-
ბეჭდილი ლათინური ტექსტის რუსულ თარგმანში „ტურრეს“ თარგ-
მნილია „избы“-ო, ხოლო გერმანულ თარგმანებში „კოშკად“. ლა-
ტიშევის გამოცემის მიხედვით არ ჩანს, თუ რა საბუთიანობა მოეპოვება
მთარგმნელს ტერმინის ასეთი თარგმანის შესახებ. ახალ რუსულ
თარგმანში (1940) ეს ტერმინი ისევ თარგმნილი, როგორც გერმანულ
თარგმანებში

ამჟამად ჩვენი ინტერესებისათვის საკმარისია ტექსტის
ის მითითება, რომელიც სახურავის აღნაგობას შეეხება. ეს ჩვენება
იმ ხასიათისა, რომ სახურავი პირამიდული ყოფილა და რომ იგი
ეგებოდა ოთხკუთხედის თანდათან დავიწროებით მეორე მხრით,
კედლების აყვანის წესის მიხედვით სავსებით აშკარაა, რომ ეს სახლი
ჯარგვალი სახლის აგების ტექნიკას ამოწმებს. და მესამედ, აგრეთვე
ისიც, რომ სახლი თავისი გეგმით თანასწორგვერდიანი ოთხკუთხედია.

ამგვარად დასტურდება, რომ ლაზების მიწა-წყალზე კოლხეთში
გვირგვინიანი სახურავით ჯარგვალი სახლი არსებულა ჯერ კიდევ
ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში. სახურავის აგების ეს კონს-
ტრუქცია შემდეგ ხანებში გადაგვარებული სახით ლაზურ სახლს
ჭერისწყუბეს სახით წარმოაჩნდა. ამ შემთხვევაში გასათვალის-
წინებელია ის გარემოებაც, რომ შეიძლება არსებულიყო მთლიანად
ხის დარბაზული სახლი, რომელიც რუისში იქნა დადასტურებული
და რომლის ანალოგს ვიტრუვის მიხედვით კოლხური სახლი
წარმოადგენს.

ცნობილია, რომ საქართველოში დარბაზული სახლი გავრცე-
ლებული იყო ბოლო ხანებამდე ქართლში, ფშავში, მესხეთში.
აღსანიშნავია ისიც, რომ გვირგვინიანი სახურავი დამოწმებულია
სულის კოშკებზე ხევსურეთსა და ფშავში. ამგვარ სახურავს იცნობს
აგრეთვე მცირე აზიის ძველი კულტურა. იგი დადასტურებულია,
სულ მცირე, VIII საუკუნით ჩვ. წელთაღრიცხვამდე.[18]

ზემოთ მოყვანილი აზრის შესამაგრებლად, რომ ჩვენ ვიტრუვის
მიერ აღწერილი კოლხური ჯარგვალი სახლის სახურავი „გვირგ-
ვინიანი სახურავის“ ტიპს წარმოვიდგენდეს, – შეიძლება აქ
დასახელებული იყოს ზოგიერთი მკვლევარი, სახელდობრ, r. Plaetschke
რომელიც თავის წიგნში საგანგებოდ ჩერდება ვიტრუვის აღწერი-
ლობაზე და ამ სახლის სახურავს დარბაზული სახლის სახურავად
მიიჩნევს.

გვირგვინიანი სახურავის არსებობა კოლხიდაში, ისიც ჯარგვალი
სახლის ტიპში, საყურადღებოა არა მარტო თავისთავად, არამედ
სხვა ფაქტებთან დაკავშირებითაც.

---

[18] V. Muller, Types of Mesonotamian Hauses. IAOS. 1940, 2. გვ. 33

„ჯარგვალი სახლის“ ტიპის საკითხისათვის. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ლაზური სახლის ძირითადი, ადრინდელი ელემენტები. გაირკვა, რომ ლაზური სახლის ძირითად, ადრინდელი წარმოშობის ელემენტებს განეკუთვნებიან სახლის გეგმის სწორფერდა ოთხკუთხედიანობა, შუაცეცხლი, კარი კედლის შუა ნაწილში გაჭრილი და ერთსართულიანობა. ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ლაზური სახლი იმ სახით, როგორადაც დღეს ჩვენ მას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვადასტურებთ, – ჯარგვალი სახლის ტიპიდან მომდინარე ჩანს და მის შემდგომ განვითარებას წარმოაჩენს.

ადრე სახლების კლასიფიკაციის დასადგენად საფუძვლად სახლის სახურავის აღნაგობა გვქონდა მიღებული. ამის მიხედვით დადგენილი იყო შემდეგი სახლის ტიპები: ბანიანი სახლი (გვირგვინიანი ვარიანტით), კუნჭულიანი, აფრიანი და ლურსიანი სახლები. ეს კლასიფიკაცია არსებითად დაყოფის პრინციპის მიხედვით უცვლელი რჩება. მაგრამ, რადგანაც სამეცნიერო ახალ ლიტერატურაში სახლების კლასიფიკაციის ახალი პრინციპია წამოყენებული – ურიგო არ იქნება გავეცნოთ ამ პრინციპს და ჯარგვალი სახლის ტიპის გასარკვევად გამოვიყენოთ.

წინა აზიის ძველი კულტურის ნაგებობათა ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგით მრავლადაა ცნობილი. იმ მიზნით, რომ ამ მასალის დამუშავებაში გარკვეულობა იქნეს შეტანილი, დადგენილია ნაგებობათა შემდეგი ძირითადი ელემენტები: ნაგებობის ფარობის გეგმა, ცეცხლის ადგილი და კარის ადგილი. ამ ელემენტების მიხედვით კლასიფიცირებულია ძველი ნაგებობები: საკულტო შენობა, სასახლე თუ საცხოვრებელი ბინა. ეს პრინციპი თავდაპირველად S. Andrae-მ წამოაყენა.[19]

ბოლო ხანებში იგი ნაყოფიერად გამოიყენა, ახალ მასალებზე დაყრდნობით V. Muller -მა.[20] იგი ძველი აღმოსავლეთის კულტურაში ადგენს საცხოვრებელი ნაგებობის სამ ძირითად სახეობას: პირველი ნაგებობა, რომელიც გრძელი ოთხკუთხედი გეგმითაა წარმოდგენილი, კერა ვიწრო კედელთან აქვს მოწყობილი და კარი გრძელი კედლის კუთხესთან აქვს გაჭრილი. მეორე ნაგებობა, რომელიც გეგმით აგრეთვე გრძელი ოთხკუთხედია, მაგრამ კარი გაჭრილი აქვს ვიწრო კედელში, ხოლო კერა კარის მოპირდაპირე კედელთანაა გამართული. მესამე, ნაგებობა, რომელიც სწორგვერდა ოთხკუთხედი გეგმისაა, კერა ცენტრშია მოთავსებული და კარი კედლის შუაშია გაჭრილი.

Muller-ის მტკიცებით, სახლის პირველი ტიპი სემიტური მოდგმის ხალხებისათვის არის დამახასიათებელი, ეს მის ხასიათს შეესაბამება, მეორე – ინდოევროპული ჩამომავლობის ხალხებისთვის, ხოლო მესამე – არა სემიტური და არა ინდოევროპული ჩამომავლობის, ეგრეთ წოდებული აზიანიკური, ჩვენი ტერმინოლოგიით ქართველ-კავკასიელ ხალხებს ეკუთვნის.

---

[19] S. Andrae Da gotteshaus und die urformen des Bauen im alten Orient Lpz. 1930

[20] V. Muller, Types of Mesopotamian Hauses, IAOS, 1940, #2, 77.

ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს სახლის პირველი ორი ტიპის ეთნიკური წარმოშობის საკითხი, მიულერის მოსაზრებებიც საჭიროებენ ცალკე განხილვას. ჩვენთვის საყურადღებოა სახლის ის ტიპი, რომელიც აზიანიკური ხალხებისთვის დამახასიათებელი ჩანს. თუ ჩვენ მოვიგონებთ ამ ტიპის მახასიათებელ ელემენტებს: სწოროთხკუთხედიანობა, შუაცეცხლი კარის კედლის ცენტრში - ამ ტიპის სრულ ანალოგიას ვპოულობთ ჯარგვალი სახლის ტიპში, ამგვარადვე ანალოგია მოწმდება გლეხის სახლის დარბაზულ ტიპში, ასე რომ ჯარგვალი თუ დარბაზული სახლის ძირითად ელემენტებს ანალოგები მოეპოვებათ წინა აზიის აზიანიკური მოსახლეობის სახლის ტიპში.

ზემოთქმულს ის გარემოებაც ერთვის, რომ გვირგვინიანი სახურავი შუაცეცხლთან ოთხკუთხედი გეგმის სახლისათვისაც დამახასიათებელია, მიულერის მიერ დასახელებული მაგალითები: კაპადუკია, სომხეთის ზეგანი და ირანი – ამასვე ადასტურებენ. მისი აზრით ამ ტიპის წარმოშობა კაპადუკიის სამხრეთის ზეგანს უნდა დაუკავშირდეს.[21]

Muller-ს მოჰყავს, სხვათა შორის, Herzfelt-ის შეხედულება იმის შესახებ, რომ მუსასირის ტაძრის სახურავი პირამიდულია.[22]

ამგვარად გაირკვა, რომ ჯარგვალი სახლის ტიპი ექცევა სახლის იმ ტიპში, რომელიც დამახასიათებელია აზიანიკური მოსახლეობისათვის.

საგულისხმოა თვით სახელწოდება ჯ ა რ გ ვ ა ლ ი. ეფიქრობთ, რომ ჯარგვალი არ უნდა წარმოსდგებოდეს ჯა და მრგვალისაგან, როგორც სხვები ფიქრობენ. ეს ახსნა უთუოდ ხალხური ეტიმოლოგიზირებაა. ჩვენი აზრით, ამ ტერმინში მოცემულია სიტყვა ჯ ა რ, რაც წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვა ჯ ა ლ (ჯა-ჯალ-ეფი)-იდან და აღნიშნავს ხეს, ხოლო მეორე ნაწილია გ ვ ა ლ. ეს სიტყვა, გვალ, სვანურში დღემდე შემონახულია. ასე ეწოდება სახლის, სვანური ქორის ქვემო სართულის – მაჩუბის იმ ნაწილს, სადაც საქონელია მოთავსებული, ხოლო იმ ნაწილს, სადაც კერა და ადამიანის სადგომია, ეწოდება სგირ შინა. სვანური გვალის შესატყვისები მოეპოვება ქართულ გომ-ისა, გომურის სახით. ქართულში გომური საქონლის ბაკია, სომხურში - შემორაგული საქონლისათვის, საცხვარე. ამგვარად ჯარ – გვალი აღნიშნავს ხის ნაგებობას, ისევე როგორც იმავე სვანურში ჩვენ გვაქვს ზე-ქრა=ხის ქორ- გვალ-ი, ჩვენი აზრით, სიტყვების იმავე წყებაში, რომელიც განმარტებული იყო ჩვენ მიერ ნაშრომში „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში: ხულა, ხოლ, ქორ, ქელ, გალ და სხვა“.

[20] Muller, დასახ ნაშრომი. გვ. 34
[21] Muller, დასახ ნაშრომი. გვ. 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე კავკასიის ხალხთა წარსულის შესწავლამ სისტემური და ვეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. ამ წლების განმავლობაში სახოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალ დარგში სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ დიდად წაიწია წინ და დღეისათვის ამ ხალხთა ისტორიის ზოგიერთმა ძირითადმა პრობლემამ, რომელიც რევოლუციამდელ პერიოდში გადაუჭრელი ან არასწორად გადაწყვეტილი მოჩანდა, მიიღო მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა და შესაბამისი გაშუქება.

I

კავკასიათმცოდნეობის დარგში ჩვენი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო ნათელი ხდება კავკასიის მნიშვნელობა და მისი როლი კულტურის ისტორიაში, ირკვევა მისი ძირითადი მოსახლეობის მთავარი სუბსტრატული ფენა და აქ მცხოვრები ხალხების ეთნიკური ისტორია.

კავკასიის არა მარტო ბუნება[1] (Zelcova carp.[2], Pinus pithiuse Sh., Buxus colchica, agreTve pithe canthropus udabnoensis და სხვა) გვიჩვენებს უძველესი დროის ნაშთებს, არამედ ნივთიერი ობიექტებიც – ადამიანთა ხელით ნაკეთები ძეგლები, დიდად საინტერესო ლეგენდები და გადმოცემები, უშუალო მწარმოებლების შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება; აგრეთვე თავისებური წყობის მქონე ძირეული ენები, რომლებიც კაცობრიობის უძველეს ისტორიას განეკუთვნება. ეს მონაცემები (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეთნობოტანიკური, ეთნოზოოლოგიური, ეთნოლინგვისტური) მოწმობენ კავკასიის მრავალრიცხოვანი ტომებისა და ხალხების თვითმყობადი, თავისი ფესვებით ჭაღარა წარსულთან დაკავშირებული ისტორიის არსებობას.

არ არის საჭირო იმაზე შეწერება, რომ კავკასია უმეტესწილად მთიანი ქვეყანაა, რომელიც დასერილია დაბლობებითა და ღრმა ხეობებით. აქ არის თოვლიანი მწვერვალები და „მუდმივი ცეცხლი", ალპიური საძოვრები და ჩაის პლანტაციები. ამასთან ეს მხარე მდიდარია მადნეულით (სპილენძი, რკინა, ვერცხლი, ოქრო და სხვა). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ნოყიერი დაბლობი ზონები გამოიყენებოდა მარცვლეული კულტურებისა და ვენახებისათვის, ხოლო მდინარეების სათავეები საძოვრებისათვის. ამასთან ერთად კავკასიის მოსახლეობა მთის ციცაბო შვერილებსაც კი იყენებდა ხორბლის დასათესად, ხილისა და ვაზის დასარგავად, ქმნიდა რა აქ ხელოვნურ ნიადაგსა

[1] Гроссгейм А. Анализ Флоры Кавказа. Баку. 1936; Zohary. Plante of Palestina. New York. 1962

[2] ბოტანიკურ ნომენკლატურაში ცნობილია ქართული სახელწოდებით ძელქვა, ნიშნავს ქვის ხეს. ზუსტად ასევე (სამკურნალო მცენარე) пижма -ს სახელწოდება Aspotela ბოტანიკურ ნომენკლატურაში არსებობს aspotelos (aspodelos) ფორმით, რაც ქართულად ნიშნავს ასფურცელას (Zohary. Homeri)

და ტერასებს, გაჰყავდა სარწყავი არხები. კავკასიაში ირწყვებოდ
ara მარტო ყანები, არამედ, რაც მეტად დამახასიათებელია, საძოვრებიც.
ამ ღონისძიებებს ხელს უწყობდა ბუნების ძალთა ცოდნა და
მშრომელთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი საწარმოო
გამოცდილება.[2] ძნელადმისადგომი ხეობები ხელს უწყობდა არა მარტო
ადგილობრივი კოლორიტული ელფერის მქონე ეთნოკულტურული
მიკრორაიონების შექმნას, არამედ ემპირიულად მიგნებული
კულტურის სრულფასოვანი ელემენტების შენარჩუნებასაც, –
კავკასიის ხალხთა განვითარების საერთო პროცესი კი ქმნიდა მთელი
კავკასიისათვის დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობას.[3]

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს:
ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიან და მთისწინა რაიონებში
ყუბანისპირა ტომების კულტურა, ხოროშაევის კულტურა დაღესტანში,
იბერიულ-ალბანური – აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და კოლხური
კულტურა დასავლეთ საქართველოში.[4]

ეთნოგრაფიული კვლევა-ძებით მიღებულია მნიშვნელოვანი
შედეგები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა
მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხალხური ხელოსნობის,
მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი
კულტურის დარგში მოპოვებული მასალები, რომლებიც მოწმობენ,
ხალხური კულტურის ელემენტების მემკვიდრეობითობასა და
თანდათანობით განვითარებას.[5]

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფიული მასალა
განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ისტორიული წყაროა,
სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა პერიოდის კულტურის
ელემენტების თანაარსებობაა, დაკავშირებული ყოფით პირობებთან.

ზემოთ მითითებულ ოთხ უძველეს სინქრონულ კულტურას შორის,
რომლებიც ასახავენ საერთო კავკასიურ კულტურას (ძვ. წ.ა. I
ათასწლეული), მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოლხურ კულტურას,
რომელიც უკვე დიდი ხანია ბევრი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს
(არგონავტები, ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვა).

დასავლეთ საქართველოს (კოლხეთი) ხელსაყრელ ბუნებრივ
გარემოსა და ადამიანის აღმშენებლობით შრომას შეეძლოთ
განეპირობებინათ აქ, უძველესი დროიდან, კულტურის კერის ჩასახვა
და განვითარება, რომელიც მკაფიოდ გამოხატული თვითმყოფადი
ნიშნებით ხასიათდება. კოლხური (დასავლეთ-ქართული) კულტურის
ეს ნიშნები შეინიშნება არა მარტო ძველ თქმულებებში, ლეგენდებსა
და მითებში (არგონავტები, პრომეთე, ამირანი, აბრსკილი, სირა-

---

[2] მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში; თბ., 1961; მისივე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956; ს. ბედუკაძე, წყლის წისქილები არაგვის ხეობაში თბ., 1951; 4 Г. Читая, Задачи Кавказской советской этнографии, Тр. ИИАН ГССР,т.I, 1955.

[4] Иессен А. Первобытная культура, Л., 1956.

[5] Бардавелидзе В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб.1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველელი და ხხვა), არამედ ასახულია ეთნოგრაფიულ არქეოლოგიურ რეალურ ნივთებშიც.

დასავლეთ-ქართული კულტურის სპეციფიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლხეთის ბუნებრივი პირობების თავისებურებაც. მესამეული პერიოდის უძველესი ფლორის აქ წარმოდგენილ ჯიშებს გარდა, თითქმის მთელი მისი ტერიტორია დაფარული იყო ხშირი ტყით. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელიც შავ ზღვას ეკვრის და განლაგებულია კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობზე, მესხეთის ქედსა და ამიერკავკასიის მთების დასავლეთ ნაწილს შორის, ახასიათებს მეტისმეტად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, რომელიც აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ოდნავ უფრო მშრალია. დიდი სინოტივის (ნალექები 1200-2500 მმ წელიწადში) გამო, ყველგან შეინიშნება ტყეების სიჭარბე. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქვეყანა ტყეს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ზოგან არის გაკაფული და გაშენდილი ადამიანის ხელით. ტყე არის წამყვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი ფაქტორი, რომელსაც ადამიანი მთელი თავისი შესაძლებლობით იყენებდა.

კოლხეთის ბუნებრივი პირობების ეს თავისებურება შენიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ სტრაბონს ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და ვახუშტი ბაგრატიონს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ვახუშტის მიხედვით: ეს ქვეყანა ძალზე ტყიანია, რადგან მინდვრები აქ იშვიათად გვხვდება, მხოლოდ აქა-იქ, რომელნიც დათესილია. ტყეებში არის ხეხილიც და ვაზიც... ტყის სიხშირე საშუალებას არ იძლევა მთლიანად დავინახოთ მისი სილამაზე, რადგან თუ მთიდან გადმოვიხედავთ, შეიძლება დავინახოთ მთლიანად ტყით დაფარული იმერეთი (კოლხეთი) და არსად არ ჩანს შენობები.[6]

კოლხეთის ტყის ზოლებს შეესაბამება ნიადაგის ზონებიც: ეწერი (დაჭაობებული ნიადაგი), მის ზევით წითელი მიწა, ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების რაიონი, და კიდევ უფრო ზევით ეწერიანი ნიადაგები, მევენახეობისა და მელვინეობის რაიონი.

ეს გარემოება მიწათმოქმედს აიძულებდა პირდაპირი მნიშვნელობით ებრძოლა ტყესთან სათესი ფართობის ყოველი გოჯისათვის. დაეცვა ტყის შემოტევისაგან არა მარტო სათესი ფართობი, არამედ ასევე საძოვრები, სათიბები და ა.შ.

კოლხეთში როგორც მემინდვრეობა, ისე მესაქონლეობაც, მევენახეობა- მელვინეობა და მეფუტკრეობაც მთლიანად ტყის გარემოცვაში წარმოებდა და ტყის სავარგულების ხარჯზე მიმდინარეობდა მათი განვითარება, ტყის არსებობის სამივე ზონაში: დაბლობში, მთისწინა ზოლში და მთაშიც. აქედან გამომდინარეობს ამ მეურნეობების სპეციფიკური ნიშნები და ტყის გაკაფვის სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ტყეს კაფავდნენ არა მარტო სათესი ნაკვეთებისათვის,

[6] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოÁსა“, თბ., 1941.

არამედ საძოვრების, მეფუტკრეობის (მომთაბარე მეფუტკრეობა) და მეტალურგიული წარმოებისათვისაც (საწვავის ბაზა). ამასთან დაკავშირებით თავისთავადაა ნათელი, რომ აქ იყო ტყის ტიპის თოხის მიწათმოქმედება, რომელიც საუკუნეების მანძილზე თანდათან ფართოვდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ტყის გარდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს განეკუთვნება: სპილენძი, რკინა, ვერცხლი, ოქრო.[7]

ძველ მსოფლიოში ფრიად პოპულარული იყო კოლხეთთან დაკავშირებული თქმულება არგონავტებზე. [8]

ამ მეტად ძველი თქმულებით დაინტერესებული იყო სტრაბონი. ამ მითის აღმოცენებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ, იგი თქმულებაში პოულობდა ელემენტებს, რომლებიც ასახავდნენ კოლხეთის რეალურ სინამდვილეს. კიდევ უფრო საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ ძვ. წ. აღ. II საუკუნეში არიანემ დაათვალიერა ღუზები (ქვისა და რკინისა), რომლებიც თითქოს ეკუთვნოდა გემ არგოს და მრავალი საუკუნის განმავლობაში ინახებოდა ფაზისში, ქალღმერთ რეას ტაძარში.

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ტროას ომი, თუ მას ისტორიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით განვიხილავთ (და არა მითოლოგიური და სხვა არამყარი თვალსაზრისით), იგი იყო ბრძოლა სრუტეებისათვის და ბერძნების გასასვლელად შავ ზღვაში, და რომ ამ გასასვლელს კეტავდა არა ლეგენდარული სიმპლეგადის კლდეები, არამედ საზღვაო სამეფო, რომელიც გაბატონებული იყო დარდანელის შესასვლელში.[9]

ამიტომ თქმულება არგონავტებზე, რომელმაც თავისი საბოლოო ფორმა მიიღო ჰომეროსის შემდგომ ეპოქაში, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლეგენდის საბურველში გახვეული ბერძენთა მცდელობა კავშირი დაემყარებინათ პონტოზე მდებარე ოქროთი მდიდარ ქვეყანასთან – კოლხეთთან. ჯერ კიდევ იუვენალმა მიუთითა ზუსტად, რომ იასონის სახით წარმოდგენილია ბერძენი ვაჭარი. უეჭველია, რომ თქმულების ძირითადი ბირთვი არის ოქროს საწმისი, განსაკუთრებით საინტერესო ელადის ხელოსნურ–სავაჭრო ქალაქებისათვის. თქმულების ამ ძირითად აზრს კარგად ეთანხმება ქვეყნის შიდა ვითარება და ელინური საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები.

ჰომეროსის შემდგომ ეპოქაში ელადაში სოფლის მოსახლეობისა და ქალაქის ხელოსნების გვერდით წარმოიშვა საზოგადოების ახალი ფენა – მდიდარი ვაჭრები, გემების მფლობელები და მევახშეები, რომლებიც, მართალია, არ ქმნიდნენ პროდუქციას, მაგრამ ეპერათ ქვეყნის საკვანძო ეკონომიკური პოზიციები. ამ ეპოქაში აყვავების

---

[6] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოÁსა“, თბ., 1941.

[7] გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი იარაღი, ენიმკის მოამბე, ტ.I, 1957.

[8] ცოტა ხნის წინ გამოიცა ქართველი მეცნიერის ა. ურუშაძის საინტერესო ნაშრომი „ძველი კოლხეთი თქმულებაში არგონავტების შესახებ“, თბილისი, 1964.

[9] Henning, 1962

უმაღლეს დონეს მიაღწია ხელოსნობამ. ვაჭრებმა გააჩაღეს ფართო ვაჭრობა ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროების მცხოვრებლებთან. გაჩნდა ლითონის მონეტა, რომელმაც განდევნა ნატურალური გაცვლა, ამავე დროს საბერძნეთში იგრძნობოდა ძვირფასი ლითონებისა და, პირველ რიგში, ოქროს დიდი ნაკლებობა. ქვეყანაში არსებული ოქროს მცირე საბადოები სწრაფად ამოიწურა. ამიტომ ბერძენმა ვაჭრებმა იმ ქვეყნებს მიაშურეს, სადაც ამ ლითონის მარაგი იყო. ისინი არ ეპუებოდნენ სიძნელეებსა და ძნელადგადასალახავ წინააღმდეგობებს. ამ გარემოებამ ჰპოვა ასახვა ლეგენდაში არგონავტების შესახებ.[10]

ვინაიდან თქმულება არგონავტებზე ლეგენდის ფორმით ასახავს იმდროინდელი ქალაქ-სახელმწიფოს ინტერესებს, არსებობს იმ ვარაუდის საფუძველი, რომ მასში შეიძლებოდა ასახულიყო ძველი კოლხეთის კულტურული მდგომარეობა, სადაც მიმდინარეობს ლეგენდაში ასახული მთავარი მოვლენები. და მართლაც, ლეგენდის ზედაპირული ანალიზიც კი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძვირფას მითითებებსა და ცნობებს შეიცავს იგი. ეს ეხება არა მარტო ლითონს, კერძოდ კი ოქროს, არამედ მეურნეობას, მატერიალურ კულტურას, რელიგიას და სხვა. ამასთან თქმულების ეს მონაცემები დასტურდება კოლხეთის არქეოლოგიური ეთნოგრაფიული, ეთნოლინგვისტური, ეთნობოტანიკური, ეთნოზოოლოგიური მონაცემებით.

მაგრამ სანამდე შეეეხებოდეთ ძველი კოლხეთის კულტურის ზოგიერთ ძირითად ნიშნებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ საზოგადოებრივ წყობილებაზე.

R. Weinhold da D.Treide Tavis safuZvlian naSromSi Die Völkerschaften des Kaukasus im Altertum nach werschiedenen antiken Autoren von 6 Iahrh. v.u.Z. bis zum 2 Jahrht. u. Z. (Ethn. - Arch. Forschungen, Belin).[11] წერენ, რომ კოლხეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, ძველი, ანტიკური დროის ავტორები თითქმის არაფერს გვამცნობენ. შეიძლება თითქმის უტყუარად დავუშვათ, რომ უკვე იმ დროს, როდესაც ბერძენ ვაჭრებსა და კოლონისტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ კოლხეთთან, აქ ისეთივე საზოგადოებრივი ვითარება იყო, როგორც თვით საბერძნეთში, რადგან არც ერთი ანტიკური დროის ავტორი არ მიუთითებს რაიმე განსხვავებაზე კოლხეთის საზოგადოებრივ სტრუქტურასა და საბერძნეთის საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის. თუმცა ისინი, როგორც წესი თითქმის ყოველთვის აღნიშნავენ ხოლმე არაბერძნული

---

[10] საყურადღებოა პროფ. კ. გიუნტერის მოსაზრება, რომელიც წერს: „სავარაუდოა, რომ თხა და ცხვარი ალბათ მსხვილფეხა საქონელზე ადრე მოიშინაურეს, ველურ ცხვარს არასოდეს ჰქონია მატელი და არც არავის შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რომ მოგვიანებით, მოშინაურებისას მემკვიდრეობითი ნიშნების შეცვლით წარმოიქმნებოდა მატელიანი ცხვარი. ეს ცვლილება ალბათ უძველეს დროს მოხდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რასაც მოწმობს თქმულება ოქროს საწმისზე" Günther, K. Formen und Urqeschichte der Ehe. Cottingen, 1951. გვ. 224; 1951 მ. რნუულიშვილი, მეცხვარეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1953

[11] Weinhold R. Treide B. 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ისეთ თვისებებს, რითაც ისინი განსხვავდებიან ბერძნული საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან.

ამ ეპოქაში კოლხეთში სახელმწიფოსა და კლასობრივი საზოგადოების არსებობა უეჭველია. ამას თვალნათლივ ცხადყოფს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სხვა მეცნიერებათა დარგებში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. ეს დებულება იმდენად დამტკიცებულად ითვლება, რომ იგი შევიდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში. მართლაც, ამ ეპოქაში კოლხეთის ყოფაში მყარად არის გამჯდარი: ქალაქის ტიპის დასახლებანი, როგორც შავი ზღვის ნაპირებზე, ისე ქვეყნის შიგნითაც, ადგილობრივად მოჭრილი ვერცხლისა და ოქროს მონეტების მიმოქცევა, ახლო და შორეულ ქვეყნებთან ფართო სავაჭრო ურთიერთობანი (ასურეთი, ურარტუ, ფინიკია, საბერძნეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, და სხვა). ფართო განვითარება აქვთ ადგილობრივ მეტალურგიასა და ხელოსნობის დარგებს. დაწინაურებულია ოქრომჭედლობა, საყოფაცხოვრებო მაღალმხატვრული ნივთების დამზადება. განვითარებულია მეთუნეობა – დიდი ზომის თიხის ჭურჭლის წარმოებით, გუთნის მიწათმოქმედება, ირიგაცია და დრენაჟი, ინტენსიური მესაქონლეობა – სარწყავი სათიბებით, ფეიქრობა (კოლხური სელის ქსოვილები, გიშრის წარმოება, ბორბლებიანი ტრანსპორტი, ლატერნადის ტიპის საცხოვრებლები (ვიტრუვის კოლხური სახლი), ტაძრები და სასახლეები, ღმერთების პანთეონი, დაკრძალვის რთული რიტუალი და მრავალი სხვა.

ძველი კოლხების კულტურის ზოგიერთ ამ ელემენტს გვინდა მოკლედ შევეხოთ არგონავტების შესახებ თქმულების მონაცემებთან კავშირში.

2

სტრაბონი საუბრობს იმის შესახებ, რომ კოლხების ქვეყანა მდიდარი იყო ოქროთი, ვერცხლითა და რკინით, ამასთან იგი აღწერს კოლხური ტომების მიერ ოქროს მოპოვების ხერხებს.[12]

თავის მხრივ, პლინიუსი[13] მიუთითებს, რომ კოლხეთის სახელმწიფოს (კერძოდ სვანების), ჰქონდათ უდიდესი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი. ეს დასტურდება განათხარი მასალით, რომელიც კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ადგილობრივი წარმოების ოქროსა და ვერცხლის ნივთების სიუხვე მოწმობს ადგილზე ნედლეულის ბაზის არსებობას. კოლხეთში წარმოებული გათხრების ობიექტებიდან საკმარისია დავასახელოთ ოქროს ნივთები ვანის ნაქალაქარიდან, (ნ. ხოშტარია) რეხვიდან, რომლებიც ძვ.წ.ა. VI -V სს. თარიღდება.

ეს ნივთები მიუთითებს ადგილობრივი ოსტატების ოქრომჭედლობის უმაღლეს ხელოვნებაზე: მთლიანი და ღრუ ჩამოსხმა, პოლიქრომია, ფილიგრანი და გრავირება. ეს ხერხები კოლხეთის ისტორიის შემდგომ

[12] სტრაბონი, თავი XI 12,12; თავი I, 183.

ეპოქებშიც აისახა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ოქროს ნივთები კლდეეთიდან, ურეკიდან, ბორიდან, რომლებიც თარიღდებიან ა.წ.აღ. II-III სს. კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციები გრძელდება და ოქროს ნივთების წარმოება დიდ განვითარებას ჰპოვებს შუა საუკუნეების საქართველოში, კერძოდ კი სვანეთში,[14] სადაც ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია. [15]

ზემო სვანეთში ხელოსნობის ამ დარგს მისდევენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც.

კიდევ უფრო ძვირფასია თქმულებაში ნახსენები კოლხური სახნავი იარაღი. კოლხურ ტომებში განვითარებული მიწათმოქმედების შესახებ ცნობები მოიპოვება ასირიულ წყაროებშიც. კოლხეთში, კერძოდ, ქვეყნის სამხრეთ რაიონში მრავლად იყო რკინის საბადოები, ამასთან, რკინის დამუშავებამ მიაღწია განვითარების ისეთ საფეხურს, რომ კოლხური ტომი – ხალიბები აწარმოებდა მაღალი ხარისხის რკინას – ფოლადს. ბერძნები, ანტიკური ავტორების ცნობებით, ფოლადს უწოდებდნენ ხალუფსის, რომელიც ხალიბს ნიშნავდა; ზუსტად ასევე ასირიელები ფოლადს უწოდებდნენ ხაბალკინუს, სიტყვა ჭეშმარიტად ქართული წარმოშობისაა: კინა ‖ კინუ‖ რკინა, რაც ქართულად რკინას ნიშნავს, ხოლო ხაბალი იგივე ხალიბია, იგივე ხალდები ანუ ჭანები (ლაზები), – ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელდება.

როგორც ცნობილია, ადამიანები რკინას დიდი ხანია იყენებდნენ იმ ქვეყნებში, სადაც იყო ადვილად მოსაპოვებელი მადნის საბადოები. მაგრამ რკინის მადნიდან მტკიცე ლითონის (ფოლადის) მიღება არ შეეძლოთ, რადგან არ იცოდნენ ამისათვის საჭირო მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებისა და გამოდნობის ხერხები. უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ.აღ. XIV საუკუნემდე ადამიანები სარგებლობდნენ რბილი რკინით, რომელიც უვარგისია საბრძოლო და სამუშაო იარაღის დამზადებისათვის. რბილი რკინისაგან ამზადებდნენ მხოლოდ სამკაულებს.

რიგი მეცნიერებისა სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ფოლადი პირველად მიიღეს რკინის მადნით მდიდარ ქვეყანაში, შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლხურმა ტომმა ხალიბებმა. ამას მოწმობს არა მარტო ზემოთ მოყვანილი ფაქტები, რომ ბერძნულად და ასირიულად ფოლადს ეწოდება ხალუფსი და ხაბალ-კინუა, არამედ სხვა მონაცემებიც.

როგორც ცნობილია, პირველად მტკიცე რკინა (ფოლადი) მოიხსენიება ტელ-ამარნის წერილებში, კერძოდ ხეთების მეფე თუშრატის წერილში ეგვიპტის ფარაონის ამენოხოტეპ III-ადმი (თარიღდება ძვ. წ.აღ. 1370წ.) წერილში, მეფე თუშრატი ამცნობს ფარაონს მისთვის გაგზავნილი საჩუქრების შესახებ, ნახსენებია

[14] ნ. ნუბინაშვილი, ქართული ჭედური ხელოვნება VIII-XIII ს., თბ., 1957

[15] გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი იარაღი, ოქრომჭედლობა საქართველოში, თბ., „შრომები", ტ.I

ხაბალკინუს ხანჯალი (ამის შესახებ წერილში რამდენჯერმეა საუბარი). სახელწოდება ხაბალკინუ, როგორც ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნავდით, მოდის ხალიბების სახელწოდებიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ ხეთური სამეფოს ლიმიტროპულ ზონაში.[17]

ანტიკური ავტორები, ხალიბური ფოლადის ხსენებისას, წერდნენ, რომ ფოლადის გამოდნობისას და რკინის მადნის გამოდნობის დროს, ხალიბები იყენებდნენ განსაკუთრებულ ხერხებს, რომლებიც მათ გასაიდუმლოებული ჰქონდათ. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ხალიბები რკინის მადანს დნობისას ურევდნენ განსაკუთრებული თვისებების ქვიშას თუ რაღაც სახის ქვებს.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ, რომლებიც ძველი კოლხების ცოცხალი მემკვიდრეები არიან, შესაძლებელი გახადა ხალიბური ფოლადის დამზადების გასაიდუმლოებული ხერხის ახსნა.

ჯერ კიდევ XI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში კარგად არის ცნობილი ონის რაიონის სოფ.წედისის რკინის მადანი. წედისური რკინისაგან დამზადებული შრომის იარაღები გამოირჩევა მაღალი ხარისხით. ეს მეტალურგიული კერა არსებობდა XIX ს. ბოლომდე. XIX ს. მეორე ნახევარში წედისელი მეტალურგი ოსტატები იყენებდნენ რკინის მადნის დამუშავების ორიგინალურ ხერხს. კერძოდ, რკინის მადანს, რომელიც გამზადებული იყო დნობისათვის, ურევდნენ სხვა მადანს, რომელიც ცნობილია „ფაშას“ სახელწოდებით. ფაშას ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს მადანი პიროლუზიტია.[18] უდავოა, რომ წედისის მეტალურგებს ეს ხერხი მემკვიდრეობით აქვთ მიღებული თავისი წინაპრებისაგან – ხალიბებისაგან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ ეთნოგენეტიკური და კულტურულ-ისტორიული ნათესაობა. ხალიბები იგი ხალდები, ჭანები – ლაზები არიან. მოგვიანებით III-IV საუკუნეებიდან კოლხეთის სამეფოს უწოდებდნენ ლაზეთს.

კოლხეთის თანამედროვე მოსახლეობამ სპეციფიკური ფორმით შემოინახა რკინის, გრდემლის, უროსა და სამჭედლოს კულტი. თუ მიწათმოქმედი – ქართველისათვის ცა მინდორია, ვარსკვლავები კი ზვინები, ქართველი მეტალურგისათვის – ცა იყო ნაჭედი, რკინის (შეად. ჭანური ერკინაეხა რკინის დღე, ე.ი. ცის დღე, ქართ მოცედილი – მოჭედილი ცა)

კოლხეთში მაგარი რკინის ფართო გამოყენებამ დიდი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაზე. „მისი წყალობით (რკინის) შესაძლებელი გახდა მიწათმოქმედების დიდი მასშტაბი, მემინდვრეობა, და ამასთან ერთად იმ დროის პირობებში სასიცოცხლო მარაგის პრაქტიკულად შეუზღუდავი გადიდება; შემდეგ – ტყის გაკაფვა და

[17] Meissner Br., Babilonien and Assyrien., I Heidelberg, 1926

[18] ნ.რეხვიაშვილი, წედისის ფოლადი, საქ. მეცნ., აკად. მოამბე,ტ. III 1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გაწმენდა სახნავი მიწისა და საძოვრის მისაღებად, რაც ასეთი შეუძლებელი იყო ფართო მასშტაბით რკინის ცულისა და რკინის ნიჩაბის გარეშე. ამასთან ერთად დაიწყო მოსახლეობის სწრაფი ზრდა, და იგი გახდა მჭიდრო მცირე სივრცეზე" (ფრ. ენგელსი).

რკინის თოხების, ნიჩბების, ცულების, წალდების, წერაქვების, ნამგლების, სახნისების გაჩენასთან ერთად მემინდვრეობა კოლხეთში უფრო ეფექტური და რენტაბელური გახდა. ეს ნივთები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს და ცოცხალ ყოფაშიც, ამასთან ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ძველის თანდათანობითი განვითარებისა და დერივაციის შედეგს.[19] განვითარების შემდგომი პროცესებია: გამანაყოფიერებელი რწყვა და კალმატაჟი (ნოტიო ადგილების დაშლამდე მინდორზე წყლის მიშვების ან მდინარის წყლის დაგუბების გზით). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მორწყვას კოლხეთის მთიან რაიონებში. მას იყენებდნენ სათიბ მეურნეობაში პირუტყვის ზამთრის საკვები მარაგის გადიდების მიზნით (სვანეთში ორი, ზოგჯერ კი სამი მოსავლის მიღება)[20] ამ ეპოქაში კოლხეთში არსებობდა თოხისა და გუთნის მიწათმოქმედება, განირჩეოდა მინდვრები, რომლებსაც ამუშავებდნენ თოხით „ობერგუ" და მინდვრებს, რომლებსაც ამუშავებდნენ სახნავი იარაღებით – „ოხოჯე".

ამასთან დაკავშირებით სერიოზული ყურადღების ღირსია ის სახნავი იარაღები, რომლებიც გადმონაშთის სახით არის შემონახული კოლხთა ყოფაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ჩახატული აქვს კასტელს და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ს. სერენას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა).

ამ სახნავი იარაღის ხელნა შედგენილია, კომბინირებული. ხელნის მოკლე მხარი თავისი ქვედა ნაწილით ჩაგებულია ხელნის მეორე გრძელი ნაწილის ღერძში „ფრჩხილა". ფრჩხილა, ქმნის საყრდენს ხელნის მოკლე მხარისათვის, თვითონ კი ქვედა ნაწილით სახნავი იარაღის მუშაობის პროცესში მიწაზე ეთრევა. სახნავი იარაღის ამ კომბინირებულ ხელნაში გამოყენებულია დასავლეთ ქართული (კოლხური) ურმის კონსტრუქციული ელემენტი – „რწყვა" (კოლხური ურემი, როგორც სატრანსპორტო საშუალება, დამყარებულია ბრუნვის (ბორბალი) და რწყვის (სრიალის) პრინციპზე.[21] ამ თავისებურების წყალობით სახნავი იარაღი იძენს საყურადღებო მნიშვნელობას, როგორც გარდამავალი რგოლი ხელნიანი სახნავი იარაღიდან რვილიან სახნავ იარაღზე.

მართლაც, მიწაზე მოსრიალე საყრდენიანი სახნავი იარაღის გაჩენას, ერთი მხრივ, შესაძლოა ხელი შეუწყო კომბინირებულმა ურემმა (კოლხური ურემი), მეორე მხრივ კი ხელნისათვის მიწაზე მოსრიალე საყრდენის გამოყენებას შეეძლო წარმოექმნა კოლხური (რაჭული)

---

[19] გ.ნიტაია, Задачи Кавказской советской этнографии 1956; ო. ჯაფარიძე, თრიალეთის არქეოლოგიური გათხრები, 1957-1958 წწ. თბ., 1960

[20] მ.გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ. 1961

[21] მ.გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი თბ.1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახვნელის ტიპის სახნავი იარაღი მოკლე ხელნით – რვილიანი
კოლხეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი რკინის სახნისი (სოხუმი) თარიღდება ძვ.წ.აღ. IV-III სს.[23]

საქართველოში ისე შორს არის წასული სახნავი იარაღებისა და მისი (ვალკეული ნაწილების შესწავლა, რომ შესაძლებელია სახნისის მიხედვით იმ სახნავი იარაღის ტიპის განსაზღვრა, რომელშიც ეს სახნისი იყო გამოყენებული. ცოცხალ ყოფაში შემონახული გარკეული კონსტრუქციის სახნისების შესწავლამ შესაძლებელი გახადა იმის დადგენა, რომ ისინი შეესაბამებიან სახნავი იარაღების გარკეულ ტიპებს. ასე მაგალითად, სახნისი საორხელე გამოიყენებოდა რვილიანი სახნავი იარაღებისათვის, სახნისი საკვიე – მცირე გაბარიტის მქონე უღლიანი სახნავი იარაღებისათვის, რომლებიც განკუთვნილი იყო ქვიანი ნიადაგისათვის, სიბილე კი – დიდი გაბარიტის უღლიანი სახნავი იარაღებისათვის, რომლებიც გამოიყენებოდა მსუბუქი ნიადაგებისათვის. სახნისი სოხუმიდან თავისი ზომით და ფორმით შეიძლება მიეკუთვნოს რვილიანი ტიპის სახნავ იარაღს. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ტიპის სახნავი იარაღი კოლხეთში ძვ. აღ. IV-III სს. და უფრო ადრეც არსებობდა.

ასეთი ტიპის სახნავ იარაღს შესაბამისი სახნისით ემსახურებოდა გარკეული ტიპისა და გარკეული ზომის უღელი. ასე მაგალითად, კოლხეთში არსებული რამდენიმე სახის უღლებისაგან – საკვრის, საგორავი, საკალოე, საორხლე. ეს უკანასკნელი გამოიყენება რვილიანი სახნავი იარაღისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ ხის უღელი,აღმოსავლეთ საქართველოში ზურტაკეთის ყორღანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, თარიღდება ძვ. წ. აღ. XIX-XVIII სს. იგი აღმოჩენილია ოთხბორბლიან ეტლთან ერთად და დიდი ოსტატობით არის გაფორმებული.[24]

ხორბლის ცნობილი 16 ჯიშიდან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11, დიდი რაოდენობის სახესხვაობით.[25] ბევრი მათგანი ენდემურია საქართველოსათვის. ამ მხრივ საქართველო ხორბლის თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც არის მისი დიდი რაოდენობა. მხოლოდ აქ (და არსად სხვაგან) არის შემონახული კულტურული ხორბლის ევოლუციის საწყისი (ინიციალური) ჯიშები.

ხორბლის ეს საწყისი (ინიციალური) ჯიშები დღევანდლამდე არსებობს სწორედ კოლხეთში (დასავლეთი საქართველო). ასეთია უწინარეს ყოვლისა ხორბალი მახა (T. macha - Dek. et Men) ქართულად macha, ლაზურად – mocha პროფ. ვ. მენაბდემ დაადგინა, რომ ხორბლის ჯიშში მაცჰა აერთიანებს ველური და კულტურული ხორბლის თვისებებს. მას აქვს, ერთი მხრივ, ველური ხორბლის თვისებები: მტვრევადი თავთავი და თესლის თვითდამტვერვა, მეორე მხრივ კი

[22] გ. ნიტაია, რაჭული სახვნელი იარაღი 1938
[23] Трапш Б., 1955
[24] ო. ჯაფარიძე, თრიალეთის არქეოლოგიური გათხრები 1960
[25] Жуковский П. Культурные растения и их сородичи, М., 1950
[26] Менабде Вл. Пшеница Грузии, Тб. 1948

თანამედროვე ხორბლის ჯიშების კულტურული სახეობისათვის დამახასიათებელი მრავალნაყოფიანობა და პოპულაციის პოლიგენომურობა – Tr. aestivum da Tr. durum ამ ჯიშის ხორბალს, ველური ხორბლისათვის დამახასიათებელი თვისებების გამო, მკიან არა ნამგლებით, არამედ ტეხენ განსაკუთრებული გადაჯვარედინებული ჯოხებით („შნაკვი"//„შამკვი") და აგროვებენ კალათებში, ღეროებს იღებენ ნამგლით.[27] ამდაგვარი სახის ინსტრუმენტი დამოწმებულია მხოლოდ ასტურიის სოფლის მეურნეობაში.[28]

იმის გარდა, რომ ეს რელიქტი – macha რეალურად არსებობს თანამედროვე კოლხეთის რეალურ ყოფაში, იგი აღმოჩენილია უძველეს არქეოლოგიურ ფენებში, ნეოლითის ხანიდან.

ასეთივე ძველია კოლხეთის მეორე ენდემური კულტურა – ზანდური (Tr. Timoph. Zhuk) მასაც თავისებურად მკიან, ისევე როგორც macha-ს. მკის ეს ხერხი, უდავოდ უძველესია, ალბათ წინ უსწრებს კაჟის ნამგლებით მკას. ზანდურს აქვს მსოფლიო აღიარება, როგორც მდგრად ჯიშს და მას ფართოდ იყენებენ შეჯვარების დროს იმუნურ სამეურნეო ჰიბრიდების მიღების მიზნით.[29] მახასა და ზანდურის კულტურებთან ერთად თანაარსებობდა ფეტვის კულტურა (Panicum mil L.) და სხვა მარცვლეულები, აგრეთვე ბოჭკოვანი მცენარეები, მათ შორის სელი (Linum dietnne Mill).

ძველი კოლხეთის მეურნეობაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სელის მოშენებასა და სელის ქსოვილების დამზადებას. ჰეროდოტეს დროს სელის ქსოვილის წარმოებას სასაქონლო ხასიათი ჰქონდა, რადგან ეს ქსოვილები უცხოეთის ბაზრებზე არაფრით ჩამოუვარდებოდა ეგვიპტური სელის ქსოვილებს, და ისინი ისევე ძვირად ფასობდნენ, როგორც ეს უკანასკნელნი.

საინტერესოა, რომ ჰეროდოტეს მონაცემებით, ეგვიპტური და კოლხური სელის ქსოვილები ერთნაირი ტექნიკითა და ერთნაირი ხერხით მზადდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში სელის ქსოვილებით სახელგანთქმული იყვნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი – ჩერქეზები. არაბი მოგზაურის იბნ-ჰაუკალის ცნობით, სელის ქსოვილს ჩერქეზულად ეწოდებოდა ტალ-ი (tal). ამ ტერმინს პარალელი გააჩნია ქართული სიტყვის ტილო (tilo) სახით, რაც სელის ტილოს ნიშნავს.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცოცხალ სინამდვილეში ეთნოგრაფიული მასალების შესწავლით მტკიცდება, რომ მშრომელ მოსახლეობას აქვს მდიდარი გამოცდილება და შრომითი ჩვევები სართავის მცენარეების – სელისა და კანაფის მოყვანასა და დამუშავებაში. აქვე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის სართავი ჩარხები, ზოგიერთ მათგანს აქვს ანალოგიები ეგვიპტურ საქსოვ დაზგებთან.[30] კოლხეთში სელის კულტურის სიძველეს ქართული წერილობითი წყაროებიც მოწმობენ. კოლხეთის სელის ქსოვილების

---

[27] ნ. ბრეგაძე, რაჭა-ლეჩხუმში მიჯნინების ანგარიში, მსგ. X, 1959

[28] Вавилов Н. Мое путешествие в Испанию Новый мир, 1937 кн.2

[29] Жуковский П., Культурные растения и их сородичи.М. 1950

შესახებ უძველესი ცნობები, ჰეროდოტეს გარდა მოცემულია სარგონის (ძვ.წ.აღ.VIII) ასირიულ წარწერაში. მასში საუბარია მუსასირის ტაძრის ტუნიკების შესახებ, რომლებიც დამზადებული იყო კოლხური სელის ქსოვილისაგან.

ამრიგად, თანამედროვე კოლხეთის მოსახლეობის სელის კულტურას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და მომდინარეობს უძველესი დროიდან.

თავს ნებას მივცემ შევჩერდე კოლხური მემინდვრეობის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანზე. ქეეანაში ფართოდ გამოიყენებოდა შერეული თესლი (ქერი – დიკა, სიმინდი –ლობიო და სხვა) მოსავლის გადიდების მიზნით. ძველ კოლხეთში თესვისათვის შერეული კულტურის გამოყენება დასტურდება გალენუსის მონაცემებით, რომელიც აღნიშნავს კოლხეთის ტომების მიერ შერეული თესლის გამოყენებას εο– πυρος, რაც ითარგმნება, როგორც ასლ-ხორბალი. მართალია, ჰლინიუსის მიერ ნახსენებ ძეოპიუროსს Br. Hrozny [33] მიიჩნევს ასლის განსაკუთრებულ ნაირსახეობად, თუმცა ავტორი თავის მოსაზრებას არანაირად არ ამაგრებს, მაშინ როდესაც, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური (შერეული თესლი აღმოჩენილი კარმიბლურში, თარიღდება ძვ. წ. VIII) ფაქტები ადასტურებენ ჩვენ მიერ ნათქვამს ძველ კოლხეთში, შერეული თესლის არსებობის შესახებ.[33] ამიტომ, მიმაჩნია, რომ Hrozny -ის მოსაზრება უკუსაგდებია.

სახნავი მიწათმოქმედების კომპლექსში, როგორც დამოწმებულია ძველ კოლხეთში, შედის ხარი, რომელსაც ძველი კოლხები თაყვანს სცემდნენ. ღვთაება სამგარიოსადმი მიძღვნილ მოზვერს უწოდებენ ვისხე-ს, ძროხას _ Patonia (საბატონო). ძველ კოლხებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული ხარის ემბლემები. ზემოთ ნახსენები ხალიბები ატარებდნენ სპილენძის მუზარადებს, რომლებზეც დამაგრებული იყო ლითონისგანვე დამზადებული ხარის რქები და ყურები (ჰეროდოტე). [34]

ხარების და ირმების ორიგინალური ფიგურები ამშვენებს დასავლეთ საქართველოში გათხრების შედეგად მოპოვებული ქამრის ბალთებს, რომლებიც ეკუთვნის ძვ.წ.აღ. III-ს. სახასიათოა, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სახნავ იარაღს უწოდებენ უძველეს სახელს, ხარსარაგი, რაც ნიშნავს „ხარის იარაღს“[35]. (გ.გობეჯიშვილი)

აქვე დაფიქსირებულია თქმულება, რომელიც ხარს წარმოგვიდგენს კეთილშობილი მშრომელის სახით, რომელმაც თავის თავზე აიღო ვალდებულება იმუშაოს მშრომელი ადამიანების სასარგებლოდ.

---

[30] გ.ნანეიშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები სმმ, XVII, 1958

[31] ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ.II, თბ., 1934

[32] Галенус С., De aliment . facult.113 Hrozny, das vor – und frühgeschichtiche Altertum in seinen Kultur – und Handelsbezichunhen.Leipzig 1942

[33] Пиотровский 1959 История и культура Урарту, Ереван, 1944

[34] ცნობილია აგრეთვე ქართული მონეტები ხარის თავის გამოსახულებით, VI-II ს.ს. ძვ. წ. Капанадзе Д., Грузинская нумизматика, М., 1955

[35] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულება მოგვითხრობს, რომ ერთმანეთს შეეჯიბრნენ ხარი და ირემი – თუ ვინ უნდა ყოფილიყო ადამიანის მსახური. შეჯიბრების ასპარეზი იყო ცის თაღი. ხარი კი მშვიდი, მოზომილი ნაბიჯით მივიდა ცის თაღის ბოლომდე. ამის შემდეგ ხარი ასრულებს ადამიანისათვის სამსახურის მოვალეობას.

მოყვანილი ლეგენდა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ხარის როლის გარკვევისათვის კოლხების მეურნეობასა და იდეოლოგიაში, თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთ საქართველოს სალოცავებში, გადმოცემის თანახმად, წმ. გიორგის წელიწადში ერთხელ საიდუმლოდ მოჰყავს ხარი ან ირემი მსხვერპლშეწირვისათვის.[36] ქართველი ხალხის რელიგიის ისტორის მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ქრისტიანულმა წმინდანმა გიორგიმ შეცვალა ქრისტიანობამდელი მთვარის ღვთაება, რომელიც მიწათმოქმედების ღმერთი იყო. მეტად დამახასიათებელია ისიც, რომ მეგრული ზღაპრების დევ-გმირები უმეტეს შემთხვევაში მხვნელ-მთესველი მიწათმოქმედები არიან, ამრიგად, ეს თქმულებები ლეგენდარული ფორმით ასახავენ ძველი კოლხების სამიწათმოქმედო რელიგიას.[37] ზუსტად ასევე ძველი კოლხების მიწათმოქმედების კულტურის სხვა ელემენტები მოჩანს თქმულებაში არგონავტების შესახებ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძველი კოლხების სამიწათმოქმედო სისტემა, რომელიც ნაწილობრივ ავსახეთ, ზოგიერთი თავისი ნიშნით გვახსენებს სუმერების სამიწათმოქმედო კულტურას, რომელიც მეტ-ნაკლებად სრული ფორმით ცნობილი გახდა ძვ.წ.აღ. XVIII ს. ლურსმნული ტექსტების წყალობით. ტექსტი შეიცავს მამის დარიგებას შვილისადმი მემინდვრეობის წესების შესახებ.[38]

როგორც ჩანს, ქართული არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეთნობოტანიკის, ეთნოლინგვისტიკისა და მეცნიერების სხვა დასციპლინების მონაცემების შუქსა შესაძლებელი გახდა უძველესი თქმულების არგონავტების შესახებ, ანტიკური ავტორებისა და ადგილობრივი ფოლკლორის ზოგიერთი მონაცემის სწორი გააზრება.

შემდგომი მუშაობა შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ ამ სამი ათასწლოვანი კულტურის სხვა ნიშნებიც (მესაქონლეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მეფუტკრეობა და სხვა). ამასთან ერთად, ამ კულტურის ზოგიერთი მთავარი ნიშნის გამოვლენისას მოჩანს გენეტიკური კავშირი მის სინქრონულ კულტურასთან აღმოსავლეთ საქართველოდან (ძველი იბერია), და მასთან ერთად ქმნის ქართველი ხალხის ერთიან კულტურას ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულში.

1964 წ.

---

[36] არქ. ლამბერტი, კოლხეთის აღწერა, თბ. 1936

[37] Бардавелидзе В., Древнейшие верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957

[38] S. Kramer, Der erste Bauern-Kalender, Wissz. Univ. Halle, Ges -Spr, IV, 4, 1957, gv. 687

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წ. ფშავის ექსპედიცია
(დღიური)

26 – 27 ივნისი

დღის სამ საათზე გავედით თბილისიდან. ექვს საათზე დუშეთში ვიყავით. იქ დამე გავათიეთ. რაიკომში ჩვენი ექსპედიციის გულშემატკივარი ვენერა შერგილაშვილი დაგვხვდა. მიიღო ყველა ზომა ჩვენ სამუშაოებთან დაკავშირებით. ათ საათზე გავედით დუშეთიდან. 1 ს. უკვე შუაფხოში ვართ. ოხიაურების ოჯახმა დიდი პატივი დაგვდო. მიკვირს ალექსი ოხიაურის ენთუზიაზმის. ვაზი გაუშენებია შუაფხოში. შუაფხო 1270 მეტრზეა ზღვის დონიდან (ალ. ოხიაურის სახლიდან). სასიხარულოა, რომ ალექსი კარგადაა, მუშაობა შეუძლია. მიიღო დავალებები მასალის შესაგროვებლად თემებზე: „ალებ-მიცემობა ფშავ-ხევსურეთში“ და „ცხენის მოვლა-მოშენება“. ორივე თემაზე, იმედია, სათანადო მასალა შეგროვდება.

გ. ბარდაველიძე და გ. ნიტაია. მადაროსკარი

ვეკითხები ალექსის თავის ბიოგრაფიის შესახებ და ვთხოვ დაწეროს. ის ხომ ამ კუთხის ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე პატრიოტია.

ალექსი დაიბადა 1892 წელს ხევსურეთში, არხოტის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ახიელში, ცნობილი დასტაქრის ალეკო ოხიაურის ოჯახში. 7 წლისა იყო, როცა ოჯახი კავკავში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ის მიაბარეს ქართველების სკოლაში, მაგრამ ორი წლის შემდეგ ოჯახი ისევ ახიელში ბრუნდება. ამ დროიდან, ჯარში გაწვევამდე, მამასთან ერთად დადიოდა ცხვარში.

ალ. ოხიაური

გასაბჭოების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის შუაფხოში. ალექსი სწავლას განაგრძობს დუშეთში. 1924 წ. მასწავლებლად გაიგ-

ხევსურეთის ექსპედიცია.
მარცხნიდან: მ.ხაზარაძე, ს. წერეთელი, მ. კანდელაკი, მ. ბექაია, თ. ონიაური 1962 წ.

ზავნა ბარისახოში. ამ დროს ბარისახოში გზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. სკოლა კი ძველი ეკლესიის შენობაში იყო მოთავსებული. 1925 წ. შუაფხოში გაიხსნა სკოლა. ალექსი გადმოყვანილ იქნა მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1931 წლამდე. ამავე წელს იგი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიგზავნა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობას იწყებს საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში. 1935 წ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგზავნება ბარისახოს საშუალო სკოლის მასწავლებლად და ინტერნატის გამგედ. 1938 წლიდან 1959 წლამდე შუაფხოს საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელია.

ვ. ბარდაველიძე და იახსარის ხატის თავხუცესბერი ბ. ბადრიშვილი მუშაობის პროცესში

დამამახსოვრდა ალექსის ნათქვამი: სკოლაში შესვლის დღიდან გადმომყავდა ფშავ-ხევსურეთიდან ახალგაზრდობა, მიმყავდა თბილისში და ვაწყობდი საბავშვო სახლებში, სხვადასხვა სასწავლებლებში. ჩემი ხელფასის ნაწილს არ ვზოგავდი მათ დასახმარებლად და კმაყოფილი ვარ იმით, რომ მე მოვესწარი ხევსურეთში სულ უანბანო ხალხს და დღეს ჩვენს ახალგაზრდებს, რომელნიც დაწაფებულნი არიან სწავლას.

მეც ბედნიერი ვარ, რომ ფშავ-ხევსურეთში შეეხვდი შენნაირ პიროვნებას ჩემო ალექსი! ამის გარდა შენ დაგვანახე შენი კუთხის ხალასი ნიჭი და კულტურული მონაპოვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიცია ველზე გასვლის წინ
მარცხნიდან: მ.ხაზარაძე, ნ. მაისურაძე, მ. კანდელაკი,
მ. ბექაია, ზ. წერეთელი, ვ. ბარდველიძე

აქ კიდევ ვიხაუბრეთ უკან ფშავის ხელნაწერებზე. იქნებ როგორმე გამართლდეს. ვწუხვარ რომ არ წამოვიღე ამონაწერი თამარის ხატში აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ, ძველად პრესაში რომ იყო გახმაურებული. ყურადღება უნდა მიექცეს მუცოს. გავიხსენოთ, იმპერატორის მიერ სანუქრად გამოგზავნილი, ძვირფას ყდაში ნასმელი სახარება მუცოში.

საღამოს 10 საათია. აქ კვლავ წვიმს.

28 ივნისი

შევხვდი ბიჭურ ბადრიშვილს, იახსარის ხატის თავხევისბერს, საინტერესო ფაქტები მამცნო დანადების შესახებ[1] - ბიჭურის თქმით, ხომელებს ნადში მონაწილეობა ევალებოდათ.

ისინი იქვე ტოვებდნენ გუთანსა და უღელს.

. . .

ექსპედიციის წევრები.
მარცხნიდან: ზ. წერეთელი, მ.ხაზარაძე, მ. კანდელაკი

უღელი კარის თავზე უნდა დაიდგას მიცვალებულის სახლიდან გამოსვენების დროს.

[1] დანადები – ხატის მიერ ვალდებულების დაკისრება გარკვეული დანაშაულისათვის პიროვნებაზე, თემზე ან სოფელზე. ამ შემთხვევაში სოფ. ხომზე. ტერმინის განმარტებისათვის მადლობას მოვახსენებთ პროფ. თ. ონიაურს. [თ. ც.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ამბობენ, რომ მხარგრძელის მიერ იქნა ამ ხეობაში ციხე-გალავანები დანგრეული, თუ დამწვარი. მას შემდეგ აქ ციხეები არ აღუდგენიათ.

. . .

იყო ლაშას მიერ შეწირული უთხოვრის ჯვარი გვქონია. ქალ-გრიგოლა – ჯაშეში იყო, იმან დააპარინა ხატის განძი. მათ შორის ჯვარი იყო „ალვისტანს“ ვეძახოდით, სამ გირვანქას იწონიდა.

. . .

ბიჭური ცხოვრობს შუაფხოში, ორსართულიან დიდ სახლში, ბანიანი სახურავით. ქვემო სართულში – გომში, საქონელი აყენია. ზემო სართულში – სახლში, იახსრის ხატის თავხევისბერი ცხოვრობს. ბიჭურის ცნობით, ეს სახლი ხევისბერ შალვა შიოლაშვილს აუშენებია (გვარად ქისტაური).

ხევისბერის სახლს დასავლეთიდან ორსართულიანი ნაგებობა აკრავს. ზემო სართული გაყოფილია ტიხრით, რომლის წინა ნაწილში მოთავსებულია ხატის საფუტკრე ხოკრებით. მეორე ნაწილში, მარანში, იდგა ხატის ამბარი, აკო (დიდი ორთვლიანი ხის ჭურჭელი), სადაც ინახებოდა წ მ ი ნ დ ა ანუ ხატის პური, რომელიც მოიწეოდა ხატის ხოდაბუნებიდან. მარანშივე ინახებოდა ხატის უნჯი: სასანთლე ცვილი, ქვაბები და სხვ.

სად ინახება ხატის განძი? – ვეკითხები ბიჭურს. – სამალავში, მეთასგანძე ხევისბერთან.

ბიჭურის თქმით, იახსრის ხატის განძია: 26 ვერცხლის თასი და ალვისტანი, ოქროთი დაფერილი ჯვარი.

ავედით იახსრის ხატში.

„ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში – ყვება ბიჭურ ბადრიშვილი, – იახსრის ხატი ჯერ გაღმითა ხატი როა იქ დაარსებულა. მერე იქიდან გადმოსულა ავისგორს, სადაც გამხვეურა დევის შვილებს შებრძოლებია. დაუკავებია ეს ადგილი და აქ სახარე, საბერო, სალუდე აუშენებია.“

გ. ნიტაია ველზე. ფოტო ლ. საფრაზიანის

იახსრის ხატი დიდი, კომპლექსური, უზარმაზარ ტერიტორიაზეა, ნაირი სახის ნაგებობით. დაწყებული ეკლესიით დამთავრებული მკვრივით, მკვრივს ზემოთ აკლდამებია. მის ქვემოთ აღმოსავლეთით გალავნის (ყორის) ნაშთია. მისი ტერიტორია 10 ჰექტარია.

ავისგორზე, იახსრის ხატის აღმოსავლეთით ყორის გალავნით გარშემორტყმული XIX ს. ღვთისმშობლის ეკლესიაა, სამხრეთით

– ადგილის დედა ღვთისმშობლის ხატი, წარმოდგენილი ერთადერთი სახანთლე კოშკით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ხატის მთელ მიდამოში ძველი იფნის და ცაცხვის ხეებია. ბიჭურის თქმით, აქაც და სხვაგანაც, ფშავის ხატებში იფნები ხალხის დარგული და გახარებულია. დაკვირდი, ხალხი ხეს ძველგან ჭრის ხატის გარდა, არსად არ რგავს ხატის გარდა.

შუაფხოს იახსრის ხატი. საზარე კოშკი. ფოტო რ. შმერლინგისა, 1955 წ.

განსაკუთრებით საინტერესოა სალუდე. ნაგებია ფიქალი ქვით, მშრალი წყობით, სალუდეს კარის მარჯვნივ კედელთან ყორით ნაგები ცეცხლის დასანთებია მოწყობილი, რომელ'ზეც იდგმება სალუდე ქვაბი. ქვაბი სპილენძისაა, ორი სახელურით, რომელ'ზეც ჯაჭვის კავებია ჩამოცმული. ბიჭური ამბობს, ამ ქვაბს აქვს წარწერა: „მე შავსწირე ქალმან მანიამა მეფე ერეკლეს დროსაო“. სალუდეშივე მოწყობილია კერა, სამსხვერპლო პირუტყვის ხორცის მოსახარშად. კერასთან მოწყობილია ქვის სკამები და ხის მორი, ხატიონთა საჯდომად. აქვეა მოწყობილი მაგიდის მაგვარი, ფიქალი ქვის მშრალი წყობა, დაბალი და მოგრძო, ქადა-პურის საჭრელად. საკურთხეველს ფშაურად სასუფეველს უწოდებენ.

ხის კულტთან დაკავშირებით საყურადღებოა ნინახის ხატის ტყის მახლობლად მდგარი ჭორბუდიანი მუხა – ერთ ძირზე ამოსული ოთხი მუხის ხე, რომელსაც აქ იახსრის საყუნს – საყარაულოს ეძახიან.

29 ივნისი

დილიდანვე ცხენების სამზადისში ვართ. დილის 11 საათია და ერთადერთი ცხენია მოყვანილი. ამის გამო უძილაურთაში გადასვლა გადაიდო ხვალისათვის. უნდა დაგროვდეს ცხენები 5–6 მაინც, წასვლა რომ შეეძლოთ.

ავედით ისევ იახსარში სამუშაოდ. დღის მეორე ნახევარში ცხენები ვიშოვეთ. ავიბარგეთ და ორ საათში უკვე უძილაურთაში ვართ. აქ შეგვხვდა ელიკო პაპიაშვილი (აღმზრდელად მუშაობს), ძალიან გვეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში 7 კომლი ცხოვრობს. ელიკოს 10 ბავშვი ჰყავს აღზრდილად. ყველაზე მტკივნეული: მთაში მრავალშვილიანობა მცირდება.

თ. ოსიაური მთხრობელთან მუშაობის პროცესში. სტუდენტებთან (ვ. დალაქიშვილი, მ. გუგუშვილი) ერთად

ისტორიულად კი, მთიანეთის ჭარბი მოსახლეობა ყოველთვის იყო რეზერვი ბარის მოსახლეობისათვის. თუ ეს სისტემა მოიშალა, დემოგრაფიული კრიზისი გარდაუვალია.

1929 წ. მაღაროსკარის თემში აღებული ცნობა მოსახლეობის შესახებ:

სოფელი	კომლი	მოსახლეობის საერთო რაოდენობა
ნარგალი	46	230
მაღაროსკარი	14	77
გომეწარი	47	237
კუდო-ხილიანა	40	169
ინო	7	24
არბანეხანი	8	36
ყოფნა	10	39
ქალილო	3	18
კუჭეტა	9	42
ხიმი	37	109
გუდარახი	4	19
მიგრიაულნი	30	124
კაწალხევი	31	120
შარახევი	20	88
აფშო	34	116
სულ	34	1453

სადღეისოდ მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. ბევრი სოფელი გაუქმების პირადაა მისული. თუ ასე გაგრძელდა, მთის დაცლა გარდუვალია.

წვიმს, ღვართქაფია.

30 ივნისი

სოფ. უძილაურთაში ვართ. შევხვდი ადგილობრივი სათემო და სასოფლო ხატების თავხევისბერს 84 წლის ჭრელა კოჭლიშვილს, აქაური ხატების კარგ მცოდნეს. სიხარულით გამოგვეგება.

უძილაურთას კოპალას ხატი. ბეღელი.
ფოტო ლ. საფრაზიანის

, მაგონდება ფშავის 1929 წლის ექსპედიცია.

ს. კუდოში ავედით მთა კუდოს თავზე ხატში, სადაც უნდა შემდგარიყო გადადებული მარიამობა. ამ დროს ადმასკომის დადგენილება იყო გამოცემული ხატობის და საკლავის დაკვლის აკრძალვის თაობაზე. ღამიანად გავედით, გაჭირვებით ავედით მთაზე ხევისბერის შესახვედრად, მაგრამ დახეთ, ხევისბერს როცა გაუგია ნვენი მისვლა გაქცეულა: ნემს დასაჭერად ამოსულან, ნეკადანო.

ბედის ირონია: ორივე ერთს გავურბოდით და შიშით ერთმანეთსაც.

ვართ უძილაურთის სათემო ხატში. შესანიშნავი სანახაობაა. ხატი გაშენებულია მთის ფერდობზე და ზემოდან დასცქერს ფშავის არაგვს. ზღ.დ. 1766 მ სიმაღლეზეა.

ხატს გარს არტყია იფნები. ხატი საკმაოდ რთული კომპლექსია. აქ წარმოდგენილია დარბაზი, საბერო, საზარეები, კერივი, მარანი, სალუდე, ბეღელი, კალო, საპურე და საკურატე.

საინტერესოა მარანი. ფიქალი ქვისგან ნაგები მშრალი წყობით. იატაკი - მიწური, მიწაში ქვევრები მარხია, ზემოდან ქვა აფენია. ხატს ახმეტაში ჰქონდა ვენახები. ამ ქვევრებში კულუხის ღვინოს ინახავდნენ.

გვიყვებიან: „ახმეტიდან რომ კულუხის ღვინო მოვიდოდა, დავდგამდით სამ თასს ღმერთისათვის, კვირიასთვის და კოპალასთვის. სამი კელაპტარი დაინთებოდა ღმერთის, კვირიას და კოპალას სახელზე. კიდევ დავანთებდით 11 სანთელს. ჯერ სადიდებელს ვიტყოდით, მემრე პიროფლიანებს ვახსენებდით, ჯვარისათვის და ხალხისათვის თავდადებულებს“.

ხატში შესანიშნავადაა აწყობილი მეურნეობის სისტემა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სახით.

გ. ნიტაია და ვ. ბარდაველიძე ველზე. ფოტო ლ. საფრაზიანის

I ივლისი

ვემზადებით ცაბაურთაში წასასვლელად . ბევრს ცდილობს ილო ფხოველი ჯორაკების მოყვანას. მივდივართ აკლდამებისაკენ. გზად ვხვდებით აწაწა ურემს და ფარცხს. გოგიმ [ზამთარაძე] გადაიღო სამივე ობიექტი, ზურაბი [წერეთელი] ჩანახატებს აკეთებს.

მივედით აკლდამებზე. ეს აკლდამები კი არ არის, მატურებია, საფლავის ქვები, ისეთივე როგორიც ბარისახოში და შატილში ვნახე. აქეა ნვეულებრივი სიბრტყის ძველი საფლავის ქვები, ახალ სამარხებზე თავთან ქვაა ჩარჭობილი.

მივდივართ ზევით და ზევით. აქ ბევრია ყვავილები, სხვადასხვა ფერის: ალისფერი, იისფერი, ლაჟვარდისფერი, სოსანი – ბუნების ზეიმია.

აი რა აძლევს შთაგონებას ადამიანს. მხატვარმა უნდა ხატოს, სულ ხატოს ბუნებრივ ფერებში, თუ უნდა შეერწყას სამყაროს.



აველით ირემთ კალოზე. ირმის კალო – რამდენი საუნჯეა ხალხურ ტოპონიმებში. უნდა აღირიცხოს, სანამ არ დაკარგულა. ვინმეს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავავალო ამ საკითხებზე იმუშაოს. ვფიქრობ, ჩვენს ექსპედიციებში აუცილებელია ფოლკლორისტების ჩართვა.

აქ სახარე და სასანთლე კოშკებია. სიმაღლე 2225 მ ზღ. დ. გადმა მოწანს სოფ. აკუშო და იქვე ციხე-გორი.

ცაბაურთას ხატის კომპლექსი, ხიან ღვთისმშობლის ხატი – მეტად დიდი ნაგებობებია. აგებულია ნასოფლარზე... გადმოცემა ასეთია: ადრე აქ სოფელი ყოფილა. ხატს მკითხავის პირით შემოუთვლია - აქაურობას მოშორდიო. ყურად არ უღიათ. მაშინ საცეცხლურში ამოსულა იფნი. კაცს მოუჭრია, მეორედაც ასე. მესამედ რომ ამოსულა, ხედ გველი იყო დახვეული. კაცს გველი მოუკლავს და გადაუგდია. ხატი გამწყრალა - შენ რათ მამიკალ ნემი იასალიო. ყველანი ავად გამხდარან. მაშინ ოჯახი აიყარა და გადასულა მახლობელ გორაზე".

. . .

ცაბაურთას მთავარანგელოზის ხატი ზღ.დ. 2060 მეტრზეა.

აქ წარმოდგენილია იშვიათი ბელელი, თორმეტიარუსიანი პირამიდული სახურავით,. მსგავსი გრანდიოზულობით და აღნაგობით, არ მინახავს, იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. თავისი ფუნქციით განკუთვნილია ხატის პურეულის შესანახად. ამასთანავე უწმინდეს ნაგებობად ითვლება, მასში შესვლა ერთადერთ პირს შეუძლია, მ ე პ ა ტ რ ე ხ ე ვ ი ს ბ ე რ ს. აქვეა წარწერა ზარზე: „ჩუნ წელსა" მას უკან გასულია 124 წელი.

ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ბევრიც დაგვრჩა. შეძლებენ კი ჩვენი ახალგაზრდები ხვალ ასვლას 2060 მ. სიმაღლეზე ამ საშინელი გზით და მუშაობას? საეჭვოა. თუმცა იმედი მაინც მაქვს. ღმერთმა მისმინოს.

ცაბაურთას მთავარანგელოზის ხატი. ბელელი. ჩანახატი კ. წულაიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963 წ. ფშავ-ხევსურეთის ექსპედიცია (დღიური)

31 ივლისი

ფშავ-ხევსურეთის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია უკვე მზადაა გასამგზავრებლად. ექსპედიციაში მონაწილეობენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან: ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, მ. კანდელაკი, გ. ჯავახიშვილი, მ. ხაზარაძე. მ. შილაკაძე. ნ. მაისურაძე. ჟ. ერიაშვილი, ნ. კახიძე, ე. მალია, ზ. წერეთელი, გ. ზამთარაძე. მ. ბერძნიშვილი; ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმიდან: მ. ხუციშვილი, ა. ცამციშვილი, ნ. ქაჯაია, ლ. გიგაშვილი, არჩ. ჯაფარიძე; კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებიდან: მ. კაკაბაძე, თ. ალავერდაშვილი, ნ. ჭადაშვილი; ხელნაწერთა ინსტიტუტიდან ზ. ალექსიძე; ექსპედიციას ეხმარებიან გამყოლები: ადუა არაბული და თემურ არაბული.

ექსპედიციის ძირითადი მიმართულებაა ხევსურეთის საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობების ფიქსაცია-შესწავლა, რომელიც დროთა განმავლობაში იჩღვევა და მოკლე დროში უკვალოდ გაქრება. ამ მიზნით 1962 წ. განხორციელდა კომპლექსური ექსპედიცია ფართო შემადგენლობით. ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მონაწილეობით. ამ ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკანტებმა და სტუდენტებმა. შარშან მონაწილეობა მიიღო 10 სტუდენტმა, წელს ერთმა.

ექსპედიციის წევრები: მარცხნიდან მ.კაკაბაძე, ზ. წერეთელი, ვ. ბარდაველიძე, გ. ნიტაია, მ. შილაკაძე, ნ. მაისურაძე, გ. ნიგოგიძე, გ. ჯავახიშვილი, ჟ. ერიაშვილი, ნ. ჭყონია (სტუდენტი), მ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის 11 საათზე, კერძო მანქანით, ავედით დუშეთში. დღის 5 საათისათვის რაიკომმა გამოგვიყო მანქანა ბარისახოში აწვნვლელად. ნარგლის შემდეგ წვიმა დაგვეწია. ამხანაგები დასველდნენ. როგორც იქნა ავედით ბარისახოში. ინტერნატის დირექტორმა ბაირამ ოდიშელიძემ და სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ კარგად მოვეწყოთ. დავბინავდით სკოლის შენობაში.

მეორე დღეს დილიდან მოვაგვარეთ საყოფაცხოვრებო საკითხები და გადავწყვიტეთ სოფ. ქობულოში ასვლა. სოფ. ქობულოში დღეს მიცვალებულია. 80 წლის დედაკაცს მზექალა ლიქოკელს (ჭინჭარაულის ქალს) თავი მოუწამლია: შვილების საზრუნავი და ზედმეტი ბარგი არ გავხდეო. ეს მზექალა ცნობილი დათვიას მეუღლეა, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ვაჟკაცურად უძღვებოდა ოჯახს და სასახელო ქალად ითვლებოდა. მისი მოწამვლის ამბავი ასე ყოფილა: წინა დღით დასუფთავებულა, გამოწყობილა ახალ ტანსაცმელში და შვილისათვის (რომელიც ემზადებოდა ქალაქში წასასვლელად) უთქვამს: „ჯერ ნუ მიდიხარ, მე დამმარხე და მერე წადიო“. გასულა მეორე ოთახში და დაულევია „კისლატა“. 24 საათში გათავებულა.

ექსპედიცია გადაადგილებისას

მზექალა დიდი ამბით დამარხეს შვილებმა, ძმამ და ძმისშვილებმა. ჩაატანეს საბანი, ბალიში, არაყი და სხვა. იყო დიდი რვა ცხენისაგან შემდგარი. ექსპედიცია დაესწრო მის დაკრძალვას.

დღეს ვმუშაობდი ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობის, სიმაღლეების, სამეურნეო ნიშნების გარკვევაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ხეობის სიმაღლეს ზღვის დონიდან. იგი უნდა შედარდეს სათავის სიმაღლეს, რითაც გაირკვევა ხეობის დაქანების რადიუსი და სამეურნეო ნიშნების ლოკალური თავისებურებებიც. ამით გამოვლინდება ხალხის მიერ მიღწეული შედეგები მეურნეობის განვითარებაში.

ბარისახო მდებარეობს 1250 მ. ზ. დონიდან, ბაცალიგო — 1885 მ ზღ. დონიდან, ატაბე — 2000 მ. ზღ. დონიდან, ნირდილი 1585 მ. ზღ. დონიდან, და სხვა. ახლა შევადაროთ ვერტიკალურ ზონალობაში მეურნეობის განვითარება: 0—2°-მდე შესაძლებელია მთლიანი მექანიზაცია, 3—5° მდე უპირატესი მექანიზაცია, 6—10°-მდე სანახევრო მექანიზაცია, 11-15°-მდე დაქვემდებარებული მექანიზაცია, 16—20°-მდე ხელით დამუშავება; 20°-ზე

ბარისახო

მეტი არა სამეცნიერო წათმოქმედო ფართობია. აქ უნდა გაკეთდეს ტერასები, ტრანშეები და სხვა, ვიდრე არ გამომუშავებულა მთის მიწათმოქმედების ტიპი და ფერდობების დამუშავების მექანიზაციისათვის სათანადო მანქანა-

იარაღების ასორტიმენტი.

2 აგვისტო

დღეს დილიდან წვიმს. მოგონებები მიპყრობს 1926-29 წლების ხევსურეთის ჩემი პირველი ექსპედიციების. ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა კარგად თქვა: ერთჯერად დანახული ნულს უდრის, მრავალჯერ დანახული კი ერთხელ დანახულს. დიდი მნიშვნელობა აქვს ერთხელ ნახულის განმეორებით ნახვას, დაკვირვების უნარი ფართოვდება და შედეგებიც თვალნათელია.

ვაკვირდები – მწყემსების მდგომარეობა მთაში იგივეა. ისევ ძველი ყოფა – არავითარი პროგრესი. იგივე წესები და შეხედულებები: დაკეჭვნა, მოსახლეობის აყრა ხატის მამულიდან. ბაცალიგოს ხატი, პირქუში, ლეკის ტყე – ქალის გაველა ტყესთან, მუწუკების დაყრა და დაავადება (ადგილი ხომ არ არის და-

60-იანი წლების სტუდენტთა პრაქტიკა ხევსურეთში.
მარცხნიდან: ს. ჭანტურიშვილი, თ.ცაგარეიშვილი, ვ. ბარდაველიძე, ც.ჩენაბდე, ნ.ჭყონია, მ. გუგუშვილი, გ. ნიტაია, ლ.მამუნაშვილი, ლ. თოდუა, თ.ალავერდაშვილი, ნ.მინდაძე, დ.გიორგაძე, გ.ჭოხონელიძე

ავადებული?) სამრეკლოების არსებობა. თუმცა საინტერესო პროცესებსაც ვხვდებით. ატაბეში მწვავე ბრძოლაა ახალგაზრდებსა და მოხუცებს შორის. 27 წლის ყმაწვილს ცოლი არ გაუშვია სამრეკლოში, შვილის მამა კი თხოულობს რძლის სამრეკლოში გაგზავნას. ახალგაზრდობა გამოდის ძველი წესების წინააღმდეგ.

ფარცხი. მხატვ. ი. შარლემანი

1927-29 წწ. ნაცნობებიდან ბევრი ხევსური დღეს აღარ არის ცოცხალი: აპარეკა და მამუკა არაბულები (ბარისახო), სულხანაურ არაბული (ბაცალიგო), თომა ბალიაური (ახიელი), დედიკა ჭინჭარაული-ალუდაურისა (ჭაკმატი), მზექალა ლიქოკელი (ქობულო) და სხვა. იმავე წლების ექსპედიციის წევრებიდან აღარ არიან: გ. ნიორაძე და ი. შარლემანი. მაგონდება, როგორ დახატა ი. შარლემანმა ღულის ჭალაში მიმავალი ხევსური ხევსურულად გამოწყობილი ბუნების იშვიათ ფონზე. მის მიერ დახატული აპარეკას ორი ბავშვი ნამდვილი შედეგრია. ერთ შემთხვევაში ორივე ბავშვი დახატულია ზურგიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში ფარცხზე მსხდომნია გამოსახული. ამ ბავშვებიდან ბებერი არ გათხოვდა და შინაა, ხოლო ბებერა გათხოვდა აკუშოში და ამჟამად ქვრივია.

ი. შარლემანი, მაგონდება მისი აღტაცებული სახე ხევსურეთის ბუნებას რომ უყურებდა. რამდენს აძლევს ბუნება მხატვარს, ან ლანსერე? – როგორი ენთუზიასტი; მიყვარს მათთან მუშაობა. კარგი ახალი თაობაც, ზურაბ წერეთელი ნიჭიერია ფართო ინტერესი და

---

[1] შენიშვნა: ეთნოგრაფიაში მხატვრის მოღვაწეობას გ. ნიტაია ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა და იღვწოდა ამ ტრადიციის გაგრძელებისათვის. უფრო მოგვიანებით 1980 წელს იგი წერდა: „თანამედროვე პირობებში ერი ვერ ერობს, თუ მას მაღალკვალიფიციური ინტელიგენცია არ ჰყავს. ყოველი მხატვრის წარმატებით მოღვაწეობისათვის აუცილებელი პირობაა ახლოს იყოს ხალხის ყოფასა და კულტურასთან. დღეს სახელმოხვეჭილი მხატვრები ყოველთვის მუდმივ კავშირში იყვნენ ეთნოგრაფებთან და უშუალოდ მონაწილეობდნენ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. ასეთებია: უნა ჯაფარიძე, სერგო ქობულაძე, იოსებ შარლემანი, ევგენი ლანსერე, ზურაბ წერეთელი და სხვა. გუშინ [1980წ. 24 ივნისი] უნა ჯაფარიძემ მითხრა: „ჩემთვის, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობა უნივერსიტეტი იყო". ვისურვებდი ასეთი კავშირები ყველავადაც გაგრძელებულიყოს ორივე დარგის სასიკეთოდ." გ. ნიტაია, ნემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, მეცნიერება, 1991, გვ. 77-78 [თ. ც.]

მხატვარი ხ. წერეთელი ველზე

კარგი თვალი აქვს, განსაკუთრებით ფერის შეგრძნება. მე ვთხოვე ეთნოგრაფიული ნანახატები გააკეთოს ფერებში, იმუშაოს თავის თავზე. უთუოდ კარგი მომავალი აქვს. გ. ზამთარაძე შრომისმოყვარეა.

3 ა გ ვ ი ს ტ ო

დღეს დილიდან გავემგზავრეთ ბ ა ც ა ლ ი გ ო შ ი. გავიარეთ ნხუბა. ბაცალიგოში ხატი დაუხურავთ თუნუქით და მოვლილია. აქ კოშკია ნაშალი. ადრე ამ ტერიტორიაზე სახლები ყოფილა, მაგრამ ხატს აუერია. სახლები უკვე დარღვეულია; ავზომეთ ხატი, დარბაზი და სალუდე.

ბაცალიგოდან ა ტ ა ბ ე შ ი წავედით. აქ არქიტექტორების მეორე ჯგუფი მუშაობდა აქაურ ხატზე, აგრეთვე ადგილის დედაზე და ნიშებზე. აქაური ხატი დანგრეულია, შიგ ადმოჩნდა საყენო თასი, მთლიანი ხისა, ყურებიანი, დაჭრელებული. რჯული ატაბეში უნდა შედგეს შაბათ-კვირას აუცილებლად; ადგილი ჰქონია დაკეკნას.

თუ ადრე 1929 წ. ატაბეს ხატი იყო კარგ მდგომარეობაში, ხოლო პირქუშის ხატი დანგრეული, ამჟამად პირუკუ; თითქმის დანგრეულია ატაბეს ხატი, ხოლო პირქუშის ხატი აღდგენილი, თუნუქით გადახურული და მოვლილია.

გამაკვირვა და გამოცა დღეს რომ ლექსი წავიკითხე აბრამზე. (გ. თედორაძე „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში" გვ.116). დეტალურადაა მოთხრობილი აბრამის მიერ შვილის მსხვერპლად მიტანა.

(ცნობილია, რომ აბრამის მიერ შვილის მსხვერპლად მიტანის სიუჟეტი საქართველოში გამოსახულია ქვაზე და ხეზე:

ქვაზე – წებელდაში, კანკელზე.

ხეზე – ლაშეში, ეკლესიის კარი გადმოტანილია სხვა ეკლესიიდან. ორივე ეს ძეგლი თარიღდება X საუკუნით.

ამის შესახებ წერდა მარი, ეხლახან უნნაძე. ხევსურეთში საიდან



დასახლების ტიპი. სოფ. ახიელი. 1–15 – საცხოვრებელი სახლი, სახნავი მიწა. მხატვარი ნ. ბრაილაშვილი

გაჩნდა, ან როდის? სამწუხაროდ, არ ჩანს თუ ვისგან, ან სად აქვს ჩაწერილი ეს ლექსი გ. თედორაძეს. საჭიროა მისი მიკვლევა და ხელახლა ჩაწერა.

გარკვეულია, რომ წებელდის სიუჟეტი ეთანხმება უძველეს ებრაული ვერსიის ბიბლიას. არ არის გამორიცხული, რომ ეს ძველი ვერსია ემთხვეოდეს ებრაული ტექსტის არსებობას თბილისში X-XII საუკუნეებში.

4 აგვისტო

დღეს დილიდან ექსპედიციის მთელი შემადგენლობა სოფ. აკუშოში წავედით. გზად გავიარეთ სოფ. ქობულო. აქ მძიმე ადმართია მაღრანამდე. აკუშომდე სულ უწყვეტლივ ზევით და ზევით მიდის გზა. გამოვიარეთ მაღრანი, ვინახულეთ ხატი. აქ სიმაღლე

ზ. წერეთელი და გ. ჩიტაია შესვენებისას

ზღ. დ. 1747,8 მეტრია, ტემპერატურა 20°, ტენიანობა 618,5-0.

ვუხსნი ასპირანტებს, რომ სოფელი მარტო ტყე, ყანები, საძოვარ-სათიბები კი არ არის, არამედ სოფელს აქვს თავისი დაგეგმარება, რომელიც განაპირობებს მთელ ამ სისტემას. როდესაც სოფელს სწავლობ, უპირველესად უნდა შეირჩეს მოხერხებული ადგილი, საიდანაც მთელი სოფელი როგორც ხელის გულზე ისე ჩანს. თავდაპირველად უნდა მოძებნო და დააკვირდე წყაროს, საიდანაც სოფელი იღებს წყალს, მასთან მისასვლელ გზებსა და ბილიკებს. მას შემდეგ სოფლის უბნებს, მასში არსებულ გზებს, სოფლის ცენტრს, ცენტრისკენ მიმავალ გზებს, უბნების დამაკავშირებელ გზებს, სოფლიდან სხვა სოფლებში მიმავალ გზებს. შემდეგ ნაგებობებს, შეჯგუფულს თუ მეჩხერად გაბნეულს.

დასახლების ტიპის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ნაგებობათა განლაგებას, არამედ სოფლის სამეურნეო ყოფის ამსახველ მონაცემებსაც (საყანეები, სათიბები და საძოვრები). დასახლების ტიპს აპირობებს მეურნეობის ის სახეობა, რომელიც დამახასიათებელია სოფლისათვის.

საზაფხულო საძოვარი „ქვენა საცხენის ვაკე“ სინდაურას ჭაუხთან

ხევსურული სოფელი ძირითადად განლაგებულია მაღალ ფერდობზე, მაღალ ზოლში, ძნელად მისასვლელ ადგილზე. ეს გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რამდენადაც ამის გამო ხევსურული სოფელი უფრო მეტად

არის მოწყვეტილი დიდ შარაგზებს, ვიდრე ზოგიერთი სხვა მთური სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მოცემული შეჯგუფული დასახლება საზამთრო და საზაფხულო ბოსლებით — შეპირობებულია მსხვილფეხა მესაქონლეობით. ცნობილია, რომ მესაქონლე მოსახლეობა დიდ საექსპლოატაციო ტერიტორიას საჭიროებს საძოვრებისა და სათიბების სახით. ამავე დროს, მოსახლეობა, დაბალი სამეურნეო ტექნიკის პირობებში და უგზოობის გამო (პურის შემოზიდვის სიძნელესთან დაკავშირებით), სასარგებლო მიწის გარკვეულ ფართობს საყანეებად იყენებს. ასეთ ვითარებაში ერთის გაზრდა მეორის შემცირების ხარჯზე შეიძლება მოხდეს, რაც გადაულახავ სიძნელეებს ქმნის. ყოველივე ზემოთ თქმული განაპირობებს როგორც შეჯგუფულ დასახლებას, ისე საზაფხულო „ბოსლების“ არსებობას.

აბა დააკვირდით კაცის გონებას მარტო მთის ბილიკის გაჭრისას. დააკვირდით როგორ გონივრულად მიემართება ხევში, ამოტივტივდება ქედზე, გადაჭრის ხევს და აუცილებლად მიადგება წყაროს. ყველა ბილიკი რაღაც პერიოდში მიადგება წყაროს, მგზავრმა წყურვილი რომ მოიკლას და გზის გაგრძელების საშუალება მიეცეს. ესეც ხომ ემპირიული მიღწევაა.



ექსპედიციის მსვლელობა მთაში

* * *

სოფ. აკუშოში ვინახულეთ ხევისბერი გიორგი. ის ხატისაგან დაჭერილი ადმოჩნდა. ხატში წაყოლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საკლავის გარეშე ხატში ვერ შე-

ვალო, ხოლო კვრიეში სულაც ვერ მივალო. ხევისბერი დააკვირდა მყოფებული ჩანს. სიზმრები სტანჯავენ. მივედით კოპალას ხატში, ეს ხატი წმინდა გიორგის სალოცავის ზემოთ ფერდობზეა. შედგება რამდენიმე საკულტო ნაგებობისაგან: საქვაბე, დარბაზი, ბეღელი, საკოდე სამი კოშკი და კვრიეი ბუსნა.

მეორე ხატი ღვთისმშობლისაა – იგივე ადგილის დედა (მაგონდება ნემი დდიურის ის ადგილი, რომელიც ეხება ადგილის დედას თეთრიწყაროს რაიონში). აქ ორი ნაგებობაა საქვაბე და დარბაზი. აქვე დარბაზზე გარედან ჩამოკიდებულია ზარი, დგას დიდი ხეები.

კოპალას ხატში არის გველის პერანგი, ხატები უმთავრესად – რუსული. ერთი ჯვარი ვერცხლისაა, ოქროში დაფერილი, თვლები და შუაგულში მინანქრიანი ქრისტე. ზურგზე წარწერაა: „კოპალე წმ. გიორგი დეკებისა და ქაჯების მებრძოლი“.

პატარა ბიჭმა გაგამ, იგივე გივი ჭინჭარაულმა აგვიხსნა თუ ხატის კუთვნილი მამულები რომელია. აქვე გალავანი ჩანს ღვთისმშობლის გარშემო. რაც გალავნის შიგ არის, ღვთისმშობლის ხატს ეკუთვნის.

ამ ორი ხატის ისტორია ასეთია: აქ ფშაველები დასახლებულან, რომელთაც ეს ზემო ხატი კოპალა ჰქონიათ. ხევსურებს ისინი გაუძევებიათ და თავისი ხატი, ღვთისმშობლის დაუარსებიათ. ეტყობა მაშინვე შემოუკავებიათ გალავნით.

აქეეა წყარო, წყაროს იქით ბორძაის მიერ დარგული ხე.

აქ საყანეების დაქანება ხატის ზემოთ უდრის 30°. ამუშავებენ სახვნელით. იაშვილის სქემით, ხელით დამუშავება შეიძლება მხოლოდ 16-20-0-მდე.

ხატის გვერდით ბებერა ლიქოკელის კარმიდამოა მშვენივრად მოწყობილი. ეზოში რამდენიმე ზ ვ ი ნ ი // ბ უ ლ უ ლ ი თივა უდგას, შარშანდელი. აქვეა ს ა ბ ო ს ლ ო // ს ა მ რ ე ლ ო, რომელშიც 16 წლის ქალი ზის. ასევე იყო ხევისბერის სახლშიც. ეს რა უბედურებაა... ნუთუ არაფერი ეშველება...

* * *

მიყვებიან, რომ ქაჯავეთის დალაშქრის დროს კოპალას ახლდა გახუა მეგრელაური, რომელმაც იმის გამო, რომ ის ჯელოსანი იყო, დიდად შეუწყო ხელი ქაჯების ციხის გატეხვას. გახუა-ხელოსანი.[]

ხოწვის ხელობა გალექსილია ფშავურ ლექსში:

„ძმობილო, კარატიელო,
ე, მა ხოწს გაუხახუნე,
გუშინაც გალეულიყო
სულ კბილ დაღრეჭილმ ვაბრუნე.“

* * *

ვაკვირდები ჭ ა ლ ი ს ს ო ფ ლ ი ს დასახლებას. სოფელი ლიქოკის ხეობაში იმყოფება, შედის ბარისახოს სასოფლო საბჭოში. ამავე საბჭოში შედიან: სოფელი აჭე, ბაკინილო, კარწაულთი, ქობულო,

აკუშო, კიმხი, ბულალაურთა.

სოფელში ცხოვრობს ექვსი კომლი – ლიქოკელები. მათი წინაპარი ქისტი ეოფილა – გვარად ტოგილაშვილი. კაცის კელაზე აყრილი.

ექსპედიციის მსვლელობა

მეურნეობის ძირითადი დარგია ხვნა-თესვა და მესაქონლეობა. სოესენ: ქერს, სვიას (ანეულის) და კრუმას (კრუმა– კრუპა). საქონელი ყველა ოჯახსა ჰყავს. „მამა-პაპის დროს თითო სახლს უნდა ჰყოლოდა ხუთი ძროხა და ერთი უღელი ჭარი." საქონლისათვის საზაფხულო ბინები არც წინათ ჰქონიათ და არც ეხლა აქვთ.

ძალიან მცირე რაოდენობით მოჰყავთ კარტოფილი და კომბოსტო, რაც აქ „ფაუას ძმამ, ნიკომ, შემოიტანა". მის მეერვე არის შემოტანილი მეხობაც, თუმცა ძველადაც და ეხლაც ხილში პანტის მეტი არაფერი ხარობს, ისიც მხოლოდ ტყეებში.

სალიქოკო ადგილებში, – ასე უწოდებენ ამ ხეობაში საყანე, სათიბ ადგილებს, ტყეებს, – ჭალის სოფელს თავისი კუთვნილი მამულები აქვს.

გ. ნიტაია
მთავარანგელოზის
ხატში

სოფლის საძოვარია ჭორჭი – (მთაზე), რომელიც სოფლიდან 1/2 კილომეტრით არის დაშორებული (თვით ეს საძოვარი). აქვეა სათიბებიც: ჯვარის მთა, ბუგას ჯვარი, მამაო, რომელთაგან ყველაზე შორს – 2 კმ-ზე იმყოფება მამაო.

საყანე-საქერე ადგილები სოფელს ირგვლივ აკრავს. ესენია: ჟოლოვანა, საკარატო, საკვირაო თავი (სოფლის აღმოსავლეთით), კოტორას ნაპირი, აბათეულები, ჭებეზას პირი, ხევის პირი (სოფლის ჩრდილოაღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) გორელთა, სრელოანი, აგანეჩო, სოფელთავი (სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით).

ამ მამულებიდან ყველაზე შორს იმყოფება – აღმოსავლეთით – ჟოლოვანა(1/2 კმ), სამხრეთ დასავლეთით - აგანეჩო(800მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულები ნაკვალების მიხედვით არის დანაწილებული.

ტყეები სხვადასხვა მხარეს იმყოფება. მათი სახელებია: ჯვარის ტყე, წიფლოანი(1/2კმ), ოქროაწყალა, საზრობი, საჭარე, გეცნუ,გოგის მიწა, ხაძაღლოანო.

შეშის ჩამოტანა ჯორაკებით ხდება, იციან აგრეთვე ტვირთითაცეი. მხრით ჩამოტანა. თითო კაცი ორ მოშს ჩამოიტანს. მოში ეწოდება იმდენს, ხელს რასაც მოჰკიდებს ერთი კაცი.

წყარო არა აქვთ. სასმელად ხმარობენ მიხლა ხევის წყალს. ამავე ხევში აგებულია ბოჭოლა წისქვილები.

5 აგვისტო

სანამ ჯვარხატების ნაგებობათა აღწერაზე გადავიდოდეთ, საჭიროა დაზუსტდეს ცნებები - ჯვარი და ხატი.

თავის დროზე ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა ენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ საფეხურზე ჯვარი–ძელს, ხოლო ხატი ხეს აღნიშნავდა. ამასთანავე მანვე გაარკვია, რომ ჯვარი და ხატი ჩვეულებრივი ძელი და ხე კი არ იყო, არამედ თაყვანისცემის ობიექტი იყო. ძელის და ხის ამგვარი გაგება უკავშირდებოდა კოსმიურს და ასტრალურ მსოფლმხედველობას. აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ძველ საქართველოში ხის კულტის არსებობა (მუხა, ცაცხვი).

ექსპედიციის შესვენება

ადრინდელ ნაშრომებში ახლად მოპოვებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დადასტურდა, რომ თავდაპირველად ხის ესა თუ ის სახეობა ქართველ ტომთა ტოტემური მცენარე უნდა ყოფილიყო და რომ შემდეგში, შედარებით გვიან ხანაში, ეს ტოტები სათაყვანებელ არსებად იქნა მიჩნეული. გამოვლენილია აგრეთვე ხალხის სარწმუნოებრივი შეხედულება ხეზე, როგორც ცოცხალ ანტრომორფულ არსებაზე. ამასთანავე ეს არსებები განიცდიდნენ მძლავრ მეტამორფოზას: ზოგი მათ-

განი ამა თუ იმ ცხოველის, ზოგი ბუნების სხვა საგნისა და მოვლენის სახეს იღებდა, როგორც ეს დამახასიათებელია პირველყოფილ-თემური საზოგადოების სარწმუნოებისათვის.

რელიგიის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანებმა მათ მიერ შექმნილი ეს უხილავი ქმნილებები ცაზე გადაასახლა, ზეციურ არსებად აქცია და დედამიწაზე კი მათ ამქვეყნიური დროებითი საბრძანისი მიუჩინა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ზეციურ არსებათა ამქვეყნიურ საბრძანისს ჯვარი ან ხატი ეწოდება, რაც ამ ტერმინების მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა, ატრიბუტია.

ზეციურ არსებათა ჩამოყალიბება და მათი იერარქიულად დაწყობა უნდა მომხდარიყო იმ დროს, როდესაც საზოგადოებაში წარმოიქმნა მდიდარი და ღარიბი თემები, როდესაც შეიქმნა მძლავრი და სუსტი გვარები, რაც, როგორც ცნობილია, ემთხვევა საზოგადოებრივი განვითარების სამხედრო დემოკრატიის საფეხურს.

საზოგადოებრივი განვითარების შემდეგ საფეხურზე, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ამ ზეციურ არსებებს გაუნდათ უზენაესი ტრიადა (მორიგე ღმერთი, მზე-ქალი და კვირია), რომლის მორჩილების ქვეშ ღვთისშვილნი აღმოჩნდნენ. თავის მხრივ ღვთისშვილებს დაუმორჩილდნენ ის არქაული დროიდან მომდინარე რელიგიური პერსონაჟები, როგორიცაა მწევარნი, ლაშქარნი, დობილნი და სხ. ეს უკანასკნელნი (სარწმუნოებრივი პერსონაჟები), თუმცა სულებად არიან მიჩნეულნი, ზეციურ არსებებს არ განეკუთვნებიან.

მთავარანგელოზის ჯვრის ხუცესი ღვთისო ივანესძე არაბული

რელიგიური განვითარების ამ საფეხურზე ჯვარი და ხატი აღნიშნავდნენ როგორც ამა თუ იმ ტომისა და თემის ღვთისშვილს, რომელიც წარმოდგენილი იყო ტომისა თუ თემის მფარველად და ბატონ-პატრონად, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ საბრძანისს.

ჩვენი მსჯელობა ჯვარ-ხატების შესახებ შეიძლება სქემატურად ასე გამოისახოს:

ღვთაებათა უზენაესი ტრიადა

I. მორიგე ღმერთი, მზე-ქალი, კვირია.

ღვთისშვილნი (ტრიადის ხელქვეითნი).

II. კოპალა, იახსარი, პირქუში.

ამათი მიწიერი საბრძანისი - ჯვარი, ხატი.

მიწრიელი არსებანი (ხვთისშვილთა ხელქვეითნი).

III. მწევარნი, ლაშქარნი, დობილნი.

ჯვარი და ხატი აღნიშნავდა როგორც ამა თუ იმ თემის ღვთაებას ანუ, როგორც მთიელები უსახელებენ ღვთისშვილს, (რომელიც წარმოდგენილი იყო თემის მფარველად და ბატონ-პატრონად), ისე ამ ღვთისშვილის მიწიერი საბრძანისის ნაგებობას.

მთავარი ხატებია: გ უ დ ა ნ ი ს (ღვთისმშობელი და წმ. გიორგი), მთავარანგელოზი (ახიელში), ხ ა ხ მ ა ტ ი, ლ ი ქ ო კ ი ს (კოპალა და იახსარი).

* * *

გუდანის ხატზე გიგია ჭინჭარაულმა ბარისახოდან 1943 წ. ასეთი ცნობა მომაწოდა:

„გუდანში ხალხი ყოფილა, რომელიც ხატს ამოუწყვეტია. ისინი ყოფილან ბადრიაულები და კორაზაულები. ხატის ადგილზე ცხვარი ჰყოლიათ. ნამცხვრევი დღესაც აწნევია. შემდეგ ხატს თავი უწყენია და სამს ძმას – არაბას, გოგოჭას და ჭინჭარას ქისტისათვის აუგებინებიათ ხატი. მისი ხელი დღესაც ჩანს ქვაზე იქ.

ხევსურები თითონ არ აგებენ ხატებს, არამედ სხვათ უნდა ააგებინონ.

არც გადმოთოვლა, არც შეკეთება ხატისა ხევსურს არ შეუძლია.

ორწახნაგოვანი სახურავი იმიტომ უკეთდება, რომ გადამოთოვლა არ შეუძლია ხევსურს, არც ხუცესს და თვითონ უნდა გაუძლოს თოვლსაო.

კოშკებიც იმ სახის იმიტომ ჰკეთდება, რომ ზარს წყალი არ ჩაუვიდეს და დიდ ხანს გასძლოს.

ასევე საფლავის კოშკიც იმ სახისა მიტომ კეთდება, რომ დიდხანს გასძლოს და ამ ადგილზე სხვა არავინ არ დაემარხოს."

ხახმატის ხატი

* * *

ჭაჭმატის ხატში ვართ. სიმაღლე 1753.8 მ ზღ.დ. ეს ხატი მოიხსენიება „გიორგი ბოსლოვნისაო, აბუდას მაბურთვალო". ხატი სოფლის ბოლოშია, შუაში ჩამოუდის ჯვართ-ჭვეი. ხატიდან კარგად ჩანს აბუღას მთა. იქ მიდიან ჭაჭმატელები წელიწადში ერთხელ - ა თ ე ნ გ ე ნ ო ბ ა ს საკლავით. ეს სამთო სალოცავი ტყითაა შემოსილი. მლოცველები

მხოლოდ ამ ტყის ქვედა ნაპირამდე ადიან.

ხატში დგას ბებერი იფნები. აქ წარმოდგენილია საკულტო ნაგებობები: საქვაბე, დარბაზი და საკოდე.

მანქანამ გამოიარა. კახეთიდან მოყავდა ხევსურები. ამ ადგილზე ქალები ჩამოვიდნენ და ფეხით შემოუარეს ხატს. ასევე მოიქცნენ დღეს ხევსური ქალებიც, რომლებიც სოფლიდან მოდიოდნენ.

აქ ჩამომდინარე ხევი წმინდა საგანია და მასზეა დაფუძნებული ხატი. ეს ასე ჩანს.

* * *

ჩვენთან იყო აბიკა არაბული ჩირდილიდან. გვითხრა, რომ აკუშული გიორგი მკითხავია: იგი აყენებს მედროშეს, დასტურებს, მკურნალობს, თავის ბავშვს სკოლაში არ აძლევს.

ასევე ლიქოკის ხეობაში არის ხევისბერი, რომელიც ბარისახოს ხიდზე არ გადმოდის და სულ ერთთავად თავის სოფელშია: „ბარისახო წაბილწულია და იქ როგორ მივადწევო...“

6 აგვისტო

სოფ. გუდანი. სიმაღლე 1615 მ ზღ.დ. (ხევისბერ გადუას სახლის ბანი).

გუდანის ხატი

გადუას სახლის კალოზე ვარ. ბევრ შესანიშნავ ამბებს მოგვითხრობს. მე მას წავუკითხე აბრამის ლექსი. ჯერ კიდევ არ მქონდა დამთავრებული, რომ მითხრა: მახსოვს, მახსოვს, მაგ ამბავს მე მოგიყვები. მე ეს ამბავი გაგონილი მაქვს გაგა მჭედლის შვილისაგან, რომელიც ნემი დედიძმა იყო. ის თუმცა უსწავლელი იყო, მაგრამ ბევრი ამბავი იცოდა და ხშირად გვიყვებოდა. აბრამი ძალიან მადლიანი კაცი ყოფილა. მის დროს პირმშოს - ქალი იქნებოდა თუ კაცი, მსხვერპლად სწირავდნენ. აბრამიც ასე მოიქცა. ხოლო მოწაფეებმა ვერძით შეცვალეს. მას აქეთ ჩვენც მსხვერპლს ვერძით ან კურატით ვიხდით...

გადუა ჭინჭარაული, საღმრთო გუდანის ჯვრის ხევსიბერი

საინტერესო ფაქტია, გადუას მიერ ახლად აშენებული სახლი. ამოყვანილია მხოლოდ ერთი სართული. მკითხავმა გამოაცხადა, რომ ეს ადგილი ხატის დაჭერილიაო. გადუამ გვითხრა: მე მაგ სახლზე ხელს არ ავიღებ, ბევრი შრომა მაქ გაწეულიო. მთავარი – ხევსიბერი მკითხავს ეურჩება.

7 აგვისტო

სოფ. ჩირდილი 1441.8 მ ზღ.დ.

ფერდობზე მდებარე ხატი ორი მხრიდან ერცელი მინდვრით არის წარმოდგენილი. ორივე მხარეზე ნარგაევებია დიდძალი: ნაძვი, მუხა, კაკალი, მაჟალო, პანტა და სხ. თვით ხატში დიდი წიფლებია, ასწლოვანები. გალმაც ნარგავებია ნაძვის.

ამ ხატში აღმოაჩინეს შესანიშნავად მოჩუქურთმებული სამწირველო იგივე საკურთხეველი. ეს იშვიათი ეგზემპლარია და აქ მისი დატოვება დიდი ცოდვა იქნება. უნდა შევეცადოთ, რომ ეს სამუზეუმო ექსპონატი მუზეუმში მოხვდეს. მარინე [კანდელაკი] და მათიკო [კაკაბაძე] კისრულობენ მისი თბილისში წაღებას!!! ასევე სამუზეუმო ეგზემპლარია ის ქვა, რომელიც ბისო-ხახმატის ჯვრის დარბაზის კედელშია დატანებული და რომელზედაც მხედრები და სხვა სახეებია ამოკაწრული. ესეც იშვიათია. 1927 წ. ამგვარი სურათები ქვაზე ამოკაწრული მახსოვს ლეგბაისკარში მიტოვებული სახლის კარის თავზე, ხოლო 1962 წ. შატილში, სახლის კედელზე. თვით ხატში წიფლის ხეების კანზე წარწერებია, მის გვერდით ამოკაწრული სურათები ადამიანების, მხედრების – იმავე სტილის. აქვე არაბული წარწერაა თასზე და ქართული - ქვაბზე. მე სათვალე დავკარგე და ამოკითხვა ვერ

ხევსური ქალი საქსოვ დაზგასთან

შევძელი... ვერამ [ბარდაველიძე] და მარინემ [კანდელაკი] დეტალურად აღწერეს ხატი შინ და გარეთ. მათიკომ [კაკაბაძე] და თენგიზმ [ალავერდაშვილი] გადაიღეს გეგმები და ჭრილები, ხოლო ნ. ჭადაშვილმა და არაბულმა გააკეთეს ტოპოგრაფიული გეგმა.

8 აგვისტო

გუშინ ექსპედიციას შემოუერთდნენ ხ. წერეთელი, გ. ხამთარაძე, ჯ. რუხაძე, ნ. მაისურაძე, ხ. ალექსიძე. ვაპირებთ არხოტში გადასვლას. იქაური ძეგლები ხელუხლებელია და დიდი სამუშაოა ჩასატარებელი...

საოცარია, რომ 35 წლის მანძილზე რა მცირე ცვლილებები მომხდარა ხევსურების ცხოვრებაში. დღეს შაბათია. ისევე როგორც 35 წლის წინათ, ხევსურები ღვთისმშობლობამდე სამ დღეს უქმობენ მოსაველის მიღების მიზნით – შაბათს, კვირას და ორშაბათს. დღეს შესანიშნავი დარია, თიბვა შეიძლება, ხევსურები კი ხელდაკრეფილნი სხედან.

6 ცხენი მოგვიყვანეს ბარისახოში. ხუთი უნდა მოიყვანოს გივი ჩიგოგიძემ უკან ხადუდან და ღულის ჭალაში დაგვხვდება.

ავიბარგეთ და მივედით ღულის ვაკემდე, გზაში შემოგვეგება გივი და მითხრა: ცხენები არ მომცესო. კიდევ კარგი ჩვენმა გამყოლმა აბიკა არაბულმა გზაში ერთ ჩირდილელ ქალს გამოართვა ერთი ცხენი. სულ გვყავს 7 ცხენი.

სოფ. როშკა

გზად გამოვიარეთ ღ ე ლ ი ს ვ ა კ ე, ქ მ ო ს ტ ი. მოვედით რ ო შ-კ ა შ ი. კარვები გავშალეთ და დავბინავდით სერზე. გვიან დაბრუნდა მარინეს [კანდელაკი] ჯ გ უ ფ ი (მუზეუმელებთან ერთად) და ნანულის [მაისურაძე] ჯ გ უ ფ ი, რომელმაც საინტერესო სიმღერები ჩაიწერა.

იმ ღამეს ცუდად მეძინა, საწოლი ტომარი საშინელია. დამტვრეული ავდექი, თავს კარგად ვერ ვგრძნობ. გადასასვლელზე ვერასი მეშინია, თან არ ვარ კარგად. ამიტომ გადავწყვიტე უკან დაბრუნება.

ჩვენი ექსპედიცია 9 აგვისტოს 1 საათზე არხოტისაკენ გაემგზავრა. მე და ვერა კი წამოვედით ბარისახოსკენ, ცხენებით. დავბინავდით ისევ სკოლაში, იმ ოთახში, რომელიც გვეჭირა როშკაში წასვლამდე. ხევსურეთის ძველი მსოფლმხედველობის ამსახველი როშ-

კის ხეობაა. აქ მრავალი ნაშთი მეტყველებს დევებისა და ხთიშვილების ბრძოლაზე. აქ წყალგადმა წორბარახუნებს უცხოურიათ, რომელთაც 60 ძროხად უყიდიათ მამული, იქ დაბინავებულან.

ამ ხეობაში უამრავი საძოვარია. ღღეს აქ დიდძალი ფერმებია, დიდძალი საქონელი ყავთ, მაგრამ მათი მოვლის წესი მეტისმეტად უბრალოა.ისევე როგორც სვანეთში, საქონლის პატივი დაგროვილია სახლის მახლობლად ან საძროხეში, რაც ერთთავად აბინძურებს სოფელს. ამას [მიხედვა] სჭირდება.

ცნობილია, რომ ხალხის ნამატს ყოველთვის მთა იძლეოდა საქართველოში. სვანეთში ოჯახი არ არის, 5-6 შვილი არ ყავდეს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, რათა საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდეს. აქ, ხევსურეთში მოსახლეობა ზღ.დ. 1200 მ ზევით ცხოვრობს (2000მ – ატაბე, 2159 – როშკა, ღულის ძირი – 1560მ და ა.შ.). ასეთ სიმაღლეზე საქართველოში სხვა კუთხე არ მეგულება, გარდა უშგულისა, 2250 მ ზღ.დ.

ხევსური ბავშვები

როშკაში ვნახეთ როგორ ხნავდნენ და ფარცხავდნენ ფერდობებზე ანეულს, რომლის დაქანება 40 გრადუსი მაინც იქნება.

შეძლებს ჩვენი მექანიზაცია 40–45° დაქანების კი არა, 10-20°-იან დაქანებაზე მუშაობას? ეს უაღრესად საჭირო საკითხია.

ჩვენი სპეციალისტები წერენ, რომ 16–20°-მდე მხოლოდ ხელით დამუშავება წარმოებს. ეს მონაცემი ეწინააღმდეგება ხევსურეთში არსებულ სინამდვილეს: ფარცხით ფარცხავენ მინიმუმ 40-45° სახვნელით ხნავენ და ხარის დაქანებას.

* * *

აქვე ქმოსტში ისევ ხევსურთა ძველი რწმენა-წარმოდგენები ბატონობს. ბოდორნის თეთრი გიორგის ხუცესი რამდენიმე წლის უკან გადასახლებულა კახეთში, აქაური ხატი მიუტოვებია. ამის გამო მის ოჯახში დიდი უბედურება დატრიალებულა. მკითხავს უთქვამს, „თუ არ დაბრუნდით და ხატი არ აღადგინეთ, ხატი სულ ამოწყვეტავთო, ხატი მოითხოვს დაბრუნდითო“. დაბრუნებულა, ხატი აღუდგენია და მეურნეობაც გაუშლიათ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება გუდანის ხუცესი გადუა. როგორც ზემოთ ვთქვით, მან სახლის აშენება დაიწყო. ხოლო მკითხავმა ხატის სახელით აუკრძალა. ახლა გადუა თითქოს



მთის სოფელი მთვარიან ღამეში
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰარმონია

(მხატვარი ზ.წერეთელი)

წინააღმდეგია მკითხავის რჩევისა, მაგრამ დიდ საგონებელში ჩავარდნილა. სხვებმა გვითხრეს, რომ ამ ზამთარს გადუას 7 სული საქონელი დაელუპა, რასაც ხატის რისხვას მიაწერსო. ამ დღეებში გადუა თიბვის დროს ცელით დაიჭრა - ეს მე არასოდეს არ მომსვლიაო – გვინივის ის ჩვენ. ამაეე დროს სიზმრებმა შეაწუხა, თითქოს მის ახალ სახლს გველი შემოხვეოდა.

გადუა აპირებს მკითხავთან წასვლას და მისგან რჩევა-დარიგებებს მოელის ხატის სახელით.

* * *

ხევსურეთში დიდძალი მამული ხატის საკუთრებას შეადგენს. სულ ხევსურეთში 92 ხატია, თითოეულ მათგანს სულ მცირე 3 ჰა საუკეთესო სახნავი მიწა ეკუთვნის, ხოლო იყო ისეთი ხატები, რომელიც 15-20 ჰა მიწას ჰფლობდა. თუ მივიღებთ მხედველობაში სახნავი მიწის სიმცირეს ხევსურეთში, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა დიდი ქონების პატრონი იყო იგი. ამასთან გასათვალისწინებელია ხატის ქონებაც: ხატები, ჯვრები, თასები და ა.შ.

* * *

მარცხნიდან: ხევისბერები ლეთისო და ბაძია ჭინჭარაულები

თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი სოფ. ქმოსტში მდებარეობს და ველთაურთა და საბურდულოს საერთო სალოცავია, მაგრამ მათგან ამ ჯვარის უნჯიქანი უსაჯურნი (გვარად ბურდულები) არიან. ამ სალოცავს მიებარებიან უსაჯურნი ხოლმე და ამ ჯვრის ჭელოსნებადაც უსაჯურნი დგებიან. დასტური კი ამ სალოცავში რიგით დგება, ყველა ბურდულებიდან.

ბოდავიდან (სადაც ხევსურებიც და ფშავლებიც ცხოვრობდნენ), მოაბრძანებენ ხატს, რომელსაც დარ-ავდრის თეთრი გიორგი ერქვა. მას ხევსურები ორწყალში ხარსა და საკლავს მიაგებებდნენ. ხატს მოაბრძანებენ ქმოსტში, სადაც მისი ნიშია.

წელიწადში ერთხელ ყველა ბურდული წილს გაყრიან ერთმანეთში და ვისაც წილი შეხვდება, ის იგზავნება ბოდავში, ბოდავის წმ. გიორგის ჯვარიონის დასაპატიჟებლად. იქიდან მოაბრძანებდნენ ხოლმე ბოდავის წმ. გიორგის დროშას იქაური ჭევისბერი და მედროშე.

ჯვარიონი მობრძანდება ქმოსტში და თეორი გიორგის სალოცავში დაიდებს ბინას. აქ რჩება ერთი ან ორი თვე. ბურდულები მას ვერძს დაუკლავენ. ამისათვის მთელ საბურდულოში საკლავის საფასურს შეაგროვებენდნენ; ქმოსტიდან ჯვარიონს პატიჟებდნენ ბუდე ხევსურეთის სხვადასხვა სოფლები თავისთან და ბოდავის ხატიონიც დაბრძანდებოდა თავისი დროშით. ჩვეულებრივ ბოდავის დროშას დააბრძანებდნენ ხოლმე შემდეგ სოფლებში: როშკა, ჩხუბა, ბლო, წინკადუ, უკანკადუ, ბაცალიგო, ატაბე, ჩხუბა, აყნელი, გუდანი, ჭაჭმატი, ჭიე, ოქერ-ქევი, ძეძეურთა, ზეისტეჩო.

ყველა ამ ადგილებში დააბრძანებდნენ დროშას და ადგილობრივი მოსახლეობა მასთან საკლავებითა და შესაწირავებით მიდის.

ხევსურებს დაცდილი ჰქონდათ: „თუ ბოდავით ეს ხატი არ მაბრძანდას, ნათესებს დასეტყვავს. წინწინათ თურმე ვიდრე ბოდავიდან დროშას არ გადმოაბრძანებდნენ, მანამ ხევსურეთში [იგულისხმება ბუდე-ხევსურეთი] ქერს არც ღალა ჰქონია და არც ღარი – ქერის მარცვალს. ხევსურებისათვის ერეკლე მეფეს უსწავლებია: ამ ხატს ერთი საკლავი დაუკალით და ერთიც უქმე დღე დაიდეთო თიბ-მკაში, ორშაბათი დაიუქმეთ და სეტყვა აღარ მოვაო. ასეც მოქცეულან“.

ანდრეზი ბოდავის ხატზე

ბოდავიდან რომ მოდიოდნენ ჯვაროვნები, იმათ მთელი ხევსურეთის ყოველი მოსახლისაგან იმდენი საწყვის გვერდი პური მოჰქონდათ, რამდენიც ოჯახში გოდორი იდგა. ისინი მარტო ცერცვის ღალას არ იღებდნენ. ამიტომ უსაჯურმა პურის გოდრებს ცერცვი დააყარა ზემოდან. „მომეცი ამისი ღალაო“ წაიკიდნენ. უსაჯურმა მოჰკლა თეორი გიორგის დეკანოზი და ხატ-განძი მის ოჯახში დარჩა. სამაგიეროდ ამოწყდა ამ უსაჯურის ოჯახი და იქ თეორი გიორგი დაარსდა, ხოლო უსაჯურის ბიძაშვილები ამ ხატის ყმები გახდნენ. თეორი გიორგი სეტყვის საწინააღმდეგო ჯვარია.

12 აგვისტო

გასაოცრად ფართოდაა ხევსურეთში წმ. გიორგის კულტი, თითქმის ყველა სოფელში ის თაყვანისცემის საგნადაა წარმოდგენილი.

წმ. გიორგის კულტი საქართველოში მე-9–10. სს-დან ვრცელდება. იმ დროიდანაა ის ხევსურეთში თუ შემდგომ საუკუნეებშია შემოსული? ამასთანავე სეტყვის ღვთაებაა აქ პატივში. ნუთუ ხევსურეთში ასე დიდად მავნებელია სეტყვა? თუ ის ბარიდან გამოყოლილი კულტია, როგორც მაგ. ბელორუსიაში წყლის მოხვნის წესი, რომელიც ბელორუსისათვის ადგილობრივ წარმოქმნილი არ ჩანს, რადგანაც ბელორუსია ჭაობიანი ქვეყანაა, დიდად ტენიანი და შეუძლებელია მას გვალვა იმდენად აწუხებდა, რომ გვალვის საწინააღმდეგო კულტი შექმნილიყო.

ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება:

1. წმ. გიორგის კულტის გავრცელების დრო და პირობები.

2. ხეტყვის ღვთაების გავრცელების პირობები. ქმოსტში – ბოდავის თეთრი გიორგია. ჩირდილში – გიორგი ოქროსმშვილდისრიანი, საჩალის წვერის წმ. გიორგი – დათვისი, ბარისახო, გიორგი წყაროთ-გორული – ხახაბო, ჯაჭველის გიორგი – ახიელში.

* * *

ველაპარაკე თევდორე ალუდაურს, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს. გაირკვა, რომ ამ ორი თვის წინ ხახმატის ზენა-ჯვარში გზის გაყვანის დროს დაუნგრევიათ ძველებური სამხედრო მიზნებით აგებული ქვიტკირი, მშრალად ნაგები – ზ ე ნ ა ლ ა გ ა ზ ა თ (ც ი ხ ე). ის კოშკი - ამბობს თევდორე - ისეთივე იყო, როგორიცაა ლებაისკარის ციხე-კოშკი. ამ ციხეზე ლექსიც არის, მოგვყავს ნაწყვეტი.

... მაგ ციხის აგებაშია თორმეტ მაუნდა
წელიო,
თორმეტ მაუნდა ქაჩალი, თორმეტ ქვის
სამტვრევ კვერიო.
მაგის ამგებსა ბერძენსა, კაიც ხქონიყო
ჭელიო.

* * *

ხევსურეთის მოსახლეობის დასახლების საკითხის სათანადოდ გადაჭრა ხელს შეუწყობს ხევსურთა მეურნეობის გარდაქმნას და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს ქვეყნისათვის ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე 50-იანი წლების რეფორმები, რომელთაც ხელი შეუწყვეს მთის დაცლას მოსახლეობისაგან და ადგილობრივ ჩამოყალიბებული სამეურნეო კულტურის დაცემას.

* * *

ვნახე ყოფილი სასტუმროს შენობა, რომელიც ჩვენი სტაციონარი, ადგილსამყოფელი იყო ოთხ წელიწადს. შენობა ძალიან დაზიანებულია, მოუვლელი. ათასი რამ მინაშენი აქვს გვერდებიდან. აფსუსი კი არი ასეთი საკალალო მდგომარეობა. ვინ აღადგენს ამ შენობას ან ჩვენს სტაციონარს ხევსურეთში. რამდენი კი ვიბრძოლე მისი მოპოვებისათვის!!![2]

---

[2] შენიშვნა: გ. ჩიტაიას არქივში დაცულია დუშეთის რაიკომის მდივნის სახელზე მიწერილი წერილის პირველი პირი, სადაც სთხოვს დახმარებას სტაციონარის გახსნის თაობაზე. მოგვყავს ტექსტი სრულად: „საქ. კპ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანს ამხ. ირ. ღუდუშაურს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი ხევსურეთში, ს. ბარისახოში აწყობს ეთნოგრაფიულ სტაციონარს, რომელიც ადგილზე იმუშავებს მუდმივად., სტაციონარს დავალებული აქვს ასახოს ხევსურეთის კულტურული მემკვიდრეობა, მისი ყოფა-ცხოვრების ყველა მხარე, რაც დიდად შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის წარსულის მეცნიერულ შესწავლას. მუშაობის დასაწყებად

ეროვნული

* * *

აქ ამბობენ, რომ მახარაძის მიერაა ამ ხეობაში ციხე-გალავნები დანგრეული. მას შემდეგ აქ ციხეები ადარ ადუდგენიათ. დანგრეული ციხეები აქ ბევრ სოფლებში ხატებთან არის.

ბრალდება იმისა, რომ ხევსურეთში ხევსურებს ნება რომ მისცეთ კანტორებსაც მიანგრევენო, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ხევსურებმა რევოლუციის პირველ დღეებში რუსის მეფის მიერ აგებული ტაძრები პირველ რიგში დაანგრიეს.[3]

* * *

I. დიკა სადაცაა გაბატონებული - მუშაობს აჩაჩა გუთანი, ბელტი არ გადადის.

II. დოლის ყანა სადაცაა გაბატონებული - იქ მუშაობს დიდი გუთანი, ბელტი გადადის.

III. ჭვავი სადაცაა გაბატონებული - იქ მუშაობს კავ-წშერა და მხრიანი გუთანი

IV. გრძელი მხარი მუშაობს იქ, სადაც დაბალი ხარის ჯიშები ჰყავთ.

* * *

მეორე ამბავიც მომიყვა გადუამ [ჭინჭარაული] მიხეილ ბაგრატიონის[3] შესახებ. ის ნაწილიანი იყოო, მხრებზე სანთლის ნიშანი ჰქონდაო. გიორგი კი, სომხის შვილი იყოო, მოტყუებით შეუცვალეს ახალდაბადებული მშობიარეს, ერეკლეს როცა უჩვენეს. გიორგიმ საქართველო ასი წლით რუსეთს ჩააბარა. მიხეილი კი გამოიქცა ხევსურეთში, რომ ჯარი შეეგროვებინა [რუსეთის წინააღმდეგ]. გუდანთან რომ მოვიდა, მეკომურმა კაეიანი თოფი "ესროლა, მაგრამ რას დააკლებდა. მიხეილი სოფელში რომ ამოვიდა, იკითხა, ვინ მესროლაო. მეკომურმა უთხრა - მტერი მეგონეო. მიხეილმა ჯარი

სტაციონარს ჭირდება ბინა (ორი ოთახი)... რომელიც შესაძლებელია გამოიყოს ბარისახის სასტუმროში.

დარწშენებული [ვარ] თქვენ ყოველმხრივ დაეხმარებით ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სტაციონარს, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში და ხელს შეუწყობთ მისი მუშაობის წარმატებას." (თ.ც.).

[1] შენიშვნა: ამ მოვლენას გ. ნიტაია შემდეგნაირად ხსნიდა: „რევოლუციის პირველ წლებში შექმნილმა „უღმერთოთა კავშირმა" რელიგიის სფეროში აგიტაციის საწარმოებლად ხევსურეთში აგიტატორი მიავლინა. აგიტაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაც აგიტატორმა თავის ლექციის წარმატებას მიაწერა. სინამდვილეში მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ხევსურთა რელიგიური რწმენის შესახებ. ქრისტიანული ეკლესიები ხევსურეთში მეფის რუსეთის დროს აშენდა, რომლებშიაც ხევსურები არც შედიოდნენ., სამღდელოებასთან, რომელიც სწირავდა ეკლესიებში, მათ კავშირი არ ჰქონდათ და უპირატესობას აძლევდნენ თავიანთ წარმართულ სალოცავებს. სწორედ ამიტომ რევოლუციის შემდეგ ხევსურებმა მღვდლები გამორეკეს, ეკლესიებს კარები და ნარნოები ჩამოხსნეს . ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხევსურს არა აქვს რწმენა ან ნგრევისადმი აქვს მიდრეკილება". [თ. ც.]

[2] ნაფუძარში ბელტი არ იკის, ბელტი იკის ყამირში.

[3] მიხეილ ბაგრატიონი იგულისხმება ალექსანდრე ბატონიშვილი. [თ. ც.]

შეკრიბა და გაიყვანა, მაგრამ დამარცხდა რუსებთან ბრძოლაში და გუდანით დადესტანში გადავიდა.

[მიხეილი] ლებაისკარში რომ იყო, იქ ერთ ოჯახში ცხოვრობდა, რომელთაც სამი ქალიშვილი ჰყავდა. დედამ ქალიშვილებს უთხრა: გთხოვოს, უარი არ უთხრათ, ეგ იგეთი კაციაო. მართლაც მიხეილმა უმცროსი და აირჩია და ამისაგან დაიბადა განთქმული მეომარი თორღვა [თორღვას აბანო ამის სახელზეა თუშეთის გზაზე].

* * *

გადუამ მიამბო, რომ ჭინჭარაულების წინაპარს ახმეტაში უცხოვრიათ. ერთი შვილი სანადიროდ ამოყოლია არაგვს და ფსიტი მოუკლავს გუდანის მიდამოებში. აქ დაკოდილი ფსიტი წყაროში ჩავარდნილა. იმ ადგილს დღესაც ქვია ფსიტის წყარო. მოკლული ფსიტი როცა გაუტყავებიათ, იმდენი ქონი ამოუღიათ, რომ გუდა გაუვსიათ. შინ რომ მისულა მამამისი გაკვირვებულა - ეს რა ადგილი ყოფილაო. თუ ფსიტი ასე გასუქდა, იქ მოსავალიც ბევრი მოვაო. გაუგზავნია შვილი [უკან], გაუტანებია ერთი ქისა ქერი და დაუთესიათ. იმდენი ნათესი ამოსულა, რომ გუდა გაუვსია. და მერე ერთი გუდა დაუთესიათ. ამის შემდეგ ხალხი გადმოსახლებულა ამ ადგილას, გამრავლებულა. გამრავლებულნი გადასახლებულან სხვა ადგილებში.

* * *

ლექსით გული მამაცობს - ამბობს ფშაველი უგემურა შუაფხოდან; შატილზე:

„ბაგამა თურმანაულმა ფშავისკე მაიარაო,
შაყარა მძიმე ლაშქარი, მათურა შაიარაო,
წითელ-ყვითელი დროშაით ბოროლა გადიარაო,
კისტან ატირდა ბებერი, ლაშქრით სად მიხვალ გარااო?
შატილს მივდივარ ბებერო, ვარდანამ დამიბარაო!
მედ იმან უნდა ვიომოთ, უნდა იჭეხოს ცამაო.
გვერდ უნდა გადაიქცივას ვარდანა ციხის ქვამაო,
უნდა დაჭერდან ვარსკვლავნი, აღარ იწვიმოს ცამაო,
პირ ცრემლით უნდა იბანას შუქომ ვარდანის დამაო,
უნდა ჭყეოდან გოზანი ვარდანის ციხესთანაო,
უნდა ტყვრებოდან ისარნი ციხისწვერ ჩარდათანაო.
გათენებისად მიუდგეს ვარდანის ციხის კარსაო,
კარზე გამოდი ვარდანო, ნუ მაიმთვრალებ თავსაო.
თას თუ გეჯირას ჭელნია, გადაწვადე სხვასაო,
ფანდურ თუ ჭელნი გეჯირას ძმას მიეც მგელიასაო,
გამაოლ მგელის მზემ გამავიყოლებ ხმალსაო,
ვაი დედათქვენ მშავლებო, ვეღარ გადმოვედ ქავსაო
თორ ქვეშათ ჩაგიწითებდით, გაზიდვინებდით მკუდარსაო.“

* * *

 წელს არ ნახს ინტერნატის მოწაფე არაბული მოწმაოდან, რომელმაც შარშან საინტერესო მასალა და მოდელები მოგვაწოდა.[4]

15 აგვისტო

დღეს სოფ. ჭაჭმატში წარმატებით ვიმუშავეთ ზენა ხატში. აქ ბევრი საყურადღებო გვიამბო ხატის შიდა მოწყობილობის და ხუცობის შესახებ წიქა ალუდაურმა და შატილიონმა ბეწინა ჭინჭარაულმა.

ბეწინა ჩვიდმეტი წელია რაც გადმოსახლებულა ბარიდან ჭაჭმატში. ის ობოლია. აქ შეურთავს ცოლი. მოსახლეობაში როგორც მამუკა ალუდაური ამბობს, ზოგი რამ ბარული ამოუტანია და ამიტომ არ ემადლიერებიან. კერძოდ, წესი დაურღვევია და ცოლად ნათესავი მოუყვანია, ამის გამოო, სამი შვილიდან ერთი მოკვდომია...

საუბარმა მოიტანა და გაირკვა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ყველა ხევსურულ ხატს ანუ ჯვარს მთავარი საბრძანისი მაღლა მთაზე, მთის წვერზე აქვს, ეს მთური ხატი მთავარია. მთავარი საკლავი და ძღვენი იქ მიაქვთ, თვით ხატის საბრძანისში ვერავინ ვერ მიდის, ხატთან მხოლოდ მარტოდ-მარტო ხუცესი მიდის. ჩვეულებრივად ამ ხატში სალოცავად წელიწადში მხოლოდ ერთხელ მიდიან, ზაფხულში უპირატესად ათენგენობას. ზედა ხახმატის ხატის სამთო სალოცავი ორია: აბუღას წვერი და დათვის ჯვარი. უკან ხადუში - ცროლის წვერი და სხვა.

კისტანი. ღვთისმშობლის ხატის საჯარე

აბუღას წვერზე ავიდა გიორგი ზამთარაძე და ვერაფერი ნიში ან ნაგებობა ვერ ნახა. ცროლის წვერზე ამბობენ – არის მუხის ფიცარი და ყორე.

[4] შენიშვნა: 1962 წ. ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციაში მონაწილეობდა თსუ ეთნოგრაფიის სპეციალობის 9 სტუდენტი. სტუდენტთა პრაქტიკას ხელმძღვანელობდა გ. ნიტაია. მან პირველსავე სხდომაზე მოიწვია მთხრობლად ბარისახოს ინტერნატის VII კლასის მოსწავლე 14 წლის ტარიელ გიორგისძე არაბული მის მიერვე გაკეთებული ხევსურული სახვნელი იარაღით და მასთან აწარმოვა საველე მუშაობა თვალსაჩინოების გამოყენებით, რათა სტუდენტს საშუალება ჰქონოდა თვალნათლივ გასცნობოდა მთხრობელთან მუშაობის ხერხებს და მეთოდს. იხ. თ. ცაგარეიშვილი, აკად. გ. ნიტაიას სასწავლო-აღმრდელობითი მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუშ, 227, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ბევრი იმუშავა გ. ზამთარაძემ, რომელმაც დეტალურად ყოველ-მხრივ აგეგმა სიპერდიანი კოშკი (შიგ და გარეთ). ხატის შიგნით არის გალავანი შემოვლებული კვრივი. ისიც სიპერდიანი კოშკია. წიქამ გვითხრა, რომ გიორგი ბოსლოვნის ჯვარში ეამის წირვა 9 თასზე სრულდება.

ბეწინამ კი შატილის ღვთიშობლის ხატის 18 თასიანი სადიდ ებ ელ თ ა ნაგვაწერინა.

აი ეს ჯვრები [თანმიმდევრობით]

1. მადალო ღმერთო (პირველი თასის)
2. დიდო კვირაევ
3. ჭელმწიფე ღვთისმშობელო (შატილის ჯვარი)
4. თავადი გორის ანგელოზი (შატილში)
5. კილდის გორ ხლუბლის ანგელოზი (შატილში)
6. ლადი განძის ანგელოზი (თასებზე მდგომი ანგელოზი)[5]
7. თავადი მთავარანგელოზი (შატილის ანატორის ოვარი)
8. გიორგი ბეკენგორს მაბურთალი (შატილის ჯვარი)
9. ქვაბ-საკიდელზე მდგომი ანგელოზი
10. ღვთისმშობლის ლაშქარნი - (ყველა ჯვარს ყავს)
11. მედარბასე ანგელოზნი
12. ნაჭარელა ხლურბლის ანგელოზი (კისტნის ჯვარი)
13. საღმრთო ღუბისთავ სვეტის ანგელოზი (გუდანი)
14. კოპალა წვერისანგელოზი (კარატის ჯვარი)
15. სანება ცროლის წვერისაი - (უკან ჭადუ)
16. გიორგი ნაღვრისპირისა (ჭაშატის ქვედა სალოცავი)
17. გიორგი მუხის ანგელოზი
18. ფიწალე დოჭუს თავისაი (თუშეთში)

შატილი

[5] თას-განძის მცველი

მანვე ჩაგვწერინა კურთხევანის შემდეგი ადგილი, ხუცესი ამბობს:
„უფალს შავსწორენ ძენი კაცისانი
უფალს შავსწორონ ძენი ვერძისانი“.
წიქმ ისიც თქვა, რომ მეძღვენენი არიან: „მოსალმენი გათხოვილ-გარეგასულები და ვისაც შათქმული აქვს. ს ა მ წ ო რ ვ ე ლ ო ს, ბეწიკამ უწოდა ‘ გ ა მ ს ა ‘ წ ო რ ი ‘ ის შეიძლება ხისა, ან კიდევ ქვისა დიდი ლოდი.“

* * *

დათვისიდან ჩამოსულმა მინდია არაბულმა მითხრა:
ჩ ა რ ა თ ა ქერი, რომელიც ხუთ-ექვს წყებიანია, მოდის მხოლოდ ჯუთასა და ჭიმღაში. თუ დათვისში ჩამოწებ ჩარათას და აქ დათესავ, 2-3 წელიწადში გადაიქცევა ფ ი ც ა რ ა ქ ე რ ა თ -ორწყებიანად. ჩარათა ქერს მეტი გამოსავალი აქვს, მაგრამ მისი დიდი ნაწილი ქატოა, სამაგიეროთ თუ ფიცარა ქერს დათვისიდან ჯუთაში ან ჭიმღაში დათესავ–ჩარათა ქერად გადაიქცევა. ზოგიერთ შემთხვევაში თუ ჩარათა ქერი დათესე ს. დათვისში მაღლობ ადგილებზე - ის მეტხანს შეინახავს თავს, თავის პირველ სახეს.

16 ა გ ვ ი ს ტ ო

ამ დღეს ჩვენ ტოპოგრაფთან ერთად ვმუშაობდით ისევ ჭაჭმატში. ტოპოგრაფიულად აიგეგმა ზემო ხატი. მამუკა თავისი ხარებით ნიშა და ნისლათი რუსული გუთნით სასვილეს ხნავდა, ვაკეში, ხახმატის წყლის მახლობლად. რუსული გუთანი კარგია ვაკეზე, ფერდაზე ის არ ვარგობსო, იქ ჩვენებური ანანა კარგად მუშაობსო.

მას რუსული გუთნის მხარზე ხის მხარი მიურგია, რადგან ჯაჭვით მისი მუშაობა არ ხერხდება, ხარებს ფეხებს უკაწრავსო. ხმარობს ოთხგვარ უღელს.

1. გუთნის უღელი
2. ანანას უღელი
3. კალოს უღელი
4. მარხილის უღელი

დამპირდა მუზეუმისათვის მოგეიდიო.

* * *

ვიჯავით გზის მშენებლობაზე. მჯავე წყლამდე თავისუფლად მიდის საავტომობილო გზა... ამ სამუშაოებს უმსხვერპლია ერთ-ერთი ლირშესანიშნავი, თითქმის მთლიანად შენახული ციხე ჭაჭმატში ე.წ. ლ ა გ ა ზ ა თ ც ი ხ ე; აგრეთვე მეორე, ჭაჭმატის ხატში მდგარი, ნახევრად დაფარულია კლდის ლოდებით. დაუნგრევიათ და მოუსპიათ ქვედა ხატის დარბაზის ნაწილი, ასევე საზარე კოშკის წვერი მოუგლეჯია და იქვე კოშკის თავზე აგდია. ხატის გარშემო წმინდა ხეებს კლდის აფეთქებისას მოგლეჯილი ქვები დასცემია და ქვეშ დაუტანია.

წამდაუწუმ გაისმის კლდეების ნგრევის ხმა და დინამიტის აფეთქება.

თბილისიდან წერილი მოვიდა[6] ჩემს სახელზე – სიძველეთა კომიტეტს თანხა გამოუყვია სიძველეთა დასაცავად. პირაქეთში მხოლოდ ორი კოშკია ხახმატ-ბისოში შესაკეთებელი, არხოტში – ერთი, ხოლო მიღმა ხევში, შატილის წყალზე – მრავალი: ზოგს გადახურვა ესაჭიროება, ზოგს შემაგრება, ზოგს სალტეს შემოკვრა და სხვა. შატილი ხომ დასაცავია, ისევე როგორც ქაჩუს ციხე.

უკან ხადუში, ხატის გალავანში მოქცეულია უზარმაზარი ციხე-კოშკი, რომელიც ომის დროს რუს ჯარსკაცებს დაუზიანებიათ. ასევე ამავე ჯარისკაცებს გამოეკენებული ჰქონდათ ლაგაზას ციხე ბისოჭაკმატზე.

* * *

დიდად საინტერესო აღმოჩნდა ხირხლა ალუდაური, რომელმაც მეტად საინტერესო ვარიანტი იცის გიორგი-სამძიმრის გადმოცემისა. გიორგი იყო თურმე ადამიანი, გვარით ასკაიძე, რომელმაც ქაჯავეთი დალაშქრა და იქაური დედოფალი სამძიმარი, [რომელიც განწირული იყო - გველეშაპს უნდა ჩაეყლაპა, როგორც ყოველწლიური ბეგარა] - გადაარჩინა.

შემდეგში გაღვთიშვილდა.

17 აგვისტო

დღეს დილის 7 საათზე გავემგზავრეთ უკანხადუში. გუდანამდე მანქანით ვიარეთ. შემდეგ ფეხით. ადგილზე ვიყავით 2 საათზე.

აქ უადრესად საინტერესო ხატის კომპლექსი აღმოჩნდა. საკულტო ნაგებობებიდან წარმოდგენილია სალოდე, საკიდე, სახელოსნო, დარბაზი, დროშათა საბრძანისი კოშკი, გალავანი კვრივით, საძინებელი, საჯარე. აქვე უზარმაზარი იფნებია. ხატის სამხრეთით, დიდ მანძილზე გალავანია ყორის, რომელიც ციხის ნაშალს უერთდება. ამ ყორით ხატის მამულს იცავდნენ, როგორც წმ. მიწას, საქონელი რომ არ შესულიყო. ამ ყორის გარკეული ნაწილის მოვლა დაკისრებული ჰქონდა თითოეულ მეკომურს.

ხატში სამი დღეობა იყო. საახალწლოდ 16 ქაბი ლუდი იხარშებოდა. ლაზარეთ მითხრა, საახალწლოდ სალოცავად ცროლის წვერზე ავდიოდი და იქიდან ვბრუნდებოდით მეკვლედ სოფელშიო.

20 აგვისტო

დღეს ამხანაგები გაზეთზე მუშაობენ. უკვე შემოვიდა ოთხი წერილი: ნ. მაისურაძის, მ. შილაკაძის, გ. ზამთარაძისგ. ჯავახიშვილის. გაზეთს აფორმებს ზ. წერეთელი.

ხევსურეთის ოთხი ძირითადი ტკივილია:

---

[6] ჯ. რუხაძის წერილი, რომელშიც იტყობინება, რომ „რამინ რამიშვილმა გადმომცა შეგატყობინოთ, რომ სიძველეთა დაცვის კომიტეტმა გამოყო 4000 მან. თქვენ სახელზე. ხევსურეთის სიძველეთა დასაცავად. 15.8.63 (წერილი ინახება გ. ნიტაიას არქივში).

1. ძველი დრომოჭმული მსოფლმხედველობა
2. სამრეწლო
3. რჯული (სისხლ-მესისხლეობა)
4. ბოსელი

დღეს იყო ექსპედიციის სხდომა, მოხსენებები გააკეთეს: ჯ. რუხაძემ, მოიტანა არხოტის ხატების აღწერილობითი მასალა; თ. ოჩიაურმა მოსახლეობის მოძრაობის, ლეგენდა ჯვრების შესახებ, კერძოდ, ხევსურების მიერ აკუშოს დაკავების და ფშაველების გაძევების შესახებ; ე. მალიამ ერთმანეთს დაუკავშირა ადგილობრივი და აფხაზური ელემენტების ცალკეული ელემენტები. მან მწვერის საფლავი აფხაზურ ალიშკანტრის კულტს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ ალიშკანტრის კულტი ადგილთან არის დაკავშირებული. ქ. ტყვარშელთან არის მთა და სალოცავი ალეშკენტერ, სადაც ერთ-ერთ ქვაზე 2 ძაღლის გამოსახულებაა.[7]

მოხსენებები გააკეთეს მ. კანდელაკმა. მ. შილაკაძემ, ვ.ბარდაველიძემ. ვ. ბარდაველიძემ აღნიშნა, რომ მის მიერ შესწავლილი მასალის შედეგად ირკვევა, რომ ბარში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მამებზე მიწის გადანაწილებისას გამრავლებულ მამას ისე მცირე მიწა ერგებოდა, რომ ის იძულებულია გადასახლდეს ისეთ ადგილებში, სადაც მიწა ეგულება.

ნემის დაკვირვებით, გადასახლების მიზეზი ჭარბი მოსახლეობაა, ვინაიდან ხევსურეთის გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში, გარკვეულ სამეურნეო დონის პირობებში შესაძლო იყო მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოკვება.

ბარის კულტურის ძირითადი მაჩვენებლებია: დიდი გუთანი, კევრი, თორნე, ურემი, კირი, ტყის ცხვარი, კაკლის ხის კულტი, დოლის პური, ვაზი, დასახლების ტიპი, მოდგამი, ხანულობა, მახობელა, ნაკმაზი, თივად დაგდება ყანისა, მორწყვის სისტემა, დოლაბი წისქვილი.

* * *

დასამუშავებელია პრობლემები:

I. მთის მოსახლეობის ნამოსახლებისა ბარში. მოძრაობის მიზეზები, ახალ მოსულთა კულტურის ელემენტების ბარულად გარდაქმნა; ენა, სახვნელი იარაღი – გუთანი, თორნე, კამეჩი, დორი, სახლის კომპლექსი, დასახლების ტიპი, ბოლოთორია, მოდგამი, კევრი, ორმო, მაწონი, ქარაქის დამზადების წესი, კირი.

II. გვაროვნული სტრუქტურა ხატოან დაკავშირებით შემონახული და ძველი აღმოსავლეთის კულტურის თავისებურების პრობლემა.

III. საჭიროა კოსმოგონიის თემის დამუშავება. ამისათვის მასალა უნდა შეიკრიბოს შემდეგ ელემენტებზე: მზე, მთვარე, ვარსკვლავები,

[7] ამ გამოსახულების სურათი მოცემულია ვ. ბაკანის წიგნში „მესაქონლეობა აფხაზეთში", სოხუმი, 1962.

ირმის ნახტომი, ცა-ცის გახსნა, ცისარტყელა, დედამიწა, ქედები, მწვეერვალები, ბორბალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგონდება ჩემი ადრეული გატაცება ამ თემით. შესანიშნავი მასალა დავადასტურე 1924 წელს მესხეთში და 1931 წელს სვანეთში.[8]

სეტი. 1931 წ. აგვისტოს 1-ლი ს.

მ ე შ კ ი დ

კეისარგ დადიანი ყოფილა ერთი. დიდი სახლი ჰქონია. იქვნ წყალი ყოფილა, სადაც მისი მოახლეები მოდიოდნენ. ერთხელ ერთ მოახლეს, რომელსაც წყალი მოჰქონდა, მიწიდან სიმღერა მოესმა. აქ ორმო იყო, სადაც სამი ქალი ცხოვრობდა. თვით გაიკეთეს ეს ორმო საცხოვრებლად. ეს დები გულთმისნები იყვნენ (ლეგხალ). კეისარს მოახსენა მოახლემ, ასედასეაო, სიმღერა გავიგონე მიწიდანო. კეისარმა არ დაუჯერა და თავი მოსჭრა. წავიდნენ კიდევ სამი მოახლე და დაბრუნებისას კეისარს შიშით და მორიდებით იგივე მოახსენეს. კეისარმა არც მათ დაუჯერა და თავები მოსჭრა. კიდევ ერთმა კაცმა გაიგონა და კეისარს უთხრა: თუ არ გჯერა, შენ თვით მობრძანდი და თუ ხმა არ მოგესმას მაშინ მოგვაჭერი თავიო. წავიდა კეისარი და როდესაც გაიგონა ხმა, იქ დაჭრა ჯოხი და ბრძანა, აქ ამასთხარეთო. ამოსთხარეს მიწა და ნახეს სამი ქალი. კუეისარმა ბრძანა „ჯერ უფროსი ამოვიდესო". ამოვიდა კეისარმა უთხრა - შენ რომ ჩემი ცოლი იყო რის შემძლე იქნებიო? - მაშინ მე ისეთ ქვაბებს დავჭედავ რომ შენს ქონებას ის აჯობებსო. ამოვიდა საშუალო ქალი, იმასაც ისე ჰკითხა. - მე რომ შენი ცოლი ვიყო, ისეთ აბჯარს გავჭედავ, რომ შენ ქონებას აჯობებსო. ამოვიდა მესამე და, რომელმაც უთხრა: მე მზე და მთვარეს ვშობო. ეს მოეწონეა კეისარს და ცოლად წაიყვანა. დებს ცალკე ბინა მიუნიანა. ამ დროს ომი გამოცხადდა. მეფე საომრად წავიდა, ცოლი კი მძიმედ დარჩა და თავის დროზე ტყუპი ეყოლა: მზე და მთვარე. სულ ბრწყინავდნენ ეს მზე და მთვარე. დებს ეს ეწყინათ და შეშურდათ. მოსტაცეს შვილები და მათ მაგიერ დედას შვილებათ თიკნები მიუჩინეს. მზე და მთვარე კი წყალში ჩააგდეს („რიეენოეისგა" - დიდ წყალში) მეფე ცოლს გააგდებს ეხლაო. მაგრამ მზე და მთვარე არ დაიღუპნენ: ხიდზე მჭედელი მოდის: ხედავს წყალში რაღაც ბრწყინავს. მან ფაცხი გასჭედა სასწრაფოდ („ფუცხი") და ჯერ ერთი გამოიყვანა და მერე მეორე წაიყვანა ისინი მჭედელმა იქ, სადაც პირველად სამი ქალი ცხოვრობდა, ორმოში; იმ თხრილში დასახლდა მზე და მთვარე. დღე მზე გამოდიოდა, და ღამე კი მთვარე. გაიგეს ეს დეიდებმა და გადასწყვიტეს მათი დაღუპვა. მიეიდნენ ორმოსთან დილით და მთვარეს ჩასძახეს: „ალა-ლია -გალალია ლაჭვეენნენ წირინ რაშეკარულ" (ალალია-გალალია მთას იქით წითელი რაში არისო) და იმას თუ მოიყვანთ მაშინ

---

[8] შენიშვნა: მესხეთის მასალა ადნიშნულ თემაზე მოცემულია „მესხეთის დღიურში", ხოლო 1931 წ. სვანეთში ჩაწერილი მასალა „მჭეკიდ" აღმონდა არქივში. მოგვაქვს სრულად [თ.ც.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნიტია და ვ. ბარდაველიძე მუშაობის პროცესში

იქნებით კარგი ჭაბუკებიო. მთვარემ შეხსივლა მზეს, როდესაც ის დაბრუნდა ორმოში, ასე და ასე დამიძახეს ხემმა დეიდებმაო. მზემ უთხრა: ეს შენ ნუ გაწუხებს, ამას იოლად მოვაგვარებთო. მე რომ დილაადრიან მიწას გავანათებ, ის რაში მთის იქით ჩათვლემილი იქნება, შენ მიეპარე გადააჯექი, ჰკარი მათრახი და გამოაქანეო. ასეც მოიქცა მთვარე, მოიყვანა რაში და თხრილში დაბა. დებმა გაიგეს ეს ამბავი წამოვიდნენ და კიდევ ჩასძახეს მთვარეს: „იმ მთის იქით „დავ"[დევი] არის, მას ოქროს ვაშლის ხე უდგია, რომელიც ოქროს ნაყოფს ისხამს. თქვენ კარგი ჭაბუკები მაშინ იქნებით, თუ იმ დავს ერთ თეჯს ოქროს ვაშლს გამოართმევთ და აქ მოიტანთო. მთვარემ შეხსივლა მზეს: ასე და ასე მითხრეს დეიდებმაო. ნუ გეშინიაო, ამასაც ადვილად მოვაგვარებთო, – უთხრა მზემ, – მე რომ დილით გავანათებ, მაშინ შენ უკანიდან მიეპარე და ძუძუზე კბილი დააჭირე და დევი გიშვილებსო. მაშინ ის თვითონ გამოგიტანს ვაშლებსო. ასე მოიქცა მთვარე. დევმა ერთი ისეთი დაიღრიალა – ... მუ... მე... ეხლა რა ექნაო, სადაც ადამიანს შევხვდებოდიო, ყველას ჟულაპავდიო, შენე კი ეხლა რა უნდა გიყოო. მთვარემ უთხრა: რაც გენებოს ისა ჰქენიო. - რა გინდა შენ თვითონო. - ოქროს ვაშლის ხე რომ გიდგია იმისი ვაშლები მომეციო. - წადი დარეკე და რამდენიც გინდა იმდენი ვაშლი წაიღეო. მივიდა მთვარე ხესთან, მაგრამ ვერ შესძლო ჩამორეკვა. მთვარე ხელცარიელი გამობრუნდა. და შესჩივრვლა დავს - ვაშლის ხეს ვერაფერი მოუხერხეო. წავიდა დევი, გაანძრია ხე და ოქროს ვაშლი ბზრიალით ჩამოცვივდა. წაიღო მთვარემ ვაშლები სახლში გახარებულმა. დეიდებმა გაიგეს მნათობთა გამარჯვება. კვლავ მივიდნენ ორმოსთან და ჩასძახეს: მინდორს იქით ვებერთელა სალი კლდეა. ამ კლდეს „სენაო" გამოქვაბული აქვს. შიგ ზის ქალი ოქროსთმიანი, მას „ოქვრამანიჯოლ" ჰქვია და თუ იმ ქალს მოიყვანთ, მაშინ იქნებით კარგი ჭაბუკებიო". მთვარემ კვლავ მზეს შეხსივლა. მზემ დაარიგა და მთვარეც ისენ მოიქცა; მზემ დილით გაანათა ის კლდე. ქალმა

სენიდან გამოიხედა, ოქროს თმები ჩამოყარა. მთვარე რაშზე ზის. ისკუპა რაშმა, სტაცა მთვარემ ოქროს თმას ხელი, გადმოითრია ქალი, გააჭენა რაში და ქალი ღრუბლებში გადმოიყვანა და იქიდან სახლში მიიყვანა.

დაბრუნდა ომიდან კეისარი. ცოლის ოთახის კარებთან თიკანი დახვდა. კეისარმა თიკანს წიხლი ჰკრა და კედელს მიაჭყლიტა. თიკნის დედამ დაიძახა: „ჩემი ცოდო იმას ჰქონდეს, ვინც ეს საქმე მიყოო. მზე და მთვარის მაგიერ ამ თიკნებს ვზრდიდი ესეც ასე მომიკლესო". ეს სიტყვები რომ კეისარმა გაიგონა, ჰკითხა ცოლს: რაშია საქმე, რატომ ლაპარაკობ ამ სიტყვებსო. ცოლმა ყველაფერი უამბო ქმარს.

გამოიყვანა კეისარმა ცოლის-დები. გამოკითხა და დარწმუნდა, რომ ცოლის ნაამბობი მართალი იყო. დაანთებინა დიდი ცეცხლი, ზედ დაკიდა დიდი ქვაბი, ჩასვა შიგ ცოლის დები და თან ეკითხება: რამხელა გული გაქვთ ეხლაო? - ცერცვის ოდენაო, უპასუხეს. მზე-მთვარის დედას უთქვამს: მეც ასეთი პატარა გული მქონდა, როცა თქვენ ჩემი შვილები „ყვარულზე" (ცხენზე) გაგზავნეთო.

ეხლა რამხელა გული გაქვთო? - პურის მარცვლის ოდენაო. - მეც ამდენი გული მქონდა, როცა თქვენ მზე და მთვარე დეკთან გაგზავნეთო.

ეხლა რამხელა გული გაქვთო ჰკითხა მეფემ - ღომის კაკლის ოდენაო, მეც ამდენი გული მქონდა, როცა თქვენ მანიჯოლთან ჩემი შვილები გაგზავნეთო. მოიხარშენ დეიდები. კარგად ცხოვრობდა კეისარი და მისი ცოლი. მზე მზეობდა და მთვარე მთვარობდა.

ნაამბობი გუა ნაკანის მიერ, 100 წლამდე ვარო.

* * *

საერთოდ უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია საერთო წესების დადგენა, ვინაიდან ეთნოგრაფიული საგნები იმდენად ნაირი სახისაა, რომ შეუძლებელია ისინი დაყვანილ იქნეს საერთო მაჩვენებლამდე.

საჭიროა გამომუშავდეს ცალკე მეთოდები რეგიონული შესწავლისათვის, დამუშავდეს კითხვარები, რომლებიც შეესაბამებიან საგნის შინაგან სტრუქტურასა და პრობლემატიკას. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ საგანი განიხილება გარკვეულ ტოტალობაში.

ეთნოგრაფიული საგნის დამუშავებისას ტექსტი უნდა შეიცავდეს, სურათის დახმარებით, მის აღწერილობას შეკუმშული სახით, რომელშიც გამოვლენილი იქნება საგნის პრაქტიკული და ისტორიული დანიშნულება.

* * *

შესანიშნავი დამეა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ვისაც არ უნახავს მთის სოფელი მთვარიანი დამით, მას საქართველოც არ უნახავს.

1963 წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩვენს ადრინდელ ნაშრომში აღნიშნული იყო, რომ დასახლების საკითხის შესწავლა საქართველოში ახალი თემაა. უკანასკნელ დრომდე მკვლევრები აღნიშნულ საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ, სისტემატური და სტაციონარული შესწავლის საგანი ის არ ყოფილა.[1] იმავე ნაშრომში დასახლების ცნების განსაზღვრისათვის ჩვენ გავარკვიეთ, რომ დასახლება ვარაუდობს ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას.[2] ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნა დასახლება სოფ. გოგნაურში, რამაც შესაფერისი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა. ეს დასკვნები საყურადღებო აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ ჩვენ მიერ საკითხის შესასწავლად დასახული გზა მართებული აღმოჩნდა.

საკითხის შესწავლას ამჯერადაც საფუძვლად ის დებულებები უდევს, რომლებიც ჩვენს ადრინდელ ნაშრომში იქნა ჩამოყალიბებული.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა აღმოსავლეთ საქართველოში მთიანეთის ლიმიტროპული სოფლების დასახლების შესწავლა. ამ რიგის სოფლებიდან შერჩეულია ᲧᲐᲜᲝᲑᲘ და ᲨᲐᲢᲘᲚᲘ. პირველი მათგანი მდებარეობს ხევში, ხოლო მეორე – ხევსურეთში. ერთიც და მეორეც კავკასიონის პირიქითშია და ზღვის დონიდან ორივე მაღალ ზოლშია მოთავსებული.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲧᲐᲜᲝᲑᲘ[3]

სოფელი ყანობი მდებარეობს თერგის მარცხენა კიდეზე და საქართველოს სამხედრო გზიდან პირდაპირი ხაზით 1 კმ-ითაა დაცილებული, ხოლო საურმე გზის მიხედვით – 1 1/2 კილომეტრით.

სოფელი ძველად გაშენებული იყო „ჭაჭბეგისა“ და „ქართიაღს“ შემაერთებელ კუთხეზე და შეჯგუფულად იყო დასახლებული. დღეისათვის სოფელი გაშლილადაა დასახლებული და გაცილებით დიდი ფართობი უკავია ძველთან შედარებით.

მთხრობლების : სპირიდონ ვარდაშვილის (75წ.), შიო კურკუმულის (72წ.) და გიორგი კობიაშვილის (72წ.) ცნობების თანახმად, ყანობის უძველეს მოსახლედ კობიაშვილები ითვლებიან. ბოლოს ამ გვარს მომატებიან ორი ძმა ზედგინიძეები, რომლებიც მესამე ძმასთან ერთად იმერეთიდან გამოქცეულან და ამანათობის წესით კობიეთ სამოსახლო უბნის ბოლოზე დასახლებულან. ამ ორი ძმის შთამომავლებად აღიარებენ თავს კურკუშელები და ვარდაშვილები, რომლებიც ცალკე „საგორეულოებს“ წარმოადგენენ და მათი მესამე ძმის შთამომავალ

---

[1] გ. ᲜᲘᲪᲐᲘᲐ, დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.VI, თბილისი, 1953, გვ. 201.

[2] იქვე. გვ. 201

[3] მასალის დამოწმებისათვის მადლობას ვუცხადებ თსუ სტუდენტს ვალერიან ᲘᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. [გ. Ნ]

სტეფანწმინდელ ქუშაშვილებთან ერთად ზედგინიძეების დრ[illegible] მოსულან აიდარაშვილები, ტატიშვილები და ითონიშვილები.

ადრე დამკვიდრებული გვარების დაყოფისა და ახლად მოსულთა დასახლების შედეგად სოფელში რამდენიმე საგვარო უბანი გაჩნდა.

თუ სოფელი ჯერ ორ უბნად იყო გაყოფილი, ვარდაშვევებისა და კურკუმულების ცალკე გორებად ჩამოყალიბების დღიდან წარმოიქმნა სულ სამი უბანი. თითოეული მათგანი იქ მოსახლე გვარის სახელს ატარებდა.

კობიაშვილების თანდათანობითი გაყრის შედეგადაც ახალი მიკროუბნები წარმოიქმნა: ლადარიანთ უბანი, შარმეთ უბანი, ეფრიეთ უბანი და სხვა.

აიდარაშვილები ითვლებოდნენ კურკუმულების ერთი განაყრობის – გოგორეთ უბნის წევრებად: ტატიშვილები ჭიალეთ უბნის ერთ კომლს წარმოადგენდა და ითონიშვილები, კობიაშვილების ეფრიეთ განაყრობის თანაუბნელებად ითვლებოდნენ.

დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება სოფ. ყანობში 130-140 წლის იქითა პერიოდისათვის.

გვარების მიხედვით სოფელი თავდაპირველად სამ სამამისძმო მნათედ ყოფილა დანაწილებული. პირველ მნათედ ითვლებოდნენ კობიაშვილები, მეორე მნათეში შედიოდნენ ვარდაშვევები, ხოლო მესამეში, – კურკუმულები.

გვარების დაყოფისა და ახალი გვარების მომატების შემდეგ სამამისძმოთა რაოდენობა კვლავ სამი დარჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მეორე მნათეში ვარდაშვევებს მიემატნენ ტატიშვილები და ითონიშვილები, ხოლო კურკუმულებს მიეკედლნენ აიდარაშვილები.

გვარებისა და განაყრების შეუნელებელი სეგმენტაციისა და გამოყოფილ კომლთა მიერ ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის შედეგად თანდათანობით თვალსაჩინო გახდა ერთი უბნის წარმომადგენელთა გაფანტვის პროცესი, რამაც გამოიწვია საგვარო უბნების დაშლა და ტერიტორიული უბნების წარმოქმნა. ასეთი ტერიტორიული უბანი სულ სამი ჩამოყალიბდა: ზემო, შუა და ქომო უბანი.

სოფლის ამგვარად დაყოფას მოჰყვა სამამისძმო ანუ საგვარო მნათეების გაუქმება და მისი შეცვლა საუბნო მნათეებით. საუბნო მნათეების გაერთიანება ხდებოდა არა კვლავ სისხლით ნათესაობისა და ამანათობა-შეკედლების, არამედ ტერიტორიისა და კომლთა ოდენობის მიხედვით.

პირველ მნათეს წარმოადგენდა ზემო უბანი, სადაც მოსახლეობდნენ ვარდაშვევებიდან გამოყოფილი ჭიალელი (ჭიალაშვილები მთლიანად), რომელნიც დღემდე ერთ შეკრულ უბნადაა წარმოდგენილი: ტატიშვილები, ითონიშვილები, შარმეთ ნაწილი (კობიაშვილები), ეფრიენი (კობიაშვილები), სიენი (კობიაშვილი) და ზოლინენი (ზილინაშვილი)

მეორე მნათეში შუა უბანში შედიოდნენ: ლადარიანნი (კობიაშვილი), თემურენი (კობიაშვილი), ხუტიანნი (კობიაშვილი), ოხთანგუნი (ვარდაშვილი), ბოთოშენი (ვარდაშვილი), გოჭიენი (კურკუმული), ხაბენი (კურკუმული), გოგნენი (კობიაშვილი) და შარმეთ ნაგული (კობიაშვილი).

მესამე მნათედ ჩამოყალიბებულ „ქომო უბანს" განეკუთვნებოდნენ: გაგიანნი (ვარდაშვილი), გოგორენი (კურკუმული) და აიდარაშვილები.

ტერიტორიულ უბნებად სოფლის ამგვარი დაყოფა და მის მიხედვით მნათეობის წესის შესრულება ძალაში იყო თითქმის 1939 წლამდე (კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე), თუმცა უბნები თანდათანობით იცვლიდნენ სახეს და ფართო ტერიტორიაზე დასახლების გზით ახალ ნიშან-თვისებებს იძენდნენ.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ უბნების კომლობრივ შემადგენლობას დაახლოებით 1930 წლისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ზემო უბანი შედგებოდა ჭიალაშვილების 6 სახლისაგან, სადაც ცხოვრობდა სულ 10-მდე მოკომური: ტატიშვილების 1 სახლისა და 5 კომლისაგან, ითონიშვილების 1 სახლისა და 5 ოჯახისაგან, შარმეთ 3 სახლისა და 3 ოჯახისაგან, ეფრიეთ 1 სახლისა და 5 ოჯახისაგან, სიეთ 1 სახლისა და 1 ოჯახისაგან და ზილინეთ 1 სახლისა და 2 ოჯახისაგან.

შუა უბანში ირიცხებოდა ლადარიანთ სამი ერთმანეთზე გადაბმული სახლი (7 ოჯახი), თემურეთ ორი სახლი (5 კომლი), ხუტიანთ 2 სახლი (4 კომლი), ოხთანგეთ 1 სახლი (1 კომლი), ბოთოშეთ 1 სახლი (2 კომლი), გოჭიეთ 2 სახლი (3 კომლი), ხაბეთ 1 სახლი (3 კომლი), გოგნეთ 2 სახლი (3 კომლი) და შარმეთ ერთი სახლი (3 კომლი).

ქომო უბანში შედიან: გაგიანთ 2 სახლი (5 კომლი), აიდარაშვილების 3 სახლი (4 კომლი) და გოგორეთ 2 სახლი (6 კომლი).

როგორც ზემოთ ითქვა, ყანობის ძველი უბნებისათვის დამახასიათებელია მჭიდროდ დასახლება. სახლები ერთიმეორეზე გადაბმულია ისე, რომ ბანები გაერთიანებულია, ან ერთი სახლის ბანი მეორეს ეზო-კალოდაა გამოყენებული. ასეთი ვითარება გვიანხნობამდე შემოინახა „ქართიაში" მოსახლე ლადარიანთ უბანმა, რომელიც დღეს დანგრეულია და დღემდე გადარჩა გოგორეთ უბანში მდგარი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ბოსლად და კალოდ გამოიყენება.

თანამედროვე სახლები გაშლილადაა გაშენებული და თითოეულ მათგანს დიდი ეზო აქვს. ეზოს გაგრძელებას შეადგენს საკარტოფილე (საკარტოხე), რომელიც უმეტესწილად შემოღობილია და მოხვევები საჩალესაც უწოდებენ. ეს სახელწოდება ძველი შემორჩა, რადგან თავდაპირველად შემოღობილი ნაკვეთი თივისა და ჩალის დასაგულავად გამოიყენებოდა. კარტოფილის კულტურის გავრცელების შემდეგ ეს შემოღობილი ორ საქმეს ემსახურება – მოსავლის მოწევას და ჩალა-თივის შენახვას.



ეთნოგრაფები ველზე
(მხატვარი ზ.წერეთელი)

სოფ. ყანობში მრავალი ძველი სახლია შემორჩენილი, გადაკეთებული ან ნანგრევის სახით. ამის მიხედვით შეიძლება პირვანდელი სურათის აღდგენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ითონიშვილების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსი, რომლის აღწერილობა შესაძლებელია.[1] სახლის მთავარი კორპუსი სამსართულიანია. ქვედა სართულს ეწოდება ქოდთაჲ და ბოსლებადაა გამოყენებული. ბოსელი (ქოდთაჲ) სამადაა გაყოფილი, შესასვლელი ნაწილი პატარაა და საცხენეს წარმოადგენდა. საცხენიდან შევდივართ საბერწეში, სადაც ხარები, დეკეულები, ჭოჭყი და ხბორებია მოთავსებული, ცალ-ცალკე გადატიხრულ განყოფილებაში. საბერწედან შევდივართ საძროხეში, სადაც მეწველი საქონელი დგას. ეს ყველაზე თბილი სადგომი უნდა იყოს, ძროხამ წველაზე რომ არ დაიკლოს. საქონელს ხის ან ქვის ბაგები აქვს და კირკლებითა და საბლებით არიან მიბმულნი.

მეორე სართულს ეწოდება შუასახლი, სადაც ინახებოდა კარაჩხებზე ჩამოკიდებული ხორცი, ტყავები, მატყლი, პურეული – გოდრებში, აკოში ან ხაროში ჩაყრილი და სხვა. აქვე იმართებოდა სამხდოები და სუფრები. შუასახლი გადატიხრული არ იყო და გაერთიანებულ დარბაზს წარმოადგენდა.

მესამე სართული საცხოვრებელი ბინაა, რომელიც დაყოფილია სახლებად (ოთახებად).

სახლი დახურული ყოფილა ბანით, რომლის ერთ მხარეზე მდგარა მეოთხე სართული – ე.წ. საყარაულო. ეს კოშკი მოურღვევიათ მაშინ, როდესაც სახლის რეკონსტრუქცია მოუხდენიათ და თუნუქით დაუხურავთ.

მიუხედავად ამ რეკონსტრუქციისა, სახლის პირვანდელი სურათის აღდგენა შესაძლებელი გახდა.

სახლის წინა ფასადზე მიშენებულია ორსართულიანი მოხეური სახლი. მისი ქვედა სართული ქოდთაჲა (ბოსელი). ზედა სართული კი სამი ნაწილისაგან შედგება. წინა მხარეს ეწოდება სამყოფო და ის მთელ სიგრძეზეა გაჭიმული. მისი უკანა ნაწილი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთია სენაჲ და მეორე კარსუკენაჲ.

კარსუკენაჲდან გამოვდივართ კარწინაზე, რომელიც ერთი მხრიდან ღიაა. კარწინას დარიფანაჲც ეწოდება. ამ დარიფანაჲდან შევდივართ არა მარტო კარსუკენაში და იქიდან სენასა და სამყოფოში, არამედ საწვალაშიც, რომელიც სამყოფოსა და კარსუკენაჲსაგან ქვის კედლითაა გამოყოფილი, ხოლო მისი კარები კარწინაში გამოდის.

საწვალაჲ ორ სართულიანი ნაგებობაა და შედგება ზაჲთ და ქოდთ საწვალაჲსაგან. ზაჲთ საწვალაში ზაფხულში იძინებდნენ, ხოლო ქოდთ საწვალაში ზამთარში. საწვალაჲ ყველას არ ჰქონდა და თუ ექნებოდა, ნეფე-დედოფლისათვის იყო განკუთვნილი.

კარწინაჲს, ანუ დარიფანაჲს ქვედა სართულსაც დარიფანი ერქვა და ესეც ცხენების სადგომად გამოიყენებოდა.

ითონიშვილების სახლს დატანებული აქვს სათოფურები, რაც დღემდე კარგადაა დაცული, შუასახლში.

ეს სახლი შიშიანობის დროს მთელი სოფლის თავშესაფარს წარმოადგენდა, როცა სოფლის ცხოვრებაში გასვლა შეუძლებელი ხდებოდა, მტრისგან მოულოდნელი თავდასხმის დროს და სხვ.

სოფ. ყანობის სასმელ წყალს ადრე ჭევაღ წარმოადგენდა, რომელიც სოფელს მარჯვენა მხარეს ჩამოუდის. შემდეგ დაახლოებით 45–50 წლის წინათ ჭევაღ-ს ბექი ჩამოუთხრია და წყარო გამოჩენილა, ამჟამად სამელად ამ წყაროს წყალს იყენებენ და სანსალებიან ჭევაღს მხოლოდ სარეცხად და არაყის გამოსახდელად ხმარობენ. ჭევაღ საქონლის სასმელ წყლადაც გამოიყენება, მაგრამ ზამთარში ის ძალიან ცივია, იყინება და ამიტომ ყველა ცდილობს, რომ საქონელი წყაროზე სიარულს მიაჩვიოს, რადგან ზამთრობით ეს წყარო გაცივლებით თბილია ჭევაღზე.

დღეისათვის ჭევაღზე 9 წისქვილი დგას. აქედან ნაწილი გაუქმებულია. გაუქმებულ და მოქმედ წისქვილთაგან პირველი ეკუთვნოდა ტატიშვილებს, მეორე ითონიშვილებს, მესამე სიეთ, მეოთხე ლადარიანთ, მეხუთე ხუტიანთ, მეექვსე შარმეთ, მეშვიდე ჭიალაშვილებს, მერვე გოგორეთ და მეცხრე ხაბეთ.

ყველა ამ წისქვილს ზაფხულობით წყალი საკმაოზე მეტიც კი ჰქონდა, მაგრამ ზამთარში წყალი კლებულობდა და წისქვილის ქვებსაც ცვლიდნენ ისეთი ქვებით, რომელთაც ზამთრის წყალი მოერეოდა.

ზამთრის პერიოდში საზაფხულო ქვის ბრუნვა შესაძლებელი იყო მხოლოდ შარმეთ წისქვილში, რომელიც იქ დგას, სადაც ჭევაღ თერგს ერთვის. ჭევაღს პარალელურად წყარუანთიდან (მთის სახელია) ჩამოდის ვათის ჭევაღ და ისიც თერგს ერთვის. შარმენი ვათის ჭევაღს ჭალაზე გაჭრილი წელწელაი კახვთ ჭევაღს უერთდებოდნენ. ვათის ჭევაღს ჭევაღსთან შერწყმის შედეგად წყალი მატულობდა და საზაფხულო ქვის გაბრუნებას შესაძლებელს ხდიდა.

შარმენთ წისქვილი ამით სარგებლობდა და ზამთრობით მინდს იღებდა.

ამ წისქვილების გარდა ყანობის მოსახლეობა ერთი დოლაბითაც სარგებლობდა, რომელიც ხაბეთ ანტონის (კურკუმულს) აუშენებია თერგზე, ძველ ნახიდურთან.

სოფ. ყანობი ერთადერთი საურმე გზით დაკავშირებულია საქართველოს სამხედრო გზასთან. საურმე გზის სიგრძე 1 1/2 კმ-ზე ცოტა მეტია. ეს გზა ზამთარში სამარხილედაცაა გამოყენებული, როდესაც თოვლით იფარება.

სოფელი ყანობი სხვა სოფლებს საქო

თო გზითაც უკავშირდება, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში საურმედაც გამოიყენება. ყანობიდან ხურთისში გასვლა პირდაპირ შეუძლებელია ურმით. ამიტომ ურემს ლიშიათს ბეგამდე მიაგორებენ ცხენით, შემდეგ ცხენს გამოუშვებენ და ბარგს საპალნით ჩაზიდავენ, ხოლო ურემს დაშლიან და ხურთისის საურმე გზამდე ნალოით ჩაათრევენ ნაწილ-ნაწილ. „სამშვიდობოზე“ კვლავ ააწყობენ და განაგრძობენ გზას.

ლიშეს კოტის (გზის) პარალელურად მოქმედებაშია დ ა თ ხ ა ტ ი ს წ ე ლ წ ე ლ ა ე ბ ი, რომელზედაც ნალოცთ თივა და ძნა ამოჰქონდათ. სახნავი ადგილები ყანობელებს სოფ. ხურთისის ტერიტორიაზე (დათხატზეც) ჰქონია, ლიშიაეს ერთი ფერდობი (წყალ გამოღმა) დღემდე ყანობის საკუთრებაშია, რომლით სარგებლობა შეუძლებელია აღნიშნული „წელწელაეს“ გზად გამოყენების გარეშე.

ამგვარად, გარეშე სოფლებთან დამაკავშირებელია ორი გზა: საურმე და საქოლთო – ხანდისხან საურმედ და სამარხილედ გამოყენებული.

სოფელს აქვს სათიბებთან, საძოვრებთან, სახნავ ადგილებთან და სალოცავებთან დამაკავშირებელი გზები. ყველაზე გრძელია ცუთის საქოლთო, რომელიც სოფელს საჯოგე მთასთან აკავშირებს. ამავე გზით ხდება გადასვლა თრუსოს მისადგომებთან, კერძოდ სოფელ შავარდენში, რომელიც მთა სათოლგოთოს ძირში მდებარეობს და ოსებითაა დასახლებული.

ყანობიდან საჯოგე მთამდე მიდის სამარხილე გზაც. ამ გზით ეზიდებიან იმ თივას, რომელსაც ცუთისა და არბუხელაეს მთაში ამზადებდნენ, ცუთის საწველნი დამზადებულ ერბო-ყველს, სოფლიდან ჯერსა და ქოხების გასაკეთებლად საჭირო მასალას და სხვ.

ამ გზითვე ჩამოჰქონდათ არბუხელაეს სასვილეებში და საქერსვილეებში მოყვანილი პური, ჩალა და ლაბარო.

არბუხელას არის სათრევიც, საგულებელზე თივების ჩამოყრისათვის გამოყენებული.

სოფლიდან „დიდ მთაისაკენ“ მიდის 1 1/2 კმ. სიგრძის საურმე და სამარხილე გზა. ეს გზა მთის ძირამდე მიდის და იქიდან თივას, ხოლო ყანებიდან ძნას ეზიდებიან. ამავე გზით გააქვთ ნაკელი სოფლის ზემოთ მდებარე ყანებში.

სოფელი დიდმთაეს საძოვრებთან დაკავშირებულია ქაშეთიაეს ბილიკით; მთავარანგელოზის (თარანგელოზის) ხატთან – სამტვრის აღმაეს მეშვეობით და თარანგელოზის ხატის ტყესთან – ქაბარჯინაეს წელწელაეთ.

მთავარანგელოზის ხატის გარდა სოფელს აქვს კიდევ ორი სასოფლო სალოცავი – კ ა ვ რ ე ს ხ ა ტ ი და ა რ ყ ო ნ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი. პირველი მათგანი გოგორეთ (კურკუმულების) ძირაა (ამ ადგილს გოგორეთ ძირს ეძახიან), ხოლო მეორე ჭევაეს (წყლის) გაღმაა და სოფელთან გონაეს წელწელაეთაა დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც სოფელში ეკლესია აშენდა, „ბლაღოჩინს“ ხალხისათვის ერობაში მოუყრია თავი და ურჩევია, რომ „თარანგელოზობა“ ეკლესიაში გადაიხადონ ყოველთვის, რადგან ხატი ძალიან შორსაა და იქ სიარული ძნელია.

ხალხი არ დაჭაბულებია და გადაუწყვეტიათ, რომ ხატში სალოცავად კვლავინდებურად განაგრძონ სიარული, ხოლო ეკლესიის გალავანში დამატებით „სამხდო“ გადაიხადონ.

საერობოდ წინათ ამორჩეული ჰქონიათ ის ადგილი, სადაც ამჟამად ხუტიანთ (კობიაშვილი) ლაზოს ბანიანი სახლია აშენებული. ამჟამად

ერთობაჲ მოწყობულია სოფლის ცენტრში, ანუ ძველი და ახალი ყანობის გადამკვეთ ხაზზე.

ერობაჲ წარმოადგენს პატარა მოედანს, სადაც ძველად ქვის ყადეები იყო, ახლა ქვებზე გადებული მორი საჯდომადაა გამოყენებული. ვინც ამ მორზე ვერ მოთავსდება, იქვე ლობეზე ჩამოჯდება და სხვ. ერობაში წყდება სოფლის ავ-კარგი: მეველის ამორჩევა, მწყემსების დაყენება, ხიდისა და გზის შეკეთება და სხვ. თვით თანამედროვე ვითარებაშიც კი ერობა წარმოადგენს კოლმეურნეთა საერებულო ადგილს და იქ უფრო ხშირად ეწყობა კოლმეურნეობის კრებები, ვიდრე სკოლის შენობაში.

ერობაში მყოფი ყოველთვის უსაქმოდ არ არის და თუ ტყავს არ ზელს, იქვე მდგარ ქვის სადენჭელზე ბანგულს მაინც ბანდავს, ან კოხუჭებს ასხამს.

სოფლის საძოვრები: დიდ მთაჲს წვერები, ვანეთ მთა, წყარუანი, შავკლდე, ცალგვერდი, ჩხრიალა, ეკალთავები, ეკალი, არბუხელა, სადროშიაჲს ქედი, ჭინვათა, ცუთი, საფოროქო, სამტვრე, ვეძათ ქედი, ქამბარჯინა, ასაკედი და თარანგელოზი.

სათიბები: ლიშე, კართანა, გონა, ახათა, ქაშეთია, ფშანი, ჩირდილა, სათიბონა, ველტეხილი, ნარიანი, საგუბარაჲდ, ჭევა, სადათუა, დიდმთა, არბუხელა, უნაგირა, ვირის ჭლიკა, ჭინვათა, ცუთის ვაკე, სასოფლო რუვი, ცუთის გვრდოჲ და საფოროქო.

სასვილეები: კათანა,, ახათაჲ, გონაჲ, ველტეხილი და არბუხელაჲ.

საყანეები: ფერჭაჲ, გზაშუა, ლიშე, ბეგის პირები, ბანთ უკენაჲ, კალოსპირაჲ, საყდრის ძირები, საყდრის გვერდი, საყდრის თავები, სათიბონაჲ, ფშანი, დათხატები, გაღმები (სამტვერე).

ამავე ადგილებზე დაიწყეს კარტოფილების თესვა და იგივე სახელწოდებები გამეორდება უმეტესად,

ფშანის სათიბებს რწყავდნენ ჭევაჲს წყლით. წყალი გაყვანილი იყო არხებით ტეტიაჲს წყაროდან.

მესაქონლეობა სეზონურობის მიხედვით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: გამწვანებისთანავე, ადრე გაზაფხულზე, ჯერ კიდევ ყიზლარიდან ცხვრის მოსვლამდე, მსხვილფეხა საქონელს უშვებენ ბარებში. როდესაც მთაშიც გამწვანდება და ცხვარიც მოვა, ამოირჩევენ მეჯოგეს და ბერწობას ცუთს გარეკავენ. ცუთს გასარეკ ბერწობაში შედის: ცხენები, რომლებიც ურემში არ არის შებმული, ხარები, დეკეულები, ბერწი ძროხები და ჭოჭყი. ცუთს იციან ღორების გაშვებაც, რომელსაც ცალკე მეღორე მწყემსი ჰყავს.

ჯოგს თავდაპირველად უშვებენ ცუთის ვაკეზე. ყორუღში მათი შეშვება არ შეიძლება მანამდე, სანამ ვაკე არ შეიჭმევა და შემოდგომა არ მოატანს. ყორუღში ბალახი შედარებით გვიან მოდის, რადგან თოვლი გვიან დნება და შემოდგომისათვის, როცა სხვაგან ბალახი უკვე ყვითლდება, იქ ისევ მწვანეა. ამ ბალახზე საქონლის გაშვება ძალიან ასუქებს ჯოგს.

ღორებიც ბალახით იკვებებიან. დამით ყორულის კლდეში ამყოფებენ როგორც ჯოგს, ისე ღორებს, მხოლოდ ცალცალკე სადგომში.

მეჯოგე მუდმივად იქ ცხოვრობს დღე და ღამე, მანამდე, სანამ ჯოგს სოფლად არ ჩამორეკავენ.

საჯოგე საძოვარში არც მეწველი საქონლისა და არც ცხვრის გაშვება არ შეიძლება.

მეწველ საქონელს აძოვებენ ჯერ არბუხელას, რაკი იქ ადრე იწვება ბალახი, შემდეგ ცალგვერდსა და შავკლდეს, შემდე ბარში, როდესაც ჯოგიც ჩამოვა, თივა და ძნა შემოვა, როცა ბალახი ამოვა და ერთად დარეულ მეწველსა და ბერწობას ქირმანში გაუშვებენ.

ცხვარს ჯერ ერთად დარეულს აძოვებენ სათიბებში და საძოვრებში. მეველეს რომ ამოირჩევენ და სათიბებს დაიცავენ, ცხვარს დაარჩენენ. მამალ ცხვარს მთის წვერებზე არეკავენ და იქ აბალახებენ. დედალ ბერწ ცხვარს (ბატკანი, შიშაქი) საფოროქოსა და ცუთის წვერებზე გადარეკავენ წველის სეზონში და ნაწილს სოფელშივე ტოვებენ. სოფელში ტოვებს ის, ვინც ცოტა ცხვრის პატრონია. მეწველი ცხვრის საქონლის საძოვარში გაშვება სასტიკად აკრძალულია და წესის დამრღვევს მეველე აჯარიმებს. ცხვრის საძოვრებად უმთავრესად მაღლობები და კლდიანი ადგილებია გამოყენებული, რადგან საქონელს იქ მისვლა არ შეუძლია.

ცხვრის დაშრობა რომ მოხდება და გაპარსავენ, ისევ ერთად დარეკენ დედალ-მამალ ცხვარს, ეიხლარში წასველის წინ და მსხვილფეხა საქონლის ქირმანში გასვლამდე საზამთრო საძოვრებისაკენ გარეკენ.

სათიბების გამოყენება: პირველ რიგში ითიბება არბუხელაი, რადგან მზვარეა და ადრე იწვება ბალახი. არბუხელაის შემდეგ ითიბება ცუთი. თუმცა ცუთი ადრე არ იწვება, მაგრამ გათიბვას და თივების აგებას ანჭარებენ იმიტომ, რომ სათარზე აგებული თივა დაჯდეს და შორიდან მოტანის დროს არ დაიშალოს.

ცუთის შემდეგ ითიბება დიდმთაის მზვარეები[4], შემდეგ ჭევაისა და საღათუაის რუკები და ჩირდილები და ბოლოს ბარები. ბარებიდან ყველაზე გვიან ჩირდილაი ითიბება.

თივის შემოტანა პირველ რიგში ბარებიდან ხდება საქონლის ქირმანის განთავისუფლების მიზნით.

მთიდან თივების ჩამოყრას არ ანჭარებენ ორი გარემოების მხედველობაში მიღებით: 1) ელოდებიან მის დაჯდომა-დაპრესას. 2) შემოდგომის პირზე არბუხელაის სათრევი აღარ ფიცხდება. თრთვილით ლბება გაფიცხებული ბალახი და თივის ჩამოთრევის დროს ხიფათი თავიდანაა აცილებული, რომ გამოქანებულმა თივამ კაცი არ გაიტაცოს და არ გადაჩეხოს.

სოფ. შატილი

შატილი ხევსურეთის საიმედო ციხესიმაგრეს წარმოადგენდა და მას ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი თავდასხმებისაგან იცავდა.

---

[4] მზორე = მზვარე

გადმოცემის თანახმად, თანამედროვე შატილის პირველ მოსახლედ ითვლებიან ქაჩუდან აყრილი შატილის ტერიტორიაზე დასახლებული გილაკა და უთურგა ჭინჭარაულები, უახლოეს წარსულამდე შატილში მოსახლე ჭინჭარაულები გილაკასა და უთურგას შთამომავლებად აღიარებენ თავს.

ჭინჭარაულებთან ერთად შატილში მოსახლეობენ ანატორელნიც, რომელნიც თავიანთ წარმოშობას უკავშირებენ ანატორში მცხოვრებ, მაგრამ „ჟამიანობის" შედეგად ამოწყვეტილ ანატორელთაგან ერთ-ერთი მათგანის გადარჩენას, შატილში შემოხიზვნას და გაშენებას.

დასახლებულ გვარებთან ერთად შატილში დამკვიდრებულია ქისტების რამდენიმე ოჯახიც.[5]

ამგვარად, შატილელთა უძველეს მამებად ითვლებოდნენ გილაკაურნი და უთურგაულნი. დროთა განმავლობაში უძველესი მამები ახალ მამებად დაიყენენ, ხოლო ახალი მამები – უახლეს მამებად. ასეთი დანაწილების შესაბამისად შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

გილაკაურნი იყოფიან ახალ მამებად: თიაკანი, კოკონი ბაგრატაულნი. თიაკათ შემადგენლობაში შედიან: ობოლანი (2 კომლი), და სანათაისძენი, ანუ ნიანი (4 კომლი)

კოკოთ შემადგენლობაში ერთიანდებიან: ხირჩლაისშვილნი (4 კომლი), იმედანი (2 კომლი), და ივანენი (4 კომლი);

ბაგრატაულთ გაერთიანებას განეკუთვნებიან: „---" (2 კომლი), კვირიკანი (2 კომლი).

უთურგაულთ ახალი მამანი არიან: ბადურიკანი, მანიანი, ჯალაბაურნი და ბულოურნი. ბადურიკანი მოიცავენ შემდეგ უახლოეს მამათ: თალაისშვილთ (3 კომლი) და საღირაისშვილთ (1 კომლი).

მანგიათ უახლოეს მამად ითვლებიან სამუკაისშვილნი (2 კომლი). ჯალაბაურთაში შედიან ვაკიაისშვილნი (2კომლი), ხოლო ბულოურთ უახლესი მამანია ბაბონი (3 კომლი) და გიგიანი (1 კომლი).

საგილიკაურში შედიოდნენ გიგაურნი, მაგრამ დაილეკნენ [გაწყდნენ] საუთურგაულოში შაბურენი, როლებიც გიგაურთ მსგავსად ამოწყვეტილან. გადარჩენილა მხოლოდ ერთი და გადასახლებულა ზენამხარში თუ ზემო თიანეთში.

მაჩაბლის მიხედვით 1885 წელს შატილში ცხოვრობდა 32 კომლი (83 მამრ. 88 მდედრ.) 1949 წელს შატილის მოსახლეობა შედგებოდა 28 კომლისაგან (126 სული), ხოლო 1950–1951 წ.წ. შატილი 36 კომლისაგან შემდგარ სოფელს წარმოადგენდა.

შატილი რამდენიმე უბნისაგან შედგება და სახლები, ტერასებადაა განლაგებული. ასეთი უბნებია: ა ნ ა ტ ო რ ი, ქ ა ვ ნ ი, შ უ ა ს ო ფ ე ლ ა, და ზ ე ნ ა უ ბ ა ნ ი.

ერთი უბანი მეორეს შარათი (შარა) უკავშირდება. თითოეულ შარას უბნის სახელწოდება აქვს მიკუთვნებული.

---

[5] გ. ჩანაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში (შატილის ხევეხნო) ტ. VII, გვ. 241

უბანთა დამაკავშირებელი ყველა შარა უერთდება ჯ.ნ. მთავარ შარას, რომელიც შატილს სასოფლო გზასთან აკავშირებს.

სასოფლო შარა სოფლისა და ჯ.ნ. ჯვრის მამულის გამყოფი იყო და მასზე მამაკაცების, ბავშვების და მოხუცი დედაკაცების გარდა სხვას არ შეეძლო გაელა.

სასოფლო შარას პირზე, სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, გამართული იყო შატილის საფეხნოც.

შატილის სალოცავები:

1. ანატორის ჯვარი, ანუ ანატორის მთავარ-ანგელოზის ჯვარი. მისი უნჯნი ყმანია ანატორელნი.
2. ღვთისმშობელი. მისი უნჯნი ყმანია ჭინჭარაულები.
3. გიორგი ბეკენგორ მაბურთალი.
4. გორის ანგელოზი (სამთოწია).
5. ზღუბლის ანგელოზი (ჯვარის ფოდაბურშია).

სასოფლო ჯვრები.

შატილის საზამთრო ბინებია: აცესი, ფიჭვნი, მიცუსჭალა, მითხელი.

საზაფხულო: ფელა (მამულებიც აქ აქვთ). ნამპალთ პირი, შატილის ხევი.

შატილის საონავრო მიწები.

საონავრო ეწოდება შატილში ისეთ სასოფლო მიწას, რომელიც მცირე ფართობისა, ან უხეირო ნიადაგის გამო წილში არ იქნა შეტანილი. ჩვეულებრივ საონავროდ შატილში დატოვებულია გულსათიბების ნაპირყურები, რომლებიც, სიმცირის გამო, არც იყო წილში შესატანი. ასეთი საონავროებია ჭალუსთავ და ზულაეს.

„საონავროს“ სთიბავს ის ოჯახი, რომელსაც სათიბი უჭირს. მოთიბვა მოსწრებაზეა. მოსათიბად მიდიან თიბის სამშაბათს, როდესაც წილგაყრილი სასოფლო სათიბების მოთიბვა ხდება. თუ ორმა ან სამმა სხვადასხვა ოჯახის დედაკაცმა ერთად მოასწრო საონავროზე მისვლა, ისინი ერთად გასთიბენ ამ სათიბს და შემდეგ თივას (ბალახს) თანასწორად გაინაწილებენ.

ალღუმები შატილში

სოფ. შატილის მოსახლეობა და მიწები ალღუმად არის დანაწილებული. ალღუმი იგივეა, რაც საძმო (მესაძმოენი) ანუ სახლისკაცობა და მისი მიწები. საძმოებისა და მათი მიწების მიხედვით შატილში სულ 8 ალღუმი იყო: თიაყათ, კოკოთ, ბაგრატაულთ, ბადურიკათ, მანგიათ, ჯალაბაურთ, ბულოურთ და ანატორელთ ალღუმები.

სახნავ-სათიბები თითოეულ ალღუმს შემდეგ მთებში ჰქონდა

I თიაყათ ალღუმს:

1. ჭარათეს 2. ბატეხისთავს 3. ზულაეს, სადაც სამთო მამულებთან ერთად ბარის მამულებიც არის. 4. აბანო(თ)თავს. 5. პირდაპირ

II კოკოთ ალღუმს:
1. ფარათეს 2. პირდაპირ 3 აბანოსთავს, აქ ალღუმის ზოგ წევრებს ჰქონდათ თავისი წილი, ზოგებს არა. 4. ზულაეს – აქ მხოლოდ ზოგიერთ წევრს ჰქონდა მიწა. ამიტომ შეიძლება ალღუმის წევრების აქაური მიწა ნაყიდი იყო (ე.ი. ზულაეს კოკოთ ალღუმს მამის მამულის მიწა არ გაჰნდა და, მაშასადამე, თავდაპირველად კოკოთ ალღუმს ზულაეს მთაში ნაწილობა არ ჰქონდა). 5. ფეღლას – აქ ალღუმის ზოგ წევრებს ჰქონდათ მიწა, ზოგს – არა.

III ბაგრატაულთ ალღუმს
1. ჭარათეს 2. ფეღლას 3. ზულაეს 4. პირდაპირ 5. ბატეხისთავ

IV ბადურიკაი ალღუმს:
1. პირდაპირ 2. ნამპალთპირ 3. ალხანიოს 4. ყეჩუს

V. მანგიათ ალღუმს
1. ჭარათეს 2. პირდაპირ 3. ზულაეს 4. აბანოთავს 5. ბეის

VI ჯალაბაურთ ალღუმს
1. საყენთ 2. პირდაპირ 3. ნამპალათპირ 4. ფეღლას – ბოლო ხანებში ეს მიწა სხვა ალღუმის წევრმა იყიდა.

VII ბულოურთ ალღუმს:
1. ბატეხისთავ 2. ზულაეს 3. პირდაპირ 4. კაილას

VIII ანატორელთ ალღუმს:
1. ფეღლას 2. ზულაეს 3. პირდაპირ 4. ფიჭეჩი

როგორც ვხედავთ, ზოგ მთაზე რამდენიმე ალღუმის სახნავ-სათიბებია მოთავსებული. ასე მაგალითად, მთა „ჭარათეს“ – 4 ალღუმისა, „ბატეხისთავ“ – „აბანო(თ)თავ“ 3–3 ალღუმისა, „ზულაეს“ – 6 ალღუმის სახნავ-სათიბი, „პირდაპირ“ – 8 ალღუმისა, „ფეღლას“ – 4 ალღუმისა და „ნამპალთპირ“ – 2 ალღუმის სახნავ-სათესები. დანარჩენი მთებიდან თითო ალღუმზე თითოა მიკუთვნებული.

გაალღუმებული სახნავ-სათიბი მთელი სათანადო ალღუმების წევრებზე არის დაყოფილი სხვადასხვა ფართობის ნაკვეთებად, რომლებიც მათ (ალღუმში შემავალი კომლების) უნჯ მიწებს შეადგენს. ყოველ შემთხვევაში ალღუმების სახნაები ყველა გაუნჯებულია, ე.ი. საკომლის მფლობელობაშია. აქ მემკვიდრეობით მიღებული მიწების გვერდით ალღუმის წევრებს ნაყიდი მიწები მოეპოვება.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კოკოთ ალღუმის წევრებიდან მხოლოდ ნაწილს გაჰნდა სახნავ-სათიბი მიწები „აბანო(თ)თავს“, „ზულაეს“ და „ფეღლას“, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ კოკოთ ალღუმის წევრებიდან ნაწილმა თავისი მიწები გაყიდა და ამიტომ

მათ ამ მთებში წილი არ ედოთ, ანდა შესაძლებელია კოკოთ ალღუმის წევრებმა (მცირე ნაწილმა) ამ მთებში წილი ნაიღეს მიწის ყიდვის გზით. ამას გარდა, მთხრობელი აღნიშნავს, რომ მას მთა „ხულაეს“ 3 დღის ბარის სახნავი ნაყიდი ჰქონდა. დანარჩენ მის ორ ძმას კი იქ ბარის სახნავები არ გაანწილათ, ვინაიდან მათ ძმობას ამ მთაში მემკვიდრეობით ბარის სახნავები არ მიუღიათ.

მთხრობელი თიაკაო ალღუმის წევრია: მას (ლეკოს) და მის ორ ძმას – მიხას და ყაწილს, თავიანთ საალღუმო მიწებში აქვთ მემკვიდრეობით მიღებული სახნავები – ბარისა და მთისა.

„ჭარათეს“ – 4–4 დღისა

„ბატეხისთავს“ – 3–3 დღისა.

„პირდაპირს“ – 9–9 დღისა; ხოლო მარტო მთის სახნავები „ხუალეს“ 5–5 – დღისა და „აბანო(თ)თავს“ – 3–3 დღისა.

ამგვარად, მიხასა და ყაწილს საალღუმო სახნავები ჰქონდათ 24–24 დღისა, ხოლო ლეკოს – სულ 29 დღისა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საალღუმო სათიბი მთები სამივე ძმას ერთად ჰქონდათ, თუმცა ისინი ცალ-ცალკე ოჯახებად ცხოვრობდნენ.

სამივეს ჰქონდათ

„ჭარათეს“ – 3 მთიბელის მთა,

„ბატეხისთავს“ – 4 მთიბელის მთა

„ხულაეს“ – 2 მთიბელის მთა

„აბანო(თ)თავს“ – 3 მთიბელის მთა და

„პირდაპირს – 3 მთიბელის მთა; სულ 15 მთიბელის მთა. ამ მთებით ძმები ორგვარად სარგებლობდნენ: ზოგჯერ ერთად გასთიბდნენ, ერთად დადგამდნენ თივას, ერთად „ჩამოსთრიდნენ“ მას ბარში და მერე თანასწორად გაინაწილებდნენ. ზოგჯერ კი – ერთი ძმა „ჭარათეს“ მოსთიბდა, მეორე ძმა „ბატეხისთავს“, მესამე ძმა „პირდაპირს“... მოსთიბდნენ დაახლოებით ერთი და იმავე რაოდენობის თივას (ცალ-ცალკე და თავ-თავისთვის დაიმზადებდნენ მარაგს.

ძმებს შორის გაუნაწილებელი სათიბების ქონება ხშირი იყო.

ამგვარად, შატილში სახლისკაცობა ანუ საძმო (მესაძმოენი) და ალღუმი ერთი და იგივე სოციალური ერთეულია. ტერმინები საძმო და სახლისკაცობა ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სოციალური ერთეული ნათესაური ჯგუფია, ხოლო ალღუმი მას წამოგვიდგენს, როგორც ეკონომიკური ერთეულს. რამდენადაც ამ სოციალურ-ეკონომიკური ერთეულების საფუძველს უნჯი მიწებით სარგებლობა წარმოადგენს, ამდენად ნათელია, რომ შატილის ალღუმები მიწათმფლობელობის განვითარების გვიან საფეხურს ასახავს.

შატილის საჭარავნე მთები

შატილის საჭარავნე მთები იყო: „მითხული“, „შატილის ჭეკი“, „იქითა ჭაუხი“ და „აქათა ჭაუხი“. ამ მთებში ჭარავანი დგებოდა. მას

კაცები მიყვებოდნენ. ჭარავანში გაერთიანებული იყო სოფლის ჭარების გარდა, ცხენებიცა და ჯორებიც. ჭარავანს გარეკავდნენ საჭნავის გათავების შემდეგ, ერთი კვირით წინ ამალლებამდე და საენკენიოთ აბრუნებდნენ.

სასოფლო საცველ სათიბები და მათი „წილის სათიბეების" სახით სარგებლობის წესი შატილში.

სოფლის სათიბები იყო: თხორუს-თავ, ატლოღის-თავ, ჭალუს-თავ, ნამპალთ-პირ, აცეხის-თავ, ზულაე და ალაქო.

ამ მთებზე ეს სასოფლო სათიბები საალღუმო (ე.ი. სამამო) სათიბებს გადარჩენილი სათიბები იყო. ზოგი მათგანი შორს მდებარეობდა სოფლიდან, ზოგი ახლო, ზოგი მთა კარგ ბალახს იძლეოდა, ზოგი ცუდს. ამიტომ სასოფლო სათიბებით სარგებლობა წილით ხდებოდა, ყოველ წელიწადს სათიბებით ათენგენობას რომ ხალხი სამთოს წავიდოდა, იქ დღეობა მთობას იხდიდნენ, რომელიც ათენგენას ემთხვეოდა.

ამ დღეობას იხდიდნენ გორის ანგელოზში, რომელიც იქ, ვაკეს (მთაზე) არის მოთავსებული. იქ ამ დღეობებზე ხუცესი გამოუცხადებდა ხალხს – „ამა და ამ დღეს წილ უნდა გაეყარათ თიბის შამშაბათის წინადღეზე ან კვირადღეზე (ე.წ. თიბის თავზე იტყოდა,[6] – შინ იყავითო)." ამ დღეს მართლაც ხალხი შინ იქნებოდა. ყველანი წავიდოდნენ საფეხვოში, იმის ბანზე ავიდოდნენ, იქ ახალგაზრდები წილებს დასჭრიდნენ – ხის ან ბალახის წილები ვიცოდით და ხუცესი წილს გაყრიდა ადრევე კომლთა რაოდენობის მიხედვით გადაზომილ სოფლის სათიბების ნაკვეთებზე. წილში ჯერ კარგ სათიბებს ჩავდებდით და ყველაზე გავანაწილებდით, მერე სხვას. მაგრამ შეიძლება მაინც ერთს საუკეთესო სათიბე შეხვედროდა წილში და მეორეს ნაკლები. სოფლის სათიბებს ასე ვანაწილებდით. განაწილების შემდეგ იმავე დღეს მეოთმე უნდოდა, სოფლის სათიბში გავიდოდა სათიბად, უნდოდა, თავის უნჯ სათიბეში[7] შატილიონს სათიბები ბევრად მეტი ჰქონდა, ვიდრე წილის სათიბე შეხვდებოდა. უკანასკნელ წლებში სასოფლო სათიბებიდან თითო კვამლს დაახლოებით ერთი, ორი ან სამი მთიბელის მთა მოუდიოდა. ეს იყო მისი წილის სათიბე.

ახალ ოჯახს სასოფლო სათიბეს მაშინ უნაწილებდნენ, როცა ეს ოჯახი სარიგოში წილს ჩაიდებდა, ე.ი. თუ ის იკისრებდა მორიგეობითი წესით სასოფლო საკლავი მიეყვანა ხოლმე ჯვარში საჯვარო დღეობების დროს.

---

[6] თიბის შამშაბათი ათენგენის მეორე შვიდეულის სამშაბათი დღეა, ხოლო თიბის თავი იმ სამშაბათის კვირა დღეა

[7] ამ დღეს „უქმს იქერდნენ" პარასკევს და შაბათს. პარასკევის უქმს აუშვებდნენ „ქარის უქმს", ხოლო შაბათის უქმს ენკენიამდე იქერდნენ. ასე ხვენში, შატილში იცოდნენ. გურიელები, კისტრელები და ლებანისკრელები კი ორშაბათს იქერდნენ, ეგონებ, ამალლებიდან ენკენიამდე. (მთხრ. ლ. ჭინჭარაული).

სასოფლო სათიბეს წილები (საკომლო ნაწილები) შეიძლებოდა რამდენიმე მეკომურს სახიაროდ გაეთიბათ და მერე ისინი თავიანთ გასწორდებოდნენ, ე.ი. თივას თანაბრად გაინაწილებდნენ.

ამას გარდა, შატილელებმა არაიშვიათად ვიცოდით სასოფლო სათიბებში სასვილეების დანაყვა ხიარჭვნის წესით.

სასოფლო სათიბებში სასვილეების დანაყვა ხიარჭვნის წესით შატილში.

შატილში სასოფლო სათიბებს არაიშვიათად დანაყავდნენ და სასვილეებად აქცევდნენ ხოლმე. შეამხანაგდებოდა 3-4 კაცი და ყამირს ერთად გასტეხდნენ – პირველად მიწას საკვეთლით გასჭრიდნენ, შემდეგ კი საჭვნიელით მოხნავდნენ. გამწვევი ძალა ხოგ ამხანაგს ჰყავდა, ხოგს არა, – ამას არ გამოეკიდებოდნენ, ოღონდ თესლს თანასწორად გამოიღებდნენ, საერთო ძალით აკრეფდნენ მოსავალს, ერთად გაბერტყავდნენ და თანაბრად გაიყოფდნენ; ანდა ყარტით გასწორდებოდნენ, ე.ი. სვილის დაბერტყამდე ყარტს თანასწორად გაიყოფდნენ.

ხალხი ნასვილარ ნიადაგს ნამპალს ეძახის. ხევსურების დაკვირვებით ნასვილარზე დათესილი ქერი საუკეთესო მოსავალს იძლევა. სასვილეების სახით ათვისებული მიწის ექსპლოატაცია 3 წელიწადს გრძელდება, რის შემდგომ შეამხანაგებულები ნამპლობაში გამოდიან („ნაპლობანი გამოხვედიო“ – ეტყვიან). მათ უფლება არა აქვთ სასოფლო სათიბი სამ წელზე მეტ ხანს მოხნან. მესამე წლის მოსავლის აღების შემდეგ, სასვილე სოფელს უბრუნდება როგორც სასოფლო სათიბის ნაწილი.

სავსებით ასეთივე პირობით ხდებოდა შეამხანაგება კერძო პირის სათიბის დასანაყავად. ჩვეულებრივ სათიბი ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მფლობელობაში იყო. სამი წლის განმავლობაში ამხანაგობა ამ მიწის ხიარჭვნის წესით სასვილედ ამუშავებდა, შემდეგ კი ნამპლობაში გამოდიოდნენ და მიწა მის პატრონს უბრუნდებოდა.

ტყის გაჭრა და მიწის დანაყვა

უწინდელ დროში ტყეს გაჭრიდა კაცი და დანაყავდა, საკნავად აქცევდა და იმას ვერავინ დაუშლიდა, ის მიწა იმისი იყო.

ბოლო ხანებში კი აღარ დარჩა თავისუფალი ადგილი, ტყეც გაძვირდა, გასაჭრელი ტყე და დასანაყი მიწა აღარავის არა აქვს.

სასოფლო ტყე შატილში

სასოფლო ტყე შატილს რვა ადგილის ჰქონდა: მიცუსჭალაის ჭალას, თხორუს, ფეღის-ჭევ, პირდაპირ, აცეხის -თავ, ნამპალთ-პირ, ჭაუხს და ღერღეხს. ამ სასოფლო ტყეთ შატილივნები ისევე სარგებლობდნენ, როგორც სასოფლო სათიბებით.

მთის მამულის გამოყამირება

მთის მამულს თითო წელს ააყამირებდნენ და თითო წელს ხნავდნენ.

უნჯი მიწა

უნჯი მიწა არის საკუთარი მიწა. შატილშიც არის კარისპირული ყანა ანუ „ბოსლისკარული ყანა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა რ ი ს კ ა რ უ ლ ი ყ ა ნ ე ბ ი შ ა ტ ი ლ შ ი

შატილში ბარისკრული ყანები იყო: 1. აცეხში 2. ფიჭვნჭეში, 3. მიცუსჭალაში

სხვადასხვა ალდუმებს იქ მიწები ერთმანეთში არეულები ჰქონდათ, რადგან ზოგის მიწა ნაყიდი იყო და ზოგისა მამის მამული.

ლეკოს აცეხში ნაყიდი ჰქონდა 3 დღის მიწა. სხვებს მეტი ან ნაკლები ჰქონდა ნაყიდი ბარისკრული - ზოგს 7 დღისა, ზოგს 6 დღისა, ზოგს კიდევ 4 – 3 დღისა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ნაყიდი მიწა სულაც არ გააჩნდათ, მაგალითად, ლეკოს ძმებს ნაყიდი ბარისკრული მიწები არ ჰქონდათ.

შ ა ტ ი ლ ი ს ს ა მ თ ო ე ბ ი დ ა ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი

შატილიანები ზამთარში საბოსლოში მიდიოდნენ, ხოლო საზაფხულო სამთოები ყველას არ ჰქონდა. ზაფხულობით მთაში უფრო მეტად ჭელკაციანები ადიოდნენ. ისინი თავის საქონელს სამთოებზე ამაღლებაში არეკავდნენ და იქ რნებოდნენ ენკენიის ქვაბკიდებამდე, ქვაბკიდებას ნამორეკავდნენ. საქონელს მეტწილად მოხუცი დედაკაცები აყვებოდნენ. შატილის საზაფხულო მთები იყო: „მითხული“, „შატილის ჭვი“, „ჭარათე“ და „ფედა“.

ც ხ ვ რ ი ს შ ე ნ ა ხ ვ ა შ ა ტ ი ლ შ ი

„ზამთრობით ცხვარი საბოსლოში გვედგა, და მას კვებავდა და უვლიდა მწყემსი. მწყემსი ქისტი, ქართველი ან ხევსური იყო. მას ვქირაობდით ამაღლებიდან ამაღლებამდე, – ერთი წლით ქირაში ვაძლევდით 20 ცხვარზე 1 ცხვარს, მაგრამ, რაც უნდა ბევრი ცხვარი გვყოლოდა, თითო კომლი 5 ცხვარზე მეტს არ ვაძლევდით. ის სხვადასხვა მეკვემურების ცხვრებს შეაერთებდა. ცხვრის გარდა, მწყემსი დებულობდა დამქირავებელებისაგან ჯდანებსა და საკვებს.

ცხვრებიდან საწველავი შინ მიჰყავდათ, ხოლო ბერწს მეცხვარე (მწყემსი) ბაკად აყენებდა“.

1950 წ.*

* ნაშრომის შესრულების თარიღის დამოწმებისათვის მადლობას მოვახსენებ ისტ. მეც. დოქტ., პროფ. ვ. ითონიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშეთში ვართ. ექსპედიციის მარშრუტია თბილისი, – თელავი, ომალო, შენაქო, ქუმელაურთა, დართლო, ჩიღო, ლაშარის ჯვარი, კავალო, დანო, ჭეშო, ფარსმა, გირევი, ჭონთიო, ომალო, თელავი.

ექსპედიციის შეხვედრა

თელავის აეროპორტიდან გადმოვფრინდით ომალოში. თუშეთში ვერტმფრენი ჯდება შემდეგ პუნქტებში: ომალო, დართლო, გირევი, ჯვარბოსელი. ყველაზე მოხერხებულია ომალოა.

მაგონდება ჩვენი 1932 წ. ექსპედიცია, რომლის მარშრუტი იყო: დიდგვერდი, ვესტომთა, დოჭუ, ომალო, ჩიღო, ლაშარისჯვარი, დართლო, ჯვარბოსელი, ინდურთა, ტბათანა, პანკისი, ალვანი.

პირველი სოფელი, რომელიც მთა-თუშეთში ვნახე ვესტომთა იყო. ამჟამად ეს სოფელი სულ დაზიანებულია. ზამთარში არავინ არ რჩება. ზაფხულობით რვა ოჯახი ამოდის. იცვლება მთა-თუშეთიც.

მთხრობელები

3 აგვისტო

ექსპედიციის ნაწილი შენაქოში გადავიდა. ნაწილი ომალოში მუშაობს. არქიტექტორი მუშაობს მარიამწმინდას ხატზე, რომელიც ომალოს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, მთის მაღალ წვერზე მდებარეობს; მისი სამხრეთი ნაწილი ხატის ტერიტორიას წარმოადგენს.

საინტერესო ცნობა მოგვაწოდა მართა მოზაიძემ: ხატთან ახლო მდებარე დიდი



ჯაკმატის ჯვარი, საზარე და სასაფლაო. სოფ. ქუმელაურთა

ფიჭვის ხეში ხატის განძს ინახავდნენო.

მთხრობელისაგან ავიღეთ ცნობები ომალოში მდებარე ხატების შესახებ. ძველად ოთხი ხატი ფუნქციონირებდა: მთავარანგელოზის, მარიამწმიდის, წმ. გიორგის ორი; ეს უკანასკნელნი მათი გადმოცემით, ხევსურებს ეკუთვნოდათ. მთავარი ხატი მთავარანგელოზის ხატია.

მთავარანგელოზისა და მარიამწმინდის ხატებს საერთო საქვაბე აქვთ, რომელიც ომალოს ციხესა და სოფ. ზემო ომალოს შორის მთაზე მდებარეობს: ოთხკუთხა, ტიპური ნაგებობა, ამჟამად დანგრეული. საქვაბეში დგას დიდი ხის გეჯანავი, მთლიანი ხისაგან ამოჭრილი, ორი დიდი ზომის სპილენძის სალუდე ქვაბი, ხის სარეველი. იგი გრძელი ჯოხია, ბოლოში მოკლე ხეები მავთულითაა შეკრული.

შენობის ორივე მხარეს კედელში დატანებულია ორი პატარა შუკუმი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში, სამკუთხა ფორმის თაროებია გაკეთებული.

პირიქით თუშეთი და მისი ნაწილები:

1. სამციხე, მასში შედის შემდეგი სოფლები: დართლო, კვაველო, დანო, ჭეშო, ჩიდო (?)

2. საკუთრივ პირიქითის სოფლები: ფარსმა, ჭონთიო, ედო, გირევი.

– სიმაღლეები: ლაშარის ჯვარი, 2230 მ (ხატთან); დართლო, 1845 მ., კვაველო, 2100 მ; ჭეშო, 1890 მ. ზღ. დ.

4 აგვისტო

სოფ. შენაქო.

დღეს სალოცავებზე ვმუშაობთ. შენაქოს სალოცავები შემდეგია: სანება, წასნე, ლაშარის ნიში, ნივრეს ხატი, კარატე, ხახმატი, ბატონი კურეხელი და მარიამწმინდა. მთავარი სასოფლო სალოცავი სანებაა.

სანებას ხატი სოფლის აღმოსავლეთ მხარეზე, საყდრის უკან მდებარეობს: მარიამწმინდის, უშარიანთ გორზე; კარატის ნიში სოფ. შენაქოს აღმოსავლეთით, ახალ უბანში; ხახმატის ჯვარი, დიკლოშენაქოს გზის ზემოთ, ლაშარის ნიში, სოფლიდან მოშორებითაა,

მთაზე, წასნეს ხატი, ფიჭვის ტყეში; კურეხელის სალოცავი, ფიჭვის ხეა.

სოფელში სხვადასხვა გვარი ცხოვრობს, მაგრამ ამათგან სამი მთავარი გვარია: ხანიძე, ბუქვაიძე, ოშორიძე; დანარჩენი ამათგან განაყრებია ან „ხარით შეყრილები“. მიწა, სათიბი, ტყე „კვამლებზე“ იყო განაწილებული. ტყე საკომლოს გარდა სასოფლოც იყო, საძოვრები კი – თავისუფალ სარგებლობაში.

შენაქოდან გადავედით ქუმელაურთაში.

გავჩერდით ხახმატის ხატში. ხახმატის ხატი სოფლის თავში მდებარეობს. გორაკზე აღმართულია ორი მილიონაი: ს ა ზ ა რ ე და ს ა ს ა კ ლ ა ო, ქვით, ყორით, მშრალად ნაგები, სწორკუთხი, სვეტივით აღმართული, ირმისა და ჯიხვის რქებით შემოწყობილი.

მთხრობელთა გადმოცემით, ამ ორივე მილიონას ძირში სამსხვერპლო იყო. დაკლულ საქონელს ამ ფერდობზე დააგორებდნენ. გორის ძირში, ს ა ქ ვ ა ბ ე ა, ყორით ნაგები. გვერდითი და უკანა კედლები მიწაში ზის, შესასვლელი კარი, ჩრდილოეთის მხრიდან აღარ აქვს და მის მაგივრობას მორები ცვლის.

ქუმელაურთას სალოცავებია: ჯაკმატის ჯვარი, წმ. გიორგი, ხახის ჯვარი და შაფურთას ჯვარი.

სოფელს საყანეები კომლობრივ ჰქონდა, სათიბეებიც, სასვილეებიც. ტყე საერთო იყო, სასოფლო, ცალკე იყო ხატის ტყე. იქიდან შეშის გამოტანის უფლება არავის ჰქონდა.

სასოფლო იყო საძოვრებიც.

ექსპედიციის წევრები: ი.სურგულაძე (თსუ სტუდენტთა პრაქტიკის ხელმძღვანელი), თ.ცაგარეიშვილი და მ. გუგუშვილი (სტუდენტები) სოფ. დართლო

6 ა გ ვ ი ს ტ ო

დღეს გადმოვედით და დავბინავდით დ ა რ თ ლ ო შ ი. ალბათ, რამდენიმე დღე გავჩერდებით. ექსპედიცია ბანაკდება. მე გავიარე სოფელში. გადავედი ხიდს გადაღმა და მივედი სასაფლაოზე. მაინტერესებდა ძველი აკლდამების მდგომარეობა. 1932 წ. აქ ჩავწერე ლეგენდა, მსგავსი ანატორიის აკლდამების

ლეგენდისა, სოფელში დიდი ჭირიანობა გაჩენილა. თემს გადაწყვეტია, რომ სოფლის დაცვის მიზნით, ვინც ავადმყოფობას იგრძნობდა თავისი ფეხით გასცლოდა სოფელს და აკლდამაში გაეტარებინა ბოლო დღეები. ყველა დაავადებული აკლდამაში ჯდებოდა ქვის „მეკზე“ და ელოდა სიკვდილს.

როგორც აქ შემხვედრმა იოსებ იდოიძემ მამცნო დართლოს ახალგაზრდებმა აკლდამები შიგნით გამოთხარეს და ადამიანთა ძვლები ნახეს, ფენა-ფენად დალაგებულიო.

დართლოში წარმოდგენილია ორი აკლდამა, სოფლის სასაფლაოს თავზე. ერთი აკლდამა შედარებით პატარაა, ფიქალით ამოყვანილი, შეისრული ჭერით. შესასვლელი დაბალია. 1932 წ. აქ კარები მახსოვს. ახლა შერჩენილი აქვს მხოლოდ ხის დირე და კარის ნაწილი. აღმოსავლეთის მხარეს და სამხრეთის ფასადში გაჭრილია სარკმლები.

მეორე აკლდამა უფრო მოდიდოა. ისიც მშრალად ნაგებია ფიქალი ქვისაგან. აქვს ორფერდა სახურავი. დატანებული აქვს დაბალი შესასვლელი.

აკლდამები ნგრევის პირასაა.

მოვიდა ლოვა საფრაზიანი. ვთხოვე გადაიღოს აკლდამები და დაუძახოს არქიტექტორს. სჯობს დღესვე დავიწყოთ მუშაობა. ექსპედიციას დრო არასოდეს არ ჰყოფნის.

– სადამოს ვიყავით ლხინში. დიდი კოცონი ენთო. სუფრა მინდორზე გაიშალა. მოიტანეს პური, ყველი, ხაში (უწვნოთ), ხაშლამა. ბევრი იყო ლუდი და არაყი. სადღეგრძელოებს სვამდნენ ჯიხვის რქით (თასს ეძახდნენ ძველებიო). იყო დიდი მხიარულება: გარმონი, თუში გოგოების ტკბილი სიმღერა, ცეკვა. ქალები ცალკე ისხდნენ. იცეკვეს ჩვენმა გოგოებმაც, განსაკუთრებით სტუდენტმა ლია თოდუამ ისახელა თავი. მომეწონა ექსპედიციის წევრებისა და თუშების ურთიერთდამოკიდებულება.

ექსპედიციის მ წევრი ლხინში

ეთნოგრაფი უნდა ხალხში ტრიალებდეს, თუ უნდა მათი ნდობა მოიპოვოს. სხვანაირად ხალხი გულს არ გაგიხსნის, არ გენდობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულში არ ჩაგახედებს. მაგრამ თუ გენდო, შენი საქმე ირწმუნა, მაშინ მის მიერ მოწოდებული მასალა ოქროს ფასისაა.

სოფ. ზემო ომალო. ციხე-სახლი

არაერთი შემთხვევა ვიცი, როგორ არასწორ ინფორმაციებს აძლევდა ხალხი იმ ვაი მეცნიერებს, რომელნიც უცოდინრად შედიოდნენ ველზე, ქედმაღლურად, ზევიდან უყურებდნენ მოსახლეობას და ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ ადრეულად დაეტოვებინათ ველი, იმ მიზეზით, „არაფერი იციანო“.

და განა შეიძლება ადამიანმა არ იცოდეს ის ცხოვრება, რომელიც განვლო? ის სამყარო, რომელშიც გაიზარდა, დავაჟკაცდა, იშრომა მისმა მამა-პაპამ და შრომობს თვითონ?

ყველაფერი ამის მიზეზი: ეთნოგრაფები ნელ-ნელა სცილდებიან ველს. ეს ნიშნავს, სცილდება იმ საფუძველს, რომელზეც დგას დარგი.

9 აგვისტო

დღეს, ნაშუადღევს, 3 საათზე გავემგზავრეთ დართლოდან ჭეშოში. მოვედით 5 საათზე. გვყავდა 5 ცხენი: ორი საჯდომი, სამი ბარგისა.

ეს სოფელიც მიტოვებულია. ამ სოფლის ძველი მოსახლეობა საზაფხულოდ ამოდის მხოლოდ, საქონლითა და ძროხებით. თითოეულ ოჯახს ორ-სამზე მეტი მეწველი ძროხა არა ჰყავს. იმარაგებენ ერბოს; აკეთებენ „ხანულობით“ ყველს. მახლობლად ცხვრების ბინებია. ახლო სოფლებთან არის ბოსლები, უკვე მიტოვებული, საზამთრო.

განსაკუთრებით მენიშნა ერთი მთხრობლის ნათქვამი: „თუ სოფელში ცხვარ არ გამიშვეს, ძროხას არ გამიშვებენ, თუ ეს მოისპო, ბარში ჩავსახლდებიო“.

ზარი უნდა შემოვკრათ! იცლება მთა ხალხო, გონს მოდით. მიეცით ხალხს საშუალება იცხოვროს, იყოლიოს ცხვარი, ძროხა მეტი და მეტი. რა დაშავდება, ხალხი თუ გაძლიერდა, ქვეყანაც ხომ გაძლიერდება.

სოფლის თავზე ციხეა, დანოს ციხე და გადასაქერიან ერთმანეთს თუშეთის დარაჯები: დანოს ციხე–კვავლოს ციხეს; კვავლოს ციხე–დართლოს ციხეს დართლოს ციხე–ჩიღოს ციხეს–ჩიღოს

ნ. მაისურაძე, ვ.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია მუშაობის პროცესში

ციხე–დიკლოს
ციხეს–დიკლოს
ციხე–შენაქოს
ციხეს შენაქოს
ციხე–ომალოს.
დგანან წარსულის უტყვი მოწმენი, ხალხის ემპირიული ტექნიკური ნიჭის უკვდავსაყოფად.

სოფლის დასავლეთით ხეობაში ნამოდის მთის ქედი. მასზე ოთხი ციხე-კოშკია. ვფიქრობ, ეს ციხეები ჰკეტავდა აქეთა ხეობას, გადადმა თუშეთისაგან (ზემო ხევიდან).

ჭეშოს სალოცავებია: წმინდა გიორგი, მიქელ-გაბრიელი, კოპალა, ხახმატი.

10 აგვისტო

ჩვენი ექსპედიციის წევრები წავიდნენ სოფ. ფარსმაში: ვერა ბარდაველიძე, გივი ჯავახისვილი, მადონა ხაზარაძე, ნელი ბრეგვაძე, დალი გიორგაძე, ლია თოდუა, თამილა ცაგარეიშვილი, გოგი ზამთარაძე, მათიკო კაკაბაძე, ლოვა საფრაზიანი, ნოდარი ჭადაშვილი, რომანი ცუხიშვილი, რუსუდანი გაჩეჩილაძე, ჟუჟუნა ერიაშვილი, პლუს ორი გამყოლი. სულ 16 კაცი. სულ ორი ცხენი ყავთ. ერთი, ვერასათვის, მეორე საბარგოდ.

ცხენების უშოვნელობის გამო მე ვეღარ წავედი.

გავედი სოფელში. ვარ იქ, სადაც გზა მიმავალი ფარსმაში შემოუყვება მაღალ ქიმს. ამ ქიმზე ოთხი კოშკი დგას. ერთი

ექსპედიციის შესვენება.

წელისაკენ, უთუოდ სათვალთვალოა. სამი ერთ გალავანში უნდა ყოფილიყო მოქცეული, გალავნის ნანგრევები მოჩანს. აქედან ხომ არ შეერქვა ამ მიკრორაიონს სამცხე?

ვფიქრობ, უნდა დამუშავდეს თემა „ლიმიტროპული ზოლის მოსახლეობის ყოფითი კულტურის“ შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში. ბოლოს და ბოლოს სასაზღვრო ზოლს თანამედროვეობაში თუ არა, წარსულში ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორ მიკვირს, რატომ არ აქცევენ შესაბამის ყურადღებას: ირღვევა საზღვარი, იქცევა ქვეყანა.

ვფიქრობ, თუშების ორენოვნებაზე. წოვების საკითხის შესახებ უნდა ითქვას, რომ შეიძლება ბაცბიები, მსგავსად გააფხაზებული მეგრელებისა, გაბაცებული თუშები არიან. ორენოვნება სვანეთშიც არის და სამეგრელოშიც.

საერთო ქართული ენიდან გამოყოფილი მეგრული, სვანური და ასევე თუშური კილო ითვისებს ერთ ნაწილში ბაცბურს, აფხაზურს, ჩერქეზულს.

ესენი სამხრეთელები არიან.

როდის ხდება ამ ენების შეთვისება? იგი ხდება მაშინ, როცა ცენტრალური ხელისუფლება ეცემა და ჩრდილოეთის მთა ახდენს ინკორპორაციას სამხრეთის მოისა. რა პროცესები მიდის ამ დროს ლიმიტროპული ზოლის მოსახლეობაში?

სქემა ამ პრობლემის კვლევისა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. კავკასიის ცივილიზაციის საკითხი.

2. ჩვენი დროის მეცნიერება: რუსები, ქართველები, ევროპული მემკვიდრეობა.

3. თუშეთი. ბუნება, ვერტიკალური ზონალობა.

არქეოლოგიური მონაცემები, კლასიკური ავტორები. რკინის მთა (ალისგორთან) უნდა მიექცეს ყურადღება.

წოვების პრობლემა (ივანე ჯავახიშვილი).

4. ლიმიტროპული ზოლის მოსახლეობის ემპირიული მონაპოვარი: თუშური ცხვარი, სარეველა ბალახები, სახვნელი, საცხოვრებელი, შინამრეწველობა.

5. ქრისტიანობა, კახეთი და თუშეთი, ქორეპისკოპოსები, აკლდამები.

6. სამი მთური კულტურის შეხვედრები (შედარებითი ანალიზი): შვეიცარია, თუშეთი, ტიბეტი ცივილიზაციის არეალში.

1965 წ.

Georgian Ethnography of the 20th Century.

Field Investigations. Methodology.

"Academician George Chitaya lived a long, difficult and fruitful life. His life was long because George Chitaya was born in the end of the 19th century and he lived almost to see the end of the 20th century. His life was difficult because the beginning of his scientific activities coincided with the period of Marxist methodology. Revision and breaking of old traditions as well as the process of adoption of a new world outlook were not simple and painless. It was necessary to give up traditional views and sometimes to change thinking, give it a new direction. And his career was fruitful because the school he has established and scientific production created have become widely known and he has obtained world-wide recognition."

A. Robakidze

The 20th century, or to put it more precisely, the period from 1920 till 1990, should be regarded as a stage of especial importance in the history of Georgian ethnology: in Georgia, along with other historical sciences, was formed Georgian ethnographic school with its independent method of investigation which obtained wide recognition not only in former Soviet Union, but in Europe as well.

This period can be considered "the golden age" of Georgian historical science. With Iv.Javakhishvili's blessing, G.Chitaya became the head of ethnography in Georgia. He became the first investigator who has formulated the definition of the subject of ethnography, general and Georgian (criticism of primitivism), on the basis of the evaluation of Georgian ethnographic heritage, elaborated methods of field and scientific work. He raised to a new level the views of N.Marr and Iv.Javakhishvili concerning the importance of ethnographic facts as a source study and began to substantiate this thesis from the first steps of his scientific career.

From the very beginning, the activities of Academician G.Chitaya proceeded in two directions. The first one was a substantiation and development of this discipline, its organizational and theoretical foundation, organization of field, museum and educational processes; the second one was formulation and research of scientific problems in general ethnography, ethnography of Georgia and Caucasus.

Systematic and selfless work in these two directions has promoted formation of ethnography as an independent historical discipline in Georgia and establishment of Georgian ethnographic school. Permanent associate of G.Chitaya and participant of work on the two mentioned directions was Professor V.Bardavelidze.

At first, ethnographic investigations were concentrated in the Department of Ethnography of the State Museum of Georgia, in a small group of ethnographic school (G.Chitaya, V.Bardavelidze, S.Menteshashvili, R.Kharadze, P.Jikidze, later - L.Bochorishvili, A.Robakidze).

At that time, the process of reorganization of scientific schools' activities on the basis of Marxist methodology took place in the former Soviet Union. Ethnography was undergoing the process of formation as well: its name "ethnology" itself was negated, as well as its trends; the subject and methods of work were renewed, training of specialists-ethnographers and elaboration of methodological criteria were carried out.

Of especial importance (despite certain difficulties they caused) were ethnographic discussions in 1929 and 1932 and the 1st congress of museums of the Soviet Union in 1930 where nihilistic attitude towards ethnography was expressed in form of negation of the possibility to regard it as an independent scientific discipline. At the same time, the science whose main subjects of inquiry were ethnos and investigation of its culture and way of life was undergoing terminological changes and the cause of this process was difference of opinion on the subject of ethnology.

The terms "ethnology", "anthropology" that are in use in research centers throughout the world, were not adopted by Russian scientific circles despite the fact that P.Preobrazhenski tried to introduce the term "ethnology" in 1929. Since 1929, the term "ethnography" has been introduced into the scientific nomenclature of the Soviet Union instead of the term"ethnology".

Since the end of the 20th century, an opposite process has taken place in ethnographic research centers of the former Soviet Union: the term "ethnography" has been replaced by the term "ethnology". That is why it is necessary to look at the path traversed by Georgian ethnographic school from a new standpoint and restore the ceased scientific traditions whose adherent 75 years ago was the founder of Georgian ethnographic school G.Chitaya who, under the conditions of unification, was forced to follow the scientific course accepted in the Soviet Union.

As early as 1922, when G.Chitaya was at the head of this scientific discipline in Georgia, he became the adherent of ethnology. In his first scientific work "Ethnological

notes. Svan 'sakurtskhil'", he raised the question about the essence of ethnology and differentiated it from ethnography: "During these 50 years, ethnology has advanced so much that it has transformed from the descriptive ethnography that was considered a part of geography, into an independent science for nation research". In order to develop ethnology in Georgia, G.Chitaya suggested, first of all, to carry out a thorough study of ethnographic details because "such methodological approach may be appropriate and fruitful while investigating Georgian ethnological problems", and he referred to Iv.Javakhishvili's work "Georgian paganism" as an example of ethnological investigations. As early as 1926, in his scientific work "Georgian ethnology" G.Chitaya determined aims, tasks and methods of research for this discipline. He also differentiated ethnology and ethnography from each other in essence, since he considered that the latter was a basis for the development of ethnology.

He considered collection and timely fixation of ethnographic facts to be the main task of ethnology.

Change of the name of scientific discipline did not mean for G.Chitaya change of his attitude towards the main tasks of ethnology. Viability of scientific discipline depended on flexible scientific orientation, Therefore, G.Chitaya included deeper contents into the program of the development of ethnography than the literal meaning of the term "ethnography" implied. While studying the production experience of the ethnos in its particular manifestation, he not only paid attention to the ethnographic description, but also examined it in its connection with the concrete scientific problem as a whole. G.Chitaya suggested a new task to be solved by ethnography: "not only a simple collection of facts, but also a deep analysis and generalization of these facts".

One of the main problems for G.Chitaya was the elaboration of methods of field ethnographic work. In his opinion, strict scientific fixation and analysis of field material were necessary in order to attach the significance of a historical source to this material. And this was at the time when scientific community apprehended ethnography as a science that only described facts, and considered collection of material in reality to be a simple action.

The method elaborated by G.Chitaya has expanded scientific aims, research basis, theoretical and practical area of ethnography. He managed to break away from the restricted framework of scientific discipline and this has given him recognition in the European scientific circles.

G.Chitaya's method represents separate cultural elements as a single whole taking into consideration the technique of their manufacturing, design and functions within

the framework of cultural-historical dimension and using successive historism.

The three principles of the method of Georgian ethnography: total description, historism and ethnospecificity have become the main characteristic feature of Georgian ethnographic school.

Theoretically grounded program elaborated by G.Chitaya had to be realized in practice. In 1922, the first ethnographic group was established under his leadership at the State Museum, and then the Ethnographic Section was founded at the Institute of Language and Material Culture in the 30-ies. In 1961, the Sector of Ethnography of Georgia and the Caucasus was established at the Iv.Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography of the Academy of Sciences of the Georgian Soviet Socialist Republic. In 1940, G.Chitaya established the Chair of Ethnography at the Faculty of History of Tbilisi State University, the second one in the former Soviet Union after the similar chair at Moscow State University. In 1940-1950, the ethnographic base was functioning in Khevsureti, it became a base for students' field ethnographic work.

G.Chitaya was well known as the best specialist in museum work as well. In the 30-ies, problem-thematic, regional exhibitions were organized under his leadership in Khevsureti and Svaneti which afterwards became a basis for the united model exhibition of culture and way of life of Georgian nation. The ethnographic museum was established at Tbilisi State University. And the most important outcome of G.Chitaya's museum activities became the museum in open of Georgian folk architecture and life.

G.Chitaya's first work on the collection of material based on a new method, as well as his investigations have initiated systematic study of ethnography of Georgia. Textual and subject material collected in field expeditions during the decades, has obtained now a significance of historical source.

The third volume of G.Chitaya's scientific works is dedicated to history of Georgian ethnographic school of the 20th century. Besides that, it contains the results of field expedition work.

The first chapter includes the author's scientific works dedicated to theoretical and organizational problems, methodology.

The second chapter is dedicated to the results of field expeditions carried out by G.Chitaya in different regions of Georgia.

During the decades, complex expeditions under his leadership collected a rich textual and subject material on culture and life throughout different regions of Georgia (Meskheti, Kartli, Ajara, Imereti, Khevsureti, Tusheti, Kakheti, Apkhazeti, Samegrelo, Lechkhumi, Svaneti) as well as neighboring territories.

Under G.Chitaya's leadership, Georgian ethnographers conducted research within a concrete ethnic whole, they investigated specific peculiarities of culture and mode of life of the nation with the purpose of determining signs common for culture of the whole Georgia. At the same time, a special importance was attached to the immediate fixation of materials reflecting old mode of life for the purpose of revealing rational elements which had practical importance from the standpoint of history of culture and modern interests of the nation.

G.Chitaya has a wide scope of scientific interests, he did not disregard any area of ethnographic research. That is why of great interest are his journals of field work where every region of Georgia, every village, every element of culture typical of them and social nature of these elements were examined from historical-ethnographic point of view.

Today, the ethnologists of the 21st century possess a unique field ethnographic material and brilliant scientific achievements that Georgian ethnographic school has created in the 20th century.

This heritage is a good basis for modern scientific research and will be a foundation for future achievements.

Грузинская этнография XX века
Полевые изыскания. Методология.

"Академик Георгий Читая прошел долгий, сложный и плодотворный жизненный и творческий путь. Путь этотбыл долгим потому, что Георгий Читая родился в конце XIX века и почти достиг конца XX века. Сложным - потому, что начало его научной деятельности совпало с периодом марксистской методологии. Пересмотр и ломка старых традиций и процесс принятия нового мировоззрения не были простыми и безболезненными. Необходимо было отказаться от традиционных воззрений, иногда приходилось менять мышление, придавать ему новое направление. Плодотворным же - потому, что созданная им школа и научная продукция широко прославились, а сам он получил признание международного масштаба."

А. Робакидзе

XX век, а если определить точнее, период 1920 - 1990 гг. следует признать особо важным этапом в истории грузинской этнологии: в Грузии, наряду с другими историческими науками, была создана грузинская этнографическая школа со своим независимым методом исследования, получившая широкое признание не только в бывшем Советском Союзе, но и в европейском масштабе.

Этот период можно считать золотым веком грузинской исторической науки. Г.Читая с благославения Ив.Джавахишвили суждено было возглавить этнографическую науку в Грузии. Он стал первым исследователем, который на основе оценки грузинского этнографического наследия сформулировал определение предмета этнографии, как общей, так и грузинской (критика примитивизма), разработал методы полевой и научной работы. Он возвел на новую высоту воззрения Н.Марра и Ив.Джавахишвили об источниковедческом значении этнографических фактов и с первых шагов своей научной карьеры начал обосновывать этот тезис.

Деятельность академика Г.Читая с самого же начала шла по двум направлениям. Первое - обоснование и развитие отрасли, ее организационных и теоретических основ, организация музейных, полевых и учебных процессов; второе - выдвижение и исследование научных проблем по общей этнографии, по этнографии Грузии и Кавказа.

Систематическая и самоотверженная работа по этим двум направлениям обусловила формирование в Грузии этнографии как независимой исторической дисциплины и создание грузинской этнографической школы. Соратником Г.Читая и участником работы по этим двум направлениям всегда была профессор В. Бардавелидзе.

Поначалу этнографические исследования были сконцентрированы в этнографическом отделе Государственного музея Грузии, в малочисленном коллективе этнографической школы (Г.Читая, В.Бардавелидзе, С.Ментешашвили, Р.Харадзе, П.Джикидзе, позднее - Л.Бочоришвили, А.Робакидзе).

В те годы в бывшем Советском Союзе шел процесс перестройки работы научных школ на основе марксистской методологии. Этнография также претерпевала процесс формирования: отрицание самого названия - "этнология" и ее направлений, обновление предмета и метода работы, подготовка специалистов-этнографов, выработка методологических критериев и т.д.

Особое значение, хотя и создавая определенные сложности, имели этнографические дискуссии 1929 и 1932 годов и I съезд музеев Советского Союза 1930 года, где проявилось нигилистическое отношение к этнографии, выразившееся в отрицании возможности признать ее независимой научной дисциплиной. В то же время наука, для которой основным объектом изучения являются этнос, исследование его культуры и быта, претерпевала терминологические изменения, а причиной этого процесса были разногласия по поводу объекта и предмета этнологии.

Термины "этнология", "антропология", находящиеся в обращении в мировых научных центрах, не были приняты российскими научными кругами, несмотря на то, что в 1929 г. П.Преображенский попытался ввести в обращение термин "этнология". Начиная с 1930 г., в научную номенклатуру Советского Союза вместо слова "этнология" был внедрен термин "этнография".

В связи с тем, что с конца XX века в этнографических научных центрах бывшего Советского Союза идет обратный процесс - слово "этнография" заменяется словом "этнология", - необходимо по-новому взглянуть на путь, пройденный грузинской этнографической школой и восстановить те прерванные научные традиции, сторонником которых 75 лет назад стал основоположник грузинской этнографической школы Г.Читая, который в условиях унификации был вынужден следовать научному курсу, принятому в Советском Союзе.

Уже с 1922 г., когда Г.Читая возглавил эту научную дисциплину, он стал сторонником этнологии. В своем первом научном труде

"Этнологические заметки. Сванский "сакурцхил"" он ставил вопрос о сущности этнологии и отделял ее от этнографии: "На протяжении этих 50 лет этнология так выдвинулась, что из описательной этнографии, которая считалась частью географии, стала независимой наукой по изучению народов." Для развития этнологии в Грузии Г.Читая считал необходимым, в первую очередь, исчерпывающее изучение этнографических деталей, поскольку "такой методологичекий подход может быть подходящим и плодотворным во время исследования грузинских этнологических вопросов", и примером этнологического исследования называл труд Ив.Джавахишвили "Грузинское язычество". Уже в 1926 году в труде "Грузинская этнология" Г.Читая определяет цели, задачи и методы исследования этой дисциплины. Тогда же он принципиально отделяет друг от друга этнологию и этнографию, считая, что последняя является основой для развития этнологии.

Основной задачей этнологии он считает сбор и своевременную фиксацию этнографических фактов.

Изменение названия научной дисциплины для Г.Читая не означало изменения своего отношения к основным задачам этнологии. Жизнеспособность научной дисциплины зависела от гибкой научной ориентации. Поэтому в программу развития этнографии Г.Читая вложил более глубокое содержание, чем дословное значение термина "этнография". При изучении производственного опыта этноса в конкретном проявлении он не только уделял внимание этнографическому описанию, но и рассматривал его в связи с конкретной научно-исследовательской проблемой в целом. Г.Читая поставил перед этнографией новую задачу: "не только простой сбор фактов, но и их глубокий анализ и обобщение".

Одной из главных проблем для Г.Читая была разработка метода полевой этнографической работы. По его мнению, необходимы были строго научное фиксирование и анализ полевого материала, чтобы он получил значение исторического первоисточника. И это в то время, когда научная общественность воспринимала этнографию только как науку, описывающую факты, а сбор материалов в живой действительности - несложным делом.

Разработанный Г.Читая метод расширил научные цели, исследовательскую базу, теоретико-практический ареал этнографии. Он смог выйти за узкие рамки научной дисциплины, что и принесло ему признание в европейских научных кругах.

Метод Г.Читая представляет отдельные культурные элементы как единое целое, принимая во внимание технику их изготовления,

конструкцию и функции в рамках культурно-исторического измерения, используя последовательный историзм.

Три принципа метода грузинской этнографии: тотальная дескрипция, историзм и этноспецифика стали основным признаком грузинской этнографической школы.

Теоретически обоснованную программу Г.Читая надо было осуществить на практике. В 1922 году под его руководством была создана первая этнографическая ячейка в Государственном музее, в 30-х годах в Институте языка и материальной культуры была образована этнографическая секция. В 1961 г. в Институте истории, археологии и этнографии АН ГССР им. Ив.Джавахишвили был создан сектор этнографии Грузии и Кавказа. В 1940 г. Г.Читая основывает на историческом факультуте Тбилисского государственного университета этнографическую кафедру, вторую в бывшем Советском Союзе после соответствующей кафедры Московского государственного университета. В 1940-50 гг. в Хевсуретии функционировал этнографический стационар, который стал базой для полевой этнографической работы студентов.

Г.Читая был известен и как лучший специалист музейного дела. В 30-х годах под его руководством были устроены проблемно-тематические, региональные выставки по Хевсуретии и Сванетии, которые впоследствии стали основой единой образцовой выставки культуры и быта грузинского народа. В ТГУ был создан этнографический кабинет-музей. А венцом музейной деятельности Г.Читая стал музей народного зодчества и быта под открытым небом.

Первые работы Г.Читая по сбору материалов, основанные на новом методе, и его исследования положили начало планомерному изучению этнографии Грузии. Предметный и текстуальный материал, накопленный во время полевых экспедиционных работ на протяжении десятков лет, сегодня приобретает значение исторического первоисточника.

Третий том трудов Г.Читая посвящен истории грузинской этнографической школы XX века. Помимо этого, он содержит результаты полевых экспедиционных работ.

В первую главу книги вошли труды автора, посвященные теоретическим и организационным вопросам, методологии.

Вторая глава посвящается результатам полевых экспедиционных работ, проведенных Г.Читая в разных уголках Грузии.

На протяжении десятков лет комплексные экспедиции под его руководством накопили богатый текстуальный и предметный материал

культуры и быта как по разным уголкам Грузии (Месхетия, Картли, Аджария, Имеретия, Хевсуретия, Тушетия, Кахетия, Абхазия, Мингрелия, Лечхуми, Сванетия), так и по соседним краям.

Грузинские этнографы под руководством Г.Читая проводили научную работу внутри конкретного этнического целого, они исследовали специфические особенности культуры и быта изучаемого народа с целью установления признаков общегрузинской культуры. В то же время особое значение придавалось незамедлительной фиксации материалов, отражающих старый быт, с целью выявления рациональных элементов, которые имели практическое значение с точки зрения истории культуры и современных интересов народа.

Г.Читая обладал широким диапазоном научных интересов, он не оставлял без внимания ни одну область этнографического исследования. Поэтому большой интерес представляют его дневники полевых работ, где комплексно, в историко-этнографическом разрезе рассматривается каждый край Грузии, каждая деревня, каждый элемент культуры, характерный для них, типология и социальная природа этих элементов.

Сегодня в распоряжении этнологов XXI века имеется уникальный полевой этнографический материал и те блестящие научные достижения, которые создала грузинская этнографическая школа XX века.

Это наследие служит базой для современных научных исследований и может стать хорошей основой для будущих достижений.

ბიბლიოგრაფიული ცნობა

1. ქართული ეთნოლოგია (1917–1926), მიმომხილველი (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), ტ. I, ტფ., 1926
2. ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღმულადის რაიონში, სმმ, ტ. IV, ტფ. 1928
3. საქართველოს მუზეუმი (ახალი შენობის დამთავრების გამო), დროშა, ტფ. 1929, №3
4. შუა იმერეთის ექსპედიცია (ბაღდათის რაიონი), ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, ტფ. 1937
5. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხების შესახებ მოწვეულ პლენუმზე მივლინების მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. IV\2, 1939
6. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939
7. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, თბ., 1941
8. ლეჩხუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, სსმ მოამბე, ტ. XII–B, თბ., 1941
9. პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, თბ., 1941
10. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1948 წლისა (ანგარიში), მიმომხილველი, ტ.I, 1949
11. საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა, სსმმ ტ. IX–B, 1956 (რუსულ ენაზე)
12. ქართული ეთნოგრაფიული ატლასი (მიზანი, პრინციპები, მეთოდები), საქართველოს მაცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბ., I, 1960
13. მასალები ქართული ეთნოგრაფიული ატლასის სამეცნიერო სესიისათვის, მიწათმოქმედება, პროგრამა–კითხვარი, თბ., 1960
14. ხალხური არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი, ძეგლის მეგობარი, I, 1964
15. ჟველკოლხური კულტურის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის შესახებ, 1964 (რუსულ ენაზე)
16. ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი დია ცის ქვეშ, ძეგლის მეგობარი, 7, 1966
17. ძელქვა, ძეგლის მეგობარი, 7, 1966
18. ლაზური ორნამენტი, ძეგლის მეგობარი, 12, 1967
19. საქართველოს ეთნოგრაფია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, კრ. საისტორიო წერილები, ნაკვ. I, თბ. 1968
20. გელაზი, ძეგლის მეგობარი, 20, 1970
21. დია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, ძეგლის მეგობარი, 25, 1971
22. კოლხური ცხვარი, გაზ. საფლის ცხოვრება, 9 ოქტ., 1974
23. ხემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მესხეთის ექსკურსიის დღიური - 1924
2. მოკლე ანგარიში ეთნოლოგიური ექსკურსიის შესახებ მესხეთში 19243.
3. ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად 1924
4. ზოგადი მოხსენება კახეთში მოგზაურობის შესახებ –1925
5. ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული თავისებურება (მათი გაქრობის გამო) 1925
6. 1926 წ. აღბულაღ-წალკის ექსპედიციის დღიური
7. რუსეთის ეთნოლოგია და ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრკ მუზეუმებში 1928.
8. 1929 წ. ხევსურეთის ექსპედიცია
9. ქორედი სახლი ხევსურეთში (საანგარიშო) 1929
10. 1933 წ. აჭარისტანის ექსპედიციის დღიური
11. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საანგარიშო-სანეენებელი გამოფენა, 1934
12. 1935 წლის ანგარიში, კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექციის მუშაობის შესახებ.
13. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორი წევრის ანგარიში, 1940
14. 1947 წ. ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური
15. ლუდის დამზადების ხალხური წესები (მასალები), 1948
16. ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის გამოფენა, 1955
17. საველე ეთნოგრაფიული მუშაობის პრინციპები და მეთოდი, 1956
18. 1958 წ. კოლხეთის ეთნოგრაფიული კომპლექსური ექსპედიცია
19. ღია ცის ქვეშ მუზეუმი თბილისში, 1960
20. კოლხეთის მესამე ეთნოგრაფიული ექსპედიცია
21. 1962 წ. ფშავის ექსპედიციის დღიური
22. 1963 წ. ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციის დღიური
23. 1965 წ. თუშეთის ექსპედიციის დღიური
24. კიდევ ერთხელ ღია ცის ქვეშ მუზეუმის მუშაობის შესახებ, 1965
25. კოშკების შესახებ საქართველოში, 1968
26. პალატ-სახლი სოფ. ხანდან, 1972
27. ეთნიკური სახის შენარჩუნებისათვის, 1975
28. ნიხრიხი (უთარიღო)
29. ცნობა სინგალოს შესახებ (უთარიღო)
30. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ლიმიტროპული სოფლების დასახლების საკითხისათვის (უთარიღო)
31. ლაზური სახლი (უთარიღო)

ფოტო-ილუსტრაციო მასალა

მესხეთის დღიური – ახალციხის ისტორიული მუზეუმის ფოტო-არქივი

კახეთის დღიური – ა. ძულიაშვილის საოჯახო ფოტო-არქივი

საექსპედიციო სურათები – ჯ. რუხაძის, თ. ოჩიაურის, ნ. მაისურაძის, ნ. მინდაძის საოჯახო ფოტო-არქივები

ასევე გამოყენებულია გ. ნიტაიას და საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ფოტო-არქივები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადი ტაბულების ადგილობა

1. მოტივები სოფლის ყოფიდან, მხატვარი ზ. წერეთელი
2. ურეში, მხატვარი ზ. წერეთელი
3. ეთნოგრაფიული მოტივები, მხატვარი ზ. წერეთელი
4. მეთევზეები, მხატვარი ზ. წერეთელი
5. რთველი კახეთში, მხატვარი ზ. წერეთელი
6. დახახლების ტიპი (კახეთი, სოფ. აკურა), მხატვარი ზ. წერეთელი
7. 60-იანი წლების მთხრობლები (მოგონება), მხატვარი ზ. წერეთელი
8. აჭარული ქალი, მხატვარი ზ. წერეთელი
9. იმერული ქალი, მხატვარი ზ. წერეთელი
10. საკარმიდამო, მხატვარი ზ. წერეთელი
11. გრეში, ნეკრესი, მხატვარი ზ. წერეთელი
12. ახტალა, გურჯაანის ყველაწმინდა, მხატვარი ზ. წერეთელი
13. ნალია, მხატვარი ზ. წერეთელი
14. ქართლელი ქალი, მხატვარი ზ. წერეთელი
15. ქართლის სოფელი, მხატვარი ზ. წერეთელი
16. დღეობაზე, მხატვარი ზ. წერეთელი
17. საფლავის ქვა (ქართლი), მხატვარი ზ. წერეთელი
18. საფლავის ქვები დეტალებით (ქართლი), მხატვარი ზ. წერეთელი
19. ხევსურები (არდოტი), მხატვარი ზ. წერეთელი
20. მთის სოფელი, მხატვარი ზ. წერეთელი
21. მთის სოფელი მთვარიან ღამეში, მხატვარი ზ. წერეთელი
22. ჰარმონია, მხატვარი ზ. წერეთელი

ფიერზაცზე კოლხური მოტივები:

1. ფაზისის რიტორიკული სკოლა, მხატვარი ზ. წერეთელი
2. მედეა, მხატვარი ზ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრ. - დროება
ენიმკი - ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
ევ. - ევერია
მსე - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
სმმ -საქართველოს მუზეუმის მოამბე
სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
ВМГ - Вестник музея Грузии
ЗКОИРГО - Записки Кавказского отдела императорского русского географического общества
ИГАИМК - Известия гос. акад. истории и материальной культуры
ИР - Избранные работы Н.Я. Марра
ИРАН - Известия Российской академии наук
ИИЯИМК - Известия института языка и истории материальной культуры
К - Кавказ
КХ - Кавказское хозяйство
МИЭБГКЗК - Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
СА - Советская археология
СМОМПК - Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხი (ქართლ.) – მდინარის წყლის ხელოვნური სადინარი

ანუთვა (ქართლ.) – ანუელის მოხვნა თესვის წინ

ბანდული (ფშ.) – მთაში სასიარულო დაწნულძირიანი ქალამანი

ბებრიკვალი (ქართლ.) –ხვნის დასასრულს გაყვანილი ბოლო კვალი

გირვანქა – წონის ერთეული, დაახლ. 107 გრ.

გოდორეული II გოდორეურა (ქართლ.) – რუს სათავეზე წყლის მოსაბრუნებლად მოწნული დიდი გოდორი, რომელიც ამოვსებულია რიყის ქვებით.

გუთნით წყლის მოხვნის წესი (ქართლ.–კახ.) – გვალვის საწინააღმდეგო ირაციონალური საშუალება. გ. წ. მ. დამოწმებულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც და კავკასიის ხალხებში (სომხები, დაღესტნელები).

დანადები (ხევს.) – ხატის მიერ ვალდებულების დაკისრება გარკვეული დანაშაულისათვის პიროვნებაზე, თემსე ან სოფელზე.

დარბაზი (ხევს.) – ხატის საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობა, სადაც სრულდებოდა სადღესასწაულო ღვთისმსახურება

დარკინვა (იმერ.) – რძის დაკვეთა

---

* წარმოდგენილი მასალა მთლიანად ეურდნობა წინამდებარე ტომში გამოქვეყნებულ ტექსტობრივ მასალას და ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტების ნიტაციასეულ პრინციპს. (იხ. გ. ნიტაია, შრომები, ტ. I, თბ., 1997; ტ. II, თბ., 2000) ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის დიდმა მოცულობამ მასალის მთლიანად წარმოდგენის საშუალება არ მოგვცა. [თ. ც.]

ლექსიკონში გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

აჭარ. – აჭარული	იმერ. – იმერული	ქართლ – ქართლური
გურ. – გურული	კახ. – კახური	ხევს. – ხევსურული
თუშ. – თუშური	ლაზ. – ლაზური	ჯავახ. – ჯავახური
მესხ. – მესხური	ფშ. – ფშაური	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაროშვა – მსხვილად დაფქვა

დაჭყორვა (ხევს.) – ყორის (იხ.) აგებისას, ხიპებს შორის დარჩენილი ადგილების შევსება ჭყორით (იხ.)

დაჯენჯვა (ხევს.) – სალუდ ფორის დაფქვა ‘ისქვილზე

დედაბოძი – დარბაზული სახლის კონსტრუქციული ელემენტი. შუა ბოძი – მთავარი საყრდენი სახლის გვირგვინიანი სახურავის, რომელსაც დაკისრებული აქვს საყოფაცხოვრებო და სულიერი ფუნქციებიც.

დედაბოძის მოქარგვა – დედაბოძზე სიმბოლური სახეების: მზე, ჯვარი, ხელი და ა.შ. გამოხატვა ამოთოროპილი დანიშნულებით.

ერთობის სახლი (ქართლ.) II დარბაზული სახლი

თაფორით აგება (ხევს.) – ყორეს აგება ლაფით.

თაღარი (ქართლ.) – დიდი ბრტყელძირიანი ქვევრი, ახლადდაწურული ყურძნის მოსათავსებლად.

თესლიმპირავი II გამთესლიპირავი (ქართლ.) – მთესველის მშველელი. წინ, კვალზე მიუძღვება მთესველს, ზურგზე პარკი კკიდია თესლით სავსე.

თუში – მეკვნახეობასთან დაკავშირებული სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, ჭურებისა და ქვევრების გადასაზიდავად მოწყობილი

კალო (ხევს.) – ხელოვნურად მოსწორებული, დატკეპნილი, მთის დაფერდებისმსგავსებზე ყორით შემაგრებული მოედანი

კულა (ხევს.) – ყორეს ბოძი

ლეკეზი (ქართლ.) – მაგარი. ლეკეზი მიწა

ლიბუ (ხევს.) – საძირკველი. საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით. ბალავარი II თამალი II ლიბუ. ლ. იჭრება მუხლის სიმაღლის. ოსტატი წინასწარ ასწორებს კარის ადგილს, ანაწილებს სამეოფოს და საძროხეს ფართს

მამითადი (ქართლ.) – მკაში მიშველება

მეოდანი (ხევს.) – სახლის ასაშენებელი ადგილი

მერუეე (ქართლ.) – პირი, რომელსაც რეს მოვლა-პატრონობა (ვალკე სამეურნეოდავალებად აქვს მიცემული

მეძნეური (ქართლ.) – ძნის დამდგმელი. ორ მომკელს ერთი მეძნეური უნდა მისდევდეს

მიწის გასუქება II გაჭალავება (აჭ.) – მიწის გაპატივება წელის გამოყენებით.

მიწის გაჯერიება (გურ.) – დედამიწისათვის ზვარაკის მიტანის ნვეულება, სადაც იგი წარმოდგენილია, როგორც ადამიანის ნაოყოფის გამომღები ღვთაება, რომელსაც სანაცვლოდ შესაფერისი შესაწირავი უნდა მიერთვას მონაცვლეობითი ხვნა (ქართლ.) – მიწის მოხვნის წესი. მ. მონაცვლეობით იხვნება: ერთ წელს ნაზურგზე (იხ.), მეორე წელს ნაღარზე (იხ.) და პირიქით.

მონეხვწელა – მთის პირობებში მიწის გაპატივების მარტივი წესი. პატივის დასაგროვებლად ზაფხულობით ხაქონელს აყენებენ მოდღობილ ბაკებში. მ. გამოყენებული იყო აჭარაშიც.

ნაზურგზე ხვნა (ქართლ.) – მიწის მოხვნის წესი. ნ. ხ. სწორხაზოვნად ზედიზედ მიყოლებული ხვნაა

ნაღარით ხვნა (ქართლ.) – მიწის მოხვნის წესი. ნ. ხ. ყანის გვერდებიდან ოთხკუთხად შემოყოლებული ხვნაა

ნუში (ლაზ.) II ნიში – კოლხური ნავის სახეობა. მოჭრილ ხის ტანს შიგნიდან ამოთხრიდნენ, ამოწშენდნენ და ასე იყენებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვეშაოდ
ოლე (ქართლ.) – სახნავში პატარ–პატარად მოყოლებულ ჯაგებს ეძახიან.
ოჯაკი (მესხ.) – ბუხარი
რუ (ქართლ.) – მდინარიდან ხელოვნურად გადმოყვანილი წყალი, წისქვილისა და მორწყვისათვის ერთად ან ცალ-ცალკე საჭიროებისათვის.
რუსხმული (ქართლ.) – წყლის სადენი მიწისსაზედა შემადლებული მოწყობილობა. რ. ეწყობოდა წისქვილებისათვის
ხაბელი (ხევს.) – ცაცხვის ხის კანიდან დაგრეხილი თოკი
ხაბერო (ხევს.) - ხევსიბერის სადგომი ხატის ტერიტორიაზე
ხათალაკი მიმი (ქართლ.) – აკვანზე დასაკიდი ამულეტი (აგატი), ავი თვალის საწინააღმდეგოდ.
ხაკოდე (ფშ. ხევს.) – ხატის სახოგადოებრივ-საკულტო ნაგებობა, სადაც ხის კოდებით ინახებოდა ლუდი
ხალალაკი (ხევს.) – ყანის ფართობის სახომი ერთეული
ხანიჭარი (მესხ.-ჯავახ.) – საქორწილო სანუქარი, ნეფე-დედოფლისათვის მისართმევი.
ხასახლე (ქართლ.) – სახლის ახაშენებელი ადგილი
ხასუფეველი (ფშ.) – საკურთხეველი
ხაფქაკი (ხევს.) – ადამიანის საკვები დანიშნულებისათვის ხორბლეულის გამოყენება. ხ. ორ ჯგუფად იყოფა: სათესლე (თესლად გამოყენებული) და საჯერო II საწისქვილო (საკვებად გამოყენებული)
ხაფქვილე (ქართლ.) – ფქვილის შესანახი კიდობანი
ხაქვე (მესხ.) – ძველებური დიდი ტახტი
ხაკუე – სახურავზე გადებული სწორი ხე, რომელ'ზედაც ეწყობა კავები.
ხანმა (ლაზ.) – ხელით სასროლი ბადე
ხაცხვირე (ქართ.) – ხარის პირის მოსაკრავი
ხაწისქვილო (ქართლ.) – ხარწყავი წყლის სახომი ერთეული. ხ. იყოფოდა მცირე ნაწილებად – ნაკადულებად (ის.). ოთხი ნაკადული შეადგენდა I საწისქვილოს.
ხვე – გადაჭრილი ყანა
ტაბაკი – ხის, პირგადაშლილი ჭურჭელი, რომელსაც ხორბლის საწშენდად ხმარობენ.
ფედი გუთან (ქართლ.) – გუთანი, გავრცელებული ხომხურ მოსახლეობაში
ფელუკა (ლაზ.) – ხმელთაშუა და შავ ზღვებში გავრცელებული ხახლვაო აფრებიანი ხომალდი.
ფრთაქცეული – ძნის დადგმისას თავთავის გარედან მოქცევა.
ქაზდარი (ხევს.) – იატაკი
ქალქვა (ქართლ.) – ქვის თაღანისცემის ნეკეულება, დაკავშირებული გვალვის შემთხვევაში – გაავდრებასთან, ავდრის – გამოდარებასთან.
ქარჩი (ხევს.) – ახოს გასატეხი იარაღი
ქორ–ბედელა (თუშ.) – სარიტუალო ფერხული
ქორეული სახლი II კალოიანი სახლი (ხევს.) – სამართულიანი ნაგებობა, შეფარდებული ხევსურეთის ალპურ მეურნეობასთან და ერთ სახურავს ქვეშ ემსახურება როგორც ადამიანის, ისე საქონლის საცხოვრებელ და საკვები მარაგის შენახვის ფუნქციას.
ქუნულა (ქართლ.) – ძნის ბულული
ყაზმა (მესხ.) – წერაქვი
ყარა–ქოთან – გუთანი, გავრცელებული ბერძნულ-თურქულ მოსახლეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორე (ხევს.) – ქვის, მშრალად ნაგები კედელი

ყორეს დაკერვა (ხევს.) – ყორეს აშენება ეი. ქვების დალაგება უკიროდ და უტალახოდ. დასტურდება ჭ. აგების ორი ხერხი: ჭყერვით აგება (იხ.) და თაფორით აგება (იხ.)

ჩიხრიხი – საბლისათვის (იხ.) თხის ბალნის ან ცხენის ძუის დასართავი ხელსაწყო. ჩ. ნაწილებია: უღელი, გირკალი, ტარი, თბეები, ჩხირი. ჩ. მზადდება არეის ხისგან.

ცალ'ხე თვლა (ქართლ.) – მოდგამში მონაწილეთა შრომა–დღის გამოანგარიშება

წაწლობა II სწორფრობა (ფშ.-ხევს.) – ქალ–ვაჟის მეგობრობის ფორმა აღმ. საქართველოს მთიანეთში.

წყლის მიგდება (ქართლ.-კახ.) – წყლის სარწყავად მიშვება

ჭიდილა (ქართლ.) – ჭიდაობა

ჭინო (ლაზ.) – თევზის საჭერი ჯოხი

ჭყერვით აგება (ხევს.) – ყორეს აგება ქვით

ჭყორი (ხევს.) – წვრილი ქვა

ხანულობა II რძის ხესხება II რძით შეამხანაგება (ქართლ.) – მესაქონლეობაში გავრცელებული შრომის გაერთიანების ფორმა. ხ. დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: მესხეთ-ჯავახეთში, გარე კახეთში, აჭარაში.

ხარდაშვება (ქართლ.) – ხვნის გათავება

ხელეური (ქართლ.) – ნამკალის ერთეული

ხოჭიჭი – აკვანი

ჯინი (ქართლ.-კახეთ. ხევს. თუშ.) – დაწნული გოდორი, პატივის გასატანად ხმარობენ.

აბღესი 366
ამბა'ხი 76
აგვართა 485
ადგილის დედა 552
ადეში 324
ათენგენობა 322, 556
აკაკის ხე 281
აკვანი 281,282
ალიკარტი (მაღლივი ვაზი) 374
ალახი 408
ალაო 335, 340
ალი 223
ალო 94
ალუდი 337
ალღუმი 583, 584, 585
ამაღლება 322
ამირანის ლეგენდა 29, 30
ანატორი 582
ანატორის აკლდამები 591
ანეული 395
ანეულის ხვნა 424, 445
ანთროპოლოგია 6, 35
აპეური 298
არნადი 423, 428
არონა 214, 222, 406
არქეოლოგია 74
ასადასული (მაღლივი ვაზი) 374
ასასა 376
ასლი 533
ასა არი 333
ასა უო 339
აფიონი 87
აფრიანი სახლი 516, 520, 372, 379
აღვსება 322
აწანა 87, 92, 285, 301, 430, 484, 568
აწანა ურემი 103, 104
აწ' ურული ტანსაცმელი 221
აჭარული კოსტუმი 221
აჭარული ჯილღა 357
აჭეები 383
ახალთესლი 395
ახალნატეხი 395
ახორი 372
ახოს გატეხვა 92, 448, 458
აჯილაკი 196
აჯილღა 296, 301, 304

ბაგანე ‖ ლუდი 340
ბაითელმა 219
ბაკი 213, 219
ბალავარი 214
ბანი 325
ბანიანი სახლი 220, 404, 516, 520
ბარამბული 372, 379
ბარისკარული ყანა 588
ბარის კულტურის ნიშნები 457
ბარული გუთანი 395
ბარული მეხაქონლეობა 374
ბებერა 285
ბებრიკვალი 425
ბედის ვარსკვლავი 223
ბედნიერის ლოცვა 271, 282
ბელღარა 387
ბერიკაობა 164, 429
ბელელი 325
ბოდავის ხატი 562
ბოლოთრია 87, 103, 104, 471
ბორკილი 359
ბორბალი 387
ბოსელი 213, 379
ბრინჯი 509
ბროლა /სიმინდის ჯიში/ 357
ბუდაური 395, 414
ბუჭოლა წისქვილი 322, 405, 457, 554
ბუხარი 104, 105, 515
ბუჯირი 376
ბღუარი 105

გაბლიანისეული კოშკი 155
გათერძვა 222
გათრეული 94, 425
გამთესლი მპირავი 432
გამირი 389
განადირება 280
გაოშვა 222
გარეთა ეზო 328
გარსაგები 387
გასხვლა 110
გახარვა 222
გელიაზი 150, 151, 152, 467
გელურლი მიწა 357
გვარი 508
გვიმი 389
გვიმიანი წისქვილი 387
გიორგობა 322
გიშერი 102

გლეხური დარბაზი 27
გორძლოხიზეკი 367
გრეხილი 101
გრძელი მხარი 564
გრძელმხრიანი ანანა 463
გუგული 387
გუდანის ხატი 409, 556, 557
გუთანი 222, 296, 298, 300, 308, 324, 424, 425,
434, 435, 439, 448, 449, 460, 465
გუთნეული 81, 93
გუთნის დედა 406, 424, 431, 434, 435, 439, 440,
447, 461, 474

დათგაფიცვა 280
დაკვნა 546
დაკოლვა 92
დაკრძალვა 280
დალი (ტ ის, ნადირის, მონადირეების მფარველი) 45
დანადები 537
დანმშერი 375
დარანი 413
დარბაზი 19, 103, 104, 178, 195, 213, 214, 219, 519
დარიფანი 577
დარკინვა 374
დასახლების ტიპი 481, 550
დასტური 561
დფარცხვა 426
დაძახილი 395, 447
დაჭ ერვა 327
დგნალი 429
დედაბოძი 498
დედაშიწა 413, 414, 415
დევ-კერპები 404
დიდი გუთანი 81, 87, 108, 290, 462
დიკა 75, 76, 93, 395, 467, 564
დობილნი 555, 556
დოლაბი 81, 94, 433, 457, 570
დოლი 93
დოლის პური 75, 81, 441, 468, 564, 570

ეზო 325, 333
ეთნოგრაფია 5, 6, 7, 8, 9, 32, 33, 35, 44, 48, 51, 53, 74
ეთნოგრაფიის სექცია 9, 44, 45, 46
ეთნოგრაფიული აღწერილობა 21, 26, 28
ეთნოგრაფიული განოფილება 42
ეთნოგრაფიული დისკუსიები 5
ეთნოგრაფიული თავისებურება 13, 14, 15
ეთნოგრაფიული კომპლექსები 86
ეთნოგრაფიული მასალა 15, 16, 19, 22, 23, 24, 36, 56, 58, 90, 91
ეთნოგრაფიული მოვლენები 80
ეთნოგრაფიული ობიექტი 37
ეთნოგრაფიული სინამდვილე 22, 34, 57
ეთნოგრაფიული ფაქტები 13, 21, 22, 23, 32, 36, 82
ეთნოგრაფიული წელი 82
ეთნოგრაფიული წერილმანი 17
ეთნოლოგია 5, 6, 7, 13, 21, 22, 23, 26, 27, 34
ეთნოლოგიური მუზეუმი 37
ეთნოლოგიური კათედრა 7, 24
ეთნოლოგიური ფაკულტეტი 34, 46
ეთნოგენეზი 53, 57, 62
ენკენობა 322
ენძელაძის შავი (ვაზი) 373
ერდო 203, 220, 413
ერთობის სახლი 474, 475
ერქვანი 292, 296, 302, 303, 304, 306, 307
ეტი 457

ვაზის კულტურა 416
ვარადამ 258
ვარცლი 94
ველის გოგორა 298
ვერტიკალური ზონალობა 86

ზანდური 80, 93, 532
ზარაგუსტრა 27
ზეგნური მესაქონლეობა 374
ზენახარი 45
ზექათი 362
ზვინი | ბულული 552
ზღავი 288
ზღურბლი 324

თაგაკრული სახლი 327, 333
თავთუღელი 422, 465
თავთუხი 81, 93, 373
თავი ჯალაფი 474

თავმობმული 428
თავტბიკი 422
თარავი 61
თაფორი 327
თაღარი 109, 388, 413
თაში 163, 174
თესვის წესები 94
თესლიმპირავი 425
თეხპა 368
თვალისა 283
თიბის შაშაბათი 586
თიხის ჭრაქი 15
თოლისა (შელოცვა) 286
თორნე 75, 80, 81, 94, 102, 113, 258, 457, 470, 570
თორნის ხახვები 94
თურში 104, 484
თხილამური 103
თხორე 174

იალას მეურნეობა 356
იაფეტური თეორია 30
იახსრის ხატი 536, 538, 556
იმერული პური 373
იმერული ცული 373
იმერული ცხვარი 484
იმირი გუთანი 290
ირეში 80, 534
ირმის ნახტომი 81, 93, 571
ისტორიულ–კულტურული
მეთოდი 22
ახინჭი 405

კაბდო 440
კავი 387, 408, 487
კავკასიური განყოფილება 38
კავკასიური გასაღები 17
კავწერა 107
კათხის ხახვი 379
კალანდობა 14
კალო 94, 262, 325, 331, 333, 394, 395, 421, 427, 432
კაპარჭი 99
კაპუნობა 14
კაპნიანი (მარილიანი) მიწა 357
კაკაბი 298
კაკალა 375
კასალქვა 388
კარავი 372
კარაპანი 213, 219
კარისტენი 384
კაწარი 458
კევრი 108, 422, 428, 432, 457, 570
კეზი 327, 328, 333
კეკო 388
კერა 94, 334, 413
კერამიკა 102, 112, 113
კერამიკული ჭურჭელი 112, 113, 398
კეტები 334
კვათე 99
კვალის გოგორა 298
კვანდრიკები 375
კვირვა 45, 555
კირკალი 430
კირწმაგარი (ვაზი) 373
კუვადა 92
კულა 327, 333, 373
კულუხი 352, 405, 486, 541
კუნჭულიანი ხახვი 372, 379, 520
კოლხეთი 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 532, 534
კოლხური ცხვარი 490, 491, 492
კოლხური ფუტკარი 484
კოლხური სელი 490
კომპლექსურ–ინტენსიური
მეთოდი 59, 81, 83
კოჭა მარხილი 375
კოლო ცული 395
კოკოში 220
კოპალა 404, 556
კოშკური ხახვი 331
კოშკიანი წისქვილი 146

ლაზარობა 309
ლაზური ხახვი 12, 213, 219, 220, 495, 502,
511, 513, 514
ლაზური სანდლები 164
ლაზური ნუქურთმა 495, 496, 497
ლათბა 335
ლამიანი ნიადაგი 91
ლამპრობა (სვ.) 164
ლამტეარალი 99
ლარსა 501
ლატფა 334
ლაშქარნი 555, 556, 567
ლაშარის ჯვარი 589
ლაშარის კულტი 408

ლახტაობა 429
ლემაქანია 387
ლიბუ 326, 405
ლურსიანი 379, 516, 520
ლიტრა 234, 236
ლიქოკის ხატი 556
ლუდი 106, 334, 335, 338, 339

მამიდას ქვა 285
მამითადი 432
მანათიანი (ვაზი) 373
მანქანათ ვალი 323
მანჭუა 297, 298
მარიეშლობა 376
მარნიელობა 395
მარიამობა 182, 186, 322
მარხილი 87, 104, 408, 471
მარატა ქვები 322
მატერიალური კულტურა 66
მაღალი ურმები 375
მაშხალა 99
მახა 64, 80, 93
მახობელა 75, 92, 470
მებალეობა 64
მეგზური 118, 119
მეგრული ძროხა 484
მედრესი 367, 368
მევენახეობა 64
მეიდანი 325
მემინდვრეობის სისტემა 486
მემინდვრეობის შრომის პროცესები 91
მერუეთა ინსტიტუტი 92
მეთუნეობა 113
მუთვეველი 365
მეფუტკრეობა 66
მეჩელე ‖ უბანი 392
მეხუბ 45
მეკავრეობა 375
მელოური (ვაზი) 373
მერცხლის ბუდურა 219
მესვეური 432, 447
მეძნეური 427, 436
მეჯოგეობა 481
მემინდვრეობა 481
მენა 87
მზე 555
მზე ქალის კულტი 223
მზისგული 92
მზის საათი 92
მთის გუთანი 395
მთური მესაქონლეობა 374
მიწათმოქმედება 90, 91
მიწის გაჯერება 92, 312
მიწის დამუშავების წესები 93
მიწისმოქმედება 373
მიწისმოქმედების კულტურა 458
მიწის მოხვნა 415
მიწის ნიადაგები: ტუბე, დობირა, ლაკადა 91
მიწის ფიცილი 311
მიწური სახლი 219, 331, 394
მკა 426, 436, 441, 447
მკელის ტანსაცმელი 114
მოდგამი 76, 223, 459, 463, 570
მონა 242
მონადირის ენა 109
მონდავი 76, 422
მოკოხვა 422
მორწყვა 92, 427
მორწყვის სისტემა 458
მრგვალი ფაცხა 379
მსხვილფეხა მესაქონლეობა 332
მუხრანული გუთანი 108, 462
მურეკამობა 115
მუჯირები 103
მუსკარ 45
მუსიკალური ფოლკლორი 60
მუჭეული 440
მწედ–მენედ 45
მწურე 327
მწვანარნი 555, 556

ოდა სახლი 213, 214, 219, 488
ოლე 436
ორველა 435
ოროლეი 375
ორხელა 87, 107, 430
ოქროს ვერძი 491
ოქოქა 406, 415
ოჭივარი 375
ოხნარი 442, 443
ოხორე 163
ოჯა ი 203, 214

პალატიანი სახლი 146
პირქუში 556

პურის ფორმები 94

რამაზანი 317, 361
რაჭული სახვნელი 79, 80, 107, 291, 337, 484
რიკაობა 129
რკინის კაკები 100
როკაპი 223
რუსეთის ეთნოლოგია 33
რუხხმული 458
რძით ძმობა 357

საანეულო გუთანი 76, 93, 468
საანეული თესლი 93
საახალწლო კალმახი 501
საბარო ურემი 471
საბალახეების საკლავი 475
საბელი 153
საბერწეში 577
საბძელი 213, 219, 394, 420, 577
საბოსლო 552
საბუდარი 323
საგურავი 300
საღღობელი 102, 104, 391, 416
საგიდებელთა 567
საკალაით წყობა 156
საველე ეთნოგრაფიული
 მუშაობა 57, 74, 77, 78, 79, 82, 125, 453, 454, 455, 477
საზეპელი 395, 427
საზედაშე 391
სათარი 408
სათვალთვალო კოშკი 155
სათვალავი მძიმი 281
საოოფურიანი სახლი 147, 372, 379
საოხელები 433
საკარგემი 62
საკვეთელი 407
საკურცხილი 29
საკვარე 99
საკუჭნაო 213, 219
საკოდე 219
საკორაქე 422
საღლონი 81
საღლედე 590
საღლედე ქვაბი 334
საღქვა 359
საშანი 436
საშარხილე 578

საშფოხი 109
საშეურნეო ნაგებობანი 90
საშიწათმოქმედო ყოფა 64
საშკვარე 203
საშკალი ტანსაცმელი 94
საშკალი იარაღი 94
საშრეველო 570
საშწირველო 558, 568
საშხირავი 408
საშჭედლო 325
საანათლავი კოშკი 352
საანერწყალი 405
საანაკმაზე 427, 471
საანიავებელი ნიწაბი 64, 94
საონავრო მიწები 583
საორხლე სახნისი 100, 106
საპალნე 236
საპურე სახლი 394
საპურშაო 370
საანწვნიან-საპერდიანი კოშკი 154
საოგანა 511
საოეკელა 339, 387
საოევი 334, 337
საოული 221
საოძე 219
საოუე 323
საოაგრძლე 325
საოვილეები 170
საოანთლო კოშკი 354, 359
საოიმინდე 372
საოოფლო საოიბი 587
საოვილეები 580
საურმე გზა 578
საუქმოზედ წასვლა 314
საულლე ხარები 93
საფარცხი იარაღები 94
საფურნე 213
საფლავის ქვა 179
საქათმურის თავი 323
საქართველოს სახელმწიფო
 მუზეუმი 34, 95, 96, 97, 98, 111, 120, 121, 122, 125,
 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 353, 399
საქართველოს ებრაელთა
 ისტორიულ-ეთნოგრაფიული
 მუზეუმი 135, 136, 137, 138
საქაჯავის ძირი 291
საქარეები 170

სახარავნე მთები 585
საღვარიანი წისქვილი 94
საყანე–საქერე ადგილები 553
საყანეები 420, 433, 580
საყვერის უღელი 300
საყუნწური 324
საშუბარი 374
საჩმა 512
საცორელა 387
საცრემლე 186, 215
საცხენე 333, 430
საცხოვრებელი ნაგებობანი 90
საძნე ურემი 471
საძირკველი 326
საძმო 374
საწარბე 220
საწნახელი 109
საწელე თუნგი 259
საწკეპი 300
სახვნელი იარაღი 45, 75, 79, 81, 93, 107, 222, 397, 456, 459, 466, 467, 530
სახნისი 80, 106, 107, 436
სახაროვნე 170
სახლის მეუფროსე 473
საჯამბრე 297
საჯიდა 203
საჯერო 102
სვე 432, 433
სეირანგა 360
სელი 532
სელის ქსოვილი 151, 532
სენე 325, 333
სერა 285
სეტის (წრდილის პურეული) 92
სიცოცხლის ხის მოტივი 497, 498, 499, 500
სისწვენი 334, 336
სოლანი 93, 387
სოხანი ‖ სუხანი 379
ს ლა კალმახი 29
სურა 236
სუკიანი სახლი 372
სუკიანი ‖ ლინგიანი სახლი 379
სუნეთ - დუგუნი 360
სუხანე 372

ტაბიკი 81, 298

ტარკოში 334
ტერასული მეურნეობა 64
ტერასული ნიადაგები 91
ტრანსპორტი 103, 104, 114
ტეის გაჭრა 587
ტეის ცული 92
ტეისკაცი 223
ტრამალების კორიდორი 465
ტრედისფერი პურის მარცვალი 357

უთხოვრის ჯვარი 538
ულამი 76
უმზღვარო ყანა 93
უნჯი მიწა 587
უემური 44, 223
ურემი 87, 437, 445, 457, 484
უწხოშა 364
უღელი 81, 298

ფარავი 366
ფარფლიანი ქუსლი 93
ფანცკალა 337
ფარცხი 432, 440
ფაცხა 372
ფაშა /პიროლეზიტი/ 112
ფედი გუთანი 296, 300
ფერსი 298
ფეტკი 75, 93, 373, 470, 532
ფეღლუკი 511
ფეხეწო 80
ფოიანი ცული 395
ფითრი 361
ფიწალი 41, 422, 428
ფიცრიანი სახლი 372
ფინვი 203
ფლანგა (მაღლარი ვაზი) 374
ფორი 334, 335, 338
ფრთე 298
ფრჩხილა ‖ ლაშკინი 375
ფურცხვი 387
ფშაური სახლი 331, 332
ფშაური გუთანი 304
ფშტვირი 387

ქალაბანი 372
ქაზდარი 323, 327
ქარიპანი 325, 333
ქართელა 373
ქართული ცული 326, 373

ქართული ეთნოგრაფიული ატლასი 84, 85, 89, 90
ქართული გუთანი 415
ქართული ნაჯახი 18, 214
ქაშატობა 360, 365
ქანუს ციხე 345
ქარცა 372
ქვის კოშკები 320
ქვის ხეები 485
ქვაკვლიაობა 429
ქერი 93, 80, 339, 340, 394, 395, 441
ქერ–ჭრელი 259
ქეფნა ხათუნ 363
ქერის ფხა 394
ქერ–დიკა ‖ ქერ–ჭრელი 92, 469
ქილა 236
ქიბორჯი 466
ქილუქი 372, 379
ქუბი 373
ქუბიანი 372, 379
ქუმე 51
ქურა 99
ქუჩულა 430
ქორდი სახლი 320, 325, 331, 332, 333, 405
ქორ–ბელელა 353
ქორწი 395
ქსელვა 104
ქსნური მთის გუთანი 406, 415, 465

ღომი 487
ღომელი 325, 333, 470
ღორის კულტი 389
ღვედი 445, 462
ღვედ–ჭაპანი 29
ღვთაება არმაზი 27
ღვთაებათა პანთეონი 18, 65
ღვთის'შვილნი 555, 556
ღია ცის ქვეშ მუზეუმი 10, 139 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 157, 158, 159, 160, 161, 163, 165, 166, 168, 172, 175

ყავარი 328
ყამირი 395
ყარა ქოთან 296
ყარტი 328
ყარყარა 101
ყვეროობა 376, 435
ყვერბი 325, 328
ყირმიზული 373
ყიშლის მეურნეობა 356
ყორე 326
ყორეს დაკერვა 327
ყურანი 368
ყურაღი 357, 360
ყურბან–ბაირამ 359, 361, 362

ძირეული ხე 327

წარნაქი 367
წინგარდა 333
წყილების დაყვერვა 364

ჩალვადარი 358
ჩამა 334
ჩანგი 102
ჩარათა 568
ჩაფი გოზაური 236
ჩაფრატნილი 375
ჩეკა 298
ჩილიკაობა 429
ჩიხრიხი 152, 153
ჩოტი 388
ჩოჩიალა ურემი 106, 375

შაფხა 93
შადაგით წყობა 156
შადბანი 361
შდურეოიანი კოშკი 154
შერბეთი 363
შესაყარი 374
შერეული თესლი 469
შეიტან–ნიფტი 465
შეკვერვა 434, 448
შინა 328, 333, 394
შუკუნი ‖ საკვამე 325, 333
შუაფხოს იახსრის ხატი 539
შუკუმი 413
შეთქმული 240
შნაკვი 80, 94, 532
შოლტა 298

ცაბაურთას მთავარანგელოზის ხატი 543
ცელი 41
ცივი კვერვა 101

ციხე–კოშკები 384, 385
ცისკრის ვარსკვლავი 93
ცულა–ღერძი 387
ცულის ყუობა 285
ცხავი 258, 429
ცხვედა /სიმინდის ჯიში/ 357

ძარმარხილი 357
ძელური სახლი 372, 379
ძელბალი 388
ძელქვა 105, 482, 493
ძმათ გაფიცვა 280
ძნის გაშლა 427
ძღვლამი /გარეული ვაზი/ 374

წაწლობა 280
წისქვილი 108
წყლისის ფოლადი 112
წერაქვი 92
წერწენა 387, 396
წმინდა გიორგის კულტი 562, 563
წრიაპი 103, 323
წისქვილი 438
წყლის საგდები 329
წყლის მოხვნა 285, 310

ჭალა 357
ჭაპანი 422
ჭანჭახა მიწა 357
ჭაჭარის დარბაზი 148
ჭვავი 564
ჭირნახული 177
ჭეხი ‖ ყუბი 517
ჭერხო 333
ჭოი 395
ჭყორტი მიწა 357

ხალარჯობა 322
ხალხური მეტეოროლოგიური ცოდნა 91
ხალხური სპორტი 66
ხალიბური ფოლადი 529
ხანულობა 223, 570
ხარხარადი 494, 533
ხარის კულტი 80
ხარიპარია 93
ხარიჯა მიწა 357
ხარდნის მარხილი 375
ხარდაშვების ხანი 438
ხახმატის ხატი 556
ხატის ხახნავი 475
ხევი 156, 170
ხევსურული ანანი 396
ხევსურული დროშა 340, 342, 343, 346, 347
ხევსურული სახლი 515
ხევსურული ტანსაცმელი 113
ხევსურული ხოფელი 550, 551
ხელეური 441
ხელეწო 80
ხელოსნობა 100, 102
ხენჯილი 363, 365
ხვნა 310, 436, 446, 459
ხვიმირა 387
ხის დამუშავება 104
ხოვი 421
ხორომ 361
ხოტი 336
ხოტორა ჰური 373
ხოჭიჭი 429
ხოწი 80
ხოჯა 366, 367
ხულა 372
ხულუგო 80, 93
ხუმბურა 323
ხუნდი 323

ჯამბარა 297, 298
ჯამე 188, 365, 367
ჯარგვალი 487, 520, 521
ჯვრის ნაბადი 488
ჯილღა 214, 222, 290
ჯილღის დედა 202
ჯიჯღი 440
ჯორულა 357

ჰამბარი 219

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავარები 25
ავსტრალიის ტომები 45
ალბანელები 53
არამეული 53
არგონავტები 525, 526
ასურული 53

ბერძნები 287, 294, 256, 315
ბერძნული 53
ბუშარები 88

გერმანელები 255
გუდამაყრელები 320
გუმიშხანელები 502

დალესტნელები 40, 46
დალესტნური 105

ებრაელები 181
ეგვიპტელები 53
ეტრუსკები 17

ვალნი 390

ზირკები 61

თათრები 255
თუშები 40
თობალი 88

იაფეტელები 25, 40
იბერი 88
ირანული 25

კიმერიელები 88
კოლხები 53, 88

ლაზები 104, 495, 502, 503, 505, 506, 507, 508, 510, 512, 513
ლეკები 53
ლენხუმელები 44

მთიული 284
მონღოლები 88
მოხოხი 88

ნატუხელები 25

ოსები 255, 392, 394, 417

პელასგები 17
პოლონელები 256
პონტური ტიპი 25

რომაული 53
რუსები 188, 255

სამხუნელები 502
სარმატები 53
სვანები 44, 45, 61
სკვითები 88
სომხები 40, 53, 254, 255, 256
სომხური 181, 183
სუმერები 102
სუმერული 105

ტალიშები 25
ტრაპიზონელები 502

ურალ–ალტაური 25
ურარტული 53
ურუმები 61, 496

ფხოველები 88

ჩერქეზები 25, 40, 53

ფშაველები 40

ხალიბები 103, 529
ხევსურები 40, 402, 219
ხეთური 18, 53

ქართველი ერი 14
ქართველები 254, 255
ქართველური ტომები 40, 63
ქისტური 105

ყუარელთა 403
ჭართალელნი 402

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აბასთუმნის ხეობა 211
აბაშა 479
აბიხინია 394
აგანა 210
ადილე 60
ადიგენი 213, 217, 218, 219, 221
ა'ხერბაიჯანი 60, 85
ათინის უაზი 502
აია 490
აკუშო 599
აკვანეთი 354
ანალი 18
ალავერდი 241
ალპანა 390
ალა'ხანი 92
ამაღლება 400
ამბროლაური 87
ანაკლია 485
არაგვი 92
არაგვა 210
არმა'ხი 453
არალი 213, 215
ასურეთი 247
ასტურია 487
აუაბე 548
აფხია 210
აფხა'ზეთი 59, 60, 146, 171, 484
აღბულაღი 250, 256, 292, 317, 416
აშე 149
აწყური 234, 240
ახალგორი 87, 391
ახალციხე 138, 146, 182, 187, 213, 350
ახმეტა 254
ახიელი 549

ბაგა 423, 489
ბავრა 210
ბარალეთი 210
ბახიანი 61, 87
ბაჩალი 400, 402
ბალეარეთი 60
ბარათაული 367
ბათომი 381
ბარისახო 341, 342, 349, 545
ბაკალიგო 548
ბაღდათი 320, 371, 374, 380, 388
ბაკურხევი 321
ბისო 351
ბლო 342
ბოდახვა 400
ბოდბე 237
ბოდორნა 438
ბოკნეული 324
ბერლინი 55
ბედენი 256
ბუნუკურთა 321
ბუჟლულეთი 289

გავაზი 234, 452
გვარჯილას კალე 27
გველის თავი 390
გეგეჭკორი 480
გერმანია 84
გერგეტი 178
გობი 105
გოგაშენი 210
გოკეთ 210
გორაბეჟოული 167
გრემისხევი 171, 444
გრემი 227
გუდანი 344, 557
გუდარეხი 267
გუდამაყარი 156
გუგუტანთკარი 410
გურია 46, 60

დაბანკეთი 392
დადიანეთი 340, 391, 392
დართლო 155, 178
დალეთი 257, 263
დალესტანი 60
დგნალი 430
დიდოეთი 60
დიდი კაჭია 210, 247
დიმი 371, 380
დორეულთ კარი 452
დუის სოფელი 234
დუშეთი 418

ევროპა 465
ეილა ნეგილა 356
ენისელი 227
ერწო 402
ეღო 178

ვაკე 275, 276, 277, 295, 313
ვალე 181, 188, 193
ვანი 26, 370
ვანთა 234
ვანათი 410
ვარგავი 210
ვარდციხე 371
ვართაშენი 254
ვარვანი 210
ვარძია 394
ვენა 84
ვეფიდკარი 482

ზანავი 213
ზარზმა 181, 204, 213
ზემო სვანეთი 46, 528
ზემო აში 438
ზემო ხევი 367
ზემო ხოდაშენი 230
ზესტაფონი 115

თაბორი 382
თამარ მეფის კოშკი 155
თბილისი 340, 353, 479
თიანეთი 87, 105, 350, 351, 400
თინიკაარი 452
თელავი 87, 225, 226, 232, 234
თეთრაულები 400, 402
თეთრიწყაროი 147
თოფხა 391
თორი 210
თოკი 210
თურქეთი 220
თრიალეთი 59, 60, 61, 152, 171, 172, 395, 589, 595
თუშეთი 395, 589, 595

იაპონია 482
ილორი 485, 486
ირემთკალი 542
ირანი 220
იკითი 391
იმერეთი 59, 60, 87, 146, 171, 380, 479
იმერხევი 87
ინდოეთი 220
ინწკვირეთი 367
იტალია 84
იყალთო 229

კავკასია 22, 25, 26
კაკას ხიდი 370, 378, 380
კარტიკამი 210
კარწახი 210
კახპი 453
კახარეთი 213
კახახთინას კოშკი 155
კახეთი 29, 87, 173, 224, 402
კარიაულთკარი 452
კვეტერა 400
კიბეეთი 379
კირნათი 173
კირბალი 410
კიკნაველეთი 370, 379
კისტანი 156, 566
კლდეშავი (ნაქალ.) 384
კოდა 246
კოლხეთი 146, 151, 312, 484, 485, 478, 490, 491
კოლხეთის დაბლობი 173
კორინთა 452
კორსავი 400, 402
კორტივლი 368
კულაში 138
კუს ტბა 164
კურდღელაური 210, 234

ლაბეჯინა 382, 389, 390
ლაგოდეხი 87
ლაილაში 382, 390
ლაიფციგი 55
ლაზეთი 160
ლაშისყანა 452
ლარგვისი 392, 452
ლატალი 155
ლახირი 155, 165, 178, 488
ლაჯანა 382
ლენინგრადი 39, 52
ლენტეხის ხახ.–ბა 45
ლებაისკარი 155, 565
ლელვანი 213
ლენინგორი 452
ლენხუმი 382, 390
ლიახვი 92, 395, 410
ლიხაური 175
ლიშო 400
ლომისი 182
ლომაგურჯი 210

ლონდონი 55
ლუხვანი 390

მადრანი 234
მაიაკოვსკი 379
მანგლისი 398
მარანი (ხოჯ) 166
მახიარეთი 392
მესხეთი 18, 45, 181
მესხეთ-ჯავახეთი 87
მერეთი 410, 415
მესტია 155
მეჯვრისხევი 87, 410, 416
მეჯუდის ხეობა 410
მირვეთი 173
მოსკოვი 39, 53, 54, 85
მოლახვრიანთკარი 418, 419
მთიულეთი 156, 395
მურის ციხე 390
მუხრანი 87
მუხრანის ველი 464
მურეშელი 155
მოდნისი 187
მოჭალიეთი 452
მოწმაო 343
მტკვრის აუზი 172
მცხეთა 120, 121

ნადირთციხე 155
ნამარნევი 390
ნაკურალეში 390
ნაფარეული 234
ნაფოსნოვ 145
ნიგოზა 453

ონბა 371
ოკრიბა 170
ომალო 589
ონი 87
ონტოფო 481
ორბელი 390
ორპირი 382, 390
ორცეხე 155, 215
ოფურეში 382, 390
ოძისი 447

პავლიანი 452
პამაჯი 213
პარიზი 55
პეტერბურგი 54
პოლონეთი 84
პტენა 210

ჟინვალი 87
ჟებოტა 400
ჟონეთი 384

რაბათი 213
რაჭა 45, 46, 87, 390
რიონის აუზი 484
რომი 90, 405
როკეთი 210
როშკა 559
რუხეთი 16, 41
რუისპირი 228
რუხთავი 116
რუხთავის ხევი 211
რგანი 27

საბერძნეთი 405
საგურამოს ველი 464
საგვარჯილე 377
საკორინთლო 453
სამთავისი 453
საირმე 382
საინგილო 160
სამხარი 210
სამშვილდე 260, 262
სამსუნი 154
სამხ. ოსეთი 146
სამეგრელო 60, 87, 145, 330, 482, 484, 489
სარო 193, 210
სარატოვი 52
სარფი 513
სტალინგრადი 52
სტალინირი 135
საქორეთი 391
სალარაშენი 248
სანალის ჭალა 321
საქეგური 452
საწვეთია 376
სახევი 400, 402
საკრაული 370, 371
სვანეთი 59, 60, 70, 99, 105, 484
სიმონეთი 370
სკანდა 370
სომხეთი 85

ხოფლიონი 402
სურამი 138
სურამის ციხე 180, 181
სურამის ქედი 171
სურამელას ხეობა 180, 181
სხლოვანი 400
სხვილისი 187, 213

ტამანის ნახევ. 25
ტაო-კლარჯეთი 87, 160, 171
ტარიელის ციხე 377
ტფილისი 51, 52, 210, 246, 370
ტკაბში 382, 390
ტოლოში 210
ტრაპიზონი 154
ტუშურები 400

უბისა 480
უდაბნო 382
უდე 201, 202, 216, 344
უკანამხარი 392
უკან უბანი 392
უნგრეთი 84
ურავლის ხეობა 212
უძილაურთა 539
უფლისციხე 26

ფაზისი 172
ფარსმა 338, 589
ფარცისოელი 370
ფარცხანისი 249
ფილაგეთი 507, 381
ფიტარეთი 318
ფერსი 371
ფოთი 25
ფოკა 210
ფოცხოვის ხეობა 211
ფრანგტურცხი 210
ფშავი 535, 541
ფშავის არაგვი 400
ფხიტური 321

ქართლი 87, 173, 418, 452, 455, 471, 472, 476
ქაჯეთის ციხე 384
ქვემო სვანეთ 390
ქვემო ტურსები 423
ქვემო ქალა 87
ქედის რაითინი 356
ქილდა (ხოფ.) 210
ქმოსტი 559, 560
ქოთელია 210
ქოლოთი 453, 472
ქსანი 92
ქსნის ხეობა 87, 391, 392, 394, 398, 402
ქსოვრეთი 263, 295, 314
ქსუისი 410
ქუთაისი 110, 370, 380
ქურთა 453
ქუმელაურთა 589
ქუნცა 210
ქუშხევი 400, 404

ღვირიში 390
ღორისთავი (ხოფ.) 318
ღორღლაში 400, 402
ღორჯომი (ხოფ.) 365, 366

ყაზბეგი 341
ყანობი 574, 575, 576
ყარღუბანი 213
ყანჩაეთი 452
ყვაილი 420
ყვარელი 87, 228
ყველდაბა 392
ყვირილას ხეობა 374

შავშეთი 87, 160, 171, 502
შატილი 156, 165, 321, 341, 345, 565, 574, 581, 582, 583, 585, 586, 589
შრომა 234
შუა აზია 85
შუა მთა 239, 240
შვეიცარია 84
შვეცია 168
შენაქი 589

ჩიტაანთკარი 392
ჩაუში 155
ჩუნჩა 210
ჩხარი 370
ჩხიკვთა 249, 295, 313

ცაბაურთა 542
ცაგერი 87, 382, 390
ცაიში 493
ცუცხვათი 380

ცხავატი ‖ ცხოტი 392, 395, 397, 398, 452
ცხემლისი 367
ცხენისწყალი 415

ძვრულა 370
ძველი საკრამული 433
ძირულა 479
ძირულას ხეობა 374

წალკა 59, 104, 318
წალენჯიხა 87
წინა აზია 16, 18
წედისი 99
წინანდალი 234
წითელ ხევი 370
წინუბანი 392
წირქოლი 453
წნორი 224
წ' არღთა 367

ჭანეთი 61
ჭალა 367, 486
ჭალის ხიფველი 552
ჭეშო 593
ჭილეში 382
ჭიათურა 109, 115
ჭიხარულა 210
ჭიშო 155
ჭოროხის აუზი 484
ჭრებალო 146
ჭულე 213
ჭურია 391
ჭყვიში 390

ხანი 147, 378, 379, 380, 507
ხანისწყალი 147, 371, 379
ხარბალი 391, 393
ხაგხევი 400
ხახმატი 155, 321, 351, 353, 347, 566
ხაშური 180
ხევი 172, 395
ხერთვისი 210
ხევსურეთი 59, 60, 61, 70, 87, 172, 320, 341, 342, 343, 344, 395, 409, 561, 562
ხვამლი 382, 390
ხვალისკური 370
ხი'ხაბავრა 193, 210
ხრომის წყარო 391
ხოპისი 283, 287
ხოფის უბანი 503
ხულო 353, 356, 370
ხულგუმო 210

ჯავახეთი 152, 210
ჯანჯლა 210

ჰამბურგი 55
ჰერეთი 87
ჰელო 155

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშიძე ი. 141
აბესაძე ნ. 478, 485
ალავერდაშვილი თ 544, 546
ალექსიძე ზ. 544
ალი თანთ ოღლი 513
ამილახვარი ალ. 412
ამირანაშვილი შ. 67, 138
არაბული ა. 343, 547
არქანია ა. 489
არაყიშვილი დ. 28
აფაქიძე ა. 141
ახვერდოვი თ 417
აღა–მაჰმად–ხანი 20

ბაგრატიონი თ 458
ბაგრატიონი ვ. 53, 161, 159, 295, 479
ბადრიშვილი ბ. 536, 537, 538
ბაიბაურთელი ლ. 186
ბალიაური მ. 341, 349
ბალიაური ლ. 341, 349
ბალიაური თ. 341, 547
ბალიაური ნ. 341
ბარბალიშვილი პ. 203
ბარდაველიძე ვ. 5, 50, 53, 62, 63, 70, 312, 317, 341,
347, 400, 404, 452, 475, 478, 485, 499, 504
535, 536, 537, 542, 546
ბარნოვი ვ. 30
ბასარია ხ. 32
ბაქრაძე დ. 26
ბახრუშინი 49
ბელუკიძე ლ. 479
ბერძენიშვილი დ. 170
ბერძენიშვილი ნ. 138
ბერიძე ვ. 23
ბექაია მ. 536, 537
ბოგორაზ–ტანი ვ. 83
ბოჭორიშვილი ლ. 5, 73, 319, 391
ბლაიხშტაინერი 7
ბრაილაშვილი ნ. 319, 378, 400, 410, 452, 549
ბრაუნჰარდტ 397
ბრეგაძე ნ. 73

გაბლიანი ე. 24
გაბუნია ლ. 73, 217, 232
გავრიკოვი ვლ. 225
გალენიუსი კ. 470
გამსახურდია ა. 24
გარდაფხაძე ფ. 319, 356
გეგეშიძე მ. 73, 159, 418, 432, 452, 471, 523
გვარამაძე ი. (ვინმე მესხი) 55
გოგაშვილი ლ. 544
გულისაშვილი ზ. 107, 159, 169
გულდენშტენტი 107, 462
გიუნტერი კ. 526
გოგოჭური 347
გომანი ბ. 307

დადიანი ნ. 24
დერჟავინი 40
დონდუა ვ. 25, 67, 138
დოკუნაევი ვ. 159

ერიაშვილი ე. 544
ერისთავი რ. 55
ერეკლე მეფე 353
ელიგულაშვილი ლ. 138

ვაჟა–ფშაველა 55, 403
ვახუშტი ბაგრატიონი 54, 150, 169, 170, 229, 292, 296, 309,
390, 392, 481, 492, 507
ვიდიართანი 162
ვირხოვი რ. 27
ვულლეი კ. 500

ზანდუკელი მ. 40
ზამთარაძე გ. 544, 548, 559, 566
ზარუბინი ი. 39
ზელენინი 35
ზისერმანი ა. 7
ზოლოტარიოვი 35

თათარაშვილი ე. 261, 317
თამარაშვილი მ. 300
თაყაიშვილი ე. 295, 268

იაშვილი ვ. 358
ოველაშვილი თ 12
ითონიშვილი ვ. 12, 574
ინგოროყვა პ. 24
ინოსტრანცევი კ. 21
იოანე ბატონიშვილი 54
იორდანაშვილი ხ. 138

კაკაბაძე მ. 544
კაკაბაძე ც. 479
კაკაბაძე ხ. 31
კანდელაკი მ 536, 537, 544, 559
კარტოზია გ. 12
კარსტი ი. 39, 62
კასტელი ქრ. 462
კაცაძე აკ. 432, 452
კახიძე ნ. 544
კაჭარავა ი. 141
კეკენელი ნ. 109, 159
კიკვაძე ა. 67
კუფტინი ბ. 83
კუბერნასია 159
კოვალევსკი მ. 21, 45
კოლეხმაინენი ა. 159
კორდიუკოვი ო. 159
კრიხელი ა. 138

ლაისტერი ა. 24
ლანსერე ეჟგ. 542, 547
ლამბერტი არქ. 534
ლეკიაშვილი ანდ. 73, 232, 478
ლეზერი ჰ. 465, 466
ლისიციანი სტ. 51
ლიქოკელი თ. 324
ლიხტვარკი ჰ. 43
ლინეკეი ა. 135

მაკალათია ს. 5, 24, 32, 43, 51
მაკედონელი ალ. 88
მალია ე. 544
მამალაძე თ. 478
მამისთვალოვი გ. 138
მარგველაშვილი ტ. 62
მარი ნ. 17, 24, 25, 28, 30, 40, 44, 46, 51, 62, 73, 308, 315, 548, 554
მაჭავარიანი თ 452
მახარაძე ფ. 348
მგელაძე დ. 138
მენაბდე ვ. 531
მენთეშაშვილი სტ. 5
მესხია შ. 379
მეტრეველი ლ. 24
მეტრეველი რ. 141
მელიქსედბეგი ლ. 138
მირზაშვილი თ 479
მილერი 40
მინლოსი ნ. 50
მირიანაშვილი პ. 30
მოორთგადი ა. 500
მროველი ლ. 170

ნათაძე გრ. 31
ნიორაძე გ. 43, 341, 547
ნიკუშინი ნ. 49
ნიკოლსკი ვ. 35
ნიჟარაძე ბ. (თავისუფალი სვანი) 55
ნოღაიდელი ჟ 358

ოლრიკი ა. 29
ომერ ეფენდი 372, 380
ორჯონიკიძე ს. 346
ოსიაური ალ. 409, 535
ოსიური გ. 409
ოსიაური ი. 409
ოსიაური თ. 341, 347, 351, 432, 452, 541

ერეკლე მეფე 351
ელიავა გ. 160
ერისთავი ლ. 479

პარონაშვილი ს. 203
პატარკაციშვილი ა. 138
პაპისმედოვი ი. 138
პლინიუსი 527
პოპოვი მ. 378
პრეობრაჟენსკი 35
პროკოფიევი 49

რადე გ. 55
რადლოვი ვ. 40
რეხვიაშვილი ნ. 319, 378, 391, 479
რიტერი 7
რობაქიძე ალ. 5, 9, 70, 73, 317, 319
როდოსელი 312
რისტიაშვილი კ. 478
რუხაძე ჯ. 232, 351

საბაშვილი მ. 159
სახოკია თ. 23, 40, 55
სერპუჟევსკი 40
სოკოლოვი 35
სულხან საბა ორბელიანი 150, 308, 387, 406
სურგულაძე ი. 591
სუმბაძე ლ. 141, 157

სტრაბონი 26, 32, 172, 306, 307, 387, 523, 527
სტრუვე ვ. 47, 51
სტუდენეკაია ე. 50

ტატიშვილი 24
ტეილორი 35
ტოკარევი ს. 49
ტურაშვილი ნ. 461
ტურ–ჰეიერდალი 58

უბილავა კ. 489
უზნაძე დ. 25

ფალიანი გ. 489
ფირალიშვილი 40
ფიუსტელ დე კულანჟი 23
ფიფია 379
ფოში გ. 159
ფონ ვეზენდონკი ო. 27

ქავთარაძე კ. 253, 256, 317, 400
ქიქოძე ფ. 5
ქობულაძე ს. 542
ქუთათელი ალ. 24

ყაფრიშვილი ბ. 25
ყაზბეგი ალ. 55
ყიუხნიშვილი ს. 67
ყიფშიძე ი. 381, 503
ყიფიანი დ. 55

შავიშვილი მ. 211, 217
შამილაძე ვ. 12
შამუგია ი. 489
შანიძე აკ. 23, 161
შანშიაშვილი 24
შარლემანი ი. 341, 542, 547
შილაკაძე მ. 544
შილინგი ე. 50
შმიდტი 35
შონია მ. 489
შტენბერგი ლ. 32

ჩანაშვილი გ. 73, 378, 533
ჩერნიკოვი ნ. 452
ჩიბიროვი ლ. 70
ჩიტაია გ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 29, 32, 34, 43, 50, 51, 53, 58, 63, 67, 70, 359, 371, 387, 389, 394, 396, 400, 452, 462, 484, 485, 500, 517, 528, 542, 546, 547, 531, 535, 594
ჩიქობავა არნ. 163
ჩილოყაშვილი კ. 70, 141, 350, 432, 452, 477
ჩოფიკაშვილი ნ. 452
ჩოხელი გ. 423
ჩუბინაშვილი გ. 27
ჩურსინი გ. 24, 25
ჩხეტია შ. 138

ცაგარეიშვილი თ. 12, 13, 33, 43, 70, 135, 154, 211, 212, 546, 591
ცამციშვილი 544
ციციშვილი დ. 341
ციციშვილი–ფანასკერტელი 55

წერეთელი ალ. 138
წერეთელი გ. 138
წერეთელი ზ. 3, 12, 160, 232, 536, 537, 542, 544, 547, 550, 559
წერეთელი მ. 27
წილოსანი ვლ. 478

ჭავჭავაძე ი. 228
ჭანტურიშვილი ხ. 546
ჭარაია ჰ. 55
ჭინჭარაული ალ. 12
ჭინჭარაული გ. 561, 564
ჭინჭარაული ა. 344, 346
ჭინჭარაული გ. 558
ჭინჭარაული დ. 547
ჭიჭინაძე ზ. 381
ჭყონია ი. 73, 141, 452, 472, 477, 478

ხახარაძე მ. 479, 485, 536, 537,
ხარაძე რ. 5, 50, 347, 356, 358
ხიზანიშვილი ნ. (ურბნელი) 23, 55
ხუციშვილი მ. 544
ხოშტარია ნ. 485

ჯავახიშვილი ივ. 5, 6, 18, 25, 27, 30, 31, 51, 59, 152, 159, 170, 306, 314, 315, 416, 462, 533
ჯავახიშვილი ალ. 25
ჯავახიშვილი გ. 25, 73, 377, 485, 544

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანაშია დ. და მ. 55
ჯანაშია ნ. 23, 55
ჯანაშია ხ. 52, 120
ჯაფარიძე ო. 531
ჯაფარიძე უ. 542, 547
ჯიქია ხ. 381

ჰაქსტჰაუზენი 397
ჰეროდოტე 53, 151, 523
ჰიმენოსი 525

Belek W. 394, 415
Belk-lehmann 388
Bellio Y. 306, 462
Buschan G. 25
Braunkart R. 303, 465
Byhan A 25, 26, 27, 28

Calenus C. 470
Craebner Fr. 307
Cünther 22
Cüldenstädt J. 306

Dieterich A. 310, 312
Dirr A. 25
Dittmer 83

Haxthausen A. 301, 303, 396
Haberlandt A. 22, 23, 26
Hahn E 308
Hoernes M. 303
Hrozny 470

Klaproth I. 304
Koppers W. 30
Kramer S. 534

Latyschev B. 306
Lemann-Haupt C. 27
Leonard R. 382, 394
Leser P. 28, 302, 305, 307, 459, 465

Malinovsci Br. 77
Mielke R. 302
Mopcsa Fr. 303, 465
Muller V. 519, 520, 521

Nopcsa Fr. 303, 305

Petzold A. 304

Radde G. 400
Reinach S. 310

Schmidt P. W. 22, 77
Sekal J. 76
Strabo 29

Tilke M. 28
Tschubinaschwili G. 27, 28

Weinhold R. 526
Wesendolk O. 27

Акимцев В. 292

Бардавелидзе В. 523

Вавилов Н. 532
Вермишев Х. 301

Григоров Н. 309
Гроссгеим А. 522
Гулия Д. 32
Гулисашвили З. 169

Джавахишвили И. 31
Джорбенадзе С. 312
Эристов Р. 309

Жуковский П. 531, 532

Захаров С. 292
Замятнин С. 383

Иессен А. 523

Капанадзе Д. 533
Кипшидзе И. 23, 314
Клинген И. 453
Круковский И. 27

Леман-Гаупт 415
Лисовский А. 502
Лисенко Т. 76

Максимов А. 309
Маковецкий И. 166

Марр Н. 24, 25, 28, 29, 30, 31, 32, 33, 313, 314, 315, 387, 389, 496
Мащурко М . 309
Мещанинов И. 3
Меликсет-Беков Л. 27, 30, 31

Панек Л. 32
Пиотровский 533
Поинтек 166
Полиевктов М. 24

Робакидзе А. 83

Сабашвили М. 169
Семёнов Л. 499
Степанов И. 307

Такаишвили Е. 496
Толстов С. 74, 78

Фигуровский И. 292

Чурсин Г. 32

Шаликов К. 397

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

თავი I

ეთნოლოგიის საკითხებთან

ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული თავისებურება (მათი გაქრობის გამო) 13

ქართული ეთნოლოგია (1917-1926) 21

რუსეთის ეთნოლოგია და ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრკ მუზეუმებში 33

თავი II

ქართული ეთნოგრაფია საბჭოთა ხელისუფლების წლებში

კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექციის 1935 წლის საველე მუშაობის ანგარიში 44

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხების შესახებ მოწვეულ პლენუმზე (სხდომაზე) მოვლენების ანგარიში 47

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია (1930-1968) 53

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის პრინციპები და მეთოდი 74

ქართული ეთნოგრაფიული ატლასი 84

თავი III

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

მუზეუმის ახალი შენობის დამთავრების გამო 95

ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის გამოფენა 98

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა 111

საქართველოს მუზეუმების გამოფენების მეგზურის შედგენის ძირითადი პრინციპები 118

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორი წევრის ანგარიში 120

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საანგარიშო-საინფორმაციო გამოფენა 135

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV
ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ღია ცის ქვეშ მუზეუმი თბილისში 139
კიდევ ერთხელ ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმზე 145
ეთნოგრაფიული ცნობები სამუზეუმო კულტურის ელემენტებზე 150
ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ეიფოს მუზეუმი
ღია ცის ქვეშ 157
ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები 165

თავი V
სავველე ეთნოგრაფიული ძიებანი

ეთნიკური სახის შენარჩუნებისათვის 176
1924 წ. მესხეთის ექსკურსიის დღიური 181
მოკლე ანგარიში ეთნოლოგიური ექსკურსიის შესახებ მესხეთში 211
ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად 218
ზოგადი მოხსენება კახეთში მოგზაურობის შესახებ
(სიძველეთა მდგომარეობა და არქეოლოგიური აღმოჩენები) 224
ცნობა საინგილოს შესახებ 243
ადბულად-წალკის რაიონებში მოგზაურობის შესახებ (დღიური) 246
ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან ადბულადის რაიონში 292
1926 წ. ადბულად-წალკის მოგზაურობა (მოგონება) 317
1929 წ. ხევსურეთის ექსკურსია (დღიური) 320
ქორედი სახლი ხევსურეთში (ანგარიში) 331
ლუდის დამზადების ხალხური წესები (მასალები) 334
1927-1929 წწ ხევსურეთის ექსკურსიები (მოგონება) 341
1933 წ. აჭარისტანის ექსპედიცია (დღიური) 356
1936 წ.იმერეთის ექსპედიცია (ბაღდათის რაიონი) 370
პალატ-სახლი ხოფელ ხანიდან 378
1938 წ. ლენინგორის ექსპედიცია (მოკლე ანგარიში) 382
1938 წ. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში) 391
1939 წ.თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში) 400
1939 წ.პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მიკლინებული
ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში) 410
1947 წ. ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია (დღიური) 418

1948 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ანგარიში) 452
1958 წ. კოლხეთის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია 478
1960 წ. კოლხეთის მესამე ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში) 484
კოლხური ცხვარი 490
ძელქვა 493
ლაზური ორნამენტი 495
ლაზური სახლი 502
ძველკოლხური კულტურის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის შესახებ 522
1962 წ. ფშავის ექსპედიცია (დღიური) 535
1963 წ. ფშავ-ხევსურეთის ექსპედიცია (დღიური) 544
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ლიმიტროპული სოფლების დასახლების საკითხისათვის 574
1965 წ. თუშეთის ექსპედიცია (დღიური) 589

Georgian ethnography on the 20 th century. Field investiqations, methodology 597

Грузинская этнография XX века. Полевые изыскания, методология 602

ბიბლიოგრაფიული ცნობა 607
ფოტო-საილუსტრაციო მასალა 608
ფერადი ტაბულების აღწერილობა 609
შემოკლებათა ახსნა 610
მასალა ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონისათვის 611
საგანთა საძიებელი 615
ეთნიკურ სახელთა საძიებელი 623
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 624
პირთა საძიებელი 629
შინაარსი 634
Contents 637
Содержание 640

CONTENTS

Preface 5

CHAPTER I

AT THE BEGINNINGS OF ETHNOLOGY

Some Georgian ethnographic peculiarities (in connection with their disappearance) 13

Georgian ethbology (1917-1926) 21

Russian ethnology and practice of ethnographic work at the museums of the USSR 33

CHAPTER II

GEORGIAN ETHNOGAPHY IN SOVIET PERIOD

Report on field work of the Ethnography Section of the Institute of Caucasian Studies 44

Brief report on the trip to the session concerning the problems of ethnography and folklore at the Institute of Ethnography of the Academy of Sciences of the USSR 47

Georgian Soviet ethnography (1930-1968) 53

Principles and methods of field ethnographic work 4

Georgian ethnographic atlas 84

CHAPTER III

GEORGIAN STATE MUSEUM

Owing to the completion of a new building of the museum 95

Exhibition of old and new life and culture of Georgian people 98

Ethnographic exhibition of Georgia 111

Main principles of making up a guidebook on the exhibitions of Georgian museums 118

Report of the two members of the Georgian State Museum 120

Reporting-demonstrative exhibition of Historical-Ethnographic Museum of Georgian Jews 135

CHAPTER IV

ETHNOGRAPHIC MUSEUM IN THE OPEN AIR

Museum in the open air in Tbilisi 139
Once again about ethnographic museum in the open air 145
Ethnographic data about museum cultural elements 150
Museum of Georgian folk architecture
and life in the open air 157
Main principles of arranging a museum in the open air 165

CHAPTER V

FIELD ETHNOGRAPHIC INVESTIGATION

To preserve ethnic face 176
Journal of the Meskheti excursion of 1924 181
Brief report on the Meskheti ethnological excursion 211
Adigeni district - ethnographically 218
General report on the trip throughout Kakheti
(state of antiquities and archaeological discoveries) 224
Information about Saingilo 243
Journal of the trip to Aghbulagi-Tsalka districts 246
From the ethnographic trip to Aghbulagi district 292
Trip to Aghbulagi-Tsalka of 1926 (memoirs) 317
Journal of the Khevsureti excursion of 1929 320
House "koredi" in Khevsureti (report) 331
Folk methods of beer production (materials) 334
The Khevsureti excursions of 1927-1929 (memoirs) 341
Journal of the Achara expedition of 1933 356
The Imereti expedition of 1936 370
"Palat-sakhli" from the village Khani 378
Brief report on the Lechkhumi expedition of 1938 382
Brief report on the Ksani gorge ethnographic expedition of 1938 391
Brief report on the Tianeti ethnographic expedition of 1939 400
Brief report on the work of ethnographic expedition of 1939

in the gorges of Small Liakhvi and Mejudi 410
Journal of the Kartli complex ethnographic expedition of 1947 418
Report on the Kartli ethnographic expedition of 1948 452
The Colkheti complex ethnographic expedition of 1958 478
Brief report on the 3rd Colkheti ethnographic expedition of 1960 484
Colkhian sheep 490
"Dzelkva" 493
Lazh ornament 495
Lazh house 502
About some main features of old Colkhian culture 522
Journal of the Pshavi expedition of 1962 535
Journal of the Pshavi-Khevsureti expedition of 1963 544
Concerning the problem of limitrophe rural settlement of mountainous part of East Georgia 574
Journal of Tusheti expedition of 1965 589

Georgian ethnography of the 20th century. Field investigation, methodology (Summary) 597

Georgian ethnography of the 20th century. Field investigation, methodology (Summary in Russian) 602

Bibliographical information 607
Photo-illustrative material 608
Description of tables 609
List of abbreviations 610
Materials for the dictionary of ethnographic terms 611
Subject index 615
Ethnic terms index 623
Geographical names index 624
Personal names index 629
Contents (in Georgian) 634
Contents 637
Contents (in Russian) 640

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие 5

ГЛАВА I

У ИСТОКОВ ЭТНОЛОГИИ

Некоторые грузинские этнографические особенности (в связи с их исчезновением) 13

Грузинская этнология (1917-1926 гг.) 21

Российская этнология и практика этнографической работы в музеях СССР 33

ГЛАВА II

ГРУЗИНСКАЯ ЭТНОГРАФИЯ В ГОДЫ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ

Отчет о полевой работе секции этнографии Института Кавказоведения 44

Краткий отчет о командировке на пленум по вопросам этнографии и фольклора в Институте этнографии АН СССР 47

Грузинская советская этнография (1930-1968 гг.) 53

Принципы и методы полевой этнографической работы 74

Грузинский этнографический атлас 84

ГЛАВА III

ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ

В связи с завершением нового здания музея 95

Выставка старого и нового быта и культуры грузинского народа 98

Этнографическая выставка Грузии 111

Основные принципы составления путеводителя по выставкам музеев Грузии 118

Отчет двух членов Государственного музея Грузии 120

Отчетно-показательная выставка Историко-этнографического музея грузинских евреев 135

ГЛАВА IV

ЭТНОГРАФИЧЕСКИЙ МУЗЕЙ ПОД ОТКРЫТЫМ НЕБОМ

Музей под открытым небом в Тбилиси 139
Еще раз об этнографическом музее под открытым небом 145
Этнографические сведения о музейных культурных элементах 150
Музей под открытым небом грузинской народной архитектуры и быта 157
Основные принципы устройства музея под открытым небом 165

ГЛАВА V

ПОЛЕВЫЕ ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ

Чтоб сохранить этническое лицо 176
Дневник Месхетской экскурсии 1924 г. 181
Краткий отчет о Месхетской этнологической экскурсии 211
Адигенский район – этнографически 218
Общий доклад о путешествии по Кахетии
(состояние древностей и археологические открытия) 224
Справка о Саингило 243
Дневник путешествия в Агбулаг-Цалкский районы 246
Из этнографического путешествия в Агбулагский район 292
Путешествие в Агбулаг-Цалкский районы 1926 г. (воспоминания) 317
Дневник Хевсуретской экскурсии 1929 г. 320
Дом «кореди» в Хевсурети (отчет) 331
Народные способы изготовления пива (материалы) 334
Хевсуретские экскурсии 1927-1929 гг. (воспоминания) 341
Дневник Аджарской экспедиции 1933 г. 356
Имеретинская экспедиция 1936 г. 370
«Палат-сахли» из села Хани 378
Краткий отчет о Лечхумской экспедиции 1938 г. 382
Краткий отчет об этнографической экспедиции в Ксанское ущелье 1938 г. 391
Краткий отчет о Тианетской этнографической экспедиции 1939 г. 400
Краткий отчет о работе этнографической экспедиции
в ущельях Малой Лиахви и Меджуди в 1939 г. 410

Дневник Карталинской комплексной этнографической экспедиции 1947 г. 418

Отчет Карталинской этнографической экспедиции 1948 г. 452

Колхетская комплексная этнографическая экспедиция 1958 г. 478

Краткий отчет о третьей Колхетской этнографической экспедиции 1960 г. 484

Колхская овца 490

«Дзелква» 493

Лазский орнамент 495

Лазский дом 502

О некоторых основных чертах древнеколхской культуры 522

Дневник Пшавской экспедиции 1962 г. 535

Дневник Пшавско-Хевсуретской экспедиции 1963 г. 544

К вопросу о лимитрофном сельском поселении горной части Восточной Грузии 574

Дневник Тушетской экспедиции 1965 г. 589

Georgian ethnography of the 20th century. Field investigation, methodology (Summary) 597

Грузинская этнография XX века. Полевые изыскания, методология (Резюме) 602

Библиографические сведения 607

Фото-иллюстративный материал 608

Описание таблиц 609

Список сокращений 610

Материалы к словарю этнографических терминов 611

Предметный указатель 615

Указатель этнических терминов 623

Указатель географических имен 624

Указатель личных имен 629

Содержание (на груз. яз.) 634

Содержание (на англ. яз.) 637

Содержание 640

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. ავალიანი, ლ. გელოვანი
მხატვარი ზ. წერეთელი
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი: ა. გოგეშვილი

გადაეცა წარმოებას 4.IV.2001; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.IX.2001
ქაღალდის ზომა 70x108 1/8; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 40,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 40

ტირაჟი 400 შეკვეთა №78

ფასი სახელშეკრულებო

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება",
თბილისი, 380060,გამრეკელის ქ. №19

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ნ 15/358

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲩᲘᲬᲐᲘᲐ

ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

Ტ. III

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ“
2001

ЧИТАЯ ГЕОРГИЙ СПИРИДОНОВИЧ

ТРУДЫ

т. III

ТБИЛИСИ
"МЕЦНИЕРЕБА"
2001



ქართველი ხალხის იერსახეს, კულტურას ყოველთა ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები განსაზღვრავენ.

თანამედროვე პერიოდში შეიმჩნევა ტრადიციული ცხოვრების წესი – საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ეთნიკურობის მახასიათებელი თვითშეგნება, ზნეობა, ეთიკა. გაიელვის ხახი და „ქართველური ყოველდღე“ არაერი დარჩენა. ეს კი ერის სახიერებლო ძალების, მისი თვითშეგნებისა და შინაგანი ბუნებათვისებების განდიერების ტოლფასია.

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიზანია თავი მოუყაროს, დაიცვას, პოპულარიზაცია გაუკეთოს საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მონაპოვარს, მდიდარ ხალხური კულტურას, ქართველი კაცის ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლებს, რომელიც წარმოაჩენს ქართველი ხალხის ერიფნულ სიმდიდრეს, ძიღწეევებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში, ილიასეული დევიზით: „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვექნებით“. ფონდი მოუწოდებს საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობას, საზოგადოების ფართო ფენებს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, საძიებლოს ხიყვარულითა და პატრიოტული ინტერესით ჩაებას მოძრაობაში

მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის ჟადასარჩენად, რათა ვალმოდებული წარვსდგეთ მომავალი III ათასწლეულის თაობის წინაშე, როგორც უნიკალური ტრადიციული კულტურის დიმსეული მემკვიდრენი.